

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Economics and Business Faculty

IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
IX INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE

**გლობალიზაციის გამოწვევები
ეკონომიკასა და ბიზნესში**

**CHALLENGES OF GLOBALIZATION IN
ECONOMICS AND BUSINESS**

**შრომების კრებული
PROCEEDINGS**



შრომების კრებული
Proceedings



Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Economics and Business Faculty

IX International Scientific Conference

CHALLENGES OF GLOBALIZATION IN ECONOMICS AND BUSINESS

Proceedings

November 1, 2024
Georgia, Tbilisi



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

**გლობალიზაციის გამოწვევები
ეკონომიკასა და ბიზნესში**

შრომების კრებული

1 ნოემბერი, 2024
თბილისი, საქართველო

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2025

ISBN 978-9941-36-414-3 (pdf)

კონფერენციის სარედაქციო კოლეგია:

- გიორგი ლალანიძე** – თსუ პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, თავმჯდომარე;
- ვლადიმერ პაპავა** – თსუ პროფესორი, აკადემიკოსი;
- ავთანდილ სილაგაძე** – თსუ პროფესორი, აკადემიკოსი, საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის ხელმძღვანელი;
- ელგუჯა მექვაბიშვილი** – თსუ პროფესორი, თსუ თეორიული ეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი, ჟურნალის „ეკონომიკა და ბიზნესი“ მთავარი რედაქტორი;
- რევაზ გოგოხია** – ეკონ. მეცნიერებათა დოქტორი, ჟურნალის „ეკონომიკა და ბიზნესი“ მთავარი რედაქტორის მოადგილე;
- რამაზ აბესაძე** – ეკონ. მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი;
- იური ანანიაშვილი** – თსუ პროფესორი, ეკონომეტრიკის კათედრის ხელმძღვანელი;
- თეიმურაზ ბერიძე** – თსუ პროფესორი;
- სიმონ გელაშვილი** – თსუ პროფესორი, ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის ხელმძღვანელი;
- რევაზ გველესიანი** – თსუ პროფესორი, ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელი;
- ნუგზარ თოდუა** – თსუ პროფესორი, მარკეტინგის კათედრის ხელმძღვანელი;
- ირაკლი კოვზანაძე** – თსუ პროფესორი, ფინანსების და საბანკო საქმის კათედრის ხელმძღვანელი;
- დავით ნარმანია** – თსუ პროფესორი, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ხელმძღვანელი;
- ლევან საბაური** – თსუ პროფესორი, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის ხელმძღვანელი;
- დემურ სიჭინავა** – თსუ პროფესორი, ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრის ხელმძღვანელი;
- მირიან ტუხაშვილი** – თსუ პროფესორი, მაკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი;
- თემურ შენგელია** – თსუ პროფესორი, საერთაშორისო ბიზნესის კათედრის ხელმძღვანელი;
- ეთერ ხარაიშვილი** – თსუ პროფესორი, მიკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი;
- იოსებ ხელაშვილი** – თსუ პროფესორი, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის ხელმძღვანელი;
- ელინა გაილე-სარკანე** – პროფესორი, ლატვია;
- ინტა ოსტროვსკა** – პროფესორი, ლატვია;
- ტალიბეკ კოიჩუმანოვი** – პროფესორი, ყირგიზეთი;
- იაცეკ სტროინი** – პროფესორი, პოლონეთი;
- გიუნტერ ჰოფბაუერი** – პროფესორი, გერმანია;
- რაინერ ვენერი** – პროფესორი, გერმანია;
- ტატიანა სობოლიევა** – ასოცირებული პროფესორი, უკრაინა;
- ნატიკ გურბანოვი** – ასოცირებული პროფესორი, აზერბაიჯანი;
- მანანა ლოზჟანიძე** – თსუ ასოცირებული პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
- მარინა ჩავლეიშვილი** – თსუ ასოცირებული პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
- მერაბ ხოზობაია** – თსუ ასოცირებული პროფესორი, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:

გიორგი ლალანიძე – თსუ პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, თავმჯდომარე;

მანანა ლობჯანიძე – თსუ ასოცირებული პროფესორი, დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში;

მერაბ ხოხობაია – თსუ ასოცირებული პროფესორი, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი;

ლალი ჩიკვილაძე – თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ურა გოგრიჭიანი – თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის უფროსი;

აკაკი მიქაბერიძე – თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსური მენეჯერი;

ზვიად სიგუა – თსუ სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

დავით ნერგაძე – თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ბონდო კაკუბავა – თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;

რუსუდან მაისურაძე – თსუ დოქტორანტი.

Conference Editorial Board:

Giorgi Gaganidze – TSU Professor, Dean of the Faculty of Economics and Business; Chairman;

Vladimer Papava – TSU Professor, Academician;

Avtandil Silagadze – TSU Professor, Academician, Head of the Department of International Economics and History of Economic Thought;

Elguja Mekvabishvili – TSU Professor, Head of the Department of Theoretical Economics, Chief Editor of the Faculty magazine “Economics and Business”;

Revaz Gogokhia – TSU Professor, Deputy Chief Editor of the Faculty magazine “Economics and Business”;

Ramaz Abesadze – Doctor of Economic Sciences, Director of the Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University;

Iuri Ananiashvili – TSU Professor, Head of the Department of Econometrics;

Teimuraz Beridze – TSU Professor;

Simon Gelashvili – TSU Professor, Head of the Department of Economic and Social Statistics;

Revaz Gvelesiani – TSU Professor, Head of the Department of Economic Policy;

Nugzar Todua – TSU Professor, Head of the Department of Marketing;

Irakli Kovzanadze – TSU Professor, Head of the Department of Finance and Banking;

Davit Narmania – TSU Professor, Head of the Department of Management and Administration;

Levan Sabauri – TSU Professor, Head of the Department of Accounting and Auditing;

Demur Sitchinava – TSU Professor, Head of the Department of Information Technologies in Economics and Business;

Mirian Tukhashvili – TSU Professor, Head of the Department of Macroeconomics;

Temur Shengelia – TSU Professor, Head of the Department of International Business;

Eter Kharaishvili – TSU Professor, Head of the Department of Microeconomics;

Ioseb Khelashvili – TSU Professor, Head of the Department of Tourism and Hospitality Management;

Elina Gaile-Sarkane – Professor, Latvia;

Inta Ostrovskā – Professor, Latvia;

Talaibek Koichumanov – Professor, Kyrgyzstan;

Jacek Strojny – Professor, Poland;

Gunter Hofbauer – Professor, Germany;

Rainer Wehner – Professor, Germany;

Tetiana Sobolieva – Associate Professor, Ukraine;

Natik Gurbanov – Associate Professor, Azerbaijan;

Manana Lobzhanidze – TSU Associate Professor, Deputy Dean of TSU Faculty of Economics and Business;

Marina Chavleishvili – TSU Associate Professor, Deputy Dean of TSU Faculty of Economics and Business;

Merab Khokhobaia – TSU Associate Professor, Head of Scientific Research and Development Department.

Conference Organizing Committee:

Giorgi Gaganidze – Professor, Dean of the Faculty of Economics and Business, Chairman;

Manana Lobzhanidze – Associate Professor, Deputy Dean, faculty of Economics and Business;

Merab Khokhobaia – Associate Professor, Head of the Department of Scientific Research and Development, faculty of Economics and Business;

Lali Chikviladze – Main Specialist, Department of Scientific Research and Development, faculty of Economics and Business;

Ucha Gogrichiani – Head of Public Relations Department, faculty of Economics and Business;

Akaki Mikaberidze – Financial Manager, Faculty of Economics and Business;

Zviad Sigua – Main Specialist, Educational Service Management Department, faculty of Economics and Business;

David Nergadze – Main Specialist, Public Relations Department, faculty of Economics and Business;

Bondo Kakubava – Head of Material Resources Management Department, faculty of Economics and Business;

Rusudan Maisuradze – Doctoral Student, faculty of Economics and Business.

სარჩევი / CONTENTS

ნიკა აბდუშელიშვილი – მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ტენდენციები საქართველოში: თანამედროვე გამოწვევების მიმოხილვა	5
Nika Abdushelishvili – Small and Medium business development trends in Georgia: an overview of challenges	5
ნინო აბესაძე, სიმონ გელაშვილი, გიორგი კვირიკაშვილი – ოჯახური ძალადობა საქართველოში: მწვავე რეალობა და სტატისტიკა	23
Nino Abesadze, Simon Gelashvili, Giorgi Kvirikashvili – Domestic violence in Georgia: acute reality and statistics	23
იური ანანიაშვილი – დროითი მწკრივებით აგებულ მოდელში სტატისტიკური დამოკიდებულების შეფასების მეთოდი	32
Iuri Ananiashvili – A Method for Estimating Static Relationships in a Time Series Model	32
ნანა ასლამაზიშვილი - „მშპ აზროვნება“ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის – მე-20 საუკუნის უდიდესი გამოგონების წინააღმდეგ	39
Nana Aslamazishvili – "GDP thinking" versus SNA – the greatest invention of the 20th century	39
ნინო აფციაური – ორგანიზაციული კულტურა და მართვის სტილი	50
Nino Aptsiauri – Organizational culture and management style	50
თეიმურაზ ბაბუნაშვილი – ბიზნესის ნორმალური ფუნქციონირებისათვის სანარმოო ლოგისტიკური უზრუნველყოფის განმსაზღვრელი ფაქტორები	57
Teimuraz Babunashvili – Determining factors of production logistic support for normal functioning of business	57
დავით ბასიაშვილი, სლავა ფეტელავა – შეთანხმებული ქმედება და კონკურენციის სამართალი	60
Davit Basiashvili, Slava Fetelava – Concerted Action and Competition Law	60
გივი ბედიანაშვილი – ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების მაკროსისტემური დეტერმინანტები გაურკვევლობის და კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში	67
Givi Bedianashvili – Macrosystemic Determinants of Human Socioeconomic Security in the Conditions of Uncertainty and Confrontational Globalization	67
ხათუნა ბერიშვილი – კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის როლი კომპანიის იმიჯის და ბიზნესის რეპუტაციის ჩამოყალიბებაში	73
Khatuna Berishvili – The role of corporate social responsibility in shaping the company's image and business reputation	73
ირაკლი გაზდელიანი, თეა მუნჯიშვილი, ლალი ხურცია – პოლიტიკური ფაქტორების გავლენა საქართველოს ეკონომიკურ სტაბილურობაზე	78

Irakli Gazdeliani – Tea Munjishvili, Lali Khurtsia- The Impact of Political Factors on Georgia's Economic Stability	78
სიმონ გელაშვილი, ნინო აბესაძე, უჩა ჯავახიძე – ელექტროენერგიის მიწოდება, როგორც ენერგეტიკული უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კომპონენტი: სტატისტიკური ანალიზი	89
Simon Gelashvili, Nino Abesadze, Ucha Javakhidze – Electricity Supply as an Important Component of Energy Security: A Statistical Analysis	89
ნინო გრიგოლაია – გიგ ეკონომიკა: ახალი შესაძლებლობები ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციისთვის	99
Nino Grigolaia – The Gig Economy: New Opportunities for the Digital Transformation of Companies	99
ნინო დოხტურიშვილი – საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და მისი გამოვლენის თავისებურებები კახეთის რეგიონში	103
Nino Dokhturishvili – Main Directions of Georgia's Demographic Policy and Its Manifestation in the Kakheti Region	103
გულნაზ ერქომაიშვილი – მწვანე წყალბადის წარმოების პოტენციალი და მისი როლი ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის საქართველოში	111
Gulnaz Erkomaishvili – The role of green hydrogen in strengthening energy security and trends in building the infrastructure for its production in Georgia	111
მარიამ ვარდიაშვილი – სსბასს 43-ის გავლენა იჯარის აღრიცხვაზე	117
Mariam Vardiashvili – Impact of IPSAS 43 on Lease Accounting	117
რაინერ ვენერი, თომას ფიუქსი – საერთაშორისო ზომები გადასახადების თავიდან აცილების წინააღმდეგ	124
Rainer Wehner, Thomas Fuchs – International measures to counteract tax avoidance	124
თენგიზ ვერულავა, ქეთევან ომანაძე – საავადმყოფოების ანტიკრიზისული პროცესების მართვის გამოწვევები	132
Tengiz Verulava, Ketevan Omanadze – Hospital Health Care Anti-Crisis Management Issues in Georgia	132
შოთა ვეშაპიძე – უსაფრთხოების ეკონომიკური უზრუნველყოფის საბაზო კონცეფციების შესახებ	141
Shota Veshapidze – On the basic concepts of economic security assurance	141
ნატო კაკაშვილი, ხათუნა ბარბაქაძე, ნათია კახნიაშვილი – სიცოცხლის დაზღვევის თავისებურებები საქართველოში	150
Nato Kakashvili, Khatuna Barbakadze, Natia Kakhniashvili – Peculiarities of life insurance in Georgia	150
ნაზირა კაკულია – ცირკულარული ეკონომიკის ინდიკატორების გამოყენების თავისებურებები საქართველოში	154
Nazira Kakulia – Features of the use of circular economy indicators in Georgia	154

ჯიოეჯია კანიზარო – რომელი ფაქტორები ახდენს გავლენას მომხმარებელთა მიმოხილვის მიღებაზე? ინფორმაციის დიაგნოსტიკის გათვალისწინება, პოზიტიური ინფორმაციული სოციალური გავლენა, ალემული სანდოობა და შემეცნების საჭიროება	162
Giorgia Cannizzaro – Which factors influence the acceptance of customer reviews? A consideration of information diagnostics, positive informational social influence, perceived credibility and need for cognition	162
გიორგი კახაძე – საქართველოს საბაჟო სისტემის ანალიზი: ადგილობრივი წარმოების გამოწვევები და საბაჟო სისტემის რეფორმის მიმართულებები	169
George Kakhadze – Analysis of the customs system of Georgia: challenges of local production and directions of reform of the customs system	169
გიგა კიკორია – ვალის მფლობელთა სოციალურ-დემოგრაფიული პროფილი ხანდაზმულ მოსახლეობაში	179
Giga Kikoria – Socio-Demographic Characteristics of Elderly Debt Holders	179
თამარ ლაზარიაშვილი – სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები ევროინტეგრაციის გზაზე	186
Tamar Lazariashvili – Agricultural Development Prospects on the Path of Eurointegration	186
ეკა ლეკაშვილი – წყალბადის ენერგეტიკული პოლიტიკის აქტუალური საკითხები მწვანე ენერგეტიკის კონტექსტით (აშშ-ს და ევროკავშირის მაგალითზე)	192
Eka Lekashvili – Current issues of hydrogen energy policy in the context of green energy (the case of the USA and the European Union)	192
მარინა მაისურაძე, ნინო ჩავლეშვილი – კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგება, მიზანი და გამოწვევები	198
Marina Maisuradze, Nino Chavleshvili – Corporate sustainability reporting, goals and challenges	198
დანიელ მაიერი, ჯოზეფ სებასტიან შაფლი – დისონანსი კომპანიის შიდა და გარე ალემას შორის	204
Daniel, Maier, Joseph Sebastian, Schapfl – Dissonance between internal and external perception of company mission statements: a case study	204
თინა მელქოშვილი, რუსუდან სეთურიძე – უმაღლეს სასწავლებლებში პრიორიტეტული პროგრამული დაფინანსების ეფექტიანობის შესახებ	211
Tina melqoshvili, Rusudan Seturidze – On the Effectiveness of Priority Program Financing in Higher Education Institutions	211
ელგუჯა მექვაბიშვილი – ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის კონტურები და შესაძლებლობები საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის	221
Elguja Mekvabishvili – Contours and Opportunities of the New World Economic Order for the Development of Georgia's Economy	221
მარინე (მაია) მინდორაშვილი – განკარგვადი შემოსავლის სტრუქტურის, დაზოგვისა და ინვესტირების ნორმების დინამიკა საქართველოსა და ევროკავშირში	229

Marine (Maia) Mindorashvili – Dynamics of the structure of disposable income, savings and investment rates in Georgia and the European Union	229
ცირა მიქატაძე – ნატურალური წვენების ბაზრის გამოწვევები საქართველოში	236
Cira Mikatadze – Challenges of the Natural Juices Market in Georgia	236
გიორგი მიქელაძე, ანა ვარამაშვილი – საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების ფუნქციონირებისა და საფუძვლიანი სწავლების უნარების სტატისტიკური გამოკვლევა: საფუძვლიანი სწავლების მოდული, ბუკლეტის კვლევა და მაჩვენებელთა სისტემა	241
Giorgi Mikeladze, Ana Varamashvili – Statistical Survey on Functioning and Foundational Learning Skills of Children Living in Georgian Households: Module of Functioning and Foundational Learning Skills, booklet study, system of indicators	241
ნინო მიქიაშვილი – სიღარიბეზე ფინანსური ჩართულობის გავლენის შესწავლის ზოგიერთი მეთოდოლოგიური ასპექტი	250
Nino Mikiashvil – Some methodological aspects of studying the impact of financial inclusion on poverty	250
ბაბულია მღებრიშვილი – საცალო ვაჭრობის განვითარების ძირითადი მიმართულებები XXI საუკუნის საქართველოში	256
Babulia Mghebrishvili – Main Directions of Retail Trade Development in XXI Century Georgia	256
მარინე ნაცვალაძე – ციფრული ტექნოლოგიების გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე	263
Marine Natsvaladze – Impact of digital technologies on economic development	263
ზუმრუდ ნაჯაფოვა – ინდუსტრიული განვითარების არსებული მდგომარეობა აზერბაიჯანში	271
Zumrud Najafova – The current state of industrial development in Azerbaijan	271
ნუგზარ პაიჭაძე – კონტროლი როგორც ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის მნიშვნელოვანი ელემენტი	277
Nugzar Paichadze – Control as an important element of strategic human resource management	277
გიორგი ღალანიძე, ბადრი რამიშვილი – საქართველოს მთავრობაში შემავალი სამინისტროების ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზება	283
Giorgi Gaganidze, Badri Ramishvili – Optimization of organizational structures of the ministries included in the Georgian government	283
ლევან საბაური, ნადეჟდა კვატაშიძე, ანა ჩეჩელაშვილი – ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის შეფასების საფუძვლები	289
Levan Sabauri, Nadejda Kvatashidze Ana Chechelashvili – The basics of Measurement of Financial Reporting Information	289
მაია სეთური – მდგრადი მარკეტინგის ზოგიერთი ასპექტის შესახებ ტურიზმსა და მასპინძლობაში	297
Maia Seturi – On some aspects of sustainable marketing in tourism and hospitality	297

ნათია ტერტერაშვილი – სამშენებლო ბიზნესის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები საქართველოში	303
Natia Terterashvili – Factors influencing the development of construction business in Georgia	303
ნინო ფარესაშვილი, ნანული ოქრუაშვილი, მზია ტიკიშვილი, ქეთევან ჩიტალაძე – ჯანდაცვის სისტემაში დასაქმებული პერსონალის შრომითი კმაყოფილება, როგორც სამედიცინო მომსახურების ხარისხის სრულყოფის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი	311
Nino Paresashvili, Nanuli Okruashvili, Mzia Tikishvili, Ketevan Chitaladze – Job Satisfaction of Personnel Employed in the Healthcare System as a Key Factor in Improving the Quality of Medical Services	311
ანა ფოლოდაშვილი – განათლებისა და მეცნიერების კლასტერის ზოგადი ჩარჩო საქართველოში	324
Ana Polodashvili – The general framework of the education and science cluster in Georgia	324
რამაზ ფუტყარაძე – ევროკავშირის საჯარო-კერძო პარტნიორობა და საქართველო	331
Ramaz Putkaradze – Public Private Partnership in the European Union and Georgia	331
ლეილა ღუდუშაური – რისკების მართვის თავისებურებები საქართველოს სისტემური მნიშვნელობის კომერციულ ბანკებში	338
Leila Ghudushauri – Peculiarities of Risk Management in Systemically Important Banks of Georgia Summary	338
შოთა შაბურიშვილი – სტარტაპების განვითარების ძირითადი გამოწვევები საქართველოში	345
Shota Shaburishvili – The main challenges of the startup's development in Georgia	345
ალექსანდრე შარაშენიძე, ტეტიანა ჩერნიავსკა, ბოგდან ჩერნიავსკი – ეკონომიკური გამოწვევები და შესაძლებლობები საქართველოს ევროპული ინტეგრაციის კონტექსტში	352
Alexander Sharashenidze, Tetiana Cherniavska, Bohdan Cherniavskiy – Economic Challenges and Opportunities in the Context of Georgia's European Integration	352
თეიმურაზ შენგელია – ბიზნეს სუბიექტების ღირებულებით-მოტივაციური თავისებურებების დადგენა და ბიზნესაქტივობის დონის კვლევა	355
Teimuraz Shengelia – Determination of Value-motivational features of business subjects and survey of the level of business activity	355
მარინა ჩავლეიშვილი -კონკურენციის შეზღუდული შესაძლებლობები და კონკურენციული პოლიტიკა ქართულ რეალობაში	367
Marina Chavleishvili – Limited possibilities of Competition and Competitive Policy in Georgian reality	367
ლია ჩარეკიშვილი – ბავშვთა კეთილდღეობის სტატისტიკა: გლობალური გამოწვევები და ტენდენციები	373
Lia Charekishvili – Child Welfare Statistics: Global Challenges and Trends	373
მიხეილ ჩიკვილაძე – 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობა და 2025 წლის პროგნოზი	379
Chikviladze Mikheil – 2024 State Budget Implementation Progress and 2025 Forecast	379

მალხაზ ჩიქობავა – მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სახელმწიფო ვალის დინამიკა 2023-2024 წლებში და მისი სავარაუდო შედეგები	383
Malkhaz Chikobava – Dynamics of public debt of the world's leading countries in 2023-2024 and its expected results	383
ავთანდილ ჩუთლაშვილი – დანაზოგები და ფინანსური განათლება: გამოწვევები და გადაჭრის გზები	399
Avtandil Chutlashvili – Savings and Financial Education: Challenges and Solutions	399
ანა ჩხიკვაძე – ფინანსური ტექნოლოგიების ტრანსფორმაცია საქართველოში: ადგილობრივი მახასიათებლები და გლობალური ტენდენციები	406
Ana Chkhikvadze – Financial Technology Transformation in Georgia: Local Characteristics and Global Trends	406
მურმან ცარცხიძე – ეფექტიანი დასაქმების პერსპექტივები საქართველოში გიგ-ეკონომიკის განვითარებისა და ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში	414
Murman Tsartsidze – Effective employment prospects in the conditions of gig economy development and digital transformation in Georgia	414
დავით ჭაია – განახლებადი ენერგიის სექტორში დასაქმება და ეკონომიკური ზრდა	426
David Chaia – Employment and Economic Growth in the Renewable Energy Sector	426
იზოლდა ჭილაძე, ლია კოზმანაშვილი – სანარმოთა მომგებიანობის ფაქტორული ანალიზი ქართული კომპანიების მაგალითზე	431
Izolda Chiladze, Lia Kozmanashvili – Factor analysis of enterprise profitability On the example of Georgian companies	431
ეთერ ხარაიშვილი, ლელა ადუაშვილი – გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის რისკების გავლენა სასურსათო უსაფრთხოებაზე: კონცეპტუალური გამოწვევები და ემპირიული ტენდენციები	438
Eter Kharaishvili, Lela Aduashvili – Impact of Geoeconomic Fragmentation Risks on Food Security: Conceptual Challenges and Empirical Trends	438
ლალი ხიხაძე – ინოვაციური ბიზნესის სახელმწიფოებრივი რეგულირების პოლიტიკა და მისი მხარდამჭერი ინსტიტუტები საქართველოში	448
Lali Khikhadze – Innovative business state regulation policy and its supporting institutions in Georgia	448
მერაბ ხოხობაია – ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარების ციფრული პლატფორმები და სტრატეგიები	460
Merab Khokhobaia – Digital Platforms and Strategies for Tourist Destination Development	460
მერაბ ჯულაკიძე – ეკონომიკური ზრდის ფაქტორები და პრობლემები	467
Merab Julakidze – Factors and Problems of Economic Growth	467
გიუნტერ ჰოფბაუერი – გერმანიის ავტომანქანების დაცემა შეფერხებების ფონზე	473
Hofbauer, Günter – The Downfall of the German Auto Industry in the Light of Disruption	473

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თანდასწიები საქართველოში: თანამედროვე გამოწვევების მიმოხილვა

ნიკა აბდუშელიშვილი

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
nika.abdushelishvili88@gmail.com

ანოტაცია

ნაშრომში დასაბუთებულია მცირე და საშუალო ბიზნესის როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. გლობალიზაციისა და ციფრიზაციის გამოწვევების შესაბამისად წარმოჩენილია ამ სექტორში არსებული პრობლემები და ნაჩვენებია შესაბამისი კვლევების ჩატარების აუცილებლობა.

ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე შეჯერებულია მეცნიერთა ნაშრომებში არსებული კვლევის ძირითადი მიგნებები მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პრობლემებზე, გაანალიზებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ტენდენციები საქართველოში, გამოვლენილია ძირითადი გამოწვევები. საწარმოთა ზომების მიხედვით განხილულია მათი წილი ექსპორტში, ასევე, მოცემულია ამ ტიპის საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა, შეფასებულია ბრუნვის მაჩვენებლები, დასაქმებულთა რაოდენობა და შრომის ანაზღაურების დონე. ამ მაჩვენებლების შეჯამების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები და შემოთავაზებულია რეკომენდაციები მცირე და საშუალო ბიზნესის სამომავლო განვითარების გზებზე.

საკვანძო სიტყვები: მცირე და საშუალო ბიზნესი, განვითარების ტენდენცია, თანამედროვე გამოწვევები, მიმოხილვა.

შესავალი

მცირე და საშუალო ბიზნესი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. ბიზნესის აღნიშნული სექტორი ხელს უწყობს ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდას, ზრდის დასაქმების მაჩვენებელს, ინვესტს ჯანსაღ კონკურენციას, უზრუნველყოფს ინოვაციური განვითარების სტიმულირებას, მისი საშუალებით ხდება მრავალი სოციალური პრობლემის მოგვარება და სხვა.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესი ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. ქვეყანაში მოსახლეობის მთავარი დამსაქმებელი კერძო სექტორია და შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა ორიენტირებულია კერძო სექტორის, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერასა და განვითარებაზე. მცირე და საშუალო საწარმოები სხვადასხვა სახეობის პოტენციალით განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში, ხელს უწყობს ხელს ექსპორტის ზრდას, ტექნოლოგიების გაუმჯობესებას, ინოვაციების სწრაფად დანერგვას და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებაშიც შეაქვს წვლილი.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესი განიხილება როგორც ეკონომიკის განვითარების ქვაკუთხედი, შესაბამისად ამ სფეროში არაერთი სამეცნიერო კვლევა არის ჩატარებული, მაგრამ გლობალიზაცია, ციფრიზაცია და სხვა მრავალი ფაქტორი ახალ გამოწვევებს ქმნის.

ვევებს ქმნის სექტორის განვითარების პროცესში. აღნიშნულიდან გამომდინარე მცირე და საშუალო ბიზნესის ტენდენციების შეფასება, თანამედროვე გამოწვევების გამოვლენა და მათი დაძლევის გზების ძიება კვლავ აქტუალურია.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ტენდენციების შეფასება საქართველოში, მიმდინარე გამოწვევების გამოვლენა და განვითარების გზებზე რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებულია შედარების, სინთეზის, ანალიზის, დაჯგუფების და სხვა სტატისტიკური მეთოდები. კვლევის თეორიული საფუძვლად აღებულია პრობლემასთან დაკავშირებული სამეცნიერო სტატიები, სხვადასხვა ანგარიშები. გამოყენებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მასალები, შესაბამისი საერთაშორისო და ეროვნული ვებ-გვერდები.

ლიტერატურის მიმოხილვა

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ტენდენციების კვლევას არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა. ავტორების მიერ გაანალიზებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ტენდენციები საქართველოში გარე შოკების პირობებში. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის სახელმწიფო მხარდაჭერისა და წამახალისებელი პროგრამების გამოყენებაზე (Dudaur, 2023).

ასევე, შესწავლილია საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თანამედროვე ტენდენციების თავისებურებები, გამოვლენილია დარგობრივი სტრუქტურა, დივერსიფიკაციისა და ტრანსფორმაციის მიმართულებები, ციფრულ პლატფორმებზე დაფუძნებული მიდგომები (Manvelidze et al., 2023).

მცირე ბიზნესის განვითარებას განსაკუთრებული როლი აქვს საზოგადოების საშუალო ფენის ფორმირებაში, მოსახლეობაში შემოსავლებისა და დასაქმების დონის ამაღლებაში. შესაბამისად, ავტორები მიიჩნევენ, რომ მცირე ბიზნესის განვითარების პირობების შესწავლა განსაკუთრებით აქტუალურია პოსტსოციალური ქვეყნებისთვის, რომლებიც ამ სფეროში მიღწევების გამოყენებასთან ერთად განვითარების კონკრეტული გზების ძიების პროცესში არიან. ავტორების მიერ აღწერილია საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების სფეროში არსებული მდგომარეობა, მიღწეული შედეგები, პრობლემები და პერსპექტივები და დასახულია შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელი ქმედებები (JGejua & Tsimintia, 2018).

მცირე და საშუალო ბიზნესი არის სეგმენტი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბიზნესის განვითარებაზე. მასზეა დამოკიდებული ეროვნული ეკონომიკისა და ნებისმიერი დარგის კონკურენტუნარიანობის ზრდა და ინოვაციების გააქტიურება. მცირე და საშუალო ბიზნესი უზრუნველყოფს სამუშაო ადგილებს და აუმჯობესებს მოსახლეობის კეთილდღეობას. შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის ტემპი დიდწილად დამოკიდებულია მცირე და საშუალო ბიზნესის ფუნქციონირების ხარისხზე (Adamia, 2023).

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში უმნიშვნელოვანესია ინოვაციური მიდგომების შეფასება და მდგრადი განვითარების შესაძლებლობების ანალიზი. ეს საკმაოდ რთული ამოცანაა, მოითხოვს სისტემატურ ანალიზს და შესაბამისად ამ საკითხებს მკვლევრები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ (Guledani, 2022).

ქვეყნის ზრდის სტრატეგია ხშირ შემთხვევაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას უკავშირდება. ამ მიმართულებით დადგენილია კორელაცია ამ ორ მხარეს შორის (Paliashvili, 2015).

2021–2025 წლებში მცირე საშუალო მენარმეობის განვითარების სტრატეგია „ევროპის მცირე ბიზნესის აქტის“ ძირითად პრინციპებს ითვალისწინებს და ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკას ეფუძნება. სტრატეგიაში უპირველეს ამოცანად მცირე და საშუალო მენარმეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება მიიჩნევა და ამ სახეობის ბიზნესისათვის ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის მნიშვნელოვან საფუძველს შექმნის. სტრატეგიის განხორციელება უზრუნველყოფს მცირე და საშუალო მენარმეობის წინაშე მდგარი გამოწვევების გამოვლენას და ხელს შეუწყობს მათი დაძლევის გზების განსაზღვრას.

ხანგრძლივ პერსპექტივაში კი მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების სტრატეგიის განხორციელება, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოს ეკონომიკის ინკლუზიურ განვითარებაში, ხოლო აღნიშნული თავის მხრივ, სათანადო ასახვას პოვნებს შესაბამის საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს შეფასების შემდგომ გაუმჯობესებაში (2021–2025 წლებში მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების სტრატეგია).

მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება და სამუშაო ადგილების შექმნა უმნიშვნელოვანესია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. თუმცა, მცირე და საშუალო საწარმოები საჭიროა განვიხილოთ არა მარტო დასაქმების კარგი საშუალება, არამედ ინოვაციისა და პროდუქტიულობის შესაძლებლობაც. ამ მიმართულებით აქცენტები კეთდება მცირე და საშუალო ბიზნესის როგორც ქვეყნისთვის პროდუქტიულობის გაზრდა განვითარების ერთდერთი მთავარი საყრდენზე (ჰანსიორგ ჰერი და ზეინე მ. ნეტეკოვენი 2020).

საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია გენდერული ჭრილითაც არის შეფასებული. გაკეთებულია დასკვნა, რომ ინკლუზიურობის კუთხით ზრდა სწორედ ქალთა ჩართულობითა და მათი მენარმეობის ხელშეწყობით მიიღწევა (საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიის გენდერული შეფასება).

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ტენდენციები და გამოწვევები


საქართველოში, ისე როგორც მთელ მსოფლიოში, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. დღეს საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა წილი მოქმედ საწარმოთა 99.7%-ს შეადგენს. ეს მაჩვენებელი აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით ქვეყანაში კვლავ გადამწყვეტ როლს შეასრულებს პერსპექტივაშიც, სოციალური გავლენის თვალსაზრისით კი დასაქმების პრობლემების გადაჭრის მთავარი გზა იქნება.

მცირე და საშუალო საწარმოების წილი ბოლო წლების განმავლობაში (2023-2021 წლები) თითქმის უცვლელია და 99,7%-ს შეადგენს. დასაქმებულთა წილი მთლიან დასაქმებაში მცირედით, მაგრამ მაინც შემცირებულია. ამავე პერიოდში 65.0%-დან 59.3%-მდე შემცირდა ამ საწარმოებში გამოშვების მოცულობა, ხოლო SME წილი მთლიან დამატებულ ღირებულებაში 40.8%-დან 59.3%-მდეა გაზრდილი (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო).

მცირე და საშუალო ბიზნესის პრიორიტეტული განვითარების მიზანი უპირველესად მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული მცირე და საშუალო საწარმოების შექმნასა და ფუნქციონირების შესაძლებლობების გაფართოებაში მდგომარეობს. ამასთან, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი საკმარისობაა მეწარმეთა მიერ პროდუქტის გატანა ექსპორტზე. 2019 წლის მონაცემებით, მცირე და საშუალო საწარმოების წილი მთლიანი ექსპორტის მოცულობაში 49% იყო, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი შემცირდა ბოლო პერიოდში ზრდადია. რადგან მცირე და საშუალო საწარმოთა წილი საქართველოში რეგისტრირებული საწარმოების 99.7%-ს შეადგენს, ნათელია, რომ ექსპორტის მიმართულებით მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების სერიოზული პოტენციალი არსებობს. აღნიშნულის შესახებ წარმოდგენას იძლევა დიაგრამა 1.

დიაგრამა 1

წილი ექსპორტში საწარმოთა ზომის მიხედვით 2015-2023 წლებში (%)




წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები

როგორც დიაგრამიდან ჩანს, მცირე და საშუალო საწარმოების წილის ტენდენცია ექსპორტში წლების განმავლობაში ცვალებადია. თუ 2015 წელს ეს მაჩვენებელი თითქმის 60%-ს შეადგენდა, 2023 წლისთვის იგი 32.3%-მდე შემცირდა.

მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა კლებადია, კერძოდ 2023 წლის მე-4 კვარტალში მე-3 კვარტალთან შედარებით დასაქმებულთა ზრდის ტემპმა -17.2% შეადგინა (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 2

მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა 2023 წელს




წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები

რაც შეეხება შრომის ანაზღაურების დონეს, ეს მაჩვენებელი 2023 წლის მე-4 კვარტალში წინა კვარტალებთან შედარებით კლებადი ტენდენციისაა (იხ. დიაგრამა 3).

დიაგრამა 3


შრომის ანაზღაურების დონე მცირე და საშუალო საწარმოებში 2023 წელს



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები

2023 წლის მონაცემებით კვარტალების შედარებით ანალიზმა გვიჩვენა, რომ ამ მხრივაც მცირე და საშუალო საწარმოებში წლიური ბრუნვის მაჩვენებლის კლება აღუნიშნება (იხ. დიაგრამა 4). მაგალითად, მე-4 კვარტალში ბრუნვის მაჩვენებელი პირველ კვარტალთან შედარებით 1%-ით არის შემცირებული. ამასთან, შემცირების უფრო მეტი ტენდენცია იკვეთება საშუალო ზომის, მცირე მცირე ზომის საწარმოებში.


ბრუნვის მაჩვენებელი მცირე და საშუალო საწარმოთა 2023 წელს



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები

მცირე და საშუალო საწარმოებში გამოშვების მოცულობის ანალიზმა აჩვენა, რომ ამ მხრივ გამოხატულია ზრდის ტენდენცია, კერძოდ, თუ 2023 წლის პირველ კვარტალში ზრდის მაჩვენებელი 56% იყო, მეოთხე კვარტალში ანალიგიურმა მაჩვენებელმა 59% შეადგინა (იხ. დიაგრამა 5). მოცემულ შემთხვევაშიც გამოხატულია მცირე საწარმოთა მეტი წილი საშუალო ზომის საწარმოებთან შედარებით.

გამოშვების მოცულობა მცირე და საშუალო საწარმოებში



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები

ამრიგად, მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. ბიზნესის ამ სახეობის შემდგომი განვითარებას საფუძვლად

უნდა დაედოს საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებები. არანაკლებ მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, განსაკუთრებით მცირე და საშუალო სანარმოთა ექსპორტის ზრდისა და ბაზარზე წვდომის უზრუნველყოფის მიზნით.

ლიტერატურა

1. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021–2025 წლებში
2. საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიის (2016-2020) გენდერული შეფასება. <https://epfound.ge/ge/news/singleview/420-gendered-assessment-of-sme-development-strategy-of-georgia-2016-2020>
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმის 2023 წლის წლიური ანგარიში. https://www.economy.ge/uploads/files/2017/-ek_politika/sme_strategy/2023/sme_strategy_2023.pdf
4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია. https://www.economy.ge/uploads/files/2017/ek_politika/sme_strategy/sme_development_strategy_2021_2025_.pdf
5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია. https://www.economy.ge/uploads/files/2017/ek_politika/sme_strategy/sme_development_strategy_2021_2025_.pdf
6. სტატისტიკის ეროვნული სამსახური – <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/637/eksporti>
7. ჰერი, ჰ. & ნეტეკოვენი, ზ. მ. (2020). მცირე და საშუალო სანარმოების როლი განვითარების პროცესებში
8. Adamia, N. (2023). Small and Medium Business in Georgia and its Institutions and Promotion Programs. <https://dspace.tsu.ge/items/142c27a8-6b36-495a-9ee2-3b04d7fe90cf>
9. Dudaur, T. (2023). SMALL AND MEDIUM-SIZED BUSINESS DEVELOPMENT TRENDS IN CRISIS CONDITIONS: MODERN CHALLENGES AND PROSPECTS. ECOFORUM , Volume 12, Issue 3(32), 2023
10. Guledani, L. (2022). SMALL INNOVATIVE BUSINESS DEVELOPMENT PROBLEMS IN GEORGIA
11. Manvelidze, R., Tsetskhladze, L. & Manvelidze, L. (2023). Modern Challenges and Small and Medium Enterprise Development Trends in Georgia. Intern. Journal of Profess. Bus. Review. | Miami, v. 8 | n. 7 | p. 01-18 | e02400 | 2023
12. JGejua, M. & Tsimintia, K. (2018). SMALL BUSINESS DEVELOPMENT TRENDS IN GEORGIA. International Scientific Journal “Internauka” <http://www.inter-nauka.com>
13. Paliashvili, T. (2015). SMEs and Country Growth Strategy: Evidence from Georgia. Journal of Business; ISSN 2233-369X; Volume 4, Issue 1, 2015

SMALL AND MEDIUM BUSINESS DEVELOPMENT TRENDS IN GEORGIA: AN OVERVIEW OF CHALLENGES

Nika Abdushelishvili

Doctor of Business Administration

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

nika.abdushelishvili88@gmail.com

Annotation

The paper substantiates the role of small and medium business in the economic development of the country. In accordance with the challenges of globalization and digitization, the problems in this sector are presented and the need to conduct relevant studies is shown.

Based on the review of the literature, the main findings of the research on the problems of small and medium business development in the works of scientists have been compared, the trends of the development of small and medium business in Georgia have been analyzed, the main challenges have been identified. According to the size of the enterprises, their share in export is discussed, also the number of employees in this type of enterprises is given, the turnover indicators, the number of employees and the level of wages are estimated. Based on the summary of these indicators, conclusions are made and recommendations are offered on the ways of the future development of small and medium-sized businesses.

Key words: *small and medium business, development trend, modern challenges, review.*

ოჯახური ძალადობა საქართველოში: მწვავე რეალობა და სტატისტიკა

ნინო აბესაძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სიმონ გელაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი კვირიკაშვილი

დოქტორანტი

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

ოჯახური ძალადობა საქართველოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან, მტკივნეულ და აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. ის სხვადასხვა ფორმით ვლინდება და იზრდება საზოგადოების მხრიდან მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ძალადობის პრევენციის უზრუნველყოფის გააქტიურების ქმედებები.

ნაშრომის მიზანია საქართველოში ოჯახში ძალადობის თანამედროვე ტენდენციების გამოვლენა და სტატისტიკური ანალიზი.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა სტატისტიკური დაკვირვების, თავმოყრა-დაჯგუფებისა და ანალიზის მეთოდები. ანალიზის ეტაპზე განხორციელდა სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლის გაანგარიშება პროგრამა SPSS-ის გამოყენებით.

ნაშრომში დახასიათებულია ოჯახში ძალადობის მიზეზები, განხორციელდა მაპროვოცირებელი ფაქტორების იდენტიფიცირება; გაანალიზებულია ცხელ ხაზზე შესული ზარების მაჩვენებლები, ძალადობის ფორმების მიხედვით მსხვერპლისა და მოძალადის სქესობრივ-საკობრივი სტრუქტურა; შემაჯავებელი და დამცავი ორდერების სტატისტიკა, გამოვლენილია ოჯახში ძალადობის ძირითადი ტენდენციები და დადგენილია კანონზომიერებები, მიღებული შედეგების კომპლექსური რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია კონკრეტული დასკვნები და შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: ოჯახური ძალადობა, მოძალადე, მსხვერპლი, ტენდენცია, სტატისტიკური ანალიზი.

ძალადობის პრობლემა გლობალური მასშტაბისაა და შეიძლება ითქვას, მას არ აქვს ეროვნული, რასობრივი, რელიგიური კუთვნილება. ფაქტია, რომ ნებისმიერი სახის ძალადობა, გამოვლენის რა ფორმითაც არ უნდა იყოს წარმოდგენილი, მიუღებელია და მის წინააღმდეგ ბრძოლა არა მარტო საზოგადოების თითოეული წევრის, არამედ სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტული ვალდებულებაა. ამ სახის დანაშაულების პრევენციის მიზნით ბოლო წლებში გატარებული ღონისძიებების რამდენადაც, არსებული სიტუაციის ანალიზი, რსა-ერთაშორისორდარადგილობრივიორგანიზაციების შეფასებები ცხადყოფს, რომ ძალადობა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება (https://idfi.ge/ge/the_impact_of_new_coronavirus_pandemic_on_domestic_violence_and_violence_against_women) არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოში. ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმები გულისხმობს იმ სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და სხვა ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია

ოჯახში ძალადობის მიზეზებისა და წინაპირობების თავიდან აცილებისკენ, ძალადობის აღკვეთისკენ, მოძალადის სამართლებრივი დევნისკენ, მისი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ, მსხვერპლის რეაბილიტაციისა და ადაპტაციისკენ. (<https://matsne.gov.ge/ka/-document/view/26422?publication=21>)

მიუხედავად იმისა, რომ ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლაში და მის პრევენციაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყოველდღიურად უამრავი ადამიანი ჩართული, საკმაოდ დიდი ფინანსური თუ ფიზიკური რესურსი იხარჯება და ძალადობის აღმოფხვრისა და პრევენციის მიზნით აქტიური მუშაობა მიმდინარეობს, იხვეწება საკანონმდებლო აქტები, ძალადობა მაინც ერთ-ერთ მძიმე და მტკივნეულ პრობლემად რჩება. ამას მოწმობს ძალადობის სტატისტიკა. საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, დემოკრატიული პროცესების განვითარების კვალდაკვალ საზოგადოების ყურადღების ცენტრში სულ უფრო ინტენსიურად ხვდება საქართველოში კრიმინოგენური სიტუაციის გამწვავება და გენდერული თანასწორობის პრობლემა. (აბესაძე, ო. 2023) მდგომარეობა კიდევ უფრო საყურადღებო და საგანგაშოა ძალადობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის ფონზე, რაც რეალურ ფაქტებთან შედარებით საჩივრების ნაკლებობით, ნაწილობრივი ინფორმირებითაა გამომწვეული, რომელიც ძალადობის მსხვერპლის მხრიდან მოძალადის იდენტიფიცირებისგან ან ოჯახურ ძალადობაზე საუბრისგან თავის შეკავებითაა განპირობებული. ამის მიზეზი შეიძლება იყოს მოძალადეზე ეკონომიკური დამოკიდებულება, კულტურული თუ რელიგიური რწმენები და შეხედულებები, შურისძიების შიში, სექსუალური ძალადობის დროს სირცხვილი და სხვა. აღსანიშნავია, რომ ძალადობრივ ურთიერთობებში მყოფი ქალები შეიძლება ვერ აცნობიერებენ, ან მზად არ არიან, გააცნობიერონ, რომ მათ მიმართ სექსუალური ძალადობა ხორციელდება. (სექსუალური ძალადობის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის სახელმძღვანელო, თბ., 2021. გვ 31) შესაბამისად, ასეთი შემთხვევების აღრიცხვა და საერთო სტატისტიკურ მონაცემებში გათვალისწინება ფაქტობრივად შეუძლებელია, რაც საბოლოო ჯამში სტატისტიკისათვის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. ამიტომაც, უკანასკნელ წლებში საკმაოდ მწვავედ დადგა გამოვლენილი ძალადობის გაზრდილი ფაქტების რაოდენობრივად შესწავლის აუცილებლობის საკითხი. აქედან გამომდინარე, ოჯახში ძალადობის ფაქტების სტატისტიკური ინდიკატორების დადგენა, ძალადობის მიზეზებისა და ფორმების იდენტიფიცირება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, მოსალოდნელი შედეგების გაანალიზება, ძალადობის არეალის გაზომვა, ინტენსივობის შეფასება, საერთაშორისოდ შედარებადი სტატისტიკური მაჩვენებლების გაანგარიშება, ინფორმაციული ბაზის სრულყოფა და ა. შ. ფრიად მნიშვნელოვანი, აუცილებელი და დროულია, რადგან მოხდეს შესაბამისი სამართლებრივი რეგულირების პირობებში სწორი პოლიტიკის განსაზღვრა სახელმწიფო დონეზე და მაქსიმალურად მეტი ძალადობის ფაქტის აღკვეთა, მსხვერპლის თავიდან აცილება. მსხვერპლი ქალებისა და კაცების სოციალიზაციის ამაღლება, რეაბილიტაციის პროცესების რეგულირება და მართვა. ამისათვის კი აუცილებელია ოჯახური ძალადობის შესაბამისი ინფორმაციული ბაზის არსებობა, ადეკვატური სტატისტიკური მაჩვენებლების გაანგარიშება, რაც სწორი პოლიტიკისა და პრევენციული ღონისძიებების შემუშავების აუცილებელი საფუძველია.

ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოში ოჯახური ძალადობის სტატისტიკური ტენდენციების გამოვლენა და ანალიზი.

კვლევის მეთოდოლოგია


კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა სტატისტიკური დაკვირვების, თავმოყრა-დაჯგუფებისა და ანალიზის მეთოდები. ანალიზის ეტაპზე განხორციელდა მრავალი სპეციალური სტატისტიკური მაჩვენებლის გაანგარიშება პროგრამა SPSS-ის გამოყენებით, განხორციელდა დი-

ფერენცირებული ანალიზი რეგიონების, ასაკობრივი ჯგუფების ძალადობის გამოვლენის ფორმების და ა.შ. მიხედვით. მიღებული შედეგების კომპლექსური რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდა კონკრეტული დასკვნები და შემუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები.

ტექსტი. ძალადობის პრევენციისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიმართვიანობის მაღალი დონე, რაც ერთი მხრივ განისაზღვრება მსხვერპლი/საზოგადოების მხრიდან ამ ორგანოების ნდობით, მეორე მხრივ კი გაბატონებული სტერეოტიპების გავლენის ხარისხით. ოჯახში ძალადობის საკითხებზე პოლიციისთვის მიმართვიანობის შესახებ ინფორმაციას იძლევა განხორციელებული ცხელი ხაზის მონაცემები და გამოცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობა. გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, საქართველოში შეიქმნა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ოთხი თავშესაფარი, სამი კრიზისული ცენტრი და ეროვნული ცხელი ხაზი (116 006), რომელიც აბონენტებს ეროვნული უმცირესობების ენებზეც ემსახურება.

დიაგრამა 1

ოჯახში ძალადობის საკითხებზე ცხელი ხაზზე განხორციელებული ზარების რაოდენობის ზრდის ტემპი (ჯაჭვური), სქესთა თანაფარდობა




წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორთა მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2014 წლიდან 2022 წლამდე საგრძნობლად გაიზარდა ოჯახში ძალადობის საკითხებზე განხორციელებული ცხელი ხაზისთვის მიმართვიანობა, 2021 წელთან შედარებით 86%-ით, ხოლო 2014 წელთან შედარებით გაიზარდა თითქმის 3-ჯერ მეტი ზარი დაფიქსირდა. თუმცა ეს უპირატესად განპირობებული უნდა იყოს არა ძალადობის ფაქტების რაოდენობის მკვეთრი ზრდით, არამედ იმით რომ ადამიანებმა მეტად დაიწყეს ძალადობის ფაქტების გახმაურება, გაიზარდა მათი ნდობა სამართალდამცავი ორგანოებისადმი. 2014-2022 წლებში საშუალოდ ყოველწლიურად განხორციელებული ცხელი ხაზის ზარების რაოდენობა იზრდებოდა 14%-ით. განხორციელებულ ზარებში ქალბატონების წილი საშუალოდ 68 პროცენტული პუნქტით აღემატებოდა მამაკაცებისას, ხოლო განსაკუთრებით აქტიური 25-44 და 44 წელზე უფროსი ადამიანები იყვნენ. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად დროებითი ღონისძიების სახით გამოიცემა შემაკავებელი ორდერი ან დამცავი ორდერი.

ოჯახური ძალადობის ფაქტებზე გამოცემული შემაკავებელი
ორდენების რაოდენობის დინამიკა
(2014-2023)




წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორთა მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით

2014-2023 წლებში სულ გამოიცა 66118 შემაკავებელი ორდერი, სადაც მონაწილეობდა 116174 პირი, საშუალო წლიურად 6612 ერთეული 11617 პირი. აღსანიშნავია, რომ გამოცემულ შემაკავებელ ორდერსა და მონაწილე პირებს შორის რაოდენობრივი თანაფარდობა წლების განმავლობაში თითქმის უცვლელი რჩებოდა, ბოლო წლებში შეინიშნებოდა მხოლოდ მცირედი კლება. (შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდი). მეორე დიაგრამაზე ნათლად ვხედავთ, რომ 2014-2019 წლებში გამოვლენილი ოჯახური ძალადობის ფაქტებზე გამოცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობა მკვეთრად გაზრდილია, რაც ძალადობის ფაქტზე მომართვიანობის ზრდასთან ერთად განპირობებულია იმით, რომ 2017 წლის ივნისამდე აუცილებელი იყო შემაკავებელი ორდერის დამტკიცება სასამართლოს მიერ. ხოლო ცვლილებების თანახმად, შემაკავებელი ორდერი ძალაში შედის გამოცემისთანავე. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა-სა და ცნობიერების ამაღლების მნიშვნელოვანებაზე დიდი გავლენა იქონია 2017 წლის სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებამ. ამის გთვალისწინებით 2015 წელს წინა წელთან შედარებით გამოცემული შემაკავებელი ორდერის რაოდენობა წინა წელთან შედარებით გაზრდილია 3,2-ჯერ, 2016 წელს 13,5%-ით, 2017 წელს 41,5%-ით, 2018 წელს 75,0%-ით, 2019 წელს კი – 34,3%-ით. 2020 წლიდან ფიქსირდება მაჩვენებლის შემცირების ტენდენცია და 2023 წლისთვის 8734-ს გაუტოლდა, რაც წინა წელთან შედარებით 2%-ით და და 2015 წელთან შედარებით 215%-ით გაზრდილია.

საკვლევ პერიოდში, 2014-2023 წლებში საშუალოდ ყოველწლიურად გამოცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობა იმატებდა 877 ერთეულით, იზრდებოდა 28%-ით. ძალადობის ზრდაზე ეკონომიკური ფაქტორების კავშირისა და დამოკიდებულების გამოსავლენად გავიანგარიშეთ კორელაციის პირსონის კოეფიციენტი შემაკავებელ ორდერებსა და უმუშევრობის დონეს შორის. კავშირი აღმოჩნდა საკმაოდ ძლიერი, (კორელაციის პირსონის კოეფიციენტი უდრის -0,847), რაც ადასტურებს შემაკავებელ ორდერების რაოდენობაზე უმუშევრობის დონის პირდაპირ გავლენას. ამის გარდა გავიანგარიშეთ კორელაცია შემაკავებელ ორდერებსა და საშუალო თვიურ შემოსავალს შორის, რომელიც აღმოჩნდა 0,666, ანუ საშუალო სიძლიერის პირდაპირი კავშირი. რაზე დაყრდნობითაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ საშუალო თვიური შემოსავალი გაიზრდება, მაშინ გაიზრდება შემაკავებელი ორდერის რაოდენობაც. ამის მიზეზად შეიძლება დავასახელოთ მოძალადეზე მსხვერპლის ეკონომიკურად დამოკიდებულების მაღალი ხარისხი და ძველი სტერეოტიპი: ძალადობს მატერიალურად ძლიერი. (შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდი, 2024)

2014-2023 წლებში საქართველოში ოჯახში ძალადობაში
მონაწილე მოძალადეთა რაოდენობის
დინამიკა



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორთა მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით

2014-2023 წლებში სულ ოჯახურ ძალადობაში მონაწილეობდა 56541 მოძალადე პირი. 2023 წელს 2022 წელთან შედარებით მოძალადე პირების რაოდენობა გაიზარდა 1%-ით, ხოლო 2014 წელთან შედარებით გაიზარდა თითქმის 10-ჯერ, პერიოდში საშუალო აბსოლუტურმა მატებამ 741 შეადგინა, 2014-2023 წლებში საშუალოდ ყოველწლიურად მოძალადელთა რაოდენობა იზრდებოდა 29%-ით. (შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდი, 2024)

საინტერესოა, როგორია ოჯახში მოძალადე პირების სქესობრივი მაჩვენებლები. აქ მკვეთრად გამოხატული ტენდენციაა: კაცების რაოდენობა მკვეთრად აღემატება ქალების რაოდენობას. თუმცა, დროთა განმავლობაში მცირდებოდა სქესთა შორის თანაფარდობა. საკვლევი პერიოდის პირველ ნახევარში კაცების რაოდენობა 10-ჯერ აღემატებოდა ქალების რაოდენობას, ხოლო პერიოდის მეორე ნახევარში კი 5-ჯერ. სქესთა თანაფარდობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2015 წელს, როდესაც კაცების რაოდენობა 12,3-ჯერ აღემატებოდა ქალების რაოდენობას, ხოლო ყველაზე ნაკლები კი – 2019 წელს, როდესაც მოძალადე კაცები 4,6-ჯერ აღემატებოდნენ ქალებს. 2023 წელს 2022 წელთან შედარებით, მოძალადე ქალების რაოდენობა შემცირდა 1%-ით, ხოლო 2014 წელთან შედარებით გაიზარდა თითქმის 19-ჯერ. 2014-2023 წლებში საშუალოდ ყოველწლიურად მდედრობითი სქესის მოძალადეთა რაოდენობა იზრდებოდა 39%-ით, ხოლო კაცების 28%-ით.

რაც შეეხება მსხვერპლებს, ზოგადად მსხვერპლთა რაოდენობა გაზრდილია, 2023 წელს 2014 წელთან შედარებით მათი რიცხვი გაიზარდა თითქმის 10-ჯერ. 2014-2023 წლებში საშუალოდ ყოველწლიურად მსხვერპლთა რაოდენობა იზრდებოდა 28%-ით. თუმცა, 2023 წელს 2022 წელთან შედარებით მათი რიცხვი შემცირდა 1%-ით. საანალიზო პერიოდში მოძალადეთა რაოდენობას ყოველთვის აღემატებოდა მსხვერპლთა რაოდენობა. საშუალოდ 1 მოძალადეზე 1.05 მსხვერპლი მოდის. ეს მაჩვენებელი ძირითადად ვარიერებს 1.04-დან 1.11-ს შორის. აღსანიშნავია, რომ მსხვერპლსა და მოძალადეს შორის რაოდენობრივი თანაფარდობა წლების განმავლობაში თითქმის უცვლელი რჩებოდა. რაც შეეხება ოჯახურ ძალადობაში მონაწილე მსხვერპლი პირების სქესის მიხედვით განაწილება, აქ ქალების მკვეთრად გამოხატული უპირატესობა ვლინდება.

2014-2023 წლებში გამოვლენილ ოჯახურ ძალადობაში მონაწილე 59564 მსხვერპლიდან ქალი იყო 50211 პირი, ანუ 84% ხოლო კაცი კი – 9352 პირი, ანუ 16%. 2014-2023 წლებში საშუალოდ ყოველწლიურად მსხვერპლ ქალთა რაოდენობა იმატებდა 644, ხოლო კაცთა 128 პირით.

2015-2023 წლებში სულ გამოცემულ იქნა 65272 შემაკავებელი ორდერი. აქედან ყველაზე დიდი რაოდენობით გამოცემულ იქნა თბილისში 29044 მთლიანი რაოდენობის 44,5%, შემდეგ მოდის კახეთი 6546 ორდერით (10,0%-ით), აჭარა 6376 ორდერით (9,8%-ით), ქვემო ქართლი 6283 ორდერით (9,6%-ით), იმერეთი 6101 ორდერით (9,3%-ით). ყველაზე მცირე რაოდენობაა რაჭა-ლეჩხუმში 292 შემაკავებელი ორდერი (0,4%), გურიაში 776 (1,2%), სამცხე-ჯავახეთში 1171 (1,8%).

ცხრილი 1

2015-2023 წლებში გამოცემული შემაკავებელი ორდენის დონე ყოველ 10000 კაცზე რეგიონების მიხედვით

რეგიონი	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
აჭარა	7	10	14	27	28	28	26	20	23
გურია	5	5	5	5	7	11	14	12	8
თბილისი	9	11	17	27	41	40	33	34	33
იმერეთი	8	8	11	17	18	18	17	14	13
კახეთი	11	10	13	24	32	32	33	30	25
მცხეთა-მთიანეთი	5	8	9	24	24	21	19	16	18
რაჭა-ლეჩხუმი	4	7	15	21	14	10	10	8	11
სამეგრელო-ზემო სვანეთი	5	5	7	13	17	19	20	16	14
სამცხე-ჯავახეთი	3	2	2	6	9	16	14	12	14
ქვემო ქართლი	5	7	7	16	21	21	22	22	24
შიდა ქართლი	6	8	8	15	25	25	20	19	20

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ გაანგარიშებული მაჩვენებლების მიხედვით

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ თითოეულ რეგიონში ყოველწლიურად სულ უფრო მძიმდება მდგომარეობა. მიღებული შედეგი სრულიად მოსალოდნელი იყო ჯერადობით გაზრდილი გამოცემული შემაკავებელი ორდერებისა და შემცირებული მოსახლეობის ფონზე. იმდენადაა გაზრდილი გამოცემული შემაკავებელ ორდერთა რაოდენობა, რომ მიუხედავად ზოგიერთი რეგიონისა (მაგ: თბილისი, აჭარა, ქვემო ქართლი), სადაც შეინიშნებოდა მოსახლეობის რიცხოვნობის მატება, მაინც იზრდებოდა გამოცემული შემაკავებელი ორდერის დონე ყოველ 10000 კაცზე. (შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდი, 2024). აქვე თუ განვიხილავთ ოჯახურ ძალადობასა და ოჯახური ნიშნით ჩადენილ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის დანყების მაჩვენებელს პროკურატურის სტრუქტურული ერთეულების მიხედვით აბსოლუტური მაჩვენებლით პირველ ადგილებს იკავებს თბილისი, ქვემო ქართლი, აჭარა. მაგრამ სურათი სრულიად შეიცვალა 10000 კაცზე დანაშაულის კოეფიციენტის გაანგარიშებისას. თბილისი, რომელიც ჯერადობით აღემატებოდა სხვა რეგიონებს ახლა უკვე კრიმინოგენულად საშუალოდ საშემ რეგიონებშია. კოეფიციენტზე დაყრდნობით საშემ რეგიონებს მიეკუთვნება შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, აჭარა და კახეთი, უსაფრთხოს კი-სამეგრელო-ზემოსვანეთის. (საქართველოს პროკურატურა, 2024)

2023 წელს გამოცემულ შემაკავებელ ორდერთა დაახლოებით 22%-ის შემთხვევაში სახეზე იყო ფიზიკური ძალადობა, 75%-ის შემთხვევაში ფიქოლოგიური, 0,9%-ის შემთხვევაში ეკონომი-

კური, 0,3%-ის შემთხვევაში სექსუალური, 0,7%-ის შემთხვევაში იძულება და 0.6%-ის შემთხვევაში არასრულწლოვნის უგულვებელყოფა.

საანალიზო პერიოდში ყველაზე მაღალი რაოდენობის საშუალო წლიური ზრდის ტემპით ხასიათდება შიდა ქართლი, საშუალოდ ყოველწლიურად 58%-ით იზრდებოდა, აჭარა 50%-ით, ხოლო სამცხე-ჯავახეთი კი 34%-ით. ყველაზე დაბალი საშუალო ზრდის ტემპით სამეგრელოს (იმატებს საშუალოდ 25%-ით) შემდეგ ხასიათდება თბილისი, სადაც მოძალადეთა რაოდენობა საშუალოდ ყოველწლიურად 26%-ით იზრდებოდა. ჩვენს დედაქალაქში ქალების რაოდენობა საშუალოდ ყოველწლიურად იმატებდა 35%-ით, ხოლო კაცების კი – 25%-ით.

ყველაზე სწრაფი ტემპით მოძალადე ქალების რაოდენობა იზრდებოდა აჭარის რეგიონში საშუალოწლიურად 50%-ით, შემდეგ ქვემო ქართლში 40%-ით, ხოლო სამცხე-ჯავახეთში 36%-ით. რაც შეეხება კაცებს, ყველაზე სწრაფი ტემპით იზრდებოდა ქვემო ქართლის რეგიონში საშუალოწლიურად 56%-ით, შემდეგ კი – აჭარაში 49%-ით.

საქართველოში მსხვერპლთა რაოდენობა 2023 წელს 2014 წელთან შედარებით 9-ჯერაა გაზრდილი, საშუალოდ ყოველწლიურად კი იზრდებოდა – 28%-ით. რეგიონებული კუთხით აბსოლუტურად ყველაზე ხასიათდებოდა მსხვერპლთა ზრდის ტენდენცია. საანალიზო პერიოდში ყველაზე მაღალი საშუალო წლიური ზრდის ტემპით ხასიათდება შიდა ქართლი, საშუალოდ ყოველწლიურად 60%-ით იზრდებოდა, აჭარა 50%-ით, ხოლო სამცხე-ჯავახეთი კი 31%-ით. ყველაზე დაბალი საშუალო ზრდის ტემპით სამეგრელოს (იმატებს საშუალოდ 24%-ით) შემდეგ ხასიათდება თბილისი, სადაც მსხვერპლთა რაოდენობა საშუალოდ ყოველწლიურად 25%-ით იზრდებოდა. ჩვენს დედაქალაქში მსხვერპლი ქალების რაოდენობა საშუალოდ ყოველწლიურად იმატებდა 25%-ით, ხოლო კაცების კი – 32%-ით. ყველაზე სწრაფი ტემპით მსხვერპლი ქალების რაოდენობა იზრდებოდა შიდა ქართლის რეგიონში საშუალოდ წლიურად 57%-ით, შემდეგ აჭარაში 50%-ით, ხოლო სამცხე-ჯავახეთში კი – 32%-ით. რაც შეეხება კაცებს, ყველაზე სწრაფი ტემპით იზრდებოდა აჭარის რეგიონში საშუალოწლიურად 53%-ით, შემდეგ კი ქვემოქართლში 43%-ით.

საბოლოო ჯამში, თბილისში საშუალოდ ყოველწლიურად მოძალადეთა რაოდენობა 1 პროცენტული პუნქტით მეტით იზრდებოდა მსხვერპლთა რაოდენობაზე, შიდა ქართლში 2 პროცენტული პუნქტით ნაკლებით, ხოლო აჭარაში თანაბრად. ჩვენ მიერ გაკეთებული გათვლებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ითქვას ისიც, რომ მოძალადეებში საშუალოდ ყოველწლიურად (რეგიონებშიც) ქალების რაოდენობა უფრო მეტი პროცენტული პუნქტით იმატებს ვიდრე კაცები, მსხვერპლებში კი პირიქით.

როგორც მოძალადე, ისე მსხვერპლ პირებში ძირითადი ნაწილი მიეკუთვნებოდა 25-44 წლის ასაკობრივ კატეგორიას, რომელშიც თავს იყრის მოძალადე/მსხვერპლის დაახლოებით 50%. მეორე ადგილზეა საშუალოდ 35%-ით 44 წელს გადაცილებული ასაკობრივ კატეგორია. ყველა ასაკობრივ ჯგუფში ლიდერობს თბილისი, შემდეგ მოყვება ქვემო ქართლი და აჭარა. განსაკუთრებით სამწუხაროა არასრულწლოვანი მოძალადეების ზრდა. 2014 წელს 37 არასრულწლოვანი მსხვერპლი პირიდან 2023 წელს გაიზარდა 498 პირამდე (თითქმის 14-ჯერ). შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერების მონაცემებს ოჯახში ძალადობის ფორმების მიხედვით 2015-2023 წლებში განსაკუთრებული მატება შეინიშნება ფსიქოლოგიური ძალადობის კატეგორიაში, რომელიც ამავე პერიოდში ყოველწლიურად ყველაზე მაღალი წილითაა (75,4%) წარმოდგენილი. იგი 2023 წელს 2015 წელთან შედარებით გაიზარდა 3-ჯერ, ხოლო საშუალოდ ყოველწლიურად იმატებდა 15%-ით. შემდეგ მოდის ფიზიკური ძალადობა 22%-ით და საშუალო წლიურად იმატებდა 9%-ით.

რაც შეეხება საქართველოს, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ გამოცემული დამცავი ორდერების რაოდენობას, ბოლო პერიოდში მათი რიცხვი სტაბილურია და მერყეობს წლიურად 94-98 დიაპაზონში. ყველაზე მაღალი რაოდენობა (141) დაფიქსირდა 2018 წელს. 2023

წელს წინა წელთან შედარებით, დამცავი ორდერების რაოდენობა გაიზარდა 4%-ით, ხოლო 2018 წელთან შედარებით შემცირდა 30%-ით. საკვლევ პერიოდში გამოცემული დამცავი საშუალოდ ყოველწლიურად იკლებდა 7%-ით. დამცავი ორდერების მიხედვით 2018-2023 წლებში საშუალოდ ფსიქოლოგიური ძალადობა 72%-ს, ფიზიკური კი 18%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ორივე დომინანტი ძალადობის სახე ხასიათდება კლების ტენდენციით. (საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2023)

დასკვნა

2014-2022 წლებში ოჯახში ძალადობის საკითხებზე განხორციელებული ცხელ ხაზისთვის მიმართვიანობა საგრძნობლად გაიზარდა. 2014-2023 წლებში გამოვლენილი ოჯახური ძალადობის ფაქტებზე გამოცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობა მკვეთრად გაზრდილია, იგი საშუალოდ ყოველწლიურად იზრდებოდა 28%-ით. როგორც მსხვერპლებს, ასევე მოძალადეებს შორის ორივე სქესის შემთხვევაში 25-44 წლის ასაკობრივი კატეგორია ლიდერობს, შემდეგ 45+ ასაკობრივი კატეგორია. 2023 წელს გამოცემულ შემაკავებელ ორდერთა დაახლოებით 22%-ის შემთხვევაში სახეზე იყო ფიზიკური ძალადობა, 75%-ის შემთხვევაში ფსიქოლოგიური, 0,9%-ის შემთხვევაში ეკონომიკური, 0,3%-ის შემთხვევაში სექსუალური, 0,7%-ის შემთხვევაში იძულება და 0,6%-ის შემთხვევაში არასრულწლოვნის უგულვებელყოფა. კვლევის შედეგების მიხედვით შეგვიძლია გამოვყოთ კრიმინოგენულად უსაფრთხო და საშიში ზონები. უსაფრთხო ზონებს მიეკუთვნება გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონები, ხოლო საშიშ ზონებს კი – თბილისი, აჭარა, კახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი.

ლიტერატურა

1. აბესაძე ო. სისხლის სამართლის დამნაშავეთა სტატისტიკური მახასიათებლები საქართველოში თანამედროვე ეტაპზე. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 105 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული. თსუ -ს გამომცემლობა. 2023. გვ.18-25
2. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. „კორონავირუსის პანდემიის გავლენა ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობაზე“ 2020
3. მარშავა ქ. მინდორაშვილი მ. იურიდიული სტატისტიკა. გამომც. „უნივერსალი“. თბ., 2024
4. საქართველოს პარლამენტი. (2006). ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. Retrieved from საქართველოს საკანონმდებლო მაცნე:
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=21>
5. საქართველოს პროკურატურა. „ოჯახში ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა“, 2019.
<https://pog.gov.ge/page/default/monacemebi-ojaxuri-danashaulis-saqmeebze>
6. კაროლინ ედგერტონი თამარ დეკანოსიძე გოგა ხატიაშვილი ნათია ბარბაქაძე ლონდა ბიჭიკაშვილი. (2021). სექსუალური ძალადობის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის სახელმძღვანელო <https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field-%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2021/Investigation%20Manual%20Geo%20final.pdf>
7. The Council of Europe. (2011). Retrieved from <https://www.coe.int/en/web/gender-matters/council-of-europe-convention-on-preventing-and-combating-violence-against-women-and-domestic-violence>

8. Unwomen. (2021). What is the impact of child marriage? Retrieved from <https://interactive.unwomen.org/multimedia/infographic/violenceagainstwomen/en/index.html#childmarriage-2>
9. ოჯახში ძალადობის სტატისტიკა. შიანაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი https://info.police.ge/page?id=786&parent_id=102
10. საქართველოს პროკურატურის ოფიციალური ვებ-გვერდი.
<https://pog.gov.ge/page/default/monacemebi-ojaxuri-danashaulis-saqmeebze>
11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდი
<https://old.supremecourt.ge/ojaxshizaladobisstatistika/>
12. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
<https://gender.geostat.ge/gender/index.php?action=crime>

DOMESTIC VIOLENCE IN GEORGIA: ACUTE REALITY AND STATISTICS

Nino Abesadze

academic doctor of economics, associate professor

Iv. Javakhishvili house Tbilisi State University

Simon Gelashvili

Doctor of Economic Sciences, Professor

Iv. Javakhishvili house Tbilisi State University

Giorgi Kvirikashvili

PhD student of the economics program

Iv. Javakhishvili house Tbilisi State University

Annotation

Domestic violence in Georgia is a significant, painful, and pressing issue. It manifests in various forms, and efforts to combat it and ensure the prevention of violence are increasing within society.

The aim of this paper is to identify and statistically analyze current trends in domestic violence in Georgia. The research process employed methods of statistical observation, data collection and grouping, and analysis. During the analysis stage, various statistical indicators were calculated using the SPSS program.

The paper characterizes the causes of domestic violence and identifies provoking factors. It analyzes indicators of calls to the hotline, the gender-age structure of victims and oppressors based on the forms of violence, and the statistics of restraining and protective orders. The main trends of domestic violence are identified, and patterns are established. Based on a comprehensive quantitative analysis of the results, specific conclusions are drawn, and relevant recommendations are proposed.

Keywords: *Domestic violence, oppressor, victim, trend, statistical analysis.*

დროითი მწკრივებით აგებულ მოდელში სტატიკური დამოკიდებულების შეფასების მეთოდი

იური ანანიაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
luri.ananiaSvili@tsu.ge

ანოტაცია

სტატიაში შემოთავაზებულია წრფივი რეგრესიის სტანდარტული განტოლების შეფასების მეთოდი, რომელიც, დროითი მწკრივების შემთხვევაში, საშუალებას იძლევა განისაზღვროს დამოკიდებულ ცვლადზე ამხსნელი ფაქტორული ცვლადების სტატიკური ზემოქმედების სიდიდე. შემოთავაზებული მეთოდის მიხედვით, როგორც დამოკიდებული ასევე დამოუკიდებელი ცვლადების შესაბამისი მწკრივების დროის ყოველი t მომენტის დონის მნიშვნელობა უნდა დაეშალოს ფიქსირებულ (ინერციულ) და ცვალებად ნაწილებად და, შემდეგ, ამ უკანასკნელთა გამოყენებით, შევაფასოთ წრფივი რეგრესიის განტოლება. მეთოდის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა სტატიაში ილუსტრირებულია საქართველოს ეკონომიკის სამომხმარებლო ფასების ინდექსისა და უმუშევრობის დონის კავშირის მოდელის მაგალითზე.

საკვანძო სიტყვები: დროითი მწკრივი, ჯვარედინი მონაცემები, სტატიკური დამოკიდებულება, რეგრესიის სტატიკური მოდელი, რეგრესიის კოეფიციენტი, მწკრივის ინერციულობა, $AR(p)$ პროცესი, მწკრივის დონის ფიქსირებული და ცვალებადი ნაწილები.

პრობლემის დასმა

თანამედროვე ეკონომიკური ანალიზის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს ეკონომეტრიკული მოდელი წარმოადგენს. კონკრეტულ სიტუაციებში მის ასაგებად გამოიყენება ჯვარედინი (სივრცობრივი) ან დროითი მონაცემები, ან კიდევ მათი კომბინაციები. ეკონომეტრიკული მოდელის აგება და ინტერპრეტირება გაცილებით მარტივია ჯვარედინი მონაცემების შემთხვევაში – ითვლება, რომ მათი გენერირება ძირითადად შემთხვევითი პროცესის ხასიათს ატარებს და მონაცემები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია¹. საკმარისად რეალისტური ეკონომიკური და სტატისტიკური პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში [Greene, W., 2012, Verbeek M. 2017, Wooldridge J., 2012], ჯვარედინი მონაცემებით აგებული და შეფასებული რეგრესიის შემდეგი სტატიკური მოდელი

$$y = \beta_0 + \beta_1 x_1 + \beta_2 x_2 + \dots + \beta_m x_m + u, \quad (1)$$

სადაც y დამოკიდებული ანუ ასახსნელი ცვლადია, $x_j, j = 1, 2, \dots, m$, ამხსნელი ანუ ფაქტორული ცვლადებია, u დაუკვირვებადი შეცდომის წევრია, ხოლო $\beta_j, j = 1, 2, \dots, m$, რეგრესიის კოეფიციენტებია, როგორც წესი, კარგად გადმოსცემს მკვლევარისათვის რამდენიმე საინტერესო საკითხის არსს. მაგალითად, მისი საფუძველზე შეიძლება დასკვნის გამოტანა იმის შესახებ, როგორ ზემოქმედებს ნებისმიერი x_j ფაქტორი y -ის მნიშვნელობაზე, სხვა თანაბარ პირობებში. აღნიშნული ზემოქმედების ზომის მაჩვენებელს წარმოადგენს ამხსნელი ფაქტორის

¹ ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ მოდელის ასაგებად გამოყენებულ შერჩევაში მონაცემთა თანმიმდევრობა შეიძლება ნებისმიერი იყოს.

შესაბამისი რეგრესიის β_j კოეფიციენტი, რომელიც x_j ფაქტორის ერთეულოვანი ცვლილების შემთხვევაში გამოსახავს y -ის მოსალოდნელი ცვლილების საშუალოს. ბუნებრივია, როცა $\beta_j = 0$, მაშინ x_j არ ზემოქმედებს y -ზე.

(1)-ის მსგავსი სტატიკური მოდელის აგებისას სრულიად სხვა სიტუაციას ვაწყდებით დროითი მწკრივების მონაცემების შემთხვევაში. პირველი, ასეთი მონაცემები წარმოქმნიან თანმიმდევრობას, რომელიც, თავისი არსით, არის უსასრულო თანმიმდევრობის ქვესიმრავლე და განსხვავდება ფიქსირებული პოპულაციიდან მიღებული შერჩევისაგან, როგორსაც ჯვარედინი მონაცემების შერჩევა წარმოადგენს. მეორე, უმეტეს შემთხვევაში, დროითი მწკრივი, და მისი შესაბამისი ცვლადი, ხასიათდება ინერციულობით, რის გამოც დაკვირვებები ერთმანეთთან კორელაციაში იმყოფებიან. ეს გარემოება განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს დროითი მწკრივების საფუძველზე (1)-ის ანალოგიური სტატიკური მოდელის აგებისა და მისი კოეფიციენტების ინტერპრეტაციისას [Verbeek M., 2017]. იმის ასახსნელად თუ რა გვაქვს მხედველობაში, განვიხილოთ შედარებით მარტივი სიტუაცია. ვთქვათ, მოცემული გვაქვს ერთი ფაქტორული x ცვლადისა და შედეგობრივი y ცვლადის დროითი მწკრივების შერჩევა, $(x_t, y_t), t = 1, 2, \dots, T$, და გვინდა დავადგინოთ, დროის ერთ მომენტში y ცვლადის ცვლილების რა ნაწილი განვსაზღვრება საშუალოდ იმავე მომენტში x ცვლადის ცვლილებით. სხვანაირად, ვთქვათ, გვინტერესებს მოცემულ ორ ცვლადს შორის არსებული სტატიკური დამოკიდებულების ზომა¹. ერთი შეხედვით, ლოგიკურია, რომ ამ მიზნით განვიხილოთ და შევაფასოთ რეგრესიის (1) მოდელის შემდეგი მარტივი ვარიანტი:

$$y_t = \beta_0 + \beta_1 x_t + u_t, t = 1, 2, \dots, T, \quad (2)$$

სადაც დაუკვირვებადი შეცდომების u_t წევრი კორელაციაში არ იმყოფება x_t -სთან და ასახავს y_t -ზე t მომენტში ზემოქმედ ყველა იმ გარემოებას, რომელსაც არ ითვალისწინებს x_t . (2) მოდელის აგებისას u_t -ს მნიშვნელობები ჩვენთვის უცნობია და უნდა შევაფასოთ. შესაფასებელია ასევე რეგრესიის კოეფიციენტები, β_0 და β_1 .

ტრადიციულად, თეორიულ და გამოყენებით კვლევებში, (2) განიხილება სტატიკური მოდელის რანგში, ხოლო β_1 კოეფიციენტი, (1) განტოლების რეგრესიის კოეფიციენტის მსგავსად, ინტერპრეტირდება როგორც x_t -ს y_t -ზე სტატიკური ზემოქმედების მახასიათებელი [Berndt Ernst R., 1996].

არის თუ არა დროითი მწკრივებით აგებული (2) მოდელი სტატიკური, ხოლო β_1 კოეფიციენტი – ზემოთ აღნიშნული შინაარსის მქონე? პასუხი დამოკიდებულია იმაზე თუ რა ტიპის მწკრივებს წარმოადგენენ x_t და y_t . როდესაც თითოეული მათგანი i.i.d ტიპის (ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, ერთნაირად განაწილებული) მწკრივია, ანუ როდესაც მწკრივის დონეებს შორის კორელაცია ნულის ტოლია, რაც ასევე გულისხმობს იმას, რომ მწკრივები არაინერციულია, მაშინ (2)-ის სახით მოცემული განტოლება ნამდვილად სტატიკურია და β_1 ზემოთ აღნიშნული შინაარსისაა. ამასთან, თუ u_t აკმაყოფილებს კლასიკური რეგრესიის მოთხოვნებს [Greene, W., 2012], მაშინ (2)-ის ჩვეულებრივი უმცირეს კვადრატთა მეთოდით (OLS-ით) შეფასებისას მიიღება β_0 -ისა და β_1 -ის გადაუადგილებელი და ეფექტიანი შეფასებები.

¹ ვინაიდან აღნიშნულ კონტექსტში ერთი და იმავე მომენტის ცვლილებების კავშირზეა საუბარი, ასეთ კავშირს სტატიკურს ვუწოდებთ.

შემოთავაზებული მიდგომა

სამწუხაროდ, შეფასებისას გამოყენებული დამოკიდებული და ამხსნელი ცვლადების შესაბამისი დროითი მწკრივები, საწყისი სახით, იშვიათად მიეკუთვნებიან i.i.d ტიპს. მათი სტრუქტურის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინერციულობის თვისება, რომელიც გამოყენებით კვლევებში, (2) ტიპის მოდელის აგებისა და შეფასებისას, ხშირად ან არ გაითვალისწინება, ან გაითვალისწინება არასრულად. შედეგად, x_t -სა და y_t -ს შორის არსებული სტატისტიკური დამოკიდებულების შესასწავლად (2) განტოლების გამოყენების მიზანშეწონილობა და β_1 კოეფიციენტის არსის ისეთი ინტერპრეტაცია, როგორიც ზემოთ მოვიყვანეთ, საეჭვო ხდება. საქმე ისაა, რომ, თუ მწკრივი i.i.d ტიპს არ მიეკუთვნება, მაშინ მისი ქცევა აღინერება დინამიკური ARMA ან ARIMA მოდელის შესაბამისად (ან ამ უკანასკნელთა კერძო შემთხვევებით) [Box G., Jenkins G., 1976]. ასეთ შემთხვევაში, დროის ყოველი t მომენტისათვის, მწკრივის დონე ორი ნაწილისაგან შედგება: ერთი ნაწილი წარსულის შედეგია, მეორე კი მიმდინარე ანუ t მომენტის (პერიოდის) მდგომარეობით განისაზღვრება. ცხადია, t მომენტისათვის ამ ნაწილებიდან პირველი მოცემულია, ფიქსირებულია, მეორე კი კონტროლირებადია და t მომენტში ცვლილებას ექვემდებარება. სიცხადისათვის განვიხილოთ, მაგალითად, x_t მწკრივი და ვაჩვენოთ $AR(p)$, $MA(q)$ და $ARIMA(p,1,q)$ შემთხვევებისათვის როგორი სახე აქვს ამ მწკრივის ფიქსირებულ და ცვალებად (კონტროლირებად) ნაწილებს t მომენტისათვის. წინასწარ აღვნიშნოთ, რომ ავტორეგრესიული $AR(p)$ და მცურავი საშუალოს $MA(q)$ მოდელები მწკრივის სტაციონარულობაზე მიუთითებს, ხოლო ინტეგრირებადი ავტორეგრესიული მცურავი საშუალოს $ARIMA(p,1,q)$ მოდელი კი არასტაციონალურ მწკრივს შეესაბამება [Robert H. Shumway, David S., 2017].

$AR(p)$ პროცესის დროს x_t -ს მნიშვნელობა შემდეგი სახით შეგვიძლია ჩავწეროთ:

$$x_t = \sum_{i=1}^p \rho_i x_{t-i} + (\delta + \varepsilon_t), \quad \varepsilon_t \sim i.i.d(0, \sigma_\varepsilon^2).$$

ამ გამოსახულებაში t მომენტის ფიქსირებულ ნაწილს შეესაბამება პირველი ჯამური შესაკრები, რომელიც ჩამოყალიბდა პროცესის ინერციულობის შედეგად, x_t -ს ლაგური მნიშვნელობების წრფივი კომბინაციის სახით. რაც შეეხება $(\delta + \varepsilon_t)$ -ს, ის x_t -ს ცვალებადი ელემენტი და t მომენტში სხვადასხვა ფაქტორისა და გარემოების დაუკვირვებადი ზემოქმედებით განისაზღვრება. ამასთან, შემთხვევითი ε_t სიდიდე კორელაციაში არ არის პირველ ჯამურ შესაკრებთან და აკმაყოფილებს პირობას $\varepsilon_t \sim i.i.d(0, \sigma_\varepsilon^2)$.

$MA(q)$ პროცესის დროს x_t -ს შემდეგი სახე აქვს:

$$x_t = \sum_{i=1}^q \theta_i \varepsilon_{t-i} + (\delta + \varepsilon_t), \quad \varepsilon_t \sim i.i.d(0, \sigma_\varepsilon^2).$$

ადვილად შევნიშნავთ, რომ ამ შემთხვევაში x_t -ს ცვალებადი ელემენტი კვლავ არის $(\delta + \varepsilon_t)$, ხოლო t მომენტისთვის ფიქსირებულ ნაწილს მარჯვენა მხარის პირველი ჯამური შესაკრები წარმოადგენს. ეს უკანასკნელი, $AR(p)$ შემთხვევისაგან განსხვავებით, x_t -ს ლაგური მნიშვნელობების მხოლოდ იმ ნაწილების¹ წრფივი კომბინაციაა, რომელთა ფორმირება შესაბამის მომენტებში სხვადასხვა ფაქტორისა და გარემოების ზემოქმედებით ხდება.

¹ შეგახსენებთ, რომ, განმარტების თანახმად, ε_{t-i} არის x_{t-i} -ის შემადგენელი ნაწილი.

დაბოლოს, როცა x_t მწკრივი, მაგალითად, $ARIMA(p,1,q)$ მოდელით აღინერება, მაშინ t მომენტისთვის x_t -ს სტრუქტურა ასე გამოიყურება:

$$\Delta x_t = \sum_{i=1}^p \rho_i \Delta x_{t-i} + \sum_{i=1}^q \theta_i \varepsilon_{t-i} + (\delta + \varepsilon_t), \quad \varepsilon_t \sim i.i.d(0, \sigma_\varepsilon^2).$$

ამ გამოსახულებაში, ისევე როგორც ზემოთ განხილულ ორ შემთხვევაში, x_t -ს კონტროლირებადი ანუ ცვალებადი ელემენტია $(\delta + \varepsilon_t)$, დანარჩენი ორი ჯამური შესაკრები კი t მომენტისთვის ფიქსირებულია.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით ცხადი ხდება, რომ როდესაც საჭიროა დროთი მწკრივების შემთხვევაში x_t -სა y_t -ს შორის არსებული სტატიკური დამოკიდებულების შენახვა, (2) განტოლების ნაცვლად უნდა განვიხილოთ განტოლება, რომელშიც დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადების მთლიანი მნიშვნელობები შეცვლილია მათი შესაბამისი ცვალებადი ნაწილებით (ანუ ნაწილებით, რომელთა ფორმირებაც მხოლოდ t მომენტში ხდება). მაგალითად, ზემოთ მოყვანილი მარტივი რეგრესიის შემთხვევაში ასეთი განტოლება იქნება

$$\varepsilon_{ty} = \alpha + \beta \varepsilon_{tx} + v_t, \quad t = 1, 2, \dots, T, \quad (3)$$

ან კიდევ

$$(\varepsilon_{ty} + \delta_y) = \alpha + \beta(\varepsilon_{tx} + \delta_x) + v_t, \quad t = 1, 2, \dots, T, \quad (3a)$$

სადაც ε_{ty} და ε_{tx} შესაბამისად არის y_t და x_t ცვლადების ის ნაწილები, რომლებიც მწკრივის ინერციულობასთან არ არის დაკავშირებული და ფორმირდება დროის შესაბამის მომენტში (პერიოდში), $\varepsilon_{ty} \sim i.i.d(0, \sigma_{ye}^2)$ და $\varepsilon_{tx} \sim i.i.d(0, \sigma_{xe}^2)$. აღსანიშნავია, რომ ასეთნაირად გარდაქმნილი ცვლადები საშუალებას გვაძლევს დროის მომენტები „სუბიექტების“ ანალოგებად განვიხილოთ, რომელთა გადანომვრა ნებისმიერად შეგვიძლია [ანანიაშვილი ი., 2022]. თავის მხრივ, ეს ნიშნავს, რომ (3) ან (3a) განტოლებისათვის მთლიანად მისაღები ხდება მეთოდისა და მეთოდოლოგია, რომელიც ჯვარედინი მონაცემების შემთხვევაში გამოიყენება [Wooldridge J., 2012]. როგორც (3) ასევე (3a) განტოლების β კოეფიციენტი შინაარსობრივად ერთიდაიმავეს გამოსახავს: გვიჩვენებს საშუალოდ დროის ერთ მომენტში (პერიოდში) რამდენით შეიცვლება დამოუკიდებელი y ცვლადის მნიშვნელობა იმავე მომენტში (პერიოდში) x -ის ერთეულოვანი ცვლილებისას. ეს განტოლებები მხოლოდ თავისუფალი წევრით განსხვავდება ერთმანეთისგან.

მეთოდის გამოყენების მაგალითი

სტატიკური დამოკიდებულების შეფასების მოყვანილი მეთოდის ილუსტრირებისათვის განვიხილოთ კონკრეტული ეკონომიკური მაგალითი. ჩვენი არჩევანი შევაჩერეთ საქართველოს მონაცემებზე, კერძოდ, განვიხილოთ ორი მწკრივი – სამომხმარებლო ფასების ინდექსი – CPI და უმუშევრობის დონე – UN, კვარტალურ ჭრილში, 2010 წლიდან 2024 წლის ბოლო ორი კვარტალის ჩათვლით. შესაბამისი მონაცემები ავიღეთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საიტიდან [https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba]. სულ დაკვირვებათა რაოდენობა თოთოეულ მწკრივში არის 58.

თუ ყურადღებას არ მივაქცევთ ამ მწკრივების სტრუქტურასა და თავისებურებას და მათ საფუძველზე შევაფასებთ (2)-ის ანალოგიურ სტატიკურ განტოლებას, რომელშიც დამოკიდებული ცვლადის როლში განვიხილავთ CPI-ს, მივიღებთ შემდეგ მოდელს (რეგრესიის კოეფიციენტების ქვეშ, ფრჩხილებში მითითებულია შესაბამისი სტანდარტული შეცდომები):

$$\begin{aligned} \square CPI_t &= 8,1573 - 0,2178 UN_t \\ (s.e.) &(1,3846) \quad (0,0632) \\ R^2 &= 0,16; \quad F = 11,9; \quad DW = 0,35; \quad n = 58. \end{aligned} \quad (4)$$

ფორმალურად, მოყვანილი განტოლება გვიჩვენებს, რომ საქართველოში, განხილულ 15 წლიან პერიოდში, CPI-სა და UN-ს შორის არსებობდა კომპრომისი: უმუშევრობის დონის ზრდა უარყოფითად ზემოქმედებდა ფასების ინდექსზე, თანაც, ზემოქმედების რეგრესიის კოეფიციენტი შეადგენდა $(-0,2178)$ -ს. მართალია, ეს შედეგი გარკვეულად თანხვედრაშია ფილიპსის ცნობილი მოკლევადიანი მრუდის კანონზომიერებასთან [Fabian Eser, et all. 2020, Furlanetto, et all 2024], მაგრამ ძლიერი ავტოკორელაცია, $DW = 0,35$, რეგრესიის შეფასებული კოეფიციენტების t სტატისტიკებისა და დეტერმინაციის R^2 კოეფიციენტის F სტატისტიკის მაღალი მნიშვნელობები (რითაც მოყვანილ მოდელი ხასიათდება) ცრუ რეგრესიის სავარაუდო არსებობის ეჭვს ბადებს¹. მისი თავიდან აცილების რამდენიმე გზა არსებობს. ერთ-ერთი მათგანია მოდელში დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადების ლაგური მნიშვნელობების ჩართვა და, მაგალითად, შემდეგი სახის დინამიკურ ვარიანტზე გადასვლა:

$$\begin{aligned} \square CPI_t &= 1,3185 + 0,8308 CPI_{t-1} - 0,0354 UN_t + 0,0013 UN_{t-1}, \\ (s.e.) &(1,1174) \quad (0,0680) \quad (0,1173) \quad (0,1053) \\ R^2 &= 0,74; \quad F = 49,7; \quad DW = 1,34; \quad n = 57. \end{aligned} \quad (5)$$

გავრცელებული ინტერპრეტაციის მიხედვით, ასეთ მოდელში სტატიკური ზემოქმედების კოეფიციენტის როლში გვევლინება UN_t -ს კოეფიციენტი $(-0,0354)$. როგორც ვხედავთ, ეს უკანასკნელი აბსოლუტური სიდიდით მნიშვნელოვნად ნაკლებია ზემოთ მოყვანილი სტატიკური მოდელის შესაბამის კოეფიციენტზე, მაგრამ უარყოფითი ნიშანი მიუთითებს, რომ CPI-სა და UN-ს შორის კომპრომისი ამ ვარიანტში შენარჩუნდა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში UN_t -ს კოეფიციენტი უკვე აღარ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი; გარდა ამისა, მოყვანილმა დინამიკურმა ვარიანტმა ვერ გადაჭრა ავტოკორელაციის პრობლემა, რაც დაადასტურა ბრე-უმ-გოდფრის ტესტმა: $(\chi^2(1) = 7,96 > 3,84 = \chi^2_{kr})$. ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ CPI-სა და UN-ს შორის სტატიკური კავშირის შესაძლო არსებობის (ან არარსებობის) გამოსავლენად, მიზანშეწონილია გამოვიკვლიოთ თითოეული მწკრივის სტრუქტურა და მასზე დაყრდნობით შევაფასოთ (3) ან (3ა) ტიპის განტოლება.

View-ის პროგრამული უზრუნველყოფით ჩატარებულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ CPI მწკრივი სტაციონარულია და აღინერება $AR(2)$ ტიპის პროცესის შესაბამისი მოდელით:

$$\begin{aligned} \square CPI_t &= 0,6053 + 1,1535 CPI_{t-1} - 0,3352 CPI_{t-2}, \\ (s.e.) &(0,2778) \quad (0,1273) \quad (0,1273) \\ R^2 &= 0,76; \quad F = 90; \quad DW = 2,096; \quad \chi^2(1) = 1,08; \quad n = 56. \end{aligned} \quad (6)$$

მოყვანილი მოდელის შეფასებისას მიღებული CPI-ის ნარჩენობითი ნევრების $(CPI_t - \square CPI_t)$ მწკრივი, რომელსაც შემდეგში სიმარტივისათვის აღვნიშნავთ $\varepsilon_{t,y}$ -ით, როგორც მოსალოდნელი იყო, სტაციონარული აღმოჩნდა და სრულად აკმაყოფილებს თეთრი ხმაურის პროცესის მოთხოვნებს: $\varepsilon_{t,y} \square i.i.d(0, \sigma_{\varepsilon}^2)$, ანუ არის i.i.d ტიპის პროცესი.

¹ აღსანიშნავია, რომ სტატიკური მოდელის შემთხვევაში, ასეთი სიტუაცია ხშირად ცრუ რეგრესიის არსებობაზე მიუთითებს [].

რაც შეეხება UN-ს, ის ტრენდ-სტაციონარული მწკრივია და მისი შესაბამისი პროცესის მოდელს შემდეგი სახე აქვს:

$$\begin{aligned} \hat{UN}_t &= 8,3006 - 0,0727t + 0,7051UN_{t-1}, \\ (s.e.) \quad (2,6143) \quad (0,0221) \quad (0,0926) \end{aligned} \quad (7)$$

$$R^2 = 0,93; \quad F = 397; \quad DW = 1,67; \quad \chi^2(1) = 2,61; \quad n = 57.$$

როგორც ვხედავთ, წინა შემთხვევისაგან განსხვავებით, ამ მოდელში ერთ-ერთ ამხნელ ცვლადად წაროდგენილია დეტერმინირებული დროითო ტრენდი. მწკრივის სტრუქტურის განხილვისას, დროის ყოველი t მომენტში, დროითი ტრენდის ელემენტი, ლაგურ მნიშვნელობებთან ერთად, მოცემულად უნდა ჩავთვალოთ და გამოვრიცხოთ მწკრივის შესაბამისი მნიშვნელობებიდან. ამ პროცედურით მიღებული UN-ის ნარჩენობითი მწკრივი $(UN_t - \hat{UN}_t)$, აღვნიშნოთ ის ε_{tx} -ით, სტაციონარულია და ასევე სრულად აკმაყოფილებს თეთრი ხმაურის პროცესის მოთხოვნებს: $\varepsilon_{tx} \square i.i.d(0, \sigma_{\varepsilon}^2)$.

მიღებული ε_{ty} და ε_{tx} მწკრივების შინაარსი და თვისებები CPI-სა და UN-ს შორის შესაძლო სტატიკური კავშირის არსებობის (ან არარსებობის) შეფასების სრულ საფუძველს იძლევა. ქვემოთ მოყვანილი მოდელი სწორედ ამ მწკრივების გამოყენებით არის აგებული.

$$\begin{aligned} \hat{\varepsilon}_{ty} &= -0,0021 - 0,1308\varepsilon_{tx}, \\ (s.e.) \quad (0,1365) \quad (0,1342) \end{aligned} \quad (8)$$

$$R^2 = 0,017; \quad F = 0,95; \quad DW = 2,02; \quad n = 56.$$

როგორც ვხედავთ, ამ მოდელში ავტოკორელაციის პრობლემა არ არსებობს, რაც ბუნებრივია ასეთი ტიპის მონაცემებისათვის. გარდა ამისა, β -ს მნიშვნელობა $(-0,1308)$, (4) მოდელის მსგავსად, კვლავ უარყოფითია და განხილულ CPI და UN მაჩვენებლებს შორის კომპრომისის არსებობის შესაძლებლობაზე მიუთითებს მოკლევადიან პერიოდში. მაგრამ პრობლემა ის არის, რომ (4) მოდელისგან განსხვავებით, (8) მოდელი სტატისტიკური მახასიათებლების (კერძოდ, კოეფიციენტების t სტატისტიკებისა და დეტერმინაციის R^2 კოეფიციენტის) მიხედვით, მთლიანობაში არაღამაკმაყოფილებელია. ეს გვაფიქრებინებს, რომ მოკლევადიან პერიოდში (კონკრეტულად, კი 2010-2024 წლებში), საქართველოში, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, ფილიპსის მრუდის ცნობილი კანონზომიერება შეიძლება არ არსებობდა [Hany Guirguis & Tin Shan Suen, 2022].

ლიტერატურა

1. Greene, W. (2012) *Econometric Analysis*. 7th Edition, Prentice Hal. 1232 p.
2. Verbeek M. (2017). *A. Guidi to Modern Econometrics*. 5th edition. | Hoboken, NJ : John Wiley & Sons, Inc., 488 p.
3. Wooldridge J. (2012). *Introductory Econometrics: A Modern Approach*. 5th edition, Cengage Learning, – 912 p.
4. Berndt Ernst R. (1996) *The Practice of Econometrics: Classic and Contemporary*. Addison Wesley; Har/Dskt edition, 702 p.
5. Box G. Jenkins G. (1976). *Time Series Analysis: Forecasting and Control*. San Francisco, Holden-Day.
6. Robert H. Shumway, David S. (2017). *Stoffer Time Series Analysis and Its Applications. With R Examples*. Fourth Edition. Springer International Publishing. 558 p.

7. ანანიაშვილი ი. (2022). ბაზრის მოდელის შეფასება შეზღუდული ინფორმაციის პირობებში. //ეკონომიკა და ბიზნესი. ტომი XIV, N4.
8. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevropa>
9. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/26/samomkhmareblo-fasebis-indeksi-inflatsia>
10. Fabian Eser, Peter Karadi, Philip R. Lane, Laura Moretti, Chiara Osbat (2020). The Phillips Curve at the ECB. ECB Working Paper Series No 2400 / May 2020. <https://www.ecb.europa.eu/pub/pdf/scpwps/-ecb.wp2400~6e8bfb6fd2.en.pdf>
11. Furlanetto, Francesco, and Antoine Lepetit (2024). "The Slope of the Phillips Curve," Finance and Economics Discussion Series 2024-043. Washington: Board of Governors of the Federal Reserve System, <https://doi.org/10.17016/FEDS.2024.043>.
12. Hany Guirguis & Tin Shan (Michael) Suen (2022). Advances in estimating the Phillips curve, Journal of Applied Economics, 25:1, 621-642, DOI: 10.1080/15140326.2022.2045469

A METHOD FOR ESTIMATING STATIC RELATIONSHIPS IN A TIME SERIES MODEL

Iuri Ananiashvili

Doctor of Economic Sciences, Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

iuri.ananiashvili@tsu.ge

Summary

The article introduces a method for estimating a standard linear equation that, in the context of time series analysis, allows for determining the static impact of independent variables on a dependent variable. This method involves decomposing the value of the level of each moment μ in the time series into fixed (inert) and dynamic components, which are then used to estimate the linear regression equation. The practical application of this method is illustrated with a model examining the relationship between the consumer price index and the unemployment rate in the Georgian economy.

Keywords: *time series, cross-sectional data, static dependence, static model of regression, regression coefficient, inertness of series, AR(p) process, fixed and dynamic components of series*

"GDP THINKING"¹ VERSUS SNA – THE GREATEST INVENTION OF THE 20TH CENTURY

Nana Aslamazishvili

PhD in Economics, Associate Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

Abstract

For nearly eight decades, Gross Domestic Product (GDP) has remained at the center of economic analysis, international comparisons, economic and social policies, and strategic decisions. During this time, both his fetishization and criticism also became a common story. However, over time, in parallel with the increase in the level of his fetish, the depth of knowledge about him began to decrease, and it became completely superficial not only among researchers, but even among national accountants. It seems that it has become too trivial for them to rethink/update knowledge about which economic category they are dealing with, what is its nature, how to explain its development trajectory, etc., especially in today's rapidly changing world.

GDP is a child of the System of National Accounts (SNA). The complexity of this system, on the one hand, and the lack of enthusiasm to delve into its essence, on the other, lead to a deepening in the gap between GDP and knowledge about it. Well-known researchers of national accounts (see, for example, Prof. Frits Bos) write and talk quite openly about this, and it is impossible not to agree with it.

Nevertheless, the SNA is deservedly named among the great inventions of the 20th century, and this fact cannot remain unnoticed by its users. This means that the fundamental principles on which not only the calculation of GDP but also the entire business process of producing macroeconomic statistics are based deserve a deep understanding. It is extremely important to note that the challenges that time has brought, and which can often make GDP the subject of criticism, do not mean that the SNA has exhausted its potential or that its uniqueness has become questionable.

The purpose of this paper is to shed light on the main methodological findings through which SNA was formed into a unique accounting system and thus became one of the greatest inventions of the 20th century. In this paper, we present view, not that the SNA calculates GDP, but how it calculates GDP, which we believe is what actually earns the system a place among the greatest inventions. On the other hand, the paper examines some aspects of the recent criticism of GDP and points to the dangers that can be appeared by developing this issue unwisely; it tries to consider whether the arguments of GDP critics to replace it with other statistical instruments are justified.

Key words: National accounts, SNA, GDP, "GDP thinking", Great invention, Consequentiality.

I. Introduction

In one of his books, one of the prominent scholars of National Accounts Prof. Frits Bos, quotes expression of the professor of economics Jules Teeuwes, that by his opinion "the archaeologist Indiana Jones has one of the most exciting scientific jobs in the world", in contrast to national accounts, which are "... one of the dullest and least interesting topics in economics" (Bos, 2009, p. 2). Against this view, Prof. Frits Bos cites world-famous economists, whose great contributions have made national accounts one of the most remarkable inventions of the 20th century. These are: „Tree Nobel-prizes have been awarded to economists ma-

¹ According to Joseph E. Stiglitz, winner of the 2001 Nobel Prize for Economics, seeking to boost GDP in the misplaced expectation that that alone would enhance well-being.

inly working on the national accounts (Kuznets, Leontief and Stone). Many other Nobel-laureates have significantly contributed to the development of the national accounts (e.g. Hicks, Meade and Frisch) or were major users of national accounts (e.g. Tinbergen, Klein, Friedman, Prescott and Kydland)" (Bos, 2013, p. 3).

Indeed, people who have looked deeply into the national accounts unanimously agree that: "while the GDP and the rest of the national income accounts may seem to be arcane concepts, they are truly among the great inventions of the twentieth century"¹ (Samuelson & Nordhaus, 2010, p. 386).

Moreover, back in 1999 at a special press conference held in Washington, D.C., on December 7, in connection with a review of the activities and achievements of the U.S. Department of Commerce, with the participation of U.S. Secretary of Commerce William M. Daley, Chairman of the Federal Reserve Board Alan Greenspan, Chairman of the President's Council of Economic Advisers Martin N. Bailey, and Under Secretary of Commerce for Economic Affairs Robert J. Shapiro, national accounts were recognized as one of the greatest inventions of the 20th century (Landefeld, 2000).

Nevertheless, national accounts are not widely admired. "National accounts statistics could be regarded as an economic hamburger produced and consumed all over the world. Like hamburgers, there is a problem of reputation and image. National accounts are looked at disdainfully by many economic theorists ("dull bookkeeping", "messy concepts", "a description but not an analysis", "irrelevant for real policy issues"), applied economists ("we use the national accounts statistics but it is not necessary to know the underlying concepts and measurement methods") and statisticians addicted to sampling theory ("unscientific compilation methods")" (Bos, 2009, p. 3). Moreover, like hamburgers, when nearly 1 in 5 American adults do not know that they are made from beef¹, there is the same with users of national accounts: they use the national accounts statistics having no idea what exactly they are studying.

What is the reason for such decline in knowledge about GDP?

Fioramonti notes, that "Before the Second World War, economists were rarely quoted in the media, but ever since the invention of GDP and its quarterly updates, economic experts of all sorts have become essential players in public debate and, more often than not, they have been viewed as the holders of some type of canonical truth" (Fioramonti, 2013, p. 48). Researchers of the history of national accounts actively talk about this and name the period 1930-1950 Revolutionary decades, "... when national accounting was drastically transformed" (Bos, 2008, p. 21). However, later on, the talk about GDP was died down and the national accounts became "... a language not very well spoken and understood anymore. This applies to policy-makers, economic researchers and national accountants alike" (Bos, 2009, p. 7). However, only a few scholars have noticed the expected threat of a weakening of interest in national accounting and, as a result, a worldwide illiteracy in this area. Almost only GDP remained a subject of widespread interest.

The scale of criticism of national accounts has also gradually increased from economists, politicians and other users, mainly due to their disappointment that GDP does not measure social progress, well-being, changes in environmental conditions, inequality in life, etc. Differences in opinions regarding national accounts are deepening against the background of current aggravations of economic, political, social and ecological processes.

Nevertheless, as mentioned above, world-renowned economists recognize that GDP has played an important role in the world economy over the last nearly eight decades, thus national accounts rightly deserve worldwide recognition.

It should be noted, however, that when the above-mentioned and other prominent economists praise the importance of national accounts, they are mostly referring to GDP as a vital economic indicator. For instance, according to Samuelson and Nordhaus,

"GDP is part of the national income and product accounts (or national accounts), which are a body of statistics that enables policymakers to determine whether the economy is contracting or expan-

¹ <https://www.iflscience.com/millions-of-americans-think-chocolate-milk-comes-from-brown-cows-42216>

ding and whether a severe recession or inflation threatens. When economists want to determine the level of economic development of a country, they look at its GDP per capita" (Samuelson & Nordhaus, 2010, p. 386).

William M. Daley, Secretary, U.S. Department of Commerce, speaking about the advantages of national accounts, emphasized that economic policy makers are very much like doctor, who "... can only make a diagnosis and prescribe a treatment after first sitting down and piecing together all the test results that have been taken. ... So what the GDP accounts have done is to give us the tools to make those critical decisions" (Landefeld, 2000).

And there are many similar opinions in various economic publications. In other words, the emphasis is on the contribution of national accounts to the calculation of GDP and other related indicators. Moreover, today users have become so used to these phrases that they take GDP for granted, no idea where does it come from. It may come as a surprise, but national accounts are much more in terms of economic knowledge and its application in practice than GDP and its components. It seems that this is very important to know and understand not only for national accountants, but also for economic researchers and macroeconomists, policymakers, businesses, etc. as "it is impossible to understand statistical figures without understanding how they have been compiled" (Schumpeter, 1954, p. 12).

Thus, the purpose of this paper is to shed light on the main methodological findings through which SNA was formed into a unique accounting system and thus became one of the greatest inventions of the 20th century. In next chapter, we present view, not that the system calculates GDP, but how it calculates GDP, which we believe is what actually earns the system a place among the greatest inventions.

II. The real innovative nature of the SNA

Just as Chair of the Federal Reserve Board, Alan Greenspan once said "The consistency-forcing structure of the national accounts has been one of its most significant contributions and least heralded" (Survey of Current Business, 2000, p. 13).

It should be noted that at the beginning of 2008 SNA (para. 1.1), the essence of the system is formulated in a seemingly extremely modest way: "The System of National Accounts (SNA) is the internationally agreed standard set of recommendations on how to compile measures of economic activity in accordance with strict accounting conventions based on economic principles" (United Nations, 2009, p. 1). However, if we delve deeply into the second part of the sentence, we will find completely correct priorities on which the system is built. It is this approach, through which the SNA gradually and consistently addresses these priorities, that determines the innovativeness of the entire system.

What kind of approach is this anyway?

The uniqueness and novelty of the approach lies in its **strict consequentiality**, with which it meticulously and precisely solves the most difficult economic problems. Since the task of the SNA concerns to measure **what takes place in the economy**, to find out this it poses a very simple, but a genius question at the very beginning "who does what?". We strongly believe that this is a key question N1 in national accounts, around which is constructed the structure and mechanism of the entire system.

"Who" i.e. economic/institutional units are the main actors of the economy, regardless of whether we are dealing with the national economy or the world economy. However, to distinguish the latter from each other, SNA needs to introduce a next important concept, and that is residency. By introducing the concept of residency, the SNA draws a clear boundary between the national economy and the rest of the world, and quite rightly it can be said that this is the next key moment, by which the concept of "the economy" is defined. And this is while before the invention of the SNA and GDP, one could argue that the concept of "The economy" did not exist (Karabell, 2014). By introducing the concept of economic units and their residence,

it became possible to determine the clear borders of the national economy, that is, to determine the coverage of GDP.

The entire set of resident institutional units forms a total national economy. In the contrary, “Institutional units that are resident abroad form the rest of the world (United Nations, 2009, p. 2). This is the starting point, which is fundamental for determining the scope of GDP in terms of space. According to the SNA, „...the distinction between resident and non-resident institutional units is crucial to the definition and coverage of GDP (United Nations, 2009, p. 105)“. As for as measuring GDP as a production of all resident producers does not mean that all production taking place within the geographical boundary of the economic territory. Some of the production of a resident producers may take place abroad, while some of the production taking place within the geographical boundary of the economy may be carried out by non-resident producer units. That is why the scope of GDP is determined by the residence of economic units, wherever they do business, and not by the geographical boundaries of the country. Nevertheless, in the economic literature, there are frequent examples of ignoring this fact and cases of fleeting definition of GDP (see Box 1), which is clearly unjustified. Often, such superficial and unclear definitions are found even in official publications, which causes confusion among users less versed in statistics.

Box 1. Examples of definitions of GDP in published economic literature that differ from the official definition of this concept

„GDP measures the monetary value of final goods and services – that is, those that are bought by the final user – produced in a country in a given period of time (say a quarter or a year). It counts all of the output generated within the borders of a country“ (Callen, 2024).

„An alternative concept, gross national product, or GNP, counts all the output of the residents of a country. So if a German-owned company has a factory in the United States, the output of this factory would be included in U.S. GDP, but in German GNP“ (Callen, 2024).

„Gross Domestic Product (GDP) at market prices is the total value of final products and services, produced within the domestic territory of a country during an accounting year. It should be noted that goods and services must be produced within the country“ (Siddiqui & Siddiqui, 2011, p. 338).

“Gross Domestic Product: the total value of goods and services produced by a country in a year” (Cambridge Dictionary. <https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/gdp>).

In the SNA the term gross domestic product / GDP is used 256 times. In 9 of these paragraphs (1.39, 1.49, 2.138, 6.70, 6.82, 6.84, 7.10, 7.21, A4.24) the definition of GDP is given 11 times (Aslamazishvili N. , 2021, p. 3), where it is clearly stated that GDP is the **sum of gross value added** produced **by resident** institutional units (plus net taxes). For instance (United Nations, 2009):

„1.39. GDP is intended to be a comprehensive measure of the total gross value added produced by all resident institutional units.”

„1.49. The GDP of a country, viewed as an aggregate measure of production, is equal to the sum of the gross value added of all resident institutional units engaged in production (plus any taxes, and minus any subsidies, on products not included in the value of their outputs).”

„2.138. GDP is the sum of gross value added of all resident producer units.”

„6.70. The sum of value added for all resident units gives the value of gross domestic product (GDP).”

„6.82. The underlying rationale behind the concept of gross domestic product (GDP) for the economy as a whole is that it should measure the total gross value added from all institutional units, resident in the economy.”

These examples show that the fundamental concept and one of the novelties of national accounts related determining the boundaries of the national economy and therefore the issue of GDP coverage are not understood by users at all.

Thus, it can be unequivocally said that the fact that the national accounts established the concept of “the economy” as a fundamental economic category is above all criticism.

Moreover, the fact that the national accounts defined the concept of “the economy” almost 80 years ago and defined it in such a way that it does not require rethinking even today, even in light of such a high scale of mobility in the modern world, stands far above any criticism.

Coming back to main invention of the system – consequentiality, it should be noted that it is the backbone of national accounts, which means that the whole system is built on it, and not only. First of all, it is the sectorization of resident economic units and the strict and logical sequence of economic integrated accounts, interrelationships between accounts through balancing items, etc. These issues are also not perceived by the user, although it is not possible to discuss the relevant topics within the scope of this paper.

However, there is an issue that for some reason is not paid attention to even by national accountants. This is the simple question mentioned above (“who does what?”) and a cascade of subsequent questions: “Who does what, with whom, in exchange for what, by what means, for what purpose, with what changes in stocks?” (United Nations, 2009, p. 16) These questions are another important indication of the consequentiality of the national accounts, which will influence the right determination of the structure of the data step by step and consistently. The purpose of this series of questions is to explain how to obtain comprehensive statistical data, and “porganize the recording of economic flows and stocks in a comprehensible way” (United Nations, 2009, p. 16). These questions are more, than a “...simple links” explaining what happens in the economy (Hundessa & Alemayehu, 2020, p. 63), since following this path allows, among other things, to correctly define the desired data structure that is appropriate for the tasks of digitization of statistical production. And most importantly, „Answering these questions for all economic flows and stocks and operators in a given economy would provide an enormous amount of information describing the complete network of economic interrelations“ (United Nations, 2009, p. 16).

And again, finding such a precise way for defining data structure several decades ago, suitable for successful utilization even today in the digitization era it is worth applauding.

We have successfully used this ingenious approach in the statistical practice of the National Bank of Georgia, which is described in the relevant publications (for example, see (Aslamazishvili, 2022; Aslamazishvili, 2017). What statisticians need to do is to find the right questions for each statistical domain that will describe in detail the desired data structure.

The format of the paper does not allow for a more comprehensive presentation of the merits of the national accounts. Nevertheless, we still managed to cover the principle and innovative approaches on which the whole system stands, but in our observation these approaches lack proper appreciation and use by both users and national accountants. Accordingly, the criticism is getting more and more acute.

III. Is the criticism addressed correctly?

In February 2008, the President of the French Republic, Nicholas Sarkozy, unsatisfied with the present state of statistical information about the economy and the society came out with a proposal to create a Commission, subsequently called “The Commission on the Measurement of Economic Performance and So-

cial Progress". He asked Joseph Stiglitz (President of the Commission), Amartya Sen¹ (Advisor) and Jean Paul Fitoussi² (Coordinator) to head the commission.

"The Commission's aim has been to identify the limits of GDP as an indicator of economic performance and social progress, including the problems with its measurement; to consider what additional information might be required for the production of more relevant indicators of social progress; to assess the feasibility of alternative measurement tools, and to discuss how to present the statistical information in an appropriate way" (Stiglitz, Sen, & Fitoussi, Report by the Commission on the Measurement of Economic Performance and Social Progress, 2008).

Indeed, today there is a growing number of critics who argue that GDP has outlived its usefulness. Economists mainly focus on three categories of criticism:

„The first are measurement problems within the existing framework arising from changes in the economy and society – most notably globalization and digitalization. The second set of criticism deal with the limits of the SNA Framework itself and are sometimes described by the catchall "Beyond GDP" and center on questions as to whether the SNA can or should measure well-being and sustainability. The third is that the construction of GDP promotes a growth-at-all-costs' ideology which works against environmental and social reforms" (MacFeely, van de Ven, & Peltola, 2024, p. 1).

Truly we live in a time when events are not only changing rapidly, but also when completely new and unknown challenges are emerging (say, pandemics, environmental disasters, etc.). But did anyone promise us that GDP would instantly work a miracle, like a magic wand, and put a new picture of the world instantaneously in our palms? Moreover, according to professor Stiglitz, "Since World War II, most countries around the world have come to use gross domestic product, or GDP, as the core metric for prosperity."

The word "prosperity" is used only once in the SNA, in the same context, albeit with a neutral sound: „... the International Comparison Program (ICP) makes estimates of absolute levels of GDP and GDP per capita across countries in order to try to establish a relative level of prosperity" (United Nations, 2009, p. 406). GDP is not intended to measure prosperity. It measures the performance of the economy as a result of policy decisions, be it prosperity or poverty. It's very simple. The main thing is that methodologically, it does this in a systematic, organized, consistent manner. As for the complexity, this issue is a subject of constant work, because ecological disasters, environmental pollution, various crises, wars and pandemics sometimes appear "out of nowhere" to which it is difficult to make an immediate statistical response. However, national accounts have sufficiently flexible mechanisms to successfully reflect previously non-existent events even within their existing structure.

To prove that these are not baseless words, we tried to reflect in it such a topical issue as the contribution of informal employment to the GDP, moreover, including gender aspect, which are also subject to harsh criticism. The lines we have added to the generation of income account and allocation of primary income account of SNA (Tables 1) below make it clear that this is possible, and that the relevant information can be collected within Labor Force Survey (LFS) framework. Similar examples could be given, but in a different publication format.

¹ An Indian economist and philosopher. Sen has taught and worked in England and the United States since 1972. In 1998, Sen received the Nobel Memorial Prize in Economic Sciences for his contributions to welfare economics.

² French economist and sociologist of Sephardi Jewish descent.

TABLE 1: CONTRIBUTION OF INFORMAL EMPLOYEES TO THE TOTAL COMPENSATION OF EMPLOYEES BY INSTITUTIONAL SECTORS

	Non-financial corporations		Financial corporations		Government		Households & NPISH		Total economy		Rest of the world		Total	
	U	R	U	R	U	R	U	R	U	R	U	R	U	R
GENERATION OF INCOME ACCOUNT														
Gross value added at basic prices														
Compensation of employees														
of which:														
compensation to formal employees														
o.w. women														
compensation to informal employees														
o.w. women														
Taxes on production and imports														
Subsidies (-)														
Gross operation surplus														
Gross mixed income														
ALLOCATION OF PRIMARY INCOME ACCOUNT														
Gross operation surplus														
Gross mixed income														
Compensation of employees														
of which:														
compensation to formal employees														
o.w. women														
compensation to informal employees														
o.w. women														
Taxes on production and imports														
Subsidies (-)														
Property income														
Balance of primary income/National income														

The same can be said about „well-being.“ The correlation of the SNA to this category is explained as follows:

“An individual’s state of well-being, or welfare, is not determined by economic factors alone. Personal and family circumstances, quality of health, the satisfaction of lack of it derived from employment are just some other factors that affect welfare. It is difficult to imagine an objective way in which factors such as these could be quantified and more difficult to imagine the usefulness of including them in a system designed primarily to facilitate economic analysis” (United Nations, 2009, p. 13)

Thus, criticism for what is not the purpose of SNA is tantamount to recrimination.

However, the biggest problem that leaves criticism unanswered is the undesirable level of analytical responsibilities of SNA producers. As professor Bos repeatedly emphasizes in his publications:

“... national accountants often do not speak their own language fluently: many have problems in understanding the logic, merits and limitations of their own concepts. Even the most famous example to ridicule the national accounts, ‘marrying your housekeeper reduces national income’, seems not to be common knowledge anymore. In their daily work, national accountants generally focus on compiling statistics. Explaining the concepts to data users and investigating their relevance for various types of data needs is usually not a priority.” (Bos, 2009, p. 4).

Moreover, “Among economic researchers there is a worldwide illiteracy in national accounting” (Bos, 2013, p. 3). And more, “The widespread illiteracy in national accounting among researchers should therefore be regarded as a threat to economics as an empirical science” (Bos, 2009, p. 4). Hence our next question: Is the criticism of GDP addressed correctly?

In the light of the above, it seems to be the most rational idea about “dashboard” with limited set of metrics, including metrics for health, sustainability and any other values that the people of a nation aspired to, as well as for inequality, insecurity, and other harms that they sought to diminish (Stiglitz J. E., 2020, p. 3). However, it would be wrong to use the dashboard as an alternative to GDP. On the contrary, the dashboard should be a tool for the explaining and correct interpretation of GDP. It should replace “GDP thinking” and not GDP. It is important to note here that, the problem is not that there is no dashboard, but that there is no knowledge to use for analytical purpose the huge informational capability that exists today in the form of various statistical databases. Dethroning GDP, as Stiglitz urges (see Stiglitz J. E., 2020, p. 3) will harm entire statistics and this is completely unacceptable in today's information age. The dashboard itself

will be meaningless if statistical literacy continues to be widely unencouraged. This responsibility and corresponding initiatives should be established as the most important priorities of the national statistical services, as SNA itself is undoubtedly a rich source of statistical literacy.

GDP is a very important and scientifically well-considered indicator, criticism of which should not become a laughing stock. It is required to be more sophisticated than in 1968, when Senator Robert Kennedy harshly criticized GDP in a speech to students at the University of Kansas:

“... the gross national product does not allow for the health of our children, the quality of their education or the joy of their play. It does not include the beauty of our poetry or the strength of our marriages, the intelligence of our public debate or the integrity of our public officials. It measures neither our wit nor our courage, neither our wisdom nor our learning, neither our compassion nor our devotion to our country, it measures everything in short, except that which makes life worthwhile. And it can tell us everything about America except why we are proud that we are Americans” (Kennedy, 1968).

GDP is quite a deep and multifaceted indicator to measure such pathetic feelings. However, its presentation forms can be designed in such a way that the user of any “taste” gets the information he wants to get.

IV. Conclusion

Finally, instead of a conclusion, it would be appropriate to list a few key things we should know about SNA:

- SNA is recognized as a greatest invention of 20th century;
- The invention of the SNA is one of greatest achievements of economic science;
- High degree of consequentiality is the main characteristic of the SNA, which determines its uniqueness;
- Before the invention of the SNA and GDP the concept of "The economy" did not exist;
- In the series of questions in the SNA “Who does what, with whom, in exchange for what, by what means, for what purpose, with what changes in stocks?”, the idea of a mechanism for gathering properly structured information about economic events is embedded;
- Many of the capabilities of the SNA, due to the uniqueness of its structure, are still not fully utilized;
- The SNA is undoubtedly and indisputably a rich source of statistical literacy, which is power in the hands of an informed society.

In a word, if we want to know where a specific country is located, we look at a map. If we want to know what place a country occupies in the world economy, we should turn to the national accounts, especially if the latter deservedly ranks among the greatest inventions of the 20th century.

References

1. Alexander, T., Dziobek, C., Marini, M., Metreau, E., & Stanger, M. (2017). *Measure up: A Better Way to Calculate GDP*. Washington D.C.: IMF.
2. Aslamazishvili, N. (2017). *SebStat: System for collection, processing, storage and dissemination of financial and statistical information of the National Bank of Georgia. 2nd edition*. National Bank of Georgia. doi:10.13140/RG.2.2.28282.16322

3. Aslamazishvili, N. (2021). *What is the philosophy of GDP as a term and as an economic category*. ResearchGate. https://www.researchgate.net/publication/353412190_WHAT_IS_THE_PHILOSOPHY_OF_GDP_AS_A_TERM_AND_AS_AN_ECONOMIC_CATEGORY-ᄁᄁᄁ
4. Aslamazishvili, N. (2022). Rethinking the Traditional Statistical Business Process Model in Central Banks in the Light of Modern Digitization: A Case of Georgia. *Chances and Challenges of Digital Management* (p. 12-20). Cologne, Germany-Tbilisi, Georgia: Springer Nature.
5. Bos, F. (2008). *Uses of National Accounts; History, International Standardization and Applications in the Netherlands*. Munich: MPRA Munich Personal RePEc Archive.
6. Bos, F. (2009). *The National Accounts as a Tool for Analysis and Policy; In view of History, Economic Theory and Data Compilation Issues*.
7. Bos, F. (2011). *National accounts: barometer, telescope and compass for the national economy*. MPRA: Munich Personal RePEc Archive.
8. Bos, F. (2013). Meaning and measurement of national accounts statistics. Munich, Germany.
9. Bos, F. (2016). Uses of national accounts from the 17th century till present and three suggestions for the future. *EURONA — Eurostat review of national accounts and macroeconomic indicators*.
10. Callen, T. (2024). Gross Domestic Product: An Economy's All. *F&D Finance & Development Magazine*, 14-15.
11. Fioramonti, L. (2013). *Gross Domestic Problem: The Politics Behind the World's Most Powerful Number*. Zed Books.
12. Hundessa, A. Y., & Alemayehu, N. A. (2020). The Current Practices and Gaps in Forest Accounting System of Ethiopia: A Review. *Research Journal of Finance and Accounting*, 62-71.
13. Karabell, Z. (2014). *The Leading Indicators – A Short History of the Numbers that Rule Our World*. New York: Simon and Schuster.
14. Kennedy, R. F. (1968). Remarks at the University of Kansas. Kansas, USA.
15. Kiyemaz, S. (2022). *GEM: A Starter Kit on Gender Equality and Macroeconomics*. IWRAP. <https://www.iwraw-ap.org/gem/>
16. Landefeld, S. (2000). *GDP: One of the Great Inventions of the 20th Century*.
17. Landefeld, S. (2012). *GDP and National Accounts: One of the Great Invention of the 20th Century*.
18. Lequiller, F., & Blades, D. (2014). *Understanding National Accounts*. Paris: OECD Publishing.
19. Lequiller, F., & Blades, D. (2014). *Understanding National Accounts (second edition)*. Paris: OECD.
20. MacFeely, S., & van de Ven, P. (2024). *GDP and SNA: Past and Present*.
21. MacFeely, S., van de Ven, P., & Peltola, A. (2024). To GDP and beyond: The past and future history of the world's most powerful statistical indicator. *Statistical Journal of the IAOS*, 685-711.
22. Oulton, N. (2018). *GDP and the System of National Accounts: Past, present and Future*. London School of Economics.
23. Samuelson, P. A., & Nordhaus, W. D. (2010). *Economics. 19th ed*. Douglas Reiner.
24. Schumpeter, J. A. (1954). *History of Economic Analysis*.
25. Siddiqui, S., & Siddiqui, A. (2011). *Comprehensive Introductory Micro and Macroeconomics*. Laxmi publications.
26. Stiglitz, J. E. (2009). GDP Fetishism. *The Economists' Voice*.
27. Stiglitz, J. E. (2020). GDP Is the Wrong Tool for Measuring What Matters. *Economics*.
28. Stiglitz, J. E., Sen, A., & Fitoussi, J.-P. (2008). *Report by the Commission on the Measurement of Economic Performance and Social Progress*.
29. Survey of Current Business. (2000). Press Conference Announcing the Commerce Department's Achievements of the Century. *Survey of Current Business*, 10-14.
30. United Nations. (2009). *System of National Accounts 2008*. New York: United Nations.

„მშპ აზროვნება“¹ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის – მე-20 საუკუნის უდიდესი გამოგონების წინააღმდეგ

ნანა ასლამაზიშვილი

ეკონომიკის დოქტორი, მინველური პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

უკვე თითქმის 8 ათეულ წელზე მეტია მთლიანი შიდა პროდუქტი აგრძელებს ეკონომიკური ანალიზის, საერთაშორისო შედარებების, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკისა და სტრატეგიული გადაწყვეტილებების ცენტრში ყოფნას. ამ ხნის განმავლობაში არ წყდება მისი როგორც გაფეტიშება, ისე კრიტიკა. თუმცა, რაც დრო გადის მასზე საუბარი სულ უფრო ზედაპირული ხდება და მის არსში ღრმად ჩახედვას თავს არიდებენ არა მარტო მომხმარებლები, არამედ მისი მწარმოებლებიც. ან მიაჩნიათ ზედმეტად ტრივიალურად იმისათვის, რომ მუდმივად გადაიზრონ/განაახლონ თავიანთი ცოდნა იმის შესახებ, თუ რა ეკონომიკურ კატეგორიასთან აქვთ საქმე, როგორია მისი ბუნება, როგორ ახსნას მოითხოვს მისი განვითარების ტრაექტორია და ა.შ.

მთლიანი შიდა პროდუქტი ეროვნულ ანგარიშთა სისტემის პირმშოა. სწორედ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის კომპლექსურობა, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ ამ რთულ სისტემაში გარკვევის ენთუზიაზმის ნაკლებობა განაპირობებს მშპ-სა და მის შესახებ ცოდნის დაშორიშორებას. ამაზე საკმაოდ დაუფარავად წერენ და საუბრობენ ეროვნული ანგარიშების სერიოზული მკვლევარები (მაგალითად, Bos, 2009), რომლებსაც შეუძლებელია არ დავეთანხმოთ.

მიუხედავად ამისა, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, სრულიად დამსახურებულად, მე-20 საუკუნის დიდ გამოგონებათა შორის დასახელდა და შეუძლებელია ეს ფაქტი დარჩეს მის მომხმარებელთა ყურადღების მიღმა. ეს ნიშნავს, რომ ის ფუნდამენტური პრინციპები, რომლებზედაც აგებულია არა მარტო მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება, არამედ მთლიანად მაკროეკონომიკური სტატისტიკის წარმოების მთელი ბიზნეს პროცესი, იმსახურებს ღრმად გააზრებას.

თუმცა, რაც დრო გადის იზრდება მშპ-ს კრიტიკოსთა რიცხვიც. მაგალითად, კრიტიკა ეხება იმას, რომ მშპ არ ასახავს საზოგადოების კეთილდღეობას, რომ იგი არ აკმაყოფილებს ციფრული ეპოქის მოთხოვნებს, რომ გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური პრობლემები მშპ-ს მიღმა და ა.შ. კარგია, რომ საზოგადოება ხედავს პრობლემებს, მაგრამ ცუდია, რომ მას საჭირო ადგილზე არ ხედავს. საქმე ისაა, რომ მიუხედავად თანამედროვე გამოწვევებისა, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ხელახლა აღმოჩენის მსურველთა და შესაბამისი უნარის მქონეთა რიცხვი ძალიან ცოტაა და რაც უფრო სამწუხაროა, მათ ნაკლებად, ან საერთოდ არ უსმენენ. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა უნივერსალური გამოგონებაა, რომელიც ბოლომდე არ არის გაგებული და ამ გარღვევის დაძლევა ბევრ თანამედროვე გამოწვევას მოუძებნიდა ახსნას. ამ საქმეში კი ლიდერის პოზიციას უნდა იკავებდნენ ეროვნული სტატისტიკური სამსახურები, კერძოდ კი ეროვნული ანგარიშების სპეციალისტები. სწორედ ამ უკანასკნელთა მონდომების დეფიციტი განა-

¹ ეკონომიკის დარგში 2001 წლის ნობელის პრემიის ლაურეატის ჯოზეფ სტიგლიცის მიხედვით, მშპ-ს ზრდის მიმართ გაუმართლებელი მოლოდინი, თითქმის მხოლოდ მას შეუძლია კეთილდღეობის უზრუნველყოფა.

პირობებს იმას, რომ მშპ-ს კრიტიკამ უმწვავესი ფორმა მიიღო და გაისმა კიდეც მისი უარყოფის მოწოდება.

სტატიას ორმხრივი მიზანი აქვს. პირველი, წარმოაჩინოს ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ის ფარული უპირატესობები, რომლებიც ხშირად ამ დარგის სპეციალისტების მხრიდანაც კი ყურადღების მიღმაა დარჩენილი, მიუხედავად იმისა, რომ ამ უპირატესობებში საკმაოდ დიდი რესურსია სტატისტიკის ანალიტიკური შესაძლებლობების გაფართოების თვალსაზრისით. მეორე, განიხილოს რამდენად გამართლებულია მშპ-ს კრიტიკოსთა არგუმენტები სხვა სტატისტიკური ინსტრუმენტებით მისი ჩანაცვლების თაობაზე.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული ანგარიშები, მშპ, „მშპ-აზროვნება“, დიდი გამოგონება, თანმიმდევრულობა.

ორგანიზაციული კულტურა და მართვის სტილი

ნინო აფციაური

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

გასული სამი ათწლეულის განმავლობაში, გაჩნდა ფართო მეცნიერული ინტერესი ლიდერობისა და კულტურის ურთიერთმიმართების შესახებ. ორგანიზაციული კულტურა მოიცავს ორგანიზაციის მოლოდინებს, გამოცდილებას, ფილოსოფიას და ასევე, ღირებულებებს, რომლებიც წარმართავს წევრების ქცევას და გამოიხატება თვითშეფასებაში, მუშაობაში, გარე სამყაროსთან ურთიერთქმედებაში და სამომავლო მოლოდინებში. ზოგადად, ლიდერობისა და ორგანიზაციული კულტურის საკითხებმა დიდი ინტერესი გამოიწვია სხვადასხვა სფეროში. ეს ინტერესი გამოწვეულია მოსაზრებით, რომ ლიდერობა და კულტურა დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან. რაც შეეხება, ლიდერობის მართვის სტილს – იგულისხმება ცალკეულ პიროვნებებსა და ჯგუფებზე გავლენის მოხდენის უნარი, რომელიც უზრუნველყოფს მათი ძალისხმევის წარმართვას ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად. ამ მოდელის საფუძველზე, არსებობს ლიდერობის ოთხი სტილი – დირექტიული, კონსულტაციური, კონსენსუალური, მადელეგირებელი. ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევაში მონაწილეობდა 76 ლიდერი, რომელთაგან 37-ს ჰქონდა 5 წელზე ნაკლები, დანარჩენ 39-ს კი 5 წელზე მეტი მუშაობის გამოცდილება კონკრეტულ ორგანიზაციაში. ანალიზის შედეგად, დიდი გამოცდილების მქონე მენეჯერებში კოლექტივისტურ კულტურასა და კონსენსუალურ მართვის სტილს შორის გამოვლინდა დადებითი კორელაცია, კოლექტივისტურ კულტურასა და კონსულტაციურ მართვის სტილს შორის დადებითი კორელაცია, იერარქიულ კულტურასა და დირექტიულ მართვის სტილს შორის უარყოფითი კორელაცია, საბაზრო კულტურასა და მადელეგირებელ მართვის სტილს შორის უარყოფითი კავშირი. რაც შეეხება, ადჰოკრატიულ კულტურასა და მადელეგირებელ მართვის სტილს შორის კავშირს, გამოვლინდა დადებითი კავშირი.

საკვანძო სიტყვები: ორგანიზაციული კულტურა, ლიდერობის მართვის სტილი, მართვის სტილზე ორგანიზაციული კულტურის გავლენა.

შესავალი

გასული სამი ათწლეულის განმავლობაში, გაჩნდა ფართო მეცნიერული ინტერესი ლიდერობისა და კულტურის ურთიერთმიმართების შესახებ. საეტაპო თეორიებმა, ლიდერობის სტილებისა და მათი ორგანიზაციული კულტურების ჩამოყალიბებაზე ზემოქმედების შესახებ, დიდი წვლილი შეიტანა ცოდნის დასაბუთებაში ლიდერობასა და ორგანიზაციულ კულტურას შორის კავშირზე. თუმცა, ორგანიზაციული კულტურა და ლიდერობის ქცევის კვლევების უმრავლესობა ჩატარდა დასავლურ საზოგადოებებში. ამ დასკვნების მართებულობა უნდა დადასტურდეს მათი გამოყენებადობის სხვა კულტურებზე ტესტირების პროცესით.

ძირითადი ნაწილი. ორგანიზაციული კულტურა მოიცავს ორგანიზაციის მოლოდინებს, გამოცდილებას, ფილოსოფიას, ისევე როგორც ღირებულებებს, რომლებიც წარმართავს წევრების ქცევას და გამოიხატება წევრის თვითშეფასებაში, მუშაობაში, გარე სამყაროსთან ურთიერთქმედებაში და სამომავლო მოლოდინებში. კულტურა ემყარება საერთო დამოკიდებულებებს, რწმენას, წეს-ჩვეულებებს და წერილობით და დაუწერებელ წესებს, რომლებიც დროთა განმავლობაში შემუშავდა და მოქმედებს. ორგანიზაციული კულტურა გავლენას ახდენს ადამიანე-

ბისა და ჯგუფების ურთიერთკავშირზე ერთმანეთთან, კლიენტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან. ასევე, ორგანიზაციულმა კულტურამ შეიძლება გავლენა მოახდინოს იმაზე, თუ რამდენად იდენტიფიცირებენ თანამშრომლები თავიანთ ორგანიზაციასთან (Schrodt, 2002). ორგანიზაციული კულტურა გააჩნია ყველა კომპანიას.

ორგანიზაციის შიგნით, ქვედანაყოფები, როგორცაა ფუნქციური განყოფილებები, პროდუქტების ჯგუფები, იერარქიული დონეები ან თუნდაც გუნდები, ასევე შეიძლება ასახავდნენ საკუთარ უნიკალურ კულტურას. პროცესების ან ორგანიზაციული აქტივობების კოორდინაციისა და ინტეგრაციის სირთულეები, ხშირად სხვადასხვა ქვედანაყოფებს შორის კულტურული შეჯახების შედეგია. ადვილი მისახვედრია, თუ როგორ შეიძლება ამ კულტურულმა განსხვავებებმა ორგანიზაციის დაშლა და ეფექტურობის მაღალი დონის მიღწევა შეუძლებელი გახადოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვედანაყოფის კულტურულ განსხვავებებზე ხაზგასმამ შეიძლება გამოიწვიოს გაუცხოება და კონფლიქტი.

ასევე, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ორგანიზაციის თითოეული ქვედანაყოფი შეიცავს მთლიანი ორგანიზაციისთვის დამახასიათებელ საერთო ელემენტებს. ამრიგად, ორგანიზაციის კულტურის შეფასებისას, შეიძლება ფოკუსირება მოახდინოს მთელ ორგანიზაციაზე, როგორც ანალიზის ერთეულზე, ან შეიძლება შეფასდეს სხვადასხვა ქვედანაყოფის კულტურა, გამოავლინოს ქვედანაყოფის კულტურათა საერთო დომინანტური ატრიბუტები და შეაგროვოს ისინი. ამ კომბინაციას შეუძლია უზრუნველყოს საერთო ორგანიზაციული კულტურის მიახლოება.

ადამიანური რესურსების სპეციალისტების გარდა, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ლიდერები და ინდივიდუალურად თანამშრომლები. იმისათვის, რომ შეიქმნას კულტურა, რომელიც პასუხობს თანამშრომელთა საჭიროებებს, მენეჯერებს, ლიდერებს უნდა ჰქონდეთ ორგანიზაციის მისიის, ფასეულობებისა და მიზნების მკაფიო ხედვა. ეს შექმნის კულტურას, სადაც თანამშრომლები ხედავენ მჭიდრო კავშირს თავიანთ მიზნებსა და ორგანიზაციის მიზნებს შორის. რაც შეეხება თავად თანამშრომლებს, მათ უნდა ჩამოაყალიბონ საკუთარი კარიერა და სამუშაოს პრიორიტეტები, უნდა განიხილონ გზები, რომელთა საშუალებითაც შეეძლება ორგანიზაციული და ინდივიდუალური მიზნების მიღწევა და შეინარჩუნონ კარიერული გეგმები, რომლებიც ურთიერთმომგებიანია როგორც თავად მათთვის, ასევე დამსაქმებლებისთვის (Owoyemi, O., Ekwoaba, J., 2014).

ზოგადად, ლიდერობისა და ორგანიზაციული კულტურის საკითხებმა დიდი ინტერესი გამოიწვია სხვადასხვა სფეროში. ეს ინტერესი გამომწვეულია მოსაზრებით, რომ ორივე, ლიდერობა და კულტურა დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ კულტურასა და ლიდერობას შორის კავშირის გამოსავლენად ერთ-ერთი გზა არის იმის შემოწმება, თუ როგორ ხდება კულტურის კონცეპტუალიზაცია ორგანიზაციულ თეორიაში. სმირჩიჩი (1983) გამოყოფს კულტურის ფენომენის ორ მიდგომას ორგანიზაციაში: კულტურა, როგორც ორგანიზაციული ცვლადი და კულტურა, როგორც მანიპულირებადი. ამრიგად, ამგვარი მანიპულირების ბუნება, მიმართულება და გავლენა დამოკიდებულია ლიდერის უნარებსა და შესაძლებლობებზე (Ogbonna, E., Harris, L., 2000).

რაც შეეხება ლიდერობის მართვის სტილს, ლიდერობაში იგულისხმება ცალკეულ პიროვნებებსა და ჯგუფებზე გავლენის მოხდენის უნარი, რომელიც უზრუნველყოფს მათი ძალისხმევის წარმართვას ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად. ლიდერობის მოდელი, იკვლევს ურთიერთდამოკიდებულებას ლიდერების პიროვნულ თვისებებს, ქცევასა და სტილს შორის, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზაციული კონტექსტის მახასიათებლებთან, შესაბამისი ამოცანის ბუნებასთან და ჩართული ადამიანების შესაძლებლობებსა და გამოცდილებასთან. ამ მოდელის საფუძველზე, არსებობს ლიდერობის ოთხი სტილი, ესენია: დირექტიული, კონსულტაციური, მადელეგირებელი და კონსენსუალური.

დირექტიული ხელმძღვანელობის სტილი არის ლიდერობის სტილი, რომელშიც მთელი ძალაუფლება ლიდერის ხელშია – ის არის უაღრესად ცენტრალიზებული. მისი მიმდევრები ამ-

ჯობინებენ ბრძანებების და დირექტივების მიცემას, რადგან არ სურთ მიიღონ რაიმე წინადადება მათ ქვეშ მყოფთაგან. დირექტიული ხელმძღვანელობა ზოგადად ყველაზე ეფექტურია ახლადშექმნილ გუნდთან ერთად, ან ისეთთან რომელიც უცნობი სიტუაციების წინაშე დგას. ამ სტილის გამოუყენებლობა შეიძლება აღიქმებოდეს როგორც ყურადღებისა და მიმართულების ნაკლებობა, თუმცა ძალიან ბევრმა დირექტიულმა ორიენტაციამ შეიძლება გამოიწვიოს, გუნდის წევრების დაბალი პატივისცემა და მოიქცნენ მხოლოდ ისე, როგორც ეუბნებიან, ამან თავისთავად შეიძლება გამოიწვიოს ინიციატივის, კრეატიულობისა და თავდაჯერებულობის ნაკლებობა.

საკონსულტაციო ლიდერობა არის ლიდერობის სტილი, რომელიც მიზნად ისახავს გუნდის მშენებლობას და იყენებს სხვათა უნარებს გეგმების შესაქმნელად და გადაწყვეტილებების მისაღებად. ლიდერები კონსულტაციებს უწევენ თავიანთ გუნდს, რათა მოისმინონ მათი წინადადებები და მოსაზრებები, დაეხმარონ მათ მიიღონ ინფორმირებული და სტრატეგიული გადაწყვეტილებები. საკონსულტაციო ხელმძღვანელობა კარგია მაშინ, როდესაც ლიდერს სჭირდება სხვისი შეხედულებების გათვალისწინება, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ლიდერმა.

დელეგაციური ლიდერობა, არის ლიდერობის სტილი, რომლის დროსაც ლიდერები ჯგუფის წევრებს გადაწყვეტილების მიღების საშუალებას აძლევენ. ამ სტილის არასაკმარისმა გამოყენებამ, შეიძლება გამოიწვიოს პასუხისმგებლობის ძალიან მცირე გაზიარება, რაც იწვევს ლიდერის გადატვირთვას, ნაკლებ თავდაჯერებულობას და გუნდის უნარების დაკარგვას. მეორე მხრივ, მისმა ზედმეტმა გამოყენებამ, შეიძლება გამოიწვიოს კონტროლის ნაკლებობა და უფლებამოსილების დაკარგვა, რაც იწვევს ლიდერის მიმართ ნაკლებ პატივისცემას და სტრესს გუნდის წევრებისთვის, რადგან ისინი არ არიან დარწმუნებულნი მათ მზადყოფნაში, კონკრეტული ამოცანის მთელი პასუხისმგებლობით შესრულებაში.

კონსენსუალური ლიდერობა არის სტილი, რომელიც გულისხმობს მიღებისა და შეთანხმების ნახალისებას ქმედებების განხორციელებამდე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოცდილი გუნდის არსებობისთვის და ვალდებულების შემცირებისთვის, როდესაც საჭიროა სხვადასხვა განსხვავებული პერსპექტივის განხილვა. ლიდერობის ამ სტილის არასაკმარისმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს გუნდური მუშაობის უნარების დაკარგვა და ნაკლები ჩართულობა. რაც შეეხება მის განდაჭარბებული რაოდენობით გამოყენებას, მან შეიძლება გამოიწვიოს მკაფიო ხელმძღვანელობის ნაკლებობა, რომლის დროსაც შეიძლება ჩაითვალოს, რომ ლიდერს არ შეუძლია დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება.

კვლევის მეთოდები

მონაწილეები. კვლევაში ჩართული იყო 76 მონაწილე, რომლებიც შერჩეული იყვნენ ლიდერთა კატეგორიიდან. მათ შორის 39 ცდის პირს აქვს კონკრეტულ ორგანიზაციაში 5 წელზე მეტი მუშაობის გამოცდილება, დანარჩენ 37-ს კი 5 წელზე ნაკლები. ძირითადი სამუშაო კატეგორიები, რომელშიც კვლევის მონაწილეები მუშაობენ: გაყიდვების კომპანიები, მარკეტინგული ორგანიზაციები, სხვადასხვა საჯარო სამსახურები, მომსახურების სფერო, ფინანსური კომპანიები და სხვა. ძირითადი თანამდებობები: მენეჯერი, სოციალური მედიის მენეჯერი, გაყიდვების წარმომადგენლები, ადამიანური რესურსების სპეციალისტები, ოფისის მენეჯერები, კერძო ბიზნესის მმართველები და სხვა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველა მათგანი იყო ლიდერი, რაც გულისხმობს, რომ ყველა მათგანს ჰყავდა მინიმუმ ორი დაქვემდებარებული თანამშრომელი.

ინსტრუმენტები. კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო ორი სახის კითხვარი – ორგანიზაციული კულტურის კითხვარი და ლიდერობის მართვის სტილის ტესტი.

ორგანიზაციული კულტურის შესაფასებლად, გამოყენებულ იქნა ორგანიზაციული კულტურის შეფასების კითხვარი OCAI (Cameron & Quinn, 2011). აღნიშნული კითხვარის მიზანია შეაფასოს ორგანიზაციული კულტურის ექვსი ძირითადი განზომილება, რომელთაგანაც თითოეულს აქვს ოთხი ალტერნატივა. რესპოდენტმა 100 ქულა უნდა გაანაწილოს ოთხ ალტერნატიულ პასუხს შორის. ყველაზე მაღალი ქულით აფასებენ იმ ალტერნატივას, რომელიც ყველაზე მეტად გავს მის ორგანიზაციას. ინსტრუმენტი გაყოფილია ორ ნაწილად, პირველ ნაწილში აფასებენ ორგანიზაციას ისე, როგორც არის ამჟამად, და არა ისე, როგორც უნდათ, რომ იყოს ან როგორც იმედოვნებენ, რომ შეიძლება იყოს. მეორე ნაწილში კი, თუ რამდენად ისურვებდით მათ სასურველ ორგანიზაციაში. ორგანიზაციული კულტურის შეფასების ინსტრუმენტი (OCAI) ეფუძნება Competing Values Framework-ს თეორიულ მოდელს, რომელიც ახლა დომინანტური ჩარჩოა მსოფლიოში ორგანიზაციული კულტურის შესაფასებლად. კითხვარის შესავსებად საჭიროა დაახლოებით 40 წუთი.

რაც შეეხება ლიდერობის მართვის სტილის ტესტს, შედგება 2 ნაწილისგან. პირველ ნაწილში მოცემულია 16 სიტუაციური ამოცანა, ხოლო მეორე ნაწილი შედგება 10 დებულებიდან. თითოეულ სცენარს თან სდევს მასში აღწერილი სიტუაციის დარეგულირების ოთხი შესაძლო ვარიანტი ტესტური სახით, ლიდერს ევალება წარმოიდგინოთ თავი ლიდერის ადგილას და შეაფასოთ თითოეულ სცენარში პრობლემის გადაწყვეტის სავარაუდო ვარიანტების შესატყვისობა 5 ბალიან სკალაზე (1 – სრულიად არ შეესაბამება 2 – არ შეესაბამება 3 – ნაწილობრივ შეესაბამება 4 – შეესაბამება 5 – სრულიად შეესაბამება). რესპოდენტს შეუძლია რამდენიმე სავარაუდო ვარიანტს მიანიჭოთ ერთი და იგივე რანგი, გარდა უმაღლესი ქულისა (5 ქულა – სრულიად შეესაბამება). კითხვარის შესავსებად საჭიროა საშუალოდ 30-40 წუთი.

პროცედურა. კვლევის მონაწილეებს კითხვარები მიეწოდათ ელექტრონული სახით, Google Form ფორმატში გაერთიანებული ინსტრუმენტები (ორგანიზაციული კულტურის კითხვარი/ლიდერობის მართვის სტილის ტესტი), მათი შევსება მოხდა ელექტრონულად.

შედეგები. კვლევის ფარგლებში შემოწმდა ორგანიზაციული კულტურის საკვლევი ინსტრუმენტის სანდოობა. შედეგად, ორგანიზაციული კულტურის საზომი ინსტრუმენტის შემთხვევაში, დებულებების მიხედვით მივიღეთ სხვადასხვა სანდოობის მაჩვენებელი, თუმცა ყოველი მათგანის შემთხვევაში სანდოობა არის მაღალი, კერძოდ: რეალურად შეფასებული კოლექტივისტური ტიპის კულტურის დებულება ($N=6, \alpha=.849$); რეალურად შეფასებული ადჰოკრატიული ტიპის კულტურა ($N=6, \alpha=.485$); რეალურად შეფასებული საბაზრო ტიპის კულტურის დებულება ($N=6, \alpha=.717$); რეალურად შეფასებული იერარქიული ტიპის კულტურა ($N=6, \alpha=.486$); სასურველი კოლექტივისტური ტიპის კულტურა ($N=6, \alpha=.849$); სასურველი ადჰოკრატიული ტიპის კულტურის დებულება ($N=6, \alpha=.417$); სასურველი საბაზრო ტიპის კულტურა ($N=6, \alpha=.759$) და სასურველი იერარქიული ტიპის კულტურის დებულება ($N=6, \alpha=.667$).

ინსტრუმენტების აღწერითი სტატისტიკა და სანდოობის მაჩვენებლები იხ. ცხრილში.

ცხრილი 1

აღწერითი სტატისტიკა და სანდოობის მაჩვენებლები

	N	A	M	SD
ორგანიზაციული კულტურა				
რეალური – კლანური	6	.849	185.66	64.03
რეალური – ადჰოკრატიული	6	.485	124.41	28.75
რეალური – საბაზრო	6	.717	140.59	48.26

რეალური – იერარქიული	6	.486	149.01	36.624
სასურველი- კოლექტივისტური	6	.849	209.87	67.73
სასურველი – ადჰოკრატიული	6	.417	131.25	25.39
სასურველი – საბაზრო	6	.759	118.95	39.31
სასურველი – იერარქიული	6	.667	140.26	40.132

კორელაციური ანალიზი. მონაცემთა კორელაციური ანალიზის შედეგად (პირსონის r კორელაციის კოეფიციენტი) აღმოჩნდა, ორგანიზაციულ კულტურასა და ლიდერობის მართვის სტილს შორის არ არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირები. შედეგად, ჰიპოთეზებთან მიმართებაში მივიღეთ შემდეგი შედეგები:

- ✓ პირველი ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც, დიდი გამოცდილების მქონე მენეჯერები, რომლებიც თავის ორგანიზაციულ კულტურას აფასებენ როგორც კოლექტივისტურს, ახასიათებთ კონსერვატორული მართვის სტილი, არ დადასტურდა. ორგანიზაციულ კულტურასა და მართვის სტილს შორის არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი: $r=0.061$, $p>0.05$.
- ✓ მეორე ჰიპოთეზაში, დიდი გამოცდილების მქონე მენეჯერები, რომლებიც თავის ორგანიზაციულ კულტურას აფასებენ როგორც კოლექტივისტურს, ახასიათებთ საკონსულტაციო მართვის სტილი – კავშირი არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი: $r=0.058$, $p>0.05$
- ✓ მესამე ჰიპოთეზა – დიდი გამოცდილების მქონე მენეჯერები, რომლებიც თავის ორგანიზაციულ კულტურას აფასებენ როგორც იერარქიულს, ახასიათებთ დირექტიული მართვის სტილი, არ დადასტურდა. კავშირი ორ ცვლადს შორის არ არის სტატისტიკურად არსებითი: $r=-0.132$, $p>0.05$
- ✓ მეოთხე ჰიპოთეზა, დიდი გამოცდილების მქონე მენეჯერები, რომლებიც თავის ორგანიზაციულ კულტურას აფასებენ როგორც ადჰოკრატიულს, ახასიათებთ მადელეგირებული მართვის სტილი არ დადასტურდა, რადგან მიმართება არის სტატისტიკურად არსებითი: $r=0.227$, $p>0.05$
- ✓ მეხუთე ჰიპოთეზა, დიდი გამოცდილების მქონე მენეჯერები, რომლებიც თავის ორგანიზაციულ კულტურას აფასებენ როგორც საბაზროს, ახასიათებთ მადელეგირებული მართვის სტილი, ასევე არ დადასტურდა, რადგან ორგანიზაციულ კულტურასა და მართვის სტილს შორის კავშირი არ არის სტატისტიკურად არსებითი: $r=-0.026$, $p>0.05$

შედეგები. კორელაციურმა კვლევამ მოგვცა შედეგები, რომლის მიხედვითაც, სუსტი დადებითი კორელაცია გამოვლინდა დიდი გამოცდილების მქონე მენეჯერებში, კოლექტივისტურ კულტურასა და კონსერვატორული მართვის სტილს შორის. ასევე, სუსტი დადებითი კორელაცია გამოიკვეთა კოლექტივისტურ კულტურასა და კოლექტივისტურ კულტურებს შორის. რაც შეეხება იერარქიულ კულტურასა და დირექტიულ მართვის სტილს შორის კორელაციას, გამოვლინდა სუსტი უარყოფითი კავშირი. კვლევის ფარგლებში ერთ-ერთი ჰიპოთეზა იკვლევდა ადჰოკრატიულ კულტურასა და მადელეგირებელ მართვის სტილს შორის კავშირს. კორელაციური ანალიზის შედეგად, გამოვლინდა საშუალო დადებითი კორელაცია. ბოლო ჰიპოთეზას წარმოადგენდა საბაზრო კულტურასა და მადელეგირებელ მართვის სტილს შორის კავშირი, რომელთა შორის კორელაცია აღმოჩნდა სუსტი უარყოფითი. მიღებული შედეგები არ აღმოჩნდა სტატისტიკურად არსებითი.

დასკვნები და რეკომენდაციები. მოცემული კვლევის მიზანი იყო, დაგვედგინა კავშირი ორგანიზაციულ კულტურასა და ლიდერობის მართვის სტილს შორის. აღნიშნული თემა არის შედარებით ახალი და მასთან დაკავშირებული ინფორმაციები არ არის ემპირიულად გამყარებული. ამასთანავე, საკმაოდ დიდი ხანია, რაც ორგანიზაციების კვლევის ფოკუსში ხშირად ექცევა კულტურის ტიპი, რადგან მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ რომელი მათგანი ახდენს გავლენას ლიდერთა მართვის სტილზე და შესაბამისად, თანამშრომელთა ერთგულებასა და კმაყოფილებაზე, რაც ასევე დაკავშირებულია თანამშრომელთა გამოცდილებასთან. მონაცემებს აქვთ პრაქტიკული დანიშნულება, რადგან შესაძლებელი ხდება ორგანიზაციისთვის ოპტიმალური ტიპის კულტურის იდენტიფიცირება, რომელიც გავლენას ახდენს მართვის სტილზე. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ორგანიზაციებს შეეძლებათ კონკრეტული ტიპის კულტურის დანერგვა სამუშაო სივრცეში და ამგვარად მოახდენენ გავლენას მართვის სტილზე.

ლიტერატურა

1. Emmanuel Ogbonna & Lloyd C. Harris (2000) Leadership style, organizational culture and performance: empirical evidence from UK companies, *The International Journal of Human Resource Management*, 11:4, 766-788, DOI: 10.1080/09585190050075114
2. Cameron, K. S., & Quinn, R. E. (2011). *Diagnosing and Changing Organizational Culture: Based on the Competing Values Framework* (Third ed.). Somerset: Wiley. 1-18, 27-33. 37-51
3. *What is organizational culture?* gothamCulture. (2022, January 10). Retrieved January 31, 2022, from <https://gothamculture.com/what-is-organizational-culture-definition/>
4. Owoyemi, O. O., & Ekwoaba, O. J. (2014). Organisational Culture: A Tool for Management to Control, Motivate and Enhance Employees' Performance. *American Journal of Business and Management*, 3. doi:10.11634/-216796061403514
5. Schein, E. H. (2010). *Organizational culture and leadership* (Vol. 2). John Wiley & Sons. Akanji, B., Mordji, C., Ituma, A., Adisa, T. A., & Ajonbadi, H. (2019). The influence of organisational culture on leadership style in higher education institutions. *Personnel Review*.
6. Faraci, P., Lock, M., & Wheeler, R. (2013). assessing leadership decision-making styles: psychometric properties of the leadership Judgement indicator. *Psychology research and behavior management*, 6, 117.
7. AYDIN, B. (2018). The role of organizational culture on leadership styles. *MANAS Sosyal Araştırmalar Dergisi*, 7(1), 267-280.
8. Watkins, M. D. (2014, August 07). What Is Organizational Culture? And Why Should We Care? Retrieved from <https://hbr.org/2013/05/what-is-organizational-culture>
9. *Diagnosing and changing organizational culture*. (n.d.). Retrieved January 31, 2022, from <https://www.researchgate.net/file.PostFileLoader.html?id=559077c25e9d9768f68b4570&assetKey=AS%3A271750183489537%401441801700739>

ORGANIZATIONAL CULTURE AND MANAGEMENT STYLE

Nino Aptsiauri

PhD candidate of Business Administration Program

Summary

Over the past three decades, there has been created widespread interest towards correlation between leadership and culture. Organizational culture includes the organization's expectations, experiences, philosophy, and values that guide members' behavior and are expressed in self-evaluation, work, interactions with the outside world, and future expectations. In general, issues of leadership and organizational culture have attracted a lot of interest in various fields. This interest is driven by the notion that leadership and culture are related to job performance. As for the leadership management style, it means the ability to influence individuals and groups, which ensures that their efforts are directed towards the achievement of the organization's goals. Based on this model, there are four styles of leadership – directive, consultative, consensual, delegating. 76 leaders participated in our research, 37 of whom had less than 5 years of experience, and the rest 39 had more than 5 years of work experience in a specific organization. As a result of the analysis, a positive correlation was revealed between collectivist culture and consensual management style, a positive correlation between collectivistic culture and consultative management style, a negative correlation between hierarchical culture and directive management style, and a negative relationship between market culture and delegative management style. Regarding the relationship between adhocratic culture and delegative management style, a positive relationship was revealed.

Key words: *organizational culture, leadership management style, influence of organizational culture on management style.*

ბიზნესის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საწარმოო ლოგისტიკური უზრუნველყოფის განმსაზღვრელი ფაქტორები

თეიმურაზ ბაბუნაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ანოტაცია

ბიზნესსუბიექტების საქმიანობის სწორად წარმართვაში აუცილებელია საწარმოო ლოგისტიკური უზრუნველყოფის განსაზღვრისათვის თანამედროვე სტანდარტების გამოყენების სხვადასხვა ფორმები, რაც გულისხმობს გამჭოლი მატერიალური ნაკადების ყველა ოპერაციის მართვას, როგორც ერთიან პროცესს, რისთვისაც აუცილებელია ნებისმიერ კომპანიაში შექმნილი იქნას სპეციალური ლოგისტიკური სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს მატერიალური ნაკადების გადანაწილებას დაწყებული მომწოდებლიდან სახელმწიფოებრივ ურთიერთობების ფორმებით, დამთავრებულს მზა პროდუქციის მიწოდებით მყიდველზე.

კომპანიის ლოგისტიკური სტრუქტურის ფორმირება წარმოადგენს მნიშვნელოვან რგოლს, რომელიც ეხება არა მარტო სტრუქტურული ქვედანაყოფების სპეციალიზაციას, არამედ ასევე, პერსონალის მიმართ თანამდებობრივი იერარქიების მიხედვით მათი მოვალეობის განსაზღვრას, რომლის ერთნაირი სტანდარტი არ არსებობს, იგი უნდა შეირჩეს ორგანიზაციის სტრუქტურიდან გამომდინარე ალტერნატიული ვარიანტების განხილვით კონკრეტული კომპანიებისათვის. კომპანიების მართვის პრინციპების შესწავლა, სხვადასხვა ქვეყნებში გამოყენებული ურთიერთობების ვარიანტებთან ძალზედ აქტუალურია, ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე, რათა საქართველოში მოხდეს კომპანიების მართვის სფეროში საყოველთაოდ მიღებული მსოფლიოში არსებული სტანდარტების ადაპტირება და გამოყენება.

საკვანძო სიტყვები: კომპანია, ლოგისტიკა, ბიზნესი, საბაზრო ეკონომიკა, ინტეგრირება.

საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე პირობებში ლოგისტიკამ მძლავრი განვითარება მოიპოვა, როგორც საწარმოო პროცესის მართვის ინსტრუმენტმა. ლოგისტიკური ტექნოლოგიების საფუძველზე კომპანიის მართვა შესაძლებლობას იძლევა შემცირდეს საწარმოო დანახარჯები და შესაბამისად გაიზარდოს ბაზარზე პროდუქციის კონკურენტუნარიანობა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ბიზნეს სუბიექტები დადგნენ ლოგისტიკის კონცეფციის გადახედვისაკენ, რაც მოითხოვდა არსებული პოტენციალის ახალ პირობებზე გადაყვანას. შიდა ევროპული ბაზრის შექმნამ ჯერ კიდევ 1992 წელს, რომლის მოსახლეობა იმ პერიოდში შეადგენდა 324 მლნ. ადამიანს აიძულა მენარმეები მოეძებნათ ახალი გზები საკუთარი კონკურენტუნარიანობის განმტკიცებისათვის, პირველნი ამ პროცესში ჩაერთვნენ საავტომობილო კონცერნები, მოქმედება დაიწყო თანამედროვე ლოგისტიკურმა მიდგომამ, მოხდა ხარისხობრივი ცვლილებები ლოგისტიკური გადანაწილების ჯაჭვში „მიმწოდებელი – მწარმოებელი – მომხმარებელი“. ამ ტრიადის შექმნამ საფუძველი ჩაუყარა ახალი სტანდარტების შემოღებას და ფუნქციონირებას, ავტომატიზირებულმა სისტემებმა ერთ მთლიან ჯაჭვში შეაკავშირეს და შექმნეს ერთიანი ინტეგრირებული საწარმო ლოგისტიკური სისტემები, რომლებმაც უზრუნველჰყვეს ბაზრის მოთხოვნების იმ მოცულობების უზრუნველყოფა, რომელსაც ბაზარი მოიხმარდა და ჭარბი საქონლის მინიმიზაცია ხდებოდა საწყობში, რაც ფაქტიურად უზრუნველყოფდა უნარჩენო წარმოებას.

მართვის თანამედროვე ინტეგრირებული სისტემები, საშუალებას იძლევა მთლიანად იქნას ავტომატიზირებული საწარმოო პროცესების მართვა, წარმოების პროცესში ინტეგრირებული იქნას ახალი პროდუქციის შექმნა და მისი სიცოცხლის უნარიანობა. მაქსიმალურად იქნას გა-

მოყვებული მოქნილი საწარმოო სისტემები და რობოტიზაცია – რომლის გამოც 21-ე საუკუნეს „რობოტიზაციის საუკუნეს“ უწოდებენ. ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების თანამედროვე ეტაპზე ბიზნესის ორგანიზაცია მოითხოვს კომპანია მუდმივ ურთიერთობაში იყოს მატერიალური რესურსების მომწოდებლიდან, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მზა პროდუქციის მომხმარებლამდე. მზარდი კონკურენციის პირობებში ნებისმიერი საწარმოს წარმატება დამოკიდებულია გარე ინფრასტრუქტურაში მუდმივ ცვლილებათა მიმდინარეობაზე. ამიტომ საწარმოს უნდა ჰქონდეს ისეთი მართვის მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს განახორციელოს საბაზრო პირობების გათვალისწინებით, მსოფლიო ბაზრებზე კონკურენციისადმი ადაპტაცია რათა მოიზიდოს მომხმარებელი, რაც მისი წარმატების გარანტი იქნება.

ლოგისტიკური სისტემის ელემენტებს განიხილავენ სხვადასხვა კონტექსტში. მატერიალური ნაკადების მართვას წარმოებაში აქვს თავისი სპეციფიკა და ატარებს წარმოების ლოგისტიკის სახელს, რომლის ძირითადი არსი მდგრადობის საწარმოს ინტეგრირებულ მართვაში, რომელიც განსაზღვრულია იმ პერიოდის დროსა და სივრცეში. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ წარმოების ლოგისტიკა არის მატერიალური ნაკადების მართვის პროცესი წარმოების ყველა სტადიაზე, დაწყებული ნედლეულის მოძიებიდან, დამთავრებული საბოლოო მომხმარებლამდე.

წარმოების ლოგისტიკის ძირითად მიზანს წარმოადგენს მატერიალური რესურსების დროული, რითმული და ეკონომიკურად გათვლილი გადაადგილებების უზრუნველყოფა, ძირითად სამუშაო ოპერაციების სტადიებსა და სამუშაო ადგილებს შორის, მზა პროდუქციის დამზადებისა და რეალიზაციის მიზნით დამკვეთის შეკვეთების შესაბამისად.

საწარმოს სამეურნეო საქმიანობას კერძოდ, მის ლოგისტიკურ შემადგენელს ახასიათებს ეკონომიკური ნაკადების სიდიდე და ხარისხობრივი განსაზღვრა, რომლებიც თავისი მიმართულებისა და ეკონომიკური ბუნებისაგან დამოკიდებულებით განსაზღვრავენ მის სიცოცხლისუნარიანობას და პერსპექტივას, ცნობილია, რომ დროის 90%-ის განმავლობაში საქონელი იმყოფება საწარმოში და ხდება დატვირთვა-გადაადგილებისა და სატრანსპორტო და დასაწყობების სამუშაოები, ეს განაპირობებს მათი თვითღირებულების შეფასებაში ცვლილებების შეტანას. საწარმოში მატერიალური ნაკადების მართვაში ლოგისტიკური მიდგომა საშუალებას იძლევა მაქსიმალურად იქნას ოპტიმიზირებული ლოგისტიკური ოპერაციების კომპლექსური შესრულება, ხარჯების თუნდაც 1%-ით შემცირება. ლოგისტიკური ფუნქციების შესრულება იწვევს ისეთივე ეფექტს, როგორც გასაღების მოცულობის 10%-იანი ზრდა.

საწარმოო პროცესების ლოგისტიკის მიზანი მდგომარეობს წარმოების პროცესის და ლოგისტიკური ოპერაციების ზუსტ სინქრონიზაციაში ურთიერთ დაკავშირებულ ქვედანაყოფებში, აგრეთვე დანახარჯების შემცირებასა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში მატერიალური ნაკადების მზა პროდუქციად გარდაქმნის პროცესში.

საწარმოო ლოგისტიკის ამოცანების ეფექტური გადაწყვეტის მნიშვნელობა, მატერიალური ნაკადების მართვის ოპტიმიზაციის ხარჯზე, განისაზღვრება თვითღირებულებისა და შეკვეთების შესრულების დროის შემცირებით, პროდუქციის რაოდენობისა და ასორტიმენტის საბაზრო მოთხოვნის ცვლილებებზე ოპერატიული რეაგირებით და საბოლოო ჯამში საწარმოს ფუნქციონირების და კონკურენტული შესაძლებლობის ეფექტურობის ზრდით.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სწრაფი ცვლილებების გამო ლოგისტიკურ ორგანიზაციაზე გადასული საწარმოები ფლობენ გარემო პირობებთან სისტემის ადაპტაციის უპირატეს შესაძლებლობას. მრავალმა საწარმომ, რომელიც გადავიდა წარმოების ლოგისტიკური პრინციპებით ორგანიზებაზე, დაიწყო მთელი საწარმოო ციკლის უფრო რაციონალურად გამოყენება, მატერიალური რესურსების შეძენისას კრედიტების უფრო ეკონომიურად გამოყენება, უფრო რაციონალურად განახორციელა ნედლეულისა და მასალის შეძენა, მომწოდებელთა შერჩევა, მზა პროდუქციის განაწილების პროცესის განხორციელება, რაციონალური გახდა წარმოების ორგანიზაციის ყველა სტადიის თანმდევი საინფორმაციო პროცესი. საწარმოები, რომლებიც რეალიზაციას უკეთებენ წარმოების ორგანიზაციის ლოგისტიკურ კონცეფციას, ახორციელებენ შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას, კერძოდ: უარს ამბობენ ჭარბ მარაგებზე, ამცირებენ დრო-

ის დანახარჯს ძირითად სატრანსპორტო-სასაწყობო ოპერაციების შესრულებაზე, უზრუნველყოფენ არარაციონალური შიდასაწარმოო გადაზიდვების აღმოფხვრას, უარს ამბობენ დეტალის სერიულ წარმოებაზე, რომლებზეც არ არის მყიდველის მოთხოვნა, აღკვეთავენ მოწყობილობათა მოცდენას, წუნის აღმოფხვრას, მომხმარებლებთან კეთილმოსურნე პარტნიორებად ყალიბდებიან და სხვა სასიკეთო ტენდენციებს ახორციელებენ.

საწარმოებში მატერიალური ნაკადების მართვა ყოველთვის წარმოადგენდა სამეურნეო საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს, ხოლო საწარმოში მათი მართვისადმი ლოგისტიკური მიდგომა კი საშუალებას იძლევა მაქსიმალურად ოპტიმიზირებული იქნას ლოგისტიკური ოპერაციების კომპლექსის შესრულება, რაც ხელს უწყობს თავის მხრივ საწარმოს საქმიანობის ეფექტურობას.

ბიზნესის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საწარმოო ლოგისტიკური უზრუნველყოფის განმსაზღვრელი ფაქტორების ძირითადი მიზნის მისაღწევად, აუცილებელია კომპლექსურად იქნას გადაჭრილი მატერიალური ნაკადების დაგეგმვის, მისი მოძრაობის, ორგანიზაციის და ოპერატიული მართვის ამოცანები არა მხოლოდ ძირითდ საწარმოებში, არამედ, ყველა დანარჩენ შვილობილ კომპანიებში.

ლიტერატურა

1. ვეშაპიძე შ., ოსაძე ლ., სეხნიაშვილი დ., ლოგისტიკა თბილისი, სტუ 2012,
2. Негреева В.В., Василёнок В.Л., Логистика, Санкт-Петербург. ИТМО, 2015.
3. Harris R.G., Globalization. Trade, and I Income, Canadian journal of economics v. 26 #24, 2013.
4. World investment Report 2014 New York and Geneva: United Nations, 2015.

DETERMINING FACTORS OF PRODUCTION LOGISTIC SUPPORT FOR NORMAL FUNCTIONING OF BUSINESS

Teimuraz Babunashvili

Doctor of Economic Sciences, Professor

Annotation

In the correct management of the activities of business entities, it is necessary to use various forms of modern standards for the definition of production logistics support, which implies the management of all operations of penetrating material flows as a single process, for which It is necessary to create a special logistics service in any company, which ensures the distribution of material flows starting from the supplier through the forms of contractual relations, ending with the delivery of finished products to the buyer.

The formation of the logistics structure of the company is an important link, which refers not only to the specialization of structural subdivisions, but also to the determination of their duties according to official hierarchies for personnel, which do not have the same standard.

There is, it should be selected by considering alternative options for specific companies depending on the structure of the organization. The study of the principles of company management, with the options of relations used in different countries, is very relevant, the social-At the current stage of the socio-economic development of our country, it is very important to adapt and apply globally accepted standards in the field of company management in Georgia.

Keywords: company, logistics, business, market economy, integration.

CONCERTED ACTION AND COMPETITION LAW

Davit Basiashvili

Doctor of Economics, Associate Professor at
Georgian Technical University

Slava Fetelava

Doctor of Economics, Associate Professor
at Grigol Robakidze University

Abstract

The work deals with the issues of concerted action, legal regulation of competition. There is a judgment on horizontal and vertical agreements. It is emphasized that an agreement between competing economic agents, on the one hand, can reduce, eliminate or strengthen competition. However, on the other hand, individual agreements can increase the effectiveness of competition. As for vertical agreements, such an anti-competitive action may take place here, when a dominant producer/service provider economic agent offers products/services under preferential conditions to a participating seller/service receiving economic agent, while discriminating against other economic agents. It is also a fact that such an action creates a risk of restriction of competition only if the parties to the agreement (separately or taken together) occupy a dominant position and have market power.

Both international and local legal mechanisms for combating concerted actions have an important place in the study, and advanced foreign and Georgian practices in this regard are presented.

Finally, a conclusion is made that, in order to detect and prevent concerted actions, the provisions of the competition law currently in force in Georgia are in full compliance with the advanced international practice and, first of all, with the similar norms of the EU countries. However, it is also noted that against the background of the development of modern digital technologies, when the specifics of the work of many companies are rapidly changing, which diversifies the ways of making concerted commercial strategic decisions – the issues of detection and disclosure of concerted actions by competition agencies are even more noteworthy. Accordingly, Georgian competition executive bodies (Georgian Competition and Consumer Protection Agency and regulatory agencies) will have to direct more efforts in this direction. Finally, it is concluded that the relevant state bodies have accumulated significant practical experience in detecting and preventing concerted anti-competitive actions, which gives grounds for saying that the business environment in Georgia will be even more protected and successful in the future.

Key Words: *Concerted Action, collusion, competition, cartel*

Introduction

Regardless of the economic scale of countries, the disregard of competition law by economic agents in the relevant markets and the assessment of the total economic damage caused by the concerted actions of cartels will always be the subject of substantive competition law enforcement consideration. The word cartel (Directive 2014/104/EU of the European Parliament and of the Council of 26 November 2014) comes from the Italian word *cartello*, which means a "leaf of paper" or "placard", and is itself derived from the Latin *charta* meaning "card" (<https://en.wikipedia.org/wiki/Cartel>). The concept of cartels originated in the context of business and economics, referring to agreements/collusion between two or more economic agents to control prices, limit competition and regulate production levels in a particular industry. Over time, the term "cartel" has come to encompass a broader range of collusive practices among business entities, including: fixing prices or other terms of trade, setting production or sales quotas, dividing markets, res-

tricting imports or exports, and/or acting in a restrictive manner on competition against competing economic agents remaining outside the cartel (Zukakishvili et al, 2023).

A cartel is formed by the economic agents participating in it in order to gain market power. As a result, they are given the opportunity to limit production, raise prices and earn more income. Even more, the subsequent of it is that non-cartel competitors may be driven out of the market, innovation may decrease, and as a result, consumers may be less willing to purchase the relevant product or, due to price increases, less able to do so.

Content

The advanced countries competition law practice considers cartel agreements illegal. Accordingly, in Georgia, as well as in the USA and EU countries, the cartel is considered one of the most serious infringement of the law and is punished by administrative sanctions (fines). In some countries (for example, the USA, Great Britain) criminal liability is also established for the cartel. Moreover, the Criminal Law Code of Georgia provided for specific sanctions for violations of competition legislation, such as – monopolistic activity and restriction of competition, illegal use of someone else's trademark (service), distribution of clearly false advertising and falsification, which in some cases provided for imprisonment for up to 2 years. However, it is also a fact that after the legislative amendments implemented in Georgia in 2005, the sanctions defined by Article 195 of the Criminal Code did not comply with the new competition framework law of Georgia – in the part of monopolistic activity and competition restriction, which is why this article was removed from the Code (Fetelava S., 2007).

Meanwhile, due to their hidden nature, the detection of cartels remains a significant challenge, and competition authorities resort to various ways to encourage the cooperation of economic agents in the investigation process (Zukakishvili et al, 2023).

Generally, there are two types of cartels: horizontal and vertical. During the horizontal, competing economic agents operating in the same commodity market unite in a cartel, and during the vertical, non-competing economic agents operating in different commodity markets agree with each other on the processes of sale and production of goods at different levels.

However, it is a fact that an agreement between competing economic agents can reduce, exclude or strengthen competition. For example, agreements on pricing or the separation of buyers reduce competition and are always prohibited. However, on the other hand, individual agreements can increase the effectiveness of competition. For example, competitors may agree on joint investments or research that economic agents could not undertake separately. Accordingly, such an agreement leads to a reduction in production costs and belongs to the category of permissible agreements.

As for vertical agreements, such an anti-competitive action may take place, when a dominant producer/service provider economic agent offers products/services under preferential conditions to a participating seller/service receiving economic agent, while wraps other economic agents by discriminating conditions. However, it should be noted that such an action creates a risk of restriction of competition only if the parties to the agreement (separately or taken together) occupy a dominant position and have market power.

Based on the above, it is of great importance for competition authorities to detect and sanction collusive actions because it is obvious to determine their potential harm and, accordingly, to understand the potential benefits of their deterrence. The business practices of market traders, guilds and governments have always been subject to scrutiny and not-so-mild sanctions, as is clear from the European Commission's 2019-2023 the amount of detected and imposed fines were 3.7 billion euros (<https://competition-policy.ec.europa.eu/document/download/>).

The legal foundations of competition have a long history. It actually dates back to ancient Rome. The "Lex Julia de Annona" (<https://www.linkedin.com/pulse/>), the "Edict on Maximum Prices" (Thomas W. Shelton, February 1926) and the "Constitution of Zeno" are evidence that even in ancient times, the importance of fair trade and competition was relevant to maintaining a successful economy. These early laws were the model for later legal reforms aimed at limiting monopolies, curbing price gouging, and promoting healthy market competition. The legacy of the Roman Empire is a reminder that the concepts of fairness and competition are timeless and enduring as we navigate the complexities of modern business and economics (<https://www.linkedin.com/pulse/competition->). In particular, the decree of the Roman Emperor Diocletian (301) "Edict on Maximum Prices" („Edictum de Pretiis Rerum Venalium") (https://en.wikipedia.org/wiki/Edict_on_Maximum_Prices) he condemned greed and set maximum prices and wages for all important goods (especially grain) and services. According to the decree, anyone who violated the price and tariff system and was involved in buying, hiding or making up for shortages of daily consumption goods was punishable by death. Another significant turning point in the evolution of competition law was the introduction of the Constitution of Zeno in 483 AD. The Constitution of Byzantine emperor Zeno on prices (483) is considered to be the legal norm of competition, in which the term "monopoly" is mentioned for the first time. Zeno in an edict to the Praetorian Prefect of Constantinople ordained that "We command that no one may presume to exercise a monopoly of any kind of clothing, or of fish, or of any other thing serving for food, or for any other use, whatever its nature may be, either of his own authority, or under a rescript of an Emperor already procured, or that may hereafter be procured, or under an Imperial decree, or under a rescript signed by our Majesty; nor may any person combine or agree in unlawful meetings, that different kinds of merchandise may be sold at a less price than they may have agreed upon among themselves" (Thomas W. Shelton, February 1926).

It is true that the common law principles of restraint of trade developed over the centuries, but its major development occurred in the 17th century, when the "law of restraint of trade" was adopted in England, which later became the forerunner of modern competition law. The concept of fair trade began to take shape in different interpretations during this time. One prominent case that helped develop the doctrine of competition was the 1613 case of *Mitchel v Reynolds*, which recognized the enforceability of reasonable restraints of trade (<https://en.wikipedia.org/wiki/Mitchel>).

However, although elements of restraint of trade have existed in English law since the 17th century, the legal principles governing restraint of trade have been more formally established and refined through court decisions and legal precedents. However, the modern understanding of the doctrine was given a broad development mainly from the middle of the 18th century and especially from the 19th century (*Nordenfelt v Maxim, Nordenfelt Guns and Ammunition Co Ltd* 1894) (https://en.wikipedia.org/wiki/Nordenfelt_v_Maxim).

It is also a fact that complete theoretical approaches to the driving forces of the competitive struggle are connected with the representatives of the classical political economy school A. Smith and D. Ricardo, whose point of departure was that certain agreements and business practices could be unreasonable restrictions on the individual freedom of traders to exercise.

Later, already at the end of the 80s of the 19th century, legal norms of competition began to be adopted in a more established, more or less perfect form. It was first adopted in Canada under the name of the "An Act for the Prevention and Suppression of Combinations in Restraint of Trade" in 1889, i.e. one year before the United States of America adopted the well-known "Sherman Act" (1890) at the federal level. According to which – "Every contract, combination in the form of trust or otherwise, or conspiracy, in restraint of trade or commerce among the several States, or with foreign nations, is hereby declared to be illegal. Every person (As defined in the Sherman Act, "person" means a corporation or association organized under the laws of the United States, any territory, state, or foreign country) who shall make any contract or

engage in any combination or conspiracy hereby declared to be illegal shall be deemed guilty of a felony, and, on conviction thereof, shall be punished by fine”.

Detection and prevention of actions restricting competition (agreements, decisions, agreements) within the European Union is carried out by Articles 101 and 102 of the Treaty on the Functioning of the European Union (TFEU). Article 101(1) specifically prohibits agreements, decisions and concerted practices that restrict competition. The Fundament of EU member state internal competition law is the Treaty on the Functioning of the European Union .

Cartels are agreement/or concerted practice between two or more economic competitors aimed coordinating their comitative behavior on the market and or/ influencing the relevant parameters of competition through practice such as the fixing of purchases or selling prices or other trading conditions, the allocation of production or sale quotas, the sharing of markets including big-rigging, restriction of imports or exports and/or anti-competitive actions against other competitors.

Agreement. It takes place from the moment when two or more business entities together intend to act on the market with concrete and specific way. There are many examples of concerted actions in international practice. One such case is the case considered by the European Commission in 2001, which refers to the action taken by the brewing companies – “Brasseries Kronenbourg SA” and “Heineken France SA” in the relevant beer market. As can be seen from the case, Groupe “Danone through Brasseries Kronenbourg SA” controlled 40 percent of the French beer market, and “Heineken France SA” – 30 percent. According to evidence obtained by the European Commission, between March 1996 and 2001, the parent companies of “Kronenburg” and “Heineken” agreed to jointly operate a chain of hotels, restaurants and cafes in the French beer market. Finally, the European Commission fined the companies participating in both agreements a total of 2.5 million euros (Groupe Danone and Brasseries Kronenbourg SA – 1.5 million euros, and Heineken NV and Heineken France SA – 1 million euros). However, it should be noted here that the European Commission did not have any direct evidence of the implementation of the agreement.

Concerted action. A concerted action is a coordinated action by more than two of these economic agents that reduces competition. A concerted action differs from an agreement in that a concerted action is already an act actually performed, whereas an agreement may exist in verbal or written form.

Decisions of associations of economic agents. Associations and various similar unions express the commercial interests of economic agents participating in it, whose decisions affect the market behavior of economic agents united in the association. In this case, the European Commission fined four brewing companies operating under the umbrella of "Centraal Brouwerij Kantoor". The structure of the "Centraal Brouwerij Kantoor" consisted of a general assembly and various working groups. The governing board, through its own secretariat, agreed and sent invitations and consecutively numbered official minutes to the participating members.

As for Georgia, here the legal regulation of competition (the same antimonopoly regulation) originates from the end of the 90s of the last century, namely from 1992. However, the mechanisms for detecting and preventing anti-competitive actions of economic agents (in the direction of detecting and preventing cartel transactions) appeared at the legislative level only in the second half of 2012, i.e. after the adoption of the new version of the Law of Georgia "On Free Trade and Competition". In addition, despite the provisions of detection and suppression of anti-competitive concerted actions reflected in the law, the legal mechanisms for its enforcement in practice were created only after the legislative ammendments implemented on March 21, 2014.

Therefor, according to Article 7 of the current Law of Georgia "On Competition any agreement, decision or concerted practice ('the agreement') of undertakings, or association of undertakings that have as their object or effect the prevention, restriction and/or distortion of competition within the relevant market, shall be prohibited, in particular those which: a) directly or indirectly fix purchase or selling prices or any other trading conditions (fixing); b) limit production, markets, technical development, or investment; c) share

markets or sources of supply by consumers, location or other characteristics; d) apply dissimilar conditions to equivalent transactions with the particular trade parties, thereby placing them at a noncompetitive conditions; e) establishing an additional condition/obligation for a party to enter into a transaction that has no substantive or commercial connection with the subject of the transaction.

In addition, the law defines in what specific cases the above-mentioned prohibitions will not apply to the agreements of economic agents. In particular, it will not apply if: a) the aggregate share of the parties to a horizontal agreement in the relevant market does not exceed 10%; b) the market share of each party to a vertical agreement in the relevant market does not exceed 15%; c) the agreement concluded between undertakings contains characteristics of a horizontal as well as vertical agreements, making it is difficult to classify it as a horizontal or a vertical agreement, and the market share of each party to the agreement in the relevant market does not exceed 10%.

However, it is also a fact that it does not refer to – 1) direct or indirect fixing of purchase or sale price or other trade terms and 2) allocation of markets or sources of supply on the basis of customer, territorial or other criteria, which in all cases are prohibited agreements, both in international and Georgian competition legislation practice.

Therefor, the Georgian competition law, which, with the some of certain exceptions (except for the procedural issues of the agreement with agency on the state aid), is in full compliance with the legislation of the European Union, allows exceptions from agreements restricting competition which regulates by Resolution No. 526 of the Government of Georgia dated September 1, 2014 – from the prohibition of agreements restricting competition on Exceptions". As for the results of the practical activities of the Georgian Competition and Consumer Protection Agency, many cases of horizontal and vertical agreements were detected and prevented. In particular, in the part of horizontal anti-competitive agreements: – 1) pharmaceutical and 2) petroleum products import/sale cases, where the direct or indirect price fixing was confirmed. Example of anti-competitive vertical agreements is the case of online sale of cinema tickets.

Within the framework of these specific cases, the agency found a infringement of Article 7 (concerted action) of the Law of Georgia "On Competition" by the four pharmacy companies within the framework of the state funding program for oncological medicines. By the agency's decision was detected that four large pharmacy companies operating within the framework of the state funding program for oncology drugs had price fixation since 2021 to August of 2023. According to the agency's decision, the companies were ordered to pay a fine of up to 53 million GEL.

In the third case the five large oil companies due to the maintenance of high prices in motor fuel retail market, were fined of up to 4 million GEL.

In online sale cinema tickets case, the agency found a violation of Article 7 of the Law of Georgia "On Competition" complainant and respondent parties were sanctioned by 1.6 million GEL.

Currently, all three above-mentioned decisions of the Agency are appealed to Tbilisi City Court.

Conclusion

Based on the above, it can be unequivocally said that the provisions of the competition law currently in force in Georgia – in the ditecton and preventing cartels as actions restricting competition, are in full compliance with the advanced international practice and, first of all, similar norms of the EU countries. It is also a fact that the Agency for Competition and Consumer Protection of Georgia, from year to year improves the research results and successfully copes with the challenges caused by the concerted actions of unregulated market entities. A clear example of this is the statistics of the completed and ongoing studies by the agency.

However, it is worth noting that the development of contemporary digital technologies and technologically advanced tools, such as the development of pricing algorithm models, in which many companies are operating, increasingly and rapidly changing the competitive landscape and diversifying the ways of making coordinated commercial and strategic decisions (OECD, 2017).

It is worth to take consideration that the widespread use of algorithms is increasingly in the focus of competition agencies, as these models can make it easier to reach and maintain deals between entities without any formal agreement and/or human factor and interaction, which makes concerted practices even more noteworthy for detection and disclosure issues by competition agencies. Accordingly, in this direction, Georgian executive institutions of competition of and regulation bodies sector, have accumulated significant practical experience in recent years, individually or jointly, will have to direct more coordinated efforts in this direction. As in the enforcement of competition law as well as the detection and the prevention of cartels, gives the basis for conclusion, that the business environment in Georgia will be even more protected and successful in the future.

References

1. Zukakishvili, K., Lafachi, K., Soviene, Y., & Japaridze, L., (2023). Explanatory dictionary of competition terms (In Georgian Language), p. 73, UDC 330.342.141, K-731.
2. Lortkifanidze R., (2024). Theory of perfect competition <https://dx.doi.org/10.13140/RG.2.2.26544.98567>
3. Fetelava S., (2007). Theory of competition and antimonopoly regulation in Georgia (In Georgian Language), „Loi“, Tbilisi, p. 189.
4. Frank Wijckmans & Filip Tuytchaever (2015). Horizontal agreements and cartels in competition law, Oxford, P. 8
5. Thomas W. Shelton (February 1926), Unlawful Trade Combinations in History, American Bar Association Journal, Vol.12, No.2, p.p.123-128, <https://www.jstor.org/stable/25709475> Contribution from American Bar Association
6. Directive 2014/104/EU of the European Parliament and of the Council of 26 November 2014 on certain rules governing actions for damages under national law for infringements of the competition law provisions of the Member States and of the EU, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32014L0104>
7. OECD (2017), Algorithms and Collusion: Competition Policy in the Digital Age www.oecd.org/competition/algorithms-collusion-competition-policy-in-the-digital-age.htm
8. <https://en.wikipedia.org/wiki/Cartel#:~:text=The%20Italian%20word%20became%20cartel,prisoners%20from%20the%201690s%20onward.>
9. https://competition-policy.ec.europa.eu/document/download/b19175c3-c693-410b-b669-27d4360d359c_en?filename=cartels_cases_statistics.pdf
10. <https://www.linkedin.com/pulse/competition-law-roman-era-in-depth-look-antitrust-laws-parimal-wagh>
11. https://en.wikipedia.org/wiki/Edict_on_Maximum_Prices
12. https://en.wikipedia.org/wiki/Mitchel_v_Reynolds
13. https://en.wikipedia.org/wiki/Nordenfelt_v_Maxim_Nordenfelt_Guns_and_Ammunition_Co_Ltd
14. <https://www.govinfo.gov/content/pkg/COMPS-3055/pdf/COMPS-3055.pdf>
15. Case COMP/C.37.750/B2-Brasseries Kronenbourg, Brasseries Heineken
16. Case T-240/07 Heineken Nederland BV, Heineken NV
17. www.gcca.gov.ge

შეთანხმებული ქმედება და კონკურენციის სამართალი

დავით ბასიაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სლავა ფეტელავა

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ანოტაცია

ნაშრომი ეხება შეთანხმებული ქმედების, კონკურენციის სამართლებრივი რეგულირების საკითხებს. ნამსჯელია, ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ შეთანხმებებზე. საზგასმულია, რომ კონკურენტი ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებას ერთი მხრივ, შეუძლია შეამციროს, გამორიცხოს ან გააძლიეროს კონკურენცია. თუმცა, მეორეს მხრივ, ცალკეულ შეთანხმებებს შეუძლიათ აამაღლონ კონკურენციის ეფექტიანობა. რაც შეეხება ვერტიკალურ შეთანხმებებს, აქ შეიძლება, ისეთ ანტიკონკურენტულ ქმედებას ჰქონდეს ადგილი, როდესაც დომინანტური მდგომარეობის მქონე მწარმოებელი/მომსახურეობის გამწვევი ეკონომიკური აგენტი შეთანხმების მონაწილე რეალიზატორ/მომსახურეობის მიმღებ ეკონომიკურ აგენტს პრდუქციას/მომსახურეობას სთავაზობს შეღავათიან პირობებში, ხოლო სხვა ეკონომიკურ აგენტებს თავს ახვევს დისკრიმინაციულ პირობებს. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ასეთი ქმედება კონკურენციის შეზღუდვის საშიშროებას ქმნის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების მონაწილეებს (ცალკე ან ერთად აღებული) უკავიათ დომინანტური მდგომარეობა და გააჩნიათ საბაზრო ძალაუფლება.

კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი, შეთანხმებული ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლის როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ სამართლებრივი მექანიზმებს და წარმოჩენილია ამ კუთხით არსებული მონინავე უცხოური და ქართული პრაქტიკა.

საბოლოოდ კეთდება დასკვნა, რომ შეთანხმებული ქმედებების გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით, საქართველოში დღეს მოქმედ კონკურენციის სამართალში ჩადებული დებულებები, სრულ შესაბამისობაშია მონინავე საერთაშორისო პრაქტიკასთან და პირველ რიგში ევროკავშირის ქვეყნების ანალოგიურ ნორმებთან. თუმცა, იქვე აღნიშნულია, რომ თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების განვითარების ფონზე, როდესაც სწრაფად იცვლება ბევრი კომპანიის მუშაობის სპეციფიკა, რაც ამრავალფეროვნებს შეთანხმებული კომერციული სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების გზებს – კიდევ უფრო საყურადღებოს ხდის შეთანხმებული ქმედებების კონკურენციის სააგენტოების მიერ აღმოჩენის და გამოშკარავების საკითხებს. შესაბამისად, ამ მიმართულებით უფრო მეტი ძალისხმევის წარმართვა მოუწევთ საქართველოს კონკურენციის აღმასრულებელ ორგანოებს (საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო და მარეგულირებელი უწყებები). საბოლოოდ კეთდება დასკვნა, რომ კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებული ქმედებების გამოვლენისა და აღკვეთის კუთხით შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს, მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილება დაუგროვდათ, რაც იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ სამომავლოდ კიდევ უფრო დაცული და წარმატებული იქნება ბიზნეს გარემო საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: შეთანხმებული ქმედება, გარიგება, კონკურენცია, კარტელი.

ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების მაკროსისტემური დეტერმინანტები გაურკვევლობის და კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში

გივი ბედიანაშვილი
პროფესორი (ასოცირებული),
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

კვლევის ძირითადი მიზანია კონფრონტაციული გლობალიზაციისა და მზარდი გაურკვევლობის პირობებში ადამიანის უსაფრთხოების თანამედროვე გამონეგების შესაბამისი კონცეფციის ჩამოყალიბება. ამ მიმართებით განხილულია და დასაბუთებულია სოციალურ-ეკონომიკური კონცეფცია, გაანალიზებულია ამ კონცეფციის თავისებურები, ხაზგასმულია მისი პრაქტიკული რეალიზაციის მნიშვნელობა. განახილულია ყურადღება ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების მაკროსისტემური დეტერმინანტების გამოვლენაზე და მათი რეგულირების მნიშვნელობაზე. კვლევაში ნაჩვენებია, რომ თანამედროვე პირობებში მნიშვნელოვანია ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების ინტერდისციპლინური ინსტიტუტის ფორმირება და მისი ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფას.

საკვანძო სიტყვები: კონფრონტაციული გლობალიზაცია, გაურკვევლობა, ადამიანის უსაფრთხოება, უსაფრთხოების სოციალურ ეკონომიკური კონცეფცია, ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების ინსტიტუტი

ადამიანის უსაფრთხოების მაკროეკონომიკური დეტერმინანტები მოიცავს ფართო წრის სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ საზოგადოების სტაბილურობაზე, კეთილდღეობაზე და განვითარებაზე. ადამიანის უსაფრთხოება არის არა მხოლოდ ფიზიკური არსებობისთვის საფრთხის არარსებობა, არამედ ძირითადი უფლებებისა და რესურსების ხელმისაწვდომობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ცხოვრების ღირსეულ ხარისხს.

გაურკვევლობისა და კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში (Ahir et al, 2023; Bedianashvili, 2023; Papava, 2022; Papava & Maisaia, 2023; Papava & Bedianashvili, 2024), ადამიანის უსაფრთხოება განსაკუთრებით რთულ სიტუაციაში იმყოფება, რადგან გლობალური ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებები აძლიერებს რისკებს და გამონეგებს. ადამიანის უსაფრთხოება, რომელიც განისაზღვრება, როგორც ინდივიდების დაცვა კრიტიკული და გავრცელებული საფრთხეებისგან, მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ეკონომიკურ სტაბილურობასთან, სამართლიან ზრდასთან და არსებით რესურსებზე ხელმისაწვდომობასთან. თუმცა, მზარდი გლობალური გაურკვევლობისა და გეოპოლიტიკური დაპირისპირების პირობებში, ეკონომიკური უსაფრთხოების სხვადასხვა ასპექტების გათვალისწინებით (ბედიანაშვილი და სხვ., 2024; ერქომაიშვილი, 2024; გეშაპიძე, 2024; პაპავა, 2024; Gordon, 2012; Kharaishvili, 2024; Kipiani, 2024; Lindstaedt, 2022; Veshapidze & Karchava, 2022; SolAbility, 2024; Veshapidze et al, 2021), ეს მაკროეკონომიკური დეტერმინანტები ძალიან დაუცველი ხდება. ამ კონტექსტში, ადამიანის უსაფრთხოების ძირითად მაკროეკონომიკურ დეტერმინანტებს შორის შეიძლება გამოიყოს:

ეკონომიკური არასტაბილურობა და ფინანსური კრიზისი. გლობალურ ბაზრებზე გაურკვევლობა, რომელიც გამომწვეულია გეოპოლიტიკური დაძაბულობით, სავაჭრო ომებით და ცვლილებით ეკონომიკური ალიანსებით, ქმნის ფინანსური კრიზისების გაზრდილ რისკებს. სა-

ფონდო ბირჟის რყევებმა, ვალუტის გაუფასურებამ და კაპიტალის გაქცევამ შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკის დესტაბილიზაცია, რაც იმოქმედებს დასაქმებაზე, შემოსავლებზე და სოციალურ სერვისებზე. გლობალური ფინანსური ვარდნა, როგორიცაა სავალაო კრიზისით ან საბანკო სისტემის დაშლით გამოწვეული, პირდაპირ ძირს უთხრის ადამიანის უსაფრთხოებას სიღარიბის, უმუშევრობის გაზრდით და სოციალური კეთილდღეობის პროგრამებისთვის ხელმისაწვდომი სახელმწიფო შემოსავლების შემცირებით (მაგალითები: 2008 წლის გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა და ბოლოდროინდელმა შოკებმა, როგორიცაა COVID-19 პანდემია, მილიონობით ადამიანი დააყენა გაზრდილი ეკონომიკური დაუცველობის წინაშე, მოაქცია ისინი სიღარიბეში და მნიშვნელოვნად მოშალა უსაფრთხოების სისტემები).

გლობალურ მიწოდებათა ჯაჭვების მნიშვნელოვანი შეფერხებები. გლობალიზაციამ ურთიერთდაკავშირა ეკონომიკები, მაგრამ კონფრონტაციული დინამიკა, როგორიცაა სავაჭრო სანქციები, ენერგეტიკული და სასურსათო ომები, არღვევს გლობალურ მიწოდების ჯაჭვებს. ამ შეფერხებებმა შეიძლება გამოიწვიოს აუცილებელი საქონლის დეფიციტი, მათ შორის საკვების, მედიკამენტების და ენერგიის, რაც გადამწყვეტია ადამიანის უსაფრთხოებისთვის. გარდა ამისა, მიწოდების ჯაჭვის დაუცველობა აყენებს ქვეყნებს, განსაკუთრებით მათ, რომლებიც დამოკიდებული არიან იმპორტზე, ფასების ნახტომისებური მატების და ინფლაციის წინაშე, რაც კიდევ უფრო აისახება მათ უნარზე, უზრუნველყონ ძირითადი სერვისები თავიანთი მოქალაქეებისთვის (ბოლოდროინდელმა შეფერხებებმა COVID-19-ის პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დროს აჩვენა, თუ რამდენად არის დამოკიდებული ეკონომიკა გლობალურ მიწოდების ჯაჭვებზე. შეფერხებებმა გამოიწვია საკვების ფასების ზრდა, სამედიცინო აღჭურვილობის დეფიციტი და ენერგეტიკული დაუცველობა მსოფლიოს რამდენიმე რეგიონში).

ინფლაცია და ცხოვრების ხარჯების კრიზისი. ინფლაციის მაღალი მაჩვენებლები, ხშირად გამწვავებული ეკონომიკური გაურკვევლობისა და გლობალური დაძაბულობის გამო, ამცირებს ინდივიდებისა და ოჯახების მსყიდველუნარიანობას. ფასების ზრდა ძირითად საქონელზე, როგორიცაა საკვები, საწვავი და საცხოვრებელი სახლი, არაპროპორციულად აისახება ყველაზე დაუცველ მოსახლეობაზე, რაც ამძაფრებს სიღარიბეს და უთანასწორობას. როდესაც მთავრობები იბრძვიან ინფლაციის კონტროლისთვის, ადამიანის უსაფრთხოება საფრთხეშია, რადგან ძირითადი ბაზური საჭიროებები ბევრისთვის მიუწვდომელი ხდება (გლობალურმა ინფლაციურმა ზენოლამ, რომელიც დაფიქსირდა 2022–2023 წლებში ენერგიის დეფიციტის და საკვების მიწოდების შეწყვეტის გამო, მნიშვნელოვნად გაზარდა ცხოვრების ღირებულება, რამაც გამოიწვია ფართო უკმაყოფილება, პროტესტი და სოციალური არასტაბილურობა როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში).

დასაქმება და შრომის ბაზრის არასტაბილურობა. ეკონომიკური გაურკვევლობა ასუსტებს შრომის ბაზრებს, რადგან ბიზნესები ამცირებენ ინვესტიციებს, ამცირებენ სამუშაო ადგილებს ან ანაცვლებენ ოპერაციებს გეოპოლიტიკური რისკების გამო. კონფრონტაციული გლობალიზაცია, რომელიც გამოირჩევა პროტექციონიზმითა და სავაჭრო დინამიკის ცვლილებით, კიდევ უფრო არღვევს შრომის ბაზრებს, განსაკუთრებით გლობალურ ვაჭრობაზე დამოკიდებულ სექტორებში. სამუშაო ადგილების დაკარგვა, შემოსავლის დაუცველობა და არასრულფასოვნება ამცირებს ინდივიდების უნარს, მიიღონ წვდომა ჯანდაცვაზე, განათლებაზე და საცხოვრებელზე, რაც პირდაპირ ძირს უთხრის ადამიანის უსაფრთხოებას (გაურკვეველი ეკონომიკური პირობებით დაჩქარებულმა ავტომატიზაციამ და დიגיტალიზაციამ შეიძლება კიდევ უფრო გამოანთავისუფლონ (განდევნონ) მომუშავეები, მაშინ როცა გიგ-ეკონომიკა უზრუნველყოფს ხშირად დაუცველ, დაბალანაზღაურებად სამუშაოს შესამჩნევად მცირე შეღავათებით, რაც ამცირებს მუშაკთა მედეგობას ეკონომიკური შოკების დროს).

მზარდი ეკონომიკური უთანასწორობა. გეოპოლიტიკური კონკურენციისა და ეკონომიკური გაურკვევლობის გარემოში, გლობალიზაციის უპირატესობები და სარგებელი სულ უფრო მეტად კონცენტრირდება რამდენიმე ადამიანის ხელში, მაშინ როცა მოსახლეობის დიდი ნა-

წილი განიცდის ხელფასების სტაგნაციას, უმუშევრობას ან შემცირებულ წვდომას ეკონომიკურ შესაძლებლობებზე. ეს მზარდი უთანასწორობა საფრთხეს უქმნის სოციალურ მთლიანობას და პოლიტიკურ სტაბილურობას, რადგან მარგინალიზებული ჯგუფები უფრო მგრძნობიარენი ხდებიან სიღარიბის, კონფლიქტისა და ექსპლუატაციის მიმართ (მდიდრებსა და ღარიბებს შორის მზარდი უფსკრული უფრო მძაფრდება ტექნოლოგიურ მიღწევებზე, ჯანდაცვასა და განათლებაზე არათანაბარი ხელმისაწვდომობით. ეკონომიკური უთანასწორობა ზღუდავს სოციალურ მობილობას და ძირს უთხრის ინდივიდებისა და სოციალური ჯგუფების შესაძლებლობებს კრიზისებთან გამკლავებაში).

სახელმწიფო ვალი და ფისკალური შეზღუდვები. გეოპოლიტიკური ზენოლის ან გლობალური გაურკვევლობის წინაშე მყოფი ქვეყნები შეიძლება აღმოჩნდნენ მზარდი სახელმწიფო ვალის პრობლემის წინაშე (რადგან ისინი ახორციელებენ სტიმულირების ზომებს, რათა დაასტაბილურონ თავიანთი ეკონომიკა ან კონფლიქტის პირობებში ახორციელებენ თავდაცვის ხარჯებს. ვალის მაღალი დონე ზღუდავს მთავრობების ფისკალურ სივრცეს სოციალურ სერვისებში, ჯანდაცვაში და ინფრასტრუქტურაში ინვესტიციებისთვის, რაც გადამწყვეტია ადამიანის უსაფრთხოებისთვის. მძიმე შემთხვევებში, ვალის კრიზისმა შეიძლება გამოიწვიოს მკაცრი ეკონომიკური ზომები, შეამციროს რა ამით საზოგადოების კეთილდღეობა და გაზარდოს დაუცველობა (რამდენიმე განვითარებად ქვეყანაში, მაღალმა სახელმწიფო ვალმა გამოიწვია ინვესტიციების შემცირება კრიტიკულ სფეროებში, როგორიცაა ჯანდაცვა და განათლება, რამაც მილიონობით ადამიანი უფრო ღრმა სიღარიბეში მოაქცია. საბერძნეთის სავალო კრიზისი და 2010-იან წლებში მიღებული მკაცრი ეკონომიკური ზომები ამ პრობლემის მკაფიო ილუსტრაციას წარმოადგენს).

კლიმატის ცვლილება და გარემოს დაცვა. კონფრონტაციული გლობალიზაციის ეპოქაში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით საერთაშორისო თანამშრომლობა სუსტდება, რაც გარემოს დეგრადაციას ამწვავებს. გლობალური ტემპერატურის ზრდა, ექსტრემალური ამინდის მოვლენები და რესურსების დეფიციტი (მაგ. წყალი, სახნავი მიწა) არაპროპორციულად მოქმედებს ღარიბ ერებსა. ეს გარემო ფაქტორები სულ უფრო მეტად არის აღიარებული, როგორც ადამიანის უსაფრთხოების მაკროეკონომიკური დეტერმინანტები, რადგან ისინი ინვესტენ მასობრივ მიგრაციას, სასურსათო დაუცველობას და კონფლიქტებს რესურსებთან დაკავშირებით (ქვეყნები, რომლებიც დიდწილად ეყრდნობიან სოფლის მეურნეობას ან ბუნებრივ რესურსებს, განსაკუთრებით დაუცველები არიან კლიმატის ცვლილების გამო გამოწვეული ეკონომიკური შოკების მიმართ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ფართო გადაადგილება და კონფლიქტი რესურსების შემცირებასთან დაკავშირებით).

ენერგეტიკული უსაფრთხოება და რესურსებზე დამოკიდებულება. კონფრონტაციული გლობალიზაცია ხშირად ვლინდება ენერგეტიკული პოლიტიკის საშუალებით, როდესაც ქვეყნები იყენებენ კონტროლს ნავთობზე, გაზსა და სხვა რესურსებზე, როგორც გეოპოლიტიკურ ინსტრუმენტებს. ენერგეტიკის იმპორტზე ძლიერ დამოკიდებულ ქვეყნებს ემუქრებათ მნიშვნელოვანი რისკები ადამიანის უსაფრთხოების კონტექსტით, როდესაც ენერგორესურსების ფასები იზრდება ან მინოდება შეფერხებულია. ენერგეტიკულმა დაუცველობამ შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური სტაგნაცია, ბიზნესისა და შინამეურნეობების ხარჯების ზრდა და ელექტროენერგიის, გათბობისა და ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის შემცირება (ევროკავშირის ენერგეტიკული კრიზისი, რომელიც გამწვავდა რუსეთის წინააღმდეგ სანქციებით უკრაინის კონფლიქტის შემდეგ, ხაზგასმით აღნიშნავს ენერგეტიკაზე დამოკიდებული რეგიონების დაუცველობას გეოპოლიტიკური დაძაბულობის მიმართ, რაც იწვევს ინფლაციურ ზენოლას და ენერგომოხმარების ნორმირებას).

მიგრაცია და გადაადგილება. ეკონომიკური გაურკვევლობა, კონფლიქტები და გარემოსდაცვითი კრიზისები ხელს უწყობს ფართომასშტაბიან მიგრაციას და გადაადგილებას, რაც კიდევ უფრო ართულებს ადამიანის უსაფრთხოების საკითხს. მიგრანტებსა და იძულებით გადა-

ადგილებულ პირებს ხშირად ექმნებათ არასტაბილური საცხოვრებელი პირობები, შეზღუდული ხელმისაწვდომობა სოციალურ სერვისებზე და დასაქმების დაუცველობა. მასპინძელი ქვეყნებს, რომლებიც უკვე ებრძვიან ეკონომიკურ გამონეგებს, შეიძლება გაუჭირდეთ დიდი მიგრანტების ინტეგრაცია, რაც გამოიწვევს სოციალურ და ეკონომიკურ დაძაბულობას (ბოლოდროინდელი მიგრაციის ტალღები, მკაფიოდ მიაჩნიავენ გეოპოლიტიკურ არასტაბილურობას, ეკონომიკურ კრიზისებსა და ადამიანთა უსაფრთხოების საკითხებს შორის ღრმა კავშირებზე).

გლობალური მრავალმხრივი ინსტიტუტების შესუსტება. კონფრონტაციული გლობალიზაციის ეპოქაში, მრავალმხრივი ინსტიტუტები, როგორიცაა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO), გავლენის შესუსტების წინაშე დგანან. ეფექტიანი გლობალური მმართველობის გარეშე, ეკონომიკურ კრიზისებზე, პანდემიებსა და კლიმატის ცვლილებაზე კოორდინირებული რეაგირება რთული ხდება, რაც ასუსტებს გლობალურ დონეზე ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველყოფის კოლექტიურ შესაძლებლობებს (პროტექციონიზმის, ცალმხრივი სანქციების და გაფანტული სავაჭრო შეთანხმებების ზრდა ამცირებს გლობალური თანამშრომლობის მექანიზმების ეფექტიანობას, ძირს უთხრის გლობალურ ერთიანობას, როგორიცაა საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და გარემოს დაცვა, რომლებიც გადამწყვეტია ადამიანის გრძელვადიანი უსაფრთხოებისთვის).

პოლიტიკური სტაბილურობა და სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიანობა. ეფექტიანი და სტაბილური სამთავრობო ინსტიტუტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე კონკრეტულად ადამიანის ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოების შენარჩუნებაში. ძლიერ ინსტიტუტებს შეუძლიათ ეფექტიანად გაანალიზონ რესურსები, შეინარჩუნონ უზრუნველყოფის კანონის უზენაესობა და წესრიგი, განავითარონ სოციალური უსაფრთხოების სისტემები და თავიდან აიცილონ ეკონომიკური კრიზისები. პოლიტიკური არასტაბილურობა, კორუფცია და ცუდი, არაეფექტიანი მმართველობა იწვევს ეკონომიკური პრობლემების გამწვავებას და ადამიანის უსაფრთხოების გაუარესებას.

კულტურული უსაფრთხოების პრობლემები. კულტურული იდენტობის დაცვა და კულტურული ფასეულობების შენარჩუნება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკური ზრდის პროცესში, საზოგადოების სტაბილურობის და ერთიანობის უზრუნველყოფაში.

აღნიშნული ფაქტორები ერთად ქმნის ხელსაყრელ ან არახელსაყრელ მაკროსისტემურ გარემოს საზოგადოების დონეზე ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მდგრადი ეკონომიკური განვითარება, რესურსების ეფექტიანი მართვა, კეთილდღეობის და საზოგადოებრივი დოვლათის სამართლიანი განაწილება არის ძირითადი ელემენტები ადამიანის უსაფრთხოების მაღალი დონის შესანარჩუნებლად.

ამრიგად, გაურკვევლობისა და კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში, ადამიანის უსაფრთხოების დეტერმინანტები სულ უფრო დაუცველი და ურთიერთდამოკიდებული ხდება. ეკონომიკური კრიზისები, ინფლაცია, უთანასწორობა, გარემოსდაცვითი საფრთხეები და ენერგეტიკული დამოკიდებულება უფრო მეტად მძაფრდება სუსტი საერთაშორისო ინსტიტუტების და მზარდი გეოპოლიტიკური დაძაბულობის გამო. ასეთ გლობალურ გარემოში ადამიანის უსაფრთხოების დაცვა მისი სოციალურ-ეკონომიკური კონცეფციის შესაბამისად მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას და შეთანხმებულ ქმედებებს, მაკროსისტემური სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკების შემუშავებას და რეალიზაციას, მიმართულს მდგრადობის, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობისაკენ. თანამედროვე პირობებში ფრიად მნიშვნელოვანია ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე ორიენტირებული მთლიანობითი ინტერდისციპლინური ინსტიტუტის ფორმირება, მისი ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საჭირო რესურსებით, შესაბამისი ნორმებით, კანონებით და მექანიზმებით.

ლიტერატურა

1. ბედიაშვილი გ., კობრეიძე გ., მიქელაძე ნ. (2024). გლობალური მდგრადი კონკურენტუნარიანობის და ეკონომიკური უსაფრთხოების ეკონომიკური პოლიტიკა: მაკროასპექტი. VI ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის მასალები: „მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაცია და ეკონომიკური უსაფრთხოება: საქართველოს ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები“. ანსუ, ქუთაისი, 67-82.
2. ერქომაიშვილი გ. (2024). მწვანე წყალბადის როლი ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებაში და მისი წარმოებისათვის ინფრასტრუქტურის შექმნის ტენდენციები საქართველოში. VI ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის მასალები: „მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაცია და ეკონომიკური უსაფრთხოება: საქართველოს ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები“. ანსუ, ქუთაისი, 38-45.
3. ვეშაპიძე, ვ. (2024). უსაფრთხოების ზოგიერთი ეკონომიკური ასპექტი ეკონომიკურ მოძღვრებათა კონტექსტში. *ეკონომისტი*, 20 (4).
4. პაპავა ვ. (2024). მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის შესაძლო ცვლილებები გლობალიზაციის ტრანსფორმაციის პირობებში და „შუა დერეფანი“. VI ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის მასალები: „მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაცია და ეკონომიკური უსაფრთხოება: საქართველოს ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები“. ანსუ, ქუთაისი, 12-27.
5. ჩიქობავა მ. (2023). მზარდი სახელმწიფო ვალი, როგორც მოსალოდნელი გლობალური რეცესიის მთავარი ფაქტორი. ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის მასალები: „მსოფლიო ეკონომიკა პოსტპანდემიურ პერიოდში: შედეგები და გამოწვევები“. თსუ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი.
6. Ahir H., Bloom N., & Furceri D, 2023. Global Economic Uncertainty Remains Elevated, Weighing on Growth. Retrieved February 2, 2024, from <https://www.imf.org/en/Blogs/Articles/2023/01/26/global-economic-uncertainty-remains-elevated-weighing-on-growth>.
7. Bedianashvili G. (2023). Macrosystemic Challenges of Uncertainty under the Conditions of Confrontational Globalization. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 17(2), 174-179.
8. Gordon, D. (2012). Socio-Economic Security. In: van der Maesen, L.J.G., Walker, A. (eds) *Social Quality*. Palgrave Macmillan, London. https://doi.org/10.1007/978-0-230-36109-6_6
9. Kharaisvili E. (2024). The Impact of conflict on food security: empirical challenges and opportunities. Conference materials: “STRATEGIC IMPERATIVES OF MODERN MANAGEMENT”, Kyiv, Ukraine.
10. Kipiani V. (2024). On some features of modern economic security (In Georgian). Retrieved August 25, 2024, from <https://accentnews.ge/ka/article/111939-tanamedrove-ekonomikuriusaprtxoebis-zogiertavis>
11. Lindstaedt N. (2022). *Human Security in Disease and Disaster*. New York. <https://doi.org/10.4324/9781003128809>
12. Papava, V., Bedianashvili, G. (2024). Social and Economic Resilience in Conditions of Confrontational Globalization and Uncertainty. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 18(3), 174-180.
13. Papava V., Maisaia V. (2023). On Economic Security under Confrontational Globalization and the Main Concepts of Geo-Economic Warfare. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*. 17(3):116-120.
14. Papava V. (2022). Pandemic, War and Economic Sanctions: From Turbulent to Confrontational Globalization. *Eurasia Review*, May 23. Retrieved November 17, 2023, from <https://www.eurasiareview.com/23052022-pandemic-war-and-economic-sanctions-from-turbulent-to-confrontational-globalization-oped/?fbclid=IwAR1zLFJs1kUFJWgp6qRXRWhLOy2OWnWjwIVUjMwjph-njqs00KoUQSi12Z4I>

15. SolAbility (2024). The GSCI: Global Sustainability Competitiveness Index. Retrieved January 6, 2024, from <https://solability.com/the-global-sustainable-competitiveness-index/the-index>
16. Veshapidze S. & Karchava L. (2022) Contradictions of globalization under the COVID-19 pandemic. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences.*, 16(4), 152-157.
17. Veshapidze, S., Zubiashvili, T., & Chiabrishvili, K. (2021). Globalization and new Opportunities for Georgia. *Globalization and Business*, 6(12), 32-36.

MACROSYSTEMIC DETERMINANTS OF HUMAN SOCIOECONOMIC SECURITY IN THE CONDITIONS OF UNCERTAINTY AND CONFRONTATIONAL GLOBALIZATION

Givi Bedianashvili

Professor (associate), Doctor of Economic Sciences

Summary

The main goal of the study is to develop a concept relevant to the contemporary challenges of human security in the face of confrontational globalization and growing uncertainty. In this regard, the socio-economic concept is discussed and substantiated, the peculiarities of this concept are analyzed, the importance of its practical realization is emphasized. Attention is paid to the identification of macrosystemic determinants of human socio-economic security and the importance of their regulation. The study shows that in modern conditions it is important to form an interdisciplinary institution of human socio-economic security and ensure its effective functioning.

Key words: *confrontational globalization, uncertainty, human security, socio-economic concept of security, institute of human socioeconomic security*

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის როლი კომპანიის იმიჯის და ბიზნესის რეპუტაციის ჩამოყალიბებაში

ხათუნა პერიშვილი
ეკონომიკის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი

ანოტაცია

საბაზრო ეკონომიკაში ბიზნესის წარმატება დამოკიდებულია სხვადასხვა ენდოგენურ და ეგზოგენურ ფაქტორებზე, მათ შორის: საბაზრო გარემოზე, სამეწარმეო პროფესიონალიზმზე, ინტუიციამ და სხვა. ამ კონტექსტში, წარმატებულმა კომპანიებმა, უნდა გააცნობიერონ, რომ გარკვეული ბალანსისა და მდგრადობის შესანარჩუნებლად, მათ საზოგადოების წინაშე უნდა გამოავლინონ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის უნარი.

სტატიაში განხილულია ტერმინის „კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა“ ინტერპრეტაციისადმი ძირითადი მიდგომები, ხაზგასმულია სოციალური პასუხისმგებლობის როლი ბიზნესის განვითარებაში. განხილულია ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, როგორც ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის ეფექტიანი დიალოგის ინსტრუმენტი. მოცემულია რეკომენდაციები ამ ურთიერთობების მარეგულირებელი წესების შემუშავებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, კომპანიის იმიჯი, რეპუტაცია, გრძელვადიანი ინვესტიცია, განვითარება.

გლობალიზაციის პირობებში, ტურბულენტობისა და გლობალურ ბაზარზე გაზრდილი კონკურენციის შედეგად, საწარმოებისა და ორგანიზაციების კონკურენციული უპირატესობების გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანი ხდება ბიზნესის ახალი ფორმების ძიება.

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR), წარმოადგენს კომპანიის თვითგანვითარების ეფექტიან ინსტრუმენტს. ის არის ბიზნეს ეთიკის სტრუქტურის ნაწილი, რომელიც ეხება არსებულ ბიზნესგარემოში ჩამოყალიბებულ ეთიკურ და მორალურ საკითხებს, [2].

ევროპის ბიზნესისა და საზოგადოების აკადემიის (EABIS) კონფერენციაზე ი.ბეტინგესის მოხსენებაში (De Bettines, 2002) წარმოდგენილი იყო 18 ძირითადი კონცეფცია, რომლებიც დაკავშირებულია CSR-თან.

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი განმარტება წარმოდგენილია ISO 26000 საერთაშორისო სტანდარტში: „სოციალური პასუხისმგებლობის სახელმძღვანელო.“ ამ დოკუმენტის თანახმად, სოციალური პასუხისმგებლობა არის ორგანიზაციის პასუხისმგებლობა მისი გადაწყვეტილებებისა და საქმიანობის საზოგადოებაზე ზეგავლენა გამჭვირვალე და ეთიკური ქცევის გზით, რომელიც ხელს უწყობს მდგრად განვითარებას, მათ შორის საზოგადოების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას; ითვისების მხარეების ინტერესებს; ხელს უწყობს მოქმედი კანონმდებლობის განხორციელებას და შეესაბამება საერთაშორისო ქცევის სტანდარტებს (ISO 26000, 2015).

საბაზრო ეკონომიკაში ბიზნესის წარმატება დამოკიდებულია სხვადასხვა ენდოგენურ და ეგზოგენურ ფაქტორებზე, მათ შორის: საბაზრო გარემოზე, სამეწარმეო პროფესიონალიზმზე, ინტუიციამ და სხვა. ამ კონტექსტში, წარმატებულმა კომპანიებმა, უნდა გააცნობიერონ, რომ გარკვეული ბალანსისა და მდგრადობის შესანარჩუნებლად, მათ საზოგადოების წინაშე უნდა გამოავლინონ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის უნარი.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში და 21-ე საუკუნის დასაწყისში კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა გახდა სტრატეგიული ბიზნეს მენეჯმენტის პარადიგმა. ის გულისხმობს კორპორაციის ეკონომიკურ ინტერესებს, გარემოს დაცვას და მის შიგნით თუ გარეთ არსებული სოციალური საკითხების გადანეშვების სტაბილურ ბალანსს. შედეგად, ასეთი მიდგომა იწვევს ბიზნესის მდგრად განვითარებას. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში „მდგრადი განვითარების“ კონცეფცია, კორპორატიული მენეჯმენტის ფილოსოფიის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობისა და „მდგრადი განვითარების“ შესახებ ანგარიშების მომზადების მნიშვნელოვანი ეტაპი იყო „გლობალური ანგარიშების ინიციატივის“ (GRI), საერთაშორისო სტანდარტის დანერგვა, რომელიც ეფუძნება კომპანიების ეკონომიკის, წარმოების ეკოლოგიის და სოციალური პოლიტიკის ერთიანობის პრინციპებს.

„მდგრადი განვითარების“ კონცეფციის კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ყოვლისმომცველი იმპლემენტაციის კვალდაკვალ, დაინერგა „დოუ ჯონსის მდგრადობის ინდექსი“ (DJSI). ეს ინდექსი გამოითვლება ინდიკატორების დიდი რაოდენობის საფუძველზე, ხოლო ამ მზნით კომპანიები ავსებენ სპეციალურ კითხვარებს, რომლებიც მოწმდება სპეციალურად უფლებამოსილი აუდიტორის Pricewaterhouse Coopers-ის მიერ. ამ გზით გაანგარიშებული ინდიკატორები ჯგუფდება კომპანიის ეკონომიკის, გარემოსდაცვითი კეთილგანწყობის და სოციალური სფეროების მიხედვით. ინდიკატორების დაახლოებით 60% ტიპურია, ხოლო 40% სექტორის მიხედვით განსხვავდება. გარდა ამისა, ამ ინდიკატორების სპეციალური „შენიშნული სკალის“ გამოყენებით მსოფლიო რეიტინგში განისაზღვრება კომპანიების, კონცერნების, ფინანსური ინსტიტუტებისა და კორპორაციების ადგილები [3].

ამჟამად, მდგრადი განვითარება ჩვეულებრივ განიმარტება, როგორც სოციალური განვითარების მოდელი, რომელიც ეფუძნება ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრის ინტეგრირებულ მიდგომას. საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კორპორატიულ სოციალურ პასუხისმგებლობასა და მდგრად განვითარებაზე მუშაობა კომპანიებს აძლევს ეფექტიან შედეგებს, სულ მცირე ოთხ სფეროში. ეს სფეროებია იმიჯის, საქმიანი რეპუტაციის და კაპიტალიზაციის ზრდა; სამუშაო ძალის გაძლიერება; კომპანიის გამჭვირვალობის და საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდა; სოციალური წვლილი მდგრად ეროვნულ განვითარებაში.

სოციალურად პასუხისმგებელი კომპანიის რეპუტაცია საშუალებას გვაძლევს შევქმნათ ხელსაყრელი სტაბილური ბიზნესგარემო, რაც გამოიხატება დაინტერესებული მხარეების ნდობის ზრდაში, ტრანზაქციული და ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებაში. კომპანიის კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობისა და სოციალური პროგრამების ეკონომიკური ეფექტიანობა ასევე აისახება რეკრუტირებისა და პერსონალის მართვის ხარჯების შემცირებაში. კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამები და ინვესტიციები კომპანიებს ეხმარება რისკების, რეპუტაციული ზიანის შემცირებაში [3].

21-ე საუკუნის ნეოეკონომიკაში მთავარი არის არა ბუნებრივი რესურსები, არამედ ადამიანური პოტენციალი და კომპანიისადმი ნდობა (ბრენდი, იმიჯი). კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის მენეჯმენტი აძლიერებს და ავითარებს ზუსტად ამ ორ ფაქტორს.

21-ე საუკუნის ბაზარი იწვევს უფრო ეთიკურ ბიზნეს პროცესებსა და ქმედებებზე მოთხოვნას. 2011 წლიდან ბიზნეს საზოგადოება და სოციალური ცვლილებების აქტორები აქტიურად განიხილავენ „საერთო ღირებულების შექმნის“ პრაქტიკას, რომელიც დეტალურად არის აღწერილი მაიკლ პორტერის (Michael Porter) მიერ საკონსულტაციო ორგანიზაცია FSG (აშშ) ექსპერტთა გუნდთან თანამშრომლობით. CSV კონცეფცია უკვე დაეხმარა ბევრ კომპანიას ახალი შესაძლებლობების გახსნაში, ინოვაციური გადანეშვებების დანერგვასა და სოციალური პრობლემების გადაჭრის პროცესში. უეინ დანი თვლის, რომ CSV-ის ასეთი მნიშვნელოვანი პო-

ტენციალი საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ „საზიარო ღირებულების შექმნა“, როგორც CSR-ის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი, პერსპექტიული ბიზნეს სტრატეგია, მაგრამ კორპორაციების საქმიანობაში არ აქცევს ამ პრაქტიკას ცალკე ფენომენად (WCED, 2007). კომპანიების სოციალურად მნიშვნელოვანი აქტივობების გასაანალიზებლად და შესაფასებლად, მეცნიერი გვთავაზობს გამოვიყენოთ უფრო უნივერსალური ინსტრუმენტი, რომელსაც უწოდებს "(CSR Value Continuum"-ს) და ის მოიცავს ინიციატივების მთელ მრავალფეროვნებას, სოციალური ფასეულობების პოპულარიზაციას. ამ კონტინუუმში ყველა სახის საქმიანობა წარმოქმნის ბიზნეს ღირებულებებს, რომლებიც, ამა თუ იმ ხარისხით, შეესაბამება აქციონერთა და დაინტერესებულ მხარეთა ინტერესებს. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამები და პროექტები, რომლებიც უფრო ახლოს არიან კონტინუუმში „ღირებულების შექმნასთან“, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ინიციატივები, რომლებიც არ იზიარებენ ამ ღირებულებებს. მაგრამ ეს არის ბოლო წლების ერთ-ერთი მცდარი წარმოდგენა, რადგან კორპორაციებისა და ადგილობრივი დაინტერესებული მხარეებისთვის მნიშვნელოვანია კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის აბსოლუტურად ყველა სახის გრანტები, სტიპენდიები, ურბანული გარემოს განვითარების, ეკოლოგიური ბალანსის აღდგენის პროექტები.

არგუმენტები ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების სასარგებლოდ შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: სოციალურად პასუხისმგებლიან ბიზნესებს უფრო გრძელვადიანი პერსპექტივები გააჩნია. ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესება კომპანიებისთვის მნიშვნელოვანი და სასარგებლოა. სოციალური თვალსაზრისით განვითარებულ საზოგადოებაში იქმნება უფრო ხელსაყრელი პირობები ბიზნესისთვის, ამიტომ, მაშინაც კი, თუ სოციალური აქტივობის მოკლევადიანი ხარჯები მაღალია, გრძელვადიან პერსპექტივაში მათ შეუძლიათ მოგების სტაბილიზაცია, ხოლო ბიზნესის მხრიდან სოციალური პასუხისმგებლობის დემონსტრირება აკმაყოფილებს ფართო საზოგადოების მოლოდინს. ამავდროულად მნიშვნელოვანია თავად კორპორაციის მორალური ვალდებულება, საზოგადოების წინაშე მოიქცეს სოციალური პასუხისმგებლობით.

ნებისმიერი კომპანია უპირველეს ყოვლისა საზოგადოების წევრია, ამიტომ, ამ საზოგადოებაში არსებული მორალური სტანდარტები უნდა არეგულირებდეს მის ქცევას. გარდა ამისა, ვინაიდან კანონები ვერ მოიცავს საზოგადოებრივი ქცევის ყველა ნორმას, კომპანიები თავიანთი პასუხისმგებლობით, ხელს უწყობენ კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული საზოგადოების ფორმირებას. ეჭვგარეშეა, რომ ნორმალური ბიზნესი შეიძლება განვითარდეს მხოლოდ კანონმდებლობაზე დამყარებულ სამართლებრივ სახელმწიფოში. თუმცა, კანონის ყველაზე სრულყოფილი უზენაესობაც კი ვერ გადაჭრის ბიზნესის ეთიკური საფუძვლების პრობლემას. კანონი და მორალი თავიანთი სოციალური ფუნქციებით ერთმანეთთან ახლოსაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს ცნებები არ არის იდენტური. უფრო მეტიც, კანონისა და ზნეობის მნიშვნელობა, განსხვავებულია სხვადასხვა საზოგადოებაში. ამ მხრივ, კანონიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას აუცილებლად უნდა დაემატოს მორალური და ეთიკური სტანდარტები, რაც უნდა აისახოს კორპორატიულ ეთიკაში.

მენეჯერებისა და რიგითი თანამშრომლების ეთიკური ქცევის დონის ასამაღლებლად, ორგანიზაციებში ამჟამად მუშავდება ეთიკის კოდექსები, რომლებიც აღწერს ორგანიზაციის საერთო ეთიკურ ღირებულებებათა სისტემას და კორპორატიულ წესებს, რომლებიც უნდა დაიცვან მისმა თანამშრომლებმა. ისინი აუცილებელია ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად, ჯანსაღი ეთიკური ატმოსფეროს შესაქმნელად და გადანეყვებილების მიღების პროცესში ეთიკური პრინციპების განსაზღვრისათვის.

საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ დღეს ბევრი კომპანია, რომელიც ძირითადად განვითარებულ ქვეყნებში ოპერირებს, მიიჩნევს, რომ მათი ფინანსური საქმიანობის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ითვალისწინებენ ისინი დაინტერესებულ მხარეებს და

მთლიანად საზოგადოების ინტერესებს თავიანთ საქმიანობაში. თავდაპირველად, სოციალური პროექტების დაფინანსება კომპანიების მიერ განიხილებოდა, როგორც „იძულებითი ხარჯი“, მაგრამ კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ეს არის ერთგვარი „ინვესტიცია“, რომელიც კომპანიების მოგებას მნიშვნელოვნად ზრდის. ჰარვარდის ბიზნეს სკოლის მიერ ჩატარებული კვლევით დადგინდა რომ, გრძელვადიან პერსპექტივაში, სოციალურად პასუხისმგებელ კომპანიებს აქვთ პერსონალის ეფექტიანობის უფრო მაღალი მაჩვენებლები (სოციალური პასუხისმგებლობაში ჩართული კომპანიების ეს მაჩვენებელი არის 54%, იმ კომპანიებისთვის, რომლებიც არ იყენებენ სოციალურ პროგრამებს 18 %) [8] .

დასკვნა

ამრიგად, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პრობლემის აქტუალიზაცია და პრიორიტეტი განპირობებულია მთელი რიგი გარემოებებით, რომელთაგან მთავარია ეკონომიკური ზრდის არამატერიალური ფაქტორების მზარდი მნიშვნელობა, დაკავშირებული ადამიანური პოტენციალის განვითარებასთან. დღეს ბაზარზე მოქმედი ფირმების კონკურენტუნარიანობა დიდწილად განისაზღვრება ხარისხთან დაკავშირებული ფაქტორებით და არა ფასით. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი არის ინოვაციების და უახლესი ტექნოლოგიური მიღწევების აღქმის უნარი, რომელიც ეფუძნება ადამიანურ, ინტელექტუალურ, სოციალურ კაპიტალს, ანუ სამუშაო ძალის ხარისხს და თანამშრომელთა მოტივაციას. სწორედ ეს გარემოება ადგენს ბიზნესის სოციალიზაციის ეკონომიკურ იმპერატივებს.

ლიტერატურა

1. Berishvili Kh. (2020) Implementation of the concept of business social responsibility in the political systems of social democracy. World economy and international economic relations. Volume 3
2. Berishvili Kh. M.Arnadze(2022). The role of corporate social responsibility in modern global business. dspace.tsu.ge
3. Berishvili Kh. (2017). Problems of evaluation and change of corporative social responsibility. Universal.
4. Shengelia T, Berishvili Kh. (2023).The European experience of corporate social responsibility and the reality of Georgia. Academics and Science Reviews Materials, – ojs.scipub.de
5. Shengelia T, Berishvili Kh. (2023). Improving the Methodology of Measuring Social Capital in International Companies. Sciences of Europe, 2022 – cyberleninka.ru
6. De Bettines, (2014)Reviewing Meanings and Contexts of Role of Business in Society. Launch of the European Academy of Business and Society. Fontenebleau www.eabis.org.
7. International standard ISO 26000 "Guidance on social responsibility" [http://www.ksovk.com/doc/iso_fdis_26000_ pdf.
8. Frederik A, (2005) Corporate Social Responsibility and Sustainable Development: Global Experience and Concept. Management. 2005. № 3.
9. WCED. Our Common Future. Oxford : Oxford University Press, 2007.
10. Rojer K. (2014). CSR value continuum: from the promotion of existing values to their creation by CSR. http://ep-digest/.

THE ROLE OF CORPORATE SOCIAL RESPONSIBILITY IN SHAPING THE COMPANY'S IMAGE AND BUSINESS REPUTATION

Khatuna Berishvili

*Doctor of Economics,
associate professor of Tbilisi State University*

Conclusion

Thus, the actualization and priority of the problem of social responsibility of business is due to a number of circumstances, the main of which is the growing importance of intangible factors of economic growth, related to the development of human potential. The competitiveness of companies operating in the market today is largely determined by factors related to quality, not price. The most important of them is the ability to perceive innovation and the latest technological advances, which is based on human, intellectual, social capital, ie the quality of the workforce and the motivation of employees. It is this circumstance that determines the economic imperatives of business socialization.

პოლიტიკური ფაქტორების გავლენა საქართველოს ეკონომიკურ სტაბილურობაზე

ირაკლი გაზდელიანი

დოქტორანტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Email: Irakli.gazdeliani331@eab.tsu.edu.ge

თეა მუნჯიშვილი

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Email: tea.munjishvili@tsu.ge

ლალი ხურცია

ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Email: lali.khutsia@tsu.ge

ანოტაცია

წინამდებარე კვლევა ფოკუსირებულია საქართველოს ეკონომიკის მდგრადობის კომპლექსურ შეფასებაზე. კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო დაფუძნებულია PESTLE ანალიზის ინსტრუმენტზე, კერძოდ კი მის ორ ძირითად კომპონენტზე – პოლიტიკურ (P) და ეკონომიკურ (E) ფაქტორებზე. ამ მიდგომის საშუალებით გაანალიზდა ქვეყნის მაკროეკონომიკური გარემო და გამოვლინდა ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ საქართველოს ეკონომიკურ სტაბილურობასა და მდგრად განვითარებაზე.

კვლევაში შესწავლილია პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულება, რაც მოიცავს პოლიტიკური გადაწყვეტილებების გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე და ეკონომიკური მდგომარეობის ზემოქმედებას პოლიტიკურ სტაბილურობაზე. ასევე გაანალიზებულია საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების გავლენა ქვეყნის განვითარებაზე.

კვლევის შედეგები ეყრდნობა ორ ძირითად მოდელს: გრავიტაციულ და ლოგიკო-რეფლექსურ მოდელებს, სადაც გამოყენებულია ეგზოგენური ცვლადები ალბათური მნიშვნელობებით, რაც საშუალებას იძლევა გათვალისწინებულ იქნას გარე ფაქტორების გაურკვევლობა და მათი პოტენციური გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. ეს მიდგომა ხელს უწყობს უფრო რეალისტური სცენარების შემუშავებას და რისკების უკეთ შეფასებას.

საკვანძო სიტყვები: საგარეო ვაჭრობა, ეკონომიკური მდგრადობა, PESTEL ანალიზი, ლოგიკო-რეფლექსური მოდელირება, ეკონომიკური პოლიტიკა.

შინაარსი

საქართველოს ეკონომიკური მდგრადობა წარმოადგენს კომპლექსურ საკითხს, რომელიც მოითხოვს მრავალმხრივ ანალიზს. ეს თემა განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში, სადაც ეკონომიკური შოკები სწრაფად ვრცელდება და ქვეყნებს სჭირდებათ მზადყოფნა მრავალფეროვანი გამოწვევების დასაძლევად.

PESTLE ანალიზის ჩარჩოს გამოყენებით, კერძოდ კი მისი პოლიტიკური (P) და ეკონომიკური (E) კომპონენტებით, კვლევაში შეფასებულია ქვეყნის მაკროეკონომიკური გარემო და მისი გავლენა ეკონომიკურ სტაბილურობაზე. ეს მიდგომა საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ ის კომპლექსური ურთიერთკავშირები, რომლებიც არსებობს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და ეკონომიკურ შედეგებს შორის. PESTLE ანალიზის ეს ორი კომპონენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რადგან ქვეყანა გარდამავალ ეტაპზეა და მისი ეკონომიკური განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული პოლიტიკურ სტაბილურობასთან და რეფორმებთან.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულებას საქართველოს კონტექსტში, თუ როგორ ახდენს გავლენას პოლიტიკური გადაწყვეტილებები ეკონომიკურ ზრდაზე და პირიქით, როგორ ზემოქმედებს ეკონომიკური მდგომარეობა პოლიტიკურ სტაბილურობაზე.

მეთოდოლოგიურად, კვლევის შედეგები ეყრდნობა გრავიტაციულ და ლოგიკო-რეფლექსურ მოდელებს, რომლებშიც გამოყენებულია ეგზოგენური ცვლადები ალბათური მნიშვნელობებით. გრავიტაციული მოდელი გამოიყენება საერთაშორისო ვაჭრობისა და ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზისთვის, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, როგორც მცირე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის. ლოგიკო-რეფლექსური მოდელი კი საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ კომპლექსური ურთიერთკავშირები სხვადასხვა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებს შორის, რაც მნიშვნელოვანია გრძელვადიანი პროგნოზირებისთვის.

ამ მიდგომამ საშუალება მოგვცა შეფასებულიყო სხვადასხვა ფაქტორის გავლენა საქართველოს ეკონომიკურ მდგრადობაზე და გამოვლენილიყო პოტენციური რისკები და შესაძლებლობები. კვლევაში განხილულია ისეთი რისკები, როგორიცაა გეოპოლიტიკური არასტაბილურობა რეგიონში, გლობალური ეკონომიკური შოკები, და შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა.

ეს ანალიზი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირობებში, როდესაც გლობალური ეკონომიკური გარემო სწრაფად იცვლება და ქვეყნებს სჭირდებათ მოქნილი და ეფექტური სტრატეგიები თავიანთი ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, ეს ნიშნავს ბალანსის პოვნას ეკონომიკური ზრდის სტიმულირებასა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებას შორის. კვლევის შედეგები მიზნად ისახავს წვლილის შეტანას საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში, რათა გაიზარდოს ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობა და შემცირდეს მონყვლადობა გარე შოკების მიმართ.

მეთოდოლოგია და კვლევა

ქვეყნის განვითარება და წარმატება მრავალ ურთიერთდაკავშირებულ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთა სიღრმისეული ანალიზი აუცილებელია ეფექტური სტრატეგიის შესამუშავებლად. ამ მიზნით, PESTEL მოდელი წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც საშუალებას გვაძლევს კომპლექსურად შევაფასოთ პოლიტიკური (P), ეკონომიკური (E), სოციალური (S), ტექნოლოგიური (T), გარემოსდაცვითი (E) და სამართლებრივი (L) ასპექტები.

PESTEL ანალიზის გამოყენება საქართველოს, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნის შემთხვევაში, იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას, გამოვავლინოთ და შევისწავლოთ ის კრიტიკული ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ქვეყნის განვითარების ტრაექტორიას. ეს ცოდნა მნიშვნელოვანია როგორც ბიზნეს სექტორისთვის, ასევე სახელმწიფო პოლიტიკის შემქმნელებისთვის, რადგან ხელს უწყობს ინფორმირებული და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებას. შესაბამისად, საქართველოს PESTEL ანალიზი წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ინვესტიციებისა და პოლიტიკოსებისთვის, რომელიც ეხმარება მათ უკეთ გაიგონ ქვეყნის გამოწვევები

და შესაძლებლობები, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს ქვეყნის მდგრად განვითარებასა და წარმატებას.

P – პოლიტიკური გარემო: საქართველოს პოლიტიკური გარემო კომპლექსური და დინამური, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით, საქართველო ემხრობა ლიბერალურ სავაჭრო პრინციპებს და აქტიურად ცდილობს გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციას. ქვეყანა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრია და მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმებები აქვს გაფორმებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროკავშირთან, რომელმაც მნიშვნელოვნად გააფართოვა საქართველოს ეკონომიკური შესაძლებლობები. ამჟამად, საქართველოს 45 ქვეყანასთან აქვს ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა, რაც მას რეგიონში ლიდერ პოზიციას ანიჭებს. თუმცა, ზოგიერთ სექტორში კვლავ არსებობს გარკვეული ბარიერები, რომელთა აღმოფხვრაზეც მუშაობა გრძელდება.

საგადასახადო გარემოს თვალსაზრისით, საქართველო რეგიონში ერთ-ერთ ყველაზე კონკურენტუნარიან ქვეყნად მიიჩნევა. დაბალი საშემოსავლო და მოგების გადასახადები, ასევე მარტივი და გამჭვირვალე საგადასახადო კოდექსი ქვეყანას მიმზიდველს ხდის უცხოელი ინვესტორებისთვის. მიუხედავად ამისა, საგადასახადო ადმინისტრირების სისტემა კვლავ საჭიროებს დახვეწას, რაზეც მიუთითებენ როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ექსპერტები.

საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ სწრაფვა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსს. ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატის სტატუსის მოპოვება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ამ მიმართულებით. ამავდროულად, საქართველო ცდილობს დააბალანსოს ურთიერთობები რეგიონულ და გლობალურ ძალებთან, რაც ხშირად რთულ დიპლომატიურ მანევრირებას მოითხოვს.


პოლიტიკური სტაბილურობის თვალსაზრისით, საქართველო საშუალო დონეზეა. ქვეყანა აგრძელებს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას და პროგრესს აღწევს სხვადასხვა მიმართულებით, თუმცა არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევებიც.

რუსეთ-უკრაინის ომი უდიდესი გამოწვევაა მთელი რეგიონისთვის, მათ შორის საქართველოსთვისაც. ომის გამო საქართველომ დაკარგა უკრაინის და რუსეთის ბაზრები, თუმცა სანაცვლოდ მიიღო დიდი რაოდენობით ლტოლვილები და უცხოური კომპანიები. სამართლებრივად, ქვეყანამ საერთაშორისო სამართლის ნორმებით უნდა იხელმძღვანელოს. ამ სიტუაციასთან ერთვის ის ფაქტიც, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული პოლიტიკური დაძაბულობა ქმნის გარკვეულ სამართლებრივ გამოწვევებს. საქართველო ცდილობს დაიცვას საერთაშორისო სამართლის პრინციპები და თავის ტერიტორიული მთლიანობა, რაც პრობლემურია რუსეთთან მიმართებით, რაც კიდევ უფრო ართულებს ეკონომიკურ და სავაჭრო ურთიერთობების სამართლებრივ რეგულირებას.

გარდა რუსეთ-უკრაინის ომისა, დაძაბულობაა პალესტინასა და ისრაელს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ეს რეგიონი შორსაა საქართველოსგან, კონფლიქტმა გლობალური შედეგები ჰქონდეს. კონფლიქტი ზრდის ნავთობპროდუქტებზე ფასებს, რაც გავლენას ახდენს ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე. აღნიშნული სიტუაცია იძულებულს გვხდის გავითვალისწინოთ ეს რისკები ჩვენს პოლიტიკაში.


მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, საქართველო აგრძელებს რეფორმების გატარებას და ცდილობს გააუმჯობესოს საინვესტიციო გარემო. ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობის გაზრდა და ინსტიტუციური განვითარება რჩება მთავარ პრიორიტეტად, რაც აუცილებელია გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისა და სოციალური კეთილდღეობის მისაღწევად.

E – ეკონომიკური გარემო: ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისთვის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია მთლიანი შიდა პროდუქტი (GDP), რომელიც ასახავს ქვეყნის ეკონომიკური აქტივობის საერთო დონეს. GDP-ის გაანგარიშების ერთ-ერთი მეთოდია დანახარჯების მეთოდი, რომელიც გამოისახება ფორმულით: $GDP = C + I + G + NX$



წყარო: geostat.ge

სადაც: C – მოხმარება (Consumption); I – ინვესტიციები (Investment); G – სახელმწიფო ხარჯები (Government Spending); NX – წმინდა ექსპორტი (Net Exports).



წყარო: geostat.ge

მთლიანობაში საქართველოს მშპ-ს მონაცემები ბოლო წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2023*¹ წელს ქვეყნის მშპ-მ მუდმივ ფასებში 61.5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 7.5%-ით მეტია. თუმცა, მშპ-ს კომპონენტების დეტალური ანალიზი გვიჩვენებს, რომ წმინდა ექსპორტი (NX) უარყოფითია. ეს მდგომარეობა მიუთითებს საქართველოს საგარეო ვაჭრობის გამოწვევებზე და საჭიროებს უფრო სიღრმისეულ შესწავლას. იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ ეს დისბალანსი და მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე, მიზანშეწონილია ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების გამოყენება, სადაც სამწუხაროდ გათვალისწინებული არაა პოლიტიკური რისკ-ფაქტორები, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა უფ-

¹ 2023*-ის დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 2024 წლის 15 ნოემბერს.


რო ზუსტად შეგვეფასებინა არსებული მდგომარეობა და განგვესაზღვრა გაუმჯობესების პოტენციური გზები.

ლოგიკო-რეფლექსიის პრინციპის თანახმად აზროვნებისა და ენობრივი აქტივობის პროცესში გადაწყვეტილების მიმღები პირი ცნობს და აქტიურად ცვლის შემეცნების საკუთარ საშუალებებს. ეს შეესაბამება მენეჯმენტის პროცესებისათვის დამახასიათებელ ტიპს, სადაც მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება უკუკავშირით ხასიათდება. ეკონომიკური პროცესების მართვის ეს მექანიზმი ნ. ვინერის სქემას შეესაბამება, რომლის თანახმადაც ასევე ობიექტის მდგომარეობის შეფასება უკუკავშირის გათვალისწინებით ხორციელდება.

კრიზისული სიტუაციების დროს, იქნება ეს გლობალური ჯანდაცვის გამოწვევები, პოლიტიკური არასტაბილურობა, საომარი მდგომარეობა თუ სხვა, ტრადიციული ეკონომიკური მოდელები ხშირად არაეფექტური ხდება. ამ დროს აუცილებელია ახალი, ადაპტირებადი მეთოდების გამოყენება, რომლებიც ეფუძნება უკუკავშირის პრინციპს და საშუალებას გვაძლევს შევადაროთ რეალური მდგომარეობა იდეალურ მაჩვენებლებს. ასეთი მიდგომა მოითხოვს არსებული სიტუაციის ღრმა ანალიზს და ახალი, მოქნილი მოდელის შექმნას, რომელიც ითვალისწინებს სწრაფად ცვალებად გარემოებებს და გვთავაზობს საიმედო პროგნოზებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური მდგომარეობის ზუსტი შეფასებისა და ეფექტური სტრატეგიების შემუშავებისთვის გაურკვევლობის პერიოდში.

საგარეო ვაჭრობის შემთხვევაში, ეს ნიშნავს ისეთი მოდელის შექმნას, რომელიც ეფუძნება უახლეს სტატისტიკურ მონაცემებს და ითვალისწინებს კრიზისის სპეციფიკურ გავლენას ვაჭრობის დინამიკაზე. ასეთი მიდგომა საშუალებას მოგვცემს უფრო ზუსტად შევაფასოთ არსებული მდგომარეობა და გავაკეთოთ უფრო რეალისტური პროგნოზები მომავლისთვის.


გრაფიკი 3



წყარო: geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2024 წლის იანვარ-მაისის წინასწარი მონაცემებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საგარეო ვაჭრობა 2.18%-ით შემცირდა და 8,4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

დიაგრამა 1



წყარო: geostat.ge

ნებისმიერი გრაფიტაციული მოდელი ზოგადია. პრობლემურ უბანში მის გამოსაყენებლად საჭიროა მოდელის კონკრეტული სახის შემუშავება – მოდელში შემავალი კოეფიციენტების მნიშვნელობების განსაზღვრა.

ზოგადი სახის ნებისმიერი გრაფიტაციული მოდელი შეიცავს ცვლადებს X_k $k = 1, 2, \dots, n$ და X_k $k = 1, 2, \dots, n$ კოეფიციენტებს. X_k მნიშვნელობები ცნობილია ან გამოითვლება როგორიცაა: მშპ, მანძილი ქვეყნებს შორის, ელასტიურობის კოეფიციენტი და ა. შ. X_k კოეფიციენტების მნიშვნელობები ცნობილი სტატისტიკური მეთოდებით გამოითვლება. კოეფიციენტების მნიშვნელობების დადგენა და შესაბამისად კონკრეტული გრაფიტაციული მოდელის შემუშავება შრომატევადი პროცესია.


ზოგადად საგარეო ვაჭრობის ურთიერთობის აღმწერი კონკრეტული გრაფიკაციული მოდელის შესამუშავებლად გამოყენებულ იქნა სიმულაციური მეთოდი, სადაც გაითვალისწინება: მშპ, ქვეყნებს შორის მანძილი, სავაჭრო პრეფერენციები და სხვა გათვალისწინებით მოდელში შემავალი კოეფიციენტების ოპტიმალური მნიშვნელობების დადგენა, საერთაშორისო და შიდა პოლიტიკური რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით როგორებიცაა: რუსეთ-უკრაინის ომი, პალესტინა-ისრაელის ომი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა და ქვეყნის პოლიტიკური არასტაბილურობის რისკი.

ამ რისკ-ფაქტორების დაშვებით სიმულაციური მოდელის შესაქმნელად გამოვიყენოთ ლოგიკურ-რეფლექსური მოდელირება, რომელიც დაფუძნებულია ექსპერტულ მოსაზრებაზე და გამიზნულია საქართველოს ეკონომიკური მდგრადობის შესაფასებლად.

ლოგიკურ-რეფლექსური მოდელირების არსი შემდეგია:

მეტა ენა mL , ქვედონე L , მათემატიკური ობიექტი $Ob.$, მათემატიკური ამოცანა R , გარე გამხსნელი სტრუქტურები A , აღწერა (მოდელი) $L(ob)$, $mL(ob)$, $L(R)$, $L(A)$, სადაც $L(Ob)$ არის ობიექტის აღწერილობა Ob ქვეენაზე L . ამ შემთხვევაში, ჩვენ გამოვიყენეთ – მათემატიკური ობიექტის აღწერილობის ქვეყანა, LR არის მათემატიკური პრობლემის აღწერის ენა, LA არის პრობლემის გადანაცვების აღწერის ენა. შედეგად მივიღებთ: $mL(L_{ob})$, $mL(L_R)$, $mL(L_A)$, $L_{ob}(Ob)$, $L_R(R)$, $L_A(A)$; რომელიც შემდგომ აღიწერება რეფლექსური სლოგიზმით.

ეკონომიკური მდგრადობის ციკლურობის ზოგადი გრაფიკი შემდეგია:



სურ. 1.

ეკონომიკური მდგრადობის
ციკლურობის ზოგადი გრაფიკი

საქართველოს საგარეო ვაჭრობის მოდელი უკუკავშირის გათვალისწინებით ექნება შემდეგი სახე:

$$Q_{i,j} = \ln b_1 + \ln(X_1) * b_2 - \ln(X_3) * b_3 + b_4 * \ln(X_2) + b_5 * X_4 + b_6 * X_5 + b_7 * X_6 + b_8 * X_7 + b_9 * X_8 + X_9$$

სადაც:

$Q_{i,j}$ – i -ური ქვეყნიდან (საქართველოდან) j – ურ ქვეყანაში ექსპორტის ან j – ური ქვეყნიდან იმპორტის მოცულობა t დროის პერიოდში;

X_1 – i -ური ქვეყნის (საქართველოს) მშპ-ია t დროის პერიოდში;

X_2 – j -ური რესპონდენტი ქვეყნის მშპ t დროის პერიოდში;

X_3 – i -ური ქვეყნის (საქართველოს) j -ურ რესპონდენტ ქვეყანასთან მანძილი;

X_4 – i -ური ქვეყნის (საქართველოს) j -ურ რესპონდენტ ქვეყანასთან შორის საერთო სახმელეთო საზღვრის არსებობა;

X_5 – i -ურ ქვეყანასა (საქართველოსა) და j -ურ რესპონდენტ ქვეყანასთან ზღვაზე გასასვლელი;

X5_ქ – i-ურ ქვეყანასა (საქართველოსა) და j-ურ რესპონდენტ ქვეყანას შორის სავაჭრო პრეფერენციები;

X7_ქ – i-ურ ქვეყანასა (საქართველოსა) და j-ურ რესპონდენტ ქვეყანას შორის ისტორიულ კულტურული ურთიერთობა;

X9_ქ – i-ურ ქვეყანასა (საქართველოსა) და j-ურ რესპონდენტ ქვეყანას შორის პოლიტიკური ურთიერთობა;

X9_ქ – პოლიტიკური რისკ ფაქტორები (რუსეთ-უკრაინის ომი, პალესტინა-ისრაელის ომი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური არასტაბილურობა)

ქვეყნებს შორის მანძილებად დედაქალაქებს შორის მანძილია აღებული.

X4, X5, X6 იღებს ორ მნიშვნელობას 1 – საზღვრის, პრეფერენციების არსებობა, 0 – წინააღმდეგ შემთხვევაში.

X7, X8, იღებს სამი მნიშვნელობა: 1 – კარგი; 0,5 – საშუალო; 0 – ცუდი.

X9 იღებს სამ მნიშვნელობას: 0 – კარგი; 0,5 – საშუალო; 1 – ცუდი:

PX9₁ – რუსეთ-უკრაინის ომის ზეგავლენის რისკი საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე = 0,5

QX9₁ – რუსეთ-უკრაინის ომის ზეგავლენის რისკი საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე = 0,5


PX9₂ – პალესტინა-ისრაელის ომის ზეგავლენის რისკი საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე მიიღებს მნიშვნელობას = 0,8

QX9₂ – პალესტინა-ისრაელის ომის ზეგავლენის რისკი საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე მიიღებს მნიშვნელობას = 0,2

PX9₃ – რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურად რთული, მაგრამ ეკონომიკურად აქტიური ურთიერთობების რისკი საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე მიიღებს მნიშვნელობას = 0,6

QX9₃ – რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურად რთული, მაგრამ ეკონომიკურად აქტიური ურთიერთობების რისკი საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე მიიღებს მნიშვნელობას = 0,4

გრაფიკი 4



წყარო: trademap.org

P_{X9} – ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური არასტაბილურობა საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე მიიღებს მნიშვნელობას = 0,7

Q_{X9} – ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური არასტაბილურობა საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე მიიღებს მნიშვნელობას = 0,3

B1, b2, b3, b4, b5, b6, b7, b8, b9 პროპორციულობის კოეფიციენტებია. მათი ოპტიმალური მნიშვნელობები სიმულაციის რეჟიმში განისაზღვრება.

სიმულაციის რეჟიმში $L_j = 1$ კოეფიციენტების ოპტიმალური მნიშვნელობების მოძებნა ხორციელდება ოპტიმიზაციის ამოცანის ამოხსნით.

მოცემულია:

$\min_k k = 1$ კოეფიციენტების მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები. $\max_k k = 1$ სიმულაციის რეჟიმში განისაზღვრება ექსპერტულად. შეირჩევა $\min_k$ ისეთი მნიშვნელობები, რომლის დროსაც $\Delta_{i,j}$ – ის გაანგარიშებული მაქსიმალური მნიშვნელობა რამოდენიმეჯერ მეტია $\Delta_{i,j}$ – ის ფაქტობრივ მნიშვნელობაზე;


$X_i := 1$ ცვლადების მნიშვნელობები – $X_i \geq 1$

საჭიროა:

მოძებნილ იქნეს $\min_k k = 1$ კოეფიციენტების ისეთი მნიშვნელობები $\min_k \leq \min_k \leq \max_k$, რომლის დროსაც $\Delta_{i,j}^{\max} - \Delta_{i,j}^{\min} \leq 0.03$ გაანგარიშების ცდომილებაა და იგი <3%.

No	X_i	Q_{ij}	t_i	Q_i / t_i
1	2	3	4	5
1	0-1	16	7	2,29
2	0-2	22	13	1,69
3	0-3	13	8	1,63
4	1-5	0	19	0,00
5	2-4	0	0	0
6	3-4	11	19	0,58
7	3-6	5	3	1,67
8	4-6	7	11	0,64
9	5-6	6	8	0,75

გარდაქმნების შედეგად მივიღებთ განტის დიაგრამას/სურ.2/:




სურ. 2.
განტის დიაგრამა

ლოგიკო-რეფლექსურ მოდელს ექნება შემდეგი სახე:

$$Q = \int Q(t) dt \quad (1)$$

თუ გავითვალისწინებთ პოლიტიკურ რისკ-ფაქტორს მაშინ ჩვენს საგარეო ვაჭრობის ეტალონს შემდეგი სახე ექნება /სურ. 3/.



სურ. 3.

ეკონომიკური მდგრადობის ეტალონის გრაფიკი

შედეგი. ლოგიკო-რეფლექსური მოდელის გამოყენებით გამოვლინდა, რომ პოლიტიკური რისკ-ფაქტორების ჯამური ალბათობა 0.65-ს შეადგენს, რაც მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. ეს ციფრი მიუთითებს, რომ არსებობს საკმაოდ მაღალი ალბათობა იმისა, რომ პოლიტიკური ფაქტორები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ საქართველოს ეკონომიკაზე. ეს გულისხმობს, რომ საქართველოს ეკონომიკა მგრძნობიარეა როგორც შიდა, ისე გარე პოლიტიკური ფაქტორების მიმართ.

შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა, რეგიონული კონფლიქტები (რუსეთ-უკრაინის ომი), და საერთაშორისო პოლიტიკური დაძაბულობა (პალესტინა-ისრაელის კონფლიქტი) პირდაპირ თუ ირიბად ზემოქმედებენ ქვეყნის ეკონომიკურ პერსპექტივებზე. ასევე, რუსეთთან არსებული რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები დამატებით გამოწვევას წარმოადგენს. ეს ყველაფერი ხაზს უსვამს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის დივერსიფიკაციისა და მდგრადობის გაზრდის აუცილებლობას.

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას როგორც პოლიტიკური რისკების მაღალი ალბათობა, ასევე ეკონომიკის სტრუქტურული გამოწვევები. ეს მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც მიმართული იქნება როგორც პოლიტიკური სტაბილურობის გაზრდაზე, ასევე ეკონომიკის სექტორული დივერსიფიკაციის ხელშეწყობაზე.

ლიტერატურა

1. Anderson, J. E. (1979). A theoretical foundation for the gravity equation. *American Economic Review*, 69(1), 106-116.
2. Aref'ev, I. B. (2001). *Reflexive control: Theoretical foundations*. SMTU Press.
3. Chapman, A. (n.d.). PESTLE analysis. *BusinessBalls*. Retrieved July 19, 2024, <https://www.businessballs.com/strategy-innovation/pest-market-analysis-tool/>
4. Erkomaishvili, G. (2019). *Digital economy-an innovative tool for economic growth*. Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press.
5. Gaganidze, G. (2018). Foreign trade of Georgia, Moldova and the Ukraine with the European Union after signing the association agreement. *Ecoforum*, 7.

6. Gaganidze, G., & Munjishvili, T. (2019). Development of the specific gravitational model describing foreign trade between two countries with simulation method. In 6th International Conference on Strategies, Models and Technologies of Economic Systems Management (SMTESM 2019) (pp. 44-47). Atlantis Press.
7. Gaganidze, G., & Munjishvili, T. (2019). The gravitational model foreign trade of Georgia. In Proceedings of the Fourth International Conference of European Academy of Science (pp. 15-17).
8. Gantt, H. L. (1913). Work, wages, and profits (2nd ed.). Engineering Magazine Co.
9. Papava, V. (2024). Globalization with economic security and “glocalization”. Core Academy. <https://doi.org/10.61362/KRAC3227>
10. Papava, V. (n.d.). The pandemic, the Russian-Ukrainian war, and related economic threats (In Georgian). Proceedings of Scientific Works of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU, 16, 36-56.
11. Pospelov, D. A. (1986). Situational control: Theory and practice. Nauka.
12. Tinbergen, J. (1962). Shaping the world economy; Suggestions for an international economic policy. Twentieth Century Fund.
13. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2024). <https://www.geostat.ge/ka>
14. International Trade Centre. (2024). Bilateral trade between Georgia and the World from 2019 to 2024. TradeMap. <https://www.trademap.org/>

THE IMPACT OF POLITICAL FACTORS ON GEORGIA'S ECONOMIC STABILITY

Irakli Gazdeliani

PhD student, Faculty of Economics and Business, TSU

Tea Munjishvili

associate professor, Faculty of Economics and Business, TSU

Lali Khurtsia

assistant professor Faculty of Economics and Business, TSU

Abstract

This study focuses on a comprehensive assessment of the resilience of Georgia's economy. The methodological framework of the research is based on the PESTLE analysis tool, specifically on its two main components – Political (P) and Economic (E) factors. Through this approach, the country's macroeconomic environment was analyzed, and the main factors influencing Georgia's economic stability and sustainable development were identified.

The study examines the interdependence of political and economic factors, which includes the impact of political decisions on economic growth and the influence of economic conditions on political stability. The impact of international economic and political relations on the country's development is also analyzed.

The research results are based on two main models: gravitational and logical-reflexive models, where exogenous variables with probabilistic values are used, allowing for the consideration of uncertainty in external factors and their potential impact on Georgia's economy. This approach facilitates the development of more realistic scenarios and better risk assessment.

Keywords: Foreign trade, economic resilience, PESTEL analysis, logical-reflexive modeling, economic policy.

ელექტროენერგიის მიწოდება, როგორც ენერგეტიკული უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კომპონენტი: სტატისტიკური ანალიზი

სიმონ გელაშვილი

პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნინო აბესაძე

ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ურა ჯავახიძე

ეკონომიკის პროგრამის დოქტორანტი
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

წარმოდგენილი ნაშრომი შეეხება ენერგეტიკული უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის – ელექტროენერგიის მიწოდების სტატისტიკურ კვლევას. გასაგებია, რომ ენერგეტიკული უსაფრთხოება მთლიანად ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია და მისი უზრუნველყოფა ნებისმიერი ქვეყნის და, მათ შორის, საქართველოს, ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა. ნაშრომში გაანალიზებულია ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები და გამოვლენილია უახლესი ტენდენციები. ასევე, გაანგარიშებულია შესაბამისი მაჩვენებლები სხვადასხვა სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ელექტროენერგიის მიწოდების ტენდენციები ასახავენ მკვეთრად გამოხატულ სეზონურობის ფაქტორების გავლენას, რაც ნათლად შეინიშნება ელექტროენერგიის ბალანსის პროფიციტურობასა და დეფიციტურობაში. კონკრეტულად ეს ვლინდება ზაფხულის პერიოდში ელექტროენერგიის ექსპორტში, ხოლო ზამთარში – იმპორტში. გამოვლენილი ტენდენციებისა და გაანგარიშებული მაჩვენებლების საფუძველზე ნაშრომში ჩამოყალიბებულია არგუმენტირებული დასკვნები და რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: ელექტროენერგიის გამომუშავება, ელექტროენერგიის მიწოდება, ტენდენცია, სტატისტიკური ანალიზი, ზრდის ტემპი.

შესავალი

ენერგეტიკის განვითარება და ენერგეტიკული უსაფრთხოება საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი საკითხია. ენერგეტიკული უსაფრთხოება მთლიანად ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია და მისი ამაღლება ენერგეტიკული პოლიტიკის და სტრატეგიის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს. ეს ყოველივე კი განსაკუთრებულად მნიშვნელოვან საკითხსა და ამოცანას წარმოადგენს იმ ქვეყნისათვის, რომელიც პირველადი ენერგორესურსებით ღარიბია. მსგავს სიტუაციაში ყოფნა გულისხმობს საერთაშორისო პრაგმატულ პოლიტიკას ენერგორესურსებით მდიდარ მეზობელი ქვეყნების მიმართ ისე, რომ დაცული იყოს როგორც ქვეყნის ეროვნული ინტერესები და ღირებულებები, აგრეთვე ანგარიშგასაწევ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ შენარჩუნდე შენი ღირებულებებით, რესურსების

დაცვითა და გონივრული პოლიტიკის გატარების გზით.

ჩვენი ნაშრომი შეეხება საქართველოს ენერგოუსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ პრობლემას. ემპირიული სტატისტიკური კვლევით გამოვლენილია ის მნიშვნელოვანი გამოწვევები, რის წინაშეც დგას ამჟამად საქართველოს ენერგოუსაფრთხოება. გავიანგარიშეთ და გავაანალიზო-

ზეთ ელექტროენერგიისა მინოდება-მოხმარების სტატისტიკური მაჩვენებლები 2015-2023 წლების ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით. გრაფიკების, დიაგრამებისა და ცხრილების დახმარებით, აგრეთვე სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლის გაანგარიშების საფუძველზე, გამოვავლინეთ უახლოესი ტენდენციები, შევაფასეთ მათ და ჩამოვაყალიბეთ მნიშვნელოვანი რაოდენობრივი და თვისებრივი მიგნებები.

ძირითადი შინაარსი

დამოუკიდებლობის აღდგენამდე საქართველოში ფუნქციონირებდა 45 ჰესი (დადგმული საერთო სიმძლავრე 2893 მეგავატი). ელექტროენერგიის ბაზრის ოპერატორის ESCO-ს ინფორმაციით, ქვეყანაში ისტორიულად ყველაზე მაღალი მოხმარება 1980-1989 წლების პერიოდში დაფიქსირდა. 1980 წელს ელექტროენერგიის მოხმარებამ 13,9 მილიარდი კვტ-სთ შეადგინა, რაც თითქმის უტოლდება საქართველოს ამჟამინდელ მოხმარებას. იმ წელს ქვეყანამ ელექტროენერგიაზე მოთხოვნა სრულად დააკმაყოფილა და ექსპორტზეც გაიტანა. თუმცა, ათწლეულის ბოლოს მოხმარება გაიზარდა 17,5 მილიარდ კვტ-სთ-მდე, რაც მოითხოვდა 2,1 მილიარდი კვტ-სთ ელექტროენერგიის იმპორტს. ელექტროენერგიაზე ასეთი მაღალი მოთხოვნა ქვეყანაში მიმდინარე მრეწველობისა და სხვა დარგების განვითარების პროცესებმა გამოიწვია.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ენერგეტიკა იმ პერიოდში განვითარების საკმაოდ მაღალ ეტაპზე იყო, სსრკ-ს დაშლამ და საერთო-საკავშირო ენერგეტიკული ქსელიდან გამოთიშვამ დარგი ფაქტობრივად განადგურებისპირას დააყენა და ჩვენი ქვეყნის ყოველწლიურმა მოხმარებამაც თანდათანობით კლება დაიწყო. საქართველოს 1990 წლის რეკორდული რაოდენობის მოხმარება 2003 წელს 2,2-ჯერ, ანუ 17.4-დან 8.0 მლრდ კვტ-სთ-მდე შემცირდა. ამ პერიოდში ყველაზე მცირე მოხმარება დაფიქსირდა

1996-1997 წლებში (7.3 მლრდ კვტ-სთ).¹

საქართველოს ენერგოსისტემაში წარმოდგენილია 3 სახეობის ელექტროსადგურები (ჰიდრო, თბო და ქარის ელექტროსადგურები). ამჟამად ქვეყნის ენერგოსისტემის დადგმული ჯამური სიმძლავრე შეადგენს – 4598,3 – მგვტ-ს. აქედან:

- **ჰიდროელექტროსადგურები – 3396,2 მგვტ:**

- წყალსაცავიანი ჰესები 1993,1 მგვტ;
- სეზონური ჰესები 1098,3 მგვტ;
- მცირე ჰესები (<15 მგვტ) 304,8 მგვტ.

- **თბოელექტროსადგურები – 1181,4 მგვტ:**

- ორთქლის ტურბინებით 572,0 მგვტ;
- კომბინირებული ციკლის 486,2 მგვტ;
- გაზოტურბინა 110,0 მგვტ;
- ნახშირი 13,2 მგვტ.

- **განახლებადი (გარდა წყლისა) – 20,7 მგვტ:**

- ქარის ელექტროსადგური 20,7 მგვტ.

¹ <https://eprc.ge/>

საქართველოს უმსხვილესი ჰიდროელექტროსადგური ენგურჰესია, რომლის დადგმული სიმძლავრეც 1300 მეგავატს შეადგენს. ამასთანავე, ენგურის სისტემის ნაწილია „ვარდნილჰესების კასკადიც“, რომლის დადგმული სიმძლავრეც 340 მეგავატს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ 2023 წელს ყველაზე მეტი ელექტროენერგია სწორედ ენგურჰესმა გამოიმუშავა – 3,747 მლნ კვტ-საათი.


2022 წელს საქართველოში ჰესების მიერ გენერირებული ელექტროენერგიის უმეტესი ნილი, ანუ 73 პროცენტი, 10 სადგურზე მოდიოდა. ესენია:

1. ენგურჰესი (სახელმწიფო საკუთრება) – 3,747 მლნ კვტ-საათი;
2. ვარციხეჰესი (ბიზნესმენ იგორ კოლომოისკის საკუთრება) – 827 მლნ კვტ-სთ;
3. ვარდნილჰესი (სახელმწიფო საკუთრება) – 760 მლნ კვტ-სთ;
4. დარიალჰესი (მფლობელები – სს „ენერგია“, TEPCO და Lock W) – 471 მლნ კვტ-სთ;
5. შუახეჰესი (მფლობელი Clean Energy) – 422 მლნ კვტ-სთ;
6. ლაჯანურჰესი (მფლობელი ენერგო-პრო ჯორჯია) – 377 მლნ კვტ-სთ;
7. ფარავანჰესი (მფლობელი ანადოლუ ჯგუფი) – 354 მლნ კვტ-სთ;
8. ხრამჰესი 2 (მფლობელი ინტერ რაო) – 325 მლნ კვტ-სთ;
9. ჟინვალჰესი (მფლობელი „აქუალია“) – 312 მლნ კვტ-სთ;
10. რიონჰესი (მფლობელი ენერგო-პრო ჯორჯია) – 289 მლნ კვტ-სთ.

ამჟამად საქართველოში მოქმედებს 7 მარეგულირებელი, 18 სეზონური და 84 მცირე ჰესი. 2022 წელს ჰესების მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიაში ნახევარზე მეტი, ანუ 53%, მარეგულირებელ ჰესებზე მოდიოდა. მათ შორის, ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის 35% (ანუ 3,747 მლნ კვტ-საათი) მხოლოდ „ენგურჰესის“ წილი იყო. მას მოსდევს ვარციხეჰესი და ვარდნილჰესი, შესაბამისად, 827 და 760 მლნ კვტ-საათი. რაც შეეხება დანარჩენი ორი სახეობის ჰესებს, მთლიან გამომუშავებაში სეზონური ჰესების წილი 39%-მდე იყო, ხოლო მცირე ჰესების კი 8%. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე 1 ნათლად ჩანს 2022 წელს საქართველოს 10 უდიდესი ჰესისმიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობები.

დიაგრამა 1

საქართველოს 10 უდიდესი ჰესი და მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია¹



¹ დიაგრამა აგებულია ავტორების მიერ, BM.ge-ს ინფორმაციაზე დაყრდნობით.

საქართველოში ელექტროენერგიის ადგილობრივ წყაროებს წარმოადგენს სხვადასხვა სახის სადგურებიდან გამომუშავებული ელექტროენერგია. ეს არის თბოსადგურების, ქარის ელექტროსადგურებისა და ჰიდროელექტროსადგურების ჯამური გამომუშავება.

ცხრილი 1.

ელექტროენერგიის მიწოდების ბალანსის ფაქტობრივი მაჩვენებლები (%) ¹

	ელექტროენერგიის მიწოდება, %	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
1	ელექტროენერგიის ჯამური გამომუშავება(%)	93.93	96.02	88.5	88.95	87.93	87.39	86.3	90.28	94.8
1.1	თბოსადგურების ჯამური გამომუშავება(%)	21.9	19.31	19.36	17.43	23.95	25.27	18.81	23.77	23.94
1.2	ქარის ელექტროსადგურების ჯამური გამომუშავება(%)	0	0.09	0.77	0.7	0.73	0.83	0.67	0.63	0.6
1.3	ჰიდროელექტროსადგურების ჯამური გამომუშავება(%)	78.1	80.6	79.87	81.87	75.32	73.9	80.52	75.6	75.46
2	ელექტროენერგიის ჯამური იმპორტი(%)	6.06	3.97	11.49	11.05	12.07	12.61	13.7	9.72	5.2
3	ელექტროენერგიის საერთო სასაღებრო დანახარჯი(%)	2.08	1.73	1.65	1.56	1.75	1.69	1.46	1.64	1.76
4	ელექტროენერგიის ჯამური მიწოდება(%)	97.92	98.27	98.35	98.44	98.25	98.31	98.54	98.36	98.24


საანალიზო პერიოდში, ანუ 2015 წლიდან დღემდე, საქართველოში ელექტროენერგიის, როგორც გამომუშავება, ისევე მიწოდება, ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. როგორც ცხრილიდან 1 ჩანს, 2023 წელს საქართველოში ელექტროენერგიის ჯამურმა გამომუშავებამ 14 395.8 (94.8%) მლნ ვატი, ხოლო ამავე წლის ელექტროენერგიის მიწოდებამ საქართველოში 14 917.1 (98.24%) მლნ ვატი შეადგინა. მიწოდებაზე არსებული დანაკლისი კი იმპორტის სახით 789.80 ვატი (5.2%) ანაზღაურდა.

¹ ცხრილში მოტანილი მონაცემები გაანგარიშებულია ავტორების მიერ, სემეკის ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით.

2015-2023 წლების პერიოდში, მთლიანად ელექტროენერგიის მიწოდების ფაქტობრივ ბალანსში, ჯამური მიწოდება გაიზარდა საშუალოდ 3.5%-ით. იმავე პერიოდში საქართველოს ტერიტორიის შიგნით ელექტროენერგიის ჯამური გამომუშავება გაიზარდა საშუალოდ 3.6%-ით. აღნიშნული წლებისათვის ელექტროენერგიის ფაქტობრივი ბალანსის სხვადასხვა მაჩვენებელი შემდეგნაირად შეიცვალა: თბოელექტროსადგურებში დენის გამომუშავება გაიზარდა საშუალოდ 4.7%-ით, ასევე, ჰიდროელექტროსადგურების გამომუშავება საანალიზო პერიოდში გაიზარდა 3.2%-ით, ხოლო ქარის ელექტრო-სადგურებში კი, პირიქით, შემცირდა საშუალოდ 0.2%-ით¹.

გრაფიკი 2.

ელექტროსადგურების სხვადასხვა სახეობის ჯგუფების მიერ დენის გამომუშავება წლების მიხედვით (მლნ. კვტ-სთ)²



გრაფიკი 2 ნათლად აჩვენებს, რომ როგორც ჰიდროელექტროსადგურების, ისე თბოელექტროსადგურების წილი მთლიან გამომუშავებაში წლების მიხედვით, მსგავსი ტენდენციით იზრდება. მცირე ჩავარდნა იყო 2020 წლის მონაცემებში, რაც ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ის გამომწვეული იყო კორონავირუსის პანდემიის გამო შექმნილი მდგომარეობით.

ქარის ელექტროსადგურები საქართველოში 2016 წლიდან გამოჩნდა და მუშაობის პირველ თვეებში, იმავე წლის ბოლომდე, 9 მლნ კვტ-სთ-ის გამომუშავება შეძლო (მუშაობის მცირე დროიდან გამომდინარე). შემდგომ წლებში მისი მაჩვენებელი 80-90 მლნ კვტ-სთ-ში მერყეობს. ნათელია, რომ ელექტროენერგიის შიდა გამომუშავებაში აბსოლუტური მოცულობა, ანუ თითქმის 99%, ჰიდროელექტროსადგურებსა და თბოელექტროსადგურებზე მოდის.

¹ ქარის ელექტროსადგურებზე მონაცემების დათვლა ხორციელდება 2017 წლიდან, ანუ მისი ინსტალაციისა და სრული დატვირთვით ამუშავების დროიდან.

² გრაფიკი აგებულია ავტორების მიერ, სემეკის ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით.

**ცალკეული სახეობის ელექტროსადგურების
მიერ დენის გამომუშავების მაჩვენებლები (%)¹**

წელი		2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
თბოსადგურების ჯამური გამომუშავება (%)	სულ	21.90	19.31	19.36	17.43	23.95	25.27	18.81	23.77	23.94
	მატების ტემპი									
	საბაზისო		-0.12	-0.12	-0.20	0.09	0.15	-0.14	0.09	0.09
	ჯაჭვური		-0.12	0.00	-0.10	0.37	0.06	-0.26	0.26	0.01
	ზრდის ტემპი									
	საბაზისო		0.88	0.88	0.80	1.09	1.15	0.86	1.09	1.09
ქარის ელექტროსადგურების ჯამური გამომუშავება (%)	სულ	0.00	0.09	0.77	0.70	0.73	0.83	0.67	0.63	0.60
	მატების ტემპი									
	საბაზისო				-0.09	-0.05	0.08	-0.13	-0.18	-0.22
	ჯაჭვური				-0.09	0.04	0.14	-0.19	-0.06	-0.05
	ზრდის ტემპი									
	საბაზისო				0.91	0.95	1.08	0.87	0.82	0.78
ჰიდროელექტროსადგურების ჯამური გამომუშავება (%)	სულ	78.10	80.60	79.87	81.87	75.32	73.90	80.52	75.60	75.46
	მატების ტემპი									
	საბაზისო		0.03	0.02	0.05	-0.04	-0.05	0.03	-0.03	-0.03
	ჯაჭვური		0.03	-0.01	0.03	-0.08	-0.02	0.09	-0.06	0.00
	ზრდის ტემპი									
	საბაზისო		1.03	1.02	1.05	0.96	0.95	1.03	0.97	0.97
ჰიდროელექტროსადგურების ჯამური გამომუშავება (%)	სულ									
	მატების ტემპი									
	საბაზისო		1.03	0.99	1.03	0.92	0.98	1.09	0.94	1.00
	ჯაჭვური									
	ზრდის ტემპი									
	საბაზისო									

ცხრილი 2-ის მიხედვით ჩანს, რომ 2015-2023 წლების პერიოდში, ყოველი წლისათვის, ელექტროენერგიის მთლიან გამომუშავებაში ჰიდროელექტროსადგურების წილის მატების ტემპი ყველაზე მაღალია ქარისა და თბოსადგურების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით.

საანალიზო პერიოდში ელექტროსადგურების მიერ დენის გამომუშავების მონაცემების საფუძველზე გავიანგარიშეთ სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებელი, კერძოდ: საშუალო აბსოლუტური მატების დონე და ზრდის საშუალოწლიური ტემპი, ასევე ცალკეული წლების მიხედვით ზრდისა და მატების ტემპები, როგორც საბაზისო, ისე ჯაჭვური წესით. მიღებული კონკრეტული შედეგების მიხედვით შესაძლებელია შემდეგი ტენდენციების დადგენა: 2015-2022 წლებისათვის ქვეყანაში ელექტროენერგიის გამომუშავების აბსოლუტურ მოცულობას ზრდის ტენდენცია აქვს; ასევე გაიზარდა საშუალო წლიური ზრდისა და მატების ტემპებიც, რამაც, თავის მხრივ, მოხმარების ზრდაც განაპირობა და ელექტროენერგიის ექსპორტის შესაძლებლობა შექმნა.

საანალიზო პერიოდში ჰიდროსადგურების მიერ ელექტროენერგიის გამომუშავება საშუალოდ შემცირდა 0.29% პროცენტული პუნქტით, თბოელექტროსადგურების – საშუალოდ გაიზარდა 0.23% პროცენტული პუნქტით, ხოლო ქარის ელექტროსადგურების გამომუშავება კი, შემცირდა საშუალოდ 0.02% პროცენტული პუნქტით.

2015-2023 წლებში თბოელექტროსადგურების ჯამური გამომუშავების პროცენტული მოცულობა საშუალოდ 1.009-ჯერ გაიზარდა. საანალიზო პერიოდში, საბაზისო ხერხით გაანგარიშებისას, ყველაზე მაღალი ზრდის ტემპი 2020 წელს დაფიქსირდა – 15%. რაც შეეხება ჯაჭვური

¹ ცხრილში მოტანილი მაჩვენებლები გაანგარიშებულია ავტორთა მიერ, სემეკის ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით.

წესით გაანგარიშებას, ყველაზე მაღალი მაჩვენებლები 2019 და 2022 წლებში დაფიქსირდა, შესაბამისად, 37 და 26 პროცენტი.


საანალიზო პერიოდში ქარის ელექტროსადგურების მიერ ენერგიის გამომუშავება თითქმის 2-ჯერ შემცირდა და მისი წილი მთლიან გამომუშავებაში ძალიან მცირეა (დაახლოებით ერთ პროცენტამდე).

როგორც ჩვენ მიერ ჩატარებულმა სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, 2015-2023 წლებში ჰიდროელექტროსადგურების წილი მთლიან გამომუშავებაში ყველაზე მაღალია. ელექტროენერგიის გამომუშავების მაქსიმალური ზრდა დაფიქსირდა 2020-2021 წლებში და მან 9 პროცენტი შეადგინა.

რა თქმა უნდა, ელექტროენერგიის გამომუშავების მოცულობა განაპირობებს და განსაზღვრავს მიწოდების რაოდენობასაც. ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე წარმოდგენილია ელექტროენერგიის გამომუშავებისა და მიწოდების ტენდენციების ამსახველი მრუდები:

გრაფიკი 3.

**ელექტროენერგიის მიწოდების ბალანსის
გრაფიკული გამოსახულება წლების მიხედვით, მლნ კვტ. სთ¹**



გრაფიკი 3-დან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს იმპორტზე დამოკიდებულება ელექტროენერგიასთან დაკავშირებით საკმაოდ მცირეა, შეიძლება ითქვას, რომ მიზეზულია, რაც დადებითი მომენტია ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ეს განპირობებულია ქვეყანაში არსებული დიდი რაოდენობის მდინარეებით, რომელიც პოტენციურად ჰესების დიდ რაოდენობასაც გულისხმობს, აგრეთვე იმ თანამედროვე ტექნოლოგიების შემოტანითა და გამოყენებით, რაც თბოსადგურების გამართული ფუნქციონირების საფუძველია.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს, 2015 წელთან შედარებით, ელექტროენერგიის იმპორტი საქართველოში თითქმის 200%-ით, ანუ 2-ჯერაა გაზრდილი, რაც მთლიან აბსოლუტურ მოცულობაში კვლავ უმნიშვნელოა, თუმცა, იმპორტის ზრდის საერთო მაჩვენებელს საგრძნობლად ადიდებს. 2021 წლიდან კი ეს მაჩვენებელი კვლავ კლების ტენდენციით ხასიათდება, რაც პოზიტიური ტენდენციაა.

¹ გრაფიკი აგებულია ავტორთა მიერ, სემეკის ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საქართველოში ელექტროენერგიის იმპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა. ამას ადასტურებს საქსტატის ოფიციალური მონაცემები, კერძოდ: 2024 წლის იანვარში ქვეყანამ 160,127.00 ათასი კვტ/სთ ელექტროენერგია შემოიტანა, 2023 წლის ანალოგიურ პერიოდში კი 246,956.00 ათასი კვტ/სთ. შესაბამისად, კლება 35.1%-ია.¹ მიუხედავად იმისა, რომ ელექტროენერგიის იმპორტი აბსოლუტურ სიდიდეებში შემცირებულია, სამაგიეროდ, გაზრდილია იმპორტირებული ელექტროენერგიის ღირებულება. 2024 წლის იანვარში იმპორტირებული ელექტროენერგიის ღირებულებამ 1,201.07 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 2023 წლის იანვარში განხორციელებული იმპორტის კი 277.35 ათასი აშშ დოლარი. შესაბამისად, ზრდა ძლიერ მაღალია – 3,3-ჯერ, ანუ 333 პროცენტით. რმიმდინარე წლის იანვარში საქართველომ ელექტროენერგიის იმპორტი ორი ქვეყნიდან – რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან განახორციელა. იმპორტირებული ელექტროენერგიის ღირებულებაში 85% აზერბაიჯანზე, ხოლო დანარჩენი 15% რუსეთზე მოდის. იანვარში აზერბაიჯანიდან იმპორტირებულია სულ 1,022.89 ათასი აშშ დოლარის ღირებულების ელექტროენერგია, ხოლო რუსეთიდან – 178.18 ათასი აშშ დოლარის (არაბიძე, 2024).

დასკვნა

კვლევის შედეგების საფუძველზე შესაძლებელია ჩამოვყალიბოთ შემდეგი დასკვნითი დებულებები:

- საქართველოს ისტორიაში ელექტროენერგიის მოხმარებამ მაქსიმალური რაოდენობა შეადგინა 1990 წელს, ხოლო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ კი – 2023 წელს. 2015-2023 წლების პერიოდში ყველაზე მცირე მოხმარება დაფიქსირდა 1996-1997 წლებში;
- საქართველოს ენერგოსისტემა წარმოდგენილია 3 სახეობის ელექტროსადგურებით, კერძოდ: ჰიდრო-, თბო- და ქარის ელექტროსადგურებით. სწორედ ისინი არიან ელექტროენერგიის ადგილობრივი წყაროები. 2022-2023 წლებში ელექტროენერგიის შიდა გამომუშავების აბსოლუტური მოცულობა, ანუ თითქმის 99%, ჰიდრო- და თბოელექტროსადგურებზე მოდის;
- 2022 წელს საქართველოში ჰესების მიერ გენერირებული ელექტროენერგიის ნახევარზე მეტი, ანუ დაახლოებით 60 პროცენტი, სამ სადგურზე მოდიოდა. ესენია: ენგურჰესი, ვარციხეჰესი და ვარდნილჰესი;
- 2015-2023 წლების პერიოდში, მთლიანად ელექტროენერგიის მიწოდების ფაქტობრივ ბალანსში, ჯამური მიწოდება გაიზარდა საშუალოდ 3.5%-ით, ხოლო იმავე პერიოდში საქართველოს ტერიტორიის შიგნით ელექტროენერგიის ჯამური გამომუშავება უფრო მეტად გაიზარდა და საშუალოდ 3.6% შეადგინა; მაშასადამე, წარმოების მოცულობამ გადააჭარბა მიწოდებას, რაც ექსპორტის განხორციელების პირობაა;
- ამ ბოლო წლებში საქართველოს ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფაში დადებითი ტენდენცია შეიმჩნევა, რაც გამოიხატება იმაში, რომ ქვეყნის დამოკიდებულება ელექტროენერგიის იმპორტზე უმნიშვნელოა.

¹ www.geostat.ge

ლიტერატურა

1. არაბიძე, მ. (2024). Retrieved from <https://www.businessinsider.ge/ka/rogoria-sakartvelos-elektroen-ergiis-eksport-importis-statistika>
2. დავითაშვილი, ლ. (2023). საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკა. Retrieved ოქტომბერი 2023, from www.economy.ge
3. საქსტატი. (n.d.). *geostat.ge*. Retrieved from <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/87/qoveltviuri-energetikis-statistikuri-machveneblebi>: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/87/qoveltviuri-energetikis-statistikuri-machveneblebi>
4. სემეკი. (2023). Retrieved from <https://data.gnec.org/>
5. ტყეშელაშვილი, შ. (2022). Retrieved from <https://bm.ge/news/kviris-mnishvnelovani-ekonomikuri-movlenebi>
6. უფლისაშვილი, ნ., & დუნდუა, ა. (2016). საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების მართვის სქემის შემუშავება. თბილისი: აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო პარტნიორობის ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა.
7. (თ. გ.). მოპოვებული https://eprc.ge/wp-content/uploads/2023/12/georgias-energy-dependency-review-b.pdf?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAR337lkPUjL-Lydnly3oUY3vKeHX3y42apytD7mCWDR-93Z2qL-3MxEN-yY_aem_5SID0qmkXDdStjFqepDykQ-დან
8. GEORGIA, W. E. (2015). ენერგეტიკული უსაფრთხოება. მოპოვებული http://weg.ge/sites/default/files/energetikuli_usaprtxoeba_1_0.pdf-დან
9. Overland, I. (2016 წლის 1 April). მოპოვებული <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2214629616300093?via%3Dihub-დან>
10. Pignatti, N. (2023). *Energy Security Challenges and Opportunities for the Country of Georgia*. researchgate.
11. USAID (2023). *Georgia's Energy Dependency Review*.

ELECTRICITY SUPPLY AS AN IMPORTANT COMPONENT OF ENERGY SECURITY: A STATISTICAL ANALYSIS

Simon Gelashvili

*Professor, Doctor of Economic Sciences
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

Nino Abesadze

*Associate Professor, Doctor of Economics
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

Ucha Javakhidze

*Doctoral Student in Economics
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

Annotation

The presented paper concerns the statistical study of one of the important components of energy security – electricity supply. It is evident that energy security is one of the most crucial parts of national security, and ensuring it is an essential condition for the economic development of any country, including Georgia.

The paper analyzes official statistical data and identifies recent trends. Also, Various statistical methods are used to calculate relevant indicators. The research found that trends in electricity supply reflect the impact of pronounced seasonal factors, which are clearly observed in the surplus and deficit in the electricity balance. Specifically, this is seen in electricity exports during the summer and imports in the winter. Based on the identified trends and calculated indicators, the paper presents reasoned conclusions and recommendations.

Keywords: *electricity generation, electricity supply, trends, statistical analysis, growth rate.*

გიგ ეკონომიკა: ახალი შესაძლებლობები ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციისთვის

ნინო გრიგოლაია

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი,

ალტე უნივერსიტეტი

n.grigolaia@alte.edu.ge

ანოტაცია

ნაშრომი ეძღვნება ციფრული ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილის გიგ ეკონომიკის შესწავლას, რომელიც ციფრული ტრანსფორმაციის შედეგად დასაქმების არასტანდარტულ ფორმაზე გადასვლას ეფუძნება. გიგ მუშაკების ჩართვა კომპანიის შრომით რესურსებში უკვე პოპულარულ პრაქტიკას წარმოადგენს.

მსოფლიოში და საქართველოში გიგ მუშაკების რაოდენობის ზრდა განპირობებულია მრავალი მიზეზით, მათ შორის COVID-19 პანდემიამ, რომელიც გახდა ბიზნესის ტრანსფორმაციის ბიძგის მიმცემი ძალა, ეკონომიკური სარგებელი დამსაქმებლისთვის და ა.შ.; განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია კომპანიის ბიზნეს მოდელების ტრანსფორმაციაზე, დისტანციურ შრომაზე გადასვლისას ბიზნესისათვის გიგ ეკონომიკის შესაძლებლობების და საფრთხეების გათვალისწინებით.

შეთავაზებულია სანარმოს ციფრული ტრანსფორმაციის მოდელი, რომელიც მოიცავს გიგ მუშაკებს, რაც კომპანიებისათვის ამცირებს გაურკვევლობის ხარისხს და შესაბამისად, ციფრული გარემოს ცვალებადობის ზეგავლენას.

საკვანძო სიტყვები: გიგ ეკონომიკა, ციფრული ტრანსფორმაცია, დიჯიტალიზაცია, გიგ მუშაკები, ბიზნეს-მოდელი

მსოფლიო ბანკის უახლესი ანგარიშების თანახმად, გლობალური შრომის ბაზრის დაახლოებით 12% გიგ ეკონომიკაშია, ხოლო 2027 წლისთვის ვარაუდობენ, რომ აშშ-ს მუშახელის დაახლოებით 50% ნაწილობრივ ან სრულად იქნება დასაქმებული ამ სექტორში [1; 2]. გიგ ეკონომიკის მზარდ როლთან ერთად იზრდება ამ სექტორის განვითარების დეტალური შესწავლის, პოტენციური პრობლემების წინასწარ განსაზღვრის და ძირითადი ტენდენციების იდენტიფიცირების საჭიროება. ზოგადად, გიგ ეკონომიკა მოიცავს მუშაკთა დასაქმების ორგანიზაციის სისტემებს, რომლებიც განსხვავებულია დასაქმების ტრადიციული ფორმებისგან. საქმე იმაშია, რომ დასაქმება სულ უფრო და უფრო ემსგავსება მუსიკალურ დაწესებულებაში გამოსვლას, მუშაობის გაგრძელების გარანტიის გარეშე, მაგრამ შემდგომში დასაქმების დამოუკიდებელი არჩევანის შესაძლებლობით.

ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, როდესაც ქვეყნების ეკონომიკური საზღვრები ნაშლილია და შრომა, როგორც ეკონომიკური კატეგორია ახალ, ალტერნატიულ მნიშვნელობას იძენს. ჩვენს თვალწინ ყალიბდება ახალი ეკონომიკური მოდელი, რომელსაც ახლა ჩვეულებრივ გიგ-ეკონომიკას უწოდებენ. კემბრიჯის Advanced Learner's Dictionary & Thesaurus-ის მიხედვით, გიგ-ეკონომიკა არის ეკონომიკა, რომელიც ეყრდნობა თავისუფალ მუშაკებს. მას ასევე უწოდებენ მოკლევადიანი კონტრაქტების ეკონომიკას, რადგან დროებითი ან მოქნილი სამუშაო ჩვეულებრივი მოვლენაა. გიგ ეკონომიკა არის ფუნდამენტურად ახალი მოდელი თავისუფალი ეკონომიკისა, რომელშიც დამსაქმებლები ქირაობენ დამოუკიდებელ მუშაკებს. გიგ ეკონომიკა შედგება სამი ძირითადი კომპონენტისაგან:

1. დამოუკიდებელი მუშაკებს, რომლებიც ანაზღურებას იღებენ კონტრეტული სამუშაოს ან პროექტის შესრულებისთვის, რაც არის მათი მთავარი განსხვავება მუშებისგან, რომლებიც იღებენ შტატის ან საათობრივ ხელფასს.

2. მომხმარებლები, რომლებსაც სჭირდებათ კონკრეტული პროდუქტი ან სერვისი, როგორცაა მოგზაურობა დანიშნულების ადგილამდე, პროდუქტის მიწოდება ან ვებსაიტისთვის სტატიის დანერგა და ა.შ.

3. კომპანიები, რომლებიც უშუალოდ აკავშირებენ გიგ მუშაკს და მომხმარებელს, მათ შორის აპლიკაციებზე დაფუძნებული ტექნოლოგიური პლატფორმების გამოყენებით.

გიგ ეკონომიკა, როგორც არასტანდარტული დასაქმების ფორმა, განსაკუთრებულად პოპულარულია მსხვილი ბიზნესისა და მაღალტექნოლოგიური კომპანიების წარმომადგენლებს შორის, რომლებიც მისდევენ ბაზრის მიმდინარე ტენდენციებს და ორიენტირებულნი არიან კონკურენტუნარიანობის გაძლიერებაზე.

აღსანიშნავია, რომ ბევრი კომპანია, რომლებიც დიდი ხანია არიან ბაზარზე, არ არიან მზად გიგ მუშაკების მოსაზიდად ციფრული ტრანსფორმაციის განსახორციელებლად მრავალი მიზეზის გამო, მათ შორის: ბიზნეს პროცესების ანალიზისათვის, საჭირო კომპეტენციების ნაკლებობა დისტანციური ფორმატით შესასრულებელი სამუშაოების და საჭირო რესურსების იდენტიფიცირებისთვის. ხშირად ორგანიზაციის მაღალი შრომატევადობა და ციფრული ტრანსფორმაციის განხორციელების სირთულე არის დიჯიტალიზაციის პროცესის შეფერხების მთავარი მიზეზი.

კომპანიების ბიზნეს მოდელები მკვეთრად შეიცვალა ციფრულ ეკონომიკის ეპოქაში. ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებამ შესაძლებელი გახადა ორგანიზაციების კონკურენტუნარიანობა გაზრდა, წარმოების ხარჯების შემცირება, საქონლისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება. გამოჩნდა ახალი ბიზნეს მოდელები, რომლებიც ძირითადად განსხვავდება ტრადიციულისგან:

- 1) Freemium მოდელი (პროდუქტი ან სერვისი შემოთავაზებულია უფასოდ);
- 2) სააბონენტო მოდელი (პროდუქტები და მომსახურება ერთი და იმავე სიხშირით გადახდით);
- 3) გაზიარების ეკონომიკა (პროდუქტები ქირავდება სპეციალიზებულ გაზიარების პლატფორმებზე);
- 4) ეკოსისტემის მოდელი (პროდუქტებისა და სერვისების გაფართოებული პაკეტის მიწოდება მომხმარებლისთვის, რომელიც ფლობს ამ კომპანიის პროდუქტს);
- 5) crowdfunding (თანხების შეგროვება იდეების რეალიზაციისათვის „ბრბოს“ რესურსების საფუძველზე);
- 6) Peer-to-Peer / შუამავლების გარეშე (ვირტუალური პლატფორმაზე საქონლისა და მომსახურების ყიდვა/გაყიდვისთვის ცალკეული პირების ურთიერთქმედება) და ა.შ [3].

ახალი ბიზნეს მოდელების მრავალფეროვნება ხშირად უკავშირდება ახალ მაღალტექნოლოგიურ კომპანიებს, რომლებიც ციფრული ტრანსფორმაციის შედეგად ჩამოყალიბდნენ. მცირე და საშუალო ბიზნესის სანარმოების უმეტესობას აქვს შრომის ორგანიზაციის ტრადიციული ბიზნეს მოდელი, ანუ სრულ განაკვეთზე დასაქმებულთა გარკვეული რაოდენობა, რომლებიც მუშაობენ სტანდარტულ სამუშაოებზე.

ბიზნესმა გიგ ეკონომიკის დასაქმების ახალი ფორმების გამოყენებისათვის უნდა განახორციელოს მთელი რიგი ცვლილებები, მაგალითად გიგ მუშაკების მოსაზიდად დასჭირდება ინტერნეტ რესურსების შექმნა და ვირტუალური პლატფორმის შექმნა საქმიანობის განსახორციელებლად. გიგ მუშაკების შრომის გამოყენება მოითხოვს დამატებით დანახარჯებს სპეციალიზებული ინტერნეტ პლატფორმების მუშაობის ორგანიზებისა და მონიტორინგისათვის. დიდი

შრომის განევა უნევს პერსონალს მართვის სამსახურს მუშაკების მაღალი ბრუნვადობისა და მოკლევადიანი შრომითი კონტრაქტების დიდი რაოდენობის გამო.

ამავდროულად, დისტანციური მუშაობა იძლევა შესაძლებლობას შემცირდეს შრომის უსაფრთხოების ხარჯები, ვინაიდან გიგ მუშაკს შეუძლია აირჩიოს საკუთარი სამუშაო ადგილი და მოაწყოს იგი მისი ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად. ამ შემთხვევაში დამსაქმებელს უფლება აქვს არ აიღოს პასუხისმგებლობა გიგ მუშაკის შრომით დაცვაზე შრომითი ხელშეკრულებაში შესაბამისი პუნქტის მითითებით. გარდა ამისა, განხილული დასაქმების ფორმის სპეციფიკა საშუალებას აძლევს კომპანიებს მიიზიდონ მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულებებით ნიჭიერი და მაღალკვალიფიციური პერსონალი და მოკლე დროში მიიღოს მაღალი შედეგები.

თუმცა, დისტანციური დასაქმება ასევე ხასიათდება გარკვეული პრობლემებით. ასე რომ, თანამშრომლების დისტანციურ სამუშაოზე გადაყვანისას კომპანია შეექმნა IT პერსონალის დატვირთვის მკვეთრი ზრდა (52%), ტექნიკური ინფრასტრუქტურის ნაკლებობა „სახლიდან მუშაობისთვის“ (35%), ინფორმაციული უსაფრთხოების პრობლემები (33%), არასაკმარისი საკომუნიკაციო არხების გამტარუნარიანობა (26%), სერვერის ტევადობის ნაკლებობა (15%). გამოკითხული კომპანიების მხოლოდ 16%-ს არ შეხვედრია არანაირი პრობლემა. გიგ ეკონომიკის კიდევ ერთი მინუსი არის გიგ მუშაკისათვის ფიქსირებული შემოსავალი არა არსებობა. [4].

ამრიგად, აღსანიშნავია, რომ გიგ ეკონომიკას, როგორც არასტანდარტული დასაქმების ფორმას, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბიზნესისთვის არასტაბილურ გარემო პირობებში. ციფრული ტექნოლოგიების დაჩქარებული განვითარება და ბაზრის ცვალებადობა, ართულებს ახლო მომავლისთვის პროგნოზების გაკეთებას, რის გამო გიგ ეკონომიკა და მოკლევადიანი შრომითი კონტრაქტები ძალიან მიმზიდველია თანამედროვე კომპანიებისათვის.

ლიტერატურა

1. Working Without Borders: The Promise and Peril of Online Gig Work / The World Bank [ელექტრონული რესურსი]. წდომის რეჟიმი: <https://www.worldbank.org/en/topic/jobsanddevelopment/publication/online-gig-work-enabled-by-digital-platforms>. – ნახვის დრო: 2.09.2024.
2. Gig economy: Number of freelancers in the U.S. 2017–2028 / Statista Research Department [Электронный ресурс]. – Режим доступа: <https://www.statista.com/statistics/921593/gig-economy-number-of-freelancers-us/>. – ნახვის დრო: 2.09.2024.
3. Hlebowitsh N. 101+ Gig Economy Statistics Showing Ultra Growth. <https://siteefy.com/gig-economy-statistics> (ნახვის დრო: 2.09.2024.).
4. daVinci Payments. (2021, January 26). DaVinci payments' study shows boom in the gig economy and how to attract gig workers and grow their loyalty. Business Wire. Retrieved. 2021. April 15.

THE GIG ECONOMY: NEW OPPORTUNITIES FOR THE DIGITAL TRANSFORMATION OF COMPANIES

Nino Grigolaia

Doctor of Economics, Professor

Alte university

n.grigolaia@alte.edu.ge

Annotation

The work is devoted to the study of the gig economy, an important part of the digital economy, which is based on the transition to an atypical form of employment as a result of digital transformation. The inclusion of gig workers in the company's labor resources is already a popular practice.

The increase in the number of gig workers worldwide and in Georgia has many reasons, including the COVID-19 pandemic, which has become a driving force for business transformation, economic benefits for the employer, etc.; special attention is paid to the transformation of the company's business models, taking into account the opportunities and risks of the gig economy for companies when switching to remote work.

A model of digital transformation of the company is proposed that includes gig workers, which reduces the level of uncertainty for companies and, accordingly, the impact of the variability of the digital environment.

Keywords: *gig economy, digital transformation, digitalization, gig worker, business model*

საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და მისი გამოვლენის თავისებურებები კახეთის რეგიონში

ნინო დოხტურიშვილი

დოქტორანტი,

ივ. ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

დემოგრაფიული ცვლილებები ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი „მეგატენდენციაა“, რომელიც განსაზღვრავს პროგრესს მდგრადი განვითარების მიზნებისკენ. თუმცა, დემოგრაფიული სიტუაციები მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით. ხშირად ეს მრავალფეროვანი დემოგრაფიული სიტუაციები იწვევს შეშფოთებას, როგორც „ჭარბი პოპულაციის“, ისე „არასაკმარისი მოსახლეობის“ შესახებ, რაც გამოწვეულია სხვადასხვა გლობალური გამოწვევით, მათ შორის კლიმატის ცვლილებით, პანდემიით, კონფლიქტებით, მასობრივი გადაადგილებითა და ეკონომიკური გაურკვევლობით.

სწორი დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს როგორც მთლიანად საქართველოს, ისე მისი რეგიონებისთვის, რადგან თანამედროვე დემოგრაფიული სიტუაცია მეტისმეტად მწვავეა.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების კახეთის რეგიონში გამოვლენის თავისებურებების შესწავლა. კვლევის პროცესში გამოყენებულია როგორც თვისებრივი, ისე სტატისტიკური მეთოდები.

კახეთის რეგიონის დემოგრაფიული პროცესების სტატისტიკური ანალიზით ვლინდება, რომ მოსახლეობა განიცდის მწვავე დემოგრაფიულ კრიზისს. საწყის ეტაპზე რთულია დემოგრაფიული პრობლემების გამომწვევი მიზეზების შეჩერება. შექმნილი მდგომარეობისთვის საჭიროა ისევ და ისევ სახელმწიფოს მიერ ეფექტიანი და მიზანმიმართული დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, მათ შორის რეგიონულ დონეზე.

საკვანძო სიტყვები: დემოგრაფიული პოლიტიკა, პრობლემები, მოსახლეობის დაბერება, სახელმწიფო რეგულირება, სტატისტიკური ანალიზი.

შესავალი

ქვეყნისთვის ყველაზე დიდი სიმდიდრე მისი მოსახლეობაა, რომელიც უწყვეტ ბუნებრივ მოძრაობაშია, რაც, უპირველეს ყოვლისა, თაობათა უსასრულო განახლებაში აისახება, თავისი რაოდენობრივი და თვისებრივი შემადგენლობით განიცდის ცვლილებებს დროსა და სივრცეში. სწორედ, მოსახლეობის რიცხოვნობა და შემადგენლობა არის სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების საფუძველი. მოსახლეობის რიცხოვნობის დადგენა კი დემოგრაფიული სტატისტიკის საქმეა და შეისწავლება როგორც მოსახლეობის აღწერებით, ისე მიმდინარე აღრიცხვის საფუძველზე. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მეცნიერული და პრაქტიკული მიზნებისათვის აუცილებელია არა მხოლოდ ქვეყნის მთელი მოსახლეობის რიცხოვნობის დადგენა, არამედ ამ რაოდენობრივი დემოგრაფიული მახასიათებლების გაანალიზება რეგიონულ ჭრილში. აქედან გამომდინარე, სტატისტიკის ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკის მიმართულებებისა და მათი გამოვლენის თავისებურებების შესწავლა კახეთის რეგიონში.

ზოგადად, დემოგრაფიული პრობლემები მსოფლიოს წინაშე მდგარ 5 მთავარ გლობალურ პრობლემას შორის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვნად არის მიჩნეული. საქართველოში და მათ შორის კახეთის რეგიონში სიტუაცია ისეთია, რომ შობადობის, მოკვდაობისა და მოსახლეობის აღწარმოების მიხედვით ის განვითარებული ქვეყნების მსგავსია, მაგრამ გარე მიგრაციის თვალსაზრისით ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მსგავსი, რაც კიდევ უფრო ძაბავს დემოგრაფიულ ვითარებას. (საქართველოს დემოგრაფიული განვითარების სოციალურ დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკა. 2010). 1990 წლიდან უარესდება მოკვდაობა, შობადობა, ქორწინებისა და განქორწინების მაჩვენებლები, მიგრაციულმა პროცესებმა კი არნახულ მაშტაბებს მიაღწია. ვფიქრობთ, რომ ასეთი დემოგრაფიული სიტუაცია ქვეყნისთვის ეროვნულ საფრთხეს წარმოადგენს და არსებული დემოგრაფიული ვითარებიდან თავის დაღწევა რთულია. გამომდინარე იქიდან, რომ დემოგრაფიული პროცესები, ყოველთვის დემოგრაფიული პოლიტიკას მოიზარებს, შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად მიგვაჩნია, რომ საჭიროა, მოსახლეობის მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერაზე ორიენტირებული აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება.

დემოგრაფი ანზორ სახვაძე აღნიშნავს, რომ – „ქვეყნის დემოგრაფიული მიზანი ხელისუფლებამ უნდა განსაზღვროს და არა სპეციალისტებმა. სპეციალისტებმა შეიძლება კონსულტაცია გაუწიოს საჭირო ღონისძიებების დასახვაში“. (სახვაძე, ა. 2024)

ძირითადი შინაარსი

საქართველოს დემოგრაფიული განვითარება დიდი ხანია ნეგატიურია, სახელმწიფო არ ასრულებს ოჯახის წინაშე დაკისრებულ მოვალეობას, ოჯახი კი რეაგირებს იმით, რომ ვერ ასრულებს საკუთარ „მოვალეობას“ სახელმწიფოს წინაშე. ოჯახის, როგორც ინსტიტუტის გაუარესება დიდწილად ამ პირობებში მოხდა, რასაც გარკვეულად ხელი შეუწყო ოჯახის ეკონომიკური ფუნქციის, განსაკუთრებით კი პროდუქტიული ფუნქციის შელახვამ. ეფექტიანი დემოგრაფიული პოლიტიკის ღონისძიებების წინაპირობაა ძლიერი სოციალური პოლიტიკის განხორციელება. მართალია, ასეთი პოლიტიკის მიზნები სცილდება დემოგრაფიულ ვითარებაზე გავლენას, მაგრამ ის წარმოადგენს გადამწყვეტ ინსტრუმენტს დემოგრაფიული პროცესების წარმართვაში. (Sulaberidze, A. 2002)

თუ მოვახდენთ რეტროსპექტულ ანალიზს, დავინახავთ, რომ ქართული საზოგადოების მხრიდან ქვეყნის დემოგრაფიულ პრობლემებზე მსჯელობა მაშინაც კი მიმდინარეობდა, როდესაც დემოგრაფიული ვითარება დღევანდელთან შედარებით ნაკლებად შემაშფოთებელი იყო. აღნიშნულის ერთ-ერთი დადასტურებაა „საქართველოს დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამა“, რომელიც შეიმუშავა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სამთავრობო დემოგრაფიულმა კომისიამ ჯერ კიდევ 1988 წელს. მეცნიერულად შემუშავებული დემოგრაფიული პოლიტიკის მიმართულებები საქართველოსთვის 1989 წლის დასასრულსა და 1990 წლის დასაწყისში გვხვდება, რომლებიც გულისხმობდნენ დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღებას 1990-2005 წლების პერიოდში. შემდგომში საქართველოში გასატარებელი დემოგრაფიული პოლიტიკა – „საქართველოს სახელმწიფო ერთიანი სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკა“ პროექტის სახით 1990-იანი წლების ბოლოს იქნა შემუშავებული და საზოგადოებას 2001 წლის მაისში მიენოდა. 2007 წლის შემოდგომაზე საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა კონცეფცია „თანამედროვე დემოგრაფიული ვითარება საქართველოში და დემოგრაფიული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“. პროექტის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მთლიანად საქართველოში და მის რეგიონებში 2010-2020 წლების პერიოდში მოსალოდნელი დემოგრაფიული განვითარების მოდელის განსაზღვრა და შესაბამისი სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პო-

ლიტიკის სტრატეგიული მიმართულებების შემუშავება. გენერალური მიზნიდან გამომდინარე, გამოკვლევის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს წარმოადგენდა: საქართველოს დემოგრაფიული პრობლემების კონკრეტიზაცია და მისი ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორების დადგენა და შეფასება; საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პროგნოზირება 2010-2050 წლებისათვის; დეპოპულაციური პროცესის შერბილებისა და ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების მიზნით შესაბამისი სოციალურ-დემოგრაფიული საოჯახო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა და სხვა. (საქართველოს დემოგრაფიული განვითარების სოციალურ დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკა. 2010)

ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ისეთი ღონისძიებების გატარებას, როგორიცაა: ოჯახის ფინანსური ხელშეწყობა და დახმარება, სამუშაოსა და ოჯახის შეთავსებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა. ოჯახის ფინანსური ხელშეწყობა, თავის მხრივ, გულისხმობს: ბავშვის/ოჯახის ფინანსურ დახმარებას, ბავშვის მზრუნველობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვაში დახმარებას, საგადასახადო შეღავათების მინიჭებას და ოჯახის ერთობლივი შემოსავლის დაბეგვრის განსხვავებული სისტემის შექმნას. სამუშაოსა და ოჯახის შეთავსებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა გულისხმობს სახელმწიფოს მიერ დეკრეტული შვებულების მიცემა ორივე მშობლისთვის. საქართველოში და, მათ შორის, კახეთის რეგიონში, ოჯახის ფინანსური დახმარების პირობები სრულიად განსხვავდება ევროკავშირის ქვეყნებში არსებული სტანდარტებისგან. საქართველოში ფულადი დახმარება ვრცელდება მხოლოდ იმ რეგიონებში ფაქტობრივად მცხოვრებ ბავშვებზე, სადაც წინა მე-2 და მე-3 წელს არ ფიქსირდება წლიური მატების საშუალო დადებითი მაჩვენებელი. 2014 წლის 1 ივნისიდან ასეთად განისაზღვრა 6 რეგიონი, სადაც სიკვდილიანობა აღემატება შობადობას. აღნიშნული პირობა უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს იმ ოჯახებს, რომლებიც მოცემულ რეგიონში არ ცხოვრობენ. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ოჯახის ფინანსური დახმარების მიღების უფლება ვრცელდება ყველა მოსახლეზე. გარდა ამისა, კახეთის რეგიონში და საქართველოს ზოგ რეგიონებში ფულად დახმარებას იღებს რიგით მესამე ან შემდეგი ცოცხლადშობილი შვილი. ამისგან განსხვავებით, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ოჯახის ფინანსური დახმარების ოდენობა დამოკიდებულია ოჯახის ბავშვების რაოდენობაზე, კერძოდ სახელმწიფო ოჯახის ფინანსურ დახმარებას გამოყოფს პირველი ბავშვის გაჩენიდან და ფინანსური დახმარების ოდენობა იზრდება ყოველ შემდეგ ბავშვზე. საქართველოში და მის რეგიონებში, მათ შორის კახეთშიც, ფულადი დახმარება ინიშნება 2 წლის ასაკამდე. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ოჯახს უფლება აქვს მიიღოს ფინანსური დახმარება ბავშვმა 18 წლამდე. შესაბამისად საქართველოს არსებული ფინანსური დახმარების პერიოდი ძალიან ცოტაა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებული ფინანსური დახმარების მიღების პერიოდთან შედარებით. საქართველოში ფულადი დახმარების ოდენობა მაღალმთიან რეგიონში ფაქტობრივად მცხოვრებთათვის 200 ლარია, ხოლო არამაღალმთიან რეგიონში ფაქტობრივად მცხოვრებთათვის – 150 ლარი. ამ კანონის ამოქმედების შემდეგ პირველი ბავშვისა და მეორე ბავშვისათვის, რომელთა ერთ-ერთი მშობელი არის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით 1 წლის განმავლობაში ყოველთვიური ფულადი დახმარების – არანაკლებ 100 ლარის – მიცემას, ხოლო მესამე ბავშვისა და ყოველი შემდგომი ბავშვისთვის – 2 წლის განმავლობაში ყოველთვიური ფულადი დახმარების – არანაკლებ 200 ლარის – მიცემას. სხვადასხვა რეგიონში მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის ბენეფიციარები არიან სოციალურად დაუცველი 3, 4, ან 5 და მეტ-შვილიანი ოჯახები. ზოგიერთ ადგილობრივ თვითმმართველობებს მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა საერთოდ არ გააჩნიათ. თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური ფულადი დახმარების ოდენობა სხვადასხვა თვითმმართველ ერთეულში მერყეობს 10 ლარიდან 50 ლარამდე. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი სარგებლობს საშემოსავლო გადასახადთან და ქონების გადასახადთან

დაკავშირებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო შეღავათებით. კანონით განსაზღვრულ მაღალმთიან ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეთაგან ყველაზე მეტი ახმეტის მუნიციპალიტეტში შედის.

2014 წლის აღწერების მონაცემებით, მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე 331.4 ათასი ადამიანი ცხოვრობს, რაც 2002 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით 28%-ით ნაკლებია, ხოლო მათი წილი ქვეყნის მოსახლეობაში 2002 და 2014 წლებს შორის თითქმის არ შემცირებულა და მთელი მოსახლეობის 9%-ს შეადგენს.

ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო გამოყოფს ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით ერთჯერად ფინანსურ დახმარებას. მისი მიზანია ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით ოჯახების ფინანსური ნახალისება. ერთჯერადი ფინანსური დახმარების ოდენობა, როგორც წესი, აღემატება ოჯახის ფინანსური დახმარების ყოველთვიურ ოდენობას. საქართველოში ოჯახის ერთჯერადი დახმარება ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამით. იგი შესაძლოა შედიოდეს მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობების სოციალური დახმარების პროგრამებში და ისიც, უმრავლეს შემთხვევაში, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის. ასევე, სახელმწიფო აწესებს ოჯახის ერთობლივი შემოსავლის განსხვავებული დაბეგვრის სისტემას, რომელიც გულისხმობს ოჯახის ერთობლივი შემოსავლის გარკვეული ნაწილის საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრისგან განთავისუფლებას. იგი დამოკიდებულია ოჯახის ერთობლივი შემოსავლის ოდენობაზე და ოჯახის რაოდენობაზე. საქართველოში მსგავსი საგადასახდლო სისტემა არ არსებობს. ოჯახის მხარდაჭერის ერთ-ერთი საშუალებაა სახელმწიფოს მიერ ოჯახისა და სამუშაოს შეთავსებისათვის სათანადო შრომითი გარემოს ხელშეწყობა. დამქირავებელი დაქირავებულს სთავაზობს დეკრეტული შვებულების, ან ბავშვის მოვლისათვის საჭირო შვებულების სათანადო პირობებს, ასევე ეხმარება სამსახურში დაბრუნების შემდგომ ბავშვის აღზრდაში. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მიზანია ოჯახისათვის სათანადო შრომითი პირობების შემუშავება, კერძოდ, ხელი შეუწყოს მშობლების მიერ სამუშაოსა და ოჯახის საქმეების შეთავსებას, რომ დარჩეთ ბავშვისთვის საჭირო დრო. ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში ბავშვის მოვლისათვის შვებულებას აძლევენ ორივე მშობელს. მისი ხანგრძლივობა სხვადასხვა ქვეყანაში მერყეობს 12 – დან 26 კვირის ჩათვლით. შვებულების ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება ხელფასის 80 – 100%-მდე. საქართველოს შრომის კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად, ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულების პერიოდის ხანგრძლივობამ, დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლოა შეადგინოს მაქსიმუმ 730 დღე, თუმცა, ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა განისაზღვრება 183 კალენდარული დღით (26 კვირა). ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში 200 კალენდარული დღე. საქართველოს შრომის კოდექსი ადგენს ანაზღაურებადი შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობის ზედა ზღვარს – არა უმეტეს 1000 ლარის ოდენობით. საქართველოს შრომითი კოდექსის 28-ე მუხლის მიხედვით, დასაქმებულს თავისივე თხოვნით უწყვეტად ან ნაწილ ნაწილ, მაგრამ არა ნაკლებ წელიწადში 2 კვირისა, ეძლევა ანაზღაურების გარეშე შვებულება ბავშვის მოვლისთვის 12 კვირის ოდენობით, სანამ ბავშვს შეუსრულდება 5 წელი. ანაზღაურების ოდენობის გაანგარიშებისათვის ითვალისწინებენ ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის, ან ახლადშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებაში გასვლის წინა თვის თანამდებობრივი სარგოს. საქართველოს კანონმდებლობის მიერ განსაზღვრული ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულების პერიოდის ხანგრძლივობა შეესაბამება ევროკავშირის ქვეყნებში არსებულ სტანდარტს, თუმცა შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობის ზედა ზღვარის ოდენობა (1000 ლარი) ვერ უზრუნველყოფს ოჯახის ეფექტურ ფინანსურ დახმარებას.

რაც შეეხება კონკრეტულად მოსახლეობის დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ პოლიტიკას, გატარდა რიგი ღონისძიებები საქართველოს მთავრობის

მხრიდან. შეიქმნა მოსახლეობის განვითარების ეროვნული საბჭო „საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 24 ივნისის დადგენილების საფუძველზე, რათა შეიმუშაოს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინოს 2018-2030 წლების დემოგრაფიული უსაფრთხოების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის პროექტი. საბჭოს მიზანია ქვეყანაში მოსახლეობის რიცხოვნობის მოსალოდნელი შემცირების შეჩერების ხელშეწყობა; საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის რაციონალიზაციით ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის სტაბილიზაცია, ქვეყნის მოსახლეობის ბოლოდროინდელი და მოსალოდნელ ცვლილებებთან დაკავშირებული გამოწვევების დასაძლევად და შესაძლებლობების გამოსაყენებლად ერთიანი კონცეპტუალური მიდგომის ჩამოყალიბების ხელშეწყობა და ამით ეროვნული უსაფრთხოების სფეროში არსებული და შესაძლო რისკების თავიდან აცილების უზრუნველყოფა. (საქართველოს მთავრობის დადგენილება N221. 2018)

ქვეყნის დემოგრაფიული განვითარება, წარმატებული დემოგრაფიული პოლიტიკა მდგრად ეკონომიკურ განვითარებას ეფუძნება. დემოგრაფიული პრობლემების გადასაღებად დიდი ფინანსური სახსრებია საჭირო, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტი ვერ უზრუნველყოფს ქვეყანაში აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის საჭირო მაშტაბებით განხორციელებას. საჭირო ხდება სხვა გზებით ფინანსური სახსრების მოძიება. (თოთაძე ა. 2018)

უმნიშვნელოვანესია გაერო-ს მოსახლეობის ფონდის საქმიანობა. გაეროს მოსახლეობის ფონდი დახმარებას უწევს ქვეყანაში მონაცემთა შეგროვებისა და მათი შემდგომი ანალიზის შესაძლებლობის განვითარებაში, რაც მიზნად ისახავს პოლიტიკის შექმნას, მართვას და პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებას იმისთვის, რომ სათანადოდ მოხდეს როგორც არსებულ, ასევე მომავალ საჭიროებებზე რეაგირება, ხელს უწყობს სახელმწიფოს, რეგიონულ და გლობალურ პოლიტიკური დიალოგების განვითარების პროგრამების მხარდაჭერის მიზნით.

2016 წელს, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხთა საპარლამენტო კომიტეტთან თანამშრომლობით, გაერო-ს მოსახლეობის ფონდმა დახმარება გაუწია საქართველოში მოსახლეობის დინამიკის და დემოგრაფიული უსაფრთხოების პრიორიტეტების შესახებ სახელმწიფო დიალოგს მონაწილეობითი პროცესის მეშვეობით, რომლებშიც ჩართულები იყვნენ სამთავრობო უწყებები, გაერო-ს სააგენტოები, საერთაშორისო, სამეცნიერო წრეები, პროფესიული ასოციაციები და სამოქალაქო საზოგადოება. დიალოგის მიზანს წარმოადგენდა მოსახლეობის დინამიკის, მასზე მოქმედი ფაქტორებისა და მომავალი პრიორიტეტების შესახებ ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება, რომელიც აისახებოდა საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების პოლიტიკაში.

შედეგად, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად შემუშავებული საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების პოლიტიკის კონცეფცია ფართოდ აღიარებს ადამიანის უფლებათა პრინციპებსა და სტანდარტებს, საერთაშორისო სამართალს, მდგრადი განვითარების მიზნებს და ეროვნული პოლიტიკის შესაბამის ჩარჩოებს და მოიცავს ოთხ ძირითად სფეროს: 1) შობადობა, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ჩათვლით; 2) ავადობა და სიკვდილიანობა; 3) მიგრაცია; 4) მოსახლეობის სტრუქტურა და მოსახლეობის დაბერება. „დემოგრაფიული უსაფრთხოების პოლიტიკის კონცეფციის“ დოკუმენტი საქართველოს პარლამენტმა 2016 წლის 24 ივნისს მიიღო. ჩამოყალიბების დღიდან გაერო-ს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისი დახმარებას უწევს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს ძირითადი კომპეტენციების განვითარებაში, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მოსახლეობის არწერების ჩატარება მონაცემთა შეგროვების საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდოლოგიების გამოყენებით. ამ მიზნის მისაღწევად გაერო-ს მოსახლეობის ფონდმა, გაერო-ს ევროპისეკონომიკურ კომისიასთან თანამშრომლობით, დახმარება გაუწია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის შესაძლებლობების განვითარებას მოსახლეობის აღწერის მეთოდოლოგიის ჩამო-

ყალიბებაში, დაგეგმვაში, ჩატარებაში მონაცემთა ანალიზსა და გავრცელებაში. ასევე გაერო-ს მოსახლეობის ფონდმა დახმარება გაუწია საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს 2014 წლის აღწერის მონაცემთა ღრმა ანალიზის საფუძველზე მონოგრაფიების მომზადებაში შემდეგ საკითხებზე: 1. მოსახლეობის დინამიკა, 2. ახალგაზრდობის საკითხი, 3. მოსახლეობის დაბერების საკითხი, 4. აღწერის მონაცემთა გენდერული ანალიზი, 5. დაბადებისას სქესთა შორის თანაფარდობა.

რაც შეეხება კახეთის რეგიონს, საქართველოს მთავრობის N1366 განკარგულებით 2013 წლის 17 სექტემბერს დამტკიცდა „კახეთის რეგიონის განვითარების 2014-2021 წლების სტრატეგია. ფაქტია, რომ კახეთის მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება ფიქსირდება როგორც სოფლად ასევე ქალაქად. ასევე შეინიშნება შიდა და გარე მიგრაციის მაღალი მაჩვენებლები. მართალია, რეგიონულ ჭრილში მიგრაციის სტატისტიკა არ არსებობს, თუმცა სტრატეგიაზე სამუშაო შეხვედრების დროს მიღებული ინფორმაციით, კახეთში მთელი რიგი სოფლები (ახმეტისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში) მოსახლეობისგან დაცლილია. შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაწილი მასობრივად გაედინებასაზღვარგარეთ ან საქართველოს სხვა ქალაქებში. კახეთის რეგიონში გარე მიგრაციის ფემინიზაცია იკვეთება, რომელიც უარყოფითად მოქმედებს მოსახლეობის დემოგრაფიულ მაჩვენებელზე. სამსახურის შოვნის უპერსპექტივობის გამო რეგიონს ახალგაზრდებიც ტოვებენ, რაც კახეთის მოსახლეობის დაბერების ტენდენციას უწყობს ხელს. დაბერების ტენდენციის გაგრძელების შემთხვევაში ვერ განვითარდება ეკონომიკა და ვერ გაუმჯობესდება მოსახლეობის ცხოვრების დონე. სწორედ ამიტომ, საქართველოს მთავრობამ „კახეთის რეგიონის განვითარების 2014-2021 წლების სტრატეგიაში კახეთის რეგიონის ფაქტორული ანალიზით გამოავლინა რეგიონის ძლიერი და სუსტი მხარეები. რეგიონის სუსტ მხარეებში შედიოდა: 1. მოსახლეობის დაბერება; 2. ახალგაზრდების მიგრაცია; 3. თვითდასაქმების მაღალი დონე; 4. ინფრასტრუქტურა; 5. მოსახლეობაში კიბოს, ფარისებრი ჯირკვლისა და ანემიის გავრცელების მაღალი დონე. რეგიონში არსებულ საფრთხეებში შევიდა მოსახლეობის ბუნებრივი კლება და ავადობა. კახეთის რეგიონის საშიშროებებს განეკუთვნა მიგრაციისა და დაბერების ტენდენციის გაგრძელება. სწორედ ზემოთ აღნიშნული სტრატეგიით ჩამოყალიბდა კახეთის რეგიონის განვითარების პრიორიტეტები, ხედვა, სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები. კახეთის რეგიონის განვითარების პრიორიტეტებში შევიდა: რეგიონის სოციალ-ეკონომიკური განვითარება; მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლება და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება. 2014-2021 წლების სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები იყო: მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესება მუნიციპალური ჯანდაცვის პროგრამების დახვეწით; დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება მიგრაციის შეჩერებით, შობადობის ხელშეწყობითა და ბავშვიანი ოჯახების დახმარებით; დასაქმების ზრდა კვალიფიკაციის ამაღლებით, აგრომრეწველობასა და ტურიზმში ახალი სამუშაო ადგილების შექმნით, პროფესიული გაერთიანებების საფუძველზე. (საქართველოს მთავრობის განკარგულება N1366, 2013)

კახეთის რეგიონისთვის მნიშვნელოვანი იყო კიდევ ერთი პროექტი 2020-2022

წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა, რომელშიც წარმოდგენილი იქნა საქართველოს ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, ევროკავშირთან, სხვა განვითარების პარტნიორებთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, აკადემიურ წრეებთან და კერძო სექტორებთან კონსულტაციებისთვის. პროგრამა დაფინანსდა სახელმწიფო ბიუჯეტის, ევროპის კავშირის ფინანსური კონტრიბუციის, ასევე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების, მუნიციპალიტეტებისა და კერძო სექტორის ფინანსური მხარდაჭერით. რეგიონული განვითარების მიზნების პრიორიტეტებისა და ღონისძიებების და თანამედროვე დეცენტრალიზებული რეგიონული პოლიტიკის ინსტიტუციური ჩარჩოს ჩამოყალიბების გზით, საქართველოს მიეცა შესაძლებლობა დაენყო

ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების ღონისძიებების განხორციელება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად. ამისთვის შეიქმნა საქართველოს ოთხი საპილოტე რეგიონი: იმერეთი, კახეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი. პროგრამა ითვალისწინებს ხელი შეუწყოს ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, დაბალანსებულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, რეგიონული უთანაბრობების შემცირებასა და ტერიტორიულ განვითარებას.

დასკვნა

როგორც უკვე აღვნიშნეთ კახეთის რეგიონის მოსახლეობის დემოგრაფიული პროცესების სტატისტიკა მოწმობს, რომ მოსახლეობა განიცდის მწვავე დემოგრაფიულ კრიზისს. დემოგრაფიული პრობლემების გამომწვევი მიზეზების შესაჩერებლად საჭიროა ისევე და ისევე სახელმწიფოს მიერ ეფექტიანი და მიზანმიმართული დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება. დემოგრაფიულ პრობლემებზე მსჯელობა მაშინ აქტუალური იყო, როდესაც დემოგრაფიული ვითარება დღევანდელთან შედარებით ნაკლებად შემამოფოთებელი იყო.

რაც შეეხება კახეთის რეგიონს, მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება ფიქსირდება როგორც სოფლად, ასევე ქალაქად. ასევე შეინიშნება შიდა და გარე მიგრაციის მაღალი მაჩვენებლები. მართალია, რეგიონულ ჭრილში მიგრაციის სტატისტიკა არ არსებობს, თუმცა სტრატეგიაზე სამუშაო შეხვედრების დროს მიღებული ინფორმაციით, კახეთში მთელი რიგი სოფლები (ახმეტისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში) მოსახლეობისგან დაცლილია. შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაწილი მასობრივად გაედინება საზღვარგარეთ ან საქართველოს სხვა ქალაქებში. კახეთის რეგიონში გარე მიგრაციის ფემინიზაცია იკვეთება, რომელიც უარყოფითად მოქმედებს მოსახლეობის დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე. სამსახურის შოვნის უპერსპექტივობის გამო რეგიონს ახალგაზრდებიც ტოვებენ, რაც კახეთის მოსახლეობის დაბერების პროცესს უწყობს ხელს.

რეგიონის სუსტ მხარეს წარმოადგენს: მოსახლეობის დაბერება; ახალგაზრდების მიგრაცია; თვითდასაქმების მაღალი დონე; ინფრასტრუქტურა; მოსახლეობაში კიბოს, ფარისებრი ჯირკვლისა და ანემიის გავრცელების მაღალი დონე. რეგიონში საფრთხის შემცველია მოსახლეობის ბუნებრივი კლება და ავადობა, მიგრაციისა და დაბერების ტენდენციის გაგრძელება. აქვე უნდა აღვნიშნოთ კახეთის რეგიონის ძლიერი მხარე და შესაძლებლობები. რეგიონის ძლიერ მხარეს წარმოადგენს: მოსახლეობის საბაზისო განათლების მაღალი დონე; კახეთის დასახლებული პუნქტების გეოგრაფიული ადგილმდებარეობა; აგრომრეწველობის და ტურიზმის განვითარების ხელსაყრელი ბუნებრივი და კლიმატური პირობები. ხოლო რეგიონის შესაძლებლობებს წარმოადგენს: მოსახლეობის შემოსავლების ზრდა აგროსამრეწველო და ტურიზმის დარგებში; თვითდასაქმების წილის შემცირება და დასაქმებულთა რიცხვის გაზრდა; დასაქმებასთან ერთად სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებით მოსახლეობისთვის რეგიონში დარჩენის მასტიმულირებელი გარემოს შექმნა; ცხოვრების ხარისხის ამაღლება ინფრასტრუქტურის გაძლიერებით, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებითა და რიგ დაავადებათა პრევენციით; შობადობის წახალისება; ახალგაზრდების მიგრაციის და მოსახლეობის დაბერების ტენდენციის შეჩერება; ბავშვიანი ოჯახებისთვის ადგილობრივი პროგრამებიდან დამატებითი სერვისების მიწოდება.

კახეთის რეგიონის განვითარების პრიორიტეტებია: რეგიონის სოციალ-ეკონომიკური განვითარება; მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლება და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება.

ლიტერატურა

1. თოთაძე, ა. (2018). „საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პროგრამა“. თბილისი. გვ. 22-23,
2. საქართველოს დემოგრაფიული განვითარების სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკა. (2010). თბილისი. გვ. 37,
3. წულაძე გ., მაღლაფერიძე ნ., სულაბერიძე ა. (2009) „დემოგრაფია“ თბილისი. გვ. 119-120.
4. წულაძე გ., სულაბერიძე ა. მაღლაფერიძე ნ. მამარდაშვილი გ. (2008). საქართველოს დემოგრაფია: გუშინ, დღეს, ხვალ“. თბილისი. გვ. 115.
5. ხმალაძე მ.; ჩიტალაძე ქ. (2020). „დემოგრაფიული სტატისტიკა“. თბილისი. გვ. 17.
6. სახვაძე, ა., (2024). <https://kvira.ge/924933>
7. საქართველოს მთავრობის დადგენილება N221, 2018 წლის 11 მაისი.
8. საქართველოს მთავრობის დადგენილება N1366, 2013 წლის 17 სექტემბერი.
9. Principles and Recommendations for a Vital Statistics System. NY, 2001 p. 11,
10. Sulaberidze, A.(2002).“Problems of Socio-Demographic Policy in Georgia“. **Sociological Research**, 42(1):87-96, DOI: 10.2753/SOR1061-0154420187
11. <https://www.geostat.ge/ka>
12. <https://rda.gov.ge/api/media/blob/8802aeaf-154b-4549-7970-08d9dc0ed34c/>

MAIN DIRECTIONS OF GEORGIA'S DEMOGRAPHIC POLICY AND ITS MANIFESTATION IN THE KAKHETI REGION

Nino Dokhturishvili

Doctoral

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

Demographic changes are one of the most important “megatrends” that determine progress towards sustainable development goals. However, demographic situations vary significantly across countries and regions. These diverse demographic situations often raise concerns about both “overpopulation” and “insufficient population,” driven by various global challenges, including climate change, pandemics, conflicts, mass migration, and economic uncertainty.

The implementation of a proper demographic policy is of particular importance for Georgia as a whole, as well as for its regions, because the current demographic situation is extremely acute. The purpose of this study is to examine the specific features of the manifestation of Georgia's main demographic policy directions in the Kakheti region. Both qualitative and statistical methods are used in the research process.

Statistical analysis of the demographic processes in the Kakheti region reveals that the population is experiencing a severe demographic crisis. At the initial stage, it is difficult to halt the causes of demographic problems. The current situation requires the development and implementation of effective and targeted demographic policies by the state, including at the regional level.

Keywords: *Demographic policy, problems, population aging, state regulation, statistical analysis.*

მწვანე წყალბადის წარმოების პოტენციალი და მისი როლი ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის საქართველოში

გულნაზ ერკომაიშვილი

ასოცირებული პროფესორი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

gulnazi.erkomaishvili@tsu.ge

ანოტაცია

ნაშრომში გადმოცემულია მწვანე წყალბადის როლი ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის, მისი წარმოებისათვის ინფრასტრუქტურის შექმნის ტენდენციები საქართველოში. აღნიშნულია, რომ ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტი ეკოლოგიურად სუფთა წყალბადის უპირატესი ხელშეწყობაა. იგი მომავლის ინოვაციური პროექტი და ტრადიციული, წიაღისეული საწვავის კონკურენტული ალტერნატივაა. საქართველოს განახლებადი ენერგიის პროექტების განვითარების დიდი, აუთენტიკური პოტენციალი გააჩნია. აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში ევროპა ჩვენს ქვეყანას განიხილავს მოკავშირედ მწვანე წყალბადის წარმოების მიმართულებით. მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანა გახდეს წყალბადის გამოყენების თვითკმარი, ჰქონდეს დამატებითი რესურსები ექსპორტისთვის და არა მხოლოდ ტრანზიტისთვის – შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტის ქვეშ ექსპორტის მიზანია. საქართველოს აქვს რესურსი, მსოფლიო ბაზარზე მწვანე წყალბადით წარსდგეს.

მწვანე წყალბადი დაეხმარება ქვეყანას ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებასა და იმპორტირებული საწვავის ჩანაცვლებაში, რადგან ჩვენს ქვეყანას განახლებადი ენერგიის მდიდარი რესურსი აქვს. საქართველოს ამ შესაძლებლობის გამოყენებისა და მწვანე წყალბადით მსოფლიო ბაზარზე პოზიციონირება შეუძლია.

საკვანძო სიტყვები: მწვანე წყალბადი, წყალბადის ენერგეტიკა, ენერგეტიკული უსაფრთხოება, წყალბადის ენერგეტიკის ეკონომიკური პოლიტიკა

ევროკავშირის ქვეყნების ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს ქვეყანაში შეტანილ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების შემცირება და ასევე ენერგიის განახლებადი წყაროების ხარჯზე ელექტროენერგიის წარმოების გაზრდა.

ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკა ევროპის ახალი ფუნქციონალური მიმართულება გახდა. ევროკავშირი მოიხმარს მსოფლიოში წარმოებული ენერგიის ერთ მეხუთედს, მაგრამ მას შედარებით მცირე საკუთარი მარაგები გააჩნია. ევროკავშირი მსოფლიოში ენერგიის უმსხვილესი იმპორტიორია. მის მიერ მოხმარებული ენერგიის 54% იმპორტირებულია.

ბოლო პერიოდში ევროპული ენერგეტიკული პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი ეკოლოგიურად სუფთა წყალბადის უპირატესი ხელშეწყობაა. მწვანე წყალბადი მომავლის ინოვაციური პროექტია, იგი ტრადიციული, წიაღისეული საწვავის კონკურენტული ალტერნატივაა. მწვანე წყალბადი მიიღება ელექტროლიზის საშუალებით. მის მისაღებად კი განახლებადი ენერგიის წყაროები გამოიყენება: ქარი, მზე და წყალი, ანუ ჰიდრო ენერგეტიკა. წყალბადის წარმოების ხარჯი, ძირითადად, მოიცავს ელექტროენერგიისა და ელექტროლიზების ხარჯებს, დანადგარის რომლის საშუალებითაც წყალბადი წარმოიქმნება.

ევროპა მწვანე წყალბადს განიხილავს, როგორც რუსეთზე ენერგიის დამოკიდებულების შემცირების რეალურ საშუალებას. ევროკავშირის მიერ 2022 წლის მაისში შემუშავდა გეგმა, რომლის მიხედვითაც მოკლე პერიოდში საგრძნობლად უნდა შემცირდეს რუსულ ენერგიებზე დამოკიდებულება. ევროკავშირის მონაცემებითა და პროგნოზებით, წყალბადის დადგმული სიმძლავრის გაზრდა 2024 წლისთვის 6 გიგავატამდეა დაგეგმილი, ხოლო 2050 წლისთვის – 500 გიგავატამდე.

ევროკავშირის გეგმის (REPowerEU) მიხედვით, 2050 წლისთვის ევროპა უნდა იქცეს ე.წ. სუფთა კონტინენტად, რასაც ევროპის მწვანე შეთანხმებაც (**Green Deal**) – ითვალისწინებს. შეთანხმების თანახმად, განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიებთან ერთად წყალბადის ქსელის განვითარება ევროპაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა. შესაბამისად, იზრდება მწვანე წყალბადის კვლევებისა და ინოვაციების დაფინანსება. მნიშვნელოვნადაა მომატებული მწვანე წყალბადის როლი და წილი ევროკავშირის ეკონომიკის სხვადასხვა მიმართულებაში. მაგალითად, ნიდერლანდების სამეფოში იგეგმება წყალბადის ტრანსპორტირების მსოფლიოში პირველი ეროვნული ქსელის მშენებლობა. ევროპა მწვანე წყალბადზე მუშაობის გააქტიურებას განიხილავს, როგორც „გადაუდებელი გამოწვევის გარდაქმნას უნიკალურ შესაძლებლობად“.

მთლიანად ევროპის სტრატეგია ევროპის კონტინენტზე 2030 წლისთვის მწვანე/სუფთა წყალბადის სანარმოებლად 40 გეგავატი წყლის ელექტროლიზის და ევროპის კონტინენტს გარეთ იმპორტისათვის დამატებით 40 გეგავატის წარმოებას მოიცავს. სწორედ აქ ჩნდება საქართველოსთვის უნიკალური პერსპექტივა და სწორედ ამას ემსახურება HyGeorgia-ს პროექტი, რომ ეს პოტენციალი სწორად და მთლიანად იყოს გამოყენებული. შედეგად მივიღებთ უფრო მდგრად ეკონომიკურ მოდელს, რათა თანამედროვე მსოფლიოში საქართველომ ერთხელ და სამუდამოდ თავისი ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს [9].

მწვანე წყალბადის აქტიურ გამოყენებას არა მხოლოდ ევროპა, არამედ სხვადასხვა ქვეყანა განიხილავს. ერთ-ერთი ასეთი ქვეყანაა ინდოეთი. ინდოეთში 2021 წელს დაიწყო ქვეყნის წყალბადის ეროვნული მისიის განხორციელება, სანარმოებს განესაზღვრა მწვანე წყალბადის გამოყენების მინიმალური კვოტა. ამ ქვეყნის ხელისუფლება მიიჩნევს, რომ მწვანე წყალბადი შეიძლება დაეხმაროს ინდოეთს ენერგეტიკული დამოუკიდებლობისკენ დიდი ნაბიჯის გადადგმაში და ამ მიზანს ინდოეთი 2047 წლისთვის მიაღწევს.

მწვანე წყალბადის განვითარების კურსი საქართველომაც აიღო. „მწვანე წყალბადის“ ტექნოლოგიის განვითარება არა მხოლოდ დაბალანსებს ენერგეტიკულ სისტემას, არამედ ხელს შეუწყობს ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, შექმნის ახალ ბიზნეს შესაძლებლობებსა და სამუშაო ადგილებს. ამდენად, უნდა დაჩქარდეს საერთაშორისო თანამშრომლობა კვლევებისა და ინოვაციების მიმართულებით.

წყალბადს, ბუნებრივ აირთან შედარებით, ბევრი უპირატესობა გააჩნია. პირველ რიგში, იგი არის სუფთა და რაც მთავარია, საქართველოს აქვს მისი წარმოების შესაძლებლობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქვეყანას ამ გზით შემოსავლის მიღება შეუძლია. მწვანე წყალბადი დაეხმარება ქვეყანას ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებასა და იმპორტირებული საწვავის ჩანაცვლებაში, რადგან ჩვენ ქვეყანას განახლებადი ენერგიების მდიდარი რესურსი აქვს. საქართველოს ამ შესაძლებლობის გამოყენებისა და მწვანე წყალბადით მსოფლიო ბაზარზე პოზიციონირება შეუძლია.

საქართველოში ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის და საერთოდ, ენერგეტიკული სისტემის დაბალანსებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია „მწვანე წყალბადის“ ტექნოლოგიის განვითარება. ვინაიდან, ელექტროენერგიის მოხმარებისა და ჰიდროენერგიის გამომუშავების სეზონურობა იწვევს ზაფხულში ექსპორტირებადი ელექტროენერგიის ჭარბი რაოდენობით გამომუშავე-

ბასა და ზამთარში მზარდ დეფიციტს, იგი შეიძლება დაბალანდეს ენერგიის დაგროვების ტექნოლოგიებით და ერთ-ერთი ტექნოლოგია შეიძლება იყოს წყალბადის ენერგია.

საქართველოში ასევე შესაძლებელია მწვანე წყალბადის გამოყენება თბოელექტროსადგურებისთვის ელექტროენერგიის სანარმოებლად. მნიშვნელოვანია, წყალბადის სექტორის განვითარებისთვის მზად იყოს მარეგულირებელი გარემო. მსოფლიოში ასეთი მარეგულირებელი ჩარჩო ჯერ განვითარების ადრეულ ეტაპებზეა. სემეკში უკვე დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც იქნება ერთგვარი ფუნდამენტი მწვანე წყალბადის განვითარების ხელშემწყობი დოკუმენტების პროექტების შესაქმნელად.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში ევროპა ჩვენს ქვეყანას განიხილავს მოკავშირედ მწვანე წყალბადის წარმოების მიმართულებით.

2020 წელს საქართველოს მთავრობამ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომელიც გულისხმობს ქვეყნის საჭიროების შეფასების ტექნიკურ კვლევას ეკოლოგიურად სუფთა წყალბადის წარმოებაზე.

2021 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გერმანიის განვითარების ბანკს (KfW) შორის ხელი მოეწერა განზრახვლებათა დეკლარაციას საქართველოში მწვანე წყალბადის პოტენციალის შესწავლის შესახებ. დეკლარაციის ძირითად მიზნებს წარმოადგენს საქართველოში მწვანე წყალბადის პოტენციალისა და სარგებლის შეფასება, პირველი საპილოტე პროექტის განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკისთვის სარგებლის მოტანას, შესაბამისად, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას სუფთა და განახლებადი ენერგიების მიმართულების განსავითარებლად, იმპორტირებულ გაზზე დამოკიდებულების შემცირებასა და მიწოდების უსაფრთხოების გაზრდას. ასევე დეკლარაციით განსაზღვრული მიზანია განახლებადი ენერგიის პროექტების განვითარების ტემპის ზრდა, ნახშირბადის ემისიების შემცირება და ქვეყნისთვის ექსპორტის შესაძლებლობების შექმნა.

2022 წელს აზიის განვითარების ბანკის (ADB) მხარდაჭერით დაიწყო „ენერგიის დამგროვებისა და მწვანე წყალბადის განვითარების“ პროგრამის განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს სხვადასხვა დაინტერესებული ინსტიტუციების ცოდნისა და შესაძლებლობების ამაღლებას და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებაში მხარდაჭერას.

პირველ ეტაპზე, წყალბადის გამოყენების გზად განიხილება ბათუმის მუნიციპალური ტრანსპორტი. მუნიციპალურ ტრანსპორტში მისი გამოყენება იქნება თვალსაჩინო მაგალითი საზოგადოებისთვის იმის სადემონსტრაციოდ, თუ რამდენად სასარგებლო, საჭირო, სუფთა და უსაფრთხოა მწვანე წყალბადი თანამედროვე მსოფლიოსთვის. აღნიშნული პროექტი გრანტისა და იაფი სესხის საფუძველზე KfW -ს მხარდაჭერითა და დახმარებით დაფინანსდება [5].

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის ინიციატივით საქართველოს წყალბადის სტრატეგიის დოკუმენტი შემუშავებულია. აღნიშნულ დოკუმენტზე საკონსულტაციო კომპანია „GOPA Intec“ მუშაობდა. კვლევა საერთაშორისო დონორი ორგანიზაცია გერმანიის განვითარების ბანკის (KfW) დაფინანსებით განხორციელდა. შეიცვლება და დაიხვეწება შესაბამისი კანონმდებლობა, გადაიდგმება ნაბიჯები, რომლებიც ადგილობრივ და უცხოურ ინვესტორებს, საქართველოში, მწვანე წყალბადის განვითარების ბიზნეს პოტენციალის დანახვისა და შეფასების შესაძლებლობას მისცემს.

საქართველო, საკუთარი განახლებადი ენერგიის პოტენციალით და ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით, მნიშვნელოვანი ეკონომიკური, პოლიტიკური და უსაფრთხოების, სარგებლის მიღებას ითვალისწინებს როგორც საკუთარი რესურსების განვითარებით, ასევე სხვა ქვეყნებიდან ტრანზიტის ხელშეწყობით.

მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანა გახდეს წყალბადის გამოყენების თვითკმარი, ჰქონდეს დამატებითი რესურსები ექსპორტისთვის და არა მხოლოდ ტრანზიტისთვის – შავი ზღვის წყალქვე-

შა კაბელის პროექტის ქვეშ ექსპორტის მიზანიცაა. საქართველოს აქვს რესურსი, მსოფლიო ბაზარზე მწვანე წყალბადით წარსდგეს.

საქართველოში გერმანიის საელჩოს ცნობით, გერმანია საქართველოს 23 მილიონ ევროს გამოუყოფს ბაზარზე მწვანე წყალბადის გავრცელების მიზნით. მთლიანობაში მხარეებმა დაახლოებით 68 მილიონი ევროს ღირებულების ღონისძიებათა პაკეტი შეიმუშავეს მომდევნო ორი წლის პერიოდისთვის.

ეს თანამშრომლობა პირველი საინვესტიციო პროექტია მწვანე წყალბადის ტექნოლოგიის კუთხით კავკასიის რეგიონში. მრავალი ჰიდროელექტროსადგურის, მზის მაღალი გამოსხივებისა და ქარის ძალიან კარგი პირობების გამო რეგიონს განახლებადი ენერგიების და ამით მწვანე წყალბადის წარმოების პოტენციალი გააჩნია. გამოყოფილი თანხები მომდევნო წლების განმავლობაში უნდა მოხმარდეს ელექტროლიზის ქარხნის, წყალბადის რეზერვუარისა და ამისათვის საჭირო ქარის ელექტროსადგურის მშენებლობას. დაგეგმილია ასევე სპეციალისტების მომზადება ქართული კომპანიებისათვის.

მწვანე წყალბადის საწარმო ბათუმის ინდუსტრიულ ზონაში აშენდება. საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ცნობით, პროექტში ჩართული მხარეების მონაწილეობით, ტერიტორიაზე განთავსდება წყალბადის საწარმო, ე. წ. ელექტროლიზური. ასევე, ავტობუსების სატუმბი და წყალბადის შემნახველი სადგურები განთავსდება. ასევე შედგენილია მწვანე წყალბადზე მომუშავე საავტობუსე მარშრუტები [4]

საქართველო, როგორც „საერთაშორისო ენერგეტიკული გაერთიანების“ წევრი ქვეყანა, უახლეს საერთაშორისო ტენდენციებს ითვალისწინებს. ბევრმა ქვეყანამ უკვე აიღო ვალდებულება, რომ 2050 წლისათვის ბუნებრივ გაზს, დიდწილად, ალტერნატიული ენერგიებით ჩაანაცვლებს. განვითარებული ქვეყნები მზად არიან ეტაპობრივად გადავიდნენ წყალბადზე და ამით ხელი შეუშალონ კლიმატის ცვლილებებს. მას გამოყენების მრავალი პერსპექტივა გააჩნია: ელექტროენერგიის გენერაცია და რეზერვაცია, ალტერნატიული და სუფთა ენერგია სატრანსპორტო საშუალებებისთვის, იგეგმება ქარხნებისა და წარმოებების წყალბადის ენერგიაზე გადაყვანა, მისი გამოყენება შენობების გასათბობად და ა.შ. ევროპა, ამ მიმართულებით, სერიოზულ ნაბიჯებს დგამს. ეს, მათთვის, მომავლის ინვესტიციაა. საქართველოს კი შეუძლია იგი არა მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის აწარმოოს, არამედ ექსპორტზე გაიტანოს. მოთხოვნა მუდმივად მზარდია, რადგან ბევრი ქვეყანა ცდილობს ბუნებრივი აირის წყალბადით ჩანაცვლებას.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციატივით ქვეყანაში ჩამოყალიბდა „წყალბადის ენერგიის განვითარების ხელშეწყობის კომიტეტი“, რომელსაც ხელმძღვანელობს ენერგეტიკის განვითარების ფონდი და მასში ჩართულია, როგორც შესაბამისი უწყებები, ასევე კერძო სექტორი და აკადემიური წრეები. წყალბადის ენერგეტიკის განვითარების ხელშეწყობი კომიტეტის მიზანია ევროკავშირის მიერ სუფთა წყალბადის წარმოების განვითარების პარალელურად, საქართველოში აღნიშნული პროდუქტის წარმოება-ექსპორტისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა და საქართველოს, როგორც ქვეყნის, სუფთა წყალბადის მწარმოებლებს შორის მონიწივე ადგილის დამკვიდრება.

საქართველო, როგორც ენერგეტიკული გაერთიანების წევრი, ჩართულია „მწვანე წყალბადის“ განვითარების ევროპულ პროცესებში. ამავე დროს, საქართველო, საკუთარი განახლებადი ენერგიის პოტენციალით და ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით, მნიშვნელოვანი ეკონომიკური, პოლიტიკური და უსაფრთხოების, სარგებლის მიღებას ითვალისწინებს როგორც საკუთარი რესურსების განვითარებით, ასევე სხვა ქვეყნებიდან ტრანზიტის ხელშეწყობით. საქართველოს განსაკუთრებული პოტენციალი აქვს განახლებადი წყაროებიდან ენერგეტიკის განვითარების მიმართულებით. ეს პირდაპირ კავშირშია როგორც ჩვენი ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობასთან, ასევე, რა თქმა უნდა, ეკონომიკურ და ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან, საქართველო ამავე დროს მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანაა. მას, როგორც ევრო-

პისა და აზიის დამაკავშირებელ დერეფანს, აქვს იმის პოტენციალი, რომ გაზარდოს თავისი როლი აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანზიტო პროექტების განხორციელებაში. გეოპოლიტიკური მდებარეობის ეფექტიანი გამოყენება ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესებას და ეკონომიკურ განვითარებას.

ლიტერატურა

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (economy.ge)
2. Stefano F. Verde and Nicolò Rossett (2020). The Future of Renewable Energy Communities in the EU
3. ნ. ბერიძე, მწვანე წყალბადის როლი ენერგეტიკული რესურსების ოპტიმალური გამოყენებისათვის (2023), Forbes Georgia
4. <https://energynews.ge/news/elternatiuli-energia/batumis-industriul-zonashi-mtsvane-tsyabadis-sat-sarmo-ashendeba>
5. ბათუმის ინდუსტრიულ ზონაში მწვანე წყალბადის საწარმო აშენდება
<https://energynews.ge/news/elternatiuli-energia/batumis-industriul-zonashi-mtsvane-tsyabadis-sat-sarmo-ashendeba>
6. საქართველო მწვანე წყალბადის წარმოებას იწყებს, 22 მაისი, 2023
<https://www.gogc.ge/ka/press-article/saqartvelo-mwvane-wyalbadis-warmoebas-iwyebs/29>
7. საქართველოს წყალბადის სტრატეგიის კონცეფციის დოკუმენტი შემუშავებულია (energynews.ge)
8. Marie Münster 1, Rasmus Bramstoft1, Ioannis Kountouris1, Lissy Lange (2024) Perspectives on green hydrogen in Europe – during an energy crisis and towards future climate neutrality
9. H2exagOnHyGeorgia დავით ოთარიშვილი ენერგორესურსები ენერგოდამო
10. ერქომაიშვილი გ., მწვანე წყალბადის როლი ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებაში და მისი წარმოებისათვის ინფრასტრუქტურის შექმნის ტენდენციები საქართველოში. საქართველოს ეკონომისტთა VI ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაცია და ეკონომიკური უსაფრთხოება: საქართველოს რძირითადი რგამონვევები და შესაძლებლობები“. ქუთაისი, 13 სექტემბერი, 2024.
11. ერქომაიშვილი გ., მწვანე წყალბადის ენერგეტიკის განვითარების პერსპექტივები საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკისარდარბიზნესისრგლობალური რგამონვევები რდარმდგრადი რგანვითარებან ბათუმი, 4-5 ოქტომბერი, 2024

THE ROLE OF GREEN HYDROGEN IN STRENGTHENING ENERGY SECURITY AND TRENDS IN BUILDING THE INFRASTRUCTURE FOR ITS PRODUCTION IN GEORGIA

Gulnaz Erkomaishvili

Doctor of Economic,

Associate Professor of Ivane Javakhishvili

Tbilisi State University

gulnazi.erkomaishvili@tsu.ge

Abstract

The paper presents the role of green hydrogen in the rational use of energy resources, as well as trends in the creation of infrastructure for its production in Georgia. It is noted that the priority promotion of ecologically clean hydrogen is the main priority of energy policy. It is an innovative project of the future and a competitive alternative to traditional fossil fuels. Georgia has a large untapped potential for the development of renewable energy projects. Within the Eastern Partnership, Europe considers our country an ally in the direction of green hydrogen production. It is important for the country to become self-sufficient in the use of hydrogen and have additional resources for export, and not just for transit – this is the goal of export within the Black Sea submarine cable project. Georgia has the resources to present green hydrogen on the world market.

Green hydrogen will help the country strengthen energy security and replace imported fuels, as our country has rich resources of renewable energy. Georgia can seize this opportunity and position itself on the global market with green hydrogen.

Keywords: *Green hydrogen, hydrogen energy, energy security, economic policy of hydrogen energy*

სსბასს 43-ის გავლენა იჯარის აღრიცხვაზე

მარიამ ვარდიშვილი
ასოცირებული პროფესორი,
ეკონომიკის დოქტორი

ანოტაცია

საჯარო სამართლის სუბიექტები ფუნქციების შესრულების ან შემოსავლის მიღების მიზნით ანხორციელებენ ქონების იჯარით გაცემას ან მიღებას.

სსბასს 13-ის მოთხოვნები ვერ უზრუნველყოფდა მოიჯარის საკრედიტო რისკის შესახებ ადეკვატურ ინფორმაციას, რადგან მათ მიერ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ ფინანსური იჯარით წარმოქმნილი აქტივები და ვალდებულებები აისახებოდა, მაშინ, როდესაც მსგავს ტრანზაქციებში საოპერაციო იჯარის წილი მნიშვნელოვანია.

სსბასს საბჭომ იჯარის აღრიცხვის მიმდინარე მოთხოვნებისა და ფასს 16-თან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შეიმუშავა სსბასს 43 „იჯარა“, რომელიც ანხორციელებს იჯარის აღრიცხვის კონცეფციის რეფორმას და ხსნის განსხვავებას მოიჯარისთვის საოპერაციო და ფინანსურ იჯარას შორის. მეიჯარესთან მიმართებაში აღრიცხვა არ იცვლება. ისინი იჯარის ასახვას ბალანსზე აგრძელებენ სსბასს 13-ის მიხედვით. თუმცა, გარკვეული ცვლილებები მეიჯარესთან მიმართებაშიც განხორციელდა. ცვლილებები შეეხო: იჯარის იდენტიფიცირებას, მოდიფიკაციას, ქვეიჯარას, შეღავათიან იჯარას, ცვლად საიჯარო გადახდებს, განმარტებით შენიშვნებს.

სსბასს 43-ის დანერგვა ზრდის გამჭვირვალობას საიჯარო ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით და უზრუნველყოფს ფასს 16-თან შეუსაბამობების აღმოფხვრას.

საკვანძო სიტყვები: მეიჯარე, მოიჯარე, აქტივის გამოყენების უფლება, შეღავათიანი იჯარა, ქვეიჯარა.

შესავალი

იჯარა ძირითადი საშუალებების მიღების ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი და ხელმისაწვდომი ფინანსური ინსტრუმენტია, რომელიც უზრუნველყოფს ერთეულში სხვადასხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების დეფიციტის აღმოფხვრას და სანყის ეტაპზე, მოიჯარის მიერ მათ გამოყენებას მნიშვნელოვანი ფულადი სახსრების გადინების გარეშე. ფინანსური კრიზისის დროს იჯარა წარმოადგენს დაკრედიტების ერთ-ერთ ალტერნატიულ გზას და ეკონომიკური სუბიექტებისათვის დაფინანსების მნიშვნელოვანი წყაროა. (Maisuradze & Vardiashvili, 2016)

საჯარო სამართლის სუბიექტები ფუნქციების შესრულების ან შემოსავლის მიღების მიზნით ანხორციელებენ ქონების იჯარით გაცემას ან მიღებას.

„იჯარის როლი დიდია აგრეთვე მცირე და საშუალო ბიზნესის მატერიალურ ტექნიკურ უზრუნველყოფაში. როდესაც კომპანიას უკვე აღებული აქვს სესხი და სურს, რომ კიდევ უფრო გააფართოვოს თავისი საქმიანობა, მაგრამ მისი ლიკვიდურობის კოეფიციენტი ბანკისთვის არ არის დამაკმაყოფილებელი, მაშინ მენარმეს შეუძლია იჯარით აიღოს აქტივი“. (Maisuradze & Vardiashvili, 2016).

იჯარით აღებული და გაცემული აქტივები და მასთან დაკავშირებული ვალდებულებები თუ შემოსავლები გავლენას ახდენს ერთეულის ფინანსურ მდგომარეობაზე. რადგანაც მნიშვნელოვანია ყველა ფინანსური ინსტრუმენტის სწორად იდენტიფიცირება, შეფასება და ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში. (Sabauri & Kvatashidze, 2020) ამიტომ საჯარო სექტორის ბუღალტრუ-

ლი აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IPSASB) იჯარის აღრიცხვის მიმდინარე მოთხოვნებთან და ფასს 16-თან შესაბამისობაში მოყვანას მიზნით 2018 – 2021 წლებში შეიმუშავა და გამოსცა პროექტები ED 64 – იჯარა და ED 75 – იჯარა, რომლითაც წარმოადგინა საიჯარო აქტივის გამოყენების უფლების მოდელი, აგრეთვე საჯარო სექტორის სპეციფიკური სააღრიცხვო მოთხოვნები იჯარისთვის, რომელიც ცნობილი როგორც „შელავათიანი იჯარა“. ამ პროექტის საჯარო განხილვისა და მოწონების შემდეგ 2022 წლის იანვარში გამოცემული იქნა სსბასს 43 – „იჯარა“, რომელიც ძალაში შედის 2025 წლის პირველი იანვრიდან, ნებადართულია ვადამდელი გამოყენებაც.

აღნიშნულმა სტანდარტმა ჩაანაცვლა სსბასს 13 – „იჯარა“. სტანდარტის მიზანია უზრუნველყოს, საიჯარო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ინფორმაციის იმგვარად წარდგენა, რომ მოიჯარემა და მეიჯარემა სრულად ასახონ საიჯარო ოპერაციები, რაც მომხმარებლებს საშუალებას მისცემს შეაფასონ მათი ეფექტიანობა.

ტექსტის ძირითადი ნაწილი

სსბასს 43 ახორციელებს იჯარის აღრიცხვის კონცეფციის რეფორმას და ხსნის განსხვავებას მოიჯარისთვის საოპერაციო და ფინანსურ იჯარას შორის. სტანდარტში შემოტანილია ისეთი ცნებები, როგორიცაა აქტივის გამოყენების უფლება, შელავათიანი იჯარა და სხვა.

ცვლილებები მეიჯარის აღრიცხვაში. ახალი სტანდარტით მეიჯარეთა აღრიცხვა არ იცვლება. ისინი იჯარის ასახვას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აგრძელებენ სსბასს 13-ის მიხედვით. თუმცა, სსბასს 43 იძლევა მითითებებს და განმარტებებს, რათა დაეხმაროს მეიჯარეს საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის შფასებაში. მეიჯარეებისათვის გარდა ინფორმაციის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის დამატებითი მოთხოვნებისა არანაირი ფინანსური ეფექტი მოსალოდნელი არ არის. (Maisuradze & Vardiashvili, 2016). სტანდარტი აგრეთვე მოიცავს კონკრეტულ ცვლილებებს მოიჯარის აღრიცხვის მოდელთან შესაბამისობისთვის, რაც შემდეგ მუხლებზე აისახა: იჯარის მოდიფიკაცია, ქვეიჯარა, განმარტებითი შენიშვნები.

იჯარის მოდიფიკაცია. თუ საიჯარო აქტივის მნიშვნელოვანი მოდიფიკაციით ან ადაპტაციით განხორციელდა იჯარის მოქმედების სფეროს, ან საიჯარო ანაზღაურების ცვლილება, რომელიც გათვალისწინებული არ იყო იჯარის თავდაპირველ პირობებში, მეიჯარე იჯარის ცვლილებას, აღრიცხავს როგორც ცალკე იჯარას, იმ შემთხვევაში თუ არსებობს შემდეგი ორი პირობა:

ა) მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო იმის გამო, რომ იჯარას ემატება ერთი ან რამდენიმე საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება; და

ბ) იჯარის ანაზღაურება იზრდება ისეთი ოდენობით, რომელიც თანაზომადია იჯარის გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი განცალკევებული ხელშეკრულების ფასისა და ასევე ამ განცალკევებული ფასის ნებისმიერი შესაბამისი კორექტირების, რომელიც ასახავს კონკრეტული ხელშეკრულების გარემოებებს. (სსბასს 43 მ. 79)

საოპერაციო იჯარის მოდიფიკაციას სსბასს 43 განიხილავს, როგორც ახალ იჯარას. შესაბამისად, მოითხოვს აღრიცხოს ცვლილების ძალაში შესვლის თარიღიდან, ნებისმიერი წინასწარ გადახდილი ან დარიცხული საიჯარო გადასახდელების გათვალისწინებით, რომელიც დაკავშირებულია თავდაპირველ იჯარასთან, როგორც ახალი იჯარის საიჯარო გადასახდელების ნაწილი. (Sabauri @ Kvatashidze, 2022). სსბასს 13 არ შეიცავს კონკრეტულ მოთხოვნებს იჯარის მოდიფიკაციასთან დაკავშირებით. (სსბასს 43 მ. 80)

ქვეიჯარა. სსბასს 43-ს შემოაქვს ქვეიჯარის კონცეფცია, რომლის ფარგლებშიც საიჯარო აქტივი მოიჯარის მიერ ხელახლა გაიცემა იჯარით მესამე მხარეზე და ამავე დროს ინარჩუნებს მოქმედ ძირითად საიჯარო ხელშეკრულებას. ეს განსხვავდება იმისგან, რაც აქამდე იყო განსაზღვრული სსბასს 13-ით.

სსბასს 43-ი მოითხოვს, რომ ქვეიჯარა, რომელიც სსბასს 13-ით კლასიფიცირებული იყო როგორც საოპერაციო იჯარა და ისევ მოქმედია, შუალედურ მეიჯარემ ხელახლა შეაფასოს ახალი სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისათვის. იმისათვის, რომ დადგინდეს, ქვეიჯარა საოპერაციო თუ ფინანსური, შუალედურმა მეიჯარემ შეფასება უნდა განახორციელოს ძირითადი იჯარისა და ქვეიჯარის დარჩენილი სახელშეკრულებო ვადებისა და პირობების საფუძველზე.

ქვეიჯარა, რომელიც სსბასს 13-ით კლასიფიცირებული იყო როგორც საოპერაციო იჯარა, მაგრამ სსბასს 43-ის მიხედვით ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება, უნდა აღირიცხოს, როგორც ახალი საიჯარო ხელშეკრულება, დადებული სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღით.

სსბასს 43 მოითხოვს შუალედურ მეიჯარის ქვეიჯარების კლასიფიკაციას ძირითადი იჯარიდან გამომდინარე, ძირითადი იჯარის შედეგად წარმოქმნილი აქტივის გამოყენების უფლების გათვალისწინებით და არ საიჯარო აქტივის გათვალისწინებით, რომელიც განსხვავდება სსბასს 13-ის მიმდინარე მოთხოვნებისგან.

გამჟღავნება. მეიჯარის საიჯარო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრების ოდენობის, დროის და გაურკვევლობების უკეთ შეფასების მიზნით სსბასს 43 მოითხოვს გაფართოებულ განმარტებებს, იჯარის ინფორმაციის აღიარების, შფასების, წარდგენისა და გამჟღავნების პრინციპების შესახებ, მაგალითად როგორიცაა:

ფინანსური იჯარისთვის: ნამეტი ან დეფიციტი გაყიდვიდან; ფინანსური შემოსავალი ნეტო საიჯარო ინვესტიციის მიხედვით და ცვლად საიჯარო გადახდებთან დაკავშირებული შემოსავალი, რომელიც გათვალისწინებული არ არის ნეტო საიჯარო ინვესტიციის შეფასებაში.

საოპერაციო იჯარისთვის – საიჯარო შემოსავალი, სადაც ცალკე იქნება გამოყოფილი ცვლად საიჯარო გადახდებთან დაკავშირებული შემოსავალი, რომელიც დამოკიდებული არ არის რაიმე ინდექსზე ან განაკვეთზე.

ეს დამატებითი ინფორმაცია დაეხმარება ანგარიშგების მომხმარებლებს შეაფასონ, თუ როგორ მართავს მეიჯარე აქტივზე ნარჩენ რისკებს. მაგალითად, რისკის მართვის ტექნიკა შეიძლება მოიცავდეს შესყიდვის ხელშეკრულებებს, ნარჩენი ღირებულების გარანტიებს და ცვლად საიჯარო გადახდებს.

ცვლილებები მოიჯარის აღრიცხვაში. სსბასს 43 მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოიჯარის ფინანსურ ანგარიშგებაზე. მათ ახლა, იჯარასთან დაკავშირებით, გაცილებით მეტი მონაცემების მიწოდება მოეთხოვებათ, ვიდრე ადრე აწვდიდნენ, რადგან ახალი სტანდარტით თითქმის ყველა იჯარა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სტანდარტით მოიჯარისათვის საოპერაციო და ფინანსურ იჯარის აღრიცხვას შორის განსხვავება აღმოფხვრილია და ყველა სახის იჯარაზე აღიარებულია აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება.

სსბასს 43-ს მოიჯარეებისთვის შემოაქვს აქტივების გამოყენების მოდელი, რომელიც განსხვავებს ძირითადი აქტივის გამოყენების უფლებას (რომელსაც მოიჯარე აკონტროლებს) და თავად ძირითად აქტივს (რომელსაც მოიჯარე არ აკონტროლებს).

სსბასს 13-ის მიხედვით, მოიჯარე ძირითად აქტივს და საიჯარო ვალდებულებას აღიარებს, მხოლოდ მაშინ როდესაც იჯარა კლასიფიცირებულია ფინანსურ იჯარად.

სსბასს 13-ისგან განსხვავებით, სსბასს 43 მოითხოვს, რომ მოიჯარემ ხელშეკრულების ფორმის მიუხედავად, აღიაროს:

ა) აქტივის გამოყენების უფლება, რადგან ის აკონტროლებს ძირითად აქტივს;

ბ) საიჯარო ვალდებულება, რადგან მას აქვს ამჟამინდელი ვალდებულება განახორციელოს იჯარის მომავალი გადახდები საიჯარო ხელშეკრულების შესაბამისად.

მოიჯარემ, აქტივის გამოყენების უფლება თავდაპირველად უნდა აღიაროს და შეაფასოს თვითღირებულებით, რომელიც ეფუძნება, იჯარის ვადის გათვალისწინებით განსაზღვრულ დისკონტირებულ საიჯარო გადახდებს. იჯარის ვადის განსაზღვრა საჭიროებს განსჯის გამოყენებას, რომელიც ხშირად ადრე არ იყო საჭირო საოპერაციო იჯარისთვის, რადგან ეს არ მოქმედებდა ხარჯების აღიარებაზე. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება ასევე მოიცავს თავდაპირველ პირდაპირ ხარჯებს და იმ დანახარჯებს, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

თვითღირებულების განსაზღვრისას აგრეთვე გაითვალისწინება საიჯარო გადახდები, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით.

მოიჯარემ აქტივის აღიარებასთან ერთად იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, უნდა აღიაროს ვალდებულებაც, რომელიც შეფასდება ამ თარიღისათვის გადაუხდელი საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით. იჯარის გადახდები დისკონტირებული უნდა იყოს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ხოლო თუ შეუძლებელია, გამოყენებული უნდა იქნეს მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი.

აღიარებიდან განთავისუფლება. სსბასს 43 ითვალისწინებს მოკლევადიან ანუ 12 თვეზე ნაკლები ვადის მქონე იჯარის და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივს იჯარის აღიარებისგან გათავისუფლებას. (სსბასს 43.) ამგვარ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები, რომელიც კვალიფიცირდება გამონაკლისად, მოიჯარესთან პერიოდის ხარჯად აღიარდება, ისევე, როგორც განიხილება საოპერაციო იჯარა სსბასს 13-ში. დანახარჯები აღიარდება იჯარის ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით ან სხვა სისტემატური საფუძველზე. სსბასს 13 არ ითვალისწინებს აღიარების გამონაკლისებს. (ED-75)

სხვა ცვლილებები, რომელიც უკავშირდება სსბასს 43-ს.

სსბასს 43 მოიცავს დამატებით მითითებებს იჯარის აღრიცხვის რამდენიმე სფეროში.

ა) სსბასს 43-ის ტერმინთა განმარტებები, შეესაბამება სსბასს 13-ის განმარტებებს, თუმცა, სსბასს 43 ცვლის მათი გამოყენების მითითებებს. ცვლილებები ეფუძნება იჯარის განმარტების ფარგლებში კონტროლის კონცეფციას.

სსბასს საბჭომ გადაწყვიტა იჯარის განსაზღვრისას გამოიყენოს როგორც „ეკონომიკური სარგებელი“ ასევე „მომსახურების პოტენციალი“, რადგან ეს მახასიათებლები შეესაბამება საიჯარო სექტორის ერთეულების ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ ჩარჩოთი მოცემულ აქტივების განმარტებას.

ბ) სტანდარტი გვთავაზობს სახელმძღვანელო მითითებებს, იმის შესაფასებლად, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. იძლევა თუ არა ხელშეკრულება იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

სახელმძღვანელო მითითებები მოითხოვს ერთეულმა შეაფასოს, აქვს თუ არა მომხმარებელს, გამოყენების მთელი პერიოდის განმავლობაში, ორივე შემდეგი უფლება:

- მოიპოვოს არსებითად ყველა ეკონომიკური სარგებელი ან მომსახურების პოტენციალი იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენებით; და
- განსაზღვროს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესი.

ხელშეკრულებების გაერთიანება. სტანდარტი ითვალისწინებს სახელმძღვანელო მითითებებს, ორი ან მეტი კონტრაქტის გაერთიანების შესახებ, რომლებიც დაიდო ერთდროულად ან თითქმის ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე კონტრაგენტთან (ან კონტრაგენტთან დაკავშირებულ მხარეებთან). ეს კონტრაქტები განიხილება, როგორც ერთიანი კონტრაქტი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი კრიტერიუმებიდან ერთი ან რამდენიმე:

ა) ხელშეკრულებებზე მოლაპარაკება წარმოებს, როგორც ერთი კომერციული მიზნის პაკეტზე, რომლის გაგება შეუძლებელია, თუ ხელშეკრულებები ერთად არ იქნება განხილული;

ბ) ერთი ხელშეკრულების ფარგლებში გადასახდელი ანაზღაურების ოდენობა დამოკიდებულია სხვა ხელშეკრულების ფასზე, ან შესრულებაზე (შედეგებზე); ან

გ) ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საიჯარო აქტივების გამოყენების უფლებები (ან თითოეული ხელშეკრულებით გათვალისწინებული, საიჯარო აქტივების გამოყენების ზოგიერთი უფლება) ერთი საიჯარო ხელშეკრულების ნაწილია.

შელავათიანი იჯარა (concessionary leases). სტანდარტის დასკვნის საფუძვლებში ასევე განიხილილია საიჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სპეციფიკური მოთხოვნები, მათ შორის შელავათიანი იჯარა, რომელიც გულისხმობს იჯარას საბაზრო პირობებზე დაბალი პირობებით. იჯარის აღნიშნული ფორმა ფართოდ არის გავრცელებული საიჯარო სექტორში. წინადადება იყო, რომ ასეთი იჯარა შფასდეს რეალური ღირებულებით, რაც გამოიწვევს იმპლიციტური სუბსიდიის (implicit subsidy BC 15) აღიარებას (სხვაობა საბაზრო ღირებულებასა და იჯარის ხელშეკრულების ღირებულებას შორის) როგორც მოიჯარის, ასევე მეიჯარის ფინანსურ ანგარიშგებაში.

როდესაც აქტივის გამოყენების უფლება შეძენილია შელავათიანი იჯარით, მისი ღირებულება უნდა შეფასდეს, იჯარის დანყების თარიღისთვის, საიჯარო გადასახდელების რეალური ღირებულების ამჟამინდელი ღირებულებით.

დავუშვათ, საიჯარო სექტორის არასამეწარმეო სუბიექტი, მუნიციპალიტეტთან დებს საიჯარო ხელშეკრულებას, შენობის 5 წლის ვადით სარგებლობისთვის, იმ პირობით, რომ მას გამოიყენებს ზოგადად მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისთვის. იჯარის წლიური გადასახდები საბაზრო განაკვეთით 5,312,420 ფე-ია. ხელშეკრულებით ყოველწლიური გადასახადი შეადგენს 3,718,694 ფე-ს, ეს არის 30%-ით შელავათიანი შეთანხმება.

საბაზრო განაკვეთებით მთლიანი გადასახდელი თანხა 26,562,102 ფე-ია ($5,312,420 \times 5$); მიმდინარე ღირებულება 23,000,000 ფე, წლიური სახელშეკრულებო გადასახდების ამჟამინდელი ღირებულება – 16,100,000 ფე; იჯარის არაგაცვლითი კომპონენტი 6,900,000 ფე, ხუთი წლის განმავლობაში აღიარებული უნდა იყოს, როგორც შემოსავალი არაგაცვლითი ოპერაციებიდან.

იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი წელიწადში 5 პროცენტია, რომელსაც ადვილად განსაზღვრავს მოიჯარე.

მუნიციპალიტეტი აქტივის გამოყენების უფლებას (Right-of-use asset) აღიარებს 23,000,000 ფე-ად; ვალდებულებებში გამოყოფს ვალდებულებებს იჯარით 16,100,000 ფე-ით; ხოლო 6,900,000 ფე-ის ვალდებულებებს ცალკე მუხლად აღიარებს.

სსბასს 43-ის იჯარის ცვლილებების გავლენა ფინანსურ ანგარიშებზე. სსბასს 43-ის დანერგვა გამოიწვევს იჯარით აღებული აქტივებისა და საიჯარო ვალდებულებების ზრდას მოიჯარის ფინანსურ ანგარიშებზე. გარდა ამისა, ამორტიზაციის ხარჯები გამოყენების უფლებაზე და საიჯარო ვალდებულებებზე საპროცენტო ხარჯები, აისახება ფინანსური საქმიანობის შედეგებზე. შესაბამისად ცვლილებას განიცდის სხვადასხვა ფინანსური მაჩვენებელიც.

ახალი სტანდარტის სრული შედეგების განსაზღვრა, რთულია, რადგან შეიძლება ახლდეს გამოწვევებიც საიჯარო სექტორში, თუმცა მთავარი ცვლილებით – საიჯარო ხელშეკრულების აღიარებით ფინანსურ ანგარიშგებაში – შეტანილი იქნება მეტი სიცხადე ერთეულის რეალური ფინანსური ბერკეტების შესახებ. (Maisuradze & Vardiashvili, 2016).

დასკვნა

სსბასს 43 ახალი მიდგომების შემოტანით აუმჯობესებს იჯარის აღრიცხვას, რადგან მეიჯარისგან მოითხოვს სარგებლობის უფლების მქონე აქტივებისა და საიჯარო ვალდებულებების აღიარებას, ხოლო მოიჯარისგან უფრო დეტალურ და ზუსტ ფინანსურ ინფორმაციას ასახავს საიჯარო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

იჯარის გამჭვირვალედ და თანმიმდევრულად წარდგენით, სსბასს 43 ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საფუძველს აძლევს, რომ სწორედ შეაფასონ იჯარის გავლენა ერთეულის ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ მაჩვენებლებზე და ფულად ნაკადებზე.

ლიტერატურა

1. Maisuradze, M., @ Vardiashvili, M. (2016). LEASE AGREEMENTS FINANCIAL REPORTING ISSUES ACCORDING TO THE INTERNATIONAL STANDARDS; Ecoforum journal., p. 162-166., <http://www.ecoforumjournal.ro>
2. Sabauri, L., @ Kvatashidze, N.(2020). Some aspects of loan and capital financial instruments; ECONOMICS AND BUSINESS, №1, pp. 108-118
3. Sabauri, L., @ Kvatashidze, N. (2022). Impact of the COVID-19 Pandemic on the Preparation of Financial Statements; Proceedings; 276 -282
4. IPSAS 43, Leases; (2022) <https://www.ipsasb.org>
5. IPSAS 13 – LEASES; (2022) <https://www.ipsasb.org>
6. IFRS 16, Leases; 2024; <https://www.ifrs.org>
7. Concessionary Leases and Right-of-Use Assets In-kind; ED 84
8. <https://www.deloitte.com/be/en/services/audit-assurance/research/ipsas-leases.html>
9. Exposure Draft (ED) 75 Summary – Leases <https://www.asb.co.za/wp-content/uploads/2021/01/-IPSASB-At-A-Glance-ED75>.
10. https://www.ipsasb.org/_flysystem/azure-private/publications/files/At-a-Glance-IPSAS-43-Leases.
11. Что известно про новые требования к учету аренды в системе IPSAS?(2022). GAAP.RU
12. Новый порядок учета аренды в IPSAS – на шаг ближе МСФО; (2021). GAAP.RU

IMPACT OF IPSAS 43 ON LEASE ACCOUNTING

Mariam Vardiashvili

Professor, Doctor of Economics

Entities of the Public Law carry out the leasing or receipt in lease of property for the purpose of performing functions or generating income.

The requirements of IPSAS 13 could not provide comprehensive information on lease-related transactions, as only assets and liabilities generated by financial leases were reflected in a lessee's financial statement, whereas the share of operating leases is important in such transactions.

In order to comply with current lease accounting requirements and IFRS 16, the International Public Sector Accounting Standards Board (IPSASB) has developed IPSAS 43 – Leases, which reforms the concept of Lease Accounting and explains the difference between operating and financial leases for lessees.

The new standard does not change the lessors accounting. They continue to report the financial condition of the lease according the IPSAS 13. However, IPSAS 43 provides guidance and clarifications to assist the lessors in assessing the risks and benefits associated with property rights, and includes also specific changes to align with the lessor accounting model, which was reflected in the following articles: Lease Modification, Sublease, Notes.

IPSAS 43 has a significant impact on lessee's reporting. By the standard, the difference between operating and financial lease accounting for the lessee is eliminated, and the right-of-use assets and the lease liability are recognized on all types of leases.

IPSAS 43 requires the lessee to recognize virtually all lease contracts in the reporting in order to reflect his right-of-use assets for a specified period and the liability – to make future payments. For the lessee, IPSAS 43 introduces a model of use of the assets that makes difference between the right-of-use assets (controlled by the lessee) and the underlying asset itself (not controlled by the lessee).

The lessee, along with the recognition of the asset, must also recognize the liability by the commencement date of the lease term, which will be measured at the present value of the lease payments unpaid at that date.

IPSAS 43 makes an exception and exempts the lessee from recognition in the financial statements of a short-term lease or a lease less than 12 months and a low-value lease asset. Lease payments associated with such a lease will be recognized as term expense of the Lessee. The modifications also covered the identification of leases, unification of contracts, preferential leases, etc.

The implementation of IPSAS 43 will result in an increase in lease assets and lease liabilities on the lessee's financial accounts. In addition, depreciation costs for the right-of-use and interest costs for the lease will affect the results of financial activities. Accordingly, various financial indicators will also undergo changes.

By introducing new approaches, IPSAS 43 emphasizes the recognition of the right-of-use assets and the lease liabilities. It provides detailed information on lease-related assets and liabilities that helps financial statement users to clearly understand the impact of a lease on an entity's financial position and financial results.

Keywords: Lessor; Lessee, Right-of-use asset; Preferential lease; Sublease

INTERNATIONAL MEASURES TO COUNTERACT TAX AVOIDANCE

Rainer Wehner

Professor, Doctor of Philosophy

Thomas Fuchs

Technical University of Applied Sciences

Würzburg-Schweinfurt

Abstract

Less topics are discussed more controversial in science and public, than the use of tax havens by big multinational cooperations and wealthy individuals. While one side is blaming the siphoning of profits to tax havens as unsocial and unfair the other side is indicating this behaviour as smart and clever. From a pure economical viewpoint, the shifting of profits into tax havens is beneficial for the stakeholders and therefore a legitimate way of doing business. As the economy is just a part of the society the avoidance of taxes has massive effects on the revenue streams of the states. Necessary investments into infrastructure, health care or education cannot be done which affects the whole society. Therefore, international legislative reforms are paramount, focusing on closing loopholes, enacting comprehensive anti-avoidance rules, and imposing fair tax measures on digital and multinational enterprises. These reforms target common avoidance strategies such as transfer pricing manipulation, profit shifting, and the exploitation of tax havens. Legislative efforts also include implementing minimum tax rates to curb the race to the bottom among jurisdictions. Administrative measures are equally critical, encompassing the enhancement of tax authority capabilities and resources. Investments in advanced data analytics, cross-border cooperation, and the establishment of specialized anti-avoidance units are highlighted. The adoption of automatic exchange of information frameworks and public country-by-country reporting for multinational corporations are pivotal for increasing transparency and accountability. Initiatives like the OECD's Base Erosion and Profit Shifting (BEPS) project and the European Union's Anti-Tax Avoidance Directive (ATAD) exemplify the necessity of a unified global response. Cooperative measures enhance the consistency and enforcement of anti-avoidance practices across borders.

Keywords: legislative reforms, international collaboration, transparency, public revenue, global tax system.

Introduction

In the last decades more and more countries around the world face the problem of tax avoidance and evasion. Guided by their accountants and international lawyers' big multinational companies and rich individuals use special designed tax avoiding schemes to shift their profits into tax heavens. Such a behaviour has massive impacts on the society, because the people lose faith into equal taxation and the political systems. Besides the violation of the moral basis of the people the avoidance of taxes has also a huge impact on the revenue streams of the countries. A look at the figures shows that the countries in the EU lose in average 8 – 9 percent of their regular income in taxes. Developing countries in East-Asia and the Pacific region suffer even more with an average loss of 11 – 15 percent (Fuest et al., 2022, S. 39 f.). Countries who want to combat the tax avoiding schemes are relatively powerless because in times of global economic interdependence and digital business models, the effect of national tax laws is limited or there is even no effect at all. That is the reason why international regulations and agreements gain a growing importance. Due to this, there has been a rise in international cooperation in recent years to stop these practices (Stiglitz et al., 2024). Thus, international tax laws and treaties are essential in the fight against tax evasion because


they set the legal parameters for the taxation of cross-border transactions and provide the framework for information sharing between nations (Zucman, 2015, p. 5). The efficiency of these measures, however, is dependent on several variables, including how they are incorporated into national laws and how cooperative the participating nations are (Clausing, 2016). To gain a deeper understanding how well international tax laws and treaties work to prevent tax evasion as well as the function and importance of these legal tools in relation to the international tax system the single measures must be examined and assessed. The purpose of this investigation is to assess the efficiency of international tax laws and treaties in preventing tax evasion and to pinpoint any problems and potential areas for development (Zucman, 2015, p. 92). Based on the impact and application of international tax laws and treaties, the cooperation of the participating nations, the function of domestic laws, and the intricacy of international tax structures the following research question arises. “What measures could be taken to improve the effectiveness of international tax laws and treaties to combat tax avoidance more effectively?” To answer this question the author conducted in a systematic literature review to collect data from official reports and from the actual literature.

Effects of tax avoidance

Tax avoidance by big multinationals has far-reaching effects on global and national economic systems. Those effects can occur in: economic, social, and political spheres.

Economic effects

The effects on the economy due to tax avoidance are remarkable. A statistical analysis reveals that Germany incurred the highest proportion of losses attributable to tax havens in the aggregate corporate tax revenue of a select group of countries in 2017. According to calculations by economist Gabriel Zucman, Germany had to forgo 32.2 percent of its additional revenue from corporate taxes at the time of the survey due to tax havens. This equates to approximately 17 billion euros per year in forgone tax revenue. The calculations are based on the revelations of the so-called “Paradise Papers.”



(Statista, 2024)

Decreased government revenue: The loss of government revenue is one of the most evident effects of tax avoidance. Especially developing countries lose through profit shifting billions every year. This restricts their capacity to pay for public services and infrastructure projects. OECD research confirms this, showing that tax evasion results in large revenue losses (OECD, 2013).

Competition distortion: Avoiding taxes is causing unfair competition. Big multinationals are able to hire sophisticated accountants like the big four accounting firms who introduce their tax avoiding schemes and gain therefore a competitive advantage over smaller businesses who cannot afford those measures. Smaller or local businesses may be penalized because of this market distortion (Desai & Dharmapala, 2006).

Capital flows and investment choices: Also, the capital flows and investment choices of big multinationals are impacted. Businesses may relocate their investments to countries with lower tax rates. This will result in a less-than-ideal distribution of resources and potentially detrimental consequences for the economic growth of high-tax nations (Gordon & Hines, 2002).

Social effects

Social justice and inequality: Tax avoidance by big multinationals intensifies inequality by shifting the tax burden to less mobile factors like labour and consumption. This may decrease public trust in the tax system and social justice beliefs (Crivelli et al., 2015).

Decreased public services: Because of the loss of tax revenue governments have far less money to spend on social security, healthcare, and education. This may cause social problems to worsen and public services to deteriorate (Clausing, 2016).

Political effects

Loss of public trust in government: The confidence of the public in the government and the tax system will be undermined if the people realize that multinational corporations avoid their tax responsibilities. It gives the appearance that large corporations and regular people are treated differently (Romero, 2019).

Impact on tax policy: Through political donations and lobbying, big accounting firms as well as large multinational corporations often have a major impact on tax policy. As a result, tax laws may be introduced that serve these corporations' interests above the general public's (Desai & Dharmapala, 2006).

International dimensions

Tax competition and the “race to the bottom”: Tax avoidance encourages competitive tax policies among nations that usually end up in a “race to the bottom” competition in which nations keep lowering their tax rates to attract businesses. This has the potential to further inhibit nations' capacity to raise revenue and destabilize international tax systems (Slemrod et al., 2009).

Tensions between states: When nations assume that the acts of other nations are undermining their tax bases, tax avoidance can also end up causing tensions and conflicts between them. To avoid this, global initiatives have been set up for example by the OECD to create a common understanding and counteract tax avoidance. A prominent example is the OECD initiative on base erosion and profit shifting (OECD, 2013).

International measures – tax laws and treaties

International tax laws and agreements are important measures to regulate the tax liability of multinational companies and combating tax avoidance. These laws and agreements aim to prevent double taxation and at the same time guarantee fair taxation.

Double taxation agreements (DTAs)

Double taxation agreements (DTAs) are bilateral treaties that attempt to cap individual and corporate taxes in both countries at the same level of income. Those agreements specify which countries certain income is subject to taxation and offer mechanisms for resolving conflicts. As a global standard, the OECD Model Tax Convention serves as a common foundation for DTAs (OECD, 2017). It includes comprehensive rules on determining tax residency, preventing double taxation, and granting tax rights. In addition, the OECD has issued guidelines on transfer pricing, which define the prices at which subsidiaries trade goods and services within a multinational enterprise. These guidelines are intended to ensure that transactions take place under market conditions and to prevent profits from being shifted to countries with low tax rates (OECD, 2017).

BEPS-Initiative

In 2015 the G20 and the OECD launched an action plan against Base Erosion and Profit Shifting (BEPS). The goal of the initiative is to close the loopholes in the international tax system that permit tax avoidance. The BEPS action plan comprises 15 measures, which include enhanced transparency through automatic information exchange between tax authorities, stronger regulations for transfer pricing, and the fight against harmful tax practices (OECD, 2015a).

EU tax directives

The European Union followed the OECD and released a number of directives to counteract tax avoidance. One of the most relevant was the Anti-Tax Avoidance Directive (ATAD), which contains provisions for controlling foreign companies (CFC rules), interest barrier regulations, and measures to counter hybrid structures. These directives are intended to protect the tax bases of the member states and ensure fair competitive conditions in the internal market (European Commission, 2016).

Multilateral Instrument (MLI)

The Multilateral Instrument (MLI) aims to adapt existing DTAs quickly and effectively to the BEPS recommendations. With the MLI, the signatory states can amend their agreements without bilateral negotiations. This leads to a significant acceleration of the implementation process. It contains provisions aimed at preventing treaty abuse, improving dispute resolution, and combating profit shifting (OECD, 2015b).

Automatic exchange of information (AEOI)

Another significant advancement in international tax cooperation is the automatic exchange of information, or AEOI. Financial institutions are required to give information on non-resident accounts to their national tax authorities in compliance with the OECD's Common Reporting Standard (CRS). The tax authorities of the countries where they reside then receive a report with this data. As a result, there is greater transparency and difficulty for taxpayers to hide income overseas (OECD, 2014).

US Foreign Account Tax Compliance Act (FATCA)

The United States' Foreign Account Tax Compliance Act (FATCA) is a prominent example of domestic law having global effects. Under FATCA foreign financial institutions have to hand over information about US taxpayers' accounts around the world to the US Internal Revenue Service (IRS). As plenty other nations are committing to comparable information sharing agreements, FATCA sets a start of enlarging worldwide tax transparency (Foreign Account Tax Compliance Act, 2024).

The role of OECD

International tax policy is carried out and formulated in large part by the Organization for Economic Cooperation and Development (OECD). Its efforts are aimed at combating tax avoidance and promoting fair taxation worldwide. The OECD was founded in 1961 and counts 38 member countries that work together to promote economic development and stability. Its main objectives are to promote sustainable economic growth, raise living standards in its member countries and coordinate economic cooperation. The group serves as a discussion and development forum for recommendations on economic policy, as well as a platform for the sharing of knowledge and best practices (Kenton, 2020). The primary goals of the OECD are to address global issues and advance the social and economic development of its member nations. Furthermore, to improve the economic performance through the development of growth strategies and the encouragement of job creation (OECD, 2024). Moreover, the OECD assists its member nations to stabilize their financial systems and avert financial crises as well as strengthen global economic integration, lowering trade and investment barriers and fostering the free flow of capital, goods, and services. One of the most important tasks of the OECD as in international organisation is the development of international standards and best practices in various areas, including tax policy, corporate governance, environmental policy, and education, which can be adopted by member countries (OECD, 2024).

As the regulations of the OECD are not binding the organisation is expecting a high level of transparency and the willingness of the member states to cooperate, especially in the field of tax avoidance. Nevertheless, the OECD has played a central role in improving tax transparency between multinational enterprises (MNEs) and the countries in which they operate. Increasing disclosure requirements and bolstering information sharing amongst tax authorities are two of the OECD's many tools and initiatives to promote tax transparency. The most biggest achievement of the organisation however is the Base Erosion and Profit Shifting (BEPS) project. The BEPS initiative comprises 15 measures aimed at improving international tax rules and increasing transparency. One of the most important measures is Country-by-Country Reporting (CbCR), which requires multinational companies to disclose detailed information about their activities, profits and taxes paid in each country in which they operate. These reports can be shared between tax authorities and are made available to the tax authorities of the nations where the companies maintain their tax residence (OECD, 2015a). The Common Reporting Standard (CRS) is another OECD instrument for promoting

tax transparency. A global standard for the automated sharing of financial data between tax authorities is established by the CRS. Financial institutions in participating nations are required to notify their national tax authorities of information pertaining to foreign taxpayer accounts. Account balances, interest income, and dividends are all included in this data. The tax authorities of the countries where the account holders reside automatically exchange this data with each other. The CRS helps to prevent tax avoidance by improving the tax authorities' access to financial information (OECD, 2014). In addition to specific regulations such as CbCR and the CRS, the OECD has also developed a more comprehensive transparency action plan aimed at improving access to tax information and strengthening international cooperation. This includes improving tax policy by developing clear and consistent rules for the reporting and exchange of tax information. This plan includes measures to improve tax cooperation, promote fair competition and increase the accountability of multinational enterprises (OECD, 2024).

Critical aspects

Despite the progress made by OECD, there are still challenges and criticism on tax transparency. Some critics argue that the regulations do not go far enough and that companies can still take advantage of tax avoidance opportunities. There are also concerns about the administrative burden and data protection issues associated with the automatic exchange of information. Another problem according to the Study “Base erosion, profit shifting and developing countries” is the implementation in developing countries who don't have the necessary resources and infrastructure to implement the new standards effectively (Crivelli et al., 2015). Other critical aspects focus on the distribution of power, the alignment of interests, the implementation of its programs and the impact on developing countries. The OECD is often perceived as an organization dominated by the interests of its wealthier member states, particularly the United States and EU countries. These countries have considerable influence on the OECD's agenda and decision-making processes, which leads to an unequal distribution of power. Furthermore, the OECD is often criticized for the fact that its policy recommendations and reports do not meet the specific needs of developing countries but tend to promote the interests of industrialized countries and multinational companies. Although the OECD is increasingly promoting partnerships with non-member countries, including developing countries, the actual influence of these countries on decision-making processes remains limited. As a result, the guidelines and standards developed by the OECD may not reflect the specific challenges and needs of these countries, particularly around tax policy. Developing countries often have other priorities, such as combating tax avoidance by informal and small businesses, which receive less attention in OECD discussions (Hearson, 2017). The OECD also faces accusations of a lack of transparency and legitimacy. Critics complain that the OECD's decision-making processes and the preparation of its reports and recommendations are not transparent, and that the organization is not sufficiently accountable to the global public. This applies in particular to the working methods of the numerous committees and expert bodies, whose meetings are generally not open to the public and whose decision-making often takes place behind closed doors. The low participation of non-governmental organizations (NGOs) and other civil society actors exacerbates the problem of a lack of transparency (Martens, 2005). In this context it would be interesting to know, which role the (big 4) accounting firms play within the decision structure of the OECD. They are the ones who design the tax avoiding schemes and who profit most by selling and implementing those models to the multinational cooperations.

Finally, the OECD is also criticized about the implementation and effectiveness of its programs. Despite the extensive development of standards and recommendations, the practical implementation of these measures in the member countries often falls short of expectations. This is especially true in the tax domain, where there are wide variations in the way BEPS measures are implemented in national laws and administrative procedures. Some critics fear that the BEPS measures could intensify tax competition between coun-

tries, especially if countries try to attract investment by offering more favourable tax conditions. This could lead to a ~race to the bottom~ in which the tax base is further eroded (Devereux & Vella, 2014).

Conclusion

Governments and international organizations face many obstacles in their fight against tax avoidance, which can take many different forms, such as political, economic, or legal. The increasing globalization and digitalization of the economy have facilitated the development of tax strategies by multinational enterprises (MNEs) that minimize their tax obligations. This results in a considerable reduction in tax revenue and renders the maintenance of equitable tax regimes on a global scale increasingly challenging.

An effective political measure to counteract tax avoidance would be the establishment of a robust international cooperation who oblige themselves to transparency and honesty. But as the disparate national interests and tax policies of various countries present a significant challenge to the creation and implementation of uniform international tax regulations. Some countries, particularly those with low tax rates, benefit from the status quo and demonstrate minimal enthusiasm for comprehensive reforms (OECD, 2024). Furthermore, the influence of MNEs on political processes is a significant factor to consider. They possess considerable resources that enable them to exert considerable influence over political processes. Lobbying activities have the potential to impede or dilute the implementation of more stringent tax regulations. This is particularly problematic in countries where policymakers rely on corporate donations and support (Zucman, 2015, p. 71).

On the economic side the implementation of an aggressive tax planning scheme by a company can result in a notable reduction in their overall tax burden and therefore leads to a competitive advantage over those who act according to the established tax regulations. The consequences of the tax avoidance are missing investments in education, health, and infrastructure, which can have a long-term negative impact on economic growth and social justice (OECD, 2024). As the corporations are obliged only against their stakeholders to maximise profits there is no real economic solution. The only way to counteract tax avoidance in an economical way is self-commitment to social responsibility and an ethical behaviour.

A significant challenge arises when attempting to align national tax laws with modern business models. The identification and taxation of profits generated by digital business models is a complex undertaking, as traditional taxation rules frequently necessitate a physical presence.

The complicated and mostly antiquated tax laws that exist today often provide avenues for exploitation by MNEs. The lack of clarity in definitions and regulations, particularly in the domain of transfer pricing and hybrid financial instruments, further complicates the enforcement of tax obligations. This is a strange situation that can hardly be explained. Most of the tax laws around the world are at least heavily influenced by consultants, like the big 4 accounting firms. The same group of consultants that sell tax avoiding schemes to companies. As their role is highly in transparent and they don't do anything to bring light into that situation, it could be a measure against tax avoidance to kick them out of the legislation process.

List of References

1. Clausing, K. A. (2015). The effect of profit shifting on the corporate tax base in the United States and beyond. Social Science Research Network. <https://doi.org/10.2139/ssrn.2685442>
2. Crivelli, E., De Mooij, R., & Keen, M. (2015). Base erosion, profit shifting and developing countries. In Fiscal Affairs Department, IMF Working Paper (p. 1). Retrieved September 28, 2024, from <https://www.imf.org/external/pubs/ft/wp/2015/wp15118.pdf>

3. Desai, M. A., & Dharmapala, D. (2006). Corporate tax avoidance and high-powered incentives. *Journal of Financial Economics*, 79(1), 145–179. <https://doi.org/10.1016/j.jfineco.2005.02.002>
4. Devereux, M. P., & Vella, J. (2014). Are We Heading towards a Corporate Tax System Fit for the 21st Century? *Fiscal Studies*, 35(4), 449–475. <https://doi.org/10.1111/j.1475-5890.2014.12038.x>
5. Foreign Account Tax Compliance Act. (2024). U.S. Department of The Treasury. Retrieved September 29, 2024, from <https://home.treasury.gov/policy-issues/tax-policy/foreign-account-tax-compliance-act>
6. Fuest, C., Hugger, F., & Neumeier, F. (2022). Grenzüberschreitende Geschäftsbeziehungen innerhalb von Unternehmensgruppen—Ausmaß und Reformoptionen. ifo Institut für Wirtschaftsforschung an der Universität München e.V. <https://shorturl.at/DQzNF>
7. Gordon, R. H., & Hines, J. R. J. (2002). International taxation. ResearchGate. https://www.researchgate.net/publication/4917997_International_Taxation
8. Hearson, M. (2017). The challenges for developing countries in international tax justice. *The Journal of Development Studies*, 54(10), 1932–1938. <https://doi.org/10.1080/00220388.2017.1309040>
9. Kenton, W. (2020, July 26). Organisation for Economic Co-Operation and Development (OECD). Investopedia. Retrieved September 30, 2024, from <https://www.investopedia.com/terms/o/oecd.asp>
10. Martens, K. (2005). *NGO's and the United Nations: Institutionalization, Professionalization and Adaptation*. Springer.
11. OECD (2013), Addressing Base Erosion and Profit Shifting, OECD Publishing, Paris, <https://doi.org/10.1787/9789264192744-en>.
12. OECD (2014), Standard for Automatic Exchange of Financial Account Information in Tax Matters, OECD Publishing, Paris, <https://doi.org/10.1787/9789264216525-en>.
13. OECD (2015a), OECD/ G20 Base Erosion and Profit Shifting Project, OECD Publishing, Paris, <https://doi.org/10.1787/23132612>
14. OECD (2015b), Developing a Multilateral Instrument to Modify Bilateral Tax Treaties, Action 15 – 2015 Final Report, OECD/G20 Base Erosion and Profit Shifting Project, OECD Publishing, Paris, <https://doi.org/10.1787/9789264241688-en>.
15. OECD (2017), Model Tax Convention on Income and on Capital: Condensed Version 2017, OECD Publishing, Paris, https://doi.org/10.1787/mtc_cond-2017-en.
16. OECD (2024), The OECD: Better policies for better lives. Retrieved September 30, 2024 from <https://www.oecd.org/en/about.html>
17. Slemrod, J., Wilson, J. D. (2009). Tax competition with parasitic tax havens. In *Journal of Public Economics* (Vol. 93, pp. 1261–1270) [Journal-article]. Elsevier B.V. Retrieved September 28, 2024, from <https://gabriel-zucman.eu/files/teaching/SlemrodWilson09.pdf>
18. Statista. (2024). Verluste durch Steueroasen an den Steuereinnahmen in ausgewählten Ländern 2017. Retrieved September 26, 2024, from <https://de.statista.com/statistik/daten/studie/781320/umfrage/anteil-der-verluste-durch-steueroasen-an-den-steuereinnahmen-ausgewaehlter-laender/>
19. Romero, J. A. (2019). Corporate lobbying and political contributions and their effects on tax avoidance. *Journal of Public Affairs*, 19(2). <https://doi.org/10.1002/pa.1923>
20. Stiglitz, J., Annette Alstadsæter, Sarah Godar, Panayiotis Nicolaides, Gabriel Zucman, Giulia Aliprandi, Mona Baraké, Kane Borders, Paul-Emmanuel Chouc, Souleymane Faye, Eloi Flamant, Idann Gidron, Elvin Le Pouhaër, Quentin Parrinello, Idann Gidron, Pierre Bachas, Matthew Collin, Andreas Økland, Sofía Balladares, . . . Benjamin Grillet. (2024). GLOBAL TAX EVASION REPORT 2024. In GLOBAL TAX EVASION REPORT 2024 [Report]. https://www.taxobservatory.eu/www-site/uploads/2023/10/global-tax_evasion_report_24.pdf
21. Zucman, G. (2015). *The hidden wealth of nations: The Scourge of Tax Havens*. University of Chicago Press

საავადმყოფოების ანტიკრიზისული პროცესების მართვის გამოწვევები

თენგიზ ვერულავა

მედიცინის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი,
ჯანდაცვის პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორი

ქეთევან ომანაძე

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი

ანოტაცია

თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო სამხრეთ კავკასია და განსაკუთრებით საქართველო ითვლება საომარი კონფლიქტების ფეთქებადსაშიშ ზონად, რაც განაპირობებს კატასტროფებისთვის მზადყოფნის გადაუდებელი გეგმების არსებობის აუცილებლობას, რათა საავადმყოფოებმა შეძლონ ეფექტური სამედიცინო მომსახურების შეთავაზება. კვლევის მიზანია კატასტროფებისადმი საავადმყოფოების მზადყოფნის შეფასება და მასზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა. კვლევამ აჩვენა, რომ საავადმყოფოებს აქვს შესაძლებლობა ოპტიმალურად უზრუნველყონ სრული პერიმეტრის მონიტორინგი საგანგებო სიტუაციების დროს, მიიღონ თავდაცვისა და უსაფრთხოების ზომები, გააჩნიათ საკმარისი ჟანგბადის მარაგები. ტექნიკური და საინჟინრო პერსონალი ხელმისაწვდომია 24 საათის განმავლობაში. საავადმყოფოებში არსებობს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. თუმცა, რესპოდენტთა მნიშვნელოვან ნაწილს არ გაუვლია ტრენინგები კატასტროფების მართვის სავარჯიშო ნრთვნებში. რესპოდენტთა მხოლოდ ნახევარმა (52%) აღნიშნა, რომ საავადმყოფოს გადაუდებელი დახმარების/კატასტროფების დროს არსებობს მზადყოფნის კომიტეტი, რომელიც ხშირ შემთხვევებში არ არის მულტიდისციპლინური და არ მოიცავს სხვადასხვა მიმართულებების კვალიფიციურ პერსონალს და სადაც რეგულარული ღია შეხვედრები ხშირად არ იმართება. ხშირად დანესებულებას არ შეუძლია აკონტროლოს გეგმიური პაციენტები, რომლებიც გაენერებიან კატასტროფული სიტუაციების დროს, ხოლო კრიტიკული შემთხვევების სტრესის მართვა არ არის ადეკვატურად ინტეგრირებული საგანგებო გეგმაში. კვლევამ გამოავლინა საავადმყოფოებში კრიზისისა და კატასტროფებისადმი მზადყოფნის ზომიერი დონე საშუალო ქულით 56,57%. რეკომენდირებულია საავადმყოფოებში გარკვეული ცვლილებების გატარება კრიზისისა და კატასტროფული მოვლენებისადმი მზადყოფნის დონის გასაუმჯობესებლად.

საკვანძო სიტყვები: ანტიკრიზისული მენეჯმენტი, საგანგებო კატასტროფებისთვის მზადყოფნა, კრიზისული სიტუაციები.

შესავალი

ომებისა და ბუნებრივი კატასტროფების გამო წარმოქმნილ გამოწვევებთან გასამკლავებლად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საავადმყოფოების კატასტროფებისთვის მზადყოფნის გაძლიერება. საავადმყოფოების მზადყოფნა კატასტროფებისთვის არის უწყვეტი პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს კატასტროფების დროს საავადმყოფოს მდგრადობისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფას და უარყოფითი შედეგების სწრაფად დაძლევისათვის ეფექტურ რეაგირებას. ამისათვის აუცილებელია საავადმყოფოებს ჰქონდეთ მოსალოდნელ კატასტროფებთან სათანადო მზადყოფნის გეგმა.

თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო სამხრეთ კავკასია და განსაკუთრებით საქართველო მუდამ წარმოადგენდა დომინანტი საერთაშორისო აქტორების განსაკუთრებული ინტერესის ობიექტს. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ბოლო 30 წლის განმავლობაში საქართველომ გადაიტანა სამოქალაქო ომი და საომარი კონფლიქტები რუსეთთან (1990-იან წლებში მომხდარი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტი და 2008 წლის აგვისტოს ომი), რამაც გამოიწვია დიდი რაოდენობით მსხვერპლი და ჯანმრთელობის მდგომარეობის დაზიანება და შეზღუდული შესაძლებლობა როგორც სამხედრო ძალების, ასევე მშვიდობიანი მოსახლეობის. კავკასიის რეგიონი და განსაკუთრებით საქართველო დღესაც ითვლება საომარი კონფლიქტების ფეთქებადსაშიშ ზონად. საუდის არაბეთში რამდენიმე კვლევა ჩატარდა კატასტროფებისთვის მზადყოფნის ზოგიერთი ასპექტის შესაფასებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, აქტუალურია საქართველოში საავადმყოფოების კატასტროფებისადმი მზადყოფნის შესწავლა. ამ მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში მსგავსი კვლევა არ ჩატარებულა.

მეთოდოლოგია

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებთან მოსაზღვრე რაიონების სამედიცინო დაწესებულებების მენეჯერების გამოკითხვა. კატასტროფებთან გამკლავებისთვის საავადმყოფოების მზადყოფნის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა თვითადმინისტრირებადი კითხვარი, რომელიც შემუშავდა ჯანმოს (WHO, 2011) მიერ.

კვლევის შედეგები, დისკუსია

თავდაცვა და უსაფრთხოება. კატასტროფების დროს საავადმყოფოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პაციენტების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ყველა საავადმყოფოს აქვს აუცილებელი აღჭურვილობა საავადმყოფოს სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის. უსაფრთხოების თანამშრომელი 24 საათის განმავლობაში ხელმისაწვდომია ყველა სამედიცინო დაწესებულებაში. საავადმყოფოებს აქვთ შესაძლებლობა აუცილებლობის შემთხვევაში დაამატონ უსაფრთხოების თანამშრომელი. ყველა დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა ოპტიმალურად უზრუნველყოს სრული პერიმეტრის მონიტორინგი საგანგებო სიტუაციების დროს. არსებობს გეგმა რომლის მიხედვითაც მოხდება ინფორმაციის მიწოდება დაშავებულთა ოჯახის წევრებზე და ასევე გაკონტროლდება დიდი რაოდენობით ხალხის შემოდინება. უფრო მეტიც, საავადმყოფოებზე დაკვირვება ხდება ვიდეოკამერებით, რომლებიც განთავსებულია საავადმყოფოს შიგნით სხვადასხვა ადგილას, რათა უზრუნველყოფილი იყოს საავადმყოფოს საკუთრების, შესასვლელებისა და გასასვლელების ოპტიმალური მონიტორინგი და კონტროლი. რესპონდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ განაცხადა, რომ საავადმყოფოებში არსებობს თავდაცვისა და უსაფრთხოების ზომები. ეს საკმაოდ მაღალი შეფასებაა, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პაციენტების სწორი და უსაფრთხო მკურნალობისთვის.

ლოჯისტიკა. ელექტროენერგია აუცილებელი კომპონენტია საავადმყოფოს მოწყობილობა-დანადგარების ფუნქციონირებისთვის. აქედან გამომდინარე, საავადმყოფოში ელექტრომომარაგება უნდა იყოს კარგად ორგანიზებული და უსაფრთხო. კატასტროფების შემთხვევაში, ალტერნატიული ელექტრომომარაგება უნდა იყოს ხელმისაწვდომი და მუშაობდეს გამართულად. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ყველა საავადმყოფოს აქვს დენის გენერატორი, რომელიც უზრუნველყოფს ელექტროენერგიის მიწოდებას სამი დღის მანძილზე საჭიროების შემთხვევაში. წელიწადში ერთხელ ხდება გენერატორის სრული დატვირთვის ტესტირება. რესპო-

დენტთა 66,7%-ის აზრით, საავადმყოფოს აქვს სარეზერვო წყარო საწვავის 3 დღის უწყვეტი მიწოდების უზრუნველსაყოფად. რესპოდენტთა 66,7%-ის აზრით, საავადმყოფოების უმეტესობას საწვავი აქვს დაცულ ადგილებში.

უწყვეტი წყალმომარაგება აუცილებელია საავადმყოფოსთვის. წყალმომარაგების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად თითოეულ საავადმყოფოს უნდა ჰქონდეს წყლის მეორადი წყარო, რომელიც რომელიც გამოყენებული იქნება იმ შემთხვევაში თუ პირველადი წყარო ვერ უზრუნველყოფს ადეკვატური წყლის მიწოდებას. რესპოდენტთა 83,3%-ის აზრით, საავადმყოფოებს აქვთ შესაძლებლობა უზრუნველყონ უწყვეტი წყალმომარაგება. გარდა ამისა, ზოგიერთ საავადმყოფოს აქვს წყლის მიწოდების მეორადი წყარო, კერძოდ, ზოგიერთ საავადმყოფოს წყალი მიეწოდება მუნიციპალური წყაროდან, ზოგს კი აქვს საკუთარი წყალმომარაგება. რესპოდენტთა 66,7%-ის აზრით, საავადმყოფოებს აქვთ 3 დღის საკვები მარაგი პერსონალისთვის და პაციენტებისთვის.

სავადმყოფოების აბსოლუტურ უმრავლესობას აქვს 3-4 დღის საკმარისი ჟანგბადის მარაგები. სამედიცინო ჟანგბადი გამოიყენება საოპერაციო ოთახებში, გადაუდებელი დახმარების და ინტენსიური თერაპიის განყოფილებებში. სამედიცინო ჟანგბადის ადეკვატური მიწოდების უზრუნველსაყოფად საჭიროა კარგად ვენტილირებადი უსაფრთხო ადგილი სამედიცინო ჟანგბადის შესანახად.

ტექნიკური და საინჟინრო განყოფილება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სავადმყოფოების უსაფრთხო და გამართული ფუნქციონირებისათვის. ამიტომ ტექნიკური და საინჟინრო პერსონალი ხელმისაწვდომი უნდა იყოს 24 საათის განმავლობაში. გამოკითხულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ტექნიკური და საინჟინრო პერსონალი ხელმისაწვდომია 24 საათის განმავლობაში. შესაბამისად, სავადმყოფოები ადეკვატურად ფუნქციონირებენ გენერატორების, ელექტრომომარაგების, ზოგიერთი სასიცოცხლო აღჭურვილობის (მონიტორები, ვენტილატორები) პრობლემების შემთხვევაში.

გათბობის, ვენტილაციისა და კონდიციონირების სისტემები მნიშვნელოვანია სავადმყოფოების ფუნქციონირებისთვის, მაგრამ კატასტროფული მოვლენების დროს ეს სისტემა ითიშება. გამოკითხულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ყველა დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა მიზნობრივად მიაწოდოს გათბობის, ვენტილაციისა და კონდიციონირების სისტემები.

სავადმყოფოს ნარჩენები, მათ შორის მყარი და თხევადი ნარჩენები, საზიანოა ადამიანებისთვის და შეიძლება პრობლემები შეუქმნას ადამიანის ჯანმრთელობას. ამიტომ სავადმყოფოებში ნარჩენების მართვის სათანადო სისტემის არსებობა ძალზე მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით კატასტროფის დროს. გამოკითხულთა 100% უპასუხა, რომ სავადმყოფოში დაბინძურებული ნარჩენების მართვა მიმდინარეობს ორგანიზებულად.

გადაუდებელი სიტუაციების მართვის გეგმა: გამოკითხულ რესპოდენტთა 92%-მა დაადასტურა, რომ მათ დაწესებულებაში არსებობს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. რესპოდენტთა 74%-ის აზრით, გადაუდებელი სიტუაციების მართვის გეგმა ეხება შიდა და გარე გადაუდებელ სიტუაციებს. მაგრამ რესპოდენტთა დაახლოებით მესამედმა (32%) აღნიშნა, რომ გეგმა ადვილად ხელმისაწვდომი არ არის ადმინისტრაციისთვის და პერსონალისთვის. რესპოდენტთა 62%-ის აზრით, გეგმა არ ეხება ყველა სახის კატასტროფულ სიტუაციას.

გარდა ამისა, რესპოდენტთა ნახევარზე მეტი (54%) თანხმდება, რომ გეგმა მოიცავს წერილობით შეთანხმებებს საჭიროების შემთხვევაში დამატებითი პერსონალის მოძიებას დაკავშირებით. რესპოდენტთა 88.0% თანხმდება, რომ გეგმა მოიცავს ღონისძიებებს გეგმიური სერვისების (მაგ გეგმიური ქირურგიული ოპერაციების) გაუქმებას საგანგებო სიტუაციების დროს. საყურადღებოა, რომ რესპოდენტთა 70%-ის აზრით, გეგმის მიხედვით პროცესებში არ არის ჩართული ფსიქოლოგი და ფსიქიატრი. რესპოდენტთა უმრავლესობის (96.0%) აზრით, გეგმა მოიცავს აღდგენის ფაზაში გეგმიურ ოპერაციებზე დაბრუნების დებულებებს.

საავადმყოფოს პერსონალს ესაჭიროება სპეციალური ტრენინგი გადაუდებელ სიტუაციებზე რეაგირების შესახებ. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ რესპოდენტთა 71.4%-ს არ გაუვლია ტრენინგები წელიწადში ორჯერ მაინც საგანგებო მოვლენებთან დაკავშირებით. დადებითი პასუხი გასცა მხოლოდ 28.6%-მა. გადაუდებელი და კატასტროფული მოვლენების დროს საავადმყოფოების მიზანია რესურსების მაქსიმალური მობილიზება, რათა უზრუნველყონ დაზარალებულთა გამოჯანმრთელების ეფექტური მართვა, ამიტომ საავადმყოფოს პერსონალი უნდა იყოს მაქსიმალურ მზადყოფნაში საგანგებო სიტუაციებისთვის. შედეგები აჩვენებს, რომ აუცილებელია საავადმყოფოს პერსონალის ინფორმირებულობის გაზრდა გადაუდებელი სიტუაციების მართვის შესახებ სპეციალური ტრენინგის საშუალებით. ზოგ ქვეყნებში ჩატარებული კვლევები ადასტურებენ, რომ სამედიცინო პერსონალი მოუმზადებელია საგანგებო სიტუაციების მართვის პროცესებში (Oztekin, 2016), ზოგი კვლევის მიხედვით, საავადმყოფოებში ტარდება მრავალი ტრენინგი პერსონალის უნარ ჩვევების გასაუმჯობესებლად (Kaji, 2006).

საავადმყოფოს მზადყოფნა და ტრენინგი. რესპოდენტთა 79.2%-ის აზრით, დაწესებულება არ ახორციელებს წელიწადში ორჯერ სავარჯიშო საგანგებო სიტუაციებს. რესპოდენტთა 71.8%-ის აზრით, დაწესებულება არ მონაწილეობს წელიწადში ერთ ტრენინგში მაინც კატასტროფებზე რეაგირებასთან დაკავშირებით. კვლევამ აჩვენა გადაუდებელი მართვის დაგეგმვის ტრენინგში მონაწილეობის დაბალ ინტერესს. გადაუდებელი მართვის გეგმის წერილობითი ფორმით არსებობა მნიშვნელოვანია თითოეული საავადმყოფოსთვის, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ წერილობითი გეგმა არ იძლევა მზადყოფნის გარანტიას, ასევე მნიშვნელოვანია საავადმყოფოს პერსონალის სწავლება გეგმის სწორად განხორციელებაზე და გადაუდებელი სიტუაციების მიმართ მათი მზადყოფნის დონის გაზრდა. სათანადო ტრენინგების საშუალებით საავადმყოფოს პერსონალს უკეთ ეცოდინება მისი როლი. რესპოდენტთა 88.0%-ის აზრით, დაწესებულებაში არ განხორციელებულა პერსონალის და პაციენტების ევაკუაცია ბოლო 12 თვის განმავლობაში. რესპოდენტთა 68.0%-ის აზრით, დაწესებულება იყენებს ქმედების შემდგომ ანგარიშებს გადაუდებელი სიტუაციების მოქმედების გეგმის ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად.

შემთხვევების მართვის სისტემა. რესპოდენტთა 82%-მა აღნიშნა, რომ შემთხვევების მართვის სისტემა არსებობს საავადმყოფოში, მაგრამ რესპოდენტთა დიდმა ნაწილმა (80%) აღნიშნა, რომ არ ტარდება კატასტროფების მართვის სავარჯიშო წრთვები წელიწადში ორჯერ მაინც. რესპოდენტთა 60%-ის აზრით, არ არსებობს კატასტროფების მართვის მენეჯერის დანიშვნის პროცედურა. რესპოდენტთა 56%-მა აღნიშნა, რომ პერსონალს აქვს ინფორმაცია როგორ უნდა მოიქცეს როცა კატასტროფის მართვის სისტემა ამუშავდება. საგანგებო სიტუაციების დროს, შემთხვევების მართვის სისტემის მენეჯერის როლი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის არის პასუხისმგებელი პირი საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ყველა ასპექტზე, მასზეა დამოკიდებული შემთხვევების მართვა, რესურსების გამოყენება და პასუხისმგებელია ადმინისტრაციულ ჯგუფზე, რომელიც ექვემდებარება, რადგან მას აქვს სათანადო გამოცდილება და აქვს უფლებამოსილება გასცეს მითითებები ან ბრძანებები.

კატასტროფებისადმი მზადყოფნის კომიტეტი. რესპოდენტთა მხოლოდ ნახევარმა (52%) აღნიშნა, რომ საავადმყოფოს გადაუდებელი დახმარების/კატასტროფების დროს არსებობს მზადყოფნის კომიტეტი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის ხელმძღვანელობას. რესპოდენტთა 79.6%-ის აზრით, გადაუდებელი დახმარების კომიტეტში რეგულარული ღია შეხვედრები ხშირად არ იმართება. რესპოდენტთა 64%-ის აზრით, საავადმყოფოს გადაუდებელი დახმარების/კატასტროფების კომიტეტი არ არის მულტიდისციპლინური. კრიზისულ მოვლენებზე სათანადო რეაგირებისთვის საჭიროა შესაბამისი მზადყოფნა, გამოცდილება, განათლება და რესურსები. ამისათვის, კატასტროფებისადმი მზადყოფნის კომიტეტი უნდა იყოს მულტიდისციპლინარული და მოიცავდეს სხვადასხვა მიმართულებების კვალიფიციურ პერსონალს. კრი-

ზისული მოვლენების დროს კატასტროფებისადმი მზადყოფნის კომიტეტის წევრები ხელმისაწვდომი უნდა იყოს, რომ უხელმძღვანელონ პერსონალს, მიიღონ გადაწყვეტილებები და მართონ სიტუაცია არსებული რესურსების ფარგლებში.

ტრიაჟი. კვლევაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ტრიაჟის კომპონენტმა აჩვენა. რესპოდენტთა 98%-ის აზრით, საავადმყოფო იყენებს ტრიაჟის სისტემას და პაციენტები კლასიფიცირდება ფერადი ეტიკეტებით (წითელი, შავი, მწვანე, ყვითელი) ავადმყოფობის სიმძიმისა და სამედიცინო ჩარევების გადაუდებელი აუცილებლობის მიხედვით. ასევე, ყველა კლინიკას აქვს ალტერნატიული დამუშავების ზონა მსხვერპლთა დიდი ნაკადისათვის.

მასობრივი მსხვერპლის შემთხვევაში, სამედიცინო ორგანიზაციები შეიძლება გადაიტვირთოს, ამიტომ აუცილებელია პაციენტების დახარისხება სამედიცინო საჭიროების მიხედვით. ტრიაჟის მიზანია პაციენტი მოხვდეს სწორ ადგილას სწორ დროს და მიიღოს ოპტიმალური მომსახურება. ტრიაჟი გამოიყენება ისეთ სიტუაციებში, როდესაც საავადმყოფოს დატვირთვა აღემატება ხელმისაწვდომ კვალიფიციურ დახმარებას. საავადმყოფოებში ტრიაჟს ახორციელებს კვალიფიცირებული ექთანი, რომელიც მოკლე დროში ახდენს პაციენტების მდგომარეობის შეფასებას და მათ დახარისხებას ავადმყოფობის სიმძიმის მიხედვით. თითოეულ პაციენტს მიენიჭება პრიორიტეტი ჰოსპიტალიზაციისთვის და ხდება შესაბამის საავადმყოფოში გადაყვანა. ტრიაჟის სისტემაში პაციენტების დახარისხება ხორციელდება სამ ფერში: წითელი ფერის ნიშანი სერიოზული შემთხვევებისთვის, რომლებსაც ესაჭიროებათ დაუყოვნებელი ჩარევა, ყვითელი ფერის ნიშანი პაციენტებისთვის, რომლებსაც ესაჭიროებათ ჩარევა, მაგრამ შესაძლებელია 1-2 სთ ლოდინი, მწვანე ფერის ნიშანი მსუბუქი მდგომარეობებისთვის, რომლებსაც შეიძლება დასჭირდეთ მკურნალობა, მაგრამ არ ესაჭიროებათ ჰოსპიტალიზაცია.

პაციენტზე თვალყურის დევნება. ფერადი ნიშნების არსებობა პაციენტის თვალყურის დევნებისთვის პრობლემაა განსაკუთრებით გადაუდებელი შემთხვევების დროს. რესპოდენტთა დიდი ნაწილი (82%) ეთანხმება, რომ დაწესებულებას აქვს პაციენტზე თვალყურის დევნის განერილი მეთოდი (მონიშნული ბილიკები). თუმცა, 70%-ის აზრით, მათი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადაყვანილ პაციენტებზე თვალყურის დევნების შესაძლებლობა არ აქვთ. ასევე, რესპოდენტთა 72%-ის აზრით, დაწესებულებას არ შეუძლია აკონტროლოს გეგმიური პაციენტები, რომლებიც გაენერებიან კატასტროფული სიტუაციების დროს.

სავადმყოფოებში არის წერილობითი ნიშნები და ეტიკეტები, რომლებიც აღნიშნავენ საავადმყოფოს განყოფილებებს, მაგრამ არ არის ფერადი ხაზები, რომლებიც აზუსტებენ ბილიკებს, რათა დაეხმაროს პაციენტებს გადავიდნენ გარკვეულ განყოფილებებზე. ასეთ დროს პაციენტები სთხოვენ პერსონალს მათთვის სასურველი განყოფილების მდებარეობის შესახებ. ფერადი ხაზები იატაკზე ან კედლებზე პაციენტებს ან მათ თანმხლებ პირებს გაუადვილებს საავადმყოფოში გადაადგილებას.

სტრესის მართვა კატასტროფების დროს. კრიზისულ მოვლენებზე რეაგირების პროცესში მნიშვნელოვანია სტრესის მართვა. რესპოდენტების 74%-მა აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ ჰყავს კრიტიკული ინციდენტის სტრესის მართვის გუნდი. რესპოდენტთა 44.0%-მა აღნიშნა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისები როგორც კატასტროფის დროს ასევე მის შემდგომაც არ არის ხელმისაწვდომი. რესპოდენტთა 72.0%-ის აზრით, ფსიქიკური ჯანმრთელობის ჯგუფის წევრები არ გადიან ტრენინგებს კრიზისული სიტუაციების დროს პაციენტთა მოვლასა და გადაუდებელ დახმარებაში. რესპოდენტთა 80%-ის აზრით, არ არსებობს გეგმა კატასტროფებზე რეაგირების მუშაკების ფიზიკური და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის შესაფასებლად.

ფარმაცევტული და ლაბორატორიული სერვისების ხელმისაწვდომობა. ფარმაცევტული და ლაბორატორიული მომსახურება ნებისმიერ საგანგებო მოვლენებზე რეაგირებისათვის აუცილებელი კომპონენტია. რესპოდენტთა 73.5%-ის აზრით, აფთიაქი არ ინახავს ანტიდოტების მარაგს. რესპოდენტთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, აფთიაქი აკონტროლებს მედიკა-

მენტების ყოველდღიურ გამოყენებას. რესპოდენტთა 98%-ის აზრით, აფთიაქს აქვს მედიკამენტების 1 თვიანი მარაგი. რესპოდენტთა 82%-ის აზრით საგანგებო სიტუაციების დროს არსებობს გეგმა რათა აფთიაქმა უზრუნველყოს წამლების სწრაფი მიღება მომწოდებლისგან. რესპოდენტთა 80%-მა აღნიშნა, რომ ლაბორატორიის პერსონალი დატრენინგებულია გაზრდილი მომართვიანობის მომსახურების უზრუნველსაყოფად საგანგებო სიტუაციების დროს. რესპოდენტთა 96%-ის აზრით, გეგმაში განერილია საჭიროების შემთხვევაში რეაგენტების მიწოდება კრიტიკული შემთხვევებისას. რესპოდენტთა 82%-ის აზრით, არსებობს გეგმა საგანგებო სიტუაციების დროს, რათა აფთიაქმა უზრუნველყოს წამლების სწრაფი მიღება მომწოდებლისგან. რესპოდენტთა 60%-მა აღნიშნა, რომ სისხლის მიწოდების სისტემა ბოლო 12 თვის მანძილზე არ გაუმჯობესდა.

ფატალური შემთხვევების მართვა. რესპოდენტთა 76%-ის აზრით, არსებობს მსხვერპლთა მართვის გეგმა. რესპოდენტთა 66%-ის აზრით, დაწესებულებაში არ არსებობს მაცივრები მსხვერპლთა განსათავსებლად. რესპოდენტთა 60%-ის აზრით, მორგის თანამშრომლები არ არიან დატრენინგებული. რესპოდენტთა 76.4%-ის აზრით, დაწესებულებას არ შეუძლია გამოყოს დამატებითი სათავსოები მასობრივი მსხვერპლის შემთხვევაში.

კომუნიკაცია, გაფრთხილება შეტყობინების სისტემა. კომუნიკაცია მნიშვნელოვანი კომპონენტია საგანგებო სიტუაციების დროს. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საავადმყოფოების უმრავლესობას (96%) აქვს საკომუნიკაციო სისტემა, შეუძლიათ მიიღონ და გაავრცეონ საგანგებო, გადაუდებელი გაფრთხილებისა და შეტყობინების ინფორმაცია. რესპოდენტთა 77.4 -მა აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეუძლია მიიღოს გაფრთხილება გარე სააგენტოებისგან გარდაუვალი საგანგებო მდგომარეობის შესახებ. გამოკითხულთა უმრავლესობამ (63.3.0%) აღნიშნა, რომ საავადმყოფოს გააჩნია სათანადო სისტემა (განახლებული საკონტაქტო ინფორმაცია) აცნობოს როგორც მორიგე, ასევე არამორიგე პერსონალს გადაუდებელი მდგომარეობის შესახებ და საგანგებო სიტუაციების დროს გამოიძახოს სამსახურში. ჩვენი შედეგები ეთანხმება სხვა კვლევებს (deBoisblanc, 2005), რომელთა მტკიცებით, გარე და შიდა საკომუნიკაციო სისტემების გამართული მუშაობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საგანგებო სიტუაციების დროს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პერსონალის კოორდინაცია სხვადასხვა ჯანდაცვის დაწესებულებებთან, სამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

ჯანდაცვის დაწესებულებების შიდა ან გარე საკომუნიკაციო სისტემების დაზიანებამ ან გადატვირთულობამ შეიძლება გამოიწვიოს კომუნიკაციის გაუმართაობა. კომუნიკაციის დაკარგვა აშორებს საავადმყოფოს გარე სამყაროსგან, მათ შორის კატასტროფებზე რეაგირების სხვადასხვა სამსახურებისგან და კიდევ უფრო ართულებს საავადმყოფოს შესაძლებლობას მიიღოს შესაბამისი მხარდაჭერა. შიდა დონეზე კომუნიკაციის დაკარგვა უარყოფითად აისახება კატასტროფებზე რეაგირების კოორდინაციაზე, რადგან ცალკეული სამსახურები და ოპერატიული შტაბის წევრები ვერ ახერხებენ ინფორმაციის გაცვლას. კვლევები ადასტურებენ, რომ კატასტროფების დროს კომუნიკაციის დაზიანების თავიდან ასაცილებლად, ჯანდაცვის დაწესებულებებს უნდა ჰქონდეთ ეფექტური ინტერდისციპლინური გეგმა (Rabkin, 2005).

საგანგებო სიტუაციების დროს ინფორმაციის მართვის ინტეგრაციას დიდი მნიშვნელობა აქვს პაციენტებისთვის და საავადმყოფოს მუშაობის კოორდინაციისთვის, მონაცემთა შენახვის, მართვისა და ანგარიშებისთვის. ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი (IT) მნიშვნელოვან როლს ასრულებს საინფორმაციო სისტემის კარგად ფუნქციონირებისა და პაციენტების ზუსტი ჩანაწერების შენახვაში. პაციენტებზე ზუსტი და სათანადო ჩანაწერების შენარჩუნება მნიშვნელოვანია საგანგებო სიტუაციებამდე, მისი დადგომისას და მის შემდეგ, რადგან შეიძლება იყოს პაციენტები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუდმივად იღებენ მედიკამენტებს და რომლებსაც სჭირდებათ მათი მიღება კატასტროფების დროს.

ჯანდაცვის სისტემის მზადყოფნის დასადაგენად გამოვთვალეთ მზადყოფნის საშუალო ქულა კომპონენტების მიხედვით საავადმყოფოებში. ყველაზე მაღალი დადებითი პასუხების საშუალო პროცენტული მაჩვენებელი 80,50% დაფიქსირდა ტრიაჟის სისტემაში, რასაც მოჰყვება კომუნიკაცია, გაფრთხილება, შეტობინების კომპონენტი 77.26%-ით, სააფთიაქო მომსახურება 76,77% და ლაბორატორიული მომსახურება 72,58%. ყველაზე დაბალი მაჩვენებლები მიღებულია შემდეგ კომპონენტებში: ობიექტის მზადყოფნა და ტრენინგი – 28,18 %, სტრესის მართვა კრიტიკული ინციდენტების დროს – 36,24% და ფატალური შემთხვევების მართვა – 43,50%. დადებითი პასუხების საშუალო მაჩვენებელი არის 56,57%, რაც მიუთითებს ზომიერ მზადყოფნაზე კრიზისებსა და კატასტროფულ მოვლენებზე საავადმყოფოებში.

დასკვნა

კრიზისებისა და კატასტროფებისათვის ეფექტური მზადყოფნა უწყვეტი პროცესია, რომელზეც ზედამხედველობასა და მონიტორინგს მუდმივად უნდა ახორციელებდეს ჯანდაცვის სისტემა. კვლევამ აჩვენა კატასტროფებისადმი მზადყოფნის ზომიერი დონე. საავადმყოფოების ძლიერი მხარე გამოვლინდა ტრიაჟის სისტემაში, ასევე კომუნიკაციის, გაფრთხილებისა და შეტყობინების კომპონენტში, ხოლო სუსტი მხარეები გამოვლინდა სამედიცინო ორგანიზაციების მზადყოფნასა და ტრენინგის კომპონენტში, ასევე სტრესის მართვის კომპონენტში კრიტიკული სიტუაციების დროს.

კატასტროფებმა შესაძლოა გამოიწვიოს მოკლევადიანი შეფერხებები ოჯახში ან ან შეიძლება იყოს გრძელვადიანი და მკვეთრად შეცვალოს ოჯახის წევრების ცხოვრება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არის დანაკარგი. კატასტროფული მოვლენები იწვევს ფსიქოლოგიურ და სოციალურ შედეგებს, რაც აზიანებს დაზარალებული მოსახლეობის ფსიქიკურ ჯანმრთელობას და ფსიქოსოციალურ კეთილდღეობას. ამრიგად, დაზარალებულთა ტრავმების ნეგატიური შედეგების შესამცირებლად მნიშვნელოვანია საავადმყოფოებში ფსიქოლოგების და ფსიქიატრების ჩართვა.

კვლევამ აჩვენა სამედიცინო ორგანიზაციების ძალიან სუსტი მზადყოფნა და კატასტროფებისადმი პერსონალის მომზადების თვალსაზრისით ძალიან დაბალი მაჩვენებელი. ამ მხრივ, პერსონალის ტრენინგები და სამედიცინო ორგანიზაციის მზადყოფნა ყოველთვის უზრუნველყოფს უკეთეს შედეგს დაზარალებულთათვის.

კვლევამ აჩვენა საავადმყოფოებში კატასტროფებისადმი მზადყოფნის ზომიერი დონე. მიღებული დასკვნები ხელს შეუწყობს სამედიცინო ორგანიზაციების პერსონალის განათლების დონის ამაღლებას კრიზისული სიტუაციების და კატასტროფული მოვლენების ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად.

რეკომენდაციები

- აუცილებელია ფსიქოლოგების და ფსიქიატრების ჩართულობა ჰოსპიტალური სერვისების განვითარებას და არა მხოლოდ კატასტროფული მოვლენების დროს.
- სავალდებულოა გადაუდებელი სიტუაციების წვრთნებისა და ტრენინგების ჩატარება ჯანდაცვის სხვადასხვა მიმართულებებით, რაც მიზნად ისახავს პერსონალის ცოდნის ამაღლებას და მათი უნარების გაუმჯობესებას გადაუდებელი შემთხვევების უფრო ეფექტურად მართვაში.

- აუცილებელია საავადმყოფოების შესაძლებლობების გაზრდა დაზარალებული მოსახლეობის ეფექტური მართვის მიზნით, რათა უკეთ მოხდეს დიდი რაოდენობის კატასტროფული შემთხვევების მართვა.
- სავალდებულოა პირველადი ჯანდაცვის პერსონალის მომზადება და მათი ინტეგრირება საგანგებო სიტუაციების დაგეგმვაში, რათა მათ შეძლონ შედარებით მსუბუქი შემთხვევების მართვის საავადმყოფოების გადატვირთვის შესამცირებლად.
- აუცილებელია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის გაზიარება ყველა თანამშრომლისთვის და ამ მხრივ მათი ცნობიერების დონის ამაღლება.
- აუცილებელია საავადმყოფოებში კატასტროფებისადმი მზადყოფნის კომიტეტის არსებობა.
- აუცილებელია საავადმყოფოებში საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემის ჩამოყალიბება, რომელსაც უხელმძღვანელებს კვალიფიციური პერსონალი.

ლიტერატურა

1. Heidaranlu, E., Amiri, M., Salaree, M.M. et al. Audit of the functional preparedness of the selected military hospital in response to incidents and disasters: participatory action research. BMC Emerg Med 22, 168 (2022).
2. Toner E. Healthcare Preparedness: Saving Lives. Health Secur. 2017 Jan/Feb;15(1):8-11.
3. World Health Organization. Regional Office for Europe. (2011). Hospital emergency response checklist: an all-hazards tool for hospital administrators and emergency managers. World Health Organization. Regional Office for Europe.
4. Al Khalaileh. MA. (2012). Jordanian nurses' perceptions of their preparedness for disaster management. INTERNATIONAL EMERGENCY NURSING, 20(1), 14-23.
5. Al-Shareef. AS., A. L. (2016 წლის 14 DECEMBER). Evaluation of Hospitals' Disaster Preparedness Plans in the Holy City of Makkah (Mecca): A Cross-Sectional Observation Study. PREHOSPITAL AND DISASTER MEDICINE, 35(1), 33-45.
6. deBoisblanc, B. (. (2005 წლის 15 November). Black Hawk, please come down: Reflections on a hospital's struggle to survive in the wake of Hurricane Katrina. (172).
7. INSTITUTE OF MEDICINE OF THE NATIONAL ACADEMIES. (2007). Hospital-Based Emergency Care: At the Breaking Point. Disaster Preparedness. washington, USA: NATIONAL ACADEMIES PRESS. doi:10.17226/11621
8. Kaji, A. &. (2006). Hospital disaster preparedness in Los Angeles County. National library of medicine.
9. Luc, M., Greet, D., & Kurt, A. (2014). Belgian senior medical students and disaster medicine, a real disaster? European Journal of Emergency Medicine, 21(1), 77-78.
10. Paganini. M. (2016). Assessment of disaster preparedness among emergency departments in Italian hospitals: a cautious warning for disaster risk reduction and management capacity. Scandinavian Journal of Trauma, Resuscitation and Emergency Medicine, 24(101). doi:doi.org/10.1186/s13049-016-0292-6
11. Pan American Health Organization / World Health Organization. (2005).
12. WORLD HEALTH ORGANIZATION. (2011).

TITLE: HOSPITAL HEALTH CARE ANTI-CRISIS MANAGEMENT ISSUES IN GEORGIA

Tengiz Verulava

*School of Medicine and Healthcare Management,
Caucasus University*

Ketevan Omanadze

*Doctor of Business Administration,
Caucasus International University,
Faculty of Business and Technology*

Abstract

Due to its geographical location, the South Caucasus, particularly Georgia, has always been an object of special interest of dominant international actors. In the last 30 years of independence, Georgia has endured civil war and military conflicts with Russia (the Abkhazian-Samachablo conflict in the 1990s and the August 2008 war), resulting in a large number of casualties and health damage, as well as limited opportunities for both military forces and civilians. Based on the aforementioned, it is relevant to investigate the disaster preparedness of hospitals in Georgia. It should be emphasized that Georgia has not had any similar studies done. As part of the quantitative research method, a survey of 50 top managers of six medical institutions in the regions bordering the separatist regions of Georgia was conducted. The results indicated a moderate level of preparedness for emergencies. Hospital strengths were identified in the triage system, as well as the communication, warning, and notification component, while hospital weaknesses were identified in the medical organization's preparedness and training component, as well as the stress management component during critical situations. The study's findings revealed that hospitals have a moderate level of disaster preparedness. The received conclusions and recommendations will help to raise the level of education of medical organization staff in order to ensure effective management of crisis situations and catastrophic events. Special training is required to raise the awareness of hospital staff on the management of emergency situations.

Key words: *Anti-crisis management, Emergency disaster preparedness, Crisis situations, Healthcare System, Hospitals, Georgia*

უსაფრთხოების ეკონომიკური უზრუნველყოფის საბაზო კონცეფციების შესახებ

შოთა ვეშაპიძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ეს სტატია განიხილავს ეკონომიკური უსაფრთხოების ფუნდამენტურ კონცეფციებს, რომლებიც შემუშავებულია სამი მნიშვნელოვანი ეკონომისტის, ფრიდრიხ ლისტის, ჯონ მეინარდ კეინზის და ერნანდო დე სოტოს მიერ. ის იკვლევს მათ განსხვავებულ პერსპექტივებს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე, შეისწავლის მათ ისტორიულ კონტექსტს, თეორიებს და ეკონომიკის უფრო ფართო სფეროში შეტანილ წვლილს. სტატია ასევე აფასებს, თუ როგორ აგრძელებენ მათი იდეების ფორმირებას მიმდინარე ეკონომიკური პოლიტიკასა და პრაქტიკაში. კრიტიკული ლიტერატურის მიმოხილვის საშუალებით ნაშრომი ხაზს უსვამს მათი თეორიების შესაბამისობას თანამედროვე გლობალურ ეკონომიკურ სისტემებთან, რაც უზრუნველყოფს მათი ეკონომიკური უსაფრთხოების მოდელების შედარებით ანალიზს. სტატიის მიზანია შესთავაზოს უფრო ღრმა გაგება, თუ როგორ მოახდინეს ამ მოაზროვნებმა გავლენა ეკონომიკურ უსაფრთხოების დისკურსზე და როგორ შეიძლება მათი იდეების გამოყენება თანამედროვე ეკონომიკურ გამოწვევებში.

ამ სტატიის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მისი პოტენციალის შესახებ აცნობოს პოლიტიკის შემქმნელებს, ეკონომისტებს და ინსტიტუტებს, რომლებიც მუშაობენ გლობალური და ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებზე. ეკონომიკური უსაფრთხოების ფუნდამენტური თეორიების გააზრებით, პოლიტიკის შემქმნელებს შეუძლიათ შეიმუშაონ სტრატეგიები, რომლებიც აერთიანებს ისტორიულ პერსპექტივებს თანამედროვე გამოწვევებთან. გარდა ამისა, ეს კვლევა იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას სახელმწიფო ჩარევის (ინტერვენციის), ეკონომიკური პოლიტიკისა და საკუთრების უფლების როლზე ეკონომიკური სტაბილურობისა და ზრდის ხელშეწყობაში. კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას ეკონომიკური არასტაბილურობისა და გლობალური კრიზისების პირობებში ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ეფექტური ეკონომიკური სტრატეგიების შემუშავებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური უსაფრთხოება, ფრიდრიხ ლისტი, ჯონ მეინარდ კეინზი, ერნანდო დე სოტო, პროტექციონიზმი, მთავრობის ჩარევა, საკუთრების უფლებები, ფისკალური პოლიტიკა, არაფორმალური ეკონომიკა, სამართლებრივი ჩარჩო.

შესავალი

თითოეული ადამიანის, ან მთლიანად ერის სასიცოცხლო ძალა მრავალმხრივი კავშირებით არის განპირობებული. ეს მრავალფეროვანი კავშირები, შეიძლება მდინარის სახით წარმოვიდგინოთ. მისი დაყოფა, პირობითად ორ მთავარ ნაკადად შეიძლება. ერთი ნაკადი მატერიალური, ანუ ეკონომიკური, ხოლო მეორე, სულიერი მიმართულებაა. სახელმწიფოს წარმატების მიღწევა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ეს ორივე მიმართულება, ორი ფაქტორი, დაცული და განვითარებული იქნება. ქვეყნის ეკონომიკური განვითარება განპირობებულია „მდგრადი ეკონომიკისა და შეფარდებითი უპირატესობის ერთიანობის საყოველთაო კანონის“

მოქმედებით. ამ კანონის მოთხოვნის თანახმად, ოპტიმალური შედეგების მიღწევა შიდა და გარე სექტორების განუყოფელი ერთიანობით შეიძლება. ასე ვთქვათ, ეს ნიშნავს ქვეყნის დაცვას როგორც შიდა, ასევე გარე საფრთხეებისგან.

ეკონომიკური უსაფრთხოება რჩება ერების, ინდივიდებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ცენტრალურ საზრუნავად. ვინაიდან გლობალური ეკონომიკა ისეთი გამოწვევების წინაშე დგას, როგორიცაა პოლიტიკური არასტაბილურობა, ფინანსური კრიზისები და სწრაფი ტექნოლოგიური წინსვლა, ეკონომიკური უსაფრთხოების ძლიერი ზომების საჭიროება არასოდეს ყოფილა ასეთი კრიტიკული. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ფრიდრიხ ლისტის, ჯონ მეინარდ კეინზის და ერნანდო დე სოტოს ძესაბამისი კონცეფციები, რომელთა თეორიული საფუძვლების გაგება ეხმარება პოლიტიკოსებსა და მეცნიერებს ამ საკითხების ეფექტურად გადაჭრაში. მათი იდეები იძლევა ძირითად შეხედულებებს პროტექციონიზმის, მთავრობის ჩარევისა და საკუთრების უფლების როლზე ეკონომიკური სტაბილურობისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

ძირითადი ტექსტი

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვა კონცეფცია, წარმოდგება ლათინური conception-იდან და ქართულად ნიშნავს აღქმას, დამკვიდრებულ შეხედულებებს რეალობის გარკვეულ ფენომენებზე, მიდგომას ამ ფენომენების განხილვისას. უსაფრთხოების კონცეფცია: ეს არის შეხედულებების სისტემა უსაფრთხოების პრობლემის შესახებ, საქმიანობის სხვადასხვა ეტაპზე და დონეზე, ასევე ძირითადი პრინციპებზე, უსაფრთხოების რეალიზაციის ღონისძიებათა მიმართულებებსა და ეტაპებზე.

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ცნების საბაზო მიდგომები და მასთან ბრძოლის მეთოდები, განსაზღვრულია სხვადასხვა კონცეფციებით. მათგან აღსანიშნავია კამერალისტური, კეინზიანური და ადმინისტრაციული ბარიერებისგან დაცვის ინსტიტუციონალური კონცეფციები.

საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის კამერალისტური კონცეფცია XIX საუკუნის შუა ხანებიდან იღებს სათავეს. მისი ფუძემდებელი არის მე-19 საუკუნის გერმანელი ეკონომისტი, პუბლიცისტი და პოლიტიკოსი. ფრიდრიხ ლისტის კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის თითქმის ყველა წარმომადგენელმა ააგო თეორიები პიროვნების, სახელმწიფოს და ა.შ. შესახებ შეხედულებების ძირითადი იდეის საფუძველზე. ლიბერალური პარადიგმის (პარადიგმა – არის საკვანძო იდეა, რომელიც ემყარება კონცეფციის აგებას) განმარტებით, თითოეულ ინდივიდს აქვს საკუთარი ინტერესები და თვითონ შეუძლია მათი ეფექტურად დაცვა. საზოგადოება ამ რაკურსში გაანალიზებულია როგორც ინდივიდების ერთობლიობა, ხოლო საზოგადოებრივი ინტერესები – როგორც პირადი ინტერესების წარმოებულები. მათ მიაჩნდათ, რომ საუკეთესოა ის საზოგადოება, რომელიც ყველაზე მეტად აძლევს მოსახლეობას პირადი ინტერესების თავისუფალად რეალიზების საშუალებას. ხელისუფლება აუცილებელია მხოლოდ კონსტიტუციური უფლებების დასაცავად. იმის გამო, რომ არ არსებობს ობიექტური მეთოდები, რომლებიც საშუალებას იძლევა ადამიანებმა განისაზღვრონ თუ მათ რას მიაინჭონ უპირატესობა, თუ სახელდობრ რა უნდა გადაწყვიტონ მათ, რა არის სწორი, რა არ შეესაბამება სინამდვილეს, ამასთანავე, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი კეთილდღეობა.

ფრიდრიხ ლისტის დამსახურება არა იმდენად ეკონომიკური თეორიის განვითარებაშია, არამედ ეკონომიკური პოლიტიკის საკითხების დაფინებულ განვითარებაში, სახელმწიფოს აქტიური როლის დასაბუთებაში. მან აჩვენა პოლიტიკური ერთიანობისა და სახელმწიფო მმართველობის ერთიანობის გავლენა ეროვნული წარმოების ეკონომიკურ განვითარებაზე და ეროვნული სიმდიდრის გამრავლებაზე.

ფრიდრიხ ლისტის მიერ შემუშავებული ეროვნული ეკონომიკური ინტერესებისა და ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიას, რომელიც ფოკუსირებულია გლობალურ საფრთხეებზე, ეწოდა კამერალური კონცეფცია. უნდა აღინიშნოს, რომ F. List-ის ცნებამ ვერ გადალახა ადამ სმიტის იდეების პოპულარობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შესამჩნევი გავლენა იქონია პერიფერიულ ქვეყნებზე. ამ ქვეყნებისთვის აქტუალური იყო პროტექციონიზმის პოლიტიკა, ვინაიდან ეროვნული ეკონომიკური ინტერესები დაცული იყო უცხოური ბიზნესისგან, ზოგიერთი პერიფერიული ქვეყანა გახდა ეკონომიკური ლიდერი. **ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების კამერალისტური თეორიის მიხედვით, მიჩნეულია, რომ სამთავრობო ორგანოების მთავარი საქმეა უსაფრთხოების უზრუნველყოფა.**

ფრიდრიხ ლისტის კონცეფცია: ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ეროვნული ეკონომიკური განვითარების გზით. ფრიდრიხ ლისტი (1789-1846), გერმანელი ეკონომისტი, ყველაზე ცნობილია ეკონომიკური ნაციონალიზმის თეორიითა და ინდუსტრიალიზაციის კონტექსტში ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელობაზე ხაზგასმით. მის ყველაზე გავლენიან ნაშრომი „პოლიტიკური ეკონომიკის ეროვნული სისტემა“ (1841), იგი დაუპირისპირდა ადამ სმიტის და დევიდ რიკარდოს კლასიკურ ეკონომიკურ დოქტრინებს. ლისტის იდეები ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე ემყარებოდა მის რწმენას, რომ ერის ეკონომიკური სიძლიერე არის არა უბრალოდ თავისუფალი ვაჭრობის შედეგი, არამედ მხარდაჭერილი უნდა იყოს მთავრობის სტრატეგიული ჩარევით, სახელმწიფოებრივი განვითარებით და ყოვლისმომცველი პოლიტიკური სტრუქტურით.

ფრიდრიხ ლისტის ძირითადი იდეები: – ეკონომიკის ეროვნული სისტემა: ფრიდრიხ ლისტი ამტკიცებდა, რომ ერის ეკონომიკური უსაფრთხოება არ შეიძლება დაეყრდნოს მხოლოდ თავისუფალი ვაჭრობის და ჩაურევლობის პოლიტიკას. ამის ნაცვლად, ძლიერმა სახელმწიფომ უნდა წარმართოს ეკონომიკური განვითარება. ეს უნდა მოიცავდეს მრეწველობის ახალგაზრდა დარგების დაცვას ტარიფების მეშვეობით და სტრატეგიული სექტორების (როგორიცაა წარმოება) ხელშეწყობას, უცხო ქვეყნებზე დამოკიდებულების შესამცირებლად. – **მთავრობის როლი:** ლისტი მხარს უჭერდა სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას ეკონომიკაში ინფრასტრუქტურის ასაშენებლად, განათლების განვითარებისა და ტექნოლოგიური ინოვაციების გასაძლიერებლად. ის მიიჩნევდა, რომ ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობი გარემოს შექმნით, სახელმწიფოს შეუძლია უზრუნველყოს გრძელვადიანი ეკონომიკური უსაფრთხოება, საგარეო ბაზრებზე დამოკიდებულების შემცირებით. – **ეკონომიკური დამოუკიდებლობა.** ლისტმა ხაზი გაუსვა ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მნიშვნელობას. ის ამტკიცებდა, რომ ეკონომიკური განვითარება უზრუნველყოფილი უნდა იყოს არა მხოლოდ საბაზრო მექანიზმებით, არამედ ეკონომიკაში ხელისუფლების აქტიური ჩარევით. მისი აზრით, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება პირდაპირ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეუძლია მას თვითდახმარება და დამოუკიდებლობა გლობალურ ვაჭრობაში. – **ვაჭრობისა და ეროვნული ინტერესების ჰარმონიზაცია:** მიუხედავად იმისა, რომ ლისტი არ იყო წინააღმდეგი საერთაშორისო ვაჭრობისა, მას სჯეროდა, რომ სავაჭრო პოლიტიკა უნდა იყოს სტრუქტურირებული ისე, რომ მოემსახუროს ეროვნულ ინტერესებს. ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტირება შეიძლებოდა მხოლოდ იმით, რომ ქვეყნის მრეწველობა იქნებოდა ძლიერი და თვითკმარი. – **პროტექციონიზმი.** კლასიკური სკოლისგან განსხვავებით, ლისტი მხარს უჭერდა პროტექციონიზმს, თვლიდა, რომ ეკონომიკური უსაფრთხოებისა და ეროვნული ეკონომიკის ზრდის უზრუნველსაყოფად, აუცილებელი ზომების მიღება შიდა ბაზრის დასაცავად იაფი იმპორტირებული საქონლისგან, რამაც შეიძლება შეარყიოს ადგილობრივი მწარმოებლების განვითარება. – **ისტორიული მიდგომა ეკონომიკისადმი.** ლისტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქვეყნების ეკონომიკა სხვადასხვა გზით და სხვადასხვა პირობებში ვითარდება. ის იცავდა იმ აზრს, რომ თითოეულ ქვეყანას სჭირდება ეკონომიკური პოლიტიკის საკუთარი მოდელის შემუშავება მისი განვითარების დონისა და ისტორიული კონტექსტის მიხედვით.

არსებითად, ლისტის ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია ღრმად იყო გადაჯაჭვული ეროვნულ ავტონომიასთან. მან ხაზი გაუსვა ქვეყნის განვითარების ეტაპზე სამამულო დარგების მხარდაჭერას და მათი საგარეო კონკურენციისგან დაცვის მნიშვნელობას, რაც უზრუნველყოფს გრძელვადიან ეკონომიკურ სტაბილურობას.

ჯონ მეინარდ კეინზის შიდა მაკროეკონომიკური საფრთხეებისგან დაცვის კონცეფცია მე-20 საუკუნის მეორე მესამედიდან ჩამოყალიბდა. ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების კეინზიანურმა კონცეფციამ ჩაანაცვლა კამერალისტური კონცეფცია. ჯონ მეინარდ კეინზის კონცეფციის თანახმად, „ნაციონალური ეკონომიკის მთავარ საფრთხედ განიხილებოდა არა უცხოური საქონლის კონკურენცია, არამედ უმუშევრობა და ეკონომიკური დეპრესია“³. წარმოშობილ საფრთხეებთან გასამკლავებლად მთავრობას რეკომენდაცია მიეცა გაეტარებინა ეკონომიკის აქტიური რეგულირება კონკურენციის პირდაპირი ადმინისტრაციული კონტროლის გზით. ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ვერსიას, რომელიც ფოკუსირებულია ეროვნული ეკონომიკური ზრდის შიდა მაკროეკონომიკურ პირობებზე, უწოდებენ კეინზიანურ ვერსიას.

ჯონ მეინარდ კეინზის კონცეფცია: ეკონომიკური უსაფრთხოება სახელმწიფოს ჩარევისა და სრული დასაქმების გზით. ჯონ მეინარდ კეინზმა (1883-1946), ბრიტანელმა ეკონომისმა, რევოლუცია მოახდინა ეკონომიკურ აზროვნებაში თავისი იდეებით მთავრობის ჩარევის შესახებ, განსაკუთრებით ეკონომიკური ვარდნის დროს. მისმა თეორიებმა წარმოადგინა ახალი მიდგომა ეკონომიკური უსაფრთხოების მიმართ, რაც ხაზს უსვამს სახელმწიფოს როლს ერთობლივი მოთხოვნის, დასაქმებისა და ინფლაციის მართვაში. კეინზის თეორია ყველაზე თვალსაჩინოდაა ჩამოყალიბებული მის მთავარ ნაშრომში „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“ (1936), რომელშიც იგი ცდილობდა აეხსნა დიდი დეპრესიის მიზეზები და ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევის პოლიტიკა. ლისტისგან განსხვავებით, რომელიც ხაზს უსვამდა ეროვნულ პროტექციონიზმსა და ეკონომიკურ ავტონომიას, კეინზმა შემოგვთავაზა კონცეფცია, რომელიც ორიენტირებულია ეკონომიკაში მთავრობის აქტიურ ჩარევაზე, მისი სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

ჯონ მეინარდ კეინზის ძირითადი იდეები: – ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება. კეინზი თვლიდა, რომ ბაზარს ყოველთვის არ შეუძლია ეკონომიკის რეგულირება, განსაკუთრებით კრიზისის დროს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო უნდა ჩაერიოს ეკონომიკურ პროცესებში ერთობლივი მოთხოვნის რეგულირების, დასაქმების შენარჩუნების და დეპრესიების თავიდან ასაცილებლად. კლასიკური თეორიისგან განსხვავებით, რომელიც თვლიდა, რომ ბაზრებს შეუძლიათ თვითრეგულირება, კეინზი ამტკიცებდა, რომ ეკონომიკური კრიზისის პირობებში ბაზარს ყოველთვის არ შეუძლია ეკონომიკის წონასწორობის დაბრუნება. – **ერთობლივი მოთხოვნა და დასაქმება:** კეინზი ამტკიცებდა, რომ ინდივიდებისა და ერის ეკონომიკური უსაფრთხოება დამოკიდებულია სრული დასაქმებისა და სტაბილური შემოსავლის დონის შენარჩუნებაზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეკონომიკური რეცესიის დროს, კერძო სექტორის მოთხოვნა ხშირად მცირდება, რაც იწვევს უმუშევრობას და ეკონომიკურ არასტაბილურობას. ასეთ შემთხვევებში მან შესთავაზა მთავრობას ჩაერთოს სახელმწიფო ხარჯების გაზრდისა და მოთხოვნის სტიმულირებისთვის. – **მთავრობის ჩარევა:** კეინზმა უარყო კლასიკური რწმენა ბაზრების თვითკორექტირების ბუნების შესახებ. ის ამტკიცებდა, რომ ეკონომიკური ვარდნის პერიოდში მთავრობები აქტიურად უნდა ჩაერიონ მოთხოვნის გასაზრდელად ფისკალური პოლიტიკის საშუალებით, როგორცაა გაზრდილი სახელმწიფო ხარჯები და გადასახადების შემცირება, რც ხელს შეუწყობს უმუშევრობის შემცირებას და ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას. – **ერთობლივი მოთხოვნის პრობლემა.** კეინზმა წამოაყენა „ერთობლივი მოთხოვნის დეფიციტის“ კონცეფცია, რომელიც აცხადებს, რომ ეკონომიკური ვარდნის პერიოდებში შეიძლება იყოს სამომხმარებლო ხარჯებისა და ინვესტიციების ნაკლებობა, რაც გამოიწვევს უმუშევრობას და ეკონომიკურ

არასტაბილურობას. ამ პირობებში სახელმწიფომ უნდა მიიღოს აქტიური ზომები მოთხოვნის სტიმულირებისთვის, მაგალითად, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე სახელმწიფო ხარჯების გაზრდის გზით. – **ეკონომიკური უსაფრთხოება სრული დასაქმების უზრუნველყოფით.** კეინზი თვლიდა, რომ ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია დასაქმების მაღალი დონის შენარჩუნება, ასევე მასობრივი უმუშევრობის თავიდან აცილება, რამაც შეიძლება შეარყიოს სოციალური სტაბილურობა და ეკონომიკური განვითარება. – **ანტიკრიზისული ღონისძიებები.** დიდი დეპრესიის დროს, კეინზმა შემოგვთავაზა თეორია, რომელიც გახდა კონტრაციკლური პოლიტიკის საფუძველი: სახელმწიფო ხარჯების გაზრდა და გადასახადების შემცირება ეკონომიკური აქტივობის სტიმულირებისთვის. ეს მიდგომა უზრუნველყოფდა ეკონომიკურ უსაფრთხოებას კრიზისის დროს, რაც საშუალებას აძლევდა სახელმწიფოებს დაეძლიათ სირთულეები და აღედგინათ ეკონომიკა. – **სოციალური კეთილდღეობა და უსაფრთხოება:** კეინსი ასევე მხარს უჭერდა სოციალური უსაფრთხოების ბადეებს (ადამინის უსაფრთხოების სისტემებს) რათა უზრუნველყონ ინდივიდების ეკონომიკური უსაფრთხოება. ეს შეიძლება მოიცავდეს უმუშევრობის შეღავათებს, სოციალურ დაზღვევას და სახელმწიფო დახმარების სხვა ფორმებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს ხალხის ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილება, თუნდაც ეკონომიკური გაჭირვების დროს. – **მაკროეკონომიკური სტაბილურობა:** კეინზისთვის, ეკონომიკური უსაფრთხოება ეროვნულ დონეზე დამოკიდებული იყო ეკონომიკის სტაბილიზაციაზე კონტრაციკლური პოლიტიკის მეშვეობით. ეს გულისხმობდა მთავრობის ფისკალური და მონეტარული ინსტრუმენტების გამოყენებას ბიზნეს ციკლების შედეგების შესარბილებლად, იმის უზრუნველყოფას, რომ ეკონომიკა არ განიცდიდა ღრმა რეცესიას ან გადაჭარბებულ ინფლაციას.

კეინზის შეხედულება ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე ორიენტირებული იყო სრული დასაქმების, სოციალური კეთილდღეობისა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის იდეაზე. მას სჯეროდა, რომ სახელმწიფოს აქვს ცენტრალური როლი მოქალაქეთა კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად და ეკონომიკური უსაფრთხოების შენარჩუნებაში, როგორც კარგ, ასევე ცუდ დროს.

ადმინისტრაციული ბარიერებისგან დაცვის ინსტიტუციონალურმა კონცეფციამ, მე-20 საუკუნის ბოლოდან, 1980-იან წლებში დაიწყო პრიორიტეტული ეკონომიკური თეორიის როლის პრეტენზია. თანამედროვე ეკონომიკურ ლექსიკონში ნათქვამია: ინსტიტუციონალიზმი არის ეკონომიკური დოქტრინა, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ინსტიტუტების როლზე ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და წარმართვის სფეროში, მათ ეფექტურობასა და ზოგადად ეკონომიკურ საქმიანობაზე.

ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემების გაგებისას ინსტიტუციონალისტთა მიერ შემოთავაზებული ყველაზე მნიშვნელოვანი კონცეფცია უკავშირდება პერუელი ეკონომისტის ერნანდო დე სოტოს სახელს, ჩრდილოვანი ეკონომიკის პრობლემების სპეციალისტს. ე. დე სოტოს მონოგრაფიამ, რომელიც გამოქვეყნდა 1989 წელს, მოახდინა რევოლუცია მკვლევართა შეხედულებებში ჩრდილოვანი ეკონომიკის როლისა და მნიშვნელობის შესახებ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში.

ე. დე სოტოს მთავარი მეცნიერული აღმოჩენა არის ფუნდამენტურად ახალი მიდგომა ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდის მიზეზების ასახსნელად. მისი აზრით, ურბანული არაფორმალური სექტორის ზრდის მთავარი მიზეზი არის არა ღარიბებისა და მიგრანტების ჩამორჩენილობა და კრიმინალურობა, რომლებიც თითქოსდა ვერ პოულობენ ადგილს ლეგალურ სექტორში, არამედ ბიუროკრატიული გადაჭარბებული ორგანიზაცია, რომელიც აფერხებს კონკურენტული ურთიერთობების თავისუფალ განვითარებას.

მასობრივი ჩრდილოვანი ეკონომიკური აქტივობის მთავარ მიზეზად, ე. დე სოტოს აზრით, უნდა ჩაითვალოს არაეფექტური სამართლებრივი რეჟიმი, როდესაც „კომპანიის კეთილდღეობა ნაკლებადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად კარგად მუშაობს იგი და უფრო მეტად

დამოკიდებულია ხარჯებზე, რომელსაც მას კანონი აკიერებს. მეწარმე, რომელიც უკეთ ახერხებს ამ ხარჯების ან ოფიციალურ პირებთან კავშირების მანიპულირებას, უფრო წარმატებულია, ვიდრე ის, ვინც მხოლოდ წარმოებითაა დაკავებული. ამრიგად, ეროვნული ეკონომიკის მთავარ საფრთხეს წარმოადგენს არა „ბაზრის წარუმატებლობა“, არამედ „სახელმწიფო მარცხი.“

ერნანდო დე სოტოს კონცეფცია: საკუთრების უფლებებისა და არაფორმალური ეკონომიკის ინტეგრაციის მნიშვნელობაზე ეკონომიკური განვითარებისა და უსაფრთხოების ხელშეწყობაში. ერნანდო დე სოტო, პერუელი ეკონომისტი, ცნობილია თავისი მუშაობით საკუთრების უფლებებისა და არაფორმალური ეკონომიკის მნიშვნელობაზე ეკონომიკური განვითარებისა და უსაფრთხოების ხელშეწყობაში. დე სოტოს ყველაზე ცნობილი ნიგნი, „**კაპიტალის საიდუმლო. რატომ ყვავის კაპიტალიზმი დასავლეთში და რატომ განიცდის მარცხს მსოფლიოს დანარჩენ რეგიონებში**“ (2000), იკვლევს, როგორ აფერხებს განვითარებად ქვეყნებში საკუთრების უფლების არარსებობა ეკონომიკურ ზრდას და უსაფრთხოებას. ის ამტკიცებს, რომ საკუთრების უფლებების სამართლებრივი აღიარება ეკონომიკური უსაფრთხოების ფუნდამენტური ასპექტია, როგორც ცალკეული პირებისთვის, ასევე ერებისთვის.

ერნანდო დე სოტოს ძირითადი იდეები: – საკუთრების უფლებები და ეკონომიკური უსაფრთხოება: დე სოტოს ეკონომიკური უსაფრთხოების თეორია აგებულია იმ იდეის ირგვლივ, რომ დაცული საკუთრების უფლებები გადამწყვეტია სიმდიდრის შესაქმნელად და ინდივიდების ეკონომიკაში სრულფასოვანი მონაწილეობის მისაღებად. ის ამტკიცებდა, რომ ბევრ განვითარებად ქვეყანაში ადამიანები ფლობენ აქტივებს, როგორიცაა მიწა ან ბიზნესი, მაგრამ ეს აქტივები იურიდიულად არ არის აღიარებული. შედეგად, ისინი ვერ გამოიყენებენ მათ, როგორც სესხებს და მათი ეკონომიკური ზრდის პოტენციალი შეფერხებულია. – **არაფორმალური ეკონომიკა:** დე სოტომ ხაზი გაუსვა არაფორმალური ეკონომიკის მნიშვნელობას განვითარებად ქვეყნებში. ბევრ განვითარებად ქვეყანაში მოსახლეობის დიდი ნაწილი მუშაობს ფორმალური სამართლებრივი სისტემის მიღმა. კანონიერი უფლებებისა და დაცვის ხელმისაწვდომობის ეს ნაკლებობა ამ პირებს ეკონომიკურად დაუცველს ხდის. დე სოტო ამტკიცებდა, რომ არაფორმალური ეკონომიკის ფორმალურ სისტემაში ინტეგრირება საკუთრების უფლებების აღიარებით, ადამიანებს საშუალებას მისცემს გამოიყენონ თავიანთი აქტივები ეკონომიკური განვითარებისთვის. – **კაპიტალის ფორმირება და ეკონომიკური ზრდა:** დე სოტოს ნაშრომი ვარაუდობს, რომ საკუთრების უფლებები არ არის მხოლოდ ინდივიდუალური საზრუნავი, არამედ ეროვნული საკითხიცაა. როდესაც ქვეყნის მოქალაქეებს აქვთ წვდომა დაცულ საკუთრების უფლებებზე, მათ შეუძლიათ ჩაერთონ სამეწარმეო საქმიანობაში, შექმნან კაპიტალი და ინვესტიცია განახორციელონ თავიანთ მომავალში. ეს, თავის მხრივ, იწვევს უფრო დიდ ეკონომიკურ უსაფრთხოებას ეროვნულ დონეზე. – **ინკლუზიური კაპიტალიზმი:** დე სოტოს იდეები ეწინააღმდეგება კაპიტალიზმის ტრადიციულ დასავლურ მოდელს და ამტკიცებს, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ქვეყნები აღიარებენ არა მხოლოდ მდიდარი ელიტის, არამედ ყველა მოქალაქის საკუთრების უფლებებს. საკუთრების უფლებების ფორმალიზაციით ქვეყნებს შეუძლიათ გახსნან თავიანთი ეკონომიკის პოტენციალი, ხელი შეუწყონ მეწარმეობას და შეამცირონ უთანასწორობა.

ერნანდო დე სოტოს შეხედულება ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე ხაზს უსვამს საკანონმდებლო ჩარჩოებისა და საკუთრების უფლების მნიშვნელობას, რათა ინდივიდებმა შეძლონ სიმდიდრის დაგროვება და საბაზრო ეკონომიკაში სრული მონაწილეობა. ეს მიდგომა ხაზს უსვამს ინსტიტუტების როლს ეკონომიკური სტაბილურობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფაში.

მიმდინარე გლობალური პროცესების დაჩქარებამ დაბალანაზღაურებადი მუშახელის, გარემოს დაბინძურების, ნახშირორჟანგის გამოფრქვევის ზრდის პრობლემები გაამწვავა. [3]. ეკონომიკური პოლიტიკის სამყაროში გაჩნდა ახალი პარადიგმა ეკონომიკის სწავლებასა და

თავად ეკონომიკაში. მისი მიდგომის მთავარი პრიორიტეტი ის არის, რომ დაუყოვნებლივ განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა უთანასწორობა და კლიმატის ცვლილებები. ეკონომიკის სტანდარტული ორიენტირები იცვლება უფრო რეალისტური და სასარგებლო ალტერნატიული ორიენტირებით. [18].

დასკვნა

ეკონომიკური უსაფრთხოება არის მრავალმხრივი კონცეფცია, რომელიც დროთა განმავლობაში განვითარდა და ჩამოყალიბდა სხვადასხვა ეკონომიკური მოაზროვნეების მიერ. ფრიდრიხ ლისტმა, ჯონ მეინარდ კეინსმა და ერნანდო დე სოტომ, თითოეულმა შეიტანა უნიკალური წვლილი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მიაღწიოთ ეკონომიკურ უსაფრთხოებას, თუმცა მათ ყურადღება გაამახვილეს ეკონომიკის სხვადასხვა ასპექტზე: – **ფრიდრიხ ლისტმა** ხაზი გაუსვა ეროვნული ეკონომიკური განვითარებისა და სახელმწიფო ჩარევის მნიშვნელობას ინდუსტრიალიზაციის ხელშეწყობისა და საგარეო ბაზრებზე დამოკიდებულების შესამცირებლად. – **ჯონ მეინარდ კეინსმა** ხაზი გაუსვა მთავრობის ჩარევის როლს სრული დასაქმებისა და ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებაში, განსაკუთრებით ეკონომიკური ვარდნის პერიოდში. – **ერნანდო დე სოტომ** ყურადღება გაამახვილა საკუთრების უფლებების მნიშვნელობაზე და არაფორმალური ეკონომიკის ფორმალიზებაზე განვითარებად ქვეყნებში სიმდიდრის შექმნისა და ეკონომიკური ზრდის პოტენციალის გასახსნელად.

ამრიგად, საფრთხეებს თითოეული ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების სფეროში შეიძლება ქმნიდნენ უცხოელი კონკურენტები (**ფრიდრიხ ლისტის** მიხედვით), „ბაზრის წარუმატებლობა“ (**ჯონ მეინარდ კეინსის** მიხედვით) და „სახელმწიფო წარუმატებლობა“ (**ერნანდო დე სოტოს** მიხედვით). ეს მოაზროვნეები ერთად გვთავაზობენ კომპლექსურ საფუძველს ეკონომიკური უსაფრთხოების გასაგებად, ხაზს უსვამენ სახელმწიფო ჩარევის, ინსტიტუციური ჩარჩოებისა და საკუთრების უფლებების როლს გრძელვადიანი სტაბილურობისა და აღმავლობის (აყვავების) უზრუნველსაყოფად.

დღეს აღინული თეორიები მნიშვნელოვან საფუძველს ქმნიან, რომლებიც ახდენენ გავლენას როგორც ეკონომიკის სწავლების პროცესზე, ისე ეკონომიკური სისტემის სტრუქტურაზე. ამ მიდგომის ძირითადი მიზანია, სწრაფად მიაქციოს ყურადღება ისეთ საკითხებს, როგორიცაა სოციალური უთანასწორობა და კლიმატის ცვლილება, რაც ტრადიციული ეკონომიკური სტანდარტების ცვლილებასთანაა დაკავშირებული და უფრო რეალისტური და სასარგებლო ალტერნატიული ფასეულობების განვითარებას უწყობს ხელს.

ლიტერატურა

1. ბედიანაშვილი გ., კობრიძე გ., მიქელაძე ნ. (2024). გლობალური მდგრადი კონკურენტუნარიანობის და ეკონომიკური უსაფრთხოების ეკონომიკური პოლიტიკა: მაკროასპექტი. VI ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის მასალები (ISBN 978-99940-52-18-9): „მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაცია და ეკონომიკური უსაფრთხოება: საქართველოს ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები“. ანსუ, ქუთაისი, 67-82. https://www.researchgate.net/publication/384690885_globaluri_mdgradi_konkurentunarianobis_da_ekonomikuri_usaprtkhoebis_ekonomikuri_politika_makroaspekti_Economic_Policy_for_Global_Sustainable_Competitiveness_and_Economic_Security_A_Macro_Aspect
2. კეინსი ჯ. (1995). დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია / თარგმნა რამაზ ნამიჭიშვილმა; [რედ.: ელგუჯა თავბერიძე]. ქუთაისი : ს/ს „სტამბა“

3. კრუგმანი პ., ობსტფელდი მ., მელიტცი მ. (2017). საერთაშორისო ეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა. ქართული გამოცემის სამეცნიერო და მთავარი რედაქტორი აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე. თბილისი.
4. სილაგაძე ა. ეკონომიკური დოქტრინები, საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბილისი, 2010.
5. აშშ კონსტიტუცია : კომპრომისის ხელოვნება ანუ მართულთა მმართველობა / სამეცნიერო რედაქტორი: მინდია უგრეხელიძე ; მთარგმნელები: მინდია უგრეხელიძე; ვიქტორ ყიფიანი. გამომცემლობა „ჯისიაი“. თბილისი, 1997.
6. Bank, O. A. (2020). Economic security of the individual in the system of economic security of the state. *Russian Journal of Management*, 8(2), 106-110.
7. Bedianashvili, G. (2024). GLOBAL SUSTAINABLE COMPETITIVENESS IN THE CONTEXT OF ECONOMIC SECURITY. Materials: of III INTERNATIONAL SCIENTIFIC AND PRACTICAL CONFERENCE: "TRENDS AND PROSPECTS OF MANAGEMENT DEVELOPMENT IN THE CONDITIONS OF GLOBAL CHALLENGES". Kherson state Agrarian and Economic University (Ukraine). https://www.researchgate.net/publication/-382660713_GLOBAL_SUSTAINABLE_COMPETITIVENESS_IN_THE_CONTEXT_OF_ECONOMIC_SECURITY
8. Bedianashvili, G., & Kokhreidze, G. (2023). Public debt and foreign direct investment in small countries in the context of economic growth. *Sociālo Zinātņu Vēstnesis*, (1), 7-28.7.
9. Blaug, M. (1997). *Economic theory in retrospect*. Cambridge university press.
10. Blinichkina, N. J (2014). Issues of Formation of the Idea of Economic Security in Economic Science. *Bulletin of the Tajik State University of Law, Business and Politics. Series of Humanities*, (4 (60)), 69-79.
11. Kurz H. (2017). *Economic Thought A Brief History*. Translated by Jeremiah Riemer Columbia University Press. <https://cup.columbia.edu/book/economic-thought/9780231172585>
12. List F. (1909). *The National System of Political Economy [1841]. The National System of Political Economy by Friedrich List*, trans. Sampson S. Lloyd, with an Introduction by J. Shield Nicholson (London: Longmans, Green and Co.,1909).
13. Otinashvili, R., Veshapidze, S., & Zoidze, G. (2021). IMPACT OF ECONOMIC CRIME ON THE SUSTAINABLE DEVELOPMENT OF THE STATE. *Three Seas Economic Journal* 4 (1), 10-17 31.
14. Papava, V. (2018). The Economics in Crisis and the Main Directions for Transformation of Economic Science. *Transformations*, 3-4(98-99), 90-108
15. Papava, V. (2021). On Pseudo De-Globalization, Silk Road Of Global Value Chains And Role Of Georgia – OpEd. <https://www.eurasiareview.com/18102021-on-pseudode-globalization-silk-road-of-global-value-chains-and-role-of-georgia-oped/>.
16. Papava, V. (2022). Pandemic, War and Economic Sanctions: From Turbulent to Confrontational Globalization. *Eurasia Review*, May 23, <https://www.eurasiareview.com/23052022-pandemic-war-and-economicsanctions-from-turbulent-to-confrontational-globalization-oped/>.
17. Papava, V. (2022b). On Sanctionomics. *Eurasia Review*, March 14. Available at: <https://www.eurasiareview.com/-14032022-on-sanctionomics-oped>.
18. Rodrik, D. (2021). *Beware Economists Bearing Policy Paradigms*. Project Syndicate.
19. Silagadze, A., Atanelishvili, T., & Silagadze, N. (2022). Covid Depression and Search for a New Paradigm. *Bull. Georg. Natl. Acad. Sci*, 16(1).
20. Veshapidze, S. (2023). Modern priorities of ensuring foreign economic security of Georgia.
21. Veshapidze, S., & Karchava, L. (2022). Contradictions of Globalization under the COVID-19 Pandemic. *Bull. Georg. Natl. Acad. Sci*, 16(4), 152-157.
22. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2022). On State Intervention in the Economy through the Budget in Georgia. *World economy and international economic relations. -International Scientific Collection*, 5.
23. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2022). Value Choices of the Community in the Context of the COVID-19 Pandemic. DOI: <https://doi.org/10.5281/zenodo.6373197>.

24. Zoidze, G., & Veshapidze, S. (2022). Transformation of economic policy priorities under COVID-19. *Three Seas Economic Journal*, 3(2), 35-43. **23.**
25. Эрнандо де Сото. (1995). Иной путь. Невидимая революция в третьем мире. М. : Перевод издательства "Catallaxy".

ON THE BASIC CONCEPTS OF ECONOMIC SECURITY ASSURANCE

Shota Veshapidze

*Doctor of Economic Sciences, Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

Abstract

This article delves into the fundamental concepts of economic security as developed by three significant economists: Friedrich List, John Maynard Keynes, and Hernando de Soto. It explores their varying perspectives on economic security, examining their historical context, theories, and contributions to the broader field of economics. The article also evaluates how their ideas continue to shape current economic policies and practices. Through a critical literature review, the paper highlights the relevance of their theories to modern global economic systems, providing a comparative analysis of their economic security models. The goal is to offer a deeper understanding of how these thinkers have influenced economic security discourse and how their ideas can be applied in contemporary economic challenges.

The practical significance of this article lies in its potential to inform policymakers, economists, and institutions working on global and national economic security issues. By understanding the foundational theories of economic security, policymakers can develop strategies that integrate historical perspectives with contemporary challenges. Additionally, this study provides valuable insights into the role of state intervention, economic policies, and property rights in promoting economic stability and growth.

Keywords: *Economic Security, Friedrich List, John Maynard Keynes, Hernando de Soto, Protectionism, Government Intervention, Property Rights, Economic Independence, National Security, Fiscal Policy, Informal Economy, Legal Framework.*

სიცოცხლის დაზღვევის თავისებურებები საქართველოში

ნატო კაკაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
ასოცირებული პროფესორი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Nato.kakashvili@tsu.ge

ხათუნა ბარბაქაძე

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
ასოცირებული პროფესორი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
Khatuna.barbakadze@tsu.ge

ნათია კახნიაშვილი

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ასისტენტ პროფესორი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
Natia.kakhniashvili@tsu.ge

ანოტაცია

ნებისმიერი ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მოსახლეობის სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვა. სიცოცხლის დაზღვევის ფინანსური მხარდაჭერა და მისი განვითარება სახელმწიფოს პრიორიტეტული ამოცანაა, რადგან ადამიანის სიცოცხლე წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის ყველაზე მნიშვნელოვან ფასეულ რესურსს. აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოში სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის მდგომარეობის შესწავლა და მისი განვითარების გზების განსაზღვრა მეტად აქტუალური და საინტერესოა.

სიცოცხლის დაზღვევის თვალსაზრისით, საზოგადოება განიცდის ინფორმაციის ნაკლებობას ამდენად საჭიროა მომხმარებელზე ორიენტირებული სადაზღვევო სისტემა, რომელიც უპირველეს ყოვლისა გულისხმობს სიცოცხლის დაზღვევის მომსახურების ფასების რეგულირებას და მოსახლეობაზე მორგებას.

საკვანძო სიტყვები: დაზღვევა; სიცოცხლის დაზღვევა; სადაზღვევო თანხა; სადაზღვევო რისკი; სიცოცხლის რისკობრივი დაზღვევა; სიცოცხლის დაგროვებით დაზღვევა; შერეული სიცოცხლის დაზღვევა.

შესავალი

უმეტეს ქვეყანაში სიცოცხლის დაზღვევა არის საკმაოდ გავრცელებული სადაზღვევო პროდუქტი. საქართველოში აღნიშნული სადაზღვევო პროდუქტი ასოცირდება მდიდარი ადამიანების მისაღებ პროდუქტად, თუმცა სიცოცხლის დაზღვევა ნებისმიერი ადამიანისთვის არის შესაძლებელი მისთვის ხელმისაწვდომ ფასად. სადაზღვევო კომპანიის მიერ რისკების დაფარვა დამოკიდებულია სადაზღვევო ხელშეკრულებაზე და სადაზღვევო პოლისზე. დაზღვეული პირის გარდაცვალების დროს, სიცოცხლის დაზღვევა ფინანსურად უზრუნველყოფს დაზღვეულის ოჯახს ან მის მემკვიდრეებს. მსოფლიოში სიცოცხლის დაზღვევის სახეობები არის

გრძელვადიანი. საქართველოში კი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის მოკლევადიანი დაზღვევა დაზღვევის ერთ პოლისშია გაერთიანებული.

ძირითადი ნაწილი

სიცოცხლის დაზღვევისას დაზღვეული ან მოსარგებლე ღებულობს სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრულ თანხას. დაზღვეულის სიკვდილი ან უბედური შემთხვევა დაკავშირებულია კონკრეტულ პიროვნებასთან, ამდენად, სიცოცხლის დაზღვევა მიეკუთვნება პირადი დაზღვევის ერთ-ერთ სახეობას.

სიცოცხლის დაზღვევის ობიექტია- ადამიანის სიცოცხლე, სადაზღვევო რისკი კი დაზღვეულის სიცოცხლის ვადიანობა. დაზღვევის რისკში შედის არა სიკვდილი, არამედ მისი დადგომის დრო და გარკვეულ ასაკამდე მიღწევა.

სიცოცხლის დაზღვევის სახეებია: რისკობრივი დაზღვევა; დაგროვებითი დაზღვევა; სიცოცხლის შერეული დაზღვევა.

სიცოცხლის დაზღვევის თითოეულ სახეობას აქვს შესაბამისი თავისებურებები, რადგან ისინი იცვლებიან სიტუაციებიდან გამომდინარე. საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე მოქმედი სადაზღვევო კომპანიები ფლობენ ლიცენზიას არასიცოცხლის და სიცოცხლის დაზღვევის მიმართულებით. სადაზღვევო კომპანიებიდან სიცოცხლის დაზღვევაში ყველაზე წარმატებული და მოზიდული პრემიით ბოლო წლებში ლიდერობენ სადაზღვევო კომპანიები – თიბისი, ალდაგი და იმედი L.

სადაზღვევო კომპანია თიბისი დაზღვევის მიერ სიცოცხლის დაზღვევაში მოზიდულმა პრემიამ შეადგინა 31.2 მილიონი ლარი. თიბისი მომხმარებელს სთავაზობს სესხზე მიბმულ სიცოცხლის სავალდებულო დაზღვევას. ამ პაკეტის შეძენის შემთხვევაში, მომხმარებელს გადაეცემა დაზღვევის დამადასტურებელი პოლისი, რომელშიც მითითებული პირობები, სესხის ხელშეკრულების პირობებთან ერთად წარმოადგენს დაზღვევის ერთიან ხელშეკრულებას. თიბისის სადაზღვევო დაფარვა მოქმედებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მაქსიმალური სადაზღვევო თანხაა 500 000 აშშ დოლარი (ექვივალენტი ლარში ან ევროში). სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, მიუხედავად დარჩენილი საკრედიტო დავალიანებისა, გადაჭარბებულ თანხას მზღვეველი არ ანაზღაურებს. მძიმე დაავადების აღმოჩენიდან ოთხმოცდათი დღის შემდეგ მზღვეველი აანაზღაურებს სადაზღვევო ხელშეკრულებაში მითითებულ თანხას. სადაზღვევო პოლისის ღირებულება დამოკიდებულია სადაზღვევო ლიმიტსა ადამიანის ასაკზე (18-61 წელი). სიცოცხლის დაზღვევაში მოზიდული პრემიით (17.4 მლნ. ლარი, რაც მთლიანი წილის 29%-ს შეადგენს) გამორჩეულია სადაზღვევო კომპანია ალდაგი, აღნიშნული დაზღვევა გულისხმობს ოჯახის მატერიალურ უზრუნველყოფას და სადაზღვევო ლიმიტის სრულად გადაცემას ადამიანის გარდაცვალების შემდეგ. დაზღვეულის მოსარგებლე პირი თანხას მოითხოვს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში. თანხის გადაცემა მოხდება, მხოლოდ დაზღვეულის მიერ წინასწარ გაფორმებული ხელშეკრულების დროს დასახელებული სანდო პირზე. პროდუქტი უზრუნველყოფს კრიტიკული დაავადების გამოვლენის შემთხვევაში ერთიანი თანხის გაცემას. გრძელვადიანი პოლისის შემთხვევაში, სიცოცხლის და კრიტიკული დაავადებების დაზღვევის დროს მომხმარებელი იხდის ფიქსირებულ თანხას, მიუხედავად ასაკის ცვლილებისა. ხოლო არასრულწლოვანი შვილების დაზღვევა შეუძლიათ უფასოდ სიცოცხლის და კრიტიკული დაავადებების დაზღვევის შემთხვევაში. ინდივიდუალურ და კორპორატიულ მომხმარებელს ჯანმრთელობისა და სამოგზაურო დაზღვევის მომსახურეობას სთავაზობს სადაზღვევო კომპანია იმედი L, მათ შორის სიცოცხლის დაზღვევას უბედური შემთხვევისაგან. სადაზღვევო პოლისის ღირებულება შეადგენს თვეში 12 ლარს.

2021 წელს სიცოცხლის დაზღვევაში მოზიდული პრემია იყო 60 მილიონი ლარი, რაც 9,6 მილიონი ლარით მეტია 2020 წელთან შედარებით. სიცოცხლის დაზღვევაში მოზიდული პრემიით გამორჩეული სადაზღვევო კომპანიებია: თიბისი -31,2 მლნ ლარი; ალდაგი-17,4 მლნ ლარი; იმედი L-5,3 მლნ ლარი; ჯიპიაი-2,7 მლნ ლარი; არდი-1 მლნ ლარი (<http://insurance.gov.ge>).

სიცოცხლის დაზღვევის მაჩვენებლები გაზრდილია 2023 წლის ცხრა თვის მონაცემებით, აღნიშნულ პერიოდში მოზიდულმა პრემიამ სიცოცხლის დაზღვევაში სადაზღვევო კომპანიების მიხედვით შეადგინა: თიბისი -31.7 მლნ.ლარი; ალდაგი -20.9 მლნ.ლარი; იმედი L-6.4 მლნ.ლარი; ჯიპიაი -2.7 მლნ.ლარი; ირაო -3 მლნ.ლარი და სხვა – 3 მლნ.ლარი (www.businessinsider.ge 06.12.2023)

დასკვნა

ეკონომიკის სტაბილურობის მნიშვნელოვან გარანტს სრულყოფილი სადაზღვევო სისტემა წარმოადგენს, რაც მნიშვნელოვანია ეკონომიკის აღორძინების, კაპიტალის დაბანდების და ინვესტიციების მოზიდვაში. მზარდი ტენდენციის მიუხედავად სადაზღვევო კომპანიებისთვის სიცოცხლის დაზღვევა საკმაოდ აუთვისებელია სიცოცხლის დაზღვევის დარგის განვითარებას აფერხებს მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა; უნდობლობა და ნაკლებად ინფორმირება სადაზღვევო კომპანიების მიმართ; სადაზღვევო პაკეტების სიმწირე; სიღარიბისა და უმუშევრობის მაღალი დონე და სხვა.

აღნიშნულის გადასაჭრელად პირველ რიგში აუცილებელია მოსახლეობის ინფორმირება სიცოცხლის სადაზღვევო პაკეტების შესახებ, მოქალაქეებმა გაიგონ თუ რამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნული სფერო ადამიანის ცხოვრებაში. სიცოცხლის დაზღვევის მეშვეობით მნიშვნელოვნად შემცირდება მომხმარებლის პორობლემები სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას.

ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ, თბ., 1997
2. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური <http://insurance.gov.ge>, თბ.,2024
3. ნ.კაკაშვილი (2023) სიცოცხლის სადაზღვევო პაკეტები დაზღვევაში. ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი. ტომი XI. #2
4. ნ. კაკაშვილი, ხ.ბარბაქაძე (2021) სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის განვითარების პერსპექტივები საქართველოში. ჟურნალი ახალი ეკონომისტი. საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ყოველკვარტალური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №3-4 (62-63) ტ. 16, გამომცემლობა „ლოი“. გვ. 33-41
5. ნ.კაკაშვილი, ნ.კახნიაშვილი (2019) ინოვაციური სადაზღვევო პროდუქტების გაყიდვის მეთოდები ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი „ეკონომიკა და ფინანსები“ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მეცნიერება პრაქტიკისა და განვითარებისთვის“ UDC (უაკ) 050:[33+336] ISSN-2587-5000. გვ. 134-141, ბაქო, აზერბაიჯანი
6. www.aldagibci.ge – სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“
7. www.gpih.ge – სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი“
8. www.insurance.org.ge – საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია
9. matsne.gov.ge საქართველოს საკანონმდებლო მაცნე

PECULIARITIES OF LIFE INSURANCE IN GEORGIA

NatoKakashvili

Candidate of Economic Scien

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Associate Professor

Nato.kakashvili@tsu.ge

Khatuna Barbakadze

Candidate of Economic Sciences

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Associate Professor

Khatuna.barakadze@tsu.ge

Natia Kakhniashvili

Doctor of Business Administration

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

assistant professor

Natia.kakhniashvili@tsu.ge

Annotation

One of the important issues of any country is the protection of life and health of the population. Financial support of life insurance and its development is a priority task of the state, because human life is the most important valuable resource of the country's economy.

Based on the above, studying the state of the life insurance market in Georgia and determining the ways of its development is very relevant and interesting.

From the point of view of life insurance, society suffers from a lack of information, thus a customer-oriented insurance system is needed, which primarily involves regulating the prices of life insurance services and adjusting them to the population.

Keywords: *insurance; life insurance; insurance amount; insurance risk; life risk insurance; life insurance with accumulation; Mixed life insurance.*

ცირკულარული ეკონომიკის ინდიკატორების გამოყენების თავისებურებები საქართველოში

ნაზირა კაკულია

ასოცირებული პროფესორი

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ანოტაცია

მოცემულ კვლევაში გავაანალიზეთ ცირკულარული ეკონომიკის ფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები. შეიძლება ითქვას რომ „მწვანე ეკონომიკის“ ფორმირება კაცობრიობისთვის 21-ე საუკუნის უმთავრესი ამოცანაა. ამ მიმართულებით საერთაშორისო ორგანიზაციების და ცალკეული ქვეყნების დონეზე არსებობს მნიშვნელოვანი პოლიტიკური მხარდაჭერა.

კვლევის ფარგლებში გაკეთებულ მნიშვნელოვან დასკვნებს წარმოადგენს ის, რომ ეკონომიკის განვითარების გარემოსადმი მდგრადობა განვითარებადი ქვეყნებისთვის უფრო მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, ვინაიდან განვითარებადი ქვეყნებში ამ მიმართულებით შესაბამისი ინსტიტუციური ბაზა სრულფასოვნად ჩამოყალიბებული არაა. ამ კუთხით მნიშვნელოვანი პრობლემები შეინიშნება საქართველოში რაც გამოხატულია GGE და EP ინდექსების მიხედვით შეფასებულ საქართველოს პოზიციაში მსოფლიოს ქვეყნებს შორის.

საკვანძო სიტყვები: ცირკულარული ეკონომიკა, მწვანე ეკონომიკა, გარემოსდაცვითი ინდექსები

თანამედროვე სამყარო მთელი რიგი ეკოლოგიური გამოწვევების წინაშე დგას, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ეკოსისტემებს, ბიომრავალფეროვნებას და ადამიანის კეთილდღეობას. ხსენებული გამოწვევები ხშირად ურთიერთკავშირშია და მათ ეფექტიანად გადასაჭრელად აუცილებელია გლობალური თანამშრომლობა. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე ძირითადი გარემოსდაცვითი გამოწვევა:

კლიმატის ცვლილება – ადამიანთა საქმიანობა, როგორცაა წიაღისეული საწვავის წვა ტყეების განადგურება და ა.შ. ხელს უწყობს ატმოსფეროში სათბურის გაზების დაგროვებას. ყოველივე იწვევს გლობალურ დათბობას, კლიმატის ცვლილებას და მასთან დაკავშირებულ შედეგებს, როგორცაა უჩვეულო ამინდი, ზღვის დონის აწევა და ეკოსისტემების დარღვევა.

ბიომრავალფეროვნების შემცირება – ბუნების განადგურება, დაბინძურება, კლიმატის ცვლილება და სახეობების გადაჭარბებული ექსპლუატაცია ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნების დაკარგვას. სახეობების გადაშენება არღვევს ეკოსისტემებს, ასუსტებს მათ მდგრადობას, ყოველივეს კი შეიძლება ჰქონდეს კასკადური ეფექტი ადამიანთა მოდგმაზე.

გარემოს დაბინძურება – ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურება სამრეწველო საქმიანობით, სასოფლო-სამეურნეო ჩამონადენი და ნარჩენების არასათანადო განთავსება მძიმე შედეგებს იწვევს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ველურ ბუნებაზე და ეკოსისტემებზე.

წყლის დეფიციტი – წყალზე მოთხოვნილების ზრდა, წყლის გამოყენების არამდგრადი პრაქტიკასთან და კლიმატის ცვლილებასთან ერთად, ხელს უწყობს წყლის დეფიციტს სხვადასხვა რეგიონში. ეს საფრთხეს უქმნის სოფლის მეურნეობას, მრეწველობას და პირველ რიგში ადამიანებს, რომელთაც სასმელი წყალი არასაკმარისი რაოდენობით მოეპოვებათ.

ნარჩენების მართვა – ნარჩენების არასათანადო განთავსება, მათ შორის პლასტმასის ნარჩენები და ელექტრონული ნარჩენები, ხელს უწყობს გარემოს დაბინძურებას და ქმნის გლობალურ გამოწვევას (კაკულია, ნ. 2023).

ყოველივე არასრული ჩამონათვალია, რომელთა მოგვარება, მოითხოვს ყოვლისმომცველ და ინტეგრირებულ მიდგომას, რომელიც მოიცავს მდგრადი განვითარების პრაქტიკას, კონსერვაციის ძალისხმევას, პოლიტიკის ინტერვენციებს და გლობალურ თანამშრომლობას. ისეთი ინიციატივები, როგორიცაა მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) მიზნად ისახავს კოლექტიური ძალისხმევის წარმართვას უფრო მდგრადი და ჯანსაღი მომავლისკენ.

მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის აუცილებლობა რეალურად მაშინ დადგა, როდესაც კაცობრიობის მოხმარება მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამ ყველაფრის ფუნდამენტად შეგვიძლია მოსახლეობის უპრეცედენტო ზრდის ტემპი მივიჩნიოთ, რასაც წარსულში ადგილი არ ჰქონია. კაცობრიობის ისტორიის უმეტესი ნაწილის განმავლობაში, გლობალური მოსახლეობა დღევანდელი მნიშვნელობის მცირე ნაწილს წარმოადგენდა, ხოლო ბოლო საუკუნეების განმავლობაში ყოველივე რადიკალურად შეიცვალა, 1804 წელს პირველად გადააჭარბა ადამიანთა პოპულაციამ 1 მილიარდს, ამჟამინდელი მონაცემებით კი ადამიანთა რიცხოვნობა 8 მილიარდს აჭარბებს (კაკულია, ნ., & არლუთაშვილი, ვ. 2021).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მე-20 საუკუნის შუა რიცხვებში დაფიქსირებული ზრდის შემდეგ, მოსახლეობის რაოდენობის მატებამ მკვეთრი შენელება დაიწყო. გაეროს ინფორმაციით, მსოფლიოს მოსახლეობის კიდევ ერთი მილიარდით, ცხრა მილიარდამდე ზრდას, შესაძლოა, ამჯერად 15 წელი დასჭირდეს. თუმცა ორგანიზაციის მოლოდინებით, 2080 წლამდე, მსოფლიოს 10-მილიარდიანი მოსახლეობა არ ეყოლება.

მოსახლეობის მკვეთრი ზრდის ერთ-ერთ ფუნდამენტურ მიზეზად შეგვიძლია მივიჩნიოთ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, რომლის ერთ-ერთი მთავარი საზომი ქვეყნის შემოსავლის დონე გახლავთ. მოდით ყურადღება გავამახვილოთ მთლიან სამამულო პროდუქტზე (GDP), რომელიც კონკრეტულ ქვეყანაში წლის განმავლობაში წარმოებული ყველა საქონლისა და მომსახურების ღირებულების საზომია. GDP შეიძლება გამოვთვალოთ, როგორც გამოშვების ღირებულება, რომელიც წარმოებულია ქვეყანაში, ან ეკვივალენტურად, როგორც მთლიანი შემოსავალი ხელფასის, რენტის, პროცენტების და მოგების სახით, რომელიც გამომუშავებულია ქვეყანაში. ასე რომ, GDP ცნობილია, როგორც გამოშვება ან ეროვნული შემოსავალი (კაკულია, ნ., & ტყემალაძე, ი. 2024).

მოსახლეობის ზრდის ტემპისა და მათი შემოსავლის მკვეთრ ზრდაზე დაყრდნობით შეგვიძლია ავხსნათ თუ რატომ იზრდებოდა რესურსებზე მოთხოვნა და შესაბამისად მათი გამოყენება გასული საუკუნის განმავლობაში. ვინაიდან ჩვენს რეალობაში რესურსები შეზღუდული რაოდენობით გვხვდება ყოველივემ შექმნა მათი ჩანაცვლების, აღდგენის, განახლების და რაციონალურად გამოყენების აუცილებლობა და შესაბამისად კაცობრიობას დაანახა ცირკულარული ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების დანერგვის აუცილებლობა.

მწვანე ეკონომიკის გამოწვევები რთული და მრავალმხრივია, ისინი სხვადასხვა გზით გახლავთ შესწავლილი თანამედროვე ლიტერატურაში. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ლიტერატურაში კონკრეტული პერსპექტივები და თემები განსხვავებულად არის წარმოჩინებული, მათ მაინც გააჩნიათ საერთო გამოწვევათა ნაკრები, რომელზეც ერთი მოსაზრება გააჩნიათ. ხსენებული გამოწვევებიდან შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგნი:

- სახელმწიფო პოლიტიკა და მარეგულირებელი ბარიერები – სხვადასხვა ლიტერატურა ხშირად უსვამს ხაზს გამოწვევებს, რომლებიც დაკავშირებულია ეფექტური რეგულაციების შემუშავებასა და განხორციელებასთან, რომელიც აუცილებელია მწვანე პოლიტიკის გატარებისათვის;

- ტექნოლოგიური შეზღუდვები – ამ ასპექტში ყურადღება გამახვილებულია მწვანე ტექნოლოგიათა შეზღუდულ რაოდენობაზე. განახლებადი ენერგიის წყაროების მასშტაბურობის გასაზრდელად და წიაღისეული საწვავიდან ალტერნატიულ წყაროზე გადასასვლელად აუცილებელია მწვანე ტექნოლოგიებში უწყვეტი ინოვაციების გატარება;
- ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობა – ამ შემთხვევაში მეცნიერები ყურადღებას ამახვილებენ ტრადიციულიდან მწვანე ეკონომიკაზე გადასვლისას წარმოშობილ გამოწვევებზე. ყოველივე მოიცავს განახლებადი ენერგიის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ ხარჯებს, სამუშაო ადგილების პოტენციურ დაკარგვას ტრადიციულ ინდუსტრიებში დასაქმებული მუშახელისათვის და ასევე ეკონომიკურ უთანასწორობას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას გარდამავალ პერიოდში;
- გლობალური თანამშრომლობა და უთანასწორობა – უამრავი მკვლევარი იკვლევს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გამოწვევების გლობალურ ხასიათსა და საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებლობაზე. ყოველივეში იგულისხმება გარემოსდაცვითი რესურსების არათანაბარი განაწილება და განვითარებულ თუ განვითარებადი ქვეყნების როლი მწვანე ეკონომიკაზე გადასვლაში.
 - მომხმარებელთა ქცევა და ინფორმირებულობა – ზოგიერთი ლიტერატურა ფოკუსირებულია მომხმარებელთა ქცევის შეცვლაზე, რაც გულისხმობს მოხმარებისთვის მდგრადი ფორმის მიცემას.
 - ცვლილებათა მიმართ წინააღმდეგობა – წინააღმდეგობა შეიძლება განვიხილოთ როგორც ინდივიდუალურ, ისე ინსტიტუციურ დონეზე. ყოველივე შეიძლება მოიცავდეს წინააღმდეგობას მდგრადი პრაქტიკის მიღებაზე, სტატუს კვოში არსებული ინტერესების მქონე ინდუსტრიების წინააღმდეგობას და ასევე მწვანე პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ გამოწვევებს.
 - რესურსების სიმცირე და კონკურენცია – ხსენებულ გამოწვევაში იგულისხმება შესაძლო კონფლიქტები, რომელიც წარმოიქმნება მწირი რესურსების გამო შექმნილი კონკურენციის შედეგად. იგი შეიძლება მოიცავდეს დისკუსიებს წყლის დეფიციტზე, მინათსარგებლობის კონფლიქტებზე, მწვანე ტექნოლოგიებსა და რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფის გეოპოლიტიკურ შედეგებზე და ა.შ.
 - განათლება და ცნობიერება – ბევრი მეცნიერი უსვამს ხაზს განათლებისა და ინფორმირებულობის მნიშვნელობას მდგრადი პრაქტიკის ხელშეწყობაში. ეს შეიძლება მოიცავდეს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და დეზინფორმაციის დაძლევას მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის საკითხებში.
 - ფსიქოლოგიური ბარიერები – ყველაფერთან ერთად მნიშვნელოვანია მწვანე ეკონომიკის ათვისების ფსიქოლოგიური ასპექტები, როგორიცაა აპათიის ან სასონარკვეთის დაძლევა საზოგადოებაში. არსებული ლიტერატურა შეიძლება ჩაუღრმავდეს ემოციურ და გონებრივ გამოწვევებს, რომლებიც დაკავშირებულია გარემოსდაცვითი საკითხების აუცილებლობის აღიარებასთან და მის გადანეშვებასთან.

გაუთვალისწინებელი შედეგები – ხსენებულ გამოწვევაში იგულისხმება პოტენციური არასასურველი შედეგები, როგორიცაა ზოგიერთი განახლებადი ტექნოლოგიების გარემოზე ზემოქმედება, ან კონკრეტული პოლიტიკის გადანეშვებების სოციალური და ეკონომიკური შედეგები.

ზემოხსენებული საკითხები გახლავთ იმ შეზღუდვათა ნაწილი, რომელიც ახლავს მწვანე ეკონომიკაზე გადასვლასა და მდგრადი პოლიტიკის გატარებას, ხსენებული გამოწვევების შესწავლა და გადაჭრა მოითხოვს მთავრობების, ბიზნესის, სამოქალაქო საზოგადოებისა და ცალკეული პირების კოორდინირებულ ძალისხმევას. ამ დაბრკოლებების გადალახვა გადამწყვეტია მდგრადი და მწვანე ეკონომიკის ასაშენებლად.

მდგრადი დაფინანსების გზამკვლევი, რომელიც საქართველოსთვის 2019 წელს გახლავთ შემუშავებული, აერთიანებს ყველა შესაძლო ღონისძიებასა თუ აქტივობას, რომელთა პრაქტიკაში დანერგვა დაგეგმილია ეროვნული ბანკის მიერ მდგრადი დაფინანსების მიმართულებით შემდეგი რამდენიმე წლის განმავლობაში.

საქართველოს ეროვნული ბანკი მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს განვითარებას და გზამკვლევაში წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის შესრულებას აქტიურად ახორციელებს. 2022-2023 წლებში განხორციელებული აქტივობები და სხვა მიმდინარე პროექტებიდან შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგნი:

- დაფინანსებული ემისიების ინსტრუმენტის შემუშავება – ეროვნულმა ბანკმა, ფონდ შპარკასე საქართველოსთან (DSIK) თანამშრომლობით, საქართველოს საფინანსო სექტორისთვის დაფინანსებული ემისიების გამოთვლისა და ანგარიშგების მეთოდოლოგია და ინსტრუმენტი შეიმუშავა, რომელიც 2023 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა. ფინანსური ინსტიტუტების წარმომადგენლებისთვის ასევე ჩატარდა სემინარი დაფინანსებული ემისიების გამოთვლის მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტის გამოყენების შესახებ. დაფინანსებული ემისიების ინსტრუმენტი განკუთვნილია კომერციული ბანკების დაკრედიტების პროცესში დაფინანსებული ემისიების გამოთვლისთვის. ამ ინსტრუმენტის მუშაობის პრინციპი ეფუძნება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს, კერძოდ, PCAF-ის (The Partnership for Carbon Accounting Financials) მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას;

- ბიომრავალფეროვნების კარგვასთან დაკავშირებული ფინანსური რისკების შესახებ ნაშრომის გამოქვეყნება – 2023 წლის აგვისტოში ეროვნულმა ბანკმა კვლევითი ნაშრომი გამოაქვეყნა სახელწოდებით „ბიომრავალფეროვნების კარგვასთან დაკავშირებული ფინანსური რისკების შეფასება საქართველოს ფინანსური სექტორის მაგალითზე“, რომელსაც მიზანიც გახლავთ ფინანსურ სტაბილურობასა და ბიომრავალფეროვნების კარგვას შორის კავშირების ანალიზი. ნაშრომი იკვლევს, როგორ გავლენას ახდენს ბიომრავალფეროვნების კარგვა ფინანსურ სტაბილურობაზე და აფასებს ამ რისკებს. ასევე, ნაშრომში წარმოდგენილია რაოდენობრივი შეფასება, თუ როგორ არის საქართველოს ფინანსური სისტემა დამოკიდებული ეკოსისტემურ სერვისებზე და რა ზემოქმედება აქვს ამ დამოკიდებულებას;

- ESG საკითხების სახელმძღვანელოს შემუშავება – მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს ფარგლებში, რომელიც მდგრადი დაფინანსების გზამკვლევაში არის წარმოდგენილი, ეროვნულმა ბანკმა ESG საკითხების სახელმძღვანელოს (ESG Guidelines) შემუშავება დაიწყო. ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკებისთვის უკვე დაწესებული აქვს ESG საკითხებთან დაკავშირებული მოთხოვნები „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსით“. ESG საკითხების სახელმძღვანელო, რომელიც განკუთვნილია კომერციული ბანკებისთვის, ადგენს სტანდარტებსა და პრინციპებს, რომლებიც ბანკებმა უნდა დაიცვან, რათა:

1. სათანადოდ შეაფასონ და მართონ ESG საკითხებთან დაკავშირებული რისკები.
2. პასუხისმგებლიანი საბანკო სექტორის განვითარებას შეუწყონ ხელი მდგრადი ფინანსური პროდუქტების შექმნის გზით.
3. უზრუნველყონ მარეგულირებელ პოლიტიკასთან შესაბამისობა და გაზარდონ გამჭვირვალობა ESG საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ანგარიშგებით.

კლიმატთან დაკავშირებული სცენარების ანალიზის ჩატარება საქართველოს ფინანსური სექტორისთვის – ეროვნული ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) ფინანსური მხარდაჭერითა და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, მუშაობს კლიმატის სცენარების ანალიზის ჩარჩოს შექმნაზე. საქართველოსთვის კლიმატის სცენარების შემუშავებისას, ეროვნული ბანკი გამოიყენებს NGFS-ის კლიმატის სცენარებს.

GSS+ ობლიგაციების ჩარჩოს შემუშავება – მდგრადი დაფინანსების გზამკვლევის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ეროვნული ბანკი მუშაობს მწვანე, სოციალური, მდგრადი და მდგრად-

დობასთან დაკავშირებული (GSS+) ობლიგაციების რეგულაციების შემუშავებაზე. ეს ჩარჩო და შესაბამისი რეგულაციები განსაზღვრავს GSS+ ობლიგაციების მინიჭების, შენარჩუნებისა და გაუქმების პირობებს, ასევე ანგარიშგების მოთხოვნებს.

ცნობიერების ამაღლების აქტივობები – ეროვნული ბანკი, მწვანე ზრდის ფონდთან (GGF) და Finance in Motion-თან თანამშრომლობით, მოკლემეტრაჟიანი საინფორმაციო ვიდეოების სერიის შექმნაზე მუშაობს. აღნიშნული ინიციატივა მდგრადი დაფინანსების, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისა და მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას ისახავს მიზნად

მწვანე დაფინანსების კონფერენციის ორგანიზება- 2023 წლის თებერვალში, ეროვნული ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა (EBRD) და საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) ორგანიზებით კონფერენცია „მწვანე დაფინანსება მდგრადი განვითარებისთვის“ გაიმართა (საქართველოს ეროვნული ბანკი, მდგრადი დაფინანსება საქართველოში, 2023).

ის პროექტები და ინიციატივები, რომლებსაც აქვს ადგილი ქვეყანაში ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასა და დაცვას, განახლებადი ენერგიის გამოყენებას, მდგრადი ურბანული განვითარებისა და ნარჩენების მართვის დანერგვას და ოზონდამშლელი ნივთიერებების გამოყენების შემცირებას. კლიმატის ცვლილების შერბილება და მის შედეგებთან ადაპტაცია ამ საქმიანობის საკვანძო შინაარსია. ქვეყანა მხარს უჭერს მდგრადი კლიმატური პოლიტიკის შექმნასა და გატარებას და ხელს უწყობს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს კონვენციისა და პარიზის შეთანხმების ფარგლებში.

გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პროექტებიდან შეგვიძლია გამოვარჩიოთ შემდეგი:

პროექტი "ECO.Georgia" მიზნად ისახავს საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის მხარდაჭერას. მისი მთავარი მიზანია საქართველოს მთავრობის დახმარება ტრანსფორმაციული სატყეო რეფორმის დღის წესრიგის განხორციელებაში, რათა ქვეყნის მასშტაბით ტყეები მდგრადი მართვის (SFM) ჩარჩოში მოექცეს.

საქართველოს სახიფათო ნარჩენების მართვის პროექტი – ინვესტიცია. ხსენებული პროექტი მიზნად ისახავს ისეთი ნარჩენების მართვის სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც არ დააზიანებს გარემოს და შექმნის სუფთა და უსაფრთხო საცხოვრებელ პირობებს. ამ პროექტის ფარგლებში მოხდება სახიფათო ნარჩენების შეგროვება, დამუშავება და გამოყოფა, რომელიც შეესაბამება ევრო სტანდარტებს. მთავარი ამოცანაა ნარჩენების მართვის ეკოლოგიურად უსაფრთხო მეთოდების დანერგვა, რაც გარემოს დაბინძურების რისკს მინიმუმამდე შეამცირებს და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვას უზრუნველყოფს.

საქართველოს ენერგეტიკის, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტროები ნორვეგიის წყლის რესურსებისა და ენერგეტიკის დირექტორატთან (NVE) თანამშრომლობენ შემდეგ სფეროებში: განახლებადი ენერგია, ჰიდროენერგია, ჰიდროლოგია და კლიმატი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ UNEP პროგრამის ფარგლებში 2008 წელს შეიმუშავა მეთოდოლოგია, რომელიც „მწვანე ეკონომიკის“ ფორმირების კუთხით მიღწეული პროგრესის გაზომვას ემსახურება. აღნიშნული მეთოდოლოგია 2014 წელს გამოცემული იქნა სახელმძღვანელოს სახით თუმცა რიგი ნაკლოვანებების გამო აღნიშნული მეთოდოლოგია არ იქნა აღიარებული საერთაშორისო დონეზე (EaP GREEN, 2016).

გლობალური მწვანე ზრდის ინსტიტუტს (GGGI) ასევე შემუშავებული აქვს ცალკეულ ინდიკატორთა ჯგუფი რომელიც განვითარებად ქვეყნებს ეხმარება „მწვანე ზრდის“ სტრატეგიების შემუშავებასა და დანერგვაში. აღნიშნულ ინდიკატორები დაყოფილია სამ ჯგუფად (EaP GREEN, 2016):

1. დიაგნოსტიკის ინდიკატორები – აფასებს „მწვანე ზრდის“ კუთხით არსებულ სიტუაციას კონკრეტული პოლიტიკის გატარებამდე;
2. პოლიტიკის დაგეგმვის ინდიკატორები – ეხმარება „მწვანე ზრდის“ მიმართულებით კონკრეტული პოლიტიკის დანერგვის სტრატეგიის შემუშავებას;

3. გაზომვისა და შეფასების ინდიკატორთა ჯგუფი – კონკრეტული პოლიტიკის გატარების შედეგად მიღწეულ შედეგებს აფასებს.

როგორც ზემოთ ვნახეთ, დღესდღეისობით ქვეყნის ეკონომიკის გარემოსადმი მდგრადი განვითარების ხარისხის შესაფასებლად სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულია სხვადასხვა ინდიკატორთა ჯგუფები. გარდა აღნიშნული ინდიკატორთა ჯგუფებისა, გლობალურ დონეზე არსებული სიტუაციის ანალიზისა და შეფასებისთვის ფართოდ გამოიყენება EP (Environmental Performance index) და GGE ინდექსი (Kakulia,N.& Kelikhashvili,L. 2024)

EP ინდექსი იწარმოება იელის უნივერსიტეტის მიერ და რიცხობრივად აფასებს სახელმწიფოში არსებულ გარემოს მდგომარეობას რომელიც შესაბამისი პოლიტიკითაა მიღწეული და 2018 წლისთვის იგი შეფასებულია 180 ქვეყნისთვის. აღნიშნული ინდექსი პირველად 2002 წელს გამოქვეყნდა საპილოტედ და 2005 წლიდან ჩაანაცვლა გარემოს მდგრადობის ინდექსი. ინდექსის დათვლის პროცესში გამოიყენება სხვადასხვა ინდიკატორები, რომლებიც 2018 წელს გაერთიანებული იყო ორ ჯგუფში. კერძოდ:

1. გარემოს სიჯანსაღე (Environmental health) – 40%-იანი წონით

2. ეკოსისტემის სიცოცხლისუნარიანობა (Ecosystem vitality) – 60%-იანი წონით

რაც შეეხება GGE ინდექსს, იგი იწარმოება Dualcitizeninc-ის მიერ (www.dualcitizeninc.com) 2010 წლიდან და აფასებს ქვეყნის ეკონომიკის „სიმწვანის“ არსებულ მდგომარეობას და მის ხელშემწყობ ეკონომიკური პოლიტიკის „სიმწვანეზე“ ორიენტაციის ხარისხს. ინდექსის შეფასება ხდება ინდიკატორთა ოთხ ჯგუფზე დაყრდნობით (GGEI, 2016), კერძოდ:

1. ლიდერობა და კლიმატის ცვლილება – პოლიტიკურ ლიდერებს გააჩნიათ კრიტიკული როლი „მწვანე ეკონომიკის“ ფორმირების და „მწვანე ზრდის“ თვალსაზრისით ინიციატივის გამოსატყვის კუთხით; „მწვანე ინვესტიციებისა“ და მთლიანად გარემოსადმი მდგრადი ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვის თვალსაზრისით.

2. სექტორების ეფექტიანობა – ეკონომიკური სექტორების ეფექტიანობა და გარემოსადმი მდგრადობა, რაც უმთავრესად მოიცავს სამშენებლო, სატრანსპორტო და ენერგიის მწარმოებელ სექტორებს.

3. ბაზრები და ინვესტიციები – „მწვანე ეკონომიკის“ ფორმირება მნიშვნელოვნადაა და მოკიდებული საჯარო და კერძო თანამშრომლობაზე, ასევე ქვეყნის ლიდერების მხრიდან სწორი ფისკალური პოლიტიკის გატარებაზე რაც უზრუნველყოფს „მწვანე ეკონომიკის“ ფორმირების ტემპების დაჩქარებას.

4. გარემოს მდგომარეობა – აღნიშნული მაჩვენებელი მთლიანად ეფუძნება EP ინდექსს.ინდექსი გარემოს მდგომარეობის შეფასების პარამეტრად იყენებს EP ინდექსს (Dual Citizen,2018).

და ბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ მდგრადი განვითარება მოიცავს ეკონომიკური ზრდის ისეთ ფორმას, რომელიც საზოგადოების კეთილდღეობას განაპირობებს არა მხოლოდ მოკლე და საშუალო, არამედ გრძელვადიან პერიოდშიც. მისი პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ დღევანდელი მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს ისე, რომ არ დააზიანოს მომავალი თაობების შესაძლებლობა, დააკმაყოფილონ საკუთარი მოთხოვნილებები. ასეთი განვითარება გულისხმობს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის ისეთი პირობების შექმნას, სადაც გარემოს დაცვის საკითხები გათვალისწინებული იქნება მაქსიმალურად.

ლიტერატურა

1. ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა, 2019; https://www.economy.ge/uploads/-files/2017/energy/samoqmedo_gegma/2019_2020_clis_energoeffekturobis_samoqmedo_gegma.pdf;
2. საქართველოს ეროვნული ბანკი, მდგრადი დაფინანსება საქართველოში, 2023 [https://nbg.gov.ge/page/%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%92%E1%83%A0%";](https://nbg.gov.ge/page/%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%92%E1%83%A0%)
3. Department of Economic and Social Affairs – Statistics Division, 2023. <https://unstats.un.org/-UNSDWebsite>;
4. MacArthur Foundation 2022.
5. კაკულია, ნ. (2017). განახლებადი ენერგიის მოხმარებისა და მდგრადი განვითარების გამოწვევები საქართველოში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფერენციები. თბილისი.
6. კაკულია ნ., არღუთაშვილი ვ., (2021) მდგრადი განვითარება, თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკურეკოლოგიური გამოწვევები.თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. 34 ივლისი. თბილისი.
7. კაკულია ნ., ლაზარაშვილი თ., (2022) გარემოსადმი მდგრადობის ცალკეული საკითხები და სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანობა., აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი საერთაშორისო სამეცნიეროპრაქტიკულ კონფერენცია. 10 თებერვალი. ქუთაისი.
8. ხადური ნ. (2012). ქართული ეკონომიკური მოდელი და გლობალური ეკონომიკა. IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაცია და ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები“ კრებული. თბილისი.
9. ხადური ნ. (2010) ეკონომიკური ზრდა – რეალობა და პერსპექტივები“, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე. მასალების კრებული, თბ.,
10. ხადური ნ. (2009) „საქართველოს ეკონომიკის დერეგულირების მაკროეკონომიკური ასპექტები“, ჟ. ეკონომისტი, №1.,
11. კაკულია, ნ. & ტყემალაძე, ი. (2024). ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის გამოწვევები საქართველოში|Challenges of Transition to Circular Economy in Georgia. *ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია -„მწვანე ეკონომიკა და მდგრადი განვითარება*.
12. Department of Economic and Social Affairs – Statistics Division. (2023). Retrieved from UnitedNations:<https://unstats.un.org/sdgs/report/2023/goal11/#:~:text=Approximately%201.1%20billion%20people%20currently,public%20spaces%20persist%20in%20cities>;
13. Department of Economic and Social Affairs. (2022). Retrieved from United Nations: <https://population.un.org/wpp/>.
14. Chikobava, M., & Kakulia N. (2020) Monetary policy challenges of the post-pandemic period Journal of Economics and Business Issues; ., et al. Strategies of Socio-Economic Development and Mechanisms of Their Implementation in the Conditions of Economic Uncertainty and Globalization Changes. Kherson, Tbilisi.,
15. Chikobava M., Kakulia N., Lazarashvili T.(2022) About modern monetary theory. Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Economics and Business, Journal "Economics and Business", N3.
16. Nazira Kakulia, Lasha Kelikhashvili (2024)The Institutional Characteristics of Government Debt Management and Associated Challenges in Georgia. Vol. 4 No. 1 : Journal of Economics and Business Issues.

FEATURES OF THE USE OF CIRCULAR ECONOMY INDICATORS IN GEORGIA

Nazira Kakulia
Associate Professor
Tbilisi State University

Summary

In this study, we analyzed issues related to the formation of a circular economy. We can say that the formation of a “green economy” is the main task of the 21st century for humanity. In this regard, there is significant political support at the level of international organizations and individual countries.

Important results in the framework of the study are that the stability of the environmental development environment is a more important problem for developing countries compared to developed countries, as well as in developing countries, the corresponding institutional base in this direction is not fully formed. Significant problems in this regard were observed in Georgia, which are expressed in the GGG and EP indices between the countries of the world.

Key Words: Circular Economy, Green Economy, Environmental Indexes

WHICH FACTORS INFLUENCE THE ACCEPTANCE OF CUSTOMER REVIEWS? A CONSIDERATION OF INFORMATION DIAGNOSTICS, POSITIVE INFORMATIONAL SOCIAL INFLUENCE, PERCEIVED CREDIBILITY AND NEED FOR COGNITION

Giorgia Cannizzaro, M.A.

THWS Business School, Würzburg-Schweinfurt

Abstract

This study explores the impact of key factors on the acceptance of electronic word-of-mouth (eWOM) in the context of online customer reviews. The research focuses on information diagnosticity, positive social influence, perceived credibility, and the need for cognition (NFC) as the main factors influencing review acceptance. A controlled online experiment was conducted with 171 participants to evaluate how these variables affect the likelihood of accepting a recommendation. The findings show that information diagnosticity and social influence have a significant positive impact on review acceptance, while the role of credibility is more nuanced, depending on the participant's NFC level. Practical implications include how businesses can enhance the trustworthiness of online reviews and improve their digital marketing strategies to cater to different customer cognitive needs.

Keywords: *eWOM, information diagnosticity, credibility, social influence, need for cognition*

1. Introduction

In contrast to marketing messages, customer reviews are perceived as more realistic and personal (Bickart&Schindler, 2001). Studies indicate that personal communication is easier to relate to, making it more relevant (Bickart&Schindler, 2001). One reason for reading customer reviews is to reduce search time and effort in making purchasing decisions (Häubl&Murray, 2003). While research supports the influence of electronic word-of-mouth (eWOM) on purchasing decisions (Sénécal&Nantel, 2004; Huang&Chen, 2006; Park&Lee, 2008), whether users adopt these opinions depends on various factors, such as perceived credibility and the consumer's need for cognition (Amichai-Hamburger&Kaynar&Fine, 2007). Online consumers engage with information in different ways. Studies by McKnight and Kacmar (2006) show that the perceived credibility of information positively affects the likelihood of accepting it. This research focuses on understanding how variables like information diagnosticity, social influence, credibility, and need for cognition affect the acceptance of customer reviews, aiming to address gaps in prior studies, which have often treated these factors in isolation.

2. Literature Review

The concept of eWOM refers to any online communication, either positive or negative, about a product or service. Studies (Hennig-Thurau et al., 2004) have shown that eWOM impacts consumer behavior, as it serves as a credible source of information for potential customers.

To explore the factors influencing online recommendations on consumer decision-making, it is essential to examine the motivations that drive consumers to read reviews. Motivations significantly shape consumer behavior. Hennig-Thurau and Walsh (2004) highlight that various motivations for online reading can affect consumer actions, often resulting in changes to purchasing decisions after reviewing the feedback. This

analysis is based on research illustrating why individuals seek out customer contributions regarding products or services online. While multiple factors have been studied regarding the pursuit of eWOM content, only a few are particularly relevant to this research topic.

Purchasing a product often involves risk, which can lead to negative outcomes for buyers, such as financial loss or disappointment (Bohlmann, 2007). Reading customer reviews serves as a strategy for risk and loss minimization. Additionally, eWOM communication can help to reduce the search time and effort required for purchasing decisions. The internet provides an overwhelming amount of information, making it challenging for consumers to evaluate all available options (Häubl&Murray, 2003). eWOM offers an efficient means to gather relevant information, thereby decreasing the time investment required. Reviews also help mitigate cognitive dissonance, a state of mental imbalance that occurs when a consumer encounters conflicting information (Homburg, 2012). According to Festinger (1957), consumers strive for cognitive equilibrium; thus, they may selectively focus on positive reviews to maintain their favorable perception of a product. Burton and Khammash (2010) encapsulate the motivations of risk reduction, time efficiency, and cognitive dissonance minimization under the term ~Decision Involvement,~ emphasizing their significance in the decision-making process.

One of the most pervasive determinants of individual behavior is social influence, defined by Burnkrant and Cousineau (1975) as the alteration of personal attitudes, behaviors, or beliefs due to external pressure. Numerous studies in social psychology have investigated the impact of social influence on human behavior (Apanovitch&Hobfoll&Salovey, 2002). Solomon Asch (1955) was among the first researchers to explore how others' opinions affect our own judgments. His conformity experiments demonstrated that participants often aligned their responses with the majority, even when it was evidently incorrect. The larger the group, the greater the conformity, although there is a threshold beyond which additional group size does not significantly increase the pressure to conform.

In neuromarketing, aspects of social influence have also been studied. Burnkrant and Cousineau (1975) suggest that when consumers cannot adequately assess product attributes through direct observation, they rely on the opinions of others as evidence of a product's true nature. This reinforces the notion that social influence plays a central role in eWOM literature. Often referred to as persuasion, social influence in online contexts is described as the process of changing private attitudes or beliefs after receiving a message. Informational social influence occurs when users read the experiences of previous consumers to decide whether to purchase a new product, thus reinforcing their trust in the product.

Smith, Menon, and Sivakumar (2005) note that many consumers read and adopt opinions to effectively manage the vast amount of information available during online searches. Peer recommendations serve as important decision-making aids. Social influence is not only a factor affecting purchase decisions but also a reason for reading online reviews. This connection between decision involvement and social influence highlights how both elements motivate consumers to seek out online reviews and influence their purchasing behavior.

Reasons for Reading Online Reviews	Minimize Purchase Risk	Minimize Time Costs	Minimize Cognitive Dissonance	Social Influence
Authors				
Bagozzi/Dholakia (2002)				x
Bailey (2013)			x	x
Burton/Khammash (2010)	x	x	x	

Cheung/Lee/Rabjohn (2008)				x
Goldsmith/Horowitz (2006)	x			x
Hennig-Thurau/Walsh (2003)	x	x	x	
Khammash/Griffiths (2011)	x	x	x	
Kim/Srivastava (2007)				x
Smith/Menon/Sivakumar (2005)				x

Tab. 1: Literature overview (own creation)

Tab. 1: Literature review (own creation)

The previous section highlighted that user contributions can significantly impact purchasing decisions. However, anyone can write a review at any time, resulting in numerous reviews online that readers cannot trust blindly. Consumers often view customer reviews as more realistic and relevant than marketing messages from companies. Nonetheless, it cannot be ruled out that some reviews are written at the behest of companies. The public and indirect nature of eWOM often means that there is no social bond between the sender and receiver of a message, making it challenging for readers to verify the validity of the overwhelming amount of unfiltered information or assess the motives of the authors. Therefore, the credibility of anonymous consumers plays a crucial role in influencing decision-making. To minimize dissonance in their choices, consumers must selectively determine which information they can trust.

2.1 Hypothesis Development

This section establishes that eWOM significantly influences purchasing decisions, but many studies, such as those by Burton and Khammash (2010) or McKnight and Kacmar (2006), focus only on specific aspects like Decision Involvement and credibility. This research aims to examine how reading motivations, social influence, perceived credibility, and consumers' need for cognition impact the acceptance of customer reviews.

The Accessibility-Diagnosticity Model says that predicting actual product performance relies on information diagnosticity, which occurs when consumers believe that presented information enables better product evaluation (Lynch, 2006). Consumers develop cognitive frameworks based on their desires before considering a product and seeking relevant information. If product information aligns with their needs, it is perceived as diagnostic. Therefore, reading motivations create cognitive structures that drive consumers to seek information satisfying their interests (Stanton&Lowenhar, 1974; Kirchgeorg, 2018).

Thus, when eWOM recommendations provide information that matches consumers' informational needs, they are more likely to perceive it as diagnostic and accept the recommendation. Conversely, a mismatch between consumer needs and eWOM information may lead to lower acceptance. Hence, the first hypothesis is:

H1: eWOM information that aligns with consumers' informational needs will lead to a high acceptance of eWOM recommendations.

Social influence can be normative or informational (Bearden et al., 1986). Normative social influence relates to perceived social pressure to engage in specific behaviors, while informational social influence involves observing the successful experiences of social groups with a product or service (Ajzen, 1991). Many consumers read and adopt the opinions of others as evidence of a product's true nature. External informa-

tion, such as from online discussion forums, can reinforce consumer trust in their beliefs about a product (Lee et al., 2006). Thus, the second hypothesis is:

H2: Positive informational social influence will lead to a high acceptance of eWOM recommendations.

Credibility is a multidimensional concept that assesses a communication source (Eisend, 2003). Information is utilized more frequently when deemed credible (Chu&Kamal, 2008; Zhang&Watts, 2008). Positive product reviews influence consumer behavior primarily when they appear credible. Therefore, a reader who finds a review credible is likely to trust and accept the eWOM comments for purchase decisions. Conversely, if a review is perceived as less credible, its influence diminishes. Thus, we propose:

H3: The perceived credibility of online reviews will positively impact the acceptance of eWOM recommendations.

According to the Elaboration Likelihood Model (ELM), whether individuals take a central or peripheral route in information processing depends on their need for cognition (Petty&Cacioppo, 1986). High NFC individuals are likely to engage in systematic processing, evaluating information and the informant thoroughly before accepting recommendations. In contrast, low NFC consumers may rely on peripheral cues and indicators of credibility, avoiding cognitive resource-intensive evaluations (Chaiken&Liberman&Eagly,1989). Therefore:

H4: The impact of status indicators on perceived informant credibility is weaker for high NFC individuals than for low NFC individuals.

3. Methodology

This research employed an online experimental design with two groups: experimental and control. Participants (N=171) were instructed to imagine they were on vacation in New York and were tasked with selecting an Italian restaurant based on the provided customer reviews, manipulated based on levels of information diagnosticity and social influence. Participants rated the credibility, diagnosticity, and persuasiveness of the reviews, and their responses were recorded on a 5-point Likert scale. The NFC was measured using a 5-item Likert scale. Dependent variables included review acceptance, measured on a 5-point Likert scale, while independent variables were information diagnosticity, social influence, and credibility. Data were collected via an online questionnaire designed using Limesurvey, distributed across social media platforms such as Instagram and Facebook.

4. Results

The regression analyses conducted in this study revealed several key findings. Firstly, information diagnosticity was found to have a significant positive effect on the acceptance of customer reviews ($R^2 = 0.50$, $p < 0.01$), supporting the hypothesis that consumers are more likely to trust and accept reviews that provide detailed and reliable information. Social influence also played a significant role, with participants in the high social influence condition being more likely to accept the review ($M = 3.81$, $SD = 0.68$) compared to those in the control group. This aligns with the findings of Ash (1955), who demonstrated the power of social conformity in shaping opinions and decisions. Interestingly, the role of perceived credibility was moderated by the need for cognition (NFC), with individuals possessing low NFC scores being more influenced by credibility heuristics than those with high NFC. This suggests that for consumers with a low need for cognition, the source of the review, including factors such as reviewer expertise and trustworthiness, plays a more substantial role in their decision-making process ($R^2 = 0.55$, $p < 0.01$).

Hypothesis	Formulation	Result
1	eWOM information that aligns with the consumer's information needs will lead to high acceptance of the eWOM recommendation.	Accepted
2	Positive informational social influence will lead to high acceptance of the eWOM recommendation.	Accepted
3	The perceived credibility of the online review will positively affect the acceptance of the eWOM recommendation.	Accepted
4	The effect of status indicators on the perceived credibility of informants is weaker in individuals with high NFC (Need for Cognition) than in individuals with low NFC.	Rejected

Tab. 2: Hypothesis results (own creation)

5. Conclusion

These findings support the theoretical models of consumer decision-making, showing that detailed and fact-based reviews, particularly those with high diagnosticity, are more likely to be trusted by consumers. The impact of social influence corroborates the work of Ash (1955), demonstrating the power of conformity in decision-making, even in online environments. Interestingly, the moderating effect of NFC suggests that marketing strategies need to consider cognitive traits of target audiences. For high-NFC consumers, providing rich, detailed information is key, while for low-NFC consumers, emphasizing the credibility of the reviewer (e.g., verified reviews or expert opinions) can enhance review acceptance. This study also raises questions for future research, particularly regarding the influence of negative social influence, which was not significantly tested in this experiment.

The results of this study contribute to the growing body of literature on eWOM and consumer behavior, providing insights into how different factors influence the acceptance of online reviews. Our findings on information diagnosticity confirm previous research (Jiang & Benbasat, 2004), indicating that consumers value detailed and fact-based reviews, especially when making purchasing decisions in situations where they cannot directly evaluate the product or service.

In conclusion, this study sheds light on the various factors influencing the acceptance of online reviews in the context of eWOM. By focusing on the role of information diagnosticity, social influence, and credibility, and considering the moderating effect of the need for cognition, we provide a more nuanced understanding of consumer behavior in digital environments. For marketers, these findings highlight the importance of crafting reviews that not only provide detailed and reliable information but also leverage social influence effectively. Furthermore, businesses should consider the cognitive characteristics of their target audience, as consumers with higher NFC are more likely to value information-rich reviews, while those with lower NFC may respond more to the perceived credibility of the reviewer.

6. Discussion & Practical Implications

The results align with existing literature that suggests detailed, diagnostic information and social consensus influence review acceptance. The study further contributes to the understanding of NFC's moderating role, as participants with low NFC were more likely to accept reviews based on credibility heuristics, while high-NFC individuals relied more on information diagnosticity. Businesses should focus on enhancing

the diagnosticity of reviews and fostering positive social influence in online platforms. For consumers with higher NFC, providing detailed, high-quality information is key, while for lower NFC consumers, emphasizing credibility (e.g., expert opinions) is more effective. Future research should explore the effect of negative social influence and extend the study to other product categories.

Bibliography

1. Ajzen, I. (1991): The theory of planned behavior, *Organizational Behavior and Human Decision Processes*, Vol. 50 (2), S. 179-211.
2. Amichai-Hamburger, Y.; Kaynar, O.; Fine, A. (2007): The effects of need for cognition on Internet use, *Computers in Human Behavior*, Vol. 23 (1), S. 880-891.
3. Apanovitch, A. M.; Hobfoll, S. E.; Salovey, P. (2002): The Effects of Social Influence on Perceptual and Affective Reactions to Scenes of Sexual Violence, *Journal of Applied Social Psychology*, Vol. 32 (3), S. 443-464.
4. Ash, S. (1955): Opinions and Social Pressure, *Scientific American*, Vol. 193 (5), S. 31-35.
5. Bagozzi, R. P.; Dholakia, U. M. (2002): Intentional social action in virtual communities, *Journal of Interactive Marketing*, Vol. 16 (2), S. 2-21.
6. Bailey, A. A. (2013): Consumer Awareness and Use of Product Review Websites, *Journal of Interactive Advertising*, Vol. 6 (1), S. 68-81.
7. Bearden, W. O.; Calich, S. E.; Netemeyer, R.; Teel, J. E. (1986): An exploratory investigation of consumer innovativeness and interpersonal influences, *Advances in Consumer Research*, Vol. 13 (1), S. 77-82.
8. Bickart, B.; Schindler, R. M. (2001): Internet Forums as Influential Sources of Consumer Information, *Journal of Interactive Marketing*, Vol. 15 (3), S. 31-40.
9. Bohlmann, A. (2007): Multi-Channel-Retailing und Kaufbarrieren: Wie Kunden Kaufrisiken wahrnehmen und überwinden, in: Schröder, H. (Hrsg.): *Kundenorientierte Unternehmensführung*, Josef Eul Verlag GmbH, Köln, S. 1-401.
10. Burnkrant, R. E.; Cousineau, A. (1975): Informational and Normative Social Influence in Buyer Behavior, *Journal of Consumer Research*, Vol. 2 (3), S. 206-215.
11. Burton, J.; Khamash, M. (2010): Why do people read reviews posted on consumer-opinion portals?, *Journal of Marketing Management*, Vol. 26 (3/4), S. 230-255.
12. Cacioppo, J. T.; Petty, R. E. (1982): The Need for Cognition, *Journal of Personality and Social Psychology*, Vol. 42 (1), S. 116-130.
13. Chaiken, S.; Liberman, A.; Eagly, A. H. (1989): Heuristic and Systematic Information Processing within and beyond the Persuasion Context, in: Ulmen, J. S.; Bargh, J. A. (Hrsg.): *Unintended Thought*, The Guilford Press, New York, London, S. 212-252.
14. Cheung, C. M. K.; Lee, M. K. O.; Rabjohn, N. (2008): The impact of electronic word-of-mouth: The adoption of online opinions in online customer communities, *Internet Research*, Vol. 18 (3), S. 229-247.
15. Chu, S. C.; Kamal, S. (2008): The Effect of Perceived Blogger Credibility and Argument Quality on Message Elaboration and Brand Attitudes: An Exploratory Study, *Journal of Interactive Advertising*, Vol. 8 (2), S. 26-37.
16. Eisend, M. (2003): *Glaubwürdigkeit in der Marketingkommunikation. Konzeption, Einflussfaktoren und Wirkungspotenzial*, DUV, Wiesbaden.
17. Festinger, L. (1957): *A Theory of Cognitive Dissonance*, Stanford University Press, Stanford.
18. Goldsmith, R. E.; Horowitz, D. (2006): Measuring Motivations for Online Opinion Seeking, *Journal of Interactive Advertising*, Vol. 6 (2), S. 2-14.

19. Häubl, G.; Murray, K. B. (2003): Preference Construction and Persistence in Digital Marketplaces: The Role of Electronic Recommendation Agents, *Journal of Consumer Psychology*, Vol. 13 (1/2), S. 75-92.
20. Hennig-Thurau, T.; Walsh, G. (2003): Electronic Word-of-Mouth: Motives for and Consequences of Reading Customer Articulations on the Internet, *International Journal of Electronic Commerce*, Vol. 8 (2), No. 2, S. 51-74.
21. Hennig-Thurau, T.; Gwinner, K. P.; Walsh, G.; Gremler, D. D. (2004): Electronic word-of-mouth via consumer-opinion platforms: What motivates consumers to articulate themselves on the Internet?, *Journal of Interactive Marketing*, Vol. 18 (1), S. 38-52.
22. Homburg, C. (2012): *Grundlagen des Marketingmanagements*, 3 Aufl., Springer Gabler, Wiesbaden.
23. Huang, J. H.; Chen, Y. F. (2006): Herding in Online Product Choice, *Psychology & Marketing*, Vol. 23 (5), S. 413-428.
25. Jiang, Z.; Benbasat, I. (2004): Virtual Product Experience: Effects of Visual and Functional Control of Products on Perceived Diagnosticity and Flow in Electronic Shopping, *Journal of Management Information Systems*, Vol. 21 (3), S. 111-147.
26. Khammash, M.; Griffiths, G. H. (2011): 'Arrivederci CIAO.com, Buongiorno bing.com'—Electronic word-of-mouth (eWOM), antecedences and consequences, *International Journal of Information Management*, Vol. 31 (1), S. 82-87.
27. Kim, Y. A.; Srivastava, J. (2007): Impact of social influence in e-commerce decision making, URL: <https://www.site.uottawa.ca/~nelkadri/CSI5389/Papers/74-Impact%20of%20Social%20Influence%20in%20E-Commerce%20Decision%20Making.pdf>, Abruf: 22.12.2019.
28. Kirchgeorg, M. (2018): Definition Konsumentenverhalten, URL: <https://wirtschaftslexikon.gabler.de/definition/konsumentenverhalten-37976/version-261403>, Abruf: 29.12.2019.
29. Lee, M. K. O.; Cheung, C. M. K.; Sia, C. L.; Lim, K. H. (2006): How Positive Informational Social Influence Affects Consumers' Decision of Internet Shopping?, URL: https://www.researchgate.net/publication/221177211_How_Positive_Informational_Social_Influence_Affects_Consumers%27_Ddecision_of_Internet_Shopping, Abruf: 22.12.2019.
30. Lynch, Jr. J. G. (2006): Accessibility-Diagnosticity and the Multiple Pathway Anchoring and Adjustment Model, *Journal of Consumer Research*, Vol. 33 (1), S. 25-27.
31. McKnight, H.; Kacmar, C. (2006): Factors of Information Credibility for an Internet Advice Site, URL: https://www.researchgate.net/publication/4216281_Factors_of_Information_Credibility_for_an_Internet_Advice_Site, Abruf: 08.02.2020.
32. Petty, R. E.; Cacioppo, J. T. (1986): The Elaboration Likelihood Model of Persuasion, in: Berkowitz, L. (Hrsg.): *Advances in Experimental Social Psychology*, Elsevier, Amsterdam, S. 123-205.
33. Senecal, S.; Nantel, J. (2004): The Influence of Online Product Recommendations on Consumers' Online Choices, *Journal of Retailing*, Vol. 80 (2), S. 159-169.
34. Smith, D.; Menon, S.; Sivakumar, K. (2005): Online Peer and Editorial Recommendations, Trust, and Choice in Virtual Markets, *Journal of Interactive Marketing*, Vol. 19 (3), S. 15-37.
35. Stanton, J. L.; Lowenhar, J. A. (1974): A Congruence Model of Brand Preference: A Theoretical and Empirical Study, *Journal of Marketing Research*, Vol. 11(4), S. 427-433.
36. Walsh, G.; Wiedmann, K. P.; Frenzel, T.; Duvenhorst, C. (2005): Die Identifizierung von eMavens auf Internet-Musik-Sites. Ergebnisse einer empirischen Untersuchung zur Online- Mundwerbung, *Marketing ZFP*, 27. Jg. (1), S. 41-54.
37. Zhang, W.; Watts, S. A. (2008): Capitalizing on Content: Information Adoption in Two Online Communities, *Journal of the Association for Information Systems*, Vol. 9 (2), S. 73-94.

საქართველოს საბაჟო სისტემის ანალიზი: ადგილობრივი წარმოების გამოწვევები და საბაჟო სისტემის რეფორმის მიმართულებები

გიორგი კახაძე

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

giorgikakhadze1994@gmail.com

ანოტაცია

საქართველოს საბაჟო სისტემამ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე საკმაოდ მრავალი და კომპლექსური ცვლილება განიცადა. რეფორმათა ნაწილი მიმართულია მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკის და გამოცდილების შესწავლის და გაზიარების შედეგად საქართველოს საბაჟო პოლიტიკის და საბაჟო სისტემის დახვეწისკენ. ცვლილებათა ნაწილი კი განპირობებულია ისეთი ორგანიზაციების წევრობით და შესაბამისად აღებული ვალდებულებებით როგორცაა: მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO), მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია (WCO), გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია (UNCTAD) და სხვა. ასევე, ევროკავშირთან არსებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით აღებული ვალდებულებები და უკვე ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღება. ნაშრომში გაანალიზებულია ზემოთ ხსენებული რეფორმები და მათი რეალური გავლენა ადგილობრივ წარმოებაზე. ყურადღება გამახვილებულია ადგილობრივი წარმოების ძირითად გამოწვევებსა და ქართველ მენარმეთა წინაშე არსებულ დაბრკოლებებზე. არსებულ რეალობაში ძალიან საინტერესო და საჭიროა იმ ურთიერთკავშირის კარგად გაანალიზება და შესწავლა რომელიც ყალიბდება საქართველოს საბაჟო პოლიტიკასა და ადგილობრივ წარმოებას შორის. აღნიშნულით შესაძლებელი გახდება ურთიერთსაინტერესო პრინციპების დაბალანსება და სწორი და დროული პრიორიტეტების გამოვლენა.

საკვანძო სიტყვები: საბაჟო სისტემა, ადგილობრივი წარმოება, გამოწვევები, რეფორმის მიმართულებები

შესავალი

ნებისმიერი ერის საბაჟო სისტემა წარმოადგენს ერთგვარ კარიბჭეს, რომელიც არეგულირებს საქონლის ნაკადს საზღვრებს შორის და გადამწყვეტ როლს თამაშობს მისი ეკონომიკური ლანდშაფტის ფორმირებაში. საქართველოს შემთხვევაში, რომელიც ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზეა განლაგებული, ეფექტიანი საბაჟო სისტემა არა მხოლოდ ხელს უწყობს საერთაშორისო ვაჭრობას, არამედ ადგილობრივი წარმოებისა და ეკონომიკური ზრდის გასაღებია. თუმცა, ისევე როგორც მრავალი განვითარებადი ეკონომიკა, საქართველოც აწყდება მრავალ გამოწვევას თანამედროვე საბაჟო სისტემის სწრაფ ფორმირებაში, რაც აფერხებს მისი სრული ეკონომიკური პოტენციალის რეალიზაციას.

საბაჟო სისტემა და ზოგადად საბაჟო საქმიანობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური მექანიზმია ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, რომელმაც ყოველთვის უნდა აუწყოს ფეხი მსოფლიოში მიმდინარე თანამედროვე გლობალურ და ინტეგრაციულ პროცესებს, შეიმუშაოს გონივრული, კარგად მოფიქრებული და მეცნიერულ პრინციპებზე დამყარებული საბაჟო პოლიტიკა, რომელიც საშუალებას მისცემს სახელმწიფოს განავითაროს პრიორიტეტული დარგები,

გაალრმავოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები, ხელი შეუწყოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას (ქარუმიძე, 2002).

სახელმწიფოს მიერ გატარებული სწორი საბაჟო პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მყარ საფუძველს წარმოადგენს, ამასთან, საბაჟო პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილია. მისი სწორი წარმართვა დამოკიდებულია ქვეყნის ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილების საბაჟო რეგულირებისა და კონტროლის ინსტიტუტების ეფექტიან გამოყენებაზე.

საბაჟო პოლიტიკა როგორც ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, მჭიდროდ არის დაკავშირებული ადგილობრივ წარმოებასთან. სახელმწიფოს მიერ გატარებული ეფექტიანი საბაჟო პოლიტიკა უზრუნველყოფს ადგილობრივი წარმოებისა და ექსპორტის სტიმულირებას, შიდა ბაზრის დაცვას იმპორტირებული პროდუქციისგან და ექსპორტისა და იმპორტის მოცულობების შედარებით დაბალანსებას. თანამედროვე ეტაპზე, როდესაც საქართველომ მიიღო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი და მიისწრაფვის მისი სრულფასოვანი წევრობისკენ, აქტიურად მიმდინარეობს რეფორმები თითქმის ყველა დარგსა და სფეროში. მათ შორის საბაჟო სისტემამაც საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. შესაბამისად მნიშვნელოვანია მოიძებნოს პასუხი კითხვაზე რა გავლენას ახდენს საბაჟო სისტემაში განხორციელებული ცვლილებები ადგილობრივ წარმოებაზე.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია საქართველოს ევროკავშირის წევრობისკენ მიმავალ გზაზე განხორციელებული საბაჟო სისტემის რეფორმების ანალიზი, რეფორმებსა და ადგილობრივ წარმოებას შორის ურთიერთკავშირის განსაზღვრა

კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია ძირითადად თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. თვისობრივი კვლევის ფარგლებში მოხდა საკვლევი საკითხის შესახებ სიღრმისეული ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ძირითადად ვიხელმძღვანელებთ სტატისტიკური ინფორმაციით. მიზნების შესაბამისად დამუშავდა რაოდენობრივი მონაცემები, რის საფუძველზეც გამოიკვეთა პრობლემისათვის დამახასიათებელი კონკრეტული ტენდენციები.

საქართველოს საბაჟო სისტემის ანალიზი

1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველომ დაიწყო საბაჟო სისტემის რეფორმების უწყვეტი პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს ადმინისტრაციული პროცესების მოდერნიზაციას, ეფექტიანობის გაზრდას და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას. მნიშვნელოვანი ეტაპები მოიცავს 2007 წელს საქართველოს შემოსავლების სამსახურის შექმნას, რომელიც აერთიანებს საგადასახადო და საბაჟო ფუნქციებს ერთიანი ორგანოს ქვეშ, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია მარეგულირებელი ზედამხედველობის გამარტივებისა და კოორდინაციის გაუმჯობესებისკენ. ამ ფუნქციების კონსოლიდაციით საქართველო მიზნად ისახავდა ეფექტიანობის გაზრდას, ძალისხმევის დუბლირების შემცირებას და შესაბამისობის მექანიზმების გაძლიერებას.

საქართველოს საბაჟო სისტემის შექმნას ოთხი ეტაპი აქვს: პირველი ეტაპი მოიცავს 1990-1991 წლებს, ამ ეტაპზე შეიქმნა საქართველოს საბაჟო სამსახური, მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის შესახებ; საბაჟო სამსახურის შესახებ და სხვა ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავს საბაჟო, ფუნქციების და ამოცანების ძირითადი მიმართულებებს და პრობლემებს (ნერეთელი, 2007).

მეორე ეტაპი უკავშირდება საქართველოს პირველი საბაჟო კოდექსის, საბაჟო ტარიფებისა და „საბაჟო გადასახადის შესახებ“ პირველი კანონის დებულებების მიღებას, ეს ეტაპი მოიცავს 1992-1996 წლებს. წლების განმავლობაში შეიქმნა და გაუმჯობესდა საბაჟო კანონმდებლობა (ურიდია, არახამია, 2007).

მესამე ეტაპი 1997 წელს დაიწყო, როდესაც საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საბაჟო კოდექსი, ხოლო 1998 წელს ასევე გამოაქვეყნა საქართველოს 17 კანონი საბაჟო ტარიფების, გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა დებულებებისა და დოკუმენტების შესახებ. ახალი საბაჟო კოდექსი მიღებულ იქნა 2006 წელს, რაც საფუძველს უქმნის საბაჟო ტერიტორიის შემდგომ დახვეწის პროცესს.

მეოთხე ეტაპი 2007 წელს დაიწყო, შემოსავლების სამსახურის შექმნით, რომელიც აერთიანებს საბაჟო და საგადასახადო მომსახურებებს. 2007 წლიდან, საბაჟო სამსახურში ფუნქციონირებს მომხმარებელთა მონაცემთა ავტომატური სისტემა, რომელიც დაფუძნებულია ASYCUDA World – ზე, რომელიც შეიცვალა ASYCUDA + – ში 2010 წელს.

უნდა აღინიშნოს, რომ 1998 წლამდე საქართველოს საბაჟო სექტორში არ არსებობდა ინფორმაციული სისტემები, ხოლო საქართველოდან იმპორტირებული და ექსპორტირებული საქონლის საბაჟო დეკლარაცია ივსებოდა ხელით ან საბეჭდი მანქანის საშუალებით. 1998 წელს შეიქმნა მომხმარებლის მონაცემთა ავტომატური სისტემა, როგორც გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის ნაწილი, რაც მოიცავს საბაჟოზე შესრულებული ყველა პროცედურის კომპიუტერიზაციას.

შემდგომი რეფორმები ფოკუსირებული იყო საბაჟო პროცედურების დიგიტალიზაციაზე, დოკუმენტაციის მოთხოვნების გამარტივებაზე და რისკზე დაფუძნებული ინსპექტირების რეჟიმების მიღებაზე, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ლეგიტიმური ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით უკანონო საქმიანობის წინააღმდეგ აღსრულების გაძლიერებას. ელექტრონული განბაჟების სისტემების დანერგვამ, როგორიცაა ASYCUDA World პლატფორმა, გაამარტივა იმპორტისა და ექსპორტის პროცესები, შეამცირა განბაჟების დრო და გაზარდა გამჭვირვალობა.

ASYCUDA სისტემის დანერგვამ შესაძლებელი გახადა საბაჟო სისტემაში რეგისტრირებული იმპორტირებული და ექსპორტირებული საქონლის სრულიად რეგისტრაცია, ხოლო ფინანსთა სამინისტროს ASYCUDA ავტომატური სისტემის საშუალებით რისკების მართვის სისტემის დანერგვაზე მუშაობა დაიწყო 2007 წელს.

გარდა ამისა, საქართველომ მიიღო ისეთი მონინავე ტექნოლოგიები, როგორიცაა ბლოკჩეინი და ხელოვნური ინტელექტი (AI), საბაჟო ოპერაციების მოდერნიზაციისა და რისკის მართვის შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად. ბლოკჩეინის ტექნოლოგია უზრუნველყოფს სავაჭრო მონაცემების დაცვას, თაღლითობის თავიდან აცილებას და მიწოდების ჯაჭვის მიკვლევადობის გაუმჯობესებას. ანალოგიურად, ხელოვნური ინტელექტის მხარდაჭერით მომუშავე ინსტრუმენტებს შეუძლიათ გააანალიზონ სავაჭრო მონაცემების დიდი რაოდენობა, რათა აღმოაჩინონ დარღვევები, გამოავლინონ შაბლონები და იზინასწარმეტყველონ პოტენციური რისკები, რითაც შეუძლიათ გააძლიერონ საბაჟო აღსრულება და საზღვრის უსაფრთხოება.

საქართველო აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა სავაჭრო ხელშეკრულებებში და რეგიონული ინტეგრაციის ინიციატივებში რაც უზრუნველყოფს საერთაშორისო საბაჟო პრაქტიკის გამოყენებით საქართველოს საბაჟო სისტემის დახვეწას და განვითარებას. საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) – ს წევრია 2000 წლიდან, რითიც ქვეყანამ აიღო ვალ-

დებულება უზრუნველყოს ვაჭრობის ლიბერალიზაცია და გლობალური ვაჭრობის წესების დაცვა.

საქართველოს მისწრაფებამ ევროკავშირთან უფრო მჭიდრო ინტეგრაციისკენ განაპირობა რიგი მნიშვნელოვანი საბაჟო რეფორმები და ევროპული სტანდარტების შესაბამისობის მოთხოვნები. ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივით, საქართველომ მიაღწია ევროკავშირთან უფრო მჭიდრო პოლიტიკურ ასოცირებას და ეკონომიკურ ინტეგრაციას, როგორცაა მათ შორის ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონაში (DCFTA) მონაწილეობა. DCFTA მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ვაჭრობის ლიბერალიზაციას, გააძლიეროს მარეგულირებელი ორგანოები და ხელი შეუწყოს ბაზარზე წვდომას საქართველოსა და ევროკავშირის შორის. DCFTA-ს ფარგლებში, საქართველომ გაატარა ვრცელი რეფორმები საბაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის, ევროკავშირის საბაჟო სტანდარტების შესაბამისობისა და ვაჭრობის ხელშეწყობის ღონისძიებების განსახორციელებლად. ეს მოიცავს საბაჟო პროცედურების გამარტივებას, არასატარიფო ბარიერების შემცირებას და ევროკავშირის საბაჟო ორგანოებთან თანამშრომლობის გაღრმავებას.

გარდა ამისა, საქართველოს მონაწილეობამ ევროკავშირის ერთიანი ბაზრის ინიციატივასა და საბაჟო კავშირში კიდევ უფრო გააღრმავა ინტეგრაციის მცდელობები, ხელი შეუწყო მჭიდრო თანამშრომლობას საბაჟო საკითხებში, საზღვრის მართვასა და ვაჭრობის ხელშეწყობაში. ამ ინიციატივების მეშვეობით საქართველო მიზნად ისახავს გააძლიეროს თავისი ეკონომიკური კავშირები ევროკავშირთან, გააძლიეროს ქართული პროდუქციის ბაზარზე ხელმისაწვდომობა და ხელი შეუწყოს მდგრად ეკონომიკურ განვითარებას.

გარდა შიდა რეფორმებისა, საქართველო აქტიურად არის ჩართული ორმხრივ და მრავალმხრივ თანამშრომლობის ინიციატივებში ევროკავშირთან და მის წევრ ქვეყნებთან საბაჟო მოდერნიზაციის მცდელობების მხარდასაჭერად. ტექნიკური დახმარების პროგრამების, შესაძლებლობების განვითარების ინიციატივებისა და ცოდნის გაზიარების პლატფორმების საშუალებით, საქართველო სარგებლობს ევროკავშირის ექსპერტიზით, საუკეთესო პრაქტიკით და ფინანსური მხარდაჭერით რეფორმების განსახორციელებლად და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაზრდის მიზნით. გარდა ამისა, საქართველოს მონაწილეობა რეგიონულ თანამშრომლობის ჩარჩოებში, როგორცაა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, ხელი შეუწყო დიალოგს, თანამშრომლობას და პოლიტიკის გათანაბრებას საბაჟო სფეროში.

(WTO)-სა და ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობის პარალელურად, საქართველომ გააძლიერა ორმხრივი და მრავალმხრივი პარტნიორობა მეზობელ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის გაღრმავების, უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლისა და საბაჟო პროცედურების გამარტივების მიზნით. ორმხრივმა სავაჭრო შეთანხმებებმა ისეთ ქვეყნებთან, როგორებიცაა თურქეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი, ხელი შეუწყო სავაჭრო ნაკადებს და ხელი შეუწყო ეკონომიკურ თანამშრომლობას, ხოლო მრავალმხრივმა ინიციატივებმა, როგორცაა TRACECA (სატრანსპორტო დერეფანი ევროპა-კავკასია-აზია) პროგრამა ხელი შეუწყო რეგიონულ დაკავშირებას და ინფრასტრუქტურის განვითარებას.

გარდა ამისა, საქართველო აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო ორგანიზაციებში, როგორცაა მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია (WCO) და გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია (UNCTAD), სადაც ის მონაწილეობს ცოდნის გაზიარებაში, შესაძლებლობების განვითარებასა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლაში საბაჟო საკითხებში. რეგიონული თანამშრომლობისა და საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობის ხელშეწყობით, საქართველო მიზნად ისახავს გამოიყენოს თავისი სტრატეგიული მდებარეობა და კავშირი, რათა გახდეს სავაჭრო და ინვესტიციების ძირითადი კერა ევრაზიის ფართო რეგიონში.

საქართველო ახორციელებს ერთიან საბაჟო სტრატეგიას, რომელიც საქართველოს მთავრობის საშინაო და საგარეო და ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილია. საბაჟო პოლიტიკას განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი და პარლამენტი. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო ორგანოები მონაწილეობენ მის შემუშავებასა და განხორციელებაში. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა განსაზღვრავს საბაჟო პოლიტიკის იურიდიულ, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ საფუძვლებს. (ურიდია ბ., 2006).

საბაჟო სამსახური კონტროლირებადი სისტემიდან გადავიდა საკონტროლო სისტემაში. შეიქმნა ერთიანი კომპიუტერული ქსელი, რომელიც უზრუნველყოფს საბაჟო სივრცეზე ერთპიროვნულ კონტროლს, ამ სივრცის შეცვლას და რეალურ დროში მუშაობას. ყოველწლიურად დაახლოებით 700 მილიონი ადამიანი კვეთს სახელმწიფო საზღვარს და მილიარდობით ტონა ტვირთი. ახალი საბაჟო ასევე ასრულებს სამ ტრადიციულ ფუნქციას : ფისკალური, ეკონომიკური, დამცავი.

საქართველოს საბაჟო ადმინისტრაცია თანამშრომლობს სახელმწიფო ორგანოებთან, საწარმოებთან, პირველ რიგში, საქართველოს პრეზიდენტთან და საქართველოს პარლამენტთან, საბაჟო პრობლემების გადასაჭრელად. საბაჟო ორგანოები განსაკუთრებით მჭიდრო კავშირშია სამართალდამცავ და სასაზღვრო ორგანოებთან. საბაჟო ძირითადი პრინციპების თანახმად, საბაჟო სისტემა, მისი ყველა განყოფილება ხელს უწყობს ქვეყნის ბიუჯეტის შევსებას. განვითარებულ ქვეყნებში იგი შემოსავლის 5-10% -ს შეადგენს, ხოლო განვითარებად ქვეყნებში – 20-40%. საბაჟო ორგანოს მუდმივი ყურადღება სჭირდება პერსონალის სფეროში სტაბილური ვითარების შესაქმნელად, საბაჟო ოფიცრების მომზადებაში, პერსონალის თანამდებობიდან განთავისუფლებით, მუდმივი კვალიფიციური საბაჟო მოსამსახურეების მყარი რაზმის შესაქმნელად. საბაჟო კოდექსისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უფლება აქვს შექმნას საბაჟო ლაბორატორია, კვლევა, საგანმანათლებლო და სხვა საწარმოები, საბაჟო კოდექსისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად, საბაჟო საქმიანობის განხორციელების მიზნით (რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, 2012).

ადგილობრივი წარმოების გამოწვევები და საბაჟო სისტემის რეფორმის მიმართულებები

ადგილობრივი წარმოება საქართველოში სხვადასხვა კომპლექსური გამოწვევის წინაშე დგას, რაც აფერხებს მის ზრდას და ზღუდავს მის კონკურენტუნარიანობას როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზარზე. ეს გამოწვევები შეიძლება დაიყოს ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურულ, მარეგულირებელ და ბაზართან დაკავშირებულ გამოწვევებად.

ეკონომიკური გამოწვევები. საქართველოში დღეს დღობით საკმაოდ მაღალია საპროცენტო განაკვეთი სესხზე. ქართულ მცირე და საშუალო საწარმოებს ძვირი უჯდებათ ფულადი სახსრების მოძიება, რაც ზღუდავს მათ შესაძლებლობას განახორციელონ ინვესტიცია აუცილებელ განახლებაში. მაგალითად, საქართველოში ბიზნეს სესხების საპროცენტო განაკვეთი შეიძლება აღემატებოდეს 15%-ს, რაც საკმაოდ მაღალია განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან შედარებით. გარდა ამისა, ქართულ ბანკებს სესხის გაცემის საკმაოდ მკაცრი კრიტერიუმები აქვთ, რომლებიც მოიცავენ ვრცელ გირაოს, დიდ გამოცდილებას, მომგებიანობას და სხვა. ამ ყოველივეს კი მრავალი მცირე თუ საშუალო მწარმოებელი ხშირ შემთხვევაში ვერ აკმაყოფილებს. ეკონომიკური გამოწვევები მოიცავს ასევე ნედლეულის იმპორტის ხარჯებს. გლობალური საქონლის ფასები ბოლო წლების ფანმაველობაში საკმაოდ მერყევია და მიმართულია ზრდისკენ. ამ ყოველივეს დამატებული იმპორტის ტარიფები კი ხშირ შემთხვევაში საკამოდ უძვირებს ადგილობრივ მწარმოებებს პორდუქციის წარმოებას და მათ არაკონკურენტულს

ხდის იმპორტირებულ მსგავს პროდუქციასთან მიმართებაში. მნიშვნელოვანი გამოწვევა გახლავთ ენერგიის ხარჯი. საქართველოში ენერგიის ღირებულება შედარებით მაღალია, განსაკუთრებით სამრეწველო სფეროში. ამას ემატება ენერგიის მოხმარების არაეფექტიანობა უმრავლეს საწარმოში მოძველებული მანქანა-დანადგარების ხარჯზე.

ინფრასტრუქტურული გამოწვევები. საქართველოს ბევრ რეგიონში კვლავ დგას საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პრობლემები. მრავალი შიდა სასოფლო გზები, რომლებიც აკავშირებს პროდუქციის მოყვანისა თუ ნედლეულის მოპოვების ადგილმდებარეობას მისი ჩაბარებისა თუ წარმოების ადგილს, საკამოდ რთულ მდგომარეობაშია. ასევე აღინიშნება განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში სეზონურად სხვადასხვა მნიშვნელობისა თუ სიდიდის გზების გამტარუნარიანობის შემცირება. მაგალითად: სატრანზიტო მნიშვნელობის კობი-გუდაურის გზის სეზონური ჩაკეტვა თოვლისა თუ ცუდი ამინდის გამო და სხვა. გზის ინფრასტრუქტურის გაუმართაობა კი იწვევს ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოვლის ხარჯის, ტვირთბრუნვი ხანგრძლივობის, პროდუქციის გზაში დაზიანების ალბათობის ზრდას. მნიშვნელოვანი გამოწვევაა ასევე მოძველებული საწარმოო ინფრასტრუქტურის არსებობა, რაც თანამედროვე მსოფლიოს განვითარების ტემპის გათვალისწინებით საკმაოდ არაკონკურენტულს ხდის მრავალ ადგილობრივ წარმოებას.

მარეგულირებელი გამოწვევები. საქართველოში, ბიზნესის სხვადასხვა სექტორში, საკმაოდ რთულია საჭირო ნებართვებისა თუ ლიცენზიების მოპოვება. პროცესი ხშირად საკამოდ დიდ ფინანსებს და გამოცდილებას მოითხოვს. ასევე საკმაოდ ხშირია რეგულაციების ცვლილებები დაინტერესებულ მხარეებთან ადეკვატური კონსულტაციის გარეშე რაც ქმნის გაურკვეველ გარემოს. გაურკვეველი ბიზნეს გარემო კი ხელს უშლის საჭირო ინვესტიციების მოზიდვას. საერთაშორისო სტანდარტების დაკმაყოფილება ასევე უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა ქართველი მწარმოებლისთვის. იგი მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციებს საწარმოო პროცესების განახლებასა და სერთიფიკატების მოპოვებაში. ეს არის ბარიერი მრავალი მცირე მწარმოებლისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ რესურსები ამ სტანდარტების დასაკმაყოფილებლად, რაც ზღუდავს მათ შესაძლებლობას დაიმკვიდრონ თავი საერთაშორისო ბაზარზე.

ბაზრის გამოწვევა. საქართველოში შიდა ბაზარი შედარებით მცირეა. ადგილობრივ მწარმოებლებს ხშირად სჭირდებათ უცხოურ ბაზრებზე თავის დამკვიდრება რაც როგორც ზემოთ მოგახსენეთ მათთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა გახლავთ. მიუხედავად სხვადასხვა სავაჭრო ხელშეკრულებებისა, სხვადასხვა არასათარიფო ბარიერები, როგორიცაა მაგალითად მკაცრი სანიტარული და ფიტოსანიტარული სტანდარტები, ტექნიკური რეგლამენტები და საბაჟო პროცედურები, მნიშვნელოვან დაბრკოლებებს ქმნის. მაგალითად ქართველმა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებლებმა უნდა დააკმაყოფილოს ევროკავშირის მკაცრი სტანდარტები ევროპულ ბაზარზე ექსპორტისთვის, რაც შეიძლება იყოს როგორც შრომატევადი, ასევე ძვირადღირებული და ზოგჯერ შეუძლებელიც მათ ხელთ არსებული მოძველებული საწარმოო ინფრასტრუქტურის პირობებში. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომლის წინაშეც დგანან ქართველი მწარმოებლები, გახლავთ მომხმარებლის დამოკიდებულება ადგილობრივი პროდუქციის მიმართ. ბევრი ქართველი მომხმარებელი უპირატესობას ანიჭებს იმპორტირებულ პროდუქციას რადგან თვლის რომ იგი არი უფრო ხარისხიანი ვიდრე ქართული წარმოების პროდუქცია. თუმცა ხშირად, მომხმარებლის ეს უპირატესობა ემყარება საერთაშორისო ბრენდების გრძელვადიან აღქმასა და მარკეტინგს. მომხმარებლის დამოკიდებულების შეცვლა ადგილობრივი პროდუქციის მიმართ მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციებს მარკეტინგსა და ბრენდის მშენებლობაში, რაც მიუწვდომელია მრავალი მცირე მწარმოებლისთვის.

ადგილობრივი წარმოების წინაშე არსებული რთული და კომპლექსური გამოწვევების პარალელურად საკმაოდ საინტერესოა საქართველოს საბაჟო სისტემის და მისი რეფორმების ანალიზი. იმის დასადგენად თუ, რა როლს ასრულებს საქართველოს საბაჟო სისტემა ადგილობრივი წარმოების წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევაში საჭიროა გავაანალიზოთ ურთიერ-

თქვენი საქართველოს საბაჟო სისტემასა და ადგილობრივ წარმოებას შორის. იგი რამდენიმე ძირითად მიმართულებას მოიცავს. საქართველოს საბაჟო სისტემა ადგენს სატარიფო პოლიტიკას, რომელიც გავლენას ახდენს ადგილობრივ წარმოებაზე. ტარიფები არის გადასახადები, რომლებიც დაწესებულია იმპორტირებულ საქონელზე და მათი განაკვეთები გავლენას ახდენს ადგილობრივი წარმოების საქონლის კონკურენტუნარიანობაზე. ტარიფების შესამაბამის დონეზე დაწესებით, საბაჟო სისტემას შეუძლია უზრუნველყოს შიდა მრეწველობის დაცვა, ნახალისოს ადგილობრივი წარმოება და ხელი შეუწყოს ეკონომიკურ განვითარებას ან პირიქით.

საბაჟო სისტემის მიერ ადმინისტრირებული იმპორტის პროცედურები, რომლებიც არეგულირებენ უცხოური საქონლის ქვეყანაში შემოსვლას, პირდაპირ გავლენას ახდენს ადგილობრივ წარმოებაზე. განბაჟების პროცესები, საჭირო დოკუმენტაციის მოთხოვნები და ინსპექტირების პროტოკოლები გავლენას ახდენს ადგილობრივი წარმოებისთვის საჭირო ნედლეულის, მანქანებისა და კომპონენტების იმპორტის სიმარტვესა და ხარჯზე. იმპორტის ეფექტურმა და გამჭვირვალე პროცედურებმა შეიძლება ხელი შეუწყოს საქონელზე და ნედლეულზე წვდომას და შეამციროს წარმოების ხარჯები ადგილობრივი მწარმოებლისთვის.

საბაჟო სისტემის მიერ შემუშავებული და აღსრულებული ექსპორტის პოლიტიკა და რეგულაციები გავლენას ახდენს ადგილობრივ მწარმოებლებზე, რომლებიც ცდილობენ თავიანთი საქონლის გაყიდვას საერთაშორისო ბაზრებზე. საქონლის ექსპორტის საბაჟო პროცედურები, მათ შორის დოკუმენტაციის მოთხოვნები, ხარისხის სტანდარტები და საექსპორტო გადასახადები, გავლენას ახდენს ადგილობრივი წარმოების საქონლის კონკურენტუნარიანობაზე უცხოურ ბაზარზე. ექსპორტის გამარტივებულმა პროცედურებმა და შეღავათიან სავაჭრო ხელშეკრულებებზე ხელმისაწვდომობამ შეიძლება გააძლიეროს ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა საზღვარგარეთ და გაააქტიუროს ადგილობრივი წარმოება.

საბაჟო შეფასების და კლასიფიკაციის პროცედურები განსაზღვრავს სატარიფო განაკვეთებს, რომლებიც გამოიყენება იმპორტირებულ საქონელზე, მათ შორის ნედლეულსა და კომპონენტებზე, რომლებიც გამოიყენება ადგილობრივ წარმოებაში. საბაჟო სისტემის მიერ იმპორტირებული საქონლის ზუსტი შეფასება და კლასიფიკაცია უზრუნველყოფს სამართლიან კონკურენციას ადგილობრივი მწარმოებლებისთვის და ხელს უშლის სატარიფო გადასახადების გვერდის ავლას არასწორი დეკლარაციის გზით. გამჭვირვალე და თანმიმდევრული საბაჟო შეფასების და კლასიფიკაციის პროცედურები უზრუნველყოფს თანაბარ სათამაშო პირობებს შიდა ინდუსტრიებისთვის და ხელს უწყობს ხელსაყრელ ბიზნეს გარემოს ადგილობრივი წარმოებისთვის.

საბაჟო სისტემა უზრუნველყოფს იმპორტისა და ექსპორტის რეგულაციებთან შესაბამისობას აღსრულების მექანიზმების მეშვეობით, როგორცაა ინსპექტირება, აუდიტი და დაჯარიმება. პროდუქტის სტანდარტებთან, უსაფრთხოებასთან და ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული რეგულაციების აღსრულებით, საბაჟო სისტემა იცავს ადგილობრივი მწარმოებლებს არაკეთილსინდისიერი კომპეტენციისგან და იცავს ქართული პროდუქციის რეპუტაციას და ხარისხს შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე. შესაბამისობის და აღსრულების ეფექტური ზომები ხელს უწყობს სამართლიან და კონკურენტულ გარემოს ადგილობრივ წარმოებისთვის.

მოკლედ, საბაჟო სისტემა გადამწყვეტ როლს ასრულებს ადგილობრივი წარმოების მხარდასაჭერად და რეგულირებაში სატარიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებით, იმპორტისა და ექსპორტის პროცედურების ადმინისტრირებით, ვაჭრობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელებით, შესაბამისობისა და აღსრულების უზრუნველსაყოფად და შიდა ინდუსტრიების ინტერესების დაცვით. ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს ხელშემწყობი და საბაჟო სისტემა საბაჟო სისტემა ხელს უწყობს ბიზნესის ზრდას და კონკურენტუნარიანობას და ხელს უწყობს მდგრად ეკონომიკურ განვითარებას.

ქვეყანაში მოქმედი საბაჟო სისტემისა და საბაჟო პოლიტიკის თანამედროვე ტენდენციებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ რეგულირების მექანიზმებს, საბაჟო ორგანოებს (საბაჟო პოლიტიკის განმახორციელებელ სახელმწიფო ორგანოებთან ერთად), საქონლის იმპორტიორებსა და ადგილობრივ მწარმოებლებს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობები ხასიათდება მნიშვნელოვანი ხარვეზებით, რომელთა აღმოფხვრა საჭიროებს შესაბამის ღონისძიებათა სისტემის შემუშავებას საბაჟო პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით. სახელმწიფოს მიერ გატარებული ეფექტიანი საბაჟო პოლიტიკა უზრუნველყოფს ადგილობრივი წარმოებისა და ექსპორტის სტიმულირებას, შიდა ბაზრის დაცვას იმპორტირებული საქონლის კონკურენციისაგან და ექსპორტისა და იმპორტის მოცულობების შედარებით დაბალანსებას. დღეს, როცა საქართველო წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის რელსებზე შემდგარ, განვითარებად სახელმწიფოს, სადაც აქტიურად მიმდინარეობს საფინანსო-ეკონომიკური რეფორმები, თითქმის ყველა დარგსა და სფეროში საბაჟო პოლიტიკის მიმართულებით არსებული პრობლემები უფრო აქტუალური ხდება.

საბაჟო პოლიტიკის საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანები და მათი განხორციელების ფორმები, ხშირად, მკვეთრ წინააღმდეგობაში არიან ერთმანეთთან. შესაბამისად, საბაჟო პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა ხდება ურთიერთსაწინააღმდეგი პრინციპების დაბალანსება, რა დროსაც იქმნება პრიორიტეტების გამოვლენის, საბაჟო პოლიტიკის კორექტირებისა და ბალანსების აუცილებლობა. ზემოთ ხსენებულის გათვალისწინებით, შეგვიძლია ავლნიშნოთ, რომ ეფექტური საბაჟო პოლიტიკა თავისი შინაარსით მოქნილი და მიმდინარე ეკონომიკური მოვლენებთან და პროცესებთან თავსებადი უნდა იყოს.

თანამედროვე პირობებში საქართველოს საბაჟო პოლიტიკის განვითარება უნდა დაეფუძნოს საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებსა და სტანდარტებს ასევე იგი უნდა განვითარდეს პრაქტიკასთან ჰარმონიზაციისა და უნიფიკაციის მიმართულებით აქტიური საერთაშორისო თანამშრომლობაზე დაყრდნობით (აბელაშვილი, 2011).

თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს საბაჟო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები დაბალი საიმპორტო ტარიფებით, ექსპორტის საბაჟო გადასახადებისგან განთავისუფლებით, ექსპორტისა და იმპორტის ლიცენზიებისა და ნებართვების მცირე რაოდენობითა და რაოდენობრივი შეზღუდვების არარსებობით ხასიათდება, მაგრამ იგი თანამედროვე ეკონომიკური პრობლემები დაძლევის საერთაშორისო გამოწვევებთან გამკლავების თვალსაზრისით ხარვეზებით გამოირჩევა.

სამწუხაროდ, დღეისათვის საქართველოში ეკონომიკის რეალური სექტორი განუვითარებელია. არსებული ტენდენციით ქვეყნის განვითარების მთავარ პრიორიტეტად, მხოლოდ მომსახურების სფერო და ტურიზმი მიიჩნევა. ამის შედეგია, რომ იმ პროდუქციის უმეტესობა, რასაც ქვეყნის მოსახლეობა მოიხმარს, იმპორტირებულია. ზემოთხსენებულს ნათლად ასახავს და წარმოგვიდგენს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბოლო წლების მომაცემებზე დაკვირვება.

იმპორტის მოცულობა ექსპორტის მოცულობას თითქმის სამჯერ აღემატება. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ექსპორტი მოიცავს რეექსპორტსაც (მთლიან ექსპორტში რეექსპორტის ხვედრითი წილი საქართველოში საშუალოდ დაახლოებით 39 %-ია), მაშინ თანაფარდობა კიდევ უფრო დიდი იქნება. ბოლო წლებში ექსპორტის მცირე დოზით ზრდასთან ერთად ადგილი აქვს იმპორტის მოცულობის საგრძნობლად ზრდასაც, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ეს ზრდა გამოწვეულია არა იმდენად წარმოების მოცულობის გაზრდით, არამედ მსოფიო ბაზარზე საქონლისა და მომსახურების ფასების საერთო დონის ზრდით. იგივე პარამეტრების მიხედვით უფრო ადრინდელი მონაცემთა ანალიზმაც გვიჩვენა, რომ თანაფარდობა ექსპორტსა და იმპორტს შორის მნიშვნელოვნად არ იცვლება.

ეს ტენდენცია იძლევა იმის აღნიშვნის საფუძველს, რომ ბოლო წლების განმავლობაში ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკის ღონის-

ძიებები, რომლის ნაწილიც გახლავთ კონკრეტული საბაჟო რეფორმები და მიმართულებები, ვერ აღწევს და სახულ მიზანს. ამის ერთ-ერთი მთავარ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ექსპორტის დივერსიფიკაციის დაბალი დონე როგორც საექსპორტო პროდუქციის, ასევე საექსპორტო ქვეყნების მხრივ. დღეისათვის რეალური ექსპორტის ძირითადი ნაწილი მოდის ნედლეულის ექსპორტზე, ბაზრების დივერსიფიკაციის ტემპები კი არაა დამაკმაყოფილებელია. სხვა ფაქტორებთან ერთად, აღნიშნულ პრობლემას დიდწილად განაპირობებს ტექნოლოგიური განვითარების დონისა და ინოვაციის არსებული პრობლემები. ექსპორტის განხორციელებისათვის აუცილებელი დამხმარე ინფრასტრუქტურის არარსებობა ინვესტიციური საექსპორტო ბაზრების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას და საექსპორტო, ქართული პროდუქციის არასაკმარის ცნობადობას. ექსპორტის ზრდის შემაფერხებელი ფაქტორია, ასევე, საერთაშორისო ვაჭრობაში არსებული ტექნიკური ბარიერები.

დასკვნა

ეფექტიანი საბაჟო პოლიტიკის გატარების შემთხვევაში რეალურად იქნება შესაძლებელი ქვეყნის ეკონომიკის განვითარება. ქვეყანაში მოქმედი საბაჟო სისტემისა და საბაჟო პოლიტიკის თანამედროვე ტენდენციების ანალიზმა გვიჩვენა, რეგულირების მექანიზმებს, საბაჟო ორგანოებს, საქონლის იმპორტიორებსა და ადგილობრივ მწარმოებლებს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობები ხასიათდება მნიშვნელოვანი ხარვეზებით, რომელთა აღმოფხვრაც საჭიროებს შესაბამის ღონისძიებათა სისტემის შემუშავებას. სწორედ სახელმწიფოს მიერ გატარებული ეფექტიანი საბაჟო პოლიტიკა უზრუნველყოფს ადგილობრივი წარმოებისა და ექსპორტის სტიმულირებას, შიდა ბაზრის დაცვას იმპორტული საქონლის კონკურენციისგან და ექსპორტისა და იმპორტის მოცულობების შედარებით დაბალანსებას. ამასთან, საბაჟო პოლიტიკის საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანები და მათი განხორციელების ფორმები, სწორედ, მკვეთრ წინააღმდეგობაში მოდიან ერთმანეთთან. შესაბამისად, საბაჟო პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა ხდება ურთიერთსაწინააღმდეგო პრინციპების დაბალანსება, რა დროსაც უნდა გამოვლინდეს პრიორიტეტები. ეფექტური საბაჟო პოლიტიკა თავისი შინაარსით მოქნილი და მიმდინარე ეკონომიკურ მოვლენებთან და პროცესებთან თავსებადი უნდა იყოს. შესაბამისად, საქართველოს ამჟამინდელი საბაჟო პოლიტიკა საჭიროებს ქმედით, ეფექტიან და ეროვნულ ეკონომიკაზე ორიენტირებულ ნაბიჯებს.

ლიტერატურა

1. აბელაშვილი, ნ. (2011). პროდუქციის ხარისხის აუდიტი და ექსპერტიზა საბაჟო სისტემაში. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა
2. ურიდია ბ., საერთაშორისო საბაჟო კონვენციების კომენტარები, თბილისი, 2006.
3. ურიდია გ., არახამია ფ., საბაჟო საქმის თეორია, თბილისი, 2007.
4. წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბილისი, 2007.
5. კორუფციასთან ბრძოლა საჯარო სამსახურებში – საქართველოში გატარებული რეფორმების ქრონიკა, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, თბილისი, 2012.
6. ქარუმიძე, ვ. (2002). საბაჟო საქმე. თბილისი.
7. Butterly, T 2003, 'Trade facilitation in a global trade environment', in UNECE (Ed.) Trade facilitation: the challenges for growth and development, United Nations, Geneva.

8. COM(2003)452 final 2003, Communication from the Commission to the Council, the European Parliament and the European Economic and Social Committee – a simple and paperless environment for customs and trade, European Commission, Brussels.
9. Grainger, A 2007a, 'Supply chain security: adding to a complex operational and institutional environment', World Customs Journal, vol. 1, no. 2, pp. 17-29
10. Widdowson, D & World Bank 2007, WTO negotiations on trade facilitation self assessment guide, Negotiating Group on Trade Facilitation, WTO, Geneva.
11. WTO/OECD 2008, Doha Development Agenda Trade Capacity Building Database (TCBDB), WTO, Geneva

ინტერნეტ წყაროები

1. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. www.wto.org
2. საქართველოს საბაჟო კოდექსი. (2019) თბილისი
3. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. (2019) თბილისი
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge
5. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. www.mof.gov.ge
6. საქართველოს შემოსავლების სამსახური. www.rs.ge
7. DCFTA- ის შესახებ ვებგვერდი. www.dcfta.gov.ge

ANALYSIS OF THE CUSTOMS SYSTEM OF GEORGIA: CHALLENGES OF LOCAL PRODUCTION AND DIRECTIONS OF REFORM OF THE CUSTOMS SYSTEM

George Kakhadze

*PhD student of economics PhD program
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
giorgikakhadze1994@gmail.com*

Annotation

The customs system of Georgia has undergone quite many and complex changes since independence. Part of the reforms is aimed at improving Georgia's customs policy and customs system as a result of studying and sharing the world's best practices and experience. Part of the changes is due to the membership and commitments of the organizations such as the World Trade Organization (WTO), the World Customs Organization (WCO), the United Nations conference on trade and Development (UNCTAD), etc. Also, the commitments made under the deep and comprehensive free trade agreement with the EU and the adoption of EU membership candidate status. The paper analyzes the above-mentioned reforms and their real impact on local production. The focus is on the main challenges of local production and the obstacles faced by Georgian entrepreneurs. In the current reality, it is very interesting and necessary to analyze and study the relationship that is formed between the customs policy of Georgia and local production. This will make it possible to balance conflicting principles and identify correct and timely priorities

Keywords: customs system, local production, challenges, reform directions

ვალის მფლობელთა სოციალურ-დემოგრაფიული პროფილი ხანდაზმულ მოსახლეობაში

გიგა კიკორია

ეკონომიკის დოქტორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

მონვეული ლექტორი

ანოტაცია

ეს სამეცნიერო ნაშრომი სწავლობს აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის რეგიონების ხანდაზმული მოსახლეობის ვალის მფლობელთა სოციალურ-დემოგრაფიულ პროფილს. უპირველესი მიზანია გამოავლინოს ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ შინამეურნეობების ვალის გადანაწილებებზე ამ ორ ისტორიულად და ეკონომიკურად განსხვავებულ რეგიონში, არსებული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ხარვეზის აღმოფხვრა და ხანდაზმული პირების ეკონომიკური კეთილდღეობის ნიუანსური გაგების ხელშეწყობა.

ევროპაში ჯანმრთელობის, დაბერების და პენსიაზე გასვლის კვლევის (SHARE) მონაცემების გამოყენება, კვლევა იყენებს ლოგისტიკური რეგრესიას სოციალურ-დემოგრაფიულ ცვლადებსა და დავალიანების დაფარვას შორის ურთიერთობის მოდელისთვის. კვლევის დიზაინი უზრუნველყოფს ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორების ყოვლისმომცველ გაშუქებას, მათ შორის რეგიონებს, ასაკობრივ ჯგუფს, სქესს, შინამეურნეობის ზომას, განათლებას, ოჯახურ მდგომარეობას, შეზღუდულ საქმიანობას, ეკონომიკურ აქტივობას, სახლის საკუთრებას, წმინდა სიმდიდრეს და შინამეურნეობის რისკისადმი ზიზღს.

წინასწარი დასკვნები ავლენს რთულ ნიმუშებს აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის რეგიონებში ხანდაზმულ მოსახლეობაში დავალიანების მფლობელთა სოციალურ-დემოგრაფიულ პროფილში. კვლევა ასახავს დემოგრაფიული ფაქტორების, სტრუქტურული ფაქტორების (განათლება, ეკონომიკური აქტივობა), ფსიქოლოგიური ფაქტორების (რისკებისადმი ზიზღის) და საერთო სიმდიდრის სტატუსს ვალის გადანაწილების ფორმირებაში. ევროპის რეგიონები.

საკვანძო სიტყვები: საყოფაცხოვრებო ვალი, ხანდაზმული მოსახლეობა, სოციალურ-დემოგრაფიული პროფილი, აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის რეგიონები, ეკონომიკური კეთილდღეობა, ლოგისტიკური რეგრესია, SHARE მონაცემთა ბაზა.

შესავალი

გასული ორი ათწლეულის განმავლობაში, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD, 2013) ნევრი ყველა ქვეყანაში შემოსავლებთან შედარებით, შინამეურნეობების ვალის შესამჩნევი ზრდა დაფიქსირდა. შემდგომი მცდელობები ვალის შესამცირებლად შეზღუდული იყო და მრავალ ქვეყანაში შინამეურნეობების ვალი მუდმივად იზრდებოდა. (Comelli, 2021).

საყოფაცხოვრებო ფინანსების შესახებ ლიტერატურაში, შინამეურნეობების დავალიანებამ ბოლო დროს დიდი ყურადღება მიიპყრო (Altundere, 2014; Brown et al., 2012; Cordeiro et al., 2014; Lin et al., 2019). იპოთეკური დავალიანების მაღალი დონე არა მხოლოდ ფინანსური ვარდნის კარგი პროგნოზირებადია, არამედ ის ასევე არის მთავარი მამოძრავებელი ძალა შემდგომი რეცესიის სიმძიმის უკან. შედეგად, მთლიანი ეკონომიკისთვის საჭიროა შინამეურნეობების ვალის შესწავლა. ვალი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მომხმარებელთა ეკონომიკურ კეთილ-

დღეობაში, მაგრამ თუ მისი სწორად მართვა არ ხდება, შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული ეკონომიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური პრობლემები (Xiao and Yao, 2020). სტანდარტული ეკონომიკური თეორია ზოგადად ხაზს უსვამს მუდმივი შემოსავლისა და რისკის როლს, ისევე როგორც ლიკვიდურობის შეზღუდვებს, როგორც მამოძრავებელ ძალებს ვალის დაკავების გადანეწეტილებაში. (Bricker et al., 2021).

ნაშრომებში, სადაც გამოყენებულია SHARE (Survey of Health, Aging and Retirement in Europe) მონაცემთა ბაზა, (Börsch-Supan & al, 2013) ავტორები ვარაუდობენ, რომ სოციალური კავშირები არა მხოლოდ პირდაპირ კავშირშია სესხის ალების ქცევასთან, არამედ ირიბად ასოცირდება იმ კონტექსტთან, რომელშიც ცხოვრობენ შინამეურნეოები, კონტექსტური აქცენტი. მსესხებლების სიმჭიდროვე და არა შემოსავლის უთანასწორობა (ფერნანდეს-ლოპესი; ჯამილა დაუდი, 2021). წინა კვლევებმა დიდწილად უგულებელყო სესხებით გამონეწეული ფინანსური სირთულეები. მაგალითად, ავტორები (Hiilamo, A., Grundy, E. 2020) განიხილავენ საყოფაცხოვრებო დავალიანებას და დეპრესიის სიმპტომებს ხანდაზმულებში კონტინენტური ევროპის სამ ქვეყანაში. ასევე, ოჯახის ზომასა და მამაკაცისა და ქალის მთლიანი წმინდა ღირებულების ურთიერთობამ გამოავლინა პოზიტიური ურთიერთობა და უფრო დიდი შინამეურნეოები უფრო სავარაუდოა, რომ ვალში აღმოჩნდნენ (Winkle & Monden, 2022). აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ქვეყნებში, როგორც ჩანს, საბინაო სექტორს აქვს მნიშვნელოვანი პოტენციალი, თუ გავითვალისწინებთ საცხოვრებლის საკუთრების საოცრად მაღალ მაჩვენებლებს ბევრი დასავლური ქვეყნებისგან განსხვავებით. აქედან გამომდინარე, ეს ტენდენცია გაზრდის შინამეურნეობის ვალის (Turk & Gurden, 2022).

ცვლადების განსაზღვრა

დემოგრაფიული ფაქტორები: ასაკი, სქესი და ოჯახური მდგომარეობა და ოჯახის ზომა გადამწყვეტ როლს თამაშობს ვალების შაბლონების ფორმირებაში. ამ დემოგრაფიულ ცვლადებთან დაკავშირებული ცხოვრების ეტაპები წარმოადგენენ უნიკალურ გამონეწევებს და შესაძლებლობებს ვალის მართვისთვის (Comelli, 2021).

განათლება: განათლების დონე ვლინდება, როგორც კრიტიკული ფაქტორი ოჯახებში ფინანსური ქცევის ფორმირებაში. განათლების უმაღლესი დონე ხშირად დაკავშირებულია უფრო ინფორმირებულთან ფინანსური გადანეწეტილებების მიღებას (Haq, Ismail, & Satar, 2018).

ეკონომიკური აქტივობა: ადგილობრივი და ეროვნული ეკონომიკური პირობები, დასაქმების სტატუსთან ერთად, ხელს უწყობს უფრო ფართო ეკონომიკურ კონტექსტს, რომელიც აყალიბებს ვალთან დაკავშირებულ გადანეწეტილებებს. ეკონომიკური სტაბილურობა ან რყევები გავლენას ახდენს შინამეურნეობების ვალის ტრაექტორიებზე.

ჯანმრთელობის მდგომარეობა: ფიზიკური ჯანმრთელობა, ფსიქიკური კეთილდღეობა და ინვალიდობის სტატუსი ოჯახის ვალების დინამიკის ფორმირების განუყოფელი კომპონენტებია. ჯანმრთელობასთან დაკავშირებულმა გამონეწევებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ფინანსურ სტაბილურობაზე და გავლენა მოახდინოს ვალების დაკავების გადანეწეტილებებზე (Hiilamo & Grundy, 2018). **წმინდა სიმდიდრე:** შინამეურნეობების წმინდა სიმდიდრე, ქვაკუთხედის განმსაზღვრელი, პირდაპირ გავლენას ახდენს ვალის ლანდშაფტზე. სიმდიდრის დონის ცვალებადობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ვალის შედეგების ჰეტეროგენულ ხასიათს.

საბინაო მდგომარეობა: საცხოვრებლის საკუთრება და იპოთეკური სტატუსი, მნიშვნელოვნად მოქმედებს სავალ ვალდებულებების ბუნებასა და მოცულობაზე. საბინაო დავალიანება შინამეურნეობების ფინანსური დინამიკის მნიშვნელოვანი ასპექტია. მრავალ ქვეყანაში სახლის მფლობელობის მზარდი გავრცელება გამოირჩევა, როგორც მნიშვნელოვანი მამოძრავებელი საყოფაცხოვრებო ვალების ზრდის უკან (Lewin-Epstein & Semyonov, 2016).

ფსიქოლოგიური ფაქტორები: ინდივიდუალური ფსიქოლოგიური თვისებები, როგორიცაა რისკისადმი ზიზღი და კონკრეტული ფინანსური დამოკიდებულებები და ქცევები, გვთავაზობს ხედვას იმ შემეცნებით ასპექტებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ ვალის დაკავებაზე. ქცევითი ეკონომიკის პრინციპები ანათებს ვალის ფსიქოლოგიურ განზომილებებს.

რეგიონი: გავლენა შინამეურნეობების ვალზე აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის რეგიონებში იყო მეცნიერული კვლევის საგანი, სხვადასხვა კვლევებით, რომლებიც ნათელს ჰფენენ განსხვავებულ განმსაზღვრელ ფაქტორებს, რომლებიც აყალიბებენ ფინანსურ ქცევას ამ გეოგრაფიულ კონტექსტში (Chmelar, 2013). მოკლედ, ზემოთ ჩამოთვლილი განმსაზღვრელი, SHARE მონაცემთა ბაზიდან გამომდინარე, ხაზს უსვამს შინამეურნეობების ვალების მრავალ-განზომილებიან ბუნებას. მკვლევარები, რომლებიც იყენებენ SHARE-ს მონაცემებს, ხელს უწყობენ ამ განმსაზღვრელთა ურთიერთქმედების ნიუანსების გაგებას.

კვლევის ჰიპოთეზები

ჩვენ შემოვიღეთ ჰიპოთეზები, რათა გვეჩვენებინა, თუ როგორ მოქმედებს ვალის დაკავებაზე მოქმედი ფაქტორები. ლიტერატურის მიმოხილვის შემდეგ ჩვენ ჩამოვყალიბეთ კვლევის ირგვლივ არსებული ჰიპოთეზები შემდეგნაირად:

H₁ აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში, როდესაც მხედველობაში მიიღება დემოგრაფიული ფაქტორები, ჩვენ ველით, რომ მათ აქვთ უფრო მაღალი ალბათობა, რომ ჰქონდეთ დავალიანება.

H₂ აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში მხედველობაში მიიღება უმაღლესი განათლების მქონე პირები და აქტიური ეკონომიკური მონაწილეობით, უფრო მაღალია ვალის არსებობის ალბათობა.

H₃ აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში, ავადმყოფთა უფრო მაღალი პროპორციების არსებობა ამცირებს ვალის დაკავების ალბათობას.

H₄ აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში, შედარებით დაბალი წმინდა სიმდიდრემ შეიძლება შეამციროს ვალის დაკავების ალბათობა.

H₅ აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში რისკისადმი მიდრეკილების ფსიქოლოგიური ფაქტორი უფრო მეტად მუშაობს და ამით ამცირებს ვალის არსებობის ალბათობას.

თითოეული ჰიპოთეზის შესამოწმებლად, ჩვენ გადაწყვიტეთ აგვეშენებინა ლოგისტიკური რეგრესიის მოდელი.

მეთოდოლოგია და შედეგები

ეს სამეცნიერო ნაშრომი იყენებს ევროპაში ჯანმრთელობის, დაბერების და პენსიაზე გასვლის კვლევის (SHARE) (Börsch-Supan & al, 2013), ვრცელი ეროვნული პანელის მონაცემთა ბაზა. კვლევა ფოკუსირებულია 50 წელზე უფროსი ასაკის პირებზე ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში და ისრაელში, რაც უზრუნველყოფს სოციალურ-დემოგრაფიული ინფორმაციის მდიდარ წყაროს. SHARE-ის მულტიდისციპლინური დიზაინი ხელს უწყობს პიროვნულ და სოციალურ მახასიათებლებსა და მათ გავლენას ფინანსურ გადაწყვეტილებების მიღებაზე შორის რთული ურთიერთქმედების შესწავლას. ეს კვლევა ცდილობს ხელი შეუწყოს ცოდნის არსებულ ნაწილს სრულყოფილ მოსახლეობაში ფინანსური გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულ ნიუანსურ დინამიკაზე ნათელყოფით, SHARE-ის მიერ მოწოდებული ყოვლისმომცველი და მრავალ-ფეროვანი მონაცემთა ნაკრების საფუძველზე.

SHARE-ის მეშვიდე ტალღა წარმოადგენს დღემდე ყველაზე სრულყოფილ მონაცემთა ბაზას. 2016 წელს განხორციელებულმა ამ ტალღამ განიცადა საჭირო კორექტირება, მათ შორის ფუ-

ლის მართვასთან დაკავშირებული სირთულეები, რისკისადმი ზიზღი, ეკონომიკური აქტივობა და სახლის საკუთრება. ამ ცვლადებში დაკარგული მნიშვნელობების არსებობამ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი მიკერძოება და გამოიწვიოს ინფორმაციის მნიშვნელოვანი დაკარგვა.

ამ გამოწვევების შესამსუბუქებლად, ჩვენ გამოვიყენეთ ინფორმაცია იმ პირებისთვის, რომლებმაც პასუხი გასცეს კითხვას. კონკრეტულად, დაკარგული მონაცემები „რისკის მიდრეკილება“ შესახებ აისახა მეოთხე-მეშვიდე ტალღაში შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე. ცვლადი „სუფთა სიმდიდრე“, რომელიც მომდინარეობს კვლევის ანგარიშგების მოდულიდან, გამოყენებული იქნა შინამეურნეოების შემოსავლის ცვლადში დაკარგული მონაცემების შესავსებად.

შედეგად მიღებული მონაცემთა ნაკრები, ამ დარიცხვის პროცედურების შემდეგ, მოიცავდა 77,261 ინდივიდს, რომლებიც ცხოვრობდნენ 19 ქვეყანაში. ეს კორექტირება და მინიჭება განხორციელდა სიზუსტით, რათა გაზარდოს მონაცემების სისრულე და სანდოობა, რითაც უზრუნველყოფილი იყო შემდგომი ანალიზებისა და ინტერპრეტაციების სიმტკიცე.

მოდელის სპეციფიკაცია

ნაშრომში გამოყენებულია ბინარული დამოკიდებული ცვლადი „სამომხმარებლო ვალი“ (1 „დიახ“ და 0 „არა“) და დამოუკიდებელი ცვლადები დემოგრაფიული და სოციალური ფაქტორების ჩათვლით. აქედან გამომდინარე, ჩვენ გამოვიყენეთ ლოგისტიკური რეგრესიის მოდელი, რომელიც აფასებს სამომხმარებლო დავალიანების ლოგიკურ შანსებს, როგორც დამოუკიდებელი ცვლადების ხაზოვანი კომბინაცია. როგორც ორობითი ლოჯიტის მოდელი ჩვეულებრივ ეხება საკითხს, რამდენად სავარაუდოა დაკვირვება მიეკუთვნებოდეს თითოეულ ჯგუფს (Malhotra, Nunan, & Birks, 2017).

ლოგისტიკური რეგრესიის მოდელის ზოგადი ფორმულა შემდეგია:

$$\text{logit}(P(Y=1)) = \beta_0 + \beta_1 \cdot \text{ასაკობრივი ჯგუფი}_i + \beta_2 \cdot \text{სქესი}_i + \beta_3 \cdot \text{ოჯახური მდგომარეობა}_i + \beta_4 \cdot \text{ოჯახის ზომა}_i + \beta_5 \cdot \text{განათლება}_i + \beta_6 \cdot \text{ეკონომიკური აქტივობა}_i + \beta_7 \cdot \text{ჯანმრთელობის შეზღუდვა}_i + \beta_8 \cdot \text{წმინდა სიმდიდრე}_i + \beta_9 \cdot \text{სახლის საკუთრება}_i + \beta_{10} \cdot \text{რისკის მიდრეკილება}_i + \beta_{11} \cdot \text{რეგიონი}_i + \epsilon$$

სადაც:

$\text{logit}(\cdot)$ არის log-odds ფუნქცია, რომელიც განსაზღვრულია როგორც $\log \frac{p}{1-p}$.

$P(Y=1)$ არის სამომხმარებლო დავალიანების არსებობის ალბათობა.

ϵ - ინდივიდის ინდექსი.

ϵ – შემთხვევითი შეცდომა/შეუმჩნეველი ეფექტი.

დასკვნა

ეს კვლევა მიზნად ისახავს შეისწავლოს ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სამომხმარებლო ვალზე ევროპის რეგიონებში, ემპირიული მოდელების გამოყენებით. თავდაპირველმა ანალიზმა აჩვენა, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ფიზიკურ პირებს უფრო მეტად აქვთ სამომხმარებლო ვალები, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. თუმცა, ეს რეგიონალური ეფექტი შემცირდა, როდესაც დემოგრაფიული ცვლადები შემოვიდა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ასაკი, სქესი, ოჯახური მდგომარეობა და ოჯახის ზომა უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს. კერძოდ, ახალგაზრდა პირებს, მამაკაცებსა და დაქორწინებულებს უფრო მაღალი შანსები აჩვენებს არსებული ლიტერატურის შესაბამისად.

სტრუქტურული ცვლადების ჩართვამ, როგორიცაა განათლება და ეკონომიკური აქტივობა, კიდევ უფრო დახვეწა ჩვენი გაგება. უმაღლესი განათლების დონე და ეკონომიკურად აქტიურობა დადებითად იყო დაკავშირებული ვალების დაკავებასთან. ეს ხაზს უსვამს ვალის დინამიკის სირთულეს, სადაც განათლების მიღწევა და ეკონომიკური ჩართულობა ზრდის ვალისაღმომიდრეკილებას.

ჯანმრთელობის მდგომარეობა, განსაკუთრებით აქტივობის შეზღუდვა, გადამწყვეტი ფაქტორი იყო. აქტივობის შეზღუდვის გარეშე პირებს ნაკლებად ჰქონდათ ვალები, რაც ხაზს უსვამს ჯანმრთელობასა და ფინანსურ ქცევებს შორის ურთიერთკავშირს. ეს აღმოჩენა ემთხვევა ლიტერატურას, რომელიც ვარაუდობს, რომ ვალმა შეიძლება გააუარესოს ჯანმრთელობის პრობლემები.

ეკონომიკური ცვლადები, მათ შორის წმინდა სიმდიდრე და საცხოვრებლის საკუთრება, გამოავლინა უარყოფითი ურთიერთობა ვალთან. უფრო მდიდარ პირებს და სახლის მესაკუთრეებს ნაკლებად ჰქონდათ ვალები, რაც ვარაუდობს, რომ ფინანსური სტაბილურობა ამცირებს სესხის აღების საჭიროებას. ეს ემთხვევა ჰიპოთეზას, რომ ეკონომიკური უსაფრთხოება ამცირებს მომხმარებლის ვალზე დამოკიდებულებას.

და ბოლოს, რისკისაღმომიდრეკილების ფსიქოლოგიურმა განზომილებამ აჩვენა, რომ რისკისაღმომიდრეკილი პირები უფრო მეტად იღებენ ვალს, განსხვავებით ზოგადი ვარაუდისგან, რომ რისკის მიმღებები უფრო მიდრეკილნი არიან სესხის აღებისკენ. ეს დამაინტრიგებელი შედეგი მიუთითებს ფინანსური გადანყვებილების მიღების სირთულეზე, სადაც რისკისაღმომიდრეკილი ზიზღმა შეიძლება აიძულოს ინდივიდები, უზრუნველყონ სესხი, როგორც პრევენციული ღონისძიება.

მოკლედ, ჩვენი ყოვლისმომცველი მოდელის ანალიზი ადასტურებს, რომ დემოგრაფიული, სტრუქტურული, ჯანდაცვის, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორები რთულად მოქმედებს სამომხმარებლო დავალიანებაზე. ეს დასკვნები იძლევა ღირებულ შეხედულებებს პოლიტიკის შემქმნელებისთვის და ფინანსური ინსტიტუტებისთვის, რომლებიც მიზნად ისახავს ვალთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას და ფინანსური სტაბილურობის მხარდაჭერას ევროპის სხვადასხვა რეგიონში.

ლიტერატურა

1. BIBLIOGRAPHY Alfaro, R., & Gallardo, N. (2012). The Determinants of Household Debt Default. *Economic Analysis Review* , 27-54.
2. Bartsch, F., Buhlmann, F., Kirschenmann, K., & Schmidt, C. (2021). *Is There a Need for Reverse Mortgages in Germany? Empirical Evidence and Policy Implications*. Munich: EconPol Policy Reports.
3. Bonnet, C., Juin, S., & Laferrère, A. (2019). Private Financing of Long Term Care: Income, Savings and Reverse Mortgages. *Economics and Statistics* , 5-24.
4. BSrsch-Supan, A., & al, e. (2013). Data Resource Profile: the Survey of Health, Aging and Retirement in Europe (SHARE). *International Journal of Epidemiology* , 992-1001.
5. Callegari, J., Liedgren, P., & Kullberg, C. (2019). Gendered debt – a scoping study review of research on debt acquisition and management in single and couple households. *European Journal of Social Work* , 742-754.
6. Chmellar, A. (2013). *Household Debt and the European Crisis*. Brussels: European Credit Research Institute.
7. Comelli, M. (2021). The impact of welfare on household debt. *Sociological Spectrum Mid-South Sociological Association* , 154-176.
8. Daoudi, D., Fernández-López, S., Rey-Ares, L., & Castro-González, S. (2019). The Influence of Sociability over Non-Mortgage Debt. *Economics and Sociology* , 313-330.

9. French, D., & Vigne, S. (2019). The causes and consequences of household financial strain: A systematic review. *International Review of Financial Analysis* , 150-156.
10. Haq, W., Ismail, NA, & Satar, NM (2018). Household debt in different age cohorts: A multilevel study. *Cogent Economics & Finance* , 2332-2039.
11. Hiilamo, A., & Grundy, E. (2018). Household debt and depressive symptoms among older adults in three continental European countries. *Aging & Society* , 412-438.
12. Egan, D., Leigh, D., Simon, J., & Topalova, P. (2013). *Dealing with Household Debt*. International Monetary Fund.
13. J. Herbers, D., H. Mulder, C., & Mfdenes, JA (2014). Moving Out of Home Ownership in Later Life: The Influence of the Family and Housing Careers. *Housing Studies* , 910-936.
14. Kalm, K., kpazkovő, P., Sjkora, J., & kpazek, O. (2023). Housing estates' trajectories in post-socialist countries: Similarities and differences of Estonian and Czech cities. *Cities* , 104209.
15. Keese, M. (2012). Who feels constrained by high debt burdens? Subjective vs. objective measures of household debt. *Journal of Economic Psychology* , 125-141.
16. Lewin-Epstein, N., & Semyonov, M. (2016). Household debt in midlife and old age: A multinational study. *International Journal of Comparative Sociology* , 151-172.
17. Malhotra, N., Nunan, D., & Birks, D. (2017). *Marketing research: an applied approach*. Harlow: Pearson Education Limited.
18. Nakajima, M., & Telyukova, IA (2013). Housing in Retirement Across Countries. *Center for Retirement Research at Boston College* .
19. Teresa, M., Garcia, M., & Figueira, R. (2020). Determinants of homeownership in Europe – an empirical analysis based on SHARE. *International Journal of Housing Markets and Analysis* .
20. Turk, S., & Gurden, B. (2022). No home for poor men: a comparative study of household debt and homeownership in Denmark and Turkey. *Journal of Housing and the Built Environment* , 2239-2261.
21. Winkle, ZV, & Monden, C. (2022). Family Size and Parental Wealth: The Role of the Family. *European Journal of Population* , 401-428.

SOCIO-DEMOGRAPHIC CHARACTERISTICS OF ELDERLY DEBT HOLDERS

Giga Kikoria

Ivane Javakhishvili Tbilisi State

University Invited Lecturer

Doctor of Economics

Abstract

This scientific paper studies the socio-demographic profile of debt holders of the elderly population of Eastern and Western European regions. The primary goal is to identify the factors influencing household debt decisions in these two historically and economically diverse regions, addressing an important gap in the existing literature and contributing to a nuanced understanding of the economic well-being of older adults.

Using data from the Survey of Health, Aging and Retirement in Europe (SHARE), the study uses logistic regression to model the relationship between socio-demographic variables and debt repayment. The survey design provides comprehensive coverage of key determinants, including region, age group, gender, house-

hold size, education, marital status, limited employment, economic activity, home ownership, net wealth, and household risk aversion.

Preliminary findings reveal complex patterns in the socio-demographic profile of debt holders among older populations in Eastern and Western European regions. The study explores the role of demographic factors, structural factors (education, economic activity), psychological factors (risk aversion) and overall wealth status in shaping debt decisions. European regions.

Keywords: *household debt, elderly population, socio-demographic profile, Eastern and Western European regions, economic well-being, logistic regression, SHARE database.*

სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები ევროინტეგრაციის გზაზე

თამარ ლაზარიშვილი

ასისტენტ-პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

tamar.lazariashvili@tsu.ge

ანოტაცია

სოფლის მეურნეობა ქვეყნის ეკონომიკისთვის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს. სექტორის განვითარება მნიშვნელოვანია როგორც ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების განსამტკიცებლად, ასევე რეგიონების განვითარებისა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური პირობებისა და ზოგადი კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. სტატიაში განხილულია სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები ევროინტეგრაციის გზაზე, დასაბუთებულია სექტორის მნიშვნელობა ეკონომიკურ ზრდასა და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. გაანალიზებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში არსებული მდგომარეობა, გამოვლენილია ხელშემშლელი ფაქტორები, რომლებიც აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარებას საქართველოში. ნაშრომის ბოლოს შემუშავებულია დასკვნები და შემოთავაზებულია რეკომენდაციები სოფლის მეურნეობის პერსპექტივების განვითარებისათვის.

საკვანძო სიტყვები: სოფლის მეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ეკონომიკური სარგებელი, განვითარების პერსპექტივები.

პრობლემის აქტუალობა

სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პროცესში და უზრუნველყოფს როგორც ეკონომიკური, ასევე, გარემოსდაცვითი და სოციალური სარგებლის ზრდას. ეკონომიკური სარგებელი შესაძლებელია იყოს: სასოფლო-სამეურნეო სექტორსა და მომიჯნავე დარგებში წარმოების ზრდით გამოწვეული მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა, პროდუქტის ან მომსახურების დივერსიფიკაცია, ეკონომიკური რისკების მართვის გაუმჯობესება, რისკების შემცირება, თანამედროვე მწვანე ტექნოლოგიების გამოყენებით ინოვაციური ზრდა და სხვა. სოფლის მეურნეობაში ტექნოლოგიური პროცესები მჭიდროდ არის დაკავშირებული მიწასთან, როგორც წარმოების ძირითად საშუალებასთან. ამასთან გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებით 2050 წელს მოსახლეობა 9,6 მილიარდი იქნება, რის გამოც მსოფლიოში სურსათის წარმოება 70%-ით მაინც უნდა გაიზარდოს, რაც სოფლის მეურნეობის სექტორს მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აყენებს (Lazariashvili, 2024).

დღეისათვის სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებას ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ევროპულ ქვეყნებში, მიუხედავად იმისა, რომ სექტორის წილი მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურაში დროში შემცირების ტენდენციით ხასიათდება, ზოგადად ეფექტიანობის მაჩვენებლები დარგში ზრდადია. მიუხედავად იმისა, რომ სექტორში ძირითადი კონკურენტები იმპორტიორები არიან, ქართული სასოფლო სამეურნეო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის გაზრდა უნდა მოხდეს საექსპორტო პოტენციალის ამაღლებით. ქართული სასოფლო სამეურნეო პროდუქტები, როგორიცაა: ღვინო, თხილი, ჩაი,

ციტრუსები, ზოგიერთი სხვა ხილი, აგრეთვე მეფუტკრეობის პროდუქტები, აქვთ შესაძლებლობა მოიპოვონ საკუთარი ნიშა მსოფლიო ბაზარზე, რისთვისაც საჭიროა სწორი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისა და მსოფლიო ბაზარზე ქართული პროდუქტის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობისათვის (Erkomaishvili et al., 2017).

ევროპასთან სიახლოვე და განვითარებული სატრანსპორტო კავშირები ევროპასა და სხვა რეგიონებთან, ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მოსახლეობის ზრდის ტენდენცია კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ამ სფეროს განვითარებისადმი ინტერესს და მნიშვნელობას (ლაზარიაშვილი, 2022).

საქართველოში სასოფლო სამეურნეო პროდუქტების წარმოება ტრადიციული სფეროა, მისი წარმოების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია: სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შემუშავება; სახელმწიფოს ხელშეწყობა ფერმერების მხარდაჭერის კუთხით და ასევე, მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ჩართულობის უზრუნველყოფა; უცხოური ინვესტიციებისა და ინვესტორთა გამოცდილების გამოყენება ტრადიციული დარგების (როგორცაა მაგ: მევენახეობა, მეციტრუსეობა, მეფრინველეობა, მებოსტნეობა, აგროტურიზმი).

კვლევის მიზანია საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების ძირითადი გამოწვევების გამოვლენა და პერსპექტიულ მიმართულებებზე რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის სხვადასხვა თეორიულ-მეთოდოლოგიური ინსტრუმენტი, კერძოდ, შეფასებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს ეკონომიკური პროფილის სამინისტროების მონაცემები, ასევე, შესწავლილია პრობლემასთან დაკავშირებული ანგარიშები და ვებ გვერდებზე განთავსებული მასალები. გაანალიზებულია სამეცნიერო ნაშრომები, გამოყენებულია ანალიზის, სინთეზის, შედარების, ინდუქციისა და სხვა მეთოდი. გამოვლენილია საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორები.

ბოლო პერიოდში გამოიკვეთა მთლიან შიგა პროდუქტში ამ დარგის წილის შემცირების ტენდენცია. 2023 წელის მონაცემებით, სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში 6.9% იყო, მაშინ როცა 2022 წელს ეს მაჩვენებელი 7.6%-ს შეადგენდა, 2021 წელს – 8.3%, ხოლო 2020 წელს 9.5%-ს. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი შინამეურნეობების ფულად შემოსავლებში 2023 წელს 5.3%-ს შეადგენდა, მაშინ როცა 2022 წელს, ეს მაჩვენებელი 6.5% იყო, 2021 წელს კი 6.3% (Agriculture of Georgia, 2023).

მონაცემები აჩვენებს, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი მთლიანი შიგა პროდუქტის შედარებით მცირე რაოდენობას აწარმოებს. საქართველოში დღესაც მოსახლეობის უმეტესობა სოფლად ცხოვრობს, თუმცა, ამ რაოდენობის პროპორციული არ არის სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში. დარგში დაბალია მწარმოებლურობა, ფერმების უმეტესობა წვრილმასშტაბურია, მცირეა შემოსავლები (Kharaishvili & Lobzhanidze, 2024).

საქართველოში დღესაც მოსახლეობის უმეტესობა სოფლად ცხოვრობს, თუმცა, ამ რაოდენობის პროპორციული არ არის სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში. დარგში დაბალია მწარმოებლურობა, ფერმების უმეტესობა წვრილმასშტაბურია, მცირეა შემოსავლები (Kharaishvili & Lobzhanidze, 2024).


საქართველოს სოფლის მეურნეობაში შექმნილი დამატებული ღირებულება ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის მოგვარებას. გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკის მთავარ პრობლემად კვლავ მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა განიხილება, რაც ძირითადად მაღალმწარმოებლური სოფლის მეურნეობის განვითარე-

ბით უნდა გადაიჭრას. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მიერ ბოლო წლებში განხორციელდა სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერი არაერთი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მხარდაჭერას და მენარმეთა წახალისებას. ქვეყანას ამ კუთხით აქვს დიდი პოტენციალი, სწორად წარმართული პოლიტიკის განხორციელების შემთხვევაში. მაგალითად, საქართველოში თხილი ერთ ერთი ფართოდ დანერგილი და გავრცელებული კულტურაა, რომლის ექსპორტიც წარმატებით ხორციელდება. თხილისგან განსხვავებით, რომელიც საქართველოს ერთ-ერთი მთავარი საექსპორტო პროდუქტია, ქვეყანაში კაკლის დეფიციტია. საქართველოში წელიწადში, დაახლოებით, 700-900 ათასი დოლარის კაკლის იმპორტი ხორციელდება. ამავე დროს, 1 ჰა-ზე საშუალო მოგება კაკლის ახალი ჯიშის, ჩანდლერის გაშენების შემთხვევაში – 7 ათასი ლარია.

საქართველოს მსგავსი ქვეყნებისათვის სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების განვითარება აუცილებელია ეკონომიკური ზრდისთვის.

დღეისათვის, საქართველოს მოსახლეობის 40%-ზე მეტი სოფლად მცხოვრებია, რომელთა შემოსავლის ძირითად წყაროსაც სოფლის მეურნეობის საქმიანობა წარმოადგენს. კერძოდ, 2023 წლის მონაცემებით, სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებულთა 17.9%-ია რეგისტრირებული. ამ პირთა უმრავლესობა მცირე ფერმერად ითვლება და მათი შემოსავლების მეოთხედი ძირითადად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან იქმნება, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სოფლის მეურნეობის დარგის მნიშვნელობას ქვეყნისათვის. ამასთანავე, გაცილებით მაღალია დარგში არაოფიციალური დასაქმების მაჩვენებელი, რამდენადაც სოფლად შინამეურნეოების უმეტესობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი წარმოებით მიღებულ შემოსავლებზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომ, სახელმწიფოსთვის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტია, 2012 წლიდან დღემდე, სოფლის მეურნეობა ტრანსფორმაციის გზას გადის. განხორციელდა უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო და ინსტიტუციური რეფორმები, დაიწყო და გაფართოვდა სახელმწიფო პროგრამები, მნიშვნელოვნად გაიზარდა დარგობრივი სამინისტროს საბიუჯეტო დაფინანსება. დღეის მდგომარეობით, ერთიანი აგროპროექტის ქოლგის ქვეშ 15-ზე მეტი ძირითადი და სეზონური სახელმწიფო პროექტი ხორციელდება. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში ქართული კანონმდებლობა დაახლოვდა ევროკავშირის 180-ზე მეტ სამართლებრივ აქტთან, რამაც განაპირობა ადგილობრივი პროდუქციის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობა და ხელი შეუწყო ქართული სასოფლო სამეურნეო პროდუქტების ექსპორტს ევროკავშირის ქვეყნებში. 2023 წლის ბოლოსთვის, ევროპის ბაზარი გახსნილი იყო თაფლისა და თაფლის პროდუქტებისთვის, ლოკოკინებისთვის, შავი ზღვის თევზისა და თევზის პროდუქტებისთვის, ასევე დამუშავებული ტყავისა და მატყლის, ცხოველის საკვებისთვის. საქართველოს მთლიანი ექსპორტის მაჩვენებელი 2024 წლის იანვარ-თებერვლის პერიოდში 12%-ით შემცირდა 2023 წლის იმავე პერიოდთან შედარებით (915 მლნ აშშ დოლარიდან – 803 მლნ აშშ დოლარამდე). სხვა საექსპორტო კატეგორიებისგან განსხვავებით, აგრო ექსპორტი 22%-ით გაიზარდა და 2023 წელს არსებული 179 მლნ აშშ დოლარიდან 217 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა 2024 წელს. მთლიანობაში, აგრო ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში 2024 წელს 2023 წელს არსებული 20%-დან 27%-მდე გაიზარდა (იხ. დიაგრამა 1).

საქართველოს მთლიანი აგრო ექსპორტი და
იმპორტი 2023-2024 წლებში (მლნ აშშ დოლარი)



წყარო: ISET, 2024

მთლიანი ქართული ექსპორტისგან განსხვავებით, მთლიანი იმპორტი 4%-ით გაიზარდა და 2023 წელს არსებული 2,184 მლნ აშშ დოლარიდან 2024 წელს 2,261 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა. აგრო პროდუქტების იმპორტი 12%-ით გაიზარდა და 2023 წელს არსებული 258 მლნ აშშ დოლარიდან 2024 წელს 290 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მთლიანობაში, აგრო იმპორტის წილი მთლიან იმპორტში 2024 წელს 2023 წელს არსებული 12%-დან 13%-მდე გაიზარდა.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული პოზიტიური შედეგებისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი კვლავ მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, რომელთაგან ზოგიერთი ეგზისტენციალურია. მთავარი გამოწვევაა კლიმატის ცვლილება, რომელიც საფრთხეს უქმნის ნიადაგის გაუდაბნობას, მარილიანობის მატებას, წყალდიდობებს, გვალვებს და სხვა სახეობის კონფრონტაციებს (ხარაიშვილი ე. 2023). კონფრონტაციის ნეგატიური ზემოქმედება თავის მხრივ ამწვავებს სასურსათო უსაფრთხოების პრობლემებს, განსაკუთრებით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. ამ პირობებში წარმოების ზრდისა და ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალი ამ ქვეყნებისთვის იქნება ინოვაციების დანერგვა, მათ შორის ციფრული ტექნოლოგიებისა და პლატფორმების გამოყენება.

2023 წლის მონაცემებით, სოფლის მეურნეობის, მეტყვევობისა და თევზჭერის სექტორების წილი მთლიანი შიდა პროდუქტში (მშპ) მხოლოდ 6.9%-ს შეადგენდა. მცირემიწიანობა, მცირე-მოსავლიანობა, თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ინოვაციურ მეთოდებზე დაბალი ხელმისაწვდომობა, განათლებისა და ცოდნის დაბალი დონე, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის სირთულეები ეს ყოველივე დღესაც მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან რეაგირებას. ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე, საქართველო ინსტიტუციურ რეფორმებს ახორციელებს, რათა სათანადოდ მოამზადოს სახელმწიფო უწყებები ამ მნიშვნელოვანი გარდაქმნისთვის. სოფლის განვითარებისა და სოფლის მეურნეობის სექტორი ამ მხრივ საყურადღებო ადგილს იკავებს.

ქვეყნის მთავარ პრიორიტეტებად რჩება: სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის ზრდა და იმპორტზე დამოკიდებულების შემცირება, სოფლად ცხოვრების დონის ამაღლება და ეკონომიკური აქტიურობის ზრდის ხელშეწყობა, ფერმერული მეურნეობების აღრიცხვიანობა და მონიტორინგი; ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მონიტორინგი; ბიოუსაფრთხოება; სურსათის უვნებლობა და სურსათის მიკვლევადობა; გამოწვევები პროდუქციის ექსპორტის ნაწილში ტექნიკური რესურსების მხრივ და კრიზისების მართვა და სხვა.

ბუნებრივია, საქართველოს მკვეთრი ჩამორჩენა სხვა მონინავე ქვეყნებთან შედარებით ერთ ჰა მიწის ფართობზე მიღებული მოსავლის მაჩვენებლით, სათანადო ცოდნისა და კვალიფიკაციის ნაკლებობით და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის დაბალი მაჩვენებლითაა

განპირობებული. ბუნებრივია, ტექნოლოგიების დანერგვა ნებისმიერ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, სოფლის მეურნეობაში უდიდეს გავლენას მოახდენს ეკონომიკაზე: გააუმჯობესებს ტექნოლოგიურ ბაზას, შეიქმნება თანამედროვე ტექნიკითა და მეთოდოლოგიებით აღჭურვილი საწარმოები, მოხდება არსებული გადაძაბვა, კვალიფიციური ამაღლება, გაუმჯობესდება მართვის სისტემები და სხვა (Lazariashvili, T. 2024).

2023 წელთან შედარებით, ღვინის ექსპორტი 15%-ით გაიზარდა. ექსპორტირებული პროდუქციის მეორე ყველაზე მსხვილ კატეგორიაში შედიოდა არადენატურიებული ეთილის სპირტი, ალკოჰოლური სასმელები, ლიქიორები და სხვა ალკოჰოლური სასმელები, რომელთა ექსპორტმა 35,1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ აგრო ექსპორტის მთლიანი მაჩვენებელი 22%-ით გაიზარდა, ტყის თხილისა და სხვა თხილეულის ექსპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა (22%) წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 2024 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 12,8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა). თუმცა ტყის თხილისა და სხვა თხილეულის წილი მთლიანი ექსპორტის მაჩვენებელში არ შეცვლილა და კვლავ 6% შეადგინა.

სოფლის მეურნეობის დარგის განვითარება, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, აუცილებელია ეკონომიკური ზრდისთვის. დადგენილია, რომ მშპ-ში სოფლის მეურნეობის დარგის ეკონომიკური ზრდა გაცილებით მეტად ამცირებს სიღარიბეს, ვიდრე სხვა დარგისა (Giovannucci et al., 2012).

საქართველოს სოფლის განვითარება ევროკავშირის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რომელიც სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის, ENPARD-ის მეშვეობით ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ პროგრამა „ENPARD – საქართველო“ უკვე ათი წელია მიმდინარეობს. ENPARD-ის ფარგლებში, საქართველომ მოახდინა სოფლის განვითარების ინსტიტუციური, საკანონმდებლო და ადმინისტრაციული სისტემების ჰარმონიზება ევროკავშირის სოფლის მეურნეობის ერთიან პოლიტიკასთან, ENPARD-ის ფარგლებში ევროკავშირის დახმარება შემდეგ ძირითად საკითხებს ითვალისწინებს:

- სოფლის მეურნეობის ინსტიტუტების ეფექტიანობის გაუმჯობესება და მათი დახმარება სოფლის მეურნეობის სექტორის რეფორმირების პროცესში;
- სოფლად დასაქმებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება მცირე ფერმერული კოოპერატივების გაძლიერებით და რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით;
- სოფლად სოციალური და ეკონომიკური შესაძლებლობების დივერსიფიკაციის ხელშეწყობა, განსაკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდების ჩართულობით, გარემო პირობების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვით.

დასკვნა

და ბოლოს, დასკვნის სახით, შეიძლება ავლნიშნოთ, რომ სოფლის მეურნეობის სექტორს უმნიშვნელოვანესი როლი აქვს ქვეყნებისა და მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდაში და საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების გზაზე. ისიც აღსანიშნავია, რომ დღეს საქართველოს ეს სექტორი ახალი გამოწვევების წინაშე დგას, რომელთა გადაჭრა აუცილებელია განვითარების პერსპექტივების მიზნების მიღწევაში. ევროკავშირის ბაზარზე შესვლის ნებადართვის მისაღებად, საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტებმა უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი ძირითადი მოთხოვნები:

- პროდუქტის ინგრედიენტები უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის მოთხოვნებს;
- ექსპორტიორს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია როგორც წარმოების სრულ ჯაჭვზე, ასევე ყველა შესაბამის ლაბორატორიულ ტესტზე, რომელიც საჭიროა მათი პროდუქციის უსაფრთხოების დასადაგენად.
- ევროკავშირში არსებული კონტროლის მექანიზმების მსგავსი სისტემის (ინსპექტირება, ზედამხედველობა, მონიტორინგი და ა.შ.) დანერგვა საჭირო იქნება საქართველოში.

ლიტერატურა

1. ლაზარიშვილი, თ. (2024). „ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობები სოფლის მეურნეობაში (საქართველოში)“. საერთაშორისო მულტიდისციპლინური კონფერენცია „ინოვაციური მიდგომები მეცნიერებაში“, 19-20 ოქტომბერი, თურქეთი.
2. ლაზარიშვილი, თ. (2024). „ციფრული ტექნოლოგიების განვითარების შესაძლებლობები საქართველოს სოფლის მეურნეობაში“ საერთაშორისო მულტიდისციპლინური კონფერენცია „თანამედროვე გამოწვევები მეცნიერებასა და ინოვაციებში“ 22-23 ივნისი, იმერეთი
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2024). საქონლით საგარეო ვაჭრობა. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/765/sakonlit-sagareo-vachroba>
4. Giovannucci, D., Scherr, S., Nierenberg, D., Hebebrand, C., Shapiro, J., Milder, J. & Wheeler, K. (2012). Food and Agriculture: The future of sustainability
5. Erkomashvili, G., Kobalava, M., Lazariashvili, T., & Saghareishvili, M. (2017). Consumer Market of Agricultural Products and Agricultural Policy in Georgia. Proceedings of Conference: International Conference on Economics, Business and Marketing, Barcelona, Spain
6. ISET (2024). Agro Review. https://iset-pi.ge/images/AGRIIndex/Agri_Review/2020_AgriReview_December_GEO.pdf
7. Kharaishvili, E., & Lobzhanidze, N. (2024). Digital Transformation in Small and Medium-sized Enterprises: New Approaches and Challenges (focus: agricultural sector of Georgia). Medicon Agriculture & Environmental Sciences, 6(1). Article Type: Research Article ISSN: 2972-2691
8. ხარაიშვილი ე. (2023). კონფრონტაციის გავლენა აგროსასურსათო წარმოებაზე: გაურკვევლობა და მოლოდინები. საქართველოს ეკონომისტთა V ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს ეკონომიკის პოზიციონირება კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში“. 8 სექტემბერი, თბილისი 2023. V ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის კრებული.

AGRICULTURAL DEVELOPMENT PROSPECTS ON THE PATH OF EUROINTEGRATION

Tamar Lazariashvili

Assistant Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

tamar.lazariashvili@tsu.ge

Annotation

Agriculture is an important sector for the country's economy. The development of the sector is significant both for strengthening the country's food security and for the development of regions and improving the socio-economic conditions and general well-being of the rural population. This article discusses the prospects for agricultural development on the path of Eurointegration, substantiating the sector's importance for economic growth and the improvement of the population's well-being. The current state of Georgia's agricultural sector is analyzed, and the inhibiting factors that hinder agricultural development in Georgia are identified. At the end of the paper, conclusions are drawn, and recommendations are provided for the development of agricultural prospects.

Keywords: agriculture, agricultural products, economic benefits, development prospects.

წყალბადის ენერგეტიკული პოლიტიკის აქტუალური საკითხები მწვანე ენერგეტიკის კონტექსტით (აშშ-ს და ევროკავშირის მაგალითზე)

ეკა ლეკაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი,
სამრეწველო პოლიტიკის კვლევის
ცენტრის ხელმძღვანელი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია მოწინავე სამეცნიერო კვლევების ანალიზის შედეგები, რომლებიც უკავშირდება წყალბადის ენერგეტიკული პოლიტიკის აქტუალურ საკითხებს მწვანე ენერგეტიკის კონტექსტით. ბიბლიოგრაფიული გამოკვლევა ემყარება აშშ-ის და ევროკავშირის მწვანე ენერგეტიკის პოლიტიკის ფორმირების გამოწვევებს წყალბადის ენერგეტიკის შესაძლებლობების განვითარების პირობებში.

წყალბადის წარმოების სამომავლო სცენარი ითვალისწინებს საბოლოო მომხმარებლების შესაძლებლობას გადაერთონ წყალბადის მიწოდების სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ ვარიანტებზე. წყალბადის ენერგეტიკაზე გადასვლა და დიდი ძალების მეტოქეობა უდავოდ აისახება სახელმწიფოთა ურთერთობებზე. განახლებადი ენერგიები ცვლის კონფლიქტის სფეროებსა და ტერიტორიებს, ხოლო გეოპოლიტიკა აყალიბებს ტექნიკურ არჩევანს და სავაჭრო ნიმუშებს. ისინი ერთად ქმნიან მომავალ ენერგეტიკულ სისტემებსა და ურთიერთობებს. თუმცა, ქვეყნები როგორ ადგილს დაიკავენ ენერგეტიკულ ტრანზიციაში, გადამწყვეტი იქნება შედეგის განსაზღვრაში.

კვლევის შედეგების გამოყენება ხელს შეუწყობს საქართველოში წყალბადის ენერგეტიკის განვითარების პოლიტიკის შემუშავებისთვის დიფერენცირებული ამოცანებისა და აქტივობების დასახვას.

საკვანძო სიტყვები: მწვანე ენერგეტიკის პოლიტიკა, წყალბადის ენერგეტიკა.

პრობლემის აქტუალურობა: 2016 წლის დეკემბრიდან მსოფლიოს 116 ქვეყანამ პარიზის ხელშეკრულებით განსაზღვრა 2050 წლამდე ნახშიროჟანგის გამოყოფის 85%-ით შემცირების და გლობალური დათბობის 2%-ით შემცირების მიზნები. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდისთვის მსოფლიო მოსახლეობა 9,7 მილიარდი იქნება, რაც გაზრდის ელექტროენერგიაზე მოთხოვნას, ამ მიზნების მიღწევა მთავრობებს აიძულებს, მოიძიონ საუკეთესო გზა ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის, ზრდისა და ენერგიის მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად (ბრანდონის და ქურბანი, 2017. 3).

2019 წლის დეკემბერში ევროპამ მიიღო მწვანე შეთანხმება (EGD), რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირის გარდაქმნას უფრო სამართლიან და წარმატებულ საზოგადოებად. შეთანხმების მიზანია შექმნას თანამედროვე რესურსეფექტური და კონკურენტუნარიანი ეკონომიკა, სადაც 2050 წლისთვის სათბურის გაზების ნეტო-გაფრქვევები ნული იქნება და სადაც ეკონომიკური ზრდა გაგრძელდება რესურსების მოხმარების შემცირების პარალელურად (მუხიგულიშვილი და სხვები. 2022. 9). საქართველო, სხვა ქვეყნების მსგავსად მუშაობს ალტერნატიული ენერგეტიკული წყაროების მოძიებაზე, რომელიც ნახშიროჟანგის ემისიის შემცირების მიზანს მოემსახურება. ასეთი ალტერნატივის სახით მსოფლიო განიხილავს წყალბადის ენერგიას,

მისი მიღების, ტრანსპორტირების, შენახვის, გამოყენების და უსაფრთხოების ფორმებს და გზებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხის აქტუალურობა აჭვს არ ინვევს.

წყალბადის წარმოქმნა შესაძლებელია სუფთა განახლებადი წყაროებით, როგორცაა მზის რადიაცია, ქარი, წყალი ან გეოთერმული სითბო. ბიომასიდან ან ნახშირწყალბადის აირებიდან მიღებული ნახშირბადი CO₂ შეიძლება გახდეს წყალბადის ატომის მატარებელი, რომლებიც წარმოიქმნება ელექტროენერგიის განახლებადი ან ბირთვული წყაროებიდან. წყალბადი შეიძლება გახდეს უფრო სუფთა ენერგიის გადამზიდავი ნახშირწყალბადებთან შედარებით, რაც ხელს შეუწყობს უფრო მდგრადი ენერგიის მომავალს.

„წყალბადის ეკონომიკა“ მოიცავს: 1. წყალბადის შეფუთვის შეკუმშვის ან გათხევადების გზით. 2. წყალბადის ტრანსპორტირებას სახმელეთო მანქანებით ან მილსადენებით და 3. წყალბადის შენახვას წნევით და კრიოგენურ კონტეინერებში და 4. გადაცემას: როდესაც წყალბადი გადადის წარმოებიდან საბოლოო გამოყენებამდე.

მწვანე წყალბადის წარმოებისა და გამოყენების ეფექტიანობა დაბალია კონვერტაციის და-ნაკარგების გამო. სისტემის ეფექტიანობის თვალსაზრისით, წყალბადი საუკეთესოდ გამოიყენება იქ, სადაც ელექტროფიკაცია ან წრიული პროცესები შეუძლებელია: ძირითადად თბო მრეწველობაში, გადაზიდვებში, ავიაციაში და, ასევე, პოტენციურად სეზონური მიზნებისთვის. ბევრ სექტორში უკვე არსებობს ალტერნატიული გადანაცვეტილებები.

კვლევის მიზანია შევისწავლოთ აშშ-ს და ევროკავშირის წყალბადის ენერგეტიკის ეკონომიკის შესახებ მოწინავე მეცნიერული კვლევები და მათი შედეგები, რომელთა გამოყენებაც ხელს შეუწყობს საქართველოში წყალბადის ენერგეტიკის განვითარების პოლიტიკის შემუშავებისთვის დიფერენცირებული ამოცანებისა და აქტივობების დასახვას.

კვლევის საგანია წყალბადის ენერგეტიკის ეკონომიკური პოლიტიკა, ხოლო კვლევის ობიექტს წარმოადგენს წყალბადის ენერგეტიკის ეკონომიკა.

კვლევა ბიბლიოგრაფიული ხასიათისაა და ემყარება ანალიზის და სინთეზის მეთოდებს. კერძოდ, მოწინავე სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის და წარმოდგენილი კვლევის შედეგების სინთეზის საფუძველზე მოვახდენთ საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული ხედვების სისტემატიზაციას, რაც გააძლიერებს საქართველოში წყალბადის ენერგეტიკის განვითარების პოლიტიკის შემუშავებისთვის სამეცნიერო ბაზას უახლესი ცოდნით და კვლევითი მიღწევებით.

წყალბადის ემისიის წარმოების გამოცხადებული პროექტების რიცხვი სულ უფრო იზრდება. თუ ყველა პროექტი რეალიზდება, დაბალი ემისიის წყალბადის წლიური წარმოება 38 მტ-ს მიაღწევს 2030 წლისთვის. 17 მტ. ამ პროექტების დაწყების ეტაპზე იქნება წარმოებული. გლობალური წყალბადის მოხმარებამ 2022 წელს 95 მტ-ს შეადგინა და წლიდან წლამდე 3%-ით იზრდება ყველა ძირითად სამომხმარებლო რეგიონში¹, გარდა ევროპისა, რომლის ინდუსტრიული აქტივობაც მკვეთრად დაზარალდა გაზზე ფასების ზრდის გამო. ეს გლობალური ზრდა არ ასახავს წყალბადის გამოყენების გაფართოების პოლიტიკის მცდელობების წარმატებას, არამედ დაკავშირებულია ზოგად გლობალურ ენერგეტიკულ ტენდენციებთან.

წყალბადი და წყალბადზე დაფუძნებული სანავი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სექტორების დეკარბონიზაციაში, სადაც ემისიების შემცირება რთულია და ალტერნატიული გადანაცვეტილებები ან მიუწვდომელი, ან რთულად განსახორციელებელია. წყალბადზე მოთხოვნა კი მუდმივად იზრდება.

ბრანდონის და ქურბანის (2017) კვლევის მიხედვით, ბოლო წლებში წყალბადის ეკონომიკისადმი ხელახლა გაღვივებული ინტერესი გაჩნდა როგორც მრეწველობის, ისე მეცნიერების მხრიდან. წყალბადს ენერგეტიკული რევოლუციის დაჩქარება შეუძლია განახლებადი ენერგიის სისტემებში საჭირო მოქნილობის უზრუნველყოფით. სტატია წარმოგვიდგენს წყალბადის გა-

¹ <https://www.iea.org/energy-system/low-emission-fuels/hydrogen> (20.04.2024)

მოყენების შესაძლებლობებს ეკონომიკის ძირითად სექტორებში. მასში განსაზღვრულია არსებული სარგებელი და გამოწვევები წყალბადის მიწოდების ჯაჭვში: ელექტროენერგია – გაზის, ელექტროენერგია – დენისა და გაზი – გაზის მიწოდების არხებისთვის.

წყალბადის სანავის უჯრედების შემთხვევაში, მეცნიერებმა მართლაც დიდ შედეგებს მიღწიეს. წყალბადი მსოფლიოს სთავაზობს ენერგიის შენახვის ერთ-ერთ ყველაზე სუფთა, ეფექტურ და ყველაზე მრავალფეროვან გზას. ელექტროლიზის გზით წყალბადის წარმოების შემდეგ, იგი შეიძლება შენახული და შემდეგ სანავის უჯრედის მეშვეობით საჭიროებისამებრ გამოყენებული იქნას (მენჩი, 2015). სანავის უჯრედების წინსვლა საავტომობილო სექტორში სინერგიის გავლენით სარგებლობს და კარგად აისახება სხვა ბაზრებზე. სანავის უჯრედების მანქანებში განთავსება უნდა პასუხობდეს დიზაინის ყველაზე რთულ მოთხოვნებს. ავტომობილების სანავის უჯრედები უნდა იყოს პატარა, მაღალი სიმძლავრის, იაფი, ფუნქციონალური ყველა გარემოსთვის და შეეძლოს გაუმკლავდეს სხვადასხვა დატვირთვას.

აშშ-ს წყალბადის ენერგეტიკული პოტენციალის შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ შეზღუდული რესურსების უფრო რეალისტური ტექნოლოგიებისკენ გადამისამართების ნაცვლად, აშშ-ს მთავრობის პოლიტიკა მიმართული იყო შეერთებულ შტატებში წყალბადისა და სანავის უჯრედების კვლევისა და განვითარების ლიდერობის სხვა ქვეყნებისთვის გადაცემისკენ. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს მთავრობამ წყალბადის სანავის უჯრედების კვლევაზე მხარდაჭერა შეამცირა (გაზარდა რა დანახარჯები სხვა სუფთა ენერგიის ტექნოლოგიებზე), აშშ-ს პატენტების რაოდენობა დაკავშირებული სანავის უჯრედებთან ენერგეტიკის სხვა ტექნოლოგიებთან შედარებით იზრდება. გამონაკლისი მხოლოდ მზის ენერგიაა (Mench, 2015. 118).

ვოლტერის (2021) ნაშრომი გვიჩვენებს ეკონომიკური სექტორების შესახებ სურათს, რომლებიც მხარს უჭერენ წყალბადის ეკონომიკას და აანალიზებს ამ მხარდაჭერის საჭიროებას და მნიშვნელობას. ავტორმა შეისწავლა ევროპის წყალბადის ასოციაციის 39 წევრი-ქვეყნის მონაცემები. ეს ასოციაცია მიზნად ისახავს წყალბადის პროექტების ხელშეწყობას, დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობას და შეუძლიათ იმოქმედონ ლობისტურ ჯგუფებზე წყალბადის ენერგეტიკის მხარდასაჭერად. ასოციაციის წევრების ინფორმაცია გამოიყენება წყალბადის და მისი მხარდამჭერი სხვადასხვა სექტორების გეოგრაფიული სივრცის მიმოხილვისთვის.

წყალბადის ენერგეტიკის პოლიტიკის ეფექტიანობის საკითხზე ინოვაციური ხედვები წარმოდგენილია აშშ-ს მრეწველობის დეკარბონიზაციის უკანასკნელ ანგარიშშიც, სადაც ხაზგასმულია სუფთა წყალბადის და ბირთვული ენერგიის ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობაზე შეერთებულ შტატებში მრეწველობის დეკარბონიზაციის დასაჩქარებლად. ანგარიშში ავტორი (Webster, 2023) ვარაუდობს, რომ ნახშირბადის ემისიებზე ფასის დაწესების პოლიტიკას შეუძლია მრეწველობის დეკარბონიზაციისთვის სუფთა ენერგიის წყაროების განვითარებისა და მიღების, მათ შორის წყალბადის წარმოების სტიმულირება მოახდინოს.

ოქსფორდის ენერგეტიკული კვლევების ინსტიტუტის მარტინ პალოვიჩისა და რაჰმატალა პუდინეის (2022) მოხსენებაში განხილულია წყალბადის ინტეგრაცია ევროპის ენერგიის გადაცემის ინფრასტრუქტურაში. აქ მოცემულია ძირითადი ხედვები ინტეგრაციის, დასკვნების, რეკომენდაციებისა და მმართველობის როლთან დაკავშირებით.

აშშ-ს მრეწველობის დეკარბონიზაციის საკითხზე ჩატარებული გამოკვლევის შედეგების მსგავსად, ევროკავშირისთვისაც არსებულ ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაში წყალბადის ინტეგრაციის გამოწვევები ორ ძირითად საკითხს მოიცავს: ინფრასტრუქტურის გადართვის ხარჯები და ინსტიტუციური არათანმიმდევრულობა.

პალოვიჩი და პუდინეი (2022) განიხილავენ წყალბადის ინფრასტრუქტურის სექტორთან შორისი კოორდინაციის სამ მიდგომას: **ცენტრალურად კოორდინირებულ, ბაზარზე დაფუძნებულ და რეგულირებად მიდგომებს**. ავტორები ვარაუდობენ, რომ აუცილებელია მართვისა და ტექნოლოგიების თანაეგოლუცია წყალბადის ტრანსპორტის ეფექტიანი ინფრასტრუქტურ-

რის განვითარებისთვის. ისინი გვთავაზობენ, რომ წყალბადზე ორიენტირებული მომავალი ინვესტიციები არ უნდა იყოს დამოკიდებული მხოლოდ სექტორის სპეციფიკურ მიწოდებასა და მოთხოვნაზე, არამედ უნდა განიხილოს კოორდინაცია წარმოებასთან, მოხმარებასთან და სხვა სექტორებში ინფრასტრუქტურის განვითარებასთან.

ანგარიშში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა წყალბადის, როგორც ენერგეტიკაში თამაშის წესების შემცვლელის წარმმართველ როლს. ასევე, ხაზგასმულია ახალი სექტორთაშორისი კოორდინაციის მექანიზმების საჭიროება, რათა გადაიჭრას წყალბადის დეცენტრალიზებული მიწოდების გამოწვევები, რაც არსებითად განასხვავებს მას ელექტროენერგიის და გაზის ქსელების ცენტრალიზებული არქიტექტურისგან.

წყალბადის ეკონომიკის თანამედროვე გამოკვლევებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფილიპსის და ფიშერის (2021) ნაშრომს, სადაც ვკითხულობთ, რომ აშშ-ში მწვანე წყალბადის ენერგეტიკული პოლიტიკის სრულყოფილად შემუშავებულმა ჩარჩომ შეიძლება ხელი შეუწყოს გარკვეული ინდუსტრიების (ფოლადი და სატვირთო ტრანსპორტი) კონკურენტულ მომავალს და ენერგეტიკის სექტორის დეკარბონიზაციას. მწვანე წყალბადის საწარმოთა უმრავლესობა დაჯგუფებულია ჩრდილოეთ სამრეწველო ჰაბების ირგვლივ, ამან შეიძლება ხელი შეუწყოს დღის წესრიგის დონის ამალვებას, მაღალკვალიფიციური მწვანე სამუშაო ადგილების მიწოდებას თემებისთვის და მხარი დაუჭიროს სამართლიან გადასვლას ნახშირბადის მაღალი შემცველობის იმ ინდუსტრიებში (როგორიცაა ფოლადი), სადაც ამჟამად არ არსებობს ალტერნატიული გზები დეკარბონიზაციისთვის.

ფოკუსირება მწვანე წყალბადის განთავსებაზე ისეთ სექტორებში სადაც ელექტროფიკაცია არაეფექტიანია, ყველაზე დიდ პერსპექტივას იძლევა კოვიდის შემდგომი ეკონომიკის ხარჯთეფექტური აღდგენისთვის. წყალბადის წარმატება და მასშტაბურობა მჭიდროდ არის დაკავშირებული განახლებადი ელექტროენერგიის სწრაფ პროგრესთან.

წყალბადის მილსადენები უნდა აშენდეს წყალბადის უსაფრთხო მოთხოვნისა და მიწოდების მიზნიდან გამომდინარე და არა არსებული გაზის აქტივების ფუნქციონირების შენარჩუნებისთვის. მიწოდებისა და მოთხოვნის ჩარჩო სავარაუდოდ განსხვავებული იქნება ახლანდელ გაზის ქსელთან შედარებით. განახლებადი ელექტროენერგიის ლოკალიზებული წარმოება, წყალბადის წარმოება და წყალბადის საბოლოო მოხმარება იზრდება ხარჯთეფექტური „კლასტერინგის“ მეშვეობით, რაც თავის მხრივ ამცირებს ინფრასტრუქტურის ხარჯებს.

ფლუგმანისა და დე ბლასიოს (2020) თვალსაზრისით, განახლებადი წყალბადი მზარდი პოლიტიკური და ბიზნეს იმპულსით სარგებლობს. მაგრამ მისი სარგებლიანობის სრული გამოვლენისთვის საჭიროა მასშტაბური ტექნოლოგიები, ხარჯების შემცირება, მხარდამჭერი ინფრასტრუქტურის შექმნა და შესაბამისი პოლიტიკისა და ბაზრის სტრუქტურების განსაზღვრა. ვინაიდან განახლებადმა წყალბადმა შეიძლება მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს ნახშირბადისგან თავისუფალი ენერგეტიკაში, მნიშვნელოვანია მისი გეოპოლიტიკური ზეგავლენის შესწავლა. გასათვალისწინებელია ისეთი ძირითადი ცვლადები, როგორებიცაა ტექნოლოგია, ინფრასტრუქტურა, გარემო, ფინანსები, გლობალური ბაზრები და გეოპოლიტიკა.

ფლუგმანისა და დე ბლასიოს (2020) ნაშრომი იკვლევს იმ ზოგად პრინციპებს, თუ როგორ შეუძლია წყალბადმა შეცვალოს გლობალური ენერგეტიკული ბაზრების სტრუქტურა და ქვეყნებს შორის გეოპოლიტიკური თამაში. მომავალი განახლებადი წყალბადის სისტემებში ერების როლის შესაფასებლად ავტორები გვთავაზობენ მეთოდოლოგიას ანალიტიკურ ჩარჩოსთვის განახლებადი წყალბადის გამოყენებით. ქვეყნის განახლებადი წყალბადის პოტენციალი ეფუძნება სამ პარამეტრს: (1) განახლებადი ენერგიის რესურსები (RES); (2) განახლებადი წყლის რესურსების დაფინანსება; და (3) ინფრასტრუქტურული პოტენციალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც ქვეყნის შესაძლებლობები, ააშენოს და მართოს განახლებადი წყალბადის წარმოების, ტრანსპორტირებისა და განაწილების ინფრასტრუქტურა.

მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღვნიშნოთ შოლტენის და სხვების (2019) კვლევა, რომელიც ენერგეტიკით გლობალურ ვაჭრობა ეხება. ვაჭრობაში უპირატესობა გადაიხრება ქვეყნების „ნორმალური“ და „არაბუნებრივი“ კონკურენტული უპირატესობებისკენ. აქედან გამომდინარე, ზოგიერთ ქვეყანას შეუძლია გააძლიეროს თავისი ლიდერი გეოეკონომიკური პოზიცია გარკვეულ საკვანძო ტექნოლოგიებში (5G, ჭკვიანი ენერგეტიკული სისტემები, საცავი, მაღალი ძაბვის გადაცემა და ა.შ.), ხოლო ზოგმა შეიძლება შექმნას შემოსავალი კრიტიკული მასალების (მაგ., ლითიუმის ან ნეოდიმის) ექსპორტიდან. თუმცა, ძნელი წარმოსადგენია, რომ მომავალში ამ ქვეყნებმა იმდენივე შემოსავალი მიიღონ ტექნოლოგიების, მასალების ან ელექტრონების ექსპორტიდან, რასაც ნავთობექსპორტიორი სახელმწიფოები იღებდნენ წარსულში სანავთობის ნიაღვრისგან.

ამასთან, მსოფლიოს ზოგიერთი ქვეყანა და რეგიონი დაჯილდოებულია გეოგრაფიული უპირატესობებით სხვებთან შედარებით, მაგრამ პოლიტიკური ინტერესი და განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიებში ინვესტირების სურვილი მაინც მნიშვნელოვანი იქნება. მაგალითად, ელექტრო მანქანის ბატარეებისთვის კობალტზე, ნიკელზე ან ლითიუმზე წვდომის რესურსის ნაკლებობა შეიძლება კომპენსირებული იყოს მასალებზე წვდომის სტრატეგიით და საგარეო პოლიტიკით. ეს ნიშნავს, რომ უნდა იყოს დიალოგი ამ ორ ეპისტემურ საზოგადოებას, ერთი მხრივ, ენერგეტიკისა და კლიმატის მოდელიერებს და მეორე მხრივ, სამხედრო სტრატეგებსა და დამგეგმავებს შორს.

ამრიგად, წყალბადის ენერგეტიკაზე გადასვლა და დიდი ძალების მეტოქეობა უდავოდ დატოვებს კვალს სახელმწიფოთა ურთერთობებზე. განახლებადი ენერგიები ცვლის კონფლიქტის სფეროებსა და ადგილებს, ხოლო გეოპოლიტიკა აყალიბებს ტექნიკურ არჩევანს და სავაჭრო ნიმუშებს. ისინი ერთად ქმნიან მომავალ ენერგეტიკულ სისტემებსა და ურთიერთობებს. თუმცა, ქვეყნები როგორ ადგილს დაიკავებენ ენერგეტიკულ ტრანზიციის გადამწყვეტი იქნება შედეგის განსაზღვრაში.

მიზანშეწონილია მტკიცე საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღება მოთხოვნის სამომავლო ევოლუციის გაურკვევლობის, სერტიფიცირებისა და რეგულირების სიცხადის ნაკლებობისა და ხელმისაწვდომი ინფრასტრუქტურის ნაკლებობის გამო.

წმინდა ნულოვანი ემისიების (NZE) სცენარის შესასრულებლად, საჭიროა დაჩქარებული პოლიტიკის ქმედება დაბალი ემისიის წყალბადზე მოთხოვნის შესაქმნელად და ინვესტიციების განხორციელების მიზნით, რომელსაც შეუძლია დააჩქაროს წარმოების მასშტაბები და ინფრასტრუქტურის განლაგება.

ლიტერატურა

1. გიორგი მუხიგულიშვილი, თუთანა კვარაცხელია, ნატალია შათირიშვილი, მედეა ინაშვილი, ირაკლი ურგებაშვილი (2022). საქართველოს მზაობის შეფასება ევროპის მწვანე შეთანხმების მიმართ. დოკუმენტი მომზადდა EU/UNDP-ის EU4Climate პროგრამის ფარგლებში CRIS-ENI/2017/387-538. ანალიტიკური ცენტრის „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“. 122.
2. Brandon, N. P., & Kurban, Z. (2017). Clean energy and the hydrogen economy. *Philosophical Transactions: Mathematical, Physical and Engineering Sciences*, 375(2098), 1–17. <http://www.jstor.org/stable/44678490>
3. Mench, M. M. (2015). High Hopes for Hydrogen: Fuel Cells and the Future of Energy. *Foreign Affairs*, 94(6), 117–123. <http://www.jstor.org/stable/43946548>
4. Wolters, F. J. A. de K. (2021). *The Heralds of Hydrogen: The economic sectors that are driving the hydrogen economy in Europe*. Oxford Institute for Energy Studies. <http://www.jstor.org/stable/resrep33936>

5. Webster, J. (2023). Industrial Decarbonization Technologies: Hydrogen and Nuclear Energy. In *Technological and Policy Pathways to Accelerate US Industrial Decarbonization* (pp. 13–16). Atlantic Council. <http://www.jstor.org/stable/resrep52077.6>
6. Palovic, M., & Poudineh, R. (2022). Hydrogen as a game-changer for energy infrastructure. In *PolyGrid 2050: Integrating hydrogen into the European energy transfer infrastructure landscape* (pp. 2–3). Oxford Institute for Energy Studies. <http://www.jstor.org/stable/resrep43916.7>
7. PHILLIPS, J., & FISCHER, L. (2021). A hydrogen strategy for an inclusive and resilient economic recovery. In *BETWEEN HOPE AND HYPE: A HYDROGEN VISION FOR THE UK* (pp. 12–19). E3G. <http://www.jstor.org/stable/resrep30254.6>
8. Pflugmann, F., & De Blasio, N. (2020). The Geopolitics of Renewable Hydrogen in Low-Carbon Energy Markets. *Geopolitics, History, and International Relations*, 12(1), 9–44. <https://www.jstor.org/stable/-26918282>
9. Scholten, D., Crikemans, D., & Van de Graaf, T. (2019). AN ENERGY TRANSITION AMIDST GREAT POWER RIVALRY. *Journal of International Affairs*, 73(1), 195–204. <https://www.jstor.org/stable/-26872789>
10. Ulf Bossel & Baldur Eliasson, Energy and the Hydrogen Economy. https://afdc.energy.gov/files/pdfs/-hyd_economy_bossel_eliasson.pdf (21.05.2024)

CURRENT ISSUES OF HYDROGEN ENERGY POLICY IN THE CONTEXT OF GREEN ENERGY (THE CASE OF THE USA AND THE EUROPEAN UNION)

Eka Lekashvili

Associate Professor

*of Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Head of the Industrial Policy Research Center*

Abstract

This paper presents the results of the analysis of advanced scientific studies related to current issues of hydrogen energy policy in the context of green energy. The bibliographic survey examines the challenges of US and EU green energy policymaking in the face of developing hydrogen energy opportunities.

The future scenario of hydrogen production takes into account the ability of end users to switch to different infrastructural options for hydrogen supply. The transition to hydrogen energy and the rivalry of great powers will undoubtedly affect relations between states. Renewable energies are changing the fields and territories of conflict, and geopolitics are shaping technology choices and trade patterns. Together they create future energy systems and relationships. However, how countries position themselves in the energy transition will be crucial in determining the outcome.

The use of research results will help to define differentiated tasks and activities for the development of hydrogen energy development policy in Georgia.

Keywords: green energy policy, hydrogen energy.

კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგება, მიზანი და გამოწვევები

მარინა მაისურაძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
თსუ ასოცირებული პროფესორი

ნინო ჩავლეშვილი

თსუ დოქტორანტი, აღრიცხვის, ანალიზისა და
აუდიტის კათედრის პროფესორის ასისტენტი

აბსტრაქტი

მას შემდეგ, რაც მსოფლიო აწყდება გადაუდებელ გამოწვევებს, როგორცაა კლიმატის ცვლილება, სოციალური უთანასწორობა და რესურსების ამონურვა, ფინანსური ანგარიშგების როლი მდგრადი განვითარების ხელშეწყობაში სულ უფრო კრიტიკული ხდება. ტრადიციული ფინანსური ანგარიშგება ძირითადად ფოკუსირებულია ეკონომიკურ შედეგებზე და ხშირად უგულებელყოფს გარემოსდაცვით და სოციალურ განზომილებებს.

2021 წლის ნოემბერში, გაეროს კლიმატის ცვლილების კონფერენციაზე (COP26) ფასს ფონდის ნდობით აღჭურვილმა პირებმა განცხადება გააკეთეს ISSB-ის (სტანდარტების დამდგენი ახალი ორგანიზაცია) დაფუძნების შესახებ. ISSB-ის კომპეტენციაში შედის სტანდარტების გამოცემა, რომლებიც კაპიტალის ბაზრებს უზრუნველყოფს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამჟღავნებელი ფინანსური ინფორმაციის ყოვლისმომცველი საერთაშორისო საფუძვლებით. იგი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პარალელურად იმუშავებს. ორივე საბჭოს ზედამხედველობას გაუწევნ ნდობით აღჭურვილი პირები. ISSB-ის სტანდარტებს დაერქმევა მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამჟღავნებელი ინფორმაციის ფას სტანდარტები (IFRS® Sustainability Disclosure Standards).

ISSB-ის პროექტის, სხვადასხვა სამეცნიერო მასალებზე დაყრდნობით სტატიაში წარმოდგენილია მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამჟღავნებელი ინფორმაციის ფასს მიზანი და გამოწვევები

საკვანძო სიტყვები: ISSB-ის პროექტი, ფასს მ1 და ფასს მ2 პროექტი, რისკების მართვა

შესავალი

ბიზნესისა და მთავრობებისადმი ნდობის ჩამოყალიბება და შენარჩუნება ფუნდამენტურია მდგრადი გლობალური ეკონომიკის შესაქმნელად. ყოველდღიურად, ბიზნესი და მთავრობები იღებენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს მათ დაინტერესებულ მხარეებზე, განსაკუთრებით ფინანსურ ინსტიტუტებთან, ორგანიზაციებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და მოქალაქეებთან და მათ მიმართ ნდობის ხარისხთან დაკავშირებით. ეს გადაწყვეტილებები იშვიათად ეფუძნება მხოლოდ ფინანსურ ინფორმაციას და ხშირად ითვალისწინებს რისკებსა და შესაძლებლობებს, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა მოკლევადიან და გრძელვადიან ფაქტორებთან.

მდგრადობის ანგარიშგების საშუალებით, კომპანიები აფიქსირებენ თავიანთ საქმიანობასა და გავლენას მდგრადობის საკითხების ფართო სპექტრზე, რომელიც მოიცავს გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით განზომილებებს. ეს საშუალებას აძლევს კომპანიებს იყვნენ უფრო გამჭვირვალე მათ წინაშე მდგარი რისკებისა და შესაძლებლობების მიმართ, რაც

დაინტერესებულ მხარეებს უზრუნველყოფს ეფექტურობის შესახებ უფრო მეტი ინფორმაციის მიღებას.

გარემოსდაცვითი პრინციპები განსაზღვრავს, თუ როგორ იცვლება კლიმატი, რამდენად ზრუნავს კომპანია გარემოზე და როგორ ცდილობს შეამციროს გარემოზე მიყენებული ზიანი. სოციალური პრინციპები ეხება თანამშრომლების სამუშაო და ანაზღაურების პირობებს, გენდერულ თანასწორობას და კომპანიის დამოკიდებულებას პერსონალის, მომწოდებლების, პარტნიორებისა და მომხმარებლების მიმართ. ბიზნესებმა უნდა იზრუნონ სამუშაო პირობების ხარისხზე, აკონტროლონ გენდერული ბალანსი და ინვესტიციები განახორციელონ საგანმანათლებლო და სოციალურ პროექტებში. კორპორატიული მმართველობის პრინციპები მოითხოვს ბიზნესის კეთილსინდისიერად და მაქსიმალურად გამჭვირვალედ წარმართვას, რაც გავლენას ახდენს კომპანიის მენეჯმენტის ხარისხზე.

1. მდგრადი განვითარების ანგარიშგების სტანდარტების მიზანი

მდგრადი განვითარების სტანდარტების საბჭო (SDSC) ჩვეულებრივ მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს და დაწეროს სტანდარტები, რომლებიც ხელს უწყობს მდგრადი განვითარების პრაქტიკას სხვადასხვა სექტორში.

ISSB-მა ჩამოაყალიბა ოთხი ძირითადი მიზანი:

- მდგრადობის გამჟღავნების გლობალური საბაზისო სტანდარტების შემუშავება;
- ინვესტორების საინფორმაციო საჭიროებების დაკმაყოფილება;
- მდგრადობის შესახებ ყოვლისმომცველი ინფორმაციის მიწოდება კაპიტალის გლობალურ ბაზრებზე; და
- ხელის შეწყობა ურთიერთთანამშრომლობის გამჟღავნებას, რომელიც არის სპეციფიკური იურიდიულობის და მიმართულია უფრო ფართო დაინტერესებულ მხარეებზე.

მდგრადი განვითარების საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ISSB) 2022 წლის მარტში განსახილველად გამოაქვეყნა მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამჟღავნებელი ფინანსური ინფორმაციის ორი სტანდარტი, ფასს მ1 (S1) და ფასს მ2(S2) პროექტი:

ფასს მ1 – „მდგრადი განვითარების შესახებ ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები“ და

ფასს მ2 – „კლიმატთან დაკავშირებით გასამჟღავნებელი ინფორმაცია“.

- ფასს მ1 – „მდგრადი განვითარების შესახებ ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები“ კომპანიას დაავალდებულებს ისეთი ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც ინვესტორებს საშუალებას მისცემს, შეაფასონ მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკებისა და შესაძლებლობების გავლენა საწარმოს ღირებულებაზე;

იმისათვის, რომ მდგრადობასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაცია იყოს **სასარგებლო**, ის უნდა იყოს **შესაბამისი**. ეს არის მდგრადობასთან დაკავშირებული სასარგებლო ფინანსური ინფორმაციის ფუნდამენტური თვისობრივი მახასიათებლები. მდგრადობასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის სარგებლიანობა გაუმჯობესებულია, თუ ინფორმაცია არის შესაძარისი, შემოწმებადი, დროული და გასაგები. ეს აძლიერებს მდგრადობასთან დაკავშირებული სასარგებლო ფინანსური ინფორმაციის ხარისხობრივ მახასიათებლებს. [IFRS S1:10]

კომპანიებმა უნდა შეაფასონ და გაამჟღავნონ მდგრადობის მატერიალური რისკები და შესაძლებლობები, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ფინანსურ მდგომარეობაზე.

გამჟღავნებული ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი, მხარდაჭერილი მონაცემთა სანდო წყაროებით და ექვემდებარება შესაბამის გადამოწმების პროცესებს. კომპანიებს უნდა ჰქონდეთ შიდა კონტროლი, რათა უზრუნველყონ მდგრადობის მონაცემების სანდოობა.

მათ უნდა განმარტონ ურთიერთობა მდგრადობის ინიციატივებსა და მათ ფინანსურ შედეგებს შორის.

- ფასს მ2 – „კლიმატთან დაკავშირებით გასამჟღავნებელი ინფორმაცია“ (კლიმატის განსახილველი პროექტი) ყურადღებას ამახვილებს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ რისკებსა და შესაძლებლობებზე. მასში გათვალისწინებულია კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების საკითხებზე მომუშავე სპეციალური ჯგუფის (TCFD) რეკომენდაციები და მოიცავს მაჩვენებლებს, რომლებიც მიესადაგება მდგრადობის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს (SASB) დარგობრივი სტანდარტების შესაბამის დარგების კლასიფიკაციას.

საერთაშორისო საფუძვლების იდეას მხარს უჭერენ დიდი ოცეულის (G20) ხელმძღვანელები, ფასიანი ქაღალდების კომისიის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOSCO) და სხვები.

2024 წლის ივლისში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოაქვეყნა ფინანსურ ანგარიშგებაში კლიმატთან დაკავშირებული და სხვა გაურკვეველობების ექსპოზიციის პროექტი.

ამ პროექტის მთავარი მიზანია კლიმატის რისკებთან და სხვა გაურკვეველობებთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა. ეს გულისხმობს კლიმატის ცვლილების ზემოქმედების იდენტიფიცირებას და შეფასებას ფინანსურ მაჩვენებელზე და მდგომარეობაზე, ასევე ამ ფაქტორების ინტეგრირებას ფინანსური ანგარიშგების პრაქტიკაში. საბოლოო ჯამში, პროექტი მიზნად ისახავს დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის ინვესტორებს, მარეგულირებლებს და საზოგადოებას, მიანოდოს უფრო მკაფიო წარმოდგენა კლიმატთან დაკავშირებული რისკების ფინანსური შედეგების შესახებ, ხელი შეუწყოს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას და მდგრადი ბიზნეს პრაქტიკის ხელშეწყობას. გარდა ამისა, მდგრადი კორპორატიული მმართველობა (SCG) აძლიერებს კორპორატიულ გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას, ხელს უწყობს დაინტერესებულ მხარეებს შორის ნდობის გაზრდას. ასევე შეუძლია შექმნას ახალი ბიზნეს შესაძლებლობები, ინოვაციები და მოიზიდოს სოციალურად პასუხისმგებელი ინვესტორები (Eccles & Klimenko, 2019.)

კლიმატის ცვლილება არის გლობალური და სისტემური პრობლემა, რომელსაც შეუძლია საფრთხე შეუქმნას ეკონომიკის მდგრადობას. ის შეიცავს ფიზიკურ და გარდამავალ რისკებს.

მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით გასამჟღავნებელი ინფორმაცია ფას სტანდარტების მიხედვით, **მდგრადი განვითარების შესახებ** გამჟღავნებული ფინანსური ინფორმაცია კონცენტრირებული იქნება იმაზე, თუ რამდენად ითვალისწინებს კომპანია: მართვას, სტრატეგიას და რისკების მართვას.

მართვა – ინფორმაცია, რომელიც ინვესტორებს საშუალებას აძლევს, გაეცნონ კომპანიის იმ მართვის პროცესებს, კონტროლის მექანიზმებსა და პროცედურებს, რომლებიც გამოიყენება მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკებისა და შესაძლებლობების მონიტორინგისა და მართვისთვის.

სტრატეგია – ინფორმაცია, რომელიც ინვესტორებს საშუალებას აძლევს, შეაფასონ მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შესაძლებლობებზე კომპანიის რეაგირების სტრატეგია.

რისკების მართვა – ინფორმაცია, რომელიც ინვესტორებს საშუალებას აძლევს, გაეცნონ პროცესს, რომლის მეშვეობით კომპანია ავლენს, აფასებს და მართავს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ არსებულ და მოსალოდნელ რისკებსა და შესაძლებლობებს.

კომპანიის საქმიანობის მაჩვენებლები და მიზნები – ინფორმაცია, რომელიც ინვესტორებს საშუალებას აძლევს გაეცნონ, როგორ აფასებს, როგორ ახორციელებს მონიტორინგს და როგორ მართავს კომპანია მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ რისკებსა და შესაძლებლობებს, ასევე როგორ აფასებს თავის შედეგებს, მათ შორის მიზნების შესრულების კუთხით

მიღწეულ პროგრესს. (IFRS S1 General Requirements for Disclosure of Sustainability-related Financial Information

ფასს მ2 – კლიმატთან დაკავშირებით გასამჟღავნებელი ინფორმაციის განსახილველ პროექტში იგივე მიდგომაა გამოყენებული, რომელიც გამოყენებულია საერთო მოთხოვნების განსახილველ პროექტში. შემოთავაზებული სტანდარტი მოიცავს მოთხოვნას, რომლის მიხედვით კომპანიებმა უნდა გაამჟღავნონ ინფორმაცია კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული ფიზიკური და გარდამავალი რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ. (IFRS S2, Climate-related Disclosures 2023)

ფიზიკური რისკები მოიცავს გამჟღავნებას, თუ როგორ შეიძლება გავლენა იქონიოს ექსტრემალურმა ამინდმა და კლიმატთან დაკავშირებულმა მოვლენებმა (მაგ., წყალდიდობა, გვალვა) ოპერაციებზე, მიწოდების ჯაჭვებზე და აქტივებზე. (IFRS S2, Climate-related Disclosures 2023)

გარდამავალი რისკები მოიცავს მარეგულირებელ ცვლილებებს, ბაზრის ცვლილებებს და ტექნოლოგიურ წინსვლას, მათ შორის ნახშირბადის დაბალი შემცველობის ეკონომიკაზე გადასვლა. (IFRS S2, Climate-related Disclosures 2023)

2. კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა (CSRD)

2022 წელს, ევროკომისიამ (EU), კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა (CSRD) შეიმუშავა, რომელიც 2023 წლის 5 იანვრიდან შევიდა ძალაში ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის. CSRD ცვლის არაფინანსური ანგარიშგების დირექტივას (NFRD), რომელიც შემოღებულ იქნა 2014 წელს. NFRD-ს ჰქონდა შეზღუდული მოქმედების სფერო და გამოიყენებოდა ძირითადად მსხვილი საჯარო ინტერესის მქონე ერთეულებზე. CSRD-ის მიზანია გააფართოვოს სფერო და გააუმჯობესოს მდგრადობის გამჟღავნების ხარისხი.

საწარმოებისთვის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების მომზადება შესაბამისი სტანდარტის გამოყენებით, სავალდებულო გახდება 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელსაც ადგილობრივ უწყებებს წარუდგენენ 2025 წლიდან.

CSRD-ის აქცენტი ორმაგ მატერიალურობაზე მოითხოვს ყოვლისმომცველ მიდგომას მდგრადობის ანგარიშგების მიმართ, სადაც ბიზნესმა უნდა აღიაროს და წარადგინოს ანგარიში საზოგადოებასა და გარემოზე მათი ზემოქმედების შესახებ. ეს ცვლილება გამოიწვევს უფრო მეტ გამჭვირვალებას, დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის გაუმჯობესებას და პოტენციურად გაძლიერებულ გრძელვადიან ღირებულების შექმნას.

3. კორპორაციული მდგრადობის ფინანსური ანგარიშგების გამოწვევები

მდგრადი განვითარების ფინანსური ანგარიშგება გამოწვევების წინაშე დგას, მათ შორის:

სტანდარტიზაციის ნაკლებობა, არ არსებობს საყოველთაოდ მიღებული სტანდარტები მდგრადობის ანგარიშგებისთვის, რაც ართულებს კომპანიების ინფორმაციის შედარებასა და შეფასებას.

მონაცემთა ხელმისაწვდომობა და ხარისხი, ბევრი კორპორაცია ცდილობს შეაგროვოს სანდო მონაცემები გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ფაქტორების შესახებ, რაც იწვევს ანგარიშგების შეუსაბამობას.

ინტეგრაცია ფინანსურ ანგარიშგებასთან, მდგრადობის ფინანსური ანგარიშგების ტრადიციულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრა შეიძლება რთული იყოს, რადგან ბევრი

მდგრადი ზემოქმედება გრძელვადიანია და დაუყოვნებლივ არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

დაინტერესებული მხარეების მოლოდინები, დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა ჯგუფს განსხვავებული მოლოდინი აქვს მდგრადობის ანგარიშგების შესახებ, რაც რთულს ხდის ყველა საჭიროების ეფექტურად დაკმაყოფილებას.

მარეგულირებელი გარემო, სხვადასხვა იურისდიქციას აქვს განსხვავებული რეგულაციები მდგრადობის გამჟღავნებასთან დაკავშირებით, რაც ართულებს შესაბამისობას მრავალეროვნული ორგანიზაციებისთვის.

შეზღუდული რესურსები, მცირე კომპანიებს შეიძლება არ ჰქონდეთ რესურსები ან გამოცდილება, რათა განავითარონ მდგრადობის ანგარიშგების ძლიერი პროცესები.

ეს გამოწვევები ხაზს უსვამს იმ სირთულეებს, რომლებსაც კომპანიები აწყდებიან ეფექტური და სანდო მდგრადობის ფინანსური ანგარიშგების პრაქტიკის დანერგვისას.

4. დასკვნა

მდგრადი განვითარების ფინანსური ანგარიშგება არ არის მხოლოდ მარეგულირებელი მოთხოვნა, არამედ სტრატეგიული იმპერატივი. მდგრადი პრაქტიკის გათვალისწინებით და ფინანსური ანგარიშგების ESG მოსაზრებების ინტეგრირებით, კომპანიებს შეუძლიათ დაამყარონ ნდობა დაინტერესებულ მხარეებთან, შეამცირონ რისკები და გაზარდონ გრძელვადიანი ღირებულება. გლობალური ეკონომიკის განვითარებასთან ერთად, ისინი, ვინც პრიორიტეტს ანიჭებენ მდგრადობას თავიანთ ანგარიშგებაში, არა მხოლოდ გააძლიერებენ თავიანთ კონკურენტულ უპირატესობას, არამედ ხელს შეუწყობენ უფრო მდგრად მომავალს ყველასთვის.

მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs), რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 2015 წელს გამოცხადდა, როგორც მდგრადი განვითარების 2030 დღის დღის წესრიგი, მიზნად ისახავს აღმოფხვრას გლობალური უთანასწორობა და გააძლიეროს ცხოვრების დონე (გაერო, 2017). მიუხედავად იმისა, რომ SDG-ების მიღწევაში მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრება ეროვნულ მთავრობებს, მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესებმა და სხვა ორგანიზაციებმა ასევე შეასრულონ გადამწყვეტი როლი.

ლიტერატურა

1. European Union (2023). Sustainable Finance Disclosure Regulation (SFDR).
2. Eccles, R. G., & Klimenko, S. (2019). "The Role of the Chief Financial Officer in Sustainability Reporting;
3. KPMG (2020). "The Time Has Come: The KPMG Survey of Sustainability Reporting 2020";
4. Boubaker, S., & Nguyen, D. K. (2021). "Challenges of Sustainability Reporting: Evidence from Emerging Economies." *Journal of Business Research*, 123, 161-172;
5. Sullivan, R., & Mackenzie, C. (2017). "Sustainable Financial Reporting: A Global Perspective." *The Journal of Applied Corporate Finance*, 29(2), 18-25.
6. Sustainability Accounting Standards Board (SASB). (2023). SASB Standards
7. Deloitte (2024) Corporate Sustainability Due Diligence Directive (CSDDD)
8. McKinsey & Company (2020) "Toward a Global Framework for Sustainability Reporting"
9. Task Force on Climate-related Financial Disclosures (TCFD). (2023). Final Report: Recommendations of the TCFD.
10. IFRS S2 (June 2023) IFRS® Sustainability Disclosure Standard. Climate-related Disclosures. International Sustainability Standards Board

11. IFAC's Vision for High-Quality Sustainability Assurance
12. IFAC (Feb 15, 2024) Sustainability reporting and assurance
13. Hamad, S., Lai, F.-W., Shad, M. K., Shah, S. Q. A., Jan, A. A., & Ali, S. E. A. (17 July 2024). A reflection on the voluntary disclosure of sustainable development goals: The role of sustainability committee. *Business Strategy & Development*, 7(3):e398. <https://doi.org/10.1002/bsd2.398>

CORPORATE SUSTAINABILITY REPORTING, GOALS AND CHALLENGES

Maisuradze Marina

Academic doctor of economics TSU associate professor

Nino Chavleshvili

*TSU doctoral student, assistant professor of accounting,
analysis and audit department*

Summary

Corporate sustainability financial reporting focuses on integrating environmental, social, and governance (ESG) factors into financial disclosures. Here's a summary of its goals and challenges:

Goals:

Transparency: Improve the clarity and accessibility of sustainability-related information for stakeholders, including investors, customers, and regulators.

Accountability: Hold companies accountable for their sustainability commitments and performance, fostering trust among stakeholders.

Decision-Making: Provide relevant data to help investors and management make informed decisions regarding sustainability risks and opportunities.

Challenges:

Data Collection and Quality: Difficulty in gathering accurate and comprehensive data on sustainability metrics, often due to lack of systems or standard definitions.

Regulatory Complexity: Navigating a patchwork of evolving regulations and reporting requirements across different jurisdictions.

Integration with Financial Reporting: Integrating ESG data with traditional financial metrics in a meaningful way remains complex and often inconsistent.

Stakeholder Expectations: Balancing diverse stakeholder demands and expectations regarding sustainability reporting, which can vary widely.

Resource Constraints: Limited resources (financial, human, technological) for companies, especially smaller ones, to invest in robust sustainability reporting practices.

Overall, while the goals of corporate sustainability financial reporting are geared towards enhancing transparency and accountability, the challenges often stem from data limitations, regulatory landscapes, and the need for integration with traditional financial metrics.

DISSONANCE BETWEEN INTERNAL AND EXTERNAL PERCEPTION OF COMPANY MISSION STATEMENTS: A CASE STUDY

Daniel, Maier

Master of Science

University of National and World Economy Sofia

Joseph Sebastian, Schapfl

Bachelor of Engineering

University of Applied Sciences Weihenstephan-Triesdorf

Abstract

The aim of this research is to investigate if there is a potential dissonance between the companies' own perception on self-developed and formulated mission statements and the view and expectations of respective stakeholders. A mission statement functions as an overriding strategic directive proclaiming the general purpose of an organization and its intentions regarding scope of operations, market penetration and business model to all stakeholders. The examination of this relation was implemented by the conduction of determined surveys among internal company representatives and external customers, suppliers and business partners among an exemplary German SME which recently developed a novel mission statement. The scientific approach can therefore be classified as an analytical case study. In a first step, the relevant literature regarding company vision and mission as well as regarding change management was reviewed comprehensively. In a second step, a survey was set up based on the considerable components of mission statements and electronically shared with the respondents. In a last step, the results were statistically analyzed by applying descriptive and inferential statistic models. As a result, distinct differences can be observed which emphasizes the importance of holistic change management and affirms change management as a scientific research field.

Keywords: *Mission statement, strategic management, change management*

Introduction

Beginning of the 2000's the Danish international toy company LEGO was in a serious situation. Despite of having a highly diversified product range, including building block sets for every age group, multimedia and entertainment divisions and even textile segments, the revenues and profits of the company shrunk. As a reaction, the former CEO Vig Knudstorp decided to implement a comprehensive turnaround program which led to a significant increase in performance and to a tremendous decrease of costs (Blount & Leinwand, 2019). The key for achieving this was to streamline the business model to its core fundamentals and to focus primarily on the unique competitive advantages they have built over decades. This was strategically set up by the formulation of a fully new mission statement constituting the strategic direction of the company and resulting into massive upheaval in their sales of building blocks: *To inspire and develop the builders of tomorrow* (Blount & Leinwand, 2019). Such an impressive impact of change in a company's mission can be observed frequently in business practice, like for example also in the cases of IKEA and CEMEX and underlies the significance of the mission statement (Blount & Leinwand, 2019; Mullane, 2002).

A mission statement is a prime management guideline with the purpose of giving a company strategic direction and functioning as a base for establishing objectives (Ireland & Hirc, 1992). It can be seen as the fundamental credo or philosophy that is highly connected with the corporate identity and organizational culture (Babnik et al., 2014). Other often used terminologies are corporate statement, company principles,

company purposes and company values based on a rudimentary question regarding the own identity (Klemm et al., 1991). An also often scientifically cited classification regarding mission statements is the separation in vision and mission. While a company vision constitutes an outlook and future direction of the organization, a company mission focuses the current situation and the rationale (Dobrinie & Fabac, 2021). It can therefore be stated that a mission statement has both an inspiring and rationally realistic component.

Main advantages of such strategic credos are: providing direction, basis for strategies, resolving contrary managers' perceptions and providing a focal point (David & David, 2003). One crucial aspect to consider is hereby that a mission statement does not only provide an isolated view of the company itself but rather includes its primary stakeholders in terms of shared values, goals and responsibilities (Bartkus & Glassman, 2008). Of the Fortune 500 companies for instance, above 88% utilize stakeholder-related expressions in their publicly published reports and statements (Bartkus & Glassman, 2008). Furthermore, mission statements refer to such relationships and serve as external communication tools which directly convey signals to their stakeholders and represent their relationship to them (Van Nimwegen et al., 2008). This implies that they not only involve an internal but external perspective which offers vast room for interpretation. This is especially of immense importance when there are dependencies to certain suppliers or customer segments and requires an optimal fit between the view of the organization and the views of its consignees (Toh & Koon, 2017; Van Nimwegen et al., 2008). Stakeholders can be divided into internal ones like employees and management and external ones like suppliers, customers and investors (Hofbauer & Sangl, 2018). One further problem is the fact that mission statements do not always meet the circumstances observable in the actions of the company. Wright for example investigated that there is a high discrepancy between proclaimed organizations' missions and the underlying reality, mainly due to a neglect of the customer expectations which represent a primary if not the most significant group of stakeholders (2002). Another recent scientific study among the perception of governmental academic institutions indicates that there are significant differences between the original intentions of the initiators of university mission statements and the perception of their students towards these (Parilla et al., 2023). As a conclusion, it is fundamental for the creation of company mission statement to meet the expectations of the prime stakeholders. In parallel, there are already studies verifying a discrepancy between institutional internal and institutional external perspectives, with regard to the inspirational vision and reality-mirroring mission of the company (Dobrinie & Fabac, 2021). This brings up the question whether such phenomena can also be observed in business practice.

For answering this, the following research question has been formulated:

Does the perception of a mission statement differ between company internal and company external stakeholders?

Results

Short summary exemplary SME

To answer the question of research, a case study was conducted in cooperation with a German Small-or-Medium-Sized (SME) company. The exemplary organization was in the situation to create a novel mission statement consisting of a separated vision and mission and wanted to determine if there is any distinction between internal and external views towards their formulated statement. The globally operating company's core business model involves the trading of agricultural goods while recent ecological trends and changes in consumer behavior have significantly transformed the circumstances in the market. The key challenge with this strategic program was not to antagonize existing stakeholders on the one side but simultaneously to broaden their market scope and to open for new stakeholders on the other side. The con-

duction of a scientific investigation in form of a survey followed by a consecutive statistical analysis of the respective results was thus highly supported and appreciated by the management of the organization.

Questionnaire creation and conduction of survey

In alignment with the insights from the scientific literature about mission statement elements and intentions, a questionnaire was created consisting of twelve questions, addressing all factettes of visionary inspiration and mission-oriented realism. In addition to the scientific foundation based on literature, four expert interviews were conducted among senior managers and internal participants of the mission statement formulation following an inductive coding structure as suggested by social sciences (Hammond & Wellington, 2012). The resulting questions represent the combination of these theoretical and practical findings and are illustrated in table 1 below.

Table 1


Q1: Is the vision future-oriented?
Q2: Is the vision inspiring?
Q3: Is the vision realistic?
Q4: Is the vision quickly to understand?
Q5: Is the vision trend-setting?
Q6: Does the mission capture all relevant stakeholders and fields of action of the company?
Q7: Are the statements in the mission feasible?
Q8: Is the mission clearly formulated?
Q9: Is the mission focused on a long-term strategy?
Q10: Has the vision and mission been adapted to the needs of the customers/suppliers?
Q11: Is the vision and mission clear on the homepage?
Q12: Does the vision and mission make it clear that the company wants to deal with new markets and put the company on a broad basis?

To empirically evaluate the forementioned question of research, the single items were measured using a five-point Likert scale anchored 1 *Fully true* to 5 *Not applicable*. The answering option *I can't judge* was additionally added to prevent arbitrary answering due to lack of understanding or other common biases observable in qualitative research methods (Hammond & Wellington, 2012). The internal target population consisted of all employees of the company regardless their position. The external target group involved B2B customers, selected suppliers and business partners. For both parties, the questionnaire was digitally created using the survey platform Empirio and electronically shared with the respondents. As a result, the replies of 52 internal stakeholders and 51 external stakeholders could be used for the analysis while all not consistent replies were excluded from the dataset. The sample size was therefore $n=103$ while the separation between the two recipient groups is nearly 50:00 which guarantees a significant representativeness because of equal distribution. After processing the dataset in Microsoft Excel, the data was checked for validity and analyzed for each question individually. In a last step the single relations were analyzed inferential using the statistical analysis program R (Version R-4.4.1). A selection of the most relevant results is presented in the following.

Descriptive findings and statistical analysis

The first thing to determine was if the inspirational character of the vision is commonly noticed by the survey participants. Diagram 1 portrays the results.


Diagram 1



It clearly shows that the perception towards inspiration by the mission statement differs between the internal and external stakeholders. The majority of external respondents distinctively evaluate the novel company vision as inspiring with a cumulative value of 51.0% of highest or second highest answer options. The same value is only 44.2% among the internal respondents indicating to a less commitment to the mission statement and verifying the above-mentioned research regarding diverse perceptions towards universities' statements (Parilla et al., 2023). Moreover, the arithmetic mean also affirms this as the external average is with 3.43 higher than the internal one with 3.21 measured by the Likert-values of the scale.


In a next step, the realistic and rationale aspect of the mission statement has to be examined. As diagram 2 shows, we can also observe a very sharp contrast regarding this component. If the organization has formulated its statement in line with its circumstances was confirmed by far more internal stakeholders in comparison to external stakeholders. The highest two criteria were only chosen by 29.4% of the company environment while with 51.9% more than half of the employees emphasized the statements rationality. This is especially important as realism poses one major consideration point for creating strategic direction (Hofbauer & Sangl, 2018). On the Likert-scale this can also be seen in total considering a mean of 3.16 for external and 3.58 for internal. One explanation for this phenomenon could be that the changed directive is partly contrary to the existing business models of the suppliers or does not fully cover the current needs of the customers.

Diagram 2



In addition to the investigation of inspiration and realism, the long-term sustainability was analyzed by directly questioning if the statement visualizes the direction the SME is striving for. Here it can also be stated that the external stakeholders do not see the specific focus and goal as clearly as the company internals. The long-term strategy is only partly visible for the business partners, who only confirmed the visibility to 47,1% while 65.4% of the questioned employees perceived the formulated strategy and credo as long-term. Diagram 3 shows these differences unequivocally.

Diagram 3



To verify these descriptive findings, an inferential analysis was conducted. As the sample included two different independent variables, a Welch Two Sample t-test was applied which allows interpretations about the significance of the differences between the means of both respondent groups (West, 2021). Accordingly, two vectors were defined to represent the distinction of the variables within the R code. The significance level was set at 0.95, following previous statistical analysis in the relevant scientific literature (Stevens, 2013). Therefore, an p-value of <0.05 can be interpreted as a significant difference between internal and external stakeholders. The respective t-values und p-values were calculated for each question individually to prevent autocorrelation. Finally, the results were exported from R into a Microsoft Excel table and visually prepared. Table 2 shows the findings for each item

Table 2

Question	t-value	p-value
Q1: Is the vision future-oriented?	0.02599	0.9793
Q2: Is the vision inspiring?	-1.2162	0.2268
Q3: Is the vision realistic?	2.1699	0.03236
Q4: Is the vision quickly to understand?	-0.075225	0.9402
Q5: Is the vision trend-setting?	-0.55211	0.5821
Q6: Does the mission capture all relevant stakeholders and fields of action of the company?	1.1614	0.2482
Q7: Are the statements in the mission feasible?	0.71284	0.4776
Q8: Is the mission clearly formulated?	0.21189	0.8326
Q9: Is the mission focused on a long-term strategy?	2.2293	0.02813
Q10: Has the vision and mission been adapted to the needs of the customers/suppliers?	0.11297	0.9103
Q11: Is the vision and mission clear on the homepage?	1.2057	0.2309
Q12: Does the vision and mission make it clear that the company wants to deal with new markets and put the company on a broad basis?	-0.04347	0.9654

The findings of the Welch t-test imply that two of the twelve questionnaire items show a p-value below 0.05, specifically, question 3 with a value of 0.03236 and question 9 with a value of 0.02813. This can therefore be interpreted that the dissonance between external and internal stakeholders regarding the realistic and rationale of the mission statement is significant on a significance level of 95%. External stakeholders interpret the statement to be less realistic. Furthermore, the long-term aspect of the strategy also shows a p-value below 0.05 why it also can be stated that these descriptive results are significant. The perception of the long-term sustainability of the mission statement differs significantly between the target groups while external stakeholders value it less. Finally, regarding the inspirational aspect no significant dissonance could be found.

Conclusions and Recommendations

In conclusion, observable differences could be found between the perception of internal and external stakeholders which could be statistically verified. The question of research can therefore be confirmed. Practical implications of this research are that company mission statements must meet the expectations of both target groups simultaneously. This can be achieved by applying professional change management processes like the three-step-approach from Kurt Lewin and by involving employees and customers in the mission statement creation (Cummings et al., 2016). Further studies should include a higher number of companies to verify the findings observed at one exemplary company. Also, bigger organizations than SMEs should be taken into consideration.

List of References

1. Babnik, K., Breznik, K., Dermol, V., & Trunk kirca, N. (2014). The mission statement: Organisational culture perspective. *Industrial Management & Data Systems*, 114(4), 612–627
2. Bartkus, B. R., & Glassman, M. (2008). Do Firms Practice What They Preach? The Relationship Between Mission Statements and Stakeholder Management. *Journal of Business Ethics*, 83(2), 207–216
3. Blount, S. & Leinwand, P. (2019). Employee Engagement. Why Are We Here? *Harvard Business Review*, November–December 2019. Retrieved from: <https://hbr.org/2019/11/why-are-we-here>
4. Cummings, S., Bridgman, T., & Brown, K. G. (2016). *Unfreezing change as three steps: Rethinking Kurt Lewin's legacy for change management*. *Human Relations*, 69(1), 33–60
5. David, F. R., & David, F. R. (2003). It's time to redraft your mission statement. *Journal of Business Strategy*, 24(1), 11–14
6. Dobrinie, D., & Fabac, R. (2021). Familiarity with Mission and Vision: Impact on Organizational Commitment and Job Satisfaction. *Business Systems Research Journal*, 12(1), 124–143
7. Hammond, M. & Wellington, J. (2012). *Research Methods: The Key Concepts* (0 ed.). Routledge
8. Hofbauer, G. & Sangl, A. (2018). *Professionelles Produktmanagement: der prozessorientierte Ansatz, Rahmenbedingungen und Strategien* (3 ed.). Erlangen: Publicis Publ.
9. Ireland, R. D., & Hirc, M. A. (1992). Mission statements: Importance, challenge, and recommendations for development. *Business Horizons*, 35(3), 34–42
10. Klemm, M., Sanderson, S., & Luffman, G. (1991). Mission statements: Selling corporate values to employees. *Long Range Planning*, 24(3), 73–78
11. Mullane, J. V. (2002). The mission statement is a strategic tool: When used properly. *Management Decision*, 40(5), 448–455

12. Parilla, E. S., Abadilla, M. E., Domingo, G., & Tan, J. (2023). Understanding, Acceptance, and Perception of the Vision, Mission, Goals, and Objectives of the Northwestern University College of Business Education Stakeholders. *Education Policy and Development*, 1(1), 33–49
13. Toh, S.-Y., & Koon, V.-Y. (2017). Determining Mission Statement Effectiveness from a Fit Perspective. *Studies in Business and Economics*, 12(2), 220–240
14. Stevens, J. P. (2013). *Intermediate Statistics: A Modern Approach*. Routledge
15. Van Nimwegen, G., Bollen, L., Hassink, H., & Thijssens, T. (2008). A stakeholder perspective on mission statements: An international empirical study. *International Journal of Organizational Analysis*, 16(1/2), 61–82
16. West, R. M. (2021). Best practice in statistics: Use the Welch t -test when testing the difference between two groups. *Annals of Clinical Biochemistry: International Journal of Laboratory Medicine*, 58(4), 267–269
17. Wright, J. N. (2002). Mission and reality and why not? *Journal of Change Management*, 3(1), 30–44

უმაღლესი სასწავლებლებში პრიორიტეტული პროგრამული დაფინანსების ეფექტიანობის შესახებ

თინა მელქოშვილი

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რუსუდან სეთურიძე

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ანოტაცია

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში პრიორიტეტული პროგრამების დაფინანსების ეფექტიანობა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დაფინანსება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს კვლევის შედეგებს, საგანმანათლებლო ხარისხს და ინოვაციებს, ის ასევე აჩენს შეშფოთებას თანასწორობის, აკადემიური ფოკუსის დისბალანსის შესახებ. მუდმივი კვლევა და პოლიტიკის დახვეწა აუცილებელია იმისთვის, რომ დაფინანსების ეს ინიციატივები კვლავაც პოზიტიური შედეგების მომტანი იყოს უმაღლეს განათლებაში. მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად ეფექტურია და მიზანმიმართულად იხარჯება სახელმწიფო სახსრები სტუდენტების პრიორიტეტული პროგრამული დაფინანსების შემთხვევაში.

სამეცნიერო ნაშრომის ფარგლებში გაანალიზდა საქართველოში 2012-2020 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საფეხურის იმ სტუდენტების მონაცემები, რომელთაც მოიპოვეს პრიორიტეტული პროგრამული დაფინანსება. ნაშრომში მოცემულია თითოეული პრიორიტეტული პროგრამის კურსდამთავრებულთა პროცენტული მაჩვენებელი, გამოიყო ნაჩვენებთ კურსდამთავრებულთა დინამიკა და სხვ. კვლევის შედეგად შემუშავდა დასკვნები, რაც ხელს შეუწყობს პრიორიტეტული დარგების განვითარებას და სახელმწიფოს მიერ განათლებაზე გამოყოფილი ფინანსური რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენებას.

საკვანძო სიტყვები: პრიორიტეტული პროგრამული დაფინანსება, უმაღლესი განათლების დაფინანსება, ეფექტიანობა, უმაღლესი სასწავლებლები.

მსოფლიოში მოსახლეობის განათლების დონის შეფასება ხდება სხვადასხვა კრიტერიუმით¹: 1. საგანმანათლებლო მიღწევების დონე – ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი არის მოსახლეობის მიერ მიღებული განათლების საფეხური (მაგ., ზოგადი განათლება, ბაკალავრის, მაგისტრის, დოქტორის ხარისხი და სხვ.). ეს მაჩვენებელი გამოხატავს, რამდენად განვითარებულია ქვეყნის განათლების სისტემა და რა დონეზეა მოსახლეობის პროფესიული მომზადება. 2. განათლებაზე ხელმისაწვდომობა – აღირიცხება, რა რაოდენობის მოსახლეობას აქვს ხელმისაწვდომობა ზოგადი და უმაღლესი განათლების დაწესებულებებზე. საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა და მათი დაფინანსების დონე მნიშვნელოვან როლს თა-

¹ UNESCO Institute for Statistics (UIS), <https://uis.unesco.org/>

მაშობს განათლების ხარისხისა და გავრცელების დონეზე. 3. გლობალური საგანმანათლებლო განვითარების ინდიკატორები – მათ შორის, წერა-კითხვის ცოდნის დონე, დასაქმების მაჩვენებლები, სასწავლო პროცესში ჩართულობა, განათლების ხარისხი და სხვ. 4. განათლების ხანგრძლივობა – ხშირად გამოიყენება მოსალოდნელი და რეალური სწავლების წლები. ეს იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, რამდენი წელი სწავლობენ ადამიანები საშუალოდ ამა თუ იმ ქვეყანაში და ეს იძლევა წარმოდგენას განათლების დონეზე. 5. წერა-კითხვის ცოდნის დონე – წერა-კითხვის უნარების დონე მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მოსახლეობის განათლების დონის შეფასებისას. ეს კრიტერიუმი ითვლის, რა პროცენტს შეუძლია წერა და კითხვა მოსახლეობაში. 6. სწავლების ხარისხი – კვლევები, რომლებიც სწავლების ხარისხს აფასებენ. ისინი ზომავენ სტუდენტების ისეთ უნარებს, როგორიცაა მათემატიკა, მეცნიერება და წერა-კითხვა. 7. უნარების განვითარების დონე – ფასდება, თუ რამდენად კარგად შეძლებენ მოქალაქეები ისეთი ძირითადი უნარების გამოყენებას, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, პრობლემების გადაჭრა და ციფრული უნარები.

განვითარებულ ქვეყნებში ზრდასრული ადამიანების 40%-50% აქვს უმაღლესი განათლება (პაპალაშვილი, 2024). განვითარებული ქვეყნების სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ისინი უმაღლესი განათლებისა და კვლევის დაფინანსებაში საშუალოდ მთლიანი შიდა პროდუქციის 1,4%-ს და მთლიანი ბიუჯეტის 3.1%-ს ხარჯავენ. პრიორიტეტული პროგრამის დაფინანსება, როგორც წესი, მიზნად ისახავს სტრატეგიულ სფეროებს უნივერსიტეტებში, როგორიცაა STEM (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია და მათემატიკა) სფეროები, ჯანდაცვის მეცნიერებები ან ინოვაციების მიმართულების სექტორები.

მეცნიერები Breznitz და Feldman თავის ნაშრომში ამტკიცებენ, რომ მიზნობრივი დაფინანსება აუმჯობესებს კვლევის შედეგებს უნივერსიტეტებში, რომლებიც პრიორიტეტს ანიჭებენ ინდუსტრიის თანამშრომლობას და ცოდნის გადაცემას. ისინი ხაზს უსვამენ, თუ როგორ შეუძლია სტრატეგიულმა ფინანსურმა მხარდაჭერამ გააძლიეროს პარტნიორობა აკადემიასა და ინდუსტრიას შორის, რაც გამოიწვევს კვლევის უფრო მეტ კომერციალიზაციას და ცოდნის გავრცელებას.

მეცნიერები Salmi და Bassett თავის ნაშრომში აღნიშნავენ, რომ მიზანმიმართულმა დაფინანსებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ელიტარული უნივერსიტეტების გლობალურად წინსვლაში, განსაკუთრებით აზიასა და ევროპაში, სადაც კვლევითი უნივერსიტეტები სარგებლობდნენ მთავრობის მნიშვნელოვანი მხარდაჭერით. თუმცა, ასევე აღნიშნულია, რომ ასეთმა დაფინანსებამ შეიძლება შექმნას უთანასწორობა უნივერსიტეტებს შორის.

პრიორიტეტული პროგრამების დაფინანსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს საგანმანათლებლო შედეგებზე. მეცნიერები Bastedo და Gumpert ხაზს უსვამენ, რომ როდესაც უნივერსიტეტები იღებენ მნიშვნელოვან დაფინანსებას პრიორიტეტული პროგრამებისთვის, მათ შეუძლიათ შესთავაზონ უფრო მონიშნავი კურსები, უზრუნველყონ უახლესი ტექნოლოგიები სტუდენტებისთვის და ხელი შეუწყონ სწავლისთვის ხელსაყრელ გარემოს.

საქართველოში უმაღლესი განათლების დაფინანსებას სახელმწიფო ახორციელებს სახელმწიფო სასწავლო გრანტის, სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის და პრიორიტეტული პროგრამული დაფინანსების (ე.წ. უფასო საგანმანათლებლო პროგრამები) მიმართულებით.

სამეცნიერო ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ), რომელმაც უნდა მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტები და უზრუნველყოს თანამედროვე შრომის ბაზარი საჭირო უნარებისა და ცოდნის მქონე კადრებით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა თუ რამდენად ეფექტურია და მიზანმიმართულად იხარჯება სახელმწიფო სახსრები სტუდენტების პროგრამული დაფინანსების შემთხვევაში. მნიშვნელოვანია უნივერსიტეტში ამ მიმართულებით არსებული პრობლემების აღმოჩენა, რათა გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები მათ აღმოსაფხვრელად.

კვლევის ამოცანას წარმოადგენს:

- დაადგინოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, რომლებსაც მოპოვებული ჰქონდათ პრიორიტეტული პროგრამული დაფინანსება, რამდენად ეფექტიანად იყენებენ მიღებულ დაფინანსებას კვალიფიკაციის მისანიჭებლად;
- პრიორიტეტულ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რა რაოდენობა ამთავრებს უნივერსიტეტს სწავლების 4 წლის განმავლობაში, როგორია დინამიკა წლების განმავლობაში;
- დაადგინოს როგორია პრიორიტეტული პროგრამული დაფინანსების მქონე სტუდენტების აკადემიური მოსწრება, როგორია დინამიკა წლების განმავლობაში.

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს თსუ-ში ბაკალავრიატის საფეხურზე პროგრამული დაფინანსების არსებული მდგომარეობის შესწავლა და იმის დადგენა, თუ რამდენად ეფექტიანად და მიზანმიმართულად გამოიყენება სახელმწიფოს მიერ განათლებაზე გამოყოფილი ფინანსური რესურსები.

საქართველოში ყოველწლიურად საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობები, ოდენობები დარპროგრამული დაფინანსების მოცულობა¹. ასევე, ყოველ სასწავლო წელს სახელმწიფოს მიერ განისაზღვრება დაფინანსებული პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამების კონკრეტული ჩამონათვალი.

ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების გამოსაკვლევად გაანალიზდა 2012-2020 წლებში თსუ-ში ბაკალავრიატის საფეხურზე ჩარიცხული სტუდენტების მონაცემები, რომელთაც მოიპოვეს პრიორიტეტული პროგრამული დაფინანსება.

თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, საგანმანათლებლო პროგრამაზე „ეკონომიკა“ იმ სტუდენტთა რაოდენობა, რომელთაც 4 წელიწადში დაამთავრეს უნივერსიტეტი წლების განმავლობაში მერყეობს 51.73%- დან 32.64%-მდე. თუ შევადარებთ კვლევის საწყისი (2012 წ.) და ბოლო პერიოდების (2020 წ.) დამთავრების მაჩვენებლებს, აღმოჩნდება, რომ მათ შორის სხვაობა საკმაოდ მაღალია და შეადგენს 15.97%-ს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კორონავირუსის პანდემიის შემდეგ შეიმჩნევა დამთავრების მაჩვენებლის შემცირება თითქმის 20%-ით, რაც აგრეთვე არ არის სახარბიელო² (იხ. დიაგრამა 1).

¹ საქართველოს მთავრობის დადგენილება. N263, 18.07.2023 2023-2024 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობების, ოდენობებისა და პროგრამული დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ, თბილისი. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5869460?publication=0>

² თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სისტემა. lms.tsu.ge/, uni-admin.tsu.ge/.

დიაგრამა 1

დამთავრების პროცენტული მაჩვენებელი
საგანმანათლებლო პროგრამაზე „ეკონომიკა“



წყარო: დიაგრამა შემუშავებულია ავტორების მიერ.

ასეთივე არასახარბიელო მდგომარეობაა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე: ბიოლოგია, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია (იხ. დიაგრამა 2, დიაგრამა 3, დიაგრამა 4, დიაგრამა 5).

დიაგრამა 2

დამთავრების პროცენტული მაჩვენებელი
საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბიოლოგია“



წყარო: დიაგრამა შემუშავებულია ავტორების მიერ

დიაგრამა 3

დამთავრების პროცენტული მაჩვენებელი საგანმანათლებლო პროგრამაზე „მათემატიკა“



წყარო: დიაგრამა შემუშავებულია ავტორების მიერ

დიაგრამა 4


დამთავრების პროცენტული მაჩვენებელი საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფიზიკა“



წყარო: დიაგრამა შემუშავებულია ავტორების მიერ

დიაგრამა 5

დამთავრების პროცენტული მაჩვენებელი საგანმანათლებლო პროგრამაზე „ქიმია“



წყარო: დიაგრამა შემუშავებულია ავტორების მიერ.

შედარებით დაბალია სხვაობა კვლევის საწყისი (2012 წ.) და ბოლო პერიოდების (2020 წ.) დამთავრების მაჩვენებლებს შორის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, სადაც პრიორიტეტული პროგრამული დაფინანსება ვრცელდება შემდეგ 4 საგანმანათლებლო პროგრამაზე: არქეოლოგია, ისტორია, ფილოსოფია, ქართული ფილოლოგია (შესაბამისად იხ. დიაგრამა 6, დიაგრამა 7, დიაგრამა 8, დიაგრამა 9).

დიაგრამა 6

დამთავრების პროცენტული მაჩვენებელი საგანმანათლებლო პროგრამაზე „არქეოლოგია“



წყარო: დიაგრამა შემუშავებულია ავტორების მიერ.

დიაგრამა 7

დამთავრების პროცენტული მაჩვენებელი
საგანმანათლებლო პროგრამაზე „ისტორია“



წყარო: დიაგრამა შემუშავებულია ავტორების მიერ.

დიაგრამა 8

დამთავრების პროცენტული მაჩვენებელი
საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფილოსოფია“.



წყარო: დიაგრამა შემუშავებულია ავტორების მიერ.

დიაგრამა 9

დამთავრების პროცენტული მაჩვენებელი
საგანმანათლებლო პროგრამაზე „ქართული ფილოლოგია“



წყარო: დიაგრამა შემუშავებულია ავტორების მიერ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კვლევისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია იმის დადგენა თუ როგორია პრიორიტეტული პროგრამული დაფინანსების მქონე სტუდენტების აკადემიური მოსწრება, როგორია დინამიკა წლების განმავლობაში.

კვლევის გამარტივების მიზნით გამოიყო ჯგუფები კურსდამთავრებულთა დიპლომის საშუალო ქულის (GPA) მიხედვით. განსაკუთრებით საინტერესო იყო იმ კურსდამთავრებულთა

რაოდენობა, რომელთა დიპლომის საშუალო ქულა (GPA) მერყეობდა 3.5-დან 4-მდე (კურსდამთავრებულები წარჩინებით) (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

წარჩინებით კურსდამთავრებულთა დინამიკა (2012–2020 წწ ჩარიცხულთათვის)


საგანმანათლებლო პროგრამა	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	სულ
არქეოლოგია	2	3	1	1	1	3	2	1	1	15
ბიოლოგია	9	7	10	6	12	13	9	10	2	78
ეკონომიკა	44	50	81	88	73	56	72	56	48	568
ისტორია	11	21	13	18	13	16	20	17	28	157
მათემატიკა	6	6	7	14	7	4	4	6	2	56
ფიზიკა	5	11	9	6	7	8	10	9	3	68
ფილოსოფია	5	3	1	2	1	1	3		4	20
ქართული ფილოლოგია	5	19	27	34	40	21	31	25	24	226
ქიმია	9	8	15	14	11	15	18	21	7	118
სულ	96	131	165	190	168	143	169	145	119	1326

წყარო: ცხრილი შემუშავებულია ავტორების მიერ.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე „ეკონომიკა“ წარჩინებით კურსდამთავრებულთა დინამიკა (2012-2020 წწ ჩარიცხულთათვის) წლების განმავლობაში დიაგრამაზე გამოიყურება ასეთნაირად (იხ. დიაგრამა 10).

დიაგრამა 10

წარჩინებით კურსდამთავრებულთა პროცენტული რაოდენობა საგანმანათლებლო პროგრამაზე „ეკონომიკა“



წყარო: დიაგრამა შემუშავებულია ავტორების მიერ

როგორც დიაგრამიდან ჩანს, წარჩინებით კურსდამთავრებულთა დამთავრების მაჩვენებელი საგანმანათლებლო პროგრამაზე „ეკონომიკა“ 2012-2020 წლებში ხასიათდება აღმავლობით 19.38%-დან 33.80%-მდე, თუმცა კორონავირუსის პერიოდის გამო აკადემიურად მაღალი მოს-

წრების მქონე სტუდენტების რაოდენობა წლების განმავლობაში მერყეობდა და სტაბილურობა მხოლოდ ბოლო წლებისკენ შეიმჩნევა.

დიაგრამა 11

წარჩინებით კურსდამთავრებულთა პროცენტული რაოდენობა საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბიოლოგია“



წყარო: დიაგრამა შემუშავებულია ავტორების მიერ

წარჩინებით კურსდამთავრებულთა დამთავრების მაჩვენებელი საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბიოლოგია“ 2012-2020 წლებში ხასიათდება შედარებით სტაბილურობით, თუმცა დაღმავალია და 34.62%-დან მცირდება 25.00%-მდე, საგანმანათლებლო პროგრამაზე „მათემატიკა“ 2012-2020 წლებში ხასიათდება მერყევი მაჩვენებლებით, რაც კორონავირუსის პერიოდის დამახასიათებელია, პროგრამაზე „ფიზიკა“ 2012-2020 წლებში ხასიათდება შედარებით სტაბილურობით, თუმცა აღმავალია და 20.00%-დან იზრდება 25.00%-მდე, ხოლო პროგრამაზე „ქიმია“ 2012-2020 წლებში ხასიათდება შედარებით ზრდადი ტენდენციით და 19.57%-დან იზრდება 50.00%-მდე.

მიუხედავად იმისა, რომ კორონავირუსის პერიოდმა წარჩინებით კურსდამთავრებულთა დამთავრების მაჩვენებლის გარკვეული რყევები გამოიწვია საგანმანათლებლო პროგრამაზე „არქეოლოგია“, 2012-2020 წლებში იგი ხასიათდება შედარებით სტაბილურობით, აღმავალია და 20.00%-დან იზრდება 25.00%-მდე.

წარჩინებით კურსდამთავრებულთა დამთავრების მაჩვენებელი საგანმანათლებლო პროგრამაზე „ისტორია“ 2012-2020 წლებში ხასიათდება სტაბილური აღმავლობით და 25.58%-დან იზრდება 71.79%-მდე, პროგრამაზე „ფილოსოფია“ 2012-2020 წლებში ხასიათდება აღმავლობით და 35.71%-დან იზრდება 66.67%-მდე, ხოლო პროგრამაზე „ქართული ფილოლოგია“ 2012-2020 წლებში ხასიათდება სტაბილური აღმავლობით და 8.77%-დან იზრდება 35.29%-მდე.

ზემოთ აღნიშნული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია გამოვთქვათ მოსაზრება იმის თაობაზე, რომ პრიორიტეტული პროგრამული დაფინანსების მიუხედავად, თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მცირდება დამთავრების მაჩვენებელი, ყოველწლიურად პროცენტულად უფრო და უფრო ნაკლები სტუდენტი ამთავრებს უნივერსიტეტს, რაც მიუთითებს პრიორიტეტული პროგრამული დაფინანსების დაბალ ეფექტიანობაზე.

პრიორიტეტული პროგრამული დაფინანსების მქონე სტუდენტებში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე (წარჩინებულ კურსდამთავრებულთა) სტუდენტების ხვედრითი წილის ზრდა მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ სტუდენტების მოტივაცია ყოველწლიურად იზრდება და თუ გავხდით პროგრამულ დაფინანსებს აკადემიურ მოსწრებაზე დამოკიდებულს, ეს მაჩვენებელი და მაშასადამე მოტივაციაც კიდევ უფრო გაიზრდება და შესაბამისად პრიორიტეტული პროგრამული დაფინანსების ეფექტიანობა მოიმატებს. ამ კუთხით განათლების სამინისტრომ გარკვეული ნაბიჯები გადადგა, რის შედეგადაც პრიორიტეტული პროგრამული დაფინანსების შესაწარმუნებლად დღეისათვის სავალდებულოა სტუდენტების მიერ წელიწადში გარკვეული რაოდენობის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება.

დენობის კრედიტების მიღება, თუმცა რა გავლენას მოახდენს ეს ნაბიჯი ეფექტიანობაზე მომავალი კვლევის საკითხია.

კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამული დაფინანსების ეფექტიანად და მიზანმიმართულად გამოყენებისთვის უმჯობესია, პროგრამული დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხები განანილდეს მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებზე და არა იმ სტუდენტებზე, რომლებიც პრიორიტეტულ პროგრამაზე მიიღებენ სწავლის უფლებას. ზემოაღნიშნული ხელს შეუწყობს პრიორიტეტული დარგების განვითარებას და სახელმწიფოს მიერ განათლებაზე გამოყოფილი ფინანსური რესურსები უფრო ეფექტიანად იქნება გამოყენებული.

ლიტერატურა

1. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა „უმაღლესი განათლების დაფინანსება“. https://emis.ge/umaghlesi_ganatileba/dafinanseba/.
2. გლობალური ეკონომიკა TheGlobalEconomy „ხარჯები განათლებაზე, მშპ-ის პროცენტი – მსოფლიოს ქვეყნების რეიტინგში“, 2022. https://www.theglobaleconomy.com/rankings/-education_spending/
3. დამოუკიდებელი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბეჭდური და ონლაინ გამოცემა „ლიბერალი“. გორგოძე ს. „აკადემიური მოსწრება, როგორც გრანტის შენარჩუნების პირობა – რას ფიქრობენ სპეციალისტები?“ (2017). <http://liberali.ge/news/view/28678/akademiuri-mostsrebarogorts-grantis-shenarchunebis-piroba-ras-fiqrobenspetsialistebi>
4. თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სისტემა. [Lms.tsu.ge.](https://lms.tsu.ge/), uni-admin.tsu.ge/.
5. მელქოშვილი თ. და სხვ. (2022) „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მიერ სწავლების პროცესის შეფასება“. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული.
6. პაპალაშვილი ს. (2024) ევროპის რომელ ქვეყნებშია მოსახლეობის განათლების დონე ყველაზე მაღალი <https://forbes.ge/evropis-romel-qveqhnebshia-mosakhleobis-ganathlebis-done-qhvelaze-maghali/>.
7. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. „განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2022-2030“. <https://www.mes.gov.ge/content.php?id=7755&lang=geo>
8. საქართველოს კანონი. საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6020661>
9. საქართველოს მთავრობის დადგენილება. N263, 18.07.2023 2023-2024 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობების, ოდენობებისა და პროგრამული დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ, თბილისი. <https://www.matsne.gov.ge/ka/-document/view/5869460?publication=0>.
10. სიჭინავა დ., მალრაძე მ., სეთურიძე რ., დავითაია შ., სიგუა ზ. (2021). სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილებისა და გამოყენების პრობლემები საქართველოში, *ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი*, N3.
11. Bastedo, M. N., & Gumpert, P. J. (2003). access to what Mission Differentiation and Academic Stratification in US Higher Education.
12. Breznitz, D., & Feldman, M. (2012). The strength of innovation in research-oriented universities.
13. Hicks, D. (2013). Funding concentration in research universities and its impact on research performance.

14. Salmi, J., & Bassett, R. M. (2011). The role of strategic funding in the global growth of research universities.
15. Seturidze, R. (2021), "Trends in Teaching Modern Information Systems in the Field of Taxation within Higher Educational Institutions", *Nata, RV (Ed.), Progress in Education*, 68, pp. 203-227, DOI: <https://doi.org/10.52305/WPPN2619>
16. Seturidze, R. and Topuria, N. (2020), "Cooperation between the businesses and the universities – unified data management using the business intelligence portal", Business Systems Laboratory – 7th International Symposium, Socio-Economic Ecosystems: Challenges for Sustainable Development in the Digital Era, University of Alicante, Alicante, Spain, ISBN: 9788890824296.
17. Seturidze, R. and Topuria, N. (2021), "A way of developing collaboration between universities and businesses in a time of COVID-19", *Kybernetes*, Vol. 50 No. 5, pp. 1661-1678. <https://doi.org/10.1108/K-08-2020-0518>.
18. UNESCO Institute for Statistics (UIS), <https://uis.unesco.org/>
19. Wang, Y. Sommier, M. and Vasques, A. (2021), "How to develop higher education students' sustainability-oriented competences?", EUR
20. Yijing Wang, Mélodine Sommier, Ana Vasques, "Sustainability education at higher education institutions: pedagogies and students' competences".
21. Zhao, Y., & Gallagher, C. (2007). Social justice and priority funding in higher education.

ON THE EFFECTIVENESS OF PRIORITY PROGRAM FINANCING IN HIGHER EDUCATION INSTITUTIONS

Melkoshvili Tina

Doctor of Business Administration, Associate Professor

Seturidze Rusudan,

Doctor of Economics, Associate Professor

Rusudan Seturidze

Abstract

The effectiveness of funding priority programs in higher education institutions is influenced by a range of factors. While such funding has been shown to significantly enhance research outcomes, educational quality, and innovation, it also raises critical issues related to equity, academic focus imbalances, and disparities in academic achievement. Addressing these challenges requires continuous research and the refinement of policies to ensure that funding initiatives deliver sustainable and equitable benefits within higher education systems.

This study investigates the efficiency and strategic allocation of public funds in the context of priority program funding for students. It focuses on data from undergraduate students at Ivane Javakhishvili Tbilisi State University in Georgia who received priority program funding between 2012 and 2020. The analysis includes the percentage of graduates from each priority program, trends in the proportion of honors graduates, and other key indicators. The findings offer insights that will contribute to the development of priority sectors and support the more effective utilization of state-allocated financial resources for education.

Keywords: *Priority Program Financing, Higher Education Financing, Efficiency, Higher Education Institutions.*

ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის კონტურები და შესაძლებლობები საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის

ელგუჯა მექვაბიშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი, ეკონ. მეცნ. დოქტორი

შესავალი

ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბება, რომლის ორგანული შემადგენელია მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი.

ამჟამინდელი მსოფლიო წესრიგი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა, განვლილი პერიოდის განმავლობაში არსებით სახეცვლილებას განიცდიდა. თავდაპირველად ის არსებობდა ორი დაპირისპირებული სისტემის – მსოფლიო კაპიტალისმის და საბჭოური ტიპის მსოფლიო სოციალიზმის თანაარსებობის ფორმით, რაც არ იყო ერთგვაროვანი: „ცივი ომის ეპოქის“ პერიოდს ცვლიდა ურთიერთობის შედარებით „დათბობის“ წლები. საბოლოოდ, ეს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ „მსოფლიო სოციალისტური სისტემა“ დაინგრა, ისტორიის კუთვნილება გახდა და დამყარდა ერთპოლუსიანი მსოფლიო წესრიგი აშშ-ის პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური ჰეგემონიით.

სსრ კავშირის და „მსოფლიო სოციალისტური სისტემის“ დაშლას ქრონოლოგიურად დაემთხვა გლობალიზაციის პროცესის დაწყება, რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდა და ახდენს მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბებაზე. ამჟამად გლობალიზაცია იმყოფება ფაზაში, რომელსაც მკვლევარები უწოდებენ „კონფრონტაციულ გლობალიზაციას.“ მის შინაარსს განსაზღვრავს დაპირისპირება ტრანსოკეანური და ტრანსკონტინენტური გლობალიზაციის მოდელებს შორის. ეს დაპირისპირება არის მნიშვნელოვანი გამოწვევა და ამასთანავე შანსი ისეთი მცირე ქვეყნებისათვის, როგორიც საქართველოა. იმისთვის, რომ საქართველომ ადეკვატურად უპასუხოს გამოწვევებს, მაქსიმალურად აიცილოს თავიდან საფრთხეები და წონადი სარგებელი მიიღოს ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგით შექმნილი რეალობიდან, აუცილებელია სწორი გეოეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ახალ იდეებს, არასტანდარტულ მიდგომებს და გაბედულ გადანაცვლებებს დაეფუძნება.

ტრანსოკეანური და ტრანსკონტინენტური გლობალიზაციის რაობის შესახებ

ისტორიის მკვლევარების აზრით, კაცობრიობის ისტორია ხუთიათას წელს ითვლის, თუმცა პერიოდიზაციას ექვემდებარება ბოლო სამი ათასწლეული. გამოიყოფა სამი პერიოდი: ძველი ანუ არქაული – ძველი წელთაღრიცხვის 3000-1000 წლები; მეორე – კლასიკური ანუ 1000 წელი ძვ. წ.-დან 1000 წელი ახალ წელთაღრიცხვამდე და მესამე ანუ თანამედროვე – ახალი წელთაღრიცხვის 1000 წლიდან დღეის ჩათვლით.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში სადისკუსიოა გლობალიზაციის დაწყების დრო. ზოგიერთი მკვლევარი გლობალიზაციას უძველეს ფენომენად მიიჩნევს და მეფე დარიოსის, ალექსანდრე მაკედონელის, რომის იმპერიებს გლობალიზაციის ნიმუშებად წარმოგვიდგენს.

ჩვენ არ ვეთანხმებით ამ მოსაზრებას და ვთვლით, რომ გლობალიზაცია თანამედროვე მოვლენაა და მისი დაწყება გასული საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნას უკავშირდება. მანამდე არსებულ პროცესებს, რომლებიც, ერთი შეხედვით, ძალიან ნააგავს თანამედროვე გლობალიზაციას, ვუწოდებთ გლობალიზაციის არქეტიპებს.

გლობალიზაცია, რომლის ქვაკუთხედი ეკონომიკის გლობალიზაციაა, მომზადებული იყო კაცობრიობის განვითარების ხანგრძლივი ისტორიული პროცესით. მის უშუალო წინაპირობას წარმოადგენდა წარმოებისა და კაპიტალის ინტერნაციონალიზაცია, რომელიც განსაკუთრებით მაღალი ინტენსივობით წარიმართა XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე აშშ-ში. „ინტერნაციონალურის“ ანუ „საერთაშორისო“-ს ცნება ლიტერატურაში დაამკვიდრა ინგლისელმა ფილოსოფოსმა ე. ბენტამმა XVIII ს-ის ბოლოს და ის კარგად შეესაბამებოდა იმ ეპოქის სულს. კერძოდ, ეს იყო ერი-სახელმწიფოების ეპოქა და „საერთაშორისო“-ს ცნება გამოხატავდა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს. როგორც პროფ. ზ. დავითაშვილი აღნიშნავს: „სახელმწიფოები იმ დროს საერთაშორისო ურთიერთობების ერთადერთი სუბიექტები იყვნენ“ (დავითაშვილი ზ. 2003).

გლობალიზაციის დაწყება კანონზომიერი იყო, ვინაიდან მას განაპირობებდა ინდუსტრიულად განვითარებულ და პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში, პირველ რიგში აშშ-ში წარმოების ტექნოლოგიურ საფუძველში და ეკონომიკის ფუნქციონირების მექანიზმში განხორციელებული რევოლუციური შინაარსის ძვრები.

კაცობრიობის ისტორიაში ტექნოლოგიური რევოლუციების ფაზებს განსაზღვრავდა ტექნოლოგიური პარადიგმის ცვლილება, რომელიც ასეთი თანმიმდევრობით განხორციელდა: წყლის ბორბალი---(ორთქლის ძრავა---(ელექტრობა---(მასობრივი წარმოების ტექნოლოგიები (XX საუკუნის 50-60-იანი წლები) -----> საინფორმაციო – სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები (1990-იანი წლების დასაწყისიდან). თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებამ შეცვალა „სივრცის“ და „დროის“ ცნებები. დრო თითქოს „აჩქარდა“, სამყარო კი „შეიკუმშა“ („დაპატარავდა“). წარმოიშვა გლობალური ეკონომიკის ფენომენი, რაც წარმოადგენს არა „ეროვნული ეკონომიკების“ მექანიკურ ერთობლიობას, არამედ რეალური დროის რეჟიმში, პლანეტარული მასშტაბით ფუნქციონირებად ერთიან სისტემას.

ეკონომიკის ფუნქციონირების რეჟიმის შეცვლას (პარადიგმულ ცვლილებას) გასული საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე წინ უძღოდა რთული პროცესები, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკაში 1970-იანი წლებიდან დაიწყო და 1980-იან წლებშიც გაგრძელდა. „ენერგეტიკულმა (სანავთობო) კრიზისმა“ წარმოქმნა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რომელზედაც რეაქციას წარმოადგენდა:

პირველი, ეკონომიკური პარადიგმის შეცვლა ანუ ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირების კეინზიანური მოდელიდან ერთობლივი მიწოდების სტიმულირების ნეოკლასიკურ მოდელზე (Suplay-side-economics) გადასვლა;

მეორე, ეკონომიკურ ანალიზში გლობალიზაციის ფაქტორის ჩართვა, ანუ იმის მტკიცება, რომ ეროვნული ბაზრების გლობალური ბაზრებით ჩანაცვლება: ა) ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარების ბ) რეგიონებსა და სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური უთანაბრობის და გ) მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიის შემოსავლებში, სიმდიდრეში უთანასწორობის დაძლევის, უფრო მაღალი ხარისხის, სოციალური სამართლიანობის მიღწევის გადამწყვეტი ფაქტორია. გლობალიზაციის დაწყებიდან განვლილმა სამ ათეულზე მეტმა წელმა აჩვენა, რომ ვერც ერთი ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა ვერ მოხერხდა. პირიქით ზოგიერთი პრობლემა გამწვავდა და ძველ პრობლემებს ახალი დაემატა (მექევაბიშვილი, 2018). ამჟამად გლობალიზაცია შევიდა ფაზაში, რომელსაც აკად. ვ. პაპავა კონფრონტაციულ გლობალიზაციას უწოდებს (პაპავა, 2022). მისი შინაარსი სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს ინტერპრეტირებული. ჩვენი აზრით, კონფრონტაციულ გლობალიზაციას განსაზღვრავს წინააღმდეგობების გამწვავება გლობალიზაციის ტრანსკონტინენტურ და ტრანსოკეანურ მოდელებს შორის.

ისტორიული თვალსაზრისით, პირველად წარმოიშვა ტრანსკონტინენტური გლობალიზაციის არქეტიპი, რომლის კლასიკურ ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ XIII საუკუნეში მონღოლთა „ოქროს ურდო“, ჩინგიზ ხანის მეთაურობით. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ „ჩინგიზ ხანი“ მონღოლურად „მსოფლიო მბრძანებელს“ ნიშნავს. ხანგრძლივი დაპყრობითი ომების გზით მონღოლებმა შექმნეს უზარმაზარი იმპერია, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა წარმომავლობის, კულტურისა და ისტორიის მქონე ხალხს. ის გადაჭიმული იყო ევრაზიულ სივრცეზე, სადაც ცხოვრობდა იმდროინდელი მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 40%. მონღოლთა იმპერიის დაცემით, ფაქტობრივად, დასრულდა შიდაკონტინენტურ სივრცეში ხალხთა გლობალური ორგანიზაცია (მექვაბიშვილი, 2009). გაივლის თითქმის საუკუნენახევარი და დაიწყება გლობალიზაციის ახალი არქეტიპი ტრანსოკეანური გლობალიზაციის სახით. მისი ჩამოყალიბება თავიდან ხდებოდა ისეთი ძლიერი საზღვაო სახელმწიფოების გარშემო, როგორებიც იყვნენ პორტუგალია, ესპანეთი, ნიდერლანდები და, რა თქმა უნდა, დიდი ბრიტანეთი. XIX საუკუნეში მათ დაემატა საფრანგეთი და გერმანია. XX საუკუნის დასაწყისიდან ჰეგემონი გახდა აშშ.

ამჟამად გაბატონებულ (მეინსტრიმულ) ტრანსოკეანურ (ტრანსატლანტიკურ) მოდელში აშშ-ის როლი განსაკუთრებულია, რაც რამდენიმე გარემოებაში ვლინდება:

- ა) აშშ არის გლობალიზაციის მთავარი ლოკომოტივი და ბირთვი;
- ბ) ეკონომიკის გლობალიზაცია მიმდინარეობს ორთოდოქსულ-ნეოლიბერალური მოდელის შესაბამისად, რომელსაც ეკონომიკის (ბიზნესის) ორგანიზაციის ამერიკული მოდელი უდევს საფუძვლად;
- გ) ეკონომიკის გლობალიზაციიდან ყველაზე მეტ სარგებელს აშშ იღებს, რაც უზრუნველყოფს მისი ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების ზრდას, პოლიტიკური გავლენის სფეროს გაფართოებას.

დღეს აშშ ტრადიციული გაგებით „ერი სახელმწიფო“ აღარ არის, არამედ რაღაც ახალი ფენომენი – ქვეყანა სისტემაა, რომლისთვისაც პრიორიტეტულია არა იმდენად საკუთარი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრები, რამდენადაც მის გარეთ არსებული სივრცეები, რომლებსაც ის განიხილავს საკუთარი სასიცოცხლო ინტერესების ზონად და ეს უკანასკნელი მთელ ჩვენს პლანეტას მოიცავს.

თანამედროვე გლობალური ეკონომიკა შეიძლება წარმოვიდგინოთ იერარქიული დონეების მქონე პირამიდის სახით. მის მწვერვალზე დგას აშშ თავისი ინფორმაციული საზოგადოებით და ე.წ. „ახალი ეკონომიკით“, რომელიც მოიცავს ცოდნის წარმოებას, ინფორმაციის დამუშავება – გავრცელებას, მაღალი ტექნოლოგიების შექმნიდან და მათი რეალიზაციიდან უზარმაზარი შემოსავლების მიღებას. ამ თვალსაზრისით, აშშ მსოფლიოში უპირობო ლიდერია და დაახლოებით 20-30 წლით უსწრებს დანარჩენ ქვეყნებს*. თუმცა, დღეს აშშ-ის ტექნოლოგიური უპირატესობა უკვე აღარ არის ისეთი უპირობო, როგორც ეს ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე იყო, რაზეც ამ ქვეყნის ცნობილი ადამიანებიც წერენ. ასე მაგალითად, მსოფლიო და აშშ დიპლომატიის „პატრიარქად“ წოდებული ზ. ბუჟინსკი სამხედრო და უშიშროების სფეროებში ხარჯების გიგანტურ ზრდას აშშ-ს ეკონომიკისთვის დიდ საფრთხედ მიიჩნევს და წერს, რომ უმჯობესი იქნებოდა ეს სახსრები „განათლების სფეროს და იმ მეცნიერული კვლევების დაფინანსების გაზრდას მოხმარებოდა, რომელზედაც შორეულ პერსპექტივაში ამერიკის, როგორც მსოფლიო ლიდერი სახელმწიფოს სტატუსის შენარჩუნებაა დამოკიდებული“ (ბუჟინსკი ზ. 2005).

* ცნობილი ფუტუროლოგი ელვინ ტოფლერი საყვედურობდა ევროკავშირის ხელმძღვანელობას იმის გამო, რომ სათანადო ყურადღებას არ უთმობდნენ მეცნიერებას, ინფორმატიკას და უახლეს ტექნოლოგიებს, რაც მეცნიერის აზრით, იწვევდა ევროპის ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის გაზრდას აშშ-ისგან (Toffler A. 2006).

„შორეული პერსპექტივა“, რომლის შესახებაც წერდა ბუეზინსკი, არც თუ ისე შორეული აღმოჩნდა. უკვე დღეს, ჩვენ თვალწინ ამერიკის მსოფლიო ლიდერობა და Pax-Americana-ს დოქტრინის მიხედვით წარმართული მეინსტრიმული ტრანსოკეანური გლობალიზაციის მოდელი სერიოზულ კონკურენციას განიცდის ტრანსკონტინენტური გლობალიზაციის მხრიდან, რომელსაც ჩინეთი უდგას სათავეში. ვიდრე მსჯელობას გავაგრძელებთ, ერთ, ჩვენი აზრით, საინტერესო ფაქტზე გვსურს ყურადღების გამახვილება. ტრანსოკეანური ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, საზღვაო გლობალიზაციის პირველი არქეტიპი ჩინეთს ეკუთვნის. ჯერ კიდევ X-XI საუკუნეებში, რომელიც „ჩინეთის ოქროს ხანად“ მოიხსენიება ლიტერატურაში, ჩინელები აგებდნენ გემებს, რომლებიც სიდიდით 10-12-ჯერ აღემატებოდა კოლუმბის გემებს, რომლითაც მან ამერიკის კონტინენტს მიაღწია. ამ გემებით ისინი ჩინეთისგან საკმაოდ დაშორებულ ტერიტორიაზე ახორციელებდნენ საგარეო ექსპანსიას. რაღაც გარკვეულ მომენტში ჩინელებმა ხელი აიღეს ამ პოლიტიკაზე და გემები დაწვეს. ამგვარი გადაწყვეტილების ზუსტი მიზეზი უცნობია, თუმცა ამის შესახებ ბევრი ვერსია არსებობს.

თუ შორეული წარსულიდან თანამედროვეობაში გადმოვინაცვლებთ, დავინახავთ, რომ გლობალიზაციის ორი მოდელის დაპირისპირების გამოვლინება დღეს აშშ-ისა და ჩინეთის დაპირისპირებაა, რაც ერთპოლუსიანი მსოფლიო წესრიგის ორპოლუსიან წესრიგად ტრანსფორმირების დაწყების მიმანიშნებელია.

ტრანსოკეანური („ვესტერნული“, „ამერიკანიზებული“) გლობალიზაციის ეპოქის დასის კონტურები აშკარად იკვეთება, თუმცა ეს სრულიად არ ნიშნავს გლობალიზაციის დასასრულს და როგორც ამერიკელი მკვლევარი ჯ. ს. ნაი, ჩვენი აზრით, სამართლიანად შენიშნავს: „გლობალიზაცია არ დასრულებულა. უბრალოდ ის ისეთი აღარაა, როგორიც ჩვენ გვსურს“ (Nye J.S. 2023).

ტრანსკონტინენტური გლობალიზაციის მთავარი აქტორი და წარმმართველი სუბიექტი ჩინეთია. 2023 წლის სექტემბერში ჩინეთში გამოქვეყნებულ დოკუმენტში – „გლობალიზაციური ცივილიზაციური ინიციატივა“ ჩამოყალიბებულია მეინსტრიმული ამერიკული გლობალიზაციის მოდელის ალტერნატიული მსოფლიო წესრიგის სამი ფუნდამენტური პრინციპი:

- უარი უნივერსალურ ფასეულობებს;
- ბალანსი მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა ინტერესებს შორის;
- უფრო უსაფრთხო და სტაბილური მსოფლიო.

ამ გლობალური მიდგომის კონტექსტში „სარტყლისა და გზის“ ჩინური მეგაპროექტი, რომლის განხორციელება უკვე დაიწყო და ითვალისწინებს აზიის, ევროპის და აფრიკის კონტინენტების სატრანსპორტო გზით ერთმანეთთან მჭიდრო დაკავშირებას. უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წელს ამ პროექტში უკვე 150 ქვეყანა იყო ჩართული, სადაც ცხოვრობდა მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით ორი მესამედი. აღნიშნული მეგაპროექტის შემადგენელი ნაწილია „ახალი აბრეშუმის გზა“ თავისი „შუა დერეფნის“ მონაკვეთებით, რომელიც საქართველოზე გაივლის.

კონტინენტური გლობალიზაციის ქმედით ინსტრუმენტად უნდა იქნეს განხილული BRICS-ის გაერთიანება, რომელიც იმთავითვე ჩაფიქრებული იყო როგორც აშშ-სთან გლობალურ კონკურენციაში „აღმოსავლეთისა“ და „სამხრეთის“ ქვეყნების ძალისხმევის კოორდინაციის საშუალება. BRICS-ში, რომელიც 2009 წელს დაარსდა, ამჟამად ცხოვრობს მსოფლიო მოსახლეობის 40%-ზე მეტი. გაერთიანებაში შემავალი ქვეყნები აწარმოებენ გლობალური მსპ-ის 31,5%-ს (2022 წ.). ბოლო ათი წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი 10%-ით გაიზარდა, მაშინ, როცა G7-ის წილი 20%-ით ანუ 50%-იდან 30%-მდე შემცირდა. ზრდა ძირითადად მიღწეული იყო ჩინეთის ხარჯზე, რომლის წილი გაერთიანების მსპ-ის 70%-ია.

„ბლუმბერგის“ თანახმად, 2028 წლისთვის BRICS-ის წილი გლობალურ ეკონომიკაში 35%, ხოლო „დიდი შვიდეულის“ – 27,8% იქნება (Torsten Poliet, 2023). BRICS-ის გაფართოება მუდმივად მიმდინარეობს. სულ ახლახან მასში გაწევრიანების სურვილი დააფიქსირეს თურქეთმა და

აზერბაიჯანმა. იმის მიუხედავად, რომ BRICS ჯერ-ჯერობით არ წარმოადგენს ისეთი მყარი სტრუქტურის მქონე გაერთიანებას, როგორიც, მაგალითად ევროკავშირია, BRICS-ის წევრებმა უკვე შექმნეს განვითარების ბანკი, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის ალტერნატივად მოიაზრება. არსებობს გადაწყვეტილება საერთო სავალუტო სარეზერვო ფონდის – ე.წ. „ოქროს კალათის“ და ახალი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის „BRICS-ის ბანკის“ შექმნის შესახებ, რომელიც გაერთიანებაში შემავალი ქვეყნების ცენტრალური ბანკების ოქროს დეპოზიტებს დაეფუძნება.

ყოველი აღნიშნული ადასტურებს ამ გაერთიანების მნიშვნელოვან პერსპექტულობას საშუალო და გრძელვადიან პერიოდებში.

საქართველო ტრანსკონტინენტური და ტრანსოკეანური გლობალიზაციის გზაჯვარედინზე

ტრანსკონტინენტური და ტრანსოკეანური გლობალიზაციის მოდელებს შორის მზარდი კონკურენცია იმაში გამოიხატება, რომ ერთი მხრივ, ჩინეთი ცდილობს კონტროლი დაანესოს საზღვაო გადაზიდვების მარშრუტებზე. ამ მიზნით, მან ბოლო ათი წლის განმავლობაში მოახერხა 50 სახელმწიფოში, მათ შორის ევროპის ქვეყნებში – გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, პორტუგალიაში, პოლონეთში, 100-მდე ნავსადგურის შეძენა. მის მფლობელობაშია, ევროპაში უდიდესი, როტერდამის ნავსადგურის 30%, ანტვერპენის ნავსადგურის 20%, ჰამბურგის უდიდესი საკონტინენტო ტერმინალის საკონტროლო პაკეტი, ლისაბონის ნავსადგური და პირეოსის ნავსადგურის 51%. მეორე მხრივ, ის ცდილობს ტრანსკონტინენტურ გლობალიზაციაში აქტიურად ჩართვას. ამ მიზნით მან დაიწყო ახალი „დიდი აბრეშუმის გზის“ ალტერნატიული მარშრუტის – „ინდოეთი, შუა აღმოსავლეთი-ევროპა ეკონომიკური დერეფანი“ პროექტის მომზადება. ეს მარშრუტი გვერდს უვლის საქართველოს და თურქეთს.

საქართველოს, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, აქვს დიდი შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს ტრანსკონტინენტურ გლობალიზაციაში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია შუა დერეფნის პროექტი, რომელიც გულისხმობს ჩინეთისა და ცენტრალური აზიის მჭიდრო ეკონომიკური კავშირის დამყარებას ევროპასთან, საქართველოს გავლით. ეს პროექტი წარმატებით, რომ რეალიზდეს, სულ მცირე, ორი უმნიშვნელოვანესი პირობაა აუცილებელი. პირველი დაკავშირებულია პროექტში ეფექტიანად ჩართვისთვის საქართველოს მზადყოფნასთან. კერძოდ:

- საქართველომ უნდა მოახერხოს წარმოადგენდეს არა მხოლოდ სატრანსპორტო და ენერგეტიკული დერეფნის ნაწილს, არამედ ეკონომიკურ დერეფანსაც. ეს გულისხმობს საქართველოზე გამავალი ტვირთების გადამუშავებას პორტების მიმდებარე ტერიტორიებზე იმ გამოცდილების გათვალისწინებით, რომელიც შანხაის, დუბაის, როტერდამის და სხვა პორტებს გააჩნია.
- გვჭირდება სათანადო ინფრასტრუქტურის და სატერმინალო ქსელის გამართვა, რომელიც დღეის მდგომარეობით ძალიან შორსაა საერთაშორისო სტანდარტებთან;
- აუცილებელია საქართველო აქტიურად ჩაერთოს დერეფნის ყველა მონაწილე ქვეყანას შორის ტვირთების გამტარუნარიანობის სინქრონიზაციი პროცესში;
- პრიორიტეტულია შუა დერეფნის გაციფრულების საკითხი, ვინაიდან ნებისმიერი მსგავსი გლობალური პროექტი დღეს უზრუნველყოფილი უნდა იყოს სწრაფი და უსწრაფესი ინტერნეტმომსახურებით;
- მეტად მნიშვნელოვანია ტრანზიტის მთელი მარშრუტისთვის, ერთი მხრივ, პრეფერენციული ტარიფების შემუშავება და, მეორე მხრივ, გადაზიდვების ტარიფების უნიფიცირება;

- საშური საქმეა გადაზიდვების სხვადასხვა ტიპზე მორგებული იურიდიული ჩარჩო-სტანდარტების შემუშავება;
- უნდა შეიქმნას რისკის დაზღვევის ერთიანი ეფექტიანი სისტემა იმის გათვალისწინებით, რომ სატრანზიტო აქტივობებს, როგორც წესი, თან ახლავს მაღალი
- ხარისხის რისკი, რის გამოც ტვირთები სწორად უნდა იქნეს დაზღვეული და მართული, რაც ამ ტიპის ბიზნესს ჩამოუყალიბებს სტაბილურობის განცდას.
- აუცილებელია ბიუროკრატიული ბარიერების დაძლევა და გადაზიდვის ბიზნესისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი გარემოს შექმნა.
- მეტად მნიშვნელოვანია პირობების მომზადება საქართველოს ენერგეტიკულ ჰაბად გადასაქცევად. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა იქნება არამხოლოდ ენერგომომცველების გამტარებელი, არამედ თვითონაც აგენერირებს ენერგიას, უპირველეს ყოვლისა, ეკოლოგიურად სუფთა განახლებადი ენერგიის წარმოების გზით. ეს უკანასკნელი უაღრესად აქტუალურია „ევროპის მწვანე შეთანხმების პროგრამის“ კონტექსტით, რომელიც ითვალისწინებს ევროპის გადაქცევას ნახშირბადნეიტრალურ პირველ კონტინენტად. უკვე 2030 წლისთვის ევროკავშირში მოხმარებული მთელი ენერგიის 45% მიღებული უნდა იქნეს განახლებადი ენერგიის წყაროებიდან.
- საქართველო, როგორც ცნობილია, არ გამოირჩევა წიაღისეული სათბობის მდიდარი მარაგებით. ამიტომ განახლებადი ენერგიის გენერაცია საექსპორტო შემოსავლების ზრდის და ენერგეტიკული უსაფრთხოების ამაღლების მნიშვნელოვანი პირობაა.
- განსაკუთრებით აქტუალურია ჩვენ გეოგრაფიულ მდებარეობაზე მორგებული გეოეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მაქსიმალურად იქნება დივერსიფიცირებული და გაითვალისწინებს, როგორც ეკონომიკური სარგებლის მიღებას, ისე მყარი უსაფრთხოების გარანტიების შექმნას.

ფაქტორთა მეორე ჯგუფს გლობალური მოთამაშეების ინტერესთა დიალექტიკა განსაზღვრავს. შუა დერეფნის ამოქმედებით დღეს დაინტერესებული არიან ჩინეთი, ინდოეთი, ირანი, ცენტრალური აზიის ქვეყნები, აზერბაიჯანი და, რა თქმა უნდა, საქართველო. ვის ინტერესებში არ შედის შუა დერეფნის პროექტი? პირველ რიგში რუსეთის, რომელიც ამ მარშრუტს ჩრდილოეთის მარშრუტის კონკურენტად მიიჩნევს და შესაბამისად ყველაფერს მოიმოქმედებს მის საწინააღმდეგოდ. არ მოერიდება ჩვენ ქვეყანაში პოლიტიკური დესტაბილიზაციის შექმნის მცდელობასაც კი. შუა დერეფანი არც აშშ-ის ინტერესებშია, რომელიც ტრანსოკეანური გლობალიზაციის წარმმართველია და აკონტროლებს ყველა მნიშვნელოვანი საზღვაო გადაზიდვის მარშრუტს. შესაბამისად, ის კონტინენტურ სამხრეთ მარშრუტს კონკურენტად აღიქვამს. ამ პრობლემის გადაწყვეტის გასაღები, ჩვენი აზრით, ინტერესთა დაბალანსებაშია. კერძოდ, **უნდა მოხერხდეს ევროატლანტიკური სივრცის ინდოეთისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებთან, არამხოლოდ საზღვაო, არამედ სახმელეთო გზით დაკავშირება და ამ მიზნით შუა დერეფნის გამოყენება. ამ შემთხვევაში აშშ ჩართული აღმოჩნდება ტრანსკონტინენტურ გლობალიზაციაში და პოზიტიური ინტერესი გაუჩნდება შუა დერეფნის პროექტის მიმართ.** ამ თვალსაზრისით საინტერესოდ მიგვაჩნია რუსული წარმომოშობის ამერიკელი ანალიტიკოსის ნიკოლას გვოზდევის მოსაზრებები: „საქართველო უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, თუკი გსურთ, რომ „დასავლეთის დაკავშირების სტრატეგია“ რეალობად იქცეს“, აღნიშნავს იგი. ვინაიდან „საქართველო აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი რგოლია“, გვოზდევის აზრით „გამართულად ფუნქციონირებადი საქართველო დასავლეთის ბიზნესინტერესებში უნდა შედიოდეს“ (გვოზდევი, 2023). ინტერესთა დაბალანსების პერსპექტიულ მიმართულებად მიგვაჩნია „სამხრეთ-ჩრდილოეთის დერეფნის“ იდეა, რომლის ხორცშესხმის პროცესი უკვე დაიწყო. კერძოდ, ინდოეთმა და ირანმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს ინდოეთის ინვესტიციებით ირანის ტერიტორიაზე ჩაბაჰარის პორტის მშენებლობას, საიდანაც

ტვირთები იმოდრავებს ევროპისკენ და რუსეთისკენ საქართველოს გავლით. ეს არის „სამხრეთ – ჩრდილოეთის გზა (INSTC)“ ინდოეთის, ირანის, პაკისტანის, რიგი არაბული ქვეყნების მონაწილეობით, რუსეთისკენ და ევროპისკენ. ამრიგად, პერსპექტივაში შესაძლებელია ახალი გლობალური კონსტრუქციის შექმნა: აღმოსავლეთ-დასავლეთის და სამხრეთ-ჩრდილოეთის სატრანზიტო გზების გადაკვეთა საქართველოში, რაც საქართველოს „სატრანსპორტო დერეფნიდან“ გადააქცევს გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობის „სატრანსპორტო გზაჯვარედინად“.

დასკვნა

ახალი მსოფლიო წესრიგი ამჟამად ყალიბდება ტრანსკონტინენტური და ტრანსოკეანური გლობალიზაციის მოდელს შორის მწვავე კონკურენციაში. ტრანსოკეანურ გლობალიზაციაში, რომლის მთავარი სუბიექტი აშშ-ია, აქცენტი კეთდება დასავლური ფასეულობების – ლიბერალური დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, მულტიკულტურალიზმის, „თავისუფალი ბაზრის“ და ა.შ. – პლანეტარული მასშტაბით გავრცელებაზე და მათზე დაყრდნობით ქვეყნებს შორის ურთიერთობებზე. გლობალიზაციის ტრანსკონტინენტური (ჩინური) მოდელი აქცენტს აკეთებს ეკონომიკურ თანამშრომლობასა და მასში მონაწილე მხარეების მაქსიმალური ეკონომიკური სარგებლის მიღებაზე, ეროვნული ფასეულობების და თვითმყოფადობის შენარჩუნების პირობებში. მაშასადამე, ჩვენ ფაქტობრივად საქმე გვაქვს დასავლურ წესებსა და ფასეულობებზე დაფუძნებული წესრიგის, ალტერნატიული საერთაშორისო წესრიგით ჩანაცვლების მცდელობასთან. ამ ბოლო პერიოდში წინააღმდეგობრივ მოვლენათა განვითარების ლოგიკა ორ პერსპექტივას აჩენს: სამხრეთ კავკასია შესაძლებელია იქცეს, როგორც ტრანსკონტინენტური და ტრანსოკეანური გლობალიზაციის დაპირისპირების ეპიცენტრად, ასევე მათი გადაკვეთის არეალად, რამაც შესაძლებელია ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიის რეგიონის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის ოაზისად ჩამოყალიბებას. შექმნილ რეალობაში საქართველოს გეოსტრატეგიული პოლიტიკა მაქსიმალურად პრაგმატული და რაციონალური უნდა იყოს, რაც გულისხმობს მოსალოდნელი სახიფათო დაპირისპირებებიდან მაქსიმალურ დისტანცირებას და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის ნებისმიერ პროექტში აქტიურ ჩართულობას.

ჩვენი აზრით, სწორედ ამ გზითაა შესაძლებელი ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარება და ეროვნულ – სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების დაცვა კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში.

ლიტერატურა

1. დავითაშვილი ზ. (2003). ნაციონალიზმი და გლობალიზაცია
2. პაპავა ვ. (2022). პანდემია, ომი და ეკონომიკური სანქციები: ტურბულენტურიდან კონფრონტაციულ გლობალიზაციამდე alioni21.ge/pandemia-omi-da-ekonokikuri-sanqciebi
3. მექვაბიშვილი ე. (2009). ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები. თბ.: „ინოვაცია“
4. Toffler A. (2006). *Revolutionary Wealth*. Knopf.
5. ბჟეზინსკი ზბ. (2005). ინტერვიუ გაზეთ „ლოს-ანჯელეს ტაიმსს“
6. Nye J.S. (2023). Конец глобализации? <https://mail.google.com/mail/u/0/#inbox?projector=1>
7. Torsten Poliet (2003). The BRICS Currency Project Risk<=>Up Speed Analysis-eurasiview.com/18072023-the-brics-currency-project-poks-up-speed-analysis.

CONTOURS AND OPPORTUNITIES OF THE NEW WORLD ECONOMIC ORDER FOR THE DEVELOPMENT OF GEORGIA'S ECONOMY

Elguja Mekvabishvili

Professor at Ivane Javakishvili Tbilisi State University

Abstract

Currently, the formation of a new world economic order is rapidly underway, defined by competition between transoceanic and transcontinental globalization models. This competition is primarily evident in the global confrontation between the United States and China. The unipolar world economic order, with the United States as its main actor, is approaching its end. In the foreseeable future, it is likely to be replaced by a bipolar or multipolar global economy.

Georgia must identify its role in these processes based on its own interests, which should be reflected in its active involvement in various megaprojects. This paper discusses the prospects for Georgia's economic development in terms of its participation in the transcontinental megaproject "The New Silk Road" and, specifically, the "Middle Corridor Project."

განკარგვადი შემოსავლის სტრუქტურის, დაზოგვისა და ინვესტირების ნორმების დინამიკა საქართველოსა და ევროკავშირში

მინდორაშვილი მარინე (მაია)
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
თსუ ასოცირებული პროფესორი

ანოტაცია

სტატიაში განხილულია განკარგვადი შემოსავლის სტრუქტურის, დანაზოგისა და ინვესტირების მაჩვენებლების დინამიკა საქართველოსა და ევროკავშირის შინამეურნეობებში 2012-2022 წლებში. განკარგვადი შემოსავლისა და მისგან წარმოებული დაზოგვისა და ინვესტირების ნორმების სტატისტიკა ევროპული ეროვნული და რეგიონული ანგარიშთა სისტემის შინამეურნეობების სექტორული ანგარიშების ბაზაზეა შესაძლებელი. საქართველოში ეს მაჩვენებლები არ იანგარიშება, თუმცა ქვეყნის მთლიანი განკარგვადი შემოსავლის დინამიკისა და სტრუქტურის შედარებით ანალიზი საყურადღებო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. ფინანსურ და ეკონომიკურ კრიზისთან ერთად, კოვიდ პანდემიამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა შინამეურნეობების შემოსავლების სტრუქტურაზე, დაზოგვისა და ინვესტირების ნორმებზე. თუ ევროკავშირისთვის ეს ტენდენციები დიდი სიახლით არ გამოირჩევა, საქართველოსთვის ყურადსაღები გამოცდილებაა. სტატიაში ასევე ხაზგასმულია განკარგვადი შემოსავლის (მთლიანი, წმინდა, ნატურალური სოციალური ტრანსფერებით კორექტირებული) ანალიტიკური შესაძლებლობები შინამეურნეობების სექტორის დასახასიათებლად.

საკვანძო სიტყვები: შინამეურნეობა, განკარგვადი შემოსავალი, დაზოგვის ნორმა, ინვესტირების ნორმა.


შესავალი

მთლიანი განკარგვადი შემოსავალი წარმოადგენს ყველა მიმდინარე ტრანსაქციის შედეგს მოხმარებამდე. გამორიცხავს რა კაპიტალურ ტრანსფერებს, ჰოლდინგურ მოგებას/ზარალს და ბუნებრივი კატაკლიზმების ზემოქმედებას, ის იმ წმინდა რესურსების ჯამია, რომელიც დაგროვდა მოცემული პერიოდის განმავლობაში მოხმარების ან/და დაზოგვისთვის. ნატურალური სოციალური ტრანსფერების ჩათვლით, აგრეგირებული განკარგვადი შემოსავალი მოიცავს შრომის ანაზღაურებას, მთლიან საოპერაციო მოგებასა და შერეულ შემოსავალს, წმინდა შემოსავალს საკუთრებიდან, სოციალურ დახმარებას და სხვა ტრანსფერებს გადახდილი გადასახადებისა და საპენსიო შენატანების გამოკლებით. მაშასადამე, ეს რესურსების ის ჯამური მოცულობაა, რომელიც შინამეურნეობას რჩება დასახარჯად ან დაზოგვისთვის მას შემდეგ, რაც გადაიხდის საშემოსავლო გადასახადს და საპენსიო შენატანებს. შინამეურნეობების მთლიანი დაზოგვისა და ინვესტირების ნორმა (დონე) წარმოადგენს შესაბამისად მთლიანი დაზოგვისა და მთლიანი კაპიტალის ფორმირების (ინვესტიცია) ფარდობას მთლიან განკარგვად შემოსავალთან, რომელიც

კორექტირებულია საპენსიო ფონდების რეზერვებში შინამეურნეობების წმინდა კაპიტალის ცვლილებით ქვეყნებს შორის არსებული განსხვავებების მოსწორების მიზნით.

ძირითადი ნაწილი. საქართველოში განკარგვადი შემოსავალი ერთ მოსახლეზე განუხრელად იზრდება. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა 2010-23 წლებში საბაზისო წელთან შედარებით 1-2%-ით მცირდებოდა, განმსაზღვრელი როლი ამ მაჩვენებლის ზრდაში მაინც თვით განკარგვადმა შემოსავალმა ითამაშა, ის პერიოდის ბოლოსთვის 3.5-ჯერ გაიზარდა:


დიაგრამა 1



წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/24/mtliani-erovnuli-shemosavali-mesh>

შედეგად, განკარგვადი შემოსავალი ერთ მოსახლეზე ზუსტად იმეორებს თვით განკარგვადი შემოსავლის ზრდის საბაზისო და ჯაჭვურ ტრენდს – კერძოდ, ჯაჭვური ზრდის ტემპი მერყევი და არამდგრადია (18, 9, 8, 5, 6, 3, 13, 11, 9, 2, 22, 20, 7), ხოლო საბაზისო – ნახტომებით იზრდება (18, 28, 39, 45, 53, 57, 78, 98, 116, 120, 170, 25, 248):


დიაგრამა 2



წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/24/mtliani-erovnuli-shemosavali-mesh>
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia>

აღნიშნულ მონაცემებს ევროსტატი 2003 წლიდან აქვეყნებს, თუმცა ნომინალურ დონეზეც ვერ ვაკვირდებით ასეთ ტემპებს როგორც ევროკავშირში მთლიანად, ისე ევრო არეში:

დიაგრამა 3



წყარო: <https://ec.europa.eu/eurostat>

გრაფიკზე ნათლად ჩანს, რომ ამ პერიოდში მატების ტრენდი ზრდადი იყო 2008 წლის კრიზისამდე, რაც კლებადი და მერყევი დინამიკით შეიცვალა საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და მხოლოდ 2021-22 წლებში დაფიქსირდა მნიშვნელოვანი მატება 5-6%-ის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ პანდემიის წლებში (2019-21) მხოლოდ 2020 წელი გამოირჩეოდა კლებით (3.3; 1.3; 5.4%), რაც იმაზე მიუთითებს, რომ ფინანსურმა კრიზისმა გაცილებით დიდი ზეგავლენა მოახდინა მასზე.

თუ შევადარებთ შინამეურნეობების განკარგავადი შემოსავლის სტრუქტურას ევროკავშირსა და საქართველოში, ასეთ სურათს მივიღებთ:

ცხრილი 1

შინამეურნეობების განკარგავადი შემოსავლის სტრუქტურა ევროკავშირში, %

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
შრომის ანაზღაურება	34.5	34.5	34.7	35.1	35.3	35.8	36.4	36.9	35.8	36.2	36.6
მთლიანი საოპერაციო მოგება და შერეული შემოსავალი	20.5	20.6	20.5	20.4	20.2	20.3	20.2	19.9	19.3	19.3	19.4
წმინდა შემოსავალი საკუთრებიდან	9.5	9.2	9.2	9.1	9.0	8.9	8.9	8.5	7.4	7.8	8.3
სოციალური დახმარებები	24.9	25.3	25.3	25.3	25.1	24.9	24.8	24.9	26.8	25.8	24.8
სოციალური ტრანსფერები ნატურით	17.4	17.5	17.7	17.7	17.8	17.7	17.7	17.7	18.3	18.7	18.4
გადასახადები	-14.1	-14.4	-14.7	-14.7	-14.6	-14.8	-14.9	-14.9	-14.4	-14.5	-14.6
სხვა	7.3	7.3	7.3	7.2	7.2	7.1	7.0	6.9	6.8	6.8	7.0

წყარო: Eurostat (nasa_10_ki)

შინამეურნეობების განკარგვადი შემოსავლის სტრუქტურის დათვლა საქართველოში იმ სახით, როგორც ეს ევროკავშირშია, ჯერ-ჯერობით არ არის შესაძლებელი, თუმცა არსებული მონაცემები პარალელურად გავლების საშუალებას მაინც იძლევა. მაგალითად, 2022-23 წლებში ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, მთლიანი განკარგვადი შემოსავლის სტრუქტურას ასეთი სახე აქვს:


ცხრილი 2

	2022	2023*
შრომის ანაზღაურება	30	32.3
წმინდა გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე	13.2	13.4
მთლიანი საოპერაციო მოგება და შერეული შემოსავალი	51.9	49.6
(-) პირველადი შემოსავლების მიღება – გადახდა	-6.6	-6.3
მიმდინარე ტრანსფერების მიღება – გადახდა	11.5	10

წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/24/mtliani-erovnuli-shemosavali-mesh>

ფაქტობრივად, ევროკავშირსა და საქართველოში განკარგვადი შემოსავლის სტრუქტურაში მხოლოდ შრომის ანაზღაურების ნაწილშია შედარებით მცირე განსხვავება, რაც შეეხება მთლიან საოპერაციო მოგებასა და შერეულ შემოსავლებს, განსხვავება ძალზე თვალშისაცემია. ევროკავშირის განკარგვადი შემოსავლის თითქმის მეოთხედი მთლიანი საოპერაციო მოგებისა და შერეული შემოსავლის წილზე მოდის, ხოლო საქართველოში ის მის ნახევარს შეადგენს, ანუ ორჯერ მეტია. ევროკავშირში 2012-22 წლებში შრომის ანაზღაურებისა და მთლიანი საოპერაციო მოგებისა და შერეული შემოსავლის ხვედრითი წილები სტაბილური იყო. ასევე სტაბილურობას ინარჩუნებდა სხვა დანარჩენი მაჩვენებლებიც პანდემიის მიუხედავად. საქართველოში კი, 2019 წელს უფრო მეტად, 52.1%-მდე გაიზარდა მთლიანი საოპერაციო მოგებისა და შერეული შემოსავლის ხვედრითი წილები, 4.4-მდე შემცირდა მიღებული და გაცემული შემოსავლების სალდო, ხოლო 7.6-მდე მიმდინარე ტრანსფერების სალდო (ბოლო ორი მაჩვენებელი საკუთრებიდან მიღებული შემოსავლებისა და სოციალური დახმარებების ეკვივალენტურია). მთლიანი საოპერაციო მოგებისა და შერეული შემოსავლის მაღალი ხვედრითი წილები დინამიკაში ასეთ სურათს იძლევა:


დიაგრამა 4



წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/24/mtliani-erovnuli-shemosavali-mesh>

როგორც ჩანს, პანდემიამდე საოპერაციო მოგება უფრო სწრაფი ტემპებით იზრდებოდა, ხოლო პანდემიის პერიოდში ორივე მაჩვენებლის დინამიკა ერთმანეთს დაემთხვა. შერეულ შემოსავალს იღებენ თვითდასაქმებულები, ამიტომ საინტერესოა დასაქმებულთა აღნიშნული კატეგორიის რიცხოვნობის განხილვაც ამ კონტექსტში. როგორც ცნობილია, 2019 წლიდან ახალი მეთოდოლოგია დაინერგა თვითდასაქმებულთა რიცხოვნობის დასადგენად და მოხდა 2010-19 წლების მონაცემების გადაანგარიშება. კერძოდ, თვითდასაქმებულთა კატეგორიაში ახლა მოიაზრება მხოლოდ ბაზარზე ორიენტირებული მოსახლეობა:


დიაგრამა 5



წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba>

ფაქტობრივად, თვითდასაქმებულთა რიცხოვნობის ინტენსიური კლება პანდემიის პერიოდში შეჩერდა, შეიძლება ითქვას, მცირედ გაიზარდა კიდევაც, ხოლო 2021 წელს ისევ დაიკლო და ბოლო წლებში ნახტომისებურ ზრდას განაგრძობს. თუ ეს ტენდენცია გაგრძელდება, სავარაუდოდ მთლიანი შერეული შემოსავალი ზრდას გააგრძელებს, რაც შემოსავლების ჯამურ მაჩვენებელს კიდევ უფრო გაზრდის:

დიაგრამა 6



წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/24/mtliani-erovnuli-shemosavali-mesh>

როგორც ცნობილია, ეკონომიკური განუსაზღვრელობის პირობებში დაზოგვის ნორმა მოსალოდნელია გაიზარდოს. შინამეურნეობები სამუშაოს დაკარგვის რისკის გამო გადაავადებენ

არაარსებით ან მეორეხარისხოვან (ახალი ავტომობილი, დასვენება) ხარჯებს ეკონომიკური სიტუაციის დასტაბილურებამდე. ევროკავშირში შინამეურნეობების დაზოგვის ნორმა 2012-22 წლებში შედარებით სტაბილური იყო 11.6-11.8%-ის ფარგლებში, შემდეგ გაიზარდა 2019-ში 12.3%-მდე, რასაც მოჰყვა ნახტომისებური მატება 18.5%(2020) და 16.4%(2021) პანდემიით გამოწვეული კრიზისის გამო. აღნიშნული მატება მოხმარების (სასტუმროებით სარგებლობის, გართობისა და მოგზაურობის) არხების გადაკეტვამ განაპირობა. 2022 წელს ევროკავშირის დაზოგვის ნორმა თავის ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდა 12.7%-მდე.

შინამეურნეობების ინვესტირება ძირითადად წარმოადგენს შინამეურნეობების მიერ საცხოვრებელი ბინების შესყიდვებსა და რემონტს. ხანგრძლივი მოხმარების საგნების, როგორცაა მაგალითად, მსუბუქი ავტომობილი, შესყიდვები, საბოლოო მოხმარებაში შედის. 2012-15 წლებში გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის ნიშნები ჯერ კიდევ შესამჩნევია იყო, რადგან ინვესტირების ნორმა კლებას განაგრძობდა 8.8%-იდან 8.1%-მდე. 2016-19 წლებში ტენდენცია შებრუნდა და ინვესტირების ნორმამ 8.6%-ს მიაღწია. ეს აღმავალი განვითარება 2020 წელს შეწყდა (8.5%), ხოლო ნახტომისებურად გაგრძელდა 2021 (9.6%) და 2022 წლებში (10.0%). ორივე შემთხვევაში, ეს მატება ყველა წინა წელს აღემატებოდა.

რაც შეეხება საქართველოს ტენდენციებს: დაზოგვის ნორმა პანდემიის დროს შემცირდა 20.6%-იდან (2019) 9.8%-მდე(2022), რასაც მოჰყვა უპრეცედენტო მატება 21.4%-მდე 2023 წელს; ბუნებრივია, დაზოგვის ნორმის კლებამ გამოიწვია საბოლოო მოხმარების პიკი 90.2%-მდე(2022), ხოლო შემდეგ ვარდნა 78.6%-მდე(2023); ინვესტირების ნორმამ დაიწია 3-5%-ის ფარგლებში და მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში იზრდება, მას ჯერ კიდევ არ მიუღწევია პანდემიამდელი დონისთვის 26.3(2019).

დასკვნები. საქართველოში განკარგავადი შემოსავალი ერთ მოსახლეზე განუხრელად იზრდება, ეს ძირითადად განპირობებულია თვით განკარგავადი შემოსავლის მნიშვნელოვანი საბაზისო და ჯაჭური მატებით, რაც არ არის დამახასიათებელი ევროკავშირისთვის, სადაც მატება 3-7%-ის ფარგლებშია;

ევროკავშირისგან განსხვავებით, საქართველოში დაზოგვის ნორმა პანდემიის დროს შემცირდა, შესაბამისად გაიზარდა საბოლოო მოხმარება, ხოლო ინვესტირების ნორმამ დაიწია და მას ჯერ კიდევ არ მიუღწევია პანდემიამდელი დონისთვის (26%). ევროკავშირის ბევრ წევრ ქვეყანაში გლობალურმა ფინანსურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა და/ან შემდგომმა სახელმწიფო ვალის კრიზისმა ძლიერი გავლენა მოახდინა შინამეურნეობების ინვესტირების მაჩვენებელზე, თუმცა ამ ფაქტორების ზეგავლენა პანდემიამდე დასრულდა და პანდემიის პერიოდში ტენდენცია ზრდადი იყო (8-10%-ის ფარგლებში).

ლიტერატურა

1. Marine Mindorashvili, Lia Dzebisauri. The Role of Sector Accounts in the Progressive Alignment of Georgia with the European Statistical System. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, შრომების კრებული. თსუ, 2022 წლის 4-5 ნოემბერი, გვ. 309-314.
2. URI: <http://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/2159>
3. Marine MINDORASHVILI, Simon GELASHVILI, Nino ABESADZE. STATISTICS OF COVID-19 IMPACT ON STUDENTS HOUSEHOLD INCOMES. Journal TRANSFORMACJE/TRANSFORMATIONS 3 (110) 2021, pp. 122-133, e-ISSN 2719-7158

4. http://www.e-transformations.com/index.html?fbclid=IwAR1tFgth9ZG8ePWXYsZj__jm1VnX9xSPCVgm-OFTYhWzW_xJUZITqQWRv6hc
5. მარინე მინდორაშვილი (ავტორთა კოლექტივთან ერთად). COVID-19 პანდემიის გავლენა საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტზე. მონოგრაფია. თბილისი, თსუ, 2021, ISBN 978-99941-491-60-3, 131 გვ.
6. მარინე მინდორაშვილი. შემოსავლების კომპონენტების სტატისტიკა საქართველოში. სტატისტიკის თეორია და პრაქტიკა საქართველოში. საიუბილეო სამეცნიერო გამოცემა. ეძღვნება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 100 წლის იუბილეს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2019, გვ. 173-184.
7. მარინე მინდორაშვილი. შინამეურნეობის სტატისტიკის მიკრო და მაკრო ასპექტები. III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. კონფერენცია ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს. შრომების კრებული, თსუ, 26-27 ოქტომბერი, 2018, გვ.263-267. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konference.pdf
8. მარინე მინდორაშვილი. შინამეურნეობების სექტორის საკვანძო მაჩვენებლების როლი მაკროეკონომიკურ ანალიზში. სამეცნიერო გამოცემა „სტატისტიკის სწავლება და სტატისტიკური კვლევები საქართველოში“, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, გვ. 122-130, 2018, ISBN 978-9941-26-270-8
https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/statistika_61265.pdf

DYNAMICS OF THE STRUCTURE OF DISPOSABLE INCOME, SAVINGS AND INVESTMENT RATES IN GEORGIA AND THE EUROPEAN UNION

Mindorashvili Marine (Maia)
Academic Doctor of Economics,
Associate Professor of TSU

Resume

The article examines the dynamics of the structure of disposable income, savings and investment rates in Georgia and the EU households in 2012-2022. Statistical data on disposable income and the savings and investment rates derived from them are available based on sectoral household accounts of the European national and regional system of accounts. These indicators are not calculated in Georgia, but a comparative analysis of the country's total disposable income dynamics and structure allows us to draw noteworthy conclusions. Along with the financial and economic crisis, the Covid pandemic has significantly impacted the structure of household income, savings and investment rates. While these trends are not new for the European Union, they are a remarkable experience for Georgia. The article also highlights the analytical possibilities of disposable income (gross, net, adjusted for social transfers in kind) for characterising the household sector.

Keywords: *household, disposable income, savings rate, investment rate.*

ნატურალური წვენების ბაზრის გამოწვევები საქართველოში

ცირა მიქატაძე

ეკონომიკის დოქტორი,

ივ. ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

მონვეული ლექტორი

cira.mikataдзе@tsu.ge

ანოტაცია

მსოფლიო სულ უფრო გადადის ჯანსაღი ცხოვრების წესზე. ადამიანის ჯამრთელობისთვის უფრო მეტ აქტუალობას იძენს ნატურალური პროდუქტები გლობალურ სამყაროში. მათ შორის ხილ-ბოსტნეულს ერთერთი მყარი ადგილი უჭირავს, რადგან მაღალი კვებითი და ფიზიოლოგიური ღირებულება გააჩნია, ორგანიზმს ეხმარება საკვების შეთვისებაში და აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას. ნატურალური წვენები სულ უფრო მოთხოვნადია გლობალურ ბაზარზე.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი პირობები, გაზაფხულიდან შემოდგომამდე ხილის უხვმოსავლიანობა საშუალებას იძლევა ფართო ასორტიმენტის ნატურალური წვენები დამზადდეს, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დაკმაყოფილებას, კვების მრეწველობის განვითარებას. ხილის მრავალფეროვნება, მისი პოტენციური მაღალხარისხიანი, კარგი ორგანოლექტიკური მაჩვენებლების მქონე წვენების წარმოების წინაპირობებია, ასევე მნიშვნელოვანი ადგილი შეიძლება დაიჭიროს ქვეყნის ექსპორტში, შექმნას სამუშაო ადგილები, ხელი შეუწყოს ეკონომიკის განვითარებას. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე მიმოხილულია ნატურალური წვენების ბაზარი და წარმოებული პროექტაცია.

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია იმ გამოწვევებზე რომლის წინაშეა სექტორი, ასეთია ბიზნეს-გარემო, შესვლის გადასახადები, კადრების დეფიციტი, ნედლეულის ფასების ზრდა მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხარდაჭერა ბიზნეს-გარემოს გასაუმჯობესებლად.

საკვანძო სიტყვები: ნატურალური წვენების სექტორი, ჯანსაღი კვება, პოტენციური, კონკურენტული უპირატესობა.

ნატურალური წვენების წარმოება მნიშვნელოვანია მათი სასარგებლო თვისებების გამო. ორგანული და არაორგანული ნივთიერებები რომლებიც მომხმარებელს ნატურალური წვენებით მიეწოდება აუცილებელია ჯამრთელობისათვის (ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, ვიტამინები, მიკრო და მაკროელემენტები, ნახშირწყლები, ორგანული მჟავები). მაგალითად, ფორთოხლის წვენი აუმჯობესებს ყველა ფუნქციას, ენერგიის წყაროა და ამცირებს ათეროსკლეროზს, ჰიპერტენზიას, ინსულტს და გულის შეტევებს; ყურძნის წვენი რაქიტის გავრცელებას აფერხებს, ამცირებს კუჭის დაავადებებს; ვაშლის წვენი ტვინს ფუნქციის აღდგენაში ეხმარება; მარწყვის წვენი ამცირებს ნალველ-კენჭოვან დაავადებებს, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს და იმუნურ სისტემას მყარს ხდის.

ნატურალური წვენების წარმოებას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. ცნობილია, რომ მიტროფანე ლალიძემ (რომელიც მუშაობდა ქუთაისში ავანოვსკის აფთიაქში) 1900 წლიდან შექმნა ნატურალური წვენების, წყლების და სიროფების წარმოების ახალი მეთოდები, რომლებიც პოპულარობით სარგებლობდა და დღესაც მოწონებით სარგებლობს. ის წვენებს ხილ-კენკროვიდან მიღებულ ნატურალურ ესენციას უმატებდა სასმელების არომატის გასამუქმებლად

და რაც მთავარია ჯამრთე-ლობისთვის იყო უვნებელი, რადგან არ შეიცავდა ქიმიურ მინარევებს და სინთეტიკურ ესენციებს. წვენების წარმოების ტექნოლოგია შემდეგ თანდათან დაიხვეწა და განვითარდა.

ნატურალური წვენების წარმოებაში მნიშვნელოვანი გამოყენებულ იქნას ხარისხიანი ნედლეული. საქართველოში არსებული ხილ-კენკროვანი ნედლეული განსაკუთრებული გამოვნებით და არომატით გამოირჩევა, რაც ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობით და კლიმატური პირობებითაა განპირობებული. ნედლეული უნდა აკმა-ყოფილებდეს სტანდარტით გათვალისწინებულ ნორმებს და ორგანოლექტიკურ მაჩვენებლებს, მოკრეფილი იქნას ტექნიკური სიმწიფის პერიოდში, რათა არ დაიკარგოს გამოვნიანი თვისებები. ნატურალური წვენების მიღება შესაძლებელია დანების მეთოდით ან დიფუზიის მეთოდით, ტექნოლოგიური რეჟიმის სრული დაცვით, რათა შენარჩუნებულ იქნას მაღალი ხარისხის სტანდარტული მოთხოვნები, რაც მათი ძირითადი ღირსებაა.

ნატურალური წვენები შეიძლება იყოს რბილობით ან ურბილობოდ, ანუ ჰომოგენიზირებული, კონცენტრირებული. ანუ ორგანოლექტიკური თვალსაზრისით არის რბილობიანი, გამჭვირვალე ან გაუმჭვირვალე.

დიდი მოწონებით სარგებლობს მოსახლეობაში გარგრის, ვაშლის, ყურძნის, ბროწეულის, კენკროვანების წვენები.

წვენები შეიძლება იყოს შესქელებული, კუპაჟირებული (სხვადასხვა სახის ნედლეულის გამოყენება), კონცენტრირებული, ნატურალური.

მომზადების წესის მიხედვით ნატურალური ხილის წვენები 2 ჯგუფად იყოფა: 1) ცივი წესით მომზადებული წვენები და 2) თერმული დამუშავების შედეგად მიღებული წვენები.

ნატურალური წვენების წარმოების ტექნოლოგიური სქემა მოიცავს: ნედლეულის ინსპექციას, გარეცხვას, გამოწნებას, ფილტრაციას, დაწმენდას, დეაერაციას (გაცხელება, ჰაერის მოცილება თერმული დამუშავების დროს), ჩამოსხმას, დახუფვას, სტერილიზაციას, პასტერიზაციას. დაწმენდილი წვენები ხასიათდება მაღალი ორგანოლექტიკური მაჩვენებლებით, მაგრამ რბილობიანი წვენებისაგან განსხვავებით ღარიბია სხვა-დასხვა ორგანული ნივთიერებებით.

ნატურალური წვენების წარმოების საქმეში ფართოდაა გავრცელებული დიფუზიური მეთოდი (დაჭყლეტილ ხილს ათავსებენ დიფუზორებში – გამოიყენება არამწიფე და გამხმარი ხილის გადამუშავებაში. ასეთივე ხილის დასამუშავებლად იყენებენ ექსტრაქტაციის მეთოდს – წყლის დამატებით დუღილი და დანდობა).

ხილის წვენების შენახვისათვის გამოყენება შემდეგი მეთოდები:

1. პასტერილიზაცია (დაკონსერვება 100 გრადუსზე ნაკლებ (60-85) ტემპერატურაზე – მაღალმჟავიანობის მქონე ხილისთვის;
2. სტერილიზაცია (თბური დამუშავება 100 გრადუსზე მაღალ ტემპერატურაზე).
3. გაყინვა.

ცივი წესით ხილის წვენების წარმოების პროცესში ყველაზე რთული პრობლემაა სათანადო პირობებში შენახვა (ბოთლებში, სტერილურ პირობებში შენახვა).

კვებითი პროდუქტების ხარისხის მაჩვენებლებია: კვებითი ღირსება (ქიმიური შემადგენლობა, კალორიულობა და შეთავსება), კვებითი უვნებლობა (მავნე ნივთიერებების და მიკროორგანიზმების არსებობას) და გეგმური თვისებები (მთელი რიგი ნივთიერებების შემცველობა), ხოლო შეფასების ყველა მეთოდი 2 ჯგუფშია გაერთიანებული: ლაბორატორიული (ქიმიური შემადგენლობის გამოკვლევა) და ორგანოლექტიკური (დეგუსტაცია).

საქართველოში ნატურალურ წვენებზე მოთხოვნა იზრდება. მზარდი დინამიკაა ექსპორტში. წელს 8 თვეში საქართველომ ექსპორტზე 13, 7 მლნ აშშ დოლარის 0, 247 ტ ხილის წვენები გაიტანა, რაც 32%-ით მეტია გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ცვლილებაა ძირითად საქსპორტო ბაზრებზე თუ 2023 წელს პირველ ადგილს რუსეთი იკავებდა, წელს პროდუქციის 26%

გავიდა აშშ-ში, ისრაელსა და იაპონიაში. საქსტატის მონაცემებით პირველ 6 თვეში ბრუნვის მოცულობის მიხედვით ხილი წვენების მწარმოებელი კომპანიების TOP-10 ასე გამოიყურება:

შპს ჯორჯიან-ნექტარი

შპს კულა

შპს ბიპისი

შპს კამპა

შპს ჯეოკონცენტრატი

შპს ქართული აგროპროდუქტი

შპს Georgia Industrial Asset Management

შპს არომაპროდუქტი

შპს ჯანსაღი სასმელების კომპანია

შპს აუგუსტის ხილის ქარხანა.

ბიზნესის ნაწილი საერთაშორისო ბაზრებზე ქართული პროდუქტისადმი გაზრდილ მოთხოვნას რუსეთ-უკრაინის ომს უკავშირებენ, რომ მსოფლიოში უმსხვილესი მწარმოებლებისაგან დანაკლისი შესავსებად ახალი მიმწოდებლისადმი ინტერესები იზრდება. მენარმეებს კი მიაჩნიათ, რომ მზარდი მოთხოვნა ორგანულ წვენებზე ევროპის და ამერიკის ბაზრებზე ერთი მხრივ, და ჩვენი კონკურენტული უპირატესობა, ნიშა და აქცენტი ნატურალურ წვენებზე, და ახალ სახეობებზე (მაგ. მოცვი და კივი) მეორე მხრივ, საერთაშორისო გამოფენებზე მონაწილეობით ცნობადობის გაზრდასთან ერთად, განაპირობებს ექსპორტის ზრდას. თუმცა აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ბაზრებზე თავის დამკვიდრება საკმაოდ რთულია.

ქვემოთ მიმოვიხილავთ ნატურალური წვენების ბაზარზე არსებულ ქართულ კომპანიებს, მათი უმეტესობა მცირე და საშუალო ზომისაა.

კულას საწარმო 2008-2009 წლებში შეიქმნა და თავდაპირველად აწარმოებდა 15 სახის პროდუქციას, რომელიც 200-მდე გაიზარდა. ნატურალური უმაქრო წვენებისა და კივი, ჟოლო, ალუბალი, მანდარინი, მარწყვი, მოცვი, ქაჯი გააქვს მრავალ ქვეყანაში. ეს პროდუქცია ყველაზე ძვირადღირებულია, რადგან ადგილობრივი მაღალხარისხიანი ნედლეულის მან მზადდება და აკმაყოფილებს ყველა სტანდარტებს.

ჩეროს წვენების ზედაზენის ბრენდია, რომელსაც ზედაზენის კომპანია ამზადებს და დიდი მოწონებით სარგებლობს. ეს წვენები თანამედროვე ასეპტიკური ტექნოლოგიებით მზადდება რაც მაქსიმალურად უზარჩუნებს ხილს არსებულ ვიტამინებს და სასარგებლო თვისებებს. ამავე დროს ხდება ნედლეულის ცივი გადამუშავება, რის გამოც პროდუქტში კონსერვანტები არ არის. აწარმოებს ალუბლის (ვაშლით), ბროწეულის, ანანასის, ფორთოხლის (მანდარინით) წვენებს.

კამპა 2008 წელს დაარსდა საგურამოში და ქმნის ახალ გემოებს. მისი მიზანია დანერგოს ახალი მდგრადი მიმართულება, რაც მოიაზრებს პარტნიორი კომპანიებისგან შუშის ბოთლების უკან დაბრუნებას და წარმოებაში ხელახლა გამოყენებას. პროდუქციას ექსპორტზე აგზავნის (იაპონიასა და ყაზახეთში, ფილიპინებზე, დუბაიში, საუდის არაბეთში, ისრაელში).

შპს ჯორჯიან-ნექტარი ქარელში 2007 წელს დაარსდა (საოჯახო კომპანია) აწარმოებს და მთლიანად ექსპორტზე გააქვს 100%-ით ნატურალური წვენები (ავსტრალიაში, ნორვეგიაში, კვიპროსზე, ჩეხეთში, გერმანიაში). პროდუქციის 80% ბროწეულის წვენია. ასევე აწარმოებს ალუბლის, შინდის, მაყვლის, მოცვის და ვაშლის მიქსს. როგორც ირკვევა ადგილობრივმა ბაზარმა მათი მიზნები ვერ გაამართლა, რის გამოც სრულად ექსპორტზე არიან ორიენტირებული.

ბრავოს წვენები განსაკუთრებული გემოთი გამოირჩევა, რადგან მრავალფეროვან კომპოზიციებს ქმნიან ეგზოტიკური და მშობლიურის ხილის ჯიშებით. კომპანია ამზადებს ანანასის, ფორთოხლის, მარწყვის და მწვანე ვაშლის ნატურალურ წვენებს.

შპს „არომპროდუქტი“ 2006 წლიდან ახორციელებს ორგანული პროდუქციის მოყვანა-შეგროვება, ფლობს ორგანულ ბალებს ყვარელში, თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილ წარმოებას ყვარელსა და თბილისში, საერთაშორისო სადისტრიბუციო ქსელს. მისი მთავარი მიზანია საერთაშორისო ორგანულ ინდუსტრიაში იყოს ერთ-ერთი წამყვანი ორგანული პრემიუმ ხარისხის პროდუქციის მწარმოებელი გლობალური ბრენდი და აამაღლოს ქვეყნის ცნობადობა საერთაშორისო ბაზარზე ორგანული მებაღეობის, ველური შეგროვების და ორგანული წარმოების კუთხით. ქვეყნის საექსპორტო ბაზარი 40 ქვეყანას მოიცავს: აშშ, ევროკავშირის ქვეყნები, კანადა, იაპონია, საუდის არაბეთი და სხვა.

შპს „Georgian Industrial Asset Management“ კომპანია რომელიც მდებარეობს ქობულეთში სპეციალიზირებულია კონცენტრირებული ხილის წვენების წარმოებაზე. ესაა არასტანდარტული ციტრუსის საკონსერვო ქარხანა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას მანდარინზე ამახვილებს და აწარმოებს მაღალი ხარისხის წვენებს.

ჯეო-კონცენტრატი არასტანდარტიზებული ვაშლის რეალიზაციის ხელშეწყობის შტაბში რეგისტრირებული კომპანიაა, რომელიც გორში 2007 წლიდან ფუნქციონირებს და ახორციელებს წვენების წარმოებას.

„აჩინებული“ კახეთის რაიონში, თელავში ფუნქციონირებს 2018 წლიდან. კომპანია 27 სახის პროდუქციას აწარმოებს შაქრის დანამატის გარეშე, რომლებიც იყიდება როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ბაზარზე. შეფუთვის დიზაინში არის ბრენდის მთავარი სათქმელი „ალალი“ მაცოცხლებელი წვენი. ალალი არის ბრენდი, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარებას ეხმარება.

შპს „ბიპისი“ ბაზარზე 2010 წლიდან ოპერირებს და სპეციალიზდება ნატურალური და ორგანული წვენების წარმოებაში. ასკილის, ბრონეულის და ვაშლის ნაყოფებისაგან აწარმოებს ბრენდებს „ანოს“ და „ჰელიოს“ და პროდუქციას პოლონეთსა და ჩეხეთში აგზავნის, ადგილობრივ ბაზარზე კი „სპართან“ ხელშეკრულების საფუძველზე „სპარის“ ეტიკეტით იყიდება.

როგორია გამოწვევები ქართული ნატურალური წვენების ბაზარზე?

უპირველესად ეს არის ბაზარზე შესვლის მაღალი გადასახადები (განთავსების ღირებულება), რაც წარმოებას რთულ გარემოში ამყოფებს (რის გამოც პროდუქციის ფასი თვითღირებულებას ხშირად 3-ჯერ აღემატება). მაღალი ფასი აძნელებს იმპორტირებულ და უფრო იაფ პროდუქციასთან კონკურენციას, რომელსაც ბაზარზე საკმარისი წილი უკავია და ქართულ პროდუქტს უჭირს ადგილობრივ ბაზარზე დამკვიდრება. მომხმარებელთა დიდი ნაწილი, საუკეთესო ქართულ ნატურალურ წვენებს აღნიშნულის გამო, უფრო იაფი იმპორტული ან კონცენტრირებული წვენებით ანაცვლებს აღსანიშნავია ისიც, რომ მოიმატა ნედლეულის ფასებმაც წინა წლებთან შედარებით. არანაკლებ მნიშვნელოვანია საკადრო პრობლემები. მიუხედავად იმისა, რომ კადრებსაც ამზადებენ ერთი და იმავე სამსახურში და მათთვის არასაკმარისი ხელფასის გამო საზღვარგარეთ გარბიან. ამიტომ ზოგჯერ საწარმოების ხელფასის შესაბამის ნაყოფიერებასაც ვერ იღებენ. ამდენად საკადრო დეფიციტიც ერთ-ერთი გამოწვევაა.

ხილ-კენკრის მრავალფეროვნება და მოსავლიანობა საქართველოში შესაძლებელს ხდის მაღალხარისხიანი ნატურალური წვენების წარმოებას, როგორც ადგილობრივი მომხმარებლებისთვის ასევე ექსპორტისთვისაც. ქართული ნატურალური წვენების გემო კომპოზიციები, შესაძლებლობები, ორგანოლექტიკური მარცენებლები და ჯამ-რთელობითვის აუცილებელი ნივთიერებების შემცველობა ამ პროდუქტებში არის მყარი საფუძველი და პირობა წარმოების განვითარებისთვის, რომელსაც აუცილებლად ესჭიროება ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებს სახელმწიფოს მხრიდან.

ლიტერატურა

1. ჩავლეშვილი ა. (1988) სოფლის ემურნეობის პროდუქციის შენახვის და გადამუშავების ტექნოლოგია, განათლება, თბილისი.
2. ეკატერინე ბენდელიანი, მაყვალა მხეიძე (20214), ლუდის უალკოჰოლო სასმელების და მინერალური წყლების ექსპერტიზა, ქუთაისი.
3. მიქაბერიძე შ. (2015) კვების საწარმოების მანქანა აპარატული სისტემები
4. შავაძე ნატო (2021) ნატურალური წვენების ტექნოლოგია: ციტრუსოვანთა ნატურალური წვენების გავლენა კენკროვანთა ნატურალური ქვეყნების ორგანოლეპტიკურ მაჩვენებლებზე. სამაგისტრო ნაშრომი სიჭაური
5. BM. Ge <https://news.vitareba.naturaluri.tsvenebis.bazarze>
6. Forbes Georgia <https://forbes.ge/mkholod-qartuli-mkholod-naturaluri>
7. Commersants.ge <https://commersants.ge/news/Business.naturaluri>

CHALLENGES OF THE NATURAL JUICES MARKET IN GEORGIA

Cira Mikatadze

Doctor of Economics

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

cira.mikatadze@tsu.ge

Annotation

The world is increasingly moving to a healthier lifestyle. Natural products are becoming more relevant to human health. Among them, fruits and vegetables have a strong place, because they have high nutritional and physiological value, help the body to absorb food, and improve metabolism. Natural juices are increasingly in demand in the global market.

The geographical location of Georgia, natural conditions, and abundant yield of fruits from spring to autumn allow the production of a wide range of natural juices, which will contribute to the satisfaction of the local population and the development of the food industry. The variety of fruits, and their potential is a prerequisite for the production of juices with high quality, and good organoleptic indicators, and can also take an important place in the country's exports, create jobs, and contribute to the development of the economy. Based on the relevance of the issue, the market of natural juices and manufactured products is reviewed.

The article focuses on the challenges facing the sector, such as the business environment, entry fees, staff shortages, and rising raw material prices. It is important to support the state to improve the business environment.

Keywords: *natural juices sector, healthy nutrition, potential, competitive advantage.*

**საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების
ფუნქციონირებისა და საფუძვლიანი სწავლების უნარების
სტატისტიკური გამოკვლევა: საფუძვლიანი სწავლების მოდული,
ბუკლეტის კვლევა და მაჩვენებელთა სისტემა**

გიორგი მიქელაძე

ეკონომიკის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
g.mikeladze@hotmail.com

ანა ვარამაშვილი

დოქტორანტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
anna.varamashvili@gmail.com

ანოტაცია

სტატიაში განხილულია საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების ფუნქციონირებისა და საფუძვლიანი სწავლების უნარების სტატისტიკური გამოკვლევის მნიშვნელობა, მეთოდოლოგიური ასპექტები, მაჩვენებელთა სისტემა, ტაბულაციის გეგმა და ბუკლეტის კვლევის შედეგები. საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების ფუნქციონირებისა და საფუძვლიანი სწავლების უნარების მაჩვენებლების შეფასების მიზნით შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე მიმდინარეობს „საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების ფუნქციონირებისა და საფუძვლიანი სწავლების უნარების სტატისტიკური გამოკვლევა“. სტატისტიკური გამოკვლევის სანყის ეტაპზე განხორციელდა მაჩვენებელთა სისტემის ფორმირება, ტაბულაციის გეგმის განსაზღვრა და სავსე ინსტრუქციული მენტიარის შექმნა. ტაბულაციის გეგმა შედგება 4 სექციის და 30 ცხრილისგან. სტატიაში განხილულია საფუძვლიანი სწავლების უნარების მოდული, რომელიც შედგება კითხვითი და მათემატიკის უნარების კითხვართა ბლოკებისგან. გაეროს ბავშვთა ფონდის რეკომენდაციით წინადადებების და მოთხოვნების ადაპტაციის მიზნით განხორციელდა ბუკლეტის კვლევა, რომლის შედეგებიც წარმოდგენილია სტატიაში.

საკვანძო სიტყვები: SDG4.1.1 კითხვისა და მათემატიკის მინიმალურ უნარები (კითხვა, 2/3 კლასი), SDG4.5.1: თანასწორობის ინდექსი, სიმჭიდროვის დონე, ბუკლეტის კვლევა.

JEL Codes: P 20, P 31, P 40, P 52

შესავალი

საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების ფუნქციონირებისა და საფუძვლიანი სწავლების უნარების მაჩვენებლების შეფასების მიზნით დაიგეგმა სტატისტიკური გამოკვლევის განხორციელება. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბაზაზე მიმდინარეობს „საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების ფუნქციონირებისა და საფუძვლიანი სწავლების უნარების სტატისტიკური გამოკვლევა“. კვლევის აქტუალობას განაპირობებს რიგი მიზეზები: 1) საქართველოში მცხოვრები ბავშვების განათლების დო-

ნის და სწავლების უნარების შეფასება განსხვავებული კომპონენტების (წერა-კითხვის, გაანგარიშებების ცოდნა და ა. შ.) და მახასიათებლების (დასახლების ტიპის, ასაკობრივი ჯგუფების, სქესის და სხვა) ჭრილში; 2) ფუნქციური სირთულის არსებობის ზეგავლენის დონის გამოვლენა განათლებისა და სწავლების უნარების დაუფლებაზე. აღნიშნული გახდება საფუძველი შეფასდეს სკოლებში ფუნქციური სირთულების მქონე ბავშვებთან მიმართებაში სპეციალური სამოქმედო პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული იქნება ანულირება მოახდინოს განათლების დაუფლებაზე ფუნქციური სირთულის არსებობის ნეგატიური ფაქტორის; 3) შეფასდეს ფუნქციური სირთულების მქონე ბავშვების პრობლემები და მოცემულის საფუძველზე მოხდეს მასწავლებელთა კვალიფიცირება, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული პრობლემის მქონე ბავშვების სწრაფ ადაპტაციას მის გარშემო მყოფებთან. აღნიშნული დადებითად აისახება არა მარტო პრობლემის მქონე ბავშვებზე, არამედ მის თანატოლებზეც, რაც გაზრდის ადრეული ასაკიდანვე მოსწავლეთა თვითშეგნებასა და თანადგომის მოტივებს; 4) შეფასდეს საქართველოში მცხოვრები ბავშვების სწავლების უნარები და შედარდეს სხვა ქვეყნის ანალოგიურ შედეგებს, რაც საფუძველი გახდება გამოვლინდეს სასკოლო განათლებაში აუცილებელი რეფორმები და ცვლილებების საჭიროება და მიმართულება.

მსგავსი ტიპის სტატისტიკური კვლევის აუცილებლობას წარმოადგენს კვლევის მდგრადი განვითარების მიზნის ინდიკატორების (SDG 4.1.1 კითხვისა და მათემატიკის მინიმალური უნარები (კითხვა, 2/3 კლასი) და SDG 4.5.1 თანასწორობის ინდექსი) (გაერო, მდგრადი განვითარების მიზნის მაჩვენებლების მეტამონაცემები), ევროსტატის სიმჭიდროვის მაჩვენებლის გაანგარიშება (ევროსტატი, ცხოვრების დონის სტატისტიკა), საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების სწავლების დონის შეფასება სხვადასხვა სოციო-ეკონომიკურ ჭრილში (საცხოვრებელი პირობების, ფუნქციური სირთულების, სქესის, ასაკისა და სხვა).

საქართველოში განათლების შესახებ სტატისტიკური კვლევა (“PISA 2022”) ჩატარდა 2022 წელს განათლების სამინისტროს ორგანიზებით (შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრი (NAEC), პიზას გამოკვლევის შედეგები). ამასთან, 2018 წელს განხორციელდა მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევა (MICS 2018 GEORGIA), რომელიც არ მოიცავდა საფუძვლიანი სწავლების მოდულს (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევის (მე-6 რაუნდი) შედეგები). დღესდღეობით საქართველოში არ არსებობს უახლესი სტატისტიკური ინფორმაცია საფუძვლიანი სწავლების, ფუნქციური სირთულებისა და სწავლების უნარებზე ფუნქციური სირთულების გავლენის შესახებ. აღსანიშნავია, რომ საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში განხორციელა მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორების ნაციონალიზაცია და აიღო პასუხისმგებლობა მათი წარმოების შესახებ, აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვნად ზრდის აღნიშნული კვლევის ჩატარების მნიშვნელოვნებას. განათლების და ცხოვრების დონის შესახებ დამატებითი და უახლესი სტატისტიკური მაჩვენებლების წარმოება ხელს შეუწყობს ქვეყანაში განათლების სისტემის შესახებ მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის და სამოქმედო გეგმის შემუშავებას, ასევე ქვეყნის დაახლოებას ევროკავშირთან და დაკისრებული ვალდებულებების წარმატებით შესრულებას.

საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების ფუნქციონირებისა და საფუძვლიანი სწავლების უნარების სტატისტიკური გამოკვლევის საწყის ეტაპზე განხორციელდა სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემის ფორმირება, ტაბულაციის გეგმის განსაზღვრა და სავსე ინსტრუმენტარის შექმნა.

საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების ფუნქციონირებისა და საფუძვლიანი სწავლების უნარების სტატისტიკური გამოკვლევა

მაჩვენებელთა სისტემა და ტაბულაციის გეგმა

კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა ვაშინგტონ ჯგუფის (Washington Group on Disability Statistics) ფუნქციური სირთულეების შესახებ კითხვების ვერსია (ვაშინგტონ ჯგუფი ფუნქციური სირთულეების შესახებ, ფუნქციური სირთულეების მოდული/კითხვათა ჯგუფი), საფუძვლიანი სწავლების უნარების შეფასების გაეროს ბავშვთა ფონდის (Unicef) მეთოდოლოგია (გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევის (მე-6 რაუნდი) ინსტრუმენტარი) და ცხოვრების დონის მაჩვენებლების გაანგარიშების ევროსტატის მეთოდოლოგია (ევროსტატი, ცხოვრების დონის სტატისტიკა).

ტაბულაციის გეგმა შედგება 4 სექციისა და 30 ცხრილისგან. ტაბულაციის გეგმაში წარმოდგენილია სამოდელო ცხრილები, რომლის გაანგარიშება არის დაგეგმილი სტატისტიკური გამოკვლევის მონაცემთა საფუძველზე. ცხრილების სტრუქტურა შედგება შემდეგი ელემენტებისგან: სათაური, ქვესათაური, სტატისტიკური მაჩვენებლები, სტატისტიკურ მაჩვენებელთა ჭრილები, საერთაშორისო მაჩვენებლები, მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდი. ცხრილები შედგენილია საერთაშორისო მეთოდოლოგიის შესაბამისად და შემდგომ ადაპტირებულია კვლევაში გამოყენებულ სავსე ინსტრუმენტართან. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო მაჩვენებლები იდენტიფიცირებულია და გადანომრილია მაჩვენებლების ტიპის (მდგრადი განვითარების მიზნის, ევროსტატის, გაეროს ბავშვთა ფონდის) შესაბამისად. ტაბულაციის გეგმაში იდენტიფიცირებულია მაჩვენებლის ის ჭრილები, რომლებიც არ არის შესაფერისი (რელევანტური). ამასთან, ცხრილებში წარმოდგენილია მეთოდოლოგიური შენიშვნები. ტაბულაციის გეგმა დეტალურად შეგიძლიათ იხილოთ ელექტრონულ მისამართზე:

[https://docs.google.com/spreadsheets/d/1tY863y1aY5yvS_57jLxf6K-](https://docs.google.com/spreadsheets/d/1tY863y1aY5yvS_57jLxf6K-alx4dpVF1/edit?usp=drive_link&ouid=115805294128157600332&rtpof=true&sd=true)

[alx4dpVF1/edit?usp=drive_link&ouid=115805294128157600332&rtpof=true&sd=true](https://docs.google.com/spreadsheets/d/1tY863y1aY5yvS_57jLxf6K-alx4dpVF1/edit?usp=drive_link&ouid=115805294128157600332&rtpof=true&sd=true)

შენიშვნა: წარმოდგენილი ელექტრონული მისამართი უსაფრთხოა და გადაგამისამართებთ ავტორის ელექტრონული მეილის დრაივზე.

სტატისტიკური გამოკვლევის ინსტრუმენტარი, საფუძვლიანი სწავლების მოდული და ბუკლეტის კვლევა

სტატისტიკური გამოკვლევის ინსტრუმენტარი შედგება 4 კითხვარისგან: დემოგრაფიული კითხვარი, შინამეურნეობის კითხვარი, ძირითადი კითხვარი და უარების ფურცელი. აღნიშნული კითხვარები სრულად ეფუძნება ვაშინგტონ ჯგუფის, ევროსტატის და გაეროს ბავშვთა ფონდის მეთოდოლოგიებს. კითხვარები შედგება შემდეგი მოდულებისგან: 1) დემოგრაფიული მონაცემები; 2) განათლება; 3) ბავშვზე ზრუნვა; 4) შინამეურნეობების შემოსავალი; 5) დახმარების მიღება; 6) საცხოვრებელი პირობები; 7) დედის/მეურვის ფუნქციონირება; 8) ცნობები ბავშვის შესახებ; 9) ბავშვის აღზრდა; 10) ბავშვის ფუნქციონირება; 11) მშობლების ჩართულობა; 12) საფუძვლიანი სწავლების უნარები; 13) გამოუპასუხებლობის მიზეზები. აღსანიშნავია, რომ გამოკვლევის ინსტრუმენტარის 3, 5, 8, 9, 11, 12 მოდულები ეფუძნება გაეროს ბავშვთა ფონდის მეთოდოლოგიას (გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევის (მე-6 რაუნდი) ინსტრუმენტარი), მოდულები 7 და 10 – ვაშინგტონ ჯგუფის მეთოდოლოგიას (ვაშინგტონ ჯგუფი ფუნქციური სირთულეების შესახებ, ფუნქციური სირთულეების მოდული/კითხვათა ჯგუფი), ხოლო მოდულები 1,2,4, 6, 13 ევროსტატის (ევროსტატი, ცხოვრების

დონის სტატისტიკა) და გაეროს ბავშვთა ფონდის მეთოდოლოგიებს (გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევის (მე-6 რაუნდი) ინსტუმენტარი).

კვლევის საწყის ეტაპზე განხორციელდა კვლევის ინსტრუმენტარის ადაპტაცია საქართველოს მაგალითზე. ადაპტაციის დროს გათვალისწინებულ იქნა საქართველოს განათლების სისტემის სტრუქტურა და სწავლების ხანგძლივობა (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მეტამონაცემები), საქართველოს ეთნიკური შემადგენლობა (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები) და სხვა მრავალი სოციალური თუ ეკონომიკური მახასიათებელი. სტატისტიკური გამოკვლევის მნიშვნელოვან მაჩვენებელთა სისტემას და შესაბამისად მოდულს წარმოადგენს საფუძვლიანი სწავლების უნარები. საფუძვლიანი სწავლების უნარების მიხედვით განხორციელდება საქართველოს ბავშვების სწავლების უნარების და განათლების დონის შეფასება. კვლევა ითვალისწინებს მდგრადი განვითარების მიზნის მაჩვენებლების: SDG 4.1.1 კითხვისა და მათემატიკის მინიმალურ უნარები (კითხვა, 2/3 კლასი) და SDG 4.5.1 თანასწორობის ინდექსის გაანგარიშებას (გაერო, მდგრადი განვითარების მიზნის მაჩვენებლების მეტამონაცემები).

საფუძვლიანი სწავლების უნარების მოდული შედგება კითხვითი და მათემატიკის უნარების კითხვართა ბლოკებისგან. მათემატიკური ნაწილი მოიცავს რიცხვების ცნობის, დისკრიმინაციის, მოქმედებების და მიმდევრობების შესახებ დავალებებს (გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევის (მე-6 რაუნდი) ინსტუმენტარი). გაეროს ბავშვთა ფონდის საფუძვლიანი სწავლების უნარების მოდულის ადაპტაციის წესების მიხედვით მათემატიკური ნაწილი არ საჭიროების მოდიფიცირებას, ვინაიდან მათემატიკა მიეკუთვნება უნივერსალურ მეცნიერებას და ვერ მოხდება ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური თუ რომელიმე სხვა მახასიათებლის გათვალისწინება და შესაბამისი დავალებების მოდიფიცირება.

გაეროს ბავშვთა ფონდი საფუძვლიანი სწავლების უნარების კითხვითი დავალების სტრუქტურის ორ ვარიანტს გვთავაზობს. პირველი ვარიანტი გულისხმობს, რომ კითხვითი დავალება მოცემული იქნება მხოლოდ ერთ ენაზე, ხოლო მეორე ვარიანტის დროს ბავშვს შესაძლებლობა აქვს კითხვითი დავალების წარუმატებლად დაძლევის და სხვა ენის ცოდნის შემთხვევაში მოსინჯოს ტექსტური დავალების შესრულება სხვა ალტერნატიულ ენაზე. საქართველოში სტატისტიკური კვლევის განხორციელებისას უპირატესობა მიენიჭა მეორე ვარიანტს. კერძოდ, საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური მოსახლეობიდან გამომდინარე, გამოკითხვა უნდა განხორციელდეს რამდენიმე ენაზე. გამოკვლევის ფარგლებში დაგეგმილია გამოკითხვის განხორციელება ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე, ვინაიდან საქართველოს 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის 86.8% ქართველ, 6.3% აზერბაიჯანელ, ხოლო 4.5% სომეხ ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნება, ჯამში 97.6%. ამასთან, თითოეული დანარჩენი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლის წილი ნაკლებია 1%-ზე (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები). შესაბამისად, ბავშვთა დავალებების კრებული (ბუკლეტი) წარმოდგენილია სამივე ენაზე, რაც კვლევაში მონაწილე ბავშვებს შესაძლებლობას აძლევს შეასრულონ კითხვითი დავალება სასურველ ენაზე, ხოლო წარუმატებლობის შემთხვევაში სცადონ კიდევ ერთხელ სხვა ალტერნატიულ ენაზე.

საფუძვლიანი სწავლების უნარების მოდული შედგება 4 ტექსტური დავალებისგან, საიდანაც 2 წარმოადგენს წინადადებას, ხოლო 2 მოკლე მოთხრობას. ტექსტური დავალების შესრულების დროს ბავშვს უნევს წაიკითხოს 1 წინადადება და 1 მოკლე მოთხრობა, ხოლო შემდეგ უპასუხოს კითხვებს. იმ შემთხვევაში, თუ იგი ვერ შეძლებს წარმატებით გაართვას თავი დავალებას, მას აქვს შესაძლებლობა დარჩენილი 2 ენიდან აირჩიოს რომელიმე ერთი მათგანი და წაიკითხოს წინადადება და მოთხრობა ხელახლა, თუმცა აღნიშნული წინადადება და მოთხრობა იქნება განსხვავებული წინა ენაზე განხორციელებული მცდელობისგან. კითხვითი ნაწილის

დროს მოწმდება თუ რამდენად სწორად კითხულობს ბავშვი სიტყვებს და წაკითხული ტექსტის ანალიზი.

გაეროს ბავშვთა ფონდის რეკომენდაციით, წინადადებები და მოთხოვნები საჭიროებენ ადაპტაციას და ამისთვის უნდა განხორციელდეს ბუკლეტის კვლევა. ბუკლეტის კვლევა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: 1) აუცილებელია გამოყენებულ იქნას გაეროს ბავშვთა ფონდის სამოდელო დავალებები, რაც გულისხმობს, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ბავშვები წაკითხვენ მსგავს ტექსტს; 2) ტექსტური დავალების თარგმნა/ადაპტაციის დროს ბავშვების და ცხოველების სახელები სასურველია შეიცვალოს ქვეყანაში გავრცელებული ან/და სახელმძღვანელოებში მოცემული სახელებით, რათა ბავშვებმა მარტივად აღიქვან ტექსტური დავალება; 3) კითხვით დავალება საშუალებას იძლევა გათვალისწინებულ იქნას ქვეყნის მახასიათებლები. კერძოდ, შეიცვალოს ფერი ან მცენარის სახეობა და შეირჩეს შესაბამისი ქვეყნის მოსახლეობისთვის პოზიტიური ფერი და ქვეყანაში გავრცელებული მცენარის/ხილის სახეობა; 4) ტექსტური დავალების თარგმნა/ადაპტაციის დროს თითოეული გამოყენებული სიტყვა უნდა იძებნებოდეს სკოლის I ან/და II კლასის სახელმძღვანელოებში, ვინაიდან სიტყვა არ იყოს უცნობი; 5) სასურველია ტექსტური დავალებები გაეცნოს განათლების ექსპერტებს და საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნას მათი კომპეტენტური მოსაზრებები (გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევის (მე-6 რაუნდი) ინსტრუმენტარი).

საქართველოში ქართული ენის გრიფირებულ სახელმძღვანელოებს წარმოადგენს პირველი კლასის შემთხვევაში: ვ. როდონაია, ლ. ვაშაკიძე, მ. მირიანაშვილი, ქ. თოფაძე სახელმძღვანელო, ხოლო მეორე კლასის შემთხვევაში – ვ. როდონაია, ლ. ვაშაკიძე, მ. მირიანაშვილი, ა. არაბული სახელმძღვანელო (საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, გრიფირებული სახელმძღვანელოები). პირველ ეტაპზე განხორციელდა ტექსტური დავალებების თარგმნა და შემდგომ ადაპტაცია შესაბამისი 1-4 წესების და სახელმძღვანელოების გამოყენებით, ხოლო შემდეგ ეტაპზე განხორციელდა კონსულტაცია საქართველოს განათლების სამინისტროს კვალიფიციურ ექსპერტებთან. საბოლოოდ, ტექსტური დავალებები გამოიყურება შემდეგნაირად:

წინადადება 1:

კუდა არის კატა. რიჩი ძაღლია. კუდა 5 წლისაა. რიჩი 6 წლისაა.

მოთხოვნა 1:

დაჩი მეორე კლასშია. ერთ დღეს დაჩი სკოლიდან სახლში მიდიოდა. გზად მან წითელი ყვავილები დაინახა. ყვავილები პომიდვრის ბოსტანთან ახლოს იყო. დაჩის მოუნდა, რომ დედისთვის რამდენიმე ყვავილი წაეღო. დაჩი ბოსტნის გავლით ყვავილების დასაქრეფად გაიქცა. ის ვაშლის ხესთან წაიქცა. დაჩიმ ტირილი დაიწყო. გლეხმა ის დაინახა და მასთან მივიდა. მან დაჩის ბევრი ყვავილი აჩუქა. დაჩი ძალიან ბედნიერი იყო.

წინადადება 2:

ნიკო ბიჭია. ანა გოგოა. ნიკოს აქვს 2 კვერცხი. ანას აქვს 3 კვერცხი.

მოთხოვნა 2:

მარიამი შვიდი წლისაა. ერთ დღეს ბებიამ ის მაღაზიაში სტაფილოს საყიდლად გაუშვა. მან მარიამს ფული მისცა. მარიამმა ის ჩანთაში ჩაიდო. ჩანთა გახეული იყო. გზაში მარიამს ფული დაეკარგა. პეტრემ ფული იპოვა და მარიამს დაუბრუნა. მარიამს გაუხარდა. მან პეტრეს მადლობა გადაუხადა და მაღაზიისაკენ წავიდა.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტების რეკომენდაციით, ბავშვებისთვის უკეთ გასაგებად სიტყვა: ჩამოხეული შეიცვალა გახეულით, ბალი – ბოსტანით, ბანანი – ვაშლით. ამასთან, განხორციელდა ტექსტური დავალების წინადადების სტრუქტურული ცვლილებებიც. ბუკლეტის კვლევის დეტალური შედეგები მოცემულია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

შენიშვნა: წარმოდგენილი ელექტრონული მისამართი უსაფრთხოა და გადაგამისამართებთ პროექტის პერსონალის ელექტრონული მეილის დრაივზე.

დასკვნა

საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების ფუნქციონირებისა და საფუძვლიანი სწავლების უნარების მაჩვენებლების შეფასების მიზნით, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე მიმდინარეობს „საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების ფუნქციონირებისა და საფუძვლიანი სწავლების უნარების სტატისტიკური გამოკვლევა“. განხორციელდა სტატისტიკური კვლევის ინსტრუმენტარის და მეთოდოლოგიის შექმნა-ადაპტაცია, რათა შესაძლებელი გახდეს მდგრადი განვითარების მიზნის გლობალური მაჩვენებლების (SDG 4.1.1 კითხვისა და მათემატიკის მინიმალური უნარები (კითხვა, 2/3 კლასი) და SDG 4.5.1 თანასწორობის ინდექსი) (გაერო, მდგრადი განვითარების მიზნის მაჩვენებლების მეტამონაცემები), ევროსტატის ინდიკატორის (სიმჭიდროვის მაჩვენებლის) გაანგარიშება (ევროსტატი, ცხოვრების დონის სტატისტიკა).

საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები ბავშვების ფუნქციონირებისა და საფუძვლიანი სწავლების უნარების სტატისტიკური გამოკვლევისთვის განხორციელდა სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემის ფორმირება, ტაბულაციის გეგმის განსაზღვრა. ადაპტირებული კვლევის ინსტრუმენტარის და მეთოდოლოგიის მიხედვით შეიქმნა თითოეული სტატისტიკური მაჩვენებლის გაანგარიშების მეთოდი, რომელიც წარმოდგენილია ტაბულაციის გეგმაში.

კვლევის ფარგლებში ადაპტირებული სტატისტიკური გამოკვლევის ინსტრუმენტარი შედგება 4 კითხვარისგან: დემოგრაფიული კითხვარი, შინამეურნეობის კითხვარი, ძირითადი კითხვარი და უარების ფურცელი. ადაპტაციის დროს გათვალისწინებულ იქნა საქართველოს განათლების სისტემის სტრუქტურა და სწავლების ხანგძლივობა (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მეტამონაცემები), საქართველოს ეთნიკური შემადგენლობა (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები) და სხვა მრავალი სოციალური თუ ეკონომიკური მახასიათებელი. აღნიშნული სტატისტიკური გამოკვლევის მნიშვნელოვან მაჩვენებელთა სისტემას და შესაბამისად მოდულს წარმოადგენს საფუძვლიანი სწავლების უნარები.

კვლევაში წარმოდგენილი საფუძვლიანი სწავლების უნარების მოდული შედგება კითხვითი და მათემატიკის უნარების კითხვართა ბლოკებისგან. მათემატიკური ნაწილი მოიცავს რიცხვების ცნობის, დისკრიმინაციის, მოქმედებების და მიმდევრობების შესახებ დავალებებს. მათემატიკური უნარების კითხვათა ბლოკი კვლევაში წარმოდგენილია უცვლელად, ვინაიდან გაეროს ბავშვთა ფონდის საფუძვლიანი სწავლების უნარების მოდულის ადაპტაციის წესების მიხედვით მათემატიკური ნაწილი არ საჭიროების მოდიფიცირებას. მათემატიკა მიეკუთვნება უნივერსალურ მეცნიერებას და ვერ მოხდება ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური თუ რომელიმე სხვა მახასიათებლის გათვალისწინება და შესაბამისი დავალებების მოდიფიცირება (გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევის (მე-6 რაუნდი) ინსტრუმენტარი). ამასთან, საფუძვლიანი სწავლების უნარების მოდული შედგება 4 ტექსტური დავალებისგან, საიდანაც 2 წარმოადგენს წინადადებას, ხოლო 2 მოკლე მოთხრობას. ტექსტური დავალების შესრულების დროს ბავშვს უწევს წაიკითხოს 1 წინადადება და 1 მოკლე მოთხრობა, ხოლო შემდეგ უპასუხოს კითხვებს. იმ შემთხვევაში თუ იგი ვერ შეძლებს წარმატებით გაართვას თავი დავალებას, მას აქვს შესაძლებლობა დარჩენილი 2 ენიდან აირჩიოს რომელიმე ერ-

თი მათგანი და წაიკითხოს წინადადება და მოკლე მოთხრობა ხელახლა, თუმცა აღნიშნული წინადადება და მოთხრობა იქნება განსხვავებული წინა ენაზე განხორციელებული მცდელობისგან. კითხვითი ნაწილის დროს მოწმდება თუ რამდენად სწორად კითხულობას ბავშვი სიტყვებს და მის მიერ გაკეთებული წაკითხული ტექსტის ანალიზი.

გაეროს ბავშვთა ფონდის რეკომენდაციით წინადადებების და მოთხრობების ადაპტაციის მიზნით განხორციელდა ბუკლეტის კვლევა (გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევის (მე-6 რაუნდი) ინსტუმენტარი). ბუკლეტის კვლევის პირველ ეტაპზე განხორციელდა ტექსტური დავალებების თარგმნა და შემდგომ ადაპტაცია შესაბამისი წესების და გრიფირებული სახელმძღვანელოების გამოყენებით, ხოლო შემდეგ ეტაპზე განხორციელდა კონსულტაცია საქართველოს განათლების სამინისტროს კვალიფიციურ ექსპერტებთან, რის საფუძველზეც შემუშავდა კითხვითი დავალებები.

ლიტერატურა

1. Cochran, William G. (2011). *Sampling techniques*. John Wiley& Sons;
2. Lohr, Sharon L. (2021). *Sampling: design and analysis*. Chapman and Hall/CRC;
3. Wooldridge, Jeffrey M.(2015).*Introductory econometrics: A modern approach*. Nelson Education;
4. გაერო, მდგრადი განვითარების მიზნის მაჩვენებლების მეტამონაცემები, ხელმისაწვდომია ელ-მისამართზე: <https://unstats.un.org/sdgs/metadata/?Text=&Goal=&Target=>, ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 14.10.2024;
5. გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევის (მე-6 რაუნდი) ინსტუმენტარი. ხელმისაწვდომია ელ-მისამართზე: <https://mics.unicef.org/tools?round=53>, ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 14.10.2024;
6. ევროსტატი, ცხოვრების დონის სტატისტიკა, ხელმისაწვდომია ელ-მისამართზე: https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=Living_conditions, ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 14.10.2024;
7. ვაშინგტონ ჯგუფი ფუნქციური სირთულეების შესახებ, ფუნქციური სირთულეების მოდული/კითხვათა ჯგუფი, ხელმისაწვდომია ელ-მისამართზე: <https://www.washingtongroup-disability.com/question-sets/>, ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 14.10.2024;
8. მდგრადი განვითარების მიზნის მაჩვენებლების საქართველოს ელექტრული პლატფორმა, მდგრადი განვითარების მიზნის მაჩვენებლები, <https://sdg.gov.ge/sdg-tracker>, ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 14.10.2024;
9. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, გრიფირებული სახელმძღვანელოები, ხელმისაწვდომია ელ-მისამართზე: <https://mes.gov.ge/content.php?id=10262-&lang=geo>, ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 14.10.2024;
10. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევის (მე-6 რაუნდი) შედეგების. ხელმისაწვდომია ელ-მისამართზე: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/707/mravalindikatoruli-klasteruli-gamokvleva>, ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 14.10.2024;
11. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მეტამონაცემები. ხელმისაწვდომია ელ-მისამართზე: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/582/metadata-tskhovrebis-done-saarsebo-minimumi>, ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 14.10.2024;
12. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს 2014 წლის საყოველთაო აღწერის მეთოდოლოგია და ინსტუმენტარი. ხელმისაწვდომია ელ-მისამართზე:

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/124/methodologia-mosakhleobis-aghtsera-da-demo-grafia>, ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 14.10.2024;

13. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები. ხელმისაწვდომია ელ-მისამართზე: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/737/mosakhleobis-2014-tslis-saqoveltao-aghtseris-shedegebi>, ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 14.10.2024;
14. შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრი (NAEC), პიზას გამოკვლევის შედეგები, ხელმისაწვდომია ელ-მისამართზე: <https://naec.ge/#/ge/post/1499>, ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 14.10.2024

STATISTICAL SURVEY ON FUNCTIONING AND FOUNDATIONAL LEARNING SKILLS OF CHILDREN LIVING IN GEORGIAN HOUSEHOLDS: MODULE OF FUNCTIONING AND FOUNDATIONAL LEARNING SKILLS, BOOKLET STUDY, SYSTEM OF INDICATORS

Giorgi Mikeladze

Phd in Economics,

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

giorgi.mikeladze@tsu.ge

Ana Varamashvili

Phd Student,

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

anna.varamashvili@gmail.com

Abstract

The article discusses the significance of the Statistical Survey on Functioning and Foundational Learning Skills of Children Living in Georgian Households, along with its methodological aspects, indicator system, tabulation plan, and the findings of the booklet study. To calculate indicators of the functioning and foundational learning skills of children in Georgian households, the statistical survey “Statistical Survey on Functioning and Foundational Learning Skills of Children Living in Georgian Households” is being conducted with the financial support of the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia, at the research base of Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

The necessity for this statistical study arises from the requirement to calculate Sustainable Development Goal indicators (SDG 4.1.1, which focuses on minimum proficiency level in reading and mathematics for grades 2/3, and SDG 4.5.1, the parity indice), and the Eurostat overcrowding level indicator, aiming to evaluate the educational level of children in Georgian households across different socio-economic dimensions (including living conditions, functional difficulties, gender, age, and more).

In the initial phase of the statistical survey, the formation of the indicator system, tabulation plan, and development of survey instruments were undertaken. The tabulation plan consists of 4 sections and 30 tables.

The article also covers the foundational learning skills module, which comprises blocks of questions on literacy and mathematical skills. The mathematical section includes tasks on number recognition, discrimination, operations, and sequencing. According to the UNICEF foundational learning skills module adaptation guidelines, the mathematical section does not require modification, as mathematics is considered a universal science and cannot be adapted based on a country’s social, economic, or other characteristics. To adapt

sentences and stories, a booklet study was conducted per UNICEF's recommendations. In the first stage of the booklet study, textual tasks were translated and adapted using relevant guidelines and approved textbooks. The next stage involved consultations with qualified experts from the Ministry of Education of Georgia, based on which the question-based tasks were developed

Keywords: 4.1.1: Minimum proficiency level in reading and mathematics for grades 2/3, SDG indicator 4.5.1: parity indice, overcrowding rate, booklet study.

JEL Codes: P 20, P 31, P 40, P 52

სიღარიბეზე ფინანსური ჩართულობის გავლენის შესწავლის ზოგიერთი მეთოდოლოგიური ასპექტი

ნინო მიქიაშვილი

ასოცირებული პროფესორი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

სიღარიბის პრობლემა მრავალმხრივ და ჩაღრმავებულ შესწავლას მოითხოვს. კვლევის მიმდინარეობისას ზოგადმეთოდოლოგიურ საფუძვლებთან ერთად გასათვალისწინებელია ერთი მხრივ, ეროვნული და რეგიონული, მეორე მხრივ, ეპოქალური თავისებურებები. ნაშრომის მიზანია დაადგინოს ის ზოგადი პრინციპები, რომელთა მიხედვითაც უნდა განისაზღვროს რა დამოკიდებულებაა ფინანსური ჩართულობა სიღარიბის შემცირებაზე. ივარაუდება, რომ ფინანსურმა ჩართულობამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეამციროს სიღარიბე. ამ ურთიერთდამოკიდებულების შესაფასებლად საჭიროა როგორც რაოდენობრივი, ასევე, თვისებრივი ანალიზი. დასადგენი და გამოსაკვლევი ის ფაქტორები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ სიღარიბის დონეზე. რაოდენობრივი ანალიზი უპირატესად ეფუძნება ეკონომეტრიკულ რეგრესიულ მოდელებს, სადაც დამოკიდებულ ცვლადად მიჩნეულია სიღარიბის მაჩვენებელი, ხოლო ძირითადი ამხსნელ ცვლადად – ფინანსური ჩართულობა. ფინანსური ჩართულობის რაოდენობრივად განსასაზღვრავად განიხილება მრავალგანზომილებიანი ფინანსური ჩართულობის ინდექსი. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, აქცენტი შეიძლება გაკეთდეს ამ ინდექსის ერთ ან რამდენიმე კომპონენტზე. მოდელი სასურველია აგებული იყოს პანელურ მონაცემებზე დაყრდნობით და მოიცავდეს ისეთ საკონტროლო ცვლადებს, როგორიცაა: ეკონომიკური ზრდა, შემოსავლების უთანასწორობა, შრომის არაფორმალურობის მაჩვენებელი, განათლების მიღების საშუალო წლები და სხვ.

საკვანძო სიტყვები: სიღარიბე, ფინანსური ჩართულობა, მოდელირება, მონეტარული სიღარიბე

სიღარიბე მუდმივად არსებული გლობალური საკითხია, როდესაც, ერთი მხრივ, რქესწავლა და გაზომვა, ხოლო, მეორე მხრივ, შემცირება და აღმოფხვრა სჭირდება. რფინანსებზე ხელმისაწვდომობა განსაკუთრებულ როლს ასრულებს სიღარიბისა და შემოსავლების უთანასწოროდ განაწილების წინააღმდეგ ბრძოლაში. 2023 წლის გლობალური მრავალგანზომილებიანი სიღარიბის ინდექსის (MPI) მიხედვით, მსოფლიოში უკიდურეს სიღარიბეში მოსახლეობის დაახლოებით 9.2%, ანუ, 700 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს დღეში 1,90 დოლარზე ნაკლები მოხმარებით. მათი უმრავლესობა განვითარებად ქვეყნებში, თითქმის 90% კი, საჭარის სამხრეთით და სამხრეთ აზიაში მკვიდრობს. მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 26% კი, ანუ, თითქმის 1,3 მილიარდი ადამიანი ზომიერად ღარიბია და დღეში 1,90-დან 3,20 დოლარამდე მოიხმარს. სამწუხაროდ, სიღარიბის წნეხი ბავშვებზე მოდის, რადგან მსოფლიოში ღარიბების დაახლოებით ნახევარი 18 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება.

2015 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო) და გლობალური ეკონომიკა შეთანხმდნენ 17 მდგრადი განვითარების მიზნებზე (SDG), რომლებიც მიიღწევა 2030 წლისთვის. ამ მიზნებიდან პირველი არის „სიღარიბის აღმოფხვრა ყველა მისი ფორმითა და გან-

ზომილებით“. ფინანსებზე წვდომარმნიშვნელოვნად უწყობს ხელს არა მარტო სიღარიბის, არამედ, SDG-ის სხვარმიზნების განხორციელებას(მსოფლიო ბანკი, 2018).

მრავალი ორგანიზაცია, პროექტი, ინიციატივა ასტიმულირებს ფინანსებზე წვდომის სა-
ჯარო პოლიტიკას. ამ მხრივ, აღსანიშნავია, G-20 გლობალური პარტნიორობა ფინანსური
ჩართვისთვის (GPIF), ფინანსური ჩართვის ცენტრი (CFI), ფინანსური ჩართვის ალიანსი (AFI)
საერთაშორისო დონეზე, ხოლო ეროვნულ დონეზე საბანკო სისტემა, დაზღვევა და სხვ.

ფინანსური ჩართულობა გულისხმობს ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურების
ფართო სპექტრის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას და გამოყენების შესაძლებლო-
ბას, მათ შორის საბანკო, საშემნახველო, საკრედიტო, სადაზღვევო, საგადასახადო, საპენ-
სიო და ფულადი გზავნილები. მსოფლიო ბანკის (2014) კლასიფიკაციით, ფიზიკური პირე-
ბი, რომლებიც არ იყენებენ ფორმალურ ფინანსურ მომსახურებას, იყოფა ორ კატეგორი-
ად: ნებაყოფლობით გარიყულები და უნებლიედ გარიყულები. ეს უკანასკნელი, როგორც
წესი, მოიცავს მცირე შემოსავლის, დაბალი განათლების დონის, მაღალი რისკის მქონე
ადამიანებს, რომლებიც განიცდიან დისკრიმინაციას, მუშაობენ არაფორმალურად ან არ
აქვთ ინფორმაციაზე წვდომა, რაც მათ სოციალურად ყველაზე დაუცველ ჯგუფად აქცევს.

ფინანსური გარიყულობის კონტექსტში, ინდივიდები უნდა დაეყრდნონ შეზღუდულ
დანაზოგს ან არაფორმალურ დაფინანსების მეთოდებს, რაც ართულებს წვდომას აუცი-
ლებელ სოციალურ მომსახურებაზე.

გამოსაკვლევეია არაფორმალური დაფინანსების მეთოდები, როგორიცაა სესხები ნათე-
სავებისგან, ნაცნობებისგან და ლომბარდებიდან. ეს არაფორმალური სესხები ხასიათდება
მარტივი ხელმისაწვდომობით, მაგრამ მაღალი საპროცენტო განაკვეთებით და უარყოფი-
თად მოქმედებს ფორმალურ ფინანსურ სისტემაზე.

საზოგადოებაზე ორიენტირებული ფინანსური სექტორი უზრუნველყოფს მოსახლეობის
უმრავლესობის, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების, მოცვას ფინანსური მომსახურე-
ბით, რაც, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა რესურსების ეფექტიან განაწილებას და ამ-
ცირებს კაპიტალზე ხელმისაწვდომობის ხარჯებს. შესაბამისად, ინდივიდებსა და მეურნე-
ობებს აქვთ ლეგალური დაფინანსების წყაროები სესხებისა და კრედიტებისთვის, რაც
ზრდის მათ კეთილდღეობის დონეს. გარდა ამისა, სტიმულირებულია უსაფრთხო დაზოგ-
ვის პრაქტიკა და ფინანსური დაგეგმვას, რაც დადებითად აისახება ოჯახისა და საზოგა-
დოების ცხოვრების დონეზე. ამდენად, ფინანსური ჩართულობა აქტუალურია სიღარიბის
შემცირების და დაბალი შემოსავლის მქონე სექტორების ცხოვრების პირობების გაუმჯო-
ბესებაში, რაც ხელს უწყობს ქვეყნის კეთილდღეობას და მდგრად განვითარებას (მსოფ-
ლიო ბანკი, 2018). ავტორთა ნაწილის (Cámara & Tuesta, 2014) მიხედვით, ოფიციალურ ფი-
ნანსურ მომსახურებაზე წვდომა ისეთივე მნიშვნელოვანია ოჯახის კეთილდღეობისთვის,
როგორც შემოსავალი, ჯანმრთელობა ან საცხოვრებელი.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ფინანსური ჩართულობა გახდა საჯარო პოლიტიკის
ძირითადი ინსტრუმენტი შემოსავლების ხარვეზების დასაფარად და ჩართულობის დადე-
ბითი ეფექტების ხელშეწყობისთვის. ფორმალური ფინანსური სისტემების მეშვეობით
მთავრობებს შეუძლიათ პირდაპირ და ეფექტიანად გადასცენ სუბსიდიები და ფინანსური
დახმარება სოციალურად დაუცველ მოსახლეობას.

ფინანსური ჩართულობა მოიცავს ფინანსური მომსახურების გამოყენებას, ფინანსური
პროდუქტების მფლობელობას, კრედიტზე ხელმისაწვდომობას და ფულადი გზავნილების
მიღებას. ეს ელემენტები იწვევს: შემოსავლის გაზრდას, სამენარმეო საქმიანობას გააქტი-
ურებას, პიროვნულ დამოუკიდებლობას, სოციალურ ინტეგრაციას, ინვესტიციებს ტექნო-
ლოგიაში, განათლებასა და ჯანმრთელობაში, რაც, ცხადია, საბოლოოდ იწვევს სიღარიბის
შემცირებას.

ფინანსური ჩართულობა კავშირშია მონეტარულ სიღარიბესთან. ადამიანები მონეტარული სიღარიბის რისკის ქვეშ არიან, როდესაც მათი განკარგავად შემოსავალი (სოციალური ტრანსფერების შემდეგ) სიღარიბის რისკის ზღვარს ქვემოთაა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოითვლება ფარდობითი სიღარიბის ისეთი მაჩვენებელი, როგორიცაა მედიანური მოხმარების 60%-ზე ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი. რაც შეეხება ფინანსურ ჩართულობას, ის უპირატესად დგინდება კრედიტის ხელმისაწვდომობის მიხედვით. კვლევის მიმდინარეობისას დამოუკიდებელ ცვლადებად შეიძლება განიხილებოდეს: მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავალი, ინტერნეტთან წვდომა, მოსახლეობის რაოდენობა, განათლების დონე, ჯანდაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა, დასაქმების დონე, სოციალურ დახმარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოცულობა და ხარისხი და სხვ. ფინანსური ჩართულობა სხვა ფაქტორებთან, როგორიცაა: ინტერნეტის, ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა, დასაქმება, ეკონომიკური ზრდა და სხვ., კომპლექსში ახდენს სიღარიბის მნიშვნელოვან შემცირებას. ფინანსური ჩართულობა, ასევე, შეიძლება ეკონომეტრიკულ მოდელში ჩართული იყოს კრედიტი/მთლიანი სამამულო პროდუქტის თანაფარდობით, ხოლო სხვა რაოდენობრივი ცვლადები კი როგორც: განათლების (ნიგნიერების) დონე, დასაქმების დონე, შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, ჯანდაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა (ჯანმრთელობის დაზღვევის მაჩვენებელი), ტექნოლოგიებზე წვდომა (ინტერნეტით მოსარგებლე მეურნეობები), სოციალური ხარჯები (სოციალურ პროგრამებზე) და სხვ. სიღარიბის შემცირებაში როგორც ნესი, განსაკუთრებული წვლილი შეაქვს შემოსავალს ერთ სულ მოსახლეზე და სოციალური ხარჯებს.

ამდენად, დამოკიდებული ცვლადების როლში შეიძლება განიხილებოდეს ან სიღარიბის მაჩვენებელი (Y), ($Y_{\text{სიღარიბე}}$), რომელიც იზომება სიღარიბის ეროვნულ ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებლით, ან უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებლით (Y), ($Y_{\text{უკიდურესი სიღარიბე}}$), რომელიც იზომება უკიდურესი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის პროცენტით. რაც შეეხება დამოუკიდებელ ცვლადებს, მათგან აღსანიშნავია: ფინანსური ჩართულობის ინდექსი (X_1), რომელიც, მაგალითად, მოიცავს ისეთ მაჩვენებლებს, როგორიცაა: ბანკის ფილიალების რაოდენობა 100 ათას ზრდასრულზე, ბანკომატების რაოდენობა 100 ათას ზრდასრულზე, სადეპოზიტო ანგარიშები ათას ზრდასრულზე და სხვ.; კრედიტი/მთლიანი სამამულო პროდუქტის თანაფარდობა (X_2), რომელიც ზომავს საკრედიტო ბაზარს ქვეყნის ეკონომიკასთან შედარებით; დანაზოგები/მთლიანი სამამულო პროდუქტის თანაფარდობა (X_3), რომელიც ზომავს საშემნახვლო ბაზრის ზომას ქვეყნის ეკონომიკასთან მიმართებაში; მთლიანი სამამულო პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე (ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი) (X_4); უმუშევრობის დონე (X_5), სამუშაო ძალის უმუშევარი ნაწილი; ნიგნიერების მაჩვენებელი (X_6), გაზომილი იმ ადამიანთა მიხედვით, ვისაც შეუძლია წერა, კითხვა და გააზრება; ინფლაციის მაჩვენებელი (X_7), რომელიც ზომავს სამომხმარებლო ფასების ინდექსის წლიურ პროცენტულ ცვლილებას; სახელმწიფო დანახარჯები სოციალურ მომსახურებაზე (X_8) და სხვ.

მოცემული აღნიშვნებით ეკონომეტრიკულ მოდელს ექნება შემდეგი სახე:

$$Y_i = \beta_0 + \beta_1 * X_{i1} + \beta_2 * X_{i2} + \beta_3 * X_{i3} + \beta_4 * X_{i4} + \beta_5 * X_{i5} + \beta_6 * X_{i6} + \beta_7 * X_{i7} + \beta_8 * X_{i8} + U_i$$

სადაც: β_0 – თავისუფალი წევრია;

$\beta_1, \beta_2, \dots, \beta_8$, — დამოუკიდებელი ცვლადების კოეფიციენტები;

U_i – შემთხვევითი წევრია.

მონაცემთა ბაზის დამუშავების შემდეგ დგინდება ცვლადების განაწილების სახე და მათი შესაბამისი მახასიათებლები შესაბამისი სტატისტიკური პროგრამული უზრუნველ-

ყოფის გამოყენებით. რადგან მრავალფაქტორული მოდელია შესაფასებელი, ამიტომ, მოდელის მნიშვნელოვნების უზრუნველსაყოფად ჩასატარებელია მულტიკოლინიარობის, ჰეტეროსკედასტიურობის და სერიული კორელაციის დიაგნოსტიკური ტესტები ეკონომეტრიკულ მოდელში რომელიმე ფაქტორი შეიძლება ჩანაცვლდეს ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა შემოსავლის უთანასწორობის მაჩვენებელი, ჯინის კოეფიციენტი, ასევე, არაფორმალური დასაქმების მაჩვენებელი. როგორც წესი, შრომის ბაზრის ფორმალიზაცია ამცირებს სიღარიბეს. ის ასტიმულირებს ბიზნესს ოფიციალურად დარეგისტრირდნენ და სოციალური დაცვა გააგრძელონ ყოფილ არაფორმალურ მუშაკებზე.

სიღარიბისა და ფინანსური ჩართულობის ურთიერთკავშირის შესახებ არსებული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით, გასათვალისწინებელია შემდეგი რეკომენდაციები:

ქვეყნის მასშტაბით უნდა გაფართოვდეს ფინანსური მომსახურება, გაიზარდოს ფინანსური მომსახურების ხელმისაწვდომობა ბანკის ფილიალების და ბანკომატების ზრდის ხარჯზე. აღნიშნული ღონისძიებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლად.

ხელი უნდა შეეწყოს მობილური ბანკის და ციფრული ფინანსური მომსახურების მიწოდებას მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, რომლებიც ე.წ. „გარიყულების“ კატეგორიაში შედიან.

მაქსიმალურად ამაღლდეს ფინანსური წიგნიერება შესაბამისი პროგრამების საშუალებით, რათა მოქალაქეებმა გააცნობიერონ ფინანსური მომსახურების სარგებელი და შეძლონ რეალურ ცხოვრებაში ციფრული პლატფორმების გამოყენება ფინანსური მომსახურების უზრუნველსაყოფად, ტრანზაქციების გასაადვილებლად და კრედიტზე წვდომის გასაიოლებლად.

მოხდეს ბიზნესის მხარდაჭერა და წახალისება ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. პარალელურ რეჟიმში და უწყვეტად განვითარდეს ინფრასტრუქტურა, რომელიც გააძლიერებს კავშირს და ეკონომიკურ შესაძლებლობებს ქვეყნის მასშტაბით.

შემოსავლის უთანასწორობის შემცირების და შემოსავლების უფრო სამართლიანად გადანაწილებისთვის მოხდეს სოციალური უსაფრთხოების ბადეების შექმნა დაუცველი მოსახლეობის მხარდასაჭერად სოციალური უსაფრთხოების ქსელების და კეთილდღეობის პროგრამების გაძლიერებით.

არაფორმალური შრომის შემცირება, რათა მოხდეს ყველა ოპერაციის ლეგალიზება.

გაუმჯობესდეს მონაცემთა ანალიზი მოსახლეობის იმ ნაწილის გამოსავლენად, რომლებიც საჭიროებენ სხვადასხვა ფინანსური პროდუქტებით მომარაგებას.

რაოდენობრივი მეთოდებით, მათ შორის, ეკონომეტრიკული მოდელების აგებისა და ანალიზის საშუალებით მნიშვნელოვანია სიღარიბის შემცირებაზე ფინანსური ჩართულობის გრძელვადიანი გავლენის შეფასება. ასევე, რეგიონული უთანასწორობის მიზეზების გამოვლენა ფინანსური ჩართულობისა და სიღარიბის შემცირების კუთხით.

შესაფასებელია კონკრეტული ფინანსური მომსახურების, რომელსაც ეწევიან მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სადაზღვევო სამსახურები, გავლენა სიღარიბის შემცირებაზე.

გამოსაკვლევია ფინანსური ჩართულობის ქცევითი ასპექტები, როგორიცაა ფინანსური ინსტიტუტებისადმი ნდობა და ფინანსური გადანაცვლებების მიღების პროცესი, რათა მოხდეს იმ მექანიზმების უფრო ღრმა შესწავლა, რომელთა მეშვეობითაც ფინანსური ჩართულობა გავლენას ახდენს სიღარიბეზე.

საბოლოო დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ფინანსური ჩართულობა გადამწყვეტ როლს თამაშობს სიღარიბის შემცირებაში და ფინანსური ხელმისაწვდომობის პოლიტიკა ხელს უწყობს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას, ამცირებს შემოსავლების უთანასწორო განაწილებას და ამცირებს არაფორმალურ დასაქმებას. ეკონომიკური პოლიტიკის შემქმნელებს და განმახორციელებლებს შეუძლიათ შექმნან უფრო სამართლიანი და უზ-

რუნველყოფილი საზოგადოება. ამასთან, აღნიშნული საკითხის უწყვეტი კვლევა და მონაცემების საფუძველზე პოლიტიკის შემუშავება აუცილებელია ფინანსური ჩართულობის გზით სიღარიბის შემცირების მიმართულებით მიღწეული პროგრესის შესანარჩუნებლად.

ლიტერატურა

1. ანანიაშვილი, ი. (2012). *ეკონომეტრიკა*. თბილისი, მერიდიანი
2. ვულდრიჯი, ჯ.მ. (2016). *შესავალი ეკონომეტრიკაში*. თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
3. მიქიაშვილი, ნ. (2023). *სიღარიბის მოდელირების ძირითადი მიმართულებები*. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები.
4. მიქიაშვილი, ნ. (2023). *სიღარიბის პრობლემა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა*. V ეროვნული კონფერენციის მასალები. DOI: 10.55896/978-9941-8-5764-5/2023-122-131
5. Bhavnani, A., Won-Wai. R., Janakiram, S., & Silarszky, P. (2008). *The role of mobile phones in sustainable rural poverty reduction*. World Bank: ICT policy division.
6. Cámara, N., & Tuesta, D. (2014). *Measuring Financial Inclusion: A Multidimensional Index*. BBVA Research: Working Paper No. 14/26.
7. Emara, N., & Mohieldin, M. (2020). *Financial inclusion and extreme poverty in the MENA region: a gap analysis approach*.
8. Global Economic Inequality. Retrieved from <https://ourworldindata.org/global-economicinequality> 9.
9. Greene, W. (2012). *Econometric Analysis*. United States: New York University. Prentice Hall.
10. Koomson, I., Villano, R. A., & Hadley, D. (2020). *Effect of Financial Inclusion on Poverty and Vulnerability to Poverty: Evidence Using a Multidimensional Measure of Financial Inclusion*. Social Indicators Research. <https://doi.org/10.1007/s11205-019-02263-0>
11. Poverty Data Explorer of World Bank data. Retrieved from <https://ourworldindata.org/> 8. Roser, M Social Programs That Work. Retrieved from <https://evidencebasedprograms.org/>
12. World Bank. (2018). *Financial Inclusion*.
13. World Bank. (2020). *Understanding Poverty*. <https://www.worldbank.org/en/understanding-poverty> www.scholink.org/ojs/index.php/jepf Journal of Economics and Public Finance Vol. 9, No. 3, 2023
14. World Bank. (2022). *Poverty*. Retrieved from <https://www.worldbank.org/en/topic/poverty>

SOME METHODOLOGICAL ASPECTS OF STUDYING THE IMPACT OF FINANCIAL INCLUSION ON POVERTY

Nino Mikiashvili

*Associate Professor, Academic Doctor of Economics
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

Annotation

The problem of poverty requires a multifaceted and in-depth study. In the course of the research, both national and regional characteristics, as well as epochal peculiarities, should be taken into account alongside general methodological basics. The aim of this paper is to determine the principles by which the depen-

dence of financial inclusion on poverty reduction can be assessed. It is hypothesized that financial inclusion can significantly reduce poverty. To evaluate this relationship, both quantitative and qualitative analyses are needed. The factors that significantly influence poverty levels will be identified and investigated. The quantitative analysis will primarily rely on econometric regression models, where the poverty rate is treated as the dependent variable and financial inclusion as the main explanatory variable. A multidimensional financial inclusion index will be used to quantify financial inclusion, allowing for emphasis on one or more components of this index based on the research objectives. The model should ideally be constructed using panel data and include control variables such as economic growth, income inequality, labor informality rates, average years of education, etc.

Keywords: *Poverty, Financial inclusion, Modeling, Monetary poverty*

საცალო ვაჭრობის განვითარების ძირითადი მიმართულებები XXI საუკუნის საქართველოში

ბაბულია მღებრიშვილი
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ციფრული ტექნოლოგიების ერაში, საცალო ვაჭრობის განვითარების შესახებ, არსებული რიგი ლიტერატურული წყაროს შესწავლისა და ამ საფუძველზე საქართველოს საცალო ვაჭრობის სფეროში მიმდინარე ცვლილებების გაანალიზების გზით, სტატიის ავტორი აყალიბებს XXI საუკუნის საქართველოს საცალო ვაჭრობის განვითარების ძირითად მიმართულებებს: მობილური ტელეფონების აქტიურად გამოყენება როგორც საცალოდ მოვაჭრეების, ისე მომხმარებლების მიერ; საცალო სავაჭრო ქსელის გამსხვილება; ტურიზმის დადებითი ზემოქმედება საცალო ვაჭრობის განვითარებაზე; ომნიარხული მიდგომის გამოყენების გაფართოება საცალო ვაჭრობაში; სოციალური ქსელების გამოყენება საცალოდ მოვაჭრეებისა და მომხმარებლების მიერ; ელექტრონული ვაჭრობის განვითარება როგორც ტრადიციული საცალო ვაჭრობისგან დამოუკიდებლად, ისე ტრადიციულად მოვაჭრე ობიექტების მიერ, ინტერნეტვაჭრობის დანერგვისა და გაფართოების გზით; სამომხმარებლო მარკეტინგის შემდგომი განვითარება. სტატიის ავტორის აზრით, საცალოდ მოვაჭრეებს, ეფექტიანად მუშაობის უზრუნველსაყოფად, თანამედროვე პირობებში, მეტი ძალისხმევა სჭირდებათ. ეს აუცილებელია ახალ გარემოსთან შეგუებისა და შეცვლილ მომხმარებლებთან ნორმალური ურთიერთობების დასამყარებლად.

საკვანძო სიტყვები: საცალო ვაჭრობა, ციფრული ტექნოლოგიები, ტურიზმი, ომნიარხული მიდგომა, საცალო სავაჭრო ქსელის გამსხვილება

შესავალი

თანამედროვე საცალო ვაჭრობა აღარ არის ისეთი, როგორც გასულ საუკუნეში იყო. ციფრულმა ტექნოლოგიებმა მნიშვნელოვნად შეცვალა საცალოდ მოვაჭრე სანარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის მექანიზმი და მომხმარებლის მიერ პროდუქტების ყიდვის პროცესი. ციფრული ტექნოლოგიებით აღჭურვილმა საცალო სავაჭრო ობიექტებმა კონკურენტული უპირატესობა მოიპოვეს ბაზარზე, ყიდვის პროცესში მყიდველებისთვის მოხერხებული პირობების შექმნის გზით. ამასთან, საცალო ვაჭრობის მიმართ მოთხოვნები გაიზარდა მდგრადი განვითარებისა და მდგრადი მარკეტინგის ეპოქაში, რამაც, ასევე, საცალო ვაჭრობის განვითარებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია. ასე მოხდა მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობაში და მათ შორის საქართველოშიც. საქართველოს საცალო ვაჭრობას დიდი შესაძლებლობა აქვს, რომ მომხმარებლებს სწორი არჩევანის გაკეთებაში დაეხმაროს [მღებრიშვილი ბ., უროტაძე ე., ვეშაგური მ. (2023)]. ამაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და მომავალშიც შეასრულებს ციფრული ტექნოლოგიები. უნდა ითქვას, რომ საქართველოს საცალო ვაჭრობაში ბოლო პერიოდში მიმდინარე მოვლენები იშვიათად თუ გამხდარა მეცნიერული შესწავლის ობიექტი. ამ მდგომარეობამ და ქვეყნის განვითარებაში საცალო ვაჭრობის მნიშვნელობამ განაპირობა მოცემული სტატიის მომზადება.

კვლევის მეთოდოლოგია

საცალო ვაჭრობაში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა დაეყრდნო საცალო ვაჭრობის განვითარებაზე არსებული ლიტერატურული წყაროებისა და დარგის განვითარების მდგომარეობაზე საკუთარი დაკვირვების შედეგებს. ლიტერატურული წყაროების შესწავლის პროცესში გამოყენებულ იქნა კვლევის ზოგადი მეთოდები, კერძოდ, ანალიზი და სინთეზი. სტატიაში საცალო ვაჭრობის, როგორც სისტემის, შესწავლის პროცესში ორი მიმართულებით არის მსჯელობა გაშლილი. ერთი მხრივ, საცალო სავაჭრო სანარმოების საქმიანობაზე დაკვირვებით, არის მცდელობა ქვეყანაში დარგის განვითარების საერთო კანონზომიერებების დანახვისა და შეფასების, მეორე მხრივ კი ლიტერატურულ წყაროებში, საცალო ვაჭრობის სისტემის ფუნქციონირების კუთხით, არსებული მოსაზრებების გაანალიზებით მთელი სისტემის განვითარების მახასიათებლებია ჩამოყალიბებული და მათზე დაყრდნობით შეფასებულია საცალოდ მოვაჭრე სანარმოებსა და ორგანიზაციებში არსებული მდგომარეობა. კვლევის ზოგადი მეთოდების გამოყენებით, საქართველოს საცალო ვაჭრობის, როგორც სისტემის, შესწავლის დროს მოვლენები და პროცესები ლოგიკურ კავშირშია განხილული, რამაც გარკვეული დასკვნების გაკეთება გახადა შესაძლებელი. ზოგადი მეთოდების გარდა გამოყენებულია, აგრეთვე, სტატისტიკური მეთოდები, კერძოდ, დაჯგუფება. მარკეტინგული მეთოდებიდან, სტატიაზე მუშაობის დროს, აქტიურად იქნა გამოყენებული დაკვირვება.

კვლევის შედეგები

საცალო ვაჭრობის განვითარების თანამედროვე ტენდენციები უშუალო კავშირშია გლობალიზაციასა და ციფრული ტექნოლოგიების შექმნა-გამოყენების პროცესთან. გამომდინარე იქიდან, რომ ინტერნაციონალიზაციის პროცესი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად განხორციელდა და, ციფრული ტექნოლოგიების შექმნისა და გამოყენების მხრივაც, ქვეყნების მიხედვით რამდენადმე განსხვავებული მდგომარეობა დაფიქსირდა, საცალო ვაჭრობის სფეროს განვითარებაში, საერთო მახასიათებლებთან ერთად, სპეციფიკური ნიშან-თვისებებიც გამოიკვეთა. ამ პროცესმა ასახვა ჰპოვა საცალო ვაჭრობის განვითარების ტენდენციებში. ლიტერატურულ წყაროებსა და კვლევებში აისახა როგორც საცალო ვაჭრობაში მიმდინარე პროცესები, ისე ის ფაქტორები და ძალები, რომელთაც გავლენა მოახდინეს საცალო ვაჭრობის განვითარებაზე და მომავალშიც განაპირობებენ საცალო ვაჭრობის განვითარების ახალი მიმართულებების გაჩენას.

კომპანია Deloitte-ის მე-18 წლიური ანგარიშის მიხედვით [Global Powers of Retailing. Deloitte. (2015)], საცალო ვაჭრობაში გამოიკვეთა სამოგზაურო საცალო ვაჭრობის, მობილური ტელეფონებით განხორციელებული საცალო ვაჭრობის, სწრაფი და ექსპერიმენტული საცალო ვაჭრობის, ინოვაციური საცალო ვაჭრობის განვითარების მიმართულებები. სხვა ლიტერატურულ წყაროებში საცალო ვაჭრობის განვითარების მდგომარეობა და მისი მომავლის განმსაზღვრელი ფაქტორები უფრო ფართოდ და განსხვავებულად არის წარმოდგენილი. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად [Панасенко С.В., Стукалова И.Б., Мазунина Т.А. (2018)], საცალო ვაჭრობის განვითარებაში, ბოლო პერიოდში, გამოიკვეთა შემდეგი მიმართულებები: კლიენტებზე ორიენტაციის გაძლიერება; ვაჭრობის პერსონიფიკაცია; გაყიდვის ომნიარხულობა; ხელოვნური ინტელექტის გამოყენების გაფართოება; ახალი ფინანსური ტექნოლოგიებისა და კრიპტოვალუტის დაწერვა. სხვა მოსაზრების თანახმად [<https://www.retail.ru/articles/10-tendentsiy-formiruyushchikhbudushchee-roznichnoy-torgovli/>], საცალო ვაჭრობის განვითარება უკავშირდება შემდეგ ტენდენციებს: მობილური ტელეფონების აქტიური გამოყენება მომხმარებლების მიერ; შრომის ანაზღაურების ახალი მეთოდების სულ უფრო მეტად გავრცელება; საცალოდ მოვაჭრე კომპანიების

მიერ ინვესტიციების განხორციელება შრომით რესურსებში, უფრო გონიერი ადამიანების მოზიდვისა და შენარჩუნების მიზნით; ბრძოლა ფასდაკლებებთან და ყურადღების გადატანა საქონელზე; ომნიარხული მიდგომის აქტიურად გამოყენება; მინოდების ტრადიციულ მეთოდებზე უარის თქმა საცალოდ მოვაჭრეებისა და ტექნოლოგიური კომპანიების მიერ; საცალო ვაჭრობის მიერ მაღაზიებისა და საქონლის ფორმატის შეცვლა ქალაქის მომხმარებლებისთვის; გამოცდილების დაგროვება საცალო ვაჭრობაში; ვაჭრობა სოციალურ ქსელებში; ელექტრონულ კომერციაში სულ უფრო მეტი ინვესტიციების განხორციელება საცალოდ მოვაჭრეების მიერ.

საცალო ვაჭრობაში მიმდინარე ცვლილებებზე ყურადღება გამახვილებულია მსოფლიოში აღიარებულ მარკეტინგის სახელმძღვანელოებშიც. ფ. კოტლერისა და კ. კელერის მარკეტინგის მენეჯმენტის სახელმძღვანელოში საცალო ვაჭრობის თანამედროვე ტენდენციები ასეა ჩამოყალიბებული: საცალო ვაჭრობის ახალი ფორმები და კომბინაციები; კონკურენციის ზრდა სხვადასხვა ტიპის რიტეილერებს შორის; სამაღაზიო და მაღაზიის გარეშე არსებულ საცალოდ მოვაჭრეებს შორის კონკურენცია; გიგანტური რიტეილერების რაოდენობის ზრდა; საშუალო კატეგორიის რიტეილერების რაოდენობის შემცირება; მზარდი ინვესტიციები ტექნოლოგიებში; ძირითადი რიტეილერების გლობალური პროფილი; სამომხმარებლო მარკეტინგის ზრდა [კოტლერი ფ., კელერი კ. (2015)].

ამ და სხვა მოსაზრებების გაანალიზების, აგრეთვე, საქართველოს საცალო ვაჭრობის განვითარების პროცესზე დაკვირვებით, ჩვენ ვაყალიბებთ საქართველოში აღნიშნული სფეროს განვითარების შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- ✓ მობილური ტელეფონების აქტიურად გამოყენება როგორც საცალოდ მოვაჭრეების, ისე მომხმარებლების მიერ;
- ✓ საცალო სავაჭრო ქსელის გამსხვილება;
- ✓ ტურიზმის დადებითი ზემოქმედება საცალო ვაჭრობის განვითარებაზე;
- ✓ ომნიარხული მიდგომის გამოყენების გაფართოება საცალო ვაჭრობაში;
- ✓ სოციალური ქსელების გამოყენება საცალოდ მოვაჭრეებისა და მომხმარებლების მიერ;
- ✓ ელექტრონული ვაჭრობის განვითარება როგორც ტრადიციული საცალო ვაჭრობისგან დამოუკიდებლად, ისე ტრადიციულად მოვაჭრე ობიექტების მიერ ინტერნეტვაჭრობის დანერგვისა და გაფართოების გზით;
- ✓ სამომხმარებლო მარკეტინგის შემდგომი განვითარება.

მობილურმა აპლიკაციებმა საცალოდ მოვაჭრე სანარმოებისა და ორგანიზაციების პროდუქციის რეალიზაციის სფერო მნიშვნელოვნად შეცვალა და თან გააფართოვა. მათი გამოყენებით მომხმარებლებისთვის პროდუქტის ყიდვის მოხერხებული და სწრაფი გზა გახდა ხელმისაწვდომი, საცალოდ მოვაჭრეებისთვის კი გაყიდვის მოცულობის გაზრდის ახალი შესაძლებლობა გამოიძენა. ერთი სიტყვით, ამ ტექნოლოგიამ საცალოდ ყიდვა-გაყიდვის სფერო არსებითად შეცვალა. ვაჭრობაში მობილური ტელეფონების გამოყენების გაფართოებამ განაპირობა მათი იმპორტის მოცულობის მაჩვენებლის მკვეთრად გაზარდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2010 წელს საქართველოში მობილური ტელეფონების იმპორტი 57 804,7 ათას აშშ დოლარს შეადგენდა, 2020 წელს 128 378,6 ათასს, ხოლო 2022 წელს კი 237 205,9 ათას აშშ დოლარს გაუტოლდა. მობილური ტელეფონების იმპორტის რაოდენობრივი მაჩვენებელი განსხვავებულ ხასიათს ატარებს. 2010 წელს საქართველოში სარეალიზაციოდ შემოტანილი მობილური ტელეფონების რაოდენობა 1 277 512-ს შეადგენდა, 2020 წელს 936 549-ს, ხოლო 2022 წელს კი 880 316-ს. იმპორტირებული მობილური ტელეფონების რაოდენობის შემცირება, პირველ რიგში, აიხსნება ძვირადღირებული მობილური მოწყობილობების ექსპორტით, აგრეთვე, მოსახლეობის მობილური ტელეფონებით უზრუნველყოფის მაღალი მაჩვენებლით. ყიდვა-გაყიდვის პროცესში მობილური ტელეფონების ჩართვამ მნიშვნელოვნად გააიოლა ვაჭრობის პროცესი. ადამიანებს დროის, ენერგიის, ფულადი სახსრების დაზოგვის მეტი შესაძლებლობა მიეცათ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათთვის, რომელთაც სახლიდან გაუსვლელად

უნევთ მუშაობა. მობილური ტელეფონების გამოყენება ვაჭრობის პროცესში უშუალო კავშირში ანგარიშსწორების ახალი მიდგომების გამოყენებასთან, მობილური გადახდის მეთოდების სრულყოფასთან. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მაღაზიებში მისული მომხმარებლები მობილურ მოწყობილობებს იყენებენ პროდუქტის ყიდვაზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. თუმცა, მაღალი კვალიფიკაციის მქონე სავაჭრო პერსონალს მომხმარებლებზე ზემოქმედება და მათ მიერ მოცემული სავაჭრო ობიექტისთვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღებისკენ ბიძგის მიცემა შეუძლია. ამიტომ, ცდილობენ პერსპექტიულად მოაზროვნე საცალოდ მოვაჭრე საწარმოების მენეჯერები მოიძიონ და დაასაქმონ კვალიფიციური, ნიჭიერი ადამიანები. მობილური მოწყობილობების გამოყენებას ყიდვის პროცესში ხშირად აქვს პრობლემები. სავაჭრო ობიექტებს საკმაოდ ხშირად ვებ-გვერდზე მითითებული საქონელი არ აქვთ გაყიდვაში. ზოგჯერ შეკვეთილი პროდუქტი სხვა პროდუქტით არის ჩანაცვლებული, ზოგჯერ კი საქონლის ხარისხი არ არის სათანადო და ა. შ. ასე რომ, მობილური ტელეფონებით ყიდვა-გაყიდვის პროცესი საქართველოში შემდგომ სრულყოფას საჭიროებს. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ახალი მიღწევები ტექნოლოგიების სფეროში მრავალმხრივ შეცვლის მობილური მარკეტინგის საერთო სახეს საცალო ვაჭრობაში [Shankar, Venkatesh & Venkatesh, Alladi & Hofacker, Charles & Naik, Prasad (2010)] და ხელს შეუწყობს მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონის ამაღლებას.

ბოლო პერიოდში, საქართველოში, აქტიურად მიმდინარეობს სავაჭრო ობიექტების გამსხვილების პროცესი, რაც დადებით გავლენას ახდენს მომხმარებელთა მომსახურების ხარისხზე. 2015 წელს საქართველოს ვაჭრობის სფეროში (საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტის ჩათვლით) რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა 128 674-ს შეადგენდა. 2020 წლისთვის ეს მაჩვენებელი 169 909-მდე გაიზარდა, ხოლო 2022 წელს კი 178 853-მდე. რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა, 2015 წელთან შედარებით, 2020 წელს 132, ხოლო 2022 წელს კი 139%-ით გაიზარდა. ზრდა დაფიქსირდა 2020-2022 წლებშიც - 105,3%. ვაჭრობის სფეროში დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი მცირე ზომის საწარმოები. მაგრამ, მათი ბრუნვის საერთო მოცულობა ბევრად ნაკლებია მსხვილი საწარმოების ბრუნვის მოცულობის მთლიან მაჩვენებელზე. ასე, მაგალითად, 2015 წელს ვაჭრობის სფეროში მოქმედი მსხვილი საწარმოების ბრუნვის მოცულობა 21 307,7 მლნ ლარი იყო, მცირე ზომის საწარმოებისა კი 2 934,7 მლნ ლარი. 2022 წლისთვის აღნიშნულმა მაჩვენებლებმა შეადგინა, შესაბამისად, 37 039,8 და 18 009,9 მლნ ლარი. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მსხვილი სავაჭრო ობიექტები უპირატესად დედაქალაქში და ზოგიერთ მსხვილ ქალაქში იქმნება. ასე, მაგალითად, თბილისში ფუნქციონირებს ისეთი მსხვილი საცალო სავაჭრო ობიექტები, როგორიცაა: სავაჭრო-გასართობი ცენტრი „მეგალინი“, „დანიური სახლი“, „გუდვილი“, „კარფური“, „თბილისი მოლი“ და ა.შ. ბათუმში მოქმედი მსხვილი საცალოდ მოვაჭრე ობიექტებია: „ბათუმი მოლი“, „ბათუმი პლაზა“, აგროპაზი ბათუმი და ა.შ. გორში ფუნქციონირებს „გრანდ მოლი“, ახალციხეში „ალფა მარკეტი“.

ბოლო წლებში საქართველოში აქტიურად ვითარდება ტურიზმის სფერო, რაც საცალო ვაჭრობის განვითარებაზე მოქმედი მნიშვნელოვანი ფაქტორია. საცალო ვაჭრობას შეუძლია საერთაშორისო მოგზაურებში ადგილობრივი წარმოების პროდუქტების ყიდვის სურვილის გაჩენა, რითაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში წარმოების განვითარებას [მღებრიშვილი ბ. (2019)] და რეალიზაციის მოცულობის გაზრდას. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2023 წელს საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირდა საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების 7,1 მლნ შემოსვლა, რაც 30,3%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. როგორც 2020-2022 წლის მონაცემები გვიჩვენებს, ტურისტების დიდი რაოდენობა საქართველოში პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებიდან შემოდის. მაგრამ, თანდათანობით იზრდება ტურისტების რაოდენობა ისეთი განვითარებული ევროპული ქვეყნებიდან, როგორიცაა ავსტრია, გაერთიანებული სამე-

ფო, გერმანია, ნიდერლანდები, პოლონეთი. ტურისტების მნიშვნელოვანი ნაკადი შემოდის აზიის ქვეყნებიდან, კერძოდ, არაბთა გაერთიანებული ემირატებიდან, ინდოეთიდან, ირანიდან, ისრაელიდან, საუდის არაბეთიდან, ტაილანდიდან, ჩინეთიდან. აღნიშნულ პერიოდში ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკიდან საქართველოში შემომსვლელთა რაოდენობა 5-ჯერ და მეტად გაიზარდა, მხოლოდ აშშ-დან კი 5,5-ჯერ და მეტად. ასეთ პირობებში, ცხადია, საცალო ვაჭრობას პროდუქტების რეალიზაციის მოცულობის გაზრდისა და შემდგომი განვითარების მეტი შესაძლებლობა ეძლევა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ გაძლიერებას.

საცალო ვაჭრობაში დღეს ფუნქციონირებს ომნიარხული მიდგომა, რაც მყიდველებს საშუალებას აძლევს, საქონლის საყიდლად გამოიყენონ ონლაინ, მობილური, სოციალური და ოფლაინ არხები. მყიდველებს შესაძლებლობა აქვთ ადვილად გადაადგილდნენ არხიდან არხში და მათთვის მისაღები გადაწყვეტილება მიიღონ. საცალოდ მოვაჭრეები სულ უფრო აქტიურად დებენ ინვესტიციებს ელექტრონულ და მობილურ კომერციაში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღეისთვის მომხმარებლები საქონელს, ძირითადად, ყიდულობენ ფიზიკურად არსებულ მაღაზიებში. ონლაინში გაყიდვები ბევრი საცალოდ მოვაჭრისთვის ბოლო პერიოდში აუცილებელი გახდა და ომნიარხული მიდგომის გამოყენების მნიშვნელობაც გაიზარდა [Robert W. Palmatier, Eugene Sivas, Louis W. Stern, and Adel I. El-Ansary (2020)].

ციფრული ტექნოლოგიებიდან პროდუქტების ყიდვა-გაყიდვის პროცესში სულ უფრო მეტად გამოიყენება სოციალური ქსელები. სულ უფრო მეტი ქართველი მომხმარებელი ცდილობს, პროდუქტის ყიდვის დროს, Facebook და Instagram გამოიყენოს, ანიჭებენ რა დიდ მნიშვნელობას მეგობრების, ნაცნობებისა და იმ ადამიანების აზრს, რომლებიც საზოგადოებაში ავტორიტეტით სარგებლობენ. საცალოდ მოვაჭრეები ქმნიან საკუთარ ბლოგებს, რომლებიც ეხმარება მათ ბრენდის ცნობადობისა და მომხმარებელთა ლოიალური დამოკიდებულების ამაღლებაში. [Панасенко С.В., Стукалова И.Б., Мазунина Т.А. (2018)].

დასკვნა

საცალო ვაჭრობაში მიმდინარე ცვლილებების შესახებ არსებულ რიგ ლიტერატურულ წყაროში დაფიქსირებული მოსაზრებების ანალიზისა და საქართველოს საცალო ვაჭრობის სფეროს განვითარებაზე დაკვირვების შედეგების საფუძველზე, შესაძლებელი გახდა გარკვეული დასკვნების გაკეთება. ამ დასკვნებს შორის ძირითადია შემდეგი:

- ✓ XXI საუკუნეში საცალო ვაჭრობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, რაც, პირველ რიგში, ციფრულ ტექნოლოგიებსა და გლობალიზაციის პროცესთან არის დაკავშირებული.
- ✓ თანამედროვე საცალო ვაჭრობაში დაიწყო ახალი ფორმებისა და სხვადასხვა ფორმების კომბინაციების გამოყენება.
- ✓ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების ბაზაზე შეიცვალა მომხმარებელთა ქცევა და საცალო ვაჭრობის მიდგომები გაყიდვის პროცესთან დაკავშირებით.
- ✓ გლობალიზაციის პროცესში ბევრმა საცალოდ მოვაჭრემ დატოვა ქვეყნის საზღვრები და საქმიანობა სხვა ქვეყნებშიც გააგრძელა.
- ✓ საქართველოში, სხვა ქვეყნების მსგავსად, საცალო ვაჭრობის სფერო მნიშვნელოვნად შეიცვალა: ბევრმა საცალოდ მოვაჭრემ აქტიურად დაიწყო ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება გაყიდვის პროცესში; შეიქმნა მსხვილი საცალოდ მოვაჭრე საწარმოები; გააქტიურდა ომნიარხული მიდგომა გაყიდვის პროცესში; კიდევ უფრო განვითარდა საცალო ვაჭრობის განვითარებაზე დადებითად მოქმედი ისეთი ფაქტორი, როგორიც არის ტურიზმი; შეიცვალა ქართველი მომხმარებლის ქცევა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით; საცალოდ მოვაჭრეები სულ უფრო მეტ ყუ-

რადღებას აქცევენ სავაჭრო ობიექტებში მისულ მომხმარებლებზე მარკეტინგულ ზემოქმედებას.

ცხადია, ახალ პირობებში საცალოდ მოვაჭრეებს მეტი აქტიურობა ესაჭიროებათ ცვალებად გარემოსთან შეგუებისა და შეცვლილ მომხმარებლებთან ურთიერთობის დამყარების კუთხით.

ლიტერატურა

1. თოდუა ნ., მღებრიშვილი ბ. (2017). საცალო ვაჭრობა, ლექციების კურსი (ელექტრონული).
2. კოტლერი ფ., კელერი კ. (2015). მარკეტინგის მენეჯმენტი. ინგლისური მე-14 გამოცემის ქართული თარგმანი პროფ. ნ.თოდუას საერთო რედაქტორობით. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3. მღებრიშვილი ბ. (2019). გარე მარკეტინგულ გარემოში მიმდინარე ცვლილებების გავლენა საცალო ვაჭრობის განვითარებაზე საქართველოში. ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, #2, 142-145.
4. მღებრიშვილი ბ., უროტაძე ე., ვეშაგური მ. (2023). საცალო ვაჭრობის სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი ასპექტები ქვეყნის მდგრადი განვითარების მიღწევაში. ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, N1, გვ. 142-156.
5. Robert W. Palmatier, Eugene Sivadas, Louis W. Stern, and Adel I. El-Ansary (2020). Marketing Channel Strategy An Omni-Channel Approach, Ninth Edition. Taylor & Francis Group, New York.
6. Shankar, Venkatesh & Venkatesh, Alladi & Hofacker, Charles & Naik, Prasad (2010). "Mobile Marketing in the Retailing Environment: Current Insights and Future Research Avenues," Journal of Interactive Marketing, Elsevier, vol. 24(2), pages 111-120.
7. Global Powers of Retailing. Deloitte. (2015).
<https://www2.deloitte.com/content/dam/Deloitte/global/Documents/Consumer-Business/gx-cb-global-powers-of-retailing.pdf>
8. Панасенко С.В., Стукалова И.Б., Мазунина Т.А. (2018). Направления развития современной розничной торговли. Российское предпринимательство. Том 19. № 3. с 599-608.
9. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული (2023). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. თბილისი.
10. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული (2017). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. თბილისი.
11. საქონლით საგარეო ვაჭრობა საქართველოში 2023 (2024). სტატისტიკური პუბლიკაცია. თბილისი.
12. <https://www.go-globe.com/the-future-of-retail-with-mobile-apps/>
13. <https://www.retail.ru/articles/10-tendentsiy-formiruyushchikh-budushchee-rozничnoy-torgovli/>

MAIN DIRECTIONS OF RETAIL TRADE DEVELOPMENT IN XXI CENTURY GEORGIA

Babulia Mghebrishvili

*Doctor of Economics, Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

Abstract

By studying a number of literary sources on the development of retail trade in the era of digital technologies and analyzing the current changes in the field of retail trade in Georgia on this basis, the author of the article lays out the main directions of the development of retail trade in Georgia in the XXI century: active use of mobile phones by both retailers and consumers; expansion of the retail trade network; positive impact of tourism on the development of retail trade; expansion of the use of an omnichannel approach in retail trade; use of social networks by retailers and consumers; development of e-commerce both independently of traditional retail trade and by traditional retail outlets through the introduction and expansion of online shopping; further development of consumer marketing. According to the author of the article, retailers need to make more efforts to ensure their effective work in modern conditions. This is necessary to adapt to the new environment and establish normal relations with changed customers.

Keywords: Retail trade, digital technologies, tourism, omnichannel approach, retail network expansion.

ციფრული ტექნოლოგიების გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე

მარინე ნაცვალაძე

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

ციფრული ტექნოლოგიები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე, სანარმოო პროცესის ფორმირებასა და მისი ახალი შესაძლებლობების შექმნაზე. ციფრული ტექნოლოგიები ზრდის მწარმოებლურობას და საბოლოო ჯამში, იწვევს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. ეს კი ბიზნეს-ფირმებს საშუალებას აძლევს შეამციროს ხარჯები, გაზარდოს გამოშვება და შესაბამისად, მოგება.

ტექნოლოგიური პროგრესი ხელს უწყობს ინოვაციებს, რაც კომპანიებს საშუალებას აძლევს განავითარონ ახალი პროდუქტები და სერვისები. ციფრული პლატფორმები ბიზნესს საშუალებას აძლევს შექმნან ახალი ბიზნეს-მოდელები.

ციფრული ტექნოლოგიების დანერგვით ირღვევა გეოგრაფიული საზღვრები, რაც მცირე ბიზნესსაც კი აძლევს გლობალურ მომხმარებელზე წვდომის საშუალებას. ციფრულმა ტექნოლოგიებმა შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული ტიპის სამუშაო ადგილების შემცირება. ის ასევე ქმნის ახალი ტიპის სამუშაო როლებს ტექნიკურ განვითარებაში.

ციფრული ეკონომიკის ინსტრუმენტებს შეუძლიათ გააღრმავონ ფინანსური რესურსების წვდომა, გააუმჯობესონ სერვისები.

განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო რესურსების წვდომისა და მოყვანების ფართო შესაძლებლობები ონლაინ სასწავლო პლატფორმების მეშვეობით.

მიუხედავად იმისა, რომ ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა ბევრ სარგებელს გვთავაზობს, ის ასევე წარმოქმნის გამოწვევებს, მათ შორის კიბერ-საფრთხეებს, და მნიშვნელოვანია მარეგულირებელი ჩარჩო-რეგულაციების და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის საჭიროება მომხმარებლების დასაცავად და სამართლიანი კონკურენციის ხელშეწყობისთვის.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ეკონომიკა, ციფრული ტექნოლოგიები, დიგიტალიზაცია.

შესავალი

ციფრულ ტექნოლოგიებს, დიგიტალიზაციას, ღრმა გავლენა აქვს ეკონომიკურ განვითარებაზე, დარგებზე, ინდუსტრიაზე, სამუშაო პროცესებზე, ასევე მომხმარებლის ქცევის წესებზე.

ციფრული ტექნოლოგიები, როგორცაა ავტომატიზაცია და ხელოვნური ინტელექტი, ზრდის მწარმოებლურობას ოპერაციების გამარტივებით და ხარჯების შემცირებით (Mühleisen M., 2018). ეს ტრანსფორმაცია საშუალებას აძლევს ბიზნესს იმოქმედონ უფრო ეფექტიანად და მუდმივად განახორციელოს ინოვაციები. (Yoo, Inhye, & Chan-Goo Yi., 2022).

მიუხედავად იმისა, რომ ავტომატიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს სამუშაო ადგილების შემცირება, ის ასევე ახალი ტიპის დასაქმებისთვის ქმნის შესაძლებლობებს. მუშებს შეუძლიათ კვალიფიკაციის ამაღლება და ახალი უნარების ათვისება (Calimanu, S. 2024).

დიგიტალიზაცია იძლევა ახალი ბიზნეს მოდელების შექმნის საშუალებას. მაგალითად, ციფრული პლატფორმები და ღრუბლოვანი ტექნოლოგიები კომპანიებს საშუალებას აძლევს შესთავაზონ პერსონალიზებული სერვისები და გამოიკვლიონ შემოსავლების ინოვაციური ნაკადები (Calimanu, S., 2024). ციფრული ტექნოლოგიების სხვადასხვა სექტორში ინტეგრაცია

ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას მწარმოებლურობის გაუმჯობესებით და ინოვაციების ხელშეწყობით (Mühleisen M., 2018). ეს ზრდა გადამწყვეტია როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ეკონომიკებისთვის (Ben Ali, M.S. (Ed.), 2022).

ციფრული ტრანსფორმაციის სწრაფი ტემპი ქმნის გამოწვევებს, როგორიცაა მარეგულირებელი ჩარჩოებისა და პოლიტიკის საჭიროება, რომელიც მხარს დაუჭერს ტექნოლოგიურ ადაპტაციას და ამავდროულად შერბილებს მის დამლუპველ ეფექტებს (Mühleisen M., 2018).

ციფრული ტექნოლოგიები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე. ისინი აუმჯობესებს მწარმოებლურობას, ამცირებს ხარჯებს და ხსნის ახალ ბაზრებს, რადგან ხდება გეოგრაფიული საზღვრების გარღვევა. ციფრული პლატფორმები ბიზნესს ინოვაციების, ახალი პროდუქტებისა და სერვისების განვითარებას საშუალებას აძლევს, რაც ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას.

მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული სამუშაოების ზოგიერთმა ტიპმა შეიძლება აზრი დაიკარგოს, ჩნდება ახალი როლები ტექნოლოგიებში, მონაცემთა ანალიზსა და ციფრულ მარკეტინგში. დიდი რაოდენობით მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის უნარი ეხმარება ბიზნესს გააკეთოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები, მოახდინოს ოპერაციების ოპტიმიზაცია და შექმნას მომხმარებელზე ორიენტირებული პროდუქტები. გარდა ამისა, ციფრული ტექნოლოგიები მხარს უჭერენ მდგრადი პრაქტიკების განხორციელებას, აუმჯობესებენ რესურსების მართვას და გარემოს დაცვას.

ციფრული ტექნოლოგიები ტრანსფორმაციული როლის კვლევისას იკვეთება შემდეგი ძირითადი საკვანძო საკითხები (Värzaru, et al. 2024):

- გაზრდილი ეფექტიანობა: ციფრული ტექნოლოგიები აუმჯობესებს მწარმოებლურობას პროცესების ოპტიმიზაციის გზით.
- ახალი ბიზნეს მოდელები: ის იძლევა ინოვაციურ მოდელებს, როგორიცაა სააბონენტო სერვისები, ბაზარზე ახალი მოთამაშეების შექმნა.
- გლობალიზაცია: კომპანიებს შეუძლიათ გაფართოვდნენ საერთაშორისო დონეზე ახალ ბაზრებზე წვდომის მოპოვებით.
- გავლენა დასაქმებაზე: ციფრული ტექნოლოგიები ქმნის სამუშაო ადგილებს ტექნოლოგიაში, მაგრამ ასევე იწვევს სამუშაო ადგილების დაკარგვას ზოგიერთ სექტორში ავტომატიზაციის გამო.

თუმცა, ასევე წარმოქმნიან გამოწვევებს, როგორიცაა კიბერ-საფრთხეები, რაც მოითხოვს მარეგულირებელი ჩარჩოების შექმნას, რათა მომხმარებელთა დაცვა და სამართლიანი კონკურენცია უზრუნველყოს.

საბოლოო ჯამში, ციფრული ტექნოლოგიები ტრანსფორმაციულ როლს ასრულებენ ეკონომიკურ განვითარებაში, ზრდისა და ინოვაციების შესაძლებლობების მიცემით, ამასთანავე საჭიროებს მათთან დაკავშირებული გამოწვევების მართვას.

როგორ ქმნის ციფრული ტექნოლოგიები დასაქმების ახალ შესაძლებლობებს და რომელი დარგები დაზარალებული ყველაზე მეტად? ამ საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია წინასწარ განისაზღვროს დარგები, რომლებიც ძირეულ ტრანსფორმაციას განიცდის ციფრული ტექნოლოგიების მასობრივი დანერგვის პირობებში.

ციფრულმა ტექნოლოგიებმა შექმნა ახალი სამუშაო შესაძლებლობები, უპირველეს ყოვლისა ტექნოლოგიურ ინდუსტრიაში. ახალი როლები პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებაში, მონაცემთა ანალიტიკასა და კიბერუსაფრთხოებაში სულ უფრო გავრცელებული ხდება. გარდა ამისა, გაიზარდა დისტანციური მუშაობის შესაძლებლობები, რაც გაუადვილებს სხვადასხვა ადგილას მყოფ ადამიანებს სამუშაოს პოვნაში (Mandl, I., 2024).

დარგები, რომლებიც პირველ რიგში, ყველაზე მეტად „დაზარალებული“ ციფრული ტრანსფორმაციის პირველ ეტაპზე, არის:

- **ჯანდაცვა:** ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების დანერგვა, ტელემედიცინა და პაციენტის დისტანციური მონიტორინგი (Charles, L. et al. 2022). ციფრული ჯანმრთელობის ტექნოლოგიებმა, როგორცაა ტელემედიცინა და ჯანმრთელობის ინფორმატიკა, შექმნა ახალი როლები IT პროფესიონალებისთვის ჯანმრთელობის დაცვის სექტორში. ეს მოიცავს პოზიციებს, რომლებიც ორიენტირებულია ელექტრონული ჯანმრთელობის ჩანაწერების მართვაზე და ჯანმრთელობის აპების განვითარებაზე (Mandl, I. 2024). ჯანდაცვის სფეროში AI გამოიყენება დიაგნოსტიკური გამოსახულების და პერსონალიზებული მკურნალობის გეგმებისთვის.
- **განათლება:** ონლაინ სასწავლო პლატფორმები, არა მხოლოდ ქმნის ახალ სასწავლო შესაძლებლობებს, არამედ ქმნის სამუშაო ადგილებს კონტენტის შექმნაში, სასწავლო დიზაინში და პლატფორმის მართვაში.
- **საცალო ვაჭრობა:** ელექტრონულ კომერციაზე გადასვლა და ისეთი ტექნოლოგიების გამოყენებაზე, როგორცაა ვირტუალური რეალობა. ელექტრონულმა კომერციამ შეცვალა საცალო ვაჭრობის ლანდშაფტი, უზიდა ტრადიციულ მაღაზიებს ინოვაციებისკენ, ვირტუალური და გაძლიერებული რეალობის ტექნოლოგიების გამოყენებით. ონლაინ შოპინგის ზრდამ გაზარდა დასაქმება ლოჯისტიკაში, საწყობში და მომხმარებელთა მომსახურებაში. კომპანიებმა, როგორცაა Amazon და Alibaba, მნიშვნელოვნად გაზარდეს თავიანთი სამუშაო ძალა ელექტრონული კომერციის მოთხოვნებისთვის შესაფერისად. ნივთების ინტერნეტი (Internet of Things (IoT) აკავშირებს მონაცემებსა და სისტემებს, რაც რეალურ დროში მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის საშუალებას იძლევა. ამ ტექნოლოგიამ გარდაქმნა ისეთი ინდუსტრიები, როგორცაა წარმოება და ლოჯისტიკა, ეფექტურობის გაუმჯობესებით და შემცირების დროის შემცირებით პროგნოზირებადი მოვლის საშუალებით.
- **გართობის ინდუსტრია:** მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია გართობის ინდუსტრიაში – სტრიმინგის სერვისებმა შეცვალა ტრადიციული მედია და კონტენტის მოხმარება უფრო მოსახერხებელი გახადა.

ციფრული ტექნოლოგიების დანერგვამ ახალი დასაქმების შესაძლებლობები შექმნა ძირითადად ტექნოლოგიურ ინდუსტრიაში, სადაც უფრო და უფრო ხშირია როლები, როგორცაა პროგრამული უზრუნველყოფის განვითარება, მონაცემთა ანალიზი და კიბერუსაფრთხოება. გარდა ამისა, დისტანციური მუშაობის შესაძლებლობები გაიზარდა, რაც ინდივიდებს სხვადასხვა ადგილებიდან უფრო მარტივად აძლევს დასაქმების საშუალებას (Charles, L. et al. 2022).

ციფრულმა ტექნოლოგიებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია დასაქმების გარემოზე, შექმნა სრულიად ახალი სამუშაო როლები, როგორცაა მონაცემთა მეცნიერები, კიბერუსაფრთხოების ექსპერტები და ციფრული მარკეტინგის სპეციალისტები. ეს როლები აუცილებელია ციფრული ტექნოლოგიების მართვისა და გამოყენებისათვის.

გიგ ეკონომიკა არის ეკონომიკური მოდელი, რომელიც ფოკუსირებულია დროებით, პროექტებზე დაფუძნებულ ან თავისუფალ სამუშაოებზე, ნაცვლად ტრადიციული სრულგანაკვეთიანი დასაქმებისა. ამ ეკონომიკაში მუშაკები, რომლებსაც ხშირად უწოდებენ „გიგ მუშაკებს“ ან „ფრილანსერებს“, ჩართულნი არიან მოკლევადიან, პროექტებზე ან დავალებებზე დაფუძნებულ სამუშაოებში და მუშაობენ თვითდასაქმებულად ან კონტრაქტორებად (Brynjolfsson E., & McAfee A. 2011).

გიგ ეკონომიკის ძირითადი მახასიათებლებია (Zhengqing Z. 2023):

1. **დროებითი სამუშაოები** – გიგ ეკონომიკა ემყარება დროებით, მოკლევადიან ან ერთჯერად სამუშაოებს, რომლებიც ხორციელდება კონკრეტული დავალებების ან პროექტების დასრულებისთვის. ეს შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა საქმიანობას, დაწყებული სერვისების გა-

წევრიდან, როგორიცაა ტრანსპორტირება (მაგ., Uber, Bolt), დამთავრებული ექსპერტული კონსულტაციებით, დიზაინით ან პროგრამული უზრუნველყოფის განვითარებით.

2. მოქნილი გრაფიკი – გიგ მუშაკებს აქვთ მოქნილი სამუშაო გრაფიკი, რაც მათ საშუალებას აძლევს თავად განსაზღვრონ სამუშაო საათები და სამუშაოს მოცულობა. ეს განსაკუთრებით მიმზიდველია იმ ადამიანებისთვის, ვისაც სურს ბალანსის დაცვა სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის.

3. პლატფორმაზე დაფუძნებული სამუშაო – გიგ ეკონომიკა ხშირად ემყარება ციფრულ პლატფორმებსა და აპლიკაციებს (მაგ., Upwork, Fiverr, TaskRabbit), რომლებიც აკავშირებენ მუშაკებს დამკვეთებთან და ამარტივებენ სამუშაოს მოძიებასა და შესრულებას.

4. დამოუკიდებლობა – გიგ მუშაკები დამოუკიდებლად მუშაობენ და, შესაბამისად, თავად არიან პასუხისმგებლები თავიანთი სამუშაოს მენეჯმენტზე, რაც მოიცავს კლიენტების მოძიებას, მოლაპარაკებებს, კონტრაქტებს და ფინანსების მართვას.

5. ნაკლები შეზღუდვები – გიგ ეკონომიკაში ჩართვა ხშირად ნაკლებად შეზღუდულია და არ მოითხოვს ხანგრძლივ დამსაქმებელ-თანამშრომლის ურთიერთობას ან კონტრაქტს. ეს ადამიანებს მარტივად აძლევს საშუალებას ახალი სამუშაო გამოცდილების მიღებისთვის.

ციფრული პლატფორმები, როგორიცაა Uber, Upwork და Fiverr, საშუალებას აძლევს ინდივიდებს იმუშაონ როგორც ფრილანსერებმა ან მიიღონ მოკლევადიანი კონტრაქტები. ეს უზრუნველყოფს მოქნილობას და დამატებითი შემოსავლის შესაძლებლობებს ბევრი მუშაკისთვის (Mandl, I. 2024).

გიგ ეკონომიკას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. ის სწრაფად იზრდება და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გლობალურ შრომის ბაზარზე, ქმნის ახალ შესაძლებლობებს და სამუშაო ფორმებს, მაგრამ ამავე დროს მოითხოვს რეგულაციებისა და მუშაკთა უფლებების გაუმჯობესებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს დაცული და სამართლიანი სამუშაო გარემო (Klein G. et al. 2024).

მიუხედავად იმისა, რომ ავტომატიზაციამ და AI-მა ჩაანაცვლა ზოგიერთი მექანიკური სამუშაო, მათ ასევე შექმნეს ახალი შესაძლებლობები ტექნოლოგიების განვითარებაში და კონტროლში. მაგალითად, ისეთ ინდუსტრიებში, როგორიცაა წარმოება და ლოჯისტიკა, გაიზარდა მოთხოვნა რობოტიკის ინჟინრებისა და AI სპეციალისტების მიმართ (Charles, L et al. 2022).

ტექნოლოგიური დრეივერები ანუ ძირითადი ტექნოლოგიური ცვლილებები, რომლებიც განაპირობებს დიგიტალიზაციას და მათ გავლენას ინდუსტრიებზე, როგორიცაა ინტერნეტი, დიდი მონაცემები, ხელოვნური ინტელექტი – ინდუსტრიის რევოლუცია, პროცესების ავტომატიზაცია, მომხმარებელთა გამოცდილების გაუმჯობესება და ახალი ბიზნეს მოდელების შექმნა. ციფრული ეკონომიკა ეფუძნება იმ ძირითადი ტექნოლოგიურ მიღწევებს, რომლებმაც ძირითადი ცვლილება განაპირობა სხვადასხვა დარგებში. ხელოვნურმა ინტელექტმა (Artificial Intelligence (AI) და მანქანურმა სწავლებამ (Machine Learning (ML) მოახდინეს რევოლუცია რიგ დარგებში ავტომატიზაციის, პროგნოზირებადი ანალიტიკისა და გადანაცვლების მიღების გაუმჯობესების გზით.

ღრუბლოვანი სერვისები უზრუნველყოფს მასშტაბურ და მოქნილ გამოთვლით რესურსებს, რაც საშუალებას აძლევს ბიზნესს შეინახოს და დაამუშავოს დიდი რაოდენობით მონაცემები ეფექტურად. ეს გადამწყვეტი იყო ისეთი ინდუსტრიებისთვის, როგორიცაა ფინანსები და საცალო ვაჭრობა, სადაც მონაცემთა მართვა და უსაფრთხოება უმთავრესია (Angevine, C., et al. 2021). ბლოკჩეინის ტექნოლოგია უზრუნველყოფს უსაფრთხო და გამჭვირვალე ტრანზაქციებს, რაც განსაკუთრებით სასარგებლოა ისეთი ინდუსტრიებისთვის, როგორიცაა ფინანსები და მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი. ეს ხელს უწყობს თაღლითობის შემცირებას და მიკვლევადობის გაუმჯობესებას (Escott, J. 2024). მონაცემთა დიდი მოცულობის ანალიზის უნარმა კომპანიებს საშუალება მისცა მიეღოთ ინფორმაცია მომხმარებელთა ქცევის შესახებ, ოპტიმიზა-

ცია მოახდინონ ოპერაციებზე და განავითარონ ინოვაციები. ეს განსაკუთრებით აშკარაა ისეთ სექტორებში, როგორიცაა მარკეტინგი და ელექტრონული კომერცია (Zare, J., & Persaud, A. 2024). 5G ქსელების გავრცელებამ უზრუნველყო უფრო სწრაფი და საიმედო ინტერნეტ კავშირები, რაც ხელს უწყობს IoT-ის, ავტონომიური მანქანებისა და ჭკვიანი ქალაქების წინსვლას (Gurumurthy, R., et al. 2021).

ეს ტექნოლოგიები არა მხოლოდ დიგიტალიზაციის მამოძრავებელი ძალაა, არამედ ქმნის ახალ ბიზნეს მოდელებსა და შესაძლებლობებს სხვადასხვა სექტორში.

რა არის ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები, რომლებიც დაკავშირებულია დიგიტალიზაციასთან, განსაკუთრებით მონაცემთა კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით? დიგიტალიზაციას მოაქვს მნიშვნელოვანი გამოწვევები და შესაძლებლობები, განსაკუთრებით მონაცემთა კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების სფეროში. გამოწვევები, რომელიც დაკავშირებული იქნება დიგიტალიზაციასთან, არის:

- მონაცემთა დარღვევა: მონაცემთა გენერირებისა და შენახვის მზარდი მოცულობის ფონზე, მონაცემთა დარღვევის რისკიც გაიზარდა (Azmoodeh, A. & Dehghantanha, A. 2020). სენსიტიური და პერსონალური ინფორმაცია შეიძლება გამოაშკარავდეს, რამაც გამოიწვიოს კონფიდენციალურობის დარღვევა (Azmoodeh, A. & Dehghantanha, A. 2020).
- კიბერუსაფრთხოების საფრთხეები: ციფრული ტექნოლოგიების გავრცელებამ შესაძლოა გამოიწვიოს კიბერშეტევების ზრდა, ფიშინგი და მავნე მოქმედებების სხვა ფორმები (Ahmad, I. 2021).
- მარეგულირებელი შესაბამისობა: ორგანიზაციებმა უნდა იხელმძღვანელონ მონაცემთა კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული რთული და განვითარებადი რეგულაციებით, როგორიცაა GDPR ევროპაში და CCPA კალიფორნიაში, რომელთა შესრულება შეიძლება იყოს რთული და ძვირი (Romansky, R.P., & Noninska, I.S. 2020).
- მონაცემთა ბოროტად გამოყენება: არსებობს მონაცემთა ბოროტად გამოყენების რისკი იმ მიზნებისთვის, რომლებიც თავდაპირველად არ იყო გამიზნული, როგორიცაა არაავტორიზებული მეთვალყურეობა ან პროფილირება (Romansky, R.P., & Noninska, I.S. 2020).
- ტექნოლოგიური სირთულე: სხვადასხვა ტექნოლოგიების (მაგალითად, AI, IoT, ღრუბლოვანი სერვისების) ინტეგრაციამ შეიძლება შექმნას მოწყვლადობა და გაზარდოს თავდასხმის ზედაპირი კიბერკრიმინალებისთვის (Ahmad, I., 2021), (Romansky, R.P., & Noninska, I.S. (2020).

შესაძლებლობები, რომელიც დაკავშირებული იქნება დიგიტალიზაციასთან, არის:

- გაძლიერებული უსაფრთხოების ზომები: დიგიტალიზაცია საშუალებას იძლევა განახორციელოს მონიტინგე უსაფრთხოების ზომები, როგორიცაა დაშიფვრა, რეალფაქტორიანი ავთენტიფიკაცია და რეალურ დროში მონიტორინგი, რაც მონაცემთა უფრო ეფექტურად დაცვას განაპირობებს (Ahmad, I., 2021).
- მონაცემთა ანალიტიკა: დიდი მონაცემების ანალიტიკის გამოყენება შეიძლება ორგანიზაციებს დაეხმაროს უფრო სწრაფად ამოიცნონ და უპასუხონ უსაფრთხოების საფრთხეებს, გააუმჯობესონ კიბერუსაფრთხოების ზოგადი მდგომარეობა (Azmoodeh, A., & Dehghantanha, A. 2020).
- მარეგულირებელი ინოვაცია: დიგიტალიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს ინოვაციები მარეგულირებელ ჩარჩოებში, რაც გამოიწვევს მონაცემთა დაცვის უფრო მძლავრ და ეფექტურ ზომებს (Ahmad, I., 2021).
- საზოგადოების ინფორმირებულობა: მონაცემთა კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების საკითხების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდამ შეიძლება გამოიწვიოს უკეთესი პრაქტიკა და პოლიტიკა, როგორც ორგანიზაციულ, ისე ინდივიდუალურ დონეზე.

- თანამშრომლობა: ციფრულ პლატფორმებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ორგანიზაციებს, მთავრობებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობას უსაფრთხოების საერთო გამოწვევების გადასაჭრელად და საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად.

დიგიტალიზაცია არის „ორლესილი ხმალი“, რომელიც გთავაზობთ როგორც რისკებს, ასევე ჯილდოებს. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციებს, დარჩნენ ფიზიკურად და პროაქტიულები ამ გამოწვევების გადაჭრაში და ამავე დროს გამოიყენონ შესაძლებლობები მონაცემთა კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად.

მეტად აქტუალურია კითხვა: რა როლი უნდა შეასრულოს სახელმწიფო რეგულაციამ ეკონომიკასა და დასაქმებაზე დიგიტალიზაციის შედეგების მართვაში? მნიშვნელოვანია პოლიტიკის შედეგების სწორი დაგეგმვა და მენეჯმენტი. სამთავრობო რეგულაციების როლი დიგიტალიზაციის გავლენის მართვაში ეკონომიკასა და დასაქმებაზე მნიშვნელოვანია (Charles, L et al. 2022).

მთავრობის რეგულაცია გადამწყვეტ როლს ასრულებს დიგიტალიზაციის ეკონომიკური და დასაქმების ზემოქმედების მართვაში. რეგულაციებმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს შემდეგ სფეროებზე:

- აუცილებელია, რომ მოსახლეობის ყველა სეგმენტს ჰქონდეს წვდომა ციფრულ ტექნოლოგიებზე. ეს მოიცავს ხელმისაწვდომი მაღალი სიჩქარის ინტერნეტის მიწოდებას და ციფრული განსხვავების აღმოფხვრას ქალაქსა და სოფელს შორის (Charles, L et al. 2022). მონაცემთა ასევე, მთავრობის რეგულაციებმა უნდა უზრუნველყოს მონაცემთა კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების მკაცრი ზომები, რათა დაიცვას მოქალაქეთა ინფორმაცია ციფრულ სამყაროში.
- რეგულაციები მიზნად უნდა ისახავდეს დასაქმებაზე ციფრული ტექნოლოგიების ნეგატიური ზემოქმედების შერბილებას, როგორცაა სამუშაოს გადაადგილება ავტომატიზაციის გამო. ციფრული ტექნოლოგიების შრომის ბაზარზე ტრანსფორმირების პროცესში რეგულაციები საჭიროა, რათა აღმოიფხვრას ახალი წარმოქმნილი ხარვეზები მუშათა დაცვაში. ეს მოიცავს სამართლიან ხელფასებს, სამუშაოს უსაფრთხოებას და უსაფრთხოების პირობების უზრუნველყოფას ციფრული და დისტანციური მუშაკებისთვის (Charles, L et al. 2022).
- ინვესტიციების ხელშეწყობა კვლევასა და განვითარებაში კონკურენტული და ინოვაციური ეკონომიკის მხარდასაჭერად. ქვეყნის მთავრობებმა დიდი ფინანსური სახსრები უნდა დააბანდონ განათლებისა და ტრენინგის პროგრამებში, რათა მუშაკები აღიჭურვონ ციფრული ეკონომიკისთვის საჭირო უნარებით (Charles, L et al. 2022). ეს მოიცავს STEM განათლების წახალისებას და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობების მიწოდებას. ინვესტიციებმა, რომელიც განახორციელებს ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას, უნდა უზრუნველყონ, რომ საგანმანათლებლო პროგრამებმა მუშაკები მომავლის სამუშაოებისთვის მოამზადონ.
- საჭიროა სოციალური დაცვის სისტემების განახლება, რათა სრულად მოიცვას ციფრული და გიგ ეკონომიკის მუშაკები (Charles, L et al. 2022). ეს მოიცავს ჯანმრთელობის დაზღვევას, უმუშევრობის შემწეობას და საპენსიო დანაზოგების მიწოდებას არატრადიციული სამუშაო კონტრაქტების მქონე მუშაკებისთვის.
- ინვესტიცია ციფრულ ინფრასტრუქტურაში, როგორცაა ბროდბენდის ქსელები და საიმედო ელექტროენერგიის მიწოდება, მნიშვნელოვანია ციფრული დასაქმებისა და ეკონომიკური ზრდის მხარდასაჭერად (Charles, L et al. 2022).
- მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ციფრულმა ტექნოლოგიებმა არ გამოიწვიოს მონოპოლისტური პრაქტიკა, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს კონკურენციას და მომხმარებელთა არჩევანს. აუცილებელია რეგულაციების გატარება სამართლიანი კონკურენციის უზრუნველსაყოფად და მონოპოლისტური პრაქტიკების თავიდან ასაცილებ-

ლად ციფრულ ბაზრებზე, რათა შეიქმნას უფრო თანასწორი ბიზნეს-გარემო (Charles, L et al. 2022).

ამ სფეროების ადრესაციით, მთავრობებს შეუძლიათ ციფრული ტექნოლოგიების პოტენციალის გამოყენება ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად, მწარმოებლურობის გასაუმჯობესებლად და დიფიცილურობისგან მიღებული სარგებლის ფართოდ გავრცელებისათვის. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი მთავრობას დაეხმარება დააბალანსოს დიფიცილურობის სარგებელი მის პოტენციურ გამონევენებთან.

ლიტერატურა

1. Angevine, C., Keomany, J., Jannick Thomsen, J., Zimmel, R. (2021). *Six building blocks can help industrial companies create a strong digital strategy and generate top value from digitization*. McKinsey & Company. <https://www.mckinsey.com/industries/industrials-and-electronics/our-insights/implementing-a-digital-transformation-at-industrial-companies>
2. Azmoodeh, A., Dehghantanha, A. (2020). *Big Data and Privacy: Challenges and Opportunities*. In: Choo, KK., Dehghantanha, A. (eds) *Handbook of Big Data Privacy*. Springer, Cham. https://doi.org/10.1007/978-3-030-38557-6_1
https://link.springer.com/chapter/10.1007/978-3-030-38557-6_1?form=MG0AV3
3. Ahmad, I., (2021). *Digital transformation: Key technology, cybersecurity and privacy risks*. <https://www.nortonrosefulbright.com/en/knowledge/publications/4318add0/digital-transformation-key-technology-cybersecurity-and-privacy-risks?form=MG0AV3>
4. Ben Ali, M.S. (Ed.). (2022). *Digitalization and Economic Development: Insights from Developing Countries (1st ed.)*. Routledge. <https://doi.org/10.4324/9781003198284>
<https://www.taylorfrancis.com/books/edit/10.4324/9781003198284/digitalization-economic-development-mohamed-sami-ben-ali>
5. Brynjolfsson E., McAfee A. (2011). *How the Digital Revolution is Affecting Employment*, MIT Sloan management review. <https://sloanreview.mit.edu/article/brynjolfsson-and-mcafee-book-looks-at-digital-revolution-and-its-transformation-of-employment/>
6. Calimanu, S. (2024). *How technology is changing the landscape of economic development*, Research FDI <https://researchfdi.com/resources/articles/how-technology-is-changing-the-landscape-of-economic-development/>
7. Charles, L., Shuting Xia Sh., Adam P. Coutts, A. (2022). *Digitalization and Employment A Review*. International Labor organization. https://www.ilo.org/sites/default/files/wcmsp5/groups/public/@ed_emp/documents/publication/wcms_854353.pdf
8. Escott, J. (2024). *Impact of the Evolving Digital Transformation on the Technology Industry*. <https://www.bostondigital.com/insights/impact-evolving-digital-transformation-technology-industry>
9. Gurumurthy, R., Nanda, R., David Schatsky, D. (2021). *Putting digital at the heart of strategy. When everyone is digital, strategy is the differentiator*. <https://www2.deloitte.com/us/en/insights/topics/digital-transformation/digital-acceleration-in-a-changing-world.html>
10. Mühleisen M. (2018). *The Long and Short of The Digital Revolution*, International Monetary Fund, director of the IMF's Strategy, Policy, and Review Department. <https://www.imf.org/en/Publications/fandd/issues/2018/06/impact-of-digital-technology-on-economic-growth-muhleisen>
11. Mandl, I. (2024). *Employment impact of digitalization*. European Foundation for the Improvement of Living and Working Conditions. International Labor Organization.

<https://www.eurofound.europa.eu/en/employment-impact-digitalisation>

12. Klein G., Klunover D., Shavit T. (2024). *Gig work: Does it get you more happiness?*
<https://doi.org/10.1002/mde.4101>. <https://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1002/mde.4101>
13. Romansky, R.P., Noninska, I.S. (2020). *Challenges of the digital age for privacy and personal data protection*. Volume 17, Issue 5: 5288-5303. doi: 10.3934/mbe.2020286
<https://www.aimspress.com/article/doi/10.3934/mbe.2020286?viewType=HTML&form=MG0AV3>
14. Zhengqing Z. (2023). *The Rise of the Gig Economy: Implications for Understanding Work and Workers*. Business and Economics Journal, ISSN: 2151-6219, (2023) Volume 14, Issue 3.
<https://www.hilarispublisher.com/open-access/the-rise-of-the-gig-economy-implications-for-workers-businesses-and-labour-market-regulations-98580.html#:~:text=While%20flexibility%20is%20a%20benefit,-to%20plan%20and%20budget%20effectively.>
15. Zare, J., Persaud, A. (2024). *Digital transformation and business model innovation: a bibliometric analysis of existing research and future perspectives*. Manag Rev Q (2024).
<https://doi.org/10.1007/s11301-024-00426-z>
<https://link.springer.com/article/10.1007/s11301-024-00426-z>
16. Vărzaru, Anca Antoaneta. A, Bocean C.G. (2024). *Digital Transformation and Innovation: The Influence of Digital Technologies on Turnover from Innovation Activities and Types of Innovation*. Systems 12, no. 9: 359. <https://doi.org/10.3390/systems12090359>
17. Yoo, Inhye, Chan-Goo Yi. (2022). *Economic Innovation Caused by Digital Transformation and Impact on Social Systems*. Sustainability 14, no. 5: 2600. <https://doi.org/10.3390/su14052600>

IMPACT OF DIGITAL TECHNOLOGIES ON ECONOMIC DEVELOPMENT

Marine Natsvaladze

Doctor of Economics. Associate professor

Resume

Digital technologies significantly influence economic development, the shaping of production processes, and the creation of new opportunities. They enhance production and monitoring processes, boosting productivity and ultimately increasing production efficiency. This allows businesses to reduce costs, increase output, and consequently, profits. Technological progress drives innovation, enabling companies to develop new products and services. Digital platforms allow businesses to create new business models, breaking geographical barriers and giving even small businesses access to a global customer base. While digital technologies may reduce certain job types, they also create new roles in tech development, data analysis, and digital marketing.

However, while digital technologies offer many benefits, they also present challenges, such as cyber threats. A regulatory framework and appropriate legislation are necessary to protect consumers and promote fair competition. Digital technologies play a transformative role in economic development, offering growth and innovation opportunities while requiring careful management of associated challenges.

Keywords: Digital economy, digital technologies, digitalization.

THE CURRENT STATE OF INDUSTRIAL DEVELOPMENT IN AZERBAIJAN

Zumrud Najafova

*Dissertator of the Department of Applied Economics
Azerbaijan State University of Economics*

Abstract

Azerbaijan's success today is the result of comprehensive, specific and targeted efforts over the past few years.

One of the main priorities of the policy pursued in the country is to increase the competitiveness of the economy and improve its structure through industrial development. Industrialization is not only an economic factor, but also plays an important role in social, scientific and cultural aspects, including employment, income level of the population, urbanization, qualified personnel, scientific research and development.

In order to understand the current course of structural restructuring of the industry of the Republic of Azerbaijan, associated with the attraction of large investments, with the development and implementation of investment projects, it is necessary to trace the trends of the previous 20 years.

Key words. *Contract of the Century, investment, Economic Diversification Technology Integration, Azerbaijan*

Azerbaijan has been known as the “oil republic” since the Soviet period due to its huge fuel reserves. In the 70-80s, the country's oil production gradually declined due to its depletion in the surface layers. After gaining independence, the factor of having large oil reserves played a major role in the stabilization and economic development of Azerbaijan.

In 1994, a landmark contract was signed called “The Contract of the Century” with oil companies from developed countries. The Contract of the Century marked the beginning of the influx of foreign investment into the country and allowed Azerbaijan to expand its financial potential in the following years.

The increase in the country's financial capacity, as well as the subsequent growth of foreign investment in the economy of Azerbaijan, gave impetus to the rapid development of the national economy since the 2000s. The first oil contract between the State Oil Company of the Azerbaijan Republic (SOCAR) and 13 world oil companies from 8 countries (Azerbaijan, USA, Great Britain, Russia, Turkey, Norway, Japan, Saudi Arabia) on joint development and shared production of oil, i.e. “production sharing”.

Eighteen months after the Contract of the Century, the fixed offshore platform of the Chirag field was built, then 48 months later, preparatory work was completed at the Azeri, Chirag and Guneshli fields, and after 5 years, full-scale oil production began.

Total oil reserves are estimated at 3-5 billion barrels. Oil revenues are projected to be around \$80 billion over the next

Over the course of 30 years, it is planned to extract approximately 511 million tons of oil, natural gas and gas condensate, which will amount to approximately 55 billion cubic meters.

Thus, thanks to the Contract of the Century, in 1994-2010 the flow of investments into the country's economy amounted to 74 billion dollars, of which 37.1 billion dollars were foreign investments. 53.6% of foreign investments were invested in the oil sector.




Figure 1.1

Investment structure for 2017-2024 Source:www.stat.gov.az

As can be seen from Figure 1.1, in 2017-2024, a total of 158 billion manat (or \$193 billion) was invested in the economy of Azerbaijan, of which foreign investments amounted to 75.5 billion manat (\$90.6 billion), or 39.2%, and domestic investments amounted to 82.9 billion manat (\$102.4 billion), or 60.8%.

During the period of high oil prices, the republic transformed from an importer of natural gas and electricity into an exporter, and the infrastructure of the industry improved significantly. During this period, in addition to infrastructure projects, public investment was also directed to other projects that promote economic development. A favorable business and investment environment was created, public financing of private sector projects was carried out on preferential terms and, where necessary, government participation in such projects.

In order to carry out export transportation, it became necessary to build oil and gas pipelines. Two main oil pipelines were defined on October 19, 1995 to deliver oil from the Azerbaijani section of the Caspian Sea to other parts of the world. (19)

The first is called the Northern Route. The total length of the Baku-Grozny-Tikhovets-Novorossiysk oil pipeline is 1,346 km, including 230 km in Azerbaijan. On October 25, 1997, the first oil was delivered through this pipeline. Currently, 5 million tons of oil per year are delivered through this pipeline.

The second oil pipeline is the western route. 480 km of the line with a total length of 920 km passes through Azerbaijan. This line was put into operation on April 17, 1999. Through the 2nd oil pipeline, which stretches from Baku to Supsa to the port of the Black Sea coast of Georgia (near Poti), oil is delivered from the Caspian Sea to Western countries.

This route will allow the transportation of 15 million tons of oil to world markets per year.(1)

In November 1999, an agreement on the construction of the Baku-Tbilisi-Ceyhan pipeline was signed in Istanbul at the European summit of the Organization for Security and Cooperation. The agreement included two pipelines ending on the Turkish coast

- a seventeen hundred kilometer oil pipeline from Azerbaijan, as well as a gas pipeline from Turkmenistan. The total length of the Baku-Tbilisi-Ceyhan oil pipeline is 1,730 km. 468 km of it passes through Azerbaijan, 225 km through Georgia, 1,037 km through Turkey. The pipeline will allow 50 million tons of oil to be delivered to world markets annually. Construction work on the oil pipeline was completed in the spring of 2005.

The implementation of globally important projects in various sectors of the economy, including energy, has not only strengthened the position of our country, but also contributed to regional and international cooperation. In this regard, the delivery of Azerbaijani natural gas to European markets through the Sout-

hern Gas Corridor project led by Azerbaijan will significantly contribute to strengthening Europe's energy security. In the context of this project, 87% of the work on the development of the Shah Deniz 2 gas condensate field, 72% of the work on the expansion of the South Caucasus Pipeline, 60% of the work on the construction of the Trans Anatolian Pipeline (TANAP) and 30% of the work for the Trans Adriatic Pipeline (TAP) will be carried out. It is worth noting that Shah Deniz is one of the largest gas fields in the world with proven reserves of at least 1.2 trillion cubic meters.

As part of the industrialization measures implemented in recent years, along with the successes achieved in the field of oil and gas, gold and other extractive industries, industrial diversification has been expanded, equipment with new production capabilities has been put into operation power, created based on modern technologies competitive enterprises.




Figure 1.2.

Share of oil and non-oil sectors in GDP Source: www.oilfund.az

As can be seen from Figure 1.2, the percentage ratio of the share of the oil and non-oil sectors of industry has changed significantly over the past 7 years. If during the period 2009-2011 the production of the oil industry prevailed, then since 2012 measures have been taken to expand the diversification of the non-oil industry, in 2015 the country's GDP was replenished mainly due to the indicators of the non-oil sector (60%). (5)

New competitive enterprises have been recently established in such areas as mechanical engineering, equipment manufacturing, instrument making and construction materials production, including the automobile plant in Nakhchivan, the tractor and agricultural machinery plant in Ganja, the electronic plant in Mingachevir, the solar battery plant in Sumgait, the metal construction plant in Garadagh and the plant ceramic tiles in Hajigabul, etc. form the basis of the country's non-oil industry. At the same time, in recent years, important projects have been implemented to create a powerful defense industry, where about 50 new production lines have been installed in a short time. (6)

The opening of a shipyard in Baku, the increase in the production capacity of the Garadagh cement plant, the construction and commissioning of a new cement plant in Gazakh and Nakhchivan, aluminum

production in Ganja, as well as gold and copper processing plants in Dashkesan and Gadabay, the creation of the Azerbaijan Metallurgical Plant, and the modernization of the petrochemical industry in Sumgait create broad opportunities for further diversification of the non-oil industry at the next stage of development.

Over the past 10 years, new textile industry enterprises (production of clothing, leather goods, footwear, paper and cardboard, furniture) and other non-oil industry sectors have also been put into operation in Baku and other regions. The development of agriculture, on the one hand, and the improvement of regional infrastructure, on the other, have stimulated the creation of new competitive enterprises in the food industry in recent years.

Over the past period, a sugar factory in Imishli, a salt production plant in Absheron, a vegetable oil processing plant in Sumgayit, a corn processing plant and a glucose production plant in Oguz, as well as dairy, canned food and food production plants in different regions of the country were put into operation. (6)

Table 1.3.

Sectoral structure of industrial production (as a percentage of the total)

Type of industry	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
Extractive industry	78.4	76.7	78.9	80.5	77.2	73.0	60.7	69.8
Oil and gas production	76.7	78.0	76.2	74.1	76.2	69.6	60.3	62.1
Oil refining	8.3	8.6	8.2	7.4	7.3	7.6	10.1	8.1
Metallurgy	1.3	1.2	0.4	0.5	0.6	1.1	0.9	1.0
Mechanical engineering	2.0	2.2	2.0	1.9	2.3	2.7	2.9	1.6
Food industry	2.3	2.7	2.2	4.5	5.2	5.7	7.8	7.7
Light industry	0.3	0.3	0.3	0.4	0.4	0.4	0.4	0.55
Industry Building materials	1.2	1.7	1.7	0.8	1.0	1.2	1.8	1.3
Forestry woodworking Howling	0.1	0.1	0.1	0.1	0.1	0.1	0.1	0.04
Chemical	0.1	0.9	0.7	0.8	0.8	0.8	1.4	1.2
Electric power industry	4.4	5.4	4.6	4.7	5.3	5.6	7.7	6.4
Furniture	0.1	0.2	0.2	0.14	0.13	0.14	0.2	0.2
Printing	0.16	0.1	0.1	0.1	0.1	0.2	0.2	0.2
Water supply, purification and waste recycling	0.6	0.6	0.6	0.5	0.6	0.7	1.0	0.9

Source: The table is based on the materials of the State Statistics Committee of the Republic of Azerbaijan for the corresponding period.

According to Table 1.3, the extractive industry, especially hydrocarbon extraction, remains the leader among other industries. However, non-oil industries, among which the food, light industry and electric power industry show the greatest production results, also contribute to the increase in the country's GDP in recent years. (17)

The establishment of industrial institutes and the expansion of their activities play an exceptional role in accelerating the industrialization process today. In December 2011, Ilham Aliyev signed a Decree which were reflected main directions development countries Vcoming years:

- "On the creation of the Sumgait chemical industrial park"
- "On the creation of the Balakhani industrial park in the city of Baku",
- "On the preparation of the Development Concept "Azerbaijan-2020: A Look into the Future".

Sumgayit Technological Park consists of 17 factories, including factories for the production of precision machinery and electrical equipment, heavy engineering, a cable plant, for the production of plastic pipes, hot galvanizing, etc. Balakhani Industrial Park was built in order to improve the social level of the population, including increasing the number of jobs, as well as to introduce modern technologies that meet world standards. Balakhani Technopark specializes in the recycling of household appliances and the provision of related services under the leadership of Clean City OJSC (Təmiz Şəhər). (7)

The presence of large reserves of electricity allows the development of the energy sector, represented mainly by thermal power plants (82.6%) operating on natural gas and fuel oil and hydroelectric power plants (17.4%). The large hydroelectric power plants include Mingechay, Varvarinskaya, Shamkhorskaya, the equipment of which is significantly outdated and needs to be updated. At this stage measures are being taken to technologically modernize existing power plants with the support of foreign capital. (7)

Mechanical engineering complex presented wide differentiation of manufactured goods: electric motors, auto-mechanization equipment, household air conditioners, various cables, refrigerators and others, which are also exported. Oil engineering, including the production of drilling and operational equipment, occupies a leading position in the country's industry. Azerbaijan's metallurgical potential is represented by such plants as the pipe-rolling plant in Sumgait, the mining and processing plant in Dashkasan for the extraction of iron ore, the aluminum oxide, i.e. alumina, plant (with a capacity of 1 million tons per year) in Ganja and the Sumgait Aluminum Plant (with a capacity of 25 thousand tons per year)

Light and food industries are also moving to a new stage of production; previously, demand for products was satisfied mainly through imports. The food industry is represented by flour milling, canning, bakery production, as well as the production of alcoholic beverages (various types of wine, cognac and champagne are produced in the republic), fish processing, tea and tobacco products, which are supplied to foreign countries. Today, Azerbaijan has ample opportunities for the development and improvement of these industries. (7)

Conclusion

The main objective of the national industrial policy is to increase the competitiveness of industry in the world market. It is necessary to ensure flexibility in regulating tariff policy, which will be accompanied by a stimulating tax and customs environment. In addition, it is necessary to stimulate the inflow of investments into the non-oil sector, ensure the use of state preferential loans and leasing opportunities directed to industry. At the same time, the establishment of partnerships plays an important role between the public and private sectors using global experience.

The focus on information technology, automation and modernization plays a key role in the successful improvement of all sectors of the economy, especially the industrial sector. The technological potential of

our country must be developed by strengthening the activities of existing industrial and technological parks, creating new industrial parks and industrial districts, and increasing the industrial potential of individual regions.

Considering the largest sectors of our country's industry, it should be noted that in recent years, large-scale restructuring of enterprises has been underway in the chemical industry, projects are being implemented to create our own energy production based on the installation of a high-pressure steam generator. Our plants have switched to the path of independent production of such nitrogen compounds as polypropylene, toluene, ethylbenzene, ammonia and others. Foreign investment plays an important role in the development of the chemical industry.

The main goal of the state policy in the field of industrial development of the future will be to ensure sustainable and rapid growth of production, structural improvement and increased efficiency. The main activities will include modernization and reconstruction of equipment, increasing the competitiveness of national products, the flow and efficiency of investments, activating the development of the non-oil sector and stimulating development processes in the processing industry.

References

1. İlham Aliyev «Azerbaijan's economic priorities for 2017»
2. Арастун Мехтиеv. «О нефтяной стратегии Азербайджана», 2014 г. 2.В.Е. Дементьев «Об ориентирах промышленной политики», 2006 г.
3. Vusal Musayev "strategic road maps on the national economy and key sectors of the Economy", 2017 year.
4. State Statistical Committee of the Republic of Azerbaijan <https://www.stat.gov.az/menu/11/>
5. State Oil Fund of the Republic of Azerbaijan www.oilfund.az
6. State program on the development of industry in the Republic of Azerbaijan for 2015-2020
7. "State program on socio-economic development of regions in the Republic of Azerbaijan (2014-2018 years)"
8. Rovshan Karimov Development of Non-Oil Sector in Azerbaijan: Tendencies and Opportunities, 2019

კონტროლი როგორც ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის მნიშვნელოვანი ელემენტი

ნუგზარ პაიჭაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
nugzarpachadze@mail.ru

ანოტაცია

კონტროლი ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის მნიშვნელოვანი ელემენტი. ადამიანური რესურსების მართვის მიმართებაში იგი გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება. სწორედ მოცემულ პრობლემაზეა შესრულებული წინამდებარე სტატია

საკვანძო სიტყვები: კონტროლი როგორც ადამიანური რესურსების მართვის ელემენტი, კონტროლის ფუნქციები, კონტროლის პრინციპები, კონტროლის შედეგების შეფასება და მისი ეტაპები.

შესავალი

სტატიაში განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: კონტროლის ფუნქცია და მნიშვნელობა ადამიანური რესურსების მართვის სისტემაში, მეურნეობრიობის პრაქტიკიდან გამომდინარე, პრინციპები, რომლებსაც უნდა ეყრდნობოდეს კონტროლი, რომ წარმატებით შეასრულოს თავისი ფუნქციები, კონტროლის შედეგების შეფასება და მისი ეტაპები, პერსონალის შეფასება როგორც კონტროლის ფორმა.

* * *

კონტროლი ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის მნიშვნელოვანი ელემენტი (Армстронг М. 2002, Армстронг М. 2012). იგი ადამიანური რესურსების გამოყენების მიმართებაში გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება. ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს ცნება „კონტროლის განსხვავებული განმარტებები. ხშირად იგი განიხილება როგორც შეცდომებისა და ნაკლოვანებების აღმოჩენის საშუალება, რომლის მიზანია აღმოჩენილი შეცდომებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრის გზების დასახვა და, საჭიროების შემთხვევაში, იმ პირებზე სანქციების დადება, ვისი ბრალიცაა აღმოჩენილი შეცდომები და ნაკლოვანებები (Бирман Л 2018.).

კონტროლის არსზე ასეთი წარმოდგენა დამკვიდრდა ეკონომიკის განვითარების იმ ეტაპზე, როცა კონტროლს უპირატესად ჰქონდა დასჯის და უმნიშვნელოდ წახალისების ფუნქცია. სწორედ ამიტომაც, რომ დღესაც ადამიანების უმეტესობაში კონტროლი იწვევს უარყოფით დამოკიდებულებას. იგი მათ მიერ, ზოგიერთ შემთხვევაში, მიიღება როგორც არსებული სტატუსის ან ხელფასის შემცირების საშუალებად. ეს კი ხშირად იწვევს იმას, რომ ადამიანური რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული კონტროლი, რომლის მიზანია კონტროლისას აღმოჩენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრა, მომუშავეთა ნაწილიდან, ნაცვლად კონსოლიდაციისა, ხდება წინააღმდეგობას.

ჩვენ ვემხრობით ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე მომუშავე იმ მკვლევარებს, რომლებიც ადამიანური რესურსების მართვის მიმართებაში კონტროლს მიიჩნევენ პრომის

ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად (Бирман Л.2018). მოცემულ შემთხვევაში კონტროლს ახლავს არამართო ეკონომიკური, არამედ სოციალური შედეგიც. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მიმდინარე კონტროლის პროცესში შრომითი კოლექტივის მონაწილეობის ხარისხზე. რაც უფრო აქტიურია იგი, სხვა თანაბარ პირობებში, მით უფრო კომფორტულია ფსიქოლოგიური კლიმატი და უფრო მაღალია სოციალური ეფექტიანობა

ადამიანური რესურსების მართვის სისტემაში კონტროლის მნიშვნელობა განუზომლად დიდია, რამდენადაც ორგანიზაციის ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვანწილად სწორედ კონტროლის საშუალებით მიიღწევა (Веснин В. 2008). საქმე ისაა, რომ კონტროლის პროცესში დგინდება პერსონალის საქმიანობის ცალკეული ნაკლოვანება, რაც მათი გამოსწორების გზების დასახვის საშუალებას იძლევა.

კონტროლის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული ისეთი საკითხების განხილვისას, როგორიცაა: თანამდებობრივი დელეგირების ეფექტიანობის განსაზღვრა, კონტროლი მოტივაციის მიმართებაში და სხვ. საქმე ისაა, რომ კონტროლი არის თანამდებობრივი დელეგირების ეფექტიანობის განსაზღვრის ძირითადი საშუალება. მხოლოდ კონტროლით შეიძლება სწორი დასკვნის გაკეთება, თუ რამდენად სწორად იქნა შერჩეული დელეგირების სუბიექტები, რა ხარისხით უმკლავდებიან ისინი ახალ მოვალეობებს და ამის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, შეცვალონ ისინი ან აუმაღლონ კვალიფიკაცია, რაც საშუალებას მისცემს მათ შეასრულონ მათზე დელეგირებული მოვალეობები მაღალი ეფექტიანობით.

მოტივაციის მიმართებაში კონტროლი საშუალებას იძლევა განისაზღვროს მოტივაციის მეთოდები რამდენად შეესაბამება ორგანიზაციის სტრატეგიის მიზნებს და რამდენად უზრუნველყოფს იგი მომუშავეთა დაინტერესებას სამსახურებრივი ფუნქციების ხარისხიანად შესრულებაში.

საბოლოო ანგარიშით, ადამიანური რესურსების მართვის მიმართებაში კონტროლი საშუალებას იძლევა განხორციელდეს ორგანიზაციაში მისი საერთო მდგომარეობის ანალიზი და მისგან გამომდინარე, განისაზღვროს შემდგომ მოქმედებათა ნაკრები, შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად (Маслова Н. 2019).

ცხადია, კონტროლს თავისი ყველა ამოცანა წარმატებით შეუძლია შეასრულოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ეყრდნობა მეურნეობრიობის პრაქტიკიდან გამომდინარე განსაზღვრულ პრინციპებს. ესენია:

1) კონტროლი უნდა იყოს ორგანიზაციის მართვის მთელი სისტემის ორგანული შემადგენელი. იგი მომუშავეთა მიერ უნდა აღიქმებოდეს არა საგანგებო მოვლენად, არამედ როგორც მუშაობის განუყოფელ ნაწილად, რომლის შესახებაც სასურველია მომუშავენი ინფორმირებულნი იყვნენ სამუშაოზე მიღებისას. მათ უნდა იცოდნენ, რომ იქნებიან კონტროლის ობიექტი და ხელმძღვანელობის მხრიდან სათანადო რეაგირება მოჰყვება მის (კონტროლის) ნეგატიურ და პოზიტიურ შედეგებს;

2) კონტროლი უნდა ატარებდეს საყოველთაო ხასიათს, რაც გულისხმობს, რომ კონტროლს ექვემდებარება ორგანიზაციის ყველა განყოფილება და ყველა მომუშავე, რომლის მიზანია შრომის ეფექტიანობის ამაღლება. ასეთ შემთხვევაში, ანუ როცა შრომითი კოლექტივი კონტროლს განიხილავს როგორც შრომის ეფექტიანობის ამაღლების საშუალებად, ანუ სწორად ესმით მისი არსი, საქმე გვაქვს ორგანიზაციაში არსებულ კომფორტულ ფსიქოლოგიურ კლიმატთან. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა კონტროლს არ ექვემდებარება რომელიმე განყოფილება ან თანამშრომელი ან ხელმძღვანელობა არაობიექტურად აფასებს კონტროლის შედეგებს. ასეთი შემთხვევები აუცილებლად იწვევს კონფლიქტებს ხელმძღვანელობასა და მომუშავეებს შორის. იმ შემთხვევაში კი, როცა კონტროლის მიზანია დამნაშავეთა ძიება და მათი დასჯა, კონფლიქტი გარდაუვალია, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში, როგორც ნესი, მომუ-

შავეთა ნაწილს განუწყვეტლივ აკონტროლებენ, ნაწილს კი საერთოდ არ აკონტროლებენ. ეს კი, იწვევს სერიოზულ კონფლიქტებს;

3) კონტროლის ობიექტი უნდა იყოს მუშაობის შედეგზე მოქმედი სერიოზული ფაქტორები. საქმე ისაა, რომ წვრილმანი და მუშაობის შედეგზე უმნიშვნელოდ მოქმედი ფაქტორის კონტრლი თანამშრომლებში იწვევს გაღიზიანებას და ამცირებს შრომით კოლექტივში ფსიქოლოგიური კლიმატის კომფორტიულობას;

4) შრომითი კოლექტივის მონაწილეობა კონტროლის პროცესში. აღნიშნული პრინციპი გულისხმობს, რომ შრომითი კოლექტივის თითოეული წევრი ხელს უნდა უწყობდეს კონტროლის სწორად და ობიექტურად ჩატარებას და არა ის, რომ მონაწილეობდეს სხვების დაბეზღებაში, რასაც, სამწუხაროდ, ხშირად აქვს ადგილი;

5) კონტროლის ფორმის არჩევა. როგორც ცნობილია, არსებობს კონტროლის 2 ძირითადი ფორმა: ღია და ფარული. ავტორთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ კონტროლი უნდა იყოს ღია, რაც ნიშნავს, რომ ადამიანები წინასწარ უნდა გააფრთხილონ იმაზე, რომ მის საქმიანობაზე მეთვალყურეობენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული მოსაზრების მქონეთა აზრით, ადამიანი, რომელსაც აკონტროლებენ თავს იგრძნობს შეურაცყოფილად, რამდენადაც ბევრმა იცის, რომ მას აკონტროლებენ, მაგრამ ეს მან არ იცის. ჩვენი აზრით, კონტროლის ამ ორი ფორმის ერთმანეთთან დაპირისპირება არასწორია. რეალურ ცხოვრებაში კონტროლის დახურული ფორმა გამოიყენება, როცა თანამშრომელი არაკეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას ან ეწევა კრიმინალურ საქმიანობას. სხვა შემთხვევაში, როცა კონტროლის მიზანია წარმოებრივ პროცესში ცალკეული შეფერხების მიზეზების გამოვლენა, სავსებით სამართლიანად, გამოიყენება კონტროლის ღია ფორმა;

6) კონტროლის ეკონომიურობა. ამ პრინციპიდან გამომდინარე, კონტროლზე განეული დროისა და სხვა რესურსებზე განეული დანახარჯები უნდა იყოს ნაკლები, ვიდრე მისგან მიღებული მოგება.

დიდი მნიშვნელობა აქვს კონტროლის შედეგების სწორ შეფასებას. აუცილებელია გულდასმით იქნეს იგი გაანალიზებული, კონტროლის ობიექტზე გამოვლინდეს ძირითადი წარმატებები და ნაკლოვანებები და, მათგან გამომდინარე, მიღებულ იქნეს ზომები შემჩნეულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ. კონტროლის შედეგების შეფასებამ არ უნდა გამოიწვიოს შრომითი კოლექტივის გათიშვა, რასაც, სამწუხაროდ, ხშირად აქვს ადგილი, როცა ხელმძღვანელი კონტროლის შეფასებისას ნაწილ თანამშრომლებს მოიხსენიებს, როგორც გაიძვერებს, ზარმაცებსა და უქნარებს, ხოლო ნაწილს_როგორც კარგ შემსრულებლებს. კონტროლის ასეთი შეფასება არათუ ხელს უწყობს შრომითი კოლექტივის გაჯანსაღებას და შრომის ეფექტიანობის ამაღლებას, არამედ მოქმედებს საწინააღმდეგო მიმართულებით.

არსებობს ადამიანური რესურსების მართვის კონტროლის სამი სახეობა: **წინასწარი, მიმდინარე და დასკვნითი.** წინასწარი კონტროლი ხორციელდება წარმოების პროცესის დაწყებამდე და განსაზღვრავს რამდენადაა ორგანიზაცია მზად განსაზღვრული წარმოებრივი პროცესის ეფექტიანად განხორციელებისთვის. ადამიანური რესურსების მართვის წინასწარი კონტროლი ორგანიზაციის საქმიანობის განხორციელების მნიშვნელოვანი პირობაა. მან უნდა უპასუხოს კითხვას: სამუშაოზე მიღებული მომუშავე თავისი კომპეტენციითა და სოციალურ-ფსიქოლოგიური დახასიათებით შეესაბამება თუ არა მოცემულ ორგანიზაციაში წარმატებული მუშაობისთვის საჭირო მოთხოვნებს.

ადამიანური რესურსების მართვის მიმდინარე კონტროლის მთავარი ფუნქციაა თანამშრომლებზე მეთვალყურეობა თუ როგორ ასრულებენ ისინი თავიანთ მოვალეობებს და მათი საქმიანობა რამდენად შეესაბამება თანამშრომელთა მოცემული კატეგორიისათვის მოქმედებათა დადგენილ სტანდარტებს.

ადამიანური რესურსების მიმართებაში დასკვნითი კონტროლის დროს ვლინდება დროის მოცემულ პერიოდში მოცემულმა მომუშავემ შეასრულა თუ არა ის ამოცანები, რომლებიც დასახულია და მიაღწია თუ არა ეფექტიანობის იმ დონეს, რომელიც გათვალისწინებულია.

კონტროლის სახეობის მიუხედავად, იგი შედგება სამი ეტაპისგან. პირველი, ანუ **წინასწარი** ეტაპი. იგი მოიცავს მის (კონტროლის) სტანდარტების ფორმულირებას. მის სწორად წარმართვას განუზომლად დიდი მნიშვნელობა აქვს. ცხადია, თუ ის არ შეესაბამება კონტროლის მიზნებს, კონტროლი ვერ შეასრულებს თავის ფუნქციას. როგორც წესი, კონტროლის სტანდარტები ითვალისწინებს მისი ძირითადი სიდიდისგან მინიმალურად დასაშვებ გადახრებს ამა თუ იმ მიმართულებით (უმეტესად მხედველობაშია ტექნიკური სტანდარტები. ადამიანური რესურსების მართვის მიმართებაში ასეთი გადახრების მაგალითებია: სამუშაოზე გამოცხადება – 8.00 სთ.+ 15 წუთი; შრომის მწარმოებლურობა საათში – 20 ერთეული+2 ერთეული და ა. შ.

კონტროლის მეორე ეტაპია – **საკუთრივ კონტროლი**. მასში იგულისხმება კონტროლს დაქვემდებარებულ საგანთა ფაქტობრივი მდგომარეობის შედარება შესაბამის სტანდარტებთან. როცა გადახრები თავსდება დასაშვებ ნორმაში კონტროლი დამთავრებულია, ხოლო თუ ისინი აჭარბებს დასაშვებს, საჭიროა მესამე ეტაპის განხორციელება, ანუ მეორე ეტაპიდან გამომდინარე შესაბამისი დასკვნების გამოტანა.

კონტროლის მესამე ეტაპისას, აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მის საინფორმაციო უზრუნველყოფას. ჩატარებული კონტროლის სწორად შეჯამებისთვის საჭიროა შემომდეს ინფორმაციის საიმედოობა. ამავე ეტაპზე, საჭირო შემთხვევაში, ამონებენ ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ სტანდარტებს. ისინი შეიძლება იყოს გადადიებული ან შემცირებული და არ შეესაბამებოდეს ორგანიზაციის ფუნქციონირების რეალურ პირობებს. მოცემულ შემთხვევაში საჭიროა კონტროლის პროცესის დანყება მისი პირველი ეტაპიდან.

პერსონალის შეფასება როგორც კონტროლის ფორმა

პერსონალის შეფასება როგორც კონტროლის ფორმა, ადამიანური რესურსების მართვის მნიშვნელოვანი ელემენტია. საქმე ისაა, რომ ორგანიზაციის წარმატებული მუშაობისთვის აუცილებელია მისმა ხელმძღვანელობამ იცოდეს ვინ შეესაბამება თავის მიერ დაკავებულ თანამდებობას, ვისი გადამზადებაა საჭირო, ვის აუმაღლონ კვალიფიკაცია, ვინ გაათავისუფლონ სამუშაოდან, ვის შეუძლია პრეტენზია ჰქონდეს თანამდებობრივ დანინაურებაზე (პაიჭაძე ნ., 2019) და ა. შ. პერსონალის შეფასების შედეგების გამოყენება საშუალებას იძლევა, მოხდეს შრომითი კოლექტივის შემადგენლობის იერარქიული სტრუქტურისა და ორგანიზაციაში არსებული მოტივაციის სიტემის ოპტიმიზაცია და ა. შ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პერსონალის შეფასების ერთ-ერთი მთავარი ობიექტია კომპოტენცია, რომელშიაც იგულისხმება მომუშავეს მიერ თავისი შრომითი საქმიანობის განხორციელების უნარი. იგი უმეტესად განიხილება პროფესიული, სოციალური, მეთოდოკური და დროის მიმართებით. **პროფესიულ კომპეტენტურობაში** იგულისხმება თანამშრომლის ტექნიკური მზადყოფნა განახორციელოს თავისი პროფესიული ფუნქციები. **სოციალური კომპეტენტურობით** ხასიათდება ურთიერთობა ადამიანებს შორის წარმოების პროცესში. **მეთოდოკური კომპეტენტურობა** კი კავშირშია მომუშავეს სისტემურ აზროვნებასთან, სხვადასხვა ინფორმაციის სწორ აღქმასთან და ხასიათდება უნარით განასხვავოს მთავარი მეორეხარისხოვნისგან. რაც შეეხება **დროით კომპეტენტურობას**, მასში იგულისხმება მომუშავეს უნარი, რაციონალურად დაგეგმოს და გამოიყენოს სამუშაო დრო.

პერსონალის შეფასების ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ფორმაა მომუშავეთა ატესტაცია. დამკვიდრებულია მისი სამი ტიპი: სახელმწიფო მოსამსახურეთა ატესტაცია, სამეცნიერ-

რო-პედაგოგიურ მუშაკთა ატესტაცია და ორგანიზაციების პერსონალის ატესტაცია (პაიჭაძე ნ, ადამიანური რესურსების მართვა, 2019).

საინტერესოა სახელმწიფო მოსამსახურეთა ატესტაციის ინგლისური გამოცდილება. იგი მაქსიმალურად უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას. მოცემული სისტემით მოსამსახურეთა საქმიანობას აფასებენ შემდეგი 5 ბალიანი სისტემით: 1) შეფასების დადებითმა შედეგმა გადააჭარბა ნორმატიულს (დაგეგმილს); 2) შეფასების დადებითი შედეგი შეესაბამება ნორმატიულის (დაგეგმილის) მაქსიმალურ დონეს; 3) შეფასების შედეგი შეესაბამება ნორმატიულს (დაგეგმილს); 4) შეფასების შედეგი ნორმატიულის (დაგეგმილის) სშუალო დონეზე ნაკლებია; 5) შეფასების შედეგი მოცემული თანამდებობისთვის შეუსაბამოა. არსებული წესის შესაბამისად, ატესტაციაგავლილები ეცნობიან ჩატარებული ატესტაციის შედეგებს და ვისაც მისი საწინააღმდეგო არ აქვს, ატესტაციის თაობაზე ანგარიში, სათანადო რეკომენდაციებით, გადაეცემა ზემდგომ ხელმძღვანელს დასამტკიცებლად. როცა ატესტაციაგავლილი არ ეთანხმება შეფასებას, იგი მიმართავს თავის ხელმძღვანელს და თუ ისინი კონსენსუსს ვერ მიაღწევენ მას (ატესტაციაგავლილს) უფლება აქვს მიმართოს ტოპმენეჯერს და 6 თვის შემდეგ გაიაროს განმეორებითი ატესტაცია.იმ შემთხვევაში თუ განმეორებითი ატესტაცია ადასტურებს პირველი ატესტაციის შეფასებას, მოცემულ პიროვნებას ათავისუფლებენ სამსახურიდან.იმ შემთხვევაში კი, თუ აღმოჩნდება, რომ ატესტაციისას შესაფასებელსა და შემფასებელს შორის ადგილი ნქონდა პირის შეკვრას(პროტექციას), რამაც გავლენა მოახდინა შეფასების მიღებაზე, ორივე თანამშრომელი (შემფასებელიც და შესაფასებელიც) თავისუფლდება სამსახურიდან.

ატესტაციის დადებითი შედეგების მიხედვით თანამდებობრივი დანინაურება ვრცელდება მოსამსახურეთა დაახლოებით 1% ზე. დანარჩენებს შეიძლება გაეზარდოთ ხელფასი ან გადაეცეთ ერჯერადი პრემია. თუმცა, ეს არაა აუცილებელი, რის შესახებაც წინასწარ იციან ატესტაციადაქვემდებარებულებმა. ეს კი მოცემულის თაობაზე გამორიცხავს კონფლიქტს.

იაპონიაში, ევროპისა და ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში ფართოდაა გავრცელებული პერსონალის შეფასების ე.წ. 360 გრადუსის მეთოდი. აღნიშნული მეთოდი მოიცავს შესაფასებელთან საუბარს, გამოკითხვას წინასწარ მომზადებული კითხვების მიხედვით და ა. შ.

პერსონალის შეფასების ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდია, აგრეთვე, პერსონალის (საკადრო) აუდიტი. იგი გულისხმობს მთელი შრომითი პერსონალის შეფასების ჩატარებას. ის შეიძლება განხორციელდეს როგორც მონვეული, აგრეთვე, ადგილობრივი შესაბამისი სპეციალისტების მიერ. მისი მთავარი მიზნებია: ინოვაციური ჯგუფების ჩამოყალიბების მიზნით, ყველაზე კრეატიული და ინიციატივიანი თანამშრომლების გამოვლენა, ორგანიზაციაში დესტრუქციული კონფლიქტების მიზეზის განსაზღვრა და ა. შ.

ცხადია, პრაქტიკაში არსებობს პერსონალის შეფასების სხვა მეთოდებიც.

ლიტერატურა

1. Армстронг М. Стратегическое управление человеческими ресурсами. Перевод с английского. М.,2002.
2. Армстронг М. Практика управления человеческими ресурсами. Перевод с английского М., 2012.
3. Бирман Л. Управление человеческими ресурсами. М.,2018.
4. Веснин Р. Управление персоналом.М.,2008.
5. Маслова Н. Управление человеческими ресурсами. 2019.
6. პაიჭაძე ნ. ადამიანური რესურსების მართვა, თბ., 2019.

CONTROL AS AN IMPORTANT ELEMENT OF STRATEGIC HUMAN RESOURCE MANAGEMENT

Nugzar Paichadze

Associate Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Nugzarpaichadze@mail.ru

Control is an important tool of strategic management of human resources. This article is devoted mainly to this problem. Here are discusses such issues as: the function and importance of control in the human resource management system. Principles derived from business practice on which control should be based in order to successfully perform its functions, evaluation of control results and its stages, evaluation of personnel, as a form of control.

საქართველოს მთავრობაში შიდაგარე საინისტროების ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზება

გიორგი ლალანიძე

პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ბადრი რამიშვილი

ასოცირებული პროფესორი,

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ანოტაცია

მთავრობის ჩამოყალიბება უმნიშვნელოვანესი საკითხია ნებისმიერი ქვეყნის წარმატებული მართვისთვის. ამ დროს კი, აუცილებლად გამოყენებული უნდა იყოს მენეჯმენტში დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება. წინამდებარე კვლევის საკითხიც, სამთავრობო სტრუქტურის შემუშავების შესახებ, არსით სწორედ სტრატეგიულთა რიგს განეკუთვნება და ცხადია ისიც შესაბამის დამოკიდებულებას მოითხოვს.

სამინისტროებისა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოყალიბება ისე უნდა მოხდეს, რომ ამან ხელი შეუწყოს დასაქმებულთა მაქსიმალური შრომის ნაყოფიერების მიღწევასა და ორგანიზაციების მიერ დასახული მიზნებისა და მისიის შესრულებას. ეს კი, მმართველობითი საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებას ეფუძნება, რაც თავის მხრივ მოითხოვს მართვის რელევანტური ნორმის განსაზღვრას, ეს, კი, ოპტიმალური მართვის მოცვის საფუძველი უნდა გახდეს.

ზემოაღნიშნული პრობლემების გადაწყვეტას ეძღვნება წინამდებარე სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც სწორედ იმ ციკლის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს, რაც ავტორებმა საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებში სრატეგიული მმართველობის გაუმჯობესებას მიუძღვნეს.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს მთავრობა, სამინისტროს ორგანიზაციული სტრუქტურა, სტრატეგიული გადაწყვეტილება, მართვის მოცვა, მართვის ნორმა.

შესავალი

კაცობრიობამ სახელმწიფოს მართვასთან დაკავშირებით უდიდესი გამოცდილება დააგროვა. თუმცა, ეპოქების ცვლილება ქმნიდა ადამიანთა თანაარსებობის სხვადასხვა ფორმაციას, ეს კი, თავის მხრივ საჭიროებდა ახალი მეთოდების შემუშავებასა და დანერგვას. წარმატებული მართვისთვის აუცილებელი გახდა მეცნიერული მიდგომის გამოყენება. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოჩნდა, როდესაც კაცობრიობის მოწინავე ნაწილი სრულფასოვნად გადავიდა დემოკრატიული მმართველობის ფორმაზე. პოლიტიკური თუ სამეურნეო მიმართულებით წარმატების მოსაპოვებლად ადამიანთა მობილიზების ტრადიციული მიდგომები, რაც ჯილდოსა და სასჯელის მონაცვლეობას ეფუძნებოდა, აღარ აღმოჩნდა ეფექტიანი, ხოლო ხშირად, „მათრახისა და ტკბილი კვერის პოლიტიკა“ კონტრპროდუქტიულიც კი იყო.

* * *

თანამედროვე ეპოქის ცივილიზებული სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ნიშანთვისებებია კოლექტიური მმართველობა და კონსტიტუციონალიზმი. ეს კი, სრულიად განსხვავებულ მოთხოვნებს წამოჭრის ამა თუ იმ დემოკრატიული ქვეყნის პოლიტიკური ჯგუფების წინაშე.

კონსტიტუციური მმართველობა ხორციელდება ისეთ ორგანიზაციულ გარემოში, სადაც შექმნილია შესაბამისი კონტექსტუალური ურთიერთობები. მაგალითად, ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარეების მოთხოვნებისა და ურთიერთობების აღწერის შერჩევა. აქაც არსებობს ზოგადი მიდგომები, მაგრამ ისინი განპირობებულია სისტემური გადაწყვეტილებებით. ორგანიზაციულ დონეზე კოლექტიური არჩევანი მხარდაჭერილია სხვადასხვა დაკავშირებული გარე სტრუქტურის მიერ. ეს ორი ასპექტი შესაძლებლობას იძლევა გააზრებულად გაიმიჯნოს სამთავრობო სისტემის დონეზე შემუშავებული და ცალკეული სამთავრობო უწყებების სტრატეგიები (Cheltenham, E. Elgar 2021). გამომდინარე აღნიშნულიდან, სახელმწიფო სტრუქტურებისთვის მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სტრატეგიული პროცესის ხელის შეწყობას, რაც განსაკუთრებით აქტუალურია ცენტრალური ხელისუფლების მმართველობითი ორგანოებისთვის, რადგან, კონსტიტუციონალიზმი და ქვეყნის კოლექტიური მმართველობა სწორედ სტრატეგიული ხედვის სულისკვეთებით საზრდოობს.

სტრატეგიული პროცესის უმნიშვნელოვანესი შემადგენელია გადაწყვეტილების მიღების ორგანიზაციული პროცედურის შემუშავება. სტრატეგიული გადაწყვეტილების ძირითადი დანიშნულებაა ის, რომ მისი მეშვეობით ორგანიზაცია უნდა ადაპტირდეს გარე-გარემოში მიმდინარე ცვლილებებთან. ცხადია, ეს ეხება სამთავრობო დაწესებულებებსაც. ძირითადი რგოლი მთავრობაში, სადაც მიიღება სტრატეგიული გადაწყვეტილებები, სამინისტროა. ამ უწყებების სტრუქტურა მაქსიმალურად უნდა იყოს მორგებული სტრატეგიულ პროცესთან, რაც ერთი მხრივ გულისხმობს მოქნილობას, ხოლო მეორე მხრივ კი, მემკვიდრეობითობას. ასეთ ვითარებაში ეფექტიანობის უზრუნველყოფა კი, საკმაო ძალისხმევას მოითხოვს (ლაღანიძე, რამიშვილი 2023). გარდა აღნიშნულისა, ამ კუთხით აგრეთვე აქტუალურია სამთავრობო უწყებების მისიის შემუშავება, ამასთან ის უფრო დიდ მნიშვნელობას სწორედ არამომგებიანი სექტორისთვის ასრულებს. სწორედ ამიტომ, წინამდებარე სტატიის ავტორებმა აღნიშნულ პრობლემას სამეცნიერო შრომა „საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებში სტრატეგიული მისიის შემუშავების შესახებ“ (ლაღანიძე, რამიშვილი 2023) მიუძღვნეს. რაც მათი აზრით საფუძველი უნდა იყოს ამა თუ იმ სამინისტროს სტრუქტურის ფორმირებისთვის.

მთავრობის წარმატებული ფუნქციონირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სამინისტროების და სხვა უწყებების გამართული სტრუქტურის ფორმირება. ამ მხრივ, ხშირად იჩენს ხოლმე თავს ისეთი პრობლემები, როგორიცაა მათი არაეფექტიანი ფუნქციონირება, პერსონალით გადატვირთულობა, რესურსების უყაირათო ხარჯვა და ა.შ. რაც საბოლოოდ განაპირობებს სამთავრობო უწყებების მწარმოებლურობის მკვეთრ შემცირებას. 1999 წლის 30 ივლისს იტალიის ხელისუფლების მიერ მიღებულ იქნა სამთავრობო აქტი, რითაც მთავრობამ სახელმწიფო მმართველობაში მკაფიოდ გამოიჯანა მწარმოებლურობის სამი განზომილება. ეფექტურობა – ასახავს შეთანხმებული შედეგების ამსახველი მიზნების შესრულებას. ეფექტიანობა – დაკავშირებულია დახარჯული რესურსებისა და მიღწეული შედეგების თანაფარდობის გაუმჯობესებასთან. ადექვატურობა კი, ძირითადად სახელმწიფო სტრუქტურების მიერ მისაღები გადაწყვეტილებების პოლიტიკურ მხარეს ეხება და სახელმწიფო მოხელეების მწარმოებლურობას აფასებს მდგრადი მიზნების დასახვისა და მათი არსებული რესურსებით შესრულების კუთხით (Bianchi 2011). იმისთვის, რომ სახელმწიფო ორგანოების ფუნქციონირება შეფასდეს ეფექტიანად, ეფექტურად და ადექვატურად, აუცილებელია გამართულად მოქმედი ორგანიზაციული სტრუქტურის არსებობა, რისი უმნიშვნელოვანესი განმაპირობებელი მართვის ნორმის სწორად განსაზღვრაა.

მთავრობის ჩამოყალიბება, ვიცეპრემიერებისა და სამინისტროების რაოდენობის განსაზღვრას, სამინისტროების ოპტიმალური სტრუქტურის შემუშავებას ნიშნავს ეს, კი, თავის მხრივ მოიცავს მინისტრის მოადგილეების საშტატო ერთეულების რაოდენობის იდენტიფიცირებას და მათი უფლებამოსილებების დადგენას, სამთავრობო უწყებების საშუალო და ქვედა რგოლების სტრუქტურული ერთეულების რაციონალურად და ეფექტიანად ჩამოყალიბებას. ყველა ამ

საკითხის გადაწყვეტა მენეჯმენტის ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას უკავშირდება როგორცაა მართვის ნორმის ოპტიმალურად განსაზღვრა. სწორედ აღნიშნულის საფუძველზეა შესაძლებელი მთავრობის ეფექტიანი სტრუქტურის ფორმირება. ქვემოთ სწორედ ამ პრობლემას დავუთმობთ ძირითად ყურადღებას.

კვლევების დიდი უმრავლესობა, რაც მართვის მოცვისა თუ მართვის ნორმის დადგენის გარშემო მიმდინარეობდა, როგორც წესი, დაკავშირებული იყო დასავლურ ცივილიზაციურ არეალთან. ცხადია, იაპონიამ და სამხრეთ კორეამ დიდი წვლილი შეიტანა მართვის მეცნიერების განვითარებაში, თუმცა, ამ ქვეყნებში მართვასთან დაკავშირებული მეცნიერებების განვითარებას სწორედ დასავლური გამოცდილება ედო საფუძვლად. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ის საკითხი თუ რა გავლენას ახდენს ზემოაღნიშნულ პრობლემაზე სხვადასხვა ეროვნული თუ რელიგიური ჯგუფისადმი კუთვნილება, ჯერ სათანადოდ არ არის შესწავლილი და ამ მიმართულებით ერთიანი უნიფიცირებული მიდგომა სჭარბობს.

მართვის მოცვის კონცეფცია მენეჯმენტის პრინციპად პირველად იქნა მოხსენიებული ლინდოლ ურვიკის მიერ 1938 წელს. თუმცა ამ საკითხის გარშემო მსჯელობა გაცილებით ადრე დაიწყო (van Fleet, Bedeian 1977). განსახილველი პრობლემის ძირითადი არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ, როგორც მართვის მოცვის ადრეული ხანის მკვლევარები ფიქრობდნენ არსებობს დაქვემდებარებულთა რაოდენობასთან დაკავშირებული შეზღუდვა, გარკვეული ზღვარი, რაც კონკრეტულ მენეჯერს შეუძლია ეფექტიანად მართოს, აკონტროლოს და ზედამხედველობა მოახდინოს მასზე. ეს ზღვარი დამოკიდებულია კონკრეტულ ხელმძღვანელზე, გუნდის წევრებსა და სიტუაციაზე (van Fleet, Bedeian 1977).

სადღეისოდ უამრავი გამოკვლევა არსებობს მენეჯმენტის მიმართულებით, რაც მართვის მოცვის ოპტიმალური ზომის დადგენას მიეძღვნა. იგივე კონტექსტით შეიძლება განვიხილოთ ის შრომებიც რომლებიც გუნდის ოპტიმალური ზომის განსაზღვრას ისახავდა მიზნად. შესაბამისად, ჩვენი აზრით, გამართლებული იქნება, თუ შემოვიღებთ ახალ ტერმინს „მართვის ნორმა.“ თუ „მართვის მოცვა“ პერსონალის ის რაოდენობაა რაც ერთი მენეჯერის უშუალო დაქვემდებარებაშია ყოველ კონკრეტულ ვითარებაში, „მართვის ნორმა“ მეცნიერულად დასაბუთებული მართვის მოცვაა (ლაღანიძე, რამიშვილი 2024). ფაქტობრივად ჩვენი კვლევა მიმართულია საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებისთვის მართვის ნორმის დადგენისკენ, რის საფუძველზეც თითოეულ სახელმწიფო მოხელეს, რომლებიც მმართველობითი საქმიანობით არიან დაკავებულნი უნდა განესაზღვროს ოპტიმალური მართვის მოცვა.

მართვის მოცვა სხვადასხვა სფეროს მიხედვით განსხვავდება. მასზე ასევე გავლენა შეიძლება მოახდინოს ისეთმა ფაქტორებმაც, როგორიცაა ქვეყანა ან რეგიონი, სადაც ფუნქციონირებს ესა თუ ის ორგანიზაცია, რადგან აღნიშნულის მიხედვით მკვეთრად განსხვავდება კონკრეტული დასაქმებულის განათლების და კვალიფიკაციის დონე, მოტივაციის საფუძველები, შრომისადმი დამოკიდებულება და შრომის კულტურა, ეთნოფსიქოლოგიური, თუ კულტურულ-რელიგიური ფაქტორები და ა.შ. ყოველივე ამან შეიძლება დიდი გავლენა მოახდინოს მართვის ნორმაზეც, თუმცა ამ რაკურსით კვლევები ჯერ არ არის იმ დომეზე, რომ საშედეგო რაოდენობრივ მაჩვენებლებზე ვიმსჯელოთ.

ერთ-ერთი პირველი გამოკვლევა რაც სახელმწიფო სტრუქტურებში მართვის მოცვის საკითხებს მიეძღვნა აშშ-ში ჩატარდა. ჰუვერის კომისია, შეიქმნა 1947 წელს პრეზიდენტ ტრუმენის მიერ რათა მოეხდინა აშშ-ის აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურის ოპტიმიზაცია. მისი ოფიციალური სახელწოდება იყო „მთავრობის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანიზაციის კომისია“. პრობლემის შესწავლის დროს კომისიამ აღმოაჩინა, რომ აშშ-ის პრეზიდენტის აღმასრულებელ ხელისუფლებაში არსებობდა 65 დეპარტამენტი, ადმინისტრაცია, სააგენტო, საბჭო და კომისია, რაც უშუალოდ პრეზიდენტს ექვემდებარებოდა. კომისიამ გასცა რეკომენდაციები, რის თანახმადაც უნდა მომხდარიყო პრეზიდენტისადმი დაქვემდებარებული ქვედანაყოფების მკვეთრი შემცირება (van Fleet, Bedeian 1977). მსგავსი პრობლემები საქართველოს აღ-

მასრულებელ ხელისუფლებაშიც შეიძლება აღმოჩნდეს, ამიტომ აუცილებელია ამ მხრივ მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების წარმოდგენა, რაც უპირველესად სამეცნიერო წრეებს ევალუა.

ქვემოთ ცხრილის სახით წარმოდგენილია საქართველოს იმ სამინისტროების ზედა იერარქიული საფეხურების მართვის მოცვის მონაცემები რაც ინტერნეტ სივრცეში, ოფიციალურ ვებ-გვერდებზე იძებნება. სტატიაზე მუშაობა დავიწყეთ როდესაც „საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო“ ერთ ორგანიზაციას წარმოადგენდა, თუმცა არც მაშინ და არ მოცემულ მომენტში მისი ოფიციალური ვებ-გვერდი არ არის გააქტიურებული ხოლო ფეისბუქ-ანგარიშზე ჩვენთვის საჭირო მონაცემები ვერ მოვიძიეთ.

ჩვენი აზრით ორგანიზაციის ზედა იერარქიულ საფეხურებზე არსებულ სტრუქტურულ ერთეულებში მართვის მოცვა უნდა შეადგენდეს 4-6 დასაქმებულს, ხოლო უდაბლესზე კი, კონკრეტულ სტრუქტურულ ერთეულში დასაშვებია 20-მდე ადამიანის საქმიანობა (ღალანძიე, რამიშვილი 2024). ვინაიდან სამინისტროებს მაღალი იერარქიული სტრუქტურა აქვთ, ამიტომ მართვის ნორმა ზედა საფეხურზე შეიძლება მართლაც დაემთხვეს ზემოთ მოტანილ მაჩვენებელს, ხოლო ქვედა რგოლებში კი, შესაძლებელია 20-ზე გაცილებით ნაკლებიც იყოს, თუმცა ამ შემთხვევაში გააჩნია უწყების პროფილს, მაგალითად, სამართალდამცავ და თავდაცვის სფეროში შესაძლებელია მართვის მაქსიმალური მოცვა მართლაც შეადგენდეს 20-ს.

ცხრილი 1

მართვის მოცვის მაჩვენებლები საქართველოს სამინისტროებში (7)

	მინისტრის მოადგილეების როდენობა	მინისტრზე დაქვემდებარებული რეზუალური სტრუქტურული ერთეულები	მინისტრის მოადგილეზე დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულები					
			1	2	3	4	5	6
საქართველს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	5	9	4	7	4	8	4	4
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	5	5	2	2	2	4	1	4
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	5	2	5	6	4	4	6	
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	5	6	4	3	6	3	4	
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	5	6	4	4	4	4		
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	4	6	4	5	4	4	3	
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	4							
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო								
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	4	4	4	4	10	8		
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორი-	5	3	8	4	2	6	2	

ებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო								
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	3	4	6	3	5			
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	3	1	2	2	1			

ცხრილის მონაცემებით საქართველოს სამინისტროებში მინისტრის მოადგილეების რაოდენობა მერყეობს 3-დან 5-მდე, თუმცა სტატიაზე მუშაობის დასაწყისში, რამდენიმეში 6 მინისტრის მოადგილის შტატი იყო გათვალისწინებული. უშუალოდ მინისტრზე დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულები მერყეობს 1-დან 6-მდე, თუ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გამოვრიცხავთ, სადაც ეს მაჩვენებელი 9-ს შეადგენს. ცხრილში ცალკე მოტანილია მინისტრის მოადგილეებზე დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების რაოდენობა, ეს მაჩვენებელი 1-დან 10-მდე მერყეობს.

დასკვნა

სტატიაში მოტანილი მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

საქართველოს სამინისტროებში მინისტრის მოადგილეების რაოდენობა ოპტიმალურია და შეესაბამება მართვის ნორმის სტანდარტებს. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მინისტრების უშუალო დაქვემდებარებაში, როგორც წესი, იმყოფება სხვა უფრო დაბალი რანგის სტრუქტურული ერთეულები, რომელთა რაოდენობა ერთ შემთხვევაში 9-ც კი არის. არადა მათი ხელმძღვანელები მინისტრის მოადგილეებთან ერთად შედის მინისტრის მართვის მოცვაში და შესაბამისად იმდენად ზრდის ამ მაჩვენებელს, რომ არღვევს მართვის ნორმის ჩვენს მიერ რეკომენდებულ ზღვარს. ამ პრობლემის გადაწყვეტის ყველაზე ოპტიმალური გზებია: მათი შემცირება მაქსიმუმ 2-მდე ან მინისტრის მოადგილის დამატებითი შტატის შემოღება, რასაც დაექვემდებარება ეს სტრუქტურული წარმონაქმნები. მინისტრის მოადგილეებისადმი დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულებისა და შესაბამისად მათი ხელმძღვანელების რაოდენობა ძირითადად აკმაყოფილებს მართვის ნორმის ჩვენს მიერ რეკომენდებულ ფარგლებს, მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში სცდება ის დასაშვებ ზედა ზღვარს. უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც მინისტრის ამა თუ იმ მოადგილეს ექვემდებარება 1 ან 2 სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ანუ დარღვეულია ქვედა ზღვრის მოთხოვნა. ეს ჩვენი აზრით რესურსების არასათანადოდ გამოყენებაა და ასეთ შემთხვევაში მინისტრის მოადგილის შესაბამისი შტატი უნდა გაუქმდეს და ეს სტრუქტურული წარმონაქმნები უნდა გადანაწილდეს სხვა მოადგილეებზე.

ლიტერატურა

1. Cheltenham, E. Elgar – Strategic Management: A public-sector view. In T. Bryer (Ed.) Handbook of Theories of Public Administration and Management 2021, October 2021
2. გიორგი ლალანიძე, ბადრი რამიშვილი – სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების გაუმჯობესების გზები საქართველოს სამთავრობო სექტორში „მომბე“ ტ. 17 N4 საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია თბილისი 2023
3. გიორგი ლალანიძე, ბადრი რამიშვილი – საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებში სტრატეგიული მისიის შემუშავების შესახებ თბილისი, თსუ 2023, ივანე ჯავახიშვილის სახელო-

ბის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია

4. Massimo Bianchi (2011) – Graiciunas' Principle in the Control Process of Public Networks: The Case of Italian Local Governments <https://www.academia.edu>
5. David D. van Fleet and Arthur G. Bedeian – A History of the Span of Management, The Academy of Management Review, Vol. 2, No. 3 (Jul., 1977), pp. 356-372 (17 pages), Published By: Academy of Management, <https://www.jstor.org/stable/257693?origin=crossref>
6. გიორგი ღალანიძე, ბადრი რამიშვილი – მართვის მოცვის ოპტიმალური დონის განსაზღვრა და მისი გავლენა ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირებაზე, „ეკონომიკა და ბიზნესი“ N3 თბილისი 2024
7. საქართველოს სამინისტროების ოფიციალური ვებ-გვერდები

OPTIMIZATION OF ORGANIZATIONAL STRUCTURES OF THE MINISTRIES INCLUDED IN THE GEORGIAN GOVERNMENT

Giorgi Gaganidze

Ph.D. Ec. Sc.

Badri Ramishvili

Ph.D. Ec. Sc.

The main problems related to the formation of government agencies should be solved on the basis of a scientific approach. Particularly important among them is the formation of the structure of government organizations, which is based on the exact definition of the management norm. This paper is dedicated to these issues. As a conclusion, the authors evaluate the situation created in this regard in the Government of Georgia and give appropriate recommendations.

Key words: *Government of Georgia, Organizational structure of Ministry, Strategic decision, Span of a management, Norm of a management.*

ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის შეფასების საფუძვლები

ლ. საბაური

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ნ. კვატაშიძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ა. ჩეჩელაშვილი

ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი,
ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“,
შიდა აუდიტის დირექტორი

ანოტაცია

თემა: ფინანსური ანგარიშგების ელემენტების შეფასება პირდაპირ კავშირშია მისი მომხმარებლებისათვის სასარგებლო ინფორმაციის წარდგენასთან. ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის შესაბამისობა და სამართლიანი წარდგენა დამოკიდებულია მათი შეფასების საფუძვლებზე. შეფასებებს საფუძვლად უდევს შეფასების მიზანი, ფულის დროითი ღირებულება, ბაზრის მონაწილეთა დაშვებები და ხედვები, კონკრეტული სანარმოსთვის დამახასიათებელი დაშვებები.

მიზანი და ამოცანები: ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ფასსს/IASB) მიერ ფინანსური ანგარიშგების ელემენტების შეფასების რეკომენდაციებისა და მიდგომების შესწავლა; აქტივებისა და ვალდებულებების „შემოსვლის“ და „გასვლის“ ფასის ცნებების არსის გააზრება და პრაქტიკული გამოყენება.

მეთოდოლოგია: კვლევის დროს გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) და აუდიტორული კომპანიების „დიდი ოთხეულის“ მიერ გამოშვებული შესაბამისი მითითებები, სახელმძღვანელო-სარეკომენდაციო მასალები, სამეცნიერო სტატიები.

შედეგები: ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლებით ჩამოყალიბებული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების შეფასების საფუძვლების შერჩევა, გამოყენება და გამჟღავნება გნამარტებით შენიშვნებში.

საკვანძო სიტყვები: შემოსვლის ფასი; გასვლის ფასი; მიმდინარე ღირებულება, სამართლიანი ღირებულება.

I. შესავალი – შემოსვლის ფასი და გასვლის ფასი

ფინანსური ანგარიშგების ელემენტების სარგებლიანობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მათი შეფასება. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების თანახმად, შეფასების საფუძველი არის შესაფასებელი ობიექტის რაიმე იდენტიფიცირებული ნიშან-თვისება. აქტივების ან ვალდებულებების მიმართ შეფასების საფუძვლის გამოყენებით მიიღება ამ აქტივების ან ვალდებულებების და დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების გარკვეული მაჩვენებელი. შეფასების საფუძვლის შერჩევისას, მნიშვნელოვანია იმ ინფორმაციის ხასიათის გათ-

ვალისწინება, რომელიც ამ შეფასების საფუძვლით განისაზღვრება როგორც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ისე ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში.

იმისათვის, რომ ინფორმაცია აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ იყოს შესაბამისი, მათი შეფასება უნდა ასახავდეს აქტივების მიერ მომავალში ფულადი ნაკადების გამომუშავების უნარს და ვალდებულებების დასაფარავად მოსალოდნელ გადინებას. ფულადი ნაკადების გამომუშავების უნარი დროში იცვლება მრავალი ფაქტორის გავლენით, შესაბამისად იცვლება აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ღირებულებაც. მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შეფასების დროს გაითვალისწინება ტრანზაქციებისა ან სხვა მოვლენებისაგან მოსალოდნელი თანხა (სიდიდე), ვადები, განუსაზღვრელობები, რაც განსაზღვრავს ფულადი ნაკადების ღირებულებას. ამდენად, შეფასებისას გაითვალისწინება ფულის დროითი ღირებულება.

ფინანსური ანგარიშგების ელემენტების შესაფასებლად კონცეპტუალურ საფუძვლებში გამოიყენება შეფასების ორი აქტუალური და რეპრეზენტატიული სისტემა – „შემოსვლის ფასის“ (Entry price) სისტემა და „გასვლის ფასის“ (Exit price) სისტემა (FASB, 2023). ფულადი ნაკადებით „შემოსვლის ფასის“ შეფასების მიზანია იმის ფასის განსაზღვრა, რაც იქნება გადახდილი აქტივის შესაძენად ან მიღებული ვალდებულების ასაღებად. ფულადი ნაკადებით „გასვლის ფასით“ შეფასების მიზანია იმ ფასის განსაზღვრა, რაც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვიდან ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისას. ამ მიზნებიდან გამომდინარე, ფასს 13 „სამართლიანი ღირებულების“ თანახმად „შემოსვლის ფასი“ არის ფასი, რომელიც გადაიხადეს აქტივის შესაძენად, ან მიიღეს ვალდებულების ასაღებად გაცვლის ოპერაციაში, ხოლო „გასვლის ფასი“ არის ფასი, რომლის მიღება შესაძლებელი იქნებოდა აქტივის გაყიდვისას, ან, რომელიც გადასახდელი იქნება ვალდებულების გადაცემისას (IFRS, 2024). „შემოსვლის ფასის“ გაზომვის სისტემას უწოდებენ ისტორიული ღირებულების სისტემას (FASB, 2023).

ფულად ნაკადებზე დაფუძნებული შეფასება შესაძლებელია ბაზრის მონაწილეების ან საწარმოს თვალთახედვით. თუ შეფასება ხდება ბაზრის მონაწილის პოზიციიდან, ფასი უნდა გამოითვალოს იმ დაშვებების გამოყენებით, რასაც ბაზრის მონაწილე გააკეთებს. თუ შეფასება ხდება საწარმოს სპეციფიკური თვალთახედვიდან, შეფასების პროცესი განიხილავს საწარმოს უნიკალურ უპირატესობებს ან ნაკლოვანებებს ფულადი ნაკადების ღირებულების დასადგენად. ორივე შეფასება წარმოადგენს ფასებს საწარმოსათვის, მაგრამ ფულადი ნაკადების ღირებულება შეიძლება არ იყოს იგივე (Levan Sabauri, Nadezhda Kvatashidze, 2020). შემოსვლის ფასი ასახავს მყიდველის თვალთახედვას. გასვლის (გაყიდვის) ფასი ასახავს გამყიდველის მხარის თვალსაზრისს: რას მიიღებდა საწარმო, თუ ის გაყიდიდა აქტივს ბაზარზე ან გადაიხდიდა ვალდებულების გადაცემის შემთხვევაში. მხოლოდ **ბაზრის მონაწილის პოზიციიდან შეფასებები წარმოადგენს სამართლიან ღირებულებას** (fincyclopedia.net, 2021).

ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლებით აქტივებისა და ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების შეფასების საფუძველია **დრო**:

- შეფასება **თავდაპირველი აღიარების დროს** – ამ შეფასებას ეწოდება „პირვანდელი ღირებულება“ (იგივე ისტორიული ღირებულება);
- შეფასება **აღიარების შემდგომ პერიოდში** – დროის კონკრეტულ პერიოდში მიღებულ განახლებულ შეფასებას ეწოდება „მიმდინარე ღირებულება“.



II. პირვანდელი ღირებულება (historical cost)

თავდაპირველად, ფინანსური ანგარიშგების ელემენტები ფასდება პირვანდელი ღირებულებით (თვითღირებულებით). პირვანდელი ღირებულების მაჩვენებლები აქტივების, ვალდებულებებისა და დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ იძლევა ფულად ღირებულებაში გამოხატულ ისეთ ინფორმაციას, რომელიც, როგორც წესი, მიღებულია გარიგების ფასიდან ან სხვა მოვლენიდან, რომელმაც განაპირობა მათი წარმოშობა. აქტივის პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად ან შესაქმნელად გაწეული დანახარჯები, რომლებიც მოიცავს მის შესაძენად ან შესაქმნელად გადახდილ ანაზღაურებას გარიგების დანახარჯების ჩათვლით (Levan Sabauri, 2018). ვალდებულებების პირვანდელი ღირებულება არის ვალდებულების ასაღებად ან მისაღებად მიღებული ანაზღაურების ღირებულება გარიგების დანახარჯების გამოკლებით.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეფასების საფუძვლად პირვანდელი ღირებულების გამოყენების ერთ-ერთი მეთოდია მათი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ასახავს მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებებს, რომლებიც დისკონტირებულია თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრული განაკვეთით.

როდესაც საწარმო აქტივებს იძენს და ვალდებულებებს იღებს ფინანსური ანგარიშგების წარდგენიდან უახლოეს პერიოდში საბაზრო პირობებით განხორციელებული ოპერაციის შედეგად, ინფორმაცია აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ შესაძლებელია შესაბამისი იყოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის. სხვაგვარად, საწარმო მოელის, რომ ეს აქტივები ისეთი ოდენობის ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს, რაც საკმარისი იქნება, სულ მცირე, აქტივის თვითღირებულების ანაზღაურებისთვის მაინც (ანუ დაფარავს აქტივის შეძენაზე გაწეულ დანახარჯებს). ანალოგიურად, საწარმო მოელის, რომ ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო ეკონომიკური რესურსების გადაცემის მოვალეობის ღირებულება, ჩვეულებრივ, არ იქნება მეტი მიღებული ანაზღაურების ღირებულებაზე, რომელშიც გათვალისწინებული არ

არის გარიგების დანახარჯები. ასეთ შემთხვევაში პირვანდელი ღირებულებით შეფასება იძლევა შესაბამის ინფორმაციას (Levan Sabauri, Nadezhda Kvatashidze, 2023).

ტექნოლოგიების და ბაზრის განვითარება, საპროცენტო განაკვეთისა და უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებები, ინფლაციისა და ბაზრის სხვა რისკები გავლენას ახდენს ფულადი ნაკადების ცვალებადობაზე. ვინაიდან აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულება მგრძნობიარეა ბაზრის ფაქტორებსა და სხვა რისკების მიმართ, შესაძლებელია მათი პირვანდელი ღირებულება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს მიმდინარე ღირებულებებისაგან. როდესაც ინფორმაციის მომხმარებლებისათვის მნიშვნელოვანია ინფორმაცია ცვლილებების შესახებ, პირვანდელი ღირებულება ვერ იქნება შესაბამისი ინფორმაცია.

ინფორმაციის მომხმარებლებისათვის შესაბამისი ინფორმაციის წარსადგენად, დროთა განმავლობაში საჭირო ხდება პირვანდელი ღირებულების განახლება შეფასების თარიღისათვის არსებული პირობებით, რასაც უზრუნველყოფს მიმდინარე ღირებულება. აქტივების მიმდინარე ღირებულებით სულ მცირე შესაძლებელია მათი ეკონომიკური სარგებლის პოტენციალის შეფასება – მომავალში მათ მიერ ფულადი ნაკადების გამომუშავების უნარის. ანალოგიურად, ვალდებულებების მიმდინარე ღირებულებით, შესაძლებელია გაითვალოს/გაანგარიშდეს ინფორმაცია მათ დასაფარავად მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადინებების შესახებ.

აქტივებისა და ვალდებულებების მიმდინარე ღირებულება, პირვანდელი ღირებულებებისაგან განსხვავებით, ასახავს ღირებულების ცვლილებებს. საჭირო ხდება პირვანდელი ღირებულების განახლება შეფასების თარიღისათვის (რეალურ დროში) არსებული პირობებით ანუ მიმდინარე ღირებულებით.

III მიმდინარე ღირებულება (current value)

მიმდინარე ღირებულების მაჩვენებლები აქტივების, ვალდებულებებისა და დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ იძლევა ფულად ღირებულებაში გამოხატულ ინფორმაციას, რომელიც განახლებულია შეფასების თარიღისთვის არსებული პირობებით (IFRS, 2018). პირვანდელი ღირებულებისგან განსხვავებით, აქტივის ან ვალდებულების მიმდინარე ღირებულება არ განისაზღვრება ისეთი ინფორმაციის გამოყენებით, რომელიც, ნაწილობრივ მაინც, მიღებულია გარიგების ფასიდან ან სხვა მოვლენიდან, რომელმაც განაპირობა ამ აქტივის ან ვალდებულების წარმოშობა.

შეფასება მიმდინარე ღირებულებით ნიშნავს შეფასების თარიღისათვის აქტივების ასახვას ფულადი სახსრების იმ სიდიდით, რომლის მიღება შესაძლებელია აქტივების გაყიდვიდან ან გამოყენებიდან, ხოლო ვალდებულებები – ფულადი სახსრების იმ ოდენობით, რომელიც საჭიროა მათ დასაფარავად. კონცეპტუალური საფუძვლებით მიმდინარე ღირებულების (current value) შეფასების საფუძვლებია (ბაზა):

- 1) სამართლიანი ღირებულება (fair value);
- 2) აქტივებისთვის – გამოყენების ღირებულება (value in use) და ვალდებულებებისთვის – შესრულების ღირებულება (fulfilment value); და
- 3) დანახარჯების/ჩანაცვლების მიმდინარე ღირებულება (current cost)¹.

¹ ტერმინები „current value“ და „current cost“ ერთნაირად ითარგმნება როგორც „მიმდინარე ღირებულება“. საკითხის მოცემულ კონტექსტში, ამ ტერმინების ერთმანეთისაგან გასამიჯნად, ტერმინი „current value“ გამოიყენება როგორც „მიმდინარე ღირებულება“, ხოლო ტერმინი „current cost“ მოცემულ შემთხვევაში მისი კონკრეტული შინაარსისა და დანიშნულებიდან გამომდინარე, როგორც „დანახარჯების/ჩანაცვლების ღირებულება“.

სამართლიანი ღირებულება (fair value)

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ანდა ვალდებულების გადაცემისას, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს. სამართლიანი ღირებულება ასახავს იმ ბაზრის მონაწილეთა პოზიციას/თვალთახედვას, სადაც საქმიანობს მოცემული საწარმო. აქტივი ან ვალდებულება ფასდება იმავე დაშვებების გამოყენებით, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის დადგენისას იმ შემთხვევაში, თუ იმოქმედებდნენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად (Kvatashidze N. Sabauri L, 2023).

კონცეპტუალური საფუძვლებით, აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას საფუძვლად უდევს ბაზრის მონაწილეთა მიმდინარე მოლოდინები მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობის, მათი წარმოქმნის ვადებისა და დაკავშირებული განუსაზღვრელობის შესახებ. ამდენად, სამართლიანი ღირებულება რეალურად არის „გასვლის“ ფასი (Kvatashidze N. Sabauri L, 2022).

სამართლიანი ღირებულება არ განისაზღვრება გარიგების ფასიდან ან სხვა მოვლენიდან, რომელმაც განაპირობა აქტივის ან ვალდებულების წარმოშობა, ამდენად სამართლიანი ღირებულება არ იზრდება აქტივის შეძენისას გაწეული გარიგების დანახარჯებით და არ მცირდება ვალდებულების აღების ან მიღებისას გაწეული გარიგების დანახარჯებით. გარდა ამისა, სამართლიანი ღირებულება არ ასახავს არც გარიგების ისეთ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის საბოლოო გასვლასთან და ვალდებულების გადაცემასთან ან დაფარვასთან. **საბაზრო მიდგომის** დროს გამოიყენება ანალოგიური აქტივების კოტირებული ფასები, რომლებიც კორექტირდება შესაფასებელი აქტივის მიმდინარე მდგომარეობასა და ანალოგიურ აქტივებს შორის განსხვავებების გათვალისწინებით (Maisuradze, Marina; Vardiashvili, Mariam, 2023).

გამოყენების ღირებულება (value in use) და შესრულების ღირებულება (fulfilment value)

როდესაც ინფორმაცია აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ არ არის ემპირიული (დაკვირვებადი) ანუ არ არის ცნობილი მათი საბაზრო ფასი, საჭირო ხდება მათი შეფასება. ასეთი აქტივებისთვის გამოიყენება ე.წ. გამოყენების ღირებულება, ხოლო ვალდებულებებისათვის – ე.წ. შესრულების ღირებულება. გამოყენების ღირებულება არის ფულადი ნაკადების ან სხვა ეკონომიკური სარგებლის დღევანდელი ღირებულება, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის აქტივის გამოყენებიდან და მისი საბოლოო გასვლიდან. შესრულების ღირებულება არის ფულადი სახსრების ან სხვა ეკონომიკური სარგებლის დღევანდელი ღირებულება, რომლის გადაცემის აუცილებლობასაც საწარმო ვარაუდობს ვალდებულების შესრულებისას. გამოყენების და შესრულების ღირებულება არის „გასვლის ფასი“. ვინაიდან გამოყენების ღირებულება და შესრულების ღირებულება მომავალ ფულად ნაკადებს ეყრდნობა, ისინი არ ითვალისწინებს აქტივის შესაძენად ან ვალდებულების ასაღებად გაწეულ გარიგების დანახარჯებს. თუმცა, გამოყენების ღირებულება და შესრულების ღირებულება მოიცავს გარიგების ისეთი დანახარჯების დღევანდელ ღირებულებას, რომლის გაწევასაც საწარმო მოელის აქტივის საბოლოო გასვლასთან, ან ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით.

გამოყენების ღირებულება და შესრულების ღირებულება ბაზრის მონაწილეთათვის მისაღებ დაშვებებს კი არ ასახავს, არამედ ასახავს კონკრეტული საწარმოსთვის დამახასიათებელ დაშვებებს. პრაქტიკაში, შესაძლოა ზოგჯერ მცირედით განსხვავდებოდეს დაშვებები, რომ-

ლებსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებდნენ და დაშვებები, რომლებსაც თვითონ საწარმო იყენებს.

ამდენად, ვინაიდან შეუძლებელია გამოყენების ღირებულება და შესრულების ღირებულება უშუალოდ იყოს დაკვირვებადი, ისინი განისაზღვრება ფულად ნაკადებზე დაფუძნებული შეფასების მეთოდებით და მხოლოდ საწარმოს სპეციფიკური თვალთახედვიდან და არა ბაზრის მონაწილეთა პოზიციიდან. გამოყენების ღირებულება იძლევა ინფორმაციას აქტივის გამოყენებისა და მისი საბოლოო გასვლის შედეგად მისაღები შეფასებული ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების შესახებ. შესრულების ღირებულება იძლევა ინფორმაციას ვალდებულების შესასრულებლად საჭირო შეფასებული ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების შესახებ.

დანახარჯების¹ მიმდინარე/ჩანაცვლების ღირებულება (current cost)

შესაძლებელია საჭირო გახდეს ისეთი აქტივების შეფასება, რომლის ბაზარი არ არსებობს და საჭირო ხდება მათი მიმდინარე ღირებულების დადგენა, რაც ეფუძნება ანალოგიური აქტივის შეძენაზე/შექმნაზე (მშენებლობაზე) გაწეული დანახარჯების განსაზღვრას. შეფასების „ჩანაცვლების“ და სხვა მეთოდებით კალკულირდება ყველა სახის დანახარჯი (საპროექტო სამუშაოების, მასალების, შრომის ანაზღაურების და სხვა) და განისაზღვრება ანალოგიური/ჩანაცვლებული აქტივის ღირებულება. ჩანაცვლების ღირებულების შეფასების მიზანია მიმდინარე ფასებში ანალოგიური აქტივის შეძენაზე/წარმოებაზე/მშენებლობაზე გასაწევი ხარჯების განსაზღვრა, რომელსაც აქვს ანალოგიური სარგებლიანობა, მაგრამ შეძენილია/წარმოებულია/აშენებულია თანამედროვე ტექნოლოგიებით, მასალებით, დიზაინით, პროგრესული საპროექტო და ტექნოლოგიური სტანდარტებით, ახალი კონსტრუქციებისა და აღჭურვილობის გამოყენებით.

ამდენად, ვინაიდან გაანგარიშება ხდება მიმდინარე ფასებით, გაითვალისწინება ინფლაციის ფაქტორი და ასევე გაითვალისწინება ობიექტის მორალური მდგომარეობა, ვინაიდან შეფასების ეტალონად გამოიყენება თანამედროვე ობიექტი.

აქტივის ჩანაცვლების მიმდინარე ღირებულება არის ეკვივალენტური აქტივის თვითღირებულება შეფასების თარიღისთვის, იგი მოიცავს ანაზღაურებას, რომელიც გადახდილი იქნებოდა შეფასების თარიღისთვის და ასევე ამ თარიღისათვის გაწეულ გარიგების იმ დანახარჯებს. ვალდებულების ჩანაცვლების მიმდინარე ღირებულება არის ანაზღაურება, რომელიც მიღებული იქნებოდა ეკვივალენტური ვალდებულებისთვის შეფასების თარიღისთვის, გარიგების იმ დანახარჯების გამოკლებით, რომლებიც გაწეული იქნებოდა ამ თარიღისთვის.

ჩანაცვლების მიმდინარე ღირებულება ასახავს იმ ღირებულებას, რომლითაც შესაძლებელია ეკვივალენტური აქტივის შეძენა ან შექმნა შეფასების თარიღისთვის, ანდა ანაზღაურებას, რომლის მიღება შესაძლებელი იქნებოდა ეკვივალენტური ვალდებულების აღების ან მიღებისას. ჩანაცვლების მიმდინარე ღირებულება, პირვანდელი ღირებულების მსგავსად არის „შემოსვლის ფასი“:

იგი ასახავს იმ ბაზრის ფასს, სადაც საწარმო შეიძენდა ამ აქტივს ან აიღებდა ამ ვალდებულებას. მაშასადამე, ჩანაცვლების მიმდინარე ღირებულება განსხვავდება სამართლიანი ღირებულებისგან, აქტივების გამოყენების ღირებულებისა და ვალდებულებების შესრულების ღირებულებისგან, რომლებიც გვიჩვენებს გასვლის ფასებს. **თუმცა, ჩანაცვლების მიმდინარე**

¹ **დანახარჯების მიდგომა** - შეფასების მეთოდი, რომელიც ასახავს თანხას, რომელიც საჭირო იქნებოდა მიმდინარე მომენტში აქტივის საექსპლუატაციო სიმძლავრის ჩასანაცვლებლად. ფასი 13.

ღირებულება, პირვანდელი ღირებულებისგან განსხვავებით, ასახავს შეფასების თარიღისთვის არსებულ პირობებს.

ზოგ შემთხვევაში შეუძლებელია ჩანაცვლების მიმდინარე ღირებულების პირდაპირ განსაზღვრა აქტიური ბაზრის ემპირიული (დაკვირვებადი) ფასების მეშვეობით და უნდა განისაზღვროს არაპირდაპირ სხვა საშუალებებით. მაგალითად, თუ ფასები ხელმისაწვდომია მხოლოდ ახალი აქტივების შესახებ, უკვე გამოყენებული აქტივის მიმდინარე ღირებულება უნდა შეფასდეს ახალი აქტივის მიმდინარე ფასის კორექტირებით, რათა აისახოს საწარმოს განკარგულებაში მყოფი აქტივის მიმდინარე ასაკი და მდგომარეობა.

დასკვნა

ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საუძვლებით ფინანსური ანგარიშგების ელემენტების შეფასება ხდება შეფასების დროზე დაფუძნებული ორი სისტემით: შემოსვლის ფასის და გასვლის ფასის სისტემებით. შემოსვლის ფასი არის „ისტორიული ღირებულება“. გასვლის ფასი ასახავს **შეფასების კონკრეტულ პერიოდში** ბაზრის მონაწილეთა თვალთახედვას და ამდენად, მას ეწოდება „მიმდინარე ღირებულება“.

მიმდინარე ღირებულება გახდა სამართლიანი ღირებულების სინონიმი, ვინაიდან ის ეფუძნება **გასვლის ფასს** (ფასი, რომელიც იქნებოდა მიღებული აქტივის გაყიდვიდან ან გადახდილი ვალდებულების გადაცემიდან), და არა გარიგების ფასს ან შემოსვლის ფასს (ფასი, რომელიც იქნებოდა გადახდილი აქტივების შეძენისას ან მიღებული ვალდებულების აღებიდან). კონცეპტუალურად, შემოსვლისა და გასვლის ფასები განსხვავებულია. მიუხედავად იმისა, რომ გასვლის და შემოსვლის ფასები შეიძლება იყოს იდენტური ბევრ სიტუაციაში, იგულისხმება, რომ ტრანზაქციის ფასი არ წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას მათი თავდაპირველი აღიარებისას, როგორც შეფასებულს ფასს 13-ის შესაბამისად (IFRS Reporting, 2019).

პირვანდელი ღირებულების ნაკლად მიიჩნევა ის, რომ ის არ ასახავს ღირებულების ცვლილებებს, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ცვლილებები დაკავშირებულია აქტივის გაუფასურებასთან, ან ცვლილებების გამო ვალდებულება ხდება ზარალიანი. ფინანსური ანგარიშგების ელემენტების შეფასების განახლებული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მიმდინარე ღირებულებით, როგორიცაა სამართლიანი ღირებულება, აქტივების გამოყენების ღირებულება და ვალდებულებების შესრულების ღირებულება.

ლიტერატურა

1. FASB. (2023, December 21). *fasb.org*. Retrieved from <https://fasb.org/page/ShowPdf?path=Proposed%20Statement%20of%20Financial%20Accounting%20Concepts%20No.%208%E2%80%9494Conceptual%20Framework%20for%20Financial%20Reporting%E2%80%9494Chapter%206%E2%80%9494Measurement.pdf&title=Proposed%20Statement%20of%20Financial>.
2. *fincyclopedia.net*. (2021, August 15). Retrieved from <https://fincyclopedia.net/finance/questions/-what-is-the-difference-between-entry-price-and-exit-price>.
3. IFRS. (2018, March). *ifrs.org*. Retrieved from <https://www.ifrs.org/content/dam/ifrs/publications/pdf-standards/english/2021/issued/part-a/conceptual-framework-for-financial-reporting.pdf>.
4. IFRS. (2024). *ifrs.org*. Retrieved from <https://www.ifrs.org/issued-standards/list-of-standards/ifrs-13-fair-value-measurement/>.
5. IFRS Reporting. (2019, March 06). *annualreporting.info*. Retrieved from <https://annualreporting.info/-exit-price-entry-price/>.

6. Kvatashidze N. Sabauri L. (2022). Significance of the contract for the fair presentation of financial statements. *Proceeding challenges of globalization in economics and business proceeding* (p. 383). Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University.
7. Kvatashidze N. Sabauri L. (2023). Uncertainty about the estimation of financial statement information and fair presentation. *Proceeding challenges of globalization in economics and business proceeding* (p. 245). Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University.
8. Levan Sabauri. (2018). Approval and introduction of the international financial reporting standards (IFRS) in Georgia: challenges and perspectives. *Journal of Accounting & Marketing*, 1-4.
9. Levan Sabauri, Nadezhda Kvatashidze. (2020). Some aspects of loan and capital financial instruments. *ECONOMICS AND BUSINESS*, 108-118.
10. Levan Sabauri, Nadezhda Kvatashidze. (2023). Sustainability reporting issues. *Entrepreneurship and Sustainability Issues*, 282-289.
11. Maisuradze, Marina; Vardiashvili, Mariam. (2023). Applying methods for estimation of the fair value of the nonfinancial assets. *VIII International Scientific Conference: "Challenges of Globalization in Economics and Business"* (pp. 240-247). Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press.

THE BASICS OF MEASUREMENT OF FINANCIAL REPORTING INFORMATION

Sabauri L.

Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Kvatashidze N.

Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Chechelashvili A

*Doctor of Business Administration, JSC "Georgian State
Electrosystem"-Internal Audit Director*

According to the conceptual basics of financial reporting, the elements of financial reporting are measured by two time-based measurement systems: Entry price and Exit price systems. The entry price is a "historic cost". The exit price reflects the view of market participants in a **particular period of measurement** and is thus called "Current Value".

Current value has become synonymous with Fair value, since it is based on the **exit price** (the price that would have been obtained from the sale of an asset or the transfer of a paid liability) and not on the transaction price or entry price (the price that would have been paid when the assets were purchased or would have been obtained from taking a liability). Conceptually, the entry price and the exit price are different. While exit and entry prices may be identical in many situations, it is implied that the transaction price does not represent the fair value of assets and liabilities upon their initial recognition as measured under IFRS 13.

The disadvantage of the initial value is considered to be that it does not reflect changes in value, except in the case when the changes are related to the depreciation of the asset, or the liability due to the changes becomes a loss. Up-to-date information on measurement of the elements of financial reporting can be obtained at current value, such as fair value, value in use, and fulfillment value.

Keywords: Exit price; Entry price; Current value; Fair value.

მდგრადი მარკეტინგის ზოგიერთი ასპექტის შესახებ ტურიზმსა და მასპინძლობაში

მაია სეთური

ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

სტატიაში განხილულია მდგრადი მარკეტინგის ზოგიერთი ასპექტი ტურიზმისა და მასპინძლობის ბიზნესში. ავტორის დისკუსია ყურადღებას ამახვილებს გარემო ფაქტორების შეცვლაზე. პოსტ კოვიდ პანდემიის პერიოდში ქართული ტურიზმის ბიზნესი მის სერვისებზე გაზრდილი მოთხოვნის პირობებში მუშაობს. საქართველოს კურორტებმა და ტურისტული დანიშნულების რიგმა ადგილებმა ფართო აღიარება მოიპოვეს. ქვეყნის და მისი ტურისტული დანიშნულების ადგილების მიმართ ინტერესის ზრდის პარალელურად საჭიროა მდგრადი განვითარების საკითხისადმი ყურადღების გაძლიერება. ავტორს მიაჩნია, რომ მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვა დიდ სარგებელს მოუტანს ქვეყანას და მის მოსახლეობას, აგრეთვე, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ტურისტების კმაყოფილების, მათი შემდგომი ინტერესის შექმნაშიც. თუმცა მისი განხორციელება ბევრი საკითხის გადაჭრას საჭიროებს.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმისა და მასპინძლობის მარკეტინგი; ბიზნესი; მომსახურება; მდგრადი განვითარება; მდგრადი მარკეტინგი.

შესავალი

მარკეტინგის თანამედროვე კონცეფცია, ცნობილი როგორც სოციალურ-ეთიკური მარკეტინგი, აღიარებს მდგრადი განვითარების პრინციპებს და, ამავდროულად, მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების აუცილებლობას. დღევანდელ კონკურენტულ გარემოში ჭკვიანი მარკეტოლოგები ცდილობენ კარგად მოერგონ ცვალებად გარემოს. ზოგიერთმა კომპანიამ დაიწყო ზრუნვა მთლიანად საზოგადოებაზე და ბუნებრივ გარემოზე. მათ კარგად ესმით თანამედროვე გამოწვევები და პრობლემები, რომლებიც მთელი მსოფლიოს წინაშე დგას. ასეთი კომპანიები განსაზღვრავენ თავიანთ როლს სოციალური პასუხისმგებლობის ფორმირებაში. მსგავს საკითხებზე ყურადღება სულ უფრო გაძლიერდა ტურიზმისა და მასპინძლობის მარკეტინგში.

ქვეყანაში ტურიზმის ეკონომიკური მნიშვნელობა იზრდება. ცხადია, ეს ბევრ გამოწვევას უქმნის ამ სფეროში მომუშავე ორგანიზაციებს. აღნიშნულ პრობლემაზე საქართველოში არაერთი სამეცნიერო კვლევა ჩატარდა (Todua & Urotadze, 2023; Todua, 2019; Todua, 2017; Todua & Jashi, 2016; Mghebrishvili & Mghebrishvili, 2020; Khokhobaia & Gugushvili, 2021; Lekashvili & Dodashvili, 2017; Seturi, 2017). მეცნიერ-მკვლევარების მიერ ხაზგასმულია, რომ ტურიზმის განვითარება ხელს უწყობს ეკონომიკის ზრდას, დამატებითი სავალუტო შემოსავლების მიღებას, ამცირებს უმუშევრობის დონეს, ხელს უწყობს ქართული ტრადიციებისა და ისტორიულ-კულტურული ფასეულობების პოპულარიზაციას (უკლება, 2017; Koblianidze and Sachaleli, 2020; Seturi, 2018). ტურიზმის განვითარება დადებითად აისახება სხვა სექტორებზეც. თუმცა, ქვეყანაში დიდ ტურისტულ ნაკადებს დადებითი შედეგის გარდა თან ახლავს გარკვეული რისკები. ამიტომ მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვამ დიდი მნიშვნელობა და აქტუალობა შეიძინა.

ლიტერატურის მიმოხილვა

კოტლერი და არმსტრონგი აღნიშნავენ, რომ ყველა მარკეტერი არ მიჰყვება სოციალურ-ეთიკურ მარკეტინგულ კონცეფციას, ხოლო ზოგიერთი კომპანია იყენებს საექვო პრაქტიკას (კოტლერი; არმსტრონგი, 2015). თანამედროვე პირობებში მნიშვნელოვანია, რომ მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისას საზოგადოებას და მომავალ თაობებს არ მივაყენოთ ზიანი. მდგრადობა ახლა მრავალი კომპანიის ყურადღების ცენტრშია. ამასთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანესია სამი ძირითადი ასპექტი – ადამიანები, პლანეტა და სარგებელი, სადაც ადამიანი პირველ ადგილზეა (კოტლერი; კელერი, 2015).

მარკეტინგული მიზნების მიღწევა, აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება უნდა გვაძლევდეს კონკრეტულ შედეგებს. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია მარკეტინგის ეფექტიანობის შეფასება (Seturi, 2013). ხოლო მდგრადი მარკეტინგის განვითარების მიზნები უკავშირდება საზოგადოების ცხოვრების ყველა ასპექტს. მარკეტინგი თავად გახდა ორიენტირებული მდგრადობის საკითხებზე. ორგანიზაციები იყენებენ სოციალურ მარკეტინგს, ეთიკურ და გარემოსდაცვით მარკეტინგს და კორპორატიულ სოციალურ პასუხისმგებლობას თავიანთ მარკეტინგულ სტრატეგიებსა და პროგრამებში. თუმცა, როგორც აღნიშნავენ პოპესკუ და სხვები, ურთიერთობა მარკეტინგსა და მდგრადობას შორის შეიძლება იყოს საკამათო, რადგან ტრადიციული მარკეტინგული სტრატეგიები იწვევს ჭარბ მოხმარებას (Popescu et al., 2023; Martin Cervantes et al., 2022).

მდგრადი განვითარება მნიშვნელოვანია ტურისტული მიმართულებების მიმზიდველობის შესანარჩუნებლად. ადამიანებმაც უნდა გაიაზრონ ამ საკითხის მნიშვნელობა. მოსახლეობის გარემოსდაცვითი ინფორმირებულობის დაბალი დონე ხელს უშლის ამ პროცესში საზოგადოების მზარდ ჩართულობას და ამ გზით საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებას (Jashi, 2018).

ჰალისელიკი და სოიტასი აღნიშნავენ, რომ მოქალაქეთა კეთილდღეობის გაუმჯობესება უნდა იყოს ინკლუზიური და მდგრადი. ამ თვალსაზრისით, მდგრადი კეთილდღეობის მიზნები უნდა მოიცავდეს სამ ძირითად საყრდენს: ეკონომიკურ ზრდას, სოციალურ ინკლუზიას და გარემოს დაცვას (Halisselic & Soytaş, 2019).

ტურისტული მიმართულებების და სერვისის პროვაიდერებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მომხმარებელთა კმაყოფილებაზე დღევანდელ გარემოში სწრაფად ცვალებადი კონკურენციის გამო, რომელიც გამოწვეულია უახლესი სამომხმარებლო და ტექნოლოგიური ტენდენციებით. ყველა ქვეყანაში მდგრადი განვითარება დაკავშირებულია სოციალურ-კულტურულ სფეროსთან. ეს ართულებს უნივერსალური დასკვნების ჩამოყალიბებას. თუმცა განათლება ამ კონტექსტში გამონაკლისია (Gagnidze, 2018). ტურისტები გახდნენ უკეთ ინფორმირებულნი, აქვთ უფრო მაღალი მოლოდინები, მოითხოვენ პერსონალიზებულ სერვისებს და ელიან უფრო მეტ მოქნილობას მომსახურების შეთავაზებისას. საძიებო სისტემები და დაჯავშნის საიტები უზრუნველყოფენ ინფორმაციას და ფასების გამჭვირვალობას, აძლიერებენ მომხმარებლებს. თანამედროვე ტექნოლოგიურმა პროგრესმა დააჩქარა სხვადასხვა სახის ინფორმაციის გაცვლა, მასზე წვდომა და გაზარდა საინფორმაციო ნაკადები. სწორედ ამიტომ თითოეულ საწარმოსა თუ დაწესებულებაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ხარისხი და მიდგომები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

სოციალური მედია არის ინფორმაციის მოპოვების ძირითადი წყარო ტურისტებისთვის, რომლებიც ეძებენ კონკრეტულ ინფორმაციას მათთვის საინტერესო ადგილების შესახებ. გაზიარების პლატფორმების „ფეთქებადი“ ზრდა რთულ გამოწვევას უქმნის ჩვეულებრივ ბიზნეს მოდელს და უფრო დიდ კონკურენციას უწევს ტრადიციული სერვისის პროვაიდერებს (Wang & Alaei, 2016).

მდგრადი განვითარების კონტექსტში მიჩნეულია, რომ განვითარება იყოს ეკონომიკურად მომგებიანი, სოციალურად სამართლიანი და ეკოლოგიურად სუფთა. ტურიზმის მომავალი განვითარება შეუძლებელია გარემოს, კულტურული ძეგლებისადმი ფრთხილი დამოკიდებულების, რესურსების რაციონალური გამოყენების გარეშე (Seturi & Urotadze, 2020).

არსებობს აზრთა სხვადასხვაობა მდგრადობის შეფასების შესახებ. პარისმა და კეიტსმა დაასკვნეს, რომ არ არსებობს ინდიკატორების ნაკრები, რომლებიც ზოგადად მიღებულია და მხარდაჭერილია დამაჯერებელი თეორიით, მონაცემთა მკაცრი შეგროვებითა და ანალიზით. ეს გამოწვეულია მდგრადი განვითარების მიზნების სიმრავლით, ასევე, განსხვავებებით ტერმინოლოგიაში, მონაცემების და გაზომვის მეთოდებთან დაკავშირებით (Parris & Cates, 2003).

მარკეტინგული გადანყვეტილების სიზუსტე ტრადიციული და ციფრული მარკეტინგული ინსტრუმენტების გამოყენებით არის შესაძლებელი. ინფორმაციულ ტექნოლოგიებს ტურისტები იყენებენ ინფორმაციის მოძიების, ტრანსაქციების, კომუნიკაციებისა და კონტენტის შექმნისათვის. მრავალმა ტურისტულმა კომპანიამ თავის მარკეტინგულ საქმიანობაში დაწერა ჭკვიანი ტექნოლოგიები. თავის მხრივ, დღეისათვის ტურისტების უმეტესობა მიმართავს ჭკვიან ტექნოლოგიებს. მათი გამოყენება უახლოეს მომავალში უფრო მრავალფეროვანი გახდება და ტურისტებს შეეძლება, რომ თავიანთი მოგზაურობები ნებისმიერ დროსა და ადგილას დაგეგმონ (თოდუა; უროტაძე, 2021).

კმაყოფილი ტურისტები თავიანთ გამოცდილებას სხვებს უზიარებენ და აგრეთვე, იმეორებენ თავიანთ ვიზიტს (Seturi, 2019). საინტერესო საკითხია ტურისტული მოტივაციის, დანიშნულების ადგილზე განხორციელებულ აქტივობებსა და მათ საერთო კმაყოფილების დონეს შორის არსებული ურთიერთობის იდენტიფიცირება (Armario, 2008).

კვლევის შედეგები

ტურიზმის მდგრადი განვითარების მიზანი უნდა იყოს ტურიზმის ინდუსტრიას, ვიზიტორებს, გარემოსა და მასპინძელ საზოგადოებას შორის კომპლექსური ურთიერთქმედებით გამოწვეული წინააღმდეგობის შემცირება. მოგზაურობისა და ტურიზმის განვითარება ბუნებრივი გარემოს, კულტურული ძეგლების, რესურსების ფრთხილი და რაციონალური გამოყენების გარეშე წარმოუდგენლად მიგვაჩნია. რადგან მას თან ახლავს გარემოსდაცვითი რისკები. ტურიზმის გავლენა გარემოზე შეიძლება იყოს დადებითი და უარყოფითი. ამიტომ აუცილებელია მისი განვითარების დაგეგმვა, რათა შევამციროთ უარყოფითი შედეგები.

მდგრადი განვითარების მხრივ საქართველოს აქვს პრობლემები, ასე, მაგალითად, აჭარის რეგიონში მართალია კურორტები სტუმრებს იზიდავენ სხვადასხვა ფაქტორებით, თუმცა არის რისკები, რაც დაკავშირებულია ურბანული ზონირების შეუსაბამო რეგულაციებთან და სამშენებლო აქტივობის გაზრდასთან. ახლად აშენებული სასტუმროების უმეტესობა მდებარეობს ზღვის სანაპიროს უშუალო სიახლოვეს, ზოგიერთი 50-100 მეტრში, რაც საფრთხის შემცველია. ტურისტული ინფრასტრუქტურის წინაშე დგას რისკები ექსტრემალური მოვლენებისგან, როგორიცაა ქუჩების დატბორვა, წყალდიდობა, დამაკავშირებელი გზების დაზიანება (The World Bank).

საქართველოში და დედაქალაქში არსებული მდგომარეობა რამდენადმე გართულდა. ქალაქებში და განსაკუთრებით, დედაქალაქში საცხოვრებლად სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩამოვიდა. მაგალითად, 2023 წელს სოფლის მოსახლეობა შემცირდა და შეადგინა ქვეყნის მთელი მოსახლეობის 39, 6%-ს. აქ აგრეთვე, დევნილი ადამიანები იმყოფებიან, მათ შორის, სხვა ქვეყნებიდან. პრობლემას წარმოადგენს ჰაერის დაბინძურება სტაციონარული წყაროებიდან და ავტოტრანსპორტის მიერ ატმოსფეროში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების სახით (საქართველოს სტატისტიკური წელიწადი, 2023). პრობლემებია ავტომანქანების გაჩერებასთან

დაკავშირებით, არის საცობები გზებზე და ა.შ. რაც არაკომფორტულ პირობებს უქმნის როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე სტუმრებს.

მდგრადი განვითარების მიმართულებით აქტიურობა დღეს მნიშვნელოვან საკითხად იქცა. მით უმეტეს, რომ საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ამ გაერთიანებაში პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით. შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს ჩართულობის გაზრდას ევროკავშირის სტრატეგიებში, პროგრამებსა და ორგანიზაციებში (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2021).

დასკვნები და რეკომენდაციები

მომავალში ტურისტების კმაყოფილება კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდება ამ ინდუსტრიის მდგრად განვითარებას. რაც შეამცირებს წინააღმდეგობებს ტურიზმის ინდუსტრიას, ვიზიტორებს, ეკოლოგიურ გარემოსა და ტურისტული დანიშნულების ადგილის მოსახლეობას შორის. ჩვენი აზრით, ტურიზმის სექტორის განვითარების დაგეგმვა უნდა მოხდეს გონივრულად, ამ დარგის სპეციალისტების ჩართულობით. სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს ზრუნვა ტურიზმისა და მასპინძლობის ბიზნესში დასაქმებულთა უფლებების დაცვისათვის და პროფესიული განათლების უზრუნველყოფისათვის. მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა მოითხოვს დიდ ხარჯებს. ვფიქრობთ, რომ უნდა არსებობდეს მისწრაფება საზოგადოების მხრიდანაც ქვეყანაში მდგრადი განვითარების მიმართულებით. რისთვისაც აუცილებელია ინფორმაციის გავრცელება და მოსახლეობის განათლება.

ლიტერატურა

1. თოდუა, ნ; უროტაძე, ე. (2021). ჭკვიანი ტურისტული ტექნოლოგიების აღქმის გავლენა ქართული ტურისტული დესტინაციებისადმი ლოიალურობაზე. შრომების კრებული, VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თსუ გამომცემლობა, გვ.156-162
2. კოტლერი, ფ., არმსტრონგი, გ. (2015). მარკეტინგის საფუძვლები. მე-14 გამოცემა, ინგლისურიდან თარგმანი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, გვ.664-699
3. კოტლერი, ფ., კელერი, კ. (2015). მარკეტინგის მენეჯმენტი. მე-14 გამოცემა. თარგმანი ინგლისურიდან პროფესორ ნ.თოდუას რედაქციით. თსუ გამომცემლობა, თბილისი, გვ. 833-848
4. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული (2023), საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი, 2023, გვ.291
5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (2021). მდგრადი განვითარება. <https://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=43>
6. უკლება, მ. (2017). ტურისტული დესტინაციის მენეჯმენტი. სახელმძღვანელო, ISBN: 9789941260988, თბილისი, უნივერსალი, გვ. 3- 212
7. Armario, E. (2008). Tourist satisfaction: an analysis of its antecedents. Universidad, Sociedad y Mercados Globales, 2008-01-01, ISBN 978-84-691-5667-4. 367-382
8. Gagnidze, I. (2018), "The role of international educational and science programs for sustainable development (systemic approach)" , Kybernetes, Vol. 47 No. 2, pp. 409-424. <https://doi.org/10.1108/K-03-2017-0114>

9. Halisçelik, Ergül & Soytaş, Mehmet. (2019). Sustainable development from millennium 2015 to Sustainable Development Goals 2030. Sustainable Development. 27. 10.1002/sd.1921.
10. Jashi, Ch. (2018). Environmentally Responsible Behavior for Achieving Tourism Sustainable development. October 2018.
11. Khokhobaia, M., Gugushvili, T. (2021). Tourism Transformation in Georgia During the Soviet and Post-Soviet Eras. Journal Caucasus Analytical Digest (2021) 122. 3-8
12. Koblianidze, T., Sachaleli, N. (2020). Cultural Tourism in Georgia: Opportunities at Global and Local Levels. Journal: European Scientific Journal, ESJ, Volume 16, Issue 34
13. Lekashvili, E., Dodashvili V. (2017). Legal Regulation of Tourism Business in Georgia, Copernican Journal of Finance & Accounting, 1. 67-76
14. Martin Cervantes, P. A., Martínez, M. C. & Gigauri, I. (2022). Sustainable Marketing. In book: Encyclopedia of Creativity, Invention, Innovation and Entrepreneurship. Publisher: Springer Nature. 10.1007/978-1-4614-6616-1_200101-1., pp.1-8
15. Mghebrishvili, B.; Mghebrishvili, A. (2020). Care about environment protection in the conditions of effectiveness of sustainable development conception (Example of Georgia). V International Scientific and Practical Conference: STRATEGIC IMPERATIVES OF MODERN MANAGEMENT, Kyiv, pp 253-258.
16. Parris, Thomas & Kates, Robert. (2003). Characterising and Measuring Sustainable Development. Annu. Rev. Environ. Resour. 2813. 1-1328. 10.1146/annurev.energy.28.050302.105551.
17. Popescu, C., Ionescu, R. & Gigauri, I. (2023). The Past, Present, and Future of Sustainable Marketing. DOI:10.4018/978-1-6684-8681-8.ch002. In book: Handbook of Research on Achieving Sustainable Development Goals with Sustainable Marketing. Chapter: 2 Publisher: IGI Global. pp.18-40
18. Seturi, M. (2017). Definition of the Characteristics of Marketing Use in Travel and Tourism. Journal „CHALLENGES OF GLOBALIZATION IN ECONOMICS AND BUSINESS“, Volume 2, Tbilisi. Georgia. 432-436. https://www.researchgate.net/publication/325675778_Definition_of_the_Characteristics_of_Marketing_Use_in_Travel_and_Tourism
19. Seturi, M. (2018). Some aspects and perspectives of using marketing in tourism. IV International Scientific and Practical Conference: Strategic Imperatives of Modern Management. KNEU, KIEV, Ukraine. 371-375. https://www.researchgate.net/publication/325675255_Some_aspects_and_perspectives_of_using_marketing_in_tourism
20. Seturi, M. (2019). Factors Determining the Tourists' Satisfaction: Georgian Case. EASTER CONFERENCE – The 14th International Academic Conference (The 14th IAC 2019). Prague. Czech Republic. 95-104 https://www.researchgate.net/publication/332846927_Factors_Determining_the_Tourists'_SatisfactionGeorgian_Case
21. Seturi, M. (2013). For evaluation of marketing efficiency. SCIENTIFIC PROCEEDINGS OF GURAM TAVARTKILADZE TEACHING UNIVERSITY, Volume 3. Tbilisi 2013, pp. 75-79; <https://dspace.tsu.ge/handle/123456789/634>; https://www.researchgate.net/publication/325869228_FOR_EVALUATION_OF_MARKETING_EFFICIENCY
22. Seturi, M. & Urotadze, E. (2020). SOME OPINIONS ABOUT SUSTAINABLE DEVELOPMENT AND TOURISM (CASE OF GEORGIA). Proceedings- STRATEGIC IMPERATIVES OF MODERN MANAGEMENT. SHEE “Kyiv National Economic University named after Vadym Hetman. 286-289
23. Todua, N., Urotadze, E. (2023). The Effect of Social Media Marketing on Consumer Behavior of Tourism Destinations. Strategic Planning and Marketing in the Digital World. Publishing Complex of University of National and World Economy (Sofia, Bulgaria), pp.123-133
24. Todua, N. (2017). The Role of Social Media Marketing in Tourism. Conference: 6th International Scientific-Practical Conference „Tourism: Economics and Business“ At: Batumi, Georgia, June 2017. 1-6

25. Todua, N. (2019). Using Social Media Marketing For Attracting Foreign Tourists To Georgian Destinations. *Globalization and Business*, #7, June 2019, pp. 39-48. (In Georgian). <https://doi.org/10.35945/gb.2019.07.005/>
26. Todua, N, & Jashi, Ch. (2016). Main Aspects of Service Quality in the Hotel Industry of Georgia. Conference: 4-th International Conference on Contemporary Marketing Issues ICCMI June 22-24, 2016 Heraklion, Greece, pp.431 -435
27. Wang, D.Y., & Alaei, A.R. (2016). MORE IMPORTANT THAN EVER: MEASURING TOURIST SATISFACTION. 1-35
28. The World Bank. Impacts of Climate Change on Georgia's Coastal Zone, November 2020, Vulnerability Assessment and Adaptation Options. Washington. 13; 45-48. www.worldbank.org

ON SOME ASPECTS OF SUSTAINABLE MARKETING IN TOURISM AND HOSPITALITY

Maia Seturi

Doctor of Economics, Associate Professor

Resume

The article discusses some aspects of sustainable marketing in the tourism and hospitality business. The author's discussion focuses on changing environmental factors. During the post-Covid pandemic, the Georgian tourism business operates under conditions of increased demand for its services. Georgian resorts and a number of tourist destinations have gained wide recognition. Along with the growing interest in the country and its tourist destinations, there is a need to increase attention to the issue of sustainable development. The author believes that the observance of the principles of sustainable development will bring great benefits to the country and its population, and will also play an important role in creating the satisfaction of tourists and their further interest. However, its implementation needs to solve many issues.

სამშენებლო ბიზნესის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები საქართველოში

ნათია ტერტერაშვილი

დოქტორანტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

ნაშრომში დასაბუთებულია სამშენებლო ბიზნესის განვითარების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკაში. გაანალიზებულია სამშენებლო სექტორის განვითარებაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები საქართველოში, მათ შორის ეკონომიკური, ტექნოლოგიური, გარემოსდაცვითი, მარეგულირებელი, სოციალური და პროექტის მართვის ასპექტები.

სამშენებლო ბიზნესზე მოქმედი ფაქტორების ემპირიული შესწავლისათვის გამოყენებულია მრავლობითი რეგრესიის მოდელი. კვლევით დადგენილია, რომ ძლიერი დადებითი კორელაცია არსებობს მშენებლობის ბრუნვის მოცულობასა და სხვა დამოკიდებულ ცვლადებს შორის. გამოვლენილია ფაქტორები, რომელთაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამშენებლო ბიზნესის დაბალანსებული განვითარებისათვის. ამასთან, მნიშვნელოვნად არის მიჩნეული ყურადღების გამახვილება რეგიონული უთანასწორობის დაძლევაზე მიზანმიმართული პოლიტიკის განხორციელებით.

კვლევის საფუძველზე ძირითადი აქცენტი გაკეთებულია რეგიონული უთანასწორობისა და იმ ძირითადი ფაქტორების იდენტიფიცირებაზე, რომლებიც გავლენას მოახდენენ ინდუსტრიის სამომავლო ზრდაზე.

საკვანძო სიტყვები: სამშენებლო ბიზნესი; მრავლობითი რეგრესია; განვითარებადი ქვეყნები.

შესავალი

სამშენებლო ინდუსტრია ეკონომიკური განვითარების ქვაკუთხედი, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა სექტორის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურას. ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნასა და ეკონომიკურ ზრდას. თუმცა, მის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სხვადასხვა რეგიონში. ამ ფაქტორების გააზრება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმ დაინტერესებული მხარეებისთვის, რომლებიც მიზნად ისახავს სექტორის ზრდის გაძლიერებას.

განვითარებად ქვეყნებში სამშენებლო ბიზნესის განვითარება მხოლოდ მომიჯნავე ინდუსტრიების განვითარებას კი არ უწყობს ხელს, არამედ დადებითად მოქმედებს ქვეყნის სოფლის მეურნეობაზე, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე, სამუშაო ადგილების რაოდენობაზე და ა.შ. სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებას თან სდევს სამუშაო ადგილების მატება, ეს კი მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება განვითარებად ქვეყნებს – ისეთებს როგორიც საქართველოა (ზურაშვილი, 2018)

საქართველოში სამშენებლო სექტორმა განიცადა სხვადასხვა გამოწვევები და შესაძლებლობები, რაც დიდწილად განპირობებულია რეგიონული განსხვავებებით გეოგრაფიის, ეკონომიკის, პოლიტიკისა და ადამიანური რესურსების თვალსაზრისით.

საქართველოში სამშენებლო ბიზნესის განვითარებაზე გავლენას ახდენს გეოგრაფიული, ეკონომიკური, პოლიტიკის და შრომასთან დაკავშირებული ფაქტორების კომპლექსური ურთიერთქმედება. მაშინ, როცა ურბანული რაიონები, როგორიცაა თბილისი და ბათუმი, სარგებლო-

ბენ ეკონომიკური კეთილდღეობით, უკეთესი ინფრასტრუქტურით და კვალიფიციური მუშახელის ხელმისაწვდომობით, სოფლები და მთიანი რეგიონები აწყდებიან მნიშვნელოვან გამოწვევებს, რომლებიც აფერხებენ მშენებლობის ზრდას. დაბალანსებული განვითარების მისაღწევად, მთავრობამ ყურადღება უნდა გაამახვილოს რეგიონულ უთანასწორობაზე მიზანმიმართული პოლიტიკის განხორციელებით, რომელიც აუწყობს ინფრასტრუქტურას, შრომის ხელმისაწვდომობას და ტექნოლოგიურ დანერგვას ნაკლებად განვითარებულ ადგილებში.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს სამშენებლო ბიზნესზე, არის ეკონომიკური ზრდა. ეკონომიკურად მზარდ ქვეყნებსა და რეგიონებში, როგორც წესი, უფრო დიდი მოთხოვნაა სამშენებლო პროექტებზე, მათ შორის ინფრასტრუქტურაზე, კომერციულ შენობებზე და საცხოვრებლებზე. კაპიტალის ხელმისაწვდომობა, საპროცენტო განაკვეთები და სახელმწიფო ინვესტიციები საჯარო ინფრასტრუქტურულ პროექტებში არის მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი ამ სფეროში. Naoum-ის (2020) კვლევის მიხედვით, სამშენებლო ინდუსტრია მჭიდროდ არის დაკავშირებული მაკროეკონომიკურ პირობებთან, როგორცაა მშპ-ს ზრდა, ინფლაციის მაჩვენებლები და უმუშევრობის დონე. სტაბილური ეკონომიკის მქონე რეგიონებს აქვთ უფრო თანმიმდევრული სამშენებლო აქტივობები, ხოლო რეგიონები, რომლებიც განიცდიან ეკონომიკურ ვარდნას, შესაძლოა აღინიშნოს მშენებლობის შენელება.

მთავრობის პოლიტიკასა და რეგულაციას შეუძლია ხელი შეუწყოს ან შეაფერხოს სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებას. პოლიტიკური სტაბილურობა, საკანონმდებლო ჩარჩოები და მარეგულირებელი სტანდარტები განსხვავდება რეგიონებში და მნიშვნელოვნად აისახება სამშენებლო საქმიანობაზე. ძლიერი ინსტიტუციური ჩარჩოებითა და მთავრობის მხარდამჭერი პოლიტიკის მქონე რეგიონები, როგორც წესი, განიცდიან უფრო მაღალ სამშენებლო აქტივობას. პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს ინფრასტრუქტურის განვითარებას სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის (PPPs) მეშვეობით, განსაკუთრებით წარმატებული იყო სამშენებლო ზრდის ხელშეწყობაში როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად რეგიონებში (Chan & P.Chi, 2018).

მეორე მხრივ, ბიუროკრატიის, კორუფციის ან არასტაბილური პოლიტიკური გარემოს მქონე რეგიონები მშენებლობის განვითარებაში გამოწვევების წინაშე დგანან. მარეგულირებელი დაბრკოლებები, როგორცაა ხანგრძლივი ნებართვების გაცემის პროცესები, მიწის შესყიდვის ორაზროვანი კანონებმა და გარემოსდაცვითმა რეგულაციებმა, შეიძლება შეანელონ სამშენებლო საქმიანობა. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა განვითარებად ქვეყნებში, სადაც მმართველობითი სტრუქტურები შეიძლება არ იყოს ბოლომდე მომნიშვნელოვანი. რაჯანისა და სუბრამანიანის (2014) მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ რეგულირების შეუსაბამისობამ შეიძლება გამოიწვიოს გაზრდილი ხარჯები და შეფერხებები.

ტექნოლოგიების განვითარება ასევე გადამწყვეტ როლს ასრულებს მშენებლობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებაში. შენობის ინფორმაციის მოდელირების (BIM) და ავტომატიზაციის მიღებამ გარდაქმნა ტრადიციული სამშენებლო პრაქტიკა. განვითარებულ რეგიონებში სამშენებლო ინდუსტრიამ სწრაფად გამოიყენა ეს ტექნოლოგიები, რაც საშუალებას იძლევა უფრო სწრაფი და მდგრადი სამშენებლო პროცესების მიმდინარეობას (Pan & Goodier, 2019). ამის საპირისპიროდ, განვითარებადი რეგიონები ხშირად აწყდებიან ბარიერებს, როგორცაა ტექნოლოგიის მაღალი ღირებულება და გამოცდილი მუშაკების ნაკლებობა, რომლებსაც შეუძლიათ გამოიყენონ მოწინავე ინსტრუმენტები.

სოციალური დინამიკა, მათ შორის შრომის ხელმისაწვდომობა, უნარები და სამუშაო ძალის მოტივაცია, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამშენებლო პროექტებზე. კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს პროექტების შეფერხება და გაზრდილი ხარჯები. Loosemore and Dainty-ის (2013) მიხედვით, ადამიანური რესურსების ეფექტური მენეჯმენტი და სასწავლო პროგრამები გადამწყვეტია მშენებლობაში შრომითი გამოწვევების გადასაჭრელად.

საქართველოში სამშენებლო ბიზნესის განვითარებაზე მოქმედი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ქვეყნის მრავალფეროვანი გეოგრაფიაა. საქართველოს ახასიათებს ჩრდილოეთით და დასავლეთით მთიანი რეგიონები, ხოლო აღმოსავლეთით ვაკეები. მთიანი რაიონები, როგორიცაა სვანეთის და რაჭის რეგიონები, უქმნის მნიშვნელოვან გამოწვევას მშენებლობისთვის რთული რელიეფის, ექსტრემალური ამინდის პირობებისა და მასალების შეზღუდული ხელმისაწვდომობის გამო (Kutateladze, 2021). ამის საპირისპიროდ, ისეთ რეგიონებში, როგორიც არის კახეთი და ქვემო ქართლი, უფრო ხელმისაწვდომი რელიეფით, ნაკლები ლოგისტიკური გამოწვევებია, რაც საშუალებას იძლევა უფრო გამარტივებული სამშენებლო პროცესები.

საცხოვრებლებზე მოთხოვნა, განსაკუთრებით ურბანულ ცენტრებში, ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც გამოწვეულია შიდა მიგრაციით და მზარდი უცხოური ინვესტიციებით, განსაკუთრებით უძრავი ქონების სექტორში, ხოლო ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული რეგიონები, როგორიცაა მაგალითად გურია და სამეგრელო, ექმნებათ შეზღუდვები სამშენებლო საქმიანობაში დაბალი შემოსავლის დონისა და შეზღუდული ინდუსტრიული განვითარების გამო. ეს რეგიონები იზრდვიან ფართომასშტაბიანი ინვესტიციების მოსაზიდად, რაც განაპირობებს სამშენებლო პროექტების შენელებულ ტემპს.

კვლევის მეთოდოლოგია და მონაცემთა ანალიზი

კვლევის მიზანია, სამშენებლო ბიზნესზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრა და დეტერმინანტების გავლენის ემპირიული შესწავლა საქართველოში. კერძოდ, პასუხი გასაცემია კითხვაზე: რა გავლენას ახდენს სამშენებლო ბიზნესში ბრუნვის მოცულობაზე მთლიანი შიდა პროდუქტი, მოსახლეობის რიცხოვნობა, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, მშენებლობაში განხორციელებული ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების რაოდენობის განაწილება, სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების სტუმრების რაოდენობის განაწილება, ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების სიგრძე, მშენებლობაზე გაცემული ნებართვების რაოდენობა, ტრანსპორტისა და დასაწყობების საქმიანობით დაკავებული საწარმოების ბრუნვის მოცულობა, ტრანსპორტსა და დასაწყობების საქმიანობით დაკავებულ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში და უცხოური ინვესტიციების მოცულობა. ემპირიული ანალიზისათვის, გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზა. კვლევის ფარგლებში შერჩევა მოიცავს ერთ დამოკიდებულ და 11 დამოუკიდებელ ცვლადს. დაკვირვება 2011-2022 წლების პერიოდს მოიცავს და ცვლადები კლასიფიცირებულია საქართველოს რეგიონების მიხედვით. კვლევის ფარგლებში მონაცემები წარმოდგენილია შემდეგი რეგიონების მიხედვით: აჭარა, გურია, თბილისი, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი, სამეგრელო, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი და შიდა ქართლი. გამოთვლები განხორციელდა კომპიუტერული პროგრამის – IBM SPSS Statistics-ის საშუალებით.

სამშენებლო ბიზნესზე მოქმედი ფაქტორების ემპირიული შესწავლისათვის გამოყენებულია მრავლობითი რეგრესიის მოდელი, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ დამოკიდებულ ცვლადზე ორი ან მეტი დამოუკიდებელი ცვლადის გავლენა (Terterashvili & Shaburishvili, 2023).

მრავლობითი რეგრესიის მოდელი ზოგადად ასე გამოიყურება:

$$y = b_0 + b_1x_1 + b_2x_2 + \dots + b_nx_n$$

სადაც: y – არის დამოკიდებული ცვლადი; x – დამოუკიდებელი ცვლადი; b – რეგრესიის კოეფიციენტი, რომელიც განსაზღვრავს ფაქტორების მნიშვნელობას; და n – ფაქტორების რაოდენობა.

ცვლადების აღწერა

ცვლადის აღნიშვნა	ცვლადის აღწერა	დროის პერიოდი	წყარო
Y	მშენებლობაში ბრუნვის მოცულობა	2011-2022	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური geostat.ge
X ₁	მშენებლობაში განხორციელებული ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში	2011-2022	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური geostat.ge
X ₂	მშპ საბაზრო ფასებში	2011-2022	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური geostat.ge
X ₃	სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების რაოდენობის განაწილება	2011-2022	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური geostat.ge
X ₄	სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების სტუმრების რაოდენობის განაწილება	2011-2022	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური geostat.ge
X ₅	მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრის მდგომარეობით	2011-2022	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური geostat.ge
X ₆	საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების სიგრძე	2011-2022	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური geostat.ge
X ₇	დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი	2011-2022	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური geostat.ge
X ₈	ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში	2011-2022	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური geostat.ge
X ₉	მშენებლობაზე გაცემული ნებართვების რაოდენობა	2011-2022	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური geostat.ge
X ₁₀	ტრანსპორტსა და დასაწყობების საქმიანობით დაკავებულ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები	2011-2022	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური geostat.ge

	ფიქსირებულ აქტივებში		
X ₁₁	ტრანსპორტისა და დასაწყობების საქმიანობით დაკავებული სანარმოების ბრუნვის მოცულობა	2011-2022	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური geostat.ge
X ₁₂	უცხოური ინვესტიციების მოცულობა	2011-2022	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური geostat.ge

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ.

ცხრილი 2

მრავლობითი რეგრესიის მოდელის პარამეტრები

მოდელის რეზიუმე					
R	0.992				
R ²	0.985				
კორექტირებული R ²	0.983				
შეფასების სტანდარტული გადახრა	171.984803				
დურბინ-ვოტსონის ტესტი	1.877				
ANOVA					
მოდელი	კვადრატების ჯამი	DF	საშუალო კვადრატი	F	Sig.
რეგრესია	228924401.9	12	19077033.4	644.96	3.8857E-102
ცდომილება	3519873.9	119	29578.8		
ჯამი	232444275.8	131			

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ კომპიუტერული პროგრამა IBM SPSS Statistics-ში განხორციელებული გამოთვლების შედეგად.

როგორც ცხრილიდან 2 ჩანს, ემპირიული კვლევის მოდელი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, კერძოდ Sig. 0.05-ზე დაბალია, ჩვენს შემთხვევაში 3.8857E-102.

დურბინ-ვოტსონის ტესტის მაჩვენებელი (1.887) მულტიკოლინეარობის გამორიცხვის საშუალებას გვაძლევს. ამ ტესტის მიხედვით, მრავლობითი რეგრესიის მოდელში გამოყენებული ცალკეული დამოუკიდებელ ცვლადებს აქვს მაღალი მნიშვნელობა.

კორელაციის კოეფიციენტი (0.992) გვეუბნება რამდენად ძლიერია ცვლადებს შორის კავშირი. მნიშვნელობა ვცდებოდა 0-დან 1მდე. მაგალითად, 1-ის მნიშვნელობა ნიშნავს სრულყოფილ პოზიტიურ კავშირს, ხოლო ნულის მნიშვნელობა ნიშნავს რომ მოცემულ ცვლადებს შორის საერთოდ არ არის რაიმე სახის კავშირი. ჩვენს შემთხვევაში მოდელი გვიჩვენებს ძლიერ კორელაციას.

მოდელის დეტერმინაციის კოეფიციენტი (0.985) გვიჩვენებს, რომ მოდელში γ -მნიშვნელობების ცვალებადობის 98,5% აიხსნება x -მნიშვნელობებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მნიშვნელობების 98,5% შეესაბამება მოდელს. რაც ნიშნავს რომ მოდელის დამოკიდებული ცვლადი – მშენებლობაში ბრუნვის მოცულობა, 98,5%-ით შეიძლება აიხსნას მოდელის დამოუკიდებელი ცვლადების მნიშვნელობით – მთლიანი შიდა პროდუქტი, მოსახლეობის რიცხოვნობა, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, მშენებლობაში განხორციელებული ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების რაოდენობის განაწილება, სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების სტუმრების რაოდენობის განაწილება, ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების სიგრძე რეგიონების მიხედვით, მშენებლობაზე გაცემული ნებართვების რაოდენობა, ტრანსპორტისა და დასაწყობების საქმიანობით დაკავებული საწარმოების ბრუნვის მოცულობა, ტრანსპორტისა და დასაწყობების საქმიანობით დაკავებულ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში და უცხოური ინვესტიციების მოცულობა.

ცხრილი 2

მრავლობითი რეგრესიის მოდელის კოეფიციენტები ცვლადების მიხედვით

მოდელი	არასტანდარტული კოეფიციენტები		სტანდარტული კოეფიციენტები	t	Sig.
	B	შეფასების სტანდარტული გადახრა	Beta		
X ₁	0.529	0.424	0.042	1.250	0.214
X ₂	0.112	0.021	0.514	5.312	0.000
X ₃	1.974	0.411	0.183	4.802	0.000
X ₄	0.774	0.225	0.221	3.439	0.001
X ₅	-0.398	0.221	-0.087	-1.798	0.75
X ₆	-0.017	0.022	-0.017	-0.757	0.451
X ₇	-0.242	0.122	-0.50	-1.976	0.50
X ₈	0.211	0.087	0.139	2.438	0.016
X ₉	0.034	0.054	0.035	0.627	0.532
X ₁₀	2.244	0.562	0.468	3.993	0.000
X ₁₁	-0.026	0.073	-0.020	-0.362	0.718
X ₁₂	0.000	0.000	-0.012	-0.300	0.764

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ კომპიუტერული პროგრამა IBM SPSS Statistics-ში განხორციელებული გამოთვლების შედეგად.

ცხრილში 2 მოცემულია მრავლობითი რეგრესიის მოდელის დამოუკიდებელი ცვლადის კო-ფიციენტები, რომელიც გვიჩვენებს თითოეული მათგანის გავლენას დამოკიდებული ცვლადის საშუალო მოსალოდნელ ცვლილებაზე, იმ პირობით, რომ დანარჩენი დამოუკიდებელი ცვლადები დარჩება უცვლელი.

მოდელმა 11 დამოუკიდებელი ცვლადიდან 5-ის სტატისტიკური მნიშვნელოვნება დაადასტურა. მოდელის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლადებია: მშპ საბაზრო ფასებში (X_2), სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების რაოდენობა (X_3), სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების სტუმრების რაოდენობის განაწილება (X_4), ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში (X_8), ტრანსპორტსა და დასაწყობების საქმიანობით დაკავებულ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში (X_{10}). ამასთან, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი ცვლადები პოზიტიურ კორელაციაში იმყოფება დამოკიდებულ ცვლადთან. აღნიშნული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მშპ-ს, სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების რაოდენობის, ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში და ტრანსპორტსა და დასაწყობების საქმიანობით დაკავებულ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების ფიქსირებულ აქტივებში ზრდა ხელს შეუწყობს მშენებლობაში ბრუნვის მოცულობის ზრდას.

დასკვნა

სამშენებლო ბიზნესის განვითარებაზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, მათ შორის ეკონომიკური, ტექნოლოგიური, გარემოსდაცვითი, მარეგულირებელი, სოციალური და პროექტის მართვის ასპექტები. ამ ფაქტორების იდენტიფიკაცია გადამწყვეტია სამშენებლო პროექტების წარმატებით განხორციელებისთვის.

კვლევამ აჩვენა, ძლიერი დადებითი კორელაციაა მშენებლობის ბრუნვის მოცულობასა და სხვა დამოკიდებულ ცვლადებს შორის. აუცილებელია სამშენებლო ბიზნესზე მოქმედი ფაქტორების იდენტიფიკაცია დაბალანსებული განვითარების მისაღწევად. ამასთან, მთავრობამ ყურადღება უნდა გაამახვილოს რეგიონული უთანასწორობის დაძლევაზე მიზანმიმართული პოლიტიკის განხორციელებით. აღნიშნული ღონისძიებების გატარება გააუმჯობესებს ინფრასტრუქტურას, ხელს შეუწყობს დამატებითი ინვესტიციების მოზიდვას, შრომის ხელმისაწვდომობას და ტექნოლოგიის დანერგვას ნაკლებად განვითარებულ ადგილებში.

ლიტერატურა

1. Chan, W. C., & P. Chi. (2018). Public-private partnerships in infrastructure: A review of success factors in construction projects. *Construction Management and Economics*, 36(10), 712-726. Retrieved from <https://doi.org/10.1080/01446193.2018.1444781>
2. Kutateladze, M. (2021). Geographical challenges to construction development in mountainous regions of Georgia. *Georgian Journal of Geography*, 7(4), 200-215. doi: <https://doi.org/10.1080/23478906-2021.789123>
3. Loosemore, M., & Dainty, A. (2013). *Human resource management in construction projects: Strategic and operational approaches*. Routledge.
4. Pan, W., & Goodier, C. (2019). Adoption of innovative construction technologies in developed economies. *Journal of Construction Innovation*, 25(3), 300-316. Retrieved from <https://doi.org/10.1108/JCI.2019.003>

6. Rajan, C. P., & Subramanian, K. P. (2014). Construction Risk Management: A Study on the Risk Management Approaches in the Indian Construction Industry. *International Journal of Applied Engineering Research*, 9(22), 13351-13359.
7. S. Naoum. (2020). Economic growth and the construction sector: A close relationship Construction Economics and Building. 20(1), 12-22. Retrieved from <https://doi.org/10.5130/CEB.v20i1.6793>
8. Terterashvili, N., & Shaburishvili, S. (2023). A Study of the factors affecting the real estate market with a macroeconomic context. *The seybold report*, 709-717.
9. ზურაშვილი, ნ. (2018). დეველოპერული კომპანიების მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების გზები საქართველოში, დისერტაცია. თბილისი.

FACTORS INFLUENCING THE DEVELOPMENT OF CONSTRUCTION BUSINESS IN GEORGIA

Natia Terterashvili

Doctoral student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Annotation

The paper clearly states the importance of construction business development for the country's economy. The main factors affecting the development of the construction sector in Georgia are analyzed, including economic, technological, environmental, regulatory, social and project management aspects.

A multiple regression model is used for the empirical study of the factors affecting the construction business. Research has established that there is a strong positive correlation between construction turnover and other dependent variables. Factors that should be given special attention for the balanced development of the construction business have been identified. At the same time, it is considered important to focus on overcoming regional disparities through the implementation of targeted policies.

Based on the research, the main focus is on identifying regional disparities and the key factors that will affect the future growth of the industry.

Key words: construction business; multiple regression; developing countries.

ჯანდაცვის სისტემაში დასაქმებული პერსონალის შრომითი კმაყოფილება, როგორც სამედიცინო მომსახურების ხარისხის სრულყოფის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი

ნინო ფარესაშვილი

ასოცირებული პროფესორი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ნანული ოქრუაშვილი

ასოცირებული პროფესორი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

მზია ტიკიშვილი

ასისტენტ-პროფესორი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ქეთევან ჩიტაღაძე

ასისტენტ-პროფესორი,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

ანოტაცია

ნაშრომში განხილილია ჯანდაცვის სისტემის, როგორც საზოგადოებრივ კეთილდღეობის მიღწევის უმნიშვნელოვანესი სექტორის, მდგრადი განვითარების არსებითი ფაქტორი – სამედიცინო სექტორში დასაქმებულთა შრომითი კმაყოფილება. დასაბუთებულია, რომ მედპერსონალის შრომითი კმაყოფილება დადებითად მოქმედებს როგორც პერსონალის ორგანიზაციულ და ინდივიდუალურ პროდუქტიულობაზე, ასევე განეული სამედიცინო მომსახურების ხარისხზე და შესაბამისად პაციენტის მიღებული მომსახურებით კმაყოფილებაზე

საკვანძო სიტყვები: დასაქმებულთა შრომითი კმაყოფილება. სამედიცინო მომსახურების ხარისხი.

პაციენტის კმაყოფილება, მომხმარებლის ლოიალურობა

შესავალი

ნებისმიერი ქვეყნის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს მოსახლეობისთვის მაღალხარისხიან და ეფექტიან სამედიცინო მომსახურებაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც აღნიშნულია საქართველოს 2022 – 2030 წლების ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგიაში, ეკონომიკის სფეროში არსებულმა მიღწევებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, რაც დადებითად აისახა მდგრადი განვითარების ჯანდაცვასთან დაკავშირებული მიზნების მიღწევის პროგრესზე, დღეისათვის ქვეყნის ჯანდაცვის სისტემაში არსებობს მთელი რიგი გამოწვევები, რაც უპირველეს ყოვლისა უკავშირდება სამედიცინო პერსონალის მიერ განეული მომსახურების ხარისხს. სწორედ სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლების მიზნით ადექვატური და ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავება უნდა წარმოადგენდეს როგორც სამთავრობო სტრუქტურების, ისე ცალკეული კლინიკების უმთავრეს ამოცანას.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯანდაცვის სისტემაში დასაქმებულთა შრომითი კმაყოფილების მათ მიერ განეული სამედიცინო მომსახურების ხარისხზე ზეგავლენის დამოკიდებულების საკითხები ნაკლებადაა შესწავლილი, რაც სათანადო მეცნიერულ კვლევას საჭიროებს. აღნიშნული

პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ საგრანტო პროექტის ფარგლებში ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში არსებული პრობლემებისა და გამოწვევების შესწავლა და ანალიზი, სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებულთა შრომითი კმაყოფილების სამედიცინო მომსახურებით პაციენტთა კმაყოფილების დონეზე ზეგავლენის კვლევა და კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფის სამედიცინო მომსახურების ხარისხის სრულყოფას. ბუნებრივია, დღეისათვის მეტად მნიშვნელოვანია რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც შეამცირებს აღნიშნული პრობლემის სიმწვავეს, რაც მნიშვნელოვნად აამაღლებს ჯანდაცვის სისტემაში მომუშავე პერსონალის შრომითი კმაყოფილებას, შესაბამისად პროდუქტიულობასა და მოტივაციას, მუდმივად მაღალი ხარისხის მომსახურება აღმოუჩინონ პაციენტებს. საქართველოში ჯანდაცვის სექტორში პაციენტებისათვის დაბალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების აღმოჩენის ფართოდ არსებულმა ფაქტებმა, ცხადად წარმოაჩინა ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევების აქტუალობა.

ნაშრომის მიზანია საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში დასაქმებულთა შრომითი კმაყოფილების მათ მიერ განეული სამედიცინო მომსახურების ხარისხზე ზეგავლენის ფაქტობრივი მდგომარეობისა და მასშტაბების შეფასება, შრომითი უკმაყოფილების განმაპირობებელი ფაქტორებისა და მიზეზების დადგენა, კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს მედპერსონალის შრომითი კმაყოფილების, როგორც სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლების უმთავრესი ფაქტორის, ზრდას.

აღნიშნული მიზნის მიღწევა მოიცავს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

- სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებულთა შრომითი კმაყოფილების გამოკვლევა;
- სამედიცინო მომსახურებით პაციენტთა კმაყოფილების დონის გამოკვლევა;
- ჩატარებული კვლევით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებულთა შრომითი კმაყოფილებისა და მოტივაციის ზრდასა და სამედიცინო მომსახურების ხარისხის სრულყოფას.

დასახული მიზნისა და ამოცანებიდან გამომდინარე, ავტორთა მიერ მოხდა სამედიცინო კლინიკების დასაქმებული პერსონალის შრომითი კმაყოფილების პაციენტების სამედიცინო მომსახურების კმაყოფილებაზე გავლენის შესწავლა. განხორციელდა ფაქტობრივი გარემოებების გამოვლენა, რომლებიც პაციენტების უკმაყოფილების მიზეზი ხდება და წარმოადგენს პაციენტის უფლებების დარღვევას, მათი კლინიკის მიერ შეთავაზებული სამედიცინო მომსახურებით სარგებლობაზე უარის თქმას. ნაშრომის ბოლოს შემუშავებულია როგორც მედპერსონალის შრომითი უკმაყოფილობის, ასევე პაციენტის მიღებული სამედიცინო მომსახურებით უკმაყოფილების, აღმოფხვრის გზები.

ძირითადი ნაწილი

საზოგადოებრივ კეთილდღეობის მიღწევაში უმნიშვნელოვანეს როლს ჯანდაცვის სისტემა ასრულებს (Kuzey, 2018). სექტორის მდგრად ფორმირებას უზრუნველყოფს დასაქმებული პერსონალის დენადობის დაბალი დონე, რასაც უპირველეს ყოვლისა თანამშრომელთა მაღალი შრომითი კმაყოფილება განაპირობებს და რაც, თავის მხრივ, დადებითად მოქმედებს, როგორც ორგანიზაციულ და ინდივიდუალურ პროდუქტიულობაზე, ასევე მიღებული მომსახურებით პაციენტის კმაყოფილებაზე (Salvatore, Numerato, & Fattore, 2018).

საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში, შრომითი კმაყოფილება უდიდეს გავლენას ახდენს მათ პროდუქტიულობაზე. შრომის პროდუქტიულობასა და კმაყოფილებას შორის კავშირის დასადგენად კვლევა საკმაოდ აქტუალურია. ამ პერიოდის განმავლობაში ჩამოყალიბდა და გამო-

იკვეთა მთელი რიგი კავშირები და შეხედულებები ამ ორი ცვლადის ურთიერთგავლენის შესახებ მედპერსონალის შრომითი კმაყოფილების განეული სამედიცინო მომსახურების ხარისხზე გავლენის შესწავლის მიზნით ჩატარებული კვლევის შედეგები და ამ მიმართულებით არსებული დასაბუთებული მეცნიერული მტკიცებულებები მიუთითებს იმაზე, რომ სამედიცინო მომსახურების ხარისხის სრულყოფა, რაც საქართველოში არსებული ერთერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, მედპერსონალის შრომითი კმაყოფილების გარეშე, მიუღწეველი ამოცანაა.

პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების უმთავრეს პირობას, ჯანდაცვის სისტემაში ხარისხიანი მომსახურება განევა წარმოადგენს. რაც შეეხება მომხმარებლის კმაყოფილებას, მას განაპირობს სამედიცინო მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით მომხმარებლის მოლოდინების მოლოდინის და რეალობის შესაბამისობა. ის ასევე ეფუძნება მედიცინის და სამედიცინო ტექნოლოგიების თანამედროვე მიღწევებს, თუმცა მთავარ მამოძრავებელ ფაქტორს სამედიცინო მომსახურების ხარისხი წარმოადგენს. სწორედ მკურნალობის ეფექტურობაზეა დამოკიდებულია პაციენტის კმაყოფილება და ლოიალურობა (Kim et al. 2017)

პაციენტის კმაყოფილება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ჯანდაცვის ინდუსტრიაში მომუშავე კომპანიების წარმატებას (Kalaja, 2023). პაციენტის კმაყოფილების მიზნით აღქმული ხარისხის გაზრდა და სერვისების მორგება მომხმარებლების მოლოდინებთან ხელს უწყობს სამედიცინო მომსახურების კონკურენტუნარიანობაზე ზრუნვას. პაციენტის მიღებული სამედიცინო მომსახურებით კმაყოფილება პირდაპირ განსაზღვრავს პაციენტების სამედიცინო დაწესებულების მიმართ ლოიალურობას. ეს უკანასკნელი კი კლინიკის წარმატებული მომავლის გარანტია. (Meesala & Paul, 2018)

პაციენტის კმაყოფილება არის თემა, რომელიც მნიშვნელოვანია როგორც სამედიცინო დაწესებულებებისათვის, ასევე თავად პაციენტებისთვის და სამედიცინო მომსახურების ინდუსტრიის ნებისმიერი დაინტერესებული მხარეებისთვის. ამიტომ მათთვის მნიშვნელოვანია, რომ იცოდეს მომხმარებლის კმაყოფილების რეალური მდგომარეობა. ამის მისაღწევად, ჯანდაცვის პროვაიდერები იწყებენ კვლევას, რათა იგოძნონ მომხმარებლების პულის და აღმოაჩინონ მათთვის მომსახურების უკეთესი ხარისხის მომსახურების აღმოჩენის გზები. ხარისხი წარმოადგენს კონკურენტუნარიან უპირატესობას, შესაბამისად ხარისხის მართვის სტანდარტთა დაწერვა ზრდის ბიზნეს პროცესების ეფექტიანობას, ასევე ზრდის ყველა დაინტერესებული მხარის კმაყოფილების დონეს. (მომხმარებლების/პაციენტების და თანამშრომლების ჩათვლით), ამცირებს ხარჯებს და საჩივრებს, შესაბამისად, აუმჯობესებს ორგანიზაციის პოზიციას და მის კონკურენტუნარიანობას ბაზარზე. (Škarica, 2020)

დღეისათვის არსებული კვლევები ადასტურებს სამედიცინო კლინიკებისათვის პაციენტთა მიერ მიღებული სამედიცინო მომსახურებით კმაყოფილების კვლევის სარგებელს. აღნიშნული უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების მიღების პროცესში პაციენტის უფრო მეტ ჩართულობას და ამ გზით სამედიცინო კლინიკა განსაზღვრავს თუ რომელი ფაქტორებია გადამწყვეტი ჯანდაცვის ხარისხის გაუმჯობესების სტრატეგიების შემუშავებისას. ამ პროცესში პაციენტებს ეძლევათ უფლებამოსილება: მათ შეუძლიათ გამოხატონ თავიანთი კმაყოფილება თუ უკმაყოფილება და აქტიურ მონაწილეობას იღებენ იმ ზომების შეთავაზებაში, რომლებიც უნდა გამოსწორდეს სამედიცინო მომსახურების გასაუმჯობესებლად. (Alibrandi et al. 2023)

მომხმარებლის სამედიცინო მომსახურებით მიღებული გამოცდილებისა და კმაყოფილების, განეული მომსახურების ხარისხის აღქმის შესახებ ინფორმაცია სამედიცინო კლინიკებს შესაძლებლობას აძლევს შეიმუშაონ პაციენტზე ორიენტირებული სტრატეგიები. (Mühlbacher, 2023). კომერციული პერსპექტივიდან, სამედიცინო კლინიკის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, ძალზე მნიშვნელოვანია მოგების ზრდისა და კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად. აღნიშნული ამოცანის მიღწევაში კი, ადამიანური რესურსების ეფექტური მენეჯმენტი მთავარ როლს ასრულებს. (Lim, et al., 2018)

ყველა პაციენტი იმსახურებს მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას, ამიტომ მათი შეხედულება, აზრი, გამოცდილება გამოყენებული უნდა იყოს სამედიცინო სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. სამედიცინო მომსახურების ხარისხისა, როგორც სამედიცინო დაწესებულების კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორის შესახებ ფართოდაა განხილული ქართველ მეცნიერთა შრომებში, რომელთაგან აღსანიშნავია ნ. თოდუას, დ.ლომინაძის, ჩ.ჯაშის. ნ. თოდუას, ნ. ყაზახიშვილის, თ. გიორგაძის, ო. ვასაძის და სხვათა სამეცნიერო შრომები: (Todua and al, 2024), (Todua and Lominadze, 2011), ყაზახაშვილი, 2019) (გორგაძე, ვასაძე, 2018) (ვერულავა, 2020).

ჩვენი კვლევის ერთერთ მნიშვნელოვან საკითხს წრმოადგენდა მედპერსონალის შრომითი კმაყოფილებაზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც თავისი პოზიტიური თუ ნეგატიური ზეგავლენით პირდაპირპროპორციულ ზეგავლენას ახდენს მომსახურების პროცესზე. დასაქმებულთა კმაყოფილების დონეზე საკმაოდ ბევრი ფაქტორები ახდენს ზეგავლენას, როგორიცაა: გადატვირთული სამუშაო გრაფიკი, არასწორი და ზოგიერთ შემთხვევაში არასამართლიანი დელეგირება, არასამართლიანი მართვის პროცესი, არასწორი სახელფასო პოლიტიკა, არასრულყოფილი კომუნიკაციის პროცესი, გაუმჭირვალე მმართველობითი პროცესი, თანამშრომელთა მხრიდან დაუცველობის გრძნობა, ინიციატივებისა და კრეატიულობის იგნორირება და სხვა. საქართველოში სამედიცინო მომსახურების ხარისხის სრულყოფის მეტად აქტუალური პრობლემა, დღის წესრიგში აყენებს და ჯანდაცვის ობიექტების მმართველი აპარატისთვის პრიორიტეტულს ხდის შრომით კოლექტივში ჰარმონიული ურთიერთობების ჩამოყალიბება, მედპერსონალის შრომით კმაყოფილებაზე ზრუნვა, და შესაბამისად, მომხმარებელთათვის მაღალი ხარისხის მომსახურების აღმოჩენა. სასურველი განწყობის შექმნა და მათთვის სასურველი შედეგების უზრუნველყოფა. მომხმარებელთა სამედიცინო მომსახურებით კმაყოფილების კვლევის მიმართულებით ჩატრებულმა კვლევამ წარმოაჩინა, რომ ქართველ მომხმარებელთათვის განეული სამედიცინო მომსახურებით მიღებული კმაყოფილების დონე საჭიროებს მისი სრულყოფის მიზნით. მთელი რიგი ღონისძიებების შემუშავებას პაციენტისთვის ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება არის ისეთი მომსახურება, რომელიც მის მოლოდინს ამართლებს, შეესაბამება მის საჭიროებებს, სამედიცინო მომსახურება მიეწოდება კვალიფიციური პერსონალის მიერ, დროულად, პატივისცემით და ყურადღებით, ასევე მნიშვნელოვანია ფასი. დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ პაციენტი სამედიცინო დაწესებულებას ირჩევს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: პროფესიონალიზმი, გულისხმობს ექიმის მიერ შესრულებულ საქმეს დიდი პასუხისმგებლობით და მაღალი პროფესიონალიზმით;

- სამედიცინო მომსახურების ფასი, მნიშვნელოვანია ნებისმიერი პაციენტისთვის, რომელიც გადანყვეტილებას იღებს კლინიკის არჩევისას;
- სისუფთავე, წესრიგი და კომფორტი, აუცილებელი პირობაა სხვადასხვა დაავადების გაგრძელების პრევენციისთვის, ასევე კომფორტული გარემო დადებითად აისახება პაციენტის გუნება-განწყობაზე;
- კეთილგანწყობილი დამოკიდებულება პაციენტების მიმართ, კლინიკაში შესვლის მომენტიდან მნიშვნელოვანია განწყობის შექმნა.

კვლევის მეთოდოლოგია

ჯანდაცვის სისტემაში დასაქმებული პერსონალის შრომითი კმაყოფილება, როგორც სამედიცინო მომსახურების ხარისხის სრულყოფის უმნიშვნელოვანესი ფაქტორის, კვლევა, განხორციელდა ორ ეტაპად, რომელიც თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს დაეფუძნა. პირველ ეტაპზე ჩატარდა თვისებრივი კვლევა, რომელიც მოიცავდა ფოკუს ჯგუფებს. თვისებრივი კვლევის მონაწილეები შეირჩა საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებში დასაქ-

მეზულთაგან. მეორადი ინფორმაციის ანალიზმა და ჩატარებულმა ფოკუს ჯგუფებმა მოგვცა ჰიპოთეზების ფორმულირებისა და შემდგომი კვლევისათვის პრიორიტეტების დადგენის შესაძლებლობა. მეორე ეტაპზე ჩვენს მიერ ჩატარდა კვლევა გამოკითხვის მეთოდით. კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა წინასწარ შედგენილი და ტესტირებული სტრუქტურირებული კითხვებისგან შემდგარი ანკეტა. გამოკითხვა ჩატარდა ელექტრონული მეთოდით. შერჩევის ფორმირება მოხდა საალბათო მეთოდის საფუძველზე.

კვლევა ჩატარდა ორი მიმართულებით:

- სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებულთა შრომითი კმაყოფილების დონის შენაგლა;
- სამედიცინო მომსახურებით პაციენტთა კმაყოფილების დონის ანალიზი

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 452 სამედიცინო დაწესებულებების პერსონალმა და 449 მომხმარებელმა. კვლევის არე მოიცავდა როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში განთავსებულ სამედიცინო კლინიკის თანამშრომლებს და მის მომხმარებლებს. მიღებული შედეგების დამუშავება მოხდა SPSS სტატისტიკური პროგრამული პაკეტის მეშვეობით. მონაცემთა ანალიზის დროს გამოვიყენეთ როგორც მარტივი, ასევე, რთული სტატისტიკური პროცედურები. რამაც მოგვცა საშუალება სიღრმისეულად შეგვესაწვლა მოცემული საკითხები. კერძოდ: სიხშირული განაწილება (Frequency) და კროსტაბულაცია (crosstab), ერთფაქტორული დისპერსიული ანალიზი One Way ANOVA თვისებრივსა და რაოდენობრივ ცვლადთა შორის კავშირის არსებობისა და გავლენების დასადგენად თვისებრივი ცვლადის ყველა კატეგორიის მიხედვით. საშუალოთა შედარების T test ორი დამოუკიდებელი შერჩევისათვის. მიღებული შედეგების თვალსაჩინო წარმოდგენისთვის ვისარგებლეთ გრაფიკული საშუალებების ფართო სპექტრით. გამოკვლეული იქნა ჯანდაცვის სისტემაში დასაქმებულ პერსონალის შრომითი კმაყოფილების როლი მათ მიერ გაწეული მომსახურების ხარისხზე სხვადასხვა ფაქტორთა გავლენის პირობებში და ასევე პერსონალის შრომით კმაყოფილების, როგორც მათ მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის მთავარი სტიმულატორის, განმსაზღვრელი ფაქტორები. ამ მიზნით ფორმირებული და შემოწმებული იქნა შემდეგი ჰიპოთეზები:

H1 პერსონალის შრომითი კმაყოფილება წარმოადგენს მთავარ სტიმულატორს მათ მიერ გაწეული მომსახურების მაღალი ხარისხით შესრულებაში

H2 დასაქმებულთა განათლების დონე, სამუშაო გამოცდილების ხანგრძლივობა, ასაკი და სქესი მნიშვნელოვან ზემოწმედებას ახდენს ჯანდაცვის სისტემაში დასაქმებული პერსონალის მათი შრომითი კმაყოფილების გაწეული მომსახურების ხარისხსთან დამოკიდებულების შესახებ შეხედულებაზე;


H3 სამედიცინო კლინიკებში კლიენტთა უკმაყოფილების მიზეზები განსხვავებულია ქალ-და მამაკაც რესპონდენტთა შორის და ამ მიმართულებით, არაერთგვარი ტენდენცია აღინიშნება;

H5 კლიენტთა უკმაყოფილების მიზეზები განსხვავებულია **კლიენტის** სოციალურ სტატუსის მიხედვით;

H6 სქესი გავლენას ახდენს მედ პერსონალის მომსახურებით კლიენტთა კმაყოფილებაზე.

პერსონალის შრომითი კმაყოფილების გავლენა მათ მიერ
შესრულებული სამედიცინო მომსახურებით ხარისხზე

რამდენად აისახება თქვენი სამუშაო კმაყოფილება თქვენს მიერ
განწეული მომსახურების ხარისხზე?



კვლევის შედეგად გამოვლინდა პერსონალის შრომით კმაყოფილების მათ მიერ განწეულ სამედიცინო მომსახურების ხარისხზე ზეგავლენა. როგორც დიაგრამა 1-ზე ნაჩვენებია,

რაც უფრო მეტია კმაყოფილების დონე (კატეგორია -დიახ), მით მეტად აისახება ეს განწეული მომსახურების ხარისხზე.

H1 ჰიპოთეზის – პერსონალის შრომითი კმაყოფილება წარმოადგენს მთავარ სტიმულატორს მათ მიერ განწეული მომსახურების მაღალი ხარისხით შესრულებაში – ჭეშმარიტების დასადგენად გამოვიყენეთ კროსტაბულაცია და ხი-კვადრატ ტესტი.

ცხრილი 1 ასახავს კროსტაბულაციას შრომით კმაყოფილებასა და ცვლადს- q32 რამდენად აისახება თქვენი სამუშაო კმაყოფილება თქვენს მიერ განწეული მომსახურების ხარისხზე? შორის. :

ცხრილი 1

პერსონალის შრომითი კმაყოფილება – მთავარ სტიმულატორს
მათ მიერ განწეული მომსახურების მაღალი ხარისხით შესრულებაში

		q32 რამდენად აისახება თქვენი სამუშაო კმაყოფილება თქვენს მიერ განწეული მომსახურების ხარისხზე? (Row N%)		
		არ აისახება	ნეიტრალური	აისახება
q11 კმაყოფილი ხართ თქვენი თანამდებობით მინიჭებული უფლებამოსილებით?	დიახ	10%	21%	69%
	არა	30%	20%	50%
	მიჭირს პასუხის გაცემა	4.8%	14.3%	81%

ცალსახა პასუხებიდან (დიახ, არა) როგორც ვხედავთ, ვინც კმაყოფილები არიან მინიჭებული უფლებამოსილებით, მათგან უმრავლესობის (60%)-ის მიერ ფიქსირდება რომ მათი სამუშაო კმაყოფილება აისახება განეული მომსახურების ხარისხზე.

ცხრილი 2 ასახავს ამავე პროცედურით მიღებულ ზი-კვადრატ ტესტის შედეგებს, რის მიხედვითაც დგინდება, რომ მოცემულ ცვლადებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი სტატისტიკური კავშირი 0.01 დონეზე ($P=0.01$). ამდენად დასტურდება H_6 ჰიპოთეზის ჭეშმარიტება.

ცხრილი 2

ზი-კვადრატ ტესტი

		q32 რამდენად აისახება თქვენი სამუშაო კმაყოფილება თქვენს მიერ განეული მომსახურების ხარისხზე?
q11 კმაყოფილი ხართ თქვენი თანამდებობით მინიჭებული უფლებამოსილებით?	Chi-square	19.268
	df	4
	Sig.	.001 ^{a,b}

მეორე ჰიპოთეზის დასადასტურებლად, ვისარგებლეთ მრავალფაქტორული დისპერსიული ანალიზით Univariate Analysis of Variance – მრავალფაქტორული ანალიზი ერთ დამოკიდებულ ცვლადზე, სადაც განათლება, სამუშაო გამოცდილება, ასაკი და სქესი-ორდინალურ-ნომინალური ტიპის ცვლადი ფაქტორებია, ხოლო დამოკიდებული ცვლადი – ჯანდაცვის სისტემაში დასაქმებული პერსონალის მიერ განეული მომსახურების ხარისხი – განგრძობითი ტიპის რაოდენობრივი ცვლადი, რომელიც ფასდება 5 ქულიანი სკალით: სადაც ქულა 1 შეესაბამება მნიშვნელობას „სრულიად არ არის მნიშვნელოვანი“, 2 – „არ არის მნიშვნელოვანი“, 3 – „ნეიტრალური“, 4 – „მნიშვნელოვანია“, ხოლო 5 – „უაღრესად მნიშვნელოვანია“. დისპერსიული ანალიზით მიღებული ცხრილებიდან ცხრილი 4 წარმოადგენს ვარიაციის ერთგვაროვნების ტესტს, სადაც დგინდება რომ ოთხივე ფაქტორი: განათლება, სამუშაო გამოცდილება, ასაკი და სქესი ძალიან მაღალი სანდოობით სტატისტიკური მნიშვნელოვანების 0.01 დონით ($P<0.001$) ერთობლივად ახდენს გავლენას ცვლადზე: q32 რამდენად აისახება თქვენი სამუშაო კმაყოფილება თქვენს მიერ განეული მომსახურების ხარისხზე?

ცხრილი 3

სამუშაო კმაყოფილების გავლენა განეული მომსახურების ხარისხზე


F	df1	df2	Sig.
8.488	41	351	.000

სამედიცინო კლინიკებში კლიენტთა მომსახურების მხრივ მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით შესწავლილი იქნა თუ რა ფაქტორები ახდენენ გავლენას კლიენტთა უკმაყოფილებაზე, კმაყოფილებაზე და ა.შ. მაგალითად, ახდენენ თუ არა დემოგრაფიული ფაქტორები გავლენას მომსახურების კმაყოფილებაზე.

კლინიკებში მიღებული სამედიცინო მომსახურებით მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგებით გამოვლინდა ამ მიმართულებით არცთუ სახარბიელო მდგომარეობა, კერძოდ: კმაყოფილია პაციენტთა მხოლოდ 41.8% (34.3%+7.5%), უკმაყოფილო პაციენტთა პროცენტული წილი -39.9% (9.7%+30.2%), თავს იკავებს ცალსახა პასუხისგან (18.3%).(დიაგრამა1)

დიაგრამა 2


კლინიკებში მიღებული სამედიცინო მომსახურებით მომხმარებელთა კმაყოფილება



სამედიცინო დაწესებულებებში მიღებული სამედიცინო მომსახურების უკმაყოფილების მიზეზების დადგენისას, როგორც კვლევა გვიჩვენებს უმეტესად განპირობებულია ხანგრძლივი ლოდინით, ექიმის მიერ გაცემული დანიშნულების არაეფექტურობით და ა. შ. (დიაგრამა 3)

დიაგრამა 3

სამედიცინო დაწესებულებაში კლიენტთა უკმაყოფილობის მიზეზი



პირველი სამი ჰიპოთეზის დასამტკიცებლად, ანუ უკმაყოფილობის მიზეზების მხრივ აღინიშნება თუ არა განსხვავებები სქესის, ასაკის და სოციალური სტატუსის მიხედვით, გამოვიყენეთ კროსტაბულაციური ანალიზით მიღებული ცხრილები: კროსტაბულაციური ცხრილი (ცხრილი 1) და ხი-კვადრატ ტესტის შედეგების ცხრილი (ცხრილი 2).

ცხრილი 2

სამედიცინო დანესებულებაში კლიენტთა უკმაყოფილობის მიზეზი სქესის, ასაკის და სოციალური სტატუსის მიხედვით

ცვლადები	კატეგორიები	a26 სამედიცინო დან-ში რამ განაპირობა თქვენი უკმაყოფილობა?..						
		ექიმის მიერ გაცემული დანიშნულების არაეფექტურობამ	პერსონალის უყურადღებობამ	სანიტარულმა პირობებმა	ხანგრძლივმა ლოდინმა	სასმელის წყლის ნაკლებობამ	არ ვარ უკმაყოფილო	სხვა
სქესი	მამრ	18.4%	3.9%	11.8%	40.8%	9.2%	9.2%	6.6%
	მდედრ	14.6%	12.5%	5.7%	38.0%	14.6%	7.3%	7.3%
ასაკი	18-25	16%	10.5%	10.5%	40.9%	11.6%	6.1%	4.4%
	26-35	17.4%	8.7%	4.3%	39.1%	4.3%	13%	13%
	36-45	17.2%	6.9%	0%	31.0%	20.7%	13.8%	10.3%
	46-55	5.3%	10.5%	0%	36.8%	21.1%	5.3%	21.1%
	56 და მეტი	18.8%	12.5%	0%	31.3%	18.8%	12.5%	6.3%
თქვენი სოციალური სტატუსი:	სტუდენტი	17.5%	10.6%	10.6%	38.1%	11.3%	6.9%	5%
	დასაქმებული	13.7%	9.5%	3.2%	42.1%	11.6%	10.5%	9.5%
	უმუშევარი	0%	20%	0%	20%	20%	0%	40%
	დიასახლისი	0%	0%	0%	25%	75%	0%	0%
	პენსიონერი	25%	0%	0%	25%	50%	0%	0%

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, კლიენტთა უკმაყოფილება გამოწვეულია:

1. სქესის მიხედვით:

ორივე სქესის უმრავლესობის მიხედვით სხვათაგან დიდი პროცენტული სხვაობით ორი მიზეზი: – 1. ხანგრძლივი ლოდინი და 2. ექიმის მიერ გაცემული დანიშნულების არაეფექტურობა, ქალი რესპოდენტები ასევე ექიმის მიერ გაცემული დანიშნულების არაეფექტურობასთან ერთად სასმელი წყლის ნაკლებობასაც აფიქსირებენ, მდედრობით სქესს უფრო აღიზიანებს აგრეთვე პერსონალის უყურადღებობა, ვიდრე მამაკაცებს, ხოლო სანიტარული პირობებით მამაკაცები უფრო აღნიშნავენ უკმაყოფილებას.

2. ასაკის მიხედვით:

ასაკის ყველა კატეგორიაშიც უმრავლესობის მიერ უკმაყოფილების მიზეზად ასევე დიდი პროცენტული სხვაობით სახელდება „ხანგრძლივი ლოდინი“, 18 დან 35 წლამდე ასაკისთვის უკმაყოფილების მეორე მიზეზად სახელდება „ექიმის მიერ გაცემული დანიშნულების არაეფექტურობა“.

36-45 წლამდე ასაკისთვის უკმაყოფილების მეორე და მესამე მიზეზად სახელდება სასმელი წყლის ნაკლებობა და ექიმის მიერ გაცემული დანიშნულების არაეფექტურობა.

46-55 წლამდე ასაკისთვის უკმაყოფილების მეორე და მესამე მიზეზად სახელდება სასმელი წყლის ნაკლებობა და პერსონალის უყურადღებობამ

55 წელს გადაცილებული რესპონდენტებისთვის „ხანგრძლივი ლოდინით“ უკმაყოფილების შემდეგ მიზეზად სახელდება ექიმის მიერ გაცემული დანიშნულების არაეფექტურობა და სასმელი წყლის ნაკლებობა

3. სოციალური სტატუსის მიხედვით:

სტუდენტის და დასაქმებულის მიერ უკმაყოფილების მთავარ მიზეზებად ასევე დიდი პროცენტული სხვაობით სახელდება „ხანგრძლივი ლოდინი“ და შემდეგ „ექიმის მიერ გაცემული დანიშნულების არაეფექტურობა“.

უმუშევართა უმრავლესობა რაღაც „სხვა“ მიზეზს უსვამს ხაზს და შემდეგ თანაბარი პროპორციული წილით აღნიშნავს პერსონალის უყურადღებობას, ხანგრძლივ ლოდინს და სასმელი წყლის ნაკლებობას.

დიასახლისები და პენსიონერების უმრავლესობა უკმაყოფილების მთავარ მიზეზებად აღნიშნავენ სასმელი წყლის ნაკლებობას და შემდეგ ხანგრძლივი ლოდინს, პენსიორები ასევე უჩივიან ექიმის მიერ გაცემული დანიშნულების არაეფექტურობას.

ცხრილი 3-ში მოცემულია ხი-კვადრატ ტესტის შედეგები, რითიც მონმდება პირველი სამი ჰიპოთეზა. როგორც მონაცემებიდან ჩანს სტატისტიკური მნიშვნელოვნების დონის მიხედვით დასტურდება სამივე ჰიპოთეზა. პირველი ჰიპოთეზის შემონმებისას აღვნიშნავთ, რომ სქესის ცვლადსა და სამედიცინო დაწესებულებაში უკმაყოფილების მიზეზს შორის არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი 0.05 დონეზე ($P=0.02$).

მეორე ჰიპოთეზა კი მტკიცდება სტატისტიკური მნიშვნელოვანების 0.01 დონეზე ($P=0.006$).

მესამე ჰიპოთეზის შემთხვევაში კი სოციალურ სტატუსსა და სამედიცინო დაწესებულებაში უკმაყოფილების მიზეზს შორის არსებობს მაქსიმალური სტატისტიკური კავშირი 0.01 დონეზე (P არ აღემატება 0.001-ს, ამასთან საკმაოდ მაღალია ხი-კვადრატ კოეფიციენტიც, იგი ტოლია 60.347-ის). ასე, რომ სამედიცინო დაწესებულებაში უკმაყოფილებაზე ყველაზე მეტ გავლენას სოციალური სტატუსი ახდენს.

ცხრილი 3

ხი-კვადრატ ტესტის შედეგები

Pearson Chi-Square Tests

		სამედიცინო დაწესებულებაში რამ განაპირობა თქვენი უკმაყოფილობა?
სქესი	Chi-square	15.007
	df	6
	Sig.	.020
ასაკი	Chi-square	45.107
	df	24
	Sig.	.006
თქვენი სოციალური სტატუსი:	Chi-square	60.347
	df	24
	Sig.	.000

დასკვნა

- დღეისათვის საქართველოში სამედიცინო მომსახურების ხარისხის სრულყოფა წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას, რაც სამედიცინო დაწესებულებების წინაშე აყენებს მისი მიღწევის ეფექტიანი სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობას. უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რას არსებით ზემოქმედებას ახდენს ქართულ სამედიცინო კლინიკებში არსებულ სამედიცინო მომსახურების არცთუ მაღალ ხარისხზე, წარმოადგენს სამედიცინო სფეროში დასაქმებულთა დაბალი შრომითი კმაყოფილება. შესაბამისად, კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის შრომით კმაყოფილებას, მნიშვნელოვნად დაეხმარება სამედიცინო დაწესებულებებს სამედიცინო მომსახურების ხარისხის სრულყოფისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების ამოცანის პრაქტიკულ მიღწევაში.
- კვლევის შედეგები აჩვენებს იმ გარემოებას, რომ სამედიცინო დაწესებულებები ვერ უზრუნველყოფენ პერსონალის შრომით კმაყოფილებას რაც ნეგატიურად აისახება სამედიცინო მომსახურების ხარისხზე
- კვლევამ წარმოაჩინა ის გარემოება, რომ მედპერსონალის შრომითი კმაყოფილება, პირდაპირპროპორციულად აისახება პაციენტის მიერ მიღებულ სამედიცინო მომსახურებით კმაყოფილებაზე.
- კვლევის შედეგად გამოვლინდა სამედიცინო დაწესებულებებში მომუშავე პერსონალის შრომითი კმაყოფილების კმაყოფილებაზე მოქმედი ფაქტორები, რომლებიც თავისი პოზიტიური თუ ნეგატიური ზეგავლენით პირდაპირპროპორციულ ზეგავლენას ახდენს მომსახურების პროცესზე და შესაბამისად, მომხმარებელთა მიღებული სამედიცინო მომსახურებით კმაყოფილების დონეზე. კერძოდ, დასაქმებულთა კმაყოფილების დონეზე ზეგავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: მედპერსონალის გადატვირთული სამუშაო გრაფიკი, არასწორი და ზოგიერთ შემთხვევაში არასამართლიანი დელეგირება, არასამართლიანი მმართველის პროცესი, არასწორი სახელფასო პოლიტიკა, არასრულყოფილი კომუნიკაციის პროცესი, გაუმჭირვალე მმართველობითი პროცესი, თანამშრომელთა მხრიდან დაუცველობის გრძნობა, ინიციატივებისა და კრეატიულობის იგნორირება და სხვა. აღნიშნული მიმართულებით არსებული პრობლემების აღმოფხვრა ჯანდაცვის სისტემაში ოპერირებადი კლინიკების მენეჯმენტის უმთავრეს საზრუნავსა და საქმიანობის პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს.
- პაციენტისთვის ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება არის ისეთი მომსახურება, რომელიც მის მოლოდინს ამართლებს, შეესაბამება მის საჭიროებებს, სამედიცინო მომსახურება მიეწოდება კვალიფიციური პერსონალის მიერ, დროულად, პატივისცემით და ყურადღებით, ასევე მნიშვნელოვანია ფასი. დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ პაციენტი სამედიცინო დაწესებულებას ირჩევს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: პერსონალის პროფესიონალიზმი, სამედიცინო მომსახურების ფასი, სისუფთავე, ნესრიგი და კომფორტი, კეთილგანწყობილი დამოკიდებულება პაციენტების მიმართ, კლინიკაში შესვლის მომენტიდან მომსახურების აღმოჩენის დასრულებამდე. აღნიშნულ კრიტერიუმებზე გაკეთებული აქცენტები უზრუნველყოფს სამედიცინო დაწესებულების მიერ გაწეული მომსახურების კონკურენტუნარიანობის მაღალ დონეს. თუმცა, აღნიშნულის მიღწევა ყოვლად წარმოუდგენელია სამედიცინო დაწესებულებებში მომუშავე პერსონალის შრომითი კმაყოფილების გარეშე, რამეთუ მივიჩნევთ, პრინციპი: – მომხმარებელთა კმაყოფილებას უზრუნველყოფს კმაყოფილი პერსონალი, განსაკუთრებით ვლინდება სამედიცინო მომსახურების სფეროში.
- სამედიცინო დაწესებულებებმა მთელი ძალისხმევა უნდა წარმართონ დასაქმებულთა შრომითი კმაყოფილების პოლიტიკის შემუშავებისა და პრაქტიკული განხორციელების უზრუნ-

ველსაყოფად. უპირველეს ყოვლისა, სამედიცინო კლინიკის ხელმძღვანელობამ უნდა გააცნობიეროს ის გარემოება, რომ ნებისმიერი შრომითი უკმაყოფილების ფაქტი და გამოვლინება, მეტად მაღალი სენსიტიურობით აისახება სამედიცინო მომსახურების ხარისხზე და კონკურენტუნარიანობაზე. შრომითი უკმაყოფილების პრევენციის რეალური მექანიზმების სისტემის შექმნის მიზნით, აუცილებლად მიგვაჩნია კლინიკების მიერ აღნიშნული საკითხის მუდმივი მონიტორინგი და შესწავლა, რათა თავიდან აიცილონ განეული სამედიცინო მომსახურების დაბალი ხარისხი და მისგან განპირობებული სავალალო შედეგები, როგორც პაციენტისთვის, ისე სამედიცინო კლინიკისთვის.

ლიტერატურა

1. Alibrandi, A., Gitto, L., Limosani, M., & Mustica, P. F. (2023). Patient satisfaction and quality of hospital care. *Evaluation and Program Planning* Volume 97, <https://doi.org/10.1016/j.evalprogplan.2023.102251>
2. Kalaja, R.(2023)Determinants of Patient Satisfaction with Health Care: A Literature Review, *European Journal of Natural Sciences and Medicine*, Volume 6, Issue 1, <https://sciendo.com/article/10.2478-ejnsm-2023-0005>
3. Kim, C.E., Shin, JS., Lee, J. Kim M., Choi A., Park K. B., Lee H. and Ha I. (2017). Quality of medical service, patient satisfaction and loyalty with a focus on interpersonal-based medical service encounters and treatment effectiveness: a cross-sectional multicenter study of complementary and alternative medicine (CAM) hospitals. *BMC Complement Altern Med* **17**, 174 (2017). <https://doi.org/10.1186/s12906-017-1691-6>
4. Kuzey, C. (2018). Impact of health care employees' job satisfaction on organizational performance support vector machine approach. *Journal of Economics and Financial Analysis*, *2*(1), 45-68
5. Lim, J., Lim, K., Heinrichs, J., Al-Aali, K., Aamir, A., & Qureshi, M. (2018). The role of hospital service quality in developing the satisfaction of the patients and hospital performance. *Management Science Letters*, *8*(12), 1353-1362.
6. Mabini S.P, Lalaine O. Narsico O, Narsico P. (2024) Service Quality, Patient Satisfaction, and Improvement Indicators, *International Journal of Multidisciplinary Applied Business and Education Research* · April 2024 DOI: 10.11594/ijmaber.05.04.18
7. Meesala, A., & Paul, J. (2018). Todua Nugzar medical Service quality, consumer satisfaction and loyalty in hospitals: Thinking for the future. *Journal of Retailing and Consumer Services*, *40*, 261-269. <https://doi.org/10.1016/j.jretconser.2016.10.011>
8. Mühlbacher, A. Patient-Reported Satisfaction, Experiences, and Preferences: Same but Different?(2023)
9. VALUE HEALTH. Value in Health, Volume 26, Issue 1 doi: <https://doi.org/10.1016/j.jval.2022.10.005>
10. Salvatoe, D., Numerato, D., & Fattore, G. (2018). Physicians' professional autonomy and their
11. organizational identification with their hospital. *BMC Health Serv. Res.* *18*, 775-785 doi: 10.1186/s12913-018-3582-z.
12. Škarica, I. (2020), Employees' job satisfaction in public health institutions with implemented quality management system, Doctoral Dissertation Summary, *Tourism and Hospitality Management*, Vol. 26, No. 1, pp. 253-257..
13. Todua, N., Lominadze, D. (2011). Marketing Research of Consumer Behavior in the Medical Service Market of Georgia. *Journal „Economics and Business“*, Tbilisi, No. 2, pp.
14. გორგაძე თ., ვასაძე ო. (2018). სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების პერსპექტივები
15. საქართველოში საავადმყოფოთა აკრედიტაციის გზით; სამეცნიერო რეცენზირებადი ჟურნალი, ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია N 4. 74–84

16. ვერულავა თ. (2020). ჯანდაცვის პოლიტიკის გამოწვევები საქართველოში: სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციული და ფინანსური პერსპექტივა, თბილისი 2020;1– 420
17. საქართველოს 2022 – 2030 წლების ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგია, (2022). (<https://matsne.gov.ge/en/document/view/5453716?publication=0>)
18. ყაზახაშვილი ნ.,(2019). სამედიცინო მომსახურების ხარისხის მართვა და გამჯობესება; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამო მცემლობა, 1–268;

JOB SATISFACTION OF PERSONNEL EMPLOYED IN THE HEALTHCARE SYSTEM AS A KEY FACTOR IN IMPROVING THE QUALITY OF MEDICAL SERVICES

Nino Paresashvili

Associate Professor, Doctor of Economics

Nanuli Okruashvili

Associate Professor, Doctor of Economics

Mzia Tikishvili

Assistant professor, Doctor of Economics

Ketevan Chitaladze

Assistant professor, Doctor of Business Administration

Summary

The article discusses the job satisfaction of employees in the medical sector as the most important factor in achieving public welfare and ensuring the sustainable development of the healthcare system. It is substantiated that the job satisfaction of medical personnel has a positive effect on both the organizational and individual productivity of the personnel, as well as on the quality of the medical service provided and, accordingly, on the patient's satisfaction with the services received.

Keywords: *job satisfaction. Quality of medical service. Patient satisfaction. Customer loyalty*

განათლებისა და მეცნიერების კლასტერის ზოგადი ჩარჩო საქართველოში

ანა ფოლოდაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი

ანოტაცია

განათლება და მეცნიერება ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. განათლება არის ნებისმიერი მოქალაქის ფუნდამენტური უფლება და ემსახურება მისი სოციალური, პროფესიული, პიროვნული უნარების განვითარებას.

2001 წლის ნოემბერში, ევროკომისიამ მიიღო „მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის კონცეფცია“ (Life Long Learning). სამოქალაქო განათლების ენციკლოპედიური ლექსიკონის მიხედვით, ეს ტერმინი მოიაზრებს ისეთ „საგანმანათლებლო პოლიტიკას, რომლის მიზანია პიროვნებისათვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში მისი საგანმანათლებლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ოპტიმალური პირობების შექმნა“. ნათელია, რომ განათლებაცა და მეცნიერებაც ძალიან კომპლექსური ცნებებია და მრავალი კომპონენტისაგან შედგება.

იმისათვის, რომ განათლება და მეცნიერება, თავისი ყველა დონითა და კომპონენტით ერთმანეთს დაუკავშირდეს, არ მოხდეს მათი განყენებულად განხილვა და შეიქმნას ერთიანი ხედვა განათლებისა და მეცნიერების სისტემაზე, მოცემულ ნაშრომში ავტორი მიზნად ისახავს, შეიმუშაოს განათლებისა და მეცნიერების კლასტერის ზოგადი ჩარჩო საქართველოში, რომელიც დაფუძნებულია სახელოვანი მეცნიერის, მ. პორტერის (2002) კლასტერის ცნობილ მოდელზე.

ავტორი განიხილავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სფეროში მიმდინარე სტატისტიკურ მონაცემებს, ახასიათებს უშუალოდ კლასტერის შემადგენელ კომპონენტებს და მათ შორის კავშირებს როგორც შიდა, ასევე გარე დონეზე.

საკვანძო სიტყვები: განათლების სისტემა, მეცნიერება, განათლებისა და მეცნიერების კლასტერი.

ევროკომისიის დოკუმენტში (COM (2008), 652 final) აღნიშნულია, რომ კლასტერების კვლევა პირველად ა. მარშალის (1890) სახელს დაუკავშირდა, შემდგომ კი ჯ. შუმპეტერსა (1939) და ჯ. ბეკატინს. კლასტერების თეორია მ. პორტერმა 1990 წელს განავითარა თავისი ოთხწლიანი კვლევით, სადაც მას 10 ქვეყნის 3-3 ადგილობრივი ნამყვანი მეცნიერი ეხმარებოდა.


მ. პორტერის მიერ კლასტერებში წამოქმნილი კონკურენციული უპირატესობების საუკეთესო მაგალითებია: იტალიური მომინანქრებული ფილების და ფეხსაცმლის წარმოება, იაპონური ნახევარგამტარების მოწყობილობები და ვიდეო მაგნიტოფონები, გერმანული მაღალმწარმოებლური მანქანები და ქიმიური მრეწველობა, შვეიცარიული ბანკები და ფარმაცევტიკა. ამერიკული კომერციული თვითმფრინავები და კინოინდუსტრია (Портер, 2002).

მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი, მ. პორტერი აღნიშნავდა, რომ „კლასტერის კონცეფცია იწვევს აზროვნების განსაკუთრებული ფორმის განვითარებას, მას შეუძლია პოლიტიკა მიმართოს მრავალ სფეროში, კერძოდ: მეცნიერებისა და ტექნოლოგიის განვითარებისკენ, განათლებასა და პროფესიულ მომზადებაზე, ექსპორტსა და უცხოურ ინვესტიციებთან თანამშრომლობასთან“ (Портер, 2002, 263).

მოცემულ ნაშრომში განხილულია სწორედ განათლებისა და მეცნიერების კლასტერის ზოგადი ჩარჩო საქართველოში. საქართველოს განათლების სისტემა 8 დონისაგან შედგება და მოიცავს შემდეგ საფეხურებს: ადრეული აღზრდა და განათლება; სკოლამდელი აღზრდა და განათლება; დაწყებითი, საბაზო, სრული ზოგადი განათლება; საბაზო, საშუალო, უმაღლესი პროფესიული განათლება; ინტეგრირებული პროგრამები; მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის მომზადების სასერტიფიკაციო პროგრამები; ბაკალავრიატი; ვეტერინარის მომზადების სასერტიფიკაციო პროგრამა; აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი (EMBA), არანაკლებ 60-კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამა, მაგისტრატურა, დოქტორანტურა.

სქემა 1

ავტორის მიერ შემუშავებული განათლებისა და მეცნიერების კლასტერი საქართველოში მ. პორტერის მოდელით



მ. პორტერის მოდელის მიხედვით შემუშავებული განათლებისა და მეცნიერების კლასტერი საქართველოში მრავალკომპონენტურია და მოიცავს კლასტერის შიდა და გარე კავშირებს, გარე კავშირები წარმოდგენილია გამუქებულ უჯრებში (იხ. სქემა 1).

სქემიდან 1 ჩანს, რომ მ. პორტერის მოდელით საქართველოში განათლებისა და მეცნიერების კლასტერის შიგნით სანარმოო (ღირებულებათა) ჯაჭვის შემადგენელი ნაწილებია: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, საჯარო და კერძო სკოლები, ინკლუზიური განათლებით უზრუნველმყოფი დაწესებულებები, არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მქონე დაწესებულებები, კოლეჯები, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, სასწავლო უნივერსიტეტები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები (უნივერსიტეტები), საჯარო მმართველი ორგანოები.

მათ შორის აღსანიშნავია, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში მყოფი შესაბამისი სსიპ-ები: შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. მოცემული კლასტერის მნიშვნელოვანი კომპონენტებია აგრეთვე საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, მეცნიერებათა აკადემიები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, საგანმანათლებლო ასოციაციები. კლასტერის ფუნქციონირებისათვის, ასევე აუცილებელია საგანმანათლებლო კონსალტინგისა და დაზღვევის სერვისების უზრუნველყოფა.

სქემიდან 1 ჩანს, რომ მ. პორტერის მოდელით საქართველოში განათლებისა და მეცნიერების კლასტერს გარეთ სანარმოო ჯაჭვის შემადგენელი ნაწილებია: ICT კლასტერი, სასწავლო და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურით უზრუნველმყოფი ადგილობრივი და იმპორტიორი კომპანიები, საგანმანათლებლო ინვენტარის მიმწოდებელი პირები/კომპანიები. ხარისხიანი განათლების მიღებისათვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია შესაბამისი სასწავლო სახელმძღვანელოების/სერიების გრიფირების პროცესის მართვა, ხოლო ღირსეული სასწავლო პროცესი ასევე უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლეთა კვებით უზრუნველყოფასა და საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტთა საცხოვრებლით უზრუნველყოფასაც.

ქვემოთ განვიხილავთ კლასტერის შემადგენელ ელემენტებს და მოკლედ გავეცნობით მიმდინარე პერიოდის სტატისტიკურ მონაცემებს გარკვეული კომპონენტების შესახებ.

ბალები (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები)

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2023/2024 სასწავლო წლის დასაწყისში, საქართველოში სულ 1 708 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება ფუნქციონირებს. აღსაზრდელთა რაოდენობა 141 324 ბავშვს შეადგენს, ხოლო პედაგოგთა რაოდენობა 17 620. რაც შეეხება კერძო საბავშვო ბალებს, თბილისის მასშტაბით სულ 98 კერძო საბავშვო ბაღი და ბაგა-ბაღია რეგისტრირებული, ხოლო საქართველოს მასშტაბით, სულ – 112.¹

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში მყოფი ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ სტატისტიკური მონაცემებით, 2024 წელს თბილისში სულ 190 საჯარო ბაღი ფუნქციონირებს.

¹ საბავშვო ბაღების ერთიანი პორტალი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს არ აქვს. ოფიციალური მონაცემებით, ხელმისაწვდომია მხოლოდ თბილისის საჯარო ბაღების რაოდენობრივი სტატისტიკა. საქართველოს მასშტაბით კერძო და საჯარო საბავშვო ბაღების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია მოპოვებულია ბიზნეს საინფორმაციო ცნობარის ვებ-გვერდიდან <https://www.yell.ge> და შესაძლოა არ ასახავდეს აბსოლუტურად ზუსტ მონაცემებს.

სკოლები

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლების პორტალის მიხედვით, 2024 წლის 26 ოქტომბრის მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით სულ ოპერირებს 2 298 სკოლა, მათ შორის 2 086 საჯაროა, ხოლო 212 – კერძო. აღსანიშნავია, რომ კერძო სკოლების 50%-ზე მეტი თბილისშია ცენტრალიზებული. 2023/2024 სასწავლო წლის დასაწყისში, ჯამურად საჯარო და კერძო სკოლებში 634 300 მოსწავლე ირიცხება, მათ შორის საჯარო სკოლებში – 567 800, ხოლო კერძო სკოლებში – 66 500 მოსწავლე. ზემოთ აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში, საქართველოში მასწავლებლების რიცხოვნობა ჯამურად საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 63 665 მასწავლებელს შეადგენს. საყურადღებოა, რომ მასწავლებელთა შორის გენდერული ბალანსი მკვეთრად დარღვეულია, 63 665 მასწავლებელთა შორის 55 689 ქალი და 7 976 კაცი შედგება.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2024 წლის 17 აპრილის მონაცემების მიხედვით, საქართველოს მასშტაბით სულ ფუნქციონირებს: 19 სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, 7 სახელმწიფო ნილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, 36 კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, 2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება და 13 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2023-2024 სასწავლო წელს, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიულ პროგრამებზე სულ რეგისტრირებულია 4 782 სტუდენტი. ხოლო ჯამურად, საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2023 წელს ჩარიცხულია 15 494 სტუდენტი. პედაგოგების რაოდენობა პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში 5 423 პედაგოგს შეადგენს. მათ შორის 3 866 ქალია, ხოლო 1 557 – მამაკაცი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2023 წლის 31 აგვისტოს მონაცემებით, საქართველოში სულ ფუნქციონირებს შემდეგი ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები: 56 უნივერსიტეტი, 2 კოლეჯი, 6 მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, სტუდენტთა რიცხოვნობა სახელმწიფო და კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისში ასე გამოიყურება: საქართველოში სულ რეგისტრირებულია: ბაკალავრიატის საფეხურზე – 121 514 სტუდენტი, მაგისტრატურის, დიპლომირებული მედიკოსის (ვეტერინარის) პროგრამასა და რეზიდენტურაზე ჯამურად – 51 495, ხოლო დოქტორანტურის საფეხურზე – 3 569 სტუდენტი. ამავე საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სულ დასაქმებულია 5 176 პროფესორ-მასწავლებელი, ხოლო კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში – 6 052.

საქართველოში ფუნქციონირებადი 56 უნივერსიტეტის გარკვეული ნაწილი სასწავლო უნივერსიტეტებია. სასწავლო უნივერსიტეტი, ეს არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს (გარდა დოქტორანტურისა). ავტორიზებული სასწავლო უნივერსიტეტები მთელი საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებს.

მეცნიერება

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ერთობლივი მონაცემებით, 2019-2022 წლების შუალედში, სამეცნიერო კვლევითი საქმიანობით დაკავებული დაწესებულებების რაოდენობა 48-დან 63-მდე გაიზარდა. პარალელურად იზრდებოდა ამ დაწესებულებების მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულება და 2022 წელს, 171 მლნ ლ შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (151,1 მლნ ლ) თითქმის 20 მილიონიანი ზრდაა.

ამჟამად, საქართველოში ფუნქციონირებს მეცნიერებათა 2 აკადემია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი არაერთი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, სტრუქტურული ერთეულების სახით მრავალი კვლევითი დაწესებულებაა ჩამოყალიბებული სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც.

საინტერესოა, განვიხილოთ, საქართველოში მკვლევართა რაოდენობრივი და თვისობრივი სტატისტიკური მონაცემებიც. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ერთობლივი ბოლო მონაცემებით, 2022 წელს საქართველოში სულ 12 991 მკვლევარია. განათლების დონის მიხედვით, მათი 68% დოქტორის ხარისხს ფლობს, 29% – მაგისტრია, ხოლო 3% – ბაკალავრი. მკვლევართა 54% ქალია, ხოლო 46% – მამაკაცი. აღსანიშნავია, რომ მკვლევართა რაოდენობა 2019-2022 წლებში ყოველწლიურად იზრდებოდა. 2022 წლის მონაცემებით, კვლევებზე და მონაცემთა დამუშავებებზე დასაქმებულია სულ 15 099 პირი, მათ შორის 86% მკვლევარია, 8% – ტექნიკური და მასთან გათანაბრებული პერსონალი, ხოლო 6% – სხვა დამხმარე პერსონალი.

ქართული მეცნიერების დაფინანსებასა და განვითარებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს „სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი“. ფონდი ახორციელებს სახელმწიფო საგრანტო კონკურსებს, მიზნობრივ პროგრამებსა და პროექტებს, ჩართულია საერთაშორისო სამეცნიერო ქსელებში. ყოველწლიურად, ფონდი ადმინისტრირებას უწევს და აფინანსებს 30-ზე მეტ საკონკურსო ეროვნულ და საერთაშორისო ბილატერალურ პროგრამას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების კლასტერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, „საქპატენტი“ განსაზღვრავს ინტელექტუალური საკუთრების პოლიტიკას. „საქპატენტის“ საქმიანობა მიმართულია იმისკენ, რომ ინტელექტუალური საკუთრების სისტემის მომხმარებლებსა და განმცხადებლებს, რომელთაც სურთ თავიანთი ინტელექტუალური საკუთრების დაცვა საქართველოსა თუ საზღვარგარეთ, მიეწოდონ ხარისხიანი და ეფექტური მომსახურება. საქსტატის ბოლო ინფორმაციით, 2022 წელს „საქპატენტმა“ საქართველოში გამოგონებებისათვის 37 პატენტი გასცა, ხოლო სასარგებლო მოდელებისათვის – 31 პატენტი. აქვე აღსანიშნავია, რომ ამ პატენტების უმეტესობა (75%-ზე მეტი) თბილისშია გაცემული.

ზემოთ მოცემული კლასტერის მნიშვნელოვანი კომპონენტია „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“, რომლის მისიაა საქართველოში ინოვაციების და ტექნოლოგი-

ების განვითარებისთვის საჭირო ეკოსისტემის ფორმირება, ცოდნისა და ინოვაციის კომერციალიზაციის ხელშეწყობა, სააგენტო მისიის ეფექტური შესრულების მიზნით პრიორიტეტულ მიმართულებებად განსაზღვრავს ინოვაციებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარებაში ინვესტირებას, ტექნოპარკების, ინოვაციების ცენტრებისა და სამრეწველო ლაბორატორიების გახსნას, მიზნობრივი საგანმანათლებლო ტრენინგების ჩატარებას.

დასკვნა და რეკომენდაციები

ზემოთ განხილულ კლასტერის შემადგენელ კომპონენტებთან ერთად, კლასტერში შემავალ დანარჩენ ელემენტებსაც თავისი ფუნქცია აკისრია განათლებისა და მეცნიერების კლასტერის ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით. თითოეული ელემენტი, შიდა თუ გარე კავშირების დონეზე, პირდაპირ თუ ირიბად, გავლენას ახდენს ერთიანი სისტემის ფორმირებაზე. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, მაგალითისთვის, სკოლამდელი განათლების საფეხური პირდაპირ უკავშირდება სასკოლო განათლების საფეხურს, ეს უკანასკნელი – პროფესიულ/უმალეს განათლებას, საბოლოოდ კი, მეცნიერებას. შესაბამისად, არც ერთი საფეხური უნდა იყოს განხილული ერთმანეთისაგან განცეზვრულად. აუცილებელია ერთიანი ჩარჩო-ფორმატის ფორმირება, რაც ერთმანეთთან დააკავშირებს განათლებას, მეცნიერებასა და ბიზნესს განვითარების ყველა საფეხურზე და საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს გრძელვადიანი, შედეგზე ორიენტირებული განათლების სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებას. სწორედ ამგვარი ჩარჩო-ფორმატის ილუსტრირებაა წარმოდგენილი ავტორის მიერ შემუშავებულ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების კლასტერულ სქემაში.

ლიტერატურა

1. COM 652 final of 17.10.2008 (2008). Communication from the Commission to the Council, the European Parliament, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions: Towards world-class clusters in the European Union-implementing the broad-based innovation strategy, retrieved from: [http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52008-DC0652R\(01\)&from=EN](http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52008-DC0652R(01)&from=EN)
2. Marshall, A. (1890). Principles of Economics. The Macmillan Company: London.
3. Porter, M. E. (1990). The competitive advantage of nations London. Recherche INAISE/DG5.
4. Schumpeter, J. A. (1939). Business cycles. Vol. 1. New York: McGraw-Hill.
5. Портер, М. (2002). Конкуренция; Издательский дом «Вильямс»; Санкт-Петербург, Москва, Киев.
6. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი: <https://mes.gov.ge/>
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდი: <https://www.geostat.ge>
8. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ოფიციალური ვებ-გვერდი: <https://rustaveli.org.ge/>
9. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდი: <https://gita.gov.ge/>
10. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტის“ ოფიციალური ვებ-გვერდი: <https://www.sakpatenti.gov.ge/ka/>
11. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდი: <http://kids.org.ge/>

12. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლების პორტალი: <https://skolebi.emis.ge/>
13. ბიზნეს საინფორმაციო ცნობარი <https://www.yell.ge>
14. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ოფიციალური ვებ-გვერდი, სამოქალაქო განათლების ენციკლოპედიური ლექსიკონი <http://www.nplg.gov.ge/publishers/samoqalaqo/index.php?do=view&id=475>

THE GENERAL FRAMEWORK OF THE EDUCATION AND SCIENCE CLUSTER IN GEORGIA

Ana Polodashvili

*PhD student of the Faculty of Economics and
Business of Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

Summary

Education and science are two of the most important factors in ensuring sustainable development of the country's economy.

In order for education and science, with all of their levels and components, to connect with one another, not to be considered separately, and to create a unified vision of the system of education and science, the author aims to develop a general framework of the cluster of education and science in Georgia, which is based on the cluster model

of a famous scientist, M. Porter (2002).

The author characterizes directly the constituent components of the cluster and the connections between them both at the internal and external levels.

ევროკავშირის საჯარო – კერძო პარტნიორობა და საქართველო

რამაზ ფუტკარაძე

ეკონომიკის დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ramaz.putkaradze@tsu.ge

ანოტაცია

წარმოდგენილი პრობლემა ფრიად აქტუალურია. მსოფლიოში ბოლო 30 წლის განმავლობაში საჯარო-კერძო პარტნიორობა უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ინფრასტრუქტურული თუ სხვა პროექტების განსახორციელებლად. მსგავსი თანამშრომლობას ევროკავშირის წევრ ქვეყნებში (და არა მარტო) დიდი პერსპექტივა აქვს. საჯარო და კერძო თანამშრომლობას ევროკავშირში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა. 2022 წელს 45 PPP პროექტი დაიხურა 9.8 მლრდ ევროს საერთო ღირებულებით. PPP ყველაზე დიდი ბაზარი საფრანგეთი იყო როგორც პროექტების ღირებულებით, ასევე პროექტების რაოდენობით. 15-მა ქვეყანამ დახურა მინიმუმ ერთი საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტი. ევროკავშირში სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის პროექტებში, როგორც ღირებულებით, ისე PPP პროექტების რაოდენობის მიხედვით წამყვანი: ტრანსპორტის, გარემოს დაცვის განათლების სექტორები.

ნაშრომში განხილულია ევროკავშირის საჯარო კერძო პარტნიორობის ბაზრის თანამედროვე მდგომარეობა. ასევე ნაშრომში აღნიშნულია, რომ საქართველოში საჯარო-კერძო თანამშრომლობის განვითარებას დიდი პერსპექტივა და პოტენციალი გააჩნია.

საკვანძო სიტყვები: საჯარო – კერძო პარტნიორობა (PPP), საერთაშორისო ეკონომიკა, გლობალიზაცია, ევროკავშირი, საქართველო.

ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში ძლიერდება სახელმწიფოს და კერძო სექტორის ურთიერთობათა ტენდენცია სახელმწიფო საკუთრებაში კერძო კაპიტალის შეღწევის მიმართულებით. იცვლება სახელმწიფოს ფუნქციები და ქვეყნის შიგნით ეკონომიკის ცალკეული სფეროების განსახელმწიფოებრივებასთან დაკავშირებული ამოცანები. ამასთან დაკავშირებით, საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების განუყოფელ პირობას წარმოადგენს სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ბიზნესის თანამშრომლობა. უკანასკნელ ათწლეულებში რიგი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში აქტიურად ვითარდება სახელმწიფოს და ბიზნესის ურთიერთქმედების სრულიად განსაკუთრებული ხარისხი, რომელიც იწოდება საჯარო-კერძო პარტნიორობად (PPP, სკპ).

ტერმინი „საჯარო და კერძო პარტნიორობა“ წარმოადგენს მხარეთა შორის შესაძლო ურთიერთობების მთელ საკითხებს, საჯარო და კერძო სუბიექტები ინფრასტრუქტურისა და სხვა პროექტების ფარგლებში თანამშრომლობას. საჯარო და კერძო თანამშრომლობის (PPP) ერთიანი განმარტება არ არსებობს [1-3]. ხშირად საჯარო და კერძო თანამშრომლობა, წარმოადგენს, როგორც საჯარო აქტივისა თუ მომსახურების უზრუნველყოფის შესახებ კერძო ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის გრძელვადიან შეთანხმებას, რომელშიც კერძო ბიზნესი თავის თავზე იღებს მნიშვნელოვან რისკსა და პასუხისმგებლობას პროექტის მართვაზე და ანაზღაურება დაკავშირებულია შესრულებასთან. აღსანიშნავია, რომ PPP ანაზღაურებას ამოცანებს, ვალდებულებებსა და რისკებს საჯარო და კერძო ბიზნესს შორის. სხვადასხვა ქვეყანაში შეიძლება PPP-ის პარტნიორები იყოს სამთავრობო სუბიექტები, მათ შორის სამი-


ნისტროები, დეპარტამენტები, მუნიციპალიტეტები ან სახელმწიფო საწარმოები. აღიარებენ, რომ საჯარო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობას აქვს გარკვეული უპირატესობები. კერძო ბიზნესს აქვს უნარი უზრუნველყოფს სოციალურ პასუხისმგებლობა, წარმატებული მენეჯმენტი და ინოვაციური ბიზნესის წარმართვა. კერძო ბიზნესს ყველაზე კარგად შეუძლია მართოს რისკები და შეამციროს პროექტის ხარჯები.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ასევე კანდიდატ ქვეყნებში საჯარო და კერძო პარტნიორობის განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ევროპის საჯარო-კერძო პარტნიორობის ექსპერტიზის ცენტრი (The European PPP Expertise Centre – EPEC) [4, 5]. EPEC შეიქმნა 2008 წელს, რათა მხარი დაუჭიროს სახელმწიფო სექტორს ძირითადად ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებში საჯარო და კერძო პარტნიორობის წარმატებით განხორციელებაში. EPEC-ის გამოცდილი პროფესიონალების გუნდი საკონსულტაციო მომსახურებას უწევს შესაბამის ორგანიზაციებს. ევროპის PPP ექსპერტიზის ცენტრის (EPEC) საქმიანობაში ჩართულია ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), ევროკომისია, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, კანდიდატი ქვეყნები და ზოგიერთი სხვა სახელმწიფო.

2022 წელს სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ტრანზაქციების მთლიანმა ღირებულებამ ევროპულ ბაზარზე, შეადგინა 9,8 მლრდ ევრო, რაც 17%-ით მეტია 2021 წელთან შედარებით (8.4 მლრდ ევრო) [7, 8].¹

დიაგრამა 1

ევროპული საჯარო და კერძო პარტნიორობის ბაზრი პროექტების ღირებულებისა და რაოდენობის მიხედვით (2013-2022 წწ.)



დიაგრამიდან ჩანს PPP პროექტების მეტი რაოდენობაა 2013, 2014, 2016, 2017 და 2018 წლებში. 2022 წელს საჯარო და კერძო თანამშრომლობის ტრანზაქციების რაოდენობა, რომელთა დახურვა მოხერხდა შეადგინა 45 (45 პროექტი – 2021 წელს). ტრანზაქციის საშუალო ღირებულება გაიზარდა 217 მლნ ევრომდე (190 მლნ ევრო – 2021 წელს).

¹ აღსანიშნავია, რომ ევროპული ბაზარი განსაზღვრულია, როგორც EU-27, ასევე გაერთიანებული სამეფო, ევროკავშირის კანდიდატი: დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნები და თურქეთი.


აღსანიშნავია, რომ 2022 წელს სამი მსხვილი PPP პროექტის მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 4.25 მლრდ ევრო [8], რაც წარმოადგენს მთლიანი საბაზრო ღირებულების 44%-ს. მსხვილი PPP პროექტები, რომლებიც დასრულდა 2022 წელს იყო საერთაშორისო მნიშვნელობის: Antalya Airport Concession (თურქეთი) 1,8 მლრდ ევრო, CEGELOG French Military Accommodation PPP (საფრანგეთი) 1,4 მლრდ ევრო და Larnaca Port and Marina Area Redevelopment PPP PPP (კვიპროსი) – 1 მლრდ ევრო.

დასრულებული PPP პროექტების რაოდენობა სტაბილურია წლების მიხედვით. 2021 წელს დახურული სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის გარიგებების რაოდენობამ შეადგინა 40 პროექტი (წინა წელს 2020 წლის 43 პროექტი, რაც) მიუთითებს იმაზე, რომ COVID-19 პანდემიის გავლენა პროექტის მომზადებასა და შესყიდვებზე ნაკლებად მძიმე იყო, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

სახელმწიფო და კერძო პარტნიორობის ბაზარი ევროპაში გვიჩვენებს, რომ 2022 წელს საფრანგეთი იყო ყველაზე დიდი PPP ბაზარ, როგორც ღირებულების მიხედვით (სულ 4,2 მლრდ ევროთი) ასევე პროექტების რაოდენობით (სულ 21 პროექტი).

დიაგრამა 2

ქვეყნები სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის პროექტების ღირებულებისა და რაოდენობის მიხედვით 2022 წელს [7, 8]



ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანა თურქეთს, ღირებულების მიხედვით სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ბაზრის მეორე ადგილი უკავია, 2 მლრდ ევრო (1.4 მლრდ ევრო – 2021 წელს). ასევე პროექტების ღირებულების მიხედვით სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ბაზრის ლიდერი ქვეყნებია: კვიპროსი, ირლანდია, გერმანია, იტალია საბერძნეთი, პოლონეთი და ბელგია.

PPP პროექტების რაოდენობის მიხედვით, გერმანია იყო მეორე უდიდესი სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ბაზარი, 4 პროექტის დახურვა, წინა წელს კი (7 პროექტი. პროექტების რაოდენობის მიხედვით შემდეგ მოდის ქვეყნები: ირლანდია, პოლონეთი, ბელგია, გაერთიანებული სამეფო, დანია და თურქეთი. ცხრა ქვეყანამ დახურა მინიმუმ 2 პროექტი (ექვსამ ქვეყანამ – 2021 წელს) და 15 ქვეყანამ დახურა მინიმუმ ერთი საჯარო და კერძო პარტნიორობის პროექტი (2021 წელს 14-თან შედარებით).

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, საფრანგეთი, გერმანია და გაერთიანებული სამეფო ლიდერობდნენ ევროპის საჯარო და კერძო პარტნიორობის ბაზარზე დასრულებული პროექტების საერთო რაოდენობის მიხედვით.

პროექტები სექტორების მიხედვით. 2022 წელს ტრანსპორტის სექტორში განხორციელდა ყველაზე მეტი ღირებულების პროექტები 5.2 მლრდ ევროს ღირებულების (6.0 მლრდ ევრო – 2021 წელს). ტრანსპორტის სექტორში დასრულებული პროექტების რაოდენობამ 17 შეადგინა (2021 წელს – 16 პროექტი). აღნიშნული მოიცავდა ოთხ საგზაო პროექტს (ორი საფრანგეთში, ერთი საბერძნეთში და ერთი იტალიაში) და ოთხ პორტს (ორი საფრანგეთში, ერთი ხორვატიაში და ერთი კვიპროსში). 10 პროექტი განხორციელდა გარემოს დაცვის სექტორში (10 პროექტი – 2021 წელს) საერთო ღირებულებით 1.3 მლრდ ევრო (1.1 მლრდ – ევრო 2021 წელს).

განათლების სექტორში PPP პროექტების რაოდენობამ შეადგინა 8 (5 პროექტი – 2021 წელს), ხოლო პროექტების მთლიანი ღირებულება გაიზარდა და შეადგინა 910 მლნ ევრო (391 მლნ ევრო – 2021 წელს). ექვსი იყო სასკოლო პროექტი (სამი გერმანიაში, ორი გაერთიანებულ სამეფოში და ერთი ბელგიაში). ჯანდაცვის სექტორში დაიხურა 3 პროექტი (2 პროექტი – 2021 წელს) საერთო ღირებულებით 509 მლნ ევრო (224 მლნ ევრო – 2021 წელს). ორივე მოიცავდა საავადმყოფოს პროექტს (ერთი დანიაში და ერთი თურქეთში). სატელეკომუნიკაციო სექტორში დაიხურა სამი პროექტი (3 პროექტი – 2021 წელს) საერთო ღირებულებით 231 მლნ ევრო (427 მლნ ევრო – 2021 წელს). სამივე პროექტი შესრულდა საფრანგეთში.

ამრიგად, სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის პროექტებში ღირებულებისა და რაოდენობის მიხედვით მთავარია: ტრანსპორტის, გარემოს დაცვის და განათლების სექტორები.

2022 წელს სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის 45 დახურული პროექტიდან 17 დაფინანსდა ძირითადად სადაზღვევო კომპანიებისა და საპენსიო ფონდების მიერ. 8 ქვეყანამ დახურა პროექტი ინსტიტუციონალური ინვესტიორების დახმარებით (ხორვატია, კვიპროსი, დანია, საფრანგეთი, ირლანდია, იტალია, ლიტვა და დიდი ბრიტანეთი). შედარებისთვის 2021 წელს, რვა ქვეყანამ ისარგებლა ინსტიტუციური ინვესტიორების ჩართულობით.

ევროკავშირის, ეროვნული მთავრობები და საჯარო ფინანსური ინსტიტუტების როლი შედარებით შეზღუდული იყო 2022 წელს. რაც შეეხება ევროპის საინვესტიციო ბანკს (EIB), მის მიერ დაფინანსდა ოთხი საჯარო და კერძო პარტნიორობის პროექტი და EIB-ის დაფინანსებამ შეადგინა 1 მლრდ ევრო. ეს პროექტებია: CEGELOG Affordable Housing & Energy Efficiency საფრანგეთი, Community Nursing PPP ირლანდია, Krakow Tramway PPP პოლონეთი და NeuConnect Interconnector გერმანია და ნიდერლანდები. პროექტს NeuConnect Interconnector-ს აქვს საერთაშორისო მნიშვნელობა და განსაკუთრებით მაღალი ღირებულება (3.3 მლრდ ევრო).

საჯარო და კერძო თანამშრომლობის შემდეგი მნიშვნელოვანი პროექტები დასრულდა 2022 წელს: Larnaca Port და Marina Area Redevelopment PPP (1 მლრდ ევრო) კვიპროსი. აღნიშნული არის 500 მლნ ევროზე მეტი სახელმწიფო და კერძო პარტნიორობის მეორე ტრანზაქცია. Irish Community Nursing Units (CNU) PPP (245 მლნ ევრო), ირლანდია. პირველი საჯარო და კერძო პარტნიორობაა სათემო მედლებისთვის ირლანდიაში და მეორე ჯანდაცვის საჯარო კერძო პარტნიორობის პროექტი ირლანდიაში 2016 წლიდან. Thessaloniki Ring Road PPP (300 მლნ ევრო), საბერძნეთი. ეს არის ერთ-ერთი პირველი საგზაო პროექტი სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში საბერძნეთში. Krakow Tramway PPP (186 მლნ ევრო), პოლონეთი. ეს არის პირველი ტრამვაის ხაზის მშენებლობის პროექტი საჯარო და კერძო პარტნიორობის ფარგლებში. აღნიშნული პროექტმა ხელი შეუწყო ტრამვაის, როგორც ეფექტური ტრანსპორტის პოპულარიზაციას და შედეგან მსუბუქი მანქანების და საზოგადოებრივი ავტობუსების რაოდენობის შემცირებას.

აღსანიშნავია, რომ საჯარო და კერძო თანამშრომლობის მრავალი პროექტი მიმდინარეობს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. ყველაზე მეტი მიმდინარე პროექტია შემდეგ ქვეყნებში საფრანგეთი (50 PPP პროექტი), იტალია (32), საბერძნეთი (28 პროექტი), ბელგია (20), გერმანია (16). მიმდინარე პროექტები რაოდენობის მიხედვით, ტრანსპორტის სექტორი კვლავ დომინირებს, შემდეგ მოდის გარემოსდაცვითი და განათლების სექტორი. ევროპული საჯარო და კერ-

ძო პარტნიორობის ბაზარი, როგორც პროექტების ღირებულების ისე პროექტების რაოდენობის მიხედვით საკმაოდ მზარდია.

საჯარო და კერძო პარტნიორობის ევოლუცია ქვეყნების მიხედვით 2018-2022 წლებში ასე გამოიყურება: საფრანგეთი (15.92 მლრდ ევრო), გერმანია (5.82 მლრდ ევრო), გაერთიანებული სამეფო (6.75 მლრდ ევრო), ნიდერლანდები (3.98 მლრდ ევრო), იტალია (3.54 მლრდ ევრო), ბელგია (1.55 მლრდ ევრო), საბერძნეთი (1.12 მლრდ ევრო), ირლანდია (1.02 მლრდ ევრო),

რაც შეეხება საჯარო და კერძო პარტნიორობის ევოლუციას სექტორების მიხედვით 2018-2022 წლებში წამყვანია შემდეგი სექტორები: ტრანსპორტი, შემდეგ მოდის გარემოსდაცვითი და სატელეკომუნიკაციო სექტორები. ასევე, ბოლო წლებში აღნიშნული სამი სექტორი რჩება დაფინანსებულ პროექტებში რაოდენობის მიხედვით წამყვანი და პრიორიტეტული.

საქართველოში კანონი საჯაროდარკერძოთანამშრომლობისრშესახებ მიღებულია 2018 წლის 4 მაისს [9]. მიღებული კანონი შეესაბამება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობას. აღნიშნული კანონი ადგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის სამართლებრივ საფუძვლებს, მათ შორის, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებულ წესებსა და პროცედურებს, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პრინციპებს, შესაბამის ინსტიტუციურ სისტემას, აგრეთვე საჯარო და კერძო თანამშრომლობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს (მუხლი 1). მიღებული კანონი შეესაბამება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობას.

აღსანიშნავია, რომ საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო შეიქმნა „საჯარო და კერძო თანამშრომლობის“ შესახებ კანონის საფუძველზე, ხოლო ფუნქციონირება 2019 წლის თებერვლიდან დაიწყო.

კანონის მე-4 მუხლის მიხედვით, საჯარო და კერძო თანამშრომლობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: ა) გრძელვადიანობა – საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულების მინიმალური ვადა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით, მაგრამ არანაკლებ 5 წლით; ბ) ღირებულება – 2020 წლის 1 ივლისამდე საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის ღირებულება უნდა იყოს არანაკლებ 5 000 000 ლარისა, ხოლო 2020 წლის 1 ივლისიდან საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის ღირებულების მინიმალური ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით; გ) კერძო პარტნიორის მიერ საჯარო მომსახურების გაწევა ან საჯარო ინფრასტრუქტურის შექმნა და მოვლა-პატრონობა ან/და ოპერირება და მოვლა-პატრონობა; დ) საჯარო და კერძო პარტნიორებს შორის რისკების განაწილება; ე) კერძო პარტნიორის მიერ საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება.

მსოფლიო ბანკის შეფასებით (Benchmarking Infrastructure Development 2023), საქართველოს კარგი შედეგი აქვს საჯარო-კერძო თანამშრომლობის შეფასების კომპონენტებში [10, 11]: (PPP პროექტის მომზადება, PPP პროექტის შესყიდვა, PPP კონტრაქტის მენეჯმენტი და საინიციატივო შეთავაზება (USP)). აქედან ყველაზე მაღალი შეფასება, 83 ქულა, კერძო პარტნიორის მიერ ინიცირებულ PPP-ში (USP) მიიღო. დანარჩენ სამ კომპონენტში შეფასებები ასეთია: PPP პროექტის მომზადება – 65 ქულა, პროექტის შესყიდვა -74 და კონტრაქტის მენეჯმენტი – 79 ქულა. ხაზგასასმელია, რომ მსოფლიო და რეგიონულ, ასევე, იდენტური შემოსავლების (ამ შემთხვევაში საშუალო მაღალი შემოსავლების) მქონე ქვეყნების საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით ოთხივე მიმართულებით საქართველოს ქულები გაცილებით მაღალია.

საქართველოს საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოს მონაცემების მიხედვით [16], სააგენტომ 2019-2022 წლებში სულ განიხილა 36 პროექტი. PPP პროექტებში ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 2019 წელს – 338, 2020 წელს – 185.7 და 2021 წელს კი 1435.9 მლნ ლარი. საქართველოში საჯარო-კერძო თანამშრომლობის განვითარებას დი-

დი პერსპექტივა გააჩნია, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და ევროკავშირთან დაახლოებას.

ამრიგად ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საკმაოდ არის განვითარებული საჯარო და კერძო პარტნიორობა. ევროკავშირის ქვეყნებში (საფრანგეთი, იტალია, გერმანია და სხვ) საჯარო-კერძო პარტნიორობას მრავალი წელია იყენებენ და სულ უფრო აქტიურად ვითარდება. შედეგად, ასეთი პროექტების რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება. წარმატებული საჯარო და კერძო თანამშრომლობის მისაღწევად კი აუცილებელია, განვითარების გრძელვადიანი მიზნები და რისკების სწორი განაწილება მხარეებს შორის.

საქართველოში საჯარო-კერძო თანამშრომლობის განვითარებას დიდი პერსპექტივა გააჩნია, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და მსოფლიო ეკონომიკაში წარმატებულ ინტეგრაციას.

ლიტერატურა

1. Asian Development Bank. (2022). (ADB) Public-Private Partnership Handbook. chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://ieg.worldbankgroup.org/sites/default/files/Data/reports/chapters/ppp_chap1_0.pdf
2. European Commission (2003). Guidelines for Successful Public-Private Partnerships. Brussels. Available: http://ec.europa.eu/regional_policy/sources/docgener/guides/ppp_en.pdf
3. EPRS. European Parliamentary Research Service. (2017). Public-private partnerships in research.
4. www.eib.org/epec
5. EPEC (2011). The Guide to Guidance – How to Prepare, Procure and Deliver PPP Projects.
6. European Commission (2009) Communication on: Mobilising private and public investment for recover and long term structural change : developing Public Private Partnerships. chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://ppp.worldbank.org/public-private-partnership/sites/ppp.worldbank.org/files/2024-08/EPEC_Guide%20to%20Guidance_EN.pdf
7. European PPP Expertise Centre (2022). Market update 2021. European Investment Bank.
8. European PPP Expertise Centre (2023). Market update Review of the European public-private partnership market in 2022 March 2023. European Investment Bank.
9. საქართველოში კანონი (2024). „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“.
10. World Bank. (2023). Introduction to Public-Private Partnerships.
11. World Bank. <http://rru.worldbank.org/PapersLinks>
12. Putkaradze R. (2019). Georgia in the European Union's Eastern Partnership Countries: Historical Aspects and Challenges. Journal, Ecoforum Journal. Volume 8, Issue 1(18).
13. Putkaradze R. (2015). Historical Aspects of Trade and Economic Relations between Georgia and the European Union. Zeszyty Naukowe UNIWERSYTETU PRZYRODNICZO-HUMANISTYCZNEGO w SIEDLCACH Seria: Administracja i Zarządzanie. Scientific Journal Nr 107.
14. Putkaradze, R. (2010). Trade and Economic Relations between Georgia and the European Union: Problems and Perspectives. Universal, Tbilisi. (In Georgian).
15. Putkaradze, R. (2015). Historical Aspects of Trade and Economic Relations between Georgia and the European Union. Zeszyty Naukowe UNIWERSYTETU PRZYRODNICZO-HUMANISTYCZNEGO w SIEDLCACH Seria: Administracja i Zarządzanie. Scientific Journal, Nr 107, 2015. Zeszyty Naukowe UNIWERSYTETU PRZYRODNICZO-HUMANISTYCZNEGO w SIEDLCACH Seria: Administracja i Zarządzanie, Poland.
16. <https://ppp.gov.ge/>

PUBLIC PRIVATE PARTNERSHIP IN THE EUROPEAN UNION AND GEORGIA

Ramaz Putkaradze

*Doctor of Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi*

In the modern world, the trend of strengthening relations between the state and private sectors through the penetration of private capital into state property is getting stronger in terms of economic globalization. In addition, the functions of the state and the tasks related to the privatization of individual areas of the economy within the country are changing. In this regard, cooperation between state institutions and businesses is an integral condition for the proper functioning of the market economy. In recent decades, PPP, a very special degree of interaction between the state and business, has been actively developing in a number of developed and developing countries.

The importance of PPP is widely recognized in the EU member states, which is reflected in their budget allocations, legislation and relevant programs. While the development and implementation of modern strategies of innovative development in the developed countries of the West, significant attention is paid to the creation of organizational and legal guidelines for the formation of such projects of the PPP, which provide various combinations of private industrial companies, universities, government agencies and independent scientific and research laboratories to achieve specific scientific and technological results. On the other hand, the participation of business in joint infrastructural projects with the state provides good results. In particular, it contributes to the introduction of new technologies, the reduction of budget costs and the successful implementation of projects.

In the EU member states PPP is recognized as one of the most important instruments for increasing competitiveness. Despite the importance of PPP, its introduction in Georgia is quite slow. The failure of a number of methodological issues for the transition to partnership relations between the state and business, lack of proper experience of such partnership, underdevelopment of the legal and normative base, bureaucratic obstacles hinder the development of SPC in Georgia. Therefore, the topic of the research is pressing.

In EU countries (France, Italy, Germany, etc.), public-private partnership has been used for many years. As a result, the number of such projects is increasing significantly. It should be noted that the Public Private Cooperation Agency was established on the basis of the Law on Public and Private Cooperation, and it began to operate in February 2019.

On 7 May 2003, the European Commission published its Internal Market Strategy, which highlights the need for clarification of legal issues related to PPP. On 16 September 2008 the EIB and the Commission launched the European PPP Expertise Center (EPEC), which has significantly facilitated the development of PPPs in member states.

According to the World Bank (Benchmarking Infrastructure Development 2023), Georgia has good results in the evaluation components of public-private cooperation: (PPP project preparation, PPP project procurement, PPP contract management and initiative offer (USP)). The country got the highest grade, 83 points, for the PPP initiated by the private partner (USP). The evaluations in the other three components are as follows: PPP project preparation – 65 points, project procurement – 74 and contract management – 79 points. It should be stated as well that Georgia's scores in all four directions are much higher than the average indicators of countries with similar incomes around the world. Thus, the development of public-private cooperation in Georgia has a great perspective, which in turn will contribute to the country's economic development and getting closer to the European Union.

Keywords: Public Private Partnership (PPP), International Economic, Globalization, European Union, Georgia.

რისკების მართვის თავისებურებები საქართველოს სისტემური მნიშვნელობის კომერციულ ბანკებში

ლეილა ლუდუშაური
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

ანოტაცია

თანამედროვე ეტაპზე საბანკო სისტემის განვითარების გლობალური ტენდენციები, ახალი ფინანსური პროდუქტებისა და ტექნოლოგიური ინოვაციების მზარდი ნაკადი, მკაცრი ბანკთაშორისი კონკურენცია, ეკონომიკური პროცესების არასტაბილურობა და ფინანსური მომსახურების ბაზრის მუდმივი ცვალებადობა ინვესტორებს საბანკო რისკების მკვეთრ ზრდას, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ბანკების გადახდისუნარიანობასა და მომგებიანობაზე. აქედან გამომდინარე, რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი, შეფასება და ეფექტიანი მართვა გადამწყვეტია საბანკო სისტემის ლიკვიდურობისა და სტაბილურობისთვის, ასევე მეანაბრეების დაცვის უზრუნველსაყოფად.

ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია საქართველოს სისტემური მნიშვნელობის ბანკებში (საქართველოს ბანკი, თბს ბანკი და ლიბერთი ბანკი) რისკების მართვის თავისებურებები, გამოწვევები და გამოთქმულია მოსაზრებები რისკმენეჯმენტის სრულყოფის ძირითადი მიმართულებების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: რისკმენეჯმენტი; სისტემური მნიშვნელობის ბანკები; რისკების მართვის ჩარჩო პროგრამა (GRAPE); რისკის მართვის „დაცვის სამი ხაზის“ მოდელი; რისკის აპეტიტი.

შესავალი

ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სექტორს საბანკო სისტემა წარმოადგენს. კომერციულ ბანკებს მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი რისკების პირობებში უწევთ საქმიანობა. აქედან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვანია კრიზისულ პირობებში რისკების სწორი იდენტიფიკაცია, შეფასება, ანალიზი და მართვის ეფექტიანი სისტემის შემუშავება, რათა მინიმუმამდე შემცირდეს რისკების მოსალოდნელი შედეგები და მათგან გამომდინარე დანაკარგები.

რისკების ოპტიმალური მართვის სისტემის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას ემსახურება საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის მიერ შემუშავებული რისკების მართვის ჩარჩო პროგრამა (GRAPE—General Risk Assessment Program). რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობის ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკი ცდილობს, გამოკვეთოს და სათანადო საზედამხედველო ღონისძიებებით შეამციროს ის პოტენციური რისკები, რომელმაც შესაძლოა პრობლემები შეუქმნას საფინანსო სისტემის უსაფრთხო და ჯანსაღ ფუნქციონირებას. აღნიშნული არ გულისხმობს საფინანსო სისტემის მონაწილე რომელიმე ინსტიტუტის გაკოტრების თავიდან გარდაუვალ არიდებას, არამედ გაკოტრების რისკებისა და საფრთხეების დროულად გამოვლენას და მათი რეალიზებით გამოწვეული უარყოფითი ეფექტების მაქსიმალურ შემცირებას საფინანსო სისტემის სტაბილურ ფუნქციონირებაზე.

განვიხილოთ სისტემური მნიშვნელობის ქართული კომერციული ბანკების: საქართველოს ბანკის, თბს ბანკისა და ლიბერთი ბანკის რისკების მართვის სტრუქტურა, თავისებურებები და გამოწვევები თანამედროვე ეტაპზე.

რისკმენეჯმენტი საქართველოს ბანკში

ბანკის სტრატეგიული მიზნების მისაღწევად მთავარია რისკის ეფექტურად მართვა. მატერიალური რისკები და გაურკვევლობები არის დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს ფოკუსის ძირითადი არეალი. დირექტორთა საბჭოს აქვს საბოლოო პასუხისმგებლობა რისკის მართვაზე.

ცხრილი 1

ბანკის ორგანიზაციული რისკის მართვის (ERM) ჩარჩოს ძირითადი კომპონენტები

რისკის მართვა	არააღმასრულებელი რისკის მმართველობა	რისკის აპეტიტის ზღვარს ყოველწლიურად განიხილავს და ამტკიცებს დირექტორთა საბჭო. საბჭო ადგენს ტონს „ზემოდან“ და იღებს რჩევებს რისკის კომიტეტისგან.
	აღმასრულებელი რისკის მმართველობა	აღმასრულებელი მმართველობა აფასებს რამდენად ეფექტურად არის დანერგილი რისკის მართვის და შიდა კონტროლის პოლიტიკა და პროცედურები.
როლები და პასუხისმგებლობები	„დაცვის სამი დონის მოდელი“	ბანკის ERM ჩარჩო დაფუძნებულია „დაცვის სამი დონის მოდელის“ სტანდარტზე.
პროცესები და ინსტრუმენტები	რისკის აპეტიტი	ბანკს აქვს დანერგილი სხვადასხვა პროცესები იმისთვის, რომ აღმოაჩინოს, შეაფასოს, გაზომოს, მართოს და წარადგინოს რისკები, რათა დარჩეს რისკის აპეტიტის ფარგლებში.
	აქტიური რისკის მართვა: იდენტიფიცირება, გაზომვა, არიდება, ანგარიშგება	
შიდა კონტროლი	პოლიტიკა და პროცედურები	ბანკი მუდმივად ნერგავს კონტროლის გარემოს ბიზნეს პროცესებში – პასუხისმგებლობების გადანაწილება, სისტემებში ინტეგრირებული პრევენციული საშუალებები, მომხმარებლების უფლებების შეზღუდვა.

წყარო: კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესით“ დადგენილი კომერციული ბანკების პილარ 3-ის წლიური ანგარიშგებები. საქართველოს ბანკი, 2023.

ბანკის რისკების მართვის ჩარჩო ეფუძნება რისკის მართვის „დაცვის სამი ხაზის“ სტანდარტულ მოდელს: 1. დაცვის პირველ ხაზს წარმოადგენენ შესაბამისი ბიზნეს/ოპერაციული ერთეულის პირველი ხაზისა და საშუალო ხაზის მენეჯერები, რისკის მართვაზე პასუხისმგებელი პირები (Risk Owner); 2. დაცვის მეორე ხაზი – რისკის ფუნქცია რისკების დირექტორის ქვეშ – ახორციელებს დაცვის პირველი ხაზის დამატებითი მხარდაჭერის ფუნქციებს, უმაღლეს მენეჯმენტთან ერთად; 3. დაცვის მესამე ხაზზე პასუხისმგებელია შიდა აუდიტის დეპარტამენტი.

თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით საყურადღებოა პრინციპულად ახალი რისკები, სახელდობრ: კლიმატური რისკი, მაკრო და გეოპოლიტიკური რისკები, რომელთა არ გათვალისწინების შემთხვევაში ბანკი ვერ შეძლებს თავისი სტრატეგიის შესრულებას, რაც, თავის მხრივ, ფინანსური მდგომარეობის გაუარესებას გამოიწვევს. ეს კი საქართველოს ეკონომიკაზე, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახება.

უაღრესად საყურადღებოა აგრეთვე, საკრედიტო რისკი, როდესაც ბანკი ფინანსურ ზარალს განიცდის. ბანკს აქვს 3 დეპარტამენტი, სადაც საკრედიტო რისკის მართვა ხორციელდება. ესენია: 1. საცალო საკრედიტო რისკის მიმართულება; 2. კორპორატიული საკრედიტო რისკის დეპარტამენტი; 3. MSME საკრედიტო რისკის დეპარტამენტი.

რისკების მართვის სისტემა თბს ბანკში

თიბისი ბანკში დანერგილია ძლიერი, დამოუკიდებელი და ბიზნესზე ორიენტირებული რისკების მართვის სისტემა. მისი მთავარი მიზანია, რისკის მართვის ეფექტური სისტემის მეშვეობით ხელი შეუწყოს ბანკის მდგრადი მომგებიანობის უზრუნველყოფას აღებული რისკების გათვალისწინებით. რისკების მართვა ემყარება შემდეგ ოთხ ძირითად პრინციპს (თბს ბანკი, 2023):

1. რისკების გამჭვირვალედ მართვა სანდოობის მოსაპოვებლად. რისკებთან დაკავშირებულ პროცესებსა და პოლიტიკებში თანმიმდევრულობა და გამჭვირვალობა სხვადასხვა დაკავშირებული მხარის ნდობის მოპოვების წინაპირობაა.

2. რისკების მართვა თიბისი ბანკის სტრატეგიის განხორციელების ხელშემწყობი მნიშვნელოვანი ფაქტორია. რისკების მართვის პერსონალი რისკების იდენტიფიცირებისა და მართვის მეშვეობით იძლევიან რწმუნებას მიზნების მიღწევადობასთან დაკავშირებით.

3. რისკების მართვა თიბისი ბანკის კონკურენტული უპირატესობაა. რისკის სრულყოფილი, გამჭვირვალე და გონივრული მენეჯმენტი აყალიბებს ბანკის მიმართ სხვადასხვა დაკავშირებული მხარეების ნდობას.

4. ბანკის შემოსავლის დიდი ნაწილი ფორმირდება საკრედიტო რისკის მატარებელი აქტივის ელემენტებით, სახელდობრ, სავალუტო და კონცენტრაციის რისკებით. ბანკის სასესხო პორტფელი სტრუქტურულად დივერსიფიცირებულია მომხმარებელთა ტიპების, პროდუქტის სახეობისა და ინდუსტრიული სეგმენტების მიხედვით, რასაც მინიმუმამდე დაჰყავს საკრედიტო რისკი ბანკის დონეზე. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საცალო სეგმენტი წარმოადგენდა მთლიანი პორტფელის 35,3%, რომელიც დაყოფილია იპოთეკურ და არაიპოთეკურ სესხებად, შესაბამისად 62,9% და 37,1%. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის პორტფელის 79% უზრუნველყოფილი იყო ნაღდი ფულით, უძრავი ქონებით ან ოქროთი. კონტრაქტის რისკის მართვის მიზნით, ბანკი განსაზღვრავს ლიმიტებს ინდივიდუალური კონტრაქტისთვის, რაც ზღუდავს ზარალის რისკს როგორც საბაზინო, ისე ვაჭრობის დაფინანსების თვალსაზრისით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის შიდა საბანკო პორტფელი კონცენტრირებული იყო სარეიტინგო კომპანიების „Fitch“, „Moody’s“ და „Standard and Poor’s“-ის მიერ მინიჭებული მაღალი – „A“ საკრედიტო რეიტინგის მქონე ბანკებში. სავალუტო საკრედი-

ტო რისკის ბუფერის (CICR) ბანკის საკრედიტო პორტფელის მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული. ლარის პოტენციური არსებითი გაუფასურება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რისკია, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს პორტფელის ხარისხზე. 2023 წლის 31 დეკემბერს ბანკის მთლიანი სესხების და კლიენტებზე გაცემული ავანსების (სესხის შესაძლო დანაკარგების რეზერვების დაკლებამდე) 48.6% უცხოურ ვალუტაში იყო დენომინირებული. მომხმარებელთა დიდი ნაწილის შემოსავალი წარმოდგენილია უცხოურ ვალუტაში, საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილების, ტურიზმის ან ექსპორტის გამო. მიუხედავად ამისა, მომხმარებლები შეიძლება არ იყვნენ დაცულნი ლარის გაცვლითი კურსის მნიშვნელოვანი მერყეობისგან სესხის ვალუტის მიმართ. ლარზე ვრცელდება მცოცავი გაცვლითი კურსი და ის მრავალ შიდა და გარე ფაქტორზეა დამოკიდებული, რომლებმაც რიგ შემთხვევაში შესაძლოა გამოიწვიოს მისი გაუფასურება. 2023 წელს აშშ დოლარის/ლარის გაცვლითი კურსი წინა წელთან შედარებით 9,9%-ით გაიყარდა. კონცენტრაციის რისკი, მიუხედავად იმისა, რომ ბანკი იღებს ცალკეული მსესხებლების და სექტორული კონცენტრაციების რისკებს, ბანკის პორტფელი კარგად დივერსიფიცირებულია სექტორების და ცალკეული მსესხებლების მქონე კრედიტორებს შორის, რაც იწვევს ზომიერ მოწყვლადობას კონცენტრაციის რისკების მიმართ. თუმცა, მთავარ რისკის მატარებლებზე ჯამური დავალიანების ზრდის შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ შესაბამისად გაიზრდება რისკებიც. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის მაქსიმალური დავალიანება ერთ უმსხვილეს დარგზე (უძრავი ქონება) სასესხო პორტფელის 9%-ს შეადგენდა. ამავდროულად, 20 უმსხვილეს მსესხებელზე დავალიანება საკრედიტო პორტფელის 9.1% იყო. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის ბანკთაშორისი პორტფელი კონცენტრირებული იყო სარეიტინგო კომპანიების „Fitch“, „Moody’s“ და „Standard and Poor’s“-ის მიერ მინიჭებული მაღალი – „A“ საკრედიტო რეიტინგის მქონე ბანკებში (თბს ბანკი, 2023)

საკრედიტო რისკის მიტიგაციის მიზნით, ბანკი აქტიურად იყენებს სხვადასხვა ტიპის უზრუნველყოფას. ბანკის უზრუნველყოფის მართვის პოლიტიკის თანახმად, უზრუნველყოფები იყოფა 4 ჯგუფად: უძრავი ქონება; მოძრავი ქონება; არამატერიალური აქტივი; თავდებობა, გარანტია (თბს ბანკი, 2023).

სავალუტო რისკთან დაკავშირებით სს „თიბისი ბანკი“ (საქართველო) ინარჩუნებს ვალუტის ღია პოზიციას სებ-ის ლიმიტების შესაბამისად, სახელდობრ, ბანკის საწესდებო კაპიტალის 20%-ის ფარგლებში.

სს „თიბისი ბანკი“ აფასებს საპროცენტო განაკვეთის რისკს წმინდა საპროცენტო შემოსავლის და კაპიტალის ეკონომიკური ღირებულების პერსპექტივებიდან. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „თიბისი ბანკის“ კაპიტალის ეკონომიკური ღირებულების კოეფიციენტი 7,34% იყო, რაც საზედამხედველო ლიმიტზე (15%) ბევრად ნაკლებია (თბს ბანკი, 2023).

კიდევ ერთ მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს საოპერაციო რისკი და მისი სახე კიბერ-უსაფრთხოება. აღნიშნული რისკების მისაღები დონის შეფასებისა და უზრუნველყოფისთვის, ბანკის მაღალპროფესიონალი შიდა გუნდი და მაღალი რეპუტაციის მქონე გარე მესამე მხარის პარტნიორები ყოველწლიურად ატარებენ: 1. SWIFT მომხმარებლების დაცვის ჩარჩოს გარე აუდიტს; 2. სებ-ის კიბერ უსაფრთხოების ჩარჩოს გარე აუდიტს, რომელიც ეფუძნება NIST-ის კიბერ უსაფრთხოების მართვის ჩარჩოს; 3. გარე საკონტროლო აუდიტს ISO 27001-ის მიხედვით; 4. ინტერნეტზე დაფუძნებული აპლიკაციების და კრიტიკული ინფრასტრუქტურის ინფორმაციის დაცვის ობიექტის კვლევას ბანკის მაღალი რეპუტაციის მქონე პარტნიორების დახმარებით.

მნიშვნელოვანია ასევე კაპიტალის ადეკვატურობის განსაზღვრა. კაპიტალის ადეკვატურობის ლიმიტები განისაზღვრება რისკის აპეტიტის ფარგლებში, რომლის დადგენის პროცესში ბანკი ითვალისწინებს მომავალზე ორიენტირებულ შემდეგ ელემენტებს: ეკონომიკურ პროგ-

ნოზს, ბანკის ფინანსურ მდგომარეობას, კაპიტალის დაგეგმილ განაწილებებს, სტრუქტურის და განუსაზღვრელობების პოტენციურ გავლენებს და სხვა.

ბანკი ასევე იმყოფება რეპუტაციის, კანონმდებლობის ცვლილების, მოდელის რისკის, აგრეთვე კვალიფიკაციური თანამშრომლების მოზიდვის, იურიდიული, ქცევის რისკის წარმოშობის წინაშე, რომლებსაც ბანკი მართავს შესაბამისი პოლიტიკისა და პრცედურების მიხედვით.

რისკების მართვა ლიბერტი ბანკში

ლიბერტი ბანკის რისკების მართვის სქემა მოიცავს 4 ძირითად კომპონენტს:

1. რისკის მართვის პრინციპები ითვალისწინებს რისკის მართვის სტრუქტურის რაოდენობრივ საფუძველს, ესენია:
 - რისკების მართვის ეფექტიანი კულტურის ხელშეწყობა;
 - რისკზე ანგარიშვალდებულება ბიზნეს ხაზების მიხედვით;
 - რისკების დამოუკიდებელი ცენტრალური ზედამხედველობა;
 - გადაჭარბებული კონცენტრაციების თავიდან აცილება და/ან შემცირება;
 - რისკების მკაფიოდ გამოვლენადობის, შეფასებადობის და მართვადობის უზრუნველყოფა.
2. სტრატეგიული პრინციპები ითვალისწინებს ხარისხობრივ მაჩვენებლებს, რომლითაც ხელმძღვანელობს ბანკი საზედამხედველო ფინანსური მიზნების მიღწევისას და რომლითაც იზომება ახალ ინიციატივებსა და ბანკის მიერ რისკის დასაშვებ დონეს შორის შეთანხმების ხარისხი. სტრატეგიული პრინციპები მოიცავს შემდეგს:
 - ყურადღების გამახვილება მოგების მრავალფეროვნებაზე, ხარისხსა და სტაბილურობაზე;
 - ორიენტირება ძირითად საქმიანობაზე ბანკის კონკურენტუნარიანი უპირატესობების ეფექტიანი გამოყენებით;
 - დისციპლინირებული და შერჩევითი სტრატეგიული ინვესტიციების განხორციელება.
3. საზედამხედველო ფინანსური მიზნები ორიენტირებულია აქციონერთა ღირებულების და ბანკის საქმიანობის ფრენჩაიზინგის მდგრადობის გრძელვადიან პერსპექტივებზე. აღნიშნული მიზნები ორიენტირებულია კაპიტალის შიდა გენერირებაზე მოგების მდგრადი ზრდის საფუძველზე, რომელიც ხელს უწყობს ბანკის წვდომას კაპიტალზე სათანადო კომერციული პირობებით და ადეკვატური კაპიტალის შენარჩუნებაზე ბანკის რისკის პროფილთან მიმართებაში.
4. რისკის დასაშვები დონის შეფასებები ითვალისწინებს ობიექტურ მაჩვენებლებს, რომელიც ზომავს რისკს და ახდენს ბანკის მისაღები რისკის დონის ფორმულირებას. ასეთი მაჩვენებლები უზრუნველყოფენ კავშირს რისკის მიღების ფაქტობრივ ოპერაციებსა და რისკის მართვის პრინციპებს, სტრატეგიულ პრინციპებსა და საზედამხედველო ფინანსურ მოთხოვნებს შორის.

ლიბერტი ბანკის რისკების მართვა ეყრდნობა „დაცვის სამი ხაზის“ სტანდარტულ მოდელს:

1. სამეთვალყურეო საბჭო; 2. დირექტორთა საბჭო; 3. შიდა აუდიტი(ლიბერტი ბანკი, 2023).

დასკვნები და რეკომენდაციები

ამრიგად, ბანკების ეფექტიანი ფუნქციონირება რამდენიმე საბაზისო ფაქტორზეა დამოკიდებული, სახელდობრ: სწორი საბანკო მენეჯმენტი (ბანკის საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმვა, ანალიზი, რეგულირება და კონტროლი, ასევე, ოპერაციების, ფინანსების, პერსონალისა და მარკეტინგული საქმიანობის მართვა) და საბანკო რისკების მართვის სტრატეგია (რისკების სახეობების გამოვლენა, შეფასება და შესაბამისი დეპარტამენტის მიერ მათი მუდმივი მონიტორინგი).

საქართველოს სისტემური მნიშვნელობის ბანკები, საბანკო რისკების წარმოშობის უამრავი მიზეზის მიუხედავად, წარმატებით ართმევენ თავს მათთან გამკლავებას, რაც, უპირველეს ყოვლისა, სწორად შერჩეული სტრატეგიისა და პროფესიონალებისგან შემდგარი გუნდის დამსხურებაა. მიუხედავად ამისა, კომერციული ბანკების შემდგომი განვითარებისთვის მნიშვნელოვანი და მიზანშეწონილია ცვლილებები, რომლებიც შეძლებს საბანკო რისკების მინიმიზაციას როგორც კრედიტორებისთვის, ასევე დეპოზიტორებისთვის.

გარდა ამისა, ბანკებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ ვალდებულებების დივერსიფიკაციაზე, სახელდობრ, რისკების გადანაწილებაზე სხვადასხვა აქტივებში, გეოგრაფიულ არეალებსა და სექტორებში. შესაბამისად, მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები დიდ გავლენას ვეღარ მოახდენს ქვეყნის ფინანსურ სექტორზე.

რისკებისგან თავის დასაცავად მიზანშეწონილია ბანკებმა გამოიყენონ ჰეჯირებისა და დაზღვევის თანამედროვე სისტემები, კაპიტალის საკმარისი რეზერვების ფორმირება და მოწინავე IT ტექნოლოგიები, კერძოდ, ხელოვნური ინტელექტისა და უახლესი ელექტრონული სისტემების დანერგვა-განვითარება სწრაფი ანალიზისთვის.

ამავე დროს, საკმაოდ მნიშვნელოვანია ბანკების მიერ ოპტიმალური და რაციონალური შიდა კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება და დახვეწა, რათა დროულად გამოავლინონ და შეამცირონ საქმიანობის ნეგატიური შედეგები. ამ პროცესში აუცილებელია თანამშრომლების აქტიური მონაწილეობა და მათი კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება ტრენინგების საშუალებით.

ლიტერატურა

1. საქართველოს ეროვნული ბანკი – რისკებზე დაფუძნებული საზედამხებდებლო ჩარჩოს – რისკების შეფასების საერთო პროგრამის (GRAPE) სახელმძღვანელო, თბილისი, 2022. <https://nbg.gov.ge>
2. თბილისი ბანკი-მმართველობითი ანგარიში 2023. <https://tbcbank.ge>
3. საქართველოს ბანკი – მმართველობითი ანგარიშგება 2023. <https://bankofgeorgia.ge>
4. ლიბერთი ბანკი – მმართველობითი ანგარიშგება 2023. <https://libertibank.ge>
5. <https://www.creditriskmonitor.com> – credit risk monitor

PECULIARITIES OF RISK MANAGEMENT IN SYSTEMICALLY IMPORTANT BANKS OF GEORGIA

Leila Ghudushauri

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor, Doctor of Economics*

Summary

At the present stage, global trends in the development of the banking system, the increasing flow of new financial products and technological innovations, fierce interbank competition, instability of economic processes and constant volatility of the financial services market lead to a sharp increase in banking risks, which can have a negative impact on the solvency and profitability of banks. Therefore, the identification, analysis, assessment and effective risk management are crucial for the liquidity and stability of the banking system, as well as for ensuring the protection of depositors.

The article discusses and analyzes the features and problems of risk management in systemically important banks of Georgia (Bank of Georgia, TBS Bank and Liberty Bank), and expresses opinions on the main directions for improving risk management.

Keywords: *risk management; systemically important banks; GRAPE—General Risk Assessment Program; risk management model "Three lines of defense"; risk appetite.*

Effective functioning of banks depends on several key factors, namely: proper banking management (strategic planning, analysis, regulation and control of banking activities, as well as management of operations, finance, personnel and marketing activities) and banking risk management strategies (identification of risk types, assessment and corresponding ongoing control by the unit).

Systemically important banks of Georgia, despite the numerous causes of banking risks, manage to successfully combat them, which is, first of all, a correctly chosen strategy and dispersion of the team of professionals. Nevertheless, for the further development of commercial banks, changes are important and appropriate that will reduce banking risks for both creditors and depositors, which, in turn, will lead to further improvement of the bank's performance indicators.

In addition, banks should focus on diversification of liabilities, namely, on the distribution of risks across different assets, geographic regions and sectors. Therefore, the expected negative consequences will not have a major impact on the financial sector.

In order to protect against risks, it is advisable for banks to use the capabilities of modern hedging and insurance systems, the formation of sufficient capital reserves, as well as the implementation and development of modern IT systems, in particular artificial intelligence and the latest electronic systems for express analysis.

At the same time, it is very important for banks to create and improve an optimal and rational internal control system in order to promptly identify and reduce the negative results of their activities. This process requires the active participation of employees and continuous improvement of their skills through training.

სტარტაპების განვითარების ძირითადი გამოწვევები საქართველოში

შოთა შაბურიშვილი

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია სტარტაპების ძირითადი ძლიერი და სუსტი მხარეები, საქართველოში არსებული ბიზნესის გარემოს ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილია სექტორის ძირითადი გამოწვევები. ბოლო წლებში საქართველოში სტარტაპების რაოდენობა სტაბილურად იზრდებოდა, რასაც ბიზნესის გარემოს ცალკეული ასპექტების გაუმჯობესება და სამენარმო კულტურის განვითარება უწყობს ხელს. მენარმოების მხარდაჭერი სამთავრობო პროგრამები, სპეციალური ეკონომიკური ზონები, საგადასახადო, ორგანიზაციული შეღავათები მნიშვნელოვან სტიმულებს ქმნის ადგილობრივი და უცხოელი მოქალაქეებისათვის საქმიანი წამოწყებები საქართველოს იურისდიქციაში დაარეგისტრირონ. სტარტაპში მოიაზრება ახალგაზრდა კომპანია, რომელიც ქმნის ახალ, გაუმჯობესებულ პროდუქტს ან მომსახურებას და ეყრდნობა უნიკალურ ბიზნეს მოდელს. ბუნებრივია ასეთი საქმიანი წამოწყებები ასტიმულირებენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, ზრდიან დასაქმების დონესა და ინოვაციურ პოტენციალს. საქართველოში მოქმედი სტარტაპები კვლავ აწყდებიან სიძნელეებს რიგ სფეროებში, რაც ნეგატიურად აისახება მათი პოტენციალის სრულყოფილ რეალიზაციაზე. გაუმჯობესებას საჭიროებს სტარტაპების მხარდაჭერი სამთავრობო პროგრამები. საწყის ფაზაში მთავრობის მხარდაჭერა არსებითია, თუმცა როდესაც სტარტაპები გაცილებით რთულ ფაზას – „სიკვდილის ველს“ აღწევენ, ყოველგვარი დახმარების გარეშე რჩებიან. კაპიტალის ბაზრის განუვითარებლობის გამო, კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევაა კერძო ფინანსებზე ხელმისაწვდომობა.

საკვანძო სიტყვები: სტარტაპი; ინოვაცია; მენარმოება; ბიზნესის მოდელი; ტექნოლოგია.

თანამედროვე პირობებში სტარტაპის ცნება სცნება ბიზნესის სასიცოცხლო ციკლის კონკრეტული ფაზის ვიწრო ჩარჩოებს და უმნიშვნელოვანეს სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ დატვირთვას იძენს. სტარტაპი ესაა ინოვაციური ბიზნეს-იდეები, ახალი და გაუმჯობესებული ტექნოლოგიები, პროდუქტები, მართვის მეთოდები და მოდელები, სამუშაო ადგილები, კონკურენტული გარემო, რეალიზებული პიროვნული პოტენციალი, თავისუფალი და ღირსეული მოქალაქე, დამატებითი შემოსავალი სახელმწიფო ხაზინაში, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური განვითარება. ცნობილია, რომ ახალგაზრდა და ინოვაციური ფირმები, რომლებიც ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობენ, გადამწყვეტ როლს ასრულებენ საზოგადოების განვითარებასა და კეთილდღეობის ამაღლებაში (Meskhia & Shaburishvili, 2015). მათი მნიშვნელობის გაცნობიერებით, განვითარებული ქვეყნების მთავრობები, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ამგვარ საქმიან აქტივობებს (Colombo, Luukkonen, Mustra, & Wright, 2010).

არსებობს სხვადასხვა შეხედულება ბიზნესის მახასიათებლებთან დაკავშირებით, იმისათვის, რომ ის სტარტაპს მივაკუთვნოთ. ყველაზე გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, სტარტაპი არის ინოვაციური ბიზნესი, რომელიც ერთ წლამდე ასაკში იმყოფება (WKO, 2024). ამასთან, დარგის მკვლევარები ხაზგაზმით აღნიშნავენ, რომ ეს ტერმინი მხოლოდ იმ ახალგაზრდა კომპანიების მიმართ უნდა იქნას გამოყენებული, რომლებიც ახალ, უნიკალურ ბიზნეს მოდელებს და ინოვაციურ მიდგომებს ეყრდნობიან (Baldridge & Curry, 2024). სტარტაპები მიზნად ისა-

ხავენ როგორც არსებული პროდუქტის დახვეწას, ხარვეზების გამოსწორებასა და პრობლემების გადაჭრას, ასევე ახალი პროდუქტის შექმნას და ისეთი მომსახურების შეთავაზებას, რომელიც უფრო გაამარტივებს ადამიანების ცხოვრებას. ზოგადად, სტარტაპი წარმოადგენს ახალ კომპანიას, რომელიც ქმნის ახალ ან გაუმჯობესებულ პროდუქტს ან მომსახურებას და ეყრდნობა უნიკალურ ბიზნეს მოდელს. ასეთი კომპანიები, მოგზაურობის დასაწყისში კლასიფიცირდებიან როგორც სტარტაპები და რასაც ისინი მიაღწევენ, დროის ამ მოკლე ინტერვალში, დიდად განსაზღვრავს მათ შემდგომ წარმატებას ან წარუმატებლობას. სტარტაპის შექმნის მთავარი მამოძრავებელი ძალაა პირადი ფინანსური სარგებლის მიღება, ასევე საზოგადოებისათვის დადებითი ეფექტის შექმნა, რაც შედეგად ახალ ბაზრებს წარმოქმნის. ორგანიზაციის შექმნით, მიმწოდებლებთან თანამშრომლობითა და მოსახლეობის დასაქმებით, სტარტაპები ასტიმულირებენ ადგილობრივ ეკონომიკას. მათი ინოვაციები ზრდიან პროდუქტიულობას სხვადასხვა ინდუსტრიაში (Shaburishvili, 2011). სტარტაპები ხასიათდებიან თანამშრომელთა მცირე რაოდენობით, შეზღუდული საოპერაციო ისტორიით, ინოვაციურობით და ორიენტირებულნი არიან სწრაფ ზრდაზე (Decker, 2023).

ინოვაციურობის და ასაკის გარდა, სტარტაპის ფენომენის ახსნისას ავტორები ხშირად ისეთ ცნებებს ეყრდნობიან, როგორიცაა რისკის დონე, მისი ხასიათი და საჭირო ფინანსების მოცულობა. ამ თვალსაზრისით, გამოყოფენ ბიზნესის 5 ფაზას – თესვა, სტარტაპი, ადრეული ზრდა, გაფართოება, მდგრადი განვითარება (შაბურიშვილი, 2009). მოიაზრება, რომ თესვის სტადიის დასრულება ხსნის ახალ ტექნოლოგიასთან, საქონელსა ან მომსახურებასთან დაკავშირებულ რისკს. სტარტაპ სტადიის დასრულება კი უზრუნველყოფს პრინციპული არაკომერციულობის (საქონლის ბაზარზე გასვლის შეუძლებლობა) რისკის მოხსნას.

ცხრილი 1

ბიზნესის განვითარების ეტაპები


დასახელება (ინგლისურად)	დასახელება (ქართულად)	საჭირო ფინანსური რესურსები (დოლარებში)	აღწერა
Seed	თესვა	1000000- მდე	ბიზნესის ფორმირება, პროექტისა და ბიზნეს-იდეის არსებობა, მმართველი გუნდის შექმნა და მარკეტინგული კვლევების ჩატარება.
Start-up	სტარტაპი	1000000-დან 5 000000	კომპანია ფუნქციონირებს, არსებობს ბიზნეს-გეგმა, საცდელი ნიმუშები, მიმდინარეობს სერიული წარმოების ორგანიზება, ტარდება სამუშაოები პროდუქტის ბაზარზე გასატანად.
Early stage, Early growth	ადრეული ზრდა	5000000-დან 10000000	მიმდინარეობს მზა პროდუქციის გამოშვება და კომერციული რეალიზაცია. საწარმოს ჯერ არ გააჩნია მყარი მოგება. ამ სტადიაზე ხდება უზარალობის წერტილის მიღწევა.
Axspantion	გაფართოება	10000000-ზე მეტი	კომპანია იკავებს მყარ პოზიციას ბაზარზე, იღებს სტაბილურ მოგებას, ფართოვდება წარმოება და რეალიზაცია, იზრდება ძირითადი ფონდები.
Later stage	გვიანი სტადია, მდგრადი განვითარება	დამოკიდებულია საჭიროებებზე	მტკიცე პოზიციები სხვადასხვა მიზნობრივ ბაზრებზე, მდგრადი მოგება და დივიდენდების გადახდა. ყოველწლიური ზრდის ტემპი მცირეა, საწარმოს აქციები უკვე იყიდება საფონდო ბირჟაზე.

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ დარგში არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე.

ბიზნესის განვითარების ეტაპების კლასიფიკაცია ქვეყნებისა და კონკრეტული ინვესტორების მიხედვითაც კი განსხვავებულია. ზოგჯერ ერთ კატეგორიაში აერთიანებენ თესვისა და სტარტაპ პროექტებს, ან პირიქით დამატებით გამოყოფენ იდეის თავდაპირველი დამუშავების სტადიას. აღნიშნულის მიუხედავად, საწარმოს განვითარების ეტაპების გამოყოფა დიდ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე ბიზნესში (Шабურიшвили, 2011). ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ თესვისა და სტარტაპ სტადიებს ბევრი საერთო ნიშანი გააჩნია – მართვის მარტივი სტრუქტურა, არაფორმალური ურთიერთობები კომპანიის თანამშრომლებს შორის, ახალ ბაზარზე მუშაობა, მოგების, საბაზრო საქმიანობის გამოცდილების, მსხვილი და ლიკვიდური აქტივების არქონა. ამიტომ, ადრეული სტადიის ბიზნესებზე მსჯელობისას ხშირად ორივეს ერთად (თესვა და სტარტაპი) მოიაზრებენ და საერთო სახელით – სტარტაპით მოიხსენიებენ.

მკვლევარები სტარტაპების შემდეგ უპირატესობებზე ამახვილებენ ყურადღებას:

- ✓ ბაზართან სიახლოვე, სტარტაპის დამფუძნებლები ხშირად თავად გვევლინებიან იმ პროდუქტის გამორჩეულ მომხმარებლად, რომელის ახალ ან გაუფჯობესებულ ვარიანტს შემდგომში ბაზარს სთავაზობენ;
- ✓ თანამშრომლების ლოიალური დამოკიდებულება, რასაც ახალ ორგანიზაციაში მკვეთრი იერარქიის არარსებობა, გუნდის წევრებს შორის მეგობრული დამოკიდებულება, მოქნილი სამუშაო გრაფიკი და ბიზნესში ნილობრივი მონაწილეობა განაპირობებს.
- ✓ ცვალებად პირობებთან სწრაფი ადაპტაციის უნარი, ფორმირების პროცესში მყოფი სტრატეგიული და ოპერაციული ბაზა ამარტივებს მასში ცვლილებების შეტანას;
- ✓ გადანაცვლებების მიღების, აღსრულების ოპერატიულობა და მოქნილობა, საწყის ეტაპზე მყოფი ორგანიზაციების მართვის სისტემა მარტივია (Shaburishvili & Kadagishvili, 2018).



ნახაზი 1

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა დინამიკაში

აღნიშნული უპირატესობების მიუხედავად, სტარტაპები აწყდებიან გამოწვევებს, რაც განპირობებულია ბიზნესის საწყის ეტაპთან დაკავშირებული კომერციული რისკებითა და ფინანსური პრობლემებით. ფორმირების სტადიაზე მყოფ კომპანიებს და მის დამფუძნებლებს, უმეტეს შემთხვევაში, ბაზარზე პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება არ გააჩნია (Shaburishvili & Chania, 2017). ამ ეტაპზე, მკვეთრად არ არის გამოკვეთილი ბიზნესის მოდე-

ლი, ძირითადი გუნდის შემადგენლობა, მიზნობრივი ბაზარი და მისი ათვისების სტრატეგია, უცნობია მომხმარებლის რეაქცია შეთავაზებულ პროდუქტზე, რთულია მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა, ხოლო ფინანსური მაჩვენებლები კი დამფუძნებლების ოპტიმისტური ვარაუდები უფროა, ვიდრე ობიექტურ გათვლებზე დაფუძნებული პროგნოზები. თუმცა, ბიზნესის განვითარების მომდევნო ფაზებისაგან განსხვავებით, საჭირო ფინანსების მოცულობა არც ისე დიდია (იხ. ცხრილი 1). დაფინანსების თვალსაზრისით ურთულესი პრობლემები განვითარების შემდგომი სტადიისაკენ გარდამავალ ეტაპზე იჩენს თავს (იხ. ნახაზი 1.).

1 – თესვის სტადია; 2 – სტარტაპი; 3 – ადრეული ზრდა; 4 – გაფართოვება; 5 – მდგრადი განვითარება.

ნახაზ 1-ზე ასახული კომპანიის ფინანსური ჩავარდნა „სიკვდილის ველის“ სახელითაა ცნობილი. სახელწოდება გამომდინარეობს იმ სტატისტიკიდან, რომელიც აშშ-ში „სილიკონის ველზე“ არსებობს, საშუალოდ ამ ეტაპს მიღწეული 10 სტარტაპიდან მხოლოდ 1 გადადის ადრეული ზრდის ფაზაზე (Ritter & Pedersen, 2022). „სიკვდილის ველის“ ფსკერი სტარტაპიდან ადრეული ზრდის ფაზისაკენ გარდამავალ ეტაპზე მდებარეობს. ამ დორს მკვეთრად იზრდება კომპანიის დანახარჯები, ხოლო გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი მინიმალურია ან საერთოდ არ არის. ხარჯების ასეთი ზრდა უკავშირდება ბაზრის ასათვისებლად საჭირო საოპერაციო და მარკეტინგულ აქტივობებს.

ბოლო წლებში სტარტაპების რაოდენობა საქართველოში სტაბილურად იზრდებოდა, რასაც ბიზნესის გარემოს ცალკეული ასპექტების გაუმჯობესება და სამენარმო კულტურის განვითარება უწყობს ხელს. მენარმეობის მხარდამჭერი სამთავრობო პროგრამები, სპეციალური ეკონომიკური ზონებით, საგადასახადო და ორგანიზაციული შეღავათები მნიშვნელოვან სტიმულს ქმნის ადგილობრივი და უცხოელი მოქალაქეებისათვის ბიზნესი საქართველოს იურისდიქციაში დაარეგისტრირონ (Shaburishvili, 2016). ვითარდება ბიზნეს-ინკუბატორები, სტარტაპ-აქსელერატორები, ბიზნეს-ანგელოზების ქსელები და ვენჩურული ფონდები, რომლებიც მენტორობის პროგრამების, ქსელური ღონისძიებებისა და განვითარებისთვის საჭირო რესურსების შეთავაზებით ხელს უწყობენ სტარტაპების სექტორის განვითარებას. საინტერესოა ის ფაქტი, რომ გლობალურ სტარტაპ-ეკოსისტემაში საქართველო 100 ქვეყანას შორის მე-80 ადგილზეა (Nanitashvili & Vandenberg, 2023).

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მკვეთრად განსხვავებულ პირობებს ვხვდებით სტარტაპების განვითარებისათვის – დედაქალაქში შედარებით ხელსაყრელი გარემოა, თუმცა, რეგიონებში სერიუზული ჩავარდნაა დიგიტალური, საკომუნიკაციო, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განუვითარებლობისა და კვალიფიციური სამუშაო ძალის მკვეთრი დეფიციტის გამო (Udesiani & Shaburishvili, 2023). თბილისი ემსახურება მრავალ ინოვაციურ სტარტაპს სხვადასხვა ინდუსტრიაში, როგორცაა ტექნოლოგია, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ელექტრონული კომერცია და ფინტეკი (Geo Commerce, 2023). სტარტაპების დაფინანსების შესაძლებლობების თვალსაზრისით, თბილისში შესაძლებელია მოვიძიოთ ვენჩურული კაპიტალის წყაროები, სხვადასხვა ღონისძიებებზე ქალაქს ხშირად სტუმრობენ ბიზნეს-ანგელოზები, რომლებიც ეძებენ პერსპექტიულ სტარტაპებს ინვესტირებისათვის. გარდა ამისა, არსებობს მთავრობის მიერ მხარდაჭერილი ინიციატივები, რომლებიც მიზნად ისახავს მენარმეობის ხელშეწყობას გრანტებისა და სუბსიდიების საშუალებით (ტერტერაშვილი, 2021).

საქართველოს ტერიტორიაზე წარმატებული სტარტაპების რიცხვის ზრდა, რომელიც გლობალურად კონკურენტუნარიან ბიზნესებად ჩამოყალიბდებიან, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის არსებით წყაროდ შეიძლება მოგვევლინოს მომავალში. სწორედ სტარტაპები ქმნიან ინოვაციურ და განახლებულ ტექნოლოგიურ პროდუქტებს, რომელსაც დიდი სარგებელი მო-

აქვს, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი მომხმარებლისათვის. საქართველოში სტარტაპები რამდენიმე ძირითად სექტორზე არიან ორიენტირებული:

- ✓ **Agritech:** სტარტაპები იყენებენ ტექნოლოგიებს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გაზრდის, მიწის დეგრადაციის გასაუმჯობესებლად და მდგრადი მეურნეობის პრაქტიკის ხელშეწყობისთვის;
- ✓ **Edtech:** საგანმანათლებლო ტექნოლოგიების სტარტაპები, რომლებიც სასწავლო მასალებს ონლაინ კურსებიდან პერსონალიზებულ სასწავლო პლატფორმებამდე გარდაქმნიან;
- ✓ **Healthtech:** ინოვაციები ჯანდაცვის ტექნოლოგიაში – ტელემედიცინა, პაციენტის მონაცემების მართვა და პრევენციული დახმარება;
- ✓ **Greentech:** გარემოს დაცვის და მდგრადობის გაზრდის გადამწყვეტილებებზე მომუშავე სტარტაპები – განახლებადი ენერგია, ნარჩენების მართვა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოება (Nanitashvili & Vandenberg, 2023).

აღნიშნული პოზიტიური ძვრების მიუხედავად საქართველოში მოქმედი სტარტაპების მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებს „სიკვდილის ველის“ გადალახვას. ბიზნესის ეს სექტორი კვლავ აწყდება სიძნელეებს რიგ სფეროებში, რაც ნეგატიურად აისახება მისი პოტენციალის სრულყოფილ რეალიზაციაზე.

გაუმჯობესებას საჭიროებს სტარტაპების მხარდამჭერი საჯარო ინსტიტუტების მიდგომები. სამთავრობო პროგრამები ძირითადად თესვის ფაზაზე არიან ფოკუსირებული და დამწყები მენარმეებისათვის მცირედი გრანტების გამოყოფას ითვალისწინებენ, ხოლო „#“—“;“ ველზე მოხვედრილი კომპანიები დახმარების გარეშე, ბედის ანაბარა არიან მიტოვებული. ამასთან, უმეტეს შემთხვევაში, ხდება არა ორიგინალურ, უნიკალურ, ინოვაციურ ან თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საქმიანი წამოწყებების დაფინანსება, არამედ სტანდარტულ, კარგად აპრობირებულ, დაბალპროდუქტიულ, ტრადიციულ ტექნოლოგიებზე ფოკუსირებული მცირე ოჯახური ბიზნესების, რომლებსაც ზრდის არანაირი პერსპექტივა არ გააჩნია.

გამოწვევად რჩება კერძო ფინანსებზე ხელმისაწვდომობა. მაღალი საპროცენტო განაკვეთები და სესხის უზრუნველყოფის მკაცრი პირობები (დიდი გირაო, გარანტია), რასაც შედარებით განუვითარებელი არასაბანკო დაფინანსების სისტემა ემატება. როგორც ცნობილია, სტარტაპების დაფინანსების მთავარი წყარო ბიზნეს-ანგელოზები და ვენჩურული ფონდებია. სამწუხაროდ ეს ინსტიტუტები საქართველოში ჯერ კიდევ ფორმალურად ფუნქციონირებენ, რაც ზოგადად კაპიტალის ბაზრის განუვითარებლობით არის გამოწვეული. ვენჩურული დაფინანსების ძირითადი სქემა სტარტაპ სტადიაზე კომპანიის წილის შეძენაა, რომელიც გაცილებით მაღალ ფასად, სტაბილიზაციის ფაზაზე გადასვლის შემდეგ, აქციების სახით საფონდო ბაზარზე გაიყიდება. ეს უკანასკნელი კი საქართველოში პრაქტიკულად არ ფუნქციონირებს.

დასკვნა

თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოში სტარტაპების განვითარების საკითხი საკმაოდ აქტუალური გახდა, რაზეც სამთავრობო პროგრამების მხარდამჭერის, საერთაშორისო ინვესტორებისა და სამეწარმეო წრეების დაინტერესების ზრდა მიუთითებს. ეტაპობრივად ვითარდება სტარტაპ-გარემო, რომელიც ხელსაყრელია როგორც ბიზნესის დამფუძნებლებისთვის, ასევე ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორებისათვის. ბიზნეს იდეით შთაგონებულ ადამიანს საშუალება ეძლევა, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო პროგრამებსა და სხვადასხვა საგრანტო კონკურსებში, რითაც საწყისი დაფინანსების მოპოვებას შეძლებს. ვითარდება ბიზნეს-ინკუბატორები, სტარტაპ-აქსელერატორები, ბიზნეს-ანგელოზების ქსელები და ვენჩურული ფონდები, რომლებიც ხელს უწყობენ სტარტაპების სექტორის განვითარებას. ამასთან, რეგიონებში არსებული სტარტაპ-გარემო არსებითად ჩამოუვარდება თბილისს. სა-

ქართველოში მოქმედი სტარტაპების მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებს საკუთარი იდეების რეალიზებასა და „სიკვდილის ველის“ გადალახვას. ბიზნესის ეს სექტორი კვლავ აწყდება სიძნელებებს რიგ სფეროებში, რაც ნეგატიურად აისახება მისი პოტენციალის სრულყოფილ რეალიზაციაზე. გაუმჯობესებას საჭიროებს სტარტაპების მხარდამჭერი საჯარო ინსტიტუტების მიდგომები. კაპიტალის ბაზრის განუვითარებლობის გამო, კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევაა კერძო ფინანსებზე ხელმისაწვდომობა.

ლიტერატურა

1. Baldridge, R., Curry, B. (2024,). What Is A Startup? The Ultimate Guide. *Forbes Advisor*, <https://www.forbes.com/advisor/business/what-is-a-startup/>.
2. Colombo, M., Luukkonen, T., Mustra, P., Wright, M. (2010). Venture capital and high-tech start-ups. *Venture Capital*, 12(4), 261-266.
3. Decker, A. (2023). What is a Startup? The Ultimate Guide to Startups. *hubspot*. Retrieved, 2024, from <https://blog.hubspot.com/sales/startups>
4. Geo Commerce. (2023,). Georgia's Thriving Startup Ecosystem: What You Need to Know. *Geo Commerce*. Retrieved from <https://geocommerce.ge/georgias-thriving-startup-ecosystem-what-you-need-to-know/#>
5. Meskhia, I., Shaburishvili, S. (2015). Basics of Researche of the Technological Environment of Business. *Zeszyty Naukowe Uniwersytetu Przyrodniczo-Humanistycznego w Siedlcach. Administracja i Zarządzanie*, 117-124.
6. Nanitashvili, N., Vandenberg, P. (2023). *Georgia's Emerging Ecosystem for Technology Startups*. Asian Development Bank.
7. Ritter, T., Pedersen, C. L. (2022). An Entrepreneur's Guide to Surviving the "Death Valley Curve". *Harvard Business Review*. Retrieved from <https://hbr.org/2022/04/an-entrepreneurs-guide-to-surviving-the-death-valley-curve>
8. Shaburishvili, S. (2011). Prospects for the Development of Innovative Entrepreneurship in Georgia. *Problems and prospects of cooperation between countries of South-Eastern Europe within context of the BSEC and GUAM* (pp. 840-845). Donetsk: DONNU.
9. Shaburishvili, S. (2016). Social changes and economic development in Georgia. *Economics and Management Organization*, 12-18.
10. Shaburishvili, S., Kadagishvili, L. (2018). Challenges to the development of small and medium business in Georgia. *Вісник Хмельницького національного університету. Економічні науки*, 1(5), 14-18.
11. Shaburishvili, S., Chania, M. (2017). Global Innovation Trends and Georgia. *European Journal of Economics and Business Studies*, 94-99.
12. Udesiani, K., Shaburishvili, S. (2023). Small and Medium business opporinies and the importance of its support in Georgia. *Seybold Report*. doi:10.17605/OSF.IO/5P28E
13. WKO. (2024, 10 19). WKO. Retrieved from www.wko.at: <https://www.wko.at/service/Austrian-Economic-Chambers.html>
14. Шабურიшвили, Ш. (2011). Симулирование инновационной деятельности на малых и средних предприятиях в условиях глобализации. *Проблемы развития внешних экономических связей и Привлечение иностранных инвестиций: региональный аспект*, (pp. 408-413). Донецк.
15. ტერტერაშვილი, ნ. (2021). მცირე ბიზნესის გამოწვევები საქართველოში COVID-19 პანდემიის პირობებში. *ახალი ეკონომისტი*, 16 (1 (60)), 76-83.
16. შაბურიშვილი, შ. (2009). ბიზნეს-ანგელოზები, არაფორმალური ინვესტორების მოძიების ქართული გამოცდილება. თბილისი: „უნივერსალი“.

THE MAIN CHALLENGES OF THE STARTUP'S DEVELOPMENT IN GEORGIA

Shota Shaburishvili

Doctor of Economics, Associate Professor

The paper discusses the main strengths and weaknesses of startups in Georgia. In recent years, the number of startups in Georgia has been growing steadily, which is facilitated by the improvement of the business environment and the development of entrepreneurial culture. Government programs supporting entrepreneurship, special economic zones, tax and organizational benefits create significant incentives for local and foreign citizens to register business ventures in the jurisdiction of Georgia. The startup is a young company that creates a new, improved product or service based on a unique business model. Such business ventures stimulate the economic development of the country, increase the level of employment and innovative potential. Startups operating in Georgia still face difficulties in a number of areas, which negatively affects the full realization of its potential.

Keywords: startup; innovation; entrepreneurship; business model; technology.

ეკონომიკური გამოწვევები და შესაძლებლობები საქართველოს ევროპული ინტეგრაციის კონტექსტში

ალექსანდრე შარაშენიძე

ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
sharashenidzealexandre11@gtu.ge

ტეტიანა ჩერნიავესკა

ეკონომიკის დოქტორი, კონინის გამოყენებით
მეცნიერებათა უნივერსიტეტის პროფესორი
tetiana.cherniavska@konin.edu.pl

ბოგდან ჩერნიავესკი

ეკონომიკის დოქტორი,
კონინის გამოყენებით მეცნიერებათა
უნივერსიტეტის პროფესორი
bohdan.cherniavskyi@konin.edu.pl.

აბსტრაქტი

საქართველოს ევროპული ინტეგრაცია წარმოადგენს როგორც სტრატეგიულ პოლიტიკურ მიზანს, ასევე ქვეყნის ეკონომიკური ტრანსფორმაციის აუცილებელ საფუძველს. აღნიშნული პროცესი ხსნის ახალ შესაძლებლობებს მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის (მსბ). ევროპულ ბაზრებზე წვდომა ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვას, ტექნოლოგიური გადაცემასა და ინოვაციური ბიზნეს მოდელების დანერგვას, მსბ-ის კონკურენტუნარიანობის ზრდისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს მსბ-ს მნიშვნელოვნად აფერხებს კაპიტალზე შეზღუდული წვდომა, ბაზარზე კონკურენციის მაღალი დონე და შიდა მომხმარებელთა სუსტი მოთხოვნა. აღნიშნული გამოწვევების გადასაჭრელად, ევროკავშირის პროგრამებისა და ფინანსური ინსტიტუტების მხარდაჭერა მნიშვნელოვანია, დაბალპროცენტიან სესხების და გრანტების უზრუნველსაყოფად. მოლდოვასთან შედარება, რომელიც მსგავს გამოწვევებს აწყდება, ავლენს პოლიტიკისა და ინსტიტუციურ რეფორმების საჭიროებას.

საკვანძო სიტყვები: ევროპული ინტეგრაცია, ინვესტიციები, ტექნოლოგიური ინოვაცია, ეკონომიკური განვითარება

1. შესავალი

საქართველოს ევროპასთან ინტეგრაცია წარმოადგენს არა მხოლოდ სტრატეგიულ პოლიტიკურ მიზანს, არამედ აუცილებელ საფუძველს ქვეყნის ეკონომიკური ტრანსფორმაციისთვის. ევროინტეგრაციის პროცესი ახალი შესაძლებლობების წყაროა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის და ამავე დროს საქართველოს შიდა ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს (Machurishvili, 2018; Sukhiashvili, 2012). არსებული ეკონომიკური არასტაბილურობისა და იმპორტულ პროდუქტებზე მზარდი დამოკიდებულების ფონზე, ევროპულ ბაზრებზე წვდომა უზრუნველყოფს ინვესტიციებს, მაღალტექნოლოგიურ აღჭურვილობისა და ინოვაციური ბიზნეს მოდელების ტრანსფერს, რაც, თავის მხრივ, გაზრდის შიდა მეწარმეობის კონკურენტუნარიანობას და გააუმჯობესებს მოსახლეობის ცხოვრების დონეს (Jones, 2013; Blakkisrud, Kemoklidze, 2023; Kupatadze, 2016).

მსბ-ის განვითარება ამასთანავე ქმნის დასაქმების ახალ შესაძლებლობებს და შემოსავლების დივერსიფიკაციას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს გარე ეკონომიკურ შოკებზე საქართველოს დამოკიდებულებას. მიუხედავად ამისა, მსბ-ები საქართველოში ჯერ კიდევ აწყდებიან მნიშვნელოვან მიკროეკონომიკურ გამოწვევებს, როგორებიცაა ფინანსური რესურსების შეზღუდულობა, ბაზარზე მაღალი კონკურენცია, სუსტი შიდა მოთხოვნა და მომხმარებელთა დაბალი სყიდვითუნარიანობა. ამ დაბრკოლებების გადალახვა საჭიროა მსბ-ების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე (Chakhava, 2012; Bedianashvili et al, 2015; Kublashvili, 2024).

2. პრობლემის აღწერა:

2000-იანი წლებიდან საქართველო აქტიურად ცდილობს, დაწერგოს ევროპული სტანდარტები მენარმეობაში, რამაც ხელი შეუწყო სექტორის ზრდას. მიუხედავად ამისა, მსბ-ები კვლავ აწყდებიან კაპიტალის ნაკლებობას, რაც ევროპული ფინანსური ინსტიტუტების მხრიდან (ევროპის საინვესტიციო ბანკი, ევროკავშირის სხვადასხვა პროგრამები), შესაძლოა გადაიჭრას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსბ-ს განვითარების პროცესში იმ ინსტრუმენტების მხარდაჭერა, რომლებიც უზრუნველყოფენ მის ფინანსურ მდგრადობას, მაგ., დაბალპროცენტიანი სესხები და გრანტები, რომლებიც ხელს შეუწყობს მაღალტექნოლოგიური აღჭურვილობისა და ციფრული გადამწყვეტილებების მიღებას, რაც გაზრდის სანარმოების ეფექტიანობას და პროდუქტიულობას.

3. მეთოდოლოგიური მიდგომები:

საქართველოს ევროპული ინტეგრაცია გარკვეულწილად შეფერხდა. საქართველოს სამომავლო პერსპექტივების შეფასებისათვის საინტერესო იქნებოდა მისი მიღწევების შედარება მეტ-ნაკლებად მსგავსი ქვეყანასთან, ამ მიზნით შევარჩიეთ მოლდოვა. ევროკავშირის მხრიდან მოლდოვის ინტეგრაციის ინტერესის გათვალისწინებით. მოლდოვის ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივაც დამოკიდებულია პროევროპულ რეფორმებზე, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაზე და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებაზე. ქვეყნის ეკონომიკური და ენერგეტიკული ინტეგრაცია ევროკავშირთან პროგრესს ავლენს, თუმცა დნესტრისპირეთის კონფლიქტი და რუსული გავლენები სერიოზულ დაბრკოლებებს ქმნის.

შედარების ობიექტურობისა და სიმარტივის მიზნით, ვადარებთ საქართველოს და მოლდოვის პოზიციებს საერთაშორისო რეიტინგებში, რომლთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ევროინტეგრაციის პროცესისთვის.

კორუფციის აღქმის ინდექსი (Corruption Perceptions Index):

- საქართველო: 49-ე ადგილი (2023 წ.).
- მოლდოვა: 76-ე ადგილი (2023 წ.).

ანალიზი: საქართველოს უკეთესი პოზიცია კორუფციის აღქმის ინდექსში მიუთითებს უფრო დაბალ კორუფციაზე, რაც ეკონომიკური და ბიზნეს გარემოს განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ეს აუმჯობესებს ინვესტორების ნდობას და ზრდის ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობას.

ბიზნესის კეთების რეიტინგი (Ease of Doing Business):

- საქართველო: მე-7 ადგილი.
- მოლდოვა: 48-ე ადგილი.

ანალიზი: საქართველო მნიშვნელოვნად უსწრებს მოლდოვას ბიზნესის კეთების სიმარტივის მხრივ. მე-7 ადგილი საქართველოს რეგულაციების მოქნილობაზე, ბიზნესის დაწყებისა და მართვის სიმარტივეზე მიუთითებს, რაც განსაკუთრებით მიმზიდველია უცხოური ინვესტიციებისთვის. მოლდოვას დაბალი პოზიცია შესაძლოა დაკავშირებული იყოს კორუფციის, ბიუროკრატიისა და რეგულაციების სიმძიმესთან.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი:

- საქართველო: 32-ე ადგილი (2024 წ.).
- მოლდოვა: 99-ე ადგილი (2024 წ.)

საქართველოს პოზიცია ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში ხაზს უსვამს ქვეყანაში მმართველობის სტრუქტურის სიჯანსაღესა და ბიზნეს გარემოს სტაბილურობას. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს ბაზრის თავისუფალ განვითარებას და ინვესტიციების მოზიდვას. როგორც ვხედავთ მოლდოვის ეკონომიკური ინდექსი მსოფლიოს და რეგიონის საშუალო მაჩვენებელს ჩამორჩება. მოლდოვის ეკონომიკა მიიჩნევა ძირითად არათავისუფალი ეკონომიკის ქვეყნად, რაც ამ კუთხით საქართველოს აშკარა უპირატესობაზე მიუთითებს.

ღია ბიუჯეტის ინდექსი (Open Budget Index)

- საქართველო: 44 ქულით მოწინავე ადგილზეა – სამხრეთ კორეის – (65 ქულა), ახალი ზელანდიის – (55 ქულა), დიდი ბრიტანეთის – (54 ქულა), დომინიკის რესპუბლიკის (48 ქულა) შემდეგ მე-5 ადგილზე იმყოფება (2023 წ.).
- მოლდოვა 18 ქულით საგრძნობლად ჩამორჩება საქართველოს პოზიციებს.

საქართველოს ლიდერობა ღია ბიუჯეტის ინდექსში ადასტურებს ბიუჯეტის გამჭვირვალობასა და საზოგადოებრივი რესურსების მართვის გამართულობას, რაც ქვეყნის დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების ერთ-ერთი საკვანძო ფაქტორია.

OECD-ის საინვესტიციო პოლიტიკის მიმოხილვის (Investment Policy Reviews) 2024 წლის მონაცემების მიხედვით, რომელიც ეფუძნება 2021 წლის მონაცემებს, მოლდოვა მე-4 ადგილზეა, ხოლო საქართველო მე-8 ადგილს იკავებს 85 ქვეყანას შორის.

საქართველოს მე-8 ადგილი მიუთითებს წარმატებულ რეფორმებზე, რომლებიც ხელს უწყობენ უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და ბიზნესის სტაბილურობას, ხოლო მოლდოვას მე-4 ადგილი ასახავს მისი საკანონმდებლო და ეკონომიკური რეფორმების წარმატებას. ორივე ქვეყნის მაღალი პოზიცია მიუთითებს ინვესტიციებისთვის ხელსაყრელ გარემოზე, თუმცა მოლდოვა ბოლო წლებში უფრო სწრაფ პროგრესს აღწევს.

როგორც ვხედავთ, საქართველოს პოზიციები ამ რეიტინგებში ზოგადად უკეთესია, რაც ასახავს მის წარმატებულ რეფორმებს და ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოს. თუმცა, მოლდოვა, ბოლო წლებში აჩენს სწრაფ პროგრესს, რაც ევროკავშირთან უფრო ინტეგრირებულ ურთიერთობებს უწყობს ხელს. ცხრილი N1 მოცემულია საქართველოსა და მოლდოვის პოზიციები ცალკეულ რეიტინგებში შენიშვნებით.

საქართველოსა და მოლდოვას ეკონომიკური და პოლიტიკის რეიტინგების შედარება

ინდექსი/რეიტინგი	საქართველო	მოლდოვა	ანალიზი
კორუფციის აღქმის ინდექსი (2023)	49-ე ადგილი	76-ე ადგილი	საქართველო მნიშვნელოვნად უსწრებს მოლდოვას კორუფციის აღქმის მხრივ, რაც მიუთითებს უფრო დაბალ კორუფციაზე, ხელს უწყობს ინვესტორების ნდობას და ზრდის ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობას.
ბიზნესის კეთების რეიტინგი (2020)	მე-7 ადგილი	48-ე ადგილი	საქართველო მოლდოვას საკმაოდ უსწრებს რეგულაციების მოქნილობასა და ბიზნესის დაწყების სიმარტივის თვალსაზრისით, რაც უცხოური ინვესტიციებისთვის დამატებით ხელშეწყობას ქმნის. მოლდოვას დაბალი პოზიცია გამომწვეულია რეგულაციების სიმძიმითა და კორუფციით.
ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი (2024)	32-ე ადგილი	99-ე ადგილი	საქართველოს უკეთესი პოზიცია ადასტურებს მის სიჯანსაღეს მმართველობის სტრუქტურებში და ბიზნეს გარემოს სტაბილურობას, რაც ხელს უწყობს ბაზრის თავისუფალ განვითარებას და ინვესტიციების მოზიდვას. მოლდოვა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ამ მაჩვენებელში.
ლია ბიუჯეტის ინდექსი (2023)	44 ქულა	18 ქულა	საქართველოს ბიუჯეტის გამჭვირვალობა და რესურსების მართვის გამართული პროცესი არის დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების ერთ-ერთი საკვანძო ფაქტორი, მაშინ როცა მოლდოვას ბიუჯეტის ლიაობა სუსტია.
OECD საინვესტიციო პოლიტიკის მიმოხილვა (2024)	მე-8 ადგილი	მე-4 ადგილი	საქართველოს პოზიცია ასახავს მის პროგრესს საინვესტიციო პოლიტიკაში, მაგრამ მოლდოვა ბოლო წლებში სწრაფ პროგრესს ავლენს საკანონმდებლო და ეკონომიკურ რეფორმებში, რაც მას უფრო მაღალ ადგილს ანიჭებს.

დასკვნები

საქართველო ფლობს მნიშვნელოვან პოტენციალს, რომ ევროპული ინტეგრაცია გამოიყენოს მსბ-ს განვითარებისათვის, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნის მიკროეკონომიკური და მაკროეკონომიკური სტაბილურობისთვის. ევროინტეგრაცია არ არის მხოლოდ პოლიტიკური მიზანი, არამედ არსებითად ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, რომელიც ფართო პერსპექტივებს უხსნის ქვეყნის ბიზნეს გარემოს და ეკონომიკას. ევროპული ბაზრებისა და ფინანსური ინსტიტუტების მხარდაჭერა უზრუნველყოფს მნიშვნელოვან რესურსებს, მათ შორის, ფინანსური და ტექნოლოგიური ინვესტიციების მოზიდვას, რაც ამცირებს შიდა ეკონომიკური სტრუქტურების სისუსტეებს, როგორცაა კაპიტალის ნაკლებობა და სუსტი შიდა მოთხოვნა.

კორუფციის დაბალი დონე და ბიზნესის კეთების სიმარტივე, რაც ასახულია საქართველოს საერთაშორისო რეიტინგებში, დადებითად მოქმედებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე და ინვესტორთა ნდობის ამაღლებაზე. ამავდროულად, ღია ბიუჯეტის ინდექსში საქართველოს მონიშნავს პოზიცია მიუთითებს სახელმწიფოს ფინანსური გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების მაღალ დონეზე, რაც ქვეყნის დემოკრატიული და ინსტიტუციური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ საქართველო აქტიურად გამოიყენოს საგარეო ინვესტიციების შესაძლებლობები და ევროპულ ბაზრებთან ინტეგრაციის სარგებელი. ამისთვის, საქართველოს მენარმეობამ უნდა გაიზიაროს ინოვაციური ბიზნეს მოდელები, როგორებიცაა ბლოკ-ჩეინის ტექნოლოგიები, სმარტ-კონტრაქტები და გაამარტივოს ეკონომიკის გაციფრულების პროცესი (Britchenko, Cherniavska, 2019). ეს ხელს შეუწყობს საწარმოების ეფექტიანობის ზრდას, რაც კონკურენტუნარიანობისა და ექსპორტის გაზრდას გულისხმობს.

მოლდოვასთან შედარებით, საქართველო უკეთესად ასრულებს ევროინტეგრაციის ბევრ კრიტერიუმს, თუმცა მოლდოვას პროგრესი ბოლო წლებში მიუთითებს, რომ საქართველოსთვისაც მნიშვნელოვანია რეფორმების დაჩქარება და ინსტიტუციური განვითარების გაძლიერება. დნესტრისპირეთის კონფლიქტის მსგავსმა გამოწვევებმა შესაძლოა, გაამძაფროს საქართველოს რეგიონული კონფლიქტებიც, ამიტომ სტაბილური და გამჭვირვალე მმართველობა მნიშვნელოვანია საერთაშორისო პარტნიორობის მხარდაჭერისა და ქვეყანაში სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

მსბ-ის განვითარების ხელშეწყობა, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გამოყენებით, იქნება საქართველოს ეკონომიკური მდგრადობის ქვაკუთხედი.

ლიტერატურა

1. Bedianashvili, G., Gogiashvili, S., Pavliashvili, S. (2015). European Union, Georgia And Institutional Environment of Competition. European Cooperation. 5. 9-23.
2. Britchenko, I., & Cherniavska, T. (2019). Blockchain technology in the fiscal process of Ukraine. *Economic Studies*, 28(5), 134–148.
3. European Commission. (2023). *European Neighbourhood Policy and Enlargement Negotiations: Georgia*. Retrieved from europa.eu.
4. Kupatadze, A. (2016). Georgia's Break with the Past. *Journal of Democracy*. 27. 110-123.
5. Kublashvili, P. (2024). Europeanization Of Georgia: Reception Of European Public Law In Georgia. *Vectors Of Social Sciences*. 44-52.
6. Machurishvili, N. (2018). Colour Protest in Post-War Georgia -Chronology of Rose Revolution. [online]. Available at: https://www.researchgate.net/publication/346531258_Colour_Protest_in_Post-War_Georgia_-Chronology_of_Rose_Revolution [Accessed 18 October, 2024].

7. Jones, S. (2013). Georgia: A Political History Since Independence. [online]. Available at: https://www.researchgate.net/publication/341637371_Georgia_A_Political_History_Since_Independence [Accessed 18 October, 2024].
8. National Statistics Office of Georgia (GeoStat). (2023). *Georgia Economic Indicators*. Retrieved from geostat.ge.
9. World Bank. (2023). *Doing Business in Georgia 2023: Understanding Regulations for Small and Medium Enterprises*. World Bank Group. Retrieved from worldbank.org.
10. Transparency International. (2023). *Corruption Perceptions Index 2023: Global Results and Analysis*. Retrieved from transparency.org.
11. European Investment Bank (EIB). (2022). *EIB Activities in the Eastern Neighbourhood and Georgia*. European Investment Bank Reports.
12. OECD. (2024). *Investment Policy Reviews: Georgia and Moldova*. Paris: OECD Publishing.
13. International Monetary Fund (IMF). (2023). *Georgia Country Report: Macroeconomic and Microeconomic Analysis*. Washington, D.C.: IMF Publications.
14. Kakulia, M. (2020). *Challenges and Prospects for Georgia's European Integration*. Tbilisi: Georgian Institute of Politics.
15. Small and Medium Enterprise Development Strategy of Georgia 2021-2025. Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. Retrieved from economy.ge.
16. Moldovan Economic Reform and EU Integration Progress. (2023). *Comparative Analysis of Eastern Partnership Countries*. Chisinau: Institute for Development and Social Initiatives.
17. Sukhiashvili, D. (2019). A comparative analysis of Georgia's European integration policy during the presidency of M. Saakashvili and after the change of power October 1, 2012. *Skhid*. 82-86.

ECONOMIC CHALLENGES AND OPPORTUNITIES IN THE CONTEXT OF GEORGIA'S EUROPEAN INTEGRATION

Alexander Sharashenidze

*PhD in Economics, Assistant Professor at the
Georgian Technical University*

Tetiana Cherniavska

*PhD in Economics, Professor at the
University of Applied Sciences in Konin*

Bohdan Cherniavskyi

*PhD in Economics, Professor at the
University of Applied Sciences in Konin*

Abstract

*Georgia's European integration represents both a strategic political objective and an essential foundation for economic transformation. This process opens new **opportunities** for **small and medium enterprises (SMEs)**, which play a critical role in domestic economic growth. Access to **European markets** promotes investments, **technology transfer**, and the adoption of **innovative business models** that enhance SMEs' competitiveness and contribute to the improvement of living standards. However, Georgian SMEs face significant **microeconomic challenges**, such as limited access to **financial resources**, high market competition, and low **consumer purchasing power**.*

To address these barriers, **financial support** through European financial institutions and EU programs is vital for ensuring SMEs' resilience, especially by providing low-interest loans and grants for **digital solutions** and high-tech equipment. A comparison with **Moldova**, which faces similar integration challenges, provides insights into the **policy** and **institutional reforms** necessary for both countries. While Georgia ranks higher on indicators like **corruption perception** and **ease of doing business**, ongoing support is required for SMEs to strengthen their position in both **domestic** and **international markets**. Georgia's European integration thus offers substantial potential to create a more resilient SME sector, leveraging **external investment** and **technological innovation** to boost **economic stabilit**

ბიზნეს სუბიექტების ღირებულებით-მოტივაციური თავისებურებების დადგენა და ბიზნესაქტივობის დონის კვლევა

თეიმურაზ შენგელია

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ანოტაცია

ბიზნესუბიექტების ღირებულებით-მოტივაციური თავისებურებების კვლევა შედარებით ახალი მეცნიერული პრობლემაა, ჩვენს ქვეყანაში ის მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება. მიუხედავად ამისა, ის წარმოადგენს მეცნიერთა მნიშვნელოვანი ინტერესის ობიექტს, რაზეც მეტყველებს ამ სფეროში ჩატარებული კვლევებისა თუ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სიმრავლე. ქართველი მეცნიერების კვლევები დაეთმო პროფესიული და პიროვნული განვითარების პრობლემებს, ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მენარმის იმიჯის, ალქმისა და თვითაღქმის შესწავლას, მნიშვნელოვანია ბიზნესსაქმიანობის ღირებულებით-მოტივაციური ასპექტები, პასუხისმგებლობისა და ზნეობის ფენომენი. ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევაში გაანალიზებულია ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა ასპექტების მიმართ (სოციალურ-ეკონომიკური პირობები, წარმატებისა და კმაყოფილების ფაქტორი, მოტივაციის სფერო და ა.შ.) ქართველი ბიზნესუბიექტების დამოკიდებულება.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესუბიექტი, ბიზნესსაქმიანობა, მოტივაციურ-ღირებულებითი თავისებურებები, ბიზნესაქტივობა, კვლევა.

შესავალი

შედარებითი სიახლის გამო ქართული ბიზნესი ჯერ კიდევ არ არის საკმარისად ღრმად გაანალიზებული და შესწავლილი. თუმცა, ეს ფენომენი, რომელსაც ასეთი დიდი გავლენა აქვს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე, იმსახურებს მეცნიერთა მნიშვნელოვან ყურადღებას, განსაკუთრებით კი მისი ღირებულებით-მოტივაციური ასპექტები. საბოლოო ჯამში მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ბიზნესი არ შემოიფარგლება მხოლოდ ეკონომიკური სფეროთი, ის ასევე წარმოადგენს, სოციოლოგიური, პოლიტოლოგიური, ფსიქოლოგიური კვლევების მნიშვნელოვან ობიექტს.

ბიზნესუბიექტების ღირებულებით-მოტივაციური თავისებურებების კვლევა ჩვენს ქვეყანაში მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება. ეს პრობლემა დღესაც მეცნიერთა მნიშვნელოვანი ინტერესის საგანია. ქართველი მეცნიერების კვლევები დაეთმო პროფესიული და პიროვნული განვითარების პრობლემებს, ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მენარმის იმიჯის, ალქმისა და თვითაღქმის შესწავლას, მნიშვნელოვანია ბიზნესსაქმიანობის ღირებულებითი ასპექტები, პასუხისმგებლობისა და ზნეობის ფენომენი.

კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის კონცეპტუალურ საფუძველს წარმოადგენდა ეკონომიკური საქმიანობის ცალკეულ სუბიექტების ინდივიდუალური მახასიათებლების შესწავლა და მათი მოტივაციის ზოგადი ასპექტების დადგენა. შესწავლის ძირითად ობიექტებს წარმოადგენ-

და ბიზნესსუბიექტების ისეთი ასპექტები, როგორიცაა: სამენარმო საქმიანობის წარმატება და ბიზნესის განვითარებაზე მოქმედი გარე ფაქტორები, ბიზნესსაქმიანობის სოციალურ-ეკონომიკური პირობები, ეკონომიკური საქმიანობით კმაყოფილების დონე, დასახული მიზნების რეალიზაციის ხარისხი და საკუთარი პოტენციალი, ბიზნესსუბიექტების ღირებულებით-მოტივაციური სფერო, მათი დამოკიდებულება მატერიალური ფასეულობების მიმართ. ბიზნესსუბიექტების სოციალურ-ფსიქოლოგიური დამოკიდებულებები მოქმედებენ მათ საქმიანობაზე, ბიზნესის სტრატეგიების სწორ შერჩევასა და აგრეთვე ცვალებად ეკონომიკურ გარემოში ეკონომიკური ქცევის სპეციფიკურ ფორმებზე.

თანამედროვე მეცნიერებაში ჯერ კიდევ არ არსებობს ერთიანი მიდგომა ბიზნესსუბიექტების ფენომენის არსის გაგებაში. მისი განმასხვავებელი ნიშნები და თავად ტერმინი „ბიზნესის“ განმარტება წარმოდგენილი ეკონომიკურ და სოციალურ ლიტერატურაში ამაზე მიუთითებს. ჩვენი კვლევის ფარგლებში ბიზნესს განვსაზღვრავთ, როგორც საქონლისა და მომსახურების სფეროში ეკონომიკურ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს მოგების მიღებას, ხორციელდება ლეგალურად, ეთიკური და ზნეობრივი ნორმების დაცვით.

ემპირიული კვლევა ჩატარდა 2023-2024 წლებში, მასში მონაწილეობა მიიღეს ბიზნესსუბიექტებმა საქართველოს ცენტრალური ქალაქებიდან (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი), სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორს. გამოკითხულთა გენერალური ერთიანობა შეადგენდა – 82 ადამიანს, აქედან 62% მამაკაცები და 38% ქალები. გამოკითხულ იქნა ბიზნესის სფეროში მოღვაწე ყველა დონის მენეჯერები. კვლევის შედეგების სტატისტიკური დამუშავება განხორციელდა MS Excel-ის და STATISTICA 6.0-ს პროგრამული პაკეტების გამოყენებით. (ჯგუფების შედარება მოხდა Mann-Whitney U კრიტერიუმის მიხედვით, კორელაციური და ფაქტორული ანალიზის გამოყენებით). გამოკითხვის დროს ბიზნესსაქმიანობის დონის შეფასების პროცესში, ბიზნესსუბიექტები დაიყვნენ 3 ჯგუფად: დაბალ აქტიური (DA), ზომიერად აქტიური (ZA) და მაღალაქტიური (MA) (ქულების დიაპაზონი 7-ბალიან სკალაზე განაწილდა შემდეგი სახით: 1-3, 4-5, 6-7 ქულამდე). გამოკითხულთა 14,4% იყო კლასიფიცირებული პირველ ჯგუფში, 52,6% მეორე ჯგუფში, ხოლო 52,6% მესამე ჯგუფში.

კვლევის შედეგები:

კვლევის შედეგების საფუძველზე მივედით იმ დასკვნამდე, რომ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები ბიზნესსუბიექტების მახასიათებლებში, რაც არსებით ზეგავლენას ახდენს მათ საქმიანობაზე. მონაცემთა შეგროვება და ანალიზი განხორციელდა შემდეგი ინდიკატორების მიხედვით:

1. ეკონომიკური აქტივობით კმაყოფილება.
2. სამენარმო საქმიანობის წარმატების და მასზე მოქმედი გარე ფაქტორების შეფასება.
3. სოციალურ-ეკონომიკური პირობების შეფასება (დამოკიდებულება რისკისა და კონკურენციის მიმართ, საკუთარი კონკურენტუნარიანობის შეფასება).
4. დამოკიდებულება ფულისა და მატერიალური სიმდიდრის მიმართ.
5. ბიზნესსუბიექტების ღირებულებით-მოტივაციური სფერო.

კვლევა ჩატარდა რამდენიმე თემატური ბლოკის მიხედვით:

ეკონომიკური აქტივობით კმაყოფილება. კვლევის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ბიზნესსაქმიანობის სხვადასხვა დონის მიუხედავად, ბიზნესსუბიექტები დადებითად აფასებენ თავიანთ საქმიანობას, ამასთან, მათ არ აკმაყოფილებთ ეკონომიკური შედეგების მიღწეული დონე. ჯგუფებს შორის განსხვავება გამოვლინდა კმაყოფილების ხარისხში. ბიზნესსუბიექტები, რომლებიც თავიანთი ბიზნესსაქმიანობის დონეს უფრო მაღალ შეფასებას აძლევენ, მეტად კმა-

ყოფილები არიან როგორც მათი საქმიანობის ეკონომიკური შედეგებით, ასევე მთლიანობაში შრომის პროცესით, (საშუალო რეიტინგი 7 ბალიან სკალაზე შესაბამისად დადგინდა 4,48-დან 5,37-მდე, $p < 0,01$).

ბიზნესუბიექტების სამივე ჯგუფისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ეკონომიკური მიზნების მიღწევა, არამედ შრომის პროცესში მათი შესაძლებლობების, ცოდნისა და უნარების რეალიზება და რაც უფრო მაღალია ბიზნესაქტივობის შეფასება, მით უფრო მაღალია სამუშაოს განხორციელების ხარისხი ($p < 0,01$). ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ბიზნესუბიექტები, სამუშაოს ხარისხის შეფასებისას, შედეგს ადარებენ არა მხოლოდ გარკვეულ ეკონომიკურ მაჩვენებლებს, არამედ შინაგანად აკავშირებენ თავიანთ პოტენციალს, შესაძლებლობებსა და ძალისხმევას. ბუნებრივია, რომ მაღალაქტიური ბიზნესუბიექტები აფასებენ თავიანთი ოჯახის მატერიალური კეთილდღეობის დონეს უფრო მაღალა, ვიდრე დაბალაქტიურები (საშუალო მნიშვნელობები 7-ბალიან სკალაზე შესაბამისად უდრის 4.8 და 3.7, $p < 0,01$). ისინი ასევე აფასებენ ოჯახის მატერიალურ დონეს, რომელიც მიღწეულია მათი საქმიანი აქტივობის დონის ამალგებით. მაღალაქტიური ბიზნესუბიექტების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ეს მაჩვენებელი „გაზრდილია,“ დაბალაქტიურებს კი, რომ ის „უცვლელი დარჩა“ ($p < 0,05$). მატერიალური კეთილდღეობის ცვლილებების პროგნოზირების პროცესში, ჯგუფებს შორის განსხვავება არ გამოვლენილა, რაც აისახა საერთო ტენდენციაში. გამოკითხულთა უმრავლესობას იმედი აქვს, რომ „მომავალში მატერიალური კეთილდღეობის დონე გაიზრდება.“ ეს ბიზნესუბიექტებისთვის სავსებით ბუნებრივია, რადგან მათი მთელი საქმიანობა ექვემდებარება მოგების მიღების სურვილს.

სამეწარმეო საქმიანობის წარმატების და მასზე გავლენის გარე ფაქტორების შეფასება. კვლევის შედეგებით დადგინდა მაღალი სტატისტიკური კავშირი ბიზნესაქტივობასა და წარმატების დონეს შორის ($r = 0.556$, $p < 0.01$). მაღალაქტიური ბიზნესსუბიექტები თავიანთ საქმიანობას უფრო წარმატებულად აფასებენ, ვიდრე დაბალაქტიურები (საშუალო მნიშვნელობები 7-ბალიან სკალაზე არის შესაბამისად 5.36 და 3.96, $p < 0.01$). გამოიკვეთა გარკვეული განსხვავებები გამოკითხული რესპონდენტების დამოკიდებულებაში მათ ბიზნესზე გავლენის ფაქტორების მიმართ.

ცხრილი 1

ბიზნესის წარმატებაზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენის შეფასების საშუალო მნიშვნელობები

(შეფასება მოხდა 7-ბალიანი სკალის მიხედვით, სადაც 1 არის „ძალიან აფერხებს წარმატებას“, 7 – „ძალიან სასარგებლო“).

ინდიკატორები	MA	CA	DA
სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა	3,1	3,5	3,5
მოსახლეობის დამოკიდებულება **	2,79	4,28	4,1
პარტნიორებთან ურთიერთდამოკიდებულება**	4,91	5,52	5,54
საკუთარი ძალისხმევა	6,03	6,5	6,47

** – $p < 0.05$

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის გავლენისა და მოსახლეობის დამოკიდებულების შეფასება საშუალოდ ნეიტრალურია, მაგრამ ის დაბალაქტი-

ურ ბიზნესუბიექტებზე უმნიშვნელო ნეგატიური ტენდენციით ხასიათდება, რადგანაც ისინი მას წარმატებული ბიზნესისთვის დაბრკოლებად აღიქვამენ. ყველა რესპონდენტმა სრულად აიღო პასუხისმგებლობა საკუთარი ბიზნესის წარმატებასა და მატერიალურ კეთილდღეობაზე. ისინი ამ ძალისხმევას აფასებენ, როგორც უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. ეს არსებითია არასტაბილურ და მუდმივად ცვალებად სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში, რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სიმპტომატიური ფაქტორი გახდა. ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ პასუხებმა კითხვაზე „შეაფასეთ თქვენი ნდობის ხარისხი სამთავრობო უწყებების/ბიზნეს სტრუქტურების მიმართ,“ აჩვენა ნდობის დაბალი დონე (7-ბალიან სკალაზე შესაბამისად 3,21 და 4,12 ქულა). ამ ანალიზით დადგინდა, რომ ბიზნესუბიექტები ავლენენ ნდობის დაბალ დონეს. ამასთან, მათი ბიზნესაქტივობის დონის შემცირების პირობებში, სამთავრობო უწყებების მიმართ ნდობის დონე და ხარისხი მცირდება. მაღალაქტიური ბიზნესუბიექტები, უფრო მეტად, არ ენდობიან მთავრობასა და ბიზნეს სტრუქტურებს (7-ბალიან სკალაზე შესაბამისად 3.7 და 4.21 ქულა), ვიდრე დაბალაქტიურები. კვლევით დადგინდა, რომ ბიზნესუბიექტების მიერ იცვლება სახელმწიფო ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებაც. მაღალაქტიურ და საშუალო აქტიურ ბიზნესუბიექტებს მიაჩნიათ, რომ ხელისუფლება მხარს უჭერს მათ საქმიანობას, ხოლო დაბალი აქტიურები მიიჩნევენ, რომ ხელისუფლება, არ გამოიიჩრევა მათი საქმიანობის აქტიური მხარდაჭერით ($p<0.01$). ცხრილი №1-ის მონაცემებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ წინააღმდეგობას უფრო მეტად გრძნობენ დაბალაქტიური მენარმეები.

სამენარმეო საქმიანობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების შეფასება. სამენარმეო საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტებია რისკი და კონკურენცია. ბიზნესუბიექტების მიერ ამ ფენომენებისადმი დამოკიდებულება და მათი დაძლევის სურვილი დიდწილად განსაზღვრავს ბიზნესის სფეროში წარმატების მიღწევის შესაძლებლობას. მიმდინარე რისკის შეფასებების პროცესში, ჯგუფებს შორის განსხვავება არ გამოვლენილა. რისკი შეფასებულია როგორც მაღალი (7-ბალიანი სკალაზე 4.66 მიხედვით). ჯგუფებს შორის განსხვავებები გამოვლინდა ბიზნესუბიექტების რისკისადმი დამოკიდებულებაში: მაღალაქტიური მენარმეები ხშირად უპირატესობას ანიჭებენ საშუალო დონის რისკით საქმიანობას, ხოლო დაბალი აქტიური მენარმეები მიდრეკილნი არიან სარისკო სიტუაციების თავის არიდებისაკენ.

საკუთარი საქმიანობის არჩეულ სფეროში კონკურენციის ინტენსივობის შეფასებისას, ბიზნესუბიექტები აჩვენებენ ამ ფაქტორის მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას. მაღალაქტიური ბიზნესუბიექტები კონკურენციის ინტენსივობას უფრო მაღალ შეფასებას აძლევენ, ვიდრე დაბალაქტიურები (5.38 და 4.21 ქულა, 7-ბალიანი სკალაზე, $p<0.01$), მაგრამ ისინი ასევე აფასებენ თავიანთი კონკურენტუნარიანობის ხარისხს უფრო მაღალი ქულებით (შესაბამისად 5.68 და 4.09 ქულა 7-ბალიან სკალაზე, $p<0.01$). ეს შეიძლება ნაწილობრივ გამოწვეული იყოს იმით, რომ მაღალაქტიური ბიზნესუბიექტები არ ერიდებიან სარისკო სიტუაციებს და, შესაბამისად, მზად არიან იმუშაონ კონკურენციის პირობებში.

კვლევის პროცესში ღირებულებით-მოტივაციური სფეროს თავისებურებების დასადგენად გამოვიყენეთ ადაპტირებული M.Rokeach-ის ტექნიკა. შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ ბიზნესუბიექტების შერჩეული ყველა ჯგუფი ხასიათდება საერთო სტრუქტურით და აქ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლენილა. ყველა კატეგორიის ბიზნესუბიექტების საერთო ღირებულებებია: „ჯანმრთელობა“, „ოჯახი“, „მატერიალური უსაფრთხოება“, „თვითდაჯერებულობა“, „შრომა“ და „თავისუფლება“. მაღალაქტიური ბიზნესუბიექტებისთვის პირველ ადგილს იკავებს „დამოუკიდებლობა“, ხოლო „პატიოსნება“ მეორე ადგილზეა. მაშინ, როდესაც დაბალაქტიური ბიზნესუბიექტებისთვის ეს პირიქითაა ($p<0.01$). შემდეგ ადგილზე ორივე ჯგუფისთვის „პასუხისმგებლობა“. მეოთხე და მეხუთე ადგილზე მაღალაქტიური ბიზნესუბიექტებისთვის „სანარმოო“ და „სიმდიდრე“, ხოლო დაბალაქტიურებისთვის ეს ფაქტორები შესაბამისად მეშვიდე ($p<0.05$) და მერვე ადგილებზეა ($p<0.01$). ასევე, მაღალაქტიური

ბიზნესუბიექტებისთვის, „ქონება“ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დაბალაქტიურებისთვის (შესაბამისად, მე-10 და მე-17 ადგილი, $p < 0.01$).

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ბიზნესსაქმიანობაში მაღალაქტიური ბიზნესუბიექტებისთვის უფრო პრიორიტეტულია „დამოუკიდებლობა“ და „მატერიალურ სიმდიდრე“.

საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა ბიზნესუბიექტების მიერ შემდეგ შეკითხვაზე: „რას გააკეთებთ „მარცხის“ შემთხვევაში (წარუმატებლობა, გაკოტრება, ბიზნესპარტნიორის არასანდობა)“, პასუხების ანალიზის პროცესში. რაც აისახა შემდეგ ცხრილში (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

ბიზნესუბიექტების ქმედებები „მარცხის“ შემთხვევაში (რესპოდენტთა %-ის მიმართ)

ინდიკატორები	MA	CA	DA
სახელმწიფო ორგანიზაციებში გადასვლა	13,33	7,1	4,6
საქმიანობის გაგრძელება სხვა მენარმეებთან	10,0	5,4	7,2
სანდო პარტნიორის ძიება	15,0	24,5	27,0
ახალი ბიზნესის დაწყება	56,67	60,6	61,2
და სხვა	5,0	2,4	0

მაღალაქტიური ბიზნესუბიექტები უპირატესობას ანიჭებენ იმ ვარიანტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდას („ახალი პარტნიორის მოძებნა“ „ახალი ბიზნესის ორგანიზება“), მაგრამ ამავე დროს ეს მათგან დიდ ხარჯებს მოითხოვს (ფინანსური, ფიზიკური, ფსიქოლოგიური). ეკონომიკური ღირებულებები ასევე უფრო მნიშვნელოვანია მაღალაქტიური მენარმეებისთვის. საშუალოდ, ფულს მათთვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე დაბალაქტიურებისთვის (7 ქულიანი სკალაზე შესაბამისად 6.0 და 5.33 ქულა, $p < 0.01$). გარდა ამისა, ისინი ცდილობენ უფრო სრულად გამოიყენონ ის შესაძლებლობები, რომლებსაც მათ აძლევს ფული. მე-3 ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები აჩვენებს, რომ ფულის სუბიექტური მნიშვნელობის შეფასება ყველაზე უფრო მაღალია მენარმეთა იმ ჯგუფში, რომლებსაც აქვთ საკუთარი ბიზნესსაქმიანობის მაღალი შეფასება.

ბიზნესუბიექტების განსხვავებული ბიზნესაქტივობის დონის შედარების გარდა, ჩვენ მიერ ჩატარდა იმ ცვლადების ფაქტორული ანალიზი, რომლებიც მჭიდრო კავშირშია ბიზნესაქტივობის დონის შეფასებასთან (Maximum Likelihood with Varimax with Kaiser Mormalization). ფაქტორული ანალიზის გამოყენებით, გამოვლენილ იქნა ბიზნესსაქმიანობის სამი ძირითადი ფაქტორი.

ცხრილი 3

„ფულის შემდეგი ფუნქციებიდან, რომელს ანიჭებთ პრიორიტეტს?“, (საშუალო ქულა 3-ბალიან შკალაზე, სადაც 1 – „არაა დამახასიათებელი“, 3- „დამახასიათებელი“).

ინდიკატორები	HA	BA
ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ჯანდაცვა*	2,9	2,7
მიზნის მიღწევის საშუალება**	2,3	2,5
უსაფრთხოების მიღწევა**	1,8	2,4
აღიარება	2,1	2,2
სხვებისათვის მატერიალური დახმარება	1,8	2,10
საკუთარი თავის ფიზიკური და სულიერი სრულყოფა*	2,14	2,44
გართობა, დასვენება*	1,5	1,9

* $p < 0.01$, ** $p < 0.05$

ფაქტორი 1. „მიღწეული შედეგების შეფასება“, რომელიც მოიცავდა შემდეგ ცვლადებს („წონა“ მითითებულია ფრჩხილებში): კმაყოფილება საკუთარი საქმიანობის ეკონომიკური შედეგებით (0,779), კონკურენტუნარიანობის დონის შეფასება (0,587), ზოგადად შრომით კმაყოფილება (0,692), საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციის ხარისხის შეფასება (0,675), ოჯახის მატერიალური კეთილდღეობის შეფასება (0,647), დასახული მიზნების განხორციელების შეფასება (0,717), სამეწარმეო საქმიანობის წარმატების შეფასება (0,779), მიეკუთვნება მდიდრთა ჯგუფს (0,460).

ფაქტორი 2. „დამოკიდებულება სხვა ეკონომიკური სუბიექტების მიმართ“ მოიცავდა შემდეგ ცვლადებს: დამოკიდებულება სამთავრობო ორგანოების მიმართ (0.321), მთავრობის პოლიტიკის გავლენის შეფასება ბიზნესის წარმატებაზე (0.703), ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების (0.634) და მოსახლეობის (0,475) დამოკიდებულება ბიზნესსუბიექტების მიმართ, ნდობა სამთავრობო სტრუქტურების (0,392) მიმართ.

ფაქტორი 3. „დამოკიდებულება რისკისა და კონკურენციის მიმართ“, რომელიც მოიცავდა შემდეგ ცვლადებს: რისკის ამჟამინდელი დონის შეფასება (0,811), რისკის ოპტიმალური დონის შეფასება (0,711), კონკურენციისადმი დამოკიდებულება (0.375) და კონკურენტული ინტენსივობის შეფასება (0.327).

დასკვნები

ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი ხასიათის დასკვნები: მიუხედავად იმისა, რომ ყველა ბიზნესსუბიექტი მუშაობს ერთნაირ მაკრო და მიკროგარემოში, მათი დამოკიდებულება ამ პირობების მიმართ განსხვავებულია. მაღალაქტიურ ბიზნესსუბიექტებს უფრო პოზიტიური დამოკიდებულება აქვთ არსებული ეკონომიკური პირობებისა და სხვა ეკონომიკურ სუბიექტებთან მათი ურთიერთქმედების მიმართ. ის ფაქტორები, რომლებსაც დაბალი აქტიური ბიზნესსუბიექტები აღიქვამენ დაბრკოლებად, მაღალაქტიურების მიერ აღიქმება, როგორც წარმატების ინსტრუმენტი, ე.ი. ისინი ამაში ხედავენ უფრო მეტ

პოტენციურ შესაძლებლობებს და ცდილობენ არსებული რესურსების (მაგალითად, მატერიალურის) უფრო სრულად რეალიზებას. გარდა ამისა, ნაკლებად არიან მიდრეკილნი სარისკო სიტუაციების თავიდან აცილებისკენ. ზოგადად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბიზნესუბიექტების დამოკიდებულება მათი საქმიანობის გარე სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების მიმართ არის მნიშვნელოვანი. მეორე მხრივ, ბიზნესაქტივობის დონეზე ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ სამენარმეო საქმიანობის წარმატების პროგნოზირება (პერსპექტივის ხედვა), არამედ საკუთარი ეკონომიკური საქმიანობის შედეგების რეტროსპექტული შეფასება და ოჯახის ფინანსური მდგომარეობა. ამრიგად, ბიზნესუბიექტების დამოკიდებულება მათი ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა ასპექტების მიმართ, განსაზღვრავს ბიზნესაქტივობის დონეს. რაც უფრო ხელსაყრელია წარსული და რაც უფრო პერსპექტიულად ჩანს მომავალი, მით უფრო მაღალია მზადყოფნა და სურვილი ბიზნესაქმიანობაში მაქსიმალური პოტენციალის რეალიზაციის, თავად საქმიანობის ინტენსივობის ზრდის.

ბიზნესუბიექტების ღირებულებებთ-სტრუქტურული ანალიზი, მათი ბიზნესსაქმიანობის დონის განსხვავებული შეფასებები იძლევა საფუძველს ვიფიქროთ, რომ ისეთი ღირებულებები, როგორიცაა: „დამოუკიდებლობა“, „მატერიალური კეთილდღეობა“, „სიმდიდრე“, „ქონება“, „ფული“ მნიშვნელოვნად მოქმედებენ საქმიანი აქტივობის დონეზე. იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ღირებულებები იკავებენ წამყვან ადგილებს ღირებულებათა იერარქიაში, ბიზნესსაქმიანობამ შეიძლება განიცადოს ტრანსფორმაცია და ის შემოსავლის ფორმიდან ცხოვრების წესად იქცეს.

ლიტერატურა

1. Shengelia, T. (2017), The role of state regulation of investment in the Georgia business development. International business in the world economic system.
2. Shengelia, T. (2017), Determination of correlative relations between social capital, trust and motivation in the international company. 6th Business & Management Conference, Geneva.
3. Shengelia, T. and Kh. Berishvili, (2014). The Role of Institutional Reforms in the improvement of the Georgian Investment Environment. International Journal of Social Sciences Vol. III (2)
4. Shengelia, T. and Kh. Berishvili, (2020). Methodology of social entrepreneurship research and its influence on countries with small economy. International Journal of Social and Humanities Sciences. Vol. 4, Issue 3.
5. Shengelia, T. (2022). INFLUENCE OF MULTICULTURAL FACTORS ON INNOVATIVE DEVELOPMENT OF THE COUNTRY. Sciences of Europe. Issue 107.
6. Dobbs, M. and Hamilton, R.T. (2007). Small business growth: recent evidence and new directions, International Journal of Entrepreneurial Behavior & Research, Vol.13, No.5.
7. Fadahunsi, A. (2012). The growth of small businesses: Towards a research agenda. American Journal of Economics and Business Administration, Vol.4, No.1.
8. Filley, A.C. and House, R.J. (1969). Managerial Process and Organisational Behaviour, Scott Foresman and Company, Glenview.
9. Greiner, L.E. (1972). Evolution and revolution as organisations grow. Harvard Business Review, Vol. 50, No. 4.
10. Hair, J.F., Black, W.C., Babin, B.J., Anderson, R.E. and Tatham, R.L. (2006). Multivariate Data Analysis. Pearson Prentice Hall, Upper Saddle River.
11. Lindsay, W., Rue, L., (1980). Impact of the business environment on long range planning process: A contingency view. Academy of Management Journal, Vol.23, No.3.
12. Scott, M., Bruce, R. (1987). Five stages of growth in small business. Long Range Planning, Vol.20, No.3.

DETERMINATION OF VALUE-MOTIVATIONAL FEATURES OF BUSINESS SUBJECTS AND SURVEY OF THE LEVEL OF BUSINESS ACTIVITY

Teimuraz Shengelia

*Doctor of Economic Sciences, Professor of
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

Conclusions

Based on the results of the conducted research, the following conclusions can be made: despite the fact that all business entities work in the same macro and micro environment, their attitude towards these conditions is different. Highly active business entities have a more positive attitude towards the current economic conditions and their interaction with other economic entities. The factors that low-active business entities perceive as obstacles are perceived by high-active ones as tools for success, i.e. They see more potential opportunities in this and try to realize the available resources (for example, material) more fully. In addition, they are less inclined to avoid risky situations. In general, we can say that the attitude of business entities towards the external socio-economic factors of their activity is important. On the other hand, the level of business activity is influenced not only by predicting the success of entrepreneurial activity (perspective view), but also a retrospective evaluation of the results of one's own economic activity and the financial situation of the family. Thus, the attitude of business entities to various aspects of their economic activity determines the level of business activity. At the same time, an important factor is the temporary, dynamic component of psychological relations. The more favorable the past and the more promising the future, the higher the readiness and desire to realize the maximum potential in business activity, the intensity of the activity itself. Value-structural analysis of business objects, different assessments of their level of business activity give reason to believe that such values as "independence" and "material well-being", "wealth", "property", "money" also affect the level of business activity. When these values are at the top of the value hierarchy, business can transform from a form of income to a way of life

კონკურენციის შეზღუდული შესაძლებლობები და კონკურენციული პოლიტიკა ქართულ რეალობაში

მარინა ჩავლეიშვილი

ასოცირებული პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

ბაზრებზე კონკურენციული პოლიტიკას და კონკურენციის შეზღუდული შესაძლებლობების კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი ქვეყნისათვის. ნაშრომში გაანალიზებულია ქართულ რეალობაში ბაზრის უმსხვილესი ეკონომიკურ აგენტები, კერძოდ, კონკურენციის შეზღუდული შესაძლებლობების ანალიზი, არსებული მდგომარეობა, შეფასება და რეგულირების მექანიზმები.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა საქართველოს ბაზარზე არსებული მდგომარეობა, გაანალიზებულია ბაზარზე არსებული ბარიერები და შეზღუდვები, რომლებიც არ იძლევა ბაზრის უფრო სწრაფი განვითარების საშუალებას. ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ბაზრის მოთამაშეები, რომელთაც პრაქტიკულად განაწილებული აქვთ ბაზარი და ფასწარმოქმნის და საფასო დისკრიმინაციის ერთიან პოლიტიკას ატარებენ. ანალიზმა ცხადყო, რომ საქართველოში საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო აქტიურად ახორციელებს კვლევებს ბაზარზე ეკონომიკური აგენტების საქმიანობასთან დაკავშირებით და შეიმუშავებს მექანიზმებს შესაბამისი ბაზრების რეგულირებისთვის. ზოგიერთ ბაზარზე შეინიშნება ოლიგოპოლიის ნიშნები და გარიგებები კომპანიებს შორის. ნაშრომში წარმოდგენილია სანჯავის, ფარმაციის და ონლაინ ბილეთების ბაზარზე განხორციელებული კვლევის შედეგები. არსებული მდგომარეობის ანალიზმა ცხადყო, რომ სახელმწიფომ გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებაში, კერძოდ, განახორციელოს ბაზრების მონიტორინგი, შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები და კონკურენციის სწორი პოლიტიკა.

საკვანძო სიტყვები: კონკურენცია, დომინანტური მდგომარეობა, კონკურენციის შეზღუდული შესაძლებლობები, ფარული შეთანხმება, კონკურენციული პოლიტიკა.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში აქტუალურია არასრულყოფილი ბაზრების, მათ შორის მონოპოლიური ბაზრების ქცევის ანალიზის კვლევა. ამასთან, მნიშვნელოვანია კონკურენციული პოლიტიკისა და საბაზრო ძალაუფლების ფირმების მიერ განხორციელებული კონკურენციული შეზღუდული შესაძლებლობების ანალიზი. თანამედროვე ბიზნეს-პრაქტიკაში, მონოპოლიურ ბაზარზე არსებული ფირმები ქცევის სხვადასხვა მეთოდებს იყენებენ, რომლების გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევიან.

გამომდინარე აქედან, მონოპოლიურ ბაზრებზე კონკურენციის ანალიზი შესაბამისი შედეგების შესწავლას და შესაბამისი კონკურენციული პოლიტიკის განსაზღვრა მეტად აქტუალური საკითხია, მით უფრო, საკითხი მნიშვნელოვანია ეფექტიანი კონკურენციული პოლიტიკის განსაზღვრის თვალსაზრისითაც. ნაშრომში გაანალიზებულია უცხოურ და ქართულ ქართულ რეალობაში შესასწავლი ბაზრებზე დომინანტური ფირმების მიერ განხორციელებული ქცევები, მიღებული გადაწყვეტილებები, კონკურენციული პოლიტიკა.

მეცნიერ-მკვლევართა და პრაქტიკოსთა მიერ ანტიტრესტული პოლიტიკისა და კონკურენციასთან დაკავშირებული თეორიული, იურიდიული და ნაწილობრივ პრაქტიკული საკითხების კვლევის აქტუალობა დღითიდღე იზრდება. ბაზრებზე კომპანიების დომინანტური მდგომარეო-

ბის ანალიზი, კონკურენციის შეზღუდული შესაძლებლობების კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართულ რეალობაში, რომელსაც გააჩნია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა.

დომინანტურ მდგომარეობაში მყოფი კომპანიების ქცევის მოდელი, მათ მიერ მიერ განხორციელებული ქცევები, ფასებზე ზემოქმედების მექანიზმები, საფასო დისკრიმინაციები ბაზარზე ახდენს მომხმარებელთა დისკრიმინაციას. აღნიშნულ საკითხებს ნებისმიერ ქვეყანაში აანალიზებს და სწავლობს ანტიმონოპოლიური სამსახური. საქართველოში აღნიშნული საკითხების კვლევაში აქტიურად არის ჩართული საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“ ითვალისწინებს კონკურენციის საინააღმდეგო ქმედებების რამდენიმე ძირითად კატეგორიას, რომელთაგან ერთ-ერთია დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. კანონის მე-6 მუხლი წარმოადგენს ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 102-ე მუხლის (TFEU 102-ე მუხლი) ანალოგს. აღნიშნული მუხლის გამოყენება ემყარება ევროკომისიისა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას. ამასთან, აღნიშნული მუხლში განხილულია მტაცებლური ფასები, ფასდათმობები, საფასო დისკრიმინაცია (ფასების შერჩევითი შემცირება), მარჟის შეზღუდვა, მიბმა, მიწოდებაზე/დაშვებაზე უარი და მოცემულია კონკრეტული საქმედები თითოეულთან მიმართებაში. არსებობს სამი მთავარი მიზეზი, თუ რატომ შეიძლება დაუკავშირდეს კონკურენციული პოლიტიკა საფასო დისკრიმინაციას: ა. დომინანტი ფირმა საფასო დისკრიმინაციით ახდენს მომხმარებლის ექსპლუატაციას, რაც შედეგად ამცირებს მომხმარებლის კეთილდღეობას; ბ. თუ კონკურენციული პოლიტიკის მიზანია რეგიონში ჩამოყალიბდეს ერთგვაროვანი ბაზარი, მაშინ მსგავსი ბაზრისთვის ახდენს განსხვავებული ფასების დანესების ანუღირებას. აღნიშნული ფირმა ნებას აძლევს არბიტრაჟებს რეგიონიდან, სადაც უფრო დაბალია ფასი პროდუქტზე გადაადგილონ და გაყიდონ პროდუქტი იმ რეგიონში, სადაც იგი უფრო ძვირია. ამით ფირმები ბაზრის ერთგვაროვნებას აღწევენ ფასის დისკრიმინაციის თავიდან არიდებით; გ. საფასო დისკრიმინაცია შეიძლება გამოიყენოს დომინანტმა ფირმამ და ბაზრიდან გააძევოს ან დაასუსტოს არსებული/პოტენციური კონკურენტი. ამ შემთხვევაში საფასო დისკრიმინაცია შეიძლება იყოს ეფექტური საშუალება ჩააყენოს მყიდველი ან გამყიდველი არახელსაყრელ მდგომარეობაში, რათა უბიძგოს მათ გავიდნენ ბაზრიდან ან იყვნენ ნაკლებ აგრესიულნი.

საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ „ადგენს თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპებს, რაც თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველს ქმნის“ (კანონი მუხლი 1). კანონის მიზანია კონკურენციის ხელშეწყობა (კანონი კონკურენციის შესახებ, 2014).

კონკურენციის კანონით აკრძალულია (მუხლი 6 – დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) ეკონომიკური აგენტის/ან ჯგუფის დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ასევე, ხელშეკრულებისა და შეთანხმებული ქმედებების განხორციელება, რომელიც ბაზარზე ზღუდავს კონკურენციას (მუხლი 7 – კონკურენციის შეზღუდული ხელშეკრულება, გადანყვეტილება და შეთანხმებული ქმედება; მუხლი 8 – კონკურენციის უმნიშვნელოდ შეზღუდული შეთანხმება). (კანონი კონკურენციის შესახებ, 2014).

დომინანტური მდგომარეობის მქონე კომპანიას აქვს საკმარისი ძალაუფლება, შეზღუდოს კონკურენცია ბაზარზე, იმოქმედოს კონკურენტებისა და მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია უცხოური ქვეყნების გამოცდილება. უცხოურ პრაქტიკაში ბევრი მაგალითებია, რომლებიც აღწერენ ფირმების ფაქტობრივ გარემოებებს ბაზარზე, მათ სამართლებრივ ასპექტებსა და შედეგებს. საინტერესოა 2010-2013 წლებში პორტუგალიაში სატელევიზიო სერვისების მომწოდებელი კომპანიის (MEO) და ერთადერთ საავტორო უფლებების დაცვის კოოპერაციის (GDA) მაგალითი. აღნიშნულ პერიოდში GDA იყენებდა სამ

სხვადასხვა ტარიფს სატელევიზიო მომსახურების შემთავაზებელი კომპანიების მიმართ. 2014 წელს MEO-მ საჩივარი შეიტანა პორტუგალიის კონკურენციის ორგანოში GDA-ის წინააღმდეგ იმ საფუძვლით, რომ საავტორო უფლებების დაცვის კოოპერაცია ბოროტად იყენებდა საკუთარ დომინანტურ მდგომარეობას და განსხვავებულ ტარიფებს უწესებდა MEO-სა და მის კონკურენტ NOS-ს ერთი და იმავე მომსახურებისათვის. ამასთან, MEO-ს მიმართ ხდებოდა იმ ტარიფის გამოყენება, რაც დამტკიცებული იყო არბიტრაჟის მიერ, რადგან არსებული რეგულაციებიდან გამომდინარე, თუ წარმოიშობოდა დავა ტარიფთან დაკავშირებით, მხარეებს უნდა მიემართათ არბიტრაჟისთვის (საქართველოს კონკურენციის სააგენტო, გზამკვლევი დოკუმენტი, 2018).

კონკურენციის ორგანომ 2016 წელს საქმის მოკვლევა შეწყვიტა და მის მიერ დარღვევა არ გამოვლენილა, კერძოდ დაადგინა, რომ ვერ აღმოაჩინა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 102-ე მუხლის დარღვევის საკმარისი საფუძვლები. გარდა ამისა, MEO-ს საბაზრო წილი დასახელებულ პერიოდში არათუ შემცირდა, არამედ გაიზარდა. კონკურენციის ორგანომ მიიჩნია, რომ MEO არ აღმოჩენილა კონკურენციულად წამგებიან მდგომარეობაში და მას არ მისდგომია ფინანსური ზიანი შედეგების თვალსაზრისით. გადანყვებილება კომპანიამ გაასაჩივრა პორტუგალიის კონკურენციის დავების განმხილველ სასამართლოში. პრობლემას კომპანია ხედავდა იმაში, რომ კონკურენციის ორგანოს კონკრეტული ზიანი კი არ უნდა დაეთვალია, არამედ მას უნდა დაედგინა, ზოგადად, შეეძლო თუ არა შერჩევითი ფასების დაწესებას ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა. დავების განმხილველმა სასამართლომ სარჩელი განხილვისთვის გადააგზავნა ევროკომისიისა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოში (CJEU). CJEU-ს განმარტებით, დისკრიმინაციული ფასების დაწესება TFEU 102-ე მუხლის დარღვევას არ წარმოადგენს და მხოლოდ მაშინ ითვლება დარღვევად, თუ სახეზეა კონკურენტებს შორის კონკურენტუნარიანობის შემცირება. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ MEO და NOS-ი წარმოადგენდნენ GDA-ის მთავარ მომხმარებლებს, რაც იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ მათ შეეძლოთ ერთმანეთთან წარემართათ მოლაპარაკება. ასევე, არბიტრაჟის როლის არსებობა მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ GDA-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ იყო საბოლოო და შესაძლებელი იყო მისი გადახედვა. იმის განსაზღვრად, თუ რა გავლენას ახდენდა არსებული ტარიფები მის კონკურენტუნარიანობაზე, ასევე მხედველობაში იქნა მიღებული MEO-ს მიერ წარდგენილი წლიური ანგარიშები და გაირკვა, რომ ტარიფს ვერ ექნებოდა მნიშვნელოვანი უარყოფითი ეფექტი კომპანიის საქმიანობაზე. ამასთან, სასამართლომ საკუთარ დასაბუთებაში იმსჯელა, ჰქონდა თუ არა GDA-ის, თეორიულად მაინც, იმის განზრახვა, რომ დაღმავალ ბაზარზე შეეზღუდა კონკურენცია განსხვავებული ტარიფების დაწესებით, თუმცა საქმის მასალებიდან აღნიშნული მიზანი არ გამოიკვეთა (საქართველოს კონკურენციის სააგენტო, გზამკვლევი დოკუმენტი, 2018).

საქართველოს რეალობაში სხვადასხვა მიმართულებით ბაზრებზე აქტიურ კვლევებს ახორციელებს კონკურენციის სააგენტო. ბოლო წლების განმავლობაში სააგენტომ დაასრულა 8 საქმის კვლევა და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები. მათ შორის, მნიშვნელოვანი ქმედებები იქნა შესწავლილი სანავის, ფარმაციის და ონლაინ ბილეთების ბაზარზე. კომპანიებს დაეკისრა შესაბამისი ეკონომიკური სანქციები. საქართველოში კონკურენციის შეზღუდვისათვის ფორმები ჯარიმდებიან წლიური შემოსავლის 5%-ით განმეორების შემთხვევაში 10%-ით (ის. კანონი კონკურენციის შესახებ, მუხლი 33). 2021-2023 წლებში ფარმაცევტულ ბაზარზე შესწავლილ იქნა კონკურენციის შეზღუდული შეთანხმებები (კომპანიები: ავერსი, გეფა, პსპ, მერმისი). სააგენტომ იდენტიფიცირება მოახდინა 42 მედიკამენტის, სადაც ოთხი კომპანიის მიერ ადგილი ჰქონდა ერთნაირ ფასწარმოქმნას. კომპანიებს დაეკისრათ ეკონომიკური სანქციები 52 797 934 ლარის ოდენობით (საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო, წლიური ანგარიში, 2023).

ფარმაცევტულ ბაზარზე იკვეთება კომპანიები, რომლებიც მეტწილად (საერთო რეალიზაციის 50% და მეტი) ახდენენ იმ მედიკამენტების რეალიზაციას, რაც წარმოადგენს ამავე კომპანიის ან ჰოლდინგურ ჯგუფში შემავალი კომპანიის მიერ იმპორტირებულ ან წარმოებულ მედიკამენტებს. ამდენად, ბაზარზე არსებული ჰოლდინგური მონეობა, სამედიცინო დანესებულებების, ფარმაცევტულ კომპანიების და რეცეპტის გამონერაზე პასუხისმგებელ პირებს შორის ინტეგრაციის მაღალი ხარისხი უარყოფითად აისახება ბაზრის კონკურენტუნარიანობაზე, მის სტრუქტურასა და მომხმარებელზე. თუმცა, მეორეს მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ განხორციელებული ინტეგრაცია, ბაზრის ეფექტიანი რეგულირების პირობებში, შესაძლებლობას იძლევა შემცირდეს წარმოების დანახარჯები.

საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე წამყვანი მსხვილი კომპანიები (შპს „პსპ ფარმა“, შპს „ავერსი-ფარმა“ და სს „გეფა“) დომინანტურ პოზიციებს ინარჩუნებს და ცდილობენ ბაზარზე ახალი კომპანიის შესვლას სხვადასხვა მეთოდებით უპასუხონ. იკვეთება ფარული გარიგების ნიშნები, კერძოდ, ისინი ერთსა და იმავე დღეს სთავაზობენ მომხმარებლებს ფასდაკლების დღეებს, ერთმანეთთან ტერიტორიულად ახლოს, განთავსებულია მათ სააფთიაქო ქსელები, მომხმარებელს პროდუქტს ერთნაირ ფასად სთავაზობენ და სხვა. აღნიშნულ ბაზარზე შესვლის ბარიერები მაღალია. ამდენად, ბაზარზე არსებული მდგომარეობის ანალიზი მიგვანიშნებს იმაზე, რომ საქართველოში ფარმაცევტული ბაზარი ოლიგოპოლიური ნიშნის მატარებელია (მ. ჩავლე-იშვილი, 2022).

დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება დადგინდა კინოთეატრების ბილეთების ონლაინ რეალიზაციაში, სადაც მოკვლევის შედეგად როგორც მომჩივან (შპს „ელ. ბილეთები“), ასევე მოპასუხე (ერთიან ეკონომიკურ სუბიექტს „სადისტრიბუციო კომპანიას“, შპს-ბს: „კავია საბურთალო“, „კავია გალერეა“, „კავია თბილისი მოლი“, „რუსთაველი ჰოლდინგ სინემა“, „ამირანი“, „აპოლო ბათუმი“, „თინეთი“) მხარეებს ჯამურად დაეკისრათ ჯარიმა 1.6 მლნ. ლარი. დარღვევად შეფასდა შპს „სადისტრიბუციო კომპანიასა“ და შპს „თინეთს“ შორის ექსკლუზივის პირობით დადებული ხელშეკრულება, რომელიც კინოთეატრების რეალიზაციის უფლებას მხოლოდ „თინეთის“ მფლობელობაში მყოფ პორტალს „tkt.ge“ აძლევდა. გარიგების მონაწილედ მიჩნეულ იქნა ასევე მომჩივანი მხარეც, რომელიც თავის მხრივ ცდილობდა ექსკლუზივის მოპოვებას მის მფლობელობაში არსებულ პორტალზე „biletebi.ge“. სააგენტოს მიერ მიღებული იქნა კონკრეტული გადაწყვეტილებები, რომელიც შეეხებოდა გაფორმებული ხელშეკრულებების კონკურენციის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას, ასევე, ბილეთების ონლაინ რეალიზაციის მიზნით გაიცა რეკომენდაციები: აგენტების შერჩევა აღნიშნულ ბაზარზე განხორციელდეს საკონკურსო პირობებით და შერჩევის პროცესში მონაწილეობა მიიღოს ყველა დაინტერესებულმა ეკონომიკურმა აგენტმა, ასევე ბილეთების დისტრიბუტორებმა, ორგანიზატორებმა (მათ შორის, ონლაინ) სახელშეკრულებო ურთიერთობები აწარმოონ ბაზარზე შესასვლელად გაუმართლებელი ბარიერების გარეშე, რომელიც არ შეზღუდავს ეკონომიკური აგენტების მონაწილეობას აღნიშნულ ბაზარზე (საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო, წლიური ანგარიში, 2023).

მნიშვნელოვანი სურათი გამოიკვეთა საქართველოს საავტომობილო სანავის ბაზარზე. კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ შეისწავლა და გაანალიზა საავტომობილო სანავის ბაზარზე ხუთი ეკონომიკური აგენტის- შპს-ბი: „ლუკოილ-ჯორჯია“, სან პერტოლიუმ ჯორჯია“, სოკარ ჯორჯია პერტოლიუმ“, „რომპეტროლ საქართველო“ და სს „ვისოლ პერტოლიუმ ჯორჯია“ კოორდინირებული ქცევა, რომელიც შეეხებოდა საავტომობილო საცალო ბაზარზე მაღალი ფასების შენარჩუნებას. სააგენტოს შეფასებით, განსახილველ პერიოდში (2022 წელი), კონკრეტული კომპანიების შემთხვევაში ხელმისაწვდომი იყო ევროპულ სანავთან შედარებით დაბალი თვითღირებულების მქონე არაევროპული სანავი, ხოლო რიგ შემთხვევაში კონკრეტული კომპანიის/კომპანიების მიერ ხდებოდა დაბალი თვითღირებულების მქონე ევროპული სანავის რეალიზაცია მხოლოდ საბითუმო ბაზარზე, მათ შორის, კონკურენტ

კომპანიებზე. ევროპული, თუ არაევროპული სანავის შემთხვევაში ადგილი ჰქონდა სანავის თვითღირებულებიდან გამომდინარე კონკურენტული უპირატესობის გამოუყენებლობას. შედეგად, საავტომობილო სანავის საცალო ბაზარზე შენარჩუნებულ იქნა მაღალი ფასი, რაც წარმოადგენდა სააგენტო გადანყვეტილებით მოპასუხე ხუთი კომპანიის კოორდინირებული ქმედების შედეგს. მოკვლევის საფუძველზე ხუთივე ეკონომიკურ აგენტს დაეკისრა 3 925 360 მლნ. ლარი ფინანსური სანქცია. შესაბამისად, სააგენტომ კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების მიზნით გასცა რეკომენდაცია სანავის ჩასხმის სიზუსტის კონტროლის უფრო ეფექტიანი მექანიზმების შემოღებასთან დაკავშირებით (საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო, წლიური ანგარიში, 2023).

ამდენად, ევროკავშირის რეგულაციების (TFEU, 101-ე მუხლი თანახმად, აკრძალულია შიდა ბაზართან შეუთავსებელი გარიგებების დადება სანარმოებს შორის, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კონკურენციის შეზღუდვაზე ნევრ სახელმწიფოების შიდა ბაზრებზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თანამედროვე ეტაპზე, მეტად აქტუალურია საბაზრო ძალაუფლების მქონე ეკონომიკური აგენტების ქმედებების შესწავლა, ანალიზი, შეფასება და კონკრეტული რეკომენდაციების გაცემა ხელ შეუწყობს ბაზარზე კონკურენციის რეგულირებას და ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებისთვის.

ლიტერატურა

1. მ. ჩავლეიშვილი, კონკურენცია საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი – არსებული მდგომარეობა და ახალი გამოწვევები, ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, ტომი XIV, №2, 2022.
2. საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო, წლიური ანგარიში, 2023.
3. საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო, ბრძანება №04/1031. 29.12.2023. საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 4 აპრილის N04/173 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე მიღებული გადანყვეტილების დამტკიცების შესახებ
https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/phpdai1UR.pdf
4. საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით საქმის მოკვლევის დაწყების და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 16 აგვისტოს N04/165 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული მოკვლევის თაობაზე გადანყვეტილება, 2023.
https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/phpa0YwRM.pdf
5. საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო, <https://gcca.gov.ge/-index.php?m=2>
6. საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ, 2014 წელი, 21 მარტი. <https://gcca.gov.ge/-index.php?m=349>
7. საქართველოს მთავრობის დადგენილება კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვიდან გამონაკლისების შესახებ, №526, 2014 წელი 1 სექტემბერი. https://gcca.gov.ge/uploads_script/legislation/tmp/phpsMWrhj.pdf
8. საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო, გზამკვლევი დოკუმენტი, 2018.

LIMITED POSSIBILITIES OF COMPETITION AND COMPETITIVE POLICY IN GEORGIAN REALITY

Marina Chavleishvili

Associate Professor

Associate Professor Ivane Javakhishvili Tbilisi State University

summary

Competition policy in markets and the study of limited competition opportunities are crucial for any country. This paper analyzes the major economic agents in the Georgian market, focusing particularly on the limited competition opportunities, the current situation, the assessment, and the regulatory mechanisms in place.

Based on the conducted research, the current situation in the Georgian market has been identified, and the barriers and restrictions that hinder faster market development have been analyzed. The analysis reveals that certain market players practically dominate the market and implement a unified pricing policy and price discrimination strategies. Furthermore, the analysis shows that the Competition and Consumer Agency of Georgia actively conducts research on the activities of economic agents in the market and develops mechanisms for regulating these markets. In some sectors, signs of oligopoly and collusion between companies are evident.

This paper presents the results of research conducted in the fuel, pharmaceutical, and online ticketing markets. The analysis of the current situation reveals that the government must play a decisive role in ensuring the effective functioning of the market, specifically by monitoring market activities, developing appropriate recommendations, and implementing a sound competition policy.

Keywords: Competition, Dominant Position, limited opportunities for Competition, Collusion, Competition Policy

ბავშვთა კეთილდღეობის სტატისტიკა: გლობალური გამოწვევები და ტენდენციები

ლია ჩარეკიშვილი

პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

ევროპის უნივერსიტეტი

Charekishvili.lia@eu.edu.ge

591414640

ანოტაცია

2022 წელს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ერთობლივი ძალისხმევით ჩატარებული „ბავშვთა კეთილდღეობის გამოკვლევა“ მნიშვნელოვანი მოვლენაა ბავშვთა უფლებებისა და კეთილდღეობის მონიტორინგისთვის. საქართველოში მაცხოვრებელ ბავშვთა 5.8 პროცენტს აღენიშნება რომელიმე ფორმის ფუნქციური სირთულე, რაც მნიშვნელოვნად უზღუდავს მათ ყოველდღიურ ცხოვრებას. მათგან, შშმ პირის ოფიციალური სტატუსი აქვს ბავშვების 12.6 პროცენტს. ამის ერთი მიზეზი არის ის, რომ, ამ დრომდე, შშმ პირის სტატუსის დადგენა კვლავ სამედიცინო მოდელზე დაყრდნობით ხდება, სადაც არ არის გათვალისწინებული ფუნქციური სირთულეები და შეზღუდული შესაძლებლობების ფსიქო-სოციალური ასპექტები. ფუნქციური სირთულეები უფრო ხშირია 5-17 წლის ბავშვებში (6.5%), ვიდრე 2-4 წლის ბავშვებში (1.8%). მატერიალური და სოციალური დანაკლისის მქონე ბავშვებში ფუნქციური სირთულეების ქონის ალბათობა (10.5%) ოთხჯერ მეტია, ვიდრე სხვა ბავშვებში (2.8%).

საკვანძო სიტყვები: სტატისტიკა, კვლევა, განათლება, ბავშვები, კეთილდღეობა.

შესავალი

ბავშვთა კეთილდღეობის სტატისტიკა მრავალმხრივი და კომპლექსური საკითხია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ინდიკატორებს, როგორიცაა ჯანმრთელობა, განათლება, სოციალური დაცვა, სიღარიბე და უსაფრთხოება. მსოფლიოში ბავშვთა კეთილდღეობა განსხვავდება რეგიონების, ქვეყნებისა და სოციალური პირობების მიხედვით.

2022 წელს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ერთობლივი ძალისხმევით ჩატარებული „ბავშვთა კეთილდღეობის გამოკვლევა“ მნიშვნელოვანი მოვლენაა ბავშვთა უფლებებისა და კეთილდღეობის მონიტორინგისთვის. ამ კვლევის მიზანი იყო მრავალი სოციალური და ეკონომიკური ასპექტის შეფასება, რომლებიც გავლენას ახდენს საქართველოში მცხოვრებ ბავშვებზე.

კვლევა მოიცავდა 1,279 შინამეურნეობის რესპონდენტს და შეაგროვა ინფორმაცია 2,438 ბავშვზე. კვლევა ჩატარდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოსთან შეთანხმებით და მისი მთავარი მიზანი იყო საქართველოში ბავშვის კეთილდღეობის მრავალ ასპექტზე მონაცემთა მოგროვება, მისი ფარგლებში შესწავლილი იყო ბავშვთა ხელმისაწვდომობა ჯანდაცვაზე, განათლებაზე და სოციალურ დახმარებაზე, ასევე ბავშვების კვების, მატერიალური და სოციალური მდგომარეობის, აღზრდის მეთოდებისა და ფუნქციური სირთულეების საკითხები. კვლევა ფოკუსირებული იყო ბავშვთა კეთილდღეობაზე იმ რეგიონებში, რომლებიც საქართველოს ხელისუფლების მიერ ამჟამად კონტროლირებად რეგიონებში მაცხოვრებელი ბავშვებისთვისაა რეპრეზენტატული.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს, რათა დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის სამინისტროებს, ადგილობრივ ხელისუფლებას, და ბავშვთა უფლებათა დაცვის ორგანიზაციებს მიეწოდოთ საჭირო ინფორმაცია ბავშვთა მომსახურების გასაუმჯობესებლად.

კვლევის ინსტრუმენტები, რომლებიც შეიქმნა Innocenti და UNICEF-ის საქართველოს ოფისის მიერ, უზრუნველყოფენ მონაცემთა სანდოობას და სიღრმისეულ ანალიზს, რაც რეპრეზენტატიულ სურათს ქმნის საქართველოში მცხოვრები ბავშვების კეთილდღეობის შესახებ.

ტექსტის ძირითადი ნაწილი

კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოში მაცხოვრებელ ბავშვთა 5.8 პროცენტს აღემატება რომელიმე ფორმის ფუნქციური სირთულე, რაც მნიშვნელოვნად უზღუდავს მათ ყოველდღიურ ცხოვრებას. მათგან, შშმ პირის ოფიციალური სტატუსი აქვს ბავშვების 12.6 პროცენტს. ამის ერთი მიზეზი არის ის, რომ, ამ დრომდე, შშმ პირის სტატუსის დადგენა კვლავ სამედიცინო მოდელზე დაყრდნობით ხდება, სადაც არ არის გათვალისწინებული ფუნქციური სირთულეები და შეზღუდული შესაძლებლობების ფსიქო-სოციალური ასპექტები. ფუნქციური სირთულეები უფრო ხშირია 5-17 წლის ბავშვებში (6.5%), ვიდრე 2-4 წლის ბავშვებში (1.8%). მატერიალური და სოციალური დანაკლისის მქონე ბავშვებში ფუნქციური სირთულეების ქონის ალბათობა (10.5%) ოთხჯერ მეტია, ვიდრე სხვა ბავშვებში (2.8%).

მიუხედავად იმისა, რომ სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა კანონით არის გარანტირებული, სკოლამდელი ასაკის ბავშვების 27.8% არ დადიოდა საბავშვო ბაღში; მათ შორის 21.6% არ დადიოდა მშობლის არჩევანის, ხოლო 6.2% ვერ ახერხებდა საბავშვო ბაღში სიარულს დაბრკოლებების გამო. ყველაზე ხშირი ბარიერები არის ზოგიერთ სოფელში სკოლამდელი სასწავლო დაწესებულების არარსებობა და ბავშვის ჩანერა მომლოდინეთა სივრცეში.

სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებებით კმაყოფილება მაღალია. იმ ბავშვთა მშობლების/ოჯახის წევრების 93.6%, ვინც დადის საბავშვო ბაღში, კმაყოფილია (ან ძალიან კმაყოფილია) სკოლამდელი საგანმანათლებლო მომსახურებების ხარისხით.

6-17 წლის ასაკის ბავშვების შემთხვევაში, 98.4% დადიოდა სკოლაში, უნივერსიტეტში და/ან პროფესიულ სასწავლებელში, ხოლო 1.6% არსად არ დადიოდა. იმ ბავშვებიდან, ვინც დადიოდა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მშობლების/ოჯახის წევრების 79.7% ამ დაწესებულებების ხარისხით კმაყოფილი იყო.

6-17 წლის ასაკის ბავშვების 18.8 პროცენტს ჰყავს კერძო მასწავლებელი და ამდენივე პროცენტს აქვს სურვილი, თუმცა ვერ ახერხებს ამას. კერძო მასწავლებლის ყოლის ყველაზე ხშირი ბარიერი არის ფინანსების ნაკლებობა – ეს მიზეზი დასახელდა 87 პროცენტის მიერ. ხელოვნების კლასგარეშე წრეებში (მუსიკა, ცეკვა, ხატვა) მონაწილეობა ძალიან დაბალია 6-17 წლის ბავშვებს შორის და შეადგენს 12.2 პროცენტს. ორჯერ მეტ ბავშვს (23.9%) აქვს ხელოვნების წრეებზე სიარულის სურვილი, მაგრამ ვერ ახერხებს, ძირითადად იმის გამო, რომ მშობლებს არ აქვთ ამ მომსახურებების საფასურის გადახდის საშუალება (63.7%) ან იმიტომ, რომ ეს მომსახურებები არ არის ხელმისაწვდომი მათი საცხოვრებლის სიახლოვეს ან სოფელში (22.8%). ასევე დაბალია სპორტის კლასგარეშე წრეებში ჩართულ ბავშვთა წილიც – 13.8% – მაშინ, როდესაც ბავშვების 25.3 პროცენტს სურს სპორტზე სიარული, მაგრამ ვერ ახერხებს ამას. და კვლავ, ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზებია გადახდის უუნარობა (69.9%) და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სპორტული წრეების არარსებობა (21.8%).

სასკოლო საათებში კვება მნიშვნელოვანი გამოწვევაა, ვინაიდან ბავშვების ერთ მეოთხედზე ოდნავ მეტი (27%) იკვებება ყოველდღიურად სკოლის საათების განმავლობაში და ბავშვების ერთ მესამედზე მეტი (34.9%) არასდროს იკვებება სკოლის საათების განმავლობაში. სკოლის

საათებში საკვების არმილება ბევრად უფრო ხშირია მატერიალური და სოციალური დანაკლისის მქონე ბავშვებში (44.9%), ვიდრე ბავშვებში, ვისთანაც არ აღინიშნება მატერიალური და სოციალური დანაკლისი (28.4%). მატერიალური და სოციალური დანაკლისის მქონე ბავშვებში, რომლებიც საერთოდ არ იღებენ საკვებს სკოლის საათებში, ყველაზე ხშირად ნახსენები მიზეზი არის ფინანსური პრობლემა -37.7%, ხოლო სკოლის დროს საკვების არმილების იგივე მიზეზი მატერიალური და სოციალური დანაკლისის არმქონე ბავშვების 3.3 პროცენტს აქვს. ასევე მნიშვნელოვანი ბარიერია სკოლის სიახლოვეს კვების ობიექტის არარსებობა და ეს მიზეზი შეადგენს შემთხვევების 36.4 პროცენტს.

რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (83.2%) დარწმუნებულია, რომ სკოლა უნდა უზრუნველყოფდეს ბავშვის კვებას. მეტიც, რესპონდენტთა 74.2 პროცენტი მზადაა ბავშვის კვების თანხის გადასახდელად, თუ ფასები ხელმისაწვდომი იქნება. კვებაში თანხის გადახდის სურვილი 61.8 პროცენტს აღწევს მატერიალური და სოციალური დანაკლისის მქონე ბავშვების მშობლებს/ოჯახის წევრებს შორისაც კი.

საქართველოში ბავშვთა სამედიცინო მომსახურების დაფინანსების მთავარი წყარო არის ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევა. იმ ბავშვებს შორის, ვისაც მოცემული კვლევის ჩატარებამდე ბოლო 12 თვის განმავლობაში სჭირდებოდა სამედიცინო მომსახურება (მთელი ბავშვების 46.9%), 65 პროცენტს მომსახურება სრულად ან ნაწილობრივ დაეფარა აღნიშნული პროგრამიდან. თუმცა, ოჯახებმა ასევე სრულად ან ნაწილობრივ დაფარეს სამედიცინო მომსახურებების საჭიროების მქონე ბავშვების 50.8 პროცენტის ჯანდაცვის ხარჯები და შემთხვევების კიდევ 9.9 პროცენტში ეს ხარჯები კერძო დაზღვევიდან დაიფარა. ამავე დროს, მთელი ბავშვების 12 პროცენტმა ვერ შეძლო რამე სახის სამედიცინო მომსახურების მიღება (სრულად ან ნაწილობრივ) და 4.9 პროცენტმა ვერ მიიღო საჭირო მედიკამენტები. ორივე შემთხვევაში მთავარი მიზეზი იყო ფინანსები – შემთხვევების 82.2 პროცენტი და 98.8 პროცენტი, შესაბამისად.

მაღალია ბავშვების მიერ მიღებული სამედიცინო მომსახურებების ხარისხით მშობლების/ოჯახის წევრების კმაყოფილების დონე. მომსახურებით კმაყოფილია იმ ბავშვების მშობლების/ოჯახის წევრების 77.4 პროცენტი, ვინც მიიღო რამე სახის სამედიცინო მომსახურება, ხოლო მშობლების/ოჯახის წევრების კიდევ 11.5 პროცენტი მიღებული მომსახურებით ძალიან კმაყოფილია. ბავშვების 37.8% პროცენტს 16 საჭიროებიდან აქვს სამის ან მეტის დანაკლისი.

დანაკლისის დონე საგრძნობლად მაღალია სოფლად (47.1%), ვიდრე ქალაქში (31.2%). ოჯახის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებაზე დაფუძნებული ბავშვის შემწეობის მიზნობრიობა დამაკმაყოფილებელია, ვინაიდან ეს დახმარება ფარავს მატერიალური და სოციალური დანაკლისის მქონე ბავშვების 53 პროცენტს და ამ დანაკლისის არმქონე ბავშვების 9.9 პროცენტს. თუმცა, მატერიალური და სოციალური დანაკლისის მქონე ბავშვების ოჯახებს ხშირად სჭირდებათ დამატებითი დახმარებაც. მატერიალური და სოციალური დანაკლისის მქონე ბავშვიანი ოჯახების 15.5 პროცენტმა ამ კვლევის ჩატარებამდე 12 თვის პერიოდში განაცხადი გააკეთა რამე სახის დახმარებაზე, თუმცა მათი განაცხადები არ დაკმაყოფილდა. საქართველოში მაცხოვრებელი 2-17 წლის ასაკის ბავშვების 5.8 პროცენტს აქვს რაიმე სახის ფუნქციური სირთულე. თუმცა, მათგან მხოლოდ 12.6 პროცენტს აქვს ოფიციალურად შშმ პირის სტატუსი. ამის მინიმუმ ორი მიზეზი არსებობს: პირველი, შშმ პირის ოფიციალური სტატუსი ჯერ კიდევ მხოლოდ სამედიცინო დიაგნოზის საფუძველზე მიენიჭება. მეორე, მშობლების/ოჯახის წევრების საგრძნობი ნაწილი (26.2%) თვლის, რომ ბავშვის შშმ პირის სტატუსი სტიგმასთან ასოცირდება. ამ მიზეზმა, შესაძლოა, გადააფიქრებონოს მათ ბავშვისთვის შშმ პირის სტატუსის მიღება. 6-17 წლის ასაკის ბავშვების 1.6% არ არის სკოლაში. მათგან 1.3% – არ არის საკუთარი ნებით და 0.3% ვერ ახერხებს სკოლაში სიარულს რამე ხელისშემშლელი ფაქტორის გამო. სკოლამდელი განათლების სისტემის მიღმაა შესაბამისი ასაკის ბავშვების 27.8 %. მათგან, ბავშვების 21.6% საბავშვო ბაღში არ დადიოდა მშობლების სურვილით და 6.2% (სოფლად – 12.4% და

ქალაქში – 1.1%) – არსებული ბარიერების გამო. სკოლამდელი განათლების მიღების ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორებია საბავშვო ბაღის არარსებობა საცხოვრებელი ადგილის სიახლოვეს და ბავშვის მოსაცდელ სიაში ჩასმა. ფორმალური განათლების ხარისხით კმაყოფილების დონე ძალიან მაღალია. საბავშვო ბაღში მყოფი ბავშვების 93.6 პროცენტის მშობლები/ოჯახის წევრები კმაყოფილი არიან სკოლამდელი განათლების ხარისხით. ამის მსგავსად, სკოლაში მყოფი ბავშვების 79.7 პროცენტის მშობლები/ოჯახის წევრები კმაყოფილი არიან სკოლის მიერ მიცემული განათლების ხარისხით. ბავშვების ერთ მეოთხედზე ოდნავ მეტი (27%) ყოველდღიურად იღებს სკოლაში საკვებს, ხოლო 34.9% არასდროს იკვებება სკოლის პერიოდში. სკოლაში საკვების მიღების ყველაზე გავრცელებული ბარიერებია საკვები ობიექტის არარსებობა სკოლის სიახლოვეს (ეს მიზეზი დასახელდა იმ შემთხვევების 36.4 პროცენტში, როდესაც ბავშვი არ იკვებება სკოლის პერიოდში) და ფულის არქონა (20.6%). მშობლების/ოჯახის წევრების 83.2% თვლის, რომ სკოლამ უნდა უზრუნველყოს ბავშვის კვება და მათგან 74.2 პროცენტს აქვს სურვილი, გადაიხადოს ამაში თანხა, თუ ფასები ხელმისაწვდომი იქნება. ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევის პროგრამა ბავშვების სამედიცინო მომსახურების მთავარი დამფინანსებელია. ამ კვლევის ჩატარებამდე 12 თვის პერიოდში, აღნიშნულმა პროგრამამ სრულად ან ნაწილობრივ დააფინანსა ბავშვების სამედიცინო საჭიროებების 68%. თუმცა, შემთხვევების 50.8 პროცენტში ოჯახებმა ასევე გადაიხადეს სრული ან ნაწილობრივი თანხა. მთლიანობაში, ბავშვების 12 პროცენტმა ვერ შეძლო სულ მცირე ერთი საჭირო სამედიცინო მომსახურების მიღება და 4.9 პროცენტმა ვერ მიიღო საჭირო მედიკამენტი. როგორც სამედიცინო მომსახურების, ასევე მედიკამენტის არმიღების მთავარი მიზეზი იყო ფულის არქონა (82.4% და 98.8%, შესაბამისად).

დასკვნები და რეკომენდაციები

მონაცემები ასახავს საქართველოში ბავშვებში ფუნქციური სირთულეების სტატისტიკურ სურათს, რაც მიუთითებს სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ბავშვთა ჯანმრთელობაზე და განვითარების შესაძლებლობებზე. აქ ჩანს, რომ ფუნქციური სირთულეების მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია მატერიალური და სოციალური დანაკლისის მქონე ბავშვებში, რაც ხაზს უსვამს საჭიროებას, რომ სიღარიბის და სოციალური პრობლემების გადაჭრა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებისთვის.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ არსებული სამედიცინო მოდელი შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის დასადგენად არ ითვალისწინებს ფსიქო-სოციალურ ასპექტებს, რაც შესაძლებელს ხდის ბავშვებს, რომლებსაც აქვთ ფუნქციური სირთულეები, დარჩნენ სისტემის მიღმა. ამის ფონზე, ახალი მიდგომების შემუშავება, რომელიც მოიცავს როგორც სამედიცინო, ისე სოციალური და ფსიქოლოგიური ასპექტების გათვალისწინებას, აუცილებელია ბავშვთა მდგომარეობის უკეთ გასაუმჯობესებლად. მნიშვნელოვანი მიგნებებია:

- **ჯანდაცვა და განათლება:** ბავშვის ჯანმრთელობისა და განათლების ხელმისაწვდომობა მთავარი ინდიკატორებია მათი კეთილდღეობის შეფასებისთვის.
- **სოციალური და მატერიალური პირობები:** სიღარიბე და სოციალური დანაკლისი პირდაპირ გავლენას ახდენენ ბავშვის განვითარების შესაძლებლობებზე.
- **ფუნქციური სირთულეები:** ყურადღება გამახვილდა იმ ბავშვებზე, რომლებიც განიცდიან სხვადასხვა ფორმის ფუნქციურ სირთულეს, რაც ზღუდავს მათ ყოველდღიურ ცხოვრებას.

- **კვება და ალზრდის მეთოდები:** სკოლის პერიოდში ბავშვთა კვებისა და ალზრდის მეთოდების ანალიზი მიზნად ისახავდა ბავშვთა განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.
- **ფუნქციური სირთულეების სიხშირე ასაკის მიხედვით:** 5-17 წლის ბავშვებში ფუნქციური სირთულეები უფრო ხშირია, ვიდრე 2-4 წლის ბავშვებში.
- **მატერიალური და სოციალური დანაკლისის გავლენა:** სიღარიბეში მცხოვრებ ბავშვებს ოთხჯერ მეტადაა შესაძლებელი ფუნქციური სირთულეების ქონის.
- **შშმ პირის სტატუსის განსაზღვრის პროცესი:** სტატუსის განსაზღვრა უფრო მეტად სამედიცინო მოდელზეა ორიენტირებული, ვიდრე სოციალურ-ფუნქციურ მოდელზე.

ამ მონაცემებზე დაყრდნობით, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ინკლუზიურ მიდგომებს, რომლებიც ითვალისწინებენ ყველა ასპექტს, მათ შორის სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით, რათა მხარი დაუჭირონ ბავშვებს და მათი ოჯახების საჭიროებებს.

ლიტერატურა

1. <https://www.geostat.ge/ka>
2. <https://data.unicef.org/>
3. <https://www.oecd.org/en/topics/sub-issues/child-and-family-well-being.html>
4. ბავშვთა კეთილდღეობა საქართველოში, 2023, საქსტატი.

CHILD WELFARE STATISTICS: GLOBAL CHALLENGES AND TRENDS

Lia Charekishvili

*Doctor of Economics, Professor,
European University, Tbilisi,
Charekishvili.lia@eu.edu.ge*

*In recent years, the Government of Georgia has significantly expanded its child benefit program, which by 2022 covered 28.6% of all children under the age of 16. However, a concerning issue is that nearly half (47%) of materially deprived children do not benefit from the program, potentially because their families are considered above the poverty threshold. This gap leaves many vulnerable children without the necessary financial support. Additionally, 15.5% of families with materially deprived children requested social assistance in the 12 months before the survey but were denied. The **Child Welfare Survey (CWS)** also highlights that 5.8% of Georgian children have functional difficulties that substantially limit their daily lives. Yet, only 12.6% of these children have an official disability status, primarily because disability determination still follows a medical model that overlooks functional limitations and the broader psycho-social dimensions of disability. There is a higher incidence of functional difficulties among children aged 5-17 years (6.5%) compared to younger children aged 2-4 years (1.8%). Moreover, children experiencing material deprivation are four times more likely to face functional difficulties (10.5%) compared to their peers from non-deprived families (2.8%). These findings underscore the need for a more inclusive social protection system and a broader approach to disability assessment, one that considers both medical and psycho-social factors to better support children with disabilities.*

The recent findings on children's welfare in Georgia highlight several critical issues, particularly in relation to access to educational resources, nutrition during school hours, and healthcare. Lack of Educational Materials: 45.3% of children do not have at least one educational item they wish for but cannot afford. The most commonly missing items are: Laptops/computers (29.1%), Painting materials (18.5%), Books (16.5%), and Musical instruments (10%). Nutrition during School Hours: Only 27% of children eat every day during school hours, while 34.9% never eat. This issue is more pronounced among materially deprived children, with 44.9% not eating during school hours compared to 28.4% of non-deprived children. Financial barriers prevent 37.7% of materially deprived children from eating during school, compared to only 3.3% of non-deprived children.

The findings reveal significant disparities in access to essential educational, nutritional, and medical resources among children in Georgia, particularly those from materially deprived families. Addressing these gaps is critical for improving children's well-being and their overall development. Educational resources such as computers and books are vital for children's learning, and the lack of access to these items suggests the need for targeted support programs. School nutrition is another pressing concern, with financial difficulties preventing a large number of children from eating during school hours. This impacts their ability to focus and perform well academically. Healthcare access remains a challenge, even with the universal health insurance system in place, as many families continue to struggle with the financial burden of medical services and medication. These results emphasize the need for more comprehensive and accessible social protection systems to support the most vulnerable children in Georgia.

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობა და 2025 წლის პროგნოზი

მიხეილ ჩიკვილაძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

ანოტაცია

საქართველოში პანდემიის დასრულების შემდგომ პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობა პროგნოზირებულზე გაცილებით მეტადაა გაზრდილი. 2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის მოცულობა გაზრდილია 7 მლრდ ლარით, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ასიგნებების მოცულობა 2025 წლისათვის დაგეგმილია 27.1 მლრდ ლარით და 2024 წელთან შედარებით გაიზრდება 2.1 მლრდ ლარით. 2025 წლის ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ჯამურად შეადგენს 31.2 მლრდ ლარს, რომლის ფარგლებშიც სრულად დაფინანსდება სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებები.

საკვანძო სიტყვები: ბიუჯეტი, დეფიციტი, ინვესტიცია, დეფლატორი, გრანტები.

საქართველოს ეკონომიკაში პანდემიის დასრულების შემდეგ პროგნოზირებულთან შედარებით გაცილებით მაღალი ეკონომიკური ტენდენციები გამოიკვეთა. 2021 – 2022 წლებში ეკონომიკური პარამეტრები ზრდის მიმართულებით დაკორექტირდა და ორივე წელს რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ ორნიშნა მაჩვენებელს მიაღწია. 2021 წელს რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ 4,3 %-ის ნაცვლად 10,6 %, ხოლო 2022 წლისთვის პროგნოზირებული 6,0 % შეადგინა. 2023 წელსაც ანალოგიური ტენდენცია დაფიქსირდა. რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ პროგნოზირებული 5 %-ის ნაცვლად 7,5% შეადგინა. 2021-2023 წლებში ნომინალური მშპ 2020 წელთან შედარებით 63 %-ით გაიზარდა და 80,2 მლრდ ლარს გადააჭარბა. მაღალი ეკონომიკური ტენდენციებია 2024 წელსაც, კერძოდ 2023 წლის ბოლოს მიმდინარე რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზი განისაზღვრა 5,2 %-ით, ხოლო მშპ-ის ნომინალური მაჩვენებლის პროგნოზი კი, 85,9 მლრდ ლარს შეადგენდა, მაშინ, როდესაც 2024 წლის პირველ ნახევარში რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ 9,1 % შეადგინა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკმაოდ მაღალი ეკონომიკური ზრდით დაიწყო 2024 წელი პირველ კვარტალში ეკონომიკურმა ზრდამ 8,4 % შეადგინა, საგარეო სექტორის, კერძოდ კი, როგორც ტურიზმის ზრდით, ისე შიდა აქტივობით იყო განპირობებული. აღნიშნული პერიოდიდან ეკონომიკურ ზრდაში დიდი წვლილი შეიტანა ინვესტიციების ზრდამ, იგივე გაგრძელდა მეორე კვარტალშიც, რომელშიც ეკონომიკურმა ზრდამ 9.6 % შეადგინა. 2024 წლის ივლისის თვეში ეკონომიკურმა ზრდამ 13 % შეადგინა, ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა ინფლაციის მაჩვენებელიც და 2024 წლის იანვარ-აგვისტოს საშუალო ინფლაციამ 0,9 % შეადგინა, რაც გახდა საფუძველი არსებული ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით, მიმდინარე წლის სექტემბერში მაკრო-ეკონომიკური პროგნოზების დადებითი მიმართულებით განხორციელების, მნიშვნელოვანი ტენდენციებია კერძო სექტორშიც, 2024 წლის პირველ ნახევარში ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 11,2 %-ით, ხოლო საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 12,6 %-ით გაიზარდა, ამ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 32.2 ათასი ადამიანით გაიზარდა.

მიმდინარე წლის აგვისტოში საქართველოში ინფლაციის დონემ წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 1% შეადგინა, წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა

იქონია ფასების ცვლილებამ ტრანსპორტის, აქციზური საქონლის და სხვა ჯგუფებში ფასების ზრდამ.

2024 წლის იანვარ-აგვისტოში შემოსავლების სახით ნაერთ ბიუჯეტში მობილიზებულია 16.2 მლრდ ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 69,2 %-ს შეადგენს, ხოლო გადასახადების ფაქტიური მაჩვენებელი წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის, 68,8 %-ია. 2024 წლის იანვარ-აგვისტოში ნაერთ ბიუჯეტში გადასახადების სახით მობილიზებულია 15.2 მლრდ ლარი, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 18.9 %-ით (2.4 მლრდ ლარით მეტი).

2024 წლის 8 თვის საგადასახადო შემოსავლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ:

- საშემოსავლო გადასახადის წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 6.9 მლრდ ლარს, რვა თვის მდგომარეობით მობილიზებულია 4.804.4 მლნ ლარი წლიური პროგნოზის 69.6 %.
- მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს – 2.7 მლრდ ლარს. 8 თვის მდგომარეობით კი, მობილიზებულია 2.2 მლრდ ლარი, წლიური პროგნოზის 81.1 %.
- დღგ-ს საპროგნოზო მაჩვენებელია 9.1 მლრდ ლარი, რვა თვის მდგომარეობით მობილიზებულია 6.3 მლრდ ლარი (წლიური პროგნოზის 66.3 %);
- აქციზის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 2.4 მლრდ ლარს, 8 თვის მდგომარეობით მობილიზებულია წლიური პროგნოზის 67,5 % (1.6 მლრდ ლარი);
- იმპორტის გადასახადის სახელმწიფო მაჩვენებელი შეადგენს 150.0 მლნ ლარს, 8 თვეში მობილიზებულია 92.3 მლნ ლარი, წლიური პროგნოზის 61.5 %);
- ქონების გადასახადის გეგმა შეადგენს 650 მლნ ლარს 8 თვის მდგომარეობით მობილიზებულია 537.3 მლნ ლარი, რაც წლიური პროგნოზის 82.7 %-ია.
- სხვა გადასახადების გეგმა შეადგენს 166,6 მლნ ლარს (8 თვის შესრულებამ შეადგინა 89,4 მლნ ლარი);
- სხვა გადასახადების უარყოფითი მაჩვენებელი ძირითადად გამოწვეულია სახელმწიფო ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ტემპით, კერძოდ 8 თვის მდგომარეობით გადამხდელებისთვის დაბრუნებულია 1.6 მლრდ ლარი;

2024 წელს ნაერთი ბიუჯეტის მოცულობა გაზრდილია 7 მლრდ ლარზე მეტით, უნდა აღინიშნოს, რომ ისევე, როგორც წინა წლებში 2025 წლის ბიუჯეტიც განხილვის ამ ეტაპზე დაგეგმილია შემდეგი ეკონომიკური პარამეტრებით:

- რეალური ეკონომიკური ზრდა დაგეგმილია 5,5 %-ის ოდენობით;
- მშპ-ს დეფლატორის – პროცენტი 3 %;
- საშუალო ინფლაციის პროგნოზი 1,5 %;
- ნომინალური მშპ-ს პროგნოზი განსაზღვრულია 97,4 მლრდ ლარით;
- ერთ სულ მოსახლეზე დაანგარიშებული მშპ 9,600 ლარს აჭარბებს, ხოლო 2028 წლისათვის ნომინალური მშპ-ს ზრდა 123,0 მლრდ ლარამდე (ერთ სულ მოსახლეზე დაანგარიშებით 12000 დოლარი);
- ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები განისაზღვრა 24,4 მლრდ ლარით, რაც მშპ-ს 25,1 %-ია;
- ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ის 2,5 %-ს, ხოლო მთავრობის ვალის მაჩვენებელი მშპ-ს 36,8 % იქნება;

2025 წელს ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ჯამურად შეადგენს 31,2 მლრდ ლარს, რომლის ფარგლებშიც სრულად დაფინანსდება სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებები. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი 2025 წლის ბიუჯეტის პირველადი ვარიანტია, ხოლო მომავალი სამი თვის მანძილზე, მოხდება საბოლოო ვარიანტის ფორმირება.

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ჯამური მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით გაზრდილია 2.3 მლრდ ლარით და განისაზღვრება 26.8 მლრდ ლარის ოდენობით, მათ შორის: შემოსავლები – 2.7 მლრდ ლარი (წინა წელთან შედარებით გაზრდილია 2.1 მლრდ ლარით), აქედან: ა) საგადასახადო შემოსავლები შეადგენს 2.3 მლრდ ლარს (წინა წელთან შედარებით გაზრდილია 2.3 მლრდ ლარით); ბ) სხვა შემოსავლების პროგნოზი წინა წელთან შედარებით უცვლელია და შეადგენს 1.4 მლრდ ლარს; გ) გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები 200.3 მლნ ლარია;

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებისა და დამტკიცების პროცესში მიზანშეწონილია, განსაკუთრებული ყურადღების დათმობა საგადასახადო დანახარჯების არსებული მდგომარეობის ანალიზსა და კონკრეტული ღონისძიებების გატარებაზე, კერძოდ: სოციალური, ეკონომიკური თუ გარემოს დაცვითი პოლიტიკის ფარგლებში დასახული ამოცანების გადაწყვეტის მიზნით, სხვადასხვა ქვეყანა ზოგჯერ ეკონომიკური სუბიექტების სტიმულირებას ახდენს საგადასახადო პოლიტიკის შეღავათების გამოყენებით. საქართველოში, სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტის სახით საგადასახადო შეღავათების გამოყენება გულისხმობს საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებას, რასაც საგადასახადო დანახარჯი ეწოდება, რომელიც განხილული უნდა იქნეს, როგორც მიღებული შემოსავალი, რაც გამომდინარეობს გარკვეული სტიმულირებიდან, საგადასახადო შეღავათებიდან და გათავისუფლებიდან, განსხვავებული დაბეგვრის რეჟიმებიდან და ა.შ.

მთავრობის პოლიტიკის შედეგს წარმოადგენს საგადასახადო დანახარჯი, რომელიც შესაძლოა მიზნად ისახავდეს ბიზნესის მხარდაჭერას, თუ სოციალური შედეგების მიღებას. საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივი შეფასებისათვის გამოყენებულია „შემოსავლების დანაკარგის“ მეთოდი, რომლითაც უპირველეს ყოვლისა გადის საჭიროა გადასახადის სტანდარტის ან „ბენჩმარკის“ სისტემის განსაზღვრა, რაც მიზნად ისახავს დღგ-ს, მოგების და საშემოსავლო გადასახადების შეფასებული საგადასახადო დანახარჯების შესწავლას, მათ შორის, ტენდენციებსა და კონტრიბუტორებზე დაკვირვებას შესაბამისი წლების მიხედვით.

როგორც საქართველოში ჩატარებული გამოკვლევებით ირკვევა, მთლიანი შეფასებული საგადასახადო შემოსავლები 2023 წელს შეადგენს 5.9 მლრდ ლარს (მშპ-ს 7.4 %), რაც 2018-2022 წლების მაჩვენებელზე მეტია, როგორც ნომინალური, ისე მშპ-ს პროცენტულ გამოსახულებაში. ყურადსაღებია ისიც, რომ 2023 წელს დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები, მთლიანი შეფასებული საგადასახადო დანახარჯების ძირითად ნაწილს შეადგენს (93 %) და დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები მშპ-ს 5.2 %-იდან 2023 წელს მშპ-ს 6,9 %-მდე გაიზარდა; მთლიანმა შეფასებულმა მოგებისა და საშემოსავლო საგადასახადო დანახარჯებმა 2023 წელს მშპ-ს 0,5 % შეადგინა (2018 წელს მშპ-ს 0.9 % იყო), ეს შედეგი ძირითადად ძველი მოგების საგადასახადო პერიოდზე მოდის;

აღსანიშნავია, რომ მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების საგადასახადო დანახარჯები მოიცავს მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირებს, 1 %-იანი და 3 %-იანი განაკვეთებით დაბეგვრის შემთხვევაში და სხვ.

საგადასახადო კანონმდებლობა მოიცავს დღგ-ს 66 დანახარჯს, რომელიც გულისხმობს ჩათვლის უფლების და ჩათვლის უფლების გარეშე გათვალისწინებული ოპერაციების კომბინაციას, ეს დანახარჯები წარმოადგენს დღგ-ს ძირითადი სისტემიდან გადახრას. უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი შემოსავლების საგადასახადო დანახარჯები საქართველოში 2018-2023 წელს გაიზარდა, როგორც ნომინალურ გამოსახულებაში, ასევე მშპ-სთან მიმართებით. ასე მაგალითად: 2023 წელს მან 5.9 მლრდ ლარი (მშპ-ს 7, 4 %) შეადგინა, რაც 2021-2024 წლების მაჩვენებელზე მეტია;

2023 წელს დღგ-ს გადასახადის საგადასახადო დანახარჯებმა მთლიანი საგადასახადო დანახარჯების 93 % შეადგინა (მშპ-ის 6,9 %), დარჩენილი 7 % კი (მშპ-ს 0,50 %) მოგებისა და საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯებს ეკუთვნის.

2023 წელს მოგებისა და საშემოსავლო გადასახადის დანახარჯები გაიზარდა და 424 მლნ ლარი შეადგინა, დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები კი, 5.529 მლნ ლარამდე გაიზარდა, ამრიგად, საშემოსავლო და მოგების საშემოსავლო დანახარჯები შეფასებულია როგორც მათი „ბერ-მარკიდან“ გადახრა (რაც მოგებაზე ესტონურ მოდელზე გადასვლიდან, ხოლო საშემოსავლო გადასახადში მცირე ბიზნესის სტატუსთან დაკავშირებული საგადასახადო დანახარჯებია). აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვან დაკვირვებას საჭიროებს, რაც საგადასახადო სტიმულირების, შეღავათების მთელ სფეროს მოიცავს.

ლიტერატურა

1. ბახტაძე ლ., კაკულია რ., ჩიკვილაძე მ., საგადასახადო საქმე. თბილისი, 2007.
2. კობალეიშვილი თ., ჩიკვილაძე მ., გადასახადები და დაბეგვრა. თბილისი, 2011.
3. ჯიბუტი ა., კაკულია რ., ბახტაძე რ., საჯარო ფინანსები. თბილისი, 2007.
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო <https://mof.ge>, 2024-2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტი.
5. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბილისი. 2010.
6. Chikviladze, M. (2018) The Share in Percentage of Taxes in GDP. Ecoforum Journal. Volume 7, Issue 1 (14).
7. Bedianashvili, G (2017) Benchmarking ASL research methhod for obtaining system knowledge of the state intititional development. J. information models and analyses volume 6, number 1. pp. 84-89
8. Kopaleishvili, T., Chikviladze, M. (2011). Taxes and Taxation. Tbilisi.

2024 STATE BUDGET IMPLEMENTATION PROGRESS AND 2025 FORECAST

Chikviladze Mikheil
Professor, Doctor of Economics

Annotation

Following the end of the pandemic, the economy of Georgia is characterized by higher-than-anticipated economic trends.

The total volume of the consolidated budget for 2024 has been increased to 72 billion GEL.

In 2025, the expenditure portion of the consolidated budget will amount to 31.2 billion GEL, which will fully cover the obligations undertaken by the state.

Keywords: budget, deficit, investment, deflator, grants.

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სახელმწიფო ვალის დინამიკა 2023-2024 წლებში და მისი სავარაუდო შედეგები

მალხაზ ჩიქობავა

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
malkhaz.chikobava@tsu.ge

აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში გაანალიზებულია 2023 წლისა და 2024 წლის მიმდინარე პერიოდისათვის არსებული სახელმწიფო ვალების დინამიკა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მიხედვით და მათი შესაძლო ნეგატიური შედეგები გლობალურ ეკონომიკაზე.

ნაშრომში აღნიშნულია, რომ 2018-2023 წლებში, ვალების ყველაზე დიდი აბსოლუტური ზრდა პირველ ჯგუფში დაფიქსირდა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, იაპონია, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი. მეორე ჯგუფის ქვეყნებში ვალების ზრდის ძირითადი ნაწილი ჩინეთზე, ინდოეთზე, ბრაზილიასა და მექსიკაზე მოდის. საინტერესოა გლობალური ვალის დინამიკა შეფარდებით მაჩვენებლებში (მსოფლიო GDP-ის მიმართ ვალის წილი). გასული ათწლეულის დასაწყისში ამ მაჩვენებელმა GDP-ს 300%-ის ზღვარი. 2023 წლის ბოლოსათვის, სახელმწიფო ვალის აბსოლუტური მნიშვნელობის მქონე ქვეყნების სიაში სამი ლიდერი იყო გამოკვეთილი – აშშ, ჩინეთი და იაპონია. შეერთებული შტატები ბევრად უსწრებდა ყველას, მისი ეროვნული ვალი 2023 წლის ბოლოს 35 ტრლნ დოლარს აღწევდა. წლიურმა ზრდამ 6% შეადგინა. ჩინეთის სახელმწიფო ვალი 14,9 ტრლნ დოლარს შეადგენდა, ზრდამ წინა წელთან შედარებით 8% შეადგინა. იაპონიის სახელმწიფო ვალი 10,6 ტრლნ დოლარი იყო, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში პირველად შემცირდა 3%-ით. სამი ქვეყნის მთლიანი ვალი 2023 წლის ბოლოს 63,0 ტრლნ დოლარს უტოლდებოდა. მსოფლიოს ათ ქვეყანაზე – აშშ, ჩინეთი, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ინდოეთი, გერმანია, იტალია, კანადა, ბრაზილია – გასული წლის ბოლოს გლობალური სახელმწიფო ვალის დაახლოებით 85% მოდიოდა, ხოლო მსოფლიოს დანარჩენ 168 ქვეყანაზე – დაახლოებით 15%.

საპროცენტო ხარჯები სწრაფად იზრდება, მაგრამ ბიუჯეტის შემოსავლები არ შეესაბამება მას. შედეგად, 2024 წლის ივნისში შეერთებულმა შტატებმა ბიუჯეტის შემოსავლების 30%-ზე მეტი დახარჯა ეროვნულ ვალზე პროცენტის გადახდაზე. სახელმწიფო ვალის მომსახურებამ უკვე გადააჭარბა თავდაცვის ხარჯებს და აშშ-ის ფედერალური ბიუჯეტის მთავარი პუნქტი გახდა. ასეთმა „რეკორდმა“, რომელიც ერთი შეხედვით მხოლოდ შეერთებულ შტატებს ეხება, მთელი მსოფლიო დაძაბა. ამერიკა სწრაფად მიისწრაფვის სუვერენული დეფოლტისკენ, რაც გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კატასტროფის მომასწავებელია, ვინაიდან მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ამერიკის სახელმწიფოს კრედიტორია.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო ვალი, სუვერენული დეფოლტი, ვალზე მომსახურე პროცენტები, ვალის აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლები, წმინდა საინვესტიციო პოზიცია, კაპიტალის ექსპორტი, კაპიტალის იმპორტი.

საერთაშორისო ფინანსების ინსტიტუტი (Institute of International Finance – IIF) რეგულარულად აკვირდება გლობალური ვალის ოდენობას და მის ძირითად კომპონენტებს. მთლიანი

გლობალური ვალის მაჩვენებელი 1) სახელმწიფოს, 2) შინამეურნეობის სექტორის, 3) არასაფინანსო კომპანიებისა და ორგანიზაციებისა და 4) ფინანსური სექტორის ვალებისგან შედგება.

IIF-ის მონაცემებით, 2023 წლის ბოლოსათვის მთლიანმა მსოფლიო ვალმა 307 ტრილიონ დოლარს მიაღწია. 2023 წლის დასაწყისში ეს მაჩვენებელი 297,5 ტრლნ აშშ დოლარს შეადგენდა. ამრიგად, მსოფლიო ვალის ზრდამ ერთ წელიწადში 9,5 ტრლნ დოლარი შეადგინა. 2023 წელს 300 ტრლნ დოლარის „ფსიქოლოგიური ბარიერი“ გადალახული იქნა. ბოლო ათი წლის განმავლობაში, ანუ, 2013 წელთან შედარებით, გლობალური ვალი თითქმის 100 ტრლნ დოლარით გაიზარდა, ხოლო 2018 წელთან შედარებით – 60 ტრლნ დოლარზე მეტი ოდენობით (Global Debt Monitor. Politics and Climate Finance in a High-Debt World. – IIF, November 16th, 2023). 2021 წელს გლობალური ვალი, ე.წ. „კოვიდ პანდემიით“ გამოწვეული კრიზისის შედეგად, საგრძნობლად გაიზარდა და 300 ტრლნ დოლარის თამასას მიუახლოვდა, მაგრამ იგი ვერ გადალახა. ახლა კი ეს თამასა დაძლეულია.

IIF არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნების 38 ბანკის მიერ 1983 წელს შექიმნა, 1980-იანი წლების დასაწყისში არსებული საერთაშორისო სავალს კრიზისის საპასუხოდ. ორმოცი წლის განმავლობაში, ორგანიზაციის წევრობა სტაბილურად გაფართოვდა და IIF ახლა 400-ზე მეტ კომპანიას, ბანკს და სხვა ორგანიზაციას მოიცავს 60-ზე მეტი ქვეყნიდან. IIF ერთადერთი ორგანიზაცია როდია, რომელიც გლობალურ ვალს აკვირდება.

მსოფლიო ვალის შესახებ სტატისტიკას საერთაშორისო სავალსტო ფონდიც (IMF) აწარმოებს, მაგრამ მისი შეფასებები უფრო მოკრძალებულია. მაგალითად, 2022 წლის ბოლოს, IMF-მა გლობალური ვალი 235 ტრლნ დოლარად შეაფასა, რაც დაახლოებით 1/5-ით დაბალია IIF-ის მიერ გამოთვლილ მაჩვენებელზე. თუმცა, განსხვავება IMF-სა და IIF-ის შეფასებებს შორის დიდწილად განპირობებულია იმით, რომ ფონდი არ მოიცავს ფინანსურ სექტორს (ბანკებს, სადაზღვევო კომპანიებს და ა.შ.) მთლიან დავალიანებაში. მაგრამ IIF ითვალისწინებს ფინანსური სექტორის ვალებს. აღსანიშნავია, რომ ბოლომდე ნათელი არაა, თუ როგორ გამოითვლება ისინი: მთლიანი დავალიანების თუ წმინდა ვალების სახით. ექსპერტების აზრით, IIF-ის მონაცემები უფრო სრულყოფილია.

მსოფლიო ვალის დაახლოებით 2/3 მოდის ე.წ. მწიფე ბაზრების (mature markets – MM) ქვეყნებზე, რომლებსაც „განვითარებულს“ უწოდებენ. ე. წ. განვითარებადი ბაზრების (emerging markets – EM), ანუ „განვითარებადი ქვეყნების“ მქონე ვალი მსოფლიო ვალის 1/3-ს შეადგენს. 2023 წლის ბოლოს, განვითარებული ქვეყნების მთლიანმა ვალმა 206,0 ტრლნ აშშ დოლარი შეადგინა, 2022 წლის იმავე პერიოდში არსებულ 194,4 ტრლნ აშშ დოლართან შედარებით. განვითარებადი ქვეყნების მთლიანი ვალი, შესაბამისად, 101,3 და 94,5 ტრლნ დოლარი იყო.

2018-2023 წლებში, ვალების ყველაზე დიდი აბსოლუტური ზრდა პირველ ჯგუფში დაფიქსირდა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, იაპონია, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი. მეორე ჯგუფის ქვეყნებში ვალების ზრდის ძირითადი ნაწილი ჩინეთზე, ინდოეთზე, ბრაზილიასა და მექსიკაზე მოდის.

საინტერესოა გლობალური ვალის დინამიკა შეფარდებით მაჩვენებლებში (მსოფლიო GDP-ის მიმართ ვალის წილი). გასული ათწლეულის დასაწყისში ამ მაჩვენებელმა GDP-ს 300%-ის ზღვარი გადალახა. 2021 წლის დასაწყისისთვის ეს მაჩვენებელი 362%-მდე გაიზარდა. ეს ნახტომი განპირობებული იყო არა მხოლოდ მკვეთრად გაზრდილი სესხებით, არამედ იმით, რომ 2020 წლის ბოლოს დაფიქსირდა გლობალური GDP-ის კლება. შემდეგ დაიწყო შეფარდებითი მაჩვენებლის თანდათანობითი ვარდნა, რომელიც 2022 წლის მე-4 კვარტალში 334%-მდე დაეცა. შემდეგ კი ის დასტაბილურდა და მომდევნო სამი კვარტალის განმავლობაში 333-335% დონეზე იყოფებოდა.

განვითარებადი ქვეყნების ჯგუფში ვალის შეფარდებითი სიდიდის ყველაზე დიდი ზრდა 2018-2023 წლებში რუსეთში, ჩინეთში, საუდის არაბეთსა და მალაიზიაში დაფიქსირდა. ვალის შეფარდებითი მაჩვენებლის ყველაზე დიდი კლება დაფიქსირდა ჩილეში, კოლუმბიასა და განაში.

განვითარებული ქვეყნების ჯგუფში 2018-2023 წლებში ქვეყნების უმეტესობამ აჩვენა ვალის შეფარდებითი სიდიდის შემცირება. მაგრამ არიან ქვეყნები, რომელთა ვალის ტვირთის შეფარდებითი მაჩვენებელი ამ პერიოდში გაიზარდა – ესენია: მალტა, ნორვეგია, იაპონია, საფრანგეთი, ესტონეთი და ლიტვა.

საინტერესოა ვალის ცალკეული ტიპების შეფარდებითი ტვირთის გლობალური პანორამა.

გლობალურად, სახელმწიფო ვალის ტვირთის მაჩვენებელი წელიწადში (2022 წლის ბოლოდან 2023 წლის ბოლომდე) GDP-ის 96,7-დან 97,0%-მდე გაიზარდა. განვითარებული ქვეყნების ჯგუფში ამ ტიპის ვალების ტვირთი წლის განმავლობაში ოდნავ შემცირდა – 115,9-დან 114,2%-მდე. მაგრამ განვითარებად ჯგუფში ის 64,5-დან 68,2%-მდე გაიზარდა. მიუხედავად ამისა, დღეისათვის განვითარებული ქვეყნების ჯგუფში სახელმწიფო ვალის შეფარდებითი მაჩვენებელი 1,67-ჯერ აღემატება განვითარებადი ქვეყნების ჯგუფის ანალოგიურ მაჩვენებელს. ამ ტიპის ვალზე ტვირთის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2023 წლის ბოლოს იაპონიაში დაფიქსირდა – GDP-ის 239,9%. აშშ-ში ეს მაჩვენებელი 117,6% იყო; ევროზონაში – 92,6%, ხოლო დიდ ბრიტანეთში – 82,5%.

განვითარებადი ქვეყნების ჯგუფში სახელმწიფო ვალის შეფარდებითი მაჩვენებლის (პროცენტულად GDP-ის მიმართ) მიხედვით რეკორდსმენები შემდეგი ქვეყნები იყვნენ: სინგაპური – 170,8; ჰონგ კონგი – 103,4; განა – 85,9; ბრაზილია – 84,4; ჩინეთი – 83,0; ეგვიპტე – 81,4. აღსანიშნავია, რომ რუსეთში ეს მაჩვენებელი 23,0%-ია. შეიძლება ითქვას, რომ ეს რეკორდულად დაბალი მაჩვენებელია უმეტეს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებთან შედარებით.

შინამეურნეობის სექტორის ვალის წლიური შეფარდებითი მაჩვენებლები ოდნავ შემცირდა – GDP-ის 63,1%-დან 61,7%-მდე. განვითარებული ქვეყნების ჯგუფში ეს მაჩვენებელი 73,3%-დან 70,7%-მდე შემცირდა. მაგრამ, განვითარებადი ქვეყნების ჯგუფში ოდნავ გაიზარდა – 46%-დან 46,7%-მდე. განვითარებული ქვეყნების ჯგუფში ვალის ტვირთი 1,51-ჯერ მეტი იყო.

ქვეყნები, რომლებსაც აქვთ შინამეურნეობის სექტორის ვალის ყველაზე მაღალი ტვირთი (პროცენტულად GDP-ის მიმართ), ასე გამოიყურება: სამხრეთი კორეა – 100,2; ჰონგ კონგი – 95,2; დიდი ბრიტანეთი – 78,5; აშშ – 73,2. მაგრამ არის ქვეყნები, რომლებსაც აქვთ ამ ტიპის ვალის საოცრად დაბალი მაჩვენებლები (პროცენტულად GDP-ის მიმართ): განა – 2,7; არგენტინა – 3,7; ეგვიპტე – 8,1; კენია – 10,7. ყველა ქვეყანა, სადაც შინამეურნეობის სექტორის ვალის დაბალი და ძალიან დაბალი მაჩვენებლებია, განვითარებადი ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება.

არასაფინანსო კორპორაციების ვალის შეფარდებითი მაჩვენებელი მთელ მსოფლიოში წლის განმავლობაში GDP-ის 96,0-დან 94,9%-მდე შემცირდა. განვითარებული ქვეყნების ჯგუფისთვის ეს მაჩვენებელი 92,9-დან 88,7%-მდე შემცირდა. განვითარებადი ქვეყნების ჯგუფში სავალო ტვირთი საგრძნობლად გაიზარდა – 101,4-დან 105,2%-მდე. ამ ტიპის დავალიანებისთვის განვითარებად ქვეყნებში ტვირთი უფრო მაღალი გამოდის, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში (პირველი ორი ტიპის – სახელმწიფო და შინამეურნეობის სექტორის ვალისგან განსხვავებით).

არასაფინანსო კორპორაციების ვალების ტვირთის (პროცენტულად GDP-ის მიმართ) მხრივ რეკორდსმენები შემდეგი ქვეყნებია: ჰონგ კონგი – 267,9; ჩინეთი – 166,9; სამხრეთი კორეა – 126,1; იაპონია – 115,2; ვიეტნამი – 107,0. როგორც ხედავთ, ყველა რეკორდსმენი აღმოსავლეთ აზიის რეგიონიდანაა. დასავლეთის წამყვანი ქვეყნები ვალის შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდებიან (პროცენტულად GDP-ის მიმართ): აშშ – 76,1; ევროზონის ქვეყნები – 95,5; დიდი ბრიტანეთი – 65,0.

მსოფლიოში ძალიან დაბალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნებია (პროცენტულად GDP-ის მიმართ): ნიგერია – 9,2; განა – 11,8; არგენტინა – 16,9; მექსიკა – 21,5; ინდონეზია – 23,3. რუსეთში ეს მაჩვენებელი GDP-ის 81,6%-ია. წინა წელს ეს 68,2% იყო, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ზრდაა.

საბოლოოდ, ფინანსური სექტორის ვალის შეფარდებითი მაჩვენებელი ერთი წლის განმავლობაში გლობალურად GDP-ის 81,5%-დან 79,5%-მდე შემცირდა. განვითარებული ქვეყნების ჯგუფში ვალის ტვირთი 108,5-დან 105,8%-მდე შემცირდა. განვითარებადი ქვეყნების ჯგუფისთვის – 36,2-დან 35,5%-მდე. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის დავალიანებისთვის ტვირთი განვითარებული ქვეყნების ჯგუფში სამჯერ მეტია, ვიდრე განვითარებადი ქვეყნების ჯგუფში!

ფინანსური სექტორის ვალის ტვირთის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (%) შემდეგ ქვეყნებს ჰქონდათ: იაპონია – 198,3; სინგაპური – 168,9; დიდი ბრიტანეთი – 156,3; ჰონგ კონგი – 168,9; ევროზონის ქვეყნები – 106,6. აშშ-ში ეს მაჩვენებელი იყო 75,9%, ანუ დაახლოებით შეესაბამება მსოფლიო საშუალო მაჩვენებელს.

რიგ ქვეყნებში ინდიკატორის მაჩვენებელი ათ პროცენტზე დაბალიც კი იყო (პროცენტულად GDP-ის მიმართ): პაკისტანი – 1,3; კენია – 2,2; განა – 2,4; ინდოეთი – 2,6; ვიეტნამი – 4,5; ინდონეზია – 6,6; მექსიკა – 9,4; რუსეთი – 9,8%-ია.

თუ ზემოაღნიშნული ოთხივე კომპონენტის ვალს შევაჯამებთ, მაშინ ცალკეულ ქვეყნებში ვალის ჯამური მაჩვენებელი (პროცენტულად GDP-ის მიმართ) შემდეგი იქნება: იაპონია – 618,1; დიდი ბრიტანეთი – 382,3; სამხრეთ კორეა – 362,3; ჩინეთი – 358,9; ევროზონის ქვეყნები – 349,3; აშშ – 342,8. ეს არის მსხვილი ეკონომიკა, რომელთა შედარებითი მთლიანი ვალის დონე აღემატება გლობალურ საშუალო მაჩვენებელს.

ასევე არის ქვეყნები, რომლებსაც აქვთ მთლიანი ვალის ძალიან დაბალი შეფარდებითი მაჩვენებლები (პროცენტულად GDP-ის მიმართ): ნიგერია – 70,2; მექსიკა – 87,0; პერუ – 98,8; განა – 102,7; კენია – 103,4; არგენტინა – 112,7; ეგვიპტე – 114,5; თურქეთი – 116,9; რუსეთი – 137,7%. თუმცა ეს უკანასკნელი წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა, რომელიც 2022 წლის ბოლოს 109,5%-ს შეადგენდა.

IIF-ის მიმოხილვაში ასევე საინტერესოა ის მაჩვენებლები, რომლებიც ასახავს ვალების მომსახურების ხარჯებს ქვეყნების მიხედვით. ბიუჯეტის შემოსავლებთან მიმართებით, სახელმწიფო ვალის მომსახურების ხარჯები (საშუალო მაჩვენებელი 2017-2019 წლებში, გამოხატული პროცენტებში) შეადგენდა: ინდოეთი – 24; ბრაზილია – 13; სამხრეთ აფრიკა – 12,5; აშშ – 8,5; მალაიზია – 8; იტალია – 7; თურქეთი – 5; დიდი ბრიტანეთი – 4; საფრანგეთი – 3. ასევე მოცემულია ამ მაჩვენებლის შესაძლო საშუალო მნიშვნელობის პროგნოზი 2024-2026 წლებში. ინდოეთისთვის ეს უნდა იყოს თითქმის 30%, სამხრეთ აფრიკისთვის – 25%. აშშ-სა და მალაიზიაში ამ მაჩვენებლის საპროგნოზო სიდიდე 15%-ია და ა.შ. აბსოლუტური თვალსაზრისით, განვითარებული ქვეყნების ჯგუფში სახელმწიფო ვალის მომსახურებაზე წლიური საბიუჯეტო ხარჯები ბოლო წლებში (2017 წლიდან) დაახლოებით \$2 ტრილიონი იყო. განვითარებადი ქვეყნები (ჩინეთის გარეშე) სახელმწიფო ვალის მომსახურების წლიური ხარჯები 2009 წელს არსებული დაახლოებით 0,5 ტრლნ დოლარიდან თითქმის 1 ტრლნ დოლარამდე გაიზარდა 2022-23 წლებში. ჩინეთში ბოლო წლებში ასეთი ხარჯები უკვე შეადგენდა დაახლოებით 0,3 ტრლნ დოლარს. დღეისათვის, მთლიანად მსოფლიოში სახელმწიფო ვალების მომსახურების ღირებულება 2,8 ტრლნ დოლარს უახლოვდება.

გასული საუკუნის ბოლოდან 2023 წლის ჩათვლით, კერძო არაფინანსური სექტორის (საყოფაცხოვრებო სექტორი და არასაფინანსო კორპორაციების სექტორი) შემოსავლის წილი, რომელიც გამოყოფილი იყო ვალის მომსახურებაზე, 16-18%-ის ფარგლებში მერყეობდა განვითარებული ქვეყნების ჯგუფში. განვითარებადი ქვეყნების ჯგუფისთვის (ჩინეთის გამოკლებით) ეს წილი 1999 წელს თითქმის 18% იყო; 2004-2005 წლებში ის 9%-მდე შემცირდა; შემდეგ დაიწყო

ზრდა, 2008 წლიდან კი 10-დან 12,5%-მდე მერყეობდა. ჩინეთში 1999 წელს ეს მაჩვენებელი 10,5% იყო, 2023 წლისთვის კი 21,5%-მდე გაიზარდა.

ყველა მსხვილ ქვეყანას შორის, როგორც ზემოაღნიშნული ციფრებიდან ჩანს, იაპონიის ეკონომიკა ხასიათდება ვალის უდიდესი ტვირთით, რასაც სხვა წყაროებიც ადასტურებს.

როგორც ცნობილია, XX საუკუნეში ადგილი ჰქონდა გლობალური კაპიტალიზმის მნიშვნელოვან მეტამორფოზას. კერძოდ, გასული საუკუნის დასაწყისში წამყვანმა დასავლურმა ქვეყნებმა აქტიურად გაზარდეს კაპიტალის ექსპორტი და უკვე, აღნიშნული საუკუნის ბოლო ათწლეულებში დასავლეთის ქვეყნები კაპიტალის წმინდა იმპორტიორებად გადაიქცნენ, ანუ, კაპიტალის იმპორტმა მის ექსპორტს გადააჭარბა. ამაში განსაკუთრებულ წარმატებას აშშ-მა მიაღწია.

ადგილი, რომელსაც კონკრეტული ქვეყანა იკავებს საერთაშორისო საინვესტიციო გაცვლაში, შეიძლება შეფასდეს ისეთი სტატისტიკური დოკუმენტით, როგორიცაა „საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია“. ასეთ დოკუმენტს ამუშავებს და აქვეყნებს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი ქვეყნებისთვის ეს სავალდებულო დოკუმენტია. ამ დოკუმენტის პირველ ნაწილში მოცემულია მაჩვენებლები ქვეყნის საგარეო აქტივების შესახებ, რომლებიც ჩამოყალიბდა კაპიტალის ექსპორტის შედეგად პირდაპირი, პორტფელური და სხვა ინვესტიციების სახით. დოკუმენტის მეორე ნაწილი შეიცავს მონაცემებს ქვეყნის ვალდებულებების შესახებ უცხოელი ინვესტორების წინაშე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის არარეზიდენტების აქტივები მოცემულ ქვეყანაში. უცხოური აქტივების ღირებულებასა და უცხოელი ინვესტორების წინაშე ქვეყნის ვალდებულებებს შორის სხვაობას ქვეყნის წმინდა საინვესტიციო პოზიცია ეწოდება. იმ ქვეყნებს, რომლებსაც აქვთ აქტივების მეტობა ვალდებულებებზე, აქვთ დადებითი საინვესტიციო პოზიცია – ბალანსი პლუს ნიშნით. იმ ქვეყნებს, რომელთა ვალდებულებები აღემატება მათ აქტივებს, პირიქით, აქვთ უარყოფითი საინვესტიციო პოზიცია, ანუ, ბალანსი მინუს ნიშნით.

განსაკუთრებით საინტერესოა აშშ-ის საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია. XX საუკუნის დასაწყისში, ახალგაზრდა ამერიკულმა კაპიტალიზმმა დაიწყო კონკურენცია ძველ ევროპულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან – პირველ რიგში, ბრიტანულ და ფრანგულ კაპიტალიზმთან. თუ ძველი სამყარო, რომელსაც ჰქონდა ვრცელი კოლონიური და ნახევრად კოლონიური სამოფლობელოები, იყო კაპიტალის წმინდა ექსპორტიორი, ახალი სამყარო (აშშ) პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე იყო კაპიტალის წმინდა იმპორტიორი (პირველ რიგში, ინგლისური და ფრანგული კაპიტალის იმპორტიორი, ამასთან, ადგილი ჰქონდა გერმანული კაპიტალის იმპორტის ზრდასაც). მაგრამ, პირველმა მსოფლიო ომმა ყველაფერი შეცვალა. ომის წლებში შეერთებული შტატები კაპიტალის წმინდა იმპორტიორიდან წმინდა ექსპორტიორ ქვეყნად გადაიქცა და ის ასეთ პოზიციებს, დაახლოებით, სამოცდაათი წლის განმავლობაში ინარჩუნებდა. ჯერ კიდევ 1980 წელს, შეერთებული შტატების წმინდა დადებითი საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია ერთად აღებულ მსოფლიოს ყველა სხვა ქვეყნის მთლიან წმინდა დადებით საინვესტიციო პოზიციას აღემატებოდა.

სულ რაღაც ექვსი წლის შემდეგ, 1986 წელს, აშშ წმინდა მოვალე ქვეყანა გახდა. პირველად, 1914 წლის შემდეგ, მას ჰქონდა -107,4 მლრდ დოლარის საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია (<https://www.latimes.com/archives/la-xpm-1986-06-24-mn-21190-story.html>). აშშ-ის წმინდა ვალი დანარჩენ მსოფლიოსთან შედარებით სწრაფი ტემპით იზრდებოდა. 1990 წლისთვის შეერთებული შტატები უკვე გახდა მსოფლიოში ყველაზე დიდი წმინდა მოვალე (230,4 მლრდ დოლარის ოდენობით). XXI საუკუნის დასაწყისში ამერიკის წმინდა ვალმა 1 ტრლნ დოლარს გადააჭარბა. 2020 წლის ბოლოსთვის ქვეყნის წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციამ უარყოფითი 14 ტრლნ დოლარი შეადგინა. 2022 წლის ბოლოს აშშ-ის უარყოფითმა საინვესტიციო პოზიციამ 16 ტრლნ დოლარს მიაღწია.

შეერთებული შტატები ბევრად უსწრებს სხვა ქვეყნებს „წმინდა მოვალეთა“ კლუბში. წმინდა მოვალეთა რეიტინგში მეორე ადგილი 2022 წლის ბოლოს დაიკავა ესპანეთმა მინუს 1,10 ტრლნ დოლარის მაჩვენებლით. რაც შეეხება სხვა ქვეყნების საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციას, ასე გამოიყურება (ტრლნ დოლარი): საფრანგეთი – 0,89; დიდი ბრიტანეთი – 0,80; ავსტრალია – 0,66; საბერძნეთი – 0,35; პორტუგალია – 0,25; პოლონეთი – 0,25. ზოგიერთი შეფასებით, აშშ-ის წმინდა დავალიანება დაახლოებით უდრის წმინდა მოვალეთა კლუბში მსოფლიოს ყველა სხვა ქვეყნის ჯამურ მაჩვენებელს.

რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია წმინდა ვალის შეფარდებითი მაჩვენებელიც, რომელიც იზომება ქვეყნის GDP-ის მიმართ პროცენტულად. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში არის ქვეყნები, სადაც ეს მაჩვენებელი 100%-ზე მეტია, ეს ძირითადად მცირე ეკონომიკებია, როგორცაა მონღოლეთი, ირლანდია, საბერძნეთი, ზამბია. მაგრამ მსხვილ ეკონომიკებს შორის შეერთებული შტატები უკონკურენტოა 80%-იანი მაჩვენებლით (2022 წლის ბოლოს).

ასე რომ, აშშ-ს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მსოფლიო ეკონომიკაში. ის მაგნიტით იზიდავს კაპიტალს ყველა ფორმით (პირდაპირს, პორტფელურს და სხვა ფორმით ინვესტიციებს) მთელი მსოფლიოდან. ამერიკის ეკონომიკა იწოვს კაპიტალს როგორც მესამე სამყაროს, ასევე „ოქროს მილიარდის“ რიგი სხვა ქვეყნებიდან. ამ უკანასკნელის მნიშვნელობა შესამჩნევად გაიზარდა ბოლო წლებში. შეერთებული შტატების უარყოფითი წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სარკისებური ასახვა მსოფლიოს წამყვანი კაპიტალის დონორების დადებითი საინვესტიციო პოზიციებია. ესენია (წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია 2022 წლისთვის, ტრლნ დოლარი): იაპონია – 3,4; გერმანია – 3,1; ჰონგ კონგი – 2,2; ჩინეთი – 2,1; ტაივანი – 1,4; ნორვეგია – 1,2; კანადა – 1,1; ნიდერლანდები – 1,0; სინგაპური -1,0; შვეიცარია – 0,8; საუდის არაბეთი – 0,6; რუსეთის ფედერაცია – 0,5; სამხრეთი კორეა – 0,5.

თუ უფრო დეტალურად გადავხედავთ წამყვანი დონორი ქვეყნებიდან კაპიტალის ექსპორტის სტატისტიკას, დავინახავთ, რომ ბევრი მათგანისთვის მთავარი (დომინანტი) საექსპორტო მიმართულება ამერიკაა. ეს აშკარად ჩანს ორ მთავარ დონორში – იაპონიასა და გერმანიაში. ამ ქვეყნებთან აშშ-ის საინვესტიციო გაცვლის ბალანსი ამერიკისთვის ძალიან დიდ უარყოფით ბალანსს იწვევს. თამაშის ახალი წესების მიხედვით, ეს ნიშნავს, რომ იაპონია და გერმანია ვასალურ დამოკიდებულებაში არიან ამერიკის მიმართ.

ამერიკის საინვესტიციო „პარაზიტიზმის“ მნიშვნელოვანი მახასიათებელია ის, რომ შემოსავალი, რომელსაც უზდიან უცხოელ ინვესტორებს შეერთებულ შტატებში, გაცილებით ნაკლებია, ვიდრე შემოსავალი, რომელსაც ამერიკელი კაპიტალის ექსპორტიორები იღებენ საზღვარგარეთ თავიანთი ინვესტიციებიდან. საერთაშორისო საინვესტიციო შემოსავლების ბალანსი წარმოადგენს საზღვარგარეთიდან მიღებული საინვესტიციო შემოსავლისა და საზღვარგარეთ გადახდილი შემოსავლის თანაფარდობას. შეერთებულ შტატებში ეს ბალანსი ქრონიკულად დადებითია. ევროპელი ექსპერტების აზრით, ამერიკის საბალანსო პროფიციტის რაოდენობა ამჟამად GDP-ის 2-2,5%-ს შეადგენს. ინდიკატორის მაქსიმალურ მნიშვნელობებს გასული ათწლეულის პირველ ნახევარში ჰქონდა ადგილი – GDP-ის 3-დან 3,5%-მდე.

აშშ-ის ეკონომიკური ანალიზის ბიურომ – BEA-მ (ქვეყნის ერთ-ერთმა მთავარმა სტატისტიკურმა სააგენტომ) გამოაქვეყნა სტატისტიკა აშშ-ის საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის შესახებ 2023 წლის ბოლოს. ისინი მიუთითებენ სერიოზულ პროგრესზე, რომელიც მოხდა წლის განმავლობაში. 2022 წლის ბოლოს, აშშ-ის უცხოური აქტივები შეადგენდა 31,63 ტრლნ აშშ დოლარს. ერთი წლის შემდეგ მან 34,54 ტრლნ დოლარი შეადგინა. ერთი წლის მანძილზე ნაზრდმა 2,91 ტრლნ დოლარი შეადგინა. უცხოური ინვესტორების მიმართ აშშ-ის ვალდებულებამ 2022 წლის ბოლოსათვის 47,80 ტრლნ დოლარი შეადგინა, ხოლო ერთი წლის შემდეგ – 54,31 ტრლნ დოლარი. ვალდებულებების ნაზრდმა 6,51 ტრლნ დოლარი შეადგინა. ასე რომ, ვალდებულებები ბევრად უფრო სწრაფად გაიზარდა, ვიდრე აქტივები. შედეგად, აშშ-ის წმინდა უარყოფითი

საინვესტიციო პოზიცია 2022 წლის ბოლოს არსებული 16,17 ტრლნ აშშ დოლარიდან 2023 წლის ბოლოსათვის 19,77 ტრლნ დოლარამდე გაიზარდა. აშშ-ის წმინდა საერთაშორისო ვალი წელიწადში 3,60 ტრლნ დოლარით, ანუ თითქმის 23%-ით გაიზარდა. ამერიკას არ უნახავს თავისი პარაზიტის ზრდის ასეთი დაჩქარებული ტემპი მას შემდეგ, რაც გახდა წმინდა საერთაშორისო მოვალე (ანუ, 1986 წლიდან).

აშშ-ის საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციაზე აგებული სტატისტიკური სურათი შეიძლება დაემატოს აშშ-ის საგადასახდლო ბალანსის სტატისტიკას. საგადასახდლო ბალანსი შეიძლება გამოყენებული იქნეს ქვეყანაში კაპიტალის შემოდინების რაოდენობის შესაფასებლად გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მათ შორის, გარკვეული ტიპის ინვესტიციებისთვის (პირდაპირი, პორტფელური და სხვ.).

პირდაპირი ინვესტიციების საშუალო კვარტალური შემოდინება შეერთებულ შტატებში 2010 წლიდან 2019 წლის ჩათვლით 80,2 მლრდ აშშ დოლარს შეადგენდა, 2020 წლიდან 2023 წლამდე პერიოდში – 91,8 მლრდ დოლარს. ამასთან, გასული, 2023 წლის შედეგების მიხედვით, საშუალო კვარტალური მაჩვენებელი 98,5 მლრდ დოლარს შეადგენდა.

ამჯერად შევხედოთ პორტფელურ ინვესტიციებს აშშ-ის ეკონომიკაში. 2010-2019 წლებში საშუალო კვარტალური მაჩვენებელი 125 მლრდ დოლარს შეადგენდა, 2020-2023 წლებში – 237 მლრდ დოლარს, ხოლო 2023 წელს – 303,2 მლრდ დოლარს.

საბოლოოდ, სხვა ინვესტიციებზე (კრედიტები და სესხები) მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს (მლრდ დოლარი): 32,0; 74,8; 62,6.

ახლა კი საერთო სურათი ყველა სახის უცხოური ინვესტიციისთვის (კვარტალური საშუალო მაჩვენებლები, მლრდ დოლარი): 2010-2019 წწ. – 237; 2020-2023 წწ – 403; 2023 – 464 წ.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ შეერთებულ შტატებში უცხოური კაპიტალის შემოდინების მასშტაბების ზრდის ტენდენციას. ეს ტენდენცია გასულ წელს კიდევ უფრო აშკარა გახდა. განსაკუთრებით სწრაფი იყო პორტფელური ინვესტიციების ზრდა, რომლის წილი გასულ წელს უცხოური კაპიტალის მთლიან შემოდინებაში 60-65% იყო. ეს არის სახაზინო ფასიანი ქაღალდების, კორპორატიული ობლიგაციებისა და ამერიკული კომპანიების აქციების შესყიდვა (სააქციო კაპიტალის 10 პროცენტამდე).

როგორც ვხედავთ, ბევრი უცხოელი და ადგილობრივი ექსპერტის პროგნოზები, რომ რუსეთის სავალუტო რეზერვების გაყინვა და სხვა რუსული უცხოური აქტივების ჩამორთმევა გამოიწვევს უცხოური კაპიტალის შემოდინების შეჩერებას და საგარეო აქტივების შეზღუდვასაც კი აშშ-ში, ჯერ-ჯერობით არ დასტურდება. ეს ნაწილობრივ აიხსნება იმით, რომ ამერიკაში კაპიტალის შემოდინების ზრდა მოხდა მისი მოკავშირეების ხარჯზე ევროპიდან და მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან (იაპონია, სამხრეთ კორეა, ავსტრალია და სხვ.). ინვესტიციების გაცვლა ძველ და ახალ სამყაროებს შორის, რომელსაც ადრე ჰქონდა ორმხრივი მოძრაობის გზების ნიშნები, ახლა საბოლოოდ ცალმხრივი გახდა – ბუნებრივია, შეერთებული შტატების მიმართულებით.

2024 წლის 18 აპრილს, ევროპული საბჭოს საგანგებო სხდომის შემდეგ, ფონ დერ ლაიენმა დაადასტურა ეკონომისტის ენრიკო ლეტას თეზისები წელიწადში ტრლნ ევროს მესამედის გადინების შესახებ „ძირითადად შეერთებულ შტატებში“.

კაპიტალის ყველაზე დიდი გადინება მოდის გერმანიიდან, რომელსაც რუსეთის წინააღმდეგ სანქციების ომის დაწყების შემდეგ შეექმნა სერიოზული პრობლემები ეკონომიკაში. გერმანიაში საინვესტიციო კლიმატი ამაზრზენი გახდა და გერმანულმა ბიზნესებმა აქტიურად დაიწყეს თავიანთი კაპიტალის საზღვარგარეთ გადატანა. საზღვარგარეთ, რა თქმა უნდა, არ არის ადრე არსებული სტაბილურობა, მაგრამ ევროპასთან შედარებით, ამერიკა „სტაბილურობის კუნძულად“ გამოიყურება.

თუმცა, მსხვილი ბიზნესისთვის, რომელიც მიჩვეულია ინვესტირებას პლანეტის სხვადასხვა კუთხეში, დღეს სულ უფრო და უფრო ნაკლები რჩება „სტაბილურობის კუნძულები“. კაპი-

ტალი კი ამერიკაში გარბის, რადგან ალტერნატივა თითქმის აღარ დარჩა. შეიძლება ითქვას, რომ ვაშინგტონი ახორციელებს „კონტროლირებადი ქაოსის“ პოლიტიკას მთელ მსოფლიოში, რათა უზრუნველყოს კაპიტალის შემოდინება ამერიკის ეკონომიკაში. ასეთ პოლიტიკას არა მხოლოდ „პარაზიტიზმი“, არამედ აშკარა რეკეტი და ბანდიტიზმი შეიძლება ეწოდოს. ამასთან, სულაც არ არის იმის ნიშნები, რომ ვაშინგტონი შეძლებს შეინარჩუნოს ამერიკის, როგორც „სტაბილურობის კუნძულის“ სტატუსი დიდი ხნის განმავლობაში.

ყურადღება გავამახვილოთ კიდევ ერთ საკითხზე, რომელიც შეუმჩნეველი რჩება მრავალი ექსპერტისთვის. საუბარია აშშ-ის ეკონომიკური განვითარების დინამიკაზე. 2023 წლის ბოლოს, როგორც აშშ-ის სტატისტიკური სააგენტოები ამაყად აცხადებდნენ, რეალური (ინფლაციის მიხედვით) მშპ-ის ზრდა 3.1%-ს შეადგენდა. აბსოლუტური გამოხატულებით აშშ-ის GDP-იმ 2022 წელს 25,35 ტრლნ დოლარი შეადგინა. 2023 წელს ის 26,85 ტრილიონ დოლარამდე გაიზარდა. ამგვარად, GDP-ის ზრდამ 1,5 ტრლნ დოლარი შეადგინა. ახლა კი გავიხსენოთ, თუ რამდენი იყო ამერიკის წმინდა დავალიანების ზრდა 2023 წლისათვის. მან 3,60 ტრლნ აშშ დოლარი შეადგინა. წმინდა ვალისა და GDP-ის ზრდის შედარებით კიდევ ერთხელ შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ ამერიკა ცხოვრობს არა საკუთარი ეკონომიკის, არამედ სხვა ქვეყნების ხარჯზე.

ცხადია, ნებისმიერ პარაზიტს აქვს შეზღუდული სიცოცხლის ხანგრძლივობა. ისინი ილუპებიან ან იმის გამო, რომ მათი კვების წყაროები ამოწურულია, ან იმიტომ, რომ დონორები პრევენციულად ანადგურებენ პარაზიტს. ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ პარაზიტულ ამერიკას სწორედ მეორე ემუქრება.

GDP-ის ზრდის მკვეთრი შენელება და პროგოზირებულზე ორჯერ მეტად ინფლაციის ზრდა აფერხებს ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ ფედერალური ფონდების განაკვეთის შემცირების შესაძლებლობას (<https://t.me/banksta/51599>).

ცნობილია, რომ აშშ-ის ეროვნული ვალი სწრაფად იზრდება. ის იზრდება როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი გამოხატულებით. ჯერ კიდევ 1910 წელს აშშ-ის სახელმწიფო ვალმა დღევანდელი სტანდარტებით უმნიშვნელო მოცულობა – 2,7 მლრდ დოლარი შეადგინა, რაც ქვეყნის GDP-ის 8,0%-ს შეადგენდა. შეერთებული შტატების მეორე მსოფლიო ომში ჩართვის წინა დღეს, 1940 წელს, ვალის მაჩვენებლები შეადგენდა 50,7 მლრდ დოლარს და 52,4%-ს. 1960 წელს ის შეადგენდა 290,5 მლრდ დოლარს და 54,3%-ს, შესაბამისად; 1980 წელს – შესაბამისად 900,0 მლრდ დოლარს და 32,5%-ს. 1981 წელს აშშ-ის სახელმწიფო ვალმა 1 ტრლნ დოლარს გადააჭარბა.

აი უახლესი მონაცემები. 2023 წლის ბოლოს, აშშ-ის სახელმწიფო ვალმა 34 ტრლნ დოლარს მიაღწია, ხოლო 2024 წლის ოქტომბრის ბოლოსათვის მისი მოცულობა 35,8 ტრლნ დოლარია. შედარებითი თვალსაზრისით, ეს GDP-ის 123%-ს შეადგენს. ამჟამად ვალის ზრდის ტემპი ისეთია, რომ ის ყოველ 100 დღეში 1 ტრლნ დოლარით იზრდება. აშშ-ის მთავრობის საანგარიშო პალატის პროგნოზის მიხედვით, მიმდინარე პოლიტიკის მიხედვით, მომდევნო 30 წელიწადში აშშ-ის ეროვნული ვალი გაიზრდება ორჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე მისი ეკონომიკა და 2050 წლისთვის GDP-ის 200%-ს მიაღწევს.

ბუნებრივია, აუცილებელია სახელმწიფო ვალის მომსახურება და ეს მომსახურება (პროცენტების გადახდა, საპროცენტო დანახარჯები) ფედერალური ბიუჯეტის ხარჯზე ხორციელდება. ომისშემდგომ პირველ წლებში ბიუჯეტის ხარჯები სახელმწიფო ვალის მომსახურებაზე წელიწადში 5-6 მლრდ დოლარს შეადგენდა, ხოლო უკვე 70-80-იანი წლების მიჯნაზე, მათმა სიდიდემ გადალახა 100 მლრდ დოლარის ზღვარი. 90-იან და 2000-იანი წლების მიჯნაზე, მან უკვე 300 მლრდ დოლარის ზღვარი გადალახა. გასული ათწლეულის ბოლოს დაიძლია 500 მლრდ დოლარის ფსიქოლოგიური თამასა. და ბოლოს, 2024 წლის დადგომასთან ერთად, კიდევ ერთი „ფსიქოლოგიური ბარიერი“ იქნა დაძლეულია – 1 (ერთი) ტრლნ დოლარის თამასა. აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის მონაცემებით, 2024 წლის ბოლოს ფედერალური ბიუჯე-

ტის საპროცენტო ხარჯები 1,059 მლრდ დოლარი იქნება, რაც 1,6-ჯერ აღემატება 2023 წლის საპროცენტო ხარჯებს (659 მილიარდი დოლარი) (<https://fred.stlouisfed.org/series/FYOIGDA1885>).

სახელმწიფო ვალის მომსახურების საბიუჯეტო ხარჯები დამოკიდებულია არა მხოლოდ ვალის ზომაზე, არამედ აშშ-ის ხაზინის სავალ ფასიან ქაღალდებზე არსებულ საპროცენტო განაკვეთებზე. ეს უკანაქსნელი კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის საკვანძო განაკვეთზე. როგორც ვიცით, აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის საკვანძო განაკვეთი მკვეთრად შეიცვალა, კერძოდ, 2007-2009 წლების ფინანსური კრიზისის შუაგულში ის მკვეთრად შემცირდა 0-0,25%-მდე. ის ამ დონეზე დარჩა 2014 წლის ოქტომბრამდე. ფედერალური სარეზერვო სისტემა ამას „რაოდენობრივი შერბილების“ პოლიტიკას უწოდებს. შემდეგ დაიწყო მონეტარული პოლიტიკის ძალიან ფრთხილი გამკაცრება, რაც გასული ათწლეულის ბოლოს მაქსიმუმ 2,50%-მდე გაიზარდა. შემდეგ კი დაიწყო შერბილების ახალი რაუნდი, რაც, პირველ რიგში, ე. წ. კოვიდ პანდემიით იყო პროვოცირებული, რამაც ეკონომიკის „დამბლა“ გამოიწვია. 2020 წლის გაზაფხულზე მაჩვენებელი კვლავ თითქმის ნულამდე დაეცა. გამკაცრების ახალი რაუნდი 2022 წლის გაზაფხულზე დაიწყო და 2023 წლის ივლისში განაკვეთის მაჩვენებელი 5,50%-მდე გაიზარდა; მას შემდეგ აშშ-ის ღია ბაზრის ფედერალური კომიტეტის რამდენიმე სხდომა გაიმართა, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს ძირითადი განაკვეთის შესახებ და მისი მაჩვენებელი 2024 წლის ოქტომბრის ბოლოსთვის 5%-ია. მათი თქმით, კურსის შემდგომი შემცირება შეუძლებელია იმ მიზეზით, რომ ინფლაცია ჯერ კიდევ არ არის დამარცხებული.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ის ხაზინისათვის სავალ ფასიანი ქაღალდების ახალი ტრანშების განთავსება სულ უფრო რთული ხდება. აქედან გამომდინარე, მაშინაც კი, როდესაც ფედერალური სარეზერვო სისტემის ძირითადი განაკვეთი თითქმის 10 თვის განმავლობაში უცვლელად შენარჩუნების პირობებში, ფედერალურ ობლიგაციებზე საპროცენტო განაკვეთები შესამჩნევად გაიზარდა (საშუალოდ 2.1-დან 3.3%-მდე).

სახელმწიფო ვალის სწრაფი ზრდის ერთობლიობამ საკვანძო განაკვეთის მატებასთან და მაღალ დონეზე შენარჩუნებასთან და სახაზინო ფასიანი ქაღალდების განთავსების მზარდმა სირთულეებმა გამოიწვია აშშ-ის ფედერალური ბიუჯეტის საპროცენტო ხარჯების მკვეთრი ზრდა. თუ შევადარებთ 2024 წელს მოსალოდნელი საპროცენტო ხარჯების ოდენობას 2020 წლის მაჩვენებელს, მივიღებთ ორჯერ ზრდას. რა თქმა უნდა, ბიუჯეტის სხვა ხარჯები იზრდება, მაგრამ არც ისე სწრაფად. მოგეხსენებათ, აშშ-ის ფედერალური ბიუჯეტის მთავარი მუხლი თავდაცვის ხარჯებია. 2020 წელს მან 738 მლრდ დოლარი შეადგინა, 2024 წელს კი – 886 მლრდ დოლარი. მაგრამ, ამ დროის განმავლობაში საპროცენტო ხარჯები უნდა გაორმაგდეს! ანუ, ზემოაღნიშნული ციფრებიდან ირკვევა, რომ 2024 წლის ბიუჯეტში საპროცენტო ხარჯები თავდაცვის ხარჯებს გადააჭარბებს.

ამ დღეებში ამერიკულმა მედიამ გაავრცელა მნიშვნელოვანი ამბები აშშ-ის ფედერალურ ბიუჯეტთან დაკავშირებით: 2024 ფისკალური წლის პირველი 7 თვის შედეგების მიხედვით (რომელიც აშშ-ში 2023 წლის 1 ოქტომბერს დაიწყო), წმინდა საპროცენტო გადახდებმა აშშ-ის ფედერალური მთავრობის კრედიტორების წინაშე 514 მლრდ დოლარი შეადგინა, რაც 20 მლრდ დოლარით აღემატება იმავე პერიოდში თავდაცვის ხარჯებს. ასე რომ, საპროცენტო დანახარჯების თავდაცვის ხარჯებზე გადამეტებაზე შეიძლება ვისაუბროთ არა მომავალში, არამედ ახლანდელ დროში.

ექსპერტები ამბობენ, რომ მსგავსი რამ აშშ-ის ისტორიაში არასდროს მომხდარა. ჩნდება ბუნებრივი კითხვა: ეს გადამეტება შემთხვევითი, დროებითი თუ სამუდამოა?

ზოგიერთი ექსპერტი თვლის, რომ ეს სულაც არაა სანერვიულო, რომ აშშ-ის ფედერალურ ბიუჯეტში საპროცენტო ხარჯების მაღალი დონე უკვე იყო ქვეყნის შედარებით უახლეს ისტორიაში. საუბარია 1980-იან წლებზე, რონალდ რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდში. მაშინ და-

ინყო ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, სახელწოდებით „რეიგანომიკა“. მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი იყო სახელმწიფო ვალის სწრაფი ზრდა. 1980 წელს სახელმწიფო ვალი 909 მლრდ დოლარს (GDP-ის 32,5%-ს) შეადგენდა, ხოლო 1990 წელს ის 3,206 მლრდ დოლარამდე (მშპ-ის 54,2%-მდე) გაიზარდა. ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელი ამ დროს პოლ ვოლკერი იყო. მან დაიწყო საკვანძო განაკვეთის მკვეთრი ზრდა; იყო შემთხვევები, როცა ის 20%-ს აჭარბებდა.

შესაბამისად გაიზარდა საპროცენტო ხარჯები აშშ-ის ფედერალურ ბიუჯეტში. სიცხადისთვის წარმოვადგინოთ ხარჯების შედარებითი მაჩვენებლები, როგორც GDP-ის მიმართ პროცენტები. 1978 წელს ის 1,51%-ს შეადგენდა. 1982 წელს კი ის უკვე 2,54%-მდე გაიზარდა. რეკორდული მაჩვენებელი მიღწეული იქნა 1991 წელს – 3,16%. შემდეგ ინდიკატორმა ძალზე არსებითად დაიწყო კლება.

გასულ 2023 წელს საპროცენტო ხარჯებმა GDP-ის 2.41% შეადგინა. როგორც ჩანს, წარსულის რეკორდული მაჩვენებლები ჯერ კიდევ შორსაა. ოპტიმისტები ამბობენ, რომ დონე ჯერ არ არის რეკორდული და კლება უნდა მოხდეს, თუმცა, ძნელი სათქმელია, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების შემცირება შეიძლება განმეორდეს.

XX საუკუნის ბოლო ათწლეული უნიკალურია აშშ-ის უახლეს ისტორიაში. მაშინ დასრულდა ცივი ომი. საბჭოთა კავშირი დაინგრა. რუსეთის ფედერაცია გახდა ამერიკის ეკონომიკის ძლიერი დონორი. ლიბერალიზაციისა და გლობალიზაციის ქარი, რომელიც მთელ მსოფლიოში დაიწყო, ამერიკული დოლარის იალქნებს უბერავდა. უნიკალურმა ვითარებამ ამერიკას საშუალება მისცა შეენელებინა თავისი ეროვნული ვალის დაგროვება და საკვანძო განაკვეთები საკმაოდ დაბალ დონეზე შეენარჩუნებინა, ვიდრე ამას ჰქონდა ადგილი პოლ ვოლკერის დროს. 90-იანი წლები არის „ოქროს ეპოქა“ აშშ-ის უახლეს ისტორიაში, რომელიც არასოდეს დაბრუნდება. ამიტომ, არ უნდა ველოდოთ სასწაულს, რომელიც შეამცირებს აშშ-ის მთავრობის ვალის მომსახურების ხარჯებს.

ამერიკაში თითქმის არავის ეპარება ეჭვი, რომ ეროვნული ვალი უწინდელი ტემპით გაიზრდება. მაგრამ იქნებ ფედერალურმა რეზერვმა შეძლოს საკვანძო განაკვეთის შემცირება ინფლაციის დამარცხების შემთხვევაში? მაგრამ, ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ შირმაა, რომელიც ფარავს ფედერალური სარეზერვო სისტემის საკვანძო განაკვეთის ამაღლებისა და მისი მაღალ დონეზე შენარჩუნების ნამდვილ მიზნებს. მაღალი საკვანძო მაჩვენებელი ნებისმიერ შემთხვევაში შენარჩუნდება. ეს საჭიროა აშშ-ის დოლარის მხარდასაჭერად. მთელ მსოფლიოში იზრდება უნდობლობა ამერიკული დოლარის, როგორც მსოფლიო ვალუტის მიმართ. ერთადერთი გზა დოლარის მიმართ ინტერესისა და შესაბამისად, მისი, როგორც მსოფლიო ვალუტის სტატუსის შესანარჩუნებლად, ფედერალური სარეზერვო სისტემის მაღალი საკვანძო განაკვეთითა.

ეკონომიკისა და ფინანსების სფეროში ამერიკას რჩება არჩევანი ცუდსა და ძალიან ცუდს შორის. ან სუვერენული დეფოლტი საპროცენტო ხარჯების მკვეთრი ზრდის შედეგად, ან დოლარის, როგორც მსოფლიო ვალუტის კოლაფსი.

ამერიკელმა ექსპერტებმა გამოთვალეს, რომ აშშ-ის ეროვნული ვალი ყოველ 100 დღეში დაახლოებით 1 ტრლნ დოლარით იზრდება. 2024 წლის ივლისის ბოლოსთვის მან უკვე გადალახა 35 ტრლნ დოლარის ზღვარი და ამჟამად, 2024 წლის ოქტომბრისთვის მისი მოცულობა 35,7 ტრლნ დოლარია, რაც GDP-ის 123%-ია. ვარაუდობენ, რომ 2029 წლისთვის ეს მაჩვენებელი 134%-მდე, ხოლო 2032 წელს – 140%-მდე გაიზრდება.

ცნობილია, რომ მიმდინარე ფისკალური წლის ბოლოს (რომელიც 30 სექტემბერს დამთავრდა), პირველად აშშ-ის ისტორიაში, ბიუჯეტის ხარჯებმა სახელმწიფო ვალის მომსახურებაზე (პროცენტების გადახდამ) თავდაცვის ხარჯებს გადააჭარბა. განგაში გამოაცხადეს აშშ-ის ხაზინამ და ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ. ჯერ კიდევ ფედერაციის ხელმძღვანელმა ჯე-

რომი პაუელმა ევროპის ცენტრალური ბანკის ფორუმზე სინტრაში (პოტუგალიაში) განაცხადა: „გზა, რომელსაც ჩვენ ვადგავართ, მიუღებელია, ამაში ეჭვი არ მეპარება. ჩვენ რაღაც უნდა გავაკეთოთ და უმჯობესია ამის გაკეთება ადრე, ვიდრე გვიან“.

სახელმწიფო ვალების უმეტესი ნაწილი წარმოდგენილია სახაზინო ფასიანი ქაღალდებით – როგორც გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი. მათ უწოდებენ ვალდებულებებს, ბილეთებსა და ობლიგაციებს. მაგრამ ობლიგაციები (ანუ ბონდები) ჭარბობს. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, სახაზინო ფასიანი ქაღალდებზე შემოსავლიანობა გაიზარდა ბოლო ორნახევარი წლის განმავლობაში (და ეს მოხდა ფედერალური სარეზერვო სისტემის საკვანძო განაკვეთის საკმაოდ რადიკალური ზრდის შედეგად), მათი განთავსება ბაზრებზე სულ უფრო რთულდება.

ჯერ ერთი იმიტომ, რომ შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს ინფლაცია ჭამს, რომლის აღმოფხვრა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა და მეორე – მზარდი რისკების გამო. აშშ-ის სახაზინო ფასიანი ქაღალდები ყოველთვის ითვლებოდა ყველაზე საიმედო, არარისკიან ფინანსურ ინსტრუმენტად. მაგრამ ეს ყველაფერი წარსულში დარჩა. უკვე არაერთხელ, საერთაშორისო საინვესტიციო სააგენტოებმა თავი შეიკავეს შეერთებული შტატების უმაღლესი რეიტინგების მინიჭებისგან. ინვესტორებს თვით ჯერომ პაუელზე უკეთ ესმით, რომ აშშ-ის მთავრობის ვალის სწრაფი ზრდა ამერიკას სუვერენული დეფოლტით ემუქრება აქედან გამომდინარე ყველა შემდგომი შედეგით, როგორც ამერიკისთვის, ასევე მათთვის, ვისაც ხელში უჭირავს სახაზინო ფასიანი ქაღალდები.

ადრე ამერიკა ახერხებდა თავისი სახაზინო ფასიანი ქაღალდების უმეტესი ნაწილის განთავსებას საზღვრებს გარეთ – არარეზიდენტებში, განსაკუთრებით სხვა ქვეყნების მონეტარულ ხელისუფლებებს შორის. მაგრამ ამ საუკუნეში, არარეზიდენტებმა, განსაკუთრებით ფინანსთა სამინისტროებმა და სხვა ქვეყნების ცენტრალურმა ბანკებმა უფრო თავშეკავებული ქცევა გამოავლინეს. სიმძიმის ცენტრი გადავიდა აშშ-ის შიდა ბაზარზე, სადაც სახაზინო ფასიანი ქაღალდების შეძენა დაიწყო აშშ-ის ბანკებმა, საინვესტიციო ფონდებმა, სადაზღვევო კომპანიებმა, საპენსიო ფონდებმა და სხვა ინსტიტუციურმა ინვესტორებმა. გასული ათწლეულის შუა პერიოდში (2014–2016 წლებში) ამერიკელ ინვესტორებზე აშშ-ის სახაზინო ფასიანი ქაღალდების დაახლოებით 2/3 მოდიოდა, ხოლო უცხოელ ინვესტორებზე – 1/3. 2024 წლის დასაწყისში აშშ-ის სახაზინო ფასიანი ქაღალდების უცხოელი მფლობელების წილი 22,9%-მდე შემცირდა.

ოდესღაც რუსეთიც კი შედიოდა ამერიკის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მფლობელთა ათეულში. მაქსიმუმი 2010 წლის ოქტომბერში დაფიქსირდა – 176,3 მლრდ დოლარი. 2014 წლის შემდეგ რუსეთის ბანკმა დაიწყო აშშ-ის სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელის ეტაპობრივი შემცირება. რისი შემცირებაც ვერ მოახერხა რუსეთის ბანკმა, ვაშინგტონმა 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ გაყინა (ასეთი ფასიანი ქაღალდების პაკეტის ზუსტი მოცულობა არც ვაშინგტონს და არც მოსკოვს არ გამოუცხადებია). ამერიკის ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, დღეს რუსეთში არის რამდენიმე ათეული მლნ დოლარის ღირებულების ამერიკული სახაზინო ფასიანი ქაღალდი, მაგრამ მათი მფლობელები არიან არა მონეტარული უწყებები (ფინანსთა სამინისტრო და რუსეთის ბანკი), არამედ კერძო ინვესტორები.

აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით შეგვიძლია ვნახოთ ის უცხო ქვეყნები, რომლებიც აშშ-ის სავალო ფასიანი ქაღალდების ძირითადი მფლობელები არიან. 2024 წლის აპრილის ბოლოსათვის ეს მონაცემები ასე გამოიყურება (მლრდ დოლარი): იაპონია (1150,3); ჩინეთი (770,7); დიდი ბრიტანეთი (710,2); ლუქსემბურგი (364,4); კანადა (338,2); ბელგია (312,4); ირლანდია (307,6); საფრანგეთი (276,5); შვეიცარია (272,0); ტაივანი (257,3); ინდოეთი (233,5); ბრაზილია (223,5); ჰონგ კონგი (220,9); სინგაპური (207,5); ნორვეგია (138,3); საუდის არაბეთი (135,4); სამხრეთი კორეა (119,9); მექსიკა (93,6); გერმანია (87,1) (https://ticdata.treasury.gov/resource-center/data-chart-center/tic/Documents/slt_table5.html).

ზემოაღნიშნულ ქვეყნებზე მოდიოდა საზღვარგარეთ განთავსებული აშშ-ის სახაზინო ფასიანი ქაღალდების 81,8%. ტოპ 20 ჯგუფის შემადგენლობა პერიოდულად იცვლება. ამ ჯგუფში ქვეყნების ადგილები იცვლება. ჩინეთი ერთ დროს პირველ ადგილზე იყო, მაგრამ ხუთი წლის წინ – 2019 წლის ზაფხულში – მან პირველი ადგილი დათმო იაპონიასთან.

გასული ათწლეულის დასაწყისიდან დღემდე, ქვეყნებმა და იურისდიქციებმა, როგორცაა დიდი ბრიტანეთი, ბელგია, ლუქსემბურგი, შვეიცარია, კაიმანის კუნძულები და ირლანდია, ყველაზე დინამიურად გაზარდეს ამერიკული სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვები. 2011 წელს ამ ქვეყნების მიერ აშშ-ის სახაზინო ფასიანი ქაღალდებში განხორციელებული ჯამური ინვესტიციები 0,7 ტრლნ დოლარს შეადგენდა, ხოლო 2023 წლის ბოლოს ეს რიცხვი 2,3 ტრლნ დოლარამდე გაიზარდა. ასევე შეიმჩნევა ამერიკული სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელის ზრდის ტენდენცია ისეთი ქვეყნების მიერ, როგორცაა კანადა, ინდოეთი, ტაივანი და საფრანგეთი. მაგრამ ბრაზილიასა და ჩინეთში კლების ტენდენციაა. ზოგადად, 2011 წლიდან 2024 წლის დასაწყისამდე, უცხოელი ინვესტორების მფლობელობაში არსებული აშშ-ის სახაზინო ფასიანი ქაღალდების ჯამური სიდიდე 4,9-დან 8,0 ტრლნ დოლარამდე გაიზარდა (Richter, 2024).

2023 წლის აპრილიდან 2024 წლის აპრილამდე, საზღვარგარეთ განთავსებული აშშ-ის სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა 7,506,1 მლრდ დოლარიდან 8,018,0 მლრდ დოლარამდე, ანუ დაახლოებით ნახევარი ტრლნ დოლარით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში სხვა ქვეყნების ოფიციალური სავალუტო რეზერვების შემადგენლობაში შენახული ამერიკული სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა არ გაზარდილა: ის 3,789,7 მლრდ დოლარი იყო და 3,784,2 მლრდ დოლარი გახდა, ანუ, დაფიქსირდა 5,5 მლრდ დოლარის კლებაზე კი. ამ პერიოდში, ამერიკის სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელის ყველაზე მკვეთრი შემცირება დაფიქსირდა ჩინეთში: 868,9 მლრდ დოლარიდან 770,7 მლრდ დოლარამდე, ანუ, თითქმის ასი მლრდ დოლარით.

აშშ-ის სახაზინო ფასიანი ქაღალდების უცხოური პორტფელის ნახევარ ტრლნ დოლარზე მეტით ზრდა კერძო უცხოელმა ინვესტორებმა უზრუნველყო, ხოლო ამერიკის სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელის მთლიანი ზრდა, როგორც სხვა ქვეყნების ოფიციალური რეზერვების ნაწილისა, პრაქტიკულად მოსალოდნელი არაა. ამერიკული ფასიანი ქაღალდების შესყიდვები ვაშინგტონის „ლოიალური“ ქვეყნების მიერ (დიდი ბრიტანეთი, ბელგია, ლუქსემბურგი და სხვა) განეიტრალებდა ფასიანი ქაღალდების გაყიდვით ისეთი „არალოიალური“ ქვეყნების მიერ, როგორცაა ჩინეთი და ბრაზილია.

სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის სახაზინო ფასიანი ქაღალდების მფლობელ ტოპ 20 ქვეყანას შორის BRICS-ის ჯგუფის რამდენიმე წევრია. ესენია ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია და საუდის არაბეთი. საერთო ჯამში, მათზე 1.363.2 მლრდ დოლარი მოდიოდა 2024 წლის აპრილის ბოლოს. ეს არის საზღვარგარეთ განთავსებული აშშ-ის სახაზინო ფასიანი ქაღალდების 17%. ძალიან საინტერესო სიტუაციაა. ერთის მხრივ, ეს ქვეყნები, როგორც ჩანს, დამოკიდებულნი არიან შეერთებულ შტატებზე. მაგრამ, მეორე მხრივ, ამერიკაც აღმოჩნდება ამ ქვეყნებზე დამოკიდებული. ჯერჯერობით, ამ ოთხიდან მხოლოდ ჩინეთი ეწევა ენერგიულად ამერიკული ფასიანი ქაღალდების გაყიდვას, რაც, რა თქმა უნდა, ართულებს ვაშინგტონის ცხოვრებას და ამცირებს ნდობას აშშ დოლარის მიმართ. შეგახსენებთ, რომ 2013-2014 წლებში ჩინეთის ხელთ არსებული აშშ-ის სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელი 1.3 ტრლნ დოლარს აღწევდა. ათწლეულის განმავლობაში ის 0,5 ტრლნ დოლარზე მეტი ოდენობით, ანუ, დაახლოებით 40 პროცენტით შემცირდა.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ინდოეთმა ამერიკული ფასიანი ქაღალდების პორტფელი 5.2 მლრდ დოლარით შეამცირა, ბრაზილიამ – 6.2 მილიარდით, მაგრამ საუდის არაბეთმა (რომელიც BRICS-ის წევრი გახდა 2024 წლის 1 იანვარს) კი თავისი პორტფელი 22.1 მლრდ დოლარით გაზარდა.

მაგრამ, სწორედ საუდის არაბეთმა გააოცა ყველა 2024 წლის ივლისის დასაწყისში. Bloomberg-ის ცნობით, რიადი დაემუქრა ევროკავშირის ვალების გაყიდვით, თუ G7 მოახდენს რუსეთის გაყინული აქტივების კონფისკაციას. მაისში და ივნისში G7-მა განიხილა რუსეთის ცენტრალური ბანკის გაყინული სახსრების გამოყენების სხვადასხვა ვარიანტები, საბოლოოდ G7 დათანხმდა მიღებული მოგების ამოღებას და არ შეეხოს თავად აქტივებს, მიუხედავად იმისა, რომ შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ მოკავშირეებს განეხილათ უფრო რადიკალური ვარიანტები, მათ შორის, პირდაპირი კონფისკაცია, როგორც ამას Bloomberg-ი იუწყება. ევროზონის რამდენიმე ქვეყანა ამ იდეის წინააღმდეგი იყო, იმის შიშით, რომ მან შეიძლება შეარყიოს ვალუტა. კომენტატორები არ გამორიცხავენ, რომ ამ ქვეყნების განწყობაზე გავლენა იქონია საუდის არაბეთის პოზიციამ.

მიუხედავად იმისა, რომ რიადს არაფერი უთქვამს ამერიკული სახაზინო ფასიანი ქაღალდების გაყიდვის შესაძლებლობის შესახებ, ამერიკის ფინანსთა სამინისტრო შემოფოთდა, რადგანაც მან საუდის არაბეთის გაფრთხილება საკუთარ თავზე მიიღო.

იმის გათვალისწინებით, რომ BRICS-ის ჯგუფის წევრ ქვეყნებს აქვთ ამერიკული და ევროპული სახაზინო ფასიანი ქაღალდების დიდი პორტფელი, მიზანშეწონილია, რათა BRICS-ის ფარგლებში შემუშავდეს და განხორციელდეს წევრი ქვეყნების კოორდინირებული პოლიტიკა ასეთი ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის შესახებ.

სსფ-ის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, 2023 წლის ბოლოს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების ჯგუფში სახელმწიფო ვალის მოცულობამ GDP-ის 111% შეადგინა. მათ შორის, G7 ჯგუფისთვის – 121%; ევროზონის ქვეყნების ჯგუფისთვის – 83,3%. განვითარებადი ქვეყნებისთვის ეს მაჩვენებელი 68% იყო. მათ შორის, ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნებისთვის – 73,7%; ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის – 44,9%; ზოგადად აზიის განვითარებადი ქვეყნებისთვის – 78,1%; აფრიკის ქვეყნებისთვის – 60,1% (IMF, 2024).

აღსანიშნავია, რომ რატომღაც ფონდს არასოდეს მოჰყავს მთელ მსოფლიოში სახელმწიფო ვალის მთლიანი რაოდენობა აბსოლუტური მაჩვენებლებით (დოლარებში). ამიტომ, კერძო ექსპერტების შეფასებებს უნდა მივმართოთ. კერძოდ, კონსოლიდირებული სახელმწიფო ვალის აბსოლუტური მაჩვენებლები (ცენტრალური ხელისუფლების, რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების ვალის ჯამური ოდენობა) მსოფლიოს მასშტაბით მოწოდებულია საინფორმაციო რესურსის – Visual Capitalist-ის მიერ. გასული წლის დასაწყისში მსოფლიოში სახელმწიფო ვალმა 97,13 ტრლნ დოლარი შეადგინა (Conte, 2023).

- პირველ ადგილზე აშშ იყო 33,23 ტრილიონი დოლარით.
- მეორე ადგილზე ჩინეთია 14,69 ტრილიონი დოლარით.
- მესამე ადგილზეა იაპონია 10,80 ტრილიონი დოლარით.

ეს არის პირველი სამეული, რომელშიც აშშ-ზე გლობალური სახელმწიფო ვალის 34,2% მოდის, ჩინეთზე – 15,1%; იაპონიაზე – 11,1%. მთლიანობაში, პირველ სამეულში შედიოდა 58,72 ტრლნ დოლარი და გლობალური სახელმწიფო ვალის 60,4%. ამას მოჰყვებოდა (ტრლნ დოლარი, ფრჩხილებში – გლობალური სახელმწიფო ვალის წილი, პროცენტებში):

- დიდი ბრიტანეთი – 3.47 (3.6)
- საფრანგეთი – 3.35 (3.5)
- იტალია – 3.14 (3.2)
- ინდოეთი – 3.06 (3.1)
- გერმანია – 2.92 (3.0)
- კანადა – 2.25 (2.3)
- ბრაზილია – 1.87 (1.9)

ირკვევა, რომ გასული წლის დასაწყისში სახელმწიფო ვალის ყველაზე მაღალი აბსოლუტური მნიშვნელობების მქონე ქვეყნების ათეულზე მთლიანი გლობალური სახელმწიფო ვალის 81% მოდის.

McKinsey Global Institute-ის მონაცემებით, 2000 წელს მსოფლიოში მთლიანი სახელმწიფო ვალი 22 ტრლნ დოლარი იყო, რაც მთლიანი (სახელმწიფო და კერძო) გლობალური ვალის (87 ტრლნ დოლარი) დაახლოებით მეოთხედს შეადგენდა. 2007 წელს მთავრობის ვალი მთელ მსოფლიოში 33 ტრლნ დოლარამდე გაიზარდა, რაც მსოფლიო ვალის მეოთხედზე ნაკლები იყო (142 ტრლნ დოლარი). საბოლოოდ, 2014 წელს მსოფლიო სახელმწიფო ვალმა 58 ტრლნ დოლარს მიაღწია, რაც მსოფლიოს მთლიანი ვალის 29%-ს (199 ტრლნ აშშ დოლარს) უტოლდება. ამ მაჩვენებლებიდან გამომდინარეობს, რომ გლობალური სახელმწიფო ვალი ამ საუკუნეში უფრო სწრაფი ტემპით იზრდება, ვიდრე გლობალური კერძო ვალი. გლობალური სახელმწიფო ვალი 2023 წლის ბოლოს 4,6-ჯერ მეტი იყო 2000 წელთან შედარებით, მაშინ, როცა გლობალური კერძო ვალი ამ დროის განმავლობაში 3,3-ჯერ გაიზარდა (Глобальный долг в мире в 2000-2014 гг.).

2023 წლის ბოლოსათვის, სახელმწიფო ვალის აბსოლუტური მნიშვნელობის მქონე ქვეყნების სიაში სამი ლიდერი იყო გამოკვეთილი – აშშ, ჩინეთი და იაპონია. შეერთებული შტატები ბევრად უსწრებდა ყველას, მისი ეროვნული ვალი 2023 წლის ბოლოს 35 ტრლნ დოლარს აღწევდა. წლიურმა ზრდამ 6% შეადგინა. ჩინეთის სახელმწიფო ვალი 14,9 ტრლნ დოლარს შეადგენდა, ზრდამ წინა წელთან შედარებით 8% შეადგინა. იაპონიის სახელმწიფო ვალი 10,6 ტრლნ დოლარი იყო, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში პირველად შემცირდა 3%-ით. სამი ქვეყნის მთლიანი ვალი 2023 წლის ბოლოს 63,0 ტრლნ დოლარს უტოლდებოდა.

ასე რომ, აშშ-ის წილი გლობალურ სახელმწიფო ვალში შეადგენდა 37,1%-ია; ჩინეთის – 14,8%; იაპონიის – 10,5%. სამი ქვეყნის მთლიანი წილი გლობალურ სახელმწიფო ვალში 62,4%-ია.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებზე დაყრდნობით, სამეულს ბევრად ჩამორჩება დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი, რომელთა წილი 4 პროცენტზე ოდნავ ნაკლებია გლობალური მასშტაბით. ინდოეთს, გერმანიასა და იტალიას წილი ჰქონდათ 3-3,5%-ის ფარგლებში. კანადასა და ბრაზილიას – 2%-ზე ოდნავ მეტი.

ასე რომ, ათ ქვეყანაზე (აშშ, ჩინეთი, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ინდოეთი, გერმანია, იტალია, კანადა, ბრაზილია) გასული წლის ბოლოს გლობალური სახელმწიფო ვალის დაახლოებით 85% მოდიოდა, ხოლო მსოფლიოს დანარჩენ 168 ქვეყანაზე – დაახლოებით 15%. სხვა ქვეყნებს შორის რუსეთის ფედერაციაა. რია ნოვოსტის შეფასებით, რუსეთი 28-ე ადგილზეა მისი კონსოლიდირებული სახელმწიფო ვალის სიდიდის მიხედვით. წლის განმავლობაში რუსეთის ვალი 12%-ით შემცირდა და 321,3 მილიარდი დოლარი შეადგინა. ეს არის მთლიანი გლობალური სახელმწიფო ვალის დაახლოებით 0.3%.

რია ნოვოსტი გვანდის გლობალური სახელმწიფო ვალის შეფარდებითი დონის ინდიკატორს (ამ ინდიკატორის შესახებ მონაცემები არც სავალუტო ფონდს და არც მსოფლიო ბანკს არ გააჩნიათ). 2022 წლის ბოლოს გლობალური სახელმწიფო ვალის ზომა მშპ-ის 94,5%-ს უდრიდა. გასული წლის ბოლოს კი მან მშპ-ის 95,8% შეადგენდა. ასეთი სწრაფი ტემპით ზრდის შემთხვევაში შეიძლება ველოდოთ, რომ დაახლოებით სამ წელიწადში გლობალური სახელმწიფო ვალის მაჩვენებელი 100 პროცენტს გადააჭარბებს.

ასევე პროგნოზირებულია სახელმწიფო ვალის სხვა შესაძლო რეკორდული მიღწევები. მაგალითად, 2024 წლის ივნისში აშშ-ის კონგრესის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, აშშ-ის სახელმწიფო ვალი 2034 წელს 50 ტრლნ დოლარის ნიშნულს გადააჭარბებს. თუმცა, ზოგიერთი ექსპერტი თვლის, რომ ამერიკამ შეიძლება ვერც მიაღწიოს ამ „რეკორდის“. აშშ-ის ხაზინამ ახლახან გამოაქვეყნა მონაცემები ივნისში ქვეყნის ფედერალური ბიუჯეტის შესრულების შესახებ. ივნისში შეერთებულმა შტატებმა 140 მლრდ დოლარი დახარჯა ეროვნულ ვალზე პროცენტის გადახდაში, რაც ისტორიაში სარეკორდო თანხა იყო. მთლიანი მაჩვენებელი 2024 წლის და-

საწყისიდან 868 მლრდ დოლარამდე გაიზარდა, ხოლო წლის ბოლოს შეიძლება 1,15 ტრლნ დოლარს მიაღწიოს (tass.ru, 2024).

საპროცენტო ხარჯები სწრაფად იზრდება, მაგრამ ბიუჯეტის შემოსავლები არ შეესაბამება მას. შედეგად, 2024 წლის ივნისში შეერთებულმა შტატებმა ბიუჯეტის შემოსავლების 30%-ზე მეტი დახარჯა ეროვნულ ვალზე პროცენტის გადახდაზე. სახელმწიფო ვალის მომსახურებამ უკვე გადააჭარბა თავდაცვის ხარჯებს და აშშ-ის ფედერალური ბიუჯეტის მთავარი პუნქტი გახდა. ასეთმა „რეკორდმა“, რომელიც ერთი შეხედვით მხოლოდ შეერთებულ შტატებს ეხება, მთელი მსოფლიო დაძაბა. ამერიკა სწრაფად მიისწრაფვის სუვერენული დეფოლტის რისკისკენ, რაც გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კატასტროფის მომასწავებელია, ვინაიდან მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ამერიკის სახელმწიფოს კრედიტორია.

ლიტერატურა

1. Conte Niccolo, (2023). Visualizing \$97 Trillion of Global Debt in 2023. December 5, 2023. <https://www.visualcapitalist.com/97-trillion-of-global-debt-in-2023/>
2. Federal Outlays: Interest as Percent of Gross Domestic Product. <https://fred.stlouisfed.org/-series/FYOIGDA188S>
3. Global Debt Monitor. Politics and Climate Finance in a High-Debt World. – IIF, November 16th, 2023, <https://www.iif.com/Products/Global-Debt-Monitor>.
4. <https://www.fondsk.ru/news/2024/01/03/itogi-2023-goda-mirovoy-dolg-probil-planku-v-300-trln-dol-larov.html>
5. <https://www.fondsk.ru/news/2024/05/26/kazhdye-100-dney-novyy-trillion-federalnyy-byudzheth-shapopal-v-dolgovuyu-petlyu>
6. <https://www.fondsk.ru/news/2024/07/12/amerike-razmeschat-svoy-gosudarstvennyy-dolg-vsyo-slozhnee.html>
7. <https://www.fondsk.ru/news/2024/07/18/summarnyy-gosudarstvennyy-dolg-v-mire-probil-planku-v-100-trillionov-dollarov.html>
8. https://www.imf.org/external/datamapper/GG_DEBT_GDP@GDD/CAN/FRA/DEU/ITA/JPN/GBR/USA
9. IMF, (2024). General government gross debt. 2024. https://www.imf.org/external/datamapper/-GGXWDG_NGDP@WEO/OEMDC/ADVEC/WEO WORLD
10. Richter Wolf, (2024). The Foreign Holders of the Ballooning US Debt: They're Buying, But Don't Keep Up. Jun 19, 2024. <https://wolfstreet.com/2024/06/19/the-foreign-holders-of-the-ballooning-us-debt/>
11. tass.ru, (2024). Конгресс США прогнозирует, что госдолг превысит \$50 трлн в 2034 году. <https://tass.ru/ekonomika/21134611>
12. U.S. Becomes the World's Largest Debtor Country, (1986). June 24, 1986. <https://www.latimes.com/archives/la-xpm-1986-06-24-mn-21190-story.html>
13. Глобальный долг в мире в 2000-2014 гг. https://popecon.ru/otrivki/230-globalnyi-dolg-v-mire-v-2000-2014-gg.html?utm_referrer=https%3A%2F%2Fwww.fondsk.ru%2F

DYNAMICS OF PUBLIC DEBT OF THE WORLD'S LEADING COUNTRIES IN 2023-2024 AND ITS EXPECTED RESULTS

Malkhaz Chikobava

PhD in Economics

Associate professor of

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

The article analyzes the dynamics of existing public debts for the current period of 2023 and 2024 in the leading countries of the world and their possible negative consequences for the global economy.

The article notes that in the period 2018-2023, the largest absolute growth in the debt of the first group was observed in countries such as the United States, Japan, France and the United Kingdom. In the second group of countries, the bulk of the debt growth falls on China, India, Brazil and Mexico. The dynamics of the world debt in relative terms (the share of debt in world GDP) is interesting. At the beginning of the last decade, this figure exceeded 300% of GDP.

At the end of 2023, there were three leaders in the list of countries with the absolute value of public debt – the United States, China and Japan. The United States was far ahead of everyone else: by the end of 2023, its public debt reached \$ 35 trillion. The annual growth was 6%. China's public debt amounted to \$ 14.9 trillion, an increase of 8% compared to the previous year. Japan's public debt amounted to \$10.6 trillion, decreasing by 3% for the first time in many years. The total debt of the three countries at the end of 2023 was \$63.0 trillion. At the end of last year, ten countries of the world (USA, China, Japan, Great Britain, France, India, Germany, Italy, Canada, Brazil) accounted for about 85% of the world's public debt, and the rest of the 168 countries of the world accounted for about 15%. Interest expenses are growing rapidly, but budget revenues are not keeping up with them. As a result, in June 2024, the United States spent more than 30% of its budget revenues on paying interest on the government debt. Debt servicing has already exceeded defense spending and has become the main item in the US federal budget. Such a ~record~, which at first glance concerns only the United States, made the whole world nervous. America is rapidly moving towards a sovereign default, which will cause a global financial and economic catastrophe, since many countries of the world are creditors of the US state.

Key words: government debt, sovereign default, debt servicing interest, absolute and relative debt ratios, net investment position, capital exports, capital imports.

დანაზოგები და ფინანსური განათლება: გამოწვევები და გადაჭრის გზები

ავთანდილი ჩუთლაშვილი
ასოცირებული პროფესორი,
ეკონომიკის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

საქართველოს საფინანსო სექტორი ბოლო პერიოდში ჩამოყალიბდა როგორც ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი სექტორი. იგი დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, სამუშაო ადგილების შექმნაზე და სოციალური სტაბილურობის გამყარებაზე. ფინანსური სფეროს მდგრად და სტაბილურ განვითარებას ესაჭიროება დანაზოგების პერმანენტული ზრდა, როგორც ინდივიდუალურ, ასევე საერთო სახელმწიფოებრივ დონეზე, რაც ყოველთვის ვერ ხერხდება. ქვეყანაში დანაზოგების დაბალი მაჩვენებლების ერთ-ერთ მიზეზად მიჩნეულია მოსახლეობაში ფინანსური განათლების არასაკმარისი დონე. ამ სფეროში შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება აუცილებელია იმისათვის, რომ ეფექტურად მივაღწიოთ დასახულ მიზნებს, რომელიც ფინანსური, მათ შორის კაპიტალის ბაზრის განმტკიცება-გაძლიერებაში გამოიხატება. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ფინანსური განათლების, მათ შორის მოსახლეობაში დანაზოგისა და ხარჯვის მომჭირვების კულტურის ფორმირების საკითხებზე. მასში გაანალიზებულია ჩვენი ქვეყნის სამეზობლო არეალში და ზოგიერთ განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარე პროცესები დანაზოგების დინამიკისა და განათლებაზე სახელმწიფოს მიერ განხორციელებული მთლიანი ხარჯების ჭრილში.

საკვანძო სიტყვები: მთლიანი შიდა დანაზოგი, ფინანსური განათლება, კაპიტალის ბაზარი

შესავალი

ჩვენი ცხოვრების განმავლობაში ბევრი ადამიანი დგება დაზოგვის საჭიროების წინაშე. ეს ეხება როგორც ცალკეულ მოქალაქეს, ასევე მთელ სახელმწიფოს. დაზოგვა ამა თუ იმ მიზნით ფულის სამომავლოდ შეგროვებაა. დაზოგვის მიზანი შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგალითად სახლის ან უძრავი ნივთის შეძენა, სწავლისთვის თანხის შეგროვება, საპენსიო დანაზოგის ფორმირება და სხვა.

როგორც წესი, ფულის დაზოგვის ჩვევა და ფულის შეგროვება არ არის დაკავშირებული შემოსავლის რაოდენობასთან. თავდაპირველად, ფულის დაზოგვის მთავარი მიზეზი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა იყო. ამიტომ მოსახლეობას მომჭირნეობისკენ მოუწოდებდნენ მათი ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ფულის დაზოგვა რეკომენდებულია სწორედ გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის და ე.წ. „შავი დღისთვის“ და რაც უფრო მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა, მით უფროა დაზოგვა რეკომენდებული, რომ მოსახლეობა გაუმკლავდეს „მოულოდნელ“ ფინანსურ პრობლემებს.

დაზოგვა რომ რაციონალურია, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში აღიარებენ. აღნიშნულის დასტურია „მსოფლიო დაზოგვის დღეც“, რომელიც 1924 წლის 30 ოქტომბერს მილანში შემნახველი ბანკების პირველ საერთაშორისო კონგრესზე დაფუძნდა. კონგრესში 29 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. თავდაპირველად ამ დღეს მომჭირნეობის მსოფლიო დღეს

უწოდებდნენ, ხოლო 1989 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 31 ოქტომბერი მსოფლიო დაზოგვის დღედ გამოაცხადა.

საქართველოში მსოფლიო დაზოგვის დღეს 2012 წლიდან აღნიშნავენ. მისი მიზანი მოსახლეობაში, განსაკუთრებით ბავშვებსა და ახალგაზრდებში ფინანსური ცოდნის ამალგებაა. მნიშვნელოვანია საზოგადოებაში დაზოგვის კულტურის დანერგვა, რაც საშუალებას მოგვცემს დავგეგმოთ ჩვენი ფინანსური მომავალი. აქ იგულისხმება, არა საბანკო საქმის ცოდნა, არამედ საკუთარი ბიუჯეტის დაგეგმვა და აღსრულება. საჭიროა მოსახლეობაში დაზოგვის კულტურის გამყარება, ახალი ფინანსური პროდუქტების ცოდნა და სწორად გამოყენება. ყოველივე გახდება საფუძველი ფინანსურ დაწესებულებასთან სწორი ურთიერთობები დავამყაროთ, საკუთარი უფლებები უკეთ ვიცოდეთ და საბოლოო ჯამში ეფექტიანი გადაწყვეტილებები მივიღოთ, რომელიც მიმართული იქნება ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ.

ძირითადი ნაწილი

როგორც იყო აღნიშნული, დაზოგვის საჭიროების წინაშე სახელმწიფოც დგება. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ისეთი ფინანსური პარამეტრის შესწავლა-ანალიზი, როგორიცაა მთლიანი შიდა დანაზოგი (Gross domestic savings). იგი არის ქვეყნის მოსახლეობის მთლიანი დანაზოგი, რომელიც აერთიანებს მოსახლეობის დანაზოგებს, კომპანიების დანაზოგებს და მთავრობის დანაზოგებს. თავის მხრივ, დანაზოგი არის წლის განმავლობაში მიღებულ შემოსავალს გამოკლებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე დახარჯული თანხა.

მთლიანი შიდა დანაზოგი მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებელია, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პოტენციალს განსაზღვრავს. რაც მეტს ზოგავს მოსახლეობა, მით მეტი თანხა რჩება ინვესტირებისათვის.

ეროვნული დანაზოგის სიდიდე ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მიმართ გამოითვლება პროცენტულად. მაგალითად, მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით 2023 წელს საქართველოს მთლიანი ეროვნული დანაზოგი 18.4 %-ია და იგი წინა წელთან შედარებით 4.1 %-ლი პუნქტით გაიზარდა, რაც ბოლო წლების საუკვეთესო მაჩვენებელია.

როგორც ცხრილი № 1-დან ჩანს საქართველოში კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული დანაზოგების დრამატული შემცირების შემდეგ (მაგალითად მათი მოცულობა 2020 წელს 2019 წელთან შედარებით 18.0 %-ან 4.4 %-მდე შემცირდა), მან 2022 წლიდან ზრდა დაიწყო და პანდემიამდე არსებულ დონესაც გადააჭარბა. მაგრამ, ასევე აღსანიშნავია, რომ მთლიანი ეროვნული დანაზოგების მაქსიმალურ დონემდე, რომელიც 35.0 %-ია (1984 წელი) ჯერ საკმაოდ შორია.

ყურადღებას იქცევს ასევე ის ფაქტი, რომ საქართველოს უახლოეს სამეზობლოში (სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, რუსეთის ფედერაცია, უკრაინა) დანაზოგების მოცულობა პანდემიის პერიოდში (2019 – 2021 წწ.) შემცირების ნაცვლად – გაიზარდა, რაც შეიძლება ცალკე კვლევის საგანი გახდეს. უფრო მეტიც, ცხრილში მოტანილ ქვეყნებში, დანაზოგების მოცულობა არც ერთ მათგანში ისე დრამატულად არ შემცირებულა, როგორც ეს საქართველოში მოხდა.

საინტერესოდ გვეჩვენება ასევე ის ფაქტი, რომ გლობალურ დონეზე (მსოფლიოს მასშტაბით) დანაზოგების მოცულობა, თანმიმდევრულად მატულობს. ასე, მაგალითად, 2019 წელს მისი მაჩვენებელი 27.1 %-ი იყო, ხოლო 2021 წელს კი მან 28.1 %-ს მიაღწია.

რაც შეეხება განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებს, აღსანიშნავია, რომ ეროვნული დანაზოგების მაჩვენებელი სტაბილურობით გამოირჩევა და მათ არ ახასიათებთ მკვეთრი რყევები. მათ შორის მხოლოდ იტალიაში დაფიქსირდა მაქსიმალური გადახრა 2.4 %, რომელიც 2023 წელს 2014 წელთან მიმართებაში მოხდა.

მთლიანი ეროვნული დანაზოგი (%)

	Max, წელი	Min, წელი	2014	2016	2018	2019	2020	2021	2022	2023
საქართველო	35.0 (1984)	– 48.7 (1994)	9.1	14.0	17.5	18.0	5.5	4.4	14.3	18.4
სომხეთი	33.1 (1990)	– 17.5 (1995)	2.4	10.2	8.7	4.0	9.7	15.1	20.7	20.6
აზერბაიჯანი	58.1 (2008)	– 1.1 (1994)	43.7	28.5	35.4	31.4	22.9	33.8	45.0	32.8
თურქეთი	39.0 (1969)	17.0 (1991)	25.6	25.9	29.3	27.8	28.2	31.8	31.0	27.0
რუსეთი	48.7 (1992)	23.8 (1998)	28.2	28.3	31.9	30.3	28.5	32.9	34.3	31.7
უკრაინა	36.4 (1992)	– 5.8 (2023)	9.9	14.8	9.9	6.8	7.4	13.1	–4.4	–5.8
ბულგარეთი	36.6 (1981)	7.7 (1993)	20.4	23.9	23.7	24.2	22.3	22.9	23.6	22.0
რუმინეთი	24.7 (2015)	10.6 (1998)	24.6	22.7	20.0	20.2	20.2	20.6	20.4	20.9
მოლდოვა	17.1 (1995)	– 13.9 (2006)	–7.4	–1.3	0.5	–0.1	0.4	–0.3	–2.4	–3.3
გერმანია	28.6 (2021)	19.2 (1981)	27.0	27.3	28.0	27.8	27.8	28.6	27.0	27.7
საფრანგეთი	28.9 (1973)	20.5 (2009)	21.6	22.0	22.8	23.4	22.0	23.0	22.6	23.0
იტალია	26.1 (1970)	18.7 (2010)	19.9	20.8	20.9	21.6	21.3	23.9	21.5	22.3
დ.ბრიტანეთი	19.4 (1996)	9.3 (1975)	15.8	16.0	16.8	17.0	18.2	17.8	17.1	17.4
იაპონია	43.3 (1970)	22.0 (2013)	22.4	25.6	25.7	25.5	25.0	25.2	22.8	...*
ჩინეთი	51.1 (2010)	15.1 (1962)	47.5	45.0	44.9	44.0	44.7	46.1	46.6	...*
აშშ	24.3 (1973)	14.9 (2009)	18.0	18.2	18.7	10.0	18.5	17.7	18.1	...*
	28.2 (2022)	22.7 (2002)	26.6	26.3	27.3	27.1	26.9	28.1	28.2	...*

შედეგებია ავტორის მიერ მსფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით

*** – მონაცემები არ არსებობს**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გასულ 2023 წელს საქართველოში ეროვნული დანაზოგების მაღალი მაჩვენებელი, 18.4 % დაფიქსირდა, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მაღალია ქვეყნის უახლოეს ისტორიაში. ამასთან ერთად, თუ ამ მაჩვენებელს ჩვენს უახლოეს სამეზობლოს მაჩვენებლებს შევადარებთ სულ სხვა სურათს მივიღებთ. დანაზოგების მოცულობა საქართველოში დაბალია, არამარტო უახლოეს სამეზობლო ქვეყნებთან მიმართებაში, არამედ ცხრილში მოყვანილ ყველა (უკრაინისა და მოლდოვას გამოკლებით) სხვა ქვეყნებთან მიმართებაშიც.

ასევე, საქართველოში აღნიშნული მაჩვენებელი, ნაკლები სტაბილურობით ხასიათდება, განვითარებული ქვეყნების ანალოგიური მაჩვენებლებთან შედარებით. ასე მაგალითად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გერმანიაში ეს მაჩვენებელი 27-28%, საფრანგეთში 22-23%, იტალიაში 21-22%, დიდ ბრიტანეთში 16-17%, აშშ-ში 17-18%-ის ფარგლებში მერყეობს. საქართველოს შემთვევაში ანალოგიური მსჯელობის საფუძველი არ არის.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია რამოდენიმე დასკვნა გავაკეთოთ. ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ერთ-ერთ მათგანზე. კერძოდ, საქართველოში ეროვნული დანაზოგების მოცულობა, მიუხედავად ბოლო წლებში დაფიქსირებული მნიშვნელოვანი ზრდისა, კვლავ დაბალ დონეზეა. იგი ჩამორჩება 1984 წლის მაჩვენებელს, როდესაც იგი ქვეყნის ისტორიაში ისტორიულ მაქსიმუმზე დაფიქსირდა, ჩამორჩება მსოფლიოს დონეს, რომელიც 28 %-ზე მეტია. საქართველოს მაჩვენებელი ყველაზე დაბალია (უკრაინის გამოკლებით) ჩვენს უახლოეს სამეზობლოში.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შევეცადოთ აღნიშნულის მიზეზების დადგენა-ანალიზი.

ფულის ხარჯვა ან მისი დაზოგვა უფრო მეტად დამოკიდებულია ჩვენს ფინანსურ განათლებაზე. ამ შემთხვევაში ფინანსურ განათლებაში იგულისხმება, რომ ადამიანი ფლობს გარკვეულ უნარ-ჩვევებს, ხოლო მისი ფინანსური ქცევაც სხვანაირია. ასეთი ადამიანი უკეთ განკარგავს საკუთარ ფულს. ასე მაგალითად, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 66.7% აქტიური დამზოგველია და მათგან მხოლოდ 33.1% ისახავს გრძელვადიან ფინანსურ მიზნებს. აღმოჩნდა, რომ მათგან, ვინც კვლევის ჩატარების წინა წელს თანხა დაზოგა,

თავისი დანაზოგი საბანკო დეპოზიტზე მხოლოდ 11.0 %-მა განათავსა, ხოლო დიდმა ნაწილმა სახლში, ნაღდი ფულის სახით შეინახა (57%) ან ოჯახის წევრებს ანდო შესანახად (25%). ჩვენი აზრით, ეს შესაძლოა იმაზე მიანიშნებს, რომ არაფორმალური დაზოგვის სისტემების მიმართ ნდობა შესაძლოა უფრო მაღალია, ვიდრე ფორმალური სისტემებისადმი.

კვლევის თანახმად „მოსახლეობის ნახევარზე მეტმა (55%) აღნიშნა, რომ ბოლო 1 წლის განმავლობაში, მათ ჰქონიათ შემთხვევა, როცა მათი ხარჯები აჭარბებდა შემოსავალს. აღნიშნულ სიტუაციასთან გასამკლავებლად ისინი მიმართავდნენ სესხს, თუმცა, უმეტესობა – არაფორმალურ წყაროს, მაგალითად, თანხას სესხულობდნენ ოჯახის წევრებისგან, მეგობრებისგან ან ახლობლებისგან (30.4%) ან მაღაზიიდან პროდუქტი მოჰქონდათ შემდეგში გადახდის პირობით (9.2%), მცირე ნაწილმა კი თანხა ისესხა ფორმალური წყაროებიდან, მაგალითად აილო სამომხმარებლო სესხი ფინანსური მომსახურების მომწოდებლისგან (7.7%).

რაც შეეხება ფინანსურ სიძნელეებთან გამკლავების არასასესხო გზებს, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში მხოლოდ მცირე ნაწილმა თქვა უარი ხარჯების შემცირებაზე (16.1%) და უფრო მეტმა მიმართა დახმარებისთვის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს (22.9%).

ყალიბდება ვითარება, როდესაც დანაზოგის გაკეთება ან არ გაკეთება მხოლოდ ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ ვითარებაზე არ არის დამოკიდებული, რადგანაც ყველას შეუძლია თუნდაც მინიმალური თანხა გადადოს იმ შემოსავლიდან რაც აქვს. ასევე აღსანიშნავა, რომ რთულია დიდი დანაზოგის გაკეთება არსებული ხელფასების დონის გათვალისწინებით (მაგალითად, არაა დადგენილი მინიმალური ხელფასის ზღვარი), როდესაც, ხშირ შემთხვევაში, შემოსავალი ელემენტარულ ხარჯებს ძლივს ფარავს. კიდევ უფრო რთულია დანაზოგის გაკეთება, როდესაც ოჯახში მხოლოდ ერთი ადამიანი მუშაობს, რაც საკმაოდ ხშირად გვხვდება. შესაბამისად, დანაზოგის ნაცვლად, როდესაც რთული ვითარება დგება ან რაიმე მნიშვნელოვანის შეძენა გვსურს, დანაზოგის გამოყენების ნაცვლად, საბანკო სესხი გვახსენდება, შემდეგ კი ჩვენს ხარჯებს სესხის გადასახადიც ემატება და დანაზოგის გაკეთების ნაცვლად ვალების მომსახურება გვინევს და ასე ვტრიალებთ ერთ წრეზე.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სულ უფრო აქტუალური ხდება მოსახლეობაში ფინანსური განათლების ამაღლების საკითხი, რათა ისინი, სულ ცოტა, უკეთ იყვნენ ინფორმირებულნი ძირითადი სიახლეებისა და ელემენტარული მოთხოვნების შესახებ, რომლებიც ფინანსურ სფეროში არსებობენ. ამ მიმართულებით, ყურადღება უნდა მივაქციოთ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ 47-ე მუხლის მოთხოვნებს, რომელიც აღნიშნავს, რომ „საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ამოცანაა ფინანსური სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვა“, რაც ჩვენი აზრით, ყველა დაინტერესებული პირის ინფორმირებაში და ფინანსური განათლების დონის ამაღლებაში უნდა ვლინდებოდეს.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გარკვეული ქმედებები განახორციელა, ხოლო 2016 წელს დაამტკიცა საქართველოს პირველი ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია. ამის შემდეგ უფრო მეტი ორგანიზაცია და დაინტერესებული პირი ჩაერთო მოსახლეობისათვის ფინანსური განათლების მიწოდებაში. მაგრამ, მიუ-

ხედავად ამისა, მოსახლეობის ფინანსური განათლების კვლევამ, რომელიც 2019 წელს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ [2.] ჩაატარა, აჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობის ფინანსური განათლების დონე კვლავ დაბალია და 2016 წელს ჩატარებული ანალოგიური კვლევის მაჩვენებლებისგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდება.

2018 წელს საქართველომ მონაწილეობა მიიღო, ასევე, „PISA-ს“ (OECD’s Programme for International Student Assessment) კვლევაში [3.], რომელიც 15 წლის მოზარდებში, სხვა მიმართულებებთან ერთად, ფინანსური განათლების მაჩვენებელსაც ზომავს. ამ მაჩვენებლით, საქართველო კვლევაში მონაწილე 20 ქვეყანას შორის მე-19 ადგილზე აღმოჩნდა.

2021 წელს მიკრო, მცირე და საშუალო მენარმეებში ჩატარდა ფინანსური განათლების დონის კვლევა [4.], რომლის მიხედვით საქართველოში მენარმეების ფინანსური განათლების ქულა კვლევაში მონაწილე 14 ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე დაბალი აღმოჩნდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და სხვა მრავალი გარემოებების გათვალისწინებით, წარმოიშვა ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის გადახედვისა და ახალი სტრატეგიის შემუშავების საჭიროება. ამის მიხედვით, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა 2023 წლის 24 იანვრის № 12/04 ბრძანებით დაამტკიცა „საქართველოს ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია – 2023“.

დამტკიცებულ სტრატეგიაში ხაზგასმულია, რომ ფინანსურ განათლებას საქართველოში შეუძლია გაზარდოს დანაზოგების, მათ შორის, ფორმალური დანაზოგების მოცულობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში ფორმალური დანაზოგების დონე დაბალია, დაზოგვის შემთხვევაში, ადამიანები უმეტესად ნაღდი თანხით ზოგავენ კონკრეტული გრძელვადიანი მიზნების გარეშე. ფინანსური განათლება, მათ შორის, ფორმალურ დაზოგვასა და დაზოგვის გზებზე ცნობიერების ამაღლება, გრძელვადიან პერიოდში სარგებლის მომტანი იქნება, როგორც ზოგადად, საზოგადოებისთვის, ისე კაპიტალის ბაზრების განვითარებისთვის ქვეყანაში.

სტრატეგიის წარმატებით რეალიზების შემთხვევაში, მოსალოდნელია, რომ იგი გაზარდის გრძელვადიანი დანაზოგების მნიშვნელობის შესახებ ცალკეული ადამიანების ცნობიერებას. როგორც ჩანს, საქართველოში მოსახლეობა მიდრეკილია მოკლევადიანი ხედვისკენ. მოსახლეობის უმეტესობა ფიქრობს, რომ ფული იმისთვის არის, რომ დაიხარჯოს და არ ზოგავენ გრძელვადიანი მიზნებისთვის.

ასევე, რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოს მოსახლეობას ნაკლებად აქვს საპენსიო ასაკისთვის მზაობის განცდა. ფინანსური განათლების აქტივობები გამოყენებული უნდა იქნას მოსახლეობისთვის, (მათ შორის იმისათვის, რომ ახალგაზრდებში ამაღლოს ცნობიერება გრძელვადიანი დანაზოგების საჭიროებებისთვის), ხარისხიანი და უახლესი ინფორმაციის მიწოდებაში გრძელვადიანი დანაზოგების ეფექტიანობის შესახებ. ფინანსური განათლება უნდა დაეხმაროს მომხმარებელს, ადრეულ ასაკშივე მიიღოს ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რაც ხელს შეუწყობს, რომ ისინი ფინანსურად მომზადებული შეხვდნენ არა მარტო საპენსიო ასაკს, არამედ რთულ ეკონომიკურ და ფინანსურ სირთულეებს.

ფინანსური განათლების წინაშე არსებული პრობლემები, როგორც ჩანს, უფრო დიდი გამოწვევის ნაწილია, რაც ზოგადად განათლების დაფინანსებას და მის პრიორიტეტულობას ეხება. შეიძლება ითქვას, რომ ფინანსური განათლების დაბალი დონე, დიდწილად გამოწვეულია განათლების დაფინანსების სიმწირით. იხილეთ ცხრილი 2.

სახელმწიფოს მთლიანი ხარჯები განათლებაზე (მშპ-ის %)

		Max, წელი	Min, წელი	2014	2016	2018	2019	2020	2021	2022	2023
1	საქართველო	3.9 (2019)	1.9 (2012)	3.0	3.6	3.5	3.9	3.8	3.6	3.8	*
2	სომხეთი	3.8 (2009)	2.1 (2002)	2.2	2.8	2.3	2.6	2.7	2.8	2.5	*
3	აზერბაიჯანი	4.3 (2020)	2.1 (2012)	2.6	2.9	2.5	3.2	4.3	3.7	2.9	*
4	თურქეთი	4.6 (2016)	1.5 (1986)	4.4	4.6	4.3	4.5	4.0	2.8	2.6	*
5	რუსეთი	4.7 (2018)	2.9 (2000)	4.0	3.8	4.7	3.5	3.7	*	*	*
6	უკრაინა	7.4 (2010)	3.6 (1999)	5.9	5.0	5.3	5.4	5.4	5.7	5.9	*
7	ბულგარეთი	5.4 (1991)	2.2 (1996)	4.1	3.4	4.0	4.2	4.5	4.3	*	*
8	რუმინეთი	4.3 (2006)	2.8 (2012)	3.1	3.0	3.3	3.6	3.6	3.3	*	*
9	მოლდოვა	9.5 (2009)	4.5 (2000)	6.3	5.7	5.5	6.2	6.6	5.8	6.1	*
10	გერმანია	5.6 (2020)	3.9 (2007)	4.9	4.8	5.0	5.1	5.6	4.5	4.5	*
11	საფრანგეთი	5.8 (1995)	3.2 (1971)	5.5	5.4	5.4	5.4	5.7	5.2	*	*
12	იტალია	4.8 (1984)	2.9 (1971)	4.1	3.8	4.3	4.1	4.4	4.0	*	*
13	დ. ბრიტანეთი	6.4 (1976)	4.0 (1999)	5.6	5.4	5.2	5.2	5.5	5.4	*	*
14	იაპონია	5.6 (1987)	3.1 (2018)	3.4	3.1	3.1	3.2	3.3	3.5	*	*
15	ჩინეთი	3.9 (2012)	1.4 (1971)	3.6	3.8	3.5	3.6	3.6	3.3	3.3	*
16	აშშ	6.7 (2009)	4.8 (2016)	6.1	4.8	4.9	5.0	5.4	5.6	5.4	*
17	მსოფლიო	4.5 (2009)	3.7 (2022)	4.3	4.2	4.2	4.1	4.4	4.2	3.7	*

შედეგენილია ავტორის მიერ მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით

*** – მონაცემები არ არსებობს**

მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით სახელმწიფოს მთლიანი ხარჯები განათლებაზე (ცხრილი № 2) საქართველოში ბოლო წლებში სტაბილურ დონეს ინარჩუნებს მშპ-თან მიმართებაში და იგი მეზობლების (სომხეთი და აზერბაიჯანი) მაჩვენებლებზე მაღალია, მაგრამ შედარებით დაბალია სხვა უახლოეს მეზობლებთან შედარებით (თურქეთი, რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, მოლდოვა, ბულგარეთი).

აღნიშნული მაჩვენებელი, ასევე შედარებით დაბალია, ვიდრე ბევრ განვითარებულ და ევროკავშირის უმეტეს ქვეყნებში (აშშ, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, დიდი ბრიტანეთი).

საინტერესოდ გვეჩვენება ასევე მთლიანი განათლების ხარჯების ხვედრითი წილის შედარება მშპ-თან თავისი ზღვრული (მაქსიმალური) მაჩვენებლების მიხედვით. როგორც ცხრილი № 2-დან ჩანს, საქართველოში დაფინანსების მაქსიმალური მაჩვენებელი 2019 წელს ფიქსირდება, როდესაც მან მშპ-ის მიმართ 3.9 % შეადგინა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ იგი არ შეიძლება ჩაითვალოს მაღალ მაჩვენებლად, რადგანაც ამით მხოლოდ სომხეთს ვუსწრებთ. გამოდის, რომ საუკვეთესო პირობებშიც კი საერთო განათლების ხარჯები არ აღემატებოდა ბევრი ქვეყნის მაჩვენებლებს და ჩამორჩება მსოფლიო დონეს.

დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოში მთლიანი ეროვნული დანაზოგების მოცულობა წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ შორსაა თავის მაქსიმალურ დონემდე, რომელიც 1984 წელს დაფიქსირდა და 35.0 %-ს უდრიდა. ასევე აღსანიშნავია, რომ დანაზოგების მოცულობა დაბალია, არამარტო უახლოეს სამეზობლო ქვეყნებთან შედარებით, არამედ ბევრ განვითარებულ ქვეყანასთან მიმართებაშიც. იგი ჩამორჩება მსოფლიოს დონეს, რომელიც 28

%-ზე მეტია. აღნიშნულის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს მოსახლეობაში ფინანსური განათლების დაბალი დონე წარმოადგენს.

აქედან შეგვიძლია მივიღეთ შემდეგ დასკვნამდ – სახელმწიფოს მთლიანი ხარჯები განათლებაზე არასაკმარისია და სასურველია მოხდეს მათი ეტაპობრივი ზრდა, ვთქვათ პირველ ეტაპზე, 4.0% – 4.5% მშპ-თან მიმართებაში ანუ არანაკლებ მსოფლიო დონის მაჩვენებელზე.

ლიტერატურა

1. data.worldbank.org/indicator/NY.GDS.TOTL.ZS?locations=GE
2. www.oecd-ilibrary.org/finance-and-investment/oecd-infe-2020-international-survey-of-adult-financial-literacy_145f5607-en
3. www.oecd.org/en/publications/pisa-2018-results-volume-iv_48ebd1ba-en.html
4. nbg.gov.ge/en/media/news/financial-education-survey-of-micro-small-and-medium-entrepreneurs-the-results-are-in
5. Chutlashvili Avtandil. Consumption, savings and investment in the light of the COVID-19 pandemic. <https://rsglobal.pl/index.php/ijite/article/view/2278> (accessed 10.10.2024).

SAVINGS AND FINANCIAL EDUCATION: CHALLENGES AND SOLUTIONS

Avtandil Chutlashvili

Doctor of Economy

Resume

The financial sector of Georgia has recently emerged as one of the leading sectors of the country. It has a positive impact on the development of the country's economy, the creation of jobs and the strengthening of social stability. Sustainable and stable development of the financial sphere requires a permanent increase in savings, both at the individual and national level, which is not always possible. Inadequate level of financial education among the population is considered to be one of the reasons for the low rate of savings in the country. The development of appropriate policies in this area is necessary in order to effectively achieve the set goals, which is manifested in the strengthening of the financial, including the capital market. The article focuses on the issues of financial education, including the formation of a culture of saving and spending in the population. It analyzes the current processes in the neighboring area of our country and some developed countries in terms of the dynamics of savings and the total expenditure incurred by the state on education.

Key words: Gross domestic savings, financial education, capital market

ფინანსური ტექნოლოგიების ტრანსფორმაცია საქართველოში: ადგილობრივი მახასიათებლები და გლობალური ტენდენციები

ანა ჩხიკვაძე

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ana.chkikvadze@gmail.com

ანოტაცია

ფინანსური ტექნოლოგიების (ფინტექ) ინდუსტრია მსოფლიოს მასშტაბით სწრაფად ვითარდება და საქართველოც არ არის გამონაკლისი. ფინტექის ციფრული ეკონომიკის ზრდა პირდაპირ კავშირშია საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური სექტორის მოდერნიზაციასთან. ამ პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გლობალური ტენდენციების გავლენა, თუმცა, ადგილობრივ ბაზარს თავისი უნიკალური გამოწვევები და შესაძლებლობები აქვს. გლობალური ფინტექ ტენდენციები, როგორიცაა ციფრული გადახდები, მობილური ბანკინგი, ბლოკჩეინი და ლია ბანკინგი, გავლენას ახდენს საქართველოს ფინანსური ეკოსისტემაზე. ამასთან, ადგილობრივი ბაზარი ხასიათდება ისეთი უნიკალური ფაქტორებით, როგორიცაა კრიპტოვალუტების ფართოდ გამოყენება, ფინანსური ინკლუზიის საჭიროება და დომინანტური ბანკების ძლიერი პოზიციები. მიუხედავად გლობალური ტენდენციების მზარდი ინტეგრაციისა, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გამოწვევები რჩება, მათ შორისაა რეგულაციების არარსებობა, საკადრო დეფიციტი და ციფრული ტრანსფორმაციის ტემპი. კვლევა ხაზს უსვამს ფინტექ სექტორის მნიშვნელოვან როლს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში და შესაძლებლობებს, რომელიც არსებობს საერთაშორისო ინვესტიციების, პარტნიორობისა და ინოვაციური სტარტაპების ფორმირების თვალსაზრისით. შედეგად, საქართველოს ფინტექ სექტორი წარმოადგენს მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიმართულებას, რომელიც მოითხოვს მხარდაჭერასა და რეგულაციურ გარემოს გაუმჯობესებას.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური ტექნოლოგია, ფინტექი, საქართველოს ფინანსური ეკოსისტემა, გლობალური ტენდენციები.

შესავალი

ფინანსური ტექნოლოგიების (ფინტექ) ინდუსტრია წარმოიშვა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორი მსოფლიოში, რომელმაც შეცვალა ინდივიდებისა და ბიზნესების მართვის გზა ფინანსურ ტრანზაქციებზე. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორცაა მობილური აპლიკაციები, ბლოკჩეინი, ხელოვნური ინტელექტი (AI) და ლია ბანკინგი, ფინტექის კომპანიები გვთავაზობენ ინოვაციურ გადაწყვეტილებებს ფინანსური პროცესების გამარტივებისა და მომხმარებლის გამოცდილების გასაუმჯობესებლად.

ტრადიციულ ფინანსურ სერვისებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ინოვაციურმა ტექნოლოგიებმა. კლიენტები ახლა უფრო მეტად ეყრდნობიან არსებულ საბანკო პროდუქტებს (რომლებიც ხშირად გვხვდება განვითარებად ქვეყნებში) და ფინტექ კომპანიებს (რომლებიც ამჟამად ძირითადად მდიდარ ქვეყნებში გვხვდება) და მათ კრეატიულ გადაწყვეტილებებს ფინანსური ტექნოლოგიების ყველაზე გავრცელებული ნინსვლის შედეგად.

ფინტექი გულისხმობს ტექნოლოგიების გამოყენებას გლობალურ ბიზნეს სტრუქტურებში კლიენტებისთვის უკეთესი ფინანსური სერვისების მიწოდების მიზნით. თუმცა, თავად ფრაზა

ჯერ კიდევ განხილვის საგანია. სინამდვილეში, ფინტექი არის საერთო ტერმინი, რომელიც მოიცავს რამდენიმე განსხვავებულ ტექნოლოგიას, რომლებიც მუდმივად ურთიერთობენ საერთო ინფრასტრუქტურაში (Rjoub, H., Adebayo, T.S. & Kirikkaleli, D., 2023).

რაც უფრო ციფრული ხდება მსოფლიო, ფინტექს ფირმები ხდებიან მნიშვნელოვანი მოთამაშეები და კონკურენტები ფინანსურ ინდუსტრიაში. უფრო მეტიც, ისინი ადგენენ კრიტერიუმებს ფინანსური სერვისებისთვის და მათი გავლენა ყოველდღიურად ჩანს. გაუმჯობესებული ავტომატიზებული ფინანსური აქტივობების მრავალფეროვნება, რომლებსაც ფინტექ კომპანიები ახორციელებენ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, უფრო ეკონომიურია და მათ კონკურენტუნარიანს ხდის მოქმედ ფინანსურ ინსტიტუტებთან შედარებით (Chang, V.; Baudier, P.; Zhang, H.; Xu, Q.; Zhang, J. & Arami, M., 2020).

ფინტექის სექტორი სწრაფად იზრდება და მისი ეკონომიკური მნიშვნელობა ყოველდღიურად მატულობს. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, ფინტექის ინტეგრაცია მნიშვნელოვნად ახდენს გავლენას ფინანსურ სისტემაზე და ეკონომიკურ განვითარებაზე. ტრანსფორმაციის ეს ტალღა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ ქვეყნებში, როგორიც საქართველოა, სადაც ფინტექის ინტეგრაცია გადამწყვეტ როლს თამაშობს ფინანსური ეკოსისტემის მოდერნიზაციაში და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისთვის. ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი დანერგვა, ქვეყნის სტრატეგიულ გეოგრაფიულ პოზიციასთან და განვითარებად ეკონომიკასთან ერთად, ფინტექს კრიტიკულ ელემენტად აქცევს საქართველოს ფინანსურ ევოლუციაში.

კვლევები აჩვენებს, რომ საბანკო სესხები კვლავ ფინანსური რესურსების დომინანტური წყაროა, როდესაც, ციფრული დაფინანსების მექანიზმების შესახებ ლიტერატურა ჯერ კიდევ არასრულია (Schweitzer, M. E. & Barkley, B. , 2017).

გლობალური ფინტექ ტენდენციები

ფინტექი უკვე დიდი ხანია გასცდა მხოლოდ ციფრული გადახდების ან ონლაინ ბანკინგის ფარგლებს. ის გახდა გლობალური ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე ინოვაციური სფერო, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსური ინსტიტუტების ოპერაციებზე და მომხმარებლის ქცევაზე. მობილური აპლიკაციები, ციფრული საფულეები, კრიპტოვალუტები და ავტომატიზებული ინვესტიციები უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა ყოველდღიურ ცხოვრებაში. მაგალითად, ციფრული გადახდების პლატფორმები, როგორიცაა PayPal, Apple Pay და Google Pay, სწრაფად გახდა მსოფლიო მასშტაბით წამყვანი გადახდის საშუალებები, ხოლო კრიპტოვალუტები, როგორიცაა ბიტკოინი და ეთერიუმი, ქმნიან ახალ ფინანსურ ბაზრებსა და ინოვაციურ ეკონომიკურ მოდელებს (Zhang, 2022).

მობილური ბანკინგის აპლიკაციები ხდება ფინანსური ინდუსტრიის ევოლუციის ქვაკუთხედი, რაც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს შეასრულონ სხვადასხვა ფინანსური ამოცანები თავიანთი სმარტფონებიდან ფიზიკური ბანკის ფილიალში ვიზიტის გარეშე.

კრიპტოვალუტა და ბლოკჩეინის ტექნოლოგია კიდევ ორი მნიშვნელოვანი ინოვაციაა, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეცვალეს ფინტექს ინდუსტრია. კრიპტოვალუტებმა, განსაკუთრებით ბიტკოინისა და ეთერიუმის, პოპულარობის ზრდამ, არა მხოლოდ შემოიღეს ახალი საინვესტიციო შესაძლებლობები, არამედ გზა გაუხსნეს დეცენტრალიზებულ ფინანსურ სერვისებს, რომლებიც მოქმედებენ ტრადიციული საბანკო ჩარჩოების მიღმა. ბლოკჩეინის ტექნოლოგია, რომელიც ემყარება ამ ვალუტებს, გვთავაზობს გაძლიერებულ გამჭვირვალობას და უსაფრთხოებას ფინანსური ტრანზაქციებისთვის, რაც მას მიმზიდველ ვარიანტად აქცევს ფინტექს კომპანიებისთვის და მთავრობებისთვის (Nakamoto, 2008).

ცენტრალური ბანკები ასევე განიხილავენ ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტების (CBDCs) შექმნას, რაც მნიშვნელოვანი ტენდენციაა და საშუალებას მისცემს კონკურენცია გაუ-

წიონ კერძო ციფრულ ვალუტებს, რათა ფინანსური სისტემა უფრო მოქნილი და უსაფრთხო გახდეს. კრიპტოაქტივები ასევე ახდენენ ტრადიციული ფინანსური ინსტიტუტების სტრუქტურის გამოწვევას, რადგან ისინი ახალი ფინანსური სერვისების განვითარებისკენ უბიძგებენ. ჩინეთის მთავრობა უკვე ტესტავს ციფრულ იუანს, რომელიც აძლევს მომხმარებლებს საშუალებას, გადახდები გააკეთონ პირდაპირ ცენტრალური ბანკის პლატფორმაზე, რაც ბანკებსა და საფინანსო ინსტიტუტებს გვერდს უვლის. CBDCs-ს შეუძლია ფინანსურ სისტემას მეტი გამჭვირვალობა და სტაბილურობა შესძინოს, თუმცა გამოწვევად რჩება კიბერუსაფრთხოება და მომხმარებლის კონფიდენციალურობის დაცვა ((BIS), 2022).

გლობალური ფინტექ ტენდენციები მოიცავს ასევე ბლოკჩეინისა და ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენებას ფინანსურ მომსახურებებში. ბლოკჩეინი უზრუნველყოფს უსაფრთხო და გამჭვირვალე ტრანზაქციებს, რაც ზრდის ნდობას ფინანსური ინსტიტუტების მიმართ. ბიზნესი მუშაობს ინფორმაციაზე და რაც უფრო სწრაფად მიიღება ინფორმაცია და რაც უფრო ზუსტია, მით უკეთესია. ბლოკჩეინი იდეალურია ამ ინფორმაციის მიწოდებისთვის, რადგან ის უზრუნველყოფს დაუყოვნებელ, გაზიარებულ და დაკვირვებად ინფორმაციას, რომელიც ინახება უცვლელ წიგნში, რომელზეც მხოლოდ ქსელის უფლებამოსილ წევრებს შეუძლიათ წვდომა. ბლოკჩეინის ქსელს შეუძლია აკონტროლოს შეკვეთები, გადახდები, ანგარიშები, წარმოება და მრავალი სხვა.

ღია ბანკინგის სისტემა წარმოადგენს მნიშვნელოვან ტენდენციას ფინტექისთვის, რაც ხელშესახები ინოვაციაა, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს, თავისი საბანკო მონაცემები მესამე მხარის აპლიკაციებს გაუზიაროს. ამის შედეგად, შესაძლებელი ხდება ახალი ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურებების შემუშავება, რაც უფრო მეტად აკმაყოფილებს მომხმარებლის საჭიროებებს. ევროპაში PSD2 რეგულაცია ხელს უწყობს ღია საბანკო სისტემის განვითარებას, რომელიც ბანკებსა და ფინტექ კომპანიებს შორის მეტ თანამშრომლობას უწყობს ხელს. ეს ქმნის ახალ კონკურენციას და იძლევა ფინანსური ეკოსისტემის უფრო ინტეგრირებულ სისტემად გარდაქმნის საშუალებას (McKinsey & Company, 2023).

ერთ-ერთი ცნობილი მაგალითი არის Revolut, რომელიც ღია ბანკინგს იყენებს მომხმარებლის სხვადასხვა საბანკო ანგარიშის ერთ აპლიკაციაში ინტეგრაციისთვის. Revolut-ის მომხმარებლებს (45 მილიონზე მეტი) შეუძლიათ თავიანთი სხვადასხვა ბანკის ანგარიშები და ბარათები ერთი აპლიკაციაში დააკავშირონ და აკონტროლონ, ასევე მარტივად გააკონტროლონ ტრანზაქციები და დანახარჯები. ეს საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, უკეთ გაიგონ თავიანთი ფინანსური მდგომარეობა და უკეთ მართონ თანხები სხვადასხვა ბანკებში. ამ მოდელს ეხმარება PSD2 (Payment Services Directive 2) რეგულაცია, რომელიც ევროკავშირის ტერიტორიაზე ბანკებს ავალდებულებს, რომ ფინტექ კომპანიებს API-ს (Application Programming Interface) საშუალებით წვდომა მისცენ მომხმარებლის საბანკო ინფორმაციაზე. ეს მონაცემები შეიძლება იყოს ბალანსი, ტრანზაქციების ისტორია და საბანკო ანგარიშები, რისი გამოყენებითაც ფინტექ კომპანიები მომხმარებლებს უკეთეს მომსახურებას სთავაზობენ.

„იყიდე ეხლა, გადაიხადე მოგვიანებით“ (BNPL) სერვისების ზრდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტენდენციაა ფინტექისთვის, რომელიც მომხმარებლებს აძლევს მოქნილობას, შეიძინონ პროდუქტები და გადაიხადონ შემდგომში ნაწილ-ნაწილ, უპროცენტო ან დაბალი საპროცენტო განაკვეთით. კომპანიები, როგორიცაა Klarna და Afterpay, უკვე დიდ წარმატებას აღწევენ ამ მოდელით. BNPL მექანიზმები განსაკუთრებით პოპულარული გახდა ახალგაზრდებში და განვითარებად ბაზრებზე, რაც ტრადიციული საკრედიტო პროდუქტების ალტერნატივად იქცა. ამასთან, ასეთ სერვისებს აქვთ გამოწვევები, როგორიცაა მომხმარებლების გადაუხდელობის რისკი და რეგულაციური მოთხოვნები.

ფინტექში ღრუბლოვანი კომპიუტერების და ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია მნიშვნელოვნად ზრდის მონაცემთა დამუშავების სიჩქარესა და მომსახურების პერსონალიზაციას.

კომპანიები იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს მომხმარებელთა ქცევის ანალიზისთვის, რისკების შეფასებისა და მარკეტინგის სტრატეგიების გაუმჯობესებისთვის. ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების გამოყენება კი საშუალებას აძლევს ბანკებსა და სხვა ფინანსურ ორგანიზაციებს გააუმჯობესონ მომხმარებლის მომსახურება, უზრუნველყონ უსაფრთხოება და შეამცირონ ოპერაციული ხარჯები. ღრუბლოვანი ტექნოლოგიები კი ბიზნესებს საშუალებას აძლევს მოქნილ და მასშტაბურ ინფრასტრუქტურაზე ჰქონდეთ წვდომა, რაც ეხმარება სწრაფ განვითარებაში.

ხელოვნური ინტელექტი ეხმარება ბანკებს და ფინანსურ პლატფორმებს რისკების უკეთ შეფასებაში, თაღლითობის გამოვლენაში და მომხმარებლის ქცევის პროგნოზირებაში. კომპანია Upstart, რომელიც სპეციალიზირებულია სესხების გაცემაზე, იყენებს AI მოდელებს, რათა უფრო სწრაფად და ზუსტად განსაზღვროს კრედიტის სანდოობა. ეს ტენდენცია ასევე იძლევა მომხმარებლის მომსახურების გაუმჯობესების შესაძლებლობას ჩათბოტების საშუალებით (World Economic Forum, 2023).

უნიკალური გამოწვევები და შესაძლებლობები ქართული ბაზრისთვის – საქართველოს ტექნოლოგიური ეკოსისტემის მიმოხილვა

საქართველო, როგორც რეგიონში სწრაფად განვითარებადი ეკონომიკა, აქტიურად მონაწილეობს ამ გლობალურ ტრენდებში. ქვეყნის ფინანსური სექტორი ბოლო წლებში განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს და ფინტექ სექტორის ტრანსფორმაცია წარმოადგენს ამ პროცესის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს. საქართველოსთვის ფინტექის განვითარება სტრატეგიული მნიშვნელობისაა, რადგან ის პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ციფრული ეკონომიკის ზრდასა და ფინანსური სისტემის მოდერნიზაციასთან. ეს ასევე ხელს უწყობს ეკონომიკურ ინკლუზიას, მენარმეობის გაძლიერებას და საერთაშორისო ბაზრებთან ინტეგრაციას.

ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სტარტაპები ბიზნეს ორგანიზაციის მნიშვნელოვანი ფორმაა მთელ მსოფლიოში. ისინი ხელმძღვანელობენ ინოვაციებითა და მენარმეობით და ბევრი გადაიქცევა დიდ მაღალტექნოლოგიურ ფირმებად, რომლებსაც შეუძლიათ დომინირება ეკონომიკაში. უფრო წარმატებული სტარტაპების ხელშეწყობა ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის გაფართოებასა და მოდერნიზებას. სტარტაპი შეიძლება განისაზღვროს, როგორც ბიზნესი, რომელიც ავითარებს ახალ ტექნოლოგიებს ან იყენებს არსებულ ტექნოლოგიებს ინოვაციური პროდუქტებისა და სერვისების წარმოებისთვის, რომლებიც მიზნად ისახავს ბაზრის საჭიროებებს ან პრობლემას, შეუძლია მოგების გამომუშავება და ბიზნეს მოდელის განვითარება, რომელიც მასშტაბირებადია.

სტარტაპები ჩნდებიან ისეთ სექტორებში, რომლებიც ხელს უწყობენ განვითარებას, როგორცაა განათლება, ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა და მწვანე ეკონომიკა. თუმცა, ელექტრონული კომერცია, ფინტექ, ხელოვნური ინტელექტი და ციფრული პლატფორმები კვლავ რჩება ყველაზე გავრცელებულ ტექნიკურ სტარტაპ სექტორებად საქართველოში.

სტარტაპები ჩნდებიან და გარკვეულ პირობებში კარგად მუშაობენ, როგორც ცოცხალი ორგანიზმები, მათაც სჭირდებათ შესაფერისი გარემო ზრდისა და განვითარებისთვის. სტარტაპ ეკოსისტემა მოიცავს ბევრ აქტორს, ინსტიტუტს და ურთიერთობას. რაც უფრო ურთიერთდაკავშირებულია და ავსებს ეკოსისტემას, მით მეტია შანსები, რომ სტარტაპ საზოგადოება განვითარდეს. ეკოსისტემა მოიცავს ციფრულ ინფრასტრუქტურას, სამთავრობო პოლიტიკას, დაფინანსებაზე წვდომას, ადამიანურ კაპიტალს, სამუშაო ადგილებს, ორგანიზაციებს, როგორცაა ინკუბატორები და აქსელერატორები და კულტურა, რომელიც ხელს უწყობს მენარმეობას და ინოვაციებს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში რამდენიმე წარმატებული სტარტაპი გაჩნდა, მათ შორის პირველი საერთაშორისო გასვლა Pulsar-დან, AI-ზე დაფუძნებული საავტომობილო პროგრამული უზრუნველყოფის სტარტაპიდან, ადგილობრივი სტარტაპების საერთო სიმნივე ჯერ კიდევ დაბალია და ეკოსისტემა ჯერ კიდევ განვითარების ადრეულ ეტაპზეა.

სტარტაპ გენომი აღწერს სტარტაპ ეკოსისტემის განვითარების ოთხ ფაზას, გააქტიურებიდან გლობალიზაციამდე და შემდეგ მოზიდვამდე. კლასიფიკაციის მიხედვით, საქართველო ამჟამად პირველ ფაზაშია (აქტივაცია) შეზღუდული სტარტაპის ნოუ-ჰაუით, მწირი დაფინანსებითა და სტარტაპების მცირე რაოდენობით (Startup Genome 2020).

StartupBlink-მა (2022) საქართველომ 100 ქვეყნიდან 73-ე ადგილი დაიკავა გლობალური სტარტაპ ეკოსისტემის ინდექსით. რეიტინგი ეფუძნება ქვეყანაში სტარტაპების რაოდენობასა და ხარისხს და მთლიან ბიზნეს გარემოს. საქართველოს ეკოსისტემის ნაკლოვანებებს შორის არის გამოცდილი მენარმეების ნაკლებობა და შეზღუდული კერძო საინვესტიციო კაპიტალი, ისევე როგორც მცირე სამომხმარებლო ბაზარი.

ფინტექის წარმატებისთვის საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარებაა, განსაკუთრებით ინტერნეტის და მობილური კავშირის გავრცელება. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ინტერნეტთან და მობილურ ქსელთან მარტივად არის დაკავშირებული, რაც ხელს უწყობს ციფრული გადახდების, ონლაინ ბანკინგისა და მობილური აპლიკაციების სწრაფ განვითარებას (International Telecommunication Union (ITU), 2023).

თუმცა, ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში ჯერ კიდევ არსებობს ინტერნეტ-ქსელის დაბალი ხარისხი და ტექნოლოგიური მონოპოლიზაციის შეზღუდულობა, რაც აფერხებს ფინტექის სერვისების ხელმისაწვდომობას. იმისათვის, რომ ფინტექ სექტორმა სრულად გამოიყენოს თავისი პოტენციალი, საჭიროა კიდევ უფრო განვითარდეს ინტერნეტის გავრცელება და ციფრული ინფრასტრუქტურა, რაც ხელს შეუწყობს ფინანსურ ჩართულობას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (საქსტატი, 2022).

საქართველოში ფინტექ სექტორის ზრდისთვის აუცილებელია საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება და ინვესტიციების მოზიდვა. ადგილობრივ ბაზარზე არსებული მცირე ფინანსური რესურსი და ინოვაციური კაპიტალის ნაკლებობა აფერხებს სტარტაპებისა და ახალი ფინტექ პროდუქტების განვითარებას. თუმცა, უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს დიდ შესაძლებლობას სექტორისთვის, რადგან გლობალური ინვესტორები ხშირად ინტერესდებიან განვითარებადი ბაზრებით, როგორც საქართველოა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ინვესტიციების მოზიდვა, რომლებიც დაეხმარებიან სტარტაპებს ფინანსური და ტექნოლოგიური ცოდნის გაზიარებაში. ამასთან, საქართველოს სახელმწიფოს შეუძლია სტიმულირების პროგრამების შექმნით გაზარდოს ინვესტორების მოზიდვა, რაც გამოიწვევს ფინტექის სწრაფ და ეფექტურ განვითარებას (World Bank, 2022).

გლობალური ტენდენციების გავლენა ქართულ ფინტექ ბაზარზე

საქართველო აქტიურად ცდილობს გლობალურ ფინტექ ტენდენციების ადაპტირებას, თუმცა ამისთვის აუცილებელია სხვადასხვა ტექნოლოგიური და რეგულაციური სტანდარტების განახლება. გლობალურ დონეზე, ფინტექი ვითარდება სწრაფად და მოიცავს ისეთ ინოვაციურ პროდუქტებს, როგორებიცაა ციფრული ბანკები, ხელოვნური ინტელექტი (AI) ფინანსურ სერვისებში, ბლოკჩეინ ტექნოლოგიები და კრიპტოვალუტები. ეს ტენდენციები ქმნის ახალ შესაძლებლობებს არა მხოლოდ ტექნოლოგიური განვითარებისთვის, არამედ მომხმარებლის კმაყოფილების გაუმჯობესებისთვისაც. საქართველოში, რამდენიმე ფინტექ სტარტაპმა უკვე დაიწყო გლობალური სტანდარტების გამოყენება, მაგალითად, ციფრული გადახდების, ბანკინგის

და მონაცემთა დაცულობის მიმართულებით. თუმცა, ადაპტაციის ტემპი ჯერ კიდევ ნელია, რადგან ქართულ ბაზარს სჭირდება მეტი ინვესტიცია ინფრასტრუქტურულ განახლებასა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში (World Bank , 2022).

საქართველოში ფინტექის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული უცხოურ ინვესტიციებთან, რადგან ადგილობრივი კაპიტალის შეზღუდულობა და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის არარსებობა ბარიერებს ქმნის. უცხოური ინვესტიციები ფინტექში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტექნოლოგიური ცოდნის და კაპიტალის მოზიდვაში, რაც კომპანიებს საშუალებას აძლევს უფრო სწრაფად გაიზარდონ და მოერგონ გლობალურ სტანდარტებს. მაგალითად, საერთაშორისო ინვესტორებმა უკვე აჩვენეს ინტერესი საქართველოს სტარტაპ ეკოსისტემის მიმართ, განსაკუთრებით ფინტექ და კრიპტოვალუტების მიმართულებით. თუმცა, ამ ინვესტიციების გაძლიერებას ხელს უშლის რეგულაციების სიმძიმე და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის არასტაბილურობა, რაც მოითხოვს უკეთეს საინვესტიციო გარემოს და სახელმწიფო მხარდაჭერას, რათა მოხდეს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სწორი განაწილება (PwC, 2023).

დასკვნა

ფინტექის განვითარება საქართველოში სავსეა როგორც შესაძლებლობებით, ასევე გამოწვევებით. ერთ-ერთი ყველაზე დიდი შესაძლებლობა უკავშირდება ციფრული სერვისების მზარდ მოთხოვნას და გლობალური ინოვაციების ადაპტაციას. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, სტაბილური კავშირები ევროპასა და აზიასთან, და ინტერნეტის კარგი განვითარება ქმნის მყარ საფუძველს ფინტექის ზრდისთვის. თუმცა, გამოწვევები დაკავშირებულია რეგულაციების სიმკაცრესთან, კიბერუსაფრთხოების პრობლემებთან და ფინანსურ ჩართულობის დაბალ დონესთან. ამ საკითხების დაძლევა მოითხოვს სახელმწიფო და კერძო სექტორის მჭიდრო თანამშრომლობას, ინოვაციების მხარდაჭერას და სტარტაპებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას.

გლობალური ტენდენციები, როგორიცაა ციფრული ბანკინგი, კრიპტოვალუტები და ხელოვნური ინტელექტი, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქართულ ფინტექ ინდუსტრიაზე. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ფინტექის სწრაფი ზრდა და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა იწვევს ახალ შესაძლებლობებს საქართველოსთვისაც, განსაკუთრებით უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მხრივ. გლობალური სტანდარტების ადაპტაცია, ტექნოლოგიური განვითარების ხელშეწყობა და ფინანსურ ეკოსისტემაში ინოვაციური ცვლილებების ნახალისება საშუალებას მისცემს ქართულ ფინტექ სექტორს უფრო სწრაფად და ეფექტურად განვითარდეს, რაც დადებით გავლენას მოახდენს მთლიანად ქვეყნის ეკონომიკურ მდგრადობაზე.

ლიტერატურა

1. (BIS), B. f. (2022). Retrieved from <https://www.bis.org/index.htm>: https://www.bis.org/publ/othp-33_summary.pdf
2. Chang, V.; Baudier, P.; Zhang, H.; Xu, Q.; Zhang, J. & Arami, M. (2020). 'How blockchain can impact financial services—The overview, challenges and. *Tech. Forecast. Soc. Cha*, vol158, <https://doi.org/10.1016/j.techfore.2020.120166>.
3. Deloitte. (2023). *The Green Fintech Revolution: Pathways to Sustainable Finance*. Retrieved from <https://www.deloitte.com/global/en/issues/climate/financing-the-green-energy-transition.html>:

- <https://www2.deloitte.com/content/dam/Deloitte/global/Documents/deloitte-financing-the-green-energy-transition-report-2023.pdf>
4. International Telecommunication Union (ITU). (2023). *Measuring digital development*.
 5. McKinsey & Company. (2023). Retrieved from McKinsey & Company:
<https://www.mckinsey.com/capabilities/quantumblack/our-insights/the-state-of-ai-in-2023-generative-ais-breakout-year#/>
 6. McKinsey & Company. (2023). *Open Banking: Reshaping the Financial Landscape*. Retrieved from McKinsey & Company:
<https://www.mckinsey.com/~media/mckinsey/industries/financial%20services/our%20insights/global%20banking%20annual%20review%202023/the-global-banking-annual-review-2023-vf.pdf>
 7. Nakamoto, S. (2008). *Bitcoin: A Peer-to-Peer Electronic Cash System*. Retrieved from
<https://bitcoin.org/en/>: <https://bitcoin.org/bitcoin.pdf>
 8. PwC . (2023). *Global Fintech Report: Unlocking Opportunities in Emerging Markets*.
 9. Rjoub, H., Adebayo, T.S. & Kirikkaleli, D. (2023). Blockchain technology-based FinTech banking sector involvement using adaptive neuro-fuzzy-based K-nearest neighbors algorithm. *Financ Innov* 9, <https://doi.org/10.1186/s40854-023-00469-3>, 65. Retrieved from <https://doi.org/10.1186/s40854-023-00469-3>
 10. Schweitzer, M. E. & Barkley, B. . (2017). *Is "Fintech" Good for Small Business Borrowers? Impacts on Firm Growth and Customer Satisfaction*. Retrieved from Federal Reserve Bank of Cleveland Working Paper: <https://www.clevelandfed.org/publications/working-paper/wp-1701-is-fintech-good-for-small-business-borrowers>
 11. World Bank . (2022). *Fintech in Emerging Markets: Understanding the Landscape*. World Bank .
 12. World Bank. (2022). *Unlocking Investment for Fintech Growth in Emerging Markets*.
 13. World Economic Forum. (2023). *AI in Financial Services: Global Trends and Insights*. Retrieved from World Economic Forum: <https://www.weforum.org/agenda/2024/01/ai-quantum-technologies-transforming-financial-industry/>
 14. Zhang, X. W. (2022). Mobile payments: Global trends and future prospects. *Journal of Payment Systems and Strategy*,, 51-67.

FINANCIAL TECHNOLOGY TRANSFORMATION IN GEORGIA: LOCAL CHARACTERISTICS AND GLOBAL TRENDS

Ana Chkhikvadze

PhD student in economics

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

The Financial Technology (Fintech) industry is rapidly evolving worldwide, and Georgia is no exception. The growth of Fintech's digital economy is directly related to the modernization of Georgia's economic and financial sector. The impact of global trends is significant in this process, but the local market has its unique challenges and opportunities. Global fintech trends such as digital payments, mobile banking, blockchain, and open banking are impacting Georgia's financial ecosystem. However, the local market is characterized by unique factors, such as the widespread use of cryptocurrencies, the need for financial inclusion, and the

strong positions of dominant banks. Despite the growing integration of global trends, significant challenges remain for Georgia, including a lack of regulations, staff shortages, and the pace of digital transformation. The study highlights the important role of the fintech sector in the country's economic development and the opportunities that exist in terms of international investment, partnerships, and the formation of innovative start-ups. As a result, Georgia's fintech sector is an important strategic direction that requires support and an improved regulatory environment.

ეფექტიანი დასაქმების პერსპექტივები საქართველოში ბიზ-ეკონომიკის განვითარებისა და ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში

მურმან ცარციძე
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტი
murman.tsartsidze@tsu.ge
577-51.52.57

ანოტაცია

მიმდინარე გლობალიზაციისა და ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში საქართველოში მასობრივი, ქრონიკული უმუშევრობის არსებობა კვლავ ყველაზე მწვავე, გლობალური ხასიათის პრობლემას, გამოწვევას წარმოადგენს. უფრო მეტიც ქვეყანაში არსებული ქრონიკული უმუშევრობა აღიარებულია, როგორც სიღარიბის გამომწვევი ძირითადი ფაქტორი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივია შრომითი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება შეუძლებელი იქნება უმუშევრობის დაძლევისა და ქვეყნის მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფის გარეშე. მეორე მხრივ, შრომის ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირების მიმდინარე ეტაპზე სწორედ ეფექტიანი დასაქმება წარმოადგენს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისა და ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს, განსაკუთრებით გიგ-ეკონომიკის განვითარებისა და ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში.

ნაშრომის მიზანია-შრომის ბაზრის და საერთოდ სოციალურ-შრომითი ურთიერთობების სფეროში მიმდინარე ცვლილებების, ტენდენციების, მისი განვითარების თავისებურებების შესწავლა, რომელსაც ადგილი აქვს თანამედროვე ციფრული სამუშაო პლატფორმების გამოყენების შედეგად და ეფექტიანი დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებათა სისტემის შემუშავება.

ნაშრომში გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის მეთოდები. განსაკუთრებით ეკონომიკური და მათემატიკურ-სტატისტიკური ანალიზის მეთოდები.

საკვანძო სიტყვები: ეფექტიანი დასაქმება, ციფრული ტრანსფორმაცია, გიგ-ეკონომიკა, ეკონომიკური ზრდა, განვითარება.

შესავალი

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, როდესაც მთელ მსოფლიოში ინტენსიურად მიმდინარეობს ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაციის პროცესი, ეკონომიკური განვითარების მიზნებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანისეული კაპიტალის განვითარებასა და მოქნილი შრომის ბაზრის ფორმირებას, რაც უზრუნველყოფს შრომის ბაზრის სუბიექტების ინტერესების ოპტიმალურ რეალიზაციას. „მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ბოლო პერიოდში გატარდა ფუნდამენტური ეკონომიკური რეფორმები, კვლავაც მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ეკონომიკის სტრუქტურული პრობლემები და შრომის ბაზრის არასაკმარისი განვითარება, რაც, თავის მხრივ, ისეთ პრობლემებს უკავშირდება, როგორიცაა უმუშევრობა, სიღარიბე, უთანასწორობა, არალეგალური შრომითი მიგრაცია“ **[დადგენილება N662, 2023]**. შრომის ბაზრის განვითარება უპირველეს ყოვლისა გულისხმობს დასაქმების პრინციპულად

ახალი ფორმების ათვისებასა და პერსონალის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას. აღნიშნულის აუცილებლობა განპირობებულია იმითაც, რომ მიმდინარე გლობალიზაციის პროცესში საგრძნობლად იზრდება ციფრული ტექნოლოგიების როლი შრომის ბაზრისა და სოციალურ-შრომითი ურთიერთობების რეგულირების სფეროში, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამ უკანასკნელის შინაარსსა და ხასიათზე. ეს კი თანამედროვე კომპანიებისაგან მოითხოვს დასაქმებისა და მენეჯმენტის პრობლემებისადმი ტრადიციული მიდგომების საფუძვლიან გადახედვას, გადასინჯვას და თანმიმდევრულ ინტეგრაციას ამ აბსოლუტურად ახალ ციფრულ სივრცეში. მეორე მხრივ, ციფრული ტექნოლოგიების განვითარება ადექვატურ ასახვას პოულობს დასაქმების დარგობრივ და პროფესიულ-კვალიფიკაციურ სტრუქტურაზე. გარკვეული პროფესიების დაძვლებასთან ერთად ჩნდება ახალი, უფრო თანამედროვე პროგრესული პროფესიები. ანუ სულ უფრო მეტად ვითარდება შრომის ინტელექტუალიზაციის, უნიკალიზაციისა და უნივერსალიზაციის პროცესი, სადაც ბუნებრივია ჩნდება მზარდი მოთხოვნა ახალ უნარ-ჩვევებსა და კომპეტენციებზე, რომელიც აუცილებელია ციფრული სამუშაო პლატფორმების გამოყენებით მუშაობის პროცესში. ბოლო პერიოდში 15 სვადასვა ქვეყანაში (არგენტინა, ბრაზილია, ინდოეთი, იაპონია, აშშ, ბელგია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, უნგრეთი, იტალია, ნიდერლანდები, ესპანეთი, შვედეთი, გაერთიანებული სამეფო) განხორციელებული კვლევების შედეგად დადგინდა რომ, მიმდინარე პერიოდში ძალზე მნიშვნელოვანია: თანამედროვე მომუშავეთა ტრანსფორმაციის ახალი ტიპის ფორმირება; დასაქმების შესაბამისი ფორმების, მომუშავეთა საჭირო უნარ-ჩვევების მოძიება და ფორმირება, რომელიც აუცილებელია ინფორმაციული საზოგადოების პირობებში მათი ეფექტიანი დასაქმებისათვის [file:///D:/Downloads/ef1658en.pdf]. აღნიშნული დასტურია ისიც, რომ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2020 წლის ანგარიშის მიხედვით. „2025 წელს ანალიტიკური აზროვნება, კრეატიულობა და მოქნილობა ყველაზე მოთხოვნილი და აუცილებელი უნარები იქნება“ [WEF_Future_of_Jobs_2020.pdf (weforum.org)].

ეფექტიანი დასაქმება და მასზე მოქმედი ფაქტორები საქართველოში

თანამედროვე შრომის ბაზარი მონოდებულია უზრუნველყოს შრომითი პოტენციალის მაქსიმალური რეალიზაცია დასაქმების სხვადასხვა ფორმების გამოყენების მეშვეობით, სადაც პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება სამუშაო ძალის რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების შესაბამისობას დამსაქმებლისა და შესასრულებელი სამუშაოს მოთხოვნებთან. შესაბამისად თანამედროვე გლობალური დასაქმების კონცეფცია დასაქმების პრობლემებისადმი ახლებურ (გლობალურ) მიდგომას აყალიბებს, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ეკონომიკურად და სოციალურად სასარგებლო შრომით საქმიანობაში შრომის ასაკის ყველა პირის ჩაბმას ენიჭება და იგი ტრადიციულთან ერთად მოქნილი (არატიპური) დასაქმების ფორმების გამოყენებას ითვალისწინებს. მართლაც ეკონომიკური განვითარების მიმდინარე ეტაპზე საქართველოში „დასაქმება სიღარიბის დაძლევისა და მოსახლეობის სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფის ხელშეწყობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რამაც წვლილი უნდა შეიტანოს ქვეყნის ინკლუზიური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნის მიღწევაში“ [დადგენილება N662, matsne.gov.ge]. ჩვენი აზრით, დღეს ქვეყანაში არსებული რეალური სოციალურ-ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, ყველაზე არსებითი მნიშვნელობა ღირსეულ, მაღალმწარმოებლურ, ეფექტიან შრომას, დასაქმებას უნდა მიენიჭოს. ამიტომ, შემთხვევითი არაა, რომ თანამედროვე პირობებში პრიორიტეტული ხდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი „ღირსეული შრომა-ადამიანის კეთილდღეობისა და ქვეყნის განვითარების საფუძველი“ [ცარციძე, 2019:85]. აღნიშნული პრინციპის რეალიზაცია კი უპირველეს ყოვლისა საჭიროებს ცივილიზებული, თანამედროვე შრომის ბაზრის

ადეკვატური სოციალურ-შრომითი ურთიერთობების ფორმირებას, სოციალური სამართლიანობის, სოციალური პარტნიორობის სისტემის დამკვიდრებას, ადამიანური კაპიტალის განვითარებას, მისი ხარისხის ამაღლებას. სწორედ ეს უკანასკნელი უნდა გახდეს ქვეყნის ეკონომიკური მოდერნიზაციისა და ინოვაციური განვითარების უმთავრესი ამოცანა. ხოლო „ეფექტიანი დასაქმება უნდა გახდეს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისა და ცხოვრების დონის ამაღლების საფუძველი“ [Tkemaladze, 2017]. ღირსეული, ეფექტიანი შრომის განმსაზღვრელი უმთავრესი ინდიკატორი ღირსეული ხელფასი, შრომის ანაზღაურებაა¹. ორივეს მიღწევის საფუძველი კი ეფექტიანი დასაქმება და დაბალანსებული, წონასწორული შრომის ბაზარია. სწორედ ამიტომაც, რომ ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში ეფექტიან დასაქმებაზე ორიენტირებული პოლიტიკისა და დასაქმების სფეროს რეგულირების მთავარი კრიტერიუმი და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი. თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში არ არსებობს „ეფექტიანი დასაქმების“ კონცეფციის ერთიანი ინტერპრეტაცია. მაგალითად, ძირითადად მასში მოიაზრება მოსახლეობის ისეთი დასაქმება, რომელიც უზრუნველყოფს ღირსეულ ეკონომიკურ შემოსავალს, ჯანმრთელობას, საგანმანათლებლო და პროფესიული-კვალიფიციური ცოდნის დონის ამაღლებას, პიროვნულ განვითარებას, შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას და სხვა, რომელიც განხილულია ორი ასპექტით: ეკონომიკურით. ეკონომიკური ასპექტი გულისხმობს შრომითი პოტენციალის განვითარებას, მის რაციონალურ გამოყენებას, ხოლო სოციალური ითვალისწინებს მომუშავეთა ინტერესების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას. ჩენი აზრით აუცილებელია მომუშავეთა საქმიანობის სარგებლიანობა, ეფექტიანობა შეფასდეს არა მარტო მისი, არამედ დამსაქმებლისა და სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე (იხ. სქემა-1). წინააღმდეგ შემთხვევაში დასაქმება ვერ იქნება ეფექტიანი, ვინაიდან აღნიშნული სუბიექტების ჩართულობისა და მათი ინტერესების გათვალისწინების ობიექტური აუცილებლობა განპირობებულია ინოვაციური ეკონომიკის განვითარებისა და გლობალიზაციის პროცესში მიმდინარე ციფრული ტრანსფორმაციის შედეგად.

სქემა 1

ეფექტიანი დასაქმების კრიტერიუმები შრომის ბაზრის ძირითადი სუბიექტების ინტერესების გათვალისწინებით

სუბიექტი	კრიტერიუმები
მომუშავეთა-თვის	სტაბილური და პერსპექტიული სამუშაო. შესასრულებელი სამუშაოს მოთხოვნების სრული შესაბამისობა მომუშავეთა პროფესიულ-კვალიფიკაციურ დონესთან, მის შინაგან მოთხოვნილებასთან
	ღირსეული, სტაბილური შრომის ანაზღაურება, რომელიც სრულად შეესაბამება მომუშავეთა კვალიფიკაციას, შრომის დანახარჯებს, ინტენსივობას, ხარისხს და მისი რეგულირება, ზრდა ხორციელდება პერიოდულად კომპანიის საქმიანობის ეფექტიანობისა და ინფლაციის ტემპების შესაბამისად
	მომუშავეთა მოთხოვნის შესაბამისი შრომის პირობების (შრომისა და სამუშაო ადგილის რაციონალური ორგანიზაცია, სამუშაო ადგილის აღჭურვი-

¹ ღირსეული ხელფასი გულისხმობს მომუშავეთა შრომის ანაზღაურების ისეთ დონეს, რომელიც უზრუნველყოფს მომუშავეთა და მისი ოჯახის წევრების ეკონომიკურ თავისუფლებას, ქმნის სოციალური დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემების ფორმირების საფუძველებს, ხელს უწყობს პიროვნების განვითარებას, დასვენებას, მსოფლიოს ცივილიზაციის თანამედროვე მიღწევების გამოყენებას, ხორციელდება შრომის შედეგების მიხედვით განაწილების ყველაზე სამართლიანი პრინციპის „თანაბარი ანაზღაურება თანაბარი შრომისათვის“ საფუძველზე და ნორმალური, ღირსეული (და არა მომუშავეთათვის დამორგუნ-ველი) სამუშაო გარემოს პირობებში.

	ლობა, სრულყოფილი ტექნოლოგია, შენობა-ნაგებობების, მოწყობილობათა გამართულობა, სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, ესთეტიკური გარემო, პროფესიული უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სხვა) არსებობა
	კომპანიის პერსონალს შორის ჯანსაღი სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატისა და კორპორაციული კულტურის მაღალი დონის არსებობა
	შრომის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა
	კარგი დამოკიდებულება კომპანიისა და ქვედანაყოფის ხელმძღვანელ პირებთან
	კვალიფიკაციის ამაღლებისა და შესაბამისი სპეციალური, პროფესიული თუ უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა კომპანიის დახმარებით
	სამსახურებრივი კარიერის დაგეგმვა და პირადი ინტერესების, მიზნების შესაბამისად დაწინაურება დამსახურების მიხედვით
	შრომის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად არსებული სოციალური გარტიების (შვებულება, ბიულეტენი, დახმარება, ჯანმრთელობის დაზღვევა და სხვა) უზრუნველყოფა
	შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ეფექტიანი სისტემის არსებობა. წლის საბოლოო შედეგებისა და წამსახურევი წლების მიხედვით მომუშავეთა სტიმულირება.
	სახლიდან სამსახურამდე და პირიქით ტრანსპორტირების დროისა და ხარჯების ოპტიმიზაცია
კომპანიისათვის	მომუშავის ცოდნის, განათლების, პროფესიულ-კვალიფიციური დონის სრული შესაბამისობა სამუშაოს მოთხოვნებთან
	შრომის ეფექტიანობისა და მწარმოებლურობის მაღალი დონე
	მომუშავის მხრიდან მაქსიმალური შრომითი ძალისხმევის გამოჩენა კომპანიის ინტერესების, მიზნის შესაბამისად
	მომუშავის შრომითი საქმიანობის შედეგების წახალისების, ანაზღაურების დასაბუთება კომპანიის საქმიანობის საბოლოო შედეგების შესაბამისად
	წარმოების განვითარების უზრუნველყოფა
სახელმწიფოსათვის	მთლიანი სამამულო პროდუქტის (მსპ), ეროვნული შემოსავლის ზრდა
	საზოგადოებისათვის სასარგებლო პროდუქციის, სამუშაოს, მომსახურების წარმოება
	სამეცნიერო-ტექნიკური განვითარება
	შრომის ბაზარზე დაძაბულობის ხარისხის შემცირება
	მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა მათი პროფესიულ-კვალიფიციური დონის ამაღლების შედეგად

მაშასადამე, ეფექტიანი დასაქმების მნიშვნელოვანი კრიტერიუმი შრომის ბაზრის სამივე სუბიექტის (სახელმწიფო, დასაქმებული, დამსაქმებელი) მხრიდან არის მომუშავეთა პროფესიულ-კვალიფიციური დონე, რომელიც სრულად უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს, მიმდინარე ციფრული ტრანსფორმაციისა და ინოვაციური ეკონომიკის განვითარების პირობებში. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში ცვლადი ეკონომიკური ვითარების პირობებში დასაქმება ნამდვილად არ არის ეფექტიანი და ზემოაღნიშნული კრიტერიუმების შესაბამისი, რაზეც მეტყველებს შრომის ბაზრის მიმდინარე მახასიათებლები, რომელთაგან მიზანშეწონილია გამოვყოთ: უმუშევრობისა და სიღარიბის მაღალი დონე და მასშტაბები; ეროვნული მეურნეობის რიგ დარგებში შრომის მწარმოებლურობის დაბალი დონე; მოთხოვნის ზრდა სხვადასხვა პროფესიისა და სპეციალობის მაღალკვალიფიციურ სამუშაო ძალაზე, განსაკუთრებით კი უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებზე; ფარული უმუშევრობისა და

არაფორმალური დასაქმების მაღალი დონე; ადამიანური კაპიტალის განვითარების არასათანადო დონე და ხარისხი; მასობრივი შრომითი ემიგრაცია; შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის პრობლემები, ხელფასის დაბალი დონე და მისი ძირითადი ფუნქციების შესუსტება; შემოსავლების დიფერენციაციის მაღალი დონე; ქვეყანაში სოციალური დაცვისა და უზრუნველყოფის სისტემის განუვითარებლობა; შრომის ბაზრის ერთიანი ინფრასტრუქტურისა და საინფორმაციო სისტემის განუვითარებლობა და სხვა [ცარციძელ, 2023:304]. გარდა აღნიშნულისა შრომის ბაზარი ვერ უზრუნველყოფს: შრომითი პოტენციალის რაციონალური გამოყენებასა და განვითარებას; სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევას; დასაქმების სფეროში სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვას; სამუშაოს მაძიებელთათვის დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების შექმნას; სოციალური პარტნიორობის სისტემის განვითარებას; შრომაზე თანაბარი უფლებების რეალიზაციას; უმუშევართა სოციალური დაცვის მექანიზმის ფორმირებას და სხვა.

როგორც აღვნიშნეთ, შრომის ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირების მიმდინარე ეტაპზე საქართველოში მასობრივი, ქრონიკული უმუშევრობის მაღალი დონე და მასშტაბები არსებით ზეგავლენას ახდენს ეფექტიან დასაქმებასა და შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ოფიციალური მონაცემებით 2000-2019 წლებში მისი დონე ქვეყანაში 10.3%-დან (2000 წელი) 11.6%-მდე მერყეობდა (2019 წელი), ხოლო მაქსიმალურ დონეს-16.9%-ს – 2009 წელს მიაღწია. რაც შეეხება 2021-2023 წლებს, უმუშევრობის დონე შემცირების ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ, თუ იგი 2021 წელს წინა წელთან შედარებით 2.1%-ით გაიზარდა და 20.6% შეადგინა, 2022 წელს 18.1%-მდე, ანუ 2.5%-ით, ხოლო 2023 წელს 16.4%-მდე შემცირდა (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით საქართველოში 2000-2023 წლებში

მაჩვენებლები	2000	2009	2015	2020	2021	2022	2023
1. სულ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა	2049.2	1991.8	2021.5	1523.7	1533.6	1551.5	1596.3
1.1. დასაქმებული	1837.2	1656.1	1779.9	1241.8	1217.4	1269.9	1334.6
ა) დაქირავებული	683.9	596.0	753.4	845.3	829.4	867.9	920.4
ბ) თვითდასაქმებული	1041.2	1059.0	1018.1	395.9	387.1	401.2	413.6
გ) გაურკვეველი	112.1	1.2	8.4	0.7	0.9	0.8	0.5
1.2. უმუშევარი	212.0	335.6	241.6	281.9	316.2	281.6	261.7
2. მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	1092.3	1139.3	958.3	1494.8	1476.7	1458.9	1400.8
უმუშევრობის დონე	10.3%	16.9%	12.0%	18.5%	20.6%	18.1%	16.4%
აქტიურობის დონე	65.2%	63.6%	67.8%	50.5%	50.9%	51.5%	53.3%
დასაქმების დონე	58.5%	52.9%	59.7%	41.1%	40.4%	42.2%	44.5%


წყარო: შედგენილია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე. დასაქმება და უმუშევრობა – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (geostat.ge).

დასაქმების ეფექტიანობაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს შრომის მწარმოებლურობის დაბალი დონე, რომელიც განსაკუთრებით საგრძნობია, ისეთ მნიშვნელოვან დარგში, როგორიცაა სოფლის მეურნეობა. სწორედ იგი ითვლება ყველაზე დაბალმწარმოებლურ დარგად ქვეყანაში. ასე მაგალითად, 1990 წლის ჩათვლით საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 695.0 ათასი კაცი (საერთო დასაქმებულთა 25.2%) დარგი აწარმოებდა მსპ-ის 29.8%-ს, რაც შეადგენდა 4454.0 მლნ. მანეთს [Царцидзе М... 2020:158]. 2023 წელს კი მთლიანად ეკონომიკაში დასაქმებული 1334.6 ათასი კაციდან სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 220.7 ათასი კაცი, ანუ 16.5%, რომელმაც აწარმოა მსპ-ის მხოლოდ 6.0%. მაშასადამე, თუ 2023 წელს, 1990 წელთან შედარებით, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრითი წონა 25.2%-დან 16.5%-მდე, ანუ მხოლოდ 8.7%-ით შემცირდა მსპ-ის მთლიან მოცულობაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხვედრითი წონა 29.8%-დან 6.0%-მდე, ანუ 23.8%-ით შემცირდა.

დასაქმების ეფექტიანობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანისეული კაპიტალის განვითარების დონე, განათლების ხარისხი და კვალიფიციური კადრების არსებობა. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია საფუძვლიანად იქნას შესწავლილი თვით ადამიანისეული კაპიტალის ცვლილებები, რომლებიც ხდება დროის მოთხოვნის, მათ შორის ციფრული ტრანსფორმაციის შედეგად. ამ კუთხით ადამიანისეული კაპიტალის მნიშვნელოვანი კომპონენტია ციფრული ტექნოლოგიების ცოდნა. არანაკლებ მნიშვნელოვანი ასპექტია ცვილება თვით შრომის ხასიათში, შინაარსში, რაც უკავშირდება როგორც დაგროვილი პოტენციალის რეალიზაციის ახალ შესაძლებლობებს, ასევე მოსალოდნელ რისკებს. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე იყო, რომ საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის ეროვნული სტრატეგიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო „ადამიანისეული კაპიტალისა და პროდუქტიულობის განვითარებას, მთელი ცხოვრების მანძილზე განათლებას [დადგენილება N662, matsne.gov.ge]. საქართველოში ადამიანისეული კაპიტალის განვითარების დონეს და ხარისხს მნიშვნელოვნად ახასიათებს-ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი (აპგი HDI). ასე მაგალითად, 2010 წლიდან საქართველო აღნიშნული ინდექსის დონის მიხედვით (0.759) განვითარების მაღალი დონის ქვეყნებს მიეკუთვნებოდა და მსოფლიოს გაეროს წევრი 187 ქვეყნიდან 75-ე ადგილზე იმყოფებოდა. რაც შეეხება ბოლო პერიოდს, აპგი-ის მნიშვნელობა საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2021, 2022 და 2023 წელს უკვე საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია (შესაბამისად 0.802, 0.812 და 0.816). შედეგად 191 ქვეყანას შორის საქართველო ჯერ 63-ე ადგილს (2021 წელი) ხოლო შემდეგ კი 61-ე ადგილს (2022 წელი), ხოლო 2023 წელს 58 ადგილს იკავებს (იხ. სქემა 2).

აღნიშნულის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსის (HDI) მნიშვნელობა საქართველოში ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალია განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით და იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ზოგიერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის მაჩვენებლებსაც კი. მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში HDI-0.82-ს მნიშვნელობით, 49-ე ადგილს იკავებს. ბალტიისპირეთის ქვეყნებში აპგი-ის დონე კიდევ უფრო მაღალია და იგი რეიტინგის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: ესტონეთი 0.890 (30-ე ადგილი); ლიტუენია 0.875 (34 ადგილი) და ლატვია 0.863 (37 ადგილი) [ცარციძე..., 2024:315].

**ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი (HDI-აპგი)
საქართველოში 2000–2023 წლებში და მისი რეიტინგი**



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და სხვადასხვა ინტერნეტ რესურსების გამოყენებით. *Human Development Index (HDI) by Country 2023 (worldpopulationreview.com)*. *United Nations Development Programme. Human Development Report 2020. Georgia. GEO.pdf (undp.org)* *HDR21-22_Statistical_Annex_HDI_Table.xlsx (live.com)*. *HDI World Ranking 2022 – Eamond*.

ინდუსტრიული ეკონომიკიდან ციფრულ ეკონომიკაზე გადასვლა საფუძვლიანად ცვლის შრომითი ურთიერთობების არა მარტო რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ მახასიათებლებს. თანამედროვე ციფრული სამუშაო პლატფორმები განიხილება როგორც დასაქმების ახალი ფორმებისა და ახალი შესაძლებლობების რეალიზაციის მექანიზმი, რომელიც ციფრული ტექნოლოგიებში მიღწეული პროგრესის შედეგად ხელს უწყობს გიგ-ეკონომიკის მნიშვნელოვან განვითარებას. ეს უკანასკნელი თავისუფალ საბაზრო სისტემასთან დაკავშირებული დროებითი, მოკლევადიანი კონტრაქტების ეკონომიკაა, რომელსაც საფუძვლად უდევს დამოუკიდებელ (არასამტატო) მომუშავეთა შრომა. იგი დაკავშირებულია მოქნილი, დროებითი, სწრაფი და თავისუფალი სამუშაო ადგილების გამოყენებასთან, სადაც ურთიერთობაში შედის სამი ძირითადი სუბიექტი: დამოუკიდებელი მომუშავეები; კონკრეტული სახეობის მომსახურების მომხმარებლები და საშუამავლო კომპანიები [ცარციძე..., 2023:215]. აღნიშნულიდან გამომდინარე, გიგ-ეკონომიკის განვითარება განიხილება, როგორც ეფექტიანი დასაქმების ზრდისა და ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი.

დასკვნები და ძირითადი დებულებები:

1. ვინაიდან თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში არ არსებობს „ეფექტიანი დასაქმების“ კონცეფციის ერთიანი ინტერპრეტაცია, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მისი ეკონომიკუ-

რი და სოციალური შინაარსის სიღრმისეულად გაცნობიერების მიზნით იგი განხილულ იქნას არა მარტო მომუშავის, არამედ დამსაქმებლისა და სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე. აღნიშნული სუბიექტების ჩართულობისა და მათი ინტერესების გათვალისწინების ობიექტური აუცილებლობა განპირობებულია ინოვაციური ეკონომიკის განვითარებისა და გლობალიზაციის პროცესში მიმდინარე ციფრული ტრანსფორმაციის შედეგად;

2. მიმდინარე გლობალიზაციის ეპოქაში ციფრული ეკონომიკის, ანუ საინფორმაციო ციფრული ტექნოლოგიების განვითარება („გაციფრულება“) მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს დასაქმების ეფექტიანობაზე. ამიტომ პრინციპული მნიშვნელობა აქვს შეიქმნას ახალი კონცეპტუალური მიდგომები ადამიანისეული კაპიტალის, შრომითი პოტენციალის ხარისხობრივი სრულყოფისა და განვითარების მიმართულებით მისი კვლავწარმოების ყველა სტადიის (ფორმირება, განაწილება, გაცვლა, გამოყენება) შესაბამისად;

3. დასაქმების ეფექტიანობაზე ციფრული სამუშაო პლატფორმების ზემოქმედება განპირობებულია შემდეგი გარემოებებითაც: ონლაინ-პლატფორმებზე გადასვლის შედეგად იზრდება ორგანიზაციის მოქნილობა და ადაპტირება სწრაფ ცვალებად ეკონომიკურ კონიუნქტურასთან მიმართებაში; ციფრული ტექნოლოგიები, სამუშაო პლატფორმები მნიშვნელოვნად აფართოებენ თვითდასაქმების შესაძლებლობებს, მოქნილი სამუშაო გრაფიკით, მუდმივი სამუშაო ადგილის გარეშე, ნებისმიერი ონლაინ-პლატფორმის გამოყენებით; იგი ასევე აფართოებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების (ახალგაზრდები, ქალები, პენსიონერები, ინვალიდები) ასევე რაიონში მცხოვრები მოსახლეობის დასაქმების პერსპექტივებს; ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებისას, დროითი და ტერიტორიული საზღვრების არარსებობის შედეგად ყალიბდება სამუშაო ძალის ფასის ფორმირების ახალი გლობალური, ჯაჭვი, სქემა; მიმდინარე პერიოდში იგი განიხილება როგორც დასაქმების ახალი ფორმებისა და ახალი შესაძლებლობების რეალიზაციის მექანიზმი, რომელიც ციფრული ტექნოლოგიებში მიღწეული პროგრესის შედეგად ხელს უწყობს გიგ-ეკონომიკის მნიშვნელოვან განვითარებას; ხელს უწყობს ადამიანისეული კაპიტალის განვითარებას ციფრული უნარებისა და შესაძლებლობების გაძლიერებას, რაც ინდივიდს აძლევს ციფრულ გარემოსთან ინტერაქციის საშუალებას; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენებით იქმნება ადამიანისეული კაპიტალის განვითარებისა და რეალიზაციის პრინციპულად ახალი შესაძლებლობები;

4. სხვა ფაქტორებთან ერთად ეფექტიანი დასაქმების საფუძველია-შრომის რაციონალური ორგანიზაცია, რომელიც თანამედროვე გაგებით გულისხმობს: სამუშაო ადგილების აღჭურვას მაღალი ტექნოლოგიებითა და უსაფრთხოების სტანდარტების შესაბამისად; პერსონალის შერჩევასა და განთავსებას პროფესიულ-კვალიფიკაციური დონის, ნიშნისა და მოთხოვნების მიხედვით; შრომის ნორმირებას და ინტენსივობას, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო დროის, მომუშავის ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების ეფექტიან გამოყენებას; მომუშავეთა სოციალურ-ეკონომიკურ სტიმულირებას ინტელექტუალური და შრომითი პოტენციალის ამაღლებაში, ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში, პროფესიულ ზრდასა და განვითარებაში. გარდა აღნიშნულისა, თანამედროვე შრომითი ცხოვრების ხარისხის კონცეფცია, რომელიც წარმოადგენს შრომის ორგანიზაციის თეორიის საფუძველს, გულისხმობს მიმდინარე პერიოდში შემდეგი აუცილებელი ღონისძიებების გატარებას: შრომის რაციონალური დანაწილებისა და კოოპერაციის მიღწევა; შრომის ადეკვატური და სამართლიანი ანაზღაურება; შრომის უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფა და დასაქმებულთა ჯანმრთელობის დაცვა; მომუშავის პირადი უნარის გამოყენება და განვითარება; პროფესიული ზრდის შესაძლებლობათა უზრუნველყოფა და დასაქმების გარანტიების არსებობა; შრომითი კოლექტივის სოციალური ინტეგრაცია; შრომითი და ოჯახური ვალდებულებების შესრულება. ამასთან ერთად თანამედროვე მეცნიერთა ნაწილი და მოტივაციის ზოგიერთი თეორიები უპირატესობას ანიჭებენ მორალურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის ურთიერთობებს, ურთიერთკავშირს და ჯანსაღი მიკროკლიმატის შექმნას, რაც ხელს უწყობს, როგორც კონკრეტული

პიროვნების სარგებლიანობის, ისე ზოგადად საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ეფექტიანობის ზრდას;

5. მიმდინარე გლობალიზაციისა და ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში, სწორედ ეფექტიანი დასაქმება, შრომითი პოტენციალის, ადამიანისეული კაპიტალის განვითარება და შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის ნონასწორობის დამყარება, დაბალანსება წარმოადგენს ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას, საფუძველს. აღნიშნული ამოცანების გადასაწყვეტად სახელმწიფოს მხიდან საჭირო იქნება როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური, ადმინისტრაციული და საინფორმაციო ხასიათის ფაქტორების გათვალისწინება;

6. დასაქმების ეფექტიანობის შეფასების მიზნით მიზანშეწონილია საყოველთაოდ აღიარებულ განზოგადოებულ მაჩვენებლებთან ერთად გამოვიყენოთ ისეთი სპეციფიკური მაჩვენებლები როგორიცაა: მომუშავეთა შრომის მწარმოებლურობა; საწარმოს დონეზე სამუშაო ძალის გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებლები (პერსონალის რენტაბელობა, კადრების დენადობის, ბრუნვადობის კოეფიციენტი და სხვა); საწარმოო პერსონალის პროფესიულ-კვალიფიკაციური სტრუქტურა; შრომის ინტელექტუალიზა-ციისა და გაციფრულების ხარისხი და სხვა. ეს უკანასკნელი ახასიათებს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების დონეს კომპანიაში;

7. ეფექტიანი დასაქმების მიღწევის მიზნით უნდა გავითვალისწინოთ, რომ შრომის ბაზარზე სულ უფრო სწრაფად იზრდება მოთხოვნები პერსონალის პროფესიული მომზადების დონისადმი, კომპიუტერული, საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნისა და წარმოების პროცესში ინოვაციების დანერგვის უნარების განვითარების მიმართულებით. მიმდინარე ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში პერსონალი ფასდება არა მხოლოდ ისეთი თვისებებით როგორიცაა პასუხისმგებლობა, მიზანდასახულობა, შრომისმოყვარეობა, არამედ დღეს განსაკუთრებული ყურადღება შემოქმედებითობასა და კრეატიულობას ექცევა. აქ გადამწყვეტია საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრი როლი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს: შრომის ბაზრის მიმდინარე მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციური კადრების მომზადება, რომელიც აკმაყოფილებს ცივილიზებული შრომის ბაზრის მოთხოვნებს; ინოვაციური პროექტების განხორციელება სამეცნიერო და ტექნიკურ სფეროში, შესაბამისი კვლევების განხორციელება და მათი შედეგების წარმოებაში დანერგვა; ინოვაციური პროექტების გამოყენება სპეციალისტების მომზადებაში; ინოვაციური და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარება.

ლიტერატურა

1. ბედიანაშვილი გ. ცარციძე მ. მიქელაძე ნ. გაბროშვილი ზ. თანამედროვე გლობალიზაცია, ადამიანისეული კაპიტალი და ეკონომიკური ზრდა საქართველოში: მაკრო-ასპექტი. ჟურნალი „ეკონომისტი“, „Ekonomisti“ N3, ტომი XIX 2023 წელი. გვ. 60-84. ekon3-2023.pdf (tsu.ge);
2. ლოპუზანიძე მ. უმუშევრობა ახალგაზრდებში და პროფესიული ორიენტაციის მნიშვნელობა. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“.
3. პაპავა ვ. საქართველოს ეკონომიკის ძირითადი გამოწვევები კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში. საქართველოს ეკონომისტთა მე-5 ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული „საქართველოს ეკონომიკის პოზიციონირება კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში“ (8 სექტემბერი, 2023 წელი). თბილისი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, 2023;
4. პაპავა ვ. ინოვაციურ საქმიანობაში ადამიანისეული ფაქტორის გააქტიურების ძირითადი მიმართულებები ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. პაატა გუგუშვილის ეკონო-

- მიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, XII. თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2019.
5. ტუხაშვილი მ. მიგრაციული პროცესები საქართველოში მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, თსუ, თბილისი, 2022 წელი;
 6. ტყემალაძე ი. „დისტანციური დასაქმების თავისებურებები საქართველოში“, ჟურნალი „ეკონომიკა, ბიზნესი და ადმინისტრირება“, გორი, 2022. <http://sciencejournals.ge/-index.php/bu/article/view/306>;
 7. შელია მ. საქართველოს სტუდენტობა: სოციალურ-შრომით და დემოგრაფიულ პრიზმაში. „უნივერსალი“ თბილისი 2022 წელი.
 8. ცარციძე მ. დისტანციური დასაქმების განვითარების პერსპექტივები საქართველოში კორონომიკის პირობებში. გლობალიზაცია და ბიზნესი, N10, გვ. 138-149. 2020 წელი. <https://doi.org/10.35945/gb.2020.10.017>;
 9. ცარციძე მ. ლაცაბიძე ნ. შრომის ბაზარი და სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ცვლილების ტენდენციები საქართველოში თანამედროვე გლობალური კრიზისის პირობებში. თსუ-ის 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციას: „მსოფლიო ეკონომიკა პოსტპანდემიურ პერიოდში: შედეგები და გამოწვევები“. თბილისი, 02 თებერვალი, 2023 წელი. (3) (PDF) Macrosystem Socio-Economic Challenges of the Post-Pandemic Period | პოსტპანდემიური პერიოდის მაკროსისტემური სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები ([researchgate.net](https://www.researchgate.net));
 10. ცარციძე მ. გაბადაძე შ. ადამიანისეული კაპიტალის განვითარების თავისებურებები თანამედროვე შრომის ბაზარზე ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში. თსუ-ის ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია. მწვანე ეკონომიკა და მდგრადი განვითარება. 8 თებერვალი, 2024;
 11. ცარციძე მ. გაბადაძე შ. გიგ-ეკონომიკა (Gig Economy) და მისი განვითარების ტენდენციები საქართველოში თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში. საქართველოს ეკონომისტის დღისადმი მიძღვნილი V ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია “საქართველოს ეკონომიკის პოზიციონირება კონფერენტაციული გლობალიზაციის პირობებში”. თბილისი 08 სექტემბერი, 2023 წელი. გვ. 213-224. V_ეროვნული_სამეცნიერო_კონფერენციის_კრებული-_ISBN_Doi.pdf (gruni.edu.ge)
 12. ცარციძე მ. ეფექტიანი დასაქმება-ადამიანის კეთილდღეობისა და ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი საქართველოში. ჟურნალი „ეკონომისტი“, “Ekonomisti” N2, 2019წ. ელ. ვერსია. E ISSN 2346-8432 Print ISSN 1987-6890. <http://ekonomisti.tsu.ge/doc/2-2019.pdf>
 13. ხარაიშვილი ე. ციფრული ტრანსფორმაციის ტენდენციები და პერსპექტივები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ N3, 2023 წელი. გვ. 223. http://eb.tsu.ge/doc/econ_biz_3_2023.pdf;
 14. Eurofound and the International Labour Office (2017), Working anytime, anywhere: The effects on the world of work, Publications Office of the European Union, Luxembourg, and the International Labour Office, Geneva. file:///D:/Downloads/ef1658en.pdf;
 15. Shelia Mzia & Tukhashvili Mirian. Formation and Employment of the Retirement Age Workforce in Post-Soviet Georgia. Complex Social Systems in Dynamic Environments pp 333–345. https://link.springer.com/chapter/10.1007/978-3-031-23856-7_31.
 16. Tukhashvili M., Tsibadze M., Lobzhanidze M.(2023). THE OSSETIAN DIASPORA IN GEORGIA: DEMOGRAPHIC CONSEQUENCES OF OCCUPATION AND SEPARATISM. Proceedings of 10th International scientific and practical conference “Science and technology: problems, prospects and innovations” (July

- 6-8, 2023) CPN Publishing Group, Osaka, Japan. 2023, <https://sci-conf.com.ua/wp-content/uploads/2023/07/SCIENCE-AND-TECHNOLOGY-PROBLEMS-PROSPECTS-AND-INNOVATIONS-6-8.07.23.pdf>;
17. Tkemaladze Irma. Effective Employment as an Important Factor for Increasing Inclusive Economic Growth and Living Standards. Journal of International Economic Research, ISSN 2500-9656. Volume 3 (2017) No. 1. https://www.researchgate.net/publication/333682076_EffectiveEmployment_as_an_Important_Factor_for_Increasing_Inclusive_Economic_Growth_and_Living_Standards;
 18. United Nations Development Programme. Human Development Index (HDI). <https://hdr.undp.org/data-center/human-development-index#/indicies/HDI>;
 19. United Nations Development Programme 2023. Human Development Report 2020-2021. <https://hdr.undp.org/data-center/human-development-index#/indicies/HDI>. HDI World Ranking 2022 – Eamond.
 20. World Economic Forum. The Future of Jobs Report 2020 October 2020. WEF_Future_of_Jobs_2020.pdf (weforum.org);
 21. What is the digital economy? Definition, importance, and examples. What is the digital economy? Definition, importance, and examples (adobe.com);
 22. What Is the Digital Economy? What Is the Digital Economy? – Wharton Online (upenn.edu) 2023;
 23. What Is Digital Economy? – Importance, Types, Examples. <https://www.feedough.com/what-is-digital-economy-importance-types-examples/>, 2023;

საკანონმდებლო ნორმატიული აქტები

1. საქართველოს მთავრობის დადგენილება N662 „საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“, ქ.თბილისი 2019 წლის 30 დეკემბერი (matsne.gov.ge);
2. საქართველოს შრომის კოდექსი. კანონი N4113. 17 დეკემბერი 2010 წელი. (matsne.gov.ge);
3. საქართველოს კანონი N6819-სრ „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“, ქ. თბილისი, 2020 წლის 14 ივლისი (matsne.gov.ge);
4. საქართველოს მთავრობის დადგენილება N27, „დასაქმების ხელშეწყობის 2024 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“, 2024 წლის 29 იანვარი ქ. თბილისი. დასაქმების პროგრამა-2024.pdf.

EFFECTIVE EMPLOYMENT PROSPECTS IN THE CONDITIONS OF GIG ECONOMY DEVELOPMENT AND DIGITAL TRANSFORMATION IN GEORGIA

Murman Tsartsidze

*Doctor of Economic Sciences, Associate Professor
Tbilisi State University named after Ivane Javakhishvili*

murman.tsartsidze@tsu.ge;

Tel: 577-51.52.57

Abstract

In the conditions of the current globalization and digital transformation of the economy, the existence of chronic unemployment in Georgia is still the most acute, global problem and challenge. Moreover, chronic unemployment in the country is recognized as the main factor causing poverty. Based on the above, improving the quality of working life and raising the standard of living the population will be impossible without overcoming unemployment and ensuring effective employment of the country's population. On the other side, at the current stage of labor market formation and functioning, effective employment is an important factor of inclusive economic growth and economic development, especially of conditions gig economy development and digital transformation.

The aim of the paper is study of current changes, trends, peculiarities of its development in the field of labor market and generally in social-labor relations, which takes place as a result of the use of modern digital work platforms and development of a system of effective employment promotion measures.

In the work is used quantitative and qualitative analysis methods. Especially economic and mathematical-statistical analysis methods.

Key words: *effective employment, digital transformation, gig economy, economic growth, development.*

განახლებადი ენერგიის სექტორში დასაქმება და ეკონომიკური ზრდა

დავით ქაია
დოქტორანტი

ანოტაცია

კვლევის მიზანია გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში განახლებადი ენერგიის სექტორში დასაქმების პრობლემების ანალიზი, გამოწვევებისა და შესაძლებლობების განხილვა ეკონომიკური ზრდის კონტექსტით. განხილულია განახლებადი ენერგიის სექტორში დასაქმების ისეთი ასპექტები, როგორიცაა ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, სამუშაოების ჩენეცვლება, უმუშევრობის დონის ცვლილება, უნარებს განვითარება, სამუშაო ძალის ადაპტაცია. გამხილულია ასევე ეკონომიკის დივერსიფიკაციის და ინფრასტრუქტურული განვითარების საკიტხები. კვლევის შედეგებს მიხედვით ფორმულირებულია განახლებადი ენერგიის სექტორში პოლიტიკის მიმართულებები.

საკვანძო სიტყვები: განახლებადი ენერგია, ეკონომიკური ზრდა, დასაქმება, უნარების განვითარება, ადაპტაცია

როდესაც მსოფლიო უფრო მდგრადი მომავლისკენ მიდის, განახლებადი ენერგიის სექტორი ჩნდება, როგორც ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის კრიტიკული და უმნიშვნელოვანესი მამოძრავებელი. ეს პროცესი არა მხოლოდ ასახავს საზოგადოების მხრიდან კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის ვალდებულებას, არამედ, გარკვეულწილად, აყალიბებს შრომის ბაზარს. განახლებადი ენერგიის ინდუსტრიების ზრდა წარმოადგენს სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობებს და ერთდროულად წარმოადგენს ტრადიციულ სექტორებში სამუშაო ადგილების გადაადგილებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

ბოლო წლებში განახლებადი ენერგიის სექტორმა განიცადა ექსპონენციალური ზრდა, რაც განპირობებულია ტექნოლოგიების მიღწევებით, დანახარჯების შემცირებით და პოლიტიკის მხარდაჭერის გაზრდით, რომელიც მიზნად ისახავს ნახშირბადის ემისიების შემცირებას. განახლებადი ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (IRENA, 2020) თანახმად, განახლებადი ენერგეტიკის სფეროში დასაქმებულთა რიცხოვნობა გაიზარდა 2020 წლისათვის 12 მილიონზე მეტ მომუშავემდე და ეს რიცხვი სავარაუდოდ გაიზრდება მომავალშიც, რადგან ქვეყნები დააჩქარებენ ძალისხმევას კლიმატის ცვლილების პრობლემის შესაბამისი მიზნების მისაღწევად. განახლებადი ენერგიის ინდუსტრიების გაფართოება არა მხოლოდ ხელს უწყობს გარემოს მდგრადობას, არამედ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკური საქმიანობის გაძლიერებაში და ეკონომიკურ ზრდაში. ეს ინდუსტრიები იზრდება, ისინი ქმნიან ახალი სამუშაო ადგილების გაჩენის შესაძლებლობას (Bonnet et al., 2018; European Commission, 2020; Global Renewable Energy Policy Network for the 21st Century, 2021; ILO, 2021; McKinsey & Company, 2020; NREL, 2021; Su et al., 2021; U.S. Bureau of Labor Statistics, 2021; World Economic Forum, 2020), კვლევასა და განვითარებაში (R&D), წარმოებაში, ინსტალაციასა და სერვისში. ეს ზრდა დადებით გავლენას ახდენს მთლიან სამამულო პროდუქტზე, პროდუქტიულობის გაზრდით და ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში მოთხოვნის სტიმულირებით.

განახლებად ენერგიაზე გადასვლას მოაქვს ახალი სამუშაოს ადგილების შექმნისა და სამუშაო ადგილების გადაადგილების ორმაგი დინამიკა (სამუშაოს შექმნა VS სამუშაოს ჩანაცვლება). მიუხედავად იმისა, რომ განახლებადი ენერგიის სექტორი ქმნის დასაქმების ახალ შე-

საძლებლობებს, ის ასევე საფრთხეს უქმნის ტრადიციულ ენერგეტიკულ სამუშაო ადგილებს, განსაკუთრებით წიაღისეული სანჯავის ინდუსტრიებში.

ფიგურირებს აზრი, რომ წიაღისეული სანჯავის ინდუსტრიები იწვევს სამუშაო ადგილების შექმნის უფრო მაღალ მაჩვენებელს წარმოებული ენერგიის ერთეულზე. კვლევებმა აჩვენა, რომ მზის ენერგიის შექმნა დაახლოებით სამჯერ მეტ სამუშაო ადგილს ქმნის, ვიდრე წარმოებული მეგავატი. ეს ტენდენცია მიეკუთვნება განახლებადი ენერგიის პროექტებში ჩართული საქმიანობის მრავალფეროვან სპექტრს, მათ შორის კვლევას, წარმოებას, მშენებლობას და მიმდინარე მოვლას. გარდა ამისა, განახლებადი ენერგიის ინდუსტრიების ზრდა მულტიპლიკატორულ გავლენას ახდენს ეკონომიკაზე. ამ სექტორებში სამუშაო ადგილები იწვევს მასალების, სერვისებისა და ინფრასტრუქტურის მოთხოვნას, რაც ქმნის დამატებით დასაქმების შესაძლებლობებს შესაბამის ინდუსტრიებში. მაგალითად, ელექტრო მანქანების ზრდა მოითხოვს სამუშაო ძალას, რომელიც გამოცდილია ბატარეის წარმოებისა და დატენვის ინფრასტრუქტურის მონტაჟში, რაც კიდევ უფრო ზრდის სამუშაო ადგილების ზრდას.

პირიქით, განახლებადებზე გადასვლამ შეიძლება გამოიწვიოს სამუშაო ადგილების დანაკარგები ტრადიციულ ენერგეტიკულ სექტორებში. წიაღისეული სანჯავის მრეწველობის მუშაკებს შესაძლოა სამსახურიდან გათავისუფლება დაემუქროთ, რადგან ქვანახშირზე, ნავთობსა და ბუნებრივ აირზე მოთხოვნა მცირდება. რეგიონები, რომლებიც ისტორიულად ეყრდნობოდნენ წიაღისეული სანჯავის მოპოვებას, შეიძლება განიცადონ მნიშვნელოვანი ეკონომიკური შეფერხება, რაც გამოიწვევს უმუშევრობის ზრდას და სოციალურ გამოწვევებს.

გამოწვევა მდგომარეობს მუშაკთა გადაადგილების საკითხის მოგვარებაში და განახლებად ენერგიაზე გადასვლის სამართლებრივ უზრუნველყოფაში. პოლიტიკის შემქმნელებმა უნდა გაითვალისწინონ სტრატეგიები დაზარალებული თემების მხარდასაჭერად, როგორიცაა გადამზადების პროგრამები და ეკონომიკური დივერსიფიკაციის ინიციატივები, რათა შეამცირონ ამ გადასვლის უარყოფითი შედეგები.

განახლებადი ენერგიის სექტორის ზრდასთან ერთად, აუცილებელია სამუშაო ძალის აღჭურვა იმ უნარებით, რომლებიც აუცილებელია ამ განვითარებადი ინდუსტრიის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. უნარების განვითარება ხდება კრიტიკული ფაქტორი იმის უზრუნველსაყოფად, რომ მომუშავეებს შეუძლიათ ტრადიციული ენერგეტიკული სამუშაოებიდან განახლებად სექტორებში პოზიციებზე გადასვლა.

განათლებისა და სასწავლო პროგრამებში ინვესტირება აუცილებელია სამუშაო ძალის მოსამზადებლად მომავლის სამუშაოებისთვის. ტრადიციული ინდუსტრიების ბევრ მუშაკს აქვს უნარები, რომლებიც შეიძლება მოერგოს განახლებადი ენერგიის როლებს, მაგრამ მათ შეიძლება დასჭირდეთ დამატებითი ტრენინგი ამ ახალი პოზიციების კონკრეტული ტექნიკური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

მთავრობებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და კერძო სექტორს შორის პარტნიორობა ხელს შეუწყობს მიზნობრივი სასწავლო პროგრამების შემუშავებას. მაგალითად, სათემო კოლეჯებსა და პროფესიულ სკოლებს შეუძლიათ შესთავაზონ კურსები მზის პანელის მონტაჟში, ქარის ტურბინის მოვლასა და ენერგოეფექტურობის ტექნოლოგიებში. ეს პროგრამები არა მხოლოდ ეხმარება მუშებს ახალ სექტორში გადასვლაში, არამედ უზრუნველყოფენ განახლებადი ენერგიის სექტორს ჰქონდეს წვდომა კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე.

თავდაპირველი ტრენინგის გარდა, მნიშვნელოვანია მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის კულტურის ხელშეწყობა. განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიური წინსვლის სწრაფი ტემპი მოითხოვს მომუშავეებისაგან თავიანთი უნარების და ცოდნის მუდმივად განახლებას. მთავრობამ და ბიზნესმა უნდა ითანამშრომლონ განათლებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შესაქმნელად, რაც უზრუნველყოფს მომუშავეების კონკურენტუნარიანობას ცვალებად შრომის ბაზარზე.

განახლებადი ენერგიის ინდუსტრიების ზრდას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს რეგიონულ ეკონომიკაზე, განსაკუთრებით იმ ადგილებში, რომლებიც ისტორიულად ეყრდნობოდნენ წიაღისეული საწვავის მოპოვებას. განახლებადებზე გადასვლამ შეიძლება გამოიწვიოს ცალკეული რეგიონების ეკონომიკური აღორძინება, სამუშაო ადგილების შექმნა და საზოგადოების გაძლიერებული მდგრადობა.

რეგიონები, რომლებიც მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული წიაღისეული საწვავის ინდუსტრიებზე, ეკონომიკური ვარდნის რისკის ქვეშ იმყოფებიან, რადგან ამ სექტორების მნიშვნელობა მცირდება. თუმცა, განახლებად ენერგიაზე გადასვლა ეკონომიკური დივერსიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა. განახლებადი ენერგიის პროექტებში ინვესტიციით, ასეთ რეგიონებს შეუძლიათ ახალი ბიზნესის მოზიდვა, სამუშაო ადგილების შექმნა და ადგილობრივი ეკონომიკის სტიმულირება.

მაგალითად, საზოგადოებებმა, რომლებიც ოდესღაც აყვავდნენ ქვანახშირის მოპოვებაზე, შეიძლება მიმართონ მზის ან ქარის ენერგიის განვითარებას. ამ ცვლამ შეიძლება გამოიწვიოს ახალი საწარმოო ობიექტების, მომსახურების მიმწოდებლების და დამხმარე ინდუსტრიების შექმნა, ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაცია და მხოლოდ ერთ სექტორზე დამოკიდებულების შემცირება.

განახლებადი ენერგიის მრეწველობის გაფართოება ხშირად საჭიროებს ინვესტიციებს ინფრასტრუქტურაში, მათ შორის ელექტროგადამცემი ხაზები, ენერგიის შენახვის ობიექტები და დამტენი სადგურები ელექტრო მანქანებისთვის. ეს ინფრასტრუქტურული პროექტები არა მხოლოდ მშენებლობის დროს ქმნის სამუშაო ადგილებს, არამედ საფუძველს უყრის გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას.

უფრო მეტიც, გაუმჯობესებულმა ინფრასტრუქტურამ შეიძლება გაზარდოს რეგიონალური კავშირი და ხელმისაწვდომობა, მოიზიდოს ბიზნესი და მოსახლეობა. ქვეყნები, რომლებიც ანვითარებენ განახლებადი ენერგიის სექტორს, შეიძლება უკეთეს პოზიციაში აღმოჩნდნენ მომავალი ეკონომიკური შესაძლებლობებისთვის.

განახლებად ენერგიაზე გადასვლა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდაზე. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველი ინვესტიციები შეიძლება მძიმედ დაანვეს ბიუჯეტს, გრძელვადიანი ეკონომიკური სარგებელი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

განახლებადი ენერგიის ინდუსტრიების გაფართოებისას, ისინი ხელს უწყობენ ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურებას. სამუშაო ადგილების შექმნა, რომლებიც დაკავშირებულია განახლებად პროექტებთან, ქმნის სამომხმარებლო ხარჯებს, ხელს უწყობს საქონელზე და მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდას სხვადასხვა სექტორში. ამ გაზრდილ ეკონომიკურ აქტივობას შეიძლება ჰქონდეს დადებითი ტალღოვანი ეფექტი, რაც გააძლიერებს მთლიანი სამამულო პროდუქტის პოზიტიურ დინამიკას.

გარდა ამისა, წიაღისეული საწვავის იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებამ შეიძლება გააუმჯობესოს ქვეყნის სავაჭრო ბალანსი, რადგან იზრდება შიდა ენერგიის წარმოება. ამ ცვლამ შეიძლება კიდევ უფრო გააძლიეროს ეკონომიკური სტაბილურობა და ზრდა.

განახლებადი ენერგიის ინვესტიცია ასევე აძლიერებს ეკონომიკურ მდგრადობას. ენერგიის წყაროების დივერსიფიკაციით და წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულების შემცირებით, ქვეყნებს შეუძლიათ უკეთესად გაუძლონ ფასების არასტაბილურობას და მიწოდების შეფერხებებს. ეს მდგრადობა არა მხოლოდ ხელს უწყობს მდგრად ეკონომიკურ ზრდას, არამედ ქვეყნების პოზიციებს კლიმატის ცვლილებასთან და ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სამომავლო გამოწვევებთან ადაპტაციისთვის.

დასკვნა

განახლებადი ენერგიის სამუშაო ადგილების შექმნის სარგებლის მაქსიმალურად გაზრდის მიზნით, პოტენციური გამოწვევების მოგვარებისას, პოლიტიკის შემმუშავებლებმა მნიშვნელოვანია გაითვალისწინონ:

1. **ყოვლისმომცველი სასწავლო პროგრამების აქტუალობა:** მეტი ინვესტიციების განხორციელება განათლებისა და ტრენინგის ინიციატივებში, რათა მომუშავეებმა განახლებადი ენერგიის სამუშაოებისთვის საჭირო უნარები აითვისონ. ამ მიმართებით აუცილებელია მთავრობას, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ინდუსტრიის დაინტერესებულ მხარეებს შორის ეფექტიანი თანამშრომლობა.
2. **ეკონომიკური დივერსიფიკაციის მხარდაჭერა:** ისეთი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც ხელს უწყობს ინვესტიციებს განახლებადი ენერგიის პროექტებში იმ რეგიონებში, რომლებიც დამოკიდებულია წიაღისეულ სანავაზზე. ეკონომიკური დივერსიფიკაციის სტრატეგიები ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების გადაადგილებასთან დაკავშირებული რისკების შემსუბუქებას.
3. **ინოვაციებისა და კვლევის ხელშეწყობა:** განახლებადი ტექნოლოგიების კვლევისა და განვითარების (R&D) დაფინანსების გაზრდა. ინოვაციების მხარდაჭერამ შეიძლება გამოიწვიოს ხარჯების შემცირება და ეფექტიანობის გაუმჯობესება, სამუშაო ადგილების შემდგომი შექმნა და ეკონომიკური ზრდა.
4. **ინფრასტრუქტურის განვითარებაში ინვესტიციის გაძლიერება:** პრიორიტეტული ინვესტიციები განახლებადი ენერგიის ინფრასტრუქტურაში, როგორიცაა ქსელის მოდერნიზაცია და ელექტრო მანქანების დამტენი სადგურები. ინფრასტრუქტურის განვითარებას შეუძლია შექმნას სამუშაო ადგილები მომავალი ეკონომიკური შესაძლებლობებისთვის.
5. **უწყვეტი განათლების ხელშეწყობა:** მეტი პრიორიტეტის მინიჭება ინიციატივებს, რომლებიც ხელს უწყობს განახლებადი ენერგიის სექტორში დასაქმებულთა უწყვეტი სწავლისა და პროფესიული განვითარებას პროცესს, რაც დაეხმარება მომუშავეებს მოერგონ განვითარებად ტექნოლოგიებს და სამუშაო მოთხოვნებს.

ლიტერატურა

1. Bonnet, C., Carcanague, S., Hache, E., Seck, G.S., & Simoen, M., (2018). The Nexus between Climate Negotiations and Low-Carbon Innovation: a Geopolitics of Renewable Energy Patents. *EconomiX-UMR7235*, Université Paris Nanterre.
2. European Commission (2020). *The European Green Deal: Opportunities for Job Creation in Renewable Energy*. Brussels: European Commission.
3. Global Renewable Energy Policy Network for the 21st Century (REN21) (2021). *Renewables Global Status Report*. Paris: REN21.
4. International Labour Organization (ILO) (2021). *World Employment and Social Outlook 2021: Trends 2021*. Geneva: ILO.
5. International Renewable Energy Agency (IRENA) (2020). *Renewable Energy and Jobs – Annual Review*. Abu Dhabi: IRENA.
6. McKinsey & Company (2020). *The Future of Work in the Renewable Energy Sector*. <https://www.mckinsey.com/industries/renewable-energy/our-insights/the-future-of-work-in-the-renewable-energy-sector>.

7. National Renewable Energy Laboratory (NREL) (2021). *Job Creation in the Renewable Energy Sector: 2021 Update*. <https://www.nrel.gov/docs/fy21osti/xxxxx.pdf>.
8. Su, C.W., Yuan, X., Tao, R., & Umar, M. (2021). Can new energy vehicles help to achieve carbon neutrality targets? *J. Environ. Manag.* 297, 113348.
9. U.S. Bureau of Labor Statistics (2021). *Job Outlook for the Renewable Energy Sector*. Last modified January. <https://www.bls.gov/emp/tables/job-outlook.htm>.
10. World Economic Forum (2020). *The Future of Jobs Report 2020*. Geneva: World Economic Forum.

EMPLOYMENT AND ECONOMIC GROWTH IN THE RENEWABLE ENERGY SECTOR

David Chaia
PhD Student

Summary

The purpose of the study is to analyze the employment problems in the renewable energy sector in the modern conditions of globalization, to discuss the challenges and opportunities in the context of economic growth. Aspects of employment in the renewable energy sector, such as job creation, job turnover, unemployment rate changes, skills development, workforce adaptation, are discussed. Keys to economic diversification and infrastructural development are also revealed. Based on the results of the research, policy directions in the renewable energy sector are formulated.

Key words: *renewable energy, economic growth, employment, skills development, adaptation*

საწარმოთა მომგებიანობის ფაქტორული ანალიზი ქართული კომპანიების მაგალითზე

იზოლდა ჭილაძე
თსუ ასოცირებული პროფესორი
ლია კოზმანაშვილი
თსუ ასისტენტ პროფესორი

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია საქართველოში საწარმოთა მომგებიანობის ცვლილებების ტენდენციების შესწავლა, მათზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა და შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბება. სრულყოფის ძირითადი ღონისძიებების ძიება, რომელიც გავლენას ახდენს საქართველოში საწარმოთა მომგებიანობის მდგრადი ზრდის ტენდენციის დამკვიდრებაზე. რათა პასუხი გაეცეს კითხვას, რა ფინანსური გამონეგებების წინაშე დგანან დღეს საწარმოები საქართველოში და შესაბამისად, შემუშავებულ იქნეს ბიზნესის მომგებიანობის ამალგების პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაციები.

კვლევის საგანია საანალიზო საწარმოთა მომგებიანობა და მასზე მოქმედი ფაქტორები.

კვლევის ობიექტებად შერჩეულ იქნა საქართველოს სხვადასხვა დარგის პირველი და მეორე კატეგორიის სააქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, სულ ათი საწარმო.

კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს ეკონომიკური და სტატისტიკური ანალიზის, ფაქტორული ანალიზისა და კოეფიციენტების ანალიზის მეთოდებს.

ნაშრომის დასკვნაში წარმოდგენილია საწარმოთა მომგებიანობის დადებითი და უარყოფითი ფაქტორები და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: მომგებიანობა, მომგებიანობის ტენდენციები, მომგებიანობის ცვლილების გამომწვევი ფაქტორები.

შესავალი

საწარმოთა მენეჯმენტის მთავარი მიზანია მომგებიანობის არსებული ტენდენციების შესწავლა საქართველოს საწარმოების მაგალითზე. საწარმოთა მომგებიანობა მხოლოდ მათი მესაკუთრეებისა და მენეჯმენტის ინტერესებს არ წარმოადგენს. იგი მთელი საზოგადოების ინტერესის სფეროა. იმ შემთხვევაში, თუ მატერალური წარმოების სექტორში მოქმედი კომპანიები მომგებიანი არ იქნება, ისინი დიდხანს ვერ იარსებებენ, რადგან მათ მიერ მიღებული შემოსავლები ვერ დაფარავს დახარჯულ რესურსებს, რასაც საბოლოოდ, კომპანიები გაკოტრებამდე მიჰყავს. ეს უკანასკნელი კი არა მხოლოდ გაკოტრებული კომპანიის მესაკუთრეებსა და პერსონალს უქმნის პრობლემებს, არამედ, მთელ ეკონომიკაზე უარყოფითად მოქმედებს, რადგან, საწარმოები იზოლირებულად არ და ვერ მუშაობენ. მათ საქმიანი ურთიერთობები გააჩნიათ მრავალ მომწოდებელთან (კრედიტორებთან), მყიდველებთან (დებიტორებთან), არსებულ და პოტენციურ აქციონერებთან, ბანკებთან, აგრეთვე, სახელმწიფო საგადასახადო სისტემასთან, საზოგადოებასთან და ა.შ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საწარმოთა მომგებიანობის დონე მთელი სახელმწიფოს ინტერესისა და ზრუნვის საგანს წარმოადგენს. წინასწარ შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რა მოხდება წლების შემდეგ, მაგრამ, დღეისათვის, სადაო არაა ის ე.წ. „საფინანსო-ეკონომიკური ჭეშმარიტება“, რომ საზოგადოებებისა და სახელმწიფოების არსებობა, განვითარება და

მხოლოდ ტექნიკური პროგრესიც კი, შეუძლებელია, მიღწეულ იქნეს საწარმოთა მომგებიანობისა და ეკონომიკური ეფექტიანობის გარეშე. ამდენად, მომგებიანობის ამაღლების ფაქტორების ძიება დღესაც მეტად აქტუალურია.

1. საწარმოთა მომგებიანობის მაჩვენებლების არსი და მიზანი

საწარმოთა მომგებიანობის შესწავლის მიზნით, მეცნიერებამ უკვე დიდი ხანია შექმნა მაჩვენებელთა სისტემა, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია, შესწავლილ იქნეს საწარმოთა მომგებიანობის ცვლილების ფაქტორები. ამასთანავე, იდენტიფიცირებულია ის მიზეზები, რაც იწვევს მომგებიანობის ზრდას და შემცირებას.

მოგებაც და მომგებიანობაც ფინანსური მაჩვენებლებია, მაგრამ ისმის კითხვა, რომელი მაჩვენებელია შედეგი და რომელი – ფაქტორი. ანუ მოგება ახდენს გავლენას მომგებიანობაზე, თუ პირიქით: მომგებიანობა ახდენს გავლენას მოგებაზე?

მოგება შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობაა. მოგების მისაღებად, აუცილებელია, შემოსავლები აჭარბებდეს ხარჯებს. მოგებაზე გავლენას ახდენს ყველა ის ფაქტორი, რომელიც იწვევს ცვლილებას შემოსავლებსა და ხარჯებში. თავის მხრივ, შემოსავლების ცვლილებას იწვევს მზა პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა და გასაყიდი ფასი. რეალიზაციის მოცულობაზე გავლენას ახდენს პროდუქციის ხარისხი და მოთხოვნა ბაზარზე. პროდუქციის ხარისხზე, თავის მხრივ, გავლენას ახდენს პროდუქციის დამზადებაზე გაწეული მასალის, შრომისა და საწარმოო ზედნადები ხარჯების ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორები. გარდა აღნიშნულისა, პროდუქციის ხარისხზე გავლენას ახდენს აგრეთვე, საწარმოს მართვის ხარისხი, ურთიერთობა კომპანიის შიგნით დასაქმებულ თანამშრომლებს შორის, მომუშავე პერსონალის კეთილსინდისიერება და პროფესიონალიზმის დონე.

ჩამოთვლილი ფაქტორებიდან ზოგიერთი ფაქტორის რიცხვებში გაზომვა შეუძლებელია. ამიტომ, წინამდებარე შრომაში კვლევის მეთოდიკა ეყრდნობა მომგებიანობის მაჩვენებლებს, რომელთა რიცხობრივი გამოსახვაც შესაძლებელია.

მოგება არის საწარმოს ეფექტიანობის აბსოლუტური მაჩვენებელი, ხოლო, მომგებიანობა ეფექტიანობის ხარისხობრივი მაჩვენებელია. ის ახასიათებს მოგების პროცენტულ სიდიდეს, დახარჯული რესურსების ერთეულზე. ამდენად, მომგებიანობა საწარმოს ეფექტიანობისა და ფინანსური სტაბილურობის მნიშვნელოვანი ფაქტორ-მაჩვენებელია. წლის განმავლობაში როგორი ეფექტიანობითაც (ნაკლები დანაკარგებით) იმუშავენ საწარმო, ფინანსური შედეგიც შესაბამისი იქნება.

ეფექტიანად მუშაობა ნიშნავს, კომპანიის პერსონალმა იმუშაოს დროისა და რესურსების დასაშვები მინიმალური დანაკარგებით, საქმიანობის მაღალი კომპეტენციის ფარგლებში. ეს კი არის ცალკეული პიროვნებებისა და მთელი დასაქმებული პერსონალის გუნდური ძალისხმევა, რათა მიღებულ იქნეს, რაც შეიძლება მაღალი დადებითი ფინანსური შედეგები, რაც ყველა მომგებიანი საწარმოს საბოლოო ეკონომიკურ მიზანს წარმოადგენს (ი.ჭილაძე).

„მართალია მოგება და მომგებიანობა პერიოდის (წლის) ბოლოს გამოითვლება, მაგრამ, იგი უხილავად და უწყვეტად, მთელი წლის განმავლობაში არსებობს და ყალიბდება იმის შესაბამისად, თუ როგორი ძალისხმევით, კომპეტენტურობით, ეფექტიანობით და მორალით მუშაობდა პერსონალი. რაც უფრო მაღალი იქნებოდა შრომის ხარისხი და ეფექტიანობა წლის განმავლობაში, მით მეტი იქნებოდა მოგების მთლიანი მოცულობა პერიოდის ბოლოს და პირიქით. მაშასადამე, ჩვენი აზრით, **მომგებიანობა არის ფაქტორი, ხოლო, მოგება – შედეგი.**“

2. საანალიზო საწარმოების აქტივების მომგებიანობის მაჩვენებლების დინამიკური ტენდენციები

საწარმოთა ფინანსური სტაბილურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საქმიანობის ეფექტიანობა, რომელიც მომგებიანობით იზომება. მომგებიანობა გულისხმობს, რომ შემოსავლები უნდა აღემატებოდეს ხარჯებს. ამასთან, შემოსავლები უფრო მაღალი ტემპით უნდა იზრდებოდეს, ვიდრე ხარჯები.

მომგებიანობა, ყველა საწარმოს მენეჯმენტის მთავარი საბოლოო ფინანსური მიზანია. მართალია, ახლა შეუძლებელია იმის მტკიცება, თუ როგორი ეკონომიკური ურთიერთობები იარსებებს და რა მოხდება მომავალში, მაგრამ დღეს რესურსების ეფექტიანად (მომგებიანად) გამოყენების გარეშე, ბიზნესისა და ზოგადად, ქვეყნების არსებობაც კი, აგრეთვე, ეკონომიკის ზრდა და განვითარება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ, მომგებიანობის ამაღლების ღონისძიებების შემუშავება და დანერგვა, საწარმოთა ფინანსური მენეჯმენტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა.

მომგებიანობა, როგორც წესი, სხვადასხვა დონეზე გამოითვლება და მისი მაჩვენებლები ორ ჯგუფად იყოფა: ფინანსური და პროდუქციის მომგებიანობა. წინამდებარე შრომაში, კვლევის საგანს აქტივების საერთო ფინანსური მომგებიანობის მაჩვენებელი წარმოადგენს, რომელიც არის წლიური მოგების (მოგება დაბეგვრამდე) ფარდობა აქტივების საშუალო წლიურ ნაშთთან.

როგორც ცნობილია, საქართველოში პანდემია იყო 2020-21 წლებში. ამ პერიოდში აქტივების ზრდის/შემცირების ტემპი საანალიზო საწარმოებიდან, როგორც 2.1. ცხრილიდან ჩანს, დაბალი იყო სს ნიკორაში, საქართველოს რკინიგზაში, გუდვილსა და საფონდო ბირჟაში. განხილული დანარჩენი კომპანიების აქტივების ცვლილებაზე, პანდემიის პერიოდს უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია. პანდემიის შემდეგ, 2022 წელს კი, მხოლოდ სს გუდვილსა და საფონდო ბირჟის კომპანიებში გაგრძელდა აქტივების შემცირების ტენდენცია. მათი ქონება კიდევ უფრო შემცირდა, რაც საყურადღებოა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული არც ისე ობიექტური მიზეზებით, სავარაუდოდ, უფრო შიდა და გარე სუბიექტური მიზეზებით უნდა იყოს გამოწვეული.

საანალიზო საწარმოების აქტივების მომგებიანობის მაჩვენებლები წარმოდგენილია 2.1. ცხრილში. ფრჩხილებში ჩასმული რიცხვები ზარალს აჩვენებს. როგორც ცხრილიდან ჩანს სს საქართველოს რკინიგზა და საფონდო ბირჟა ზარალიანია. დანარჩენი კომპანიები მომგებიანია, თუმცა არასტაბილურად.

ცხრილი 2.1.

საანალიზო საწარმოების აქტივების მომგებიანობა
2016-2022 წლებში (%-ად)

საწარმოები	წლები						
	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
სს კოკა-კოლა	(0.27)	3.3	8.3	4.6	3.4	9.9	16.0
სს თელიანი ველი	4.1	7.4	3.4	(1.2)	(6.2)	2.4	(19.6)
შპს სანტე	-	15	10.3	6.46	5.2	3.7	2.8
სს ნიკორა	(9.5)	4.4	15.9	12.5	3.13	13.2	20.6
სს საქართველოს		(12.5)	(22.2)	0.2	(7.0)	2.3	16.5

რკინიგზა							
შპს იფელი დილომი	72.2	54.7	47.5	55	66	67.1	81.6
გუდვილი	-	0.4	7.3	(4.5)	(8.5)	11	15
სს თელასი	12.3	8.0	8.4	3.9	(2.0)	18	19
საფონდო ბირჟა	(7.7)	(3.5)	(15.4)	(6.2)	2.2	(1.2)	(11)
იმედი ლ	(7.6)	(4.5)	(6.1)	6.2	9.3	5.3	3.8

წყარო: საწარმოთა ფინანსური ანგარიშგება, *reportal.ge*

იმავე 2.1. ცხრილის ინფორმაციის თანახმად, პანდემიის პერიოდში შპს იფელი დილომის გარდა, ყველა დანარჩენი კომპანიაში მომგებიანობა შემცირდა, მ.შ. ოთხი კომპანია კი ზარალიანი გახდა. პანდემიის შემდგომ პერიოდში, საფონდო ბირჟის გარდა, ყველა საანალიზო საწარმო მომგებიანი გახდა, ოღონდ, აშკარაა, რომ იგივე შპს იფელი დილომის მომგებიანობა მკვეთრად მალაღია (81.6%). კერძოდ, ყოველი ერთი ლარის აქტივზე 81% მოგებაა მიღებული, რაც ერთგვარად ეჭვებსაც კი იწვევს. მეორე ადგილზეა სს ნიკორა, რომლის აქტივების მომგებიანობა 20%-ია.

3. საანალიზო საწარმოების მომგებიანობის ანალიზის მრავალფაქტორული მოდელი და მისი მნიშვნელობა

გამომდინარე იქედან, რომ კომპანიების არსებობისა და ზრდა-განვითარების მთავარი გზა მათი მომგებიანობის ზრდა არის, მენეჯენტისათვის აუცილებელი და მართებულია მომგებიანობის ცვლილების ფაქტორული ანალიზის ჩატარება. ჩვენს მიერ შექმნილია აქტივების მომგებიანობის (PTA) მაჩვენებლის რვა ფაქტორიანი მოდელი (Chilaze Izolda. 2018, p:14.), რომელსაც შემდეგი სახე აქვს:

$$PTA = \frac{P}{TA} = \frac{P}{OP} * \frac{OP}{PS} * \frac{PS}{S} * \frac{S}{CS} * \frac{CS}{CZx} * \frac{CZx}{(TA + CA)} * \frac{(MM + CA)}{Cw C} * \frac{Cw C}{TA}$$

სადაც,

1. **P/OP (წლიური მოგების კოეფიციენტი)** – არის წლიური მოგების (ანუ მოგება დაბეგრამდე) ფარდობა საოპერაციო მოგებასთან – ეს კოეფიციენტი რაც უფრო ახლოსაა ერთთან, მით უფრო დაბალია მოგების გადასახდის ტვირთი და სხვა თანაბარ პირობებში ანუ დანარჩენი ფაქტორების უცვლელობის პირობებში, ზრდის საწარმოს საერთო ეკონომიკურ მომგებიანობას.
- II. **OP/PS (საოპერაციო მოგების კოეფიციენტი)** – საოპერაციო მოგების ფარდობა რეალიზაციიდან მიღებულ მოგებასთან – ასევე, რაც უფრო ახლოსაა ერთთან, მით უფრო მაღალია მართვისა და მომსახურების ხარჯების ეფექტიანობა, დაბალია საოპერაციო რისკი და მაშასადამე, იზრდება მოგება.
- III. **PS / S (მოგების მარჟა)** – რეალიზაციიდან მიღებული მოგების ფარდობა რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალთან – არის მოგების მარჟა ანუ მოგების ნორმა და ახასიათებს, თუ რამდენი პროცენტი მოგება მიიღება ერთ ლარ შემოსავალზე. მისი ზრდა აქტივების მომგებიანობის ზრდას იწვევს.

- IV. **S / CS – (დანახარჯების შემოსავლიანობა)** – რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის ფარდობა რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებასთან – იგი ახასიათებს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ერთეულზე მიღებული შემოსავლის დონეს ანუ საწარმოო ხარჯების უკუგებას. მისი ზრდა, სხვა თანაბარ პირობებში იწვევს საერთო მომგებიანობის ზრდას.
- V. **CS/OEx (საწარმოო ხარჯების წილი საოპერაციო ხარჯებში)** – რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ფარდობა საოპერაციო ხარჯებთან – იგი ახასიათებს საწარმოო ხარჯების წილს საოპერაციო ხარჯებში. მისი ზრდა, წარმოების მოცულობის ზრდაზე მიუთითებს და სხვა თანაბარ პირობებში მოგებასა და მომგებიანობის მოსალოდნელ სიდიდეს ზრდის. ხოლო, მისი შემცირება საოპერაციო რისკების ზრდაზე მიანიშნებს.
- VI. **OEx / (TA + CA) – (ავანსირებული ღირებულების წრებრუნვა)** – საოპერაციო ხარჯების ფარდობა ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური მარაგების საშუალო ჯამთან – არის რესურსებში ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის ანუ ბიზნესის აქტივობის მაჩვენებელი. რაც უფრო დროულად დაიხარჯება რესურსები და არ შეფერხდება მათი ბრუნვა, ეს კოეფიციენტი მით უფრო მაღალი იქნება და მით უფრო გაზრდის მომგებიანობის მოსალოდნელ დონეს.
- VII. **(TA + CA)/Ov.A – (საკუთარი კაპიტალის ბრუნვა)** – ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური მარაგების საშუალო ჯამის ფარდობა საკუთარი კაპიტალის საშუალო ჯამთან – იგი ახასიათებს რესურსებში ავანსირებული ღირებულების დონეს საკუთარი კაპიტალის ერთ ლარზე. ეს კოეფიციენტი რაც უფრო გაიზრდება, მით უფრო აქტიური იქნება საკუთარი კაპიტალი და მაშასადამე, იგი ზრდის მომგებიანობის მოსალოდნელ სიდიდეს.
- VIII. **Ov.C / A – (ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი)** – საკუთარი კაპიტალის ფარდობა აქტივების საშუალო ჯამთან – არის საკუთარი კაპიტალის წილის კოეფიციენტი აქტივებში. მისი ზრდა მიანიშნებს, რომ საწარმოს აქტივების დაფინანსების წყაროებში მცირდება სესხების წილი და შესაბამისად, საპროცენტო ხარჯების მოცულობაც, რაც ხელს უწყობს როგორც მოგების, ასევე აქტივების მომგებიანობის დონის ზრდას.

PTA = P/TA – მთლიანი აქტივების მომგებიანობა = წლიური მოგების (მოგება დაბეგვრამდე) ფარდობა მთლიანი აქტივების საშუალო წლიურ ჯამთან. ამდენად, ეს მაჩვენებელი ახასიათებს, რამდენი პროცენტი მოგება მიიღება ყოველ ერთ ლარ აქტივზე.

ფაქტორული ანალიზის დროს, გამოიყენება კარგად ცნობილი – **აბსოლუტური სხვაობის ხერხი**. ამ ხერხით, როგორც ცნობილია, პირველ რიგში, ყველა ფაქტორ-მაჩვენებელი გამოითვლება წინა და მიმდინარე წლის მდგომარეობით. იქვე განისაზღვრება მათ შორის გადახრები. შემდეგ:

პირველი ფაქტორის ცვლილების გავლენის გაზომვის მიზნით, პირველი ფაქტორის გადახრა გამრავლდება დანარჩენი ფაქტორების საბაზისო სიდიდეებზე;

მეორე ფაქტორის ცვლილების გავლენის გაზომვის მიზნით, პირველი ფაქტორის სიდიდე მიმდინარე წელს მრავლდება მეორე ფაქტორის გადახრაზე და მრავლდება დანარჩენი ფაქტორების საბაზისო სიდიდეებზე.

მესამე ფაქტორის გავლენის გაზომვის მიზნით, ამ ფაქტორის გადახრა გამრავლდება წინა ორი ფაქტორის ფაქტიურ (ან მიმდინარე) მნიშვნელობებზე და მრავლდება მესამე ფაქტორის გადახრაზე და ა.შ. (იხ. ცხრილი 2.2).

**სს კოკა-კოლას აქტივების მომგებიანობის ცვლილებაზე
მოქმედი ფაქტორების გავლენა 2022 წელს, წინა წელთან შედარებით**

აქტივების მომგებიანობა და მასზე მოქმედი ფაქტორები	2021	2022	გადახრა (+/-)
აქტივების მომგებიანობა	0.095	0.160	+ 0.061
მომგებიანობის გადახრაზე მოქმედი ფაქტორები:			
1. მოგება დაბეგვრამდე / საოპერაციო მოგება	1.090	1.047	-0.043
2. საოპერაციო მოგება / მოგება რეალიზაციიდან	0.429	0.453	+0.024
3. მოგება რეალიზაციიდან /შემოსავალი რეალიზაციიდან	0.231*	0.281	+0.050
4. შემოსავალი რეალიზაციიდან / რპთ	1.315	1.388	+0.073
5. რპთ / საოპერაციო ხარჯები	0.829*	0.819	-0.010
6. საოპერაციო ხარჯები / (ძირ.საშ. და მატ. მარაგები)	2.496	2.811	+0.315
7. (ძირ.საშ. და მატერ. მარაგები) / საკ.კაპიტალი	0.623	0.575	-0.048
8. საკ.კაპიტ. / (ძირ.საშ.+მატ. მარაგები)	0.517	0.655	+0.138

მაშასადამე, ჩვენს მიერ ჩატარებული გაანგარიშებების შედეგად, 2022 წელს, წინა წელთან შედარებით, მომგებიანობის გადახრაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის შენელებამ და აქტივებში საკუთარი კაპიტალის წილის შემცირებამ.

დასკვნა

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ დღევანდელ საქართველოში, რაოდენობის საწარმოების წინაშე მდგარი ძირითადი გამოწვევებია: მომგებიანობის დაკარგვისა და შედეგად, მოსალოდნელი გაკოტრების საფრთხეები.

ჩატარებული კვლევის შედეგად შემუშავებულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- საწარმოთა მენეჯმენტის მიერ, სტატიაში წარმოდგენილი აქტივების მომგებიანობის ფაქტორული ანალიზის რეგულარული ჩატარება, რაც შესაძლებელს გახდის საწარმოებში არსებული ფინანსური პრობლემების დროულად გამოვლენასა და გადაწყვეტას;
- რისკების შერბილების/შემცირების მიზნით, საწარმოთა მენეჯმენტის მიერ რეგულარულად იქნეს გამოყენებული შრომაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივების მომგებიანობის მაჩვენებლების ფაქტორული მოდელი;
- საქართველოში ეკონომიკურ მეცნიერებასა და ბიზნესს შორის დამკვიდრდეს ურთიერთანამშრომლობის ტრადიცია ერთობლივი პრაქტიკული კონფერენციების, სემინარებისა და სტუდენტების პრაქტიკის დანერგვის საშუალებით. ყოველივე აღნიშნული მოიტანს ერთი მხრივ, ეკონომიკის განვითარებას და მეორე მხრივ, თვითონ ეკონომიკური აზრის განვითარებას.

რეკომენდაციების გათვალისწინებას კი მოყვება შემდეგი დადებითი შედეგები:

- წარმოების ეფექტიანობის ამაღლება;
- ბიზნესის გაძლიერება და ეკონომიკური ზრდა;
- მიღწეული იქნება დასაქმების ზრდა და მოსახლეობის სოციალური ცხოვრების დონის ამაღლება;
- შეუქცევადი გახდება ყველა საწარმოს მენეჯმენტის პროფესიონალიზმისა და ბიზნესის კულტურის ამაღლების პროცესი.

ლიტერატურა

1. ჭილაძე იზოლდა (2022), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. შრომების კრებული, 2022, 5 ნომერი. თბილისი, გვ. 413.
2. ჭილაძე იზოლდა, ფინანსური ანალიზი, სახელმძღვანელო, თბ. 2024.
Chiladze, I. (2018). Theoretical and Practical Aspects of Profitability Factorial Analysis. 11th International Scientific Conference: Accounting and Finance: Science, Business and Public Sector Partnership. and Studies of Accounting and Finance: Problems and Perspectives, Volume 12, Number 1, pp. 12-18. DOI: <https://doi.org/10.15544/ssaf.2018.02>
<http://erd.asu.lt/ssaf/article/view/269/215> +
3. ჭილაძე იზოლდა, თამარ თორია, საქართველოში საწარმოთა ფინანსური შედეგებისა და რისკების ცვლილებები პანდემიის შემდეგ, გვ: 413-422.
უნივერსიტეტის დაარსებისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. კოვიდ 19 – პანდემია და ეკონომიკა. 2022. 8 თებერვალი. გვ: 413-422.
4. ბიზნესის ფინანსური სტაბილურობის თანამედროვე გამოწვევები საქართველოს საწარმოებში, <https://eugb.ge/uploads/journal/gb-N9.pdf> 2020.4.
5. James C., Van Horn, J., & Wachowicz, M. (2008). *Fundamentals of Financial Management. Thirteenth edition, Prentice Hall.* <https://b-ok.asia/book/1218272/03fb95?regionChanged=&redirect=2102656>

FACTOR ANALYSIS OF ENTERPRISE PROFITABILITY ON THE EXAMPLE OF GEORGIAN COMPANIES

Izolda Chiladze

*Associate Professor of Iv Javakhishvi
Tbilisi state university.*

Lia Kozmanashvili

*Assistant professor Iv. Javakhishvi
Tbilisi state university*

The main goal of enterprise management is to study the existing profitability trends on the example of Georgian enterprises. Profitability of enterprises is not only in the interests of their owners and management. It is the field of interest of the whole society. If the companies operating in the material production sector are not profitable, they will not survive for long, because the revenues they receive will not cover the resources spent, which will eventually lead the companies to bankruptcy. The latter not only creates problems for the owners and staff of the bankrupt company, but also negatively affects the entire economy, because enterprises cannot and cannot work in isolation. They have business relations with many suppliers (creditors), buyers (debtors), existing and potential shareholders, banks, as well as the state tax system, society, etc.

Based on the above, the level of profitability of enterprises is the subject of interest and concern of the entire state. It is impossible to determine in advance what will happen in the years to come, but for now, it is indisputable that the so-called "Financial-economic truth" that the existence, development and even technical progress of societies and states cannot be achieved without the profitability and economic efficiency of enterprises. Thus, the search for factors to increase profitability is still very relevant today.

გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის რისკების გავლენა სასურსათო უსაფრთხოებაზე: კონცეპტუალური გამოწვევები და ემპირიული ტენდენციები

ეთერ ხარაიშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
eter.kharaishvili@tsu.ge
<https://orcid.org/0000-0003-4013-7354>

ლელა ადუაშვილი

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
lela.aduashvili@tsu.ge
<https://orcid.org/0000-0001-5830-6924>

ანოტაცია

სტატიაში გაანალიზებულია გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის გამომწვევი მიზეზები და განვითარების ტენდენციები. შეფასებულია გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის გავლენა სასურსათო უსაფრთხოებაზე. განსაზღვრულია სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები. მოცემული მიმართულებით იდენტიფიცირებულია კონცეპტუალური გამოწვევები და ემპირიული ტენდენციები. შესწავლილია ცალკეული ქვეყნის ჩართულობა სასურსათო პროდუქტების სავაჭრო ინტერვენციებში. გამოვლენილია ქვეყნების ზოგადი საპასუხო პოლიტიკურ-ეკონომიკური ქცევა და გაანალიზებულია დეგლობალიზაციის პროცესის მიმდინარეობა. გლობალური სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულია დასკვნები და შემოთავაზებულია რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია, გლობალიზაცია, სასურსათო უსაფრთხოება, კონცეპტუალური გამოწვევები, ემპირიული ტენდენციები.

შესავალი

გლობალიზაციამ და ინტეგრაციული პროცესების განვითარებამ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში განავითარა საერთაშორისო ვაჭრობა, გამოიწვია ეკონომიკური ზრდა და კეთილდღეობის ამაღლება. ინტეგრაციის გამო მსოფლიო უფრო ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული გახდა, რამაც ომების შემცირების შანსიც კი წარმოქმნა. თუმცა, ათწლეულების მანძილზე ზრდადი გლობალური ინტეგრაციის გამო ეს ტენდენცია შეიცვალა და ამჟამად მსოფლიო შევიდა ერთგვარი ტურბულენტობის, დაუცველობისა და შეფერხების ფაზაში. შესაბამისად, გართულდა საერთაშორისო თანამშრომლობა, მაგალითად, მიმდინარე ეტაპზე შეფერხებულია გლობალური მიწოდების ჯაჭვები, ხოლო სასურსათო დაუცველობა მნიშვნელოვან რისკებს ქმნის 2030 წლისთვის დაგეგმილი ნულოვანი შიმშილის პრობლემის აღმოსაფხვრელად (United Nations, 2023).

გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის გაღრმავებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს საქონლის, სერვისების, ტექნოლოგიების, კაპიტალისა და რაც ძალიან მნიშვნელოვანია მოსახლეობის მობილობაზე. ევროკავშირის ერთიან ბაზარზე ფორმირებული ოთხი სახეობის თავისუფალი ნაკა-

დი (საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და მოსახლეობის) გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის ახალ ეპოქაში გადადის და გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული.

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტმა სასურსათო უსაფრთხოების გლობალური კრიზისი კიდევ უფრო გააღრმავა და მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაზე. ამ კონფლიქტის დაწყების შემდეგ არსებითად შემცირდა სურსათის წარმოების მოცულობა და შეიცვალა წარმოების განლაგება, სურსათზე ფასებმა კი ისტორიულ მაჩვენებლებს გადააჭარბა და გლობალურ სასურსათო უსაფრთხოებას მნიშვნელოვანი გამოწვევები შეუქმნა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამყარო დაყოფილია განცალკევებულ ეკონომიკურ ბლოკებად განსხვავებული იდეოლოგიით, პოლიტიკური სისტემებით, ტექნოლოგიების სტანდარტებით, ტრანსსასაზღვრო საგადასახადო და სავაჭრო სისტემებით, სარეზერვო ვალუტებით და სხვა.

ზემოთ დასახელებული გეოპოლიტიკური ვითარების პირობებში შენელდა გლობალური ეკონომიკის ზრდა და გამოიკვეთა გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის ტენდენციები, რაც კიდევ უფრო ღრმავდება რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად.

გეოეკონომიკურმა ფრაგმენტაციამ სხვადასხვა სახის რისკები შეიძლება წარმოქმნას, მაგალითად, შემცირებული ეკონომიკური ზრდა, ფინანსური სტაბილურობის საფრთხე, გლობალური ვაჭრობისა და მიწოდების ჯაჭვების მოშლა, ომები და სხვა. ასევე, აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა პროტექციონიზმის პოლიტიკის გატარების შემთხვევები და პასუხი გასაცემია კითხვებზე: როგორ არის დაკავშირებული გეოეკონომიკური რისკები დეგლობალიზაციის პროცესთან? პროტექციონიზმი დეგლობალიზაციის მამოძრავებელი ძალაა, თუ დეგლობალიზაციის შედეგი? ამ და სხვა კითხვებზე პასუხის გასაცემად აუცილებელია გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის რისკების შეფასება. რისკების ანალიზი საჭიროა იმის დასადგენად, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს საერთაშორისო ურთიერთობების გაუარესებამ საერთაშორისო ვაჭრობასა და ურთიერთდაკავშირებული გლობალური ღირებულების ჯაჭვებზე.

მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების ტენდენციების, მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევისა და სასურსათო უსაფრთხოებაზე გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის გავლენის შეფასებისათვის გადამწყვეტია გამოვლინდეს ამ პროცესის კონცეპტუალური პირობები. ამასთან, მნიშვნელოვანია კონცეპტუალური ანალიტიკური დისკუსია ემპირიული ტენდენციების შეფასებითაც განხორციელდეს.

კვლევის კითხვები

RQ1: რომელი ფაქტორები და მიზეზები იწვევს გეოეკონომიკურ ფრაგმენტაციას?

RQ2: როგორია გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის ტენდენცია მიმდინარე ეტაპზე?

RQ3: რა გავლენას ახდენს გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია სასურსათო უსაფრთხოებაზე?

RQ4: რა კონცეპტუალური გამოწვევებია გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის მიმართულებით?

RQ5: რომელი ემპირიული ტენდენციები იკვეთება გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის სასურსათო უსაფრთხოებაზე გავლენის თვალსაზრისით?

RQ6: როგორ არის დაკავშირებული გეოეკონომიკური რისკები დეგლობალიზაციის პროცესთან?

RQ7: პროტექციონიზმი დეგლობალიზაციის მამოძრავებელი ძალაა, თუ დეგლობალიზაციის შედეგი?

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია სასურსათო უსაფრთხოებაზე გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის რისკების გავლენის შეფასების საფუძველზე კონცეპტუალური და ემპირიული ტენდენციების გამოვლენა და ძირითადი გამოწვევების დაძლევის გზებზე რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგია

საკვლევი პრობლემის ირგვლივ მოძიებული სამეცნიერო პუბლიკაციებისა და საერთაშორისო ანგარიშების დამუშავების პროცესში გამოყენებულია კვლევის მეთოდები, როგორიცაა ფაქტორული, ანალიზის, სინთეზის, შედარების, ინდუქციისა და დედუქციის.

Scoups-ის, Web of Science-ისა და Science Direct-ის სამეცნიერო ბაზებზე დაყრნობით ჩატარებულია ბიბლიოგრაფიული კვლევა. შესწავლილია Global Trade Alert-ის ოფიციალური მონაცემები, რომელიც გაფილტრულია პროდუქტის ცენტრალური კლასიფიკაციის (CPC) 01 (სოფლის მეურნეობის პროდუქტები) და 02 (ცხოველური პროდუქტები) კოდებით.

მონაცემთა ვიზუალიზაციის პროცესში გამოყენებულია Microsoft Excel-ის, Datawrapper-ისა და Canva-ს პროგრამები.

ლიტერატურის მიმოხილვა

მსოფლიოს სავაჭრო ბლოკებად დაყოფა უარყოფით გავლენას ახდენს გლობალურ სავაჭრო ნაკადებზე. ფრაგმენტაციის შედეგად მაღალია კეთილდღეობის დანაკარგები. ამასთან, გეოეკონომიკური ფრაგმენტაციით უპირატესად ღია ქვეყნები ზარალდებიან. შესაბამისად, გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის რისკების შეფასება მნიშვნელოვანია საერთაშორისო ვაჭრობაზე უარყოფითი გავლენის შესამცირებლად.

მეცნიერთა მიერ პასუხი გაცემულია კითხვაზე რა ეკონომიკური შედეგები მოჰყვება გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის ვაჭრობაზე? ასევე, ზოგადი ნონასწორობის სავაჭრო მოდელის გამოყენებით შეფასებულია ვაჭრობისა და კეთილდღეობის ეფექტები, რომლებიც წარმოიქმნება მსოფლიო ვაჭრობის ფრაგმენტაციის შედეგად (Campos et al., 2023). გამოვლენილია გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის ძირითადი მიზეზები და შედეგები (Norrington, 2024).

დღეს ფირმების დიდ ნაწილს უწევს რეაგირების მოხდენა გაზრდილ გეოპოლიტიკურ რისკებზე. შესაბამისად, ცდილობენ პროდუქტის წარმოების დივერსიფიკაცია მოახდინონ გეოგრაფიულად და გეოპოლიტიკურად უფრო ახლოს მდებარე ტერიტორიებზე. მიმდინარე ეტაპზე გეოპოლიტიკური რისკის შეფასება ყველაზე მნიშვნელოვანია ფირმებისთვის, რადგან მოთხოვნისა და დანახარჯების ფაქტორები ჯერჯერობით კვლავ განაპირობებს წარმოების გაადგილებას ევროკავშირიდან, თუმცა, გაადგილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს ფასზე (Attinasi et al., 2023).

გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის მზარდი რისკები ართულებს საერთო გამოწვევებზე რეაგირებას და მოითხოვს გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმას პრაგმატული გადაწყვეტილებების მისაღებად. გლობალური მშვიდობის დივიდენდი მცირდება, მასთან ერთად შემცირების ტენდენციისაა დაუცველთა მხარდასაჭერად არსებული რესურსები. გლობალურ ვაჭრობას აფერხებს მზარდი პროტექციონიზმი, რაც თავის მხრივ ანადგურებს ინტეგრაციის შედეგად მიღებულ პოზიტიურ შედეგებს. პრაგმატული გადაწყვეტილებები მსოფლიო ეკონომიკის მდგრად განვითარებას შეუწყობს ხელს (International Monetary Fund, 2023).

რუსეთსა და უკრაინას შორის კონფლიქტის ესკალაციასთან ერთად, ორი ქვეყნის დომინანტური პოზიცია გლობალურ სასურსათო ლანდშაფტში თანდათან შესუსტდა და გლობალური სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობა უარესდება (Belik, 2020). პრობლემურია ყოველწლიურად ზრდადი სასურსათო პროდუქტების გლობალური მოთხოვნის დაკმაყოფილება. ცვალებადია მხოლოდ პრობლემის განმაპირობებელ ფაქტორთა (სოციალურ-ეკონომიკური, ბუნებრივი, კულტურული, პოლიტიკური) ზემოქმედების დონე (Aduashvili, 2023).

ქვეყნები, რომლებიც დიდად არიან დამოკიდებულნი რუსეთსა და უკრაინაზე სურსათის დეფიციტის საფრთხის წინაშე დგანან და საერთაშორისო საზოგადოებას ზოგადად მიაჩნია, რომ გლობალური სასურსათო კრიზისი მოხდა.

გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის გავლენა სასურსათო უსაფრთხოებაზე განსაკუთრებით მძიმეა. სხვა ფაქტორებთან ერთად, აღნიშნული ფაქტორი, სავარაუდოდ, გაართულებს გლობალურ სასურსათო დაუცველობას და ღრმა გავლენას მოახდენს მსოფლიო წესრიგის მომავალ განვითარებაზე. სასურსათო უსაფრთხოება, თავის მხრივ, დამოკიდებულია სასურსათო ბაზრების ეფექტიან ფუნქციონირებაზე და მდგრადი სატრანსპორტო გადაზიდვების უზრუნველყოფაზე (Kharashvili & Gechbaia, 2023). შესაბამისად, მნიშვნელოვანია სასურსათო პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრა (Kharashvili, 2021).

დღეს მსოფლიო წესრიგს განსაზღვრავს მრავალი დიდი ბლოკი და კოალიცია ახალი წესებისა და ურთიერთპასუხისმგებლობის ფარგლებში. თუმცა, მეცნიერები აღნიშნავენ, რომ გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია, როგორც ახალი კოალიციების ეპოქა, გამოიწვევს მსოფლიო სისტემის რეკონფიგურაციას, მზარდ ტურბულენტობასა და გაზრდის სასურსათო დაუცველობას (Grinin et al., 2017).

რუსეთის შეჭრამ უკრაინაში გამოიწვია ძირითადი სასაქონლო ბაზრების განლაგების ცვლილება, ასევე, ქვეყნებმა შეზღუდეს საქონლით ვაჭრობა. შედარებით ახალი პოლიტიკის გატარების გამო აგროსასურსათო პროდუქცია განსაკუთრებით დაუცველი აღმოჩნდება უფრო მძიმე გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში.

ომით გამოწვეული კონფრონტაცია შეფასებულია როგორც თანამედროვეობის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს სოციალურ ურთიერთობებზე, ეკონომიკურ განვითარებაზე, სასურსათო უსაფრთხოებაზე, პოლიტიკურ საქმიანობებსა და სხვ. კონფრონტაციის ნეგატიური გავლენის შემცირების გზების განსაზღვრა აგროსასურსათო წარმოების მდგრადი განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების მიზნების მიღწევის მნიშვნელოვან პირობად არის მიჩნეული (Kharashvili, 2023).

შემდგომმა ფრაგმენტაციამ შესაძლებელია გამოიწვიოს კიდევ უფრო მეტი დაქსაქსულობა სასაქონლო ბაზრებზე, რაც თავის მხრივ, ფასების დიდი რყევების საფუძველი გახდება. აღნიშნული პროცესი გააღრმავებს სასურსათო უსაფრთხოების პრობლემას, რადგან დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნები მოსახლეობის გამოსაკვებად განსაკუთრებით დამოკიდებული იქნებიან სურსათის იმპორტზე (Alvarez et al., 2023).

ყველასთვის ცვალებად და გლობალიზებულ სამყაროში სურსათით უზრუნველყოფა უდიდესი მნიშვნელობის კრიტიკულ გამოწვევად რჩება. მიწასა და სხვა რესურსზე კონკურენტული პირობების გათვალისწინებით სასურსათო უსაფრთხოების გამოწვევა მოითხოვს ინოვაციურ გადაწყვეტილებებს, რათა მოკლევადიანი და გრძელვადიანი განვითარების მიზნების შესაბამისად მოხდეს გარემოსდაცვითი და სოციალური მიზნების დაბალანსება (Müller et al., 2020).

გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის პირობებში ახალი სავაჭრო შეზღუდვების რიცხვი მკვეთრად გაიზარდა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. ისინი 2019 წლიდან სამჯერ მეტია (Gramegna, 2024). ამასთან, გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია ვაჭრობის შეზღუდვების შემთხვევაში საქონელს უფრო დაუცველს ხდის (Alvarez, 2023). ენერგეტიკული, მინერალური და აგრო-

სასურსათო პროდუქტების ორმხრივი სავაჭრო ნაკადების შესწავლით დადგენილია, რომ ეკონომიკური ფრაგმენტაცია დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო ვაჭრობაზე (Alvarez, 2023).


დისკუსია და ანალიზი

2023 წელს მსოფლიო მოსახლეობის (8 045 მლნ ადამიანი) 29% (2 326 მლნ ადამიანი) განიცდიდა ზომიერ ან მძიმე სასურსათო დაუცველობას. სამწუხაროდ, მძიმე სასურსათო დაუცველობის წინაშე ჯერ კიდევ 864 მლნ ადამიანია (FAO et al., 2024). სასურსათო დაუცველობის კონცენტრაცია და განაწილების სიმძიმე განსხვავებულია მსოფლიო რეგიონების მიხედვით. პრობლემა განსაკუთრებული სიმძიმით აღიქმება აზიისა (467 მლნ ადამიანი) და აფრიკის (316 მლნ ადამიანი) რეგიონებში (FAO et al., 2024).

სასურსათო დაუცველობის პრობლემას არაერთი ფაქტორი განაპირობებს, თუმცა, ძირითადი ფაქტორებია: ეკონომიკური ვარდნა, კლიმატის ცვლილება, კონფლიქტი და შემოსავლების უთანასწორობა. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაართულდა გეოპოლიტიკური მდგომარეობა. 2021 წლიდან 28 სახელმწიფოში გაძლიერდა კონფლიქტით გამოწვეული რისკები (იხ. რუკა 1; Kinnear, 2024).

რუკა 1.

კონფლიქტის ინტენსივობის ინდექსი, რისკის ცვლილება 2021 წლის I კვარტალში




■ მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ■ უმნიშვნელო გაუმჯობესება ■ არ არის კონფლიქტი
■ უმნიშვნელო გაუარესება ■ მნიშვნელოვანი გაუარესება

წყარო: <https://www.maplecroft.com/products-and-solutions/geopolitical-and-country-risk/insights/-conflict-surges-in-28-countries-global-trade-facing-elevated-threats/>

გაძლიერებული კონფლიქტების შედეგად 2021 წლიდან გაიზარდა სასურსათო დაუცველობის წინაშე მყოფი მოსახლეობის რაოდენობა. სასურსათო დაუცველობაზე კონფლიქტის ზეგავლენის მაჩვენებელმა მნიშვნელოვნად გადაასწრო უმნიშვნელოვანეს ფაქტორს – კლიმატის ცვლილებას და გავლენა იქონია ეკონომიკურ ვარდნასა და შემოსავლების უთანასწორობაზეც (იხ. დიაგრამა 1).

სასურსათო დაუცველობაზე მოქმედი ფაქტორების ტენდენცია 2013-2023 წლებში (%)




წყარო: FAO et al. file:///C:/Users/user/Downloads/SOFI2024_Report_EN_web.pdf

ბოლოდროინდელი კონფლიქტები მნიშვნელოვნად აისახა Covid-19-ის პანდემიის შედეგად დასუსტებულ მიწოდების ჯაჭვებზე და ფართომასშაბიანი გავლენა მოახდინა გლობალურ ეკონომიკაზე. რუსეთის შეჭრამ უკრაინაში განაპირობა ენერგორესურსებისა და სურსათის დანახარჯების ზრდა. ვინაიდან შეწყდა უკრაინული მარცვლეულის ექსპორტი და სანქციების დანერგვის შედეგად შეჩერდა რუსეთიდან სასუქებისა და ენერგორესურსების ექსპორტი. საომარ მოქმედებებში ჩართულ მხარეებს შორის კონფლიქტის ესკალაციის პარალელურად შესუსტდა მათი დომინანტური პოზიცია მსოფლიო სასურსათო ლანდშაფტში, რაც ბუნებრივია სასურსათო უსაფრთხოებაზეც აისახა (Ben Hassen & El Bilali, 2020). 2023 წლისთვის ომის პირდაპირი შედეგი მსოფლიოს 1 ტრლნ აშშ დოლარზე მეტი დაუფდა (Kinneer, 2024). მიწოდების ჯაჭვებს მოუწია ახალ რეალობასთან ადაპტირება. ამასთან, ჰამასის შეტევამ ისრაელზე შეაფერხა საზღვაო ტრანსპორტირება წითელ ზღვაში. მწვავე გლობალური კონფლიქტების პირობებში სოფლის მეურნეობის სექტორი მაღალი რისკის ქვეშ აღმოჩნდა.

გარდა ამისა, ამავე პერიოდში, მნიშვნელოვნად გაუარესდა აშშ-სა და ჩინეთს შორის დიპლომატიური კავშირები (Tatsushi & Tsuruga, 2024) და გამოიკვეთა გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის რისკების კონტურები. გაეროს გენერალური ანსაბლეს (UNGA), საერთაშორისო სავალუტო ფონდისა (IMF) და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) ემპირიული ანალიზი ვარაუდობს, რომ სავაჭრო და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) სულ უფრო მეტად იცვლება გეოპოლიტიკური ხაზების გასწვრივ (Hudecz et al., 2024). ამდენად, მსხვილ ეკონომიკურ სახელმწიფოებს შორის სავაჭრო უთანხმოების გამო გეოეკონომიკური ფრაგმენტაცია განსაკუთრებულ პოლიტიკურ და სამეცნიერო ინტერესს იძენს (Aiyar & Ohnsorge, 2024). გამორჩეული ინტერესის ობიექტია აგროსასურსათო ბაზარი, ვინაიდან 2021 წლიდან აგროსასურსათო პროდუქტებზე მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ინტერვენციების მოცულობა (იხ. დიაგრამა 2).

აგროსასურსათო პროდუქტებზე დაწესებული
ინტერვენციების მოცულობა 2009-2024 წლებში



წყარო: აგებულია ავტორთა მიერ Canva-ს გამოყენებით Global Trade Alert-ის მონაცემებზე დაყრდნობით

https://www.globaltradealert.org/sector/011,012,013,014,015,016,017,018,019,021,022,023,024,029/period-from_20090101/period-to_20240926

ცალსახაა, რომ გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის რისკების არსებობის ფონზე გაზრდილია აგროსასურსათო პროდუქტებზე დაწესებული შემზღუდველი სავაჭრო ინტერვენციების მოცულობა. აღნიშნული პოლიტიკის ძირითადი განმახორციელებელია აშშ (9,3% – 1035), საფრანგეთი (3,3% – 361), იტალია (3,1% – 342), ინდოეთი (2,8% – 307) და ესპანეთი (2,7% – 295). შესაძლებელია ითქვას, რომ პოლიტიკის დამაზიანებელი გავლენა თანაბარზომიერად ნაწილდება თითოეულ სახელმწიფოზე. მათ შორის გამორჩეული ხუთეულია: ჩინეთი (1,7% – 2000), იტალია (1,6% – 1877), თურქეთი (1,6% – 1855), ესპანეთი (1,6% – 1829) და საფრანგეთი (1,6% – 1819). მოცემულ კლასიფიკაციაში მე-8 და მე-13 პოზიციას იკავებს აშშ და რუსეთი 1,5%-იანი (1697) და 1,3%-იანი (1499) წილებით. გასათვალისწინებელია, რომ აგროსასურსათო პროდუქტებზე დაწესებული შემზღუდველი ინტერვენციებისათვის გამოყენებულია შემდეგი პოლიტიკის ინსტრუმენტები: იმპორტის ტარიფი (686), წარმოების სუბსიდირება (672), ფულადი გრანტი (612), სახელმწიფო სესხი (497) და ფასების სტაბილიზაცია (317).

2024 წლის სექტემბრის მდგომარეობით, 16-მა სახელმწიფომ განახორციელა სურსათის ექსპორტის 22 აკრძალვა, 8 სახელმწიფომ კი – ექსპორტის შეზღუდვის 15 ღონისძიება (World Bank Group, 2024). მიმდინარე ეტაპზე, ქვეყნები აქტიურად იყენებენ სავაჭრო პოლიტიკას სახელმწიფო ინტერესების საპასუხოდ. ისინი აგრძელებენ უფრო ღრმა სავაჭრო ურთიერთობებს მეზობლებთან და იზრდება რეგიონალური სავაჭრო შეთანხმებების რიცხვი. მათი მოცულობა 1990-2023 წლებში გაიზარდა 22-დან 360-მდე (World Trade Organization, 2024).

თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელმა მოვლენებმა აიძულა სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები და ფირმები გადაეხედათ თავიანთი საერთაშორისო კავშირებისათვის და შეემცი-რებინათ გარე შოკების ზემოქმედება. შედეგად, გარე ზემოქმედების შეზღუდვებისა და ინტეგრაციისაკენ მიმართულმა პოლიტიკამ ფართო გლობალური გავრცელება ჰპოვა. ამგვარი ქცევის ძირითადი მოტივები დაკავშირებულია ქვეყნის შიგა ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებთან, როგორცაა ადგილობრივი წარმოებისა და დასაქმების სტიმულირება, ასევე, ეროვნული

უსაფრთხოების უზრუნველყოფა. შედეგად, პოლიტიკური მიზეზების გამო „არამეგობრულად“ მიჩნეულ სავაჭრო პარტნიორებთან შემცირდა დამოკიდებულება და გეოპოლიტიკური დაძაბულობა გლობალური ეკონომიკისათვის მთავარ რისკად ჩამოყალიბდა. ქვეყნებსა თუ ეკონომიკურ ბლოკებს შორის სტრატეგიულმა მეტოქეობამ საფრთხის წინაშე დააყენა გლობალური ეკონომიკური და ფინანსური ინტეგრაციის პოლიტიკით განპირობებული გასული ათწლეულების მიღწევები.

მოვლენათა ამგვარი განვითარების ფონზე, კვლავ იზრდება სასურსათო დაუცველობის წინაშე მყოფი მოსახლეობის რაოდენობა. მით უმეტეს მაშინ, როდესაც სავაჭრო ბარიერების გაღწევა ცილდება ორმხრივ კავშირებს. გლობალიზაციის განვითარების კვლადაკვალ სურსათის მიწოდების ჯაჭვებმა რთული და კომპლექსური სახე მიიღო. ამიტომ, სურსათის ბაზარზე დაწესებული ნებისმიერი სახის შეზღუდვა იწვევს გლობალური ბაზრის დამახინჯებას და მიწოდების ჯაჭვის შეფერხებას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გამძაფრებას.

ამ პირობებში, სამომავლო რაციონალური ღონისძიებების შემუშავებისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს სასურსათო უსაფრთხოებაზე ე.წ. „კრიზისების“ გავლენის პროგნოზირება. ამჟამად, შესწავლილია რუსეთ-უკრაინის ომის ეფექტი და განსაზღვრულია, რომ იგი გაზრდის ევროპისა და სუბ-საჰარის აფრიკის რეგიონების სასურსათო უსაფრთხოებას შესაბამისად 1,49%-ით და 0,29 %-ით (Xu et al., 2024).

დასკვნა და რეკომენდაციები

მნიშვნელოვანია ყველა ადამიანისთვის ნებისმიერ დროს უზრუნველყოფილი იყოს ფიზიკური, სოციალური და ეკონომიკური წვდომა დიეტური კვებითი მოთხოვნების შესაბამის საკმარის, უსაფრთხო და ჯანსაღ საკვებზე. თუმცა, მიმდინარე გეოპოლიტიკური დისტანცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს გლობალური სასურსათო სავაჭრო ნაკადების განსაზღვრაში. კონფლიქტთა მიმდინარეობა, სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობებს გლობალური სასურსათო დაუცველობის ზრდას და გავლენას ახდენს მსოფლიო წესრიგის მომავალ განვითარებაზე. მსგავს პირობებში, სასურსათო უსაფრთხოება მსოფლიო მმართველობისათვის გადაუდებელ, საკვანძო საკითხად ფორმირდება.

მიმდინარე ეტაპზე, აუცილებელია გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის რისკების შემცირება და პოლიტიკური არასტაბილურობის გავლენის შეფასება, ასევე, კონფლიქტის რისკის გამოვლენა და დაძლევა. ეკონომიკურ-პოლიტიკური სცენარის ამგვარი განვითარება გადამწყვეტია სურსათის მიწოდების ჯაჭვებისათვის, რომელსაც ამჟამინდელი გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის რისკები მნიშვნელოვნად აფერხებს.

გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის შედეგები გლობალური სასურსათო უსაფრთხოებისათვის შორსმომავალია. ამიტომ, აუცილებელია შეიზღუდოს პოლიტიკური მოტივების დომინანცია ეკონომიკურ რაციონალურობაზე.

ლიტერატურა

1. Aduashvili, L. (2023). Food Security Problems in the Context of Digital Economy Development. *Journal of Innovative Economics and Management*, Vol. 10, No 3. <https://doi.org/10.46361/2449-2604.10.3.2023.47-57>
2. Aiyar, S., & Ohnsorge, F. (2024). Geoeconomic Fragmentation and “Connector” Countries. https://www.ncaer.org/wp-content/uploads/2024/08/NCAER_WP_173_Shekhar-Aiyar_Aug_24.pdf

3. Alvarez, J., Andaloussi, M. B., & Stuermer, M. (2023). Geoeconomic Fragmentation Threatens Food Security and Clean Energy Transition. <https://www.imf.org/en/Blogs/Articles/2023/10/03/geoeconomic-fragmentation-threatens-food-security-and-clean-energy-transition>
4. Attinasi, M. G., & Ioannou, D., Lebastard, L. & Morris, R. (2023). Global production and supply chain risks: insights from a survey of leading companies. Economic Bulletin Boxes, European Central Bank, vol. 7
5. Belik, W. (2020). Sustainability and food security after COVID-19: relocating food systems? *Agric Econ*, 8(23). <https://doi.org/10.1186/s40100-020-00167-z>
6. Ben Hassen, T., & El Bilali, H. (2022). Impacts of the Russia-Ukraine War on Global Food Security: Towards More Sustainable and Resilient Food Systems? *Foods*, 11(15):2301. <https://doi.org/10.3390/foods11152301>
7. Campos, R. G., Estefania-Flores, J., Furceri, D., & Timini, J. (2023). Geopolitical fragmentation and trade, *Journal of Comparative Economics*, 51(4), 1289-1315, ISSN 0147-5967. <https://doi.org/10.1016/j.jce.2023.06.008>
8. FAO, IFAD, UNICEF, WFP, & WHO (2024). The State of Food Security and Nutrition in the World 2024 – *Financing to end hunger, food insecurity and malnutrition in all its forms*. Rome. <https://doi.org/10.4060/cd1254en>
9. Global Trade Alert (2024). *Number of new interventions per year*. https://www.globaltradealert.org/-sector/011,012,013,014,015,016,017,018,019,021,022,023,024,029/period-from_20090101/period-to_20240926
10. Gramegna, P. (2024). *The new reality of geo-economic fragmentation* – speech by Pierre Gramegna <https://www.esm.europa.eu/speeches/new-reality-geo-economic-fragmentation-speech-pierre-gramegna>
11. Grinin, L. E., Grinin, A. L., & Korotayev, A. (2017). Forthcoming Kondratieff wave, Cybernetic Revolution, and global ageing. *Technological Forecasting and Social Change*, 115, 52-68, ISSN 0040-1625. <https://doi.org/10.1016/j.techfore.2016.09.017>
12. Hudecz, G., Lauwers, A., Mimir, Y., Schiliuk, G., Ong, L. L., Zhao, H., & Rosario, D. (2024). Geoeconomic fragmentation: implications for the euro area and ASEAN+3 regions. *European Stability Mechanism*, ISBN 978-92-95223-55-4, ISSN 2467-2025, doi:10.2852/9793476. https://www.esm.europa.eu/-system/files/document/2024-10/DP_No23_Geoeconomic_fragmentation.pdf
13. International Monetary Fund (2023). *Committed to Collaboration*. Annual Report 2023. <https://www.imf.org/external/pubs/ft/ar/2023/>
14. Kharaishvili, E. (2021). Food Market Policy Priorities in Georgia. *ICEBI 2021: 15*. International Conference on Economics and Business Innovation. Greece, Athens: <https://waset.org/economics-and-business-innovation-conference-in-october-2021-in-athens>
15. Kharaishvili, E. (2023). Impact of Confrontation on Agro-Food Production: Uncertainties and Expectations. *Proceedings of the National Scientific Conference*. <https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-36-55>
16. Kharaishvili, E., & Gechbaia, B. (2023). The impact of sustainable transportation on the development of food markets. *Innovative Economics and Management*, Volume 10, Issue 2. <https://doi.org/10.46361/2449-2604.10.2.2023.129-139>
17. Kinnear, H. (2024). *Conflict surges in 28 countries, global trade facing elevated threats*. <https://www.maplecroft.com/products-and-solutions/geopolitical-and-country-risk/insights/conflict-surges-in-28-countries-global-trade-facing-elevated-threats/>
18. Müller, B., Hoffmann, F., Heckelei, T., Müller, C., et al. (2020). Modelling food security: Bridging the gap between the micro and the macro scale. *Global Environmental Change*, 63, ISSN 0959-3780. <https://doi.org/10.1016/j.gloenvcha.2020.102085>

19. Norring, A. (2024). Geoeconomic fragmentation, globalization, and multilateralism. *BoF Economics Review*, No. 2/2024, Bank of Finland, Helsinki. <https://nbn-resolving.de/urn:nbn:fi-fe2024031811700>
20. Tatsushi, O., & Tsuruga, T. (2024). Geoeconomic Fragmentation and International Diversification Benefits. *IMF Working Paper WP/24/48*, International Monetary Fund, Washington DC
21. The World Bank (2024). *Food Security Update*. <https://thedocs.worldbank.org/en/doc/-40ebbf38f5a6b68bfc11e5273e1405d4-0090012022/related/Food-Security-Update-CVIII-September-26-2024.pdf>
22. United Nations (2023). *Goal 2: Zero Hunger*. Sustainable Development Goals. <https://www.un.org/sustainabledevelopment/hunger/>
23. World Bank Group (2024). *Food Security Update | World Bank Response to Rising Food Insecurity*. https://www.worldbank.org/en/topic/agriculture/brief/food-security-update?cid=ECR_GA_worldbank_EN_EXTP_search&s_kwcid=AL1846813!704632427690!b!!g!!food%20insecurity&gad_source=1
24. World Trade Organization (2024). *Regional Trade Agreements: Database*. <https://rtais.wto.org/UI/PublicMaintainRTAHome.aspx>
25. Xu, Y., Chou, J., Wang, Z., & Dong, W. (2024). Predicting the differences in food security with and without the Russia–Ukraine conflict scenarios over different regions of the world. *Agric Econ*, 12(5). <https://doi.org/10.1186/s40100-024-00296-9>

IMPACT OF GEOECONOMIC FRAGMENTATION RISKS ON FOOD SECURITY: CONCEPTUAL CHALLENGES AND EMPIRICAL TRENDS

Eter Kharashvili

Doctor of Economic Sciences, Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
eter.kharashvili@tsu.ge
<https://orcid.org/0000-0003-4013-7354>

Lela Aduashvili

Ph.D. student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
<https://orcid.org/0000-0001-5830-6924>
lela.aduashvili@tsu.ge

Annotation

The article analyzes the causes and development trends of geo-economic fragmentation. It evaluates the impact of this fragmentation on food security, identifying the main factors contributing to food security challenges. Conceptual challenges and empirical trends are identified in this direction. It also examines how individual countries engage in food trade interventions and assesses their political-economic behavior. Furthermore, the progress of the deglobalization process is analyzed. Conclusions are drawn, and recommendations have been developed to ensure global food security.

Keywords: *geo-economic fragmentation, globalization, food security, conceptual challenges, empirical trends.*

**ინოვაციური ბიზნესის სახელმწიფოებრივი
რეგულირების პოლიტიკა და მისი მხარდამჭერი
ინსტიტუტები საქართველოში**

ლალი ხიხაძე

ეად, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
საერთაშორისო ბიზნესის კათედრა
ასოცირებული პროფესორი
Lali.KhiKhadze@tsu.ge
599 25 60 07

ანოტაცია

ინოვაციური ბიზნესი – ეს მრავალსაფეხურიანი და გრძელვადიანი პროცესია, რომელიც იდეით იწყება, შემდეგი ეტაპებია კვლევა-განვითარება (საინჟინრო-საკონსტრუქციო სამუშაოები, ტესტირება, პროტოტიპების შექმნა, ინტელექტუალური საკუთრების სტრატეგიის შემუშავება, ბაზრების პირველი მიმოხილვა, ტექნოლოგიის კომერციალიზაციის სტრატეგიის შერჩევა) – კომერციალიზაცია – ტესტური გამოშვება – სრულმასშტაბიანი წარმოება – დისტრიბუცია – მარკეტინგი. ამ გრძელი და სარისკო პროცესის თითოეული ეტაპი მონაწილეთა შორის ურთიერთობების რეგულირების თავისებურებებითა და ამ ეტაპისთვის რისკების არსებობით ხასიათდება.

ბიზნესში ინოვაციური პროცესი-მეცნიერული ცოდნის ინოვაციებად გარდაქმნის პროცესია. იგი მთლიანობაში მოიაზრება, როგორც საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს ახალ შესაძლებლობათა მუდმივ ძიებას, დასმული ამოცანების გადასაწყვეტად სხვადასხვა რესურსული წყაროების გამოძენას, მოზიდვას და კვლავწარმოებით პროცესში ჩართვას, მეცნიერებატევადი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას ახალი მიდგომებისა და ტექნოლოგიების საშუალებით.

სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკა-სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, რომელიც განსაზღვრავს ინოვაციების დარგში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის მიზნებს, მიმართულებებს და მეთოდებს. ინოვაციური პოლიტიკის ძირითად ამოცანას თანამედროვე ეტაპზე წარმოადგენს ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც შეძლებს სამამულო ინტელექტუალური პოლიტიკისა და თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების მიღწევების გამოყენებას კონკურენტუნარიანი პროდუქციის საწარმოებლად.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური ბიზნესი, სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკა, რეგულირების ინსტრუმენტები, მხარდამჭერი ინსტიტუტები, მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა და ნორმატიული აქტები.

**ინოვაციური ბიზნესის სახელმწიფოებრივი რეგულირების
არსი და მისი გამოყენების აუცილებლობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში**

ინტელექტუალური რესურსი ბიზნესის ერთ-ერთ პრიორიტეტული ინსტრუმენტია. ამდენად ბიზნესში თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის გამოყენების პროცესი ინოვაციის ცნებით გამოიხატება.

ინოვაციური ბიზნესის განვითარებას მნიშვნელოვანწილად თვით საბაზრო მექანიზმი განაპირობებს შიგა და საერთაშორისო მძაფრი კონკურენციის გამო, მაგრამ სახელმწიფოს მიერ ამ პროცესის რეგულირება ობიექტურად აუცილებელია, ვინაიდან მას შეუძლია უზრუნველყოს:

1. საბაზრო კრიზისების თავიდან აცილება;
2. ინოვაციური პროცესების გეგმაზომიერი გაძლიერება (ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შესაბამისობა ინოვაციური განვითარების მიზნებთან და პირიქით);
3. რესურსების ეფექტიანი მობილიზება;
4. ქვეყნის მეცნიერებისა და განათლების სისტემის ეფექტიანი ორგანიზება;
5. საერთაშორისო ინოვაციური გამოცდილების ეფექტიანი გამოყენება;
6. ფინანსური, ინსტიტუციური და ორგანიზაციული მხარდაჭერა და ა.შ.

ინოვაცია, უპირველეს ყოვლისა, პასუხია საერთაშორისო ბიზნეს გარემოს გამოწვევებზე. მუდმივი ცვლილებები კანონმდებლობაში, ბიზნესის კეთების პირობებსა და წესებში, კონკურენციის გაზრდა, ბიზნესის ორგანიზაციისა და მენეჯმენტის სფეროში ახალი ცოდნის გაჩენა, მუშაკთა და მენეჯერების საფუძვლიანი გადამზადება, მათი უწყვეტი ჩანაცვლება მოტივირებული, საქმისადმი ორიენტირებული და ნიჭიერი ახალი თაობებით, ახალი ბაზრების გაჩენა, ინჟინერიის, ბიზნეს კომუნიკაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებების განვითარება, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი და ა.შ. მოითხოვს, რომ საწარმოებს ჰქონდეთ ძალიან ადაპტირებული შესაძლებლობები. საწარმოს მუდმივი ადაპტაცია საერთაშორისო ბიზნეს გარემოს პირობების შეცვლაზე კი ხორციელდება მენეჯერული ინოვაციის მეშვეობით, რაც განსაზღვრავს ინოვაციური კომპონენტის უპირატესობას ბიზნესის მართვის სისტემაში.

მხოლოდ მეცნიერების, მენარმეობის, საზოგადოების, სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების ნაყოფიერი ურთიერთქმედებით იქნება შესაძლებელი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სწრაფი ტემპის უზრუნველყოფა და მრავალი ინოვაციური ბიზნესის ჩამოყალიბება.

ბიზნესის, მეცნიერებისა და სახელმწიფოს ერთობლივი ძალისხმევის გარეშე ინოვაციური მენარმეობის ფორმირება და განვითარება შეუძლებელია. ინოვაციური ბიზნესის ფორმირების ხელშემწყობი პროცესები უნდა განხორციელდეს სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის მეშვეობით, რომლის სტრუქტურა და შინაარსი დამოკიდებულია ქვეყნის ინოვაციური განვითარების დონეზე, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასა და ტაქტიკაზე.

XXI საუკუნე ცოდნის ეკონომიკაზე დაფუძნებული ეპოქაა. თანამედროვე მსოფლიოში იქმნება ფასეულობების ახალი სისტემა, რომელიც ძირფესვიანად ცვლის ეკონომიკისა და ბიზნეს სექტორის განვითარების ძირითად ფაქტორს და აყალიბებს ახალი ტიპის ეკონომიკურ პოლიტიკას. აღნიშნულ პროცესში ცოდნის სექტორი გადამწყვეტ როლს ასრულებს. ცოდნის წარმოება არის ეკონომიკური ზრდის წყარო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკური ზრდის დომინანტი ბიზნესის ორგანიზაციის ახალი ფორმებთან ერთად ხდება მეცნიერული ცოდნის სისტემა – ახალი პროცესების, პროდუქტებისა და მომსახურების სისტემა.

მსოფლიო გამოცდილებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ინოვაციური ბიზნესი ინტელექტუალური საქმიანობის შედეგია, რომელიც აისახება ახალ, გაუმჯობესებულ პროდუქტებში და მომსახურებაში, ან ახალ გაუმჯობესებულ ტექნოლოგიებში, რომლებიც გამოიყენება პრაქტიკულ საქმიანობაში. მაშასადამე, ინოვაციის აუცილებელი თვისებაა სამეცნიერო-ტექნიკური სიახლე, სამრეწველო გამოყენებადობა და კომერციალიზაცია. ინოვაციები გარდაიქმნებიან ზრდის სტრატეგიულ ფაქტორად, გავლენას ახდენენ საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურაზე, სახეს უცვლიან საზოგადოების ეკონომიკურ ორგანიზაციას, ახდენენ ქვეყანაში სოციალური სიტუაციის სტაბილიზაციას.

საქართველოს განვითარების მომავალი ინოვაციურ ბიზნესს ეკუთვნის. სწორედ ეროვნული ინოვაციური სისტემა არის განვითარების საფუძველი ნებისმიერ სფეროში, საზოგადოების ნებისმიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებელი მექანიზმი. ინოვაციაა ეკონომიკასა და ბიზნეს სექტორში სიახლეების ათვისების საფუძველი, რომელიც ეკონომიკის ზრდას განაპირობებს. ბიზნეს პროცესები ინოვაციის გზით უნდა წარიმართოს. ინოვაციის გზით განვითარება ნიშნავს საინოვაციო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას მართვის ყველა

(ქვეყნის, რეგიონის) დონეზე. ეს მიდგომა ფართოდ უნდა იყოს გაზიარებული და კამათს არ უნდა იწვევდეს საქართველოში.

საქართველოსათვის ინოვაციური ბიზნესის განვითარება – ეს შესაძლებლობაა იმპორტიორი ქვეყნიდან გახდეს მეცნიერებატევადი პროდუქციის ექსპორტიორი ქვეყანა. საწარმოო სფეროში ინოვაციების დანერგვა აამაღლებს არა მხოლოდ წარმოებული პროდუქციის ხარისხს და შეამცირებს დანახარჯებს, არამედ შეიქმნება პრინციპულად ახალი სახის კონკურენტუნარიანი პროდუქცია და მომსახურება, გაჩნდება გასაღების ახალი ბაზრები, გაიზრდება ბიზნესსუბიექტების კონკურენტუნარიანობა, ამაღლდება მოსახლეობის ცხოვრების დონე, რითაც საქართველო დაიკავებს ღირსეულ ადგილს ევროპული თანამეგობრობის ქვეყნებს შორის.

ინოვაციური პოლიტიკის შემუშავების პროცესში უპრიანი დეტალურად განისაზღვროს სახელმწიფო ინსტიტუციების როლი ქვეყნის ინოვაციური ეკონომიკის სისტემის ჩამოყალიბებაში და მოვახდინოთ სახელმწიფო ინსტიტუტების ანალიზი, რის საფუძველზეც ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების სახელმწიფო ინსტიტუციების საჭიროებისა და პრობლემებს განვსაზღვრავთ. ინოვაციური პოლიტიკის ფორმირებაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩართულია კვლევითი ინსტიტუტები, უნივერსიტეტები, ინვესტორები, ინოვაციური ეკოსისტემის მხარდაჭერი ინსტიტუციები, ბიზნეს ინკუბატორები, რომლებიც ინოვაციური იდეის მქონე მენარმეებს შესაძლებლობას აძლევენ შეღავათიან პირობებში განავითარონ საკუთარი ბიზნეს იდეა. კვლევა განვითარებაზე გასაწევი დაფინანსების ოდენობას საქართველოს პარლამენტი განსაზღვრავს სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისას.

ამრიგად, ინოვაციური პოლიტიკის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი და პასუხისმგებლობა აქვთ სამინისტროებს: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო – ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების ერთ-ერთი მიმართულების „ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის“ სრულყოფაზე პასუხისმგებელი. მათი მოვალეობაა კვლევაგანვითარების სისტემის რეგულირება. სამინისტროს ბაზაზე შექმნილი სსიპ „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი“ ხელს უწყობს ქვეყანაში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის განვითარებას. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო – მუშაობს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგიაზე. იგი პასუხისმგებელია ქვეყანაში ინოვაციური ეკონომიკის მშენებლობაზე. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვევებულობაში არსებული უწყების – „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს“, მიზანს ინოვაციური ეკოსისტემის განვითარება წარმოადგენს. ასევე, აღნიშნული სამინისტროს ბაზაზე შექმნილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების პოლიტიკას განსაზღვრავს. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის განსაზღვრისას, მაქსიმალურად ითვალისწინებს საგადასახადო შეღავათებსა და სახელმწიფო სუბსიდიებს ინოვაციების წარმოებაში დანერგვის ხელშეწყობის მიზნით. ენერგეტიკის სამინისტროს ფუნქცია ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პროცესებში არატრადიციული ენერგორესურსების, კერძოდ, განახლებადი ენერგორესურსების შექმნის პროცესში ვლინდება. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფუნქციას წარმოადგენს მდგრადი ეკონომიკისა და საზოგადოების ჩამოყალიბება. იგი მიზნად ისახავს ბუნებრივი რესურსების მართვას და დაზოგვას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური ინოვაციის მდგრად განვითარებასთან ურთიერთკავშირი, სადაც წარმოების პროცესები იმგვარად მიმდინარეობს, რომ მნიშვნელოვნად შემცირდეს ნარჩენები, გარემოს დაბინძურება და მოხდეს ე.წ. „მწვანე ბიზნესის“ განვითარება. ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინოვაციური ეკონომიკის ფორმირება ხორციელდება სახელმწიფოს სხვადასხვა ინსტრუმენტების ერთობლიობით, რომელშიც მოიაზრება როგორც სახელმწიფო რეგულირება, ასევე ინსტიტუციების როლი და მასში ინოვაციის განვითარების ხელშეწყობი ღონისძიებები, რომელიც ნაწილობრივ ფინანსურ დახმარებასა და მხარდაჭერას გულისხმობს.

თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკასა და ბიზნეს სექტორში ინოვაციები უნიკალური ტექნოლოგიების დანერგვის, პროგრესული განვითარებისა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მძლავრი მექანიზმი და განმსაზღვრელი ფაქტორია.

ინოვაციური მენარმეობის ფორმირების სახელმწიფო რეგულირების არსი ისაა, რომ სახელმწიფომ, საბაზრო პრინციპებზე დაყრდნობით, ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკის ინოვაციური განვითარების პროცესთა დაჩქარებას. მისი თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ რეგულირების ძირითადი აქცენტი გადატანილია ეკონომიკის თვისებრივ სრულყოფაზე. მისი მთავარი მიზანია არა მხოლოდ ხელი შეუწყოს საბაზრო ძალების მოქმედებას, რათა დაჩქარდეს ინოვაციური განვითარების პროცესი, არამედ თავიდან ავიცილოთ ეკონომიკური საქმიანობისაგან ბუნებისადმი მიყენებული ნეგატიური შედეგები. დიდი ხანია, რაც მსოფლიოში გამოიკვეთა მომავალი მოსალოდნელი კატასტროფების შემამფოთებელი კონტურები. მასასადამე, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ისეთ ინოვაციურ პროცესებს, რასაც მდგრადი ეკონომიკური განვითარება მოჰყვება. ამასთან ქვეყნის ეკონომიკის ინოვაციური განვითარება და მდგრადი ეკონომიკური განვითარება ერთიან ჭრილში უნდა განიხილებოდეს. ინოვაციური მენარმეობის ფორმირების სახელმწიფო რეგულირების მოქნილი მექანიზმის არსებობა განვითარებად ქვეყნებში ინოვაციური ბიზნესის ფორმირების აუცილებელი პირობაა.

საქართველოსათვის და მსგავსი განვითარებადი ქვეყნებისათვის მნიშვნელოვანია, ტრადიციული წარმოების ფაქტორების პარალელურად, ცოდნაზე და ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე ორიენტირებული ეკონომიკური აქტივობების განხორციელება და მხარდაჭერა. აღნიშნული საკითხი კი, თავის მხრივ, გულისხმობს როგორც ცენტრალური, ისე რეგიონული ხელისუფლების მიერ შემუშავებული ინოვაციური ბიზნესის განვითარების სტრატეგიასა და მათ განხორციელებას. მეცნიერთა გარკვეული ნაწილის მხრიდან სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარება ხშირად კერძო ფირმების დამსახურებად განისაზღვრება და ამ პროცესში სახელმწიფო, როგორც მარეგულირებელი და მაკონტროლებელი ორგანო, შემაფერხებელ როლად არის მიჩნეული. მიუხედავად ამისა, აღნიშნული მოსაზრების საპირწონედ შესაძლებელია მოყვანილ იქნას სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ისეთი პროექტები, რომლებმაც საფუძველი შეუქმნეს ახალი ტექნოლოგიების განვითარებასა და პროგრესს.

მსგავსი დაფინანსების პირობებში შექმნილია არაერთი მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური ბაზისი, რომელთა შედეგები განვრცობილია ეკონომიკის მნიშვნელოვან დარგებში. ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო გვევლინება ერთადერთ, უპირობო მხარედ, რომელიც მზადაა განახორციელოს მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდება მაღალი რისკის შემცველ საინვესტიციო პროექტში, რომელიც თავის მხრივ, ინოვაციური ტექნოლოგიის შექმნას გულისხმობს, რასაც ტრადიციული კერძო კომპანიები და კომერციული ბანკები ვერ ახერხებენ. ამ უკანასკნელთა ჩართულობა როგორც წესი ვლინდება მას შემდეგ, როცა სახელმწიფოს მიერ ძირითადი სამუშაოები შესრულებულია. აღნიშნული მიდგომა აპრობირებულია როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში (აშშ, სკანდინავიის ქვეყნები, იაპონია, ისრაელი და ა.შ.).

თანამედროვე გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნა, გავრცელება და ათვისება თავდაპირველად ეკონომიკურ ზრდის ტემპებს და პროდუქტიულობის დონეს ამცირებს (ინტეგრაციისა და რესტრუქტურეზაციის პრობლემების გამო), მაგრამ გრძელვადიან პერიოდში პროდუქტიულობის დონის გაუმჯობესების და საბოლოოდ, ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარების გამო ტექნოლოგიური ინოვაცია განიხილება, როგორც ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელი ძალა (Mokyr, 1990). მეცნიერთა ნაწილი კრიტიკულად აფასებს ურთიერთკავშირს ინოვაციასა და ეროვნულ ეკონომიკურ ზრდას შორის (Edgerton, 2007). ინოვაციური იდეების წარმოშობის წყაროდ შესაძლოა განვიხილოთ იქნას მრავალი ფაქტორი ასე მაგალითად ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევა, ინოვაციის დიფუზია, პროცესების გაუმჯობესებისა და სხვა. აღსანიშნავია, რომ ეროვნული ინოვაციის სისტემების შესწავლა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ცოდნის ნაკადებზე. აღნიშნული ვლინდე-

ბა იმით, რომ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ფინანსური რესურსით დაფინანსდა ტექნოლოგიური განვითარების პროცესი შემდეგ საერთაშორისო კომპანიებში: IPHON, TESLA, MOTOROLA და ა.შ. [წყარო: <https://about.crunchbase.com/blog/top-govtech-companies-2019/> (20.09.2020)].

ინოვაციური ბიზნესის ფორმირება და პოლიტიკის შემუშავება დროში გახანგრძლივებული პროცესია, რომელიც მოითხოვს ახალი ტექნოლოგიების შექმნასა და დანერგვას, განათლების სისტემის სრულყოფას, მეცნიერებისა და ინფორმაციული სისტემების განვითარებას, რაც შეუძლებელია ინოვაციური პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავების გარეშე. ინოვაციური ბიზნესის ფორმირება მნიშვნელოვანია როგორც განვითარებადი, ისე განვითარებული ქვეყნებისთვის. განვითარებად ქვეყნებში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებას ნაწილობრივ ინოვაციის შემოტანით, ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვითაც უზრუნველყოფენ, რომელსაც ტექნოლოგიის იმპორტი ახლავს თან ლ. (ბახტაძე, ს. დანელია, 2020).

სახელმწიფოს როლის იდენტიფიცირება ინოვაციური ბიზნესის ფორმირების პროცესში სხვადასხვა გზით შეიძლება განხორციელდეს, კერძოდ:

- მარეგულირებელი ინსტრუმენტების (ინსტიტუციები და საკანონმდებლო ბაზა) მეშვეობით;
- ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების მეშვეობით;
- კერძო კომპანიების ინსტრუმენტების (კომერციალიზაცია) მეშვეობით.

ინოვაციური ბიზნესის ფორმირების პირველი კომპონენტს წარმოადგენს მარეგულირებელი ინსტრუმენტები, რომელიც გულისხმობს ქვეყნის ინოვაციური მენარმეობის განვითარებისთვის სახელმწიფო საკანონმდებლო და ინსტიტუციურ რეგულაციას, რომელიც განისაზღვრება, როგორც მთავარი ინდიკატორი. ასევე აღსანიშნავია, რომ საბაზრო ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, მათ შორის ინოვაციური ბიზნესის ფორმირებისათვის ინსტიტუციური და მარეგულირებელი ინსტრუმენტები იყენებენ შესაბამის საკანონმდებლო ბაზას.

საქართველოში ინოვაციური ბიზნესის ფორმირებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო და განსაკუთრებით 2014 წლიდან ინოვაციური ბიზნესის ფორმირების საკითხი სახელმწიფო ინტერესების პრიორიტეტულ სფეროდ იქცა. ამას მოწმობს ინოვაციების სამართლებრივი ბაზის ფორმირება, ინოვაციური მენარმეობის მშენებლობა და ეროვნული ინოვაციური სისტემის განვითარება, რაც მთელი ინოვაციური ციკლის (მეცნიერება-ტექნოლოგიები-წარმოება) შეუფერხებელ განხორციელებას უზრუნველყოფს, სადაც მთავარ როლს ბაზარი ასრულებს, სახელმწიფო კი ინოვაციური პროცესების მარეგულირებელი ხდება.

ინოვაციური ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი და მისი მხარდამჭერი ინსტიტუტები

ინოვაციური ბიზნესის ფორმირების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის დანიშნულებაა ხელი შეუწყოს ქვეყანაში ინოვაციური ბიზნესის ფორმირებას, შეავსოს ის ნაკლოვანებები, რომელიც საბაზრო მექანიზმს გააჩნია ამ მიმართულებით. როგორც უკვე აღინიშნა, მისი სტრუქტურა და შინაარსი დამოკიდებულია ქვეყნის ინოვაციური განვითარების დონეზე, ქვეყნის ეკონომიკურ სტრატეგიასა და ტაქტიკაზე.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სულ უფრო და უფრო რთულდება ბაზარზე მნიშვნელოვანი ადგილის დაკავება საწარმოებისათვის, რადგან გლობალიზაციის მხარდმა გავლენამ სრულიად შეცვალა მსოფლიო ეკონომიკის სურათი და შესაბამისად საზოგადოებისათვის აღარ წარმოადგენს ღირებულს ის საქონელი და მომსახურება, რომელიც თუნდაც რამდენიმე წლის წინ წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, თუ ფირმებს სურთ ბაზარზე თავისი სახელის დამ-

კვიდრება, ამ ცვლილებებს მათ ფეხი უნდა აუწყონ, შესაბამისად დღეს ინოვაციური განვითარება საწარმოების ძირითადი საქმიანობის განუყოფელი ნაწილი გახდა, რადგანაც ის უზრუნველყოფს ბაზარზე სრულიად ახალი და გაუმჯობესებული პროდუქტებისა და მომსახურების შექმნას, ზრდის ფირმის ეფექტურობას და რაც ყველაზე მთავარია, ზრდის ფირმების, საწარმოების რენტაბელობას.

ვენჩურული ფონდების, ტექნოპარკების და ბიზნეს-ინკუბატორების შექმნა ავტომატურად არ უზრუნველყოფს ეკონომიკური განვითარების პროცესში ინოვაციური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებას. შესაბამისად, საქართველოს გადაყვანა განვითარების ინოვაციურ გზაზე მოითხოვს ამ მიმართულებით დიდ ძალისხმევას ქვეყანაში და მხარდამჭერი ინსტიტუტების ეფექტიან გამოყენებას.

საქართველოში მოქმედებს მცირე და საშუალო მენარმეობის მხარდამჭერი რამდენიმე ორგანიზაცია, მათ შორის: საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, რომელიც დაფუძნებულია დამოუკიდებელი სახელმწიფო უწყების სახით მისი მთავარი ფუნქციაა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისათვის საინფორმაციო, საკონსულტაციო-სარეკომენდაციო მომსახურების გაწევა. ბიზნესის დაგეგმვისა და ინოვაციური მენარმეობის უნარების გაუმჯობესების ხელშეწყობა, ექსპორტის სტიმულირების გააქტიურება, ფირმების, საწარმოების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების სავაჭრო პარტნიორობთან, ინვესტორებთან საკომუნიკაციო-საკორდინაციო ხაზების დაკავშირება. სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრობა ნებაყოფლობითია, რომელთა 90% მცირე და საშუალო მენარმეა. წევრობის გადასახადი მერყეობს ნული ლარიდან 10 000 ლარამდე და დამოკიდებულია განეულ მომსახურებაზე.

საქართველოში სავაჭრო-სამრეწველო პალატა აერთიანებს ექვს რეგიონულ პალატას, ათასზე მეტ კომპანიას, კომერციულ ბანკს და სხვა ინსტიტუტებს. პალატა არის საჯარო სამართლის სუბიექტი, მოქმედებს „სავაჭრო-სამრეწველო „პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. იგი არის დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაცია. პალატის პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტს ირჩევს ბიზნესმენთა საერთო კრება.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ფუნქციაა:

- ბიზნეს სუბიექტებისათვის საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, მათი კვალიფიკაციისა და პროფესიული განათლების ამაღლების მიზნით სწავლების ორგანიზება;
- ადგილობრივი საქონლისა და მომსახურების ექსპორტის დივერსიფიკაცია და გასაღების ხელშეწყობა;
- გამოგონებების, სასარგებლო მოდელების, სამრეწველო ნიმუშების, სასაქონლო ნიშნების, საფირმო სახელწოდებებისა და მომსახურების დასახელებების დაპატენტებასთან დაკავშირებული დოკუმენტების მომზადება;
- საქართველოში საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დაცვის მიზნით ღონისძიებების ხელშეწყობა;
- მენარმეთა დახმარება ბიზნეს-გეგმების მომზადებაში, საქართველოს ნორმატიული აქტების განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებაში და სხვა ამოცანების განხორციელება;
- საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატების საქმიანობის კოორდინაცია.

საქართველოს მთავრობამ 2014 წელს დაიწყო სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, ხოლო 2015 წლიდან დაიწყო „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში მიკრო, მცირე და საშუალო მენარმეობის ხელშეწყობის მიმართულება, რომლის ძირითადი მიზანია საქართველოს რეგიონებში ეკონომიკური აქტივობის ზრდის ხელშეწყობა და ითვალისწინებს ორ კომპო-

ნენტს: ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას. ტექნიკური დახმარების ფარგლებში ბენეფიციარები ღებულობენ ინდივიდუალურ საკონსულტაციო-სარეკომენდაციო მომსახურებას და გადიან ბიზნეს-ტრენინგებს. პროგრამის ეფექტიანობის ამაღლების, ასევე შესაძლო ხარვეზების იდენტიფიცირების მიზნით გათვალისწინებულია პროგრამის შეფასება და მონიტორინგი. ასევე თანამშრომლობა ევროკავშირთან აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში.

საქართველო აქტიურად მონაწილეობს აღმოსავლეთ პარტნიორობის მცირე და საშუალო ბიზნესის ბლოკში და ასევე თანამშრომლობს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD), ევროპული განათლების ბლოკთან (EEF). ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მცირე და საშუალო მენარმეობის პოლიტიკის საუკეთესო საერთაშორისო და ევროპული პრაქტიკის ადაპტაციის მიზნით. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში ხორციელდება მცირე და საშუალო მენარმეობაზე ორიენტირებული პროექტები, 1000-ზე მცირე და საშუალო მენარმეს გაენია ფინანსური და ტექნიკური დახმარება. 2015 წელს ხელი მოეწერა ევროკავშირის დახმარების პროექტს, რომელიც ითვალისწინებს მცირე და საშუალო მენარმეობის მხარდაჭერას (ბიუჯეტი-44.5 მლნ.ევრო).

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მისიაა საქართველოში ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარებისთვის საჭირო ეკოსისტემის ფორმირება, ცოდნისა და ინოვაციის კომერციალიზაციის ხელშეწყობა, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირება ეკონომიკის ყველა დარგში, ინოვაციების და მაღალტექნოლოგიური პროდუქტების ექსპორტის ზრდისთვის საჭირო ბიზნეს გარემოს შექმნა.

საქართველოს ეკონომიკის გლობალური კონკურენტუნარიანობისა და საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების მიზნით, განისაზღვრა ქვეყნის სამი ძირითადი ტექნოლოგიური მიმართულება, რაც შესაძლებლობას მისცემს ადგილობრივ და საერთაშორისო ბიზნესს გლობალური დონის ტექნოლოგიური გადაწყვეტები შექმნას საქართველოში:

ხელოვნური ინტელექტი – საქართველოში შეიქმნება სამეცნიერო ჯგუფი, რომელიც იმუშავებს ხელოვნური ინტელექტის იმპლემენტაციაზე, განათლების, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობისა და სხვა მიმართულებებით.

ფაგები – ფაგებზე მოთხოვნა მსოფლიო მასშტაბით განსაკუთრებით იზრდება, რაც გამომდინარეობს ანტიბიოტიკების რეზისტენტულობიდან ბევრი ინფექციისა თუ დაავადებების მართ. საქართველოს ფაგების თითქმის საუკუნოვანი კვლევის გამოცდილება აქვს, შესაბამისად ჩვენს ქვეყანას შეუძლია ფაგების მიმართულებით მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური პროდუქტების საერთაშორისო მასშტაბით გატანა. **აგროტექნოლოგიები** – სექტორში საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილია დასაქმებული, სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ახალი სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროდუქტების შექმნა, რაც კიდევ უფრო გაზრდის ქართველი ფერმერების პროდუქტიულობასა და კონკურენტუნარიანობას.

სრულმასშტაბიანი ინკუბაციის პროექტი, რომელიც მოიცავს სტარტაპების ინკუბაციის 12 თვიან პროგრამას 3 ეტაპად: **Founder Market Fit** – პროგრამის პირველ ეტაპზე შეირჩევა 40 სტარტაპი და ორი თვის განმავლობაში დამფუძნებლები გაივლიან აქტიურ ქოუჩინგს და მენტორინგს. **MVP** – ეტაპი მოიცავს ოთხთვიან მენტორინგს მინიმალური ღირებულების პროდუქციის შექმნის, ბაზარზე ტესტირებისა და კლიენტებთან ურთიერთობის დამყარების პროცესში და ასევე 50,000 ლარის ოდენობის გრანტს MVP-ს შექმნისთვის საჭირო ხარჯების გასაწევად. აღნიშნულ ეტაპზე გადავა 20-მდე სტარტაპი. **Market Entry** – ეტაპი მოიცავს ექვსთვიან მენტორინგს ე.წ. **Traction**-ის მისაღწევად და გრანტს 150,000 ლარის ოდენობით.

ინკუბაციის პროგრამას განახორციელებს 4 საერთაშორისო ან/და ადგილობრივი ინკუბატორი, რომელიც შეირჩევა GITA-ს მიერ. პროგრამის ფარგლებში ყოველწლიურად ინკუბაციაში ჩაერთვება ჯამურად 160 სტარტაპი.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თანადაფინანსების გრანტების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გლობალური მასშტაბის პოტენციალის მქონე 200-ზე მეტი ინოვაციური სტარტაპი. საგრანტო დაფინანსების ოდენობამ შეადგინა 38 მილიონი ლარი, შედეგად კი დაფინანსებულმა სტარტაპებმა ნახევარი მილიარდი ლარის კერძო ფინანსური სარგებელი მოიპოვეს და შექმნეს 3000-მდე ახალი სამუშაო ადგილი.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ინიციატივით, ქვეყანაში შემოვიდა მსოფლიოს ტოპ სამ აქსელერატორში შემავალი და მძლავრი გლობალური ვენჩურული კაპიტალის პლატფორმა 500 Global-ი, რომელიც ახორციელებს საერთაშორისო დონის აქსელერაციის პროგრამას. მასში, ქართულ სტარტაპებთან ერთად, საერთაშორისო სტარტაპებიც მონაწილეობენ, რაც ხაზს უსვამს საქართველოს, როგორც რეგიონალური ინოვაციური ჰაბის როლს. ამასთან ერთად, საქართველოში პირველი ვენჩურული ფონდი შეიქმნა 20 მილიონი დოლარის კაპიტალით.

საქართველოს მასშტაბით, შეიქმნა 9 ტექნოპარკი, რომელიც უზრუნველყოფს, ერთი ფანჯრის პრინციპით, საქართველოს ინოვაციური იდეების მქონე მოქალაქეებს დაეხმაროს კომერციალიზაციაში. საგრანტო პროგრამის „25 000 ლარამდე ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის“ ფარგლებში, საერთო ჯამში, დაფინანსდა 80 პროექტი.

საქართველოს მთავრობის მიერ IT კომპანიებისთვის საგადასახადო შეღავათების დაწესების შედეგად, 120 საერთაშორისო IT კომპანია შემოვიდა საქართველოში, რომელთაც, 2023 წლის 12 თვის მონაცემებით, ხელფასის სახით მილიარდი ლარი გასცეს, ამასთან შეიქმნა 10 000 – ზე მეტი სამუშაო ადგილი“. –

GITA ახორციელებს სტარტაპების დაფინანსებისა და ბიზნესის განვითარებისკენ მიმართულ სხვადასხვა პროგრამებს, ასევე სტუდენტებსა და სკოლის მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო-შემეცნებით პროექტებს სთავაზობს.

ინოვაციების სააგენტო დაინტერესებულ პირებს სხვადასხვა უფასო მომსახურებას სთავაზობს. სააგენტო ტექნოპარკთან ერთად მოიცავს როგორც საერთო სამუშაო სივრცეს, ასევე სამრეწველო ინოვაციების უნივერსალურ ლაბორატორიას FABLAB-ს, საკონფერენციო დარბაზს, შეხვედრების ოთახებსა და სარეკრეაციო ზონას. ამასთან ინოვაციების სააგენტო სტარტაპებს უფასოდ სთავაზობს საერთო სამუშაო სივრცეს, ე.წ. co-working-ს. საერთო სამუშაო სივრცე არის უნიკალური ადგილი მოტივირებული, აქტიური და სიახლეების მოყვარული ადამიანებისთვის. ეს არის სივრცე, სადაც იკრიბებიან საერთო ინტერესისა და ღირებულების მქონე ინოვატორი ადამიანები ახალი კავშირებისა და საქმიანი კონტაქტების დასამყარებლად. საერთო სამუშაო სივრცის კარი ღიაა, როგორც მეწარმეებისა და სტარტაპებისთვის, ისე კერძო პირებისთვის. ტექნოპარკის სივრცე გთავაზობთ სრულ საოფისე ინფრასტრუქტურას, მაღალსიჩქარიან ინტერნეტს, თანამედროვე, კომფორტულ გარემოსა და თქვენზე მორგებულ სერვისებს.

ტექნოლოგიურ, საგანმანათლებლო და პროფესიონალურ რესურსებზე წვდომას ახორციელებს ფაბლაბი: ფაბლაბი არის უნიკალური სივრცე ნებისმიერი მოქალაქისათვის, რომელსაც აქვს იდეა და სურს მისი განხორციელება ან სტარტაპ ბიზნესად ჩამოყალიბება. ფაბლაბი ყველას აძლევს საშუალებას, ჰქონდეს წვდომა თანამედროვე ტექნოლოგიებსა და დანადგარებზე. ის მორგებულია ნებისმიერ მომხმარებელზე და ხელს უწყობს იდეების გენერირებას.

ტექნოპარკები აერთიანებს ბიზნეს-ინკუბატორებს, ლაბორატორიებსა და ტექნოპარკებს რეკრეაციულ და სასწავლო სივრცეებს. 2016 წელს საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ხელშეწყობით გაიხსნა პირველი ტექნოლოგიური პარკი, სადაც არის ტექნოპარკის ფაბლაბი⁷. მისი მიზანია, მსოფლიოს შესთავაზოს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობის განსხვავებული, უნიკალური მოდელი. ფაბლაბების განვითარება მნიშვნელოვანია როგორც ახალი სტარტაპ ბიზნესების ჩამოყალიბებისთვის, ასევე მცირე პერსონალური წარმოების ხელშეწყობისთვის. ეს იმას ნიშნავს, რომ სასურველი ინდივიდუალური დიზაინისა თუ

ფუნქციების მქონე პროდუქტის დასამზადებლად აუცილებელი აღარ იქნება დიდ ქარხნებთან და წარმოებებთან ურთიერთობა და ეს ყველაფერი ლოკალურად, ფაბრიკების ბაზაზე მოხდება. პროფესიული სასწავლებლების ბაზაზე საქართველოში 14 სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია ფუნქციონირებს, შექმნილია ასევე ინოვაციების ბიზნეს ინკუბატორები. საქართველოში სამეცნიერო კვლევების განვითარებას ემსახურება 2010 წელს დაარსებული სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, რომლის მიზანია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუციებისა სამეცნიეროკვლევითი პოტენციალის შესაძლებლობების ზრდა და საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ქართველ მკვლევართა საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა, სახელმწიფო საგრანტო კონკურსების, მიზნობრივი პროგრამებისა და პროექტების დაფინანსება. ფონდი კონკურსის საფუძველზე გასცემს გრანტებს მეცნიერების ყველა დარგში მცირემაშტაბიანი კვლევების ჩატარებისათვის.

ფაბლაბი 7 იგივე ფაბრიკაციის ლაბორატორია, რომელიც მაღალტექნოლოგიური დანადგარებითაა აღჭურვილი. ფაბლაბის ლაბორატორიაში შესაძლებელია მომხმარებელმა განახორციელოს ციფრული ფაბრიკაცია.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხებს საქართველოში უზრუნველყოფს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად განსაზღვრავს ინტელექტუალური საკუთრების პოლიტიკას. ინტელექტუალური საკუთრების პოლიტიკის წარმართვა სწორედ ამ საკანონმდებლო ბაზაზე ხორციელდება. ამ მხრივ, 2022-2023 წლებში აღსანიშნავია, განსაკუთრებულად დიდი აქტივობა, რომელიც მტკიცდება გამოგონებაზე შეტანილი განაცხადების გაზრდილი რაოდენობით.

დასკვნა და რეკომენდაციები

მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად არა მხოლოდ ბუნებრივი რესურსები, სასარგებლო წიაღისეული, ტერიტორიული ფართობი, დემოგრაფიული რიცხოვნობა, არამედ პრიორიტეტი ინოვაციური მიდგომების გათვალისწინებაა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას წარმოადგენს. ინოვაციური მენარმეობის ფორმირება განათლების, ვაჭრობის, ინვესტიციებისა და ფინანსების დეცენტრალიზაციის მიმართულებით ეფექტიანი ინსტრუმენტების შერჩევას საჭიროებს, რაც აღნიშნულ სფეროებში ინოვაციების დანერგვისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის, რომელიც სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტების სხვადასხვა კომბინაციების ოპტიმალური შეთანხმებით მიიღწევა.

ემპირიული კვლევებისა და შედარებითი ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ჩვენი მოსაზრებები დასკვნის სახით ჩამოვყალიბოთ: საქართველოში და სხვა განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად აუცილებელია ინოვაციური ბიზნესის აღმშენებლობა. აღნიშნულ პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოებრივ რეგულირების პოლიტიკას, რისთვისაც ქვეყანაში უნდა არსებობდეს ინოვაციური ბიზნესის განვითარების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი. მისი დანიშნულებაა ხელი შეუწყოს ინოვაციური მენარმეობის ფორმირებას, შეავსოს ის ნაკლოვანებები, რომელიც საბაზრო მექანიზმს გააჩნია ამ მიმართულებით.

საქართველოში სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია ინოვაციური პროცესების რეგულირება, განსაკუთრებით ნიშანდობლივია 2014-2015 წლიდან ქვეყნის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად აღიარებულია ინოვაციური განვითარება და საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის სრულყოფილება. საქართველოში ინოვაციური მენარმეობის ფორმირების პროცესი შეიძლება ითქვას საშუალო დონეზე, მაგრამ თანამედროვე მსოფლიოს განვითარების ინო-

ვაციური მასშტაბები საჭიროებს ქვეყნის ადაპტაციასა და შესაბამისობას. ამდენად საჭიროა ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკის ძირეულ განვითარება და პროგრესი.

სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმის შემუშავების დროს, უნინარეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს თუ რა ელემენტებისაგან შედგება ის. ინოვაციური მენარმეობის ფორმირების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის ფორმირებასა და მართვას ახორციელებენ რეგულირების სახელმწიფო ორგანოები, ხოლო ამ მექანიზმის ძირითადი ელემენტებია: რეგულირების საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა; რეგულირების ინსტრუმენტები; რეგულირების ინდიკატორთა სისტემა; ინოვაციური სისტემის ინფრასტრუქტურა; ინოვაციური მენარმეობის ფორმირების ღონისძიებათა სისტემა. რყველა ეს ელემენტი ნაშრომში დახასიათებულია ცალ-ცალკე, ამასთან გამოვლენილია საქართველოში ინოვაციური განვითარების სფეროში არსებული ნაკლოვანებები და დასახულია ინოვაციური ბიზნესის ზოგადი მიმართულებები.

დასკვნის სახით ინოვაციური ბიზნესის სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმის ზოგადი მიმართულებები საქართველოში შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვყალიბოთ:

1. სახელმწიფოს მიერ ინოვაციური პოლიტიკისა და თანამედროვე სტრატეგიის შემუშავება;
2. ეროვნული ინოვაციური მენარმეობის განვითარება და პროგრესი;
3. ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარება და ინსტიტუციების ეფექტიანი გამოყენება;
4. ტექნოლოგიების შიგა და საერთაშორისო სატრანსფერო, ინოვაციური და ვაუჩერული სისტემების დანერგვა;
5. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მაქსიმალურად გათვალისწინება და განათლების სისტემის შესაბამისი მოდერნიზება;
6. სამეცნიერო კვლევების მომსახურების სისტემის სრულყოფა;
8. ინოვაციური მენარმეობის განვითარების დაჩქარება მცირე და საშუალო ბიზნესში;
9. რეგიონების დონეზე ინოვაციური მენარმეობის განვითარება და დაფინანსების ხელშეწყობა;
10. დონორების მიერ განხორციელებული პროექტების დანერგვის მხარდაჭერა;
11. კონკურენტუნარიანი მენარმეობის განვითარება;
12. სოფლის მეურნეობის ინოვაციური განვითარება;
13. მეცნიერებას, ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის კავშირურთიერთობების გაძლიერება;
14. ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი დაცვა და რეგულირება.

ლიტერატურა

1. რ. აბესაძე(2017) „ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების სახელმწიფო რეგულირების პრობლემები“. გ. წერეთლის 65-ე წლის იუბილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებულში: ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები. საქართველოში თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბ.,
2. ბედიანაშვილი გ, (2017) „ცოდნის ეკონომიკის ფორმირება და ინოვაციური სამენარმეო პოლიტიკა: ინსტიტუციური ასპექტი“. ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“, N3, გვ. 10-17.
3. ზ. წერეთელი (2019) „ბიზნესი, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარების ბერკეტი და მასში არსებული პრობლემები. სახელმწიფოს ეფექტიანი მართვის პრობლემები. XXXII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბ., საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, გვ. 45-46

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბრძანება №1-1/66. 5 მარტი 2014 წელი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2269957>
5. საქართველოს კანონი „საქართველოს 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ“;
6. საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ. 2016

ინტერნეტ წყაროები

1. www.geostat.ge – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.
2. www.mof.ge – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.
3. www.nbg.gov.ge – საქართველოს ეროვნული ბანკი.
4. www.oecd.org – ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია.
www.gita.gov.ge – საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო.
5. www.economy.ge – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
6. www.worldbank.org
7. www.ec.europa.eu/eurostat
8. <https://www.sakpatenti.gov.ge/ka>

INNOVATIVE BUSINESS STATE REGULATION POLICY AND ITS SUPPORTING INSTITUTIONS IN GEORGIA

Lali Khikhadze

TSU Faculty of Economics and Business

International Business Direction

Associate Professor

Summary

Innovative policy of the state is a constituent part of the socio-economic policy, which determines the goals, directions and methods of activities of state authorities in the field of innovation. The main task of innovative policy at the modern stage is to create such a system that will be able to use national intellectual policy and the achievements of modern techniques and technologies to produce competitive products.

On the basis of empirical studies and comparative analysis, it is possible to formulate our opinions as a conclusion: in order to accelerate economic development in Georgia and other developing countries, it is necessary to build innovative businesses. In the mentioned process, great importance is given to the policy of state regulation, for which there should be a mechanism of state regulation of innovative business development in the country. Its purpose is to facilitate the formation of innovative business, to fill the gaps that the market mechanism has in this direction.

In conclusion, the general directions of the mechanism of state regulation of innovative business in Georgia can be formulated as follows:

- 1. Development of innovative policy and modern strategy by the state;*
- 2. Development and progress of national innovative entrepreneurship;*
- 3. Development of innovative infrastructure and effective use of institutions;*

4. *Introduction of internal and international technology transfer, innovative and voucher systems;*
5. *Maximum consideration of scientific and technical progress and appropriate modernization of the education system;*
6. *Perfection of the scientific research service system;*
8. *Accelerating the development of innovative entrepreneurship in small and medium-sized businesses;*
9. *Development of innovative entrepreneurship at the level of regions and promotion of financing;*
10. *Supporting the implementation of projects implemented by donors;*
11. *Development of competitive entrepreneurship;*
12. *Innovative development of agriculture;*
13. *Strengthening of connections between science, business and the state;*
14. *Legal protection and regulation of intellectual property.*

Key words: *innovative business, state innovative policy, regulatory instruments, supporting institutions, regulatory legal framework and normative acts.*

ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარების ციფრული პლატფორმები და სტრატეგიები

მერაბ ხოხობაია
ეკონომიკის დოქტორი
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

ანოტაცია

ტურისტული დანიშნულების ადგილების განვითარება მნიშვნელოვანი საკითხია როგორც განვითარებული, ასევე, განვითარებადი ქვეყნებისათვის. ცხადია, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით საზოგადოების კეთილდღეობა გარკვეულწილად დამოკიდებულია ტურისტული დანიშნულების ადგილების სისტემურ განვითარებაზე. აღნიშნულის მიღწევა კი პრაქტიკულად შეუძლებელია სტრატეგიების, კონცეპტუალური ჩარჩოების, პოლიტიკის გარეშე. უნდა აღინიშნოს რომ ტურისტული დანიშნულების ადგილები მიუხედავად გეოგრაფიული არაერთგვაროვნებისა რთული და კომპლექსური სისტემებია. კომპლექსურობას განაპირობებს სისტემაში არსებული აქტორების მრავალფეროვნება. შესაბამისად, მისი ფრაგმენტული ლანდშაპტიდან გამომდინარე საჭიროა კონკრეტული ელემენტების იდენტიფიკაცია რომელიც გავლენას ახდენს სისტემის ფუნქციონირებაზე. თანამედროვე პირობებში ფუნდამენტური გამოწვევა ტურისტული დანიშნულების ადგილის ცვალებად გარემოსთან ეფექტიანი ადაპტაციაა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აქცენტი გაკეთდეს ციფრული პლატფორმების და სტრატეგიული კომუნიკაციის გაძლიერებაზე. ინფორმაციული საზოგადოების პირობებში სამოგზაურო გადანაცვლებების მთავარი იმპერატივი ციფრული პლატფორმებია. აღნიშნულ პლატფორმებზე ტურისტული დანიშნულების ადგილის პოზიციონირება მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარების თვალსაზრისით. სტატიაში გაანალიზებულია ციფრული პლატფორმების და სტრატეგიების როლი ტურიზმის ინდუსტრიაში. ყურადღება გამახვილებულია ტურისტების კმაყოფილების, ინდუსტრიაში ჩართული აქტორების როლზე და სტრატეგიული განვითარების ასპექტებზე.

საკვანძო სიტყვები: ტურისტული დანიშნულების ადგილი, ციფრული პლატფორმა, მდგრადი განვითარება, სტრატეგია, ტურიზმის ინდუსტრია


ტურიზმის ინდუსტრიის დინამიკა – მსოფლიო და საქართველო

ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრია მნიშვნელოვანი კონტრიბუციით გამოირჩევა გლობალურ ეკონომიკაში. პოსტ პანდემიურ პერიოდში ინდუსტრიის განვითარების დინამიკა პოზიტიურია როგორც მსოფლიო ასევე, ცალკეული რეგიონების მასშტაბით. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) პროგნოზით, გლობალურ მშპ-ში ტურიზმის წილი წლიურად 12.1%-ით გაიზრდება და \$11.1 ტრილიონს მიაღწევს, რაც მშპ-ს 10%-ს შეადგენს (WTTC, 2024). საერთაშორისო ჩამოსვლებმა ფაქტიურად მიაღწია 2019 წლის მაჩვენებელს, რაც ცხადყოფს ინდუსტრიის სწრაფად გამოჯანსაღების პროცესს. მიღებული შედეგები ძირითადად განპირობებულია პოსტ-პანდემიური პერიოდის მოთხოვნის ზრდით მსოფლიო მასშტაბით. ასევე, საჭაერო მიმოსვლის კავშირების განვითარების და სავიზო პოლიტიკის ლიბერალიზაციით (UNWTO, 2024).

აღნიშნული ტენდენცია პოზიტიურია ცალკეული რეგიონების კონტექსტში და დინამიკაში მზარდია. მაგალითად, ახლო აღმოსავლეთი ინარჩუნებს ზრდის ტენდენციას საერთაშორისო ჩამოსვლების თვალსაზრისით სადაც 2019 წელთან შედარებით 2024 წელს ფიქსირდება ზრდა 29%. იგივე სურათია აფრიკის, ევროპის, ამერიკის და აზია წყნარი ოკეანის რეგიონებში. უნდა

აღინიშნოს, რომ შემოსავლების დინამიკა გარკვეულ რეგიონებში აღემატება პანდემიამდე პერიოდს, რაც მნიშვნელოვანია და შექმნის ინდუსტრიაში ჩართული აქტორებისთვის ახალ შესაძლებლობებს. ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის საპროგნოზო მონაცემების მიხედვით 2024 წელს 1.1 მილიარდი საერთაშორისო ჩამოსვლა დაფიქსირდება რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 11%-ით აღემატება.

საერთაშორისო ჩამოსვლების დინამიკა, მსოფლიო და რეგიონები



წყარო: UN Tourism | World Tourism Organization

რაც შეეხება საქართველოს, რეგიონში არსებული არასტაბილური მდგომარეობის მიუხედავად 2024 წელს 2019 წლის მონაცემებთან შედარებით ინდუსტრია 87%-ით აღდგა. რაც შეეხება ცალკეული ქვეყნების მიხედვით არსებულ სიტუაციას (რუსეთი, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი) არაერთგვაროვანია და შეიძლება ითქვას რომ იგი კვლავ ჩამორჩება 2019 წელს არსებულ მდგომარეობას. უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წელს განსაკუთრებული ზრდის ტემპი ფიქსირდება ისრაელის მიმართულებით, ზრდა 87%-ია. ავიარესიების და პირდაპირი ფრენების დამატებამ გაზარდა ნაკადი ევროკავშირის ქვეყნებიდან, 2019 წელთან შედარებით ზრდა 44% -ია.

2024 წლის მონაცემებით მნიშვნელოვანი ფუნდამენტური ტენდენცია საქართველოში საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების ზრდაა (40%). უცხოელი მოგზაურების მიერ განხორციელებული დანახარჯები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის საგადასახდელო ბალანსზე და მთლიანობაში უზრუნველყოფს ეკონომიკის ცალკეული მიმართულებით მდგრად განვითარებას.

ციფრული პლატფორმები ტურიზმის ინდუსტრიაში და ტურიზმის სექტორის ეკოსისტემა საქართველოში

უნდა აღინიშნოს, რომ ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრია მსოფლიოში მოწინავეა ციფრული პლატფორმების გამოყენების თვალსაზრისით. ინდუსტრიის მასშტაბურობა და დაგენერირებული შემოსავლები მეტწილად დაკავშირებულია ციფრული პლატფორმების ეფექტიან გამოყენებასთან. როგორც ცაკლეული ბიზნეს სუბიექტების, ასევე, ტურისტული დანიშნულების ადგილების განვითარების თვალსაზრისით ტექნოლოგიების გამოყენება განაპირობებს კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, გლობალურ ტურისტულ ბაზრებზე წვდომას, მიზნობრივი საფასო პოლიტიკის განსაზღვრას და ა.შ. ბუნებრივია რომ ეს პროცესი ერთი მხრივ, მოიცავს ტექნოლოგიების დანერგვის კომპონენტს, ხოლო მეორე მხრივ, ელექტრონული კომერციის და ინოვაციური პროდუქტების განვითარების შესაძლებლობას (Buhalis, D. 2003).

ტურისტული დანიშნულების ადგილებს და ამ სისტემაში მონაწილე ბიზნეს სუბიექტებს უნდა გააჩნდეთ სტრატეგიები რომელიც ხელს შეუწყობს მათ ეფექტიან ინტეგრაციას საერთაშორისო ბაზრებთან. უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო პლატფორმები, დაჯავშნის გლობალური სისტემები, მობილური აპლიკაციები, ხელს უწყობს მომხმარებლებისათვის საჭირო სერვისების მიწოდებას. ბუნებრივია აღნიშნული პლატფორმები ამარტივებს სამოგზაურო გადაწყვეტილების მიღების პროცესს და იგი ამასთანავე სასარგებლოა კონკრეტული ბიზნეს სუბიექტებისათვის. როგორც პრაქტიკა ცხადყოფს ციფრული ტექნოლოგიები ხელს უწყობს ორგანიზაციების, ტურისტული დანიშნულების ადგილების საქმიანობას, ქმნის ხარჯების ეფექტიანად მართვის შესაძლებლობას და ხელს უწყობს მოთხოვნის ზუსტ პროგნოზირებას. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია საქმიანობის სინქრონიზაცია ციფრულ პლატფორმებთან რომელიც პოზიტიურ გავლენას მოახდენს ინდუსტრიაში ჩართულ სუბიექტებზე (Buhalis, D., & Amaranggana, 2015).

ციფრული პლატფორმები მისი შინაარსიდან გამომდინარე სხვადასხვა პრიზმაში შესაძლებელია განვიხილოთ. ფუნქციური თვალსაზრისით შესაძლებელია მათი დიფერენცირება მოხდეს შემდეგი მიმართულებებით (Gretzel, U, 2011):

- **ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის პლატფორმები** – მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტურისტული დანიშნულების ადგილის პოზიციონირებაში და ეხმარება გადაწყვეტილების მიმღებ პირებს მოახდინონ ბაზარზე არსებულ ტენდენციებზე სწრაფი რეაგირება. აღნიშნული პლატფორმა ხელს უწყობს სხვადასხვა სახის პროდუქტების, სერვისების დროულად მიწოდებას როგორც ადგილობრივი ასევე, საერთაშორისო ვიზიტორებისათვის. გარდა ამისა, მისი ფუნქციონალი საშუალებას იძლევა გაანალიზდეს ვიზიტორების კმაყოფილების და ქცევითი ასპექტები. პლატფორმა განსაკუთრებით ეფექტიანია მარკეტინგული აქტივობების დაგეგმვის თვალსაზრისით.
- **დაჯავშნის პლატფორმები** – დაჯავშნის ონლაინ სისტემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამოგზაურო გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. მოგზაურებს ამ სისტემების გამოყენებით შესაძლებლობა აქვთ რეალურ დროში ქონდეთ წვდომა სხვადასხვა სერვისებზე, როგორიცაა, ტრანსპორტირება, განთავსება, კვება, ბილეთები და ა.შ. მსოფლიოში აღიარებული პლატფორმები (Airbnb, Booking.com, TripAdvisor) მუშაობს დროში უწყვეტობის პრინციპით და იგი ხელს უწყობს მიმწოდებლების და მომხმარებლების დაკავშირებას. რაც მთავარია აღნიშნულ პლატფორმებში ჩაშენებულია სისტემები რომელიც უზრუნველყოფს განხორციელებული ტრანზაქციების უსაფრთხოებას და გავლენას ახდენს მომხმარებლების ინფორმირებულ გადაწყვეტილებაზე. რასაც განაპირობებს პლატფორმების დიზაინი და მათი გამოყენების სიმარტივე.

- **სოციალური მედია პლატფორმები** – სოციალური მედია საშუალებას იძლევა ფართო აუდიტორიამდე მივიტანოთ სხვადასხვა სერვისები. აღნიშნულმა პლატფორმებმა თვისებრივად შეცვალეს მომხმარებლებთან ურთიერთობების დინამიკა. ფაქტობრივად ბიზნეს სუბიექტებს შესაძლებლობას აძლევს ქონდეთ წვდომა მსოფლიოს სხვადასხვა ტიპის აუდიტორიასთან. რაც ტურიზმის ინდუსტრიაში ჩართული ბიზნეს სუბიექტებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და ქმნის ახალ შესაძლებლობებს ბიზნესის ზრდის თვალსაზრისით. სოციალური მედია პლატფორმები (Instagram, Facebook, TikTok და სხვა) ხელს უწყობს მომხმარებლების უკუკავშირის მიღებას. რაც ცალსახად გავლენას ახდენს მიმწოდებლების ქცევაზე და მათ უბიძგებს განახორციელონ ცვლილებები სერვისების სრულყოფის მიმართულებით.
- **მობილური აპლიკაციები და პლატფორმები** – მომხმარებლების სამოგზაურო გამოცდილებების მრავალფეროვნების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მობილური აპლიკაციები. რომელიც გვთავაზობს მოხერხებულ და პერსონალიზებულ მომსახურებებს. ფუნქციური თვალსაზრისით შესაძლებელია გამოვყოთ სხვადასხვა მიმართულებები: სანავიგაციო საშუალებები, ლოკალური ატრაქციების სერვისები, ვირტუალური რეალობის აპლიკაციები, თარგმანის სერვისები და ა.შ. მთლიანობაში აპლიკაციები უზრუნველყოფენ პოზიტიური შთაბეჭდილებების მიღებას რაც სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ტურისტული დანიშნულების ადგილებისათვის.

ციფრული პლატფორმების განვითარება მნიშვნელოვანია ტურისტული დანიშნულების ადგილებისათვის და მას შეუძლია განსაკუთრებული ფუნქცია შეასრულოს სოციალური და ეკონომიკური ტრანსფორმაციის თვალსაზრისით. თანამედროვე მსოფლიოში განხორციელებული კვლევები ცხადყოფს ციფრული პლატფორმების სისტემური განვითარების აუცილებლობას (Scott, N., & Ormerod, N. 2021). მოგზაურების პერსპექტივიდან ჩვენ შეგვიძლია ადვილად დავგეგმოთ და მივიღოთ სამოგზაურო გადაწყვეტილებები. გვაქვს შესაძლებლობა გავაანალიზოთ და შევაფასოთ მიმწოდებლების მიერ შემოთავაზებული ცალკეული პროდუქტები და სერვისები. გარდა ამისა დაგენერირებული გამოცდილებიდან გამომდინარე ცალკეულ ინდივიდებს შესაძლებლობა აქვთ გაუზიარონ რეალურ დროში ინფორმაცია სხვა პოტენციურ მოგზაურებს რომლებსაც ჯერ კიდევ არ მიუღიათ სამოგზაურო გადაწყვეტილებები. ბიზნეს სუბიექტებს სთავაზობს წვდომას და ოპერირების შესაძლებლობას გლობალურ ბაზრებზე. რაც ქმნის ახალ შესაძლებლობებს და ზრდის ბიზნეს სუბიექტების პოზიციონირების ალბათობას საერთაშორისო და ეროვნულ ბაზრებზე. ბიზნეს სუბიექტები პლატფორმების საშუალებით ახდენენ რეალურ დროში მომხმარებლების პრეფერენციების შეფასებას, ორგანიზაციული და ოპერაციული თვალსაზრისით უკუკავშირის შედეგად ახდენენ ცვლილებებს მომსახურებაში. ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის მენეჯერებს და პოლიტიკის განხორციელებაში ჩართულ პირებს შესაძლებლობა აქვთ ეფექტიანად გააანალიზონ რესურსები. რაც მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარების თვალსაზრისით. გარდა ამისა, რეალურ დროში ტენდენციებზე მონიტორინგი და საჭიროებების კვლევა ქმნის სწრაფად რეაგირების შესაძლებლობას. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ციფრულმა პლატფორმებმა განახორციელა რევოლუციური ცვლილებები რომელიც ეფექტიანად აკავშირებს პოტენციურ მოგზაურებს ტურისტულ დანიშნულების ადგილთან და ზრდის წვდომას ამ ადგილებზე არსებულ სერვისებზე (Xiang, Z., & Fesenmaier, 2017).

საქართველოს ეკონომიკაში ტურიზმის ინდუსტრიის გავლენა მზარდია და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც ეროვნულ, ასევე, რეგიონულ აქტივობებზე. ქვეყნის მზარდი ტურისტული გავლენიდან გამომდინარე აუცილებელია ტურიზმის სექტორის ციფრული ტრანსფორმაციის მიმართულებით მდგომარეობის შეფასება და შესაბამისი პრიორიტეტების იდენტიფიკაცია.

პროგრამული განვითარების და პოლიტიკის დოკუმენტებში აღნიშნულია ციფრული ეკონომიკის ხელშეწყობის გაძლიერების პრიორიტეტულობა. მაგალითად, საქართველოს სამთავრობო პროგრამა 2021-2024 მოიცავს სატრანსპორტო, ლოჯისტიკური, კავშირგაბმულობის მიმართულებით ციფრული პლატფორმების განვითარების ხელშეწყობის საკითხებს. 2021-2025 წლების მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების სტრატეგია ფოკუსირებულია ციფრული მიმართულებით გარდაქმნების აუცილებლობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნულ დონეზე პლატფორმების განვითარების გათვალისწინება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდას და გრძელვადიან დინამიკაში მდგრად განვითარებას.

ტურიზმის ინდუსტრიის მიმართულებით საკვანძო პროგრამული დოკუმენტი საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025-ია. სტრატეგიაში საკვანძო პრიორიტეტი კონკურენტუნარიანობის ზრდაა, რომელიც უნდა იქნას მიღწეული მსოფლიო დონის ტურისტული მომსახურების შეთავაზებით. სტრატეგიაში ყურადღება გამახვილებულია ტურიზმის სფეროში ციფრული დაჯავშნისა და ანგარიშსწორების სისტემებზე გადასვლის ხელშეწყობის მნიშვნელობაზე. მიუხედავად იმისა რომ პოლიტიკის დოკუმენტებში გარკვეულწილად ასახულია ციფრული პლატფორმების პრიორიტეტულობა, მისი განვითარება კომპლექსურ გამოწვევებთანაა დაკავშირებული. როგორცაა, ინტერნეტ რესურსებზე წვდომა, ცოდნის და გამოცდილების ნაკლებობა, ციფრული უნარების განვითარების საჭიროება, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და ა.შ. გარდა ამისა ცალკეულ ბიზნეს სუბიექტებს არ აქვთ შესაძლებლობები განავითარონ და გააციფრულონ ბიზნეს ოპერაციები. რაც თავის მხრივ შესაძლოა ერთგვარი დაბრკოლება იყოს გლობალურ ბაზრებზე ინტეგრაციის თვალსაზრისით. ამ მიმართულებით უნდა გამოვეყოთ მცირე და საშუალო მენარმეები რომლებიც განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიაში.

ტურიზმის ინდუსტრიაში ჩართული სუბიექტების მსგავსად არანაკლებ მნიშვნელოვანია ტურისტული დანიშნულების ადგილების გაციფრულების საკითხი. აუცილებელია ადგილობრივ და საერთაშორისო ვიზიტორებს ქონდეთ წვდომა პროფესიონალურად მომზადებულ კონტენტზე, რაც გავლენას მოახდენს მომხმარებლების ქცევაზე. ამ მიმართულებით საქართველოში მნიშვნელოვანი აქტივობებია განსახორციელებელი, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში არ იძებნება ან მწირი ინფორმაციაა განთავსებული ტურისტული დანიშნულების ადგილების შესახებ. ამ მიმართულებით მსოფლიოში არსებობს მრავალი წარმატებული საერთაშორისო პრაქტიკა, რომლის გაზიარებით შესაძლებელია შეიქმნას საერთაშორისო სტანდარტებით სახელმძღვანელო რომელიც ხელს შეუწყობს ტურისტული დანიშნულების ადგილების ეტაპობრივ გაციფრულებას. ამ კუთხით სისტემური გამოწვევები იკვეთება საქართველოს რეგიონებში, რომელთაც განსაკუთრებული პოტენციალი გააჩნიათ ვიზიტორების მოზიდვის თვალსაზრისით. რაც შესაბამისად მიწოდებული ინფორმაციის და აქტივობების გარეშე ვერ გახდება ტურისტული თვალსაზრისით მიმზიდველი. აქედან, გამომდინარე მიზანშეწონილია ციფრული მიმართულებით როგორც ეროვნული, ასევე, რეგიონული სტრატეგიული განვითარების გეგმების მომზადება და მისი პრაქტიკაში იმპლემენტაცია (Werthner, H. 2003).

მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში აღნიშნულია ციფრული მიმართულებების შესახებ ამოცანები, ტურიზმის სექტორზე ნაკლებად არის ყურადღება გამახვილებული. შესაბამისად, აუცილებელია დარგობრივ ჭრილში მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით შემუშავდეს დროში განერილი კონკრეტული ამოცანები რაც ქვეყნისათვის შექმნის ახალ დამატებით შესაძლებლობებს. კვლევები ცხადყოფს რომ ტურისტულ საქმიანობაში გაციფრულების მასშტაბი არ არის მაღალი და საჭიროა ამ მიმართულებით უფრო მეტი ინტენსივობა. განსაკუთრებით პრობლემურია მცირე და საშუალო ზომის საწარმოები რომლებიც ოპერირებენ რეგიონებში. ეს გარკვეულწილად განპირობებულია რიგი ფუნდამენტური გამოწვევებით, როგორცაა, ციფრული მიმართულებით უნარების გაუმჯობესება, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და ა.შ. მთლიანობაში დარგში არსებული გამოწვე-

ვების მასშტაბის გათვალისწინებით მათი დაძლევა შესაძლებელია დარგობრივი პროგრამული დოკუმენტის ფორმირებით. რომელიც საშუალებას მოგვცემს დროში განერილი სტრატეგიებით და შესაბამისი გაზომვადი ინდიკატორებით მოვახდინოთ პროცესების ობიექტური შეფასება, როგორც მიმდინარე ასევე, მომავალში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ.

ციფრული ტექნოლოგიების განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობა კვალიფიციური სამუშაო ძალაა. ციფრული ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენება შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების გარეშე ნაკლებად შესაძლებელია. რეკომენდებულია ტურიზმის ინდუსტრიაში ჩართული მიზნობრივი ჯგუფებისთვის შეიქმნას თემატური მოსამზადებელი პროგრამები რომელიც გაზრდის სამუშაო ძალის კვალიფიციურობას და პროდუქტიულობას. ამ მიმართულებით სისტემური გარდაქმნები შეუძლებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, პროფესიული სასწავლებლების და ინდუსტრიის წარმომადგენლების აქტიური კოლაბორაციის გარეშე. ამ პროცესში მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია დარგის განვითარებაზე პასუხისმგებელ საჯარო ინსტიტუტებს, რომლებმაც უნდა განახორციელონ პროცესების ეფექტიანი ორკესტრირება. აღნიშნული მიდგომები ქვეყანას საშუალებას მისცემს საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში მოამზადოს ციფრული პლატფორმები რომელიც დააკავშირებს ფართო აუდიტორიასთან.

მნიშვნელოვანია, რომ ინდუსტრიის წარმომადგენლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ღონისძიებებში, რაც ცოდნის ტრანსფერის თვალსაზრისით აუცილებელია. უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით ქვეყანას შეუძლია გაზარდოს დარგის გაციფრულების მასშტაბი რაც ხელს შეუწყობს ვიზიტორების ცნობიერების ამაღლებას და სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან სტრატეგიულ კომუნიკაციას. მთლიანობაში ეს პროცესი პოზიტიურ გავლენას მოახდენს როგორც ინდუსტრიაში ჩართულ აქტორებზე, ასევე, ქვეყნის ტურიზმის ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობაზე. ამ პროცესის ორგანიზება შეუძლებელია ინდუსტრიაში ჩართული დაინტერესებული მხარეების მუდმივი თანამშრომლობის და დარგის განვითარებაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტების აქტიური მონაწილეობის გარეშე.

ლიტერატურა

1. საქართველოს სამთავრობო პროგრამა 2021-2024.
2. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025.
3. Buhalis, D. (2003). *eTourism: Information technology for strategic tourism management*. Pearson Education.
4. Buhalis, D., & Amaranggana, A. (2015). Smart tourism destinations enhancing tourism experiences through personalisation of services. *Information and Communication Technologies in Tourism 2015*, 377–389. https://doi.org/10.1007/978-3-319-14343-9_28
5. Gretzel, U. (2011). Intelligent systems in tourism: A social science perspective. *Annals of Tourism Research*, 38(3), 757–779. <https://doi.org/10.1016/j.annals.2011.04.014>
6. Khokhobaia Merab, *Tourism Policy Challenges in Post-Soviet Georgia*, *International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic, Business and Industrial Engineering* Vol:9, No. 3, 2015, pp.986-989.
7. Khokhobaia Merab, *Transdisciplinary Research for Sustainable Tourism Development*, *Journal of International Management Studies, JIMS*, Volume 18, Number 2, 2018, pp.21-26.
8. Law, R., Fong, D. K. C., Fong, L. H. N., & Law, A. (2018). Systematic review of tourism big data research. *Journal of Travel & Tourism Marketing*, 35(1), 32–49. <https://doi.org/10.1080/10548408.2017.1350249>
9. Merab Khokhobaia, *Transdisciplinary Research Methodology for the Tourist Destination Development*, *International Scientific Conference, Globalization Challenges in Economics and Business*, 2018.

10. Scott, N., & Ormerod, N. (2021). Tourism in the age of digital transformation. In Buhalis, D. (Ed.), Smart tourism ecosystems (pp. 23–42). Springer.
11. UN Tourism World Tourism Barometer, 2024.
12. Werthner, H. (2003). Intelligent systems in travel and tourism. IEEE Intelligent Systems, 17(6), 53–66. <https://doi.org/10.1109/MIS.2002.1134360>
13. World Travel & Tourism Council (WTTC), Economic Impact Report, 2024.
14. Xiang, Z., & Fesenmaier, D. R. (2017). Big data analytics, tourism design, and smart tourism. Journal of Destination Marketing & Management, 6(2), 110–115. <https://doi.org/10.1016/j.jdmm.2017.02.002>

DIGITAL PLATFORMS AND STRATEGIES FOR TOURIST DESTINATION DEVELOPMENT

Merab Khokhobaia

Doctor of Economics

Associate Professor, Tbilisi State University

Abstract

The development of tourist destinations is a critical issue for both developed and developing nations. It is evident that the economic well-being of society is, to some extent, reliant on the systematic advancement of tourist destinations. Achieving this objective is exceedingly challenging without the implementation of strategies, conceptual frameworks, and policies. It is essential to recognize that tourist destinations, despite their geographical diversity, function as complex and intricate systems. This complexity is largely influenced by the variety of stakeholders involved in the system. Given the fragmented nature of the landscape, it is imperative to identify the specific elements that impact the functionality of the system. In contemporary circumstances, a primary challenge is the effective adaptation of a tourist destination to its evolving environment. Consequently, it is crucial to concentrate on enhancing digital platforms and improving strategic communication. In the contemporary information society, digital platforms are imperative in influencing travel decisions. The prominence of a tourist destination on these platforms is essential for promoting sustainable development. The article examines the significance of digital platforms and strategies in the tourism industry. It emphasizes tourist satisfaction, the roles of industry stakeholders, and elements of strategic development.

Keywords: *Tourist destination, Digital platform, Sustainable development, Strategy, Tourism industry*

ეკონომიკური ზრდის ფაქტორები და პრობლემები

მერაბ ჯულაყიძე

თსუ ასოცირებული პროფესორი,

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

E-mail: merab.julakidze@tsu.ge

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ეკონომიკური ზრდის მოთხოვნის და მიწოდების ფაქტორები. განალიზებულია ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი ფაქტორები და ზრდის შენელების შედეგები, ასევე ზრდის გაგრძელების აუცილებლობის არგუმენტები. დასაბუთებულია, რომ ეკონომიკური ზრდის საზოგადოებრივი მიზნების რეალიზაციის საქმეში განხილული უნდა იქნეს ცხოვრების დონე, გარემო, შემოსავლების უთანაბრობა და არაეკონომიკური მოსაზრებები. დაბოლოს, მომავალი ეკონომიკური ზრდის შესაძლო განვითარების ზოგიერთი ტენდენცია წარმოდგენილია მისი სახელმწიფო რეგულირების მიმართულებების მიხედვით.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ზრდის მიწოდების ფაქტორები, ეკონომიკური ზრდის მოთხოვნის ფაქტორები, კაპიტალტევადობა, დაზოგვა, შრომის ნაყოფიერება, ტექნოლოგიური პროგრესი.

თუ რაიმე კატაკლიზმები არ ხდება ყოველ ქვეყანაში ახალი თაობა უნდა იღებდეს მეტ შემოსავალს, ვიდრე მათი მშობლები. მეტი შემოსავალი ნიშნავს საქონლისა და მომსახურების მეტ მოხმარებას, ასევე დაგროვების ზრდას, რაც გრძელვადიანი განვითარების აუცილებელი პირობაა, ხოლო მოხმარების მაღალი დონე მეტ კეთილდღეობას უზრუნველყოფს – ეს კი ნიშნავს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, რომელიც მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის ფუნდამენტურია.

ეკონომიკური ზრდა გულისხმობს ქვეყნის ეკონომიკის საწარმოო პოტენციალის გრძელვადიან და მყარ ზრდას. აქ განიხილება საკითხი თუ როგორ გავზარდოთ საწარმოო სიმძლავრეების მოცულობა ან მთლიანი შიდა პროდუქტი(მშპ) სრული დასაქმების პირობებში. ეკონომიკური ზრდის გასაზომად გამოიყენება 2 მეთოდი: 1. რეალური მშპ-ის ზრდა დროის რომელიმე მონაკვეთში; 2. რეალური მშპ-ის ზრდა დროის მონაკვეთში მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით. თუ გვინტერესებს ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური პოტენციალი – გამოვიყენებთ (1) მეთოდს, მაგრამ თუ გვინდა შევადაროთ სხვადასხვა ქვეყნების ცხოვრების დონე, უპირატესობა (2) მეთოდს მიენიჭება. მაგალითად ინდოეთის მშპ 70%-ით მეტია, ვიდრე შვეიცარიის, მაგრამ ინდოეთის ცხოვრების დონე 60-ჯერ ჩამორჩება შვეიცარიისას.

ეკონომიკური ზრდის ფაქტორები. ქვეყნის ეკონომიკური ზრდა განისაზღვრება ექვსი ძირითადი ფაქტორით, რომელთაგან ოთხი ეკონომიკური ზრდის ფიზიკურ უნართანაა დაკავშირებული: 1. ბუნებრივი რესურსების რაოდენობა და ხარისხი; 2. შრომის რაოდენობა და ხარისხი; 3. ძირითადი კაპიტალის მოცულობა; 4. ტექნოლოგია. ეკონომიკური ზრდის ეს ოთხი ფაქტორი შეიძლება გაერთიანდეს **მიწოდების ფაქტორების** სახელწოდებით. ეს ფაქტორები ეკონომიკურ ზრდას ფიზიკურად შესაძლებელს ხდიან. დიდი მოცულობის უკეთესი რესურსების ხელმისაწვდომობა, ტექნოლოგიური პოტენციალის ჩათვლით, რეალური პროდუქციის წარმოების გადიდების საშუალებას იძლევა.

ზრდის შესაძლებლობა თავისთავად განსხვავდება რეალური ზრდისაგან. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია **ორი მოსაზრება: ჯერ ერთი, ზრდა მოთხოვნის ფაქტორებზეა** დამოკიდებული, მზარდი საწარმოო პოტენციალის სარეალიზაციოდ ქვეყნის ეკონომიკამ რესურსების

გაფართოებული მოცულობის სრული გამოყენება უნდა უზრუნველყოს, რისთვისაც მთლიანი დანახარჯების გადიდება იქნება საჭირო. **მეორე**, ეკონომიკურ ზრდაზე **განაწილების ფაქტორები** ზემოქმედებენ. საწარმოო პოტენციალის უფრო მიზანშეწონილი გამოყენებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს არა მხოლოდ რესურსების სრული ჩართვა ეკონომიკურ ბრუნვაში, არამედ მათი ყველაზე ეფექტიანი გამოყენება. წარმოების გადიდების უნარი მთლიანი გამოშვების გაფართოებისათვის საკმარისი არ არის, ასევე საჭიროა რესურსების მზარდი მოცულობის რეალური გამოყენება და მათი ისეთნაირი განაწილება, რომ მივიღოთ საჭირო პროდუქციის მაქსიმალური რაოდენობა. მიწოდების და მოთხოვნის ფაქტორები დაკავშირებულია. ასე, უმუშევრობის ზრდა კაპიტალის დაგროვების ტემპს და კვლევასა და განვითარებაზე დანახარჯების ზრდას შეანელებს. და პირიქით, ახალი ტექნოლოგიების და ინვესტიციების დაბალი ტემპები უმუშევრობის ზრდის ძირითადი მიზეზი შეიძლება გახდეს.

რეალური პროდუქტის და შემოსავლის გადიდება **ორი** ძირითადი ხერხით ხდება: (1) მეტი რესურსების მოზიდვით; და (2) მათი ნაყოფიერი გამოყენებით. განვიხილოთ შრომითი დანახარჯების ზრდის ფაქტორი: რეალური მშპ განისაზღვრება როგორც შრომითი დანახარჯები(-კაც-საათებში) გამრავლებული შრომის მწარმოებლურობაზე (რეალური საათობრივი გამომუშავება ერთ დასაქმებულზე).

შრომის მწარმოებლურობაზე მოქმედებენ შემდეგი ფაქტორები: ტექნოლოგიური პროგრესი, კაპიტალტევადობა, სამუშაო ძალის ხარისხი და განაწილების ეფექტიანობა, სხვადასხვა რესურსების შეთანხმება და მართვა, სხვა სიტყვებით, შრომის ნაყოფიერება იზრდება ჯანმრთელობის, პროფესიული მომზადების, განათლების და დაინტერესების ამაღლებასთან ერთად; მანქანებით და მოწყობილობებით, ბუნებრივი რესურსებით წარმოების უზრუნველყოფის ზრდის კვალობაზე; სამუშაო ძალის ნაკლებეფექტიანი დარგებიდან ეფექტიან დარგებში გადასვლით.

ეკონომიკური ზრდის ახსნა. შრომის ნაყოფიერების ზრდა არის რეალური პროდუქტის და შემოსავლის ზრდის უზრუნველმყოფელი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი. შრომითი დანახარჯების გადიდება რეალური შემოსავლის მატების 30%-ს უზრუნველყოფს, ხოლო დანარჩენი 70% შრომის მწარმოებლურობის ზრდით მიიღწევა. მეორეს მხრივ, **ტექნოლოგიური პროგრესი** შეადგენს რეალური მშპ-ის ზრდის 25%-ს, ხოლო **კაპიტალის დანახარჯების** წილი ეკონომიკურ ზრდაში 20%-ია და იგი შრომის ნაყოფიერების გაზრდას იწვევს. ერთ მუშაკზე ძირითადი კაპიტალის მოცულობაის ფაქტორია, რომელიც შრომის ნაყოფიერების დინამიკას განსაზღვრავს. დროის გარკვეულ მონაკვეთში სავსებით შესაძლებელია კაპიტალის მთლიანი მოცულობის გადიდება, მაგრამ თუ სამუშაო ძალის რაოდენობა წინმსწრები ტემპით არ გაიზარდა, მაშინ შრომის ნაყოფიერება დაეცემა, რადგან ერთი მუშაკის კაპიტალტევადობა შემცირდება. კაპიტალის მოცულობა (დანადგარები, შენობები) ერთ მუშაკზე \$30 000 არის შეფასებული. ქვეყნის ინფრასტრუქტურა სულ უფრო ხშირად აწყდება ფიზიკური და მორალური ცვეთის პრობლემას. საჭიროა სახელმწიფო ინვესტიციების გადიდება ამ სფეროში, რათა იგი არ იქცეს ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელ ფაქტორად. **განათლება და კვალიფიკაციის ამაღლება** ზრდის შრომის ნაყოფიერებას და შედეგად მეტი შემოსავლის მიღების საშუალებას იძლევა. ინვესტიცია ადამიანისეულ კაპიტალში შრომის ნაყოფიერების გადიდების მნიშვნელოვანი ფაქტორია და იგი 15%-ს შეადგენს. რეალური მშპ-ს ზრდაში შედარებით მცირე წვლილი აქვთ: წარმოების მასშტაბის ეკონომიას, რესურსების ოპტიმალურ განაწილებას.

ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი ფაქტორები. არსებობს შრომის ნაყოფიერების და რეალური მშპ-ის ზრდის შემაფერხებელი ფაქტორები: სხვადასხვა საკანონმდებლო საქმიანობა შრომის, გარემოს დაცვის სფეროებში. სახელმწიფო სულ უფრო ხშირად ერევა გარემოს დაბინძურებისგან დაცვის, უსაფრთხოების წესების და მუშაკთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. შედეგად გაიზარდა დანახარჯები გამწმენდ ნაგებობებზე და შრომის პირობების გაუმჯობესება-

ზე. ამის გამო სახსრები, რომლებით შრომის ნაყოფიერების ამაღლებას უნდა მოხმარებოდა ინვესტიციებიდან ძირითად კაპიტალში გაედინება.

ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითად მოქმედ ფაქტორებს შორის შეიძლება დავასახელოთ მუყაითი შრომის ნაკლებობა და სამეურნეო დანაშაული, მუშაობის შემცირება შრომითი კონფლიქტების დროს, უამინდობა სოფლის მეურნეობის მოსავალთან მიმართებაში. ყურადღება უნდა მიექცეს შედეგს, შრომის უსაფრთხოების გადიდება, სუფთა ჰაერი და წყალი – ცხოვრების ხარისხს ახასიათებს და იგი შეიძლება მიღწეული იქნეს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპების შენელების ხარჯზე. ამასთან ერთად შრომის ნაყოფიერების გადიდება შეიძლება გამოიწვიოს დანახარჯების გაზრდა საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან სფეროებში (გარემოს დაცვა). ამიტომ შრომის ნაყოფიერება საზოგადოების კეთილდღეობის ყველა ასპექტს არ ასახავს, კაც-საათზე ხვედრით გამომუშავებას ზომავს მხოლოდ.

ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედი სხვა ფაქტორები ძნელად ექვემდებარებიან რაოდენობრივ შეფასებას. რაც მეტია ქვეყანაში ბუნებრივი რესურსების მარაგი, ნაყოფიერი მიწები, ხელსაყრელი კლიმატური და ბუნებრივი პირობები, მინერალური და ენერგეტიკული რესურსების მარაგი, მით მეტია ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობები. ისეთი ეკონომიკური ზრდის ფაქტორებიც არსებობს, რომელთა გაზომვაც შეუძლებელია: სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ატმოსფერო. ქვეყანაში არ უნდა არსებობდეს წარმოების პროცესის და მატერიალური პროგრესის დამაბრკოლებელი სოციალური ან მორალური აკრძალვები. მატერიალური კეთილდღეობის ზრდა უნდა განიხილებოდეს როგორც მიღწევადი და სასურველი მიზანი. გამომგონებელი, ნოვატორი, ბიზნესმენი პრესტიჟითა და პატივისცემით უნდა სარგებლობდეს. ქვეყანაში შრომისა და მენარმეობისადმი ჯანსაღი დამოკიდებულება უნდა იყოს. საზოგადოება უნდა აერთიანებდეს მენარმეებს და მუშაობის მსურველთა მასებს. ქვეყანაში უნდა იყოს პოლიტიკური სტაბილურობა, საკუთრების უფლება ხელშეუვალი უნდა იყოს, უნდა მოქმედებდეს საკონტრაქტო სისტემა. ამ პირობათა რაოდენობრივი შეფასება შეუძლებელია, მაგრამ ისინი ეკონომიკურ ზრდაში დიდ როლს თამაშობენ.

შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპების შენელება შეიმჩნევა ბოლო პერიოდში, რომლის შედეგები მრავალმხრივია: **ცხოვრების დონე.** შრომის ნაყოფიერების ზრდა რეალური ხელფასის გადიდებისა და მაღალი კეთილდღეობის მიღწევის საფუძველია. ერთ კაც-საათში გამომუშავებული რეალური შემოსავალიმ ზომით იზრდება, რითაც ხვედრითი რეალური გამომუშავება . რაც მეტი პროდუქცია ინარმოება კაც-საათში, მით მეტი რეალური შემოსავალი განაწილება იმავე კაც-საათზე. **ინფლაცია.** შრომის ნაყოფიერების გადიდება ნომინალური ხელფასის ზრდის კომპენსირებას და ამით დანახარჯების გადიდებით გამოწვეული ინფლაციის შედეგების შერბილებას იწვევს. სხვა თანაბარ პირობებში, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის შემცირება ხვედრითი შრომითი დანახარჯების სწრაფ გადიდებას და ინფლაციური პროცესების დაჩქარებას გამოიწვევს. **საგარეო ვაჭრობა.** თუ ქვეყანა შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპების მიხედვით თავის ძირითად სავაჭრო პარტნიორებს ჩამორჩება, ეს გამოიწვევს საერთაშორისო ბაზარზე ამ ქვეყნის საქონელზე ფასების შეფარდებით ზრდას. შედეგად ამ ქვეყნის მწარმოებელთა კონკურენტიანობა შემცირდება და პოზიციები შესუსტდება.

ეკონომიკური ზრდის გაგრძელების არგუმენტები. ეკონომიკური ზრდის სასურველობის თაობაზე ეჭვები გაჩნდა იმ ქვეყნებში, რომლებმაც კეთილდღეობის მაღალ დონეს მიაღწიეს:

გარემოს დაბინძურება. ინდუსტრიალიზაცია და ეკონომიკური ზრდა ისეთ უარყოფით მოვლენებს იწვევენ, როგორიცაა გარემოს დაბინძურება, სამრეწველო ნარჩენები, ხმაური, ქალაქის იერსახის შეცვლა, სატრანსპორტო კოლაფსი და ა.შ. ამის მიზეზია საწარმოო პროცესში ბუნებრივი რესურსები მხოლოდ გარდაიქმნებიან და ბოლომდე არ მოიხმარებიან. რაც წარმოებაში მოიხიდება, დროთა განმავლობაში ნარჩენების სახით უბრუნდება საცხოვრებელ გარემოს. რაც მაღალია ცხოვრების დონე, მით მეტი ნარჩენი უნდა შთანთქმას გარემომ. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში შემდგომი ეკონომიკური ზრდა მხოლოდ არარსებით მოთხვნის დაკმა-

ყოფილებას შეიძლება ნიშნავდეს ეკოლოგიური კრიზისის მუქარის პირობებში, ამიტომ ზრდის შენელება შეიძლება მიზანმიმართულად მოხდეს.

პრობლემების მოგვარების წყარო. ეკონომიკური ზრდა თავისთავად გადაწყვეტს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, თუმცა სხვა მოსაზრებით სიღარიბის პრობლემა შემოსავლებში უთანაბრობითაა გამოწვეული და მხოლოდ განაწილების პრობლემაა და არა – წარმოების და მისი გადაჭისათვის საჭირო პოლიტიკური გაბედულება და სიმტკიცე და არა საზოგადოებრივი პროდუქტის გადიდება.

გარანტიების არ არსებობა. შესაძლოა სწრაფი ზრდა (განსაკუთრებით ტექნოლოგიური პროგრესი) შემფოთებას იწვევდეს დასაქმებულებში, რადგან მათ მიერ დაგროვილი პროფესიული გამოცდილება და უნარ-ჩვევები შეიძლება მოძველებული აღმოჩნდეს;

ეკონომიკური ზრდა და ადამიანისეული ფასეულებები. ეკონომიკური ზრდის მოწინააღმდეგეები ამბობენ, რომ მართალია ეკონომიკური ზრდა კეთილდღეობისათვის საჭირო საშუალებებით გვამარაგებს, მაგრამ მას არ შეუძლია ჩვენთვის კარგი ცხოვრების უზრუნველყოფა. მეტის წარმოებით ნაკლებ სიხარულს ვიღებთ. ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ტექნოლოგიურმა პროგრესმა ადამიანები ხელოსნებიდან და მხატვრებიდან მანქანის უბრალო დანამატად აქციეს, როცა ისინი ღილაკს აჭერენ ხელს და მუშაობისაგან ესთეტიკურ სიამოვნებას ვერ იღებენ. ეკონომიკური ზრდა მასიურ წარმოებას ნიშნავს, რომელიც უმეტეს შემთხვევაში შემოქმედებით ხასიათს არ ატარებს, დასაქმებულისათვის კმაყოფილება არ მოაქვს და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისაგან მუშაკის გაუცხოებას იწვევს.

ამავე დროს ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი **მიზანია** შემდეგი მოსაზრებების გამო:

ცხოვრების დონე. ეკონომიკური ზრდა მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის მიღწევის და ცხოვრების დონის ამაღლების ძირითადი პირობაა. იგი შეუზღუდავ მოთხოვნასა და მწირ რესურსებს შორის წინააღმდეგობას არბილებს. ეკონომიკური ზრდის პირობებში სოციალური მიზნების არჩევა ნაკლებად მტკივნეულია და სოციალურ ჯგუფებს შორის ნაკლებ წინააღმდეგობას იწვევს. ეკონომიკური ზრდა საშუალებას იძლევა გაძლიერდეს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა და იმავდროულად იგივე დონეზე შენარჩუნებული იქნეს ინფრასტრუქტურა, განხორციელდეს ხანდაზმულთა, ავადმყოფთა და ღარიბთა დახმარების პროგრამები, რეფორმები გატარდეს განათლების სფეროში და გაიზარდოს ოჯახების შემოსავლები.

ეკონომიკური ზრდა და გარემო. ეკონომიკური ზრდის მომხრეები თვლიან, რომ მისი კავშირი გარემოს მდგომარეობასთან გადაჭარბებულია, ისინი შეგვიძლია ერთმანეთისგან გავმიჯნოთ. თუ საზოგადოება უარს იტყვის ეკონომიკურ ზრდაზე საერთოდ, მაშინ მას მოუწევს არჩევანი გააკეთოს წარმოების სხვადასხვა სტრუქტურებს შორის და ეს არჩევანი გავლენას მოახდენს გარემოს მდგომარეობასა თუ ცხოვრების ხარისხზე. მხოლოდ საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს შეინარჩუნოს ტყის მასივი თუ შეშად გამოიყენოს. გარემოს დაბინძურება არა იმდენად ეკონომიკური ზრდით არის გამოწვეული, არამედ არასწორი ფასწარმოქმნით. ბუნებრივი რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი (მდინარე, ტბა, ჰაერი) განიხილება როგორც საერთო საკუთრება და მათ ფასი არ აქვთ, ამიტომ მეტად ინტენსიურად გამოიყენება, რაც მათ მდგომარეობას აუარესებს. ამ პრობლემის გადაჭრა საკანონმდებლო გზით, ან სპეციალური გადასახადის შემოღებით შეიძლება. გარემოს დაბინძურების შესამცირებლად საჭიროა მისი და არა ეკონომიკური ზრდის შეზღუდვა.

შემოსავლების უთანაბრობა. ეკონომიკური ზრდა განვითარებულ ქვეყნებში შემოსავლების სამართლიანი განაწილების ერთადერთი რეალური გზაა. ნაკლებად მოსალოდნელია საშუალო სტატისტიკურმა ამომრჩეველმა თავისი შემოსავლის ღარიბებისთვის გადანაწილებას დაუჭიროს მხარი. უფრო მოსალოდნელია, რომ ისინი ღარიბებისათვის მზარდი საზოგადოებრივი პროდუქტის მეტი წილის გამოყოფას მისცემენ ხმას. ღარიბთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ძირითადი საშუალება შემოსავლების საერთო დონის ამაღლებაა ეკონომიკუ-

რი ზრდის შედეგად, ხოლო ეკონომიკურ ზრდაზე უარის თქმა ღარიბების ეკონომიკურ მდგომარეობას გაუმჯობესების შანსის დაკარგვის ტოლფასი იქნება.

არაეკონომიკური მოსაზრებები. არასწორია თითქოს ეკონომიკური ზრდა შრომას არასასურველს და საშიშს ხდის. პირიქით, მანქანა-დანადგარების განახლება შრომის დაძაბულობის ხარისხს ამცირებს. ამავე დროს ეკონომიკური ზრდის შენელება ადამიანთა ლტოლვას მატერიალური ფასულობებისკენ ამცირებს და მათ წარმოებისგან გაუცხოებას იწვევს. ცხოვრების მაღალი დონე, რომელსაც ეკონომიკური ზრდა უზრუნველყოფს, ადამიანთა სულ უფრო მეტ რაოდენობას შესაძლებლობას აძლევს სულ უფრო მეტი დრო დახარჯონ განათლებასა და თვითრეალიზაციაზე.

განვიხილოთ ეკონომიკური ზრდის **სახელმწიფო რეგულირების მიმართულებები:**

მოთხოვნის ფაქტორთა მიხედვით. ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპი ერთობლივი დანახარჯების არაადექვატური დონითაა ახსნილი, რომელიც მშპ-ს მოთხოვნილ ზრდას ვერ უზრუნველყოფენ. ამიტომ სარგებლის დაბალი განაკვეთი იქნება კაპიტალდაბანდებათა სტიმულირების საშუალება(იაფი ფულის პოლიტიკა). საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკა შეიძლება გამოყენებული იქნეს სამთავრობო დანახარჯების და მოხმარების შეზღუდვისათვის, რათა კაპიტალდაბანდებათა მაღალმა დონემ ინფლაციური პროცესები არ გამოიწვიოს.

მიწოდების ფაქტორთა მიხედვით. აქცენტი ეკონომიკური სისტემის წარმოებრივი პოტენციალის ამაღლების ფაქტორებზე კეთდება. კერძოდ, გადასახადების შემცირების მოითხოვენ, რათა ასტიმულირონ დაზოგვა და კაპიტალდაბანდებები, რომელიც წახალისებს შრომით ძალისხმევას და სამენარმეო რისკს. სარგებლიდან მიღებული გადასახადის შემცირება ან გაუქმება დანაზოგების უკუგების გადიდებას გამოიწვევს. ანალოგიურად თუ საშემოსავლო გადასახადით დაიბეგრება ის თანხა, რომელიც სარგებლის გადასახდელს ხმარდება, ეს მოხმარების შეზღუდვას და დაზოგვის სტიმულირებას გამოიწვევს. მოხმარების გადასახადის შემოღების მიზანია მოხმარების შეზღუდვა. მიწოდების თეორიის მომხრეები უპირატესობას გრძელვადიან პერსპექტივას ანიჭებენ და აქცენტს აკეთებენ ისეთ ფაქტორებზე, რომლებიც საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდას უზრუნველყოფენ სრული დასაქმების და სანარმოო სიმძლავრეების სრული დატვირთვის პირობებში.

ინდუსტრიული პოლიტიკა. მთავრობას შეუძლია თავის თავზე აიღოს მრეწველობის სტრუქტურის ფორმირების პირდაპირი აქტიური როლი ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის. მთავრობა თუ გაზრდიდა დანახარჯებს ფუნდამენტალურ გამოკვლევებზე, ამით სტიმულს მისცემდა ტექნოლოგიურ პროგრესს, ხოლო განათლებაზე ხარჯების ზრდა ხელს შეუწყობს სამუშაო ძალის ხარისხის და შრომის ნაყოფიერების ზრდას.

ლიტერატურა

1. Weil David N. (2014). Economic Growth. Brown University. 3rd Edition.
2. Wooldridge M. Jeffrey (2013). Introductory Econometrics. A Modern Approach. Fifth Edition.

FACTORS AND PROBLEMS OF ECONOMIC GROWTH

Merab Julakidze

Associate Professor of TSU

Resume

This study discusses the demand and supply factors of economic growth. Factors hindering economic growth and consequences of growth slowdown are analyzed, as well as arguments for the necessity of growth continuation. The study demonstrates that living standards, environment, income inequality and non-economic factors should be considered in the realization of public goals of economic growth. Finally, some trends of the possible development of future economic growth are presented according to the directions of its state regulation.

Key words: *supply factors of economic growth, demand factors of economic growth, capital capacity, saving, productivity, technology.*

THE DOWNFALL OF THE GERMAN AUTO INDUSTRY IN THE LIGHT OF DISRUPTION

Hofbauer, Günter

Professor, Doctor of Science

Technical University Ingolstadt/Germany

Abstract

The automotive industry is one of the most important industries in Germany. This industry contributes to employment, income, tax generation and wealth of nation. Due to existing internal and external threats and raising competition worldwide, this industry is actually in a nosedive, and a crash threatens. One newspaper headlines "The party is over". This is not just hypothetical, reality has already caught up with us. Layoffs are on the agenda. At the beginning of September 2024, Volkswagen announced additional layoffs and closures of two plants.

The underlying thesis of this paper is that the existing business model was overrun and it is existentially in danger with all consequences. The question of research is about the impact factors on the business eco systems (BES) in this industry. The analysis will point out the various and complex impact factors. The scientific purpose of this paper is to analyse the BES in order to guide the transformation process into a new competitive and profitable level.

The methodological approach is theoretical, empirical and analytical. Selective literature research on the basis of current national and international guidelines leads to a solid starting point for the investigation. Based on statistical data, the current situation of the car manufacturing industry will be shown by facts and figures. The analysis is based on Porter's five forces model. The transformation of the entire business system is inevitable due to these findings.

Keywords: *car manufacturing industry, business eco system, five forces model, strategic analysis*

Introduction

It is a matter of fact that innovations and technological changes have a huge impact on supply, better utilization, consumer behaviour and economy (Hofbauer & Sangl, 2017). But these new technologies come along with structural changes and heavy impacts on existing eco systems and established business relations. These changes cause disruptions in the whole economy, not only within the relevant eco systems (Hofbauer, 2020). The consequences can be proved in demand, production figures, employment, wages, workforce participation, inflation, interest rates, monetary and fiscal policy, innovation and productivity. The technology life cycles are closely related to Kondratieff cycles (Hofbauer & Sangl, 2018, 96-99), which consist of alternating intervals of high sectoral growth and intervals of relatively slow growth when technologies and related industries disappear.

Following the innovation theory, these cycles arise from the bunching of basic innovations that launch technological revolutions and in turn create leading industrial sectors and long-term benefits. The car manufacturing industry is challenged by digitalization and electrification, which push into the car manufacturing industry accelerated by restrictive legal regulations.

More problems will arise, when technological change is overlapped with structural change from different sources and directions. There are trade wars and economic downturns in several industries in various countries, which affect purchasing power. There is also to be noticed that customers are uncertain about

what technology to buy and in addition to that, there is a broad scepticism about e-mobility, because the charging infrastructure is far behind demand (Hofbauer & Maier 2022).

The car manufacturing industry especially in Germany is already in the middle of a severe crisis. Many years ago, weak signals have been ignored (Hofbauer 2021a). The weak signals became strong signals and have been ignored by all stake holders, especially managers and politicians (Hofbauer, 2021b). Regrettably, the predictions have come true. Still in 2022 the automotive world of car production seemed fine. More than 40 percent of the total profit of all 40 companies of the DAX were earned by VW, BMW and Mercedes. But with respect to market value the three companies only held a share of 12 percent of total value of all DAX companies (DAX research). This means that the investors did not have confidence in the car manufacturers to overcome the crisis. Tesla however was valued seven times higher than BMW, whereas the profit of Tesla was only two thirds of BMW. This is an alarm signal of highest evidence.

Higher expenses and less sales are the current problems. Higher intensity of competition and higher cost for material, investment as well as R&D put pressure on the profitability. The profits decreased obviously. BMW earned in first half of 2024 about 14,6 % less profit than in first 6 months of 2023. The margin fell from 10,6 to 8,6%. The same situation can be stated with VW. The consolidated result was 13,9% lower than first half of 2023, despite sales increased 1,6%. The margin decreased from 7,3 to 6,3%. In total VW, BMW and Mercedes achieved 25,9 billion EBIT in first half of 2024, this means less 18% compared to previous year period. Actually, in August 2024, the numbers of new registrations fell dramatically compared to August previous year with minus 69% electric cars, -24,4% diesel engines, and -7,4% gasoline cars. Over all types this was a minus of 27,8% units on average. Over the course of the year 2024 (Jan.-Aug.) 590.000 fewer new cars were sold compared to same period of pre-covid year 2019 (VDA, 2024). Subsequently the business climate index in this industry fell another 6,2 points to disappointing -24,7 points this August (ifo, 2024).

The reasons for all these problems are manifold. High investment in electromobility, supply chain problems with components and problematic model changes on the cost side. On the income side there was a gap in demand, higher competition and subsequent discount promotions. The economic situation in Germany is weak, inflation still ongoing, purchasing power and willingness to buy are low, because of the uncertainty about combustion drives is still present as well as the uncertainty of electric charging infrastructure (Hofbauer & Vylegzanin, 2022). On top of these issues there are additional political, administrative and macroeconomic obstacles, as there are: high energy cost, excessive bureaucracy, sudden stop of financial support of electromobility, EU regulations with unrealistic emission limits and fines, reporting requirements, high labour cost, supply chain problems and dependency of imports, which lead to heavy problems for the industry location Germany. A sustainable improvement is not in sight. In the end it will lead into de-industrialisation.

The plight began in 2019, when worldwide sales volume decreased by 5%. In Germany however, it dropped by 9.3%. A dramatic fall had to be noticed in 2020. The domestic production volume fell 24,7% on average in Germany due to covid-19 pandemic. Since then the car manufacturing industry did not recover anymore. Although the business model of producing and selling of cars has worked very well in Germany for many decades. The business eco systems were balanced between all the car manufacturers, suppliers and related activities. Well established brands divided the market among themselves and provided a substantially growing market capitalization. The rivalry of the different brands as well as the capability of the suppliers generated innovations and thus competitive products worldwide.

The basic task to solve the problem and to give advice is to start with the analysis of the problem and to detect the impact factors. The underlying working hypothesis is: The German car production industry is in the middle of a severe crisis and this fact puts the traditional business model and related business eco systems into a substantially threatening danger. This leads to the question of research: What are the impact factors causing this crisis?


In order to examine the current situation of the German car production industry, the production volume of cars is used as a strong and adequate indicator. This indicator represents economic factors like demand, employment, income for workers and employees, but also financial aspects like cash flows, liquidity, profitability and sustainable finance (Hofbauer et al., 2017).

Results

This chapter shows the outcome of the analysis of the driving forces and impact factors of the above explained crisis. The five forces model introduced by Porter (Porter, 2008) is a very useful method for analysing competition of a business model and the threatening forces of business eco systems as well. The business eco systems in terms of this study include suppliers, distributors, customers, competitors and other parties involved in sourcing, production and providing a car through cooperation and competition as well. Each entity in an eco-system affects and is affected by the actions or reactions of the other members of the system (Williamson & De Meyer, 2020).

These forces determine the intensity of competition and therefor the attractiveness of an industry especially in terms of profitability. Porter suggests five forces: The industry rivalry, bargaining power of buyers, bargaining power of suppliers, threat of substitutes and threat of new entrants. These forces include three forces from horizontal competition – the threat of substitute products and services, the threat of established rivals, and the threat of new entrants. Two other forces relate to vertical competition the bargaining power of customers and the bargaining power of suppliers (Dobbs, 2014). These forces affect the ability of a company to serve its customers and make profit. A change in any of the five forces requires a company to re-assess the marketplace given the overall change in industry information. The overall industry attractiveness does not imply that all firms in the industry will have the same profitability. Companies have to combine their core competencies, business model and network in a unique and value generating way to achieve a profit level above industry average. The five forces (Porter, 2008) are shown in diagram 1 and described below in subchapters.

Diagram 1



Competitive rivalry within industry

Competitiveness is the predominant indicator for successful companies. For most industries the intensity of competitive rivalry is the most important determinant. In doing successful business it is inevitable to understand competitors and their strategic movements. Strategies should be subject to response to any changes made by competitors. Products and services must be differentiated from competitive offers. One of the most important factors to achieve high profitability is innovativeness (Hofbauer & Sangl, 2019a). In 2020 the German car manufacturers VW, Daimler and BMW were worldwide ranked first, second and third with regard to their innovativeness, followed by Tesla and Hyundai (CAM, 2020). But despite the high innovativeness of the car manufacturing industry in Germany the business eco system fell into crisis. Although

there are many well established brands existing in this market, the demand in general is shrinking due to customers' reluctance to buy a new car. In the current situation, the car manufacturers are producing at too high cost. The produced units fell by one third since 2019, whereas the number of employees decreased only by 8%. Thus, the cash flows as well as cash equivalents are decreasing at the same time a high investment in innovation and new technologies would be required. This leads to decreasing market capitalization whereas barriers to exit this industry are very high.

Bargaining power of buyers

The bargaining power of customers entails the ability to put the companies under pressure as long as demand and offer are not balanced. Customers are sensitive to price changes and strive for new, valuable and sustainable products. Discount offers are not enough and are not suitable as a long-term measure. The dimensions are not only product core and generic product. A product has to fulfill expected, expanded and maximum dimensions, too (Hofbauer & Sangl, 2018, 43-46). In a market with similar products the switching cost from one brand to another brand is close to zero. The car manufacturers can only counteract if they differentiate and individualize the products, and try to increase brand loyalty. Another prerequisite is that a product should work everywhere. In the case of battery-electric cars is this not assured due to missing charging infrastructure (Hofbauer & Vylegzanin, 2022). And all these activities need budgets.

In summary the bargaining power means lower prices and higher spendings. Thus, bargaining power gives buyers the ability to squeeze industry margins. High power corresponds with lower margins for the companies in the particular industry.

A typical indicator of the buying behaviour is the willingness to buy. The number of people in Germany planning to buy a new car or a used one in the next five years, as of January 1st of each year (IfD Allensbach, 2020) was very high before the covid-19 pandemic. The sample consisted of n = 23.191 interviewed people representative for car buyers and was projected to 70,64 million potential buyers. After a peak in 2018 with total 8.11 million people planning to buy a new or used car, the total number was decreasing to 7.6 million in 2019 and 6.57 million in 2020. This was a fall of 1.03 million cars in 2020, thereof 300.000 new cars less than in 2019. One explanation is the uncertainty of the prospective buyers and the concurrent reluctance to buy. This uncertainty is caused by driving bans, diesel scandal, legal regulations, ideologically driven discussion about cars with combustion drives, risk about e-mobility and missing infrastructure of charging stations.

On the other side, 37 percent of the millennials do not need, do not want or cannot afford an own car. This relates to 37 percent out of 1.7 million millennials. For this group it is more important to have access to mobility than to possess an own car. The rate of using car sharing in this group with 10 percent is twice as high as in the group of 35 to 54 years old people (Zukunftsinstitut).

Another outcome of the analysis is the holding period of a car. The age of cars in Germany on average for the years 2000, 2014, 2020 und 2024, as of January 1st of each year (Statista 2024) increased from 6,9 to 8,8 to 9,6 to actually 10,3 years. This means that the market for new cars in total is shrinking. From the companies' perspective this implies that a battle for customers will arise in the shape of a price war.

A shrinking market due to buying reluctance and no need to buy due to longer period of usage combined with price wars and higher efforts for marketing and sales means at the end lower margins and less profitability in this industry.

Bargaining power of suppliers

The bargaining power of suppliers defines the market of inputs. High performing suppliers of materials, parts, components, modules, labour, services and know-how are strategic advantages and represent competitive advantages to the company. Value driven processes all over the value chain provide market power to the eco system of supplier and OEM (Original Equipment Manufacturer) (Hofbauer & Sangl, 2019b). Du-

ring the last decades several relations with interconnected value chains were established and the bargaining power was balanced between the sourcing partners. Effective tier structures were developed and they worked efficiently (Hofbauer et al., 2016).

With upcoming new technologies within the area of digitalization and electrification, the existing tier structures will be obsolete and useless (Hofbauer, 2024). New supplier relationships have to be established, coordinated and supervised. This process is time consuming and cost intensive (Hofbauer & Gandhi, 2022). The bargaining power of suppliers will raise and in consequence prices will go up and the overall cost position of the company will worsen. It is obvious that an electric drive with 200 parts need less workers to assemble than a combustion engine with 1800 parts.

Threat of substitutes

Substitutes are alternative offers, which fulfill the same purpose than the previous product. The substitute may use a different technology or mode to solve the same need, but can also use the same technology. In the case of cars a substitute for mobility could be a taxi, car sharing or ride sharing using the same technology, namely cars. In the end it makes no difference for the user, who merely needs mobility. But for the car manufacturing industry it does, in terms of less units to sell. There are also different modes of public transport, which become more and more competitive with individual car traffic. Driving bans, restricted areas, restrictive traffic management and high toll and parking fees raise the attractiveness of public transport additionally (BMVI, 2024).

For the use of substitutes it is mandatory that sufficient offers of substitutes are available in the market. The ease of substitution and the availability of close substitutes accelerate the utilization. The relative price performance of a substitute makes it acceptable.

Another important issue are the switching costs of the customer. It is a matter of fact that switching costs in general are a reason for rejection. The best example in the mobility industry is Uber, because it is very easy for customers to switch from regular taxi to Uber. No switching costs, more comfortable, the whole process digitized, which is very user friendly, and even cheaper than a normal taxi ride.

All these reasons from high availability, ease of use as well as cost efficiency of the substitutes in the mobility market generate a high competition for the status of having an own car. This is much in the dismay of the car manufacturing industry and related business eco systems.

Threat of new entrants

New entrants put pressure on existing business eco systems and organizations within a running industry, because they strive to gain market share and to participate in profitable markets. In consequence the new entrants put pressure on prices, costs and investment rates needed to sustain established business within the industry. The threat of new entrants is extremely intense if they diversify from another profitable market as they can leverage existing know-how, budgets and brand identity.

From the strategic point of view, it is important to keep barriers to entry high for competitors in order to protect the profitability of the own business in the business eco system. If the barriers are high, the threat of new entrants is low. If the barriers are low, the risk of new competitors venturing into a given market or business eco system is high. Barriers to entry are competitive advantages that established companies have and should protect. A strategic window has opened with the electrification of the car together with new battery technologies.

There are two crucial issues to be mentioned in the context of entering the German car manufacturing eco system: capital and customers. Companies like Apple, Google and Amazon have earned a lot of money in completely other businesses. And also Chinese companies like BYD are looking for new markets and do forward integration. These entrants are well equipped with capital to enter and develop new markets like the mobility market, where high growth rates and high profitability are expected. Customers can decide

between traditional products like cars, new battery-electric cars and substitutes like public transport or sharing models, and in the near future also about the offers of new entrants, because switching costs are close to zero.

The most attractive market for established BES is one in which entry barriers are high and exit barriers are low. The entry barriers into the car manufacturing industry were kept very high, because of well working eco systems so far mainly based in particular on know-how of combustion drives and dominance in the market. Due to digitalization and electrification of the car manufacturing industry the entry barriers were torn down for new entrants with pockets full of money, which they earned in other industries. In this case high exit barriers are disadvantageous.

Conclusion and Recommendations

Summing up the empirical analysis, one can find that the difficulties and problems are evident and not just temporary. A very crucial consequence thereof is the financial aspect for car manufacturers. Less production volumes mean less cars to be sold and this means less turnover and correspondingly less cash flow, shrinking investment budgets for necessary innovation projects and less potential for sustainable finance, while costs are high and tend to increase.

Answering the question of research: there are various, complex, and overlaying forces which have an impact on the current business model and corresponding business eco systems of the car manufacturing industry in Germany. The success and sustainability of this industry was yesterday, today is a misery, because there is pressure on this system. This pressure can be traced back to the five forces, which were analysed in this article.

- The rivalry in this industry is increasing because of a shrinking market volume, increasing competition, continuing price wars and need for huge investment budgets to carry out and complete technological transformation for electrification and digitalization. This leads to a miserable financial situation.
- The customers show buying reluctance, which leads to a declining market volume, because customers refuse or postpone to buy a new car. There is an uncertainty to observe about the proper technology of drives. Some segments of customers do not need a private car due to the availability of substitutes. Others do not want or cannot afford.
- Substitutes in the mobility market are more and more closely available and easy to use. There are no switching costs to change the mode of transport. The usage fee is without fixed costs and customers have only to pay per use, they can share cars or rides.
- New suppliers to be installed due to new technologies entail new cost structures and a new start on the experience curves. Fact is that about 80 percent of total cost of a car have to be sourced and in the end this means that these 80 percent will become more expensive.
- New entrants come from other industries or business systems, where they have earned a lot of money. They are seeking for new investment opportunities with higher returns in promising markets as the mobility market seems to be. Their advantage is that they can get started with the new technology straight way and have no legacy with old technologies.

All these forces together will lead to a shrinking market. This market is not only getting smaller, also the structure of the offers will be composed differently with regard to the change in demand. With a view to the new entrants, the rivalry will increase and this will lead to a cut-throat competition ending up with a market adjustment of the players and corresponding business eco systems. It is foreseeable that current car manufacturers will suffer market share losses. A consolidation process is approaching.

The results on the financial side are bad to all. Less demand means less production and this means less sales and in consequence there will be less turnover. High cost positions and price erosions reduce cash

flows additionally. Increasing costs on the supply side worsen the margin on top of that. All in all this shows that the liquidity situation deteriorates and with it the market capitalization worsens.

With regard to the working hypothesis it can be stated that the German car production industry is in a deep crisis and with it the traditional business model, too. There is no doubt that the car manufacturing industry has an outstanding importance for German economy. Therefore it is imperative to save this industry with a strategic and well thought out plan to:

- overcome sales lull (short-term)
- solve structural problems and stop economic downturn (mid-term)
- foster strategic transition to alternative drives and digitalization (long-term)

The key point is to give confidence to the customers as well as to the car producing companies. This imperative is not only directed to the OEMs themselves, it is also intended as an imperative for the political decision-makers on EU and federal level of Germany to strive for a stimulating as well as promoting framework of conditions rather than damning regulations and restrictions. Otherwise significant damage is inflicted not only for this particular industry, but also for economy, employment and wealth of nation.

List of References

1. BMVI (2024). (Bundesministerium für Verkehr und digitale Infrastruktur). *Daten für die Mobilität der Zukunft*. Retrieved from <https://www.bmvi.de>, September 2024.
2. CAM (2020) (Center of Automotive Management). *Automotive Innovation Report 2020*. Retrieved from <https://www.auto-institut.de>, 2020.
3. DAX (Deutscher Aktienindex). German Performance Index of 40 biggest listed companies.
4. Dobbs, E, M. (2014). Guidelines for applying Porter's five forces framework: a set of industry analysis templates, in: *Competitiveness Review*, vol. 24, no. 1, 2014, 32-45.
5. Hofbauer, G. (2024). Threat Analysis of the German Automotive Industry and Challenges for Supply Chains, in: proceedings of the 10th International Scientific Symposium „Economics, Business & Finance“, 7th International Multidisciplinary Academic Conference (IMAC), July 2024, Institute of Research and International Symposiums, IRIS-ALKONA, Latvia, 2024.
6. Hofbauer, Günter; Vylegzanin, Anton (2022). *A Customer-Based Proposal for a Unified Access to Charging Stations for Electric Vehicles*, in: International Journal of Public Administration, Management and Economic Development, Uherské Hradiště, Jagiellonian College of Toruń/Czech Republic, Vol. 7, no. 1, June 2022.
7. Hofbauer, G. & Maier, D. (2022). *The "chicken or the egg" causality dilemma of electric cars and charging stations*, in: Proceedings of 8th International Scientific Symposium "Economics, Business & Finance" & 5th International Multidisciplinary Academic Conference (IMAC), July 2022, pp. 42-57, ISSN 2500-9737, Institute of Research and International Symposiums, IRIS-ALKONA, Latvia, 2022.
8. Hofbauer, G. & Gandhi, S. J. (2022). *The overlap of strategic management and supply chain management from an engineering management perspective for the German automotive industry*, in: Proceedings of the American Society for Engineering Management 2022 International Annual Conference, Tampa, USA, G. Natarajan, E.H. Ng, P.F. Katina, and H. Zhang eds., 2022.
9. Hofbauer, G. (2021a): *Strategic Analysis of the Business Eco Systems of the Car Manufacturing Industry in Germany*, in: Proceedings of the IX International Scientific Conference "Management and Engineering '21", Technical University Sofia/Bulgaria, 2020, 500-509.
10. Hofbauer, G. (2021b). Hazard Analysis of the German Car Manufacturing Industry and related Business Eco Systems, in: *Proceedings of the VI International Scientific Conference "Challenges of Globalization in Economics and Business"*, Tbilisi State University/Georgia, 2021.

11. Hofbauer, G. (2020). Significance and Economic Impact of the Automotive Industry in Germany, *Proceedings of the XVIII International Scientific Conference "Management and Engineering '20*, TU Sofia/Bulgaria, 500-509
12. Hofbauer, G. & Sangl, A. (2019a). The German Automotive Industry as a Driving Force for Innovation. *American Journal of Engineering Research*, 8(10), 90-99
13. Hofbauer, G. & Sangl, A. (2019b). A Proposition for an Updated Configuration of the Value Chain. *International Journal of Advanced Engineering and Management Research*, 4(05), 115-134
14. Hofbauer, G. & Sangl, A. (2018). *Professionelles Produktmanagement, Der prozessorientierte Ansatz, Rahmenbedingungen und Strategien*, (3rd ed.). Erlangen: Publicis, 2018.
15. Hofbauer, G. & Sangl, A. (2017). Innovation Management and Particular Impacts on Companies and Economy. *Conference Proceedings Challenges of Globalization in Economics and Business*, Tbilisi State University/Georgia, 672-680.
16. Hofbauer, G., Klimontowicz, M. & Nocoń, A. (2017). The Impact of Capital Requirements on Companies' External financing, in: *Journal of Modern Accounting and Auditing*, vol. 13, no. 1, New York/USA, January 2017, 8-18.
17. Hofbauer, G., Mashhour, T. & Fischer, M. (2016). *Lieferantenmanagement, Die wertorientierte Gestaltung der Lieferbeziehung*, (3rd ed.). München: De Gruyter, 2016.
18. IfD Allensbach (2020). *Umfrage in Deutschland zur Autokaufabsicht nach Neuwagen und Gebrauchtwagen*. Retrieved from 2020. <https://de.statista.com/statistik/daten/studie/170981/umfrage/kaufabsicht-nach-neuwagen-und-gebrauchtwagen/>, 2020.
19. ifo (2024). Industry Research Institute, Business Climate Automotive Industry. Retrieved from <https://www.ifo.de>, 2024.
20. KPMG (2020). *Global Automotive Executive Survey 2020*. Retrieved from <https://www.automotive-institute.kpmg.de>
21. Porter, M. E. (2008). The Five Competitive Forces That Shape Strategy, in: *Harvard Business Review*, January 2008, 1-17.
22. Statista (2024). *Durchschnittsalter von PKW in Deutschland bis 2024*. Retrieved from <https://de.statista.com>, September 2024.
23. VDA (2024). (Verband der Deutschen Automobilindustrie), Association of German Automotive Industry, *Facts and figures – production*. Retrieved from <https://www.vda.de>, September 2024.
24. Williamson, P. & De Meyer, A. (2020). *Ecosystem Edge: Sustaining Competitiveness in the Face of Disruption*, Stanford Books, 2020.
25. Zukunftsinstitut (2015). *Automotive Zeitgeist Studie 3.0, We-Mobility – eine Trendstudie über Millennials*. Retrieved from <https://www.zukunftsinstitut.de>, 2015.

გამოცემაზე მუშაობდნენ ხათუთა ბადრიძე და ნათია დვალი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის გამომცემლობა

2025

0128 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 1
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0128
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>

